ნაპოლეონ ჭარჭაშაძე

მსოფლიოს სოფლის მეურნეობა

I ნაწილი

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ
დაამტკიცა საბელმძღვანელოდ უმაღლესი სასოფლო-
სამეურნეო სასწავლებლების სტუდენტებისათვის

გამომცემლობა „ნანათლება“

თბილისი—1993

4
63
ჟ. 303

წიგნში განხილულია მსოფლიოს სოფლის მეურნეობის აქტუალური პრობლემები კონტინენტების, რეგიონებისა და ცალკეული სახელმწიფოების მიხედვით. თეორიულ ნაწილში პროდუქციის ძირითადი სახეობების მიხედვით გაანალიზებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების დღევანდელი მდგომარეობა, მოცემულია მსოფლიოს მიწის ფონდებისა და მიწათსარგებლობის სტრუქტურა, სხვადასხვა გეოგრაფიულ ზონებში სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის მიმართულებები; განხილულია ცალკეული სახელმწიფოების ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ნიადაგობრივი და მცენარეული საფარი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა, წარმოების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები, გატარებული აგრარული რეფორმების ეფექტიანობა და სხვ.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების ეკონომიკური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის. იგი შედგენილია საკნის—„მსოფლიოს სოფლის მეურნეობა“ — შისაბამისი პროგრამის მიხედვით. მასში მოყვანილი ციფრობრივი და სტატისტიკური მასალა საინტერესოა აგრეთვე სოფლის მეურნეობის მართვისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სისტემების სპეციალისტებისათვის.

წიგნში გამოყენებულია 1989 წლამდე არსებული მონაცემები. ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობა განხილული იქნება მეორე ნაწილში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკად. ა. კიკნაველიძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
აკად. ვ. ბურკაძე

3701000000—074
К————————————— —93
М—602(08)—93

USBN 5-505-01767-3

© ნ. ქარქაშაძე, 1993

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება რთული, მრავალწახნაგოვანი პრობლემაა, რომელშიც შერწყმულია არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური ასპექტებიც.

სასურსათო პროდუქციის წარმოება ადამიანის მიზანდასახული საქმიანობის უძველესი ფორმაა, მიუხედავად ამისა თანამედროვე ცივილიზაციის პირობებშიც კი ამ პრობლემის დაძლევა მოითხოვს მსოფლიოს მთელი მოსახლეობის ერთობლივ ძალისხმევას. მასობრივი შიმშილობა, რომელიც ზოგჯერ გლობალურ ხასიათს იღებს, ძვირად უჯდება კაცობრიობას, იგი ხშირად გადაიზრდება მწვავე სოციალურ კონფლიქტებში, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ანტაგონისტურ დაპირისპირებებს იწვევს.

ამა თუ იმ ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაზე დიდ გავლენას ახდენს ბუნებრივი ფაქტორები, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამოკიდებულება კლიმატზე და ნიადაგობრივ საფარზე მსოფლიოს მრავალი რეგიონისათვის ჯერ კიდევ რჩება გადამწყვეტ ფაქტორად. ხშირია გვალვები, წყალდიდობები, სხვადასხვა სახის ეპიდემიური დაავადებანი, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებებს მოითხოვს, რაც აზია-აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ სახელმწიფოს დღეისათვის არ გააჩნია.

სასურსათო პრობლემის ანალიზისა და არსის გარკვევისას გასათვალისწინებელია როგორც ტექნიკური, ბიოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური, ისე პოლიტიკური ფაქტორებიც. უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოების უზრუნველყოფას საკვები პროდუქტებით საბოლოო ანგარიშით მაინც სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა განსაზღვრავს, ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე, საზოგადოების თითოეული წევრის სყიდვითუნარიანობაზე, მომსახურებისა და სარეალიზაციო ქსელის სწორ ორგანიზაციასა და სხვა ფაქტორებზე.

საწარმოო, ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და საზოგადოების განვითა-

რების ამა თუ იმ ეტაპზე, წინა პლანზე შეიძლება გამოვიდეს ესა თუ ფაქტორი, ან ფაქტორთა ჯგუფი.

ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მოცემული ქვეყნის, რეგიონის, კონტინენტის სასურსათო მდგომარეობაზე გავლენას ახდენს პოლიტიკური მოვლენებიც. სასურსათო პროდუქტების არა მარტო დეფიციტი, არამედ ჭარბწარმოებაც კი იწვევს კრიზისულ მოვლენებს—როგორც მოსახლეობის გადახდისუნარიანობის დეფიციტს, ისე პირიქით. გარდა ამისა, სასურსათო პროდუქტების ჭარბწარმოება, რომელსაც ადგილი აქვს განვითარებულ ქვეყნებში, ზოგჯერ იწვევს მისი წარმოების დროებით ლიკვიდაციასაც.

სასურსათო პრობლემის განხილვისას, მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ცალკეული ქვეყნები საკვების მოხმარების დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობაზე.

სასურსათო პრობლემის გლობალურობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ამა თუ იმ კუთხით ეხება მსოფლიოს ყველა ქვეყანას, არამედ სპეციფიკური თავისებურებებითაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასურსათო პრობლემის გაუმჯობესება მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით შეუძლებელია. იგი მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას, რომელთა დახმარებისა და უშუალო ჩარევის გარეშე შეუძლებელია მისი გადაწყვეტა. სურსათის წარმოებაზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ენერგეტიკული და ნედლეული რესურსების პოტენციალი, აგრეთვე საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია.

შიმშილის წინააღმდეგ კაცობრიობის მიერ გამოცხადებული ბრძოლა განპირობებულია არა მარტო ჰუმანიზმით, არამედ თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნებითაც. მხოლოდ ფიზიკურად დაკმაყოფილებულ ადამიანს შეუძლია შექმნას მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვნების ნიმუშები, გააკეთოს უმნიშვნელოვანესი აღმოჩენები, ხელი შეუწყოს ტექნიკურ პროგრესს.

მსოფლიოში არსებობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი და არახელსაყრელი რეგიონები, რომლებიც მხოლოდ იმ შემთხვევაში იძლევიან პროდუქციის მეტ-ნაკლები რაოდენობით წარმოების საშუალებას, თუ ბუნებრივ ფაქტორებთან გონივრულადაა შეთანაწყობილი ადამიანების მიზანდასახული შრომა. სწორედ ამიტომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის მთავარია აგრეთვე ადამიანის შრომის ფაქტორი.

„მსოფლიოს სოფლის მეურნეობის“ საგანი, ამოცანები და მეთოდები

საგანი „მსოფლიოს სოფლის მეურნეობა“ მრავალპროფილიანია, რომლის სპეციფიკას განსაზღვრავს თითოეული ზონის ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობები. უდიდესია სოფლის მეურნეობის როლი კაცობრიობისათვის. იგი აწარმოებს როგორც უშუალოდ მოხმარების პროდუქტს მოსახლეობისათვის, ისე მრავალი სახის ნედლეულს მრეწველობისათვის. მაღალპროდუქტიული მსოფლიოს სოფლის მეურნეობა ადამიანთა პროგრესის და შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობაა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონისათვის ერთნაირი არ არის. იგი კონკრეტულია ყოველი მოცემული ქვეყნისათვის და მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ-კლიმატურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებთან. საზოგადოებისათვის აუცილებელია ყველა იმ საწარმოო პროცესებისა და მოვლენების შესწავლა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ქვეყნის ან რეგიონის სოფლის მეურნეობას.

„მსოფლიოს სოფლის მეურნეობა“, ეკონომიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კარგა ხანია წარმოადგენს მეცნიერთა კვლევის საგანს, საქართველოში კი მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ მიმართულებით მუშაობა. საგნის შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება იმ საწარმოო თუ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

საგნის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების პირობები და მოცულობა მსოფლიოს ქვეყნებში, იქ მიმდინარე საწარმოო პროცესები, სპეციფიკური თავისებურებანი, თითოეული ქვეყნის (ან ქვეყნების ჯგუფის) საწარმოო სპეციალიზაციის პირობები და ძირითადი მიმართულებები, წარმოების ორგანიზაციული ფორმები, გატარებული აგრარული რეფორმების ხასიათი, ეფექტიანობა და სხვ. საკითხები.

„მსოფლიოს სოფლის მეურნეობა“ შეისწავლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თავისებურებებს მსოფლიოს რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით, გახსაზღვრავს თითოეული მსხვილი რეგიონის ან ქვეყნის ადგილსა და მნიშვნელობას მსოფლიოს მასშტაბით, სწავლობს უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქტების წარმოების მსოფლიო განაწილებას და იმ კანონზომიერებებს, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის მიმართულებანი. საგნის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით წარმოების სხვადასხვა საშუალებებისა და შრომითი რესურსების გამოყენების კანონზომიერებების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის, სპეციალიზაციის ბუნებრივი ზონების შესწავლა და იმ მოვლენების ანალიზი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დღეს არსებული საწარმოო ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

რიგ შემთხვევაში საჭიროა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესწავლა განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა დავინახოთ ყველა პოზიტიური და ნეგატიური ტენდენციები, რომელიც ახასიათებს წარმოების კაპიტალისტურ, სოციალისტურ და განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობას.

„მსოფლიოს სოფლის მეურნეობას“ აქვს თავისი ამოცანები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს მსოფლიოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო წარმოების შესწავლას, მკითხველს მიაწოდოს საჭირო მასალა თითოეული ქვეყნის ფართობის, მოსახლეობის რაოდენობის, კლიმატური პირობების, ნიადაგობრივი და მცენარეული საფარის შესახებ; აჩვენოს უმნიშვნელოვანესი სახეობის სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებები, ნიადაგებისა და სავარგულების სტრუქტურები, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობები და სხვ.

ყოველივე ეს უნდა წარმოაჩინოს არა მარტო მოვლენებისა და ფაქტების აღწერით, არამედ თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური პროცესებისა და მოვლენების ღრმა ანალიზით, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური კანონზომიერებების გათვალისწინებით.

საგნის შესწავლა ეყრდნობა ეკონომიკურ მეცნიერებაში მიღებულ ცნობილ მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა მეშვეობით წარმოებს სტატისტიკური მასალების ჰოპოვება და დამუშავება. სპეციფიკური საკითხების გაშუქებისას ფართოდაა გამოყენებული აგრეთვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში არსებული გამოცდილებანი.

I თავი

მსოფლიოს სოფლის მეურნეობა

(ზოგადი მიმოხილვა)

ა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ევოლუცია

მიუხედავად ტექნიკური რევოლუციისა, რომელმაც განვითარებულ ქვეყნებში ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან გარდაქმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შინაარსი, დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაინც დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიომ დაკარგა ის საწარმოო ერთგვაროვნება, რომელიც ახასიათებდა მე-18 და მე-19 საუკუნეებს. ამის მიზეზი გახლდათ მრეწველობის ახალი დარგების განვითარება, რომლებიც მოითხოვდნენ დიდი რაოდენობით შრომით რესურსებს. წარმოების განვითარების ყველა ეტაპზე მეურნეობის სხვა დარგებისათვის შრომითი რესურსების შევსების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა სოფლის მოსახლეობა. ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ დღეისათვის მეტნაკლებად განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომელიც დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, 25%-მდე შემცირდა, ხოლო ევროპისა და ამერიკის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 5—10%-ია.

სხვა მდგომარეობაა განვითარებად ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის არა მარტო 50%, არამედ ზოგიერთ ქვეყანაში 3/5-ია დაკავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებიდან სოფლის მოსახლეობის ქალაქად მიგრაციის დინამიკა ყოველწლიურად იზრდება, მაგრამ იმდენად მაღალია მშობიარობა, რომ მიგრაციის პროცენტი სოფლად დასაქმებულთა საერთო რაოდენობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს. სოფლის მოსახლეობის ქალაქისაკენ მიგრაციას უმთავრესად სოციალური საფუძველი აქვს, კერძოდ, სოფლის საერთო განვითარების დაბალი დონე, არასრულ-

ყოფილი სამედიცინო მომსახურება, პრიმიტიული საყოფაცხოვრებო პირობები, ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც უმთავრესად ხელით შრომას ემყარება და სხვ. 1940 წ. აფრიკის მოსახლეობის 76% დაკავებული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. დღეისათვის ეს მაჩვენებელი 62%-მდე შემცირდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნებში, რომლებიც უკვე დაადგნენ თავისუფალი განვითარების გზას, სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ გაბატონებულ მდგომარეობაშია და ალბათ ეს პროცესი კიდევ დიდხანს იქნება შენარჩუნებული.

რამ გამოიწვია მოწინავე სამრეწველო ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა რიცხვის მკვეთრი შემცირება? ზოგადი პასუხი ასეთია: შრომის ნაყოფიერების განუხრელმა ზრდამ, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების კომპლექსური მექანიზაცია. აღნიშნულ ქვეყნებში მძლავრი განვითარება ჰპოვა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობამ, შეიქმნა კომპლექსური მექანიზაციის წანამძღვრები, ყოველივე ამან მკვეთრად შეამცირა მოთხოვნილება ცოცხალ შრომაზე და მისი ადგილი დაიკავა წარსულმა ანუ გაინივთებულმა შრომამ. მაგალითად, 1 ტონა ბრინჯის წარმოებაზე ისეთ ტრადიციულად მწარმოებელ ქვეყნებში, როგორიცაა: ინდოეთი, ტაილანდი, ბირმა, ფილიპინები, 20—30-ჯერ მეტი ცოცხალი შრომა იხარჯება, ვიდრე აშშ-ში, იტალიაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, რადგან ტრადიციულ ქვეყნებში ბრინჯის მოვლა-მოყვანას ჯერ კიდევ არა აქვს ინდუსტრიული საფუძველი და იგი მხოლოდ ხელით შრომას ემყარება.

თუ რას გვაძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდა და ინდუსტრიული შრომის დამკვიდრება სოფლის მეურნეობაში, ნათლად ჩანს ნიდერლანდისა და დანიის სახელმწიფოების მაგალითზე, სადაც ერთი ფერმერი—მეცხოველე აწარმოებს იმდენ პროდუქციას, რამდენიც გამოკვებავს 120—130 კაცს, მაშინ როდესაც განვითარებად ქვეყნებში საშუალო დონის ფერმერი თავისი ოჯახის მოთხოვნილებებსაც ძლივს აკმაყოფილებს. აქვე საჭიროა დავძინოთ, რომ წარმოებისათვის ბუნებრივი პირობები ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში გაცილებით უკეთესია, ვიდრე ნიდერლანდში, ან დანიაში. სწორედ ინდუსტრიული შრომის შედეგად გახდა დღეისათვის ეს პატარა ქვეყნები მსოფლიოში მეცხოველეობის პროდუქტების ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ექსპორტიორები.

მეცხოველეობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი ინდუსტრიის განვითარება. აღნიშნული ქვეყნები აქაც პირვე-

ლობენ. ისინი მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების ექსპორტიორებიც გახდნენ მსოფლიო მასშტაბით. ამრიგად, მეცხოველეობის დარგის განვითარებამ განაპირობა გადამამუშავებელი ინდუსტრიის იმ დონემდე განვითარება, რომ აღნიშნული ქვეყნები ამ პროდუქციითაც მსოფლიო ბაზარზე გავიდნენ. დანია, რომლის მოსახლეობა 5 მლნ. კაცზე ცოტათი მეტია, დღეისათვის აწარმოებს 80—100 მლნ. კაცისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მის გადამუშავებაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 12%.

სოფლის მეურნეობაში შრომითი რესურსების შემცირების მეორე მიზეზია წარმოების ინფრასტრუქტურის შეცვლა, კერძოდ ის, რომ სოფლის მეურნეობას ჩამოსცილდა ზოგიერთი ისეთი დარგი, რომელიც ადრე მის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა ან მას უწევდა მომსახურებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოფლის მეურნეობა შაგრენის ტყავივით მცირდებოდა წარმოების ინდუსტრიალიზაციისა და ახალი დარგების ჩამოყალიბების კვალობაზე. თუ ადრე საფეიქრო წარმოება სოფლის მეურნეობის განუყოფელი ნაწილი იყო, დღეს იგი ცალკე დარგია.

შუასაუკუნეების ევროპაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაანადგურებული იყო გლეხის ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არა მარტო კვების პროდუქტებით, არამედ ჩაცმა-დახურვითაც. თითოეული გლეხური ოჯახი თვითონ ამზადებდა თავისთვის კარაქს, ყველს, მარცვლეულს, მატყლს, ქსოვდა ბამბისა და შალის ნაწარმს, იკერავდა ტანსაცმელს და ა. შ. დღეისათვის კი სოფლის მცხოვრები, ქალაქის მაცხოვრებლის მსგავსად, თვითონაც ყიდულობს გამომცხვარ პურს, კარაქს, ყველს და ა. შ. იძენს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიერ დამზადებულ ნივთებს, ტანსაცმელს. იგი მხოლოდ ნედლეულის უშუალო მიმწოდებელი გახდა გადამამუშავებელი საწარმოებისათვის. შესაბამისად შემცირდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობაც. ყოველივე ამას ხელი შეუწყო განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის მაღალმა ტემპმა, კერძოდ, სარკინიგზო, საავტომობილო და სხვა სახის გადაზიდვებმა, შრომის დანაწილებამ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მასშტაბით და ბევრმა სხვა ფაქტორებმაც. ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში (დიდი ბრიტანეთი) სოფლის მოსახლეობის შემცირება სხვა მიზეზითაც არის განპირობებული. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტით სხვა ქვეყნებიდან (ადრე

კოლონიური, დღეისათვის განვითარებადი). როგორც წესი, განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო შრომა გაცილებით ნაკლებანაზღაურებადია და ამდენად პროდუქციის წარმოებაც ვაცილებით იაფია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

ყოველივე ზემონათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ინდუსტრიულმა ქვეყნებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოება მეორეხარისხოვან საქმედ აქციეს. პირიქით, სამრეწველო განვითარებამ დააჩქარა შრომის ნაყოფიერების ზრდა, შეიქმნა ყველა პირობა იმისათვის, რომ მივიღოთ რაც შეიძლება მეტი პროდუქცია ნაკლები შრომითი დანახარჯებით, ინდუსტრიალიზაციამ აუცილებელ მინიმუმამდე შეამცირა ცოცხალი შრომის ხვედრითი წილიც. აგრარულ სექტორში წარმოება თვისობრივად ახალ, უფრო მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ სიმაღლემდე ავიდა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები დღესაც რჩებიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილ მწარმოებლებად და ექსპორტიორებად.

საჭიროა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში მიმდინარეობს წვრილი ფერმერული მეურნეობების ლიკვიდაციის ხარჯზე, რომლებიც ვერ უძლებენ მსხვილი მეურნეობების კონკურენციას. ცხადია, მცირემიწიანი მეურნეობების შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს ტექნიკის შეძენის ხარჯებს და წყვეტენ არსებობას. ისინი უერთდებიან სხვა ეკონომიკურად უფრო მძლავრ მეურნეობებს, ან თავად ქმნიან, ინტერესების მიხედვით, კოოპერაციულ გაერთიანებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ქმედითუნარიანობას. ეს პროცესები ობიექტურია და მას არ შეიძლება მოჰყვეს წვრილ ფერმერთა გაღატაკება ან გაჩანაგება.

ბ. მიწის ფონდები

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის საფუძველია მიწის ფონდები, რომელიც წარმოადგენს წარმოების ყველაზე მთავარ და შეუცვლელ საშუალებას. როგორც ამბობენ: „შრომა სიმდიდრის მამაა, მიწა კი დედა“. მიწის ფონდების სტრუქტურა და პროდუქტიულობა ყოველთვის ურთიერთ მჭიდრო კავშირშია და განაპირობებენ ერთმანეთს.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობაში მიწა ადამიანის მიერ გამოიყენება სხვადასხვანაირად. ამიტომ მნიშვნელოვანია მიწის სწორი კლასიფიკაცია, ანუ საერთო მიწის ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყოფა. თვითონ სიტყვა „სავარგული“ მიუთითებს პროდუქტიული მიწის დანიშნულებაზე ე. ი. საკითხი ეხება იმას,

თუ რისთვის არის მიზანშეწონილი მიწის ამა თუ იმ ნაკვეთის ვამოყენება—სახნავად, სათიბად თუ საძოვრად და ა. შ.

ყველა ქვეყანაში მიღებულია მიწის ფონდების სასურველი კლასიფიკაცია, რომელიც ყოველთვის არ ემთხვევა სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც განპირობებულია თითოეული ქვეყნის ბუნებრივი პირობებით და მათი მოთხოვნილებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (მის სახეობაზე). მაგალითად, რუსეთში ძველი დროიდანვე მიღებული იყო მიწის შემდეგი კლასიფიკაცია: სახნავი, ნასვენი, სათიბი, საძოვარი, ნარგავი. მსოფლიოში დღეს არსებულ მიწის ფონდის კლასიფიკაციას დაემატა აგრეთვე „გაუმჯობესებული მუდმივი საძოვრები", რაც გულისხმობს კულტურულ საძოვრებს, რომელსაც თესავს ადამიანი და ეარკვეული აგროტექნიკით ამუშავებს კიდევაც. ასეთმა სავარგულებმა ფართო გამოყენება ჰპოვეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში და ახალ ზელანდიაში, სადაც კულტურული საძოვრების ფართობი 15-ჯერ აღემატება ნათესი ფართობების საერთო რაოდენობას. ასეთმა მიდგომამ საშუალება მისცა ქვეყანას იყოს მატყლისა და მეცხოველეობის პროდუქტების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი მსოფლიოში.

დედამიწაზე (ანტარქტიდის გამოკლებით) ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ხმელეთის 1/3, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში 5,5 მილიარდ ჰა-ს შეადგენს. აღნიშნული ფართობიდან დამუშავებულ მიწებზე მოდის 1,5 მილიარდი ჰა, აქედან სახნავს უჭირავს 1 მილიარდი ჰა, მრავალწლიან ნარგავებს—0,4 მილიარდი ჰა.

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები მიახლოებითია, ვინაიდან მსოფლიოში ჯერ კიდევ არ არსებობს მიწის ფონდების აღრიცხვის სრულყოფილი სტატისტიკა, ხოლო რიგ ქვეყნებში საერთოდ არ არის ასეთი აღრიცხვა. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ აფრიკა-აზიის უმრავლეს ქვეყნებში წარმოებას პრიმიტიული ხასიათი აქვს, რაც ნაკლებრაყოფიერი მიწების მიტოვებასა და ახალი ფართობების ათვისებაში მდგომარეობს. ეს პროცესი დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის მონაცვლეობასთან, რაც ფაქტიურად მომთაბარე მიწათმოქმედებას ნიშნავს. ასეთ პირობებში ძნელია განსაზღვრო და აღრიცხო ის მიწა, რომელიც მუდმივ (ან ხანგრძლივ) ექსპლუატაციაშია, ან რომელსაც სამუდამოდ ტოვებენ.

ანდა მეორე მაგალითი, ტყეებით მდიდარ ქვეყნებში, პირუტყეს ხშირად აძოვებენ ტყის მასივებში არსებულ მინდვრებსა და მდელოებზე, რაც როგორც სავარგული, უმრავლეს შემთხვევაში აღრიცხული არ არის.

ევროპაში სახნავი გაცილებით მეტია ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ეს იმის შედეგია, რომ ევროპა კულტურული მიწათმოქმედების ტრადიციული ქვეყანაა, იგი მცირემიწიანი რეგიონია, მიწით უზრუნველყოფა—0,43 ჰა-ს უდრის. გარდა ამისა, მოსახლეობაც მჭიდროდაა დასახლებული და რაც მთავარია არსებობს რაციონალური მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

აზიაში, მიუხედავად იმისა, რომ სახნავის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია, შეიმჩნევა კონტრასტები. მაგალითად, აღმოსავლეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთის რეგიონებში არსებობს უძველესი მიწათმოქმედების ქვეყნები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალური აზიის ნახევრად უდაბნო რეგიონებში მიწათმოქმედება მხოლოდ ცალკეულ ადგილებში არის შესაძლებელი. აზიაში არის ქვეყნები სადაც დამუშავებული მიწების ოდენობა უკვე ზღვრულ შესაძლებლობამდეა მისული. მაგალითად, ბანგლადეშში იგი 60%-ზე მეტია, ხოლო ზოგ რეგიონში 80%-მდეც აღწევს.

დამუშავებული მიწები, რეგიონების მიხედვით (1980 წ.)

რეგიონები	მლნ. ჰა	რეგიონის ტერიტორიასთან შედარებით, %	დამუშავებული მიწები მსოფლიოში, %
ევროპა (ყოფილი სსრკ-ის გარეშე)	143	29,0	9,7
სსრკ (ყოფილი)	232	10,4	15,7
ჩრდ. ამერიკა	235	12,2	16,0
ლათ. ამერიკა	128	6,2	8,7
აზია (სსრკ და ჩინეთის გარეშე)	351	19,6	23,8
ჩინეთი	127	13,2	8,6
აფრიკა	211	7,0	14,3
ავსტრალია-ოკეანია	46	5,8	3,2
სულ მსოფლიოში	1473	—	100,0

საშუალო ციფრობრივი მაჩვენებლები ყოფილ სსრ კავშირსა და ჩრდ. ამერიკაში თითქმის იდენტურია, მოსახლეობის სიმჭიდროვეც ერთნაირია (5 კაცი 1 კვ. კმ.), დამუშავებული მიწების რაოდენობა კი მერყეობს ლანდშაფტისა და ზონების მიხედვით და იგი ერთნაირად იზრდება სამხრეთისაკენ, მაგ., ჩრდილოეთის ტყის მასივების ზონაში სახნავი 6%-მდეა, შავმიწანიადაგიან ზონაში იგი 35—40%-ს აღწევს, სამხრეთით კი სახნავის ხვედრითი წილი გვალვიანობის პროპორციულად მცირდება.

ამ კონტექსტში შესაძლებელია ლათინური ამერიკის და აფრიკის ერთად განხილვაც: აღნიშნულ რეგიონებში, ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მოსახლეობა არათანაბრადაა დასახლებული. გვხვდება ცალკეული რეგიონები, სადაც სახნავი მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი, არის პირიქითაც. ყოველივე ეს ნათლად ჩანს სამხ. ამერიკის მაგალითზე, სადაც მსხვილი მარცვალმწარმოებელი რეგიონები მოსაზღვრეობენ ერთი მხრივ ტექნიკური კულტურების ზონასთან, ხოლო მეორე მხრივ—დაუსახელებელ, გიგანტურ ეკვატორულ ტყის მასივებთან, მდინარე ამაზონკის აუზში. აფრიკაში კი პირიქით, მიწათმოქმედება განვითარებულია არა ტენიან რეგიონებში, არამედ უშუალოდ გვალვიან რაიონებში, კერძოდ,—საპარის უზარმაზარი უდაბნოს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში. მსოფლიო მატერიკებს შორის სახნავი ყველაზე ნაკლებია ავსტრალიაში, რაც აიხსნება მშრალი კლიმატით და წყლის დეფიციტით.

ავსტრალიაში თუნდაც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მდინარეც კი არ არსებობს, მიწათმოქმედება ძირითადად იკვებება გრუნტის წყლებით. გარდა ამისა, ავსტრალიის სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურაზე გავლენა მოახდინა იმანაც, რომ მისი ათვისება მოხდა შედარებით გვიან. იგი საკმაოდ დიდი მანძილით არის დაცილებული ევროპას, მოსახლეობის რაოდენობაც დიდი არ არის. ამის შედეგია ის, რომ უზარმაზარი კონტინენტი მოსახლეობის სიმჭიდროვით თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზეა. თავიდანვე, ავსტრალიაში ინტენსიური მიწათმოქმედება დაიწყო იმ რაიონებში, რომლებიც ათვისებული იყო სახნავად, რაც შეეხება საირიგაციო ნაგებობებს, მათი მშენებლობა ჩვენი საუკუნის 20—30-იანი წლებიდან დაიწყო და საკმაოდ წარმატებითაც.

საერთოდ, ხელოვნურმა მორწყვამ უდიდესი როლი შეასრულა მიწათმოქმედების განვითარებაში. განსაკუთრებით ეფექტიანია იგი გვალვიან ზონაში, სადაც მზის ენერგიის უდიდესი რაოდენობაა (ამ შემთხვევაში მორწყვა მაღალ საწარმოო ეფექტს იძლევა). მსოფლიოში მიწათმოქმედებისათვის გამოყენებული ფართობის 15% სარწყავია, რომელზეც იწარმოება მსოფლიოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 50%, ეს ფაქტი ნათლად მიუთითებს მელიორაციის ეკონომიკური გამოყენების უდიდეს შესაძლებლობებზე.

რაც შეეხება საკვებ კულტურებს, მათ წილად მოდის მსოფლიოში ათვისებული ფართობის 22%, (ავსტრალიაში 50%); საპირისპირო მდგომარეობაა აზიაში, სადაც საკვებ კულტურებს 10% უჭირავს,

ხოლო მათ შორის საფურაჟე კულტურებს მხოლოდ—2—3%, რაც იწვევს ამ რეგიონებში მეცხოველეობის განვითარების შეფერხებას.

საკვები კულტურების ხვედრითი წილი მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში შემდეგ სურათს იძლევა: აფრიკაში—26%, ევროპაში—18%, ლათინურ ამერიკაში—21%, ჩრდ. ამერიკაში—19%, ყოფილ სსრკ-ში—20% და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ აფრიკასა და ლათ. ამერიკაში უფრო მეტი საძოვრებია, ვიდრე აზიაში, მათი საკვები ბაზა თითქმის თანაბარია. ორივე რეგიონში საუკეთესო საძოვრები მშრალ კლიმატურ ზონაში მდებარეობს, რაც შეეხება ტენიან ტროპიკებს, აქ სუფთა ბალახოვანი მასივები ნაკლებია (ბალახი იზრდება მხოლოდ წვიმიანობის პერიოდში და ამდენად მას არა აქვს მუდმივი ხასიათი—იგი მალე უხეშდება, კარგავს კვებით თვისებებს და გამოუყენებელი ხდება პირუტყვისათვის, ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ტროპიკული ზონის მიწები აზოტით ღარიბია, რაც აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს საკვები კულტურების ყუათიანობაზე).

უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი საძოვრების ბაზაზე განვითარებული მეცხოველეობა ნაკლებპროდუქტიულია. ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით აქ წარმოებას არ აქვს ინდუსტრიული ხასიათი, არ იყენებენ კომბინირებულ, სამრეწველო წესით დამუშავებულ საკვებს, სწორედ ამიტომ ევროპული ბაგური კვების მეცხოველეობისაგან განსხვავებით, აზია-აფრიკის რეგიონებში ძირითადად განვითარებულია მომთაბარე მეცხოველეობა. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში საფურაჟე მარცვლეულს უჭირავს სახნავის დაახლოებით 75%. გარდა აღნიშნულისა ჩრდ. ევროპის ქვეყნებში საძოვრები თითქმის გათანაბრებულია სახნავთან, ვინაიდან მასზედაც ითესება საკვები კულტურები და ხდება მათი აგროწესებით დამუშავება, ამის შედეგია ის, რომ აღნიშნულ ქვეყნებში კულტურული საძოვრების ერთი ჰექტარი ინახავს 25 სულ ცხვარს, ხოლო აზია-აფრიკის ქვეყნებში ამ რაოდენობის ცხვრის ძოვებისათვის საჭიროა ათჯერ უფრო მეტი ფართობი.

თუმცა, ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ჩრდ. ამერიკა (აშშ, კანადა), ზოგ შემთხვევაში შენარჩუნებულია ექსტენსიური ტიპის მეცხოველეობაც, ვინაიდან ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა ბუნებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. ძირითადად, კი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, მეცხოველეობა ემყარება სახნავის კატეგორიის მიწებს, რომელზეც

თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენებით მოჰყავთ საკვები კულტურები, რაც ეკონომიკური თვალსაზრისითაც გამართლებულია.

3. მიწის რესურსები და მიწათსარგებლობის თანამედროვე პრობლემები

მიწა წარმოადგენს სივრცობრივ ბაზისს ყველა სახის საზოგადოებრივი საქმიანობისათვის და ძირითად საშუალებას ეკონომიკის მთელი რიგი დარგებისათვის, პირველ რიგში კი სოფლის მეურნეობისათვის.

მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, ხასიათდება სპეციფიკური თავისებურებებით, რითაც იგი განსხვავდება წარმოების სხვა საშუალებებისაგან. უპირველესად, მიწა არის ბუნების პროდუქტი და მისი როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, წარმოების სხვა საშუალებით შეცვლა, შეუძლებელია. ნაყოფიერების მიხედვით მიწა არ არის ერთგვაროვანი, წარმოადგენს რა წარმოების მუდმივ საშუალებას, მიწის ნაყოფიერება მისი ექსპლუატაციის ხასიათისა და ხარისხის შედეგად იცვლება, იგი ან უმჯობესდება, ან პირიქით, კარგავს თავის თვისებებს.

სწორედ ნაყოფიერების თვისებამ განსაზღვრა მისი განსაკუთრებული როლი საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებაში, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ადამიანი და მიწა ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება დედამიწაზე ცხოვრებისა და პროგრესის გადამწყვეტი ფაქტორი.

ყველა საზოგადოებრივ ფორმაციას ახასიათებს მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის მისთვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებიც განსაზღვრავენ მიწის რესურსების გამოყენების ხასიათსა და ეფექტიანობას. იგი ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. ამასთან ერთად, მიწის რესურსების სარგებლობის მთელი რიგი ასპექტები საერთოა მსოფლიოს ყველა ხალხებისათვის, რაც უპირველესად მისი რესურსების დაცვაა სხვადასხვა ბუნებრივი პროცესებისაგან.

მიწის რესურსებით სარგებლობის მსოფლიოში მიღებული პრინციპებია: პროდუქტიული მიწების ინტენსიური გამოყენება, მიწათსარგებლობის ბრუნვაში დამატებითი ფართობების ჩართვა, დამუშავებული ფართობების დაცვა და ზრუნვა მათი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და ამაღლებისათვის. მიწის რესურსების ეკონომიკური და რაციონალური გამოყენება, მისი დაცვა და ნაყოფიერების შენარჩუნება, თანამედროვე მსოფლიოს მოსახლეობის უპირველესი ზრუნვის საგანია. ყოველივე ზემონათქვამი ძირითადად განსაზღვრავს საწარმოო ძალე-

ბის განვითარებაში მიწის განსაკუთრებულ როლსა და აღგილს. მიწის რესურსების შეზღუდულობა და შეუცვლელობა, მოსახლეობის რაოდენობის განუხრელი ზრდის მასშტაბების გათვალისწინებით, აუცილებელს ხდის მის ეფექტიანად გამოყენებას მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მიწა ამავე დროს ბიოსფეროს მთავარი ელემენტია, რომელიც შრომის საყოველთაო საშუალებაა და წარმოადგენს სივრცობრივ ბაზისს ყველა საწარმოო ძალების ფუნქციონირებისათვის. ამიტომ მისი გამოყენება და ექსპლუატაცია უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერულ საფუძველს, ხოლო მისი მოვლა-გამოყენებისათვის ზრუნვა მთელი კაცობრიობის ვალია.

მიწის მსოფლიო რესურსების თანამედროვე მდგომარეობა და განაწილება შემდეგ სურათს იძლევა: ხმელეთის ფართობი (ანტარქტიდის გამოკლებით), რომელსაც პრაქტიკულად იყენებს კაცობრიობა, შეადგენს 13.392 მლნ ჰა-ს, ანუ დედამიწის საერთო მოცულობის 26,2%-ს.

მიწები, რომელზედაც ადამიანები აწარმოებენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, ანუ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები—სახნავი, სათიბ-საძოვრები, ბაღები, პლანტაციები შეადგენენ პლანეტის მიწის ფართობის 8,9%, დანარჩენი უკავია ტყეებს, დასახლებულ პუნქტებს, ჭაობებს, უდაბნოებს, ხრამებს და ა. შ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაზრისით, ისინი წარმოადგენენ ნაკლებპროდუქტიულს ან სრულიად უნაყოფოს.

დღეისათვის, მსოფლიოში დამუშავებულია მიწის საერთო რესურსების მხოლოდ 10,8%. აქედან, საძოვრებისა და სათიბების წილად მოდის 23,2%. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა საერთო რაოდენობა ჯამში (სახნავი და საძოვარ-სათიბები) 34% შეადგენს.

მსოფლიოში დამუშავებული მიწის ფართობის 60% მოდის ევროპასა და აზიაზე. მოსახლეობის ზრდის ტენდენცია და აქედან გამომდინარე მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლის შემცირება აუცილებელს ხდის ახალი მიწების ათვისებას. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ასლად ათვისებული მიწების რაოდენობამ შეადგინა 360 მლნ. ჰა. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალში საცემია სამხრეთ ამერიკასა და აზიაში.

დამუშავებული მიწის ფართობების საკმაოდ დიდი რაოდენობა ტაიგიან ზონაშია, რაც იწვევს მათი მორწყვის აუცილებლობას. მე-

19 საუკუნის დასაწყისისათვის სარწყავი მიწათმოქმედება წარმოდგენილი იყო 8 მლნ. ჰა, XX საუკუნის დასაწყისისათვის 40 მლნ. ჰა-ზე, ხოლო დღეისათვის იგი—220—240 მლნ. ჰა უდრის.

ამრიგად, მსოფლიოში ირწყვება სახნავი ფართობის მხოლოდ 15,2%. სწორედ ეს მიწებია სტაბილური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ბაზა, რომლებიც აღარ განიცდიან ბუნებრივი და კლიმატური პირობების მავნეობას და იძლევიან მყარ პროდუქციას.

ბოლო 20 წლის განმავლობაში (1965—1985 წწ.) სარწყავი მიწების ფართობი 27 მლნ. ჰა-თი გაიზარდა. ეს პროცესები დამახასიათებელია ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებისათვის. წინასწარი პროგნოზებით პერსპექტივაში სარწყავი მიწათმოქმედებისათვის ფართობი მსოფლიოში ერთიორად გაიზრდება, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობას 40—45%-ით გაზრდის.

ამასთან ერთად, როდესაც ვიხილავთ მსოფლიოს მიწის რესურსების სტრუქტურის საკითხს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიწის სავარგულების რაოდენობა მსოფლიო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 1,15 ჰა-დან შემცირდა 1,03 ჰა-მდე. ეს პროცესი ინტენსიურად გრძელდება და ვარაუდობენ, რომ 21-ე საუკუნის შუა პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი 0,65—0,70 ჰა-მდე შემცირდება.

მიწით ყველაზე ნაკლებუზრუნველყოფილი რეგიონებია ევროპისა და აზიის ქვეყნები, მაგრამ ეს მაჩვენებლები შეფარდებითია, ეინაიდან შეიძლება ამა თუ იმ რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მაღალი იყოს, მაგრამ აღნიშნული მიწების პროდუქტიულობა იმდენად დაბალი, რომ ნაყოფიერების თვალსაზრისით მათი გამოყენების კოეფიციენტი რამდენჯერმე ჩამორჩებოდეს სხვა ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებს. მაგალითად, რუსეთი ერთ სულზე გაანგარიშებით, მიწით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მსოფლიოში მესამე ადგილზეა, ხოლო ნაყოფიერების მხრივ—23-ე ადგილზე. ნიდერლანდში მიწით უზრუნველყოფის პროცენტი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია, ხოლო ნაყოფიერების მხრივ ეს ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ზემოთქმული იმაზე მიგვანიშნებს, რომ საჭიროა მიწების რაციონალური გამოყენება და მუდმივი ზრუნვა მათი ნაყოფიერების შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის, ეს არის საკაცობრიო მისია, რომლის შესრულება აკისრია მსოფლიოს ყველა ქვეყანას, პლანეტის ყველა მცხოვრებს.

	საერთო ფართობი, ნაკ. ha.	% საერთო ფართობთან		
		მიწის ფონდთან	ხელფასთან	ბალანსის ნაკლებ ნაწილთან
მიწის ფონდები მთლიანად				
პროდუქტიული მიწები	13392	100,0	89,9	26,2
მ. შ. სასოფლო-სამეურნეო მიწები, ადგილებ:	8570	64,0	57,5	16,[illegible]
სახნავი — — — — — —	4559	34,0	30,6	8,9
	1356	10,1	9,1	2,6
ბაღები და პლანტაციები	113	0,7	0,6	0,2
სათიბები და საძოვრები	3110	23,2	20,0	6,1
ტყეები და ბუჩქნარები	4011	30,0	26,9	7,9
საკულტივირებელი მიწები	2816	21,0	18,9	5,5
	440	3,2	3,0	0,9
ზღვა, მდინარეები, წყალსაცავები	317	2,4	2,1	0,6
ტუნდრა, ტყე-ტუნდრა	734	5,5	4,9	1,4
ჭაობები — — — — —	400	3,0	2,7	0,[illegible]
უდაბნოები — — — — —	925	6,9	6,2	1,[illegible]
არაპროდუქტიული მიწები ——	450	3,4	3,0	0,9
ქალაქები, და სხვანი	378	2,8	2,5	0,7
[illegible]	1178	8,8	7,9	2,3
ანტარქტიდა — — — — — —	1523	—	10,2	3,0
�ელეთი სულ	14915	—	100	29,2
[illegible]	36915	—	—	70,8
[illegible]	51020	—	—	100,0

დ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ტენდენციები მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში

მეცნიერულ მიღწევებისა და ტექნიკური პროგრესის მიხედვით ნათლად ჩანს ადამიანის სულ უფრო მზარდი ზემოქმედება ბუნებაზე. თუ ამას განვიხილავთ, როგორც ადამიანის შესაძლებლობების ზრდას, იმოქმედოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფაზე, მაშინ ეს უდავო ფაქტია, რადგან მეცნიერული პროგრესი, თითქოს აღარ სდის სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე დაწოკიდებულს. მიუხედავად გარეგნული ლოგიკურობისა, სინამდვილეში ეს ასე არ არის. პირიქით, ბუნებრივი პირობების გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაადგილებასა და სპეციალიზაციაზე, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესთან ერთად, უფრო ძლიერდება. ვინაიდან, ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაზე ბუნებრივი პირობების ცვალებადობა ძალიან დიდ გავლენას ახდენს.

მაგალითად, შუა საუკუნეების ნატურალური მეურნეობა ძირითადად გაანგარიშებული იყო ეკონომიკურ გლეხის ოჯახის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის და ამდენად წარმოადგენდა იგი მრავალდარგოვანს. გლეხი აწარმოებდა მარცვლეულს, მეცხოველეობის პროდუქტებს, სხვადასხვა სახის ნედლეულს საყოფაცხოვრებო-სამრეწველო გადამუშავებისათვის და ა. შ. ყოველივე ეს იწვევდა შრომის პრიმიტიულ დანაწილებას მოცემული ოჯახის შიგნით. დაახლოებით ასეთივე სურათია შემორჩენილი დღემდე მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებში, სადაც გლეხები დღესაც ცდილობენ, რომ სურსათის წარმოების მხრივ მაინც იყვნენ დაზღვეულნი საბაზრო სტიქიურობისაგან, და ამიტომ აწარმოებენ უმთავრესად თავიანთი ოჯახებისათვის საჭირო პროდუქტებს.

მაგალითად, ინდოეთის ზოგიერთ შტატში შაქრის ჭარხალი, რომელიც გადის მოცემული რეგიონის გარეთ, როგორც სასაქონლო პროდუქცია და წარმოადგენს ფულადი შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს, წარმოდგენილია დამუშავებული მიწების მხოლოდ 1,5—2%-ზე: დანარჩენი ფართობი უჭირავს ისეთი პროდუქციის წარმოებას, რომელსაც ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს (მარცვლეული, მებოსტნეობა და ა. შ.).

იმისათვის, რომ თანამედროვე მეურნეობებმა განახორციელონ საწორი სპეციალიზაცია, მათ უნდა ჰქონდეთ გამოკვეთილი სასაქონლო სახე, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან საბაზრო მოთხოვნილებებზე და კავშირებზე, რაც თავის მხრივ გულისხმობს აგრეთვე პროდუქციის ხელსაყრელ ფასებში ტრანსპორტირებას. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მაღალია სატრანსპორტო ხარჯები, მით უფრო იზრდება საწარმოო დანახარჯები იმ რაიონებისათვის, რომლებიც ტრანსპორტით ნაკლებუზრუნველყოფილნი არიან, ხოლო კარგად უზრუნველყოფილ რაიონებში—პირიქით, იქმნება უკეთესი პირობები ამათუ იმ კულტურის განვითარებისათვის, დარგების რაციონალური შეთანაწყობისათვის. აღსანიშნავია, ისიც, რომ სატრანსპორტო ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს სარეალიზაციო დროზეც, განსაკუთრებით, როდესაც საკითხი ეხება მალფუჭად პროდუქტებს. დროის ფაქტორის გავლენა ნათლად ჩანს ე. წ. საკარეუბნო (ქალაქებთან) სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პირობებში, როდესაც ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა დაახლოებით ერთნაირია სრულიად განსხვავებულ გეოგრაფიულ პირობებშიც კი. საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ორიენტაცია, როგორც წესი, უმრავლეს ქვეყნებში ერთნაირია, სახელდობრ: აწარმოებენ მალფუჭად, ნაკლებტრანსპორტაბელურ-

პროდუქტებს (ხილი, ბოსტნეული, რძე, რძის პროდუქტები, ყვავილები და ა. შ.). მაგალითად, ნიდერლანდებში მეცხოველეობის განვითარება, რომელსაც ინდუსტრიული საფუძველი გააჩნია, განაპირობა დიდი ქალაქების არსებობამ, როგორც პროდუქციის სწრაფი გასაღების ბაზარმა. იგივე ითქმის ამავე ქვეყნებში მეყვავილეობაზეც, რომელიც ასევე ინდუსტრიულ საფუძველზეა და ერთ-ერთ ორგანიზებულ და მაღალრენტაბელურ დარგს წარმოადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აღნიშნულ ქვეყნებში ინტენსიური სოფლის მეურნეობა მცირემიწიანობამაც განაპირობა. სწორედ ამიტომაა აქ რაციონალურად გამოყენებული მიწის ყოველი მტკაველი. ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებული სურათია არგენტინაში, რომლის ბუნებრივი პირობები იძლევა ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებას, მაგრამ ამას ხელს უშლის წარმოებული პროდუქციის დიდი მანძილით დაშორება გასაღების ცენტრებიდან. ამიტომ ეკონომიკურად უფრო გამართლებულია არა პროდუქციის ჭარბწარმოება, რომელიც თან სდევს ინტენსიურ წარმოებას, არამედ მათი წარმოება ოპტიმალური ოდენობით, რასაც წარმოების ექსტენსიურ პირობებშიც აღწევენ, შედარებით ნაკლები დანახარჯებით.

გაღრმავებული სპეციალიზაციის პროცესიც კი, განვითარებულ ქვეყნებში იწვევს მონოკულტურების დამკვიდრებას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ მონოკულტურაზე დასპეციალიზებული მეურნეობების შექმნას (ჩაი, კაუჩუკი და ზოგიერთი სხვა კულტურები წარმოადგენენ ეამონაკლისებს). მეურნეობათა დიდი უმრავლესობა მრავალპროფილიანია. ამ მოვლენას აქვს თავისი ახსნა: დღეისათვის, მაღალგანვითარებული ქვეყნები თესლბრუნვებს ნაკლებად იყენებენ, ვინაიდან ნიადაგების განოყიერების სხვა საშუალებები გააჩნიათ (მინერალური სასუქების სახით), მაგრამ მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში, სადაც ხელოვნური განოყიერების საშუალება არ არის, თესლბრუნვები ჯერ კიდევ რჩება იმის პირობად, რომ აღდგეს ნიადაგის კვებითი ბალანსი და სტრუქტურა. თესლბრუნვების აუცილებლობა იმითაცაა გამოწვეული, რომ ფესვთა სისტემის დაავადების მკურნალობა ქიმიური საშუალებებით ნაკლებეფექტიანია, ამიტომ ნიადაგის გაჯანსაღებისათვის ისევ და ისევ იყენებენ კულტურათა მორიგეობას. ამ ღონისძიებების გატარება კი შესაძლებელია მხოლოდ მრავალპროფილიანობის პირობებში. მაგალითად, იმისათვის, რომ მოისპოს ბამბის ნათესების

ფესვთა სისტემის დაავადება, საჭიროა მორიგეობით იმავე ნაკვეთებზე იონჯის კულტურის დათესვა. შემუშავებულია თესლბრუნვის რაციონალური სქემაც, რომელიც დიფერენცირებულია ბამბის წარმოების რეგიონების მიხედვით და ა. შ.

მ! ედველობაში მისაღებია ეკონომიკური მხარეც. მაგალითად, ვიწრო მონოკულტურებზე აგებული სპეციალიზაცია მნიშვნელოვნად ამცირებს საბოლოო საწარმოო ეფექტს, ხდის მას დამოკიდებულს ბუნებრივ ფაქტორებზე და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნებზე. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კანადის ორი პროვინცია: პირველში (სასკაჩევანის პროვინცია) ხორბლის ნათესებს უჭირავს 80% და აქ ფერმერთა შემოსავლიანობა 16%-ია. მეორეში (ონტარიოს პროვინცია)—სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, რამაც ფერმერთა შემოსავლიანობა 73%-მდე გაზარდა.

ამასთან, საჭიროა ვიცოდეთ არა მარტო ის თუ რა ვაწარმოოთ, არამედ ისიც თუ რა რაოდენობით და შრომისა და მატერიალური საშუალებების რა დანახარჯების ფარგლებში. სწორედ ამიტომ პროდუქციის გამოსავლიანობა უნდა იყოს ინტენსიფიკაციასთან შესაბამისობაში, ე. ი. ფერმერმა უნდა იცოდეს, ფართობის ერთეულზე დამატებით შრომას, მატერიალურ და ფულად დანახარჯებს რა საბოლოო შედეგი მოჰყვება. მხოლოდ ასეთი მიდგომით უნდა დაიგეგმოს წარმოების სტრუქტურა. როგორც უშუალოდ მეურნეობაში ,ისე რეგიონში და საბოლოო ანგარიშით—ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში.

ბუნებრივი პირობების გავლენა მოსავლიანობაზე ძირითადად დამახასიათებელია ექსტენსიური სოფლის მეურნეობისათვის, მაგრამ ეს ყოველთვის არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით წარმოების ექსტენსიური ფორმა ნაკლებადაა გამართლებული. მაგალითად, რეკომენდაცია რომ გავუწიოთ ინტენსიურ წარმოებას სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში არსებულ მეურნეობებში, ეს იმას ნიშნავს, რომ წინასწარვე დავგეგმოთ მისი არარაციონალური ორგანიზაცია, ვინაიდან ინტენსიური წარმოება მხოლოდ მაშინ გვაძლევს ეფექტს, როდესაც იგი შეთანაწყობილია ზონისა და რეგიონის ბუნებრივ პირობებთან და სხვა ფაქტორებთან. მაგალითად, მეცხვარეობაში საძოვრებად იყენებენ შედარებით დაბალნაყოფიერ ან ხშირად გვალვიან ფართობებს, ამ უზარმაზარ მასივებზე აძოვებენ ათასობით სულ ცხვარს, რომელსაც უვლის რამდენიმე მეცხვარე, ეს კი იმის გარანტიაა, რომ რაც შეიძლება იაფად ვაწარმოოთ მატყლი, ხორცი, ყველი

და ა. შ. ამ შემთხვევაში მართალია პროდუქციის გამოსავლიანობა საძოვრის ერთ ჰექტარზე გადაანგარიშებით მცირე იქნება, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებპროდუქტიული მიწების ზონაში მეცხვარეობისათვის იგი ეფექტიანია.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეურნეობათა ინტენსივობის ხარისხი განისაზღვრება არ მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ მასზე გავლენას ახდენს მოსახლეობის სიმჭიდროვეც. ამის მაგალითად გამოდგება სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბრინჯის მწარმოებელი რეგიონები.

ინტენსივობის დონეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში განსხვავებულად ანგარიშობენ. მაგალითად, აშშ მისი ძირითადი მაჩვენებელია პროდუქციის გამოსავლიანობა სამუშაო დროის ერთეულში, ხოლო დასავლეთ ევროპაში—პროდუქციის გამოსავლიანობა ფართობის ერთეულზე. თუმცა, გამოსავლიანობა ფართობის ერთეულზე აშშ უფრო ნაკლებია, ვიდრე ევროპაში, მაგრამ შრომის ნაყოფიერება პირველში შედარებით მაღალია, რაც აიხსნება ტექნიკის გამოყენების მაღალი დონით.

უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მსხვილმაშტაბური მიწათმოქმედება აფერხებს ინტენსიფიკაციის პროცესს. მაგალითად, კოლუმბიაში საუკეთესო მიწები მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია, ხოლო გლეხური მეურნეობა წარმოდგენილია ნაკლებად ნაყოფიერი მიწების სახით. მიუხედავად ამისა პროდუქციის გამოსავლიანობა გლეხურ მეურნეობებში 2-ჯერ მეტია, ვიდრე მსხვილ მიწათმფლობელთა მეურნეობებში. მიზეზი—შრომის მაღალი ინტენსიურობა, ფსიქოლოგიური ფაქტორის გავლენა, კერძოდ, იმის შეგნება, რომ ნაკლებნაყოფიერი მიწები მხოლოდ ინტენსიური შრომის შედეგად იძლევა ეფექტს.

განსხვავება შეიმჩნევა თვით გლეხურ მეურნეობებშიც კი. მაგალითად, უფრო მაღალინტენსიურ მეურნეობას ეწევიან ღარიბი გლეხური მეურნეობები და ეს ბუნებრივიცაა. ანალოგიური დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო მაჩვენებლების შედარებისას, საკარმიდამო ნაკვეთებზე წარმოებული პროდუქციის მაჩვენებლებთან.

ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია უპირველესად დამოკიდებულია სოციალურ და ბუნებრივ ფაქტორებზე, მათ ერთობლიობაზე.

3. სოფლის მეურნეობის ლოკალიზაცია. განსხვავებულ სოციალურ-ბუნებრივ პირობებში

ყველა ქვეყანაში დამუშავებული მიწები და საძოვრები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების საფუძველს. მაგრამ მათი გამოყენების ინტენსიურობა, არა მარტო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, არამედ ერთი ქვეყნის შიგნითაც კი განსხვავებულია.

საწარმოო შედეგების მიხედვით განსხვავება გამოწვეულია აგრეთვე წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმებით ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური წყობითაც, რაც დიდ გავლენას ახდენს მოცემული ქვეყნის არა მარტო წარმოების დარგობრივ სტრუქტურაზე, არამედ მის ეკონომიკურ მაჩვენებლებზეც.

მაგალითად, იტალიის ჩრდილოეთ პროვინციებში ერთი ცენტნერი ხორბლის წარმოებაზე შრომითი დანახარჯის სახით იხარჯება 1 საათი და 10 წთ. (მოსავლიანობა დაახლოებით 40—60 ცენტნერია), ხოლო ანალოგიური პროდუქციის წარმოებაზე სამხრეთში, სადაც მოსავლიანობა ზოგიერთ რაიონში 7—8 ცენტნერია—3 სამუშაო დღე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთსა და იმავე ქვეყანაში გვხვდება რაიონები, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით, წარმოება მოწინავე ტექნოლოგიის დონეზეა და შედეგიც შესაბამისია, ხოლო იმ რაიონებში, სადაც არაა წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობები, ჭარბობს ხელით შრომა და ა. შ.—შედეგი დაბალია.

განსხვავებულმა სოციალურმა წყობამ დაამკვიდრა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსხვავებული სისტემები და ეს ლოგიკურია, ხოლო რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა წესს, იგი უფრო მყარი აღმოჩნდა. მაგალითად, ერთი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში, ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, შეიძლება არსებობდეს ერთნაირი კულტურების დამუშავების სხვადასხვანაირი წესი, ანდა მეორე მაგალითი, რომელიც მიუთითებს ერთნაირი ბუნებრივი პირობების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებაზე. რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთით, მდინარე სუხონინის ზემოწელში განვითარებულია მეცხოველეობა (კერძოდ, კარაქის წარმოება), ხოლო მდინარის აუზის მიმდებარე ტერიტორიებზე მეცხოველეობა ადგილს უთმობს კანაფისა და სელის წარმოებას. ასეთი მაგალითები საქართველოშიც მრავლადაა. მაგალითად, კოლხეთის დაბლობის ზღვისპირა ნაწილში აწარმოებენ ერთწლიან და მრავალწლიან საკვებ

კულტურებს, რაც მეცხოველეობის განვითარების საშუალებას იძლევა, შუა ზოლში ძირითადად მეთუთეობაა წარმოდგენილი, ხოლო შედარებით ზედა ზოლში კი სუბტროპიკული მეხილეობა.

მართალია, ბუნებრივი პირობები ერთი შეხედვით წარმოადგენს განმსაზღვრელს დარგობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში, მაგრამ მაინც კავშირი ბუნებრივ პირობებსა და წარმოებას შორის არ არის ერთგვაროვანი. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის კლიმატი ზღვის ზომიერი ჰავითაა წარმოდგენილი, რაც ხელს არ უწყობს მარცვლეულის წარმოებას (ჭარბი ტენი, მზის ენერგიის ჯამის დეფიციტი და სხვა), მიუხედავად ამისა XVII საუკუნეში ინგლისი მარცვლეულის ექსპორტს ეწეოდა, რადგან აქ გამოიყენეს იმ პერიოდისათვის ყველაზე სწორი თესლბრუნვა, რამაც ორჯერ გაზარდა მოსავლიანობა. ეკონ დაახლოებით შემდეგი სქემით მიმდინარეობდა: I წელიწადს—ხორბალი, II წელიწადს—ძირხვენები, ძირითადად ტურნეპსი, III წელიწადს—ისევ მარცვლეული, განსაკუთრებით ქერი, IV წელიწადს — პარკოსნები, რაც ნიადაგს აძლევდა აღდგენის საშუალებას, ეს კი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მომდევნო წელს მიეღოთ ხორბლის მაღალი მოსავალი. მომდევნო პერიოდში, როდესაც სწრაფი ტემპით დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, გაიზარდა მოთხოვნილება შედარებით მალფუჭად მეცხოველეობის პროდუქციაზე და გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობაც, ინგლისმა ოკეანის გაღმა—ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში შექმნა მარცვლეულის წარმოების მსხვილი რეგიონები, განავითარა ტრანსპორტი, რითაც მარცვლეულის წარმოებამ საკუთრივ ინგლისში დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც გართულდა სატრანსპორტო გადაზიდვები, ინგლისში ისევ განვითარდა მარცვლეულის წარმოება. ამრიგად, ბუნებრივი პირობები ძირითადად გვაძლევს არჩევანის საშუალებას, თუ როგორ გამოვიყენოთ იგი მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი ტერიტორიები, სადაც ექსტრემალური კლიმატური პირობებია, მაგალითად ტუნდრა, სადაც ძირითადად მეირმეობის განვითარებაა შესაძლებელი, ანდა სამხრეთის გვალვიანი ზონა, რომელიც მომთაბარე მესაქონლეობის განვითარების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, ისიც რომ სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე, მის მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ რეგიონის შრომითი რესურსებით უზრუნველყოფა, მოსახლეობის ძველის ტრადიციები, სიახლოე გასაღების ბაზრებთან და სხვა ფაქ-

ტორები, მაგალითად, დასავლეთ აფრიკის ე. წ. სავანების ზონაში მომთაბარე მეცხოველეობასთან ერთად, განვითარებულია კულტურული მიწათმოქმედებაც, ამ უკანასკნელს აქვს ადგილობრივი მნიშვნელობა. ამ რეგიონის მოსახლეობას მეცხოველეობის პროდუქტები გააქვს სხვა რაიონებში, ხოლო მიწათმოქმედების პროდუქტებს იყენებენ ადგილობრივი მოხმარებისათვის, ვინაიდან ისტორიულად დადასტურებულია, რომ ეს მათთვის უფრო ხელსაყრელია.

აქრიგად, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას და მიმართულებას განაპირობებს მრავალი ფაქტორი, რომელთა სწორად განსაზღვრა, წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი საწინდარია.

3. მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფორმები და გეოგრაფიული ზონები

მსოფლიოს სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია განსხვავებული საწარმოო ფორმებით და გეოგრაფიული ზონებით. დღემდე არსებობდა სოციალისტური, კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის საწარმოო ფორმები, ამასთან ერთად, ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის პროდუქციის წარმოების გეოგრაფიული ზონები.

წარმოების ე. წ. სოციალისტური წესი გავრცელებული იყო ყოფილ სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში. გარდა ამისა, მონღოლეთში, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში (ვიეტნამი, ჩრდილოეთ კორეა, ლაოსი), ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, კუბაში, აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში (ეთიოპია, ანგოლა).

წარმოების სოციალისტური სისტემისათვის დამახასიათებელი იყო მსხვილმასშტაბური წარმოება, რომელიც წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმების მიხედვით ორი ტიპის იყო: სახელმწიფო მეურნეობები (ყოფილი საბჭოთა მეურნეობების სახით) და კოოპერაციული ანუ ჯგუფურ საკუთრებაზე დამყარებული მეურნეობები (კოლმეურნეობების სახით). წარმოების აღნიშნული ფორმების შექმნის იდეა გულისხმობდა იმას, რომ ასეთ პირობებში თითქოს კარგად უნდა შერწყმოდა ერთმანეთს სახელმწიფოსა და გლეხობის ინტერესები, რასაც საბოლოო ანგარიშით უნდა მოჰყოლოდა მთელი საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის ზრდა. მსხვილმასშტაბურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ჰირდებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-

შენებლობის განვითარება, რომელიც უნდა გამხდარიყო წარმოების განვითარების მთავარი ფაქტორი და დაემკვიდრებინა სოფლად ინდუსტრიული შრომა.

წარმოების სოციალისტური წესის მანკიერება ყველაზე უკეთ გამოჩნდა სოფლის მეურნეობაში. დაიკარგა მთავარი—მატერიალური დაინტერესების პრინციპი, რამაც მინიმუმამდე შეამცირა საწარმოო ეფექტი. ხელით შრომა ვერ შეცვალა ინდუსტრიულმა შრომამ, სოფლის მეურნეობაში გამოიყენებოდა წარმოების პრიმიტიული იარაღები.

წარმოების სოციალისტური ფორმისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, რომელიც დაეყრდნობოდა მექანიზაციას, მთავარი ამოცანა გახლდათ პრიორიტეტული დარგების: სასურსათო და საფურაქე. მარცვლეული მეურნეობების განვითარება, რომელიც მეცხოველეობის განვითარებისათვისაც შექმნიდა შესაფერის საფუძველს; წარმოების შემდგომი ეტაპი უნდა გამხდარიყო ავტომატიზაცია, ეფექტიანი სამელიორაციო და საირიგაციო სისტემების შექმნა და ა. შ. მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. სახელმწიფო მონოპოლიამ წარმოების საშუალებებსა და რაც მთავარია მიწაზე, წარმოების გეგმიურმა ხასიათმა, დამახინჯებულმა ფასებმა, ხელმძღვანელობის მანკიერმა, ადმინისტრაციულმა სისტემამ შექმნა ქაოსისა და განუკითხაობის ატმოსფერო, უკონტროლობამ საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა სახის მაქინაციებსა და დანაშაულს, ძალდატანებითმა კოლექტივიზაციამ გლეხობაში შექმნა საწინააღმდეგო ფსიქოლოგიური განწყობილება. საბოლოო ანგარიშით ჩამოყალიბდა მეურნეობრიობის ყოვლად გაუმართლებელი, ცივილიზებული სამყაროსათვის მიუღებელი ფორმები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვადასხვა სახის გაერთიანებების სახით, რომლებმაც ვერ შესძლეს წარმოებაში გარდატეხის შეტანა და სწორედ ამიტომ წარმოების სოციალისტური სისტემა დღესათვის უმრავლეს შემთხვევაში უარყოფილი იქნა, მან კრახი განიცადა.

ამრიგად, წარმოების სოციალისტური სისტემა, რომელიც ყოფილმა საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თავს მოახვია აღმოსავლეთ ევროპის ერთ დროს კარგად განვითარებულ ქვეყნებს, და აზიისა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანას ინერგებოდა ადმინისტრაციული მეთოდებით, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ და შედეგიც სახეზეა, ყველა ქვეყანა, სადაც კი წარმოების აღნიშნულმა წესმა მოიკიდა ფეხი, გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორ-

ტიორი, თუმცა ბევრი მათგანი თავის დროზე აღნიშნული პროდუქ-ტების ექსპორტიორიც კი იყო.

ვერ უშველა საქმეს ე. წ. აგროსამრეწველო კომპლექსების შექ-მნამაც, ვინაიდან წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთ-რების პირობებში შეუძლებელია ერთმანეთს დაემთხვეს ნედლეულის მწარმოებელთა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტერესები, ინფრასტრუქტურის შეცვლას სწორედ ამიტომ არ მოჰყვა სასურვე-ლი ეკონომიკური ეფექტი.

დღეისათვის, აღმოსავლეთ ევროპის ე. წ. სოციალისტური სის-ტემის ქვეყნებში მიმდინარეობს კომუნისტური სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მსხვრევა, ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც ინერგება წარმოების ახალი, პროგრესული სტრუქტურები, მიმდინარეობს ინ-ტენსიური მუშაობა წარმოების პრივატიზაციისათვის, მყარდება ხელ-საყრელი კავშირურთიერთობები და ა. შ.

წარმოების კაპიტალისტური ფორმების დროს სოფლის მეურნეო-ბა მჭიდროდ უკავშირდება საბაზრო სისტემას, არა მარტო იმიტომ, რომ წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი მიდის სარეალიზა-ციოდ, არამედ იმიტომაც, რომ მწარმოებლები იქვე იძენენ მათთვის საჭირო იმ პროდუქციას, რომელსაც თავად არ აწარმოებენ. აღსანიშ-ნავია ისიც, რომ წარმოების განსხვავებული პირობები, ტრადიციები, სტრუქტურა თავად ქმნის მისაღებ ორგანიზაციულ თუ სხვა ფორ-მებს. მაგალითად, აშშ ფერმერი—მეცხოველეები თავიანთი დანახარ-ჯების 1/5 ხარჯავენ კომბინირებული საკვების შესაძენად, რომლის წარმოებასაც სამრეწველო ხასიათი აქვს, ხოლო ისეთ ქვეყნებში, რო-გორიცა ინდოეთი, ზოგიერთი აფრიკული ქვეყანა, საკითხის ასეთნაი-რად გადწყვეტა შეუძლებლად მიაჩნიათ, ვინაიდან ისინი ფიქრობენ, რომ მეცხოველემ თავად უნდა აწარმოოს საჭირო რაოდენობის საკ-ვები.

განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში, სოფლის მეურნეობა კარგა ხანია შევიდა კომპლექსური მექანიზაციის ფაზაში, რაც ნაკლე-ბად დამოკიდებულს ხდის მას ბუნებრივი პირობებისაგან, ზოგ შემ-თხვევაში კი საერთოდ გამოითიშება ბუნებრივი ფაქტორების გავლე-ნა, მაგალითად, მეფრინველეობაში, სუქებაზე დაყენებულ პირუტყვ-ზე და ა. შ.

ასეთ ქვეყნებში მინიმუმამდეა შემცირებული ხელით შრომა, შე-ცვლილია იგი განივთებული შრომით, წარმოება რიტმულია, რის შედეგადაც მიღწეულია მაღალხარისხოვანი პროდუქციის შეუფერ-ხებელი წარმოება.

აგრარული სექტორის შეთანაწყობა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგ-
ოესთან ატარებს ობიექტურ ხასიათს. თუმცა უნდა ითქვას, რომ რიგ
შემთხვევაში იგი იწვევს ფერმერული წარმოების ლიკვიდაციას, მათ
შერწყმას მსხვილ წარმოებებთან და ესეც ობიექტური პროცესია.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დამახასიათებელია
ისიც, რომ ძლიერდება სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის გავლენა სა-
სოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. რიგ ქვეყნებში სოფლის მეურნეო-
ბა დამოკიდებულია მრეწველობის შესაძლებლობებზე და იმ პირო-
ბებზე, რომელსაც იგი კარნახობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.
ეს პროცესი კარგად გამოიკვეთა წარმოების სოციალისტური სისტე-
მის დროსაც, როდესაც წარმოებული პროდუქციის თვითღირებულე-
ბაში დომინანტად გადაიქცა სამრეწველო პროდუქციის ღირებულება.

განვითარებადი ქვეყნების საწარმოო ფორმები, ჯერ კიდევ წარ-
ჩოების ტრადიციულ ჩარჩოებშია მოქცეული, რომელიც მთლიანად
დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე და მექანიზაციის დაბალ დონეზე
(ენერგეტიკული საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია ცოცხალი
გამწევი ძალით). აღნიშნულ ქვეყნებში უმთავრესად შრომატევადი
კულტურებია განვითარებული (ყავა, კაკაო, შაქრის ლერწამი, თამბა-
ქო, ბამბა და სხვ.). წარმოების დონე იმდენად დაბალია, რომ საკუ-
თარ მოთხოვნილებებსაც ვერ იკმაყოფილებენ. ჯერ კიდევ არსებობს
მემამულური მეურნეობები, რომელშიც წარმოების ეფექტიანობა და-
ბალია. ჭარბობს ნატურალური, წვრილ-გლეხური მეურნეობები, სასა-
ქონლო პროდუქციას უმთავრესად საექსპორტო ხასიათი აქვს და ძი-
რითადად ტექნიკური კულტურებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული
ქვეყნები ჯერ კიდევ წარმოების ორგანიზაციული ფორმების ძიებაში
არიან.

თანამედროვე მსოფლიოში გამოკვეთილია სასოფლო-სამეურნეო
წარმოების რამდენიმე გეოგრაფიული ზონა, რომელსაც საფუძვლად
ძირითადად უდევს ბუნებრივ-კლიმატური პირობები, წარმოების ტრა-
დიცია, სიახლოე ბაზრებთან და ა. შ. არსებობს მარცვლეულის, მე-
ცხოველეობის, შერეული, მერძეული და მებაღეობა—მებოსტნეობის
გეოგრაფიული ზონები.

მარცვლეულის, ძირითადად, ხორბლის—გეოგრაფიული ზონა წა-
რმოდგენილია ზომიერი მშრალი კლიმატის რაიონებში, სადაც
ხელსაყრელი პირობებია აღნიშნული პროდუქტების წარმოებისათვის,
კერძოდ, დაბალია მოსახლეობის სიმჭიდროვე და არის კომპლექსური
მექანიზაციისათვის დიდი ფართობები, ამ ზონისათვის მექანი-
ზაცია წარმოადგენს საფუძველს. მეურნეობები წარმოდგენი-

ლია მსხვილი ფერმების სახით, რაც მინიმუმამდე ამცირებს საწარ-
ჰოო დანახარჯებს. მარცვლეულის სპეციალიზებული მეურნეობები
არსებობენ აშშ (ე. წ. „ხორბლის სარტყელი"), კანადაში, არგენტინა-
ში და ავსტრალიაში. ეს ქვეყნები წარმოადგენენ მარცვლეულის წარ-
მოების მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონებს და აღნიშნული პროდუქ-
ციის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორებს. მაგალითად, კანადას საექს-
პორტოდ გააქვს წარმოებული მარცვლეულის 85%, არგენტინას—
43%, აშშ-ს—27%, ავსტრალიას—37%. აბსოლუტურ მაჩვენებლებში
პროდუქციის ექსპორტის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს აშშ-ს,
რომელსაც ყოველწლიურად მსოფლიო ბაზარზე გააქვს 110—130
მლნ. ტონა მარცვლეული.

მეცხოველეობის გეოგრაფიული ზონა წარმოდგენილია გეალვიან
ფართობებზე და ძირითადად მდებარეობს მარცვლეულის წარმოების
ზონის გვერდით. ზონა მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც შიდა
ისე მსოფლიო ბაზართან და ძირითადად წარმოდგენილია პირუტყვის
ძაღალპროდუქტიული ჯიშების გამოზრდით (განსაკუთრებით, მსხვილ
ფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხვრის). ასეთი ფერმები შეიქმნა
ახალმოსახლეთა მიერ იმ ქვეყნებში, სადაც მიწა იმ პერიოდისათვის
იაფი იყო, კერძოდ აშშ-ში, ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკის კავშირ-
ში, არგენტინაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. სწორედ ასეთ პირო-
ბებში შეიქმნა დღემდე შემორჩენილი და დამკვიდრებული მსხვილი
მეცხოველეობის ფერმები. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცხოველეობის
მეურნეობებში ყველაზე მეტად არის გამოკვეთილი საწარმოო სპეცი-
ალიზაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა მერძეული და მეხორცული
მეცხოველეობა, ბატყლის წარმოება (რომელზეც მოთხოვნილების გაზ-
რდამ ხელი შეუწყო მეცხვარეობის განვითარებას, განსაკუთრებით
ავსტრალიაში), სამრეწველო მეფრინველეობა და სხვ.

შერეული გეოგრაფიული ზონა წარმოდგენილია სამიწათმოქმედო
და მეცხოველეობის მეურნეობების სახით, რომელიც დამახასიათებე-
ლია შედარებით ზომიერი გეოგრაფიული სარტყლისათვის. მეცხოვე-
ლეობა ამ ზონისათვის აუცილებელი და შემოსავლების მიხედვით
ძირითადი დარგია, მიწათმოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს
საკვებ კულტურებს, აშშ-ში ეს უპირველესად სიმინდის კულტურაა
(10% მსოფლიო წარმოებიდან), შემდეგ მოდის სოია, იონჯა და
ა. შ.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კურსი ძირითადად აღებულია

საფურაჟე კულტურების წარმოებაზე, მოჰყავთ ქერი, შვრია, საკვები ძირხვენები და სხვა ეროსწლიანი კულტურები, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცხოველეობისათვის მათ საკმაო რაოდენობის საკვები შეაინც შემოაქვთ ჩრდილო ამერიკის ქვეყნებიდან, სადაც სასურსათო მარცვლეულს მთელი ნათესების ნახევლოდ 15% უკავია, (მაგრამ გამოირჩევა მაღალი მოსავლიანობით).

ევროპის ქვეყნებში მეცხოველეობის რეგიონების განვითარების საფუძველს წარმოადგენს მდიდარი საკვები ბაზა, რომელიც მაღალი პროდუქტიულობის მიღწევის საშუალებას იძლევა. აქ განვითარებულია: მერძეული და მეხორცული მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა და ა. შ. ამრიგად მეცხოველეობის განვითარებისათვის პირველადია საკვები ბაზა, ხოლო მეორადია ის პროდუქცია, რომელსაც იგი იძლევა. ევროპაში ვხედებით უფრო ვიწრო სპეციალიზაციის ფერმებს, რომლებიც ორიენტირებულია საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე, მაგალითად, დანიის სოფლის მეურნეობის ნაწილი ორიენტირებულია ინგლისის მოსახლეობის მოთხოვნებზე და აწარმოებს ღორის ხორცის ბეკონს, რომლის წილადაც მოდის დანიის მეცხოველეობის პროდუქციის 40%.

მერძეული მეცხოველეობის გეოგრაფიული ზონა განვითარებულია ტენიან რაიონებში, რომლებსაც ახასიათებთ შედარებით დაბალი ტემპერატურული ჯამი და მცენარეთა მოკლე სავეგეტაციო პერიოდი, რაც მხოლოდ იმის საშუალებას იძლევა, რომ მინდვრის კულტურები დაითესოს მწვანე საკვებად. მერძეული მეცხოველეობის ტიპიური რეგიონებია: აშშ-ში [illegible] ატლანტიკის შტატები, ევროპაში— სკანდინავიის ქვეყნები, განსაკუთრებით ნორვეგია. მერძეული მეცხოველეობა მოითხოვს ვასაღების ბაზრებს—წარმოებასთან რაც შეიძლება ახლოს და განვითარებულ საგზაო (განსაკუთრებით საავტომობილო) კომუნიკაციებს. მერძეული მეცხოველეობა ორი მიმართულებით ვითარდება—რძის წარმოება მოსახლეობის უშუალო მოხმარებისათვის და—რძის წარმოება, როგორც ნედლეული გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია შედარებით ტრანსპორტაბელური პროდუქტებით: ყველი, კარაქი, მშრალი რძე, რძის კონსერვები. მერძეული მეცხოველეობის ეს სახეები განვითარებულია შვეიცარიის, ავსტრიის მთიან რაიონებში, კანადაში მდინარე წმინდა ლავრენტის აუზში და ა. შ. მერძეული მეცხოველეობის პროდუქტები ძირითადად გაანგარიშებულია შიდა მოხმარებისათვის, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საექსპორტოდაც ვაკეთებ, მაგალითად,

ახალი ზელანდიიდან ყველი და შესქელებული რძე ამ ქვეყნის ათვისების პერიოდიდან გაჰქონდათ და დღესაც გააქვთ ინგლისში.

მებაღეობისა და მებოსტნეობის გეოგრაფიული ზონა ჩამოყალიბდა მსხვილ ქალაქებთან და სამრეწველო ცენტრებთან ახლოს. ხილი და ბოსტნეული კულტურები, როგორც წესი გარკვეულ პირობებს უყენებენ წარმოებას და სხვა კულტურებისაგან განსხვავებით რეაგირებენ ბუნებრივ ფაქტორებზე. სწორედ ამიტომ, მათი მოვლა-მოყვანა დაკავშირებულია მნიშვნელოვან სახსრებთან, საჭიროა სათბურების, ინტენსიური სარწყავი სისტემისა და სხვა სახის ღამხმარე ნაგებობების მშენებლობა, ამიტომ ითვლება ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების პროდუქცია ძვირადღირებულად. მსხვილ სამრეწველო ცენტრებისა და ქალაქების ირგვლივ ასეთი მეურნეობების გაშენება უმრავლეს შემთხვევაში ხდება ხელოვნურ სათავსოებში—სათბურებში, მხოლოდ მსოფლიოს ცალკეულ ზონებშია ხელსაყრელი პირობები მათი ბუნებრივი წარმოებისათვის, მაგრამ ასეთი რაიონები ძალზედ უმნიშვნელოა. მაგალითად, აშშ-ში კალიფორნიის შტატში არის ყველა პირობა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების წარმოებისათვის, მაგრამ იქაც ინტენსიური მორწყვაა საჭირო, კალიფორნიის შტატი ცნობილია აგრეთვე, როგორც სუბტროპიკული კულტურების წარმოების მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონი. მაგალითად, მის წილად მოდის ლიმონის მსოფლიო წარმოების 1/2, ქლიავისა და ატმის წარმოების—1/3, ვარვარის წარმოების—1/3 და ა. შ. გარდა ამისა, აქ მოჰყავთ საქაქმიშე ყურძენი, ლეღვი და სხვა სუბტროპიკული ხილი. კალიფორნიის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაზე.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, ხილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის წარმოება გადანაწილებულია სხვადასხვა ქვეყანაში და წარმოების მათი ინტენსიური გაცვლა. მაგალითად, ესპანეთის, საფრანგეთის, იტალიის სამხრეთი რაიონები აწარმოებენ ციტრუსებსა და სხვა სუბტროპიკულ ხილს, ამაღე ქვეყნების ჩრდილოეთში—უმთავრესად ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურებს, შუა ევროპა—კონტინენტურ ხილს და ხდება ამ პროდუქტების ინტენსიური გაცვლა.

ამრიგად, მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფორმების ჩამოყალიბება დაკავშირებულია სოციალურ—პოლიტიკურ მოვლენებთან, სოლო გეოგრაფიულ ზონებისა—უმთავრესად ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან და წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებთან.

3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსოფლიო წარმოება

სოფლის მეურნეობის ძირითადი მიზანია კვების პროდუქტების წარმოება მოსახლეობისათვის და ნედლეულისა—გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ჩართულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მათ შორის ისეთებიც რომლებსაც თითქმის არ გააჩნიათ თავისუფალი მიწები (ჰონკონგი, სინგაპური და სხვ.), თანამედროვე მსოფლიოში არც ერთი პრობლემა არ დგას ისე მწვავედ, როგორც საკვები პროდუქტების წარმოების. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფიციალური მონაცემებით, მსოფლიო მოსახლეობის სახევარი მიმშილობს ან შიმშილობის ზღვარზეა, 24 ქვეყანა კვების პროდუქტებს იმ რაოდენობით აწარმოებს, რომ სრულად დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება და მხოლოდ 8 ქვეყანა აწარმოებს ჭარბ პროდუქციას.

ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, უპირველს ყოველისა განეკუთვნება მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ადამიანის არსებობა.

მსოფლიოს მოსახლეობის გამოსაკვებად მთავარი და გადამწყვეტია მარცვლეული, რომელიც მოიხმარება, როგორც კვების ძირითადი პროდუქტი უშუალოდ მოსახლეობისათვის და ფურაჟი—პირუტყვისათვის. მარცვლეულის მსოფლიო წარმოებაში წამყვანი ადგილი უჭირავს ხორბლის, ბრინჯისა და სიმინდის კულტურებს. თითოეული მათგანის წლიური წარმოების მოცულობა მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 320—350 მლნ. ტონაა. ამრიგად, მარცვლეულის მსოფლიო წარმოება 1—1,1 მილიარდ ტონას შეადგენს, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 200 კილოგრამია წელიწადში. მარცვლეულ კულტურებში, ამერიკისა და ევროპის მოსახლეობისათვის წამყვანია ხორბალი, რომლის მსოფლიო წარმოების 1/7 მოდიოდა ყოფილ სსრკ-ზე, 20%—ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებზე (აშშ, კანადა), ეს ქვეყნები, ყოფილ სსრკ-ს გამოკლებით, ავსტრალიასთან, საფრანგეთთან და არგენტინასთან ერთად წარმოადგენენ ხორბლის ყველაზე მსხვილ ექსპორტიორ ქვეყნებს. მსოფლიოში მარცვლეულის წარმოება ძირითადად მექანიზებულია, რომელთაგან ხორბალი მოიხმარება როგორც მოსახლეობის კვების პროდუქტი და მხოლოდ მცირე რაოდენობით (3—5%) — როგორც ფურაჟი.

მნიშვნელობით მეორე კულტურაა ბრინჯი, რომლის მსოფლიო წარმოების 90% მოდის აზიის ქვეყნებზე (ყოფილ სსრკ-ს გამოკლებით). ბრინჯი სახურსათო პროდუქტია, მისი ნამჯა კი შეიძლება გამო-

ყენებული იქნეს პირუტყვის საკვებად. ბრინჯის წარმოების უდიდესი რეგიონებია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ინდოეთის სამხრეთი ნაწილი, ლათინური ამერიკის ქვეყნები, სადაც ამ კულტურის 2—3 მოსავალს იღებენ წელიწადში. ბრინჯის წარმოებაში ჯერ კიდევ სჭარბობს ხელით შრომა, იგი ძალზედ შრომატევადია და ძირითადად შოითხოვს სარწყავ მიწებს,

წინა ორი კულტურისაგან განსხვავებით, ზოგიერთ ქვეყანაში სიმინდს საფურაჟედ იყენებენ (აშშ, კანადა), მაგრამ აზიისა და ლათინური ამერიკის რეგიონებში კი მას ხმარობენ როგორც მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტს (ასეთი ქვეყნების რიცხვშია საქართველოც). სიმინდის მსოფლიო წარმოების 40% მოდის აშშ-ზე და კანადაზე. მისი წარმოება ამ ქვეყნებში მექანიზებულია.

სხვა მარცვლეული კულტურებიდან აღსანიშნავია ქერი, რომლის მსოფლიო წარმოება 160—180 მლნ. ტონაა წელიწადში, აქედან, 1/3 იწარმოება ევროპის ქვეყნებში, ხოლო 1/3 ყოფილ სსრკ-ში. ქერი ძირითადად გამოიყენება როგორც კვების პროდუქტი (სსრკ, აზიის ქვეყნები), ხოლო დასავლეთ ევროპაში მას უმთავრესად იყენებენ ლუდის წარმოებაში.

ჭვავის მსოფლიო წარმოება დაახლოებით 40 მლნ. ტონაა წელიწადში, იგი გავრცელებულია დასავლეთ ევროპაში. გამოიყენება ლუდისა და საკონდიტრო წარმოებაში, აგრეთვე საფურაჟედ. მსოფლიოში ქერისა და მარცვლეულის წარმოება უმთავრესად მექანიზებულია.

მსოფლიო მასშტაბით მარცვლეულის წარმოება ერთ სულზე გაანგარიშებით დიდი კონტრასტულობით ხასიათდება. მაგალითად, აზიაში ერთ სულზე აწარმოებენ 180—200 კგ მარცვლეულს, ხოლო ჩრდ. ამერიკასა და ავსტრალიაში 900—1000 კგ. (ზოგიერთ ქვეყნებში ეს მაჩვენებლები 60 კგ-ს არ აღემატება).

მარცვლეულის შემდეგ კვების ძირითად პროდუქტად ითვლება კარტოფილი, განსაკუთრებით—ევროპასა და ამერიკის ქვეყნებში. კარტოფილის გავრცელების რეგიონები ემთხვევა მარცვლეულის გავრცელების რეგიონებს. სულ მსოფლიოში აწარმოებენ 320—350 მლნ. ტონა კარტოფილს წელიწადში, რომლის 50% მოდის ყოფილ სსრკ-სა და ევროპის ქვეყნებზე. მთელი რიგი ქვეყნები ეწევიან კარტოფილის ექსპორტს. იგი ბაზარზე გააქვთ როგორც ნატურალური, ისე გადამუშავებული (კარტოფილის ფქვილის) სახით. მას იყენებენ აგრეთვე საკონდიტრო წარმოებაში და ნარჩენებს—მეცხოვე-

ლეობაში (მეღორეობაში). კარტოფილის წარმოებაც უმთავრესად მექანიზებულია.

მოსახლეობისათვის მეტად მნიშვნელოვანია მცენარეული ზეთი, რომლის მსოფლიო წარმოება 40 მლნ. ტონაა, რაც წლიურად შეადგენს ადამიანის მიერ მოხმარებული ცხიმის 50%-ს. მცენარეული ზეთის 27—28% მოდის არახისსა და სოიაზე, 12—14%—მზესუმზირისა და ბამბის მარცვალზე, 6%—ზეითუნზე. მცენარეული ზეთის წარმოების მხრივ პირველ ადგილზეა აზია, რომლის წილადაც მოდის მსოფლიო წარმოების 1/3. (ყოფილ სსრკ-ის წილად მოდის 1/10). აღსანიშნავია, რომ მცენარეული ზეთი მხოლოდ 50%-ით უზრუნველყოფს მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნილებას აღნიშნულ პროდუქტზე.

კვების მნიშვნელოვანი პროდუქტია შაქარი, რომელიც მიიღება შაქრის ლერწმისა და შაქრის ჭარხლისაგან. შაქრის მსოფლიო წარმოების 30% მოდის ლათინურ ამერიკაზე, იგი გავრცელებულია აგრეთვე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, შაქარი ძირითადად გამოიყენება როგორც კვების პროდუქტი მოსახლეობისათვის. ამ პროდუქტით მსოფლიოს მოსახლეობა დაკმაყოფილებულია მხოლოდ 50—60%-ით, უმრავლეს ქვეყანაში შაქრის ნედლეულის მოვლა-მოყვანა მექანიზებულია.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება ძირითადად თავმოყრილია გაანვითარებული ქვეყნების ზომიერ კლიმატურ-გეოგრაფიულ სარტყელში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ყველაზე მეტი რაოდენობა (მსოფლიო რაოდენობის 1/5) მოდის ინდოეთზე, თუმცა მისი პროდუქტიულობა ამ ქვეყნებში ძალზე უმნიშვნელოა. აწარმოებენ მცირე რაოდენობით რძეს, რაც შეეხება ხორცსა და მის პროდუქტებს—აქ მათი წარმოება არ არის, ვინაიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი რელიგიური მოსაზრებებით ხელშეუხებელია.

მერძეული მიმართულების მეცხოველეობა კონცენტრირებულია ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში, აშშ და კანადაში. რძის წარმოება ერთ სულზე გაანვარიშებით ძალზედ მერყეობს გეოგრაფიული ზონების მიხედვით. ნაგალითად, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში ერთ სულზე იწარმოება 2300 კგ. რძე წელიწადში, ხოლო ალჟირსა და ლიბიაში—10—40 კგ. მსოფლიო, საშუალო მაჩვენებლები კი 80—100 კგ-ია. რძის მსოფლიო წარმოება შეადგენს 400 მლნ. ტონას წელიწადში (მშრალ რძეზე გადაანგარიშებით), რომლის უდიდესი ნაწილი მიდის

კარაქის, ყველის და რძის პროდუქტების წარმოებაზე. ყველის წარმოების ყველაზე კარგი ტრადიციები აქვთ დანიას, შვეიცარიას, ჰოლანდიას. რძის პროდუქტების ექსპორტით პირველ ადგილზე დგას ახალი ზელანდია და ავსტრალია, ხოლო ევროპაში—დანია და ჰოლანდია.

მეხორცული მეცხოველეობა, მერძეულისაგან განსხვავებით, ძირითადად ეყრდნობა ბუნებრივ საძოვრებსა და სათიბებს. ხორცის მსოფლიო წარმოება შეადგენს 115—120 მლნ. ტონას წელიწადში, ამ პროდუქციის წარმოების მსოფლიო მნიშვნელობის ქვეყნებია აშშ, კანადა, არგენტინა, ურუგვაი, პარაგვაი. ყველაზე მეტს აწარმოებს აშშ და კანადა. აზიაში მეხორცული მეცხოველეობა წარმოდგენილია მონღოლეთში, მეღორეობის ყველაზე მსხვილი ჯოგი ჰყავს ჩინეთს. მომდევნო ადგილზეა აშშ, კანადა, ყოფილი სსრკ.

ცხვრის სულადობის მიხედვით პირველ ადგილზე დგას ავსტრალია და ახალი ზელანდია, სადაც თავმოყრილია ცხვრის მსოფლიო სულადობის 50%. აღნიშნული რეგიონის გარდა მეცხვარეობა განვითარებულია აზიისა და აფრიკის ქვეყნების ნახევრად უდაბნო ზონებში, სადაც იგი თითქმის ყველგანაა წარმოდგენილი. მეცხვარეობის ძირითადი პროდუქტია მატყლი, თუმცა ცხვარს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ხორცის წარმოებაშიც. დიდი რაოდენობით იგზავნება დაკლული ბატკანი ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში.

მეცხოველეობის პროდუქტების (განსაკუთრებით კვერცხი და ხორცი) შევსების დიდი რეზერვია მეფრინველეობა, რომელიც მსოფლიოს თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. განსაკუთრებით განვითარებულია იგი მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონებში, განვითარებულ ქვეყნებში მეფრინველეობა სამრეწველო საფუძველზე არსებობს. ფრინველის ხორცით მსოფლიოს მოსახლეობა შედარებით უკეთ არის უზრუნველყოფილი, ვიდრე სხვა სახის ხორცით.

ამრიგად, კვების პროდუქტების წარმოების მსოფლიო გეოგრაფია იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობისათვის სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია და იგი მთელი პლანეტისაგან ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. პრობლემას ართულებს ისიც, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მატების ტემპი ჯერ კიდევ ჭარბობს კვების პროდუქტების წარმოების მატების ტემპს და ეს პროცესი გაღრმავების ტენდენციით ხასიათდება.

თ. მსოფლიოს სოფლის მეურნეობის განვითარება

(მოკლე ნიმოხილვა)

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში სურსათ-სანოვაგის წარმოება კრიზისულ მდგომარეობაშია, პერსპექტივა მოითხოვს კოლოსალურ კაპიტალურ დაბანდებებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებს დღეისათვის არ გააჩნიათ. შიმშილის საფრთხე, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ამ ქვეყნებში, მათი ჩამორჩენილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების შედეგია.

მოსახლეობის მუდმივად მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის გლობალური ხასიათის პრობლემა გახდა.

მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება გადგილებულია უზარმაზარ ფართობზე. სავარგულთა ნაყოფიერება რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით ცვალებადია. მსოფლიოს მოსახლეობის 2/3 ცხოვრობს ისეთ ქვეყნებში, სადაც ყოველთვის მწვავედ იდგა მოსახლეობის გამოკვების საკითხი და დღესაც გლობალურ პრობლემად რჩება. წინასწარი განგარიშებით 2000 წლისათვის მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე სახნავის რაოდენობა 0,3 ჰა-მდე შემცირდება, რაც სასურსათო პრობლემის გადაწყვეტისათვის საკმარისი არ არის.

მსოფლიოს სასურსათო მარაგის შევსება და მატება შესაძლებელია ორი გზით: 1. დამუშავებული მიწების ფართობების გაზრდით (ექსტენსიური გზა), რომელიც მკაცრადაა ლიმიტირებული, იმიტომ რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსაყენებელი მიწების რაოდენობა შეზღუდულია და გარდა ამისა, ახალი მიწების ათვისება, რომელთა მარაგი ჯერ კიდევ არსებობს განვითარებად ქვეყნებში, მოითხოვს დიდძალ კაპიტალურ დაბანდებებს. 2. პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდა დამუშავებული მიწის ფართობის ერთეულიდან (ინტენსიფიკაცია), მაგრამ ეს უკანსკნელიც მოითხოვს დამატებით მატერიალურ დანახარჯებს, რომელთა გაწევა შეუძლიათ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს. მსოფლიოში 1950 წლამდე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის ზრდა ხდებოდა ფართობის გადიდების ხარჯზე, დღეისათვის კი პროდუქციის მატების 80% მოდის მოსავლიანობის ზრდაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში სოფლის მეურნეობის განვითარება ინტენსიური გზით მიმდინარეობს.

საწარმოო ძალების განვითარებამ, მოსახლეობის რაოდენობრივმა ზრდამ, ახალი ქალაქების მშენებლობამ, არსებული ქალაქების გაფა-

რთოებამ, გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირება. ზემონათქვამი ძირითადად ეხება განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც ხასიათდებიან მცირე მიწიანობით, სწორედ ამიტომ, პროდუქციის მოცულობის გადიდების ერთადერთ გზას ამ ქვეყნებში წარმოების ინტენსიფიკაცია წარმოადგენდა. მაგალითად, გერმანიაში (იგულისხმება გფრ), უკანასკნელ 20 წელიწადში მარცვლეულის მოსავლიანობა 40%-ით გაიზარდა, ჰოლანდიაში საკვები კულტურებისა—35%-ით, აშშ ძირითად სასოფლო-სამეურნეო ოლქებში ნიადაგის პროდუქტიულობა საშუალოდ 20—25%-ით და ა. შ.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს, აქ კვების პროდუქტების წარმოება ჯერ კიდევ ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპებს. მათთვის სადღეისო პრობლემას წარმოადგენს საკუთარი მოსახლეობის უზრუნველყოფა კვების პროდუქტებით. დროის მოკლე მონაკვეთში კი ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია, ვინაიდან აღნიშნული ქვეყნების სოფლის მეურნეობა მათი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს, რომელსაც არ გააჩნია მინიმალური მატერიალური ტექნიკური ბაზაც კი.

მსოფლიოს ცივილიზებული სამყარო შეშფოთებულია ამ მდგომარეობით და ცდილობენ არა მარტო მიაწოდონ ამ ქვეყნების მოსახლეობას შეძლებისდაგვარად კვების პროდუქტები, არამედ დაეხმარონ საკუთარი წარმოების მოწყობაშიც. „მსოფლიო სასურსათო საბჭომ“ ამ ქვეყნებისათვის შეიმუშავა განვითარების „ნაციონალური პროგრამები“, რომლებშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შიგა რესურსების მობილიზაციასა და მის რაციონალურ გამოყენებაზე.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა უკვე შეუდგა აღნიშნული პროგრამის რეალიზაციას, რომლის უპირველესი ამოცანაა, საერთაშორისო დახმარების საფუძველზე, საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება.

სასურსათო პრობლემა მწვავედ დგას აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში და მათ შორის ყოფილ სსრკ-ში. მოჩვენებითმა კეთილდღეობამ, რომელიც აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკის მუდმივ თანამგზავრს წარმოადგენდა, სასურველი შედეგი ვერ მოგვცა. მსოფლიომ დაინახა ყველა ის „უპირატესობა“, რომელიც თან ახლდა წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრებას. დღეისათვის, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე დაიწყო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პრივატიზაცია, წარმოების საშუალებებსა და მიწაზე კერძო საკუთრებამ თავისი შედეგი გამოიღო, რა-

ზედაც მიგვანიშნებს ის, რომ ზოგიერთი ქვეყნები: უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ნაწილობრივ პოლონეთიც, გამოვიდნენ სასურსათო პრობლემის კრიტიკული მდგომარეობიდან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილმა საბჭოთა კავშირმა ენერგიულად დაიწყო თავისი მცდარი პოლიტიკის გატარება განვითარებად ქვეყნებში და ზოგან დაამკვიდრა წარმოების სოციალისტური წესი, რითაც საბოლოოდ გააჩანაგა ამ ქვეყნების ისედაც პრიმიტიული სოფლის მეურნეობა. კატასტროფის წინაშე დადგა ეთიოპიის, ანგოლის, კუბის, ვიეტნამის, ლაოსისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნების სოფლის მეურნეობა. ყოფილმა საბჭოთა კავშირმა აღნიშნულ ქვეყნებს თავს მოახვია ახალი მიწების ათვისების, სარწყავი მიწათმოქმედების გრანდიოზული პროგრამები, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელი იყო, რადგან მათი მატერიალური შესაძლებლობები ამის საშუალებას არ იძლეოდა.

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნის სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს მიწის რესურსების რაოდენობა და მათი ხარისხობრივი მდგომარეობა, ტერიტორიის ბიოკლიმატური პოტენციალი, გამოუყენებელი ენერგეტიკული რესურსების ხვედრითი წილი, შრომითი რესურსები და მათი კვლავწარმოების ტემპები, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობები და სხვ.

სპეციალისტების შეფასებით, მსოფლიოს სასურსათო პრობლემის გამწვავება ძირითადად გამოიწვია შემდეგი მიზეზების ერთობლიობამ: მსოფლიო მეურნეობის ბუნებრივი შესაძლებლობების უკიდურესად გადატვირთვამ, რომელმაც გაართულა მისი აღდგენის პროცესი; სოფლის მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის არასაკმარისმა ტემპებმა, და რაც მთავარია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ფასების არასტაბილურობამ.

რაც შეეხება განვითარებული ქვეყნების სასურსათო დახმარებას ჩამორჩენილი ქვეყნებისადმი, ჰუმანიტარული მიზნების გარდა, უმრავლეს შემთხვევაში თან ახლავს პოლიტიკური მოთხოვნებიც, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო პრობლემა, მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. აზია-აფრიკის ქვეყნებში მოსახლეობის ზრდის ტემპები (მატება 2,5%) კიდევ უფრო ამწვავებს მსოფლიოს ისედაც რთულ ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო საკითხი მჭიდროდ უკავშირდება დემოგრაფიულ პრობლემას და იწვევს მათ ურთიერთკავშირში გადაწყვეტის აუცილებლობას.

სასურსათო პრობლემის პერსპექტიული გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ დინამიკაში გაიზრდება დღეს არსებული კვების დონე, შეიცვლება მისი ასორტიმენტი, რაც მსოფლიოს მასშტაბით დღის წესრიგში დააყენებს წარმოების მოცულობის 2,5—3-ჯერ გაზრდას.

მეცნიერთა გაანგარიშებით მოსავლიანობის 2,5—3-ჯერ გაზრდა რთული, მაგრამ გადაწყვეტას დაქვემდებარებული პრობლემაა. ამაზე მიგვანიშნებს ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, სადაც აგროსამრეწველო კომპლექსი მჭიდროდ დაუკავშირდა სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციას. შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ცენტრები, რამაც საშუალება მისცა კულტურების მიხედვით ჩამოყალიბებულიყო მანქანათა სისტემები, ამან კი მთლიანად გამორიცხა ან მინიმუმამდე დაიყვანა ხელით შრომა. მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც თითქმის არაა დარჩენილი აუთვისებელი მიწები, სასოფლო- სამეურნეო წარმოების გადიდების ერთ-ერთ მაგისტრალურ გზას წარმოადგენს წარმოების ინტენსიფიკაცია.

არსებობს მეორე გზაც, რომელიც განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობაში დღეისათვის პრიორიტეტულია, ესაა ფართობების გადიდება სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. მიწის რესურსების ტერიტორიული გადიდების შესაძლებლობები ჯერჯერობით ამოწურული არაა. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, შორეულ პერსპექტივაში კაცობრიობამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბრუნვაში შეიძლება მოაქციოს 9 მილიარდ ჰექტარზე მეტი. ცხადია დღეკანდელი პოზიციებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 4,5—5-ჯერ გაზრდა ფანტასტიკურად გვეჩვენება, მაგრამ შორეულ პერსპექტივაში, როდესაც დადგება ამ პროცესის აუცილებლობა, შეიძლება გამოინახოს ახალი მიწების ათვისების ტექნიკური საშუალებები. უახლოეს პერსპექტივაში კი არსებული სავარგულების 1,7—2-ჯერ გაზრდა სავსებით რეალურად ჩაითვლება. ამისათვის საჭიროა დამატებითი შრომითი რესურსები და კაპიტალური დაბანდება. წინასწარი გაანგარიშებით მსოფლიოში საკვები პროდუქტების გაორმაგებისათვის საჭიროა 3—3,5 ტრილიონი დოლარი, ცხადია ცალკე აღებული რომელიმე ქვეყანა, ან ქვეყნების ჯგუფიც კი, ასეთი თანხის გაღებას ვერ შესძლებს.

ამერიკელი მეცნიერების გაანგარიშებით სახნავად ვარგისი მიწების რაოდენობა მსოფლიოში შეადგენს 3,2 მილიარდ ჰექტარს, აქედან 500 მლნ. ჰა მოდის ტროპიკულ-ჭაობიან, ხოლო 300 მლნ. ჰა—გვალ-

ვიან რაიონებზე. თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ორივე ამ პრობლემის გადაწყვეტა სავსებით შესაძლებელია.

სოფლის მეურხეობის პრობლემების გადაწყვეტისათვის ძირითადია მიწის რესურსების მდგომარეობის პერიოდული შემოწმება, რომელიც საშუალებას მოგვცემს თვალყური ვადევნოთ ნიადაგის პროდუქტიულობას და მოსავლიანობის თვალსაზრისით შევისწავლოთ მისი შესაძლებლობები. ყოველივე ეს კი საჭიროა იმისათვის, რომ წინასწარ განვსაზღვროთ ის რაიონები, რომლებიც ნიადაგების გამოფიტვის შედეგად დაზარალდებიან და მივიღოთ სათანადო ზომები.

მსოფლიოში მიწის რესურსების გონივრული გამოყენება მოითხოვს ყველა ქვეყნის თანამშრომლობას, მიწის ფონდების რაციონალური გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულ საფუძველზე, ამა თუ იმ რეგიონებისათვის დამახასიათებელი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონე იძლევა იმის საშუალებას, რომ ფართო მასშტაბით ჩატარდეს ბუნებრივი რესურსების დაცვის, მოვლისა და ექსპლუატაციის სამუშაოები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიწის ფონდების დაცვა. ამ მიზნით, მთელმა რიგმა ქვეყნებმა უკვე შეიმუშავეს მიწის რესურსების დაცვის მეცნიერული კონცეფციები. უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, ნაყოფიერების თვალსაზრისით, მსოფლიოს მიწის ფონდები, ჯერ კიდევ სანახევროდაც არ არის შესწავლილი, თუმცა, ამ მიზნით შეიქმნა მსოფლიო დონის სხვადასხვა სახის ორგანიზაციები. (მთელ რიგ ქვეყნებში ნაციონალური მიწების რუკებიც კი არ გააჩნიათ) შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ ქვეყნების მიხედვით ჩატარდეს მიწების ინვენტარიზაცია, მათი ხარისხობრივი შეფასებების თვალსაზრისით.

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების სახით საჭიროა ,ატარდეს შემდეგი:

— ქვეყნების მიხედვით მიწის რესურსების სრული ინვენტარიზაცია, მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენით;
— დამუშავებული მიწების ფართობების გაზრდა;
— რეგიონების მიხედვით ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავება;
— სამრეწველო ცენტრებთან მდებარე მიწების დაცვის ღონისძიებების შემუშავება;
— მიწების დაჭაობების, დამლაშების, გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავება;

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია, ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით;
— ბუნებრივი სათიბ-საძოვრების გამოყენების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება:
— ტყის მიწის ფონდების გაუმჯობესება, ამ მიზნით ნიადაგდაცვითი, ტყის გაჯანსაღების ღონისძიებების ჩატარება;
— მიწის რესურსების შემდგომი გაუმჯობესებისათვის კომპლექსური მეცნიერული გამოკვლევების ჩატარება.

მსოფლიოს მიწის ფონდების გამოყენება კომპლექსური პრობლემაა, რომელიც მოითხოვს სპეციალისტების შეუნელებელ ყურადღებას.

II. სასურსათო პროგლემების გადაწყვეტის მაგალითები

მსოფლიოს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება მრავალი პრობლემის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული, მათ შორის მთავარია ეკოლოგიური პრობლემა, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოება, როგორც წესი ბუნებასთან შეხების პროცესია, რომელიც ტრადიციულად მასთან ბრძოლასა და ჭიდილში ვლინდება. თანამედროვე მსოფლიოსათვის არ არის სულ ერთი, თუ რის ფასადაა მიღებული ესა თუ ის კვების პროდუქტი. საჭიროა ბოლო მოეღოს ბუნების არაკანონიერ ექსპლუატაციას, კაცობრიობამ უნდა ისწავლოს მისი გონივრული გამოყენება.

იმისათვის, რომ კანონზომიერად წარიმართოს ბუნების გამოყენება, გაანალიზება უნდა იქნას წარმოების პროცესში რას ვართმევთ და სანაცვლოდ რას ვუტოვებთ მას, რა კუთხით ვარღვევთ ნიადაგის კვებით ბალანსს და რითი ვავსებთ მას. საჭიროა ვისწავლოთ მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების გონივრული გამოყენება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკით, მსოფლიოს მოსახლეობის კვებითი სტრუქტურა, გეოგრაფიული ზონების მიხედვით, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დღიური კვების კალორიულობა 3000 ერთეულს აღემატება, ხოლო განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებლები 1600—2000 ერთეულია.

მოსახლეობის კვების ბალანსის საშუალო მაჩვენებლები განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების შიგნითაც განსხვავებულია, ორივე შემთხვევაში არის მოსახლეობის გარკვეული ფენა, რომელიც უკეთ იკვებება ან პირიქით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

მონაცემებით განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 60% ჯერ კიდევ ნახევრად შიმშილობს, რაც მსოფლიო მასშტაბით აბსოლუტურ მაჩვენებელში 2,5 მილიარდამდე ადამიანს უდრის. აღნიშნული ქვეყნები იძულებულნი არიან შემოიტანონ სურსათი სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, სურსათის შემოტანა ვერ წყვეტს პრობლემას, ეს არის იძულებითი ღონისძიება, რომელიც ამ ქვეყნების ისედაც არამყარი ბიუჯეტის გამოფიტვას იწვევს და გავლენას ახდენს მათ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ამუხრუჭებს ნაციონალური სოფლის მეურნეობის განვითარებას.

განვითარებად ქვეყნებში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ გზად მიჩნეულია სახნავი ფართობების გადიდება, ანუ განვითარების ექსტენსიური გზა, მაგრამ ამას ხელს უშლის მოსახლეობის სწრაფი ტემპით ზრდა, რომელიც დამახასიათებელია აღნიშნული ქვეყნებისათვის და მოითხოვს დამატებითი ღონისძიებების გატარებას, ეს კი თავის მხრივ გარკვეულ მატერიალურ რესურსებს მოითხოვს. ამის გარდა, ძალზედ ჭირს მოსახლეობის გადაყვანა და დამაგრება ახლად ათვისებულ რაიონებში, ვინაიდან ეს ბევრ სოციალურ და საყოფაცხოვრებო საკითხებთანაა დაკავშირებული. გაანგარიშებამ ცხადყო, რომ ახალი მიწების ათვისების მაშტაბები ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, რაც ძალზედ გამოიკვეთა აფრიკის ისეთი ქვეყნების მაგალითზე, როგორიცა ეთიოპია, სუდანი, ანგოლა და ა. შ. გარდა აღნიშნულისა, ახლად ათვისებული მიწების ხარისხი და პროდუქტიულობა გაცილებით დაბალია, ვიდრე იმ მიწებისა, სადაც უკვე ეწეოდნენ მიწათმოქმედებას.

განვითარებული ქვეყნების მიწათმოქმედების გამოცდილება იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის ყველაზე რაციონალური გზა არის ინტენსიფიკაცია—როცა დამატებითი დანახარჯების გაწეის შედეგად იზრდება პროდუქციის გამოსავლიანობა დამუშავებული ფართობის ერთეულიდან. გაანგარიშებები გვიჩვენებს, რომ თუ ცალკეული კულტურების მოსავლიანობა მსოფლიო მასშტაბით მიუახლოვდება განვითარებული ქვეყნების დონეს, მაშინ დამუშავებული მიწები მოგვცემს პროდუქციას, რომელიც თავისუფლად გამოკვებავს 9—9,5 მილიარდ სულს, დღეისათვის მსოფლიო მოსახლეობა მხოლოდ 5,7 მილიარდია. ყოველივე ეს მიუთითებს იმ უდიდეს შესაძლებლობებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს მსოფლიო მასშტაბით.

საერთაშორისო სელექციური ცენტრების მონაცემებით, დამტკიცებულია იმის შესაძლებლობა, რომ კაცობრიობა მიიღებს მარცვლეული კულტურების ახალ სელექციურ ჯიშებს, რომლებიც შედარებით არახელსაყრელ პირობებშიც კი მოგვცემენ მაღალ მოსავალს. ლაბორატორიულ პირობებში უკვე მიღებულია სიმინდისა და ხორბლის ისეთი ჯიშები, რომლებიც სათანადო აგროტექნიკის გამოყენებით 3,5—4-ჯერ ზრდის მოსავლიანობას. მაგრამ მარტო ასეთი ჯიშებით კაცობრიობა ვერ გადაწყვეტს სასურსათო პრობლემას, საჭიროა შესაბამისი აგროფონიც, კერძოდ, მელიორაცია, მექანიზაცია, ქიმიზაცია და უახლესი აგროტექნიკა. ყველა სახის სამუშაოები უნდა ჩატარდეს ოპტიმალურ ვადებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მიიღებთ საჭირო საწარმოო ეფექტს.

ამრიგად, სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, ვანვითარებად ქვეყნებში საჭიროა მოხდეს მსხვილი სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნები, რომელმაც უნდა მოიცვას ცხოვრების ყველა სფერო, გამოყენებული უნდა იქნეს წარმოების ორგანიზაციის ახალი, ამა თუ იმ ზონისათვის მისაღები ფორმები და წარმოებას საფუძვლად დაედოს მეცნიერული მიღწევები. ყოველივე ეს გარდა დიდი კაპიტალური დაბანდებებისა, მოითხოვს კვალიფიციურ კადრებს. ამიტომ საჭიროა ამ ქვეყნებში შეიქმნას შესაბამისი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, დიდი და მცირე მოცულობის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ქსელი, ხოლო პარალელურად ჩამოყალიბდეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოები ან შეიქმნას მსოფლიოში უკვე არსებული მსხვილი ცენტრების ფილიალები.

იმისათვის, რომ განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის შეიქმნას შედარებით მტკიცე ბაზა, საჭიროა პროდუქციის მატების საშუალო წლიურმა ტემპმა მიაღწიოს 1,5—3%-ს მაინც.

მსოფლიო ოკეანე წარმოადგენს სასურსათო მარაგის შევსების უზარმაზარ რეზერვს, აქაა თავმოყრილი აგრეთვე სასარგებლო წიაღისეულისა და ენერგორესურსების დიდი მარაგი. პერსპექტივაში მსოფლიო ოკეანემ უნდა შეავსოს ხმელეთის სასარგებლო წიაღისეულის სულ უფრო შემცირებადი ოდენობა. ოკეანეს შეუძლია გადაწყვიტოს კაცობრიობის არა ერთი გლობალური პრობლემა, მათ შორის—სასურსათოც.

ზღვის წყალს უკავია მსოფლიო ჰიდროსფეროს 95%. მსოფლიო ოკეანე ასრულებს უზარმაზარ როლს დედამიწაზე სიცოცხლის დამკვიდრებაში და იძლევა დედამიწის ბიომასის 43%.

მსოფლიო სასურსათო კრიზისის ცენტრებია განვითარებადი ქვეყნები, განსაკუთრებით, აფრიკისა და აზიის კონტინენტზე, რომლებიც უმეტესად ზღვისპირა ქვეყნებია. ზღვის ბიოპოტენციალის ათვისება, მათ საშუალებას მისცემს ნაწილობრივ მაინც დააღწიონ თავი სასურსათო კრიზისს.

1970 წლისათვის ამ ქვეყნების წილად მოდიოდა მსოფლიო თევზჭერის 42,5%, ხოლო 1985 წ-თვის—40,3%. განსაკუთრებით დიდია განსხვავება ერთ სულზე თევზის პროდუქტების დამზადების მხრივ. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 34,5 კგ. განვითარებადში კი—7,5 კგ., რაც იმის შედეგია, რომ აზია-აფრიკის ქვეყნებში თევზჭერას პრიმიტიული ხასიათი აქვს. აქ არ არსებობს თევზჭერის ფლოტილიები, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი პროდუქტის რეწვას სამრეწველო ჩარჩოებში მოაქცევს. დღეისათვის, ზოგიერთ ქვეყანაში ამ მიმართულებით გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. აღსანიშნავია ისიც, რომ აზია-აფრიკის განვითარებადი ქვეყნების მიმდებარე წყლები თევზის უდიდეს მარაგს შეიცავს, რაც პრობლემის გადაწყვეტის პოტენციურ შესაძლებლობაზე მიუთითებს.

II თავი

ევროპა

ევროპას უჭირავს ევრაზიის მატერიკის ნაწილი, ურალის ქედიდან დასავლეთით. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი მოდის ყოფილ სსრკ-ზე (5,9 მლნ. კვ. კმ.), დანარჩენი (4,9 მლნ. კვ. კმ.) ევროპის იმ სახელმწიფოებზე, რომლებიც მდებარეობენ ყოფილ სსრკ-ის დასავლეთით. ევროპაში შედის კუნძული ირლანდია (ატლანტიკის ოკეანეში) და შპიცბერგენის არქიპელაგი (ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში). მიმდებარე თავში განხილული იქნება ევროპა, ყოფილი სსრკ-ის გარეშე.

დასავლეთ ევროპას უჭირავს ხმელეთის უმნიშვნელო ნაწილი (4%), რომელზეც ცხოვრობს 475 მლნ. კაცი, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 13%, ხოლო მისი წილი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში—32,8%-ია.

ევროპის ხალხები წარმოადგენენ მსოფლიო ცივილიზაციის მემკვიდრეებს. სწორედ აქ—ძველი საბერძნეთისა და რომის ანტიკურ საზოგადოებაში შეიქმნა ის განუმეორებელი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები: ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ფილოსოფიაში, რომლებიც დღესაც ანცვიფრებენ კაცობრიობას.

დასავლეთ ევროპის ბუნებრივი პირობები გამოირჩევა რელიეფის მრავალფეროვნებით, ზღვის ჰავის ძლიერი გავლენით, მოზაიკური ლანდშაფტით, აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვით, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონით, სადაც ადამიანმა თავისი მიზანდასახული საქმიანობით მნიშვნელოვნად შეცვალა ბუნებრივი ლანდშაფტი, მცენარეული საფარი და ა. შ.

ევროპის კლიმატურ პირობებს განსაზღვრავს ატლანტიკისა და ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის სიახლოე, მძლავრი თბილი დინებები, მზის სხივების სიუხვე. ყოველივე ეს ქმნის მეტად ხელსაყრელ რეჟიმს სამეურნეო საქმიანობისათვის, როგორც მის უკიდურეს ჩრდილოეთ, ისე სამხრეთის ქვეყნებში. ბუნებრივი პირობები ქმნიან აგრეთვე ხელსაყრელ გარემოს ტყეებისა და სხვა მცენარეული საფარის განვითარებისათვის. ტყეებს უჭირავს დასავლეთ ევროპის ტერიტორიის 1/3, ისინი შეიცავენ სამრეწველო ხე-ტყის დიდ მარაგს და დადებითად მოქმედებენ კლიმატის კვლავწარმოებაზე.

დასავლეთ ევროპაში მკვეთრადაა გამოკვეთილი ურბანიზაციის პროცესი. მოსახლეობის 3/5 ცხოვრობს ქალაქებში, ხოლო ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ბელგია, შვეცია, ეს მაჩვენებლები 80%-ს აღემატება, რაც დაკავშირებულია მრეწველობისა და მომსახურების სფეროს განვითარების მაღალ დონეზე. რეგიონის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში დღეისათვის აღარ არსებობს განსხვავება სოფელსა და ქალაქს შორის, მათი ცხოვრების დონე თითქმის გათანაბრდა.

დასავლეთ ევროპის მეურნეობამ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიაღწია განვითარების მაღალ დონეს. მაგალითად, მეღვინეობა იტალიასა და სამხრეთ საფრანგეთში დაამკვიდრეს ძველმა რომაელებმა, მათვე დააარსეს პირველი ლითონშომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები მაშინდელ ინგლისში. კაპიტალიზის განვითარების პირველი აკვანიც დასავლეთ ევროპაში დაირწა, მას მოჰყვა კოლონიური და დამპყრობლური ომები, რამაც უზარმაზარი სიმდიდრე შესძინეს ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებს. ამერიკის ახალი კონტინენტის აღმოჩენა და მისი ათვისება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს.

დღეისათვის, დასავლეთ ევროპა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით და ცხოვრების ძალზე მაღალი დონით მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული რეგიონია. აქ მიეცა დასაბამი თანამედროვე მეცნიერების პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც შემდეგ მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს კუთვნილება გახდა. დასავლეთ

ევროპის მეურნეობის საფუძველია ინდუსტრია, რომლის წილად მოდის ევროპროდუქტის 75—80%, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 5—6% შეადგენს, დანარჩენი კი მოდის მომსახურების სფეროზე.

მჭიდროდ დასახლებულ დასავლეთ ევროპაში სასოფლო-სამეურნეო მიწების მეტად შეზღუდული რაოდენობაა. მსოფლიოს ამ რეგიონში მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი სახნავის სახით შეადგენს 0,18 ჰა-ს, ერთ სულზე გაანგარიშებით. მიუხედავად ამისა შრომის მაღალი ნაყოფიერებით, მექანიზაციის, ქიმიზაციისა და მელიორაციის განვითარებით შეიქმნა მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელმაც მთლიანად უზრუნველყო რეგიონის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე. შრომის ენერგოშეიარაღების საშუალო მაჩვენებელი 82 ცხენის ძალას უდრის, მაღალია ელექტროენერგიის გამოყენების მაჩვენებელიც, მინიმუმამდეა შემცირებული დანაკარგები. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საშუალებით მიწას და მცენარეებს განიხილავენ როგორც მართვად ცოცხალ ორგანიზმებს, სწორედ ამიტომ სავარგულთა ნაყოფიერების საშუალო მაჩვენებელი ამ ყველაზე მაღალია მსოფლიოში. იგივე ითქმის პირუტყვის პროდუქტიულობაზეც. ფურის საშუალო წლიური წველადობა 4800 ლიტრია, ხოლო ცხიმიანობის პროცენტს მართავენ საკვების რაციონის მეშვეობით.

წარმოებაში იყენებენ კოოპერირების ხელსაყრელ ფორმებს, ფართოდ არის დანერგილი ხანგრძლივი ოჯახური იჯარა, ევროპულ სახელმწიფოებში არსებობს გადამამუშავებელი საწარმოების ხშირი ქსელი, როგორც წესი, მათი საწარმოო მოცულობები დიდი არ არის, შაგრამ წარმოება მთლიანად ავტომატიზებულია და იმართება კომპიუტერების მეშვეობით.

დასავლეთ ევროპის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზაციაში დიდი როლი შეასრულა „ევროპის ბაზარმა“, რომელიც წარმოადგენს ამ რეგიონში შემავალი ქვეყნების ნებაყოფლობით გაერთიანებას. ევროპული ბაზარი ახდენს პროდუქტების რაციონალურ გადანაწილებას სხვადასხვა ქვეყნებს შორის, ხელს უწყობს ეკონომიკურად მისაღებ სპეციალიზაციას, არეგულირებს ფასებს, აიძულებს სახელმწიფოებს საჭიროების შემთხვევაში დოტაცია გამოუყონ ამა თუ იმ სახის პროდუქციის მწარმოებლებს, ქმნის ევროპულ საწარმოო და სადაზღვეო ფონდს, რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელს ბუნებრივი პირობებისაგან დამოუკიდებელს ხდის. ყოველივე ამან დაარეგულირა ამა თუ იმ სახის პროდუქტის წარმოების მო-

ცულობა სხვადასხვა ქვეყნებში და შექმნა მათი წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები.

დღეისათვის დასავლეთ ევროპას სხვა რეგიონებში გააქვს წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის ხორცი და მისი პროდუქტები, ქათმის ხორცი, კვერცხი, მარცვლეული, ხილი და ა. შ.

დასავლეთ ევროპაში წარმოდგენილია რამდენიმე ეკონომიკური რეგიონი, რომელშიც გაერთიანებულია ერთნაირ ბუნებრივ — კლიმატურ პირობებში მყოფი სახელმწიფოები, მათი განხილვა საშუალებას მოგვცემს გავერკვეთ თვითეულ რეგიონსა და სახელმწიფოს ეკონომიკურ და სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებში.

აღმოსავლეთ ევროპა

(პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, ალბანეთი, აღმ. გერმანია)

აღმოსავლეთ ევროპა საზღვარგარეთული ევროპის (ყოფილ სსრკ-ს გამოკლებით) ოთხი მსხვილი რეგიონის ერთ-ერთი რაიონია. მის წილად მოდის ტერიტორიის 1/4. უკანასკნელ პერიოდამდე რეგიონში შემავალ ქვეყნებს ახასიათებდა ერთიანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურები. ყველა ისინი განეკუთვნებოდნენ ე. წ. „სოციალისტური სისტემის“ ბანაკის ქვეყნებს, სადაც მიწაზე და წარმოების სხვა საშუალებებზე არსებობდა სახელმწიფოს მონოპოლია და წარმოებისათვის საჭირო ეს უმნიშვნელოვანესი ელემენტები ითვლებოთა სახელმწიფო (ან როგორც მას ხშირად უწოდებდნენ საერთო-სახალხო) საკუთრებად.

წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრება მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მმართველობის კომუნისტური სისტემების შემოღების შედეგად. მართალია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ომამდელ პერიოდთან შედარებით შეიმჩნევა გარკვეული დადებითი ძვრები, მაგრამ ეს არაა წარმოების სოციალისტური სისტემის უპირატესობის შედეგი, იგი გამოწვეულია მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით, ევროპულ ქვეყნებში, მატერიალურ-ტექნიკური პროგრესით, მეცნიერების განვითარებით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის მაღალი დონით და ა. შ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიღწეუ-

ლი პროგრესი უმნიშვნელოა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ხელოვნურად დამუხრუჭდა წარმოების სოციალისტური სისტემების მეშვეობით.

საქმეს ვერ უშველა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების შექმნამაც, რომელმაც დაამუშავა შრომის ე. წ. სოციალისტური დანაწილების პრინციპები, განსაზღვრა სპეციალიზაციის ზონები, შექმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, მინერალური სასუქების წარმოების ერთიანი სისტემა, დააწესა შეღავათიანი სავაჭრო ტარიფები, დაარეგულირა საქონლის ინტენსიური გაცვლა და სხვ. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტი მაინც უმნიშვნელო იყო, სოციალისტური ბანაკის ქვეყნები განიცდიდნენ სასურსათო პროდუქციის დეფიციტს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებული დიდი სასურსათო დეფიციტით. დაბალი იყო ენერგოშეიარაღებისა და ენერგოუზრუნველყოფის მაჩვენებლები. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება კი მაღალი იყო. იგი ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვნად სჭარბობდა შესასყიდ ფასებს, დარღვეული იყო მატერიალური დაინტერესების პრინციპი, შრომის შედეგების განაწილება წარმოებდა ცენტრალიზებული წესით, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი პრინციპებით. მატერიალური მომარაგების სახელმწიფოებრივმა სისტემამ და შექმნილმა ბიუროკრატიულმა სამმართველო აპარატმა, მოშალა წარმოებისათვის საჭირო ხელმძღვანელობის ოპერატიულობა, გაზრდილი არამწარმოებლური ხარჯებიც დიდ ტვირთად აწვებოდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას. მმართველობის არასწორმა ინფრასტრუქტურებმა არევ-დარევა გამოიწვიეს ანგარიშგების სისტემაშიც, რამაც უმეტესად შექმნა განუკითხაობის ატმოსფერო. ყოველივე ამას ზედ დაერთო გარე სამყაროსთან სოციალისტური ქვეყნების ხანგრძლივი ეკონომიკური იზოლაციაც.

პოლონეთი

პოლონეთის მთლიანი ტერიტორია 313 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—40 მილიონი, დედაქალაქი—ვარშავა. პოლონეთის ტერიტორია კომპაქტურია, ძირითადად ვაკეა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს ქმნის. პოლონეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, სამხრეთით მთიანი ზონაა. კლიმატზე გავლენას ახდენს ჩრდილოეთის ზღვა, აგრეთვე გოლფსტრიმის თბილი დინება, რომლის ერთი შტო ბალტიის ზღვამდე აღწევს. იანვრის საშუა-

ლო ტემპერატურა—2°-ია, ხოლო ივლისისა—+18°. ნალექები არათანაბაროა. ჩრდილოეთ პროვინციებში იგი 600 მმ-ია, ხოლო სამხრეთით—750 მმ. ნიადაგები გამოირჩევიან მრავალფეროვნებით, ვხვდებით როგორც ტყის რუხ, ისე წითელმიწებსაც, ჩრდილოეთ პროვინციებში ბევრია ჭაობიანი ნიადაგები. მცენარეული საფარიც მრავალფეროვანია: წარმოდგენილი ტყეები, ძირითადად წიწოვნებია, ვხვდებით მუხას, ნიფელს და სხვა ხე-მცენარეებს. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, ვხვდებით საკმაოდ წყალუხვ მდინარეებს, ბევრია გრუნტის წყლებიც.

პოლონეთს მდიდარი ისტორია აქვს. იგი ხშირად ხდებოდა ომებისა და სამხედრო კონფლიქტების საბაბი. ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იგი გვევლინება როგორც დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფო (XII—XVI საუკუნეებში). იყო შვეიცის სახელმწიფოსა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაშიც. 1918 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა. განვითარების მაღალი ტემპი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში.

მოსახლეობა ერთგვაროვანია. 80% პოლონელები შეადგენენ, მათ გარდა ცხოვრობენ უკრაინელები, ბელორუსები, რუსები, სამხრეთ-დასავლეთით—გერმანელები, რომელთა დასახლებები აგრეთვე ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო ზოლშიდაცაა. მოსახლეობის 3/4 ცხოვრობს ქალაქად. ბოლო პერიოდში გაძლიერდა ურბანიზაციის ტემპები.

სოფლის მეურნეობას პოლონეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხვედრითი წილი ეროვნულ შემოსავალში ყოველწლიურად მცირდება, აბსოლუტურ მაჩვენებლებში მას მაინც ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ნათესი ფართობების მიხედვით, ევროპული ქვეყნებისაგან იგი მხოლოდ საფრანგეთს ჩამორჩება. სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში წამყვანია მეცხოველეობა, რომლის საკვები ბაზის განვითარებისათვის ქვეყანაში ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია.

მემცენარეობაში ძირითადია მარცვლეული კულტურები, რომელთა საერთო წარმოება 12 მლნ. ტონაა. ნათესი ფართობებისა და საერთო მოსავლის მიხედვით პირველ ადგილზეა ჭვავი, ივი ითესება თითქმის ყველგან, მაგრამ უპირველესად ნაკლებად ნაყოფიერ ქვიშნარ ფართობებზე. მეორე ადგილზეა ხორბალი, რომლის ნათესები სულ უფრო იზრდება და ზოგ რაიონში წამყვანი მეგობარეობაც კი უკავია. 1990 წელს ქვეყანაში აწარმოეს 4,8 მლნ. ტონა ხორბალი, განსაკუთრებულ ეფექტს იგი იძლევა ჰუმუსით მდიდარ ფართობებზე, ფართოდაა წარმოდგენილი აგრეთვე ქერი, რომელსაც ძირითადად

იყენებენ ლუდის წარმოებისათვის (პოლონეთი ლუდის ექსპორტ ეწევა ჯერ კიდევ XV საუკუნიდან).

საკმაოდ დიდ ფართობზეა წარმოდგენილი საკვები კულტურები კერძოდ შვრია, რაც აიხსნება იმით, რომ პოლონეთს გააჩნია ცხენები საკმაოდ დიდი რაოდენობა (1985 წლის მონაცემებით ცხენების რა ოდენობა 1 მლნ-ს აღემატებოდა).

ქვეყანაში საშემოდგომო ხორბალი და ქერი თესლბრუნვაშ ენაცვლება შაქრის ჭარხალს. ამ უკანასკნელის გავრცელების რეგიო ნებია სამხრეთ სილეზია, პოზნანისა და მასთან მიმდებარე რაიონები ქვეყანა შაქრის წარმოების მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აღმო სავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის და მეხუთე ადგილზეა მსოფლიო ში—რუსეთის, ამერიკის, საფრანგეთისა და გერმანიის შემდეგ (შაქ რის ფასვნილის მოხმარებით, ერთ სულზე გაანგარიშებით პირველ ად გილზეა მსოფლიოში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლონეთი შაქრი მსხვილი ექსპორტიორია. სხვა ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ სელი, რაფსი და თამბაქო.

თითქმის ყველა რეგიონში მისდევენ კარტოფილისა და კომბოს ტოს მოყვანას. პოლონეთი დასახელებული პროდუქტების ერთ-ერთ მსხვილი მწარმოებელია აღმოსავლეთ ევროპაში. შედარებით მკრთა ლადაა წარმოდგენილი მეხილეობა (უფრო მეტად მოჰყავთ ვაშლი დ მარწყვი).

მეცხოველეობას სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მდგომა რეობა უჭირავს. წამყვან დარგს წარმოადგენს მეღორეობა, რომლი სულადობა 18 მლნ-ს აღემატება. ამზადებენ ღორის ქონს და ბეკონი ტიპის ხორცს. მეღორეობა წარმოადგენს ნედლეულის ძირითად ბაზა ხორცის გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. დიდი რაოდენობი ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რომლის სულადობა 11 მი ლიონია, აღნიშნულ დარგს მერძეულ-მეხორცული მიმართულება აქვს განვითარებულია მეფრინველეობაც. მისდევენ მეფუტკრეობას, ხოლ შედარებით მთიან ზონაში—მეცხვარეობას.

პოლონთს დასავლეთ ევროპის ბაზარზე გააქვს მეცხოველეობი მრავალფეროვანი პროდუქცია: შაშხი, ბეკონი, ქონი, დაკლული ფრი ნველი, ცოცხალი პირუტყვი, მათ შორის სანაშენოც, კვერცხი.

კარგადაა განვითარებული მეცხენეობა. განსაკუთრებით დი ყურადღებას აქცევენ სანაშენო და წმინდა სისხლის ცხენების მოშე ნებას, რომლის ნაწილიც გაჰყავთ სხვა ქვეყნებში გასაყიდად.

პოლონეთს ომამდე სოფლის მეურნეობის განვითარების კარგი ტრა დიციები ჰქონდა. ომამდე ევროპაში სასოფლო-სამეურნეო პროდუ

ციის წარმოების თვალსაზრისით ერთ სულზე გაანგარიშებით იგი ევროპის მოწინავე ქვეყნების დონეზე იმყოფებოდა. ქვეყნის განვითარების სოციალისტურმა მიმართულებამ, რომელიც პოლონეთში საბჭოთა კავშირის ჩარევის შედეგად (1948 წ-დან) დაიწყო, ძირფესვიანად შეცვალა წარმოების არა მარტო სტრუქტურა, არამედ ფორმებიც. დაიწყო ე. წ. კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობის ჩამოყალიბება. ყოველმხრივ შეზღუდეს ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები, რომელიც ომამდელი პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველს წარმოადგენდა. წარმოების სოციალისტური სისტემის ძალად დანერგვამ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გაშიფრა, რომელსაც ნეგატიური მიმართულება ჰქონდა. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივმა საკუთრებამ გააჩანაგა სოფლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემცირდა ტრადიციული პროდუქციის წარმოება, მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მიატოვა სოფელი, დაიწყო შიმშილობა, ფასები კატასტროფულად იზრდებოდა როგორც სახელმწიფო სექტორში, ისე ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს აქტიური წევრი იყო, გარედან დახმარებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მოსახლეობა თავიდანვე მტრულად განეწყო წარმოების სოციალისტური წესისადმი. 1950 წლებიდან დაიწყეს ბრძოლა „თავისუფალი წარმოების" პირობებისათვის. 1987 წლიდან პოლონეთი ფაქტიურად დაადგა კერძო წარმოების განვითარების გზას, მოხდა მიწების პრივატიზაცია, შეიქმნა ფერმერული მეურნეობები, რომელმაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე 1980 წელთან შედარებით 1,5-ჯერ გაზარდა. ინფლაცია, რომელმაც მოიცვა პოლონეთის საფინანსო სისტემა, შეჩერებული იქნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვადიდების შედეგად. მართალია ჯერ კიდევ შენარჩუნებულია კვების პროდუქტებზე მაღალი ფასები, მაგრამ უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა.

1990 წლის მონაცემების მიხედვით კვების დღიური კალორიულობა ერთ სულზე გაანგარიშებით შეადგენდა 3 300 ერთეულს (1980 წ. იყო 2650), შემცირდა პურ-პროდუქტებისა და კარტოფილის მოხმარება, სამაგიეროდ, გაიზარდა ხორცის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კვერცხის, მცენარეული ზეთის, თევზისა და ხილის მოხმარება.

პოლონეთის სოფლის მეურნეობის მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოკლე დროში დააღწევს საბოლოოდ თავს ივი წარმოების სოციალისტური სისტემის ელემენტებს, რომლებიც ჯერ

კიდევ დომინირებს ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით გადამამუშავებელ მრეწველობაში. გლეხური ბეურნეობის რაოდენობა 3 მილიონზე მეტია, რომლებიც საშუალოდ ფლობენ 4 ჰა-მდე სახნავს. გაანგარიშებით დადასტურებულია, რომ საწარმოო ეფექტს იძლევიან ის გლეხური მეურნეობები, რომლებშიც სახნავი 10 და მეტი ჰექტარია. პოლონეთში ჯერ კიდევ მიმდინარეობს პროცესი, რომელიც საბოლოოდ ჩამოაყალიბებს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციასა და წარმოების ფორმებს, მათი ვარაუდით 1995 წლისათვის მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, 1985 წელთან შედარებით, 2 — 2,2-ჯერ უნდა გაიზარდოს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ვინაიდან ამ ქვეყანას კონკურენცია მოუწევს, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში, ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა ჰოლანდია, ბელგია და დანია. პოლონეთმა უკვე დააყენა საკითხი ევროპის ქვეყნების სავაჭრო გაერთიანებაში შესასვლელად, რაც გარანტირებული ვაჭრობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ვითარდება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ადრე არსებული ქარხნები უშვებდნენ მობილურ ტექნიკას, რომელთა გამოყენების არეალს წარმოადგენდა მსხვილი სახელმწიფო მეურნეობები. დღეისათვის ტექნიკური საშუალებები გამოდის უმთავრესად ინდივიდუალური გლეხური მეურნეობებისათვის, თუმცა უნდა ითქვას, რომ მცირე მექანიზაციის საშუალებები პოლონეთს ჯერ კიდევ შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან (ძირითადად გერმანია, ჰოლანდია).

დღეისათვის, ქვეყანაში მინერალური სასუქების მოხმარების დონე 80%-ს უდრის, (60%-მდე საკუთარი წარმოების სასუქებია). აღნიშნულის კომპენსირებისათვის უნარიანად იყენებენ თესლბრუნვებს, რომელიც პოლონეთში საკმაოდ მაღალი მეცნიერულ დონეზე არის დამუშავებული. ქვეყანას აქვს სასოფლო-სამეურნეო ხასიათის სამეცნიერო ცენტრები, ამზადებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, არსებობს სპეციალური უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებლები. განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს პოლონეთის მეცნიერების შედეგები კარტოფილისა და საკვები ბალახების სელექციაში.

ჩეხოსლოვაკია*

ჩეხოსლოვაკიის ფედერაციული რესპუბლიკა მდებარეობს ევროპის ცენტრში, მისი ფართობი 128 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—15 მლნ. ამ მაჩვენებლებით მისი ხვედრითი წონა მსოფლიოს მოსახლე-

* განხილულია ყოფილი ფედერაცია

ობის 0,4%-ია, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ქვეყნის წილად მოდის—1,5%. დედაქალაქია—პრაღა.

ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის სიგრძე 750 კმ-ია, ხოლო სიგანე—100 — 250 კმ. იგი მთავორიანი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. ნიადაგობრივი საფარი მრავალფეროვანია, ძირითადად სჭარბობს შავ-მიწანიადაგები, ქვეყნის მესამედი ტყეებს უჭირავს, ბევრია ნაკრძალები. (ქვეყანა განხილულია მთლიანობაში, 1990 წ. მდგომარეობით).

ბუნებრივ-კლიმატური პირობები კონტინენტურია, იცის ზომიერი ზამთარი, იანვრის ტემპერატურა—2—4°-ია, ხოლო ივლისისა+20°, ნალექების რაოდენობა არათანაბარია, აღმოსავლეთით მათი რაოდენობა 750 მმ, ხოლო დასავლეთ რაიონებში—800 მმ. ნიადაგები მრავალფეროვანია, ჭარბობს ტყის რუხი და ნაცრისფერი ნიადაგები, გვხვდება ალუვიური და ნახევრად ქვიშნარიც. მდიდარია მცენარეული საფარიც. ქვეყნის ტყეებში მრავლადაა როგორც წიწვოვანი, ისე ფოთლოვანი ხეები, ბევრია ნაკრძალი და სამონადირეო მეურნეობები. ტყეები გამოიყენება სურსათის წარმოებისთვისაც (გარეული ნადირის ხორცი, გარეული ხილი და სხვ.). ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, დიდი მდინარეები სანაოსნოა, აქვთ სარწყავი ფართობებიც, რომელზეც მოჰყავთ მარცვლეული კულტურები.

ჯერ კიდევ XII საუკუნეში არსებობდა ჩეხეთის ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ეწეოდა დამპყრობლურ ომებს: XI საუკუნეში მოხდა ჩეხეთისა და სლოვაკიის შეერთება. ქვეყანა სამი საუკუნის განმავლობაში ავსტრიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, 1914 წლის შემდეგ იგი დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. 1948 წელს ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმი დამყარდა.

ქვეყნის მოსახლეობა ორი ძირითადი ერისაგან—ჩეხებისა და სლოვაკებისაგან შედგება, მათ გარდა ცხოვრობენ გერმანელები, რუმინელები, მცირეოდენობით უნგრელები, ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 4/5.

ჩეხოსლოვაკია ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს განეკუთვნება, რამაც თავის მხრივ განაპირობა სოფლის მეურნეობის განვითარების მაღალი დონეც. სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოდის ქვეყნის ტერიტორიის 3/5, ხოლო სახნავზე—სავარგულთა 70%. სოფლის მეურნეობა კვების პროდუქტებით უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს, ხოლო გარკვეული რაოდენობის პროდუქცია ექსპორტზეც გააქვთ.

ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის განვითარება დიდად შეაფერხა

1945—1948 წლების რეფორმებმა, რომლის შედეგად მოხდა მსხვილი მიწათმფლობელების ლიკვიდაცია და მათ ნაცვლად შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები, კოლექტიური გაერთიანებები, მცირე მოცულობით დარჩა აგრეთვე ინდივიდუალური სექტორიც. ქვეყნის სოციალისტურმა სისტემამ და მისმა დამკვიდრებამ გამოიწვია წარმოების დაქვეითება, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობით ჩეხოსლოვაკია ჯერ კიდევ ვერ მიუახლოვდა ომამდელ დონეს. მოხდა არა მარტო მიწების, არამედ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნაციონალიზაცია, სსრკ-ის მსგავსად შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. ტექნიკის კონცენტრაციამ შეამცირა მათი გამოყენების კოეფიციენტი, სათანადოდ არ ხდებოდა მანქანათა პარკის განახლებაც. წარმოების განსაზოგადოებულ ფორმებზე გადასვლამ შეცვალა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია, მოაქცია იგი მკაცრი კონტროლის ქვეშ, რასაც აძლიერებდა წარმოების ე. წ. ბეგმიური ხასიათი. 50-იანი წლებისათვის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესი, რომელსაც ძალდატანებითი ხასიათი ჰქონდა, დამთავრებულად გამოცხადდა. 70-იანი წლებისათვის სახელმწიფო და კოლექტიური მეურნეობები ამუშავებდნენ სავარგულთა 97%, მხოლოდ 3% რჩებოდა ინდივიდუალურ სარგებლობაში. დაიწყო სავარგულთა გამთლიანების პროცესი, რომელმაც შთანთქა სპეციალიზაციის ბუნებრივად ჩამოყალიბებული საზღვრები. ქვეყნის ინდუსტრიულმა პოტენციალმა წარმოების სოციალისტური სისტემების დროსაც კი დადებითი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაში. ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობა აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებს შორის შედარებით სტაბილურობით ხასიათდებოდა. ძირითადი კულტურების მოსავლიანობა საკმაოდ მაღალი იყო, მათი მოვლა-მოყვანის სამუშაოების მექანიზაციის დონე დღესაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპაში.

სოფლის მეურნეობის ენერგეტიკულმა ბაზამ განაპირობა ენერგოშეიარაღების მაღალი დონე, რომლის მაჩვენებელი 51 ცხენის ძალას შეადგინა, ამან დადებითად იმოქმედა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაზე, სწორედ ამიტომ სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა უდიდესი ნაწილი მომგებიანი იყო.

ომამდელ ჩეხოსლოვაკიაში დიდ ყურადღებას აქცევდნენ მიწების ნაყოფიერების ამაღლებას, დამუშავებული ჰქონდათ თესლბრუნვების რაციონალური სისტემები. ყურადღება ექცეოდა მიწების მელიორაციას, ქმნიდნენ ტექნიკას სამთო მიწათმოქმედებისათვის. ეს ტრადიციები გაგრძელდა წარმოების სოციალისტური წესის პირობებშიც.

თუმცა გატარებული ღონისძიებათა ეფექტიანობა გაცილებით ნაკლები იყო.

დღეს ჩვეულის სოფლის მეურნეობის განვითარების მაგისტრალური ხაზი ინტენსიფიკაციაა, ვინაიდან ჩეხოსლოვაკია განეკუთვნება ძცირემიწიან ქვეყნებს (სახნავი ერთ სულზე გაანგარიშებით 0,26 ჰექტარია), ამიტომ აუცილებელია რაციონალური მიწათმოქმედება. ისეთი მაჩვენებლებით როგორიცაა ენერგოშეიარაღება ან მინერალური სასუქების გამოყენების დონე 1 ჰა-ზე გაანგარიშებით, ჩეხოსლოვაკია პირველ ადგილზე დგას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებიც საკმაოდ მაღალია.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცხოველეობის განვითარებას. დარგმა მიიღო ინდუსტრიული ხასიათი, გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის ნახევარი შეადგინა, ხოლო ქვეყნის სასაკონლო პროდუქციაში მისი ხვედრითი წილი 2/3-მდე გაიზარდა. ჩეხოსლოვაკიას მეცხოველეობის მზა პროდუქცია გააქვს მსოფლიო ბაზარზე. ამ დარგის განვითარებას საფუძვლად უდევს რაციონალური საკვები ბაზის შექმნა, იგი წარმოების ინდუსტრიულ მეთოდებს ემყარება, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (3,6 მილიონი), რომელთა პროდუქტიულობა საკმაოდ მაღალია (4000 ლიტრი), ცხვარი (4 მილიონი) და საკმაოდ დიდი რაოდენობით—ღორი (5,1 მილიონი). მეცხოველეობა წარმოდგენილია მსხვილი კომპლექსების სახით, პირუტყვი ძოვებაზე ჰყავთ, ხოლო ზამთარში ბაგურ კვებაზე. კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა, ქათმის ხორცი და კვერცხი გააქვთ ექსპორტზე.

მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, ჩეხოსლოვაკიას ჯერ კიდევ შემოაქვს ხორბალი, თუმცა უკანასკნელი წლების მონაცემები მეტყველებენ, რომ ის შესძლებს ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას საკუთარი წარმოებით, თუ მოახდენს სავარგულთა ტრანსფორმაციას (საჭიროა საძოვრების ხარჯზე გაიზარდოს სახნავი ფართობები).

ხორბლის წილად მოდის მარცვლეულისათვის დაჰუშავებული მიწების მთელი ფართობის 1/3, ყოველწლიურად აწარმოებენ 4,5 — 5 მლნ. ტონა ხორბალს, მთლიანად მარცვლის წარმოება 6,5—7 მლნ. ტონაა. ვარაუდობენ, რომ 1995 წლისათვის ხორბლის წარმოება 6 მლნ. ტონამდე გაიზრდება, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას. მარცვლეულ კულტურებში მეორე ადგილზეა ქერი, რომელსაც იყენებენ როგორც ლუ-

დის წარმოებაში, ასევე ფურაჟად. ქერის გავრცელების ძირითადი რეგიონია სლოვაკია, კერძოდ, მისი მთიანი და მთისწინა კალთები, თუმცა იგი გავრცელებულია ჩეხეთის ტერიტორიაზეც, მოჰყავთ აგრეთვე ჰვავიც.

კარგი ტრადიციები აქვს შაქრის ჭარხლის წარმოებას. (1985 წელს აწარმოეს 3,2 მილიონი ტონა), ამ მხრივ ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა ევროპაში. შაქრის ჭარხლის ნათესები დნეპრისპირეთის დაბლობის ჩრდილოეთითაა გაადგილებული. აღნიშნული კულტურის ბაზაზე განვითარებულია შაქრის წარმოებაც, რომლის გარკვეული ნაწილი ქვეყანას გააქვს საზღვარგარეთ.

ჩეხოსლოვაკიაში, ისევე როგორც ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, კარტოფილს როგორც კვების პროდუქტს, გარკვეული ხვედრითი წილი აქვს. ქვეყანა თავის მოთხოვნებს იკმაყოფილებს საკუთარი წარმოებით, რომლის მოცულობა 2,7 მლნ. ტონას აღემატება. ამ კულტურის ფართობები ძირითადად თავმოყრილია სამხრეთ ჩეხეთში—მორავიის დასავლეთით და სლოვაკიის აღმოსავლეთ ნაწილში. კარტოფილი მოჰყავთ ინდუსტრიული მეთოდებით. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწეული მოსავლის 90% გამოიყენება დანიშნულებით, მხოლოდ 10% წარმოადგენს დანაკარგს, რაც ეფექტიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულია მევენახეობაც, რომელიც გაადგილებულია სამხრეთ-დასავლეთ სლოვაკიასა და მორავიაში. ყურძნისაგან ამზადებენ საუკეთესო ხარისხის თეთრ და წითელ სუფრის ღვინოებს, რომლებიც გარკვეული მოთხოვნით სარგებლობენ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში. მევენახეობის განვითარებას აქვს გარკვეული პერსპექტივებიც, განსაკუთრებით სლოვაკიის მთისწინა ზონაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდივიდუალურ სექტორზე გადასვლა გარკვეულად შეუწყობს ხელს მის შემდგომ განვითარებას. მისდევენ ნებაღლობას, რომლის გავრცელების ძირითადი რეგიონებია ცენტრალური ჩეხეთი. მოჰყავთ ვაშლი, მსხალი, ქლიავი. ამ უკანასკნელს იყენებენ აგრეთვე საკონსერვო წარმოებაშიც. სამხრეთ სლოვაკეთში წარმოდგენილია ატამი და გარგარი.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობაც. ისტორიულად, მეღორეობა მეცხოველეობის ტრადიციულ დარგად ითვლება. ამან განაპირობა ის, რომ დღეისათვის ღორის ხორცისა და ქონის წარმოებით ჩეხოსლოვაკია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპაში, მეღორეობის განვითარებამ სტიმული მისცა ხორცის მრეწველობის განვითარებას. კარგადაა წარმო-

დგენილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რასაც ხელს უწყობს შედარებით რბილი ჰავა, ჭარბტენიანობა, ბუნებრივი საძოვრების მაღალი პროდუქტიულობა. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს აქვს მერძეული და მეხორცული მიმართულება. მეცხვარეობა წარმოდგენილია კარპატების მაღალმთიან ზონაში, რომელსაც იყენებენ როგორც ზაფხულის საძოვრებს. ზამთრობით ცხვრის ფარებს ერეკებიან ბარად, სოფლებთან ახლო მდებარე მინდვრებზე. კარგად არის განვითარებული მეფრინველეობა, არსებობს მცირე და დიდი ზომის მეფრინველეობის ფაბრიკები, რომელთა უმრავლესობაც ავტომატიზებულია. ამ დარგში დანერგილია უნარჩენო ტექნოლოგია. აწარმოებენ ქათმის ხორცს, კვერცხს (დიდი რაოდენობით), ბუმბულს. მეფრინველეობას მისდევენ აგრეთვე პირად დამხმარე მეურნეობებში. ჩეხოსლოვაკია მთლიანად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქციაზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმების შეცვლამ, რომელიც დაიწყო 1989 წლიდან, თვისობრივი ცვლილებები მოახდინა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობაში. აღდგენა დაიწყო მეურნეობის ტრადიციულმა სპეციალიზაციამ. წარმოებამ მიიღო მიზნობრივი ხასიათი, ინტერესების მიხედვით შეიქმნა მარტივი სახის კოოპერაციული გაერთიანებები, რომლებშიც მსხვილ მეურნეობებთან ერთად გაერთიანდნენ წვრილი მიწათმფლობელებიც. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ სტაბილური გახადა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები. არის პირობები იმისათვის, რათა ჩეხოსლოვაკია სასოფლო-წარმოების თვალსაზრისით გახდეს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების კადრებით უზრუნველყოფას ემსახურება რამდენიმე სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც უშვებენ სპეციალისტებს არა მარტო საკუთარი, არამედ განვითარებადი ქვეყნებისთვისაც. მაღალ დონეზე დგას სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაც, რომელიც უმთავრესად უმაღლეს სასწავლებლებშია თავმოყრილი. აქვთ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაც, რომლის პროდუქციის ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ.

უნგრეთი

უნგრეთი მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში. მას შუაზე ჰყოფს მდინარე დუნაი. იგი ე. წ. სოციალისტური ქვეყნების ბანაკის წევრი იყო და განვითარებული სოფლის მეურნეობით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში წამყვან ფუნქციას ასრულებდა. უნგრეთი პატარა ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი ტერიტორია 93 ათასი

კვ. კმ-ია, მოსახლეობა—11 მილიონი. იგი ერთხაციონალური სახელმწიფოა, მაცხოვრებელთა 97% უნგრელებია, დედაქალაქია—ბუდაპეშტი.

უნგრეთის ტერიტორიის ნახევარი ვაკეა და ძირითადად ეკვრის მდინარე დუნაის ნაპირებს, სადაც გავრცელებულია შავმიწა ნიადაგები. კლიმატი მშრალია, ხმირად გვალვიანიც. იგი ტიპიურია ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის. მზის აქტივობა წლის განმავლობაში მერყეობს 1800—2100 საათამდე. დამახსიათებელია მკვეთრი ტემპერატურული ცვლილებები, რაც ჩრდილოეთიდან შემოჭრილი ცივი პაერის მოქმედების შედეგია. ვეგეტაციის პერიოდში დიდია ტემპერატურული რყევის ამპლიტუდა. მაგალითად, დუნაის აღმოსავლეთ ნაწილში ტემპერატურა 10—15%-ით მეტია, ვიდრე მის დასავლეთ ნაწილში, რაც თავის გამოხატულებას პოულობს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაში. ნალექების მაქსიმუმი მოდის ივნისის და ოქტომბრის თვეებზე და საშუალოდ 800—1000 მმ ფარგლებში მერყეობს. წყლის დეფიციტის შევსება ხდება მიწისქვეშა წყლების ხარჯზე. ქვეყნის მთავარი მდინარეა დუნაი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე. მაღალია ურბანიზაციის პროცესი, ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 80%-მდე, გარდა უნგრელებისა სამხრეთ რაიონებში ცხოვრობენ რუმინელები, მკირე ოდენობით წარმოდგენილია ავრეთვე გერმანელებიც.

ომამდელი პერიოდის უნგრეთის ეკონომიკას აგრარულ-ინდუსტრიული ხასიათი ჰქონდა. სოფლად ცხოვრობდა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი, საექსპორტო პროდუქციის 2/3 მოდიოდა სოფლის მეურნეობაზე. ომამდელ უნგრეთში სოფლის მეურნეობაში წარმოდგენილი იყო მეურნეობების ორი ტიპი: მსხვილი მემამულური და წვრილგლეხური. გლეხების მესამედს არ გააჩნდა საკუთარი მიწა და იჯარით მეშაობენენ მენაბულეებთან. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპები საკმაოდ მაღალი იყო.

წარმოების სოციალისტურ წესზე გადასვლას, არ მოჰყვა დადებითი თვისობრივი ცვლილებები, მისი დამკვიდრება მტკივნეულად მიმდინარეობდა, პირველ ეტაპზე დაშვებული იყო შერეული ტიპის მეურნეობების არსებობაც. მსხვილი მემამულური მეურნეობების ბაზაზე შექმნეს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლის პარალელურად მოქმედებდნენ წვრილი გლეხური მეურნეობებიც. 1955 წლიდან დაიწყო კოლექტივიზაციის პროცესი, რომელმაც მთლიანად მოიცვა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები. ამ პერიოდიდან იწყება დიდი ჩავარდნები სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-

ციის წარმოებაში, შემცირდა არა მარტო წარმოებული პროდუქციის მოცულობა, არამედ დაქვეითდა მისი ხარისხი. აგრარული ხასიათის რეფორმებს, უმთავრესად ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა. ცხადია არც ამ ღონისძიებებს მოჰყოლია სასურველი შედეგი. 80-იანი წლების დამლევს დაწყებულმა გარდაქმნებმა, წარმოების სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციამ, ახლებურად დააყენა მეურნეობრიობის საკითხები. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინებისათვის. გაუქმდა მიწაზე და წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო მონოპოლია, მიწა გადავიდა უშუალოდ დამმუშავებლის ხელში, რამაც წარმოების დონე მნიშვნელოვნად აამაღლა. 1990 წლისათვის უნგრეთის სოფლის მეურნეობამ პირველად ქვეყნის ისტორიაში საერთო პროდუქციის წარმოებით გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედეგები დიდადაა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. მიუხედავად მცირე ტერიტორიისა უნგრეთში არის გვალვიანი და უხვტენიანი სასოფლო-სამეურნეო ზონები, ტემპერატურული რეჟიმიც ცვალებადია, ამიტომ საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციის საკითხები ყოველთვის დღის წესრიგში დგას.

ღღეისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორიენტაცია ასეთია: 1. ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებით დაკმაყოფილება და გაღამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა. 2. საექსპორტო ხასიათის პროდუქციის დამზადება, პირველ რიგში ევროპის ქვეყნებისათვის.

საუკუნის დასაწყისისათვის უნგრეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის დამახასიათებელი იყო როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური გზა. დღეისათვის განვითარების ექსტენსიურმა გზამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა. დამატებითი ფართობის ათვისების შედეგად მაინც არ გაიზარდა მოსახლეობის მიწით უზრუნველყოფა, ვინაიდან მოსახლეობის ზრდის ტემპები წინ უსწრებდა დამატებითი ფართობების ათვისებას (ღღეისათვის, ერთ სულზე მოდის 0,32 ჰა სახნავი და 0,49 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, ეს მაჩვენებელი საშუალო ევროპულზე დაბალია). წარმოების ინტესიფიკაციის ძირითადი ელემენტი არის ქიმიზაცია. ერთ ჰა-ზე გაანგარიშებით ნიადაგში შეაქვთ 275 კგ. მინერალური სასუქი, რაც ევროპული მასშტაბითაც საკმაოდ მაღალია. სავარგულთა კონფიგურაცია საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს კომპლექსური მექანიზაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შრომის ნაყოფიერებას. მექანიზაციის საკმაოდ მაღალი დონეა ჭარხლის წარმოებასა და მეკარტოფილეობაში. წეს-

ოიგში მოდის მელიორაციულ ნაგებობათა სისტემა. დღეისათვის, ირწყვება სავარგულთა მხოლოდ 7%, რომელთა ხვედრითი წილი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციაში 13,6%-ია. უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მატების საშუალო წლიურმა ტემპმა 5% შეადგინა, რაც ევროპული მასშტაბითაც საკმაოდ მაღალია.

უნგრეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, მაგრამ მის პროფილს მაინც განსაზღვრავს მარცვლეული კულტურები, რომელთა შორის მთავარია ხორბალი და სიმინდი. ხორბალი მოჰყავთ თითქმის ყველგან, განსაკუთრებით დუნაის შავმიწანიადაგიან ზონაში, სადაც შედარებით კარგი პირობებია. ხორბლის მოსავლიანობა ჰექტარზე 40—42 ცენტნერს შეადგენს, რაც ერთ-ერთ საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება ევროპაში. ხორბლის წარმოების თვალსაზრისით უნგრეთი არა მარტო იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, არამედ გააქვს კიდევაც ევროპის ქვეყნებში (საერთო მოსავალი 5,8 მლნ. ტონას უდრის).

მაღალრენტაბელურია სიმინდის წარმოებაც, მისი მოვლა-მოყვანა მთლიანად ინდუსტრიულ საფუძველზეა დაფუძნებული. იგი გაადგილებულია დუნაისპირეთის დაბლობში. მექანიზაციის გამოყენების მაღალმა დონემ, ქიმიზაციამ, საშუალება მისცა ქვეყანას სიმინდის მოსავლიანობა 50 ცენტნერამდე აეყვანა. რაც აგრეთვე ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია ევროპაში (საერთო წარმოება 2,5 მლნ. ტონაა). უნგრეთში სამარცვლე სიმინდს ძირითადად ხმარობენ პირუტყვის კომბინირებულ საკვებად, თუმცა სოფლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მას საკვებადაც იყენებს.

ქვეყანაში შედარებით კარგი პირობებია შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის წარმოებისათვის. შაქრის ჭარხალს იყენებენ როგორც შაქრის წარმოებისათვის, ისე პირუტყვის საკვებადაც. უნგრეთი შაქარზე თავის მოთხოვნილებას იკმაყოფილებს. მებოსტნეობაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს წითელ წიწაკას, რომლითაც ქვეყანამ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან გაითქვა სახელი. ამ პროდუქციის წარმოებას სამრეწველო ხასიათი აქვს. ყველა პროცესი, გარდა შერჩევითი კრეფისა, მექანიზაციის საშუალებით ხორციელდება, მისგან ამზადებენ ხმელ სუნელს, იყენებენ საკონსერვო წარმოებაში, დიდი რაოდენობით ხმარობენ ნატურალური სახითაც. აღნიშნული პროდუქცია გადამუშავებული სახით გააქვთ მსოფლიო ბაზარზე. მოწონებით სარგებლობს უნგრული არომატული ხახვი, რომელიც ექსპორტის საგანს წარმოადგენს. მოჰყავთ მაღალხარისხოვანი პამიდორი, რომე-

ლიც კარგად ექვემდებარება მცირე ხნით შენახვასა და ტრანსპორტირებას.

უნგრეთში კარგადაა განვითარებული მებაღეობა და მევენახეობა, რომელთა წარმოებისათვის კარგ კლიმატურ ფონს ქმნის მზიანი ზაფხული. მაღალ დონეზე აქვთ დამუშავებული აღნიშნული კულტურების მოვლა-მოყვანის აგროტექნიკაც. არსებობს მათი გადამუშავების ტრადიციული ტექნოლოგია, რის შედეგადაც ქვეყანა გახდა ღვინისა და ხილის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორი ევროპაში. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს ღვინოები: „ტოკაი", „ბადაჩინი" „ეგრიბიკერი", „ასუ" და „სამაროდნი". არსებობს გოეთეს ხატოვანი გამოთქმა ტოკაის ღვინოებზე: „ტოკაის ღვინო ღვინოების მეფეა და მეფეების ღვინო".

ევროპულ ბაზარზე დიდი მოწონებით სარგებლობს უნგრული ხილი: ვაშლი, ატამი, ქლიავი, მსხალი, ალუბალი, რომლებიც სხვა ქვეყნებში გააქვთ როგორც ნატურალური, ისე გადამუშავებული სახით. ხილითა და ხილის პროდუქტით უნგრეთი ტრადიციულად ამარაგებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს: გერმანიას, შვეიცარიას, ბელგიას, დანიას, ჰოლანდიას, სკანდინავიის ქვეყნებს, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც შემოჰქონდათ უნგრული ღვინოები და ხილი, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობდნენ. ხილის საერთო წარმოება 2,5—3 მლნ. ტონაა წელიწადში.

მეცხოველეობის განვითარება განპირობებულია არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ სპეციფიკითაც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უნგრეთი მდებარეობს ევროპის ცენტრში, ისეთი ქვეყნების სიახლოეს (გერმანია, ავსტრია), რომლებიც საკვებად ყველაზე მეტად ხმარობენ ღორის ხორცს. სწორედ ამიტომ მეღორეობა უნგრეთის მეცხოველეობაში წამყვან როლს ასრულებს, უკანასკნელი მონაცემებით ღორის სულადობა 9 მლნ. აღწევს. თვით უნგრელებისათვის ღორის ხორცი კვების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს. კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობაც. უნგრული წარმოების ძეხვი მსოფლიოში დელიკატესად ითვლება. მეღორეობის შემდეგ მეორე ადგილზეა მესაქონლეობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი), პირუტყვის სულადობა 2,5 მილიონია. მერძეულ მეცხოველეობას ინდუსტრიული საფუძველი აქვს, მაღალია პირუტყვის პროდუქტიულობაც, საშუალო წველადობა 3,500—4,000 ლ. წელიწადში, რაც კარგ მაჩვენებლად ითვლება. უნგრეთი მთლიანად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს რძესა და რძის პროდუქტებზე.

ბოლო წლებში განვითარების კარგი საფუძვლები შეექმნა მეფრინველეობას, რომელიც სამრეწველო საფუძველზეა დამყარებული. ფრინველის ხორცი, კვების ძირითადი რაციონის შემადგენელი ნაწილია. დაკლული სახით ქათმის ხორცი გაიქვთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. მაღალ დონეზეა კვერცხის წარმოებაც, კვერცხმდებლობის საშუალო მაჩვენებელი 300 ცალია წელიწადში.

სოციალისტური სისტემის პირობებშიც კი უნგრეთის სოფლის მეურნეობა განვითარების მაღალი დონით ვამოირჩეოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. ღღეისათვის, მის განვითარებას ახალი სტიმული მიეცა ქვეყნის მთლიანი ინდუსტრალიზაციის სახით, რომელმაც შესაბამისი ბიძგი მისცა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებას.

უნგრეთში, ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში შეიქმნა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, რომელთა პოპულარობა ევროპაში დღესაც საკმაოდ მაღალია. არსებობს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, რომლებიც წარმატებით წყვეტენ მეცხოველეობისა და მემცენარეობის საკითხებს. უნგრელი სპეციალისტები დღესაც მუშაობენ განვითარებად ქვეყნებში.

რუმინეთი

რუმინეთი მდებარეობს ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იგი სოციალისტური ქვეყნების ბანაკის ყოფილი წევრია, რომელიც მსოფლიო რუკაზე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

რუმინეთის ტერიტორია 237,5 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—22 მილიონი. ამ მონაცემებით იგი განეკუთვნება საშუალო სიდიდის ევროპელ სახელმწიფოს. იგი შავი ზღვის აუზის ქვეყნების რიცხვში შედის, დედაქალაქი—ბუქარესტი.

რუმინეთის ტერიტორიაზე განლაგებულია სრულიად განსხვავებული ბუნებრივი ზონები, ალპური საძოვრებიდან და ტყის მასივებიდან დაწყებული, გვალვიანი სტეპებითა და ქვიშნარი დიუნებით დამთავრებული. ქვეყანას გააჩნია ნაყოფიერი დაბლობების დიდი სივრცეები, რომლებიც ფენიჭის შიმთხვევაში წარმოადგენენ შავმიწებს. მთიანი და ბორცვიანი რაიონები განეკუთვნებიან კარპატების მთიან სისტემას, მათ წილად მოდის ქვეყნის ტერიტორიის 2/3.

რუმინეთის კლიმატი ზომიერ-კონტინენტურია. დაბლობში ზამთარი შედარებით მოკლეა და თბილი, იანვრის საშუალო ტემპერატურა მინუს 3°-ია, იცის ადრეული გაზაფხული, რომელიც უმეტესად წვიმიანია, ზაფხული—ცხელი და მშრალი, ივლისის ტემპერატურა 25—27°-ია, ხოლო შემოდგომა—თბილი და ნაკლებ ნალექია-

ნია. ყოველივე ზემონათქვამი ქმნის პირობებს, ზომიერი სარტყლის სითბოს მოყვარული მცენარეების გავრცელებისათვის. ნიადაგური საფარი განსხვავებულია—დაბლობში ჭარბობს შავი, მთის კალთებზე — რუხი ტყის ნიადაგები. რუმინეთი მდიდარია წყლის ენერგიის რესურსებით, მდინარეები უმთავრესად იწყება კარპატებში და მდინარე დუნაისთან ერთად ქმნის წყლის რესურსების ხელსაყრელ ქსელს. ქვეყანას ტყის დიდი მარაგი აქვს, ტერიტორიის 1/4 ტყეებს უკავია, რომლებიც კარგ პირობებს ქმნიან ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობისათვის, ამ უკანასკნელს საწარმოო მნიშვნელობაც აქვს.

ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები კარგ ფონს ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვს. ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, წარმოების სოციალისტურმა სისტემამ რამდენადმე შეაფერხა სოფლის მეურნეობის დამოკიდებული განვითარება, ტრადიციულ ელეგურ-ნებამყოფელი მეურნეობა შეიცვალა სახელმწიფო და კოოპერაციული მეურნეობებით. მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების განსაზოგადოებამ გამოწვია მწარმოებლების ინტერესების შთანთქმა, ამან კი საბოლოო საწარმოო შედეგი დაამუხრუჭა. მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, რუმინეთის სოფლის მეურნეობა, განვითარების ტემპებით საგრძნობლად ჩამორჩებოდა მეზობელი კაპიტალისტური ქვეყნების მაჩვენებლებს, დაირღვა ტრადიციული სპეციალიზაცია. ლოზუნგმა „დაწარმოოთ ყველა სახის საჭირო პროდუქცია“ შედეგი არ გამოიღო. მდიდარი ბუნებრივი შესაძლებლობის ქვეყანა, ძლივს ართმევდა თავს საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებითაც კი, აქ ყველაზე ღაბალი იყო ენერგოშეიარაღებისა და ენერგოუზრუნველყოფის მაჩვენებლები და აქედან გამომდინარე, შრომის ნაყოფიერება. ცუდად იყო განვითარებული სასაწყობო მეურნეობის სისტემა, მოწეული მოსავლის 20 — 22% იკარგებოდა. ჩანასახ მდგომარეობაში იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ამ მხრივ ივი 70%-ით დამოკიდებული იყო სსრკ-ზე და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე.

ოდითგანვე, რუმინეთის სოფლის მეურნეობისათვის წამყვანი დარგი იყო მეცხოველეობა, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკისათვის ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ადრეულ პერიოდში ცხოველებს იყენებდნენ ფულად ექვივალენტად მიწების ყიდვისას და გადასახადების გადახდისას. მთიან ადგილებში მეცხოველეობა იყო მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა, მესაქონლეობას უმთავრესად მომ-

თაბარე ხასიათი ჰქონდა, ზამთრობით პირუტყვი ბაგურ კვებაზე ჰყავდათ, ზაფხულობით კი იყენებდნენ მთიან საძოვრებს. ჩამოყალიბდა პირუტყვის კვების შერეული სისტემებიც: მაგალითად, გლეხები აერთიანებდნენ თავიანთ პირუტყვს ჯოგებად, ზაფხულის საძოვრების ერთობლივი გამოყენების თვალსაზრისით, შემოსავალი და ხარჯებიც ნაწილდებოდა პირუტყვის რაოდენობის პროპორციულად.

XIX საუკუნის შუა პერიოდიდან იწყება მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარება, რომელმაც თანდათანობით მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის მეორე დარგად აქცია. ჩამოყალიბდა მიწათმოქმედების ისეთი სისტემა, რომელიც შედარებით უკეთეს საწარმოო ეფექტს იძლეოდა. მაგალითად, მთიან ზონაში დამკვიდრებული იყო ორ-მინდვრიანი, ხოლო დაბლობ ზონაში სამმინდვრიანი სისტემები. ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენდა სორგო, მხოლოდ XVII საუკუნეში გამოჩნდა სიმინდი, რომელმაც თანდათანობით დაიკავა წამყვანი მდგომარეობა. დაიწყეს ქერის, ხორბლის, ჭვავის დათესვა, გამოჩნდა ტექნიკური კულტურებიც: მზესუმზირა, სელი და სხვ. განვითარდა მევენახეობა და მებაღეობა, კარგი პირობები შეექმნა მეფუტკრეობასაც. XVIII საუკუნიდან დაიწყო მეაბრეშუმეობის განვითარებაც, რომელიც თურქეთიდან გავრცელდა.

XIX საუკუნიდან რუმინეთმა დაიწყო სასაქონლო მარცვლეულის წარმოებაც, რომელიც მსხვილ პარტიებად გაჰქონდათ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ომის წინა პერიოდში რუმინეთის სოფლის მეურნეობაში შეიმჩნეოდა განვითარების კარგი ტემპები, გაიზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა, მომრავლდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, ამაღლდა მათი პროდუქტიულობა.

1948 წლიდან გატარდა მიწების ნაციონალიზაცია. დაიწყო სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც ძალზედ მტკივნეულად მიმდინარეობდა. მიწების 90% განსაზოგადოებული იქნა, მათ შორის სახნავის 95%, მხოლოდ 5% დარჩა კერძო სექტორში.

წარმოების სოციალისტური წესის დამკვიდრება ხდებოდა ძალდატანებით, მანკიერი მეთოდების გამოყენებით, შემცირდა პროდუქციის წარმოება, დაეცა შრომის ნაყოფიერება. მიუხედავად იმისა, რომ ორგზის გატარდა აგრარული რეფორმა, ქვეყანას დაემუქრა შიმშილის საფრთხე, რამაც გაზარდა ხალხის უკმაყოფილება და იგი აღდგა ტირანიის წინააღმდეგ. 1990 წლის ზაფხულში ბოლო მოეღო კომუნისტების ბატონობას, შეიქმნა გარკვეული პირობები საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის. ამ მოკლე დროში გატარდა მნიშვნელოვანი რეფორ-

მები, მაგრამ მდგომარეობა ჯერ კიდევ არასტაბილურია. 100 ჰა სავარეულზე პროდუქციის წარმოების მხრივ რუმინეთი ევროპულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იმყოფება (ალბანეთთან ერთად). იგივე მდგომარეობაა მეცხოველეობაშიც, ჯერ კიდევ დაბალია წველადობის ნაჩვენებელი, ხორცის, მატყლისა და კვერცხის წარმოება. საჭიროა რადიკალური ღონისძიებების გატარება, წინააღმდეგ შემთხვევაში კრიზისის დაძლევა ძალზედ გაჭირდება.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს 15 მლნ. ჰა, მათ შორის მაღალია სახნავის ხვედრითი წილი (70%), უახლოეს პერსპექტივაში, მემცენარეობაში წამყვანი გახდება მარცვლეული კულტურები, რუმინეთს აქვს ყველა პირობა, რათა გახდეს ხორბლის მწარმოებელი ერთ-ერთი მსხვილი რეგიონი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის. სიმინდის კულტურას აქ კარგი ტრადიციები აქვს. რუმინელები ვანეკუთვნებიან ჩსოფლიო მოსახლეობის იმ მცირერიცხოვან ხალხებს, რომლებიც სიმინდის ფქვილს (ქართველების მსგავსად) იყენებენ საკვებად. მესიმინდეობა დიდ როლს ასრულებს აგრეთვე მერძეული მიმართულების მეცხოველეობის განვითარებაში.

კარგი პირობებია ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის, განსაკუთრებით მაღალ შედეგს იძლევა მზესუმზირის წარმოება, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ოდითვანვე გაპქონდათ სხვა ქვეყნებში მზესუმზირის ზეთი, ამ მაჩვენებლით რუმინეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში (ყოფილ სსრკ-ისა და არგენტინის შემდეგ). კარგი პერსპექტივები აქვს შაქრის ჭარხლის წარმოებას, ქვეყანა სრულიად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას შაქარზე. მოჰყავთ აგრეთვე თამბაქო, სელი, ეთერზეთები. უკანასკნელ წლებში ინტენსიურად დაიწყეს საკვები კულტურების წარმოებაც, რომელიც მეცხოველეობისათვის მყარი საკვები ბაზის შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა.

როგორც ყველა სამხრეთულ ქვეყანაში, რუმინეთშიც მოჰყავთ კარტოფილი, იგი თითქმის ყველა რეგიონშია გავრცელებული და მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, კარტოფილის წარმოების მოცულობა 3,5—4 მლნ. ტონაა წელიწადში, კარგი პერსპექტივა აქვს ბოსტნულ-ბაღჩეული კულტურების წარმოებას, რომელიც ძირითადად მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონაშია განვითარებული. ინტენსიურად დაიწყო სათბურების მშენებლობაც, ვარაუდობენ რომ აღნიშნული კულტურების წარმოების მოცულობის გადიდება რუმინეთს საშუალებას მისცემს გაიტანოს იგი საექსპორტოდ.

განვითარებულია მევენახეობა, რომელსაც ხელს უწყობს ქვეყნის თბილი, ზომიერი კლიმატი. აწარმოებენ საღვინე ყურძენს, რომლის ბაზაზეც ინტენსიურად ვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა. კარგი პერსპექტივები აქვს ხილის წარმოებასაც, ქვეყანაში ყველა პირობა არსებობს იმისათვის რათა რუმინეთი გახდეს ხილის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, რუმინეთში მეცხოველეობა ოდითგანვე ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. დღეისათვის, მეცხოველეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხვარეობას. ცხვრის რაოდენობა 14 მლნ. სულს შეადგენს, ამ მიხვენებლით ქვეყანა მესამე ადგილზეა ევროპაში, ინგლისისა და ესპანეთის შემდეგ, ხოლო მატყლის ექსპორტი რუმინეთის სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვანი ელემენტია. დასახული პროგრამის მიხედვით, მაღალი ტემპებით უნდა განვითარდეს მერძეული და მეხორცული მეცხოველეობა, მიეცეს მას სამრეწველო ხასიათი, ამისათვის რუმინეთში კარგი პირობებია, უპირველესად საკვები ბაზის სახით. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 8,7 მლნ. უდრის.

დღევანდელი რუმინეთის სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ინდივიდუალური ფერმერული წარმოებით. თუმცა ჯერ კიდევ დარჩა მსხვილი სახელმწიფო მეურნეობები, რომლებიც თავის დროზე მემამულური მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა. დასახულია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარებაც, ვარაუდობენ, რომ ამ საუკუნის ბოლოს, რუმინეთი გახდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ერთ-ერთი მსხვილი ქვეყანა ევროპაში. ქვეყანაში არსებობს კვალიფიციური კადრების მომზადების საკუთარი ბაზა, ამ მიზანს ემსახურება 10-მდე უმაღლესი სასწავლებელი. იგი მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას არა მარტო უმაღლესი, არამედ საშუალო სპეციალური განათლების მქონე კადრებზეც. აქვთ მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც, რომლებიც კომპლექსურ კვლევას ეწევიან.

ბულგარეთი

ბულგარეთის რესპუბლიკაც სოციალისტური ქვეყნების ბანაკის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო. კომუნისტური ბატონობის პერიოდმა დიდი ზიანი მიაყენა მის ეკონომიკას და მათ შორის სოფლის მეურნეობასაც, თუმცა სოციალისტური მეურნეობის სისტემაში ბულგარეთის სოფლის მეურნეობა შედარებით მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდა.

ბულგარეთი ტერიტორიის სიდიდით ევროპული ტიპის პატარა ქვეყანაა, რომელიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, მისი ტერიტორია 111 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა 9 მლნ. დედაქალაქია—სოფია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აქვს ქვანახშირი, ნავთი, რკინა, ბარიტი და ა. შ. ბულგარეთი მაინც არ ითვლება რესურსების მქონე მდიდარ ქვეყანად. მისი ფუნქციონირება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, განპირობებულია უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო წარმოებით, რომლის ნაწილიც გააქვთ საზღვარგარეთ, პირველ რიგში ყოფილ სსრკ-ში.

ქვეყნის ბუნებრივი პირობები ხელსაყარელია მრავალმხრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, რაც გულისხმობს ნიადაგობრივ-კლიმატურ, რელიეფურ და სხვა ფაქტორებს. ტერიტორიის 2/3 მდებარეობს ზღვის დონიდან 500 მეტრის სიმაღლეზე, ეს ზონა ყველაზე ხელსაყრელია მიწათმოქმედებისათვის. მხოლოდ 13% მდებარეობს 1000 მ-ზე ზევით და იგი გამოიყენება მომთაბარე მეცხოველეობის განვითარებისათვის. ბულგარეთს ორ ნაწილად ჰყოფს სტარა-პლანანის მთიანი სისტემა, ჩრდილოეთი თითქმის ვაკეა და წარმოადგენს სახნავ მიწებს, სადაც ტყის მასივები ნაკლებადაა, ეს ზონა ქვეყნის ტერიტორიის 1/4 შეადგენს. სამხრეთი ძირითადად მთიანია, რომელშიც შეჭრილია ზემო ფრაკიის დაბლობი. ბულგარეთი შედარებით კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მათ შორის გრუნტის წყლებითაც, რაც ესოდენ საჭიროა კულტურული მიწათმოქმედებისათვის. ქვეყანა განეკუთვნება შავი ზღვის აუზს, სანაპიროს სიგრძე 378 კმ-ია, ზღვის გავლენით ქვეყნის კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელია. ყველაზე ცხელი თვის საშუალო ტემპერატურა +23 +25°, ხოლო იანვრის თვის —+2—3°.

ბულგარეთის ნიადაგობრივ—მცენარეული საფარი მრავალფეროვანია. ძირითადად წარმოდგენილია ნიადაგების სამი ტიპი. პირველს განეკუთვნება დუნაის აუზის შავმიწანიადაგიანი და ტენიანი ზონა, მეორე ზონაში ჭარბობს ყავისფერი და შავმიწანიადაგების განსაკუთრებული ტიპი, მესამეს—ტყის მუქი და მთიანი ალპური მიწების ზონა. დამუშავებაშია 3 მლნ. ჰა მიწის ფართობი, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 0,3 ჰა-ს უდრის. მცირემიწიანობა იწვევს ინტენსიური მიწათმოქმედების აუცილებლობას. დუნაისპირა დაბლობი და ფრაკიის ვაკე წარმოადგენს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარ ბაზას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხარე წყლის რესურსების ნაკლოვანებას განიცდის. განსაკუთრებით მცირეა ნალექების რაოდენობა

მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდში. ამიტომ, ფართოდაა გავრცელებული ხელოვნური მორწყვა, რისთვისაც იყენებენ არა მარტო მდინარის, არამედ გრუნტის წყლებსაც. (აღსანიშნავია, რომ მდინარე დუნაის წყლის სარწყავად გამოყენება გაძნელებულია, რადგან მდინარის სანაპირო, რომელიც ბულგარეთის საზღვარზე გადის, მთიანია და მოითხოვს დამატებითი ნაგებობის მშენებლობას, რათა წყალი ამოიტუმბოს 50 და ზოგჯერ 100 მეტრის სიმაღლეზე).

ბულგარეთის მოსახლეობა არაერთგვაროვანია. ძირითადია ბულგარელები (80%), მათ გარდა ცხოვრობენ თურქები, ბერძნები, რუსები, უკრაინელები. ქალაქად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 60%.

საუკუნის დასაწყისში ბულგარეთის ეკონომიკა ევროპაში ერთ-ერთი ჩამორჩენილი იყო, რომელიც ძირითადად ოსმალეთის მრავალწლიანი ბატონობის შედეგი გახლდათ, მხოლოდ 900-იანი წლებიდან დაიწყო ქვეყნის დამოუკიდებელი განვითარება. იგი ევროპული ქვეყნებიდან ყველაზე გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. სოფლის მეურნეობაში ჭარბობდა წვრილგლეხური მეურნეობები, წარმოების ძალზედ პრიმიტიული დონით, ამიტომ ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლებული ბულგარეთი ხშირად ექცეოდა შედარებით განვითარებული ევროპული ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ქვეშ. მეორე მსოფლიო ომის წინ ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 80% იქმნებოდა სოფლის მეურნეობაში, რაც მისი განვითარების აგრარულ ტენდენციაზე მიუთითებდა. 1946 წლიდან ბულგარეთი დაადგა ე. წ. სოციალისტური განვითარების გზას, რომელმაც ისედაც გაჩანაგებულ სახალხო მეურნეობას მოუსპო ნორმალური განვითარების პერსპექტივები. არ მოჰყვა სასურველი შედეგები რამდენიმეჯერ ვანხორციელებულ ეკონომიკურ რეფორმებსაც, თუმცა წარმოების დონე ომამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც უპირველესად მსოფლიოში ტექნიკური დონის საერთო ამაღლების შედეგი გახლდათ.

სოფლის „სოციალისტურად" გარდაქმნა დაიწყო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების ვაერთიანებით, შეიქმნა კოლექტიური მეურნეობები და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. მიწისა და წარმოების საშუალებების განსაზოგადოებამ მინიმუმამდე შეზღუდა მწარმოებელთა ინტერესები, კოლექტიური შრომა გადაიქცა იძულებით შრომად, რამაც საყოველთაო ხასიათი მიიღო, სწორედ ამიტომ შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი ამ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. საქმეს ვერ უშველა აგრარულ-სამრეწველო კომპ-

ლექსების შექმნამაც, ვინაიდან ინფრასტრუქტურების შეცვლას წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა სასურველი ეკონომიკური ეფექტი.

მიუხედავად ამისა, ბულგარეთი საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე მთლიანად იკმაყოფილებდა და მისი ნაწილი გაჰქონდა კიდეც საზღვარგარეთ, რაც უპირველესად, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით იყო განპირობებული. მაგალითად, ერთ სულ მოსახლეზე ხილის, ბოსტნეულის, ყურძნის, მზესუმზირის წარმოების მხრივ ბულგარეთი ზოგიერთ განვითარებულ ევროპულ ქვეყნებსაც კი უსწრებდა.

მიწის საკარგულების სტრუქტურით ბულგარეთი ევროპული ქვეყნებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მისი ტერიტორიის 44% დამუშავებაშია, რაც ერთ-ერთი საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სახნავის ხვედრითი წილი მიწათმოქმედების ისეთ რაიონებში, როგორიცაა დუნაის დაბლობი 60—70% აღწევს, ხოლო შედარებით მთიან ზონაში — 20%. ხეხილსა და ყურძენს უჭირავს დამუშავებული მიწების 7—8% და ძირითადად თავმოყრილია სოფია-პლანინის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. მევენახეობა გავრცელებულია აგრეთვე დუნაის ნაპირზე და შავი ზღვის სანაპირო ზოლშიც.

ბულგარეთში წარმოდგენილია როგორც მემცენარეობა, ისე მეცხოველეობა. სათესი ფართობის 60%-ზე მეტი უჭირავს მარცვლეულს, კერძოდ, ხორბალს, სიმინდს, ქერს. საერთო მოსავალი 6 მლნ. ტონაა. საკმაო მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ტექნიკური კულტურებიც—14%, მოჰყავთ საკვები კულტურები, განსაკუთრებით სასილოსე სიმინდი და იონჯა, რომელთა ხვედრითი წილი სათეს ფართობში 20%-მდეა. მარცვლეულის წარმოებაში ქვეყანა ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან დაადგა განვითარების ინტენსიურ გზას, ჩამოყალიბდა მექანიზაციის ეფექტიანი სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსავლიანობის ზრდას, განსაკუთრებით ხორბლის წარმოებაში. ხორბლისა და ქერის მოსავლიანობამ 35, ხოლო სიმინდის — 40 ცენტნერი შეადგინა, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია ევროპაში. მარცვლეულის მაღალმა მოსავალმა ბულგარეთს საშუალება მისცა მთლიანად დაეკმაყოფილებინა ქვეყნის მოთხოვნილება პურზე და საფურაჟე მარცვლეულზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ბულგარეთში მაღალ დონეზეა განვითარებული მარცვლეულის სელექციაც, გამოიყვანეს მაღალპროდუქტიული ხორბლის ადგილობრივი ჯიში.

მდინარე დუნაის დაბლობზე კონცენტრირებულია მზესუმზირასა და შაქრის ჭარხლის მნიშვნელოვანი ნათესები, რომელთა დამუშავებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. მათი საკმაოდ მაღალი მოსავალი, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების საშუალებას იძლევა. საექსპორტოდ გააქვთ ზეთი, შაქარი და სხვ. პროდუქცია. საკმაოდ მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე ბულგარული თამბაქო, რომლის წარმოებაც 140—160 ათასი ტონაა წელიწადში, აქედან 65—70 ათასი ტონა ნედლეულისა და მზა პროდუქციის (სიგარეტების) სახით გადის საექსპორტოდ. ბულგარეთი ამზადებს ეთეროვან ზეთებს, მსოფლიოს ბაზარზე განსაკუთრებით ფასობს ბულგარული ვარდის ზეთი, რომლის წარმოებით ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. აღსანიშნავია, რომ ეთერზეთებისა და თამბაქოს წარმოებით ერთ სულზე გაანგარიშებით ბულგარეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

მსოფლიო სახელი მოიპოვა მებოსტნეობის მზა პროდუქციამაც. ბულგარეთში მოჰყავთ პომიდვრის, ხახვის, წიწაკის მოსავალი. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს ბულგარული ტომატები და მწნილის ასორტი. კარგადაა განვითარებული მეხილეობა, რომლის პროდუქციის დიდი ნაწილიც გააქვთ საზღვარგარეთ. ამ მხრივ ბულგარეთის ყველაზე დიდი პარტნიორი იყო ყოფილი სსრკ. ევროპაში ცნობილია ბულგარული ვაშლი, ატამი, ქლიავი, აგრეთვე სუფრის ყურძენი. ესპანეთსა და იტალიასთან ერთად ბულგარეთი ყურძნისა და ხილის ერთ-ერთი მსხვილი ექსპორტიორია ევროპაში.

ბულგარეთი საკურორტო ქვეყანაა, რაც თავის მხრივ მოითხოვს მეცხოველეობის განვითარებას. (კურორტებისათვის მალფუჭადი მეცხოველეობის პროდუქტების სხვა ქვეყნებიდან შემოტანა ეკონომიკურად არაა მიზანშეწონილი), სწორედ ამიტომ ბოლო ათწლეულში მეცხოველეობამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეფრინველეობას, რომელიც სამრეწველო საფუძველზეა განვითარებული. ამან ქვეყანას საშუალება მისცა გადაეწყვიტა ხორცის წარმოების პრობლემა. მეცხოველეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში იზრდება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლის რაოდენობა 3 მილიონია, ბაგურ კვებაზეა გადაყვანილი. პროდუქტიულობაც საკმაოდ მაღალია. რასაც ხელი შეუწყო საკვებმა ბაზამ. მსხვილი ფერმების უმრავლესობა მექანიზებულია, ბულგარეთის მთიან ზონაში მისდევენ მეცხვარეობას (5,5 მლნ. სული), რომლის პროდუქცია და პირველ რიგში მატყლი, მაღალხარისხოვანია. მეცხოველეობაში გარკვეული ხვედრითი წონი-

თაა წარმოდგენილი მეღორეობაც, რომლის პროდუქციაც ბეკონის სახით გააქვთ საექსპორტოდ, კოგადაა წარმოდგენილი ძეფრინველეობა, მისი პროდუქციაც გააქვთ საექსპორტოდ.

ბულგარეთში, სოფლის მეურნეობის განვითარების შედარებით მაღალმა დონემ, წარმოებული პროდუქციის რაოდენობამ და ხარისხმა ბიძგი მისცა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას. ქვეყანაში განვითარებულია საკონსერვო და კვების მრეწველობის სხვა დარგები, რომლებიც ამზადებენ მაღალხარისხოვან პროდუქციას.

დღეისათვის, ბულგარეთის სოფლის მეურნეობა კრიზისულ მდგომარეობაშია. გვიანდება საჭირო რეფორმების გატარება, ჯერ კიდევ არ დაწყებულა მიწების პრივატიზაცია, შენარჩუნებულია მსხვილი კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობები, ბულგარეთი კარგავს მსოფლიო ბაზარს. მისი პროდუქციის ყველაზე დიდი მომხმარებელი ათეული წლების განმავლობაში იყო ყოფილი სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნები, რომელთა წილადაც მოდიოდა ექსპორტის 3/4, ახლა ეს ქვეყნებიც მოიცვა ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც მოშალა სახელმწიფოთაშორისო ეკონომიკური კავშირები, თუმცა დასახულია ღონისძიებების ჩატარება, სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის შესაქმნელად.

ბულგარეთი კარგადაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრებით, რომლის მომზადებასაც ემსახურება ქვეყნის 5 სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი. მეცნიერება მაღალ დონეზეა, რომლის მიღწევები წარმატებით ინერგება საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

იუგოსლავია*

იუგოსლავია „სოციალისტური" თანამეგობრობის თავისებური წევრი იყო. მას სოციალისტური მშენებლობის განსაკუთრებული „მოდელი" ჰქონდა, რომელშიც შერწყმული იყო წარმოების სოციალისტური და კაპიტალისტური წესი. ოფიციალურად კომუნისტური იუგოსლავია განვითარებად ქვეყნად ითვლებოდა, რაც გარკვეულად შეესაბამებოდა მის ეკონომიკურ მდგომარეობას, თუმცა, სოციალისტურ ქვეყნებში იგი ცხოვრების დონით ყველაზე მაღლა იდგა.

იუგოსლავია 1992 წლამდე ფედერაციული ქვეყანა იყო, რომელიც ექვსი რესპუბლიკისაგან შედგებოდა. მისი ფართობი 255,8 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა 23 მლნ., დედაქალაქი—ბელგრადი. ტრადიციულად იგი ბალკანური ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება და მდებარეობს ამ სახელწოდების ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასა-

* განხილულია ყოფილი ფედერაცია

ვლეთით. იუგოსლავია მდინარე დუნაის ქვეყნების რიცხვშიც ითვლება (დუნაი მოედინება მის ჩრდილოეთ საზღვარზე 600 კმ. მანძილზე). დუნაის მეშვეობით ქვეყანა გადის შავ ზღვაზე, თავად კი ხმელთაშუა ზღვის აუზში მდებარეობს. ადრიატიკის ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო (ალბანეთის გამოკლებით) თითქმის მთლიანად იუგოსლავიაზე მოდის, რომლის ზოლი 2100 კმ-ია.

იუგოსლავია ხასიათდება მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებით და მკვეთრად განსხვავებული კონტრასტული ლანდშაფტით. ქვეყანა მთაგორიანია, ტერიტორიის 71% მდებარეობს ზღვის დონიდან 200 და მეტ სიმაღლეზე. მთები ძირითადად დაბალია და ტერიტორიის მხოლოდ 0,5% მდებარეობს 2000 მ-ზე ზევით. მთაგორიანი სისტემა ევროპული ალპების გაგრძელებაა და მას იუგოსლავიის ალპებს უწოდებენ. ქვეყანას ახასიათებს არათანაბარი ტემპერატურული რეჟიმი. მაგალითად, ქვეყნის ჩრდილოეთით ზამთრის ტემპერატურა—25°C-მდე შეიძლება დაეცეს, ხოლო ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, საშუალო წლიური ტემპერატურა +15 გრადუსია. იგივე ითქმის ტენიანობაზეც. მაკედონიის ზოგიერთ რაიონში ნალექების რაოდენობა 400 მმ არ აღემატება, მაშინ როდესაც სანაპირო ზოლში იგი 500 მმ აღწევს. ყოველივე ეს იწვევს ქვეყნის ბუნებრივი პირობების მკვეთრ განსხვავებას, რაც სამეურნეო საქმიანობისათვის არათანაბარ პირობებს ქმნის. სწორედ ამიტომაა იუგოსლავიის ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც, მრავალდარგოვანი. ბუნებრივი პირობები განაპირობებენ მის სპეციალიზაციას. იუგოსლავიაში ძირითადად მთის მდინარეებია, ისინი წყალუხვობით და სწრაფი დინებით ხასიათდებიან, რომლებსაც ენერგიის საკმაოდ მაღალი პოტენციალი აქვთ. მდინარეები ვაკე ადგილებშიც წყალუხვია და სანაოსნოდ გამოსადეგი. ტერიტორიის 35% ტყეებს უჭირავს, რაც იძლევა სამონადირეო მეურნეობის განვითარების საშუალებას.

იუგოსლავიის მოსახლეობა მრავალენოვანია: ქვეყანაში ცხოვრობენ სერბები, ხორვატები, მაკედონიაში—ბერძნები, ალბანელები, მცირე ოდენობით თურქები და სხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლები. ბოლო დროს მნიშვნელოვნად გამწვავდა ერთაშორისი კონფლიქტები, რამაც საფუძველი შეურყია ქვეყნის ერთიანობასაც. მიუხედავად განვითარების შედარებით მაღალი დონისა, მოსახლეობის 30%-ზე მეტი ჯერ კიდევ ცხოვრობს სოფლად.

1989 წლამდე იუგოსლავია ითვლებოდა ე. წ. სოციალისტური ბანაკის წევრ ქვეყნად, თუმცა ის არ ყოფილა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საბჭოს წევრი, მას ყოველთვის

გამოკვეთილი და მისთვის მისაღები პოზიცია ეკავა. წარმოების საშუალებებზე იუგოსლავიაშიც ძირითადად სახელმწიფო მონოპოლია არსებობდა. მსხვილი საწარმოები სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდნენ, ამ სექტორში იქმნებოდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 4/5. სახელმწიფოს ხელში იყო მრეწველობა, ტრანსპორტი, ბანკები, საფინანსო, საკრედიტო დაწესებულებები, საგარეო ვაჭრობა და ა. შ.

ომის შემდგომ პერიოდში გამალებული ტემპებით დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელმაც ერთ დროს ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად აქცია. 1985 წელს 1939 წელთან შედარებით მრეწველობის ხვედრითი წილი 18%-დან 37%-მდე გაიზარდა, ხოლო სოფლის მეურნეობისა 44%-დან—17%-მდე შემცირდა. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიის სახალხო მეურნეობაში სოფლის მეურნეობა დღემდე ასრულებს მნიშვნელოვან როლს.

იუგოსლავიის სოფლის მეურნეობის პროფილს განაპირობებს ბუნებრივ-კლიმატური პირობები. ბულგარეთის მსგავსად, მანაც განიცადა ოსმანთა იმპერიის ექსპლუატაციის მძიმე პერიოდი, რომელმაც განსაკუთრებით გააჩანაგა სოფლის მეურნეობა. 1870 წლიდან წვრილგლეხური მეურნეობის საქმიანობამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო და მიუახლოვდა ევროპული ქვეყნების დონეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო იუგოსლავიის ე. წ. „სოციალისტური გარდაქმნა". მოხდა წარმოების საშუალებების განსაზოგადოება, სახელმწიფო გახდა დომინანტი წარმოებაში. სოფლად შეიქმნა სხვადასხვა სახის გაერთიანებები, რომლებიც წარმოების სტრუქტურით და ორგანიზაციული ფორმებით ძირფესვიანად განსხვავდებოდა იმ ფორმებისაგან, რომლებიც დამკვიდრებული იყო ყოფილ სსრკ-ში. სოფლად დარჩა აგრეთვე ინდივიდუალური მეურნეობები, რომელთა ხვედრითი წილიც საკმაოდ მაღალი იყო.

ქვეყნის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კარგ საფუძველს იძლევა. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ წარმოების უცხო წესის დამკვიდრებას (ე. წ. „სოციალისტურის") იუგოსლავიაში არ ჰქონია მწვავე ხასიათი, ვინაიდან კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანების ნებაყოფლობითი პრინციპი, ყოფილ სსრ კავშირსა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, დაცული იყო. საბოლოოდ, სოფლის მეურნეობაში ჩამოყალიბდა წარმოების ოთხი ტიპი: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები, მარტივი კოოპერაციული გაერთიანებები (გლეხური მეურნეობების, ინტერესების მიხედვით) და ინდივიდუალური მეურნეობები. ყოველივე ამან საშუალება მისცა სასოფლო-სამეურ-

ნეო წარმოებას უკეთ დაეცვა მწარმოებლის ინტერესები, რასაც შესაბამისად მოჰყვა წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

იუგოსლავია განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელიც არა თუ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, არამედ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი გააქვს კიდევაც საზღვარგარეთ. თანამედროვე დონეზეა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობაც, რომლის მიერ გამოშვებული პროდუქცია ხასიათდება კარგი ხარისხით და მაღალი კონკურენტუნარიანობით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინდივიდუალური სექტორი აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტს.

60-იანი წლებიდან ქვეყანაში შეიქმნა აგრო-საშრეწველო კომბინატები, რომლებმაც დადებითი როლი შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაში. ასეთი გაერთიანებების ბირთვს წარმოადგენდა აგროკომბინატები, რომლებიც მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობებისაგან მედგებოდა, მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის დამთავრებული ციკლით. ერთ-ერთი ასეთი გაერთიანებაა „ბელგრადი“ რომელიც იუგოსლავიის დედაქალაქის საგარეუბნო ზონაში მდებარეობს. მისი სტრუქტურული ქვედანაყოფებია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ორგანიზაციები, კერძოდ, 1. სახელმწიფო მეურნეობები, კოოპერაციული გაერთიანებები, ინდივიდუალური მწარმოებლები 2. გადამამუშავებელი საწარმოები (ხორცკომბინატები, საკონსერვო და ღვინის ქარხნები, კვების მრეწველობის სხვა ობიექტები), 3. სავაჭრო ორგანიზაციები, რომლებიც მაღაზიების სახით მოფენილია მთელ იუგოსლავიაში და საზღვარგარეთ. გაერთიანება „ბელგრადს“ აქვს თავისი საავადმყოფოები და პოლიკლინიკები, სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. იგი აწარმოებს სპეციალისტების მიზნობრივ მომზადებას, როგორც იუგოსლავიის, ისე საზღვარგარეთის სამრეწველო ცენტრებში, აქვს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, პროფესიონალური სპორტული კლუბები და ა. შ. გაერთიანება ეწევა დიდ საქველმოქმედო საქმიანობასაც. ასეთი ტიპის გაერთიანებები წარმოების სხვადასხვა მოცულობით დომინანტობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მათ განკარგულებაშია ათეულათასობით ჰექტარი სავარგული, უახლესი ტექნიკა და ა. შ.

წარმოების ორგანიზაციის ასეთმა ფორმამ დადებითად იმოქმედა სოფლის მეურნეობის საერთო დონეზე. ამის შედეგია, ის რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაჩვენებლითა და პირუტყვის პროდუქ-

ტიულობით, იუგოსლავია მოწინავე ევროპული ქვეყნების დონეზეა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა თანამედროვეა, სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი დაკომპლექტებულია სამამულო და საზღვარგარეთული უახლესი ტექნიკით. მინერალური სასუქების გამოყენების მაჩვენებლით ერთ ჰა-ზე გაანგრიშებით იგი მოწინავე ევროპული ქვეყნების დონეზეა. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოების სოციალისტურ სექტორში ერთ ჰა-ზე შეაქვთ 4-ჯერ მეტი მინერალური სასუქი, ვიდრე ინდივიდუალურ სექტორში, ხოლო მოსავლიანობა ამ უკანასკნელში 1,7-ჯერ მეტია. ეს ფაქტიც მიუთითებს წარმოების ე. წ. სოციალისტური სექტორის უუნარობაზე. ქვეყნის ჩრდილოეთით ირწყვება საზოგადოებრივი სექტორის მიწების 12%,—ინდივიდუალურ სექტორს კი ამის საშუალება არ გააჩნია.

საზოგადოებრივი სექტორის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მიწათმოქმედთა კოოპერატივები, რომელთა თავდაპირველი ფუნქცია მომარაგება-გასაღებით შემოიფარგლება, შემდეგში ზოგ რეგიონში მოხდა მიწისა და სხვა ძირითადი საშუალებების გაერთიანება და კოოპერატივებმა წარმოების კოლექტიური ხასიათი მიიღეს.

გლეხური ინდივიდუალური მეურნეობები ფლობენ დამუშავებული მიწების 85%, მათ აქვთ უფლება გაყიდონ თავიანთი მიწა, გადასცენ არენდით და ა. შ. ინდივიდუალურ მწარმოებელთა უმეტესობა (სადაც ამის პირობებია) გაერთიანებულნი არიან მარტივ კოოპერაციულ კავშირებში (მომარაგება—გასაღების ორგანიზაციისათვის). უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობები იმ შინაარსით როგორც ეს იყო ყოფილ სსრკ-ში, იუგოსლავიაში არ არის, შეიქმნა ორგანიზაციული სისტემა, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალურ მეურნეობებს სურვილის მიხედვით უფლება აქვთ გაერთიანდნენ უკვე არსებულ კოლექტიურ მეურნეობასთან ხელშეკრულებით—გარკვეული ვადით, რომლებიც ითვალისწინებენ ერთდროული სამუშაოების შესრულებას (ხვნა, თესვა, მოსავლის აღება), ერთჯერად მომარაგებას და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ საზოგადოებრივ მეურნეობებში უმთავრესად თავმოყრილია ტექნიკური კულტურებისა და მარცვლეულის წარმოება.

იუგოსლავიის სოფლის მეურნეობაში მემცენარეობა სჭარბობს მეცხოველეობას. მემცენარეობაში პირველ ადგილზეა სამარცვლე მეურნეობა, რომელსაც უჭირავს დამუშავებული მიწების 70%. აღსანიშნავია ისიც, რომ ომამდელ პერიოდთან შედარებით მარცვლეულის ნათესები შემცირდა. მათი ადგილი დაიკავა ტექნიკურმა და ნაკვებმა კულტურებმა, აგრეთვე მებოსტნეობამ. ხორბალი და სიმინ-

დი გვაძლევს მარცვლეულის წარმოების 9/10, თესავენ აგრეთვე ქერს, ჭვავს, ბურღულს, მცირე ოდენობით ბრინჯს.

ხორბალი წარმოადგენს მთავარ სასურსათო პროდუქტს, იგი მოჰყავთ სერბიის ჩრდილოეთით—სლოვენიაში, ხორვატიაში. მიუხედავად იმისა, რომ ხორბლის ნათესი ფართობები შემცირდა, მისი საერთო წარმოება ომამდელ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მოსავლიანობის გადიდების შედეგია. იუგოსლავიაში მარცვლეულის მოყვანა, განსაკუთრებით ხორბლის, ინდუსტრიული მეთოდებით წარმოებს. ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი ერთ-ერთი მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით და იგი 43 ცხენის ძალას უდრის. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობამ ჰა-ზე 35 ცენტნერი შეადგინა (ომამდე—11 ცენტნერი), ხოლო საერთო პროდუქციამ (სიმინდის გარდა) 4—4,5 მლნ. ტონა.

სიმინდის ნათესები შემცირდა, თუმცა წარმოების მოცულობა გაიზარდა ერთიორად, ომამდელ პერიოდთან შედარებით და შეადგინა 7—8 მლნ. ტონა. ევროპულ ქვეყნებს შორის სიმინდის წარმოების მხრივ იუგოსლავია ჩამორჩება მხოლოდ რუმინეთს. სიმინდი მოჰყავთ ქვეყნის ჩრდილოეთით, თუმცა მას აწარმოებენ სამხრეთის გორაკებზეც. მიღებული მოსავლის უდიდესი ნაწილი მიდის პირუტყვის საკვებად, 1/5-ს იყენებენ კვების პროდუქტად, განსაკუთრებით სოფლად.

მოსახლეობის კვების ბალანსში ლობიოს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ მხრივ იუგოსლავია აჭარბებს თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანას. ლობიო მოჰყავთ ქვეყნის ყველა რეგიონში. გავრცელებული კულტურაა აგრეთვე კარტოფილიც, რომელიც ძირითადად მოჰყავთ ხორვატიაში, თუმცა პატარ-პატარა ნაკვეთებად იგი წარმოდგენილია სხვაგანაც, რომელსაც ადგილობრივი მოხმარებისათვის იყენებენ.

ქვეყანაში კარგი პირობებია ტექნიკური კულტურების მოყვანისათვის, მართალია ომამდელ პერიოდთან შედარებით მათი ფართობი ორჯერ გაიზარდა, მაგრამ მაინც არ აღემატება ნათესების 5%. ორნახევარჯერ გაიზარდა შაქრის ჭარხლის ფართობი, საერთო მოსავალმა 5 მლნ. ტონას გადააჭარბა. მიუხედავად ამისა, იუგოსლავია ჯერ კიდევ ეწევა შაქრის ფხვნილის იმპორტს (საზღვარგარეთ გააქვთ საკონდიტრო ნაწარმი—კამფეტები და ა. შ. ომამდელთან შედარებით 30-ჯერ გაიზარდა მზესუმზირის ნათესები, მოსახლეობა საკვებად ძირითადად იყენებს მცენარეულ ზეთს, აქვთ თანამედროვე ტიპის ზეთსახდელი ქარხნებიც, რომლებიც ოპტიმალურადაა განლაგებული ქვეყ-

ნის ძთელ ტერიტორიაზე. მაკედონიაში მოჰყავთ ბამბა, მიუხედავად მაღალი მოსავლიანობისა, იკი 10%-ით აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას აღნიშნულ ნედლეულზე. ბამბა შემოაქვთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

ტექნიკურ კულტურებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამბაქოს, რომელიც გაადგილებულია მაკედონიაში, საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოჰყავთ გლეხურ მეურნეობებში. არის შემთხვევები (მაკედონიაში) როდესაც ინდივიდუალური მეურნეობების ფართობი მთლიანად უკავია ამ კულტურას, ქვეყანაში განვითარებულია თამბაქოს გადასამუშავებელი მრეწველობაც. იუგოსლავია ეწევა მზა ნაწარმის ექსპორტს, აგრეთვე დიდი რაოდენობით გააქვთ თამბაქოს ნედლეულიც, კერძოდ, საერთო მოსავლის 2/5-მდე.

კარგადაა წარმოდგენილი მევენახეობა და მეხილეობა, რომელიც განვითარებულია თითქმის ყველა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში. აქვთ ქლიავის ბაღები, რომელსაც უჭირავს 72 ათასი ჰა. ამ მაჩვენებლით იუგოსლავია პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ქვეყანას საექსპორტოდ დიდი რაოდენობით გააქვს ქლიავის ჯემი. მოჰყავთ ვაშლი, მსხალი და სხვა თესლოვანი კულტურები.

ბალკანეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, იუგოსლავიაში გავრცელებულია მევენახეობა, რომელსაც უკავია 270 ათასი ჰა. საშუალოდ წელიწადში მოჰყავთ 1,1—1,3 მლნ. ტონა ყურძენი, ძირითადად სჭარბობს საღვინე ჯიშები, თუმცა საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი სუფრის ყურძენიც. იუგოსლავიაში ამზადებენ მაღალი ხარისხის ნატურალურ ღვინოებს, რომლებიც დიდი მოწონებით სარგებლობენ ევროპაში, განსაკუთრებით ფასობს სადესერტო თეთრი ღვინოები, შემაგრებული პორტვეინები და კონიაკი.

იუგოსლავიაში საკმაოდ არის განვითარებული მეცხოველეობაც. არსებობს მრავალფეროვანი საკვები ბაზა, რომელიც ქვეყნის რაიონების მიხედვით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. საძოვრებსა და სათიბებს უჭირავთ 6,5 მლნ. ჰა. ძირითადად სჭარბობს მთიანი საძოვრები. იუგოსლავიაში წარმოდგენილია მეცხოველეობის თითქმის ყველა სახე, რომლის სტრუქტურაც (პირუტყვის პირობით ერთეულებში გადაყვანით) შემდეგ სურათს იძლევა: 46% მოდის მეღორეობაზე, 15%—მეცხვარეობაზე, 15%-მეცხენეობაზე 9%-მეფრინველეობაზე. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგის სულადობა 6 მლნ. იგი იძლევა მეცხოველეობის შემოსავლის ნახევარ-

ზე მეტს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მერძეული ჯოგის განვითარებას, რაც დააჩქარა საკურორტო ინდუსტრიის განვითარებამ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალურ სექტორში პირუტყვს ხმირად ყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. კარგად არის წარმოდგენილი მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობაც. იუგოსლავური შაშხი, ძეხვეული, ხორცის კონსერვები მთელს მსოფლიოშია ცნობილი, მეცხოველეობის პროდუქციის 1/3 ქვეყანას გააქვს საექსპორტოდ.

ოფიციალური სტატუსით იუგოსლავია განვითარებადი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება (ერთადერთი ევროპაში), მაგრამ თავისი ეკონომიკით იგი ყოფილ „სოციალისტური სისტემის" ქვეყნებში პირველ ადგილზე იყო. ქვეყანამ შესძლო მიეღო დასავლეთის ქვეყნების კრედიტი და რაც მთავარია სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად მიაღწია მის რაციონალურ გამოყენებას. ცხოვრების დონით იუგოსლავია მოწინავე ევროპულ ქვეყნებს უტოლდება. ამ ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს ეკონომიკის განვითარების, როგორც „სოციალისტური" ისე „კაპიტალისტური" მეთოდების მიღწევებიც და უარყოფითი მხარეებიც. იუგოსლავიის სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა კარგადაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით. ყურადღებას აქცევენ მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვას, ამ მიზნით იყენებენ არა მარტო სამამულო, არამედ საზღვარგარეთის მეცნიერულ მიღწევებსაც.

ალბანეთი

ალბანეთის სახელმწიფო უკანასკნელ პერიოდამდე ბურუსით მოსილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას ეწეოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დახმარებით, ქვეყანაში ძალაუფლება ხელთ იგდეს კომუნისტებმა, რომლებმაც დაამყარეს ერთპარტიული მმართველობის დიქტატი, წარმოების საშუალებებზე, მათ შორის ნიწარეც გამოაცხადეს სახელმწიფო საკუთრება და სსრკ-ის ანალოგიურად მოახდინეს სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში. 1956 წლიდან ქვეყანა სრულ იზოლაციაში მოექცა, რამაც მისი ეკონომიკა გარდაუვალი კრახის პირამდე მიიყვანა.

ალბანეთი ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით მდებარეობს. მისი ტერიტორია 28,7 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—2,5 მლნ, დედაქალაქი—ტირანა. ხუთი საუკუნის განმავლობაში (1912 წლამდე) ალბანეთი თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ აღიარეს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო 1946 წლიდან ქვეყანაში დამყარდა კომუნისტური დიქტატურა.

მიუხედავად ტერიტორიული სიმცირისა, ალბანეთი ხასიათდება მრავალფეროვანი ბუნებრივი ლანდშაფტით, რაც განპირობებულია სიმაღლეების დიდი ამპლიტუდით. იგი მთაგორიანი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის მხოლოდ 3/10 მდებარეობს ზღვის დონიდან 200 მეტრ სიმაღლემდე და ხელსაყრელია სამეურნეო საქმიანობისათვის. ადრიატიკის ზღვის სანაპირო ზოლი, რომელიც გადაჭიმულია 472 კმ-ზე, ხასიათდება ზომიერი, რბილი სუბტროპიკული კლიმატით. ნალექების წლიური რაოდენობა 800—1000 მმ. შეადგენს, საშუალო წლიური ტემპერატურა +10 გრადუსამდეა (განსაკუთრებით ზღვის სანაპირო ზოლში), ქვეყანა უზრუნველყოფილია წყლის რესურსებით. გაზაფხულზე დამახასიათებელია წყალდიდობა, რომელიც იწვევს სანაპირო ზოლის დაჭაობებას.

ქვეყნის ძირითადი მოსახლეობა ალბანელებია, მათ გარდა ცხოვრობენ თურქები და ბერძნები. მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ქალაქად.

ალბანეთის სოფლის მეურნეობა ხასიათდება მრავალფეროვნებით. ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებისათვის. სოფლის მეურნეობაში წარმოდგენილია როგორც მემცენარეობა, ასევე მეცხოველეობაც. უნდა ითქვას, რომ ალბანეთი იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე, ხოლო მათი ნაწილი (ღვინო, ხილი) გააქვთ ქვეყნის გარეთაც. ომამდე ალბანეთი მიწათმფლობელთა ქვეყანას წარმოადგენდა. მოსახლეობის 3% ფლობდა სავარგულთა 24%-ს, რომელიც უმთავრესად წარმოდგენილი იყო სახნავის სახით. 1946 წლიდან დაიწყო მიწების ნაციონალიზაცია, შეიქმნა კოოპერატივები და სახელმწიფო მეურნეობები, რომლებიც საბჭოთა სტრუქტურების ანალოგებს წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით გავრცელდა კოლექტიური მეურნეობები, დაწესებული იყო ანაზღაურების მინიმალური ნორმა, რამაც ძალზედ გაამწვავა ქვეყნის პოლიტიკური სიტუაცია. ქვეყნად დამკვიდრდა სახელმწიფო კაპიტალიზმი, რომლის დროსაც წარმოების საშუალებებზე და შრომის შედეგებზე დაწესდა სახელმწიფოს სრული მონოპოლია.

ომამდელ პერიოდთან შედარებით, შემდგომში ალბანეთის სოფლის მეურნეობაში მაინც მოხდა გარკვეული დადებითი ძვრები, რომლებსაც მიაწერდნენ წარმოებაში სოციალისტური წესის დამკვიდრებას, ჩვენ კი ვთვლით, რომ ეს მცირეოდენი წარმატებანი იძულებითი შრომის შედეგი იყო.

ალბანეთის მიწის ფონდების სტრუქტურაში, ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი ტყეები, საძოვრებს უჭირავს ტერიტორიის 1/4, დამუშავებული მიწების ხვედრითი წილი 1/4-ია, ხოლო ქვეყნის ტერიტორიის 1/10 არაპროდუქტიულია.

ალბანელები ძველთაგანვე მისდევდნენ მომთაბარე მეცხოველეობას, რაც განპირობებული იყო ბუნებრივი პირობებითაც. ზაფხულობით თხა და ცხვარი მაღალმთიან საძოვრებზე ჰყავდათ, ხოლო ზამთრობით ჩამოჰყავდათ დაბლობში. მეცხოველეობა დღესაც (განსაკუთრებით, მაღალმთიან ზონაში) წარმოადგენს მოსახლეობის ძირითად საქმიანობას, რომელიც შეთანაწყობილია მიწათმოქმედებასთან. მეცხოველეობიდან ძირითადია ცხვარი და თხა, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რომელსაც მეცხვარეობის მსგავსად მომთაბარე ხასიათი აქვს. ამის მიზეზია ის, რომ ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული საკვები ბაზა, განსაკუთრებით კონცენტრირებული საკვების წარმოება. მიუხედავად ამისა, ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს მეცხოველეობის პროდუქტზე იკმაყოფილებს.

ომამდელ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტრუქტურაში სჭარბობდა მეცხოველეობა. დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 2/3 მოდის მემცენარეობაზე. განვითარდა სარწყავი მიწათმოქმედება. დამუშავებული მიწების 55% ირწყვება, რაც ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მიწათმოქმედებაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მარცვლეულს, მოჰყავთ ხორბალი, ჭვავი, ქერი, სიმინდი. გავრცელებულია აგრეთვე ტექნიკური კულტურები, კერძოდ თამბაქო, რომლის ხარისხი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. ქვეყნის დასავლეთით მოჰყავთ ბამბა, ჭარხალი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, ნათესების 2/3 მოდის მარცვლეულზე, რომლებიც მაღალი მოსავლიანობით ხასიათდებიან.

გაიზარდა ციტრუსების ფართობი. წარმოდგენილია ზეთოვანი კულტურებიც, განსაკუთრებით, ზეითუნის ზეთი. შედარებით კარგადაა განვითარებული მევენახეობა, რომელიც ხასიათდება მაღალპროდუქტიული ყურძნის ჯიშებით. ქვეყნის აღმოსავლეთით მოჰყავთ ლეღვი, ატამი, კომში და სხვა ევროპული ქვეყნებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი კულტურები.

პრიმიტიულ დონეზეა განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, უმთავრესად, მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და წარმოდგენილია წვრილ-წვრილი საწარმოების სახით. მსოფლიო ბაზარზე

ალბანეთს გააქვს თამბაქო, ციტრუსები, ზეითუნის ზეთი. ძირითადი საგაჭრო პარტნიორია გერმანია. სხვა ქვეყნებში გააქვთ აგრეთვე ხილი და ღვინო.

განსაკუთრებული ზიანი ალბანეთის სახალხო მეურნეობას და მათ შორის სოფლის მეურნეობასაც, მიაყენა კარჩაკეტილი ეკონომიკის მცდარმა თეორიამ, რომელმაც სოფლის მეურნეობა წარმოების პრიმიტიულ ჩარჩოებში მოაქცია, დაამკვიდრა ხელით შრომა. ნაკლებად იყენებენ ტექნიკას. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ სოფლის მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების მიხედვით ალბანეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ევროპაში. საქმეს ვერ უშველა რამდენჯერმე გატარებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმაც, რომლებსაც ძირითადად კოსმეტიკური ხასიათი ჰქონდა.

დღეისათვის, აღმოსავლეთ ევროპის სხვა ე. წ. „სოციალისტური ქვეყნების" მსგავსად, ალბანეთშიც მიმდინარეობს გარდაქმნები, იმსხვრევა ძველი სტრუქტურები, ქვეყანა გამოდის ეკონომიკური და პოლიტიკური იზოლაციიდან.

III თავი

დასავლეთ ევროპა

(დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ირლანდია, საფრანგეთი, მონაკო, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი, შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ავსტრია).

დასავლეთ ევროპის ქვეყნები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდით და მოსახლეობის რაოდენობით. რეგიონის საერთო ფართობი შეადგენს 1313,6 ათას კვ. კმ., მოსახლეობა—213 მლნ. დასავლეთ ევროპის სამი დიდი სახელმწიფო: გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი შედიან მსოფლიოს ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყნების ექვსეულში.

რეგიონის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია; ტერიტორიის ნახევარი დაბლობია და მოიცავს მთელ ჩრდილოეთს, სამხრეთი კი უმთავრესად მთაგორიანია და უჭირავს ალპების მთიანი მასივის დიდი ნაწილი. რეგიონის კლიმატი რბილია, ყველაზე ცივი თვის საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს 0÷8 გრადუსამდე, თუმცა მაღალმთიან ზონაში ტემპერატურა—8—16°-მდე ეცემა. დასავლეთ ევროპა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მდინარეთა ქსელი საკმაოდ ხშირია, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში მაინც იგრძნობა

საყოფაცხოვრებო და მტკნარი წყლის დეფიციტი. რეგიონის ნიადაგები ძირითადად საშუალო და დაბალი ნაყოფიერებით ხასიათდება; ამიტომ სასურველი საწარმო ეფექტის მისაღწევად საჭიროა აგროტექნიკის მაღალი დონე. რაციონალური მიწათმოქმედების შედეგია ის, რომ ეს ქვეყნები მარცვლეულის, კარტოფილისა და სხვა კულტურების მაღალ მოსავალს იღებენ. დასავლეთ ევროპა ხასიათდება მცირემიწიანობით. ერთ სულზე გაანგარიშებით სახნავი 0,1-დან 0,13 ჰა-მდეა, სწორედ ამიტომ ინტენსიფიკაცია იყო და დღესაც რჩება რეგიონალური სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებად.

დასავლეთ ევროპაში კულტურული ლანდშაფტი და მცენარეული საფარი დომინირებს, მხოლოდ მაღალმთიან ზონაში გვხვდება ველური მცენარეები. ტყეებს უჭირავს რეგიონის 1/5, თუმცა არის ქვეყნები, რომლებშიც ტყის საფარი ტერიტორიის 3% (ირლანდია), 7,5% (დიდი ბრიტანეთი) არ აღემატება. ერთ სულზე გაანგარიშებით ტყის ფართობი შეადგენს 0,15 ჰა-ს, რაც 8-ჯერ ჩამორჩება მსოფლიო საშუალო მაჩვენებელს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარების მაღალმა დონემ, დასაბამი მისცა ამ ქვეყნებში პროგრესული დარგების განვითარებას: ელექტრონიკის, ქიმიის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობისა და ა. შ. განვითარების მაღალმა დონემ დადებითი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობაშიც. მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან და მათ შორის ევროპის რეგიონის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მიუხედავად არახელსაყრელი ნიადაგობრივი პირობებისა, მათ შესძლეს ტექნიკური პროგრესის ფონზე მიეღწიათ მაღალი საწარმო მაჩვენებლებისათვის. მოქნილმა შესასყიდმა ფასებმა, რომელიც დიფერენცირებული იყო რეგიონების მიხედვით, საშუალება მისცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებს, მიეღწიათ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის.

დიდი ბრიტანეთი (ინგლისი)

დიდი ბრიტანეთი მდებარეობს ბრიტანეთის კუნძულებზე, კონტინენტური ევროპის ჩრდილო-დასავლეთით. ქვეყანას უწოდებენ აგრეთვე ინგლისს, მისი ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის სახელს. ოფიციალურად ქვეყანას ეწოდება დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფო. ბრიტანეთის კუნძულები ყველაზე დიდი არქიპელაგია ევროპაში, ჩრდილოეთიდან სამხრეთით მისი სიგრძე 966 კმ-ია. ქვეყნის ტერიტორია 244 ათასი კვ. კმ. უდრის, მოსახლეობა—60 მლნ-მდე.

დედაქალაქია—ლონდონი, პოლიტიკურად დიდი ბრიტანეთი უნიტარული პარლამენტური მონარქიაა.

დიდი ბრიტანეთი მსოფლიოში ყველაზე ადრე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ბურჟუაზიისა და ფეოდალიზმის სამკვდრო-სასისოცხლო შეტაკება, რომელიც დაიწყო XVII საუკუნის დასაწყისში 1653 წელს დამთავრდა ბურჟუაზიის გამარჯვებით და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ოლივეო კრომველი.

XVII საუკუნეში ქვეყანამ დაიწყო კოლონიური ომები, რომელმაც ტოტალური ხასიათი მიიღო. XVIII ს-დან, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა დაიპყრო ოკეანის გაღმა ტერიტორიები, (ჩრდ. ამერიკა, ინდოეთი, ცეილონი, მთელი რიგი ტერიტორიები აფრიკაში და ა. შ.). ეს ქვეყნები გახდა კაპიტალის დაგროვების თავდაპირველი წყარო და იაფი მუშახელის რეზერვუარი, რამაც დასაბამი მისცა მრეწველობის დაჩქარებით განვითარებას. ქვეყანაში მოხდა სამრეწველო გადატრიალება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ბრიტანეთის იმპერიის დემონტაჟი, დეკოლონიზაციამ ტოტალური ხასიათი მიიღო. ყოფილი კოლონიური ქვეყნები დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას, თუმცა კავშირები მეტროპოლიასთან შეინარჩუნეს ე. წ. ერთა თანამეგობრობის ჩარჩოებში.

მიუხედავად დეკოლონიზაციისა, დიდი ბრიტანეთი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობით იგი კაპიტალისტურ სამყაროში აშშ, იაპონიის, დასავლეთ გერმანიისა და საფრანგეთის შემდეგ მეხუთე ადგილზეა. მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაში დიდი ბრიტანეთის წილად მოდის საერთო პროდუქციის 5% (1985 წ.), ხოლო მისი დედაქალაქი ლონდონი საფინანსო საქმიანობის ცენტრია.

ბრიტანეთის ბუნებრივი პირობების ჩამოყალიბება ძირითადად განაპირობა ატლანტიკის ოკეანის თბილმა დინებამ, რომელიც მის ნაპირებს რკალად ეკვრის. კლიმატით იგი ჩრდილო ევროპული ქვეყნების სარტყელში მდებარეობს და ხასიათდება ზღვისპირა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი რბილი ჰავით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აქ ზაფხული შედარებით ცივია, ვიდრე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის სამხრეთით +16° არ აღემატება, ხოლო ჩრდილოეთით—+12°, მაქსიმალური ტემპერატურა ზოგჯერ +27° —+29°-მდე ადის. საერთოდ, დიდი ბრიტანეთი და განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი განეკუთვ-

ნება მაღალტენიან რეგიონს, სადაც საშუალოდ წლის განმავლობაში მოდის 2000 მმ. ნალექი. აღმოსავლეთ რაიონებში ეს მაჩვენებლები 600—700 მმ-ია. დასავლეთ რაიონებში ნალექების სიუხვე ხელს უწყობს მცენარეული საფარის სრულყოფილ ვეგეტაციას.

დიდი ბრიტანეთი მდიდარია წყლის რესურსებით. ქვეყანაში ბევრი წყალუხვი მდინარეა, რომელთა შორის გამოირჩევა მდინარე ტემზა. ქვეყნის რელიეფის უდიდესი ნაწილი ვაკეა, მხოლოდ ჩრდილოეთითაა მთიანი მასივები, რომელთა სიმაღლე 1300—1500 მეტრამდეა და გამოირჩევა კარგი სათიბ-საძოვრებით.

ბრიტანეთი ხასიათდება ნაყოფიერი მიწებით, მისი დიდი ნაწილი წარმოდგენილია ქვეყნის შედარებით თბილ და მშრალ რეგიონში, სამხრეთ—აღმოსავლეთით შედარებით მაღალია ზაფხულის ტემპერატურა რაც ხელს უწყობს მცენარის ვეგეტაციის პერიოდში ნიადაგის ბიოლოგიურ აქტიურობას და დადებითად მოქმედებს მცენარის ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე, ამავე დროს მიმდინარეობს ჰუმუსის დაგროვება ნიადაგის ზედა ფენებში.

ზღვისპირა დაბლობი ჭაობიანია, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს სამელიორაციო სამუშაოები. ათვისებულ ნიადაგებს იყენებენ ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახებისათვის.

ბრიტანეთის ლანდშაფტი ისტორიულად განიცდიდა ადამიანის ზეგავლენას. ქვეყანაში მეთოდურად იჩეხებოდა ტყეები, რომელთა ადგილს იკავებდა კულტურული მიწათმოქმედება, ყოველივე ამის შედეგია ის, რომ დღეისათვის ტყის საფარი წარმოდგენილია ტერიტორიის მხოლოდ 7,5—8%-ზე და დიდი ბრიტანეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა ევროპაში ტყის რესურსებით, ერთ სულზე გაანგარიშებით.

ქვეყანაში ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები არსებობს მიწათმოქმედებისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი მცირემიწიანი რეგიონია, სადაც სახნავი ერთ სულზე გაანგარიშებით 0,18 ჰექტარია. სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების მაღალმა დონემ, მიწათმოქმედების საუკუნოვანმა ტრადიციებმა, ხანგრძლივმა ბატონობამ კოლონიებზე, ბრიტანეთის სოფლის მეურნეობის განვითარებას სპეციფიკური პირობები შეუქმნა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება, სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ყველაზე ადრე დაადგა ტექნიკური პროგრესის გზას, ხოლო კოლონიების არსებობამ და მათგან შემოტანილმა იაფფასიანმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ მკვეთრად გამოკვეთა წარმოების სპეციალიზაცია.

ორგანიზაციული თვალსაზრისით ბრიტანეთის სოფლის მეურნეობა ფერმერული ტიპისაა. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას მოჰყვა სწრაფი ურბანიზაცია, სოფლის მოსახლეობამ მიაშურა მსხვილ სამრეწველო ცენტრებს და იქ დამკვიდრდა. სოფლის მეურნეობაში დაიწყო წარმოების პროცესის ინდუსტრიალიზაცია. ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგი—სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რითაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში შეიძლებოდა მცენარეთა მოვლა-მოყვანის მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესების მექანიზაცია.

დღევანდელი ბრიტანეთისათვის ფერმის ოპტიმალურ სიდიდედ ითვლება 100 ჰექტარიანი მეურნეობა. ქვეყანაში ასეთ მეურნეობათა რაოდენობა 90% შეადგენს. არსებობს დიდი მემამულური მეურნეობებიც, რომელთა ფართობი 1600—1700 ჰექტარია. გავრცელებულია საიჯარო ურთიერთობებიც, მსხვილი მიწათმფლობელები იჯარით იძლევიან არა მარტო მიწის ფართობს, არამედ წარმოების ძირითად საშუალებებსაც (პირუტყვის ჩათვლით). ხელშეკრულება რომელიც იდება ფერმერებს შორის, არაა შეზღუდული რაიმე სამთავრობო გადაწყვეტილებებით. ხელშეკრულებას დებენ მიწათმფლობელები და მოიჯარეები. გავრცელებულია დამოუკიდებელ მიწათმფლობელთა ფერმერული მეურნეობები, რომლებიც საკუთარ მიწას, საკუთარი ძირითადი საშუალებებით ამუშავებენ. მათი ხვედრითი წილი ფერმერთა მთლიან მასაში 2/5-ია, მხოლოდ 3/5 მუშაობს საიჯარო ურთიერთობების პირობებში. დიდ ბრიტანეთში წარმოებული პროდუქციის ნახევარზე მეტს იძლევა 40 ათასამდე მსხვილი ფერმა, სადაც 4 — 5 დაქირავებული მუშაა (მუდმივად ან სეზონურად). ღანარჩენი ფერმები საშუალო სიდიდისაა და იყენებენ 1—2 დაქირავებულ მუშას. 10 ჰექტარიან ფერმებში არ იყენებენ დაქირავებულ შრომას. საშუალო და მსხვილი ფერმები ნებაყოფლობით ქმნიან სხვადასხვა ხასიათის კოოპერაციულ გაერთიანებებს, რომლებსაც ძირითადად მომარაგება-გასაღების ფუნქციები აკისრიათ, მათთან ერთიანდებიან აგრეთვე წვრილი ფერმებიც. ვინაიდან ისინი ,როგორც წესი მდებარეობენ საშუალო და მსხვილი ფერმების გვერდით. ყველა ფერმერი განუხრელად იცავს სახელშეკრულებო პირობებს, რაც, მათთვისაც მყარი მუშაობის გარანტიაა. ფერმერთა დაბცველია სახელმწიფო. ისინი იღებენ დოტაციებს და შეღავათიან კრედიტებს. მიაღწიეს გარანტირებულ ფასს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე.

ბრიტანეთის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 3%. ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი 1985 წლისათვის 3,1% უდრიდა. მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით 0,33 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,18 ჰა სახნავი მოდის. მიუხედავად ამისა, ინტენსიფიკაციის მაღალი დონის მეშვეობით, დიდი ბრიტანეთი აწარმოებს ქვეყნისათვის საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 70%-ს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი კვებავს 18—20 კაცს (რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია). მაღალნაყოფიერი შრომის შედეგია ის, რომ დღეისათვის დიდი ბრიტანეთი სრულად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების ისეთი პროდუქციით, როგორიცაა: ქერი, ჭვავი, კარტოფილი, შინაური ფრინველი, ღორის ხორცი, კვერცხი და ახალი რძე. მიუხედავად წარმოების მაღალი დონისა, ქვეყანას ჯერ კიდევ შემოაქვს მოხმარებული კარაქის 3/5, შაქრის—2/3, ხორბლის ნახევარი, საქონლის ხორცის—1/4 და ა. შ.

ოპტიმალურმა საგარეო პოლიტიკამ, ფასების სწორმა სისტემამ და საერთო ბაზარში გაერთიანებამ, გამოიწვია ევროპის ქვეყნებს შორის სასოფლო-სამეურნეო შრომის რაციონალური დანაწილება, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და განაწილების ეფექტური სისტემა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დიდ ბრიტანეთში გამოიყენება 19 მლნ. ჰა მიწის ფართობი. აქედან, სახნავია (კულტურული სათიბების ჩათვლით) 7 მლნ. ხოლო დანარჩენი 12 მლნ. უჭირავს ბუნებრივ საძოვრებს. ცხადია მიწების გამოყენების ინტენსივობით ცალკეული რაიონები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისში ბუნებრივი საძოვრები მცირე ხვედრითი წონით არიან წარმოდგენილი (10—12%), ჩრდილოეთ ირლანდიაში მათი წილი 20%, უელსში—30%, ხოლო შოტლანდიაში—70%/-ია.

დიდ ბრიტანეთს ხშირად უწოდებენ „საძოვრების სამეფოს“, მართლაც საძოვრებსა და ბუნებრივ სათიბებს უჭირავს 3-ჯერ მეტი ფართობი, ვიდრე მარცვლეულ კულტურებს. თუ განვიხილავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტრუქტურას, დავინახავთ, რომ წარმოებული პროდუქციიდან 23% მოდის მემცენარეობაზე, ხოლო 67%—მეცხოველეობაზე. მემცენარეობა, გარდა მარცვლეული კულტურების, ბალახეულის და კარტოფილისა, წარმოდგენილია შაქრის ჭარხლით და საგარეუბნო მებოსტნეობით, რომელსაც უჭირავს

დამუშავებული მიწების 1,5% და აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 12%. თუმცა, ქვეყანაში ადრეული ბოსტნეული დიდი რაოდენობით შემოაქვთ ევროპის ქვეყნებიდან (ძირითადად, საფრანგეთი და ესპანეთი), მცირე ოდენობით არის წარმოდგენილი მეხილეობა (ძირითადად, მსხალი, ვაშლი, სამხრეთში—ქლიავი), მევენახეობას ადგილობრივი ხასიათი აქვს და იგი მცირე ფართობზეა წარმოდგენილი.

დიდი ბრიტანეთის სახნავი მიწების უდიდესი ნაწილი მდებარეობს აღმოსავლეთ ნაწილში, ეს ადგილები ძირითადად ვაკეა. ქვეყნის ამ რეგიონში წარმოდგენილია ხორბალი და ქერი, ბოლო პერიოდში ქერის ნათესების ფართობი იზრდება, რაც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე ინგლისურ ლუდზე მოთხოვნილების გაზრდით. ქერისაგან ამზადებენ აგრეთვე ცნობილ ინგლისურ ვისკის. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა სიმინდის ნათესები. რომელიც გამოიყენება რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში მერძეული ჯოგის საკვებად.

სოფლის მეურნეობის ტრადიციული კულტურაა კარტოფილი, რომელიც იწარმოება უმეტესად ადგილობრივი მოხმარებისათვის, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთით და ირლანდიაში მას სამრეწველო ხასიათი აქვს. პირუტყვის საკვებად მოჰყავთ ჭარხალი და კომბოსტო, თუმცა უნდა ითქვას, რომ პირუტყვისათვის საკუთარი საკვები ბაზა მხოლოდ 60—65%-ით აკმაყოფილებს მასზე მოთხოვნილებას, დანარჩენი (ძირითადად, კომბინირებული საკვებისა და მარცვლეულის სახით) შემოაქვთ საზღვარგარეთიდან.

აღსანიშნავია, ისიც, რომ მემცენარეობაში წარმოდგენილი ყველა კულტურა ექვემდებარება კომპლექსურ მექანიზაციას. დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობა მაღალი ენერგოშეიარაღებით ხასიათდება, ეს მაჩვენებელი 105 ცხენის ძალას აღწევს. ფართოდ იყენებენ მინერალურ სასუქებს, რასაც ხელს უწყობს მძლავრი ქიმიური მრეწველობაც. სასუქების გამოყენებას რაციონალური ხასიათი აქვს. ამასთანავე დამუშავებულია ისეთი აგროტექნიკა, რომელიც სრულიად გამორიცხავს სასუქების მავნეობას, როგორც ნიადაგზე, ისე ცოცხალ ორგანიზმებზე.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დიდი ბრიტანეთის სოფლის მეურნეობაში ძირითადია მეცხოველეობა, იგი განვითარებულია ქვეყნის დასავლეთით, სადაც შედარებით ტენიანი კლიმატია, ეს კი აუცილებელია ბალახის განმეორებითი ვეგეტაციისათვის. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 14 მლნ. სულზე მეტია, ძირითადად—

მერძეული მიმართულების. მხოლოდ გამოწუნებული პირუტყვი გადაჰყავთ სუქებაზე. ქვეყანაში კარგადაა წარმოდგენილი მეცხვარეობა. 1985 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა 29 მლნ. აღწევდა. მეცხვარეობა ისტორიული დარგია დიდი ბრიტანეთისათვის. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან იყო ცნობილი ინგლისური შალის ქსოვილები და მატყლის სხვა ნაწარმი. მეცხვარეობას მეხორცული მიმართულებაც აქვს. ინგლისში დიდი რაოდენობით ხმარობენ ცხვრის ხორცს, განსაკუთრებით მოწონებით სარგებლობს ბატკანი. კარგადაა განვითარებული მეღორეობაც, (სულადობა 8 მლნ. აჭარბებს). ინგლისელები ტრადიციულად ამზადებენ ბეკონის ტიპის მაღალი ხარისხის შაშხს და სხვა სახის პროდუქციას. სამრეწველო საფუძველზეა განვითარებული მეფრინველეობაც, შექმნილია მეფრინველეობის მექანიზებული ფერმები, სადაც ყველა პროცესი ავტომატიზებულია და იმართება კომპიუტერების საშუალებით, მეფრინველეობა განვითარებულია უმთავრესად საგარეუბნო ზონაში.

როდესაც ვეხებით დიდი ბრიტანეთის მეცხოველეობას, უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ ამ ქვეყანაში პირუტყვის სელექცია მაღალ დონეზეა, საყოველთაოდაა ცნობილი ინგლისური წითელი, შავ-თეთრი და სხვა ჯიშის პირუტყვი. უკანასკნელი 150 წლის განმავლობაში ინგლისი ჯიშიანი პირუტყვით ვაჭრობს მსოფლიო ბაზარზე, რაც საკმაოდ მომგებიანი ბიზნესია.

ჯერ კიდევ XIII საუკუნიდან ინგლისი წარმოადგენდა მატყლის მსოფლიო მიმწოდებელ ერთ-ერთ მსხვილ სახელმწიფოს, გაჰქონდათ როგორც უშუალოდ მატყლი, ასევე შალის ქსოვილები და სხვა ნაწარმიც, რაც დიდ შემოსავალს აძლევდა ქვეყანას.

დღემდე, ლორდთა პალატის ლორდ-კანცლერი პარლამენტში სიმბოლურად ზის მატყლის მუთაქაზე, რაც წარსულში ამ პროდუქციის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს. დღეისათვის, მატყლისაგან მიღებული შემოსავალი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მხოლოდ 1% შეადგენს, ხოლო მეცხვარეობას ძირითადად მისდევენ ბატკნის ხორცის წარმოებისათვის. ეს პროცესები დააჩქარა იმანაც, რომ მეცხვარეობამ, მატყლის წარმოებამ და საფეიქრო მრეწველობამ ინგლისის ყოფილ კოლონიებში გადაინაცვლა, კერძოდ, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. დიდ ბრიტანეთში ცხვრის დაახლოებით 30 სახეობაა, რომელთა დიდი ნაწილი ვავრცელდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში.

საჭიროა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ დიდ ბრიტანეთში მეყვავილეობის კარგი ტრადიციები არსებობს. ყვავილები მოჰყავთ

თითქმის ყველგან, მათი მრავალსახეობა ახარებს მნახველს. კარგ დონეზეა დაყენებული სელექციური მუშაობაც, ყვავილები და მათი თესლი გააქვთ საექსპორტოდაც.

ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი მაღალკვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრებით, რასაც ემსახურება, როგორც უნივერსიტეტები, ისე სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები. მაღალ დონეზეა დაყენებული სამეცნიერო მუშაობა, განსაკუთრებით სელექცია-გენეტიკაში და უახლეს აგროტექნიკაში.

გერმანია

გაერთიანებული გერმანიის ტერიტორია შეადგენს 356 ათას კვ. კმ., მოსახლეობა — 76,8 მლნ. იგი მდებარეობს ცენტრალურ ევროპაში. გერმანია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, რომელიც შედის მსოფლიოში ექვს ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნების რიცხვში, (აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილზეა). ქვეყნის სამრეწველო განვითარების მაღალმა დონემ განაპირობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიული ხასიათი, რითაც მინიმუმამდეა შემცირებული ხელით შრომა, ხოლო მექანიზაციის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში. ენერგოშეიარაღების მაჩვენებლით გერმანია მხოლოდ ჰოლანდიას ჩამორჩება, საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 92 ცხენის ძალას: ხოლო დასავლეთ გერმანიაში იგი 114 ცხენის ძალის ტოლია, მაღალია შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლებიც, მიწის რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით გერმანია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ევროპაში.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, როცა გერმანია ორ სახელმწიფოდ გაიყო, თავისი დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ გერმანიაში შეიქმნა ე. წ. სოციალისტური სახელმწიფო, ხოლო დასავლეთში— გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც ვითარდებოდა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. 1991 წელს მოხდა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანება, რითაც აღმოიფხვრა ისტორიული უსამართლობა. აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკა თანდათანობით უბრუნდება მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ წარმოების სტილსა და მეთოდებს, თუმცა შერწყმის პროცესი ჯერჯერობით რთულად მიმდინარეობს.

ეროვნული შემადგენლობით გერმანია ერთგვაროვანია, მოსახლეობის 95% გერმანელებია, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ფრანგები, აღმოსავლეთით—პოლონელები და სამხრეთით—ჩეხები. ბევრია ემიგრანტი, მაგალითად, დღევანდელ დასავლეთ გერმანიაში 0,5

მლნ. თურქია, რომლებიც ჩამოსული არიან სამუშაოდ. მაღალია ურბანიზაციის პროცენტი, მოსახლეობის 90% ცხოვრობს ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებაში.

გერმანიის სოფლის მეურნეობის საკითხებს ჩვენ განვიხილავთ ორი მიმართულებით, ისე როგორც ჩამოყალიბდა იგი ომის შემდგომი პერიოდიდან 1991 წლამდე (გერმანული სახელმწიფოების შეერთებამდე), ამიტომ ცალცალკე მომზადდა ე. წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და დასავლეთ გერმანიის ანუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საკითხები, ვინაიდან დღეისათვის ერთიან კონტექსტში მათი განხილვა შეუძლებელია.

წინამდებარე წიგნში გერმანიის სოფლის მეურნეობის განხილვა პირობითად წარმოდგენილია აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის სახით. ცხადია მომავალში, როდესაც ჩამოყალიბდება გერმანიის სახალხო მეურნეობის ერთიანი სახელმწიფოებრივი კომპლექსი, დამუშავდება და დაგროვდება საჭირო ციფრობრივი მასალა, ამ საკითხის განხილვა მოხდება ერთიან კონტექსტში—სახელწოდებით—გერმანიის სოფლის მეურნეობა.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ გ ე რ მ ა ნ ი ა (ყოფილი გდრ)—მდებარეობს ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი ბალტიისპირეთის ზღვის რეგიონის ქვეყნებს განეკუთვნებოდა, რომლის ტერიტორია 108 ათასი კვ. კმ. ხოლო მოსახლეობა—16,8 მლნ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ყოფილი მესამე რაიხი დაიყო 4 საოკუპაციო ზონად, რომელთაგან სამი მოხვდა მდ. ოდერის დასავლეთით, ხოლო ერთი, რომელიც სსრკ-ს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა — აღმოსავლეთში. 1949 წელს დასავლეთის საოკუპაციო ზონების გაერთიანებით შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხოლო აღმოსავლეთ ზონაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც დაიწყო ძველი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მსხვრევა და კომუნისტური სტრუქტურების დამკვიდრება. ახლად შექმნილ სახელმწიფოში ძალუფლება ხელში აიღეს კომუნისტებმა. რომლებთანაც ალიანსში შევიდნენ სოციალისტებიც. გდრ დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას, გატარდა რეფორმები მიწისა და ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაციის შესახებ, დაწესდა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება, სოფლის მეურნეობაში წარმოების ორგანიზაციულ ფორმად სსრკ-ის მოდელი აიღეს. რომელსაც საფუძვლად დაუდეს ადგილობრივი ტრადიციული მიწათმოქმედების სისტემები. სოფლად შეიქმნა კოოპერაციული გაერთია-

ნებები, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და (მცირე ოდენობით) ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები.

აღმოსავლეთ გერმანიაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი კლიმატური პირობებია. ტერიტორიის 2/3 ვაკეა (50 მეტრამდე ზღვის დონიდან), რაც მექანიზაციის გამოყენებისათვის კარგ წინაპირობებს ქმნის. აღმოსავლეთ გერმანიის სამხრეთი მთიანია. ძირითადად წარმოდგენილია ბუნებრივი სათიბ-საძოვრებით. კლიმატი დაბლობში ზომიერი ზღვის ტიპისაა, ხოლო სამხრეთით იგი უფრო კონტინენტური ხასიათისაა. ჩრდილოეთი ნაწილი საკმაოდ ტენიანია, საშუალო წლიური ტენიანობა 700 მმ-ია, ხოლო სამხრეთით ეს მაჩვენებელი 500—600 მმ-ია.

აღმოსავლეთ გერმანია კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, იგი მოქცეულია მდ. ელბის აუზში. ტერიტორიის 1/4 ანუ თითქმის 3 მლნ. ჰექტარი უჭირავს ტყეებს, რომელსაც სხვა ფუნქციებს გარდა სამრეწველო ფუნქციაც აქვს, მონაწილეობს რა სამონადირეო მეურნეობის სახით სასურსათო პროდუქტების დამზადებაში.

აღმოსავლეთ გერმანია, მიუხედავად მანკიერი კომუნისტური რეჟიმისა, განვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ჩეხოსლოვაკიის მსგავსად იქ შეიქმნა შრომის ნაყოფიერების საკმაოდ მაღალი დონე. ტექნიკური მიღწევების გამოყენებით შეძლეს კონკურენტუნარიანი პროდუქციის გაჟოშვება, რომელთა ნაწილი მსოფლიო ბაზარზეც კი გაჰქონდათ.

აღმოსავლეთ გერმანიაში საკმაოდ კარგი პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, იგი აკმაყოფილებს გადამამუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილების 2/3 ნედლეულზე და მოსახლეობის 85%-ის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე. შემოჰქონდათ შაქარი, სამხრეთული ხილი, ადრეული ბოსტნეული და ხორბლის ზოგიერთი სახეობა.

ამრიგად, 1952 წლიდან აღმოსავლეთ გერმანიაში დაიწყო წარმოების ე. წ. „სოციალისტურ“ სისტემაზე გადასვლა. სოფლად შეიქმნა კოლექტიური გაერთიანებები, ამხანაგობები, სახელმწიფო მეურნეობები, გატარდა რეფორმები, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ცენტრალიზაცია, ცენტრალიზებულად დაწესდა ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რამაც გამოიწვია ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს გაკოტრება. უმნიშვნელო ხვედრითი წონით იყო წარმოდგენილი ინდივიდუალური მიწათმოქმედება, რომელსაც ყოველმხრივ ავიწროვებდა სახელმწიფო სექტორი. წარმოების სოცია-

ლისტური სექტორის ხელში მოექცა სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 95%. შეიქმნა 5000 სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივი და 400 სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმო. წარმოების სოციალისტურ რელსებზე გადასვლა დამთავრდა 60-იანი წლებისათვის, მაგრამ ის საწარმოო ეფექტი, რომელსაც ვარაუდობდა ქვეყნის ხელმძღვანელობა, არ იქნა მიღებული, დაიწყო გაუთავებელი ექსპერიმენტები, რომლებიც უმთავრესად ატარებდა ორგანიზაციულ ხასიათს, შეიქმნა მეურნეობათაშორისო გაერთიანებები, აგრო-სამრეწველო კომბინატები, საწარმოო-სავაჭრო ცენტრები და ა. შ., მაგრამ მდგომარეობა ამით არ გამოსწორდა, ვინაიდან ყველაზე მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი, საკუთრების სახელმწიფოებრივი ფორმა, უცვლელი დარჩა.

მიუხედავად წარმოების სოციალისტური წესის არაეფექტიანობისა, აღმოსავლეთ გერმანიას მაინც ჰქონდა გარკვეული მიღწევები სასოფლო- სამეურნეო წარმოებაში და ეს უპირველესად განპირობებული იყო შედარებით მაღალი ტექნიკური შეიარაღებით (რომელმაც შრომის ნაყოფიერება გაზარდა), გერმანელი ხალხის შრომისმოყვარეობით და მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვით. შრომის ნაყოფიერების ზრდამ ქვეყანას საშუალება მისცა შეემცირებია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული შრომითი რესურსები. თუ 1950 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი მუშაკი აწარმოებდა 6 კაცის დასაკმაყოფილებელ პროდუქტებს, 1985 წლისათვის მას უკვე შეეძლო 15 კაცის უზრუნველყოფა.

წარმოებაში ახალი სელექციური ჯიშების დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა (საშუალოდ 32—35 ცენტ.) მაღალი პროდუქტიულობით ხასიათდება მეცხოველეობაც, შეიქმნა მანქანათა სისტემა კომპლექსური მექანიზაციისათვის. მარცვლეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია. ეფექტიანად გამოიყენება მინერალური სასუქები, ყოველწლიურად, ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ნიადაგში შეაქვთ 300 კგ. მეტი სასუქი, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

მარცვლეულიდან მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი. ამ უკანასკნელს ძირითადად იყენებენ მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შესაქმნელად. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა. თითქმის ყველა რეგიონში მოჰყავთ კარტოფილი, რომელიც პურის შემდეგ გერმანელებისათვის კვების

ძირითადი პროდუქტია, მოსახლეობის კვების რაციონის კალორიულობის 30—35% კარტოფილზე მოდის. მემცენარეობა წარმოდგენილია აგრეთვე ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებით, ხილით, კენკროვნებით, მაგრამ მათ ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის აწარმოებენ.

შედარებით კარგადაა განვითარებული მეცხოველეობაც, განსაკუთრებით, მერძეული მიმართულების ჯოგი, მეღორეობა და მეფრინველეობა. გერმანიაში სასურსათოდ გამოიყენება ძირითადად ღორისა და ფრინველის ხორცი. მეცხოველეობაში იქმნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარი და სასაქონლო პროდუქციის 3/4. მემცენარეობის სტრუქტურაში საკვებ კულტურებს პირველი ადგილი უჭირავს. ქვეყანაში ყველაზე ადრე (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის) დაიწყო მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა, რომელიც ავტომატიზებულია.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში ენერგეტიკულ საშუალებებში (ენერგოშეიარაღება 76 ცხ. ძალაა) წარმოდგენილია ცოცხალი გამწევი ძალაც. სტრუქტურაში მათი ხვ. წილი 8—10%, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს საწარმოო საშუალებების რაციონალურ გამოყენებაზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კარგადაა განვითარებული გადამამუშავებული და კვების მრეწველობა. ამზადებენ მაღალი ხარისხის ხორცისა და რძის პროდუქტებს, საკონდიტრო ნაწარმს, ხილისა და ბოსტნეულის წვენებს და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია საექსპორტოდ უმნიშვნელო ოდენობით გადის, ძირითადად მეცხოველეობის მზა ნაწარმის სახით (ძეხვეული, ხორცის კონსერვები და ა. შ.).

აღმოსავლეთ გერმანიაში არსებობს სპეციალური სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უმაღლესი სასწავლებლები, ხოლო უნივერსიტეტებში ფუნქციონირებენ სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები .მეცნიერული კვლევა წარმოებს, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე სპეციალურ სამეცნიერო ცენტრებში. ქვეყანაში განვითარებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომლის პროდუქცია იყიდება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

დასავლეთ გერმანია (1991 წ-მდე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა),—განეკუთვნებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფს, მისი ტერიტორია შეადგენს 248 ათას კვ. კმ. მოსახლეობა 60 მილიონია. დასავლეთ გერმანია მოსახ-

ლეობის სიმჭიდროვით (240 კაცი ერთ კვ. კმ.) და ურბანიზაციის პროცენტით (მოსახლეობის 90% ცხოვრობს ქალაქად) ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ევროპაში. 1949 წელს გერმანიის იმპერიის დასავლეთის სამი საოკუპაციო ზონის გაერთიანების შედეგად შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (გფრ).

დასავლეთ გერმანია (გფრ) ერთ-ერთ ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა მსოფლიოში. იგი შედგება 8 დამოუკიდებელი ფედერალური ერთეულისაგან, რომლებიც ვითარდებიან ერთიან სახელმწიფოებრივ ჩარჩოებში და ამასთანავე ინარჩუნებენ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. დასავლეთ გერმანიის ფედერაციაში შედიან: ბავარია, ბადენვიუტენბერგი, გესენი, რეინლანდ—პფალცი, საარი, ჩრდილოეთ რეინვერტფალია, სამხრეთ საქსონია, შელვიზ-გოლშტეინი. წარმოებული სამრეწველო პროდუქციის უდიდესი ნაწილი ქვეყანას ეაქვს საექსპორტოდ, მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად კარგადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტოტალურ ინდუსტრიალიზაციას, (ხელით შრომის წილი 3—5% არ აღემატება). სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 5,5%, რომლებიც ქმნიან ეროვნული შემოსავლის 6,5%. სოფლის მეურნეობაში მაღალმა შრომის ნაყოფიერებამ საშუალება მისცა ქვეყანას გამოენთავისუფლებია შრომითი რესურსები სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განსავითარებლად.

დასავლეთ გერმანია მცირემიწიანი ქვეყანაა (ერთ სულზე გაანგარიშებით საავარიოლი—0,34, ხოლო სახნავი—0,16 ჰა), რამაც გერმანელი ხალხი ტრადიციულად რაციონალური მიწათმოქმედების ჩარჩოებში ჩააყენა, მიწის გამოყენების თვალსაზრისით, იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

რაციონალურ მიწათმოქმედებას ხელს უწყობს ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც. მდებარეობს რა ცენტრალურ ევროპაში, ბალტიის ზღვის სანაპიროსთან (ჩრდილოეთიდან სამხრეთით) იგი ღრმად იჭრება ევროპის კონტინენტზე, ამიტომ კლიმატი ზომიერი ზღვაურიდან თანდათანობით გადადის კონტინენტურში. ყველაზე ცივი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა +1,5°, ხოლო ივლისის თვის საშუალო ტემპერატურა —+16° +20°. ნალექები წლის განმავლობაში უხვად მოდის 600—800 მმ, რაც ძალზედ ხელსაყრელ ფონს ქმნის მიწათმოქმედების განვითარებისათვის. დასავლეთ გერმანია კარგადაა

უზრუნველყოფილი წყალუხვი მდინარეებით, რომლებსაც დიდი სატრანსპორტო მნიშვნელობაც აქვთ. ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით გამოირჩევა ვერტიკალური ზონალობის სამი ტიპი: ჩრდილოეთით წარმოდგენილია დაბლობი, ცენტრალური ნაწილი უკავია საშუალო სიმაღლის მთებს, ხოლო სამხრეთი—უშუალოდ თოვლიან ალპებს. მიწათმოქმედებისათვის ყველაზე ხელსაყრელია დაბლობი და ცენტრალური ნაწილი, ხოლო სამხრეთი წარმოდგენილია ალპური საძოვრებითა და სათიბების სახით.

დასავლეთ გერმანიის სოფლის მეურნეობა ეკონომიკის მაღალგანვითარებული დარგია, რომლის საფუძველს წარმოადგენს მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასების რეგულირება ხდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კერძოდ, მიწოდებისა და მოთხოვნილების შესაბამისად. ფასი ამა თუ იმ პროდუქტზე ქვეყნის სხვადასხვა ზონაში შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს.

ქვეყანაში ძირითადად გავრცელებულია გლეხური, ფერმერული ტიპის მეურნეობები. ფერმის საშუალო სიდიდეა 15 ჰა, თუმცა არის მსხვილი მემამულური მეურნეობებიც, რომელთა ფართობი 2—2,5 ათასი ჰა და მეტია, მაგრამ მათი ხვედრითი წილი დიდი არ არის. ჩამოყალიბდა ფერმერული მეურნეობის საწარმოო ორგანიზაციის რამდენიმე ფორმა, მათ შორის პოპულარულია წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასაღების ორგანიზაციისათვის შექმნილი კოოპერატივები, განსაკუთრებით, მერძეული მიმართულების მეცხოველეობაში. (ორგანიზაციული თვალსაზრისით არსებობს სხვა ფორმებიც, მაგალითად, გავრცელებულია რძის ჩაბარების შემდეგი წესი: მწარმოებელი შესაბამის ჭურჭელში ასხამს მთელი დღის ნაწველ რძეს და ტოვებს მას დანიშნულ ადგილას, ზუსტად დათქმულ დროს ჩამოივლის სპეციალური ტრანსპორტი, რომელსაც მოწველილი რძე ძიაქვს გადასამუშავებლად. იგივე ითქმის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზეც, ფერმერები აკეთებენ განაცხადს იმ მატერიალურ საშუალებებზე, რომელიც მათ სჭირდებათ და იქვე მიუთითებენ გრაფიკსა და ადგილს. ყოველივე ამას აბარებენ იმ ფირმის აგენტს, რომელთანაც დადებული აქვთ ხელშეკრულება. ამრიგად, ფერმერს არ ეკარგება დრო, არც საჭირო მასალების შეძენაზე, არც წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე, იგი მთლიანად საწარმოო ფუნქციითაა დაკავებული. რაც შეეხება მოვლა-მოყვანისათვის საჭირო ტექნიკას, ბევრ ფერმერს იგი აქვს იმ რაოდენობით, რომელიც მისთვისაა საჭირო. გარდა ამისა არსებობს ტექნიკის გამქირავებელი ორგანიზა-

ციებიც. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაზარდა შრომის ნაყოფიერება, მინიმუმამდე შეამცირა შრომითი დანახარჯები და ა. შ.).

ქვეყანაში შრომის ტექნიკური შეიარაღების მაღალი დონეა. სოფლის მეურნეობაში მუშაობს 1,5 მლნ. ტრაქტორი. ენერგოუზრუნველყოფის საჩვენებლით გერმანია 2-ჯერ სჭარბობს შეერთებულ შტატებს. (ენერგოშეიარაღება 116 ცხენის ძალაა, რაც მინიმუმამდე ამცირებს ცოცხალი შრომის ხვედრით წილს). ეფექტიანად გამოიყენება მინერალური სასუქები, დამუშავებული აქვთ რაციონალური სქემები, რაც გამორიცხავს სასუქების უმიზნოდ ხარჯვას. მკაცრი კონტროლია დაწესებული ბუნებისა და ნიადაგდაცვის ღონისძიებებზე, მიღებული პროდუქციის ტოქსიკურობაზე და ა. შ. დღეისათვის, გერმანიაში ერთ ha-ზე გაცილებით მეტი მინერალური სასუქი შეაქვთ, ვიდრე აშშ, საფრანგეთში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში. ამის შედეგად მარცვლეულის მოსავლიანობა მეტად მაღალია. მაგალითად, ხორბლის შეადგენს—42 ცენტნერს, ქერის — 38 ცენტ. ჭვავის—30 ცენტ. კარტოფილს—270 ცენტნერს და ა. შ. ამასთან ერთად, აღნიშნულ პროდუქტებში ტოქსიკურობა ან არ არის, ანდა წარმოდგენილია ძალზედ უმნიშვნელო ოდენობით.

დასავლეთ გერმანია სრულად ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. საკუთარი წარმოების ხორბლით ქვეყნის მოსახლეობის ბოლოდ 80% კმაყოფილდება, შაქრით—65%, ხორცით—90%, ბოსტნეულით—80%, ხილით—75% და ა. შ. სრულიად იკმაყოფილებს მოთხოვნილებას კარტოფილზე, რძეზე, ფრინველის ხორცზე, კვერცხზე. დასავლეთ გერმანია მონაწილეობს დასავლეთ ევროპის ქვეყნების საბაზრო გაერთიანებაში. ევროპულ ბაზარზე გააქვთ ღვინო, ძეხვეული, ყველი და ა. შ.

მარცვლეულის წარმოება მთლიანად მექანიზებულია. იგი წარმოდგენილია ქვეყნის ჩრდილოეთით, კერძოდ, შლეზვინგ—გოლშტეინში, სამხრეთ საქსონიაში, ჩრდილოეთ რეინში. ეს მხარეები შედარებით ვაკის ზონაში მდებარეობს, რაც მექანიზაციის გამოყენების დიდ შესაძლებლობებს იძლევა. კარტოფილს აწარმოებენ თითქმის ყველა ფერმასა და გლეხურ მეურნეობებში—სამხრეთით უმთავრესად მის მოყვანას სასაქონლო ხასიათი აქვს. ეს კულტურა დღესაც დომინირებს გერმანიის სოფლის მეურნეობაში. შაქრის ჭარხლის წარმოებისათვის კარგი პირობებია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ჭარხალს იყენებენ, როგორც პირუტყვის საკვებად, ასევე გადამუშავებისათვის

არსებობს ქერისა და ჭვავის საკმაოდ დიდი ფართობები, რომელთა პროდუქცია ძირითადად ხმარდება საქვეყნოდ განთქმული გერმანული ლუდის დამზადებას. ქერს ხმარობენ მეცხოველეობაშიც, კერძოდ მეღორეობაში. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში არაა ოპტიმალური პირობები მევენახეობის განვითარებისათვის, ეს კულტურა საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი განსაკუთრებით გესენის, რეინალდ-პფალტცისა და ბადენ-ვიუტენბერგის მხარეებში, მოჰყავთ როგორც სუფრის, ისე სამრეწველო ხასიათის ყურძენი. ქვეყნის სამხრეთით განვითარებულია მეხილეობა (უმთავრესად ვაშლი და მსხალი), სამხრეთში მცირე რაოდენობით აწარმოებენ თამბაქოს.

კარგად არის განვითარებული მეცხოველეობა. ამ დარგს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მის წილად მოდის ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 4/5. მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია, განსაკუთრებით, ალპების მთისპირეთში, სადაც ძოვს ქვეყნის წერძეული ჯოგის 1/3, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში მერძეული მეცხოველეობა ბაგურ კვებაზეა. მეცხოველეობის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ნოყიერი საკვები ბაზა, ნალექების სიუხვე ხელს უწყობს სათიბ-საძოვრების მაღალ პროდუქტიულობას, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთსა და იმავე ფართობზე პირუტყვს წლის განმავლობაში 7—8-ჯერ აძოვებენ. მაღალია მეწველი ჯოგის პროდუქტიულობა, საშუალო წველადობა 4200—4400 კგ-ია, წლიური წონამატი კი 40—45%-ს შეადგენს. რძის 90% მიდის გადამუშავებაზე, აწარმოებენ საუკეთესო ხარისხის ყველს, კარაქს და სხვა პროდუქტებს.

მეცხოველეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ მეღორეობას, ღორის ხორცი გერმანელებისათვის კვების ძირითადი პროდუქტია. 1985 წლის მონაცემების მიხედვით ქვეყანაში 28 მლნ. სული ღორი იყო, ამ მაჩვენებლით გერმანიას დასავლეთ ევროპაში პირველი ადგილი უჭირავს. ქვეყანაში არსებობს მეღორეობის დიდი ფერმები, რომლებშიც ყველა პროცესი ავტომატიზებულია. გავრცელებულია ინდივიდუალური მეღორეობაც, ფერმერს რომელიც აწარმოებს სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, როგორც წესი, ჰყავს რამდენიმე სული ღორიც, რომელსაც ან აბარებს ხორცკომბინატს ან იყენებს საკუთარი მოხმარებისათვის.

სამრეწველო საფუძველზეა განვითარებული მეფრინველეობაც. მრავლადაა საშუალო სიმძლავრის მეფრინველეობის ფაბრიკები,

ფრინველის ხორცი ქვეყანას გააქვს საექსპორტოდ. ამზადებენ კვერცხის ფხვნილს, ხოლო ნაწილი მოიხმარება ნატურალური სახით. გავრცელებულია მეცხენეობაც, რომელსაც სავაჭრო—სპორტული მნიშვნელობა აქვს, წმინდასისხლიანი ჯიშის ცხენები საექსპორტოდ გაჰყავთ მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნებში.

გათვალისწინებულია რა სოფლის მშრომელთა მძიმე შრომა, სახელმწიფო მათ ფინანსურ დახმარებას უწევს. აძლევენ როგორც სესხს, ისე სახელმწიფო დოტაციებსაც, მიუხედავად ამისა, მაინც დიდია სოფლის მოსახლეობის დენადობა ქალაქად. მარტო უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში 300 ათასამდე ინდივიდუალურმა მეურნეობამ შეწყვიტა არსებობა. სახელმწიფო ექსპერტების მიერ დამუშავებული სქემების მიხედვით, ოპტიმალურად ითვლება სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელთა ფართობია 60—80 ჰა, 40—45 სული ძროხით ან 10 ათასი ფრთა ფრინველით, ან 120—150 სული ღორით. ამჟამად, ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით. ფერმერები ერთდებიან საწარმოო ინტერესების მიხედვით და ჩამოყალიბებულ კოოპერატივებში აერთიანებენ მიწას და სხვა ძირითად საშუალებებს. ხდება ფერმების ყიდვა-გაყიდვა, რისთვისაც სახელმწიფო დიდ სესხებს იძლევა. დასავლეთ გერმანიის სოფლის მეურნეობა რაციონალური მიწათმოქმედების შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც ვითარდება ინტენსიური გზით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიღწევებში დიდ როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. ქვეყნის უნივერსიტეტებში არსებული სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები ამზადებენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს, წარმოებაში შეუფერხებლად ინერგება მეცნიერული მიღწევები. ქვეყანაში არსებობს მსოფლიოში აღიარებული რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი, რომლებიც მუშაობენ მცენარისა და ცხოველის სელექცია-გენეტიკაში, სასოფლო-სამეურნეო შრომის მექანიზაციაში.

ირლანდია

ირლანდიის ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც ძირითადად ორიენტირებულია დიდი ბრიტანეთის მოთხოვნილებებზე. იგი აცლებს კვების პროდუქტებზე იმ დეფიციტს, რომელიც ამ ქვეყანაში არსებობს.

ირლანდიის ტერიტორია 70 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—3 მლნ. დედაქალაქი—დუბლინი. ქვეყანას უჭირავს ირლანდიის კუნძულის უდიდესი ნაწილი (გამონაკლისია ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის ნაწილი, რომელიც დიდ ბრიტანეთს ეკუთვნის). ირლან-

დიას ხატოვნად „ზურმუხტოვან კუნძულს“ უწოდებენ და ეს სახელწოდება გამართლებულია იმით, რომ მისი ველები მთელი წლის განმავლობაში მწვანედ ხასხასებენ, ამას ხელს უწყობს ზღვის ჰავა და ის სითბო, რომელიც თან მოჰყვება ციკლონებს. ირლანდიის ნაპირებს გარს ეკვლის ატლანტიკის ოკეანის თბილი დინება, ქვეყანაში მაღალი ტენიანობაა. წლის განმავლობაში ნალექების რაოდენობა 1200 მმ. აღწევს, ზამთარი თბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურა +5°, +8°-ია, თოვლი იშვიათად მოდის, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში ბუნებრივ საძოვრებზე იყოს. ზაფხული შედარებით ცივი და წვიმიანია, ივლისის საშუალო ტემპერატურა +15° არ აღემატება. კუნძულზე ბევრია დაჭაობებული ფართობები, რომლებიც ხშირი წვიმების შედეგია.

ირლანდიის ზედაპირი გადმობრუნებულ თეფშს მოგვაგონებს, მისი ცენტრალური ნაწილი უჭირავს სწორ ზეგანს, რომელზეც ბევრი ტბებია. უმაღლესი მწვერვალის სიმაღლე 1041 მ-ია, სანაპირო ზოლი შეჭრილ-შემოჭრილია, რომელიც წარმოშობს ფიორდებსა და ყურეებს, რაც კარგ პირობებს ქმნის მეთევზეობისათვის. მეთევზეობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში (ირლანდიური ქაშაყი ცნობილია მრავალ ქვეყანაში). ირლანდიაში ბევრი წყალუხვი მდინარეა, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც სატრანსპორტო არტერიებს.

ირლანდიის მიწები დიდი ნაყოფიერებით არ გამოირჩევა. დასავლეთ ნაწილში კირქვიანი ნიადაგები სჭარბობს, რომლებიც უვარგისია წარმოებისათვის, მხოლოდ დაშრობილი მიწები გამოიყენება მიწათმოქმედებისათვის, რადგან საკმაოდ კარგი შემადგენლობით ხასიათდებიან. ერთ დროს ტყის მასივებით საკმაოდ მდიდარი ქვეყანა დღეს ღარიბად გამოიყურება, მხოლოდ ცალკეულ ადგილებში შემორჩა მუხა, წიფელი და სხვა ხე-მცენარეულობა. რბილმა ჰავამ წარმოშვა მრავალფეროვანი მცენარეული საფარი, სადაც წარმოდგენილია სამხრეთული სითბოსმოყვარული მცენარეებიც, მაგალითად, ქვეყანაში შეხვდებით ლიმონს, დაფნას, ლეღვს, პალმას და ა. შ. ეს მცენარეები ორი—სამი საუკუნის წინ არის შემოტანილი და კარგად შეეგუენ ადგილობრივ პირობებს.

ბუნების მრავალფეროვნებამ და მიწათმოქმედებისათვის კარგმა პირობებმა, ხელი შეუწყვეს მრავალმხრივი და მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამკვიდრებას, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციაში, დიდი როლი შეასრულა კოლონიურმა

სისტემამ, რომელშიც ირლანდია იმყოფებოდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. სწორედ ამიტომ, მისი ეკონომიკა მორგებულია ინგლისის ინტერესებს და თავი ვერ დაუღწევია ამ მდგომარეობიდან, დღესაც ირლანდია ინგლისისათვის იაფი პროდუქციისა და მუშახელის მიმწოდებელი რეგიონია. დამოუკიდებლობის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ირლანდიის ეკონომიკის სტრუქტურაში, იგი აგრარულიდან გადაიქცა აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ირლანდიამ ფართოდ გაუღო კარი უცხოურ კაპიტალს, შეიქმნა მისი დაბანდებისათვის შეღავათიანი პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მრეწველობა დაჩქარებული ტემპით ვითარდება, მსოფლიო ბაზარზე ირლანდიას უპირველეს ყოვლისა იცნობენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. ქვეყნის სოფლის მეურნეობის ტრადიციულ დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა, რომელზეც მოდის წარმოებული პროდუქციის 82%. მეცხოველეობის განვითარებას ხელი შეუწყო ბუნებრივი საძოვრების უუათიანობამ, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იძლევა ცხოველისათვის საჭირო მაღალკალორიულ საკვებს. ძირითადად მისდევენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას, რომელსაც მერძეული მიმართულება აქვს. დიდია ირლანდიური წარმოების მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნილება ევროპაში და პირველ რიგში დიდ ბრიტანეთში. ირლანდიას უჭირავს პირველი ადგილი ევროპაში ერთ სულ მოსახლეზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობით. 1985 წლის მონაცემებით ირლანდიაში 4,8 მლნ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი იყო, აქედან 3 მლნ. მეტი—ძროხა. ქვეყანა ეწევა არა მარტო მეცხოველეობის პროდუქტების ექსპორტს, არამედ დიდი რაოდენობით გაჰყავთ ჯიშიანი პირუტყვიც. შექმნილია კარგი სელექციური ბაზა, სადაც გამოჰყავთ ჯიშიანი პირუტყვი მსოფლიოს მრავალი რეგიონისათვის.

შედარებით მთიან ზონაში მისდევენ მეცხვარეობას, რომელსაც ინგლისის მსგავსად აქვს როგორც მეხორცული, ისე სამატყლე მიმართულება. ცხვრების სულადობა 6 მლნ. აღემატება. სამხრეთით არის მეღორეობის ფერმებიც. იმასთან დაკავშირებით, რომ ინგლისის ბაზარზე გაიზარდა მოთხოვნილება შინაური ფრინველის ხორცზე, დაიწყეს მეფრინველეობის განვითარებაც.

მემცენარეობას დამხმარე ხასიათი აქვს და იგი უმთავრესად ემსახურება მეცხოველეობის ინტერესებს, წარმოებული პროდუქციის ნაწილი იხარჯება პირუტყვის საკვებად. მემცენარეობიდან ტრადიციულ კულტურას წარმოადგენს კარტოფილი, რომელიც მოჰყავთ ყველგან და მას ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს. მარც-

ვლეულიდან მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ჭვავი და სიმინდი, (მაგრამ არა სამარცვლე). აღსანიშნავია, რომ ირლანდია ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას პურ-პროდუქტებზე და ამიტომ ხორბალი შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავაჭრო ბალანსი ირლანდიის სასარგებლოდაა, ქვეყანას 2,7-ჯერ მეტი პროდუქცია გააქვს ვიდრე შემოაქვს.

ინგლისის მსგავსად ირლანდიაში ფერმერული ტიპის მეურნეობებია. საშუალო სიდიდის ფერმა 80 ჰა-მდე მიწას ფლობს, დაახლოებით 45 — 50 სული მსხვილფეხა რქოსანი და სხვა ცხოველით (ცხენი ცხვარი), და ფრინველით. ისევე როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, აქაც მიმდინარეობს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ჩამოყალიბება, ფერმერები ინტერესების მიხედვით ერთიანდებიან კოოპერატივებში, რომელიც კარგ საწარმო ეფექტს იძლევა. აღსანიშნავია ის, რომ მონოპოლია საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფოს ხელშია, რაც ფერმერს ათავისუფლებს საგარეო ბაზრის ძებნის მძიმე ტვირთისაგან, ფასების სისტემა ხელსაყრელია ფერმერთათვის. გარდა ამისა სახელმწიფოსაგან მათ ეძლევათ შეღავათიანი სესხები და დოტაციები.

მართალია ირლანდიის სოფლის მეურნეობა ძირითადად ორიენტირებულია ინგლისის მოთხოვნილებებზე, მაგრამ ასეთი ურთიერთობა ხელსაყრელია ორივე ქვეყნისათვის. ირლანდიის სოფლის მეურნეობა კარგადაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით, არსებობს სპეციალისტებით მომსახურების ბიუროები, რომლებიც მუშაობენ ხელშეკრულების პრინციპით. კადრებს ამზადებენ ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში.

საფრანგეთი

საფრანგეთის რესპუბლიკა მდებარეობს მატერიკის დასავლეთით. მას ესაზღვრება ატლანტიკის ოკეანე, ჩრდილოეთით—ლამანშის სრუტე, სამხრეთით კი—ხმელთაშუა ზღვა. საფრანგეთი ტერიტორიით ყველაზე დიდი ევროპული სახელმწიფოა. იგი ორჯერ აღემატება დასავლეთ გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ტერიტორიებს. ქვეყნის ფართობი 551 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—54 მლნ. დედაქალაქია პარიზი. საფრანგეთი ფლობს აგრეთვე მიწებს ამერიკაში, აფრიკასა და ოკეანიაში (ფართობი—127 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა—1,5 მლნ.).

საფრანგეთის ბუნებრივმა მდებარეობამ ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში განაპირობა მისი სტრატეგიული მდგომარეობა. ხელი შეუწყო ეკონომიკის განმტკიცებას. მრავალი ასეული წლის განმავლობაში

საფრანგეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, ისე საერთაშორისო ვაჭრობაში.

თანამედროვე საფრანგეთი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას. ნაციონალური შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მიხედვით მას მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიოში აშშ, იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის შემდეგ. თუმცა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ ქვეყნებს წარმოების კონცენტრაციის, სიდიდისა და კაპიტალბანდების მოცულობით, აგრეთვე ეკონომიკაში მრეწველობის ხვედრითი წილის მიხედვით.

პოლიტიკური რეჟიმით საფრანგეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, სადაც განუსაზღვრელი ძალაუფლებით სარგებლობს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ქვეყანას მდიდარი ისტორია აქვს (მსოფლიო ისტორიის მოვლენები—ნაწყვეტული გლეხთა ვამოსვლებიდან (XIII საუკუნეში), დამთავრებული ბურჟუაზიული რევოლუციებით, ნაპოლეონის ეპოქით და ა. შ.) XIX საუკუნის დასაწყისი აღინიშნა რთული კლასობრივი ბრძოლებით. ამ პერიოდიდან იწყება კაპიტალიზმის დაჩქარებული განვითარებაც. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დამთავრდა სამრეწველო გადატრიალება და ქვეყანა მტკიცედ დაადგა ინდუსტრიული განვითარების გზას. დაიწყო პრიორიტეტული დარგების, მათ შორის მანქანათმშენებლობის განვითარება, XX საუკუნის დასაწყისში ამან დასაბამი მისცა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას. დღევანდელი საფრანგეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია მსხვილი სამრეწველო გიგანტების შეთანაწყობა წვრილ სამრეწველო საწარმოებთან.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. სამხრეთით სუბტროპიკული ზონაა, ხოლო ცენტრალურ და ჩრდილო პროვინციებში—ზომიერი კონტინენტური. წარმოების მრავალფეროვნება, განპირობებულია ბუნებრივ-კლიმატური პირობებით. ქვეყნის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი უჭირავს დაბლობს, ცენტრალური და აღმოსავლეთი დეპარტამენტები განლაგებულია საშუალო სიმაღლის ზეგანზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ—დასავლეთით მდებარეობს მაღალი მთის მასივები, რომლებიც ალპების მთის ნაწილს წარმოადგენენ. მათი სიმაღლე საფრანგეთის ტერიტორიაზე 3 — 4 ათას მეტრამდე აღწევს, აქვეა ალპების მთაგრეხილის ყველაზე მაღალი მწვერვალი მონბლანი (4807 მ.).

საფრანგეთის კლიმატის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ატლანტიკის ოკეანიდან მქროლავი ქარები. განსაკუთრებით რბილი და ტენ-

იანია ბრეტანის კლიმატი, სადაც ივლისის საშუალო ტემპერატურა +17°, ხოლო იანვრისა +7°. ქვეყნის აღმოსავლეთით, ოკეანიდან დაშორებით, სულ უფრო და უფრო გამოიკვეთება კონტინენტური კლიმატი. აქ ბევრია როგორც მზიანი, ისე ყინვიანი დღეებიც, ტემპერატურის რყევადობის ამპლიტუდა 20-ის ტოლია. საფრანგეთში საკმაოდ ბევრი ნალექი მოდის, მათი ოდენობა ზონების მიხედვით წელიწადში 600—1000 მმ-ია; ხოლო ზოგიერთ რეგიონში (განსაკუთრებით, მთის წინა ოლქებში) ეს მაჩვენებელი 2000 მმ. აღწევს. საფრანგეთისათვის დამახასიათებელია ტიპიური ზომიერი ტემპერატურა, ნალექების სიუხვე შესაბამის პირობებს ქმნის მრავალდარგოვანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

საფრანგეთში ბევრი წყალუხვი მდინარეა, მათ შორის ყველაზე დიდია მდ. ლუარა (1020) კმ.). მდინარეების უმრავლესობა სათავეს იღებს საფრანგეთის ალპებში და ჩაედინება ატლანტიკის ოკეანეში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, ზოგიერთი რეგიონი მაინც განიცდის წყლის დიდ დეფიციტს, რაც განსაკუთრებით ითქმის ქვეყნის ხმელთაშუაზღვის ზოლზე, ეს კი არასასურველ გავლენას ახდენს ამ რეგიონების ეკონომიკაზე.

ქვეყნის ნიადაგობრივი და მცენარეული საფარი მრავალფეროვანია. ნიადაგების ბუნებრივი ნაყოფიერება საკმაოდ მაღალია, ჰუმუსის შემცველობითა და ბიოლოგიური აქტიურობით ხელსაყრელი პირობები იქმნება მაღალპროდუქტიული მიწათმოქმედებისათვის. ქვეყნის ტაბლობის დიდი ნაწილისა და აგრეთვე მთიანი ზონისათვის დამახასიათებელია რუხი ტყისმიერი ნიადაგები.

საფრანგეთი ტრადიციულ მიწათმოქმედთა ქვეყანაა, ხანგრძლივმა ექსპლოატაციამ რამდენადმე შეცვალა მიწების ხარისხი, მათი პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათზე.

საფრანგეთის ბუნება მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანის საქმიანობამ, სწორედ ამის შედეგია ის, რომ თითქმის ყველგან, ქვეყნის ყველა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში სჭარბობს კულტურული ლანდშაფტი.

ტყეს, რომელსაც ისტორიულად დიდი ფართობი ეკავა, დღეისათვის უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/4, მიმდინარეობს დიდი სამუშაოები ტყეების დასაცავად და აღსადგენად, ხდება მათი ხელოვნური გაშენება. თუმცა, ქვეყანაში გვხვდება რეგიონები, სადაც ტყე საერ-

თოდ არ არის. ტყის რაოდენობით ერთ სულზე გაანგარიშებით საფრანგეთს მოწინავე პოზიციები უჭირავს ევროპაში.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია სასაქონლო პროდუქციის მაღალი დონე, იგი ევროპაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჭარბობს ფერმერული მეურნეობები, რომლებიც ადრე არსებული გლეხური მეურნეობების ბაზაზე აღმოცენდა, აქა იქ ჯერ კიდევ შემორჩა მსხვილი მემამულური მეურნეობებიც. ყველაზე მეტად გავრცელებულია წარმოების ორი ტიპი: კერძო მესაკუთრული მეურნეობები (მესაკუთრე—ფერმერი) და საიჯარო მეურნეობები (ფერმერი—მოიჯარე). ფრანგულ სოფლებში სჭარბობს საშუალო სიდიდის მეურნეობები (10—50 ჰა). მათი რაოდენობა მთელი მეურნეობების ნახევარია და ფლობენ დამუშავებული მიწების 50%. ქვეყნისათვის დამახასიათებელია აგრეთვე წვრილი მეურნეობებიც (10 ჰა-მდე ფართობით), მათ ხელშია დამუშავებული მიწების 9%-მდე. მსხვილ ფერმებად ითვლება მეურნეობები, რომლებსაც 50 ჰა-ზე მეტი ფართობი უჭირავს, მათი რიცხვი ქვეყანაში 10%-მდეა, და ეკუთვნით მიწის ფონდების 40%-მდე.

სოფლის მეურნეობა ხასიათდება მექანიზაციის მაღალი დონით, ისეთი კულტურებისთვისაც კი, როგორიცაა ვენახი, შემუშავებულია მანქანათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თითქმის ყველა საწარმოო პროცესების მექანიზებულ დამუშავებას. მსხვილ მეურნეობაში კარგადაა შეთანაწყობილი დარგები და კულტურები, რაც აუცილებელია მიწისა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. საშუალო და მსხვილ მეურნეობებში იყენებენ დაქირავებულ შრომას, რომელიც ფორმდება ხელშეკრულებით.

დიდ საწარმოო ეფექტს იძლევა აგროფირმები. ისინი მსხვილი მეურნეობების ბაზაზე იქმნებიან და წარმოადგენენ თანამედროვე ტიპის აგროსამრეწველო კომპლექსებს, აგროფირმებში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მათი დამუშავება და გადამუშავება, მზა პროდუქციის რეალიზაცია—საკუთარი სავაჭრო ქსელებით და ა. შ. ერთ-ერთი ასეთი აგროფირმა მდებარეობს ქალაქ ბორდოს მახლობლად, რომლის ფართობია 2500 ჰა, აქედან, სასოფლო-სამეურნეო სავარგულს უჭირავს 1980 ჰა, მათ შორის 1200 ჰა სახნავით. აგროფირმას აქვს ორი გადამამუშავებელი საწარმო, მაღაზიები, როგორც საფრანგეთში, ისე ევროპის სხვა ქვეყნებში. ტერიტორია კომპაქტურია, რომლის ტყიანი ნაწილი (დაახლოებით 500 ჰა) გამოყენებულია სამონადირეო მეურნეობისათვის, 780 ჰა უჭირავს საძოვრებსა

და სათიბებს. ემსახურება მერძეული მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმას, რომელშიც პირუტყვის რაოდენობა 550—600 სულს შეადგენს, აქედან 400 სულზე მეტი ძროხაა. მეცხოველეობას ემსახურება ავტომატიზებული რძის გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც ამზადებს კარაქს, ყველს და სხვა ნაწარმს. აღნიშნული საწარმო ხელშეკრულების საფუძველზე გადასამუშავებლად იღებს აგრეთვე ახლომდებარე ფერმერთა პროდუქციასაც. პირუტყვი ძირითადად ძოვებაზეა. საძოვრები დაყოფილია 8 ნაკვეთად, ერთდროული ძოვებისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთი ნაკვეთი, რომელზეც მორიგეობითი ძოვება 8 ჯერადია. საძოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი ირწყვება, სარწყავ სისტემას, რომელიც ავტომატიზებულია და რწყავს 1200 ჰა-ს, ემსახურება ერთი ოპერატორი.

აგროფირმა აწარმოებს ადრეულ ბოსტნეულს, კომბოსტოს, ბაღჩეულ კულტურებს, ხილს, მარწყვს, მცირე ოდენობით—კარტოფილს, აქვს 300 ჰა-მდე ყურძენიც, რომელიც ძირითადად სუფრის ჯიშისაა და ხმარდება ატლანტიკის სანაპირო ზოლის კურორტების მომარაგებას. ძირითად პროდუქციას წარმოადგენს (ყველაზე შემოსავლიანი) მეყვავილეობა, ამზადებენ ყვავილის თესლს, ბოლქვებს, რომლებიც გაქვთ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მთელი საფრანგეთი მოფენილია ფირმის ყვავილების მაღაზიებით.

აგროფირმის სამმართველოს ემსახურება 3-კაციანი ჯგუფი, რომებთაგან ორი აგროფირმის თანამფლობელები არიან, ერთი განაგებს ეკონომიკურ, ხოლო მეორე აგროტექნიკურ საკითხებს, მესამე პირი მმართველობაში ზოოტექნიკურ საკითხებს უძღვება. არ ჰყავთ ბუღალტერი, ყველა მონაცემი შედის კომპიუტერში და მთელ საფინანსო სისტემას ემსახურება ერთი ოპერატორი.

როგორც წესი, აგროფირმაში ყველა დარგი რენტაბელურია, არარენტაბელობის შემთხვევაში იწვევენ სპეციალურ კონსულტანტებს (მეცნიერებს) და ისინი ადგილზე სწავლობენ წამგებიანობის მიზეზებს. იძლევიან საჭირო რეკომენდაციებს.

აგროფირმებად ერთიანდებიან საშუალო ფერმერებიც, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, საბოლოო საწარმოო ეფექტის მისაღებად, მატერიალური საშუალებების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით, გაერთიანების აღნიშნული ფორმა ყველაზე ხელსაყრელია.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 6,5%, ისინი ქმნიან ნაციონალური შემოსავლის 8,2%. მაღალია ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი. 1980 წლისათვის იგი 97 ცხნ. ძალას აღწევდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ენერგე-

ტიკული საშუალებების სტრუქტურაში 5—6%-ით წარმოდგენილია ცოცხალი გამწევი ძალაც, რაც მიუთითებს ენერგეტიკის რაციონალურ შეთანაწყობაზე. ევეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომელიც წარმოებას უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით და ენერგეტიკული საშუალებებით.

საფრანგეთი განეკუთვნება იმ ევროპული ქვეყნების რიცხვს, რომლებიც სრულად იკმაყოფილებენ საკუთარ მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე და საკმაო რაოდენობით გააქვთ იგი საზღვარგარეთაც. ევეყანაში ვერ შეხვდებით წამგებიან მეურნეობას, საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო იძლევა გრძელვადიან კრედიტებს, რომლებიც დროულად ახდენენ მდგომარეობის სტაბილიზაციას.

სოფლის მეურნეობაში წარმოდგენილია ორივე დარგი: მემცენარეობაც და მეცხოველეობაც. სხვა ევროპული ქვეყნების მსგავსად წამყვანი დარგია მეცხოველეობა, რომლის წილადაც მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 3/5.

მემცენარეობაში მთავარია მარცვლეული კულტურები, მათ შორის ხორბალი. რომლის საერთო წარმოებით საფრანგეთი აშშ, ინდოეთისა და კანადის შემდეგ მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში (ყოფილი სსრკ-ის ჩამოკლებით). ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰა-ზე 45—48 ცენტნერია, საერთო მოსავალი—28—30 მლნ. ტონაა. მოსავლის 1/3 ქვეყანას გააქვს საექსპორტოდ. ხორბლის ძირითადი ნათესები საფრანგეთის ჩრდილოეთ პროვინციებშია. მარცვლეულიდან მოჰყავთ აგრეთვე ქერი და სიმინდი, რომლებსაც პირუტყვის საკვებად იყენებენ. ჩრდილო-დასავლეთ პროვინციებში გავრცელებულია წიწიბურა და შვავი, ხოლო ცენტრალურ, შედარებით მწირ მიწებზე—ქერი. ქვეყნის თითქმის ყველა ზონაში მოჰყავთ კარტოფილი, რომელსაც ძირითადად ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს, თუმცა, კარტოფილის ფქვილი საკმაო რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ.

საფრანგეთი ვანთქმულია მევენახეობით, წარმოდგენილია უმთავრესად სამრეწველო ჯიშები. ფრანგული ღვინის ნაწარმი ცნობილია მთელ მსოფლიოში, მათზე დიდი მოთხოვნილებაა ევროპაში. ღვინო საკმაო რაოდენობით გააქვთ საექსპორტოდ. მევენახეობა (გადამამუშავებელ მრეწველობასთან ერთად) სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მაღალრენტაბელურ დარგად ითვლება. ყურძნის საშუალო წლიური წარმოება 13—14 მლნ. ტონას შეადგენს. იტალიასთან ერთად, საფრანგეთს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში ყურძნის წარმოების მიხედვით. მევენახეობა გავრცელებულია ქვეყნის თითქმის ყველა ბუნებრივ-კლიმატურ ზონაში (გარდა ჩრდილოეთისა და ჩრდილო—დასავლეთისა), განსაკუთრებით კი სამხრეთ საფრანგეთში—კერ-

ძოდ, ბორდოს პროვინციაში, სადაც იღებენ საერთო მოსავლის 1/3-ს, მევენახეობაში შეიმჩნევა ჭარბწარმოებაც, რაც ხშირად კრიზისულ ხასიათს იღებს, მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას ემსახურება მსხვილი სასწავლო და სამეცნიერო ცენტრები.

საფრანგეთში კარგადაა განვითარებული ღია და დახურული გრუნტის მებოსტნეობა, ახალი ბოსტნეული ყველა ფრანგისათვის ყოველდღიური აუცილებელი რაციონია. აღსანიშნავია, რომ მებოსტნეობაც მაღალრენტაბელური დარგია, რაც განპირობებულია ხელსაყრელი შესასყიდი ფასებით და სახელმწიფო დოტაციებით. ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის სამუშაოები მექანიზებულია.

განვითარებულია მეხილეობაც, მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი და კენკროვნები. ხილის წარმოებას სამრეწველო ხასიათი აქვს, არსებობს მსხვილი მეხილეობის მეურნეობები, განსაკუთრებით, საგარეუბნო ზონებში. ხილი მოიხმარება ნატურალური სახით, თუმცა საკმაოდ დიდი ნაწილი მიდის გადასამუშაველად. ამზადებენ ჯემს, ხილის წვენებს და ა. შ. კუნძული კორსიკა ცნობილია სუბტროპიკული მეხილეობით, მოჰყავთ დიდი რაოდენობით ფორთოხალი, ლეღვი, ლიმონი და ა. შ.

მომგებიანი დარგია მეყვავილეობაც, რომელიც განვითარებულია თითქმის ყველგან, განსაკუთრებით კი საგარეუბნო ზონაში. მეყვავილეობას საწარმოო ხასიათი აქვს, რომელიც ძირითადად სასათბურე მეურნეობების სახით ვითარდება.

კარგადაა განვითარებული მეცხოველეობა. ქვეყანაში არსებობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენო ჯოგი, რომლის რაოდენობითაც იგი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. პირუტყვის სულადობა 12,5 მლნ. სულია. ჰყავთ როგორც მერძეული, ისე მეხორცული მიმართულების ჯოგი. რძის წარმოებით საფრანგეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო ხორცის წარმოებით—მეოთხე ადგილზე. კარგადაა განვითარებული მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობა, ამზადებენ მაღალი ხარისხის კარაქს, ყველს და რძის სხვა სახის ნაწარმს, აგრეთვე ხორცის კონსერვებსა და ძეხვეულს.

დიდ ყურადღებას უთმობენ მეღორეობის განვითარებას. არსებობს სპეციალიზებული ფერმები, გვხვდება შერეული ტიპის ფერმებიც, რომლებშიც წარმოდგენილია, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასევე ღორი და ზოგჯერ ფრინველიც. ღორის სულადობით (15 მილიონი) საფრანგეთი მხოლოდ დასავლეთ გერმანიას ჩამორჩება ევროპაში. ღორის ხორცი მთლიანად მიდის გადამუშავებაზე და მზა ნაწარმი გააქვთ საექსპორტოდ, ფრანგები საკვებად იყენებენ ძირითადად გოჭებს, რომელზეც საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა.

ქვეყანაში განვითარებულია მეცხვარეობაც (17 მლნ. სული), რომელსაც განვითარების კარგი პირობები აქვს, განსაკუთრებით, ალპების მთისპირეთში. ცხვრის სულადობით საფრანგეთი მხოლოდ ესპანეთს ჩამორჩება. მეცხვარეობა იძლევა კარგი ხარისხის მატყლს, რომელიც ადგილზე მუშავდება. ფრანგული შალის ქსოვილები დიდი მოწონებით სარგებლობს ევროპასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, მათი დიდი ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ, საკმაო რაოდენობით ამზადებენ ცხვრის ხორცს, რომლის ნაწილსაც აგზავნიან ქვეყნის გარეთ.

მეფრინველეობა სამრეწველო საფუძველზეა და მთლიანად ავტომატიზებულია. განსაკუთრბით, კარგადაა განვითარებული ეს დარგი საგარეუბნო ზონაში. საფრანგეთი არა მარტო საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს ფრინველის ხორცზე და კვერცხზე, არამედ დიდი რაოდენობით გააქვს იგი საზღვარგარეთაც.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში არ არსებობს წამგებიანი დარგები. სასოფლო-სამეურნეო წარმოება სახელმწიფოს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, საჭიროების შემთხვევაში მთავრობა ოპერატიულად იღებს საჭირო ზომებს. ევროპის სასოფლო-სამეურნეო საერთო ბაზარში საფრანგეთს წამყვანი მდგომარეობა უკავია, როგორც ყველაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთს დიდი რაოდენობით გააქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, იგი ზოგიერთი პროდუქციის იმპორტიორი ქვეყანაცაა, მას შემოაქვს ყავა, კაკაო, ბამბა, ნაწილობრივ მატყლიც, ტროპიკული ხილი და ა. შ., მაგრამ ექსპორტთან შედარებით იმპორტის რაოდენობა უმნიშვნელოა.

მონაკო

მონაკო საფრანგეთის მეზობლად, იტალიის საზღვარზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიაა, იგი პაწაწინა სახელმწიფოა, რომლის მოსახლეობა 25 ათასია. მონაკოს არ გააჩნია სამიწათმოქმედო ფართობები. მისი ტერიტორია სულ 1,9 კვ. კმ-ია და ძირითადად დაკავებულია სკვერებით. მონაკოში განვითარებულია კვების მრეწველობა და საკონდიტრო წარმოება, რომლებიც საფრანგეთიდან და იტალიიდან შემოტანილ ნედლეულზე მუშაობენ.

ნიდერლანდი

ნიდერლანდის სახელმწიფო მდებარეობს შუა ევროპის დაბლობ-

ხე, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე. ფართობით იგი პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია არ აღემატება 41,2 ათას კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა—14 მლნ. დედაქალაქია—ჰააგა.

ნიდერლანდს ჰოლახდიასაც უწოდებენ, ქვეყანაში კონსტიტუციური მოხარკეაა, რომლის უფლებებიც სიმბოლურია. ქვეყანა განეკუთვნება ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს, რაც მნიშვნელოვანწილად გახაპირობა მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამ, აქ თავს იყრის არა მარტო ევროპული, არამედ კონტინენტთაშორისი გზებიც.

ნიდერლახდი ევროპული ქვეყნებიდან ყველაზე ადრე დაადგა განვითარების კაპიტალისტურ გზას, რამაც ქვეყანას საშუალება მისცა შეექმნა კარგი წანამძღვრები ეკონომიკური განვითარებისათვის. დღევანდელი ნიდერლანდები ერთ-ერთი ყველაზე მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, არა მარტო ევროპის კონტინენტზე, არამედ მსოფლიოში.

განვითარების საერთო ტემპმა დადებითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზეც. სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის მაღალგანვითარებული დარგია. წარმოება მთლიანად ინდუსტრიულია. პირველად მსოფლიოში აქ დაინერგა ტექნოლოგიური პროცესების მმართვის ავტომატიზებული სისტემები, განსაკუთრებით მეცხოველეობაში (ავტომატიზებული ფერმები, და ა. შ.).

ნიდერლანდის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ქვეყნის ტერიტორია ძირითადად დაბლობია, 60% მდებარეობს ზღვის დონეზე დაბლა, 30% ზღვის დონიდან 1 მ. სიმაღლეზე და მხოლოდ 2%—50 მ. სიმაღლეზე. ქვეყნის უმაღლესი წერტილი მდებარეობს 321 მ-ზე. საჭიროა დიდი კაპიტალური დაბანდებები, რათა ქვეყანა დაცული იქნეს დაჭაობებისაგან. ნიდერლანდმა შექმნა წყლის შემოტევისაგან დაცვის უნიკალური სისტემები, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს თანამედროვე მსოფლიო. ზღვის შემოტევასთან ბრძოლა ქვეყანამ დაიწყო სამი საუკუნის წინათ, ამ პერიოდის განმავლობაში ზღვას გამოსტაცეს რამდენიმე ათასი ჰა ნაყოფიერი მიწა. ზღვის სტიქიასთან ბრძოლა დღესაც გრძელდება. პროგნოზებით ნავარაუდევია (2050 წლისათვის) ზღვას დამატებით გამოსტაცონ 40—45 ათასი ჰა.

საინტერესო პროექტები განხორციელდა საუკუნის 30-იანი წლებიდან (ავტორი ინჟინერი კ. ლული). ზეიდერ-ზეს ყურე, რომელიც ღრმად იყო შემოჭრილი ხმელეთზე, გადაიკეტა 30 კმ.-იანი დამბით, წარმოიქმნა უზარმაზარი მტკნარი წყლის ტბა, რომლის ნაწილი

შკვე დაბრობილი და ათვისებულია, ხოლო დარჩენილის ათვისება ძიდდისაოეობს ინტენსიურად, ეეიეძნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, გაბეადა ეალაეები და დასასვენებელი ზონები, ფართობის ბოლიასად ათვისეა ნავაოაუდებია 2000 წლისათვის.

ბაობიანი და დატბორილი მიწების ათვისების ნიდერლანდის პრაკტიკა, ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის გონივრული ჩარევის ნიიუშია, იგი მოითხოვს სათანადო ტექნიკურ საშუალებებს, დიდ კაპიტალურ დაბანდებას და ა. შ. ქვეყანაში შექმნილია მძლავრი და უნიკალური ტექნიკა, აღსრულებული სამუშაოების შესასრულებლად.

ნიდერლანდის კლიმატი ზომიერია, იგი ტიპიურია ატლანტიკის ოკეანის იმ ზღვისპირა ქვეყნებისათვის, რომლებიც მდებარეობენ აღნიშნულ განედზე. ქვეყანაში ნაკლებად შეიმჩნევა განსხვავებული კლიმატური ზონები. ხშირია ნისლიანი დღეები, ატლანტიკიდან უბერავს ციკლონები, წლის განმავლობაში მხოლოდ 35 დღეა მზიანი, ნალექებია წლიური რაოდენობა 650—700 მმ-ია, რომელთა მაქსიმუმი მოდის აგვისტო—ოქტომბრის თვეებზე. ზამთარი თბილია, ზაფხული ბედნიერებით გოილი, იანვრის საშუალო ტემპერატურა—1°—3°, ივლისი კი +17° +20°. თოვლის საფარი იშვიათია.

ბუნებრივია პირობებმა მნიშვნელოვნად განსაზღვრეს ნიდერლანდის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. ქვეყანაში ძირითადად წარმოდგენილია საკვები ბალახები, მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურები, ავრეთვე მეხილეობა, ეს დარგები იძლევიან მაღალ საწარმოო ეფექტს. კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა, რომელიც ბოლოდ მთელი წლის განმავლობაში, უმთავრესად ღია გრუნტში. ნიდერლანდად ტერიტორიის სიმცირისა, ნიდერლანდის ნიადაგობრივ-მცენარეული საფარი ძრავალფეროვანია, სავარგულები მდიდარია ჰუმუსით, რომლებიც საკმაოდ მაღალი ბიოლოგიური აქტიურობით გამოირჩევიან. ტერიტორიის ინტენსიურმა ათვისებამ მინიმუმამდე შეამცირა ტყის საფარი, რომლითაც ნიდერლანდი ცნობილი იყო ახლო წარსულში. ჯერ-ისათვის, ტყეს უჭირავს 260 ათასი ჰა, ანუ ტერიტორიის 8%, რომელთა ზორის 100 ათასი ჰა ხელოვნურადაა გაშენებული.

ნიდერლანდი წარმოადგენს ინდუსტრიულ—აგრარულ ქვეყანას, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქციაში შეადგენს 5%, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კი დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 3%, რაც შრომის მაღალ ნაყოფიერებაზე მიუთითებს.

ინდოლანდიის სოფლის მეურნეობა ხასიათდება წარმოებია კაპიტალისტური სიტყვით. სასოფლო-სამეურნეო მიწების 3/4 ეკუთვნის ასსვილ და საშუალო მიწათმფლობელებს. ხოლოდ ოების გავრცელებული ფორმაა მესაკუთრე ფერმერი, ოოელიც ოჯახიანად დასაუსუნელია სასოფლო-სამეურნეო საშუშაოებზე, ამავე დროს ფაოთოდ იყენებენ დაქირავებულ ოოოძალას. ფერმის საშუალო სიდიდეა (ოპტიმალურად) მიჩნეულია 10 ჰა. ნსვილი მიწათმფლობელები იყენებენ საიჯარო უთანამშრომლებს, მიწების 60% ბუძავდეა ფერმერი—მოიჯარის ხიკო. საყურადღებოა ახლად ათვისებული მიწების დამუშავების პრაქტიკა. მიწების დაბრობა სახელმწიფოს სახსრებით სოოცელდება, რომელიც შემდეგ გაიცემა ფერმერ-მოიჯარეზე, ისინი კი ხელშეკრულებას დებენ სახელმწიფოსთან. ფერმერები გაერთიანებულნი აოიან სხვადასხვა სახის კოოპერატივებში, რომლებსაც დააკისრეთ სხვა ქვეყნების მსგავსად უმთავრესად მომარაგებაგასაღების ხასიათი აქვს.

წარმოების ორგანიზაციის გავრცელებული ფორმაა აგრეთვე აგროსამრეწველო გაერთიანებები, ნედლეულის მწარმოებლები უშუალოდ დებენ ხელშეკრულებას გადასამუშავებელ საწარმოებთან, არის ზემოთქმულები, როდესაც სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი საწარმო ეკუთვნის ერთსა და იმავე მფლობელს ან მფლობელთა ჯგუფს. კარგადაა განვითარებული კვების მრეწველობა, რომელიც უმთავრესად არსებობს თანამედროვე ტიპის პატარ-პატარა საწარმოების სახით. საყოველთაოდაა ცნობილი ქვეყანაში დამზადებული კარაქი, ყველი, რძის ფხვნილი, შედედებული რძე, მარგარინი, ხორცის ნაწარმი, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები. კვების მრეწველობის ბაზას ძირითადად წარმოადგენს ადგილობრივი ნედლეული, თუმცა გვხვდება საწარმოები, რომლებიც შემოტანილ ნედლეულზე მუშაობენ (ყავა, კაკაო, ჩაი, ბრინჯი და სხვა). კვების მრეწველობის პროდუქციის 25% მეტი მიდის ექსპორტზე. ამ პატარა ქვეყანას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს რძის ნაწარმის ექსპორტით.

ნიდერლანდში პრაქტიკულად არ არის მიტოვებული და დაუმუშავებელი მიწები, რაც განპირობებულია მცირემიწიანობით. სასოფლო-სამეურნეო სავარგული ერთ სულზე გაანგარიშებით უდრის 0,20 ჰა, ხოლო სახნავი—0,12 ჰა.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურა ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომელშიც მთავარ და გადამწყვეტ როლს მეცხოველეობა ასრულებს. სასოფლო-სამეურნეო მიწებიდან 62% უჭირავს სათიბებსა და საძოვრებს, 32%—სახნავს, ხოლო 6%—ბრავალწლიან ნარგავებს.

ნიდერლანდის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ინ ტენსიფიკაციის მაღალი დონე. ენერგოშეიარაღება უდრის 127 ცხენის ძალას. ძიერალური სასუქების გამოყენებით, ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში, თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარ- მო ელექტროფიცირებულია, ამ მაჩვენებლითაც ქვეყანას პირველი ად- გილი უჭირავს მსოფლიოში.

ნიდერლანდი პირველ ადგილზეა აგრეთვე პირუტყვის პროდუქ ტიულობითაც, საშუალო წლიური წველადობა 4800 ლიტრს შეად- გენს, ხოლო ყველაზე მეტად გავრცელებული ნახირის (შავ-თეთრის) წველადობა 5200 ლ-მდეა, ცხიმიანობა—4,5—5%, რაც ყველაზე მა- ღალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 4,7 მლნ. სულია მათ შორის 2 მლნ.-ზე მეტი მეწველი ფურია, რძის წარმოება 10 მლნ ტონას აღწევს, რომლის 2/3 მიდის გადამუშავებაზე და შემდეგ ექს- პორტზე. მხედველობაში მიიღეს რა მოთხოვნილების ზრდა საქონლის ხორცზე, ნიდერლანდელმა ფერმერებმა შეძლეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ზოგიერთი ჯიშების გაუმჯობესება მეხორცული მიმართუ- ლებით და მიაღწიეს კიდევაც ამას. ბევრი ფერმა გადავიდა ხბოების სუქებაზე, დღეისათვის, ქვეყანაში წარმოებული საქონლის ხორცის 1/3 მოდის ხბოს ხორცზე.

მაღალგანვითარებული დარგია მეღორეობა, რომლის სულადობა 7 მლნ. აღემატება და შედგება მხოლოდ და მხოლოდ საბეკონე ჯიშე- ბისაგან. ღორის ხორცი 50% მიდის ექსპორტზე.

მაღალპროდუქტიულობით ხასიათდება მეფრინველეობაც, ფრინ- ველის ნახევარზე მეტი საბროლეირე მიმართულებისაა, პროდუქციის ძირითადი ნაწილი (ცოცხალი და დაკლული სახით, კვერცხი) მიდის ექსპორტზე. მეფრინველეობაში წარმოებას ინტენსიური ხასიათი აქვს სჭარბობს ფერმები რომლებსაც ჰყავთ 2 ათასი და მეტი ფრთა ფრინ- ველი, სწორედ ისინი იძლევიან სასაქონლო პროდუქციის ძირითად მასას.

ძველთაგან ნიდერლანდი ცნობილი იყო მეცხენეობით. ცხენს ფარ- თოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მექანიზაციამ მინიმუმამდე შეამცირა მათი როლი, მაგრამ მეცხენეო- ბამ განვითარების სხვა გზა მოძებნა. დღეს მსოფლიოში ძვირად ფა- სობს ჰოლანდიური სწრაფმავალი ცხენები და მათ საკმაოდ კარგი შე- მოსავალიც აქვთ, მეცხენეობა ინდუსტრიულ საფუძველზეა.

როგორც აღნიშნული იყო, მეცხოველეობის მაღალ პროდუქტიუ- ლობას განაპირობებს მყარი საკვები ბაზა, რომელიც ძირითადად წარ-

მოდგენილია უხმოსავლიანი და ყუათიანი სათიბ-საძოვრებით, თუმცა, მათ შორის მკვეთრი ზღვარი არც არსებობს, ისინი მონაცვლეობით გამოიყენება ხან სათიბად, ხან საძოვრებად. ფართოდაა გავრცელებული ხელოვნური სათიბები. აღსანიშნავია, რომ სათიბებს აქვთ დანიშნულებითი საწარმოო ხასიათი, რაც რძისა და პროდუქტების ცხიმიანობის რეგულირების საშუალებას იძლევა.

იმისათვის, რომ შემცირდეს დანახარჯები თივის დამზადება-შენახვაზე, პირუტყვის ძოვების ხანგრძლივობას ხელოვნურად ზრდიან, რასაც ხელს უწყობს ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებიც. მაგალითად, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ძოვებაზე რჩება მარტიდან დეკემბრის ბოლომდე, ხოლო ღორები—მაისიდან დეკემბრამდე, ცხენები კი—მთელი წლის განმავლობაში. ძოვების დროს პირუტყვს მინდორში ტოვებენ მთელი დღე-ღამე, იქვე წველიან, რისთვისაც იყენებენ გადასაადგილებელ აგრეგატებს. როგორც წესი, საძოვრებს ყოფენ 8—10 მინდვრად, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია ელექტრომწყემსებით. მინდვრის გასწვრივ გაყვანილია თხრილები, რომელიც პირუტყვისათვის სასმელი წყლით ივსება. თითოეულ მინდორზე პირუტყვის ძოვების დრო 4—8 დღეა, შემდეგში მოსულ ბალახს თიბავენ, შემდეგ ისევ აძოვებენ და ა. შ.

მემცენარეობა წარმოდგენილია მცირე სიდიდის ნათესი ფართობებით. მიუხედავად იმისა, რომ ნიდერლანდში მარცვლეულის მოსავლიანობა მაღალია, ქვეყანას საკუთარი პური არ ჰყოფნის და შემოაქვს იგი საფრანგეთიდან. შემოაქვს აგრეთვე სხვა საკვები მარცვლეულიც, საკუთარი წარმოების მარცვლეულის 30% გამოიყენება პირუტყვის საკვებად. ნიდერლანდში მაღალი ხარისხის მარცვლეული მოჰყავთ, რომლის ნაწილიც სათესლედ გააქვთ სხვა ქვეყნებში. ქვეყანაში მოჰყავთ კარტოფილიც, ბოლო ათწლეულში ამ კულტურის ნათესები 25%-ით გაიზარდა. კარტოფილის მოსავლის 1/3 მიდის პირუტყვის საკვებად, გაიზარდა შაქრის ჭარხლის ფართობები, ყოველწლიური მოსავალი 6 მლნ. ტონას აღემატება, მოჰყავთ აგრეთვე საკვები ჭარხალიც.

კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მეხილეობა, რასაც ხელს უწყობს რბილი კლიმატი. ამ ორ დარგზე მოდის მემინდვრეობის საერთო პროდუქციის 3/5. მიღებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი გააქვთ მსოფლიო ბაზარზე, პირველ რიგში ევროპული ქვეყნებში. ბოსტნეული უმთავრესად მოჰყავთ ღია გრუნტში, თუმცა 7 ათას

ჰა-ზე გაშენებული აქვთ სათბურებიც, რომელიც წლის განმავლობაში 6-ჯერად მოსავალს იძლევა.

ღია გრუნტის ბოსტნეულიდან მოჰყავთ ხახვი, კომბოსტო, ნიორი, კიტრი, პომიდორი, სალათი, სტაფილო, ხოლო სათბურებში ძირითადად—კიტრი და პომიდორი.

მეხილეობიდან წარმოდგენილია ვაშლი, მსხალი, ბალი, ქლიავი, აგრეთვე მარწყვი, ჟოლო. სათბურებში მოჰყავთ ყურძენი, ატამი, ზოგჯერ ლიმონიც. ხილ-კენკროვნებს ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისათვის იყენებენ, ნატურალური სახით.

კარგადაა განვითარებული მეყვავილეობაც. რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს, მოჰყავთ ტიტა, ნარგიზი, ვარდები. ჰოლანდიური ყვავილები გააქვთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, შემუშავებულია დარგის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა.

სასოფლო-სამეურნეო განათლებას ემსახურება ქვეყნის უნივერსიტეტებთან ჩამოყალიბებული სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, აქვე ეწევიან ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევას, რომელთა შედეგებიც გამოიყენება მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

ბელგია

ბელგია მდებარეობს კონტინენტური ევროპის ჩრდილოეთით, იგი განეკუთვნება ევროპის პატარა ქვეყნების რიცხვს, რომლის ტერიტორია არ აღემატება 30,5 ათას კვ. კმ. ხოლო მოსახლეობა—10 მლნ. დედაქალაქია ბრიუსელი. ბელგია ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც ერთ კვ. კმ-ზე 320—380 კაცი ცხოვრობს.

ბელგია მაღალგანვითარებული, ინდუსტრიული ქვეყანაა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრია სამრეწველო საწარმო, მკაცრად იცავენ ეკოლოგიის პრინციპებს და არცერთი პროექტი არ განხორციელდება ექსპერტიზის გარეშე.

ბელგია XIX საუკუნის შუა პერიოდიდან ინტენსიურად დაადგა განვითარების კაპიტალისტურ გზას და XX საუკუნის დასაწყისისათვის უკვე წარმოადგენდა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანას, რომელმაც კოლონიური ომებიც კი წამოიწყო. მის ფლობელობაში კარგა ხნის მანძილზე შედიოდა ისეთი ქვეყანა, როგორიც კონგოა.

ბელგიის ლანდშაფტს პირველყოფილი სახე ადამიანმა შეუცვალა. იშვიათია ბუნებრივი მცენარეული საფარი. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, რელიეფი უმთავრესად ვაკეა, რაც მექანიზაციისათვის კარგ პირობებს ქმნის. სამხრეთით მდებარეობს შედარებით მაღალი მთები, ბელგიელები ქვე-

ყანას, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, ყოფენ სამ ნაწილად: დაბალი, საშუალო და მაღლივი ბელგია. ჰოლანდიის მსგავსად ბელგიაში იცავენ სანაპირო ზოლს ზღვის შემოტევისაგან და აგებენ ამ მიზნისათვის დამბებს.

ზღვის სიახლოე დიდ გავლენას ახდენს კლიმატზე, იგი ტენიანია, რბილი ზამთრითა და გრილი ზაფხულით. ნიდერლანდების მსგავსად ბელგიის კლიმატიც ოპტიმალურია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ხშირია ნისლი და წვიმები. წელიწადში თითქმის 180—190 წვიმიანი დღეა. იანვრის საშუალო ტემპერატურა +3°, ივლისის— +18°. ნალექების საშუალო რაოდენობა 700—900 მმ. წელიწადში.

რბილი კლიმატი ხელს უწყობს ტყის საფარის განვითარებას, საუკუნის დასაწყისში ტყით დაფარული იყო ბელგიის ტერიტორიის 2/3, დღეისათვის იგი წარმოდგენილია ტერიტორიის მხოლოდ 17%ზე. რომლის ძირითადი მასა ანდების მთის მასივებშია, სადაც შექმნილია ნაციონალური პარკი. ტყის ჭრა აკრძალულია.

ნიადაგობრივი საფარი ღარიბია, მიწის ნაყოფიერება შექმნილია ხელოვნურად. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი შრომითი რესურსებით. მაღალია მათი დასაქმების კოეფიციენტი, პროფესიონალური დონე და აქტივობა. ქვეყანაში თითქმის არაა დაუსახლებელი ან გამოუყენებელი ტერიტორია, რაც მის პეიზაჟს უფრო მეტად ხელოვნურ სახეს აძლევს. მოსახლეობა უმთავრესად ქალაქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში ცხოვრობს, რამაც თავისებური გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციაზე. სოფლები ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ, გვხვდება კლასიკური ფერმერული დასახლებაც (ფერმა და მის ირგვლივ სავარგულები).

ბელგიის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მრეწველობა. მისი ხვედრითი წილი მსოფლიო სამრეწველო პროდუქციაში 3-ჯერ და მეტად სჭარბობს მოსახლეობის ხვედრით წილს. მაგალითად, ბელგიას, მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავს ფოლადის წარმოებით, ერთ სულზე გაანგარიშებით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის საერთო წარმოების მოცულობით იგი მე-12 ადგილზეა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

აღსანიშნავია, რომ სამრეწველო პროდუქციის ღირებულება 10-ჯერ და მეტად ჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებას. სოფლის მეურნეობაში იქმნება ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის მხოლოდ 3,4%, ამ სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 2,7%, მრეწველობაში იქმნება ნაციონალური შემოსავლის 41,8%, დასაქმებულია მოსახლეობის 40%, სამრეწველო პროდუქცია დიდი

რაოდენობით გადის მსოფლიო ბაზარზე, ბელგიის ექსპორტის ხვედრითი წილი მსოფლიო ექსპორტში შეადგენს: ფერად მეტალურგიაში—1,5, ფოლადის ნაგლინში—1/6.

სოფლის მეურნეობა განვითარების დონით შედარებით დაბალია მეზობელ ნიდერლანდზე, მაგრამ ბევრად უსწრებს ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილი გადის მსოფლიო ბაზარზე, მაღალია შრომის ნაყოფიერება, რაც გამოწვეულია იმით, რომ წარმოება გადასულია ინდუსტრიულ მომსახურებაზე, რასაც ხელს უწყობს კარგად განვითარებული სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ფორმები ფერმერულია. ჭარბობს როგორც საოჯარო, ისე ინდივიდუალური, ანუ ოჯახური ფერმები. სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 70% მიწათმფლობელთა ხელშია, გავრცელებულია 5-დან 20 ჰა-მდე სიდიდის ფერმები. მეურნეობები, რომელთა სიდიდე აღემატება 20 ჰა-ს 17%-ია, წვრილმა მიწამფლობელებმა განსაზღვრეს ბელგიის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია. ვხვდებით 1 ჰექტარიან მეურნეობებსაც, რომლებიც ეკუთვნის ბრეწველობაში ან არასასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმებულ პირებს. ისინი ძირითად საქმიანობასთან ერთად ეწევიან დამხმარე ხასიათის სასოფლო-სამეურნეო შრომასაც, უპირველესად საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თუმცა ზოგიერთი მათგანი სასაქონლო პროდუქციასაც ქმნის. მაგალითად, ყვავილების გამოყვანა, რაც დამატებით შემოსავლის წყაროა.

მცირემიწიანობამ განაპირობა ის, რომ ბელგიის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით. წარმოება უმთავრესად საგარეუბნო ხასიათისაა. მიუხედავად ინტენსიფიკაციის მაღალი დონისა, ბელგია რიგ უმნიშვნელოვანეს პროდუქციაზე ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს და იძულებულია შემოიტანოს იგი სხვა ქვეყნებიდან (განსაკუთრებით, მარცვლეული და საკვები პირუტყვისათვის). მაღალგანვითარებული დარგია მეცხოველეობა, რომლის პროდუქცია დიდი რაოდენობით გაქვთ ექსპორტზე. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 3-ჯერ აღემატება პროდუქციის იმპორტს.

სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მრავალნაკვეთიანობა. საშუალოდ ერთი მეურნეობა 6 და მეტი ნაკვეთისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაშორებული. აღსანიშნავია, რომ სავარგულთა მხოლოდ 1/3 მუშავდება მათი მფლობელების მიერ, დანარჩენი გაცემულია იჯარით.

უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. მაგალითად, თუ 1950 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო აქტიური მოსახლეობის 8,7%, 1980 წლისათვის კი—2,7%. ეს პროცესი ჯერჯერობით კიდევ გრძელდება. სპეციალისტების აზრით სოფლის მეურნეობაში დღეისათვის დასაქმებულია მოსახლეობის 1,5%, რომლებიც ქმნიან ნაციონალური შემოსავლის 3%.

მრეწველობის განვითარებამ მნიშვნელოვანწილად შეამცირა სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა. დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის 50%, 1950 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 61%. მცირემიწიანობა (ერთ სულზე მოდის 0,14 ჰა სახნავი, 0,27 ჰა სავარგული) მხოლოდ ინტენსიური წარმოების შემთხვევაში გვაძლევს ეფექტს. 100 ჰა სავარგულზე მინერალური სასუქების გამოყენების მაჩვენებლებით ბელგია მეორე ადგილზეა მსოფლიოში (ნიდერლანდების შემდეგ), სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობით კი შედის ისეთი ქვეყნების რიცხვში როგორიცაა ნიდერლანდები და დანია.

სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია სახორცე-მერძეული მიმართულების მეცხოველეობა, რომელზეც მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 3/4, ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მემინდვრეობის ხვედრითი წილია 1/10, ხოლო მებოსტნეობის—1/5.

მეცხოველეობაში მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს უჭირავს გაბატონებული მდგომარეობა. მათი სულადობა 4 მლნ. აღწევს და იმყოფება როგორც ბაგურ (შუა ბელგია), ისე ძოვებაზე (ჩრდილოეთ ბელგია), იყენებენ აგრეთვე შერეულ მეთოდსაც. ზაფხულობით პირუტყვი ძოვებაზე ჰყავთ, ხოლო ზამთრობით ბაგურ კვებაზე. ფერმებში ჰყავთ როგორც მეხორცული ისე მერძეული პირუტყვი. ნიდერლანდის მსგავსად, აქაც ცდილობენ შეამცირონ მეწველი პირუტყვის სულადობა და გაზარდონ მისი პროდუქტიულობა, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია. საშუალო წველადობა 5000 ლიტრია, თუმცა, არის ფერმები, სადაც ეს მაჩვენებელი 7000 ლიტრს აღემატება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ დაწესებულია წველადობის ზღვარი (რომელიც ყოველწლიურად იცვლება) 1985 წ. ზღვრულად ითვლებოდა 7100 ლიტრი.

მეცხოველეობას გააჩნია კარგი საკვები ბაზა. საძოვრებს, სათიბებს, საფურაჟე კულტურების ნათესებს უჭირავს სავარგულთა მესამედი. ამასთან, საძოვრების დიდი უმრავლესობა გაკულტურებულია და ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით. მეცხოველეობაში ყველა

პროცესი მექანიზებულია, საკვები კულტურების მოვლა-მოყვანა, მათი დამუშავება, კომბინირებული საკვების დამზადება, პირუტყვისათვის ბიწოდეა ავტომატიზებულია. მეცხოველეობის პროდუქცია (რძე, ხორცი) ბთლიანად მიდის გადამუშავებაზე, ძალზე ოპტიმალურადაა წარმოდგენილია გადასამუშავებელი საწარმოები. გავრცელებულია ძერეული ფერმები, როდესაც რამდენიმე ფერმას საკუთრებაში აქვს კარაქის ან რძის პატარა საწარმო. დანერგილია პროდუქციის ჩაბარება ე. წ. ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის პირობების შესრულეა სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

კარგადაა განვითარებული მეღორეობაც, რომელსაც უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. ყველა ფერმაში ჰყავთ 2—3 სული ღორი, არსებობს სპეციალიზებული ფერმებიც, რომლებშიც 200 და მეტი სული ღორი ჰყავთ. ღორის ხორცი ბელგიელთათვის კვების ძირითადი პროდუქტია, ჰყავთ საბეკონე ჯიშის ღორები, რომელთა ნაწილიც გაჰყავთ საზღვარგარეთ.

კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა. ამ დარგს სამრეწველო ხასიათი აქვს. ფრინველიც, მეღორეობის მსგავსად, ჰყავთ ყველა ფერმაში, (ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის), ხოლო სპეციალური მეურნეობები, რომლებიც ავტომატიზებული ხასიათისაა, ამზადებენ საექსპორტო პროდუქციასაც. მეფრინველეობას აქვს, როგორც მეხორცული, ისე კვერცხის წარმოების მიმართულება, იგი მაღალრენტაბელური დარგია.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მემცენარეობა სოფლის მეურნეობის მეორეხარისხოვანი დარგია, რომელიც უმთავრესად საკვები კულტურებითაა წარმოდგენილი. მარცვლეულიდან ყველაზე მეტი ფართობი ხორბალზე და ქერზე მოდის და ძირითადად შუა ბელგიაშია წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ ხორბლის ნათესები მცირდება, რაც გამოწვეულია იმით, რომ მეზობელ ქვეყნებში (საფრანგეთში) ხორბლის წარმოება გაცილებით იაფი ჯდება, რამაც საბაზრო პირობებში გამოიწვია აღნიშნული კულტურის წარმოების მიზანშეუწონლობა საკუთრივ ბელგიაში. რაც შეეხება ქერს, მისი წარმოება იზრდება, რაც გამოწვეულია ბელგიურ ლუდზე მოთხოვნილების ზრდით.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ კულტურებს (შაქრის ჭარხალს, თამბაქოს, სელს, მდოგვს), აგრეთვე კარტოფილის წარმოებას, თუმცა, მათი ნათესები თანდათანობით მცირდება (შაქრის ჭარხლის გამოკლებით), რაც გამოწვეულია იმით რომ ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანა მოითხოვს დიდი რაოდენობის შრომით რე-

სურსებს, რაც ქვეყანას უკვე აღარ გააჩნია. გარდა აქისა, მხედველობაშია მისაღები ძეხობელი ევეყხების კონკურენციაც, სადაც ამ კულტურების წარმოება გაცილებით რენტაბელურია. ოაც ძეესება ძაკოის ჯარხალს, მისი წარძოეების გადიდება გამოწვეულია იმით, რომ ბელგიაში გაიზარდა შაკრის მოსძარება, რაც საკოხდიტრო მრეწველობის განვითარებითაა გამოწვეული.

ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა მებოსტნეობის მნიშვნელობა, რაც საძოეწველო ცენტრების ინტენსიური გახვითარების შედეგია. მებოსტნეობა საგაოეუბნო ზონაშია წარმოდგეხილი, იგი მოჰყავთ როგორც ღია ისე დახურულ გრუნტში. მებოსტნეობისათვის შექმნილია უნიკალური ტიპის მინიტექნიკა, რომელთა გამოყენებაც მინიმუმამდე ამცირებს ხელით შრომას. მოჰყავთ პომიდორი, კომბოსტო, სტაფილო, მწვანე სალათი.

საშხრეთ ბელგიაში განვითარებულია მეხილეობაც, გავრცელებულია ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი. მათი ნაწილი მოიხმარება ნატურალური სახით, ხოლო ნაწილი მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ მაღალი ხარისხის წვენებს, ჯემს, მურაბებს და ა. შ.

კარგი ტრადიციები აქვს მეყვავილეობასაც, რომელსაც ინდუსტრიული ხასიათი აქვს. ყვავილები დიდი რაოდენობით გააქვთ მეზობელ ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი).

ბელგიაში განვითარებულია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება, არსებობს მეცხოველეობის პრობლემების შემსწავლელი მძლავრი ცენტრები, რომლებიც აწარმოებენ კვლევას ცხოველთა სელექციაში, საკვებწარმოებაში, პირუტყვის პროდუქტიულობასა და ა. შ. სამეცნიერო ცენტრებში შექმნილი პროდუქცია ფართოდაა ცნობილი საზღვარგარეთაც, ამიტომ ისინი ხშირად იღებენ შეკვეთებს სხვა ქვეყნებისაგან და ეხმარებიან მათ რეგიონალური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში.

მაღალ დონეზეა სასოფლო-სამეურნეო განათლებაც, რომელიც ხორციელდება საუნივერსიტეტო ცენტრებში, სადაც ძირითადად სწავლობენ ფერმერთა შვილები. ბელგიაში იშვიათია ფერმერი, რომელსაც არ ჰქონდეს მიღებული უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება, რამაც განაპირობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობა. ბელგიისათვის ბევრი პრობლემა გადაწყვიტა „საერთო ბაზარში“ გაერთიანებამ, გამოიკვეთა სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაცია, წარმოება უფრო ხელსაყრელი და ეფექტიანი გახდა.

ლუქსემბურგი

ლუქსემბურგი ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა ევროპაში. რომლის ფართობი 2,6 ათასი კვ. კმ. ხოლო მოსახლეობა—

360 ათასი. მისი ტერიტორია მდებარეობს ზღვის დონიდან 300—500 მეტრის სიმაღლეზე, ხასიათდება ლამაზი ლანდშაფტით, ქვეყნის კლიმატი ზომიერია, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0—2°-ია; ხოლო ივლისისა +17°. ნალექების საშუალო რაოდენობა 700—850 მმ.

ლუქსემბურგი მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დაკავებულია მრეწველობაში, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 7%. მრეწველობაში დომინირებს შავი მეტალურგია. ამ პატარა ქვეყანას მსოფლიოში ფოლადის საერთო წარმოებით 22-ე, ხოლო ერთ სულზე გაანგარიშებით პირველი ადგილი უჭირავს. დღეს, ლუქსემბურგისათვის ყველაზე მწვავე ეკონომიკური პრობლემაა შრომითი რესურსების დეფიციტი, ამიტომ ძალზე დიდია მუშახელის იმპორტი. ქვეყანაში უცხოელები შეადგენენ მრეწველობაში დასაქმებულთა ნახევარს. შავი მეტალურგიის ნაწარმის 98% გააქვთ ექსპორტზე, იმპორტის სახით შემოაქვთ ნედლეული და ენერგეტიკული საშუალებები.

ლუქსემბურგის სოფლის მეურნეობას ინტენსიური ხასიათი აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც დამხმარე დარგადაა წარმოდგენილი. საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქვეყანა მხოლოდ სანახევროდ იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნისათვის სოფლის მეურნეობის როლი და მნიშვნელობა, სულ უფრო მცირდება. დღეისათვის იგი იძლევა ერთობლივი ნაციონალური პროდუქციის 4,1%. სოფლის მეურნეობაში ძირითად დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა, რომელსაც მეხორცულ-მერძეული მიმართულება აქვს და რომლისთვისაც ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური და ნიადაგობრივი პირობებია. მეცხოველეობაზე მოდის წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 4/5. ჰყავთ 260 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, გარდა ამისა, 100 ათასამდე ღორი. საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მეფრინველეობა, რომელიც შემოტანილ საკვებზეა, მაგრამ ქვეყნის მოთხოვნილებას ფრინველის ხორცზე და კვერცხზე აკმაყოფილებს.

მემცენარეობიდან წარმოდგენილია მარცვლეული (ხორბალი, ქერი, ჭვავი), რომელთა საერთო მოცულობა არ აღემატება 80 ათას ტონას, რაც 1/3 აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას, დანარჩენი შემოაქვთ საფრანგეთიდან. საგარეუბნო ზონაში კარგადაა განვითარებული ბოსტნეობა, რომლის პროდუქცია ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს, აქვთ აგრეთვე ხილის ბაღები და მცირე რაოდენობით ვენახი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება თავმოყრილია ფერმერულ მეურნეობებში. არსებობს რამდენიმე მსხვილი მემამულური მეურნეობაც, რომელიც მონარქის ოჯახის წევრების კუთვნილებაა. სასოფლო-სამეურნეო კადრებს ამზადებენ სხვა ქვეყნების შესაბამის სასწავლებლებში. სოფლის მეურნეობაში წარმოებულ კვლევით სამუშაოებს არა აქვს სტაბილური ხასიათი და ჯერჯერობით მოყვარულთა დონეზეა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოიყენება ტერიტორიის ნახევარი. მეურნეობათა მოცულობა მცირეა—2-დან 10 ha-მდე, წარმოება ეყრდნობა კერძო საკუთრებას. ორგანიზაციული თვალსაზრისით წარმოდგენილია კერძო მესაკუთრე ოჯახური ფერმები, რომელთა უმრავლესობა გაერთიანებულია სხვადასხვა სახის კოოპერატივებში. მეცხოველეობის ფერმები (ყველა სახის) მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებულია.

ლუქსემბურგში განვითარებულია მებაღეობაც. საკმაო რაოდენობით მოჰყავთ ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ალუბალი. მაღალია მცენარეთა მოვლის კულტურა. ხილი მოიხმარება ნატურალური და გადამუშავებული—წვენების და ჯემის სახით. განვითარებულია სამრეწველო მევენახეობაც, ამზადებენ კარგი ხარისხის სუფრის ღვინოებს. განვითარებულია მეყვავილეობაც, რომელიც გვხვდება თითქმის ყველგან.

საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ლუქსემბურგს არ გააჩნია, ტექნიკა მთლიანად შემოაქვთ, უმთავრესად ბელგიიდან. განვითარებულია კვებისა და საკონდიტრო მრეწველობა. მათი ნაწილი მუშაობს შემოტანილ ნედლეულზე.

შვეიცარია

შვეიცარია ევროპის პატარა ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი ფართობი 41,3 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა 6 მლნ. კაცს აღემატება, დედაქალაქი—ბერნი. ქვეყანა ევროპის ცენტრში მდებარეობს, იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო გზაჯვარედინს, რამაც განაპირობა მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ისტორიული საფუძვლები. შვეიცარია მთაგორიანი, ლამაზი ქვეყანაა. ტერიტორიის 2/3 მოდის მთებზე, აქ მდებარეობს ევროპის თითქმის ყველაზე მაღალი მწვერვალები.

კონსტიტუციურად შვეიცარია კონფედერაციული რესპუბლიკაა, რომელშიც გაერთიანებულია 23 კოტონი. თვითეული მათგანი სარგებლობს ავტონომიის უფლებით, მათ ჰყავთ მთავრობა და პარლამენტი, იღებენ საკუთარ კანონებს. შვეიცარია ყოველთვის იყო დიდი ევროპული ქვეყნების ინტერესების სფეროში, რამაც გარკვეული ბაზისი შეუქმნა ეკონომიკურ ინტერესებს, გამოიწვია უცხო კაპიტალის მო-

ზღვავება ქვეყანაში, დაიწყო მრეწველობისა და ფინანსური საქმიანობის აღმავლობა, შეიქმნა ეფექტური საბანკო სისტემა, პატარა ქვეყანა გადაიქცა დიდ სახელმწიფოებს შორის ფინანსურ შუამავლად.

ქვეყანას ცენტრალური მდგომარეობა უკავია მსოფლიოს სავალუტო-საფინანსო სისტემაში. მის ბანკებში თავმოყრილია კაპიტალისტური მსოფლიოს ფასიანი ქაღალდების ნახევარი, ქვეყნის გარეთ გატანილი კაპიტალის რაოდენობამ ფანტასტიკურ ზღვარს მიაღწია და შეადგინა 167 მილიარდი შვეიცარული ფრანკი. მარტო ერთ პატარა ქალაქ ლუცანაში, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 25 ათას კაცს არ აღემატება, ფუნქციონირებს 300-ზე მეტი ბანკი და ყველა მათგანი საერთაშორისო მნიშვნელობისაა.

დღევანდელი შვეიცარია წარმოადგენს მსოფლიოს ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანას, ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით.

შვეიცარია მცირემიწიანი ქვეყანაა, სადაც სახნავს ქვეყნის ტერიტორიის 6% უჭირავს, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 0,11 ჰა უდრის. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ძირითადად წარმოდგენილია სათიბებისა და საძოვრების სახით, რომლებსაც უჭირავთ მთის კალთები. ქვეყნის რელიეფი რთულია, დაბლობად ითვლება მხოლოდ მდინარისპირა, ვიწრო ზოლები. ქვეყნის ყველაზე დაბალი წერტილი მდებარეობს ზღვის დონიდან 724 მ-ზე. ტერიტორიის 50% მეტი მდებარეობს 1800 მეტრ და მეტ სიმაღლეზე. კლიმატური პირობები ცალკეულ რაიონებში განსხვავებულია. ქვეყანაში მკაცრი კონტინენტური ჰავაა. ალპებში იანვრის საშუალო ტემპერატურა—10°, არის შემთხვევები როდესაც იგი—20°-მდეც ეცემა. შვეიცარიის დაბლობში ზამთარი შედარებით რბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურა—2°. ზაფხული, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით თბილია (+18°), შემოდგომა მზიანი და ხანგრძლივია. კლიმატური პირობები ხელსაყრელია მიწათმოქმედებისათვის და იძლევა საჭირო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში ჩატარების საშუალებას. მთის ფერდობებზე გაშენებული აქვთ ვაზი. ყურძენი ასწრებს დამწიფებას. ყველაზე თბილი ჰავა ქვეყნის შუაწელშია ე. წ. „იტალიის შვეიცარიაში“, სადაც 260-მდე მზიანი დღეა. აქ ღია გრუნტში ხარობს სუბტროპიკული კულტურები.

შვეიცარია კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, აქ იღებს სათავეს ევროპის ყველა დიდი მდინარე, რომლებიც ჰიდროენერგორესურსების დიდ მარაგს ფლობენ. მრავლადაა ტბები და საგუბრები, რომლებშიც თევზის დიდი მარაგია. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 1/4 და წარმოდგენილია სამრეწველო ხასიათის ხე-მცენარეებით.

ზღვის დონიდან 800 მეტრამდე ყველაზე ხელსაყრელი ზონაა მიწათმოქმედებისათვის, წარმოდგენილია მარცვლეულისა და საკვები კულტურების ნათესები, ხეხილის ბაღები, ვენახი, ბოსტნულ-ბაღჩეული და სხვ. 800-დან 2000 მეტრამდე ძირითადად სათიბ-საძოვრებს უჭირავს, ბევრია კულტურული საძოვრებიც, კიდევ უფრო მაღლა წარმოდგენილია სუბალპური სათიბები.

შვეიცარიის ნიადაგები გამოირჩევა ნაყოფიერებით. დამუშავებისათვის გამოსაყენებელია ტყის რუხი ნიადაგები, თუმცა გვხვდება ალპურებიც, რომელიც უმთავრესად მდინარეთა სანაპირო ზოლშია წარმოდგენილი. ქვეყნის ტერიტორიის 23,6% სრულიად გამოუსადეგარია სოფლის მეურნეობისათვის, წარმოდგენილია კლდეების და მყინვარების სახით. კულტურული მიწათმოქმედებისათვის იყენებენ ტერიტორიის მხოლოდ 6,8%. ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო ზონაში მიწების ნაყოფიერება დიდად არის დამოკიდებული ხელოვნურ რწყვაზე. მიუხედავად ქვეყნის წყლის რესურსებით უზრუნველყოფისა, მშრალი ზაფხულის პირობებში ნიადაგი საჭიროებს წყლის დამატებით რესურსებს.

შვეიცარია მაღალინდუსტრიული ქვეყანაა. სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობით მას მეცამეტე ადგილი უჭირავს კაპიტალისტურ სამყაროში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მხრივ—ერთ-ერთი პირველია. გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის მესამედი მოდის იმპორტზე ,სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალში 5,1%, ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობა კი 4,3% უდრის.

ქვეყანაში არ არის მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მსხვილ ფერმად ითვლება 20 ჰექტარიანი ფერმები, რომელთა ხვედრითი წილი საერთო რაოდენობის 17%-ია. საშუალო მიწათმფლობელად ითვლება 5—10 ჰა-ს მქონე გლეხური მეურნეობები. რომლებიც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითად მასას, მათი ხვედრითი წილი 41,8%-ია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში თავის წვლილი შეაქვთ წვრილ მიწათმფლობელებს, რომელთა ხელში თავმოყრილია მიწის საერთო ფონდის 32,4% (2—4 ჰა-მდე). წარმოების ფორმად მიღებულია იჯარა, გავრცელებულია ურთიერთობის რამდენიმე სახე, მათ შორის დროებითი, ხანგრძლივი პერიოდით და მუდმივი იჯარა. ხელშეკრულების პირობებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ბოლო ათწლეულში გახშირდა სამრეწველო საწარმოებთან დაკავშირებული მოიჯარეების რიცხვი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გადამამუშავებელი სა-

წარმო იძენს მიწას და გასცემს მას იჯარით, უმთავრესად ამავე სა-წარმოში დასაქმებულთა ოჯახებზე, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მა-ტერიალურ დაინტერესებას, ხშირია შემთხვევები, როდესაც მიწის დამმუშავებლად გვევლინებიან ქალაქის მაცხოვრებლებიც.

შვეიცარიის სოფლის მეურნეობა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნ-ველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების პროდუქ-ციით, ქვეყანას შემოაქვს მარცვლეულის 60% (საფრანგეთიდან), პი-რუტყვის საკვების 35% (საფრანგეთი, გერმანიიდან), ხილის 30%— იტალიიდან და ა. შ. მხოლოდ მეცხოველეობის პროდუქტებითაა ქვეყანა უზრუნველყოფილი და მისი ნაწილი გააქვს კიდეც საზღვარგარეთ. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მექანიზებულია, შე-ქმნილია სამთო მიწათმოქმედებისათვის უნიკალური ტექნიკა, რომელ-საც ამზადებენ საკუთარი მანქანათმშენებელი ქარხნები. პროდუქციის ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ.

სოფლის მეურნეობაში უდიდეს როლს ასრულებს მეცხოველეობა, რომლის წილადაც მოდის წარმოებული პროდუქციის ღირებულე-ბის 3/4. მეცხოველეობაში მთავარია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლის სულადობა 2,8 მილიონია. მას მერძეული მიმართულება აქვს, რაც განპირობებულია საკურორტო ინდუსტრიის ინტერესები-თაც. რძეს ხმარობენ ნატურალური სახით, გარდა ამისა ამზადებენ მაღალხარისხოვან კარაქს, ყველს, რძის ფხვნილს, შესქელებულ რძეს, საქვეყნოდაა ცნობილი შვეიცარული ყველი, რომელიც გააქვთ საექ-სპორტოდ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქონლის ხორცის წარმოე-ბას, სუქებაზე დაყენებულ პირუტყვს კვების განსაკუთრებულ რეჟიმ-ში აყენებენ, რაც ზრდის ხორცის, როგორც უუათიანობას, ისე გე-მოვნებით თვისებებს. განსაკუთრებით ფასობს ხბოს ხორცი.

იყენებენ პირუტყვის კვების სხვადასხვა წესს, ყველაზე მეტად გავრცელებულია ძოვება, მერძეული ჯოგის ნაწილი ჰყავთ ბაგურ კვე-ბაზეც. ალპურ საძოვრებზე პირუტყვის ძოვების ხანგრძლივობა წე-ლიწადში 6 თვეა, ზამთარში ისინი გადაჰყავთ ბაგურ კვებაზე. ჰყავთ მაღალპროდუქტიული სიმენტალისა და შვიცის ჯიშის პირუტყვი, რო-მელთა საშუალო წველადობა 5200 ლიტრზე მეტია. განვითარებულია აგრეთვე მეცხვარეობა, რომელსაც ძირითადად იყენებენ ბატკნის ხორცის საწარმოებლად, ჰყავთ თხის ჯოგებიც, წარმოდგენილია მე-ღორეობაც, რომლის სულადობა 4 მლნ-ს აღემატება. ამზადებენ მა-ღალხარისხოვან ღორის შაშხს. განვითარებულია მეფრინველეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს, მეფრინველეობის ფერმები უმთავრესად წარმოდგენილია პატარა-პატარა საწარმოების სახით,

სადაც ყველა პროცესი მექანიზებულია, შვეიცარია იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვერცხზე და ქათმის ხორცზე.

მემცენარეობას დამხმარე ხასიათი აქვს და უმთავრესად მეცხოველეობის მომსახურებისათვის არის განკუთვნილი. სახნავი მიწები მარცვლეულითაა დაკავებული, რომელშიც წამყვანია ხორბალი აქვთ ქერის, ჭვავის და სიმინდის ნათესებიც. შვეიცარიაში ძოჰყავთ მაღალი ხარისხის ხორბალი, რომელიც დიდად ფასობს მსოფლიო ბაზარზე, როგორც სათესლე მასალა. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია კარტოფილი და საკვები ჭარხალი. საგარეუბნო ზონაში მისდევენ დახურული და ღია გრუნტის ბოსტნეულის მოყვანას, აქაური პომიდორი, სტაფილო და კომბოსტო ხასიათდება მაღალი გემოვნებითი თვისებებით. მიწათმოქმედებაში ნაკლებად იყენებენ მინერალურ სასუქებს, ნიადაგების სტრუქტურის აღდგენისათვის გამოიყენება სიდერატები და ნაკელი.

კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც წვრილ-წვრილი საწარმოების სახითაა წარმოდგენილი; საწარმოებში ტექნოლოგიური პროცესები ავტომატიზებულია, განვითარებულია სამაცივრო-სასაწყობო მეურნეობები, მალფუჭადი პროდუქციის შენახვის ტექნოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ პროდუქტებს (პომიდორი, ხილი, ალუბალი, მარწყვი) დიდხანს შეუნარჩუნდეს ნატურალური სახე. შვეიცარიის რამდენიმე უნივერსიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, სადაც ამზადებენ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

ლიხტენშტეინი

ლიხტენშტეინი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 157 კვ. კმ., მოსახლეობა—28 ათასი. პოლიტიკური რეჟიმით კონსტიტუციურ-მონარქიულია, იგი მთაგორიანი ქვეყანაა, მისი ტერიტორიის 3/4 ავსტრიის ალპების მთიან მასივზე მოდის.

ქვეყნის კლიმატი ზომიერია, დაბლობში ტემპერატურა იშვიათად ეცემა 0° ქვევით, ივლისის საშუალო ტემპერატურა კი +18°, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სიცხე 30° აღწევს. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა 700 მმ. ნიადაგები ნაყოფიერია, ჰუმუსის შემცველობა მაღალია.

ქვეყანა განეკუთვნება მაღალგანვითარებულ მიკროსახელმწიფოს, კარგადაა წარმოდგენილი ზუსტი ხელსაწყოთმშენებლობა (საზომი ხელსაწყოები, მიკროკომპიუტერები, სასწორები და ა. შ.) თუმცა არის მანქანათმშენებლობის ქარხანაც, რომელიც უშვებს მძლავრ ტუმბოებს, მოწყობილობებს კოსმოსური ტექნიკისათვის და სხვა.

მრეწველობაში დაკავებულია ქვეყნის მოსახლეობის 1/2. პროდუქცია მთლიანად მიდის საექსპორტოდ.

სოფლის მეურნეობას აქვს გამოკვეთილი სპეციალიზაცია, იგი მეცხოველეობის მიმართულებისაა, ამ დარგში დასაქმებულია მოსახ. ლეობის 1/20. დამუშავებაშია ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 10%, სადაც წარმოდგენილია მარცვლეული კულტურები, გაშენებულია ბაღ-ვენახები, დათესილია კარტოფილი. ქვეყანა მთლიანად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს მცენარეულ პროდუქტებზე. მეცხოველეობა წარმოდგენილია, როგორც მერძეული, ისე მეხორცული მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით. ნოყიერ ალპურ საძოვრებზე წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში ძოვს შვიცის ჯიშის პირუტყვი (15.500 სული). მათ შორის 6 ათას სულამდე ფური, რომელთა პროდუქტიულობა 5400 ლიტრია. ზამთარში პირუტყვი ბაგურ კვებაზეა. საკვების გარკვეულ ნაწილს, (თივის სახით) ადგილზე აწარმოებენ, ხოლო კომბინირებული საკვები შემოაქვთ ავსტრიიდან. მეცხოველეობიდან წარმოდგენილია მეცხვარეობა—10 ათასი სული, მეღორეობა—7 ათასი სულის რაოდენობით, აგრეთვე მეფრინველეობაც და ა. შ. ქვეყანაში არის რამდენიმე ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმო. მეცხოველეობის პროდუქტები ლიხტენშტეინს გააქვს ავსტრიასა და შვეიცარიაში (მეზობელ ქვეყნებში).

ქვეყნის ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელია თავადი, რომელსაც ეკუთვნის სავარგულთა 68%, მასვე ეკუთვნის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის და სხვა ცხოველების რაოდენობის 40%-მდე. მიწას და პირუტყვს თავადი შეღავათიან პირობებში იჯარით აძლევს გლეხებს. გავრცელებულია წარმოების კოოპერირების ევროპაში გავრცელებული ფორმები.

ავსტრია

ღღევანდელი ავსტრია ნაწილია ერთ დროს უძლიერესი ამავე სახელწოდების იმპერიისა, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ევროპისა და მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1918 წელს ავსტრიის იმპერია დაიშალა სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ: საკუთრივ ავსტრია, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. გარდა ამისა მისი ტერიტორიის ნაწილი გადაეცა რუმინეთს, პოლონეთსა და იუგოსლავიას.

თანამედროვე ავსტრია პატარა ქვეყანაა ევროპის ცენტრში, რომლის ტერიტორია 84 ათასი კვ. კმ. ხოლო მოსახლეობა—7,8 მლნ. დედაქალაქია ვენა. იგი ერთდროულად ეკუთვნის როგორც ალპურს, ისე დუნაისპირა ქვეყანას. მდებარეობს რა ევროპული ქვეყნების ცენტრალურ გზაშესაყარზე, ავსტრია გადაიქცა დიდ სატრანსპორტო კვან-

ძად, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, აგრეთვე კონტინენტის საშუალოთულ ნაწილს ჩრდილოეთთან.

ავსტრია—ფედერაციული კაპიტალისტური ქვეყანაა, პოლიტიკური თვალსაზრისით იგი ნეიტრალურია, რამაც სტაბილური საფუძველი შეუქმნა მის ეკონომიკას.

ქვეყნის ბუნებრივი პირობების თავისებურებას განსაზღვრავს ალპები, რომლის თოვლიანი მწვერვალები მოჩანს ქვეყნის ყველა კუთხიდან, აქ ვერტიკალური ზონალობის მიხედვით გამოჰყოფენ რამდენიმე ბუნებრივ კლიმატურ ზონას. აღსანიშავია ისიც, რომ შედარებით დაბლობს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/5 და უმთავრესად წარმოდგენილია აღმოსავლეთ ზონაში. ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი (80%-მდე) მოდის მთიან რელიეფზე. დაბლობზე, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია დუნაისპირა ველებზე, მოდის ქვეყნის სამეურნეო საქმიანობის 90%, აქვეა თავმოყრილი მოსახლეობის 75%, ქვეყნის ამავე ნაწილში მდებარეობს საკმაოდ ნაყოფიერი მიწები, არის თბილი, საკმაოდ ტენიანი ჰავა (ნალექები 700—900 მმ.), ზაფხული ხანგრძლივი და თბილია (+20°), ზამთარი შედარებით რბილი (—1—5°). თოვლის საფარი იწყება 2500—2800 მეტრი სიმაღლიდან. მთებში ზაფხული გრილია, ხშირად მოდის თოვლი. ავსტრია კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მთებში ბევრი მტკნარი, სასმელად გამოსაყენებელი მდინარეა, არის ბევრი ტბა.

ავსტრიას ტყიან ქვეყნებს მიაკუთვნებენ, ტყის ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 2/5-ზეა წარმოდგენილი. მთებში ბევრია სუბალპური საძოვრები და სათიბები, ზაფხულობით ისინი წარმოადგენენ შესანიშნავ საძოვრებს. კარგადაა ორგანიზებული ბუნების დაცვა, მარტო ნაკრძალებს უჭირავს 0,5 მლნ. ჰექტარი.

დღევანდელი ავსტრია განეკუთვნება ეკონომიურად განვითარებული ქვეყნების რიცხვს, რომელშიც უპირატესი ადგილი უჭირავს მრეწველობას. თუმცა, მისი ეკონომიკა ღრმა კრიზისს განიცდიდა 30-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. დღეისათვის მრეწველობის პროდუქციის ღირებულება 7-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებას. განვითარებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა (მ. შ. სასუქების წარმოება).

ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. აქ ძირითადად შავმიწა და რუხი ტყის ნიადაგებია. სასოფლო-სამეურნეო წარმოება მაღალპროდუქტიულია, მას რაციონალური ხასიათი აქვს, თუმცა ქვეყანა მხოლოდ 85% უზრუნველყოფს

თავის მოთხოვნილებებს საკუთარი წარმოებით. შემოაქვთ მარცვლეული და კომბინირებული საკვები, ნაწილობრივ ხილიც.

კარგა ხნის მანძილზე ავსტრია კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნის ნიმუშს წარმოადგენდა. ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით საფრანგეთში, კაპიტალიზმის დაჩქარებული ტემპით განვითარება, მის პოლიტიკურ სტრუქტურებს თითქმის არ შეხებია. ჩვენი საუკუნის დასაწყისამდე ქვეყანა რჩებოდა მსხვილ მემამულურ სახელმწიფოდ და ეს ტენდენცია დღესაც საკმაოდ მყარად არის გამოკვეთილი. ავსტრიაში დღესაც შეხვდებით მსხვილ მემამულურ მიწათმფლობელებს, 1985 წლის მონაცემებით მათი რაოდენობა მეურნეთა 4%-ს შეადგენდა, ხოლო ფლობდნენ მიწის რესურსების 55%. მემამულური მეურნეობების საშუალო სიდიდე 50 ჰა-მდეა, არის შემთხვევები, როდესაც მათი ფართობი 1000 ჰექტარს აღემატება. ვხვდებით წვრილ გლეხურ მეურნეობებს, რომელთა სიდიდეც 5 ჰა-მდეა, მათი რაოდენობა მეურნეთა ნახევარს შეადგენს, ხოლო ფლობენ მიწის ფონდის მხოლოდ 4,5%. მსხვილი მიწათმფლობელები არიან მთიან ავსტრიაშიც, მათ კუთვნილებაშია ტყეები, საძოვარ-სათიბები და სახნავიც. დღემდეა შემორჩენილი ძველი ფეოდალური წესი, რომლის მიხედვითაც მემამულეთა კუთვნილი ადგილ-მამული არ ექვემდებარება გაყოფას, ჩუქებას, გაყიდვას, იგი გადადის მხოლოდ მემკვიდრეობით—გვარში უფროსზე. ასეთ მამულებს იშვიათად აძლევენ იჯარით, მათი დამუშავებაც ფეოდალური წესის მიხედვით წარმოებს. იმ განსხვავებით, რომ იყენებენ აგროტექნიკის თანამედროვე მეთოდებს და ტექნიკას. მემამულე ნატურით იღებს კუთვნილ ღალას, განსაკუთრებით, მარცვლეულის წარმოებისას.

მიწების გარკვეული ნაწილი გლეხობის კუთვნილებაშია, რომლებიც მიწას ამუშავებენ უმეტესად დაქირავებული მუშა-ძალის გარეშე, თუმცა, არ არის გამორიცხული ასეთი მიწების იჯარით გადაცემაც. ავსტრიის მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენს ტექნიკური პროგრესი წვრილი გლეხური მეურნეობის საქმიანობაზე. მათ ვისაც არ აქვთ საშუალება გამოიყენოს მეცნიერების მიღწევები, ჩანაგდებიან, ვინაიდან ვერ უძლებენ შედარებით მომძლავრებული მეურნეობების კონკურენციას. რაციონალური მიწათმოქმედება მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს, რომლის გაღება შეუძლია მხოლოდ ეკონომიურად მომძლავრებულ მეურნეობებს.

დღევანდელ ავსტრიაში მიწათმოქმედებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს, ხელით შრომის ხვედრითი წილი ახლად შექმნილ პროდუქ-

ციამი 8—10%-ს არ აღემატება, ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მისცა საშუალო მიწათმოქმედს შოთმის ხაყოფიერების ხრდის ხარჯ-ზე მიეღწია მაღალი ეკონომიკური შედეგებისათვის და ქვეყანა უზრუ-ველყო ძირითადი სახეობის საკუთარი წარმოების პროდუქტებით. ავსტრიის სოფლის მეურნეობის შედეგები მოკრძალებულია ჩვენს მიერ ადრე განხილულ ქვეყნებთან შედარებით, მაგრამ მთავარია ის, რომ წარმოებას აევს სტაბილური ხასიათი. მაგალითად, მარცვლეულის მო-სავლიანობა (ხორბალი, ქერი) ჰა-ზე შეადგენს 38 ცენტნერს, წველა-დობა 3200 ლიტრს, სუქებაზე დაყენებული პირუტყვის დღეღამური ზატება 750—800 გრამს და ა. შ. რაც საკმაოდ ჩამორჩება ნიდერ-ლანდების, ბელგიის, დანიისა და სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებ-ლებს, მაგრამ ეს შედეგები სტაბილურია, რაც დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქციის წარმოებაში წამყვანია მეცხოველეობა, რომლის წილადაც მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 2/3, რასაც ხელს უწყობს ბუნებრივი პირობებიც. მაგალითად, სათიბ-საძოვრებს უჭირავს მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახევარზე მე-ტი, ხოლო საკვები კულტურების ნათესებს — სახნავის ნეოთხედი. საძოვრებისა და საკვები კულტურების ასეთი რაოდენობა იძლევა საშუალებას იყოლიონ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკ-მაოდ დიდი რაოდენობა (2,5 მლნ. სული), რაც საკმარისია მეცხოვე-ლეობის პროდუქტებით ქვეყნის მოთხოვნილებების სრული დაკმა-ყოფილებისათვის.

პირუტყვი ჰყავთ როგორც ძოვებაზე, ისე ბაგურ კვებაზე, რძის 85% მიდის გადამუშავებაზე. ამზადებენ მაღალხარისხოვან კარაქს, ყველს, ხაჭოს, შესქელებულ რძეს და სხვა პროდუქტებს. მეცხოვე-ლეობის პროდუქტების გადამუშავება წარმოებს პატარ-პატარა საწარ-მოებში, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მთლიანად ავტომატიზებუ-ლია. არსებობს კოოპერაციის რამდენიმე ფორმა, რომელთაგან ყვე-ლაზე ეფექტიანია ნედლეულის მწარმოებელსა და გადამამუშავებელ საწარმოებს შორის პირდაპირი ხელშეკრულების დაფორმება. წვრი-ლი გლეხური მეურნეობები იყენებენ აგრეთვე მარტივი კოოპერაციის სხვადასხვა ფორმებსაც, რომელთა შორის ყველაზე მეტად გვხვდება მომარაგება-გასაღების გაერთიანებები. მსხვილი სასოფლო-სამეურ-ნეო საწარმოები, რომლებსაც აქვთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ხელშეკრულებით ასრულებენ მექანიზებული ხასიათის სა-მუშაოებს წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობებშიც.

მეცხოველეობიდან წარმოდგენილია აგრეთვე მეცხვარეობა. 1980 წლის მონაცემებით ევეყანაში ითვლებოდა 230 ათასი სული ცხვარი, მათი გაადგილების ძირითადი რეგიონია დასავლეთ ავსტრიის მთიანი მხარე, ცხვარს ზამთრობით ერეკებიან აღმოსავლეთ ავსტრიის დაბლობში ან ჰყავთ ბაგურ კვებაზე. მეცხვარეობის ძირითადი პროდუქცია—მატყლი მუშავდება ადგილზე, აბზადებენ მაღალხარისხოვან შალის ქსოვილებს.

განვითარებულია მეღორეობაც, რომელსაც უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობას ჰყავს ღორი, თუმცა, არის სპეციალიზებული მეღორეობის მეურნეობებიც, რომლებსაც 100 და მეტი სული ღორი ჰყავთ. გერმანელების მსგავსად, ავსტრიაშიც პოპულარულია ღორის ხორცი. თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში წარმოდგენილია მეფრინველეობა, არსებობს სპეციალიზებული მსხვილი მეფრინველეობის კომბლექსებიც. ალპების მთის კალთებზე კარგ შედეგებს იძლევა მეფუტკრეობა. ავსტრიას ევროპის ქვეყნებში გააქვს თაფლი, ცვილი და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტები.

სათესი ფართობები მცირეა. მის დამუშავებას არა აქვს მუდმივი ხასიათი, სავარგულები ჩართულია თესლბრუნვაში და როგორც სახნავი და საძოვარი ენაცვლებიან ერთმანეთს, ეს ფორმა ძირითადად დამახასიათებელია მთიანი ავსტრიისათვის.

მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხორბალი, ქერი, შაქრის ჭარხალი. მათი გავრცელების რეგიონია მდინარე დუნაის სანაპიროები, სადაც შედარებით თბილი კლიმატია და მიწების ნაყოფიერებაც საკმაოდ მაღალია. აქვე თესავენ ჭვავსა და კარტოფილს, ეს უკანასკნელი გავრცელებულია დასავლეთ ავსტრიის მთისწინა ზონებშიც. შედარებით დაბლობ ადგილებში (ზოგიერთ მთისწინა კალთებზე) კარგ შედეგებს იძლევა მრავალწლიანი კულტურები, კერძოდ, ხეხილი და ვენახი. ავსტრია უზრუნველყოფს თავის მოთხოვნილებებს. როგორც ნატურალურ ხილზე, ისე მევენახეობის პროდუქციაზეც (სუფრის ყურძენი, ღვინო). მევენახეობას აქ კარგი ტრადიციები აქვს, ძირითადად ამზადებენ სუფრის ღვინოებს, რაზედაც დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ქვეყნებშიც. საგარეუბნო და საკურორტო ზონაში განვითარებულია ნებოსტნეობა, რომელიც მოჰყავთ როგორც ღია, ისე დახურულ გრუნტში. ბოსტნეულთაგან კარგადაა წარმოდგენილი: კომბოსტო, სტაფილო, სალათი, პომიდორი, კიტრი.

ინტენსიურმა სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. დღევანდელ

ავსტრიაში არსებობს რამოდენიმე ძლიერი სასოფლო-სამეურნეო კვლევითი ცენტრი, ქვეყნის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ამზადებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

თანამედროვე ავსტრიაში კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვა. აშენებულია დიდი სამაცივრო და სასაწყობო მეურნეობები.

IV თავი

ჩრდილოეთ ევროპა

(ფინეთი, შვეცია, ნორვეგია, დანია, ისლანდია)

ჩრდილოეთ ევროპა აერთიანებს სკანდინავიის ქვეყნებს და ფინეთს. იგი წარმოდგენილია საკმაოდ დიდ, მაგრამ ნაკლებ დასახლებულ რეგიონში. მის წილად მოდის დასავლეთ ევროპის ტერიტორიის 1/4, ხოლო მოსახლეობის 1/20; საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვ. კმ. 5 კაცია, გვხვდება დაუსახლებელი რაიონებიც, განსაკუთრებით, სკანდინავიის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც. რომ მოსახლეობის სიმჭიდროვე აღნიშნული რეგიონის ისეთ ქვეყანაში, როგორიც დანიაა, ერთ-ერთი მაღალია ევროპაში.

სახელმწიფოებრივი წყობილებით, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. შვეცია, ნორვეგია და დანია კონსტიტუციური მონარქიული ქვეყნებია, ხოლო ფინეთი და ისლანდია—რესპუბლიკები. საერთო ამ ქვეყნებისათვის გახლავთ ის, რომ ისინი გააჩნიათ ზღვიან საზღვაო სახელმწიფოებს. ზღვას უკავშირდება აღნიშნული ქვეყნების ყველა ძირითადი ეკონომიკური რაიონები. მაგალითად, 50 კილომეტრიან ზღვისპირა ზოლშია მოთავსებული ფინეთისა და შვეციის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნახევარზე მეტი, ნორვეგიისა და დანიის მრეწველობის 4/5, ხოლო სოფლის მეურნეობის 3/4. ზღვისპირა ზოლშია მოთავსებული ისლანდიის მთელი ეკონომიკა. ზღვის პირასაა გაშენებული აღნიშნული ქვეყნების დედაქალაქებიც.

ჩრდილოეთ ევროპის ბუნებაც მრავალფეროვანია, დიდია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანისა და ატლანტიკის ოკეანის გავლენა. რეგიონის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს ტყეებს, მარტო შვეციის. ფინეთისა და ნორვეგიის ტყეებზე მოდის დასავლეთ ევროპის ტყეების

1/3. ტყეები, მდინარეებთან და ტბებთან ერთად წარმოადგენენ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების უდიდეს სიმდიდრეს.

რეგიონის დარგობრივი სტრუქტურები ჩამოყალიბდა სპეციფიკურ ვითარებაში, კერძოდ. საერთაშორისო კაპიტალის კონკურენციის პირობებში, რომელმაც საშუალება მისცა რეგიონის ქვეყნებს განვითარებიათ რეგიონისათვის მისაღები, პრიორიტეტული დარგები, რამაც ეს ქვეყნები ჩააყენა ცივილიზებული ქვეყნების რიგში. სპეციალიზებული დარგების პროდუქციის ექსპორტით, რეგიონი პირველ ადგილზე გამოვიდა ევროპაში. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირება მიმდინარეობდა მაღალხარისხოვანი პროდუქციის სპეციალიზაციის გზით, დარგების განვითარებისას გამოიყენება ერთის მხრივ ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის მაღალი პროფესიონალიზმი და მეორე მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები.

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების სოფლის მეურნეობას მკვეთრად გამოხატული მეცხოველეობის მიმართულება აქვს. მისი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო პროდუქციაში 75—78%-ია. აღნიშნული ქვეყნები არა მარტო იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციაზე, არამედ მეცხოველეობის პროდუქტების უდიდესი ნაწილი გააქვთ კიდეც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით კარგი პირობებია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სამხრეთ შვეიცარია და დანიაში. ფინეთში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროვინციები მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ დასავლეთით. აღნიშნულ ქვეყნებში ძირითადად გავრცელებულია ფერმერული მეურნეობები. ფერმები მდებარეობენ განცალკევებულად, მათი სპეციალიზაცია მკვეთრად გამოკვეთილია. იშვიათად იყენებენ დაქირავებულ შრომას, ფერმის სიდიდე გამომდინარეობს ფერმერის ოჯახის შემადგენლობიდან.

აღნიშნული რეგიონის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ის. რომ აქ არ გვხვდება მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობა, იშვიათია მრავალწლიანი ნარგავები. სოფლის მეურნეობა კარგადაა შეთანაწყობილი სატყეო მეურნეობასთან და თითქმის ავსებენ ერთმანეთს. ყველა ფერმერი ფლობს ტყის საკმაოდ დიდი რაოდენობას და თვითონ ეწევა ყველა სახის სამუშაოებს.

ფინეთი

ფინეთი მდებარეობს ევროპის ჩრდილოეთით, მისი ტერიტორია 337 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 5 მლნ. დედაქალაქი— ჰელსინკი. ტერიტორიის 1/4 მდებარეობს ჩრდილოეთის პოლარულ

სარტყელში. ფინეთი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, დემოკრატიის ძალზე მაღალი დონით. 1918 წლამდე იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, სოციალისტური რევოლუციის შემდეგ იგი გაეყარა რუსეთს და შექმნა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. დღევანდელი ფინეთი ევროპის ერთ-ერთი, მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, მოსახლეობის ცხოვრების ძალზედ მაღალი დონით.

ფინეთის ბუნება გამოირჩევა თავისებურებებით. იგი მიმზიდველია, სადაც ერთმანეთს ცვლის ტბების სარკოვანი ზედაპირი და ჩქარი მდინარეები, მარადმწვანე ტყეები და მდელოები. ფინეთის ზედაპირი ვაკეა, რამაც ხელი შეუწყო მის სამეურნეო ათვისებას. ტერიტორიის მხოლოდ 10% მდებარეობს ზღვის დონიდან 300 მეტრამდე სიმაღლეზე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ევროპის ჩრდილოეთით მდებარეობს. მისი კლიმატი არ არის მკაცრი, მასზე გავლენას ახდენს ატლანტიკის ოკეანის თბილი დინებები, რომელთა განშტოებაც წვდება სკანდინავიის ქვეყნების რეგიონს. ივლისის საშუალო ტემპერატურა სამხრეთით +17° +18°-ია, ცენტრში +16°, ჩრდილოეთით +14° —+15°, ზამთრის ტემპერატურა —4° (სამხრეთით), მერყეობს —14°-მდე (ჩრდილოეთით). სამხრეთ რაიონებში დღეთა რაოდენობა +10°-ზე მეტი ტემპერატურით, მერყეობს 110—125 დღემდე, რაც შედარებით კარგ პირობებს ქმნის სამეურნეო საქმიანობისათვის.

ნალექების საერთო რაოდენობა სამხრეთ პროვინციებში 600—700 მმ-ია, ჩრდილოეთით — 400—450 მმ. ნალექების რაოდენობა ხელსაყრელია სამეურნეო საქმიანობისათვის, რომელიც ჩრდილოეთ ოლქებშიც კი ინტენსიური ხასიათისაა. ქვეყანა ჭარბადაა უზრუნველყოფილი წყლით. მარტო ტბებს, რომელთა რაოდენობა 6 ათასამდეა, უჭირავს მისი ტერიტორიის 10%. ცენტრალურ რაიონებში ტბებზე მოდის ტერიტორიის ნახევარიც კი. ძირითადად პატარა, 15—20 მეტრი სიღრმის ტბებია, თუმცა გვხვდება საკმაოდ ღრმა ტბებიც. მათ სამეურნეო გამოყენება აქვთ.

ფინეთი კარგადაა უზრუნველყოფილი ტყეებით, რომელსაც უჭირავს მისი ტერიტორიის 70%. მათგან 1/3 მდებარეობს ძნელად მისადგომ დაჭაობებულ ადგილებში. ტყეების ფართობით ფინეთს მეორე ადგილი უჭირავს ევროპაში—შვეციის შემდეგ, მასში ჭარბობს ნაძვი. რომლის წილად მოდის ტყის ფართობის ნახევარი, გარდა ამისა, გვხვდება ფიჭვი და არყის ხეებიც. დიდი ტერიტორია უჭირავს ჭაობს. რომლის წილად მოდის ფართობის 1/4. ისინი შეიცავენ ტორფის დიდ მარაგს. ამ მაჩვენებლით ქვეყანა პირველ ადგილზეა ევროპაში.

ფინეთი კაპიტალისტური განვითარების გზას, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გვიან დაადგა. გასული საუკუნის ბოლომდე მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, სატყეო მეურნეობასა და მეთევზეობაში. კაპიტალიზმის განვითარება და ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია დაკავშირებულია მის ყველაზე დიდ ბუნებრივ სიმდიდრესთან—ტყესთან. ევროპაში დაჩქარებული ტემპით დაწყებულ მრეწველობის განვითარებას, დიდი რაოდენობით დასჭირდა ხე-ტყე. სწორედ ამან მისცა დასაბამი სატყეო მრეწველობის განვითარებას, ხოლო შემდეგ ნაციონალური კაპიტალის დაგროვების კვალობაზე, სხვა დარგების განვითარებასაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ფინეთის ეკონომიკის ახალი ეტაპი. დაიდო სავაჭრო ურთიერთობები ყოფილ სსრკ-თან, რომლის წილადაც მოდიოდა ფინეთის მთელი ექსპორტის 80%-მდე, ამან კი დასაბამი მისცა სხვა დარგების განვითარებასაც. კერძოდ, მსუბუქი. კვების, ელექტრომრეწველობის განვითარებას. დღეისათვის ფინეთის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კაპიტალის მაღალი ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია, ქვეყანა აგრარულ — ინდუსტრიულიდან გადაიქცა ინდუსტრიულ — აგრარულად. თუ მეორე მსოფლიო ომამდე სოფლისა და სატყეო მეურნეობის ხვედრითი წილი ნაციონალურ პროდუქტში 1/3 შეადგენდა (ამდენივე მოდიოდა მრეწველობაზე), უკვე 80-იანი წლებიდან სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ 3-ჯერ გადააჭარბა სოფლის მეურნეობის მოცულობას, თუმცა ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობაც გაორმაგდა. თუ ომამდე მრეწველობაში დასაქმებული იყო მოსახლეობის მხოლოდ 20%, ხოლო სატყეო და სოფლის მეურნეობაში 60%-მდე, დღეისათვის სოფლისა და სატყეო მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 14%, აქედან უშუალოდ სოფლის მეურნეობაში—6,5%.

მრეწველობის დაჩქარებულმა განვითარებამ პრიორიტეტული დარგების (ელექტრონიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ჩარხმშენებლობის) განვითარებამ შესანიშნავი მატერიალური ბაზა შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. განვითარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომელიც უშვებს აღნიშნული ზონისათვის გამოსაყენებელ ტექნიკას. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი იგზავნება ექსპორტზე სხვა ქვეყნებში და პირველ რიგში ყოფილ სსრკ-ში.

შეიქმნა კვებისა და მსუბუქი მრეწველობის თანამედროვე ტიპის საწარმოები, რომლებიც ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მუშაობენ. ხორცის ნაწარმი (ძეხვეული, კონსერვები), რძე და რძის ნაწარმი დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში. კვების

მრეწველობის საწარმოები არსებობენ, როგორც პატარა სიმძლავრეების იგივე მახვილი საწარმოების სახით.

პიუბედაკად იმისა, რომ ომის შემდეგ წლებში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალში მნიშვნელოვნად შემცირდა, იგი მაინც მაღალგანვითარებული დარგია, მექანიზაციის მაღალი დონით, რაზედაც მიუთითებს ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელით შრომა იცვლება ინდუსტრიული შრომით. ფინელები ვარაუდობენ, რომ საუკუნის ბოლოს ხელით შრომის ხვედრითი წილი, სოფლის მეურნეობის საერთო დანახარჯში 8%-ით შეამცირონ, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

დღევანდელი ფინეთი მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით და მისი გარკვეული ნაწილი (მეცხოველეობის პროდუქციის სახით) ეაქვს კიდეც საექსპორტოდ. ქვეყანას შემოაქვს სასურსათო მარცელეული „ევროპის ბაზრის“ ქვეყნებიდან, აგრეთვე ხილი და ციტრუსები, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანა-გატანის ბალანსი ფინეთის სასარგებლოდაა.

ფინეთი წვრილი და საშუალო ფერმერების ქვეყანაა. მეურნეობებს, რომლებსაც 10 ჰა-მდე სახნავი აქვთ, შეადგენენ ფერმერების რაოდენობის 3/5, ხოლო ფლობენ მთელი სახნავის 2/5. მეურნეობებს, რომლებსაც 10—20 ჰა-მდე სახნავი აქვთ, ითვლებიან საშუალო მეურნეობებად. მათი რაოდენობა ფერმერთა საერთო რაოდენობის 1/4 შეადგენენ და ფლობენ სახნავი მიწის 1/3. ამრიგად, წვრილი და საშუალო ფერმერები შეადგენენ საერთო რაოდენობის 9/10 და ფლობენ სახნავის 3/4. სწორედ ეს ფენა წარმოადგენს ძირითადს. ფინეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მიწების დანარჩენი ნაწილი მსხვილი მიწათმფლობელების ხელშია.

წარმოების ორგანიზაციის თვალსაზრისით გავრცელებულია ოჯახური ფერმები, როდესაც ყველა სახის სამუშაოს ასრულებს ოჯახის წევრები. ასეთი ფორმა მისაღებია წვრილი და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის. მხოლოდ თივის დამზადებისას მიმართავენ (ხოგიერთი საშუალო ფერმერი) დაქირავებულ შრომას. მსხვილ მეურნეობებში გავრცელებულია როგორც მიწის იჯარით გაცემის პრაქტიკა, ისე გარედან მოზიდული მუდმივი მუშახელის დაქირავებაც.

ფერმერები გაერთიანებული არიან მარტივ კოოპერატივებში, ძირითადად პროდუქციის გასაღების მიზნით. ისინი წინასწარ დებენ ხელშეკრულებებს გადამამუშავებელ საწარმოებთან, რომელთა წარმომად-

ველებს დანიშნულ დროს გადააქვთ პროდუქცია დანიშნულებისა-მებრ, რაც ურთიერთობის მეტად ხელსაყრელი ფორმაა. მწარმოებელი აღ კაოგავს დროს წარმოებული პროდუქციის (ძირითადად რძის) რეალიზაციისათვის.

ყველა ფერმერული მეურნეობა, როგორც წესი, ფლობს საკუთარ ტყეს, რომლის სიდიდე რამდენჯერმე აღემატება სახნავის ოდენობას. ისინი ეწევიან ხე-ტყის რეალიზაციასაც, რომელსაც საკმაოდ დიდი შემოსავალი მოაქვს ფერმერისათვის. ტყის ექსპლოატაცია საკუთარი ძალებით წარმოებს, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში მიმართავენ დაქირავებულ მუშახელს. მოჭრილი და დამუშავებული ხეების ტრანსპორტირებას სხვა ორგანიზაციები ეწევიან. საშუალოდ, ერთ ფერმაზე მოდის 11 ჰა სახნავი და 50 ჰა-მდე პროდუქტიული ტყე. ქვეყნის ჩრდილოთ პროვინციებში ტყის ექსპორტაციით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ფერმერთა ძირითად შემოსავალს, ხოლო სოფლის მეურნეობა შემოსავლის დამატებითი წყაროა.

ფინეთში, ისევე როგორც ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, სოფლის მეურნეობას აქვს მკვეთრად გამოკვეთილი მეცხოველეობის მიმართულება. ჰყავთ ჯიშიანი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც უმთავრესად მერძეული მიმართულებისაა. სოფლის მეურნეობის მთლიანი შემოსავლის 4/5 იქმნება მეცხოველეობაში, ხოლო შემოსავალი მერძეული ჯოგიდან შეადგენს 3/5, მთლიანი შემოსავლიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი 1,9 მლნ. სულია, აქედან მეწველი ფური 850—900 ათასი სული. საშუალო სიდიდის ფერმაში 10—15 მსხვილფეხა რქოსანია. ძირითადად ჰყავთ ადგილობრივი და შოტლანდიური ჯიშის პირუტყვი, საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე 4200 ლიტრია, რძის ცხიმიანობა—3,2%. ქვეყანაში მოწველილი 3 მლნ. ტონა რძიდან გადამუშავებაზე მოდის 2 მლნ. ტონა, ხოლო დანარჩენი მოიხმარება ფერმერის საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამზადებენ ოჯახურ ყველს, ხაჭოს, კარაქს.

კარგადა განვითარებული მეღორეობაც. ღორების რაოდენობა 1,4 მლნ. სულია. პირუტყვი ჰყავთ ყველა ფერმერულ მეურნეობაში, არსებობენ სპეციალიზებული ფერმებიც, რომლებსაც 100 და მეტი სული ღორი ჰყავთ. ღორის ხორცი ფინელების ტრადიციული საკვებია. ქვეყანაში დამზადებული ხორცის რაოდენობის ნახევარი ღორისაა, რომელიც მთლიანად მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ მაღალი ხარისხის ძეხვეულს, შებოლილ ხორცს და სხვ. განვითარებულია მეფრინველეობაც, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს. ფრინველი ჰყავთ ყველა ფერმაში. ქვეყნის სამხრეთით დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში არსებობს რამდენიმე დიდი მეფრინველეობის კომპლექსი,

რომელიც ქალაქის მოსახლეობას ამარაგებს ფრინველის ხორცითა და კვერცხით.

უკიდურეს ჩრდილეთით ჰყავთ ირმის ჯოგები, მათი რაოდენობა 210—220 ათასი სულია. ირმის ხორცს გარკვეული ხვედრითი წონა აქვს ხორცის წარმოებაში. ამზადებენ ირმის შესქელებული რძის კონსერვებს. მეირმეობას მომთაბარეული ხასიათი აქვს, მას ძირითადად ესკიმოსები მისდევენ.

მეცხოველეობა ძირითადად ბალეურ კვებაზეა. პირუტყვი მხოლოდ ზაფხულობით გამოჰყავთ საძოვრზე, საძოვრები ძალზედ ნოყიერი და პროდუქტიულია, თივას ამზადებენ მექანიზებული წესით. ფინეთის სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის პროცენტი მაღალია, ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი 85 ცხენის ძალას უდრის, რაც მეცხოველეობის საწარმოო მიმართულების ქვეყნისათვის მაღალია.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მემცენარეობას დამხმარე ხასიათი აქვს. აქ იქმნება სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 1/4. მიწათმოქმედება ემსახურება მეცხოველეობის ინტერესებს. დამუშავებული მიწების 3/4 უჭირავს საკვებ კულტურებს. ყოველწლიურად იზრდება მარცვლეულის წარმოება, რომელთა შორის მთავარია ქერი და ჭვავი. ქერი სრულ სიმწიფემდე ასწრებს მხოლოდ სამხრეთ რაიონებში, ხოლო ჭვავი მწიფდება თითქმის ყველა პროვინციაში, მათ შორის ჩრდილოეთითაც.

სასურსათო მარცვლეულიდან მოჰყავთ საშემოდგომო ხორბალი, რომელსაც უკავია სახნავი მიწების 1/10. ხორბლის ვავრცელების ძირითადი რაიონია ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი, თუმცა, ნათესები ვეხვდება სანაპირო ზოლშიც. დღეისათვის ხორბალი იძლევა სასურსათო მარცვლეულის 2/3, ქერი—1/3. ქვეყანა 90%-ით იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს სასურსათო ხორბალზე, დანარჩენი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან. მარცვლეულის მოსავლიანობა 34—38 ცენტ, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებისათვის.

ფინეთში მოჰყავთ შაქრის ჭარხალიც, რომლის ნათესები კონცენტრირებულია ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით. აქვეა გადასამუშავებელი ქარხნებიც. კარგი ტრადიციები აქვს მეკარტოფილეობასა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა იგი წარმოდგენილი ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ პროვინციებში შოჰყავთ თითქმის ყველგან, მათ შორის უკიდურეს ჩრდილოეთშიც). კარტოფილის მოსავლის ნახევარი მიდის მოსახლეობის, ხოლო ნახევარი პირუტყვის საკვებად. კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 320—340 ცენტნერია, მისი მოვლა-მოყვანის სამუშაოები მთლიანად მექანი-

ზებულია, რაც შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების შესანიშნავი მაგალითია. ერთი კაცი უვლის 20—25 ჰექტარ კარტოფილის ნათესს).

მემცენარეობიდან დიდი ყურადღება ექცევა სათეს ბალახს, რომლითაც დაკავებულია ნათესების 1/3. ნაკვეთები მაღალი მოსავლით ხასიათდებიან და კარგ ბაზას წარმოადგენენ მეცხოველეობისათვის.

საგარეუბნო მეურნეობებში მისდევენ მებოსტნეობას, რომელიც უმთავრესად დახურული გრუნტისაა და წელიწადში მოჰყავთ რამდენიმე მოსავალი. ამავე ზონაში მისდევენ მეყვავილეობას, რომელსაც უფრო მოყვარული ხასიათი აქვს.

როგორც ვხედავთ, ფინეთის სოფლის მეურნეობას აქვს გამოკვეთილი მეცხოველეობის მიმართულება, ხოლო მემცენარეობის პროდუქციის წარმოება განპირობებულია მეცხოველეობის ინტერესებით. ქვეყანაში მრავალწლიანი ნარგავები არ არის, ამიტომ დიდი რაოდენობით შეაქვთ ნატურალური ხილი და ხილის კონცენტრატები.

ფინეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ამზადებენ მეცხოველეობის სპეციალისტებს, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევიან. მიმდინარეობს ინტენსიური სამეცნიერო კვლევაც.

შვეცია

შვეცია ჩრდილოეთ ევროპის ყველაზე დიდი ქვეყანაა, რომლის წილადაც მოდის რეგიონის ფართობის 1/3, მოსახლეობის— 2/5 და ნაციონალური შემოსავლის ნახევარი. მისი ტერიტორია 450 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—8,5 მლნ მჯდომარეობს სკანდინავიის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით და გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 1600 კმ-ზე. შვეცია საზღვაო ქვეყანაა, მისი პოლიტიკური წყობაა—კონსტიტუციური მონარქია, დედაქალაქი—სტოკჰოლმი.

შვეციის სახელმწიფო სათავეს იღებს ჩვ. წ. ა. VI საუკუნიდან, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიაში. XIXს მეორე ნახევრიდან ქვეყანაში იწყება მრეწველობის ინტენსიური განვითარება, რასაც ხელი შეუწყო ხე-ტყის უსარმაზარმა მარაგმა, რომლის მუდმივი დამუშავებაც ამ პერიოდიდან იწყება. შეიცვალა სოფლის მეურნეობის მიმართულებაც, ევროპის ბაზარზე იაფმა ამერიკულმა და რუსულმა ხორბალმა გამოდევნა შედარებით ძვირად ღირებული შვედური ხორბალი, ამან გამოიწვია მეცხოველეობის განვითარება—კერძოდ, მერძეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება. იმ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე შვეციის სოფლის მეურნეობის ექსპორტის უმნიშვნელოვანესი

ელემენტია მეცხოველეობის პროდუქტები, კერძოდ, ხორცი და მისი ნაწარმი, რძე და რძის პროდუქტები. 1860 წ-დან დაიწყო მოსახლეობის ინტენსიური მიგრაცია ამერიკაში. 50 წლის განმავლობაში ქვეყნიდან წავიდა 1,2 მლნ. ადამიანი, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაზე, დროებით შეაფერხა ეს პროცესი. XX ს-ის დასაწყისიდან დაიწყო ახალი პერიოდი ქვეყნის სამრეწველო განვითარებაში, რასაც ხელი შეუწყო ბუნებრივმა სიმდიდრეებმა (რკინა, ალუმინი და სხვა რესურსები).

შვეციის ბუნებრივი პირობები ტიპურია ამ ზონის ქვეყნებისათვის. ლანდშაფტი შედარებით ვაკეა, ნიადაგები მრავალფეროვანი, ტყე წიწვოვანი, კლიმატი—ზომიერი, უფრო მეტად—ტენიანი. ბევრია ჩქარი, წყალუხვი მდინარეები, სამეურნეო საქმიანობა ძირითადად განკითარებულია ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ შვეციაში. ქვეყანაში ბევრი კლდოვანი მთებია.

შვეციის კლიმატის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა ორმა ფაქტორმა: ატლანტიკიდან ცხელი, ტენიანი, ხოლო არქტიკიდან ცივი, მშრალი ჰაერის მასების შემოჭრამ. სწორედ ამიტომ კლიმატი ჩრდილოეთიდან — სამხრეთით და აღმოსავლეთიდან — დასავლეთით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. ჩრდილოეთ შვეციაში მკაცრი კლიმატია, იანვრის საშუალო ტემპერატურა—10°-ია. ნალექები მოდის თოვლის სახით—400—600 მმ რაოდენობით. ნალექების აორთქლების დაბალი პროცენტი ხელს უწყობს ნიადაგების დაჭაობებას. სამხრეთ შვეციაში კი ზღვაური ტიპის ზომიერი, რბილი კლიმატია. ზამთარი მოკლეა და თბილი, იანვრის საშუალო ტემპერატურა 0°, ზაფხული გრილია, ივლისის ტემპერატურა +17°, ნალექები—უხვი—700—900 მმ წელიწადში. სამხრეთ-აღმოსავლეთით კლიმატი უფრო კონტინენტურია, იანვრის საშუალო ტემპერატურა —4°, ხოლო ივლისის +18°, ნალექების რაოდენობა 500—700 მმ. სამხრეთ და ცენტრალური შვეციის კლიმატი კარგ პირობებს ქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, განსაკუთრებით კი მარცვლეულისა და მრავალწლიანი ბალახებისათვის.

შვეციისათვის დამახასიათებელია ამინდის დიდი ცვალებადობა. თუ ატლანტიკიდან შემოჭრილი ჰაერის მასები სჭარბობს, მაშინ ზამთარი რბილი, ხოლო ზაფხული ნალექებიანი და გრილია, თუ არქტიკიდან—მაშინ ზამთარი მკაცრი, ხოლო ზაფხული ცხელი და გვალვიანია.

ქვეყნის გეოლოგიური აგებულება და კლიმატი ხელს უწყობს მდინარეთა ქსელის განვითარებას, ბევრია ტბები. მდინარეები სწრაფია

და გააჩნიათ ჰიდროენერგიის—დიდი მარაგი, ამ მაჩვენებლით ქვეყანას მეორე ადგილი უჭირავს ევროპაში, ნორვეგიის შემდეგ. ტბებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 8%.

ნიადაგობრივი საფარი ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, განსაკუთრებით სამხრეთ შვეციაში, სადაც სჭარბობს ტყის რუხი ნიადაგები. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ტყეებით, რომლებსაც უჭირავს ქვეყნის ფართობის ნახევარზე მეტი, ანუ 23 მლ. ჰა. ამ მაჩვენებლით შვეცია პირველ ადგილზეა დასავლეთ ევროპაში. ტყის მასის 2/3 მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთით და ძირითადად წიწვოვნებისაგან შედგება. უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარეობს ტუნდრა, რომლის ფართობი ქვეყნის ტერიტორიის 1/8-ია. შვეციაში ბევრია ნაციონალური ნაკრძალები. მათი რაოდენობა 16-ია.

შვეცია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. იგი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მისი მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 0,3%-ია, ხოლო სამრეწველო პროდუქციაში მის წილად მოდის მსოფლიო წარმოების 1% და ექსპორტის—2%, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე განპირობებულია უპირველესად ბუნებრივი რესურსებით და რაც მთავარია მაღალი საწარმოო კულტურით. ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ მას აქვს გამოკვეთილად საექსპორტო მიმართულება. საზღვარგარეთ გადის ქვეყანაში შექმნილი ნაციონალური პროდუქციის 1/4 და სამრეწველო პროდუქციის 2/5. ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კაპიტალის ცენტრალიზაცია და წარმოების მაღალი კონცენტრაცია, ამ მაჩვენებლით შვეციამ უკან ჩამოიტოვა გერმანიისა და ამერიკის ცნობილი ფირმები. ქვეყანას გააქვს არა მარტო სამრეწველო ნაწარმი, არამედ კაპიტალიც და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოს ქვეყნების ათეულში შედის.

ქვეყნის სამრეწველო განვითარებამ დასაბამი მისცა სატყეო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას. შვედური ტექნიკა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მოხერხებული და საიმედოა ფერმერული მეურნეობისათვის.

სოფლის მეურნეობის ფუნქცია და როლი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში მოკრძალებულია. იგი იყენებს ტერიტორიის მხოლოდ 8% და მასში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 5%. სოფლის მეურნეობაში იქმნება ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 6,5%. მიუხედავად მოკრძალებული როლისა, შვეციის სოფლის მეურნეობა გამოირჩევა მაღალი პროდუქტიულობით. ასორტიმენტის მიხედვით 90%-ით

უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათზე და გადამამუშავებელი მრეწველობისას—ნედლეულზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება მთლიანად ფარავს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას ხორცსა და მის პროდუქტებზე, რძეზე, პურზე, კარტოფილზე, შაქარზე, მცენარეულ ზეთზე. შრომის ნაყოფიერებით იგი ჩამორჩება მხოლოდ დიდ ბრიტანეთს, დანიასა და ნიდერლანდს. ქვეყნის ენერგოშეიარაღება 87 ცხენის ძალას უდრის, ხელით შრომის ხვედრითი წილი 6—7%. ქვეყანაში შემოაქვთ მხოლოდ ხილი (ნატურალური და გადამუშავებული სახით), ნაწილობრივ-ბოსტნეული. გაქვთ ხორცის პროდუქტები (ძეხვეულის სახით), რძის კონცენტრატები, მცენარეული ზეთი. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შემოტანა-გატანის ბალანსი შვეიცის სასარგებლოდაა. აღსანიშნავია ისიც, რომ შვეიცის სოფლის მეურნეობა შედარებით მკაცრ ბუნებრივ პირობებშია, რაც იწვევს წარმოების დანახარჯების ზრდას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს მის კონკურენტუნარიანობაზე. მაგალითად, 1 ტონა რძის წარმოება შვეიცარიაში 15—20%-ით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დანიასა და ჰოლანდიაში.

შვეიცია მონაწილეობს ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ გაერთიანებაში—„საერთო ბაზარში", რომლის ჩარჩოებშიც რეგულირდება მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მიმართულება. „საერთო ბაზრის" შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი შვეიცაც ვახლდათ. მასში გაერთიანებამ ოპტიმალური პირობები შეუქმნა ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

აგრარულ ურთიერთობებიდან ქვეყნისათვის დამახასიათებელია გლეხური მეურნეობები. ფერმერთა 4/5 საკუთრებაში ფლობს მიწას, მხოლოდ 1/5 აქვს იჯარით აღებული იგი მსხვილი მიწათმფლობელებისაგან. ქვეყანაში გატარებული სასოფლო-სამეურნეო რეფორმის ძირითადი მიზანი იყო წვრილი გლეხური მეურნეობების გამსხვილება, მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების შექმნის წახალისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სახელმწიფომ აიღო თავის თავზე შესასყიდი ფასების რეგულირება (განსაკუთრებით საექსპორტო პროდუქციაზე), რითაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმოების სტაბილურობას. შემუშავებულია სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც ეს დარგი შემოსავლიანი და მომგებიანი გახადა, ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ქვეყანაში გაიზარდა მაღალპროდუქტიული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რაოდენობა. დღეისათვის ოპტიმალურად ითვლება ფერმა 20—30 ჰა დამუშავებული მიწის ფართობით. გატარე-

ბული რეფორმის შედეგად, რასაც მოჰყვა წარმოებათა გამსხვილება, ფერმების რაოდენობა 2-ჯერ შემცირდა. ამჟამად, 50 ათასამდე ფერმერული მეურნეობაა, რომელთა სიდიდე 20 და ძეტი ჰექტარია, უპირავთ ქვეყნის დამუშავებული მიწის ფართობის 2/3 და იძლევიან სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 2/3. 10 და მეტი ha მიწის ფართობის მფლობელთა რაოდენობა 15%-ია, მათი უმეტესობა გაერთიანებულია სხვადასხვა სახის კოოპერატივებში, რომლებსაც მიზნობრივი ხასიათი აქვთ. წვრილი გლეხური მეურნეობები დამახასიათებელია ქვეყნის ჩრდილოეთი ზონისათვის და როგორც წესი, ყველა მათგანს გააჩნია ტყის ნაკვეთი (30—40 ha-ს ოდენობით), მათი შემოსავლების სტრუქტურაში, შემოსავლები ტყის ექსპლოატაციიდან მნიშვნელოვნად სჭარბობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისაგან მიღებულ შემოსავალს. რაც შეეხება მსხვილ ფერმებს, უპირატესად ისინი სამხრეთ და ცენტრალურ შვეიცარიაში და როგორც წესი, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახით.

მიწების გარკვეული რაოდენობა მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია (14,5%), რომლებიც მიწას გასცემენ ხანგრძლივი იჯარით, ან იყენებენ დაქირავებულ მუშახელს. წვრილი და საშუალო სიდიდის ფერმერული ოჯახებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი ეშვიათად იყენებენ დაქირავებულ შრომას (რომელსაც სეზონური ხასიათი აქვს). სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების დიდი რაოდენობა სახელმწიფოს ხელშია და მსურველს შეუძლია აიღოს დასამუშავებელი მიწის ნებისმიერი რაოდენობა, როგორც იჯარით, ისე მუდმივ სარგებლობაში. ამისათვის ფერმერს ეძლევა ბანკის კრედიტი ხანგრძლივი ვადით. მთავრობა ხელს უწყობს ასეთ ღონისძიებებს.

შვეიცის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მეცხოველეობას უჭირავს, რომლის შემოსავალი 3-ჯერ აღემატება მიწათმოქმედებიდან მიღებულ შემოსავალს. მემცენარეობას დამხმარე ხასიათი აქვს და აქ ძირითადად აწარმოებენ საკვებს მეცხოველეობისათვის. საკვებ კულტურებს უკავია ქვეყნის სახნავის 4/5. როგორც აღნიშნული იყო, შვეიცის სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უკავშირდება სატყეო მეურნეობას და შემოსავლებით ავსებენ ერთმანეთს.

მეცხოველეობა მეხორცულ-მერძეული მიმართულებისაა. ხორცის წარმოების მნიშვნელობა და როლი სასაქონლო პროდუქციაში ყოველწლიურად იზრდება. მაგალითად, 60-იანი წლებისათვის მეცხოველეობის პროდუქციაში მერძეული მიმართულება 1,5-ჯერ ჭარბობდა მეხორცულს. დღეისათვის, ეს მაჩვენებელი საპირისპიროდ შეიცვა-

ლა... ამის მიზეზია ის, რომ საკუთრივ ქვეყანაში და საზღვარგარეთაც. ძეძცირდა მოთხოვნილება კარაქზე (ვინაიდან გაიზარდა მარგარინის მოსმარება). ამას გარდა, "ბევდური კარაქი და ყველი შედარებით ძვირი ჯდება, ვიდრე ჰოლანდიური და დანიური. რძის წარმოების შემცირებას ძედეგად მოჰყვა მერძეული ჯოგის სულადობის 2,6 მლნ.-დან 1,9 მლნ-ადე შემცირება, აგრეთვე წველადობის 5 ათასიდან 3,5 ათასი ლიტრამდე შემცირება, მოწველილ რძეში ცხიმიანობის გაზრდის ხარჯზე. დღეისათვის, შვეიცარიაში 3,5 მლნ. მსხვილფეხა რქოსანი აირუტყვია, აკედან 1,6 მლნ. სული სუქებაზეა დაყენებული და იკვლება ადრეულ ასაკში. საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილებაა ხბოს ხორცზე, რომლის წარმოებაც შვეიცარიაში შედარებით იაფია.

განვითარებულია საბეკონე მეღორეობა, ღორის ხორცი შვედების კვების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს. ხორცის საერთო წარმოებაში მეღორეობის წილად მოდის თითქმის ნახევარი. ღორების რაოდენობა 1,5 მლნ. აღემატება და იგი წარმოდგენილია, როგორც სპეციალიზებული მეურნეობების სახით (150 და მეტი ღორი), ისე ყველა ფერმერულ მეურნეობაში. მეღორეობის განვითარება განაპირობა იაფმა საკვებმა ბაზამ, განსაკუთრებით მეჭარხლეობის რაიონებში.

ბოლო წლებში გავრცელდა შერეული ფერმები, რომლებშიც ჰყავთ მეწველი საქონელი, სუქებაზე დაყენებული ხბოები, ღორები, ოქმები და ცათმები. სპეციალისტთა გაანგარიშებით წარმოების ეს ღონმა ეკონომიკურად ხელსაყრელია, ვინაიდან ხდება შრომითი დანახარჯების, მატერიალური რესურსებისა და ტექნიკის რაციონალურად გამოყენება.

მეცხოველეობაში ფართოდ იყენებენ მეცნიერულ მიღწევებს. ამ მიზნით არსებობს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც იძლევიან საჭირო კონსულტაციებს. მაგალითად, მათ შეუძლიათ განსაზღვრონ ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, ფერმების ყველაზე ოპტიმალური მიმართულება.

მეგცენარეობაში სჭარბობს საკვები მარცვლეულისა და მრავალწლიანი ბალახების მოყვანა. სანნავის 2/5 უჭირავს საკვებ მარცვლეულს, ძირითადად—ქერსა და ჭვავს. სახნავის 1/10 მოდის სასურსათო მარცვლეულზე (ხორბალი, ქერი). ხორბლის მოსავლიანობა 40 ცენტ. აღემატება ჰა-ზე, საფურაჟე მარცვლეულისა კი—35 ცენტნერს. მარცვლეულის საერთო მოსავალი 6—6,5 მლნ. ტონაა, რომლის 3/4 საფურაჟეა, ხოლო 1/4—სასურსათო, რაც სავსებით საკმარისია ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ბალახეულს უკავია დამუშავებული მიწების 1/3. ზოგიერთ მეურნეობაში ამით უზრუნველყოფენ მერძეული პირუტყვის საკვები მოთხოვნილების ნახევარს.

მოჰყავთ კარტოფილი, რომელიც კარგი მოსავლიანობით ხასიათდება. ეს კულტურა ძირითადად გაადგილებულია ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში. შაქრის ჭარხლითა და ზეთოვანი კულტურებით, როგორც უკვე იყო აღნიშნული, შვეცია იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს შაქარზე, ხოლო მცენარეული ზეთი გააქვს ქვეყნის გარეთაც.

სახნავი მიწები მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში. მარცვლეულისა და სხვა კულტურების (კარტოფილი, ჭარხალი და სხვა) მოვლა-მოყვანის სამუშაოები მთლიანად მექანიზებულია.

ქვეყნის სამხრეთით დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში მისდევენ დახურული გრუნტის მებოსტნეობას. მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პომიდორი, კიტრი, სალათი და სხვ. ბოსტნეული. ამავე ზონაშია გავრცელებული მეყვავილეობაც.

შვეციაში მრავალწლიანი კულტურული ნარგავები არ არსებობს აქ ვერ შეხვდებით ვაზს, ხეხილს და სხვა მრავალწლიან მცენარეებს. ამიტომ ქვეყანაში დიდი რაოდენობით შემოაქვთ ხილი ევროპის „საერთო ბაზრის" ქვეყნებიდან.

კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც არსებობს როგორც წვრილი, ისე მსხვილი საწარმოების სახით. სოფლისა და სატყეო მეურნეობა უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებსაც ამზადებს ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები, საკმაოდ კარგ შედეგს მიაღწიეს ცხოველთა გენეტიკაში, რაც დაუყოვნებლივ ინერგება წარმოებაში.

ნორვეგია

ნორვეგია ევროპის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანაა, რომელსაც უჭირავს სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი. მისი სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით 1752 კმ-ია, პოლიტიკური წყობა—კონსტიტუციური მონარქია, სახელმწიფოს მეთაურია მეფე, რომელსაც ეკუთვნის აღმასრულებელი ხელისუფლება. დედაქალაქია—ოსლო, იგი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ ნაწილში.

ნორვეგიის ტერიტორია 324 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—4,3 მლნ. სოციალურად იგი აღემატება იტალიას, დიდ ბრიტანეთს, დასავლეთ გერმანიას. ქვეყნის ისტორია რთულია. იგი ხან დანიის, ხან შვეცი-

ის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მხოლოდ 1905 წელს ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და აქედან იწყება ძალიან გაავითარების ძნიშვნელოვანი ეტაპი, რასაც დიდად შეუწყო ხელი პოლიტიკურმა ნეიტრალიტეტმა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომში ქვეყნის ნეიტრალიტეტი უხეშად იქნა დარღვეული ფაშისტური გერმანიის მიერ.

ნორვეგია მთაგორიანი ქვეყანაა. იგი საზღვაო სახელმწიფოა, რომლის კლიმატზეც გავლენას ახდენს ორი ოკეანე—ატლანტიკისა და ჩრდილოეთ ყინულოვანი. აღმოსავლეთით მისი საზღვარი (შვეციასთან) გადის სკანდინავიის მთიან სისტემაზე. ნორვეგიაში ცოტაა ვაკე და დაბლობი ადგილები, სანაპირო ზოლი დასერილია ფიორდებით. ნორვეგიას ეკუთვნის ბევრი კუნძული, რომელთა რაოდენობა 150 აღემატება. ქვეყანა მდიდარია წიაღისეულით, ამ მაჩვენებლით იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის.

გეოგრაფიულად ნორვეგია მდებარეობს იმ განედზე, რომელზეც ალასკა და დასავლეთ ციმბირი, მაგრამ ამ რეგიონებისაგან განსხვავებით მისი კლიმატი არ არის მკაცრი, რაზედაც გავლენას ახდენს ატლანტიკის ოკეანის თბილი დინებები. მაგალითად, იანვრის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილოეთით —2° —4°-ია, სამხრეთით (ოსლოში) +2° +3°, ზაფხული წვიმიანი, გრილი და ქარიანია. ივლისის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთით +10°, სამხრეთით +15°. ზამთარი შედარებით მკაცრია მხოლოდ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, სადაც შეიძლება ტემპერატურა —40°-მდეც კი დაეცეს. სკანდინავიის მთები ასრულებენ ბარიერის როლს. ისინი ხელს უშლიან აღმოსავლეთის თბილი ჰაერის გადაადგილებას, რაც ნალექების დიდ რაოდენობას იწვევს. მაგალითად დასავლეთ სანაპიროზე ეს მაჩვენებელი 3000 მმ-ია წელიწადში, ხოლო უკიდურეს სამხრეთით—5000 მმ. აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც ჰაერის მასები შედარებით მშრალია, ნალექების რაოდენობა მცირდება 600—800 მმ-მდე, როგორც ვხედავთ ნალექების განაწილება ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბარია, რაც გავლენას ახდენს სამეურნეო საქმიანობაზე. გვხვდება მყინვარებიც, რომლებიც ძირითადად კვებავენ მრავალრიცხოვან მდინარეებს და ბერავენ ჰიდროენერგიის დიდ მარაგს, რასაც ეფექტიანად იყენებენ. ქვეყანაში ტბებს (200-მდე) უჭირავს ტერიტორიის 2,7%.

ნორვეგიის მცენარეული საფარი არ არის მრავალფეროვანი, იგი წარმოდგენილია წიწვოვანი ტყეებითა და (ქვეყნის ჩრდილოეთით) ტუნდრით. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 23%, რომელიც მნიშვნე-

ლოვან ბუნებრივ რესურსს წარმოადგენს, თუმცა ამ მაჩვენებლით ნორვეგია ფინეთსაც და შვეციასაც ჩამორჩება.

ნიადაგობრივი საფარი ერთფეროვანია, იგი ძირითადად მთის რუხი და ტუნდრის ნიადაგებით არის წარმოდგენილი. ეიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი ნიადაგები მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით—ზღვის სანაპირო ზოლში. უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა ბუნების დაცვის ღონისძიებებს, შექმნილია 50-მდე ნაკრძალი, რომელიც იცავს როგორც მცენარეულ, ისე უნიკალურ ცხოველურ სამყაროს.

ნორვეგია ევროპის მაღალგანვითარებული ქვეყანაა. მოსახლეობის რაოდენობა კაპიტალისტური სამყაროს მოსახლეობის 0,2%-ია (პროდუქციის მიხედვით კი უშვებს ორჯერ მეტს—0,4%), მისი ხვედრითი წილი მსოფლიოს კაპიტალისტურ ექსპორტში 1% აღემატება, რაც დიდი მიღწევაა. აღნიშნულ მაჩვენებელს ქვეყანამ მიაღწია წარმოების სწორი სპეციალიზაციით და ეკონომიკის საექსპორტო ორიენტაციით. ქვეყნის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა უცხოურმა კაპიტალმა, რომელთა მოზღვავება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. XX ს-ის დასაწყისში სამრეწველო განვითარების დონით ნორვეგია საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნებს, რაც გამოწვეული იყო საკუთარი კაპიტალის დეფიციტით, შიგა ბაზრის სიღარიბით, დასამუშავებელი მიწის ფონდის ნაკლებობით. საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაკავებული იყო მეთევზეობით, ტყის რეწვით და სოფლის მეურნეობით. მათ წილად მოდიოდა ნაციონალური შემოსავლის 3/4. ნორვეგიის სამრეწველო განვითარება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში, განსაკუთრებით კი ომის შემდგომ პერიოდში. შეიქმნა სრულიად ახალი დარგები, ელექტრომეტალურგიისა და ელექტროქიმიის სახით, რამაც მსოფლიო ბაზარზე გაიყვანა ქვეყანა (მოთხოვნილება ალუმინზე და ნიკელზე მსოფლიო ბაზარზე დიდია). აღნიშნული დარგების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი უცხოურმა კაპიტალმა (რომელთა დაბანდება ხდებოდა შეღავათიან პირობებში) და ელექტროენერგიისა და საჭირო ნედლეულის არსებობამ ქვეყანაში.

თანამედროვე ნორვეგია არა მარტო პროდუქციის, არამედ კაპიტალის ექსპორტითაც გაცილებით წინაა დასავლეთის სხვა ქვეყნებზე.

ნორვეგია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, მრეწველობაში დასაქმებულია 300—400 ათასი კაცი, რომელთა უმრავლესობა მუშაობს გადამამუშავებელ მრეწველობაში (მეტალურგიულ ქარხნებში). უკანასკნელ წლებში განვითარდა აგრეთვე თევზის

გადამამუშავებელი და ცელულოზა—ქაღალდის მრეწველობა, რომელთა პროდუქციის უდიდესი ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ. ნორვეგიის მრეწველობის 9/10 გაადგილებულია საპორტო ქალაქებში, რაც აადვილებს პროდუქციის ექსპორტს.

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის დამხმარე დარგად ითვლება, რომელშიც დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 5%, ნაციონალურ შემოსავალში მისი ხვედრითი წილი 2,8—3% არ აღემატება. მიწათმოქმედებისათვის ვარგისია ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 3%. მიუხედავად ტერიტორიის სიდიდისა, ნორვეგია ითვლება მცირემიწიან ქვეყნად. მიწები დაბალნაყოფიერია, წარმოდგენილია მრავალნაკვეთად, მცირე მეურნეობების სახით. ქვეყანაში დაახლოებით 98 ათასი გლეხური მეურნეობაა, რომელთაც 3/4 ფლობს მხოლოდ 10 ჰა-მდე ფართობს, რომელიც რამდენიმე ნაკვეთადაა წარმოდგენილი. გლეხური მეურნეობებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ფერმერები ერთდროულად დაკავებულნი არიან ან მეთევზეობით (სანაპირო ზოლში) ან ტყის რეწვით (ქვეყნის შიდა რაიონებში), ვინაიდან მარტო სოფლის მეურნეობით მათ ძალზედ გაუჭირდებოდათ არსებობა. ინტენსიურად მიმდინარეობს წვრილი მეურნეობების შეერთების პროცესი, იქმნება მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები, რომლებსაც შეუძლიათ დამოუკიდებლად არსებობა. დღეისათვის მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 20 და მეტ ჰექტარ მიწას, შეადგენს 1/3 და ისინი აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნახევარზე მეტს. სოფლის მეურნეობაში არ იყენებენ დაქირავებულ შრომას, გავრცელებულია ოჯახური ფერმები. შრომის სწორი ორგანიზაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ოჯახურმა ფერმამ შესძლოს 80—100 სული პირუტყვის მოვლა.

ნორვეგიის სოფლის მეურნეობაც (სკანდინავიის სხვა ქვეყნების მსგავსად) ორიენტირებულია მერძეულ-მეხორცულ მეცხოველეობაზე. ამ დარგს ემსახურება მემცენარობაც. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1,3 მლნ. სულია, მათ შორის ნახევარზე მეტი მეწველი ფურია. წლის განმავლობაში ამზადებენ 1,8—2 მლნ. ტონა რძეს, რომლის 95% იგზავნება გადამუშავებაზე. მეცხოველეობის პროდუქციით ნორვეგია არა მარტო უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ კარაქისა და ყველის სახით გააქვს იგი საზღვარგარეთაც. ფერმერთა 4/5 დაკავებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა-პატრონობით, მაღალია პირუტყვის პროდუქტიულობა (წველადობა 4000—4500 ლიტრია წელიწადში), რასაც ხელს უწყობს ნოყიერი, ყუათიანი საკვები, რომლის დამზადებას სამრეწვე-

ლო ხასიათი აქვს. ფერმების უმრავლესობა მექანიზებულია, საკვების რაციონის შედგენა წარმოებს კომპიუტერებით. კარგი შედეგი აქვს მეხორცულ მეცხოველეობასაც. ოპტიმალური საკვები რაციონის მეშვეობით, სადღეღამისო მატება 700—800 გრამს აღემატება. წარმოებული ხორცის ნაწილი იგზავნება გადამუშავებაზე, რომელიც (ძეხვეულისა და კონსერვების სახით) საზღვარგარეთაც გააქვთ.

ნორვეგიისათვის ტრადიციული დარგია მეცხვარეობა, რომელიც განვითარებულია სკანდინავიის მთების კალთებზე, სადაც უხვი და ყუათიანი საძოვრებია. ცხვრის სულადობა 1,8—2 მლნ. მას მომთაბარე ხასიათი აქვს. ზამთრობით იყენებენ ზღვისპირა საძოვრებს, თუმცა ამ პერიოდში ცხვარი საჭიროებს ხელოვნურ გამოკვებასაც.

მეცხოველეობიდან წარმოდგენილია მეღორეობაც, რომელსაც საბეკონე მიმართულება აქვს. არსებობს სპეციალიზებული მეღორეობის ფერმები (50 სული და მეტი), რომლებიც აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციას, დანარჩენ მეურნეობებში მეღორეობას აქვს ადგილობრივი მნიშვნელობა, როგორც წესი ყველა მეურნეობაში ჰყავთ 2—3 სული ღორი. ღორების საერთო სულადობა 800—850 ათასია. მეღორეობაში საკვებად იყენებენ მეთევზეობის ნარჩენებს, კერძოდ, თევზის ფქვილს.

წარმოდგენილია მეფრინველეობაც, რომელსაც აქვს როგორც სასაქონლო, ისე ადგილობრივი მნიშვნელობა. მეფრინველეობის ფერმები განლაგებულია ქვეყნის ყველა რაიონში, მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონაში. წარმობას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. საკვებად იყენებენ თევზის ფქვილს. მეფრინველეობის პროდუქტებით ქვეყანა მთლიანადაა უზრუნველყოფილი. სამხრეთით წარმოდგენილია მეფუტკრეობა, ამზადებენ თაფლს, ცვილს, რომლის ნაწილიც გააქვთ საექსპორტოდ.

მეცხოველეობიდან აღსანიშნავია აგრეთვე ახალი მიმართულება, რომელიც გულისხმობს მხეცების ხელოვნურად მოშენებას. მაგალითად, ნუტრიის ფერმებში ამზადებენ ამ ცხოველის ტყავს. ქვეყნის ჩრდილოეთით მისდევენ მეირმეობას, რომლის ხორცზე და შესქელებულ რძეზე დიდი მოთხოვნილებაა, როგორც საკუთრივ ნორვეგიაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

მემცენარეობას დამხმარე ხასიათი აქვს და იგი ემსახურება მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნას. სათესი ფართობის 3/4 უჭირავს საკვებ კულტურებს, ძირითადად ქერს, ჭვავსა და საკვებ ბა-

ლახებს. მარცვლეულის საერთო მოსავალი 1—1,2 მლნ. ტონას აღწევს, რაც 80%-ით უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას.

ქვეყანაში მოჰყავთ ხორბალი, ოომლის საერთო წარმოება 200—250 ათასი ტონაა. ნორვეგიას საკუთარი წარმოების მარცვლეული არ ყოფნის და იგი შემოაქვს „საერთო ბაზრის“ ქვეყნებიდან 800—900 ათასი ტონის ოდენობით. მოჰყავთ კარტოფილიც, რომლის წარმოება მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს, იგი მოჰყავთ თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში.

საგარეუბნო ზონაში განვითარებულია დახურული გრუნტის ბოსტნეულის მოყვანა. სოფლის მეურნეობის ეს დარგი კარგადაა განვითარებული, იგი მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას ნატურალურ ბოსტნეულზე. ბევრია სათბურები, რომლებიც თერმულ წყლებზე მუშაობენ, მათი მარაგი კი ქვეყანაში საკმაოდ დიდია.

მოსახლეობის კვების ბალანსში დიდი ადგილი უჭირავს თევზის პროდუქტს. მეთევზეობა ნორვეგიელთა უძველესი საქმიანობაა. დიდი ხნის განმავლობაში იგი წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს. დღეისათვის თევზის ჭერით ნორვეგია პირველ ადგილზეა ძსოფლიოში. მის წილად მოდის ევროპის თევზჭერის 3/5, თევზის რეწვა სამრეწველო საფუძველზეა განვითარებული (1985 წ. ქვეყანაში დაიჭირეს 3,5 მლნ. ტონა თევზი, რომლის 3/4 დამუშავებული სახით საექსპორტო იყო). თევზის მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია.

განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობაც. საპორტო ქალაქებში წარმოდგენილია თევზის მრეწველობა, არსებობს მსხვილი კომბინატები, რომლებიც უშვებენ ფართო ასორტიმენტის პროდუქტს. განვითარებულია მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც ძირითადად წვრილი საწარმოების სახით არსებობს, თანამედროვე ტიპის მანქანა-დანადგარებით აწარმოებენ მაღალი ხარისხის პროდუქციას.

ქვეყნის სოფლის მეურნეობა ვითარდება „საერთო ბაზრის“ ჩარჩოებში, რომელსაც გამოკვეთილი პროფილი აქვს. საექსპორტოდ გააქვთ მეცხოველეობის და მეთევზეობის პროდუქტები. დიდი რაოდენობით შემოაქვთ მარცვლეული, ნატურალური და გადამუშავებული ხილის წვენი, ციტრუსები და სხვ. შენოტანა-გატანის ბალანსი თითქმის ათანაბრებს ერთმანეთს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ნორვეგია ეკუთვნის იმ ქვეყნების რიცხვს, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე.

ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებენ მაღალი კვალიფიკაციის კადრებს.

დანია

დანია ევროპის უძველესი სახელმწიფოა, რომელსაც ჩრდილოეთ ევროპაში მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდგომარეობა უჭირავს. იგი იუტლანდიის ნახევარკუნძულზე და მიმდებარე კუნძულებზე მდებარეობს, რომელთა შორის უდიდესია ზელანდია. სახელმწიფოს დედაქალაქია—კოპენჰაგენი. დანიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კუნძული გრელანდია, რომელიც სარგებლობს სახელმწიფოებრივი ავტონომიით. საკუთრივ დანიის ტერიტორია 43 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—5,1 მლნ. მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე (118 კაცი). დანია საზღვაო ქვეყანაა, მისი სახმელეთო საზღვარი გადის სამხრეთით (გერმანიასთან) და წარმოდგენილია სულ 68 კმ-ზე. დანიის შემადგენლობაში შედის 500 წვრილი კუნძული, რომელთა შორის 400 დაუსახლებელია. ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქია, მეფე, ანხორციელებს (პარლამენტთან ერთად) საკანონმდებლო ხელისუფლებას.

დანიელები უშიშარი ვიკინგების შთამომავლები არიან, რომლებმაც დაამარცხეს გერმანიის იმპერატორი 811 წელს, ხოლო 994 წელს ალყა შემოარტყეს ლონდონს და დალაშქრეს ინგლისი. მათი სახელმწიფოებრიობა სათავეს იღებს VII საუკუნეში, ხოლო XI საუკუნეში მის შემადგენლობაში შედიოდა ინგლისის აღმოსავლეთი ნაწილი და ნორვეგია. XII—XIII საუკუნეში დანიელებმა დაიპყრეს ბალტიისპირეთიც (კერძოდ ესტონეთი). დანიის სახელმწიფოს რთული ისტორია აქვს. წარსულში იგი თვითონ ეწეოდა დამპყრობლურ ომებს ან თავს იცავდა გარეშე მტრისაგან. თანამედროვე საზღვრებში დანია ჩამოყალიბდა 1920 წლიდან (ვერსალის ხელშეკრულების შემდეგ).

დანია ატლანტიკის ოკეანის აუზის ქვეყნებს განეკუთვნება. ოკეანე უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის კლიმატზე. დანიაში მთები თითქმის არ არის. მისი ლანდშაფტი წყნარია და ძალზედ წააგავს შუაევროპულს. ბევრია ნაოსნობისათვის მოხერხებული ყურე. ქვეყნის კლიმატს განაპირობებს მისი გეოგრაფიული მდებარეობა. წლის განმავლობაში ჭარბადაა ატლანტიკიდან მონაბერი სუბტროპიკული ჰაერის მასები, რომლებსაც თან მოჰყვება დიდი რაოდენობით სითბო და ტენი. ყოველივე ეს განაპირობებს თბილ ზომიერ ზამთარს და ასევე ზომიერ ტენიან ზაფხულს. ყველაზე ცივი თვის, თებერვლის ტემპერატურა 0°, ხოლო ივლისისა +16 +17°. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 800 მმ. თუმცა იუტლანდიის დასავლეთით იგი შე-

ფარებით იკლებს. ნალექები მოდის შემოდგომა-ზამთრის თვეებში, თოვლი იშვიათია და იგი სწრაფად დნება.

დანიის ბუნებრივ-კლიმატური პირობები ხელსაყრელია სამეურნეო საქმიანობისათვის. მცენარის სავეგეტაციო პერიოდი 200—225 დღეს შეადგენს, რაც საკმარისია მცენარეული საფარის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა პატარაა და წარმოდგენილია ნახევარკუნძულისა და კუნძულების სახით, იგი დაფარულია მდინარეების ხშირი ქსელით, რომლებიც წყალუხვობით გამოირჩევიან. მდინარეები იკვებებიან, როგორც წვიმის, ისე გრუნტის წყლებით. დანიაში ბევრია ტბა, რომელიც ძალზედ მცირე მოცულობისაა და ხშირად შრება.

დანიის ნიადაგი ინტენსიური დამუშავების შედეგად კულტურული სახითაა წარმოდგენილი. ბუნებრივი ნიადაგობრივი საფარი თითქმის აღარ არსებობს. ნიადაგების ფორმირებაში დიდი როლი შეასრულეს მინერალურმა სასუქებმა და მცენარეთა მოვლა-მოყვანის უახლესმა აგროტექნიკამ. ერთ დროს ქვეყანა დაფარული იყო უღრანი ტყეებით, დღეისათვის ტყის საფარი შენარჩუნებულია მხოლოდ მცირე რაოდენობით. ძირითადად, წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი ტყეები, გვხვდება აგრეთვე მუხა, ცაცხვი და სხვა ხე-მცენარეები. მეცხოველეობის განვითარებამ, რომელიც ვრცელ საძოვრებს მოითხოვდა, ტყეების გაჩეხვა გამოიწვია. XIX საუკუნის დასაწყისიდან დანიაში დაიწყეს ტყის აღდგენითი სამუშაოები, რომლის შედეგად ტყის რაოდენობა გაიზარდა. დღეისათვის, მას უჭირავს, ქვეყნის ტერიტორიის 12% და წარმოდგენილია 4,8 ათას კვ. კმ-ზე. ტყეების 1/3 სახელმწიფოს კუთვნილებაა, შექმნილია 45 ნაციონალური ნაკრძალი, მათ შორის 7 სამეცნიერო ხასიათისაა.

აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 2,6 მლნ. აღწევს მათ შორის სამრეწველო მუშაა 46%, მოსამსახურე—42%, ყოველწლიურად მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა. თუ 1880 წლისათვის ეკონომიკის ამ სექტორში დასაქმებული იყო აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 100 წლის შემდეგ (1980 წელს) ეს მაჩვენებელი 6,5%-მდე შემცირდა, თუმცა ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობა 4-ჯერ და მეტად გაიზარდა.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში პირველ მსოფლიო ომამდე დანია აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქციაში 51%-ით იყო წარმოდგენილი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარება, რომლის ხვედრითმა წილმა ნაციონალურ შემოსავალში 1980 წლისათვის 2/5 შეადგინა, უნდა ვივა-

რაუდრთ, რომ დღეისათვის ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია. საჭირო-ა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც კარგადაა განვითარებული და მაღალრენტაბელური დარგია. მრეწველობის განვითარებამ დასაბამი მისცა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას, დანია უშვებს უმაღლესი ხარისხის ტექნიკას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოში. თუ მეორე მსოფლიო ომამდე დანიის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტში მთავარი იყო მეცხოველეობის პროდუქცია (კერძოდ ბეკონი, კარაქი, კვერცხი), რომელიც შეადგენდა ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის ღირებულების 3/5, 1980 წლისათვის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ხვედრითი წილი ექსპორტში 27%-მდე შემცირდა. მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, დანიის სოფლის მეურნეობა დღესაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მარტო ევროპის „საერთო ბაზარში", არამედ მსოფლიოშიც. წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხით, იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ეს პატარა ქვეყანა, რომლის მოსახლეობა კაპიტალისტური მსოფლიოს მხოლოდ 0,2%, მსოფლიო კაპიტალისტურ ექსპორტში წარმოდგენილია 1%-ით.

დანია ოდითგანვე მაღალგანვითარებულ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნად ითვლებოდა, რასაც ხელი შეუწყო ორმა ფაქტორმა: ბუნებრივმა პირობებმა და დანიელების შრომისმოყვარეობამ. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ წარმოებაში შეუფერხებლად ინერგება მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები. ერთ სულზე გაანგარიშებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებით დანიას მტკიცედ უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში. ერთი ფერმერი ამზადებს იმდენ პროდუქციას, რომელიც გამოკვებავს 128 ადამიანს.

დანიაში ძირითადად წარმოდგენილია საშუალო და მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები, მიწების ძირითადი ნაწილი, აგრეთვე პირუტყვი და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია, რომლებიც გადამწყვეტ როლს ასრულებენ სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში. წარმოების კონცენტრაციის პროცესი სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დაიწყო, იგი დღესაც გრძელდება. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნა იწვევს წვრილი ფერმერული მეურნეობების ლიკვიდაციას, რომელთა მფლობელებიც შესაბამის კომპენსაციას იღებენ და აბანდებენ სახალხო მეურნეობის სხვა სფეროში, უპირატესად გადამამუშავებელ მრეწველობაში. ხშირად, წვრილი ფერმები კოოპერირების საწყისებზე ერთიანდებიან უფრო მსხვილ ფერმებთან, ინარჩუნებენ რა საკუთრ-

ებას მიწაზე და წარმოების საშუალებებზე. წვრილ-გლეხურ მეურნეობად ითვლება ისეთი ფერმები, რომლებიც ფლობენ 10 ჰა-ზდე სახნავს, თუმცა სპეციალისტების გაანგარიშებით მომგებიანად ითვლება ფერმა, რომელსაც გააჩნია 10 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 5 ჰა-ზდე სახნავი. მახვილ წარმოებად კი ითვლებიან ის ფერმები,რომლებიც ფლობენ 50 და მეტ ჰექტარ სახნავს. უკანასკნელ ათწლეულში ასეთი ფერმების რაოდენობა გაორმაგდა. ქვეყანაში გვხვდება ფერმები, რომლებიც ფლობენ 250—350 ჰა სახნავს, როგორც წესი, მათ გააჩნიათ აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოებიც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონით, დანიის სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ევროპაში. ქვეყნის ენერგოშეიარაღება 117 ცხენის ძალას უდრის. ფერმებში გამოყენებულია გამოთვლითი ტექნიკა, რაც თითქმის გამორიცხავს არასწორი გადაწყვეტილების მიღებას.

დანიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია თანამედროვე აგროტექნიკა, მისი შესრულების მაღალი დონე. ფართოდ იყენებენ ე. წ. „წვეთოვან მელიორაციას“, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგს, უნარჩუნებს მას ნაყოფიერებას, მკაცრი კონტროლია დაწესებული მინერალური სასუქების შხამქიმიკატების და სხვა პრეპარატების გამოყენებაზე, ამოწმებენ პროდუქციის ხარისხს, მის ქიმიურ შედგენილობას. დიდ მნიშვნელობას უთმობენ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებას, განსაკუთრებით სელექციას.

დანიის სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს კოოპერაცია, რომელიც მოიცავს მიწათმფლობელთა დიდ რაოდენობას. კოოპერაციის მეშვეობით წარმოებს მიღებული პრდუქციის რეალიზაცია, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ფერმები კოოპერაციის მეშვეობით იძენენ საჭირო ტექნიკას, სასუქებს და სხვა აუცილებელ მასალებს. საზღვარგარეთ რეალიზებული პროდუქციის 9/10 გადის კოოპერაციების მეშვეობით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის უდიდესი ნაწილის გადამუშავებასაც კოოპერაცია აწარმოებს, ფერმერთა ურთიერთობა კოოპერაციასთან აგებულია სახელშეკრულებო საფუძველზე, რომელსაც ინდივიდუალური ხასიათი აქვს. ფერმერს შეუძლია გააფორმოს ხელშეკრულება ნებისმიერი ვადით და ნებისმიერ საკითხზე.

დანიის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა, რომელსაც მეხორცულ-მერძეული მიმართულება აქვს. მეცხო-

ველობაზე მიდის სასაქონლო პროდუქციის 90%, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით დანიელი ფერმერები, ევროპის ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ავითარებენ მეფრინველეობასაც, რომელიც ხორცისა და კვერცხის წარმოების ინდუსტრიად ჩამოყალიბდა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლის რეჟიმი ემყარება ბაგური კვებისა და ძოვების შეთანაწყობის პრინციპებს. პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით პირუტყვს, რომელიც ძოვებაზე ჰყავთ, დამატებით აძლევენ კონცენტრირებულ საკვებსაც, რაც კარგ საწარმოო ეფექტს იძლევა.

დღეისათვის ქვეყანაში 3,1 მლნ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, მათ შორის 1,3 მლნ.-ზე მეტი მეწველია. ჯოგის შემადგენლობაში ჭარბობს მაღალპროდუქტიული ჯიშები, კერძოდ, დანიური წითელი, რომელიც შეადგენს ჯოგის ნახევარს და შავ—თეთრი. საშუალო წველადობა 4,5 ათასი ლიტრია წელიწადში, ხოლო რძის ცხიმიანობა—4%. დანია ყოველწლიურად აწარმოებს 5 მლნ. ტონა რძეს, აქედან ამზადებენ 140 ათას ტონა კარაქს და 130 ათას ტონა შესქელებულ რძეს. პროდუქციის 2/3 მიდის ექსპორტზე. აღსანიშნავია, რომ დანიური კარაქი და ყველი საუკეთესო ხარისხისაა და მასზე დიდი მოთხოვნილებაა ევროპაში.

ომის შემდგომ პერიოდში რძის წარძოების ზრდის ტემპი ჩამორჩებოდა ხორცის წარმოების ტემპს, მაგალითად, თუ ომამდე მეცხოველეობის საერთო პროდუქციის ღირებულებაში რძის ხვედრითი წილი 1/2 შეადგენდა, 1980 წლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი 1/3-მდე შემცირდა. მიზეზი საერთაშორისო ბაზრის კონიუქტურა გახლავთ, კერძოდ, გაძნელდა რძის პროდუქტების რეალიზაცია, სამაგიეროდ, გაიზარდა ხორცის, განსაკუთრებით, ხბოს ხორცის ექსპორტი და საერთო ჯამში მსოფლიო ბაზარზე გატანილი პროდუქციის რაოდენობაც.

ქვეყანაში ერთ-ერთ განვითარებულ დარგს წარმოადგენს მეღორეობა, რომელთა რაოდენობა 9,3 მლნ სულს შეადგენს. ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის მაღალპროდუქტიული პირუტყვი. მაგალითად, ერთი დედა ღორიდან წლის განმავლობაში მიიღება 1400 კგ. ღორის ხორცი, რომელიც ქონის მაღალი შემადგენლობით ხასიათდება. დანია ყოველწლიურად ამზადებს 800 ათას ტონა ღორის ხორცს, რომელთა ნაწილი გადის ექსპორტზე. მეღორეობისათვის ძირითადი საკვები ბაზაა მეცხოველეობის პროდუქციის ნარჩენები, კერძოდ, რძის შრატი, იყენებენ აგრეთვე საკვებ ძირხვენებს, კარტოფილს, ყოველივე ეს

ნათლად მეტყველებს დარგთა რაციონალური შეთანაწყობის ეფექტიანობაზე. მეღორეობის პროდუქცია დანიის სოფლის მეურნეობის ექსპორტის ნახევარს იძლევა. განსაკუთრებით მოწონებით სარგებლობს იგი ინგლისში.

დანიაში განვითარებულია მეფრინველეობა, ქვეყანაში დაახლოებით 20 მლნ. ფრთა ქათამია, რომელსაც საბროლიერო მიმართულება აქვს, მეფრინველეობის პროდუქცია ძირითადად გადის საექსპორტოდ. არსებობს როგორც დიდი, ისე პატარა ფერმები, საწარმოო პროცესები თითქმის ყველგან ავტომატიზებულია, ერთი ფერმერი უვლის 12—15 ათას ფრთა ფრინველს, აღსანიშნავია ისიც, რომ დანიაში ფრინველისა და ღორის ხორცის წარმოების ღირებულება ყველაზე დაბალია ევროპაში.

ერთ დროს ქვეყანაში კარგად იყო განვითარებული მეცხვარეობა. დღეისათვის მისი სულადობა 1 მლნ.-მდე შემცირდა. ცხვარი ძირითადად ჰყავთ მთაგორიან ადგილებში, სადაც ძნელია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება. ხოლო ზამთრობით აძოვებენ ზღვისპირა ზონაში, რომელიც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვისაა განკუთვნილი.

ქვეყანაში მისდევენ ნუტრიის ხელოვნურ მოშენებას. ამისათვის შექმნილია სპეციალური მეურნეობები, ნუტრიის გამოსაკვებად იყენებენ მეთევზეობის ნარჩენებს, რომელიც ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა. დანია აწარმოებს ნუტრიის ტყავის მსოფლიო წარმოების 40%-ს.

დანიაში თითქმის არაა დასამუშავებელი მიწები, ტერიტორიის 3/4 უჭირავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რაც 2,9 მლნ. ჰა-ს შეადგენს, აქედან 90% სახნავია, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქვეყნის ტერიტორიის 60% სახნავია. შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირება, რაც გამოწვეულია ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის მაღალი დონით. გიგანტური სამრეწველო ცენტრების შექმნისათვის დიდი რაოდენობის მიწებია საჭირო. ნიდერლანდის მსგავსად დანიაც ახორციელებს მიწის დაშრობით სამუშაოებს, მაგრამ მასშტაბები გაცილებით მცირეა, თანაც უფრო ძვირადღირებული.

მემცენარეობის პროდუქციაში სჭარბობს საფურაჟე კულტურები, რომელსაც ნათესი ფართობების უდიდესი ნაწილი უჭირავს. სახნავის ნახევარი მოდის მარცვლოვან კულტურებზე, თესავენ ქერს, რომელსაც იყენებენ ღორების საკვებად და ლუდის წარმოებაში. სხვა კულტურებიდან წარმოდგენილია ნათესი ბალახები, ჭვავი, ხორბალი, შაქრის ჭარხალი. ბუნებრივი სათიბ-საძოვრების სიდიდე კი ყოველ-

წლიურად მცირდება, 1980 წლისათვის მათი რაოდენობა 290 ათას კაცს შეადგენდა.

ქერი და ჭვავი მოჰყავთ იუტლანდიის ჩრდილოეთით—ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში. ხორბალს უჭირავს ყველაზე ნაყოფიერი მიწები ქვეყნის აღმოსავლეთით და მის კუნძულოვან ნაწილში, სპარბობს საშემოდგომო ჯიშები. შაქრის ჭარხალი მოჰყავთ ქვეყნის სამხრეთით, იქვეა გაადგილებული გადამამუშავებელი ქარხნებიც. კარტოფილი წარმოდგენილია მთელ ქვეყანაში, მაგრამ ყველაზე მეტად ცენტრალურ რაიონებში, სადაც იღებენ ამ კულტურის საერთო მოსავლის 4/5, ახალი კარტოფილი დანიას დიდი რაოდენობით გააქვს ევროპის ქვეყნებში.

აღსანიშნავია, რომ ფართობი, რომელიც ამა თუ იმ კულტურისათვისაა განკუთვნილი, ყოველწლიურად იცვლება და ნაკლებად ექვემდებარება აღრიცხვას. დანიაში კარგად აქვთ დამუშავებული თესლბრუნვის სისტემა და უნარიანად იყენებენ კიდეც ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად. თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, კარგად იყენებენ მინერალურ სასუქებს, ნიადაგების დამუშავება და მცენარეთა მოვლა-მოყვანის სამუშაოები უახლესი აგრო-ტექნიკით წარმოებს, ნათესებში თითქმის არაა სარეველები, რაც მცენარეთა დაცვის სამსახურის მიღწევაა.

თუ რა სიკეთე მოაქვს სასოფლო-სამეურნეო შრომის სახელმწიფოთა შორის დანაწილებას, ნათლად ჩანს დანიის მაგალითზეც. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობა მაღალპროდუქტიული და რენტაბელურია (დიდი რაოდენობით აწარმოებენ საკვებ კულტურებსაც), ქვეყანას იგი მაინც შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან, იმიტომ რომ შემოტანილი ფურაჟი უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე მისი ადგილზე წარმოება, მაგალითად, მეღორეობისათვის შემოაქვთ საფურაჟე მარცვლეულიც, მაგრამ როგორც კი მსოფლიო ბაზარზე აიწევს ფასები მარცვლეულზე, დანია იწყებს ამ კულტურისათვის ნასვენი მიწების გამოყენებას ე. ი. საბაზრო პირობები განსაზღვრავს არა მარტო სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, არამედ ფართობების სტრუქტურასა და მათ სიდიდეს.

ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, დანიაში კარგადაა წარმოდგენილი მებაღეობა, ძირითადად, მოჰყავთ კურკოვანი და კენკროვანი ხილი, მებოსტნეობა წარმოდგენილია პომიდორით, კიტრით, სტაფილოთი, სალათით. მებაღეობა და მებოსტნეობა განვითარებულია საგარეუბნო ზონაში, საიდანაც ხილი ნატურალური ან გადამუშავებული სახით ხვდება შიდა ბაზრებში.

დანია საბღვაო ქვეყანაა, ამიტომ აქ კარგადაა განვითარებული მეთევზეობაც, ყოველწლიურად იჭერენ 2 მილიონ ტონაზე მეტ თევზს, რომლის რეწვაც ჩრდილოეთ ზღვაში წარმოებს. ახალი თევზი მოიხმარება შიგა ბაზარზე, ხოლო კონსერვების სახით გადის ევროპის ქვეყნებში. თევზის რეწვა და გადამუშავება წარმოებს თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით. დანიაში შექმნილია გემთმშენებლობის საწარმოები, რომლებიც აშენებენ საუკეთესოდ აღჭურვილ თევზსაჭერ გემებს.

მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მაღალი დონისა, დანიას შემოაქვს ზოგიერთი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, გარდა ფურაჟისა, ქვეყანას შემოაქვს ხორბალი, სუბტროპიკული ხილი, ნატურალური წვენები და სხვ. დღევანდელი დანიის ბაზრები არ განიცდიან არცერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დეფიციტს.

ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი კვალიფიციური და სამეცნიერო კადრებით, რომლებსაც ამზადებენ ქვეყნის უნივერსიტეტებში, დიდი მიღწევებია მეცხოველეობის სელექციაში.

ისლანდია

ისლანდია მდებარეობს ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთით, პოლარული წრის მახლობლად კუნძულ ისლანდიაზე, რომელიც ევროპის მატერიკს დაცილებულია 1000 კმ, ხოლო ამერიკის კონტინენტს—1750 კმ-ით. ისლანდიის ტერიტორია კომპაქტურადაა დასახლებული და წარმოდგენილია 103 ათას კვ. კმ-ზე, მოსახლეობა—300 ათასამდე, დედაქალაქი—რეიკიავიკი. ისლანდია პარლამენტური ქვეყანაა, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი.

კუნძული აღმოჩენილი იქნა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ნორვეგიელების მიერ. 1918 წლამდე იგი ნორვეგიის და დანიის კოლონიად ითვლებოდა, ამ წელს კი ქვეყანა გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

ისლანდია ვულკანური წარმოშობისაა, დღესაც ბევრია მომქმედი ვულკანი, ზედაპირზე მრავლადაა ცხელი წყალი, გეიზერები, რომლებიც გამოიყენება სამეურნეო საქმიანობისათვის. ქვეყნის ტერიტორიის 12% უჭირავს მყინვარებს. მიუხედავად სუბარქტიკული მდებარეობისა, ისლანდიის კლიმატი არ არის მკაცრი, რაც ატლანტიკის თბილი დინების შედეგია. ზამთრის საშუალო ტემპერატურა—2—3° (დედაქალაქში—1°-მდე). ზამთარში თოვლის ნაცვლად მოდის წვიმა, ხშირია ჭექა-ქუხილი, ზაფხული გრილია, ივლისში ტემპერატურა +10°-მდეა, იშვიათად +20°. ზაფხულის დღეები გრძელია, ქვეყნის შიგა რაიონებისათვის უფრო მკაცრი კლიმატია დამახასიათებელი. ისლანდიაში ბევრი მდინარეა, რომლებიც ჰიდროენერგიის დიდ მარაგს

შეიცავენ, ბევრია ტბებიც. ქვეყანაში ღარიბია მცენარეული საფარი, მისი ფლორა 400 დასახელების მცენარეს შეიცავს, ბევრი მათგანი ევროპული წარმოშობისაა. ლანდშაფტი წარმოდგენილია ჭაობებითა და საძოვრებით, გვხვდება ტყეებიც, რომელთა გაშენებაც ამჟამად ინტენსიურად წარმოებს.

ისლანდია მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ქვეყანა, ნორვეგიასთან ერთად, პირველ ადგილზეა თევზის რეწვის მიხედვით და ამ პროდუქციის ყველაზე დიდი ექსპორტიორია მსოფლიოში. ისლანდიაში ბევრია თევზის გადამამუშავებელი კომბინატები, საკონსერვო ქარხნები, მაცივრები, რომლებიც განლაგებულია კუნძულის სამხრეთით, დედაქალაქის შემოგარენში.

ქვეყანაში თევზის პროდუქციის გამოშვება ყოველწლიურად იზრდება, ამზადებენ თევზის ფქვილს, რომელიც ფართოდ გამოიყენება საკვებად მეცხოველეობაში. ჩატარდა თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის მოდერნიზაცია, თევზჭერის ფლოტი და გადამამუშავებელი საწარმოები უმთავრესად კერძო საკუთრებაშია, სახელმწიფო დიდად უწყობს ხელს დარგის განვითარებას. თევზის პროდუქციის 3/4 გადის ექსპორტზე, რაც ამ დარგის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

ქვეყანაში ჰიდროენერგიის დიდი რესურსებია და მას უნარიანადაც იყენებენ. ერთ სულზე ელექტროენერგიის გამომუშავებით ისლანდია პირველ ადგილზეა მსოფლიოში, ფართოდ იყენებენ ელექტროენერგიის სოფლის მეურნეობაში.

ისლანდიაში განვითარებულია მრეწველობა. არსებობს ალუმინის, ცემენტის, მინერალური სასუქების მსხვილი საწარმოები, რომლებიც ძირითადად საექსპორტო პროდუქციას უშვებენ.

სოფლის მეურნეობა უახლოეს წარსულში ისლანდიელთა ეკონომიკის ძირითადი დარგი იყო, რომელსაც მეცხოველეობის მიმართულება ჰქონდა. განსაკუთრებით განვითარებული იყო მეცხვარეობა, რომელიც წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მაღალპროდუქტიული ჯიშებით. ზაფხულობით ცხვარს აძოვებენ მთის საძოვრებზე (ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში), ხოლო ზამთრობით ჩამოჰყავთ სანაპირო ზოლში და აძოვებენ თოვლის მოსვლამდე, შემდეგ კი გადაჰყავთ ბაგურ კვებაზე. დღეისათვის, ცხვრის ფარა 0,9—1,0 მილიონ სულამდეა. ამზადებენ მაღალხარისხოვან მატყლს, ცხვრის ყველს და ბატკნის ხორცს. მატყლის გადამუშავება წარმოებს ადგილზე, რომელიც შემდეგ იგზავნება ევროპის ქვეყნებში.

კარგადაა წარმოდგენილი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რომელთა რაოდენობა 100 ათას სულს აღემატება, აქედან 45 ათასი მეწვე-

ლია, რომელიც ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით (5000 ლიტრი). რძის გადამუშავება წარმოებს მცირე მოცულობის ქარხნებში, ამზადებენ კარაქს, ყველს, რძის ფხვნილს და გააქვთ საექსპორტოდ.

მოშენებული ჰყავთ ღორი და ფრინველი, მაგრამ მათ პროდუქციას ადგილობრივი მოხმარებისათვის იყენებენ, თუმცა, ღორის ხორცი მცირე მოცულობით გააქვთ კიდევაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ (ძირითადად, ინგლისში).

მეშცენარეობაში მთავარი დარგია საკვები ბალახების წარმოება. დამუშავებული მიწების რაოდენობა ქვეყნის ტერიტორიის 1% არ აღემატება, აქედან, ბალახის ნათესებს უჭირავს 9/10. ყოველწლიურად წარმოებს ახალი მიწების ათვისება სახნავად, რისთვისაც იყენებენ საძოვრებსა და სათიბებს, აგრეთვე დაჭაობებულ მიწებს.

სასურსათო კულტურებიდან ყველაზე უკეთ წარმოდგენილია კარტოფილი, რომელიც მოჰყავთ ქვეყნის სამხრეთ რაიონებში. კარგადაა განვითარებული დახურული გრუნტის მებოსტნეობა, რისთვისაც უნარიანად იყენებენ ბუნებრივ ცხელ წყლებს. ბოსტნეული მოჰყავთ წლის ყოველ დროს, განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს კომბოსტო, კიტრი, პომიდორი, სალათი. მებოსტნეობა განვითარებულია საგარეუბნო ზონაში.

მარცვლეული თითქმის არ მოჰყავთ, ამიტომ ქვეყანას იგი საჭირო რაოდენობით შემოაქვს ევროპიდან. გარდა მარცვლეულისა, ისლანდიელებს შემოაქვთ ხილი და ხილის კონცენტრატები—კონსერვები. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 1,5-ჯერ სჭარბობს იმპორტის სარჯებს, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ—ისლანდია უზრუნველყოფილია კვების პროდუქტებით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოება მომგებიანი დარგია.

სოფლის მეურნეობას ძირითადად ემსახურებიან პრაქტიკოსები. რეიკიავიკის უნივერსიტეტში სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ კადრებს არ ამზადებენ.

V თავი

სამხრეთ ევროპა

(პორტუგალია, იტალია, ესპანეთი, გიბრალტარი, ანდორა, სან-მარინო, ვატიკანი, მალტა, საბერძნეთი)

სამხრეთ ევროპა მსოფლიოს განსაკუთრებულ რეგიონს წარმოადგენს, რომლის ქვეყნები მდებარეობენ ევროპის კონტინენტის—

პირინეის, აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულებზე, მხოლოდ იტალია იკრება უმხიშვნელოდ ევროპის მატერიკზე. გაცვითარებისა და ცივილიზაციის საერთო დონით ისინი განეკუთვნებიან ტიპურ ევროპულ სახელმწიფოებს.

სამხრეთ ევროპის ქვეყნები მდებარეობენ დაახლოებით ერთ მერიდიანზე, ამიტომ მათში ბუნებრივ-კლიმატური პირობები ბევრად ემთხვევა ერთმანეთს და ისტორიულადაც ძჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან. ფართო გაგებით სამხრეთ ევროპა გარდა აღნიშნული ქვეყნებისა, გულისხმობს აგრეთვე სამხრეთ საფრანგეთს, იუგოსლავიის სანაპირო ზოლს, ალბანეთს, კუნძულ კორსიკას, თურქეთის ევროპულ ნაწილს. აღნიშნულ ზონაში წარმოდგენილი ქვეყნები ერთმანეთს არ ესაზღვრებიან, საერთოს მათთვის წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვა. ოეგიონის ქვეყნებიდან ხუთი რესპუბლიკაა (იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია, სან-მარინო, მალტა), ორი მონარქიული (ესპანეთი, ვატიკანი), ხოლო ანდორა იმყოფება ორი ქვეყნის (ესპანეთისა და საფრანგეთის) პროტექტორატის ქვეშ. საყურადღებოა ისიც, რომ რეგიონში შემორჩა ინგლისის კოლონია გიბრალტარის სახით.

სამხრეთ ევროპა კაცობრიობის განვითარების ერთ-ერთი უძველესი რეგიონია, სადაც საფუძველი ჩაეყარა ევროპულ ცივილიზაციას, რომელმაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს განვითარების ბედზე. ჩრდილოეთ აფრიკის სიახლოვემ მნიშვნელოვნად განაპირობა სამხრეთ ევროპის ბუნებრივი პირობების ჩამოყალიბება, განსაზღვრა სოფლის მეურნეობის მიმართულებები და ხასიათი.

სამხრეთ ევროპა ყველაზე მთიანი რეგიონია ევროპაში, მთებს უჭირავს ტერიტორიის 3/4. დაბლობი 22—25%-ს შეადგენს, რომელიც წარმოდგენილია ზღვისპირა სანაპირო ზოლით. რეგიონის ერთ-ერთი მთავარი ბუნებრივი რესურსია კლიმატი, რომელიც ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. აქ ვხვდებით სითბოსმოყვაოულ სუბტროპიკულ კულტურებს. ხმელთაშუა ზღვის კლიმატი ხელს უწყობს მიწათმოქმედების განვითარებას. რეგიონში ჭარბობს ნშრალი, ცხელი, ზაფხული, რბილი წვიმიანი ზამთარი, ადრეული გაზაფხული და გრძელი, თბილი შემოდგომა. ხშირია ძლიერი, შხაპუნა წვიმები, ზამთრობით იშვიათად მოდის თოვლი, რომელიც დიდხანს არ დევს. დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კლიმატი უფრო კონტინენტურია. მიუხედავად ტენის საკმაო რაოდენობისა, რეგიონი წყლის რესურსებით არ არის კარგად უზრუნველყოფილი, სუსტადაა წარმოდგენილი მდინარეთა ქსელი, და მათ არახელსაყრელი მდებარეობა აქვთ, ამიტომ ცდილობენ წყლის რესურსების რაციონალუ-

რად გამოყენებას, მით უმეტეს, რომ მათ სარწყავი მნიშვნელობაც აქვთ.

ხმელთაშუა ზღვის ზონაში გავრცელებულია მარადმწვანე, გვალვაგამძლე მცენარეული საფარი, რომელიც ჩრდილოეთით თანდათანობით კონტინენტური კლიმატის შესაფერის სახეს იღებს. მაგალითად, ესპანეთის ცენტრალური ნაწილი უჭირავს ბალახეულსა და ბუჩქოვან მცენარეებს.

ბუნებრივი მცენარეული საფარი პირველყოფილი ფორმით შენარჩუნებულია მხოლოდ მთიან ნაწილში. რეგიონის დანარჩენ რაიონებში ადამიანის ჩარევამ მნიშვნელოვნად შეცვალა იგი. მაგალითად, 4—5 ათასი წლის წინათ ტყე სამხრეთ ევროპაში წარმოდგენილი იყო ტერიტორიის 80%-ზე, დღეისათვის კი მათი რაოდენობა 20%-მდე შემცირდა. კულტურული მიწათმოქმედებისათვის დამატებითი ფართობების ათვისების აუცილებლობამ აიძულა ადამიანი გაეჩეხა ტყე. ნიადაგები არაა მდიდარი ჰუმუსით, იგი უმთავრესად ქვა-ღორღიანია, საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, რათა ხელოვნურად გავზარდოთ მათი ნაყოფიერება. წარმოდგენილია ტყის ყავისფერი ნიადაგები, ბევრია გაშიშვლებული ქვიანი მასივები. სანაპირო ზოლში ვხვდებით ხელოვნურად შექმნილ ნიადაგობრივ საფარს (განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვის საკურორტო ზოლში). ქვაღორღიანობა მნიშვნელოვნად ართულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ ევროპის ქვეყნებში ჩაეყარა საფუძველი ევროპულ კულტურულ მიწათმოქმედებას, რაც უპირველესად განპირობებული იყო მისი ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებით.

პორტუგალია

პორტუგალია განეკუთვნება პატარა ქვეყნების რიცხვს, მისი ფართობი 92 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 10,5 მლნ, დედაქალაქი — ლისაბონი. ქვეყანა მდებარეობს პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთით, მასვე ეკუთვნის ატლანტიკის ოკეანეში მდებარე აზორისა და მადეირას არქიპელაგები. გეოგრაფიულად პორტუგალიას ესაზღვრება ატლანტიკის ოკეანე, სამხრეთით—ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით—ესპანეთი. სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით პორტუგალიას იზოლირებული მდგომარეობა უჭირავს. ოკეანეში მდებარე კუნძულები, სამხედრო თვალსაზრისით, წარმოადგენენ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ობიექტებს.

პორტუგალია მდებარეობს სუბტროპიკულ სარტყელში, მისი კლიმატი რბილია, რაც ატლანტიკის ოკეანის გავლენით აიხსნება. გე-

ოგრაფიული პირობების მიხედვით ქვეყანა ორ ზონად იყოფა—ჩრდილოეთი, რომელიც უფრო მთიანია და სამხრეთი—სადაც სჭარბობს დაბლობები. მცენარეული საფარითაც ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან—ჩრდილოეთი ძირითადად ტყეებითაა დაფარული, სამხრეთში კი სჭარბობს მდელოები. სამხრეთ ევროპის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პორტუგალია ძლიერ განიცდის ატლანტიკის ოკეანის გავლენას. მაგალითად, სანაპირო ზოლი 5—7°-ით უფრო ცივია, ხოლო ზამთარი 1—2°-ით თბილი, ვიდრე სამხრეთ იტალიაში. ივლისის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთით +19°, ხოლო სამხრეთით +25°. იანვრის ტემპერატურა კი +8, +11°-ია, როგორც ვხედავთ ტემპერატურის სეზონური რყევადობა დიდი არაა, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის კარგ პირობებს ქმნის. საკმაოა ტენიანობაც, იგი 1000 მმ აღემატება, თუმცა არის რაიონები, სადაც ეს მაჩვენებელი 2500 მმ აღწევს. ნალექების აბსოლუტური უმრავლესობა მოდის ზამთრის თვეებზე, ზაფხულში იგი გაცილებით მცირეა. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მათი უმრავლესობა ქვეყნის ჩრდილოეთითაა, სამხრეთი კი ზაფხულის პერიოდში განიცდის წყლის დეფიციტს, ამიტომ მიმართავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების ხელოვნურ მორწყვას.

კლიმატურმა პირობებმა, რომლითაც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი ნაწილები, გამოიწვია ნიადაგობრივი პირობების განსხვავებაც. ჩრდილოეთი, რომელიც ჭარბტენიანობით ხასიათდება, უმთავრესად წარმოდგენილია რუხი ტყის ნიადაგებით, ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში ჭარბობს რუხი ყავისფერი ნიადაგები, უფრო სამხრეთით გვხვდება აგრეთვე ყავისფერი ნიადაგები. დაბლობების ფართობის უდიდესი ნაწილი გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. შედარებით, ბუნებრივი ნაყოფიერებით გამოირჩევა ტყის რუხი ნიადაგები, რომელზეც გაშენებულია ვაზი, თამბაქო, სუბტროპიკული კულტურები, რაც შეეხება სამხრეთში გავრცელებულ რუხ-ყავისფერ ნიადაგებს, მორწყვის პირობებში, მათი მოსავლიანობა დამაკმაყოფილებელია. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ნიადაგების მეტისმეტად დატკეპნილობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში, მათი გარკვეული ნაწილი გამოფიტა. საჭიროა დამატებითი სამუშაოების ჩატარება ნიადაგების ნაყოფიერების აღსადგენად. ერთ დროს პორტუგალია დაფარული იყო ტყეებით, დღეისათვის ტყე ნაწილობრივ განადგურებულია, ტყის საფარი წარმოდგენილია ქვეყნის ტერიტორიის 27%-ზე და ძირითადად მდებარეობს ჩრდილოეთით. 1500 მეტრზე

ზევით იწყება სათიბებისა და საძოვრების ალპური ზონა, პორტუგალიის ტყის საფარი მრავალფეროვანია, განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს ტყის ის ჯიშები, რომლისგანაც ამზადებენ ბოთლის საცობს და რომელიც ქვეყანას დიდი რაოდენობით გააქვს საექსპორტოდ. მთელ ქვეყანაშია მოფენილი ზეთისხილის ხეები, რომელთა რაოდენობა 50—55 მლნ ძირს აღემატება.

ბუნებრივი პირობებით განსხვავებულია კუნძულოვანი პორტუგალია. მაგალითად, აზორის არქიპელაგი, რომელიც 9 კუნძულს აერთიანებს მდებარეობს კონტინენტური პორტუგალიიდან 1600 კმ. დაცილებით. აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა +14°-ია, ხოლო ივნისის — +21°. კუნძულზე კლიმატი სუბტროპიკულია, სწორედ ამიტომ აქ ძირითადად წარმოდგენილია სუბტროპიკული მცენარეული საფარი. კუნძულოვანი პორტუგალია საერთაშორისო მნიშვნელობის კურორტების ადგილია.

განვითარების დონით ქვეყანა განეკუთვნება ინდუსტრიულ-აგრარულს, თუმცა, ეკონომიკური მდგომარეობით ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში მას, საბერძნეთთან ერთად, ერთ-ერთი ბოლო ადგილი უჭირავს. ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით პორტუგალიაში 3—5-ჯერ ნაკლებია,, ვიდრე ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში (ბელგია, ჰოლანდია, დანია და სხვა). ქვეყნის ეკონომიკაზე დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურაც, განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა იგი სოფლის მეურნეობის მაგალითზე. 1985 წლის მონაცემებით, ქვეყნის ექსპორტი შეადგენდა ნაციონალური პროდუქტის 18.4%, ხოლო იმპორტი — 29,2%. რაც იმაზე მეტყველებს, რომ პორტუგალიის ეკონომიკა დიდად არის დამოკიდებული სხვა ქვეყნებზე.

საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო შრომის დანაწილებაში ქვეყნის სპეციალიზაცია ასეთია: მებოსტნეობის, მევენახეობის, მებაღეობის აგრეთვე ზეთოვანი კულტურების პროდუქციის წარმოება.

ქვეყანაში მრეწველობის დაჩქარებული განვითარება დაიწყო ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან და ამას დიდად შეუწყო ხელი უცხოური კაპიტალის დაბანდებამ. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, იგი დღესაც ქვეყნის ეკონომიკის ჩამორჩენილი დარგია, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაბალია მექანიზაციისა და ქიმიზაციის დონე, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, პირუტყვის პროდუქტიულობა, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს დაბალ შრომისნაყოფიერებას. მიწათმოქმედებაში დღემდეა შემორჩენილი ფეოდალური ურუთიერთობები, რიგ შემთხვევაში წარმოების განვითარება ექსტენსიურ ჩარჩოებშია მოქცეული, არის მეურნეობები, რომლებიც

ეწევიან რაციონალურ მიწათმოქმედებას, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ოგრამ მათი რაოდენობა მცირეა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 17%, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ევროპული ქვეყნისათვის. მისი ხვედრითი წილი ნაციონალურ შემოსავალში 15,8%-ია. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა პორტუგალია ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს საკუთარი წარმოებით. მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგება დიდადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, განსაკუთრებით მარცვლეულის იმპორტზე.

სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგია მემცენარეობა, მეცხოველობას ძირითადად დამხმარე ხასიათი აქვს, თუმცა აქ არსებობს ყველა პირობა მისი განვითარებისათვის. დამუშავებული მიწების ნახევარი სახნავია, რომელთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი ერთ სულზე გაანგარიშებით 0,43 ჰექტარია, რაც ევროპაში მაღალ მაჩვენებლად ითვლება. ენერგოშეიარაღება 31 ცხენის ძალაა, რაც ხელით შრომის მაღალ ხვედრით წონაზე მიუთითებს. ენერგეტიკის სტრუქტურაში საკმაოდ დიდია ცოცხალი გამწევი ძალის როლი, სუსტად იყენებენ ელექტროენერგიას.

სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვანწილად შეაფერხა იმან, რომ ქვეყანაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავა მსხვილ ფეოდალურ მეურნეობას, დღესაც საკმაოდ ბევრია უმიწაწყლო გლეხების რაოდენობა. შემორჩენილია მიწათსარგებლობის შუასაუკუნოვანი ფორმები (მეპატრონისათვის ღალის გადახდა, მრავალსაფეხურიანი მოკლევადიანი იჯარა და ა. შ.), ძველად ინერგება ევროპაში მიღებული წარმოების პროგრესული ფორმები (იჯარა, კოოპერაცია და სხვა), ცუდადაა განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რაც იწვევს პროდუქციის გარკვეული ნაწილის გაფუჭებას. დიდია დაქირავებული მუშახელის რაოდენობა, 1980 წლისათვის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა 2/3-ს მიწა არ გააჩნდა და მუშაობდა სხვის მიწაზე, მათი გარკვეული ნაწილი სეზონური მუშები არიან, რომლებიც სამუშაოს საძებნელად გადადიან ქვეყნის ერთი რაიონიდან მეორეში. დიდია მიწათმფლობელობაში ეკლესიის როლი, მათ ეკუთვნით ქვეყნის ყველაზე ნაყოფიერი მიწების 1/5. დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 2/3—საიჯარო ურთიერთობებზეა.

სამოცდაათიანი წლებიდან პორტუგალიაში დაიწყო ეკონომიკური რეფორმები, რომელიც სოფლის მეურნეობასაც შეეხო. მემამულეებს

ჩამოერთვათ მიწის გარკვეული რაოდენობა და დაურიგდათ უმიწაწყლო გლეხებს, მათი ღირებულების შემდგომში გადახდით, ხოლო მიწათმფლობელებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს სახღაური. ასეთი მიწების რაოდენობა 1 მლნ. ჰექტარამდეა, შეიზღუდა მიწახე კერძო საკუთრება, დაწესდა მიწის ფლობის მაქსიმალური ზღვარი, სარწყავზე იგი 50, ხოლო ურწყავზე 500 ჰექტარს არ უნდა აღემატებოდეს. გაიზარდა იჯარის ვადა, შემცირდა ფასები სასუქებზე და სასოფლო-სამერნეო ტექნიკაზე. ეს ღონისძიებები მიმართული იყო იქითკენ, რომ სოფლის მეურნეობაში შექმნილიყო საფუძვლები რაციონალური მიწათმოქმედებისათვის. რეფორმამ თავისი შედეგები გამოიღო, გაიზარდა მიწისა და პირუტყვის პროდუქტიულობა, იშვიათად ხახავთ გამოუყენებელ მიწის ფართობს და ა. შ.

დღეისათვის, გამოკვეთილია მიწათმოქმედების ორი ტიპი; ქვეყნის ჩრდილოეთით წარმოების ძირითადი ფორმაა წკრილგლეხური მიწათმოქმედება, წარმოების ინტენსიურობის დაბალი დონით, რომელიც ძირითადად ეყრდნობა ცოცხალ შრომას. აქ უმეტესად მოჰყავთ ორი მოსავალი—ზაფხულში სიმინდი, ხოლო ზამთარში—პარკოსნები. სამხრეთ პორტუგალიაში გავრცელებულია მსხვილი მეურნეობები, მიწათმფლობელთა განკარგულებაშია 50-დან (სარწყავი) 500-მდე ჰექტარი (ურწყავი) მიწა. გავრცელებულია მიწის იჯარით გადაცემის ფორმა, ვინაიდან მიწათმფლობელები, უმთავრესად ქალაქად ცხოვრობენ. სამხრეთ პორტუგალიაში წარმოების დონე უფრო დაბალია, ვიდრე ქვეყნის ჩრდილოეთით. ამის მიზეზია ის, რომ ვერ გამოძებნეს მიწის დამუშავების ოპტიმალური ფორმები. მაგალითად, საიჯაროდ მიწას იძლევიან 1—2 წლით, რაც ნიადაგის სასტიკ ექსპლოატაციას იწვევს. არ არის მუდმივი მუშახელი, მათ უმთავრესად იყენებენ ძირითადი სამუშაოების შესასრულებლად. წარმოებას სამხრეთში ჯერ კიდევ ექსტენსიური ხასიათი აქვს. ბევრია საძოვარ-სათიბები, ამიტომ განვითარებულია მეცხოველეობა.

მარცვლეულის წარმოებას არა აქვს სასაქონლო სახე, იგი მთელ რიგ რაიონებში უზრუნველყოფს მხოლოდ ადგილობრივ მოთხოვნილებებს. ამიტომ ქვეყანას დიდი რაოდენობით შემოაქვს მარცვლეული საფრანგეთიდან და ესპანეთიდან. მარცვლეულიდან გავრცელებულია ხორბალი და სიმინდი, მათი წარმოების მოცულობა 3,5—4 მილიონ ტონას არ აღემატება. სასურსათო კულტურებიდან მოჰყავთ ბრეთვე კარტოფილი და პარკოსნები (სოია, ლობიო), რომელთა წარმოებასაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

საექსპორტო პროდუქციას იძლევა მევენახეობა და მეხილეობა და

ზეთის ხილის წარმოება. მევენახეობა გავრცელებულია ყველა ზონაში, განსაკუთრებით ეფექტიანია იგი ზღვის სუბაპირო ზოლში. ვენახის მოვლა-მოყვანას ინდუსტრიული ხასიათი აქვს, ყურძნის წარმოების მხრივ პორტუგალიას ძეხუთე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, საერთო მოსავალი 2 მლნ. ტონას აჭარბებს. ამზადებენ სუფრისა და სამარკო ღვინოებს, რომლებიც გააქვთ საზღვარგარეთ.

კარგი ტრადიცია აქვს ზეთის ხილის წარმოებას. პორტუგალია ერთადერთია ევროპაში (საბერძნეთთან ერთად), სადაც არსებობს ზეთის ხილის სპეციალური პლანტაციები, ზეთის ხილის ბაღები წარმოდგენილია თითქმის ყველგან, მათ შორის ცალკეული ხეების სახითაც. პროდუქციის გადამუშავება წარმოებს პატარ-პატარა საწარმოებში, რომელთა უმრავლესობა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. სამხრეთით, სადაც ყველაზე უკეთაა წარმოდგენილი ეს დარგი, პლანტატორებს აქვთ გადამამუშავებელი საწარმოებიც, ან ერთიანდებიან საერთო საწარმოს შესაქმნელად. ზეთის ხილი პორტუგალიის ექსპორტის მნიშვნელოვანი ელემენტია.

მრავალფეროვნებით ხასიათდება მეხილეობა, რაზედაც მეტყველებს ის, რომ ქვეყანაში გავრცელებულია როგორც კონტინენტური, ისე სუბტროპიკული მეხილეობა. ფორთოხალი და ლიმონი ქვეყანას დიდი რაოდენობით გააქვს საზღვარგარეთ. პორტუგალიაში გავრცელებულია ისეთი უცხო ხილი, როგორიცაა ნუში, ლეღვი, კომში. მეხილეობა ქვეყნისათვის ტრადიციული დარგია და დიდ ყურადღებას აქცევენ მის განვითარებას, საკმაო რაოდენობითაა სამრეწველო ბაღებიც. სუბტროპიკულ ზონაში გვხვდება აგრეთვე ფინიკის პალმები. ციტრუსოვანი კულტურები გავრცელებულია კუნძულოვან პორტუგალიაზე, სადაც მათი მოვლა-მოყვანისათვის ძალზედ ხელსაყრელი პირობებია.

ნათესი ფართობებიდან უდიდესი ნაწილი უჭირავს ხორბალსა და სიმინდს. ხორბალი უმთავრესად გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში, ჩრდილოეთში ჭარბობს სიმინდის ნათესები, მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, დაბალია და იგი 28—30 ცენტნერს შეადგენს ჰა-ზე, მარცვლეულიდან მოჰყავთ აგრეთვე ბრინჯი, რომელიც ძირითადად მდინარეთა ქვემოდინების დატბორილ რაიონებშია წარმოდგენილი. რაც შეეხება პარკოსნებს და კარტოფილს, იგი მოჰყავთ წვრილგლეხურ მეურნეობებში, უპირატესად ქვეყნის ჩრდილოეთით.

ხმელთაშუა ზღვის სუბტროპიკულ ზონაში, სადაც კლიმატი ხასიათდება ცხელი და გვალვიანი ზაფხულით, დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგების მორწყვას. ამ მიზნით იყენებენ მდინარეებს, რომლებიც

საკმაოდ წყალუხვია, სამხრეთი ტერიტორიის მხოლოდ 21% საჭიროებს რწყვას. 1970 წლიდან დაიწყეს ახალი სარწყავი სისტემების გაყვანა. ამ მიზნით იყენებენ არტეზიულ წყლებსაც.

პორტუგალიაში განვითარებულია მეცხოველეობაც, რომელსაც ექსტენსიური ხასიათი აქვს. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი, რომელიც 900 ათასამდე სულს ითვლის. ცხვარი (მთიან ზონაში) 650 ათას სულამდეა, მეღორეობა წარმოდგენილია წვრილგლეხურ მეურნეობებში, თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს 1—2 სული ღორი, გვხვდება აგრეთვე სპეციალიზებული მეურნეობებიც (100 და მეტი სული ღორი). ქვეყანაში განვითარებულია მეფრინველეობა, უმთავრესად გლეხურ მეურნეობებში. არსებობს სპეციალიზებული მეფრინველეობის ფაბრიკები, ძირითადად პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონის შემოგარენში. პორტუგალიის მეცხოველეობა ცუდადაა უზრუნველყოფილი საკვები ბაზით, განსაკუთრებით—კომბინირებულით. ამის შედეგია ის, რომ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა (წველადობა 2300 ლ), ქვეყანა მსოლოდ 60—65%-ით იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს მეცხოველეობის პროდუქციაზე. იგი შემოაქვთ ესპანეთიდან და საფრანგეთიდან.

1980 წელს ქვეყანაში შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი სახელმწიფოებრივი გეგმა, რომელიც გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა შეღავათებს. დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ბანკი, სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს სახელმწიფო დოტაციები, სრულყოფილი გახდა საიჯარო ურთიერთობები, ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მატება, რომლის ტემპმაც 2,4% შეადგინა წელიწადში.

პორტუგალიის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს სასოფლო-სამეურნეო კადრებს. ეწევიან მეცნიერულ კვლევასაც, კარგი შედეგები აქვთ მევენახეობასა და მეღორეობაში.

იტალია

იტალია უძველესი ქვეყანაა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიო ცივილიზაციას. დღეისათვის იგი ერთ-ერთი მაღალგანვითარებული კაპიტალისტური ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი. აქ წარმოდგენილია ძველი კულტურის უნიკალური ძეგლები და თანამედროვე ტიპის არქიტექტურა.

იტალია ტიპური ხმელთაშუა ზღვის ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ევროპის ცენტრში, აპენინის ნახევარკუნძულზე. მისი ტერიტორია 301 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—57 მლნ, დედაქალაქი—

რომი. იტალიის შემადგენლობაში შედის ხმელთაშუა ზღვის ორი უდიდესი კუნძული—სიცილია და საოდინია. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ძალზედ მნიშვნელოვანია სტრატეგიული თვალსაზრისით.

სახელმწიფოებრივი წყობილებით იტალია ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკაა, ქვეყნის სათავეში პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 7 წლით.

იტალიის ბუნებრივი პირობების ფორმირება განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა განლაგებამ, იგი მდებარეობს ევროპის უკიდურეს სამხრეთით, ნაწილობრივ სუბტროპიკულ ზონაში. კლიმატის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს ზღვა, როგორც სანაპირო ზოლში, ისე ქვეყნის სიღრმეშიც, ზღვიდან 200—250 კმ დაცილებით. იტალია ტიპური საზღვაო ქვეყანაა, რომელზეც მოდის მისი საზღვრების 4/5. ქვეყნის ტერიტორიის 3/4 მთიანია ან მაღლივ პლატოზე მდებარეობს, ტერიტორიის მხოლოდ 1/4 მოდის დაბლობზე. მატერიკული ნაწილი კონტინენტური ევროპიდან გამოყოფილია ალპების უმაღლესი მთიანი მასივებით. სამხრეთ-დასავლეთით ალპები გადადის აპენინის მთის მასივში, რომელიც ორად ჰყოფს იტალიას. ერთადერთი უდიდესი დაბლობი მდებარეობს მდინარე პოს აუზში, პადანსკის პროვინციაში. სწორედ აქ არის განვითარებული ქვეყნის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

იტალიის ეკონომიკაზე და მათ შორის სოფლის მეურნეობაზეც უარყოფით გავლენას ახდენს მიწისძვრები. ევროპის კონტინენტზე ეს არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც სეისმურ ზონაშია და სადაც ხშირია მიწისძვრები, მათ შორის კატასტროფულიც.

ხმელთაშუა ზღვის კლიმატი გავრცელებულია აპენინის ნახევარკუნძულზე და კუნძულოვან იტალიაში. ქვეყნის მატერიკული ნაწილი კი გარდამავალი ზონაა—სუბტროპიკულიდან ზომიერ კონტინენტურამდე. იანვრის საშუალო ტემპერატურა პადანსკის დაბლობზე 0°-ია, ხოლო ივლისის +23, +24°. ზამთრობით ხშირია თოვლი. ნალექების რაოდენობა მერყეობს 600 მმ-დან 1000-მდე, რომლის დიდი ნაწილი მოდის გაზაფხულსა და ზაფხულში, ხშირია თქეში წვიმები, აგრეთვე სეტყვაც. ალპების კლიმატი იცვლება სიმაღლესთან დაკავშირებით, იგი ზომიერად გადადის ცივ სარტყელში.

ხმელთაშუა ზღვის კლიმატი მკვეთრადაა გამოხატული აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთით, სადაც ზაფხული ცხელია, საშუალო ტემპერატურა +26°, ზამთარი რბილი და ზომიერი. იანვრის ტემპერატურა +8 +10°-ია. ნახევარკუნძულის შუა და ჩრდილოეთი ნაწილი განსხვავებული კლიმატით ხასიათდება, იანვარში +1 —4°-ია, ხოლო

ზაფხულში +22, +24°. ცენტრალურ და სამხრეთ იტალიაში წლის დღეების 2/3 უღრუბლოა. ხშირია ძმრალი ქარები, ზოგჯერ—ძლიერიც, რომელიც აფრიკის ცხელი კონტინენტიდან უბერავს.

კუნძულებზე (სიცილია, სარდინია), კლიმატი რბილი და ზომიერია, რაც ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

იტალია სიგრძეში გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთით, სიგანე უმრავლეს შემთხვევაში 100—150 კმ-ია, ყველა მდინარე იწყება ალპებში და სწრაფი დინებისაა, მხოლოდ მდინარე პო არის გამოყენებული, როგორც სატრანსპორტო არტერია. მდინარეები მღვრიეა, ხშირად გადმოდიან ნაპირებიდან, ამიტომ საჭიროებს დაიბების აშენებას. აპენინის ნახევარკუნძულის ყველაზე დიდი მდინარეა ტიბრი, რომლის სიგრძე 405 კმ. იგი ტრპუერი მთის მდინარეა, მისი ქვემო დინება გამოიყენება სატრანსპორტოდ. შეიძლება ითქვას, რომ იტალია არაა თანაბრად უზრუნველყოფილი წყლით, მისი ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც ეკვრის ალპებს, კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, სამხრეთში კი წყლის დეფიციტია, განსაკუთრებით, კუნძულ სიცილიაზე, ამიტომ იძულებული არიან გამოიყენონ გრუნტის წყლები. მდინარეები შეიცავენ ჰიდროენერგიის დიდ მარაგს, აქ განვითარებულია ჰიდროელექტროსადგურების საკმაოდ ძლიერი ქსელი. ელექტროენერგიას იყენებენ სოფლის მეურნეობაშიც.

იტალიის ნიადაგობრივი საფარი მრავალფეროვანია, ჩრდილოეთით გავრცელებულია მთის ნიადაგები, შედარებით სამხრეთით ჭარბობს ტყის რუხი ნიადაგები, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე გვხვდება დაჭაობებული ნიადაგებიც, სანაპირო ზოლში და კუნძულ სიცილიაზე სჭარბობს ყავისფერი სუბტროპიკული ნიადაგები, რომელიც ხელსაყრელია მევენახეობისა და მეციტრუსეობისათვის. აპენინის მთიანი მასივის პლატოზე და კუნძულ სარდინიაზე ჭარბობს კარბონატული და მთის რუხი ნიადაგები, შედარებით სამხრეთით წარმოდგენილია წითელმიწა ნიადაგები. გვხვდება აგრეთვე ვულკანური წარმოშობის ნიადაგებიც. იტალიის ნიადაგობრივი საფარი ხელსაყრელია მიწათმოქმედებისათვის, თუმცა ნაყოფიერებით ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ზოგჯერ მკვეთრადაც. ყველაზე ნაყოფიერი მიწები მდებარეობს დაბლობებში და მცირე ზეგნებზე. კიდევ უფრო მრავალფეროვანია მცენარეული საფარი, თუმცა, მოსახლეობის სიმჭიდროვემ და ადამიანების მრავალსაუკუნოვანმა სამეურნეო საქმიანობამ, გამოიწვია ის, რომ დღეს ამ ტერიტორიაზე ჭარბობს კულტურული მცენარეები. ბუნებრივი მცენარეული საფარი შენარჩუნებულია მთებსა და მთისწინა ფერდობებზე. ტყე ძირითადად წარმო-

დგენილია ჩრდილოეთით—ალპების მთიან მასივებში. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 20%-მდე და გაადგილებულია არათანაბრად. მაგალითად, სამხრეთ იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე, ტყეები თითქმის არ გვხვდება, მცენარეული საფარი ბუჩქოვნებითაა წარმოდგენილი. ამჟამად, მიღებულია ტყეების დაცვის სამთავრობო კანონი, რომელიც მის აღდგენასაც ითვალისწინებს.

იტალია განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოა, რომლის ხვედრითი წილი მსოფლიო კაპიტალისტურ წარმოებაში 4%-მდეა. იგი ჩამორჩება მხოლოდ აშშ, იაპონიას, გერმანიას, საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს. იტალია ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 4-ჯერ აღემატება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მოცულობას.

სოფლის მეურნეობა იძლევა ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 10%, მასში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 13%, რაც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნისათვის შეუსაბამობად ითვლება, თუმცა, ურბანიზაციის პროცესი ძალზედ სწრაფად მიმდინარეობს, გლეხობა ტოვებს სოფლებს და სამუშაოდ გადადის მრეწველობაში, ან მომსახურების სფეროში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობით და განსაკუთრებით პირუტყვის პროდუქტიულობით, იტალია საგრძნობლად ჩამორჩება ევროპის ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას. მას დიდი რაოდენობით შემოაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია—ხორცი, ფრინველი, კვერცხი. იტალიის მაგალითზე საინტერესოა ევროპის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების მუშაობის მექანიზმი (ე. წ. „საერთო ბაზარი"). ეს არა მარტო იმპორტ-ექსპორტის ორგანიზაციაა, რომელიც რომელიმე ქვეყანაში შეავსებს დეფიციტს ან გამოიტანს ჭარბ პროდუქციას, გაერთიანება აქტიურად ერევა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის ინფრასტრუქტურაში და იძლევა რეკომენდაციებს. საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ფინანსურად და მატერიალურად. როდესაც იტალია გაერთიანდა „საერთო ბაზარში", გარკვეული პერიოდის შემდეგ, მათ მოითხოვეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შეცვლა. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ იტალიას შეუძლია აწარმოოს მარცვლეული და ჰყავდეს პროდუქტიული პირუტყვიც, „საერთო ბაზარმა" მოითხოვა ხილისა და სუბტროპიკული კულტურების წარმოების შემცირება, რომელიც ევროპის ბაზარზე ჭარბად იყო წარმოდგენილი, შეადგინეს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ოპტიმალური გეგმა, რომელშიც გაადიდეს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება. ამ გეგ-

ძის წარმატებით გახსორციელებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტი ქვეყანაში.

იტალიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მრავალნაკვეთიანობა, მცირე მოცულობის მეურნეობების არსებობა. მაგალითად, მეურნეობათა 70% ფლობს 5 ჰექტარამდე ფართობს, ხოლო ის ვინც ფლობს 50 და მეტ ჰექტარს, შეადგენს მეწარმეთა 1,8% და უჭირავთ სავარგულთა 40%. ყოველივე ეს ართულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციას. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში ფართოდ იკიდებს ფეხს კაპიტალისტური ურთიერთობანი. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გაჩნდა თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მექანიზაციისა და ქიმიზაციის მაღალი დონით, ავტომატიზებული ფერმები, პირუტყვის მაღალი კონცენტრაციით. შეიქმნა მარცვლეულის წარმოების სპეციალიზებული მეურნეობები. გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყნის ჩრდილოეთმა ნაწილმა მიაღწია წარმოების მაღალ დონეს, რაც შეეხება ქვეყნის ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილს, სოფლის მეურნეობა აქ ჯერ კიდევ ჩამორჩენილ დარგად ითვლება.

დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულთა 40% დაქირავებულია, რომელთა ნაწილი მუდმივად ცხოვრობს დასაქმების ადგილზე, ხოლო ნაწილი სეზონური ხასიათის მუშები არიან. მუდმივ მუშებთან მიწის მეპატრონეს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის შესრულებაზე ორმხრივი კონტროლია დაწესებული. გამოიყენება იჯარის სხვადასხვა ფორმები. მაგალითად, იჯარა ციტრუსების წარმოებაში სხვა შინაარსისაა, ვიდრე მეცხოველეობაში ან მარცვლეულის წარმოებაში.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ნალექების მოსვლას აქვს სეზონური ხასიათი. ამასთან, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მისი ოდენობა მკვეთრად განსხვავებულია, რაც სამხრეთ რაიონებში იწვევს მორწყვის აუცილებლობას, თუმცა, სარწყავი სისტემა უფრო განვითარებულია ქვეყნის ჩრდილოეთით, კერძოდ, პიემონტისა და ლომბარდიის ოლქებში, ხოლო სამხრეთ იტალიაში ირწყვება დამუშავებული მიწების უმნიშვნელო რაოდენობა. ამჟამად, შემუშავებულია მელიორაციის ეფექტიანი გეგმა, რომლის დაფინანსებაც სახელმწიფოს ხარჯზე ხორციელდება.

ბევრი სასოფლო-სამეურნეო რაიონი განიცდის მიწის ეროზიის დამღუპველ გავლენას. განსაკუთრებით მიწათმოქმედების მთიან ზონაში, სადაც ნიადაგები განიცდიან დეგრადაციას და ამოვარდებიან სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან. ამჟამად, მიმდინარეობს ამ პრო-

ცესის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა, რისთვისაც იყენებენ უახლეს ტექნიკას. სახელმწიფომ ამ საკითხის გადასაწყვეტად გამოჰყო საკიოო ფულადი სახსრები.

იტალიის ტერიტორიის 90% გამოსადეგია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. მიწების 35% მოდის სახხავზე, 19%—სათიბ-საძოვრებზე, 11%—ბალ-ვეხახებზე, ტყეს უჭირავს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი ტერიტორიის 23,4%.

იტალიის სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მემცენარეობა. ევროპის საერთო ბაზრის მოთხოვნილებით ქვეყანამ შეამცირა ზოგიერთი სახის პროდუქციის წარმოება (ძირითადად ციტრუსების), მაგრამ გაზარდა დანარჩენი დარგების წარმოების მოცულობა. სახნავი მიწების ნახვვარზე მეტი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, მათ შორის ხორბალს—30%. ხორბლის ყველაზე მაღალ მოსავალს იღებენ ემილია-რომანუს პროვინციაში, თუმცა, მისი ნათესების ყველაზე მეტი რაოდენობა წარმოდგენილია აპულიასა და სიცილიაზე. ყველაზე ნაყოფიერ მიწებზე ხორბლის ნათესებთან მორიგეობს სიმინდის ნათესები, რომლის კარგ მოსავალს იძლევა ჩრდილოეთის პროვინციები. ალპების ფერდობებზე და დაბლობებში მოჰყავთ ქერი და ჭვავი.

იტალიას ევროპულ ქვეყნებში პირველი ადგილი უჭირავს ბრინჯის წარმოებით. 1985 წელს აქ დაამზადეს 10,7 მლნ. ტონა ბრინჯი. მაღალია მოსავლიანობაც (55 ცენტ. ჰა-ზე). ამ მაჩვენებლით ქვეყანა შედის ბრინჯის მწარმოებელი ქვეყნების პირველ ათეულში. ბრინჯი იტალიელებისათვის კვების მნიშვნელოვანი პროდუქტია. იგი ძირითადად მოჰყავთ პადანის აუზის სარწყავ მიწებზე.

იტალიაში მოჰყავთ კარტოფილიც, რომელიც კულტივირებულია თითქმის ყველა პროვნციაში, ზოგ შემთხვევაში მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არის ოლქები, სადაც მის წარმოებას სასაქონლო სახე აქვს. მაგალითად, კამპანის პროვინციაში იღებენ კარტოფილის მთელი მოსავლის 1/3, კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება მებოსტნეობაც, ქვეყანა ამზადებს 100 მლნ. ცენტნერ ბოსტნეულს, სახელდობრ: პომიდორს, კომბოსტოს, ხახვს, ნიორს, სალათს, მოჰყავთ აგრეთვე ბაღჩეული კულტურებიც: საზამთრო, ნესვი. ქვეყნის მებოსტნეობა-მებაღჩეობის მთავარი რაიონია კამპანის პროვინცია, სადაც მოჰყავთ მთელი მოსავლის 2/3. მებოსტნეობა მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია თითქმის ყველა პროვინციაში, განსაკუთრებით საგარეუბნო და საკურორტო ზონებში, ჩრდილოეთ პროვინციებში არსებობს სასათბურო მეურნეობები, სადაც ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავთ პომიდორი, რომელიც გააქვთ მეზობელ

ქვეყნებში. ამ კულტურის საშუალო მოსავალი 4 მლნ. ტონას აღემატება. პომიდვრის ნაწილს ხმარობენ ნატურალური სახით, უმთავრესი მასა კი შიდის გადასამუშავებლად. პომიდვრის კარგი მოსავლია აგრეთვე ქვეყნის სამხრეთ რაიონებში და კუნძულ სიცილიაზე.

იტალიაში ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია შაქრის ჭარხალი, რომლის ყოველწლიური მოსავალი 135—140 მლნ. ტონაა. იგი მოჰყავთ ყველგან, გარდა მთიანი ზონისა, მაგრამ ყველაზე მეტი რაოდენობით ნათესები წარმოდგენილია მდინარე პოს აუზში.

განსაკუთრებით კარგადაა განვითარებული მეხილეობა, იტალიას „ევროპის ბაღს" უწოდებენ. ქვეყანაში ყოველწლიურად მოჰყავთ 5,5—6,0 მლნ. ტონა ხილი, მათ შორის ვაშლი, მსხალი, ატამი, ალუბალი. მეხილეობა ყველაზე კარგად წარმოდგენილია ქვეყნის ჩრდილოეთით, ალპების მთის კალთებზე და კამპანის პროვინციაში, ამ უკანასკნელში ბევრი რაოდენობით მოჰყავთ: ლეღვი, გარგარი, ალუბალი, ნეში, თხილი, კაკალი და ციტრუსები.

იტალია ციტრუსების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია მსოფლიოში. ყოველწლიურად დაახლოებით 800 ათას ტონამდე სუბტროპიკული ხილი მოჰყავთ. ციტრუსები წარმოდგენილია ქვეყნის სამხრეთ ნაწილშიც, უმთავრესად, კუნძულ სიცილიაზე. მოჰყავთ შესანიშნავი ხარისხის ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, გრეიპფრუტი, მოჰყავთ აგრეთვე თანამედროვე მსოფლიოსათვის ნაკლებად ცნობილი სხვა სუბტროპიკული ხილიც, კერძოდ, ფეიხოა, ლიმონიკა და ა. შ. მეციტრუსეობა სამრეწველო საფუძველზეა განვითარებული, პლანტაციები წარმოდგენილია საკმაოდ დიდ ნაკვეთებად, ბევრ მათგანში მოვლა-მოყვანის სამუშაოები, ნაყოფის კრეფის ჩათვლით, მექანიზებულია.

სოფლის მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს მევენახეობა. ქვეყანაში მოჰყავთ ყურძნის 250 ჯიში, ყველაზე მეტად გავრცელებულია 17 ჯიში, რომელთა შორის არის როგორც სუფრის, ისე საღვინე ყურძენი. ყურძნის საერთო მოსავალი 12—13 მლნ. ტონას შეადგენს და ამ მაჩვენებლით იგი კონკურენციას უწევს საფრანგეთს. მიღებული მოსავლის 90% მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ საუკეთესო ხარისხის როგორც სამარკო, ისე სუფრის ღვინოებს. ღვინის წარმოებით იტალიას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მევენახეობა წარმოდგენილია თითქმის ყველა პროვინციაში, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ვენეტის, აპულიის, ემილია-რომანის, სიცილიის პროვინციები. კარგი ხარისხის ყურძენი მოდის აგრეთვე პიემონტის, ტოსკანის და კამპანის პროვინციებშიც. მევენახეობა სამრეწველო საფუძველზეა, აქვთ სამამულო წარმოების მექანიზებული საშუალე-

ბები, რომლებიც მოწონებით სარგებლობენ მევენახეობის წარმოების სხვა ქვეყნებშიც.

იტალიაში. ზეთისხილის წარმოება საკმაოდ შემოსავლიან დარგს წარმოადგენს. მისი პლანტაციები ძირითადად სამხრეთ პროვინციებშია წარმოდგენილი. ზეთისხილის წარმოებით იტალია მეორე ადგილზეა მსოფლიოში, ჩამორჩება მხოლოდ ესპანეთს, მისი ყოველწლიური წარმოება 3,3 მლნ. ტონას შეადგენს.

ტექნიკური კულტურებიდან განვითარებულია ბამბა და სელი, მაგრამ მათი ნათესები ყოველწლიურად მცირდება, ვინაიდან იტალიისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი ნაკლებშემოსავლიან კულტურებად ითვლებიან.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ შემოსავლიან დარგად ითვლება მეყვავილეობა. ყვავილების დიდი რაოდენობა მიდის ექსპორტზე, განვითარებულია დეკორაციული მეყვავილეობა. ეს დარგი იძლევა აგრეთვე ნედლეულს საპარფიუმერიო წარმოებისათვის, რომლის პროდუქციაც თავისი მაღალი ხარისხით, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. მეყვავილეობა ყველაზე უკეთაა განვითარებული რივერისა და ლაციოს პროვინციებში.

კუნძულ სარდინიაზე გვხვდება საცობი მუხის პლანტაციები, სადაც მზადდება აღნიშნული პროდუქციის თითქმის 80%. აქვეა დიდი რაოდენობით წაბლის პლანტაციები, რომელიც ტყის სახითაა წარმოდგენილი.

მემცენარეობა იტალიის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია, რასაც ხელს უწყობს ბუნებრივი პირობები. შედარებით სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა, თუმცა, 1980 წლიდან ტარდება ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია ამ დარგის განვითარებისათვის. მეცხოველეობაში მთავარია მერძეული და მეხორცული მიმართულება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს დარგი განსაკუთრებით სამხრეთ პროვინციებში ჯერ კიდევ წარმოების ექსტენსიურ პირობებში იმყოფება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 4,3 მლნ. სულია და იგი ძირითადად წარმოდგენილია ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში, სადაც არსებობს კარგი საკვები ბაზა, განსაკუთრებით ლომბარდიის, პიემონტის, ვენეტოს პროვინციებში, აქვეა წარმოდგენილი ქვეყნის საძოვრებისა და სათიბების ნახევარზე მეტი, ალპების მთის წინა ფერდობებისა და ალპური საძოვრების სახით. მერძეული ჯოგის პროდუქცია უმთავრესად მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ მაღალი ხარისხის კარაქს, ყველს, ხაჭოს და სხვა პროდუქტებს.

მეცხვარეობის ძირითადი რეგიონია კუნძული სარდინია, სადაც ჰყავთ ცხვრის მთელი რაოდენობის 1/3 (საერთო სულადობა მერ-

ყეობს 1,3—1,5 მლნ. სულამდე). იტალიაში ამზადებენ ცხვრის ყველს, ხოლო მატყლი მიდის სამრეწველო გადამუშავებისათვის. ქვეყანაში განვითარებულია მეღორეობაც. ღორი თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი, განსაკუთრებით, იქ, სადაც აწარმოებენ შაქრის ჭარხალს. სამხრეთ ოლქებში ჰყავთ აგრეთვე ცხენები და სახედრები, რომლებსაც ძირითადად იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას.

მეღორეობის მსგავსად თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში მეფრინველეობასაც მისდევენ, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთით არსებობს სპეციალიზებული მეურნეობებიც, რომლებიც მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების მიხედვით, თუმცა მეფრინველეობის პროდუქცია (კვერცხი, ქათმის ხორცი), ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით შემოაქვს.

მიუხედავად ზღვის სიახლოვისა მეთევზეობა სუსტადაა განვითარებული. ამის მიზეზია ის, რომ წყლები ღარიბია თევზით, სამრეწველო ხასიათი აქვს მეთევზეობას მხოლოდ ადრიატიკის ზღვისა და ნაწილობრივ სიცილიის სანაპიროზე. ვარაუდობენ, რომ მეთევზეობას აქ განვითარების გარკვეული პერსპექტივები აქვს და ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა მიმდინარეობს.

იტალიის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს კვების მრეწველობა. გამოშვებული პროდუქციის ღირებულებით ეს დარგი მესამე ადგილზეა, იგი უმთავრესად ვითარდება წვრილი გადამამუშავებელი საწარმოების ბაზაზე, რომლებიც უმთავრესად გაადგილებულია ნედლეულის წარმოების რეგიონებში. თუმცა არსებობს მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოებიც, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. კარგადაა განვითარებული საკონსერვო წარმოებაც, ძირითადად ამზადებენ ხილისა და ბოსტნეულის, განსაკუთრებით, პომიდვრის კონსერვებს, რომლებიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ევროპაში.

ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოები განლაგებულია ჩრდილოეთ იტალიაში. ბევრი მათგანი მცირე ზიდიდისაა და არსებობს იმ ფერმების სიახლოვეს, რომლებიც მისდევენ მეცხოველეობას. თუმცა, მსხვილ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში არსებობს თანამედროვე ტიპის ხორცკომბინატებიც. აქვე ამზადებენ შესანიშნავ ყველს, რომელიც მაკარონთან და ვერმიშელთან ერთად იტალიელების კვების ძირითადი პროდუქტია.

იტალია ამზადებს ზეითუნის ზეთის მსოფლიო წარმოების 1/3, რომლის 80% გააქვთ საზღვარგარეთ, ზეთის ხარისხი მაღალია და იგი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ევროპის ქვეყნებში.

განვითარებულია თამბაქოს სამრეწველო გადამუშავებაც, თუმცა, ნედლეულის ნაწილი ქვეყანას შემოაქვს საზღვარგარეთიდან. თამბაქოს ფაბრიკები მოთავსებულია დიდ ქალაქებში: მილანში, ტურინში, ნეაპოლში, ვენეციაში. არსებობს აგრეთვე ჭარხლის გადამამუშავებელი ქარხნები, რომელთა საწარმოო მოცულობა დიდია. ისინი უშვებენ მაღალხარისხოვან პროდუქციას. განვითარებულია ციტრუსოვანი ხილისა და ლიმონის წვენის წარმოებაც.

ქვეყანაში მაღალ დონეზე დგას სასოფლო-სამეურნეო განათლება და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. სასწავლო ცენტრები არსებობენ ქვეყნის თითქმის ყველა მსხვილ უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, ხოლო კვლევითი ცენტრები წარმოდგენილია შედარებით მცირერიცხოვანი დაწესებულებების სახით და უშუალოდ მდებარეობენ ამა თუ იმ რეგიონში.

სან-მარინო და ვატიკანი

სან-მარინო და ვატიკანი შედიან სამხრეთ ევროპაში და ისინი წარმოადგენენ პაწაწინა ქვეყნებს.

სან-მარინოს ტერიტორია 60,9 კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—20 ათასი, ქვეყანაში არსებობს კვების მრეწველობის მცირე საწარმოები, ხოლო საგარეუბნო ზონაში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაც, რომელსაც აქვს ნატურალური ხასიათი, მისი საფუძველია მევენახეობა, მეხილეობა და მარცვლეული კულტურების წარმოება (ხორბლის, სიმინდის). რესპუბლიკა თავის მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტებზე იკმაყოფილებს. მოჰყავთ მაღალხარისხოვანი ყურძენი და ხილი, რომელთა დიდი ნაწილი მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ კარგი ხარისხის ღვინოსა და ხილის წვენებს. სან-მარინოში მოჰყავთ: ლეღვი, ატამი, კაკალი, ნუში. წარმოდგენილია მეცხოველეობაც. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ცხვარი. თითქმის ყველა ბლეხურ მეურნეობას ჰყავს ღორი. პირუტყვს აძოვებენ არა მარტო საკუთარ, არამედ იტალიის ტერიტორიაზეც. მეცხოველეობის პროდუქციის ნაწილი ვაქვთ საექსპორტოდ—იტალიაში. ოდითგანვე განვითარებული იყო მეაბრეშუმეობაც. ამზადებენ მაღალი ხარისხის აბრეშუმის პარკს, რომელიც გადასამუშავებლად გაქვთ იტალიაში.

რაც შეეხება ვატიკანს — იგი რელიგიური ცენტრია. მდებარეობს რომის ცენტრში და წარმოდგენილია წმინდა პეტრეს ტაძრითა და ვატიკანის უძველესი სასახლით. მოსახლეობა 1000 კაცია, რომლებიც ცხოვრობენ ქ. რომში, სახელმწიფოს მეთაურია რომის პაპი. ვატიკანი ფლობს დიდძალ კაპიტალს, მას ეკუთვნის საეკლესიო მიწე-

ბი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, აქვთ აგრეთვე სამრეწველო ხასიათის საწარმოებიც. სხვა ქვეყნებში არსებული მიწები გაცემული აქვთ იჯარით, საიდანაც იღებენ კოლოსალურ მოგებას. ვატიკანს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული 124 ქვეყანასთან და წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში ანგარიშგასაწევ ძალას.

მალტა

მალტა პატარა სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის ცენტრში არსებულ კუნძულოვან არქიპელაგზე. მისი ტერიტორია 316 კვ. კმ-ია, მოსახლეობა—340 ათასი. მას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდგომარეობა უჭირავს, ამიტომ ყოველთვის იყო დიდი სახელმწიფოების მუდმივი ქიშპობის და ბრძოლის ობიექტი.

მდებარეობს რა ხმელთაშუა ზღვის ცენტრში, მისი კლიმატი სუბტროპიკულია და აქედან გამომდინარე, მცენარეული საფარიც სუბტროპიკულია. ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის, თუმცა, ნაკლებადაა წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსაყენებელი მიწები და რაც მთავარია, წყალი. ქვეყანაში გრუნტის წყლებიც კი იშვიათად მოიპოვება, რადგან იგი ძირითადად კლდოვან ტერიტორიაზე მდებარეობს, თუმცა, სასმელ და სარწყავ წყალს მაინც გრუნტიდან იღებენ. მალტის კლიმატი ეამოირჩევა ცხელი ზაფხულითა და თბილი ზამთრით, ხშირია წვიმები და ქარი. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 500 მმ-ია, სითბოს წლიური ჯამი 6500°, რაც ყველაზე მაღალია ევროპაში.

ნიადაგობრივი საფარი ქვიანია, ჭარბობს ყავისფერი ნიადაგები რომლებიც ხასიათდებიან მძიმე მექანიკური შედგენილობით. გვხვდება წითელი მიწებიც. მიწის საფარი თხელია, უმრავლეს შემთხვევაში ნაყოფიერი ფენა არ აღემატება 10—12 მმ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ნიადაგი მოაქვთ სხვა ქვეყნებიდან და ხელოვნურად ავსებენ მის დეფიციტს. თუმცა ცხელი კლიმატისა და მუდმივი ქარების მეშვეობით იგი მალე ნიავდება (ქარისმიერი ეროზია) და პერიოდულად საჭიროებს შევსებას.

მცენარეული საფარი უმთავრესად ხელოვნურია და ღარიბი, ძირითადად წარმოდგენილია ბუჩქოვნებით, კაქტუსებით, იშვიათად გვხვდება ხე-მცენარეულობა. მცენარეული საფარიდან ბევრია შემოტანილი ჯიშები. ადგილობრივი ჯიშებიდან გვხვდება ისეთი იშვიათი მცენარეულობა, რომელსაც იყენებენ ფარმაკოლოგიასა და პარფიუმერიაში.

მალტის სოფლის მეურნეობა ღარიბია და ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოიყენება ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი, ანუ ნაწილს დიდი ნაწილი ეკუთვნის სამღვდელოებას. მიწას აძლევენ იჯარით. ჭარბობს წვრილგლეხური მეურნეობები, 2 ჰექტარამდე ფართობით. ნაკვეთები წარმოდგენილია როგორც ვაკეზე, ისე ტერასებზე. ინდივრებს უმთავრესად ამუშავებენ ხელით, მოჰყავთ ორჯერადი, ზოგჯერ სამჯერადი მოსავალიც. მთავარი კულტურებია: კარტოფილი, პომიდორი, ხახვი კომბოსტო. თესავენ ხორბალს, ქერს, სიმინდს, ადრეული კარტოფილი გააქვთ იტალიასა და საფრანგეთში, აღსანიშნავია მისი მაღალი ხარისხი.

მოჰყავთ ყურძენი, ფორთოხალი, ლიღვი, გარგარი, ძალზედ პოპულარულია მეყვავილეობა. კუნძულზე კარგი პირობებია სუბტროპიკული მეხილეობისათვის, (თუმცა, ძლიერი ქარები აზიანებენ ნარგავებს). მოჰყავთ ლიმონი და სხვა სუბტროპიკული ხილი.

მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული, ამის მიზეზია სუსტი საკვები ბაზა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი თითქმის არა ჰყავთ. მეცხოველეობა უმთავრესად წარმოდგენილია მეცხვარეობით, მეთხეობით. თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში ჰყავთ ღორები. მისდევენ მეთევზეობას, რომელსაც დიდი ხვედრითი წილი უჭირავს მოსახლეობის საკვებ ბალანსში.

ქვეყანას დიდი რაოდენობით შემოაქვს მარცვლეული, მათ შორის სიფურაჟეც, აგრეთვე—ხორცისა და რძის პროდუქტები.

ვადამამუშავებელი მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ისინი ძირითადად არსებობენ წისქვილ-კომბინატების სახით. აქვთ პრიმიტიული საწარმოები ხილის წვენებისა და მებოსტნეობის პროდუქტების ვადასამუშავებლად. მრეწველობის ნაწილი მუშაობს შემოტანილ ნედლეულზე (მაგალითად, დედაქალაქ ვალეტას ხორც-კომბინატი).

საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც დაქვემდებარებულია ტურისტული ინდუსტრიის ინტერესებზე, რომელიც ქვეყნის სავალუტო შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს.

ესპანეთი

ესპანეთი ევროპაში სიდიდით მეორე სახელმწიფოა (საფრანგეთის შემდეგ), რომელსაც უჭირავს პირენეის ნახევარკუნძულის 5/6. მას ეკუთვნის რამდენიმე კუნძული, როგორც ხმელ-

თაშუა ზღვის აუზში, ასევე ატლანტის ოკეანეში. მისი ფართობია 504,7 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—39 მლნ, დედაქალაქია—მადრიდი. ქვეყანაში კონსტიტუციური-მონარქიული წყობილებაა. ესპანეთი კაპიტალისტური ქვეყანაა, იგი განვითარებული ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის, თუმცა, მისი ეკონომიკა ჯერ კიდევ არ არის მოწინავე ქვეყნების დონეზე.

ესპანეთის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია, ტერიტორიის 3/4 მდებარეობს სუბტროპიკულ სარტყელში და ჰკვეს ხმელთაშუა ზღვის დანარჩენ ქვეყნებს. ესპანეთს, შვეიცარიის შემდეგ თვლიან ერთ-ერთ მაღალმთიან სახელმწიფოდ ევროპაში. მთებსა და ნახევარმთებს უჭირავს მისი ტერიტორიის 90%, ქვეყნის ნახევარი მდებარეობს ზღვის დონიდან 660 მეტრის სიმაღლეზე.

ესპანეთს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ხშირია მთიანი მასივების მონაცვლეობა, ატლანტიკის ოკეანის გავლენა, მშრალი და ცხელი აფრიკის სიახლოვე განაპირობებს კლიმატურ განსხვავებებს, რომელიც არსებობს სხვადასხვა ზონაში. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს +14 +19° შორის, ტემპერატურული რეჟიმი, ქვეყნის ცალკეულ რაიონებში მკვეთრად განსხვავებულია. იანვრის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთ და ცენტრალურ ესპანეთში +18 +10°, ხოლო სამხრეთ ნაწილში —+10 +12°. ყველაზე ცხელი თვის საშუალო ტემპერატურა +18 +20°, ხოლო სამხრეთით —+26°. წლის განმავლობაში დაახლოებით 200 დღე ტემპერატურა +25° და მეტია.

ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ზეგანზე მდებარეობს, ზამთარი ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი, იკრძნობა წყლის სიმცირე, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით მას ინტენსიურად ვერ იყენებენ. არათანაბრად ნაწილდება ნალექები. მაგალითად, ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები, ევროპაში პირველ ადგილზეა ნალექების წლიური რაოდენობის (3000 მმ წელიწადში) ჯამით, ხოლო ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ტერიტორია ერთ-ერთი ყველაზე გვალვიანია.

მართალია ესპანეთში არის დიდი მდინარეები, (ტებრო, ტახო), მაგრამ ქვეყანა მაინც განიცდის წყლის რესურსების დეფიციტს. მდინარეების დიდი ნაწილი ზაფხულის პერიოდში შრება, განსაკუთრებით ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში. ესპანეთის თითქმის არცერთი მდინარე არაა სატრანსპორტო გამონაკლისია მდინარე გვადალკვივირი. ძალზედ მერყეობა მისი წყლის დონე, რომელიც დიდად არის დამოკიდებული ნალექების რაოდენობაზე. ქვეყნის ცენტრალურ ნა-

წილში საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ გრუნტის წყლებს, როგორც საყოფაცხოვრებოდ, ისე სარწყავად.

კლიმატურმა კონტრასტებმა, რთულმა რელიეფმა, მთიანი მასივების სიმრავლემ, გამოიწვია ნიადაგის მრავალფეროვნებაც. ჩრდილოეთში გავრცელებულია ნაკლებად ჰუმუსიანი, ეწერი ნიადაგები, აგრეთვე რუხი, ტორფიანი ნიადაგები. აღმოსავლეთში ნაცრისფერი, რუხი, რუხი-წითელი. დასავლეთში სჭარბობს მყავე რუხი და ხმელთაშუა ზღვის ტიპის წითელი მიწები.

ესპანეთი მღიდარია მცენარეული საფარით. გვხვდება 8 ათასი დასახელების მცენარეულობა, ბევრი მათგანი გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაში, აგრეთვე კულინარიაში. ე. წ. ტენიანი რეგიონებისათვის დამახასიათებელია ფოთლოვანი ტყეები, მარადმწვანე ჯიშებით, სადაც სჭარბობს მუხა, წიფელა, არყის ხე. ცენტრალურ ესპანეთში წარმოდგენილია ბუჩქნარები, სამხრეთით კი სჭარბობს სუბტროპიკული მცენარეები. ესპანეთში ტყეებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 18,3%, ხოლო საწარმოო ხასიათის ტყეებს—10%, ტყის ჭრა შეზღუდულია. ქვეყანაში მოქმედებს ბუნების დაცვის ეფექტიანი სახელმწიფოებრივი სისტემა.

ეკონომიკური თვალსაზრისით ესპანეთი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელიც თავისი განვითარებით მნიშვნელოვნად ჩამორჩება თანამედროვე ევროპის ქვეყნებს. ომის შემდეგ ესპანეთი არ გამოირჩეოდა ინდუსტრიული განვითარებით, იგი უმთავრესად აგრარული ქვეყანა იყო, რომლის ეკონომიკური აღმავლობა დაკავშირებულია უცხოური კაპიტალის მოზღვავებასთან, თანამედროვე ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვასთან, დაჩქარებული ტემპებით ვითარდებოდა ტურიზმი და საკურორტო ინდუსტრია, რამაც თავის მხრივ სოფლის მეურნეობის განვითარებასაც მისცა მიზნობრივი ხასიათი. 1970—1980 წწ. მრეწველობის განვითარებას ევროპაში ყველაზე მაღალი ტემპი ესპანეთში ახასიათებდა, ეს პროცესი დღესაც შენარჩუნებულია.

ესპანეთის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომლის წილადაც მოდის ეროვნული შემოსავლის 1/4, ამ დარგში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის 22%, რაც საკმაოდ მაღალი პროცენტია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის და მიუთითებს შრომის ნაყოფიერების დაბალ დონეზე. თუმცა, მხედველობაში უნდა მივიღოთ წარმოების ტრადიციებიც, მიწის სიყვარული, საკუთრებისადმი დიდი მიდრეკილება და სხვ. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური წარმატებებისა, სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს

ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. უხრუნველყოფის დონე 80—85%-ია. ესპანეთს შემოაქვს მარცვლეული (საფრანგეთიდან), ხორცი და მისი პროდუქტები (ჰოლანდია, ბელგია), მატყლი (ინგლისი, ირლანდია) და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი სიდიდით ევროპის მეორე სახელმწიფოა, იგი მცირემიწიანი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი ტერიტორიის მხოლოდ 10%-ია გამოსადეგი მიწათმოქმედებისათვის, სახნავი ერთ სულზე გაანგარიშებით 0,21 ჰექტარია, ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე სოფლის მეურნეობა არ იძლევა სასაქონლო ეფექტს, დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურებია მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა. სოფლის მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა, რომლის წილადაც მოდის საერთო პროდუქციის 55%, მეცხოველეობაზე—39%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მეტყევეობაზე—6%.

სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ფეოდალური ურთიერთობები. ესპანეთი არისტოკრატთა კლასიკური ქვეყანა იყო. ამიტომ აქ შემორჩენილია მიწათმფლობელობისა და მიწის გამოყენების ძველი ფორმები. ქვეყანაში მსხვილ მიწათმფლობელთა რაოდენობა 0,5%-ია, ითითოეული მათგანი საშუალოდ ფლობს 500-ზე მეტ ჰექტარს, მათ ხელში თავმოყრილია ქვეყნის სოფლის მეურნეობის სავარგულების 40%, ხოლო გლეხობაზე, რომლებიც ფლობენ (თითოეული) 10 ჰექტარამდე ფართობს და რომელთა რაოდენობაც 60%-ია, მოდის მიწის ფონდების მხოლოდ 12%, მსხვილი მიწათმფლობელობა დამახასიათებელია ქვეყნის სამხრეთ და დასავლეთ რაიონებისათვის. წვრილი გლეხური მეურნეობები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ნაკვეთადაა წარმოდგენილი, გავრცელებულია ქვეყნის ჩრდილოეთით, კერძოდ, გალიციაში, ასტურიაში, ლეონში, ძველ კასტილიაში. მსხვილ მიწათმფლობელობას თან მოჰყვა იჯარული ურთიერთობების სხვადასხვა ფორმები. გავრცელებულია მიწების იჯარით გაცემა, ხანგრძლივი პერიოდით იჯარა, იყენებენ დაქირავებულ შრომასაც, სეზონურ მუშახელსაც და ა. შ.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ ესპანეთში, გამოიწვია თანამედროვე ტექნიკის დანერგვა მიწათმოქმედებაშიც. ესპანეთში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოები, წარმოებაში ფართოდ ინერგება მექანიზაცია, ქიმიზაცია, მელიორაცია, თუმცა, ენერგოშეარაღებით ქვეყანა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ევროპის განვითარებულ ქვეყნებს. უკანასკნელ წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას მეტ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო, მოწესრიგდა შრომის

ანაზღაურების სისტემა, გაიზარდა სახელმწიფო დოტაციები, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო გასვითარების ბახკები, ქვეყასა მტკიცედ დაადგა თანამედროვე ტიპია სასოფლო-სამეურნეო წარმოების გზას, ფართოდ იყენებენ აგროტექნიკას, გასვითარდა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების ქსელი, შეიქმნა ფერმერთა სკოლები, მწარმოებლებს მიეცათ მეტი თავისუფლება, ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა მოსავლიანობის გადიდება. მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე 21%-ით გაიზარდა. მიუხედავად საგრძნობი წარმატებებისა—მინერალური სასუქების გამოყენებითა და მექანიზაციის თვალსაზრისით, ესპანეთი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ ევროპულ ქვეყნებს.

სავარგულთა 60% მდებარეობს გვალვიან რაიონებში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მელიორაციას, იქმნება ეფექტიანი სარწყავი სისტემები, რომელშიც ფართოდ იყენებენ გრუნტის წყლებს. სარწყავი მიწათმოქმედების მნიშვნელოვანი ფართობები თავმოყრილია ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ისინი იძლევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 60%-ზე მეტს.

დამუშავებული მიწების 3/4 უჭირავს მარცვლოვან კულტურებს, ზეთისხილს, ვენახს. ხორბალი, ქერი და ჭვავი ძირითადად მოჰყავთ ნაკლებნაყოფიერ ფართობებზე. ჩრდილოეთის პროვინციებში, შედარებით ტენიან მიწებზე, გავრცელებულია სიმინდის კულტურა, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა (სიმინდის გარდა) მსოფლიოს სტანდარტების დონეზე დაბალია. მარცვლეულიდან კარგ მოსავალს იძლევა ბრინჯი, რომელიც მდინარეთა ქვემო ნაწილში, ტბორიან ადგილებში მოჰყავთ, მოსავლიანობა 60—62 ცენტნერია, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. ბრინჯის წარმოებით ესპანეთს მეორე ადგილი უჭირავს ევროპაში, იტალიის შემდეგ. უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა ამ კულტურის განვითარებას, ესპანეთმა უკვე დაიწყო საექსპორტო ბრინჯის წარმოება და იგი გაიქვთ ევროპის ქვეყნებში, ძირითადად, ინგლისში, საფრანგეთში, ბელგიაში. შედარებით კარგი მოსავლიანობით ხასიათდება პარკოსანი კულტურები, რომლებიც (განსაკუთრებით ლობიო) მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს და მოჰყავთ თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოყვანას, ახლო წარსულში ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა. დღეისათვის ქვეყანას გააქვს ბადრიჯანი, პომიდორი (ტომატი), წითელი წიწაკა, ხახვი, სალათი და ა. შ. განსაკუთრებით განვითარდა მიბოსტნეობა საირიგაციო და საკურორტო ზონებში.

ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საექსპორტო მიმართულების ისეთი კულტურების წარმოებას, როგორიცაა მევენახეობა, მეციტრუსეობა, ზეითუნის ზეთის წარმოება. ღვინისა და ციტრუსების წარმოების მხრივ, ესპანეთს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს ევროპულ ქვეყნებში, ხოლო მცენარეული ზეთის წარმოებით, პირველი ადგილი. ესპანეთში ამზადებენ საუკეთესო ხარისხის ღვინოებს, რომლის უდიდესი ნაწილი მიდის საექსპორტოდ. ვენახს უკავია 1,68 მლნ ჰექტარი მიწის ფართობი. ამ მაჩვენებლით იგი მსოლოდ საფრანგეთს ჩამორჩება. ეს კულტურა გავრცელებულია ყველგან, მაგრამ განსაკუთრებით ანდალუზიის, კატალონიის, ლამანჩის პროვინციებში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან ექსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ციტრუსები, რომლის გავრცელების არეალია ხმელთაშუა ზღვის სანაპირო. ჩოჰყავთ ფორთოხალი და ლიმონი, გარდა დასახელებული ხილისა გავრცელებულია ასევე ნუში, ლეღვი, ბროწეული და ატამი. ციტრუსების წარმოების მხრივ ესპანეთს პირველი ადგილი უჭირავს ევროპაში. 1985 წელს ქვეყანაში აწარმოეს 1,8 მლნ. ტონა პროდუქცია, რომლის ლიდი ნაწილი საექსპორტოდ გაიტანეს. ჩრდილოეთ ესპანეთში კი გავრცელებულია ვაშლის, ბსლის, ალუბლის ბაღები, მათი პროდუქციის ნაწილი მოიხმარება ნატურალური სახით, ხოლო ნაწილი მიდის გადამუშავებაზე.

ესპანეთში წარმოდგენილია ტექნიკური კულტურებიც: შაქრის ჭარხალი, მზესუმზირა, ბამბა, თამბაქო, მაგრამ ამ კულტურებს შედარებით მცირე ფართობები უჭირავთ. თუმცა, მათი მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია, ვინაიდან ისინი ძირითადად მოჰყავთ სარწყავ მიწებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ესპანეთი თავის მოთხოვნილებებს აღნიშნულ პროდუქციაზე იკმაყოფილებს.

მეცხოველობა შედარებით სუსტადაა განვითარებული, რაც აიხსნება პუნქტბრივი საძოვრების დაბალი პროდუქტიულობით, ცუდი საკვები ბაზით, განსაკუთრებით წლის გვალვიან ე. წ. მშრალ პერიოდში. იქაც კი, სადაც მეცხოველეობის განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობებია (ქვეყნის ჩრდილოეთი პროვინციები), მისი პროდუქტიულობა 2—3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, წველადობა 25%-ით ნაკლებია, ვიდრე ნიდერლანდსა და დანიაში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 5 მილიონია. საქონელი ჰყავს თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობას. არსებობს სპეციალიზებული მერძეული და მეხორცული. მართულების მეურნეობები, სადაც საწარმოო პროცესები მექანიზ-

ბულია. ეკონომისტების გაანგარიშებით ესპანეთს შეუძლია იყოლიოს 3,5—4 მლნ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რაც ქვეყნის საკვები ბაზის წესაბამისი იქნება. სამაგიეროდ, გაიზრდება პროდუქტიულობის მაჩვენებელი. ქვეყანაში შედარებით კარგადაა წარმოდგენილი მეცხვარეობა, მათი ოდენობა 15 მლნ. აღემატება, ჰყავთ ავრეთვე თხები— 2,3 მლნ. სული, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია მთიან პროვინციებში და მომთაბარე ხასიათისაა. ზამთრობით ცხვარი ჩამოჰყავთ ზღვისპირა საძოვრებზე. მეცხვარეობა ხორცის წარმოების ერთ-ერთი მთავარი რეზერვია. კარგადაა წარმოდგენილი მეღორეობაც—10,8 მლნ. სული. ღორის ხორცი კვების ძირითადი პროდუქტია, ამიტომ იგი ჰყავთ ყველა გლეხურ მეურნეობაში. განსაკუთრებით მოთხოვნილებაა გოჭებზე, მისი რეალიზაცია ხდება ტურისტულ ცენტრებში.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დიდ ქალაქებთან შეიქმნა კაპიტალისტური ტიპის თანამედროვე მეცხოველეობის კომპლექსები, სადაც პროდუქციის წარმოებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. პროდუქტიულობა ასეთ ფერმებში საკმაოდ მაღალია და უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს. საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ ესპანეთში ხელოვნურად გამოჰყავთ ბუღების სპეციალური ჯიში, რომელსაც სახახაობისათვის იყენებენ (კორიდა). მეცხოველეობის აღნიშნული მიმართულება საკმაოდ შემოსავლიანი დარგია. სოფლის მეურნეობაში, როგორც საწარმოო ძალას, ფართოდ იყენებენ ხარებს, ცხენებს და სახედრებს. ენერგეტიკული საშუალებების სტრუქტურაში ცოცხალი გამწევი ძალის ხვედრითი წილი 12—14% უდრის.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს მეცხოველეობის პროდუქციაზე და შემოაქვს იგი ჰოლანდიიდან, ბელგიიდან და საფრანგეთიდან.

სოფლის მეურნეობის განვითარებას თან მოჰყვა გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის განვითარებაც, არსებობს კარგად აღჭურვილი კვების მრეწველობის საწარმოები, როგორც უკვე აღვნიშნეთ ამზადებენ საუკეთესო ხარისხის ღვინოს, ყველს, ხორცის ნაწარმს. გადამამუშავებელი მრეწველობა წარმოდგენილია, როგორც მსხვილი, ისე მცირე სიმძლავრის საწარმოებით, იგი შეიძლება იყოს კოლექტიური საკუთრებაც.

სპეციალისტების ვარაუდით საუკუნის დასასრულს ესპანეთი შესძლებს არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებების უზრუნველყოფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, არამედ მათ ჭარბწარმოებასაც, ამისათვის უკვე არსებობს სახელმწიფო პროგრამა.

გიბრალტარი ინგლისის კოლონიაა, მდებარეობს პირინეის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთით, მისი ტერიტორია 6,5 კვ. კმ-ია, რომელიც კლდოვან ზეგანზე მდებარეობს. გიბრალტარი სამხედრო-საზღვაო ბაზაა, რომელსაც საკუთარი წარმოება არ გააჩნია. არ არსებობს სოფლის მეურნეობაც (თუ ცხედველობაში არ მივიღებთ ნოყვარულ მწარეოებლებს, რომლებსაც ძირითადად მოჰყავთ ბოსტნეული და ყვავილები). გიბრალტარში მუდმივი მოსახლეობაც არ არის, არსებობს სამხედრო კონტიგენტი, რომელიც პერიოდულად იცვლება. მოსახლეობა მთლიანად შემოტანილი პროდუქტით არსებობს, საკუთარს წარმოადგენს მხოლოდ თევზი, რომელსაც დიდი რაოდენობით იჭერენ სანაპირო წყლებში.

ა ნ დ ო რ ა — ესპანეთსა და საფრანგეთს შორის მდებარეობს და ამ ორი ქვეყნის პროტექტორატია, იგი პირინეის მთებშია განლაგებული. მისი ტერიტორია 465 კვ. კმ-ია, მოსახლეობა—30 ათასი, აქედან, საკუთრივ ანდორელი 8 ათასია. ქვეყანა მთაგორიანია, ნალექების რაოდენობა არ აღემატება 600 მმ წელიწადში, იანვრის ტემპერატურა —2°, ხოლო ივლისისა —+20°. ანდორელები შთამომავლებით მეცხვარეები და მეჯოგეები არიან. ეკონომიკა სუსტადაა განვითარებული, არ ყოფნით სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მოსახლეობა ძირითადად სოფლად ცხოვრობს, შემორჩენილია ფეოდალური ურთიერთობები.

ანდორაში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელშიც ძირითადია მეცხოველეობა, კერძოდ, მეცხვარეობა. ქვეყანაში 30 ათასამდე ცხვარია, რომელიც ძირითადად ძოვებაზე ჰყავთ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 3 ათას სულამდეა. ჰყავთ ხარები, ცხენები. მეცხოველეობის პროდუქტებით ქვეყანა უზრუნველჰყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს, თითქმის ყველა გლეხურ ოჯახში ჰყავთ ღორი, ქათამი.

მიწათმოქმედება განვითარებულია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სადაც შედარებით ხელსაყრელი პირობებია ხორბლისა და სიმინდის ნათესებისათვის. მოჰყავთ აგრეთვე ხილი, კერძოდ, ვაშლი, მსხალი, ალუბალი. ანდორაში მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობს. სახნავი, საძოვარი, სათიბები ეკუთვნის სახელმწიფოს ან თემს, რომლებიც მიწას ურიგებენ გლეხებს დასამუშავებლად. მთავარ სასოფლო-სამეურნეო კულტურას წარმოადგენს თამბაქო, რომელიც საუკეთესო ხარისხისაა, აქვთ თამბაქოს გადამამუშავებელი ფაბრიკა, უშვებენ მა-

ღალი სარისხის სიკარეტებს. მარცვლეული შემოაქვთ საფრანგეთიდან. ვითარდება მეგოსტნეობაც, რომელსაც ეკონომიკური განვითარების კარგი ბაზა შეუქმნა ტურიზმმა.

საბერძნეთი

საბერძნეთი ძველი კულტურის ქვეყანაა, რომელმაც რომთან ერთად დასაბამი მისცა ევროპულ ცივილიზაციას. დღევანდელი საბერძნეთი კაპიტალისტური ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, მისთვის დამახასიათებელია განვითარების კაპიტალისტური სისტემის ყველა ელემენტი, სადაც გადამწყვეტ როლს მონოპოლისტური კაპიტალი ასრულებს. პოლიტიკური წყობით იგი პარლამენტური რესპუბლიკაა, სადაც დიდი უფლებები აქვს მინიჭებული აღმასრულებელ ხელისუფლებას.

საბერძნეთის ფართობი 131,9 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—10 მლნ., დედაქალაქი—ათენი. მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე 1000-მდე კუნძული. თანამედროვე საბერძნეთი, ისევე როგორც ძველ დროს, მჭიდროდაა დაკავშირებული ზღვასთან, რომელიც ღიად განსაზღვრავს მისი ეკონომიკის პროფილს და მიმართულებას. ქვეყანა 1453 წლიდან 1822 წლამდე იმყოფებოდა ოტომანთა იმპერიის შემადგენლობაში, რამაც საგრძნობლად შეაჩერა მისი, როგორც ეკონომიკური, ისე კულტურული განვითარება.

საბერძნეთი მთიანი ქვეყანაა, მთებს უჭირავს ტერიტორიის 3/4, მისი ლანდშაფტი კლდოვანია, ძირითადად მოშიშვლებული, თუმცა, ვხვდებით ნაყოფიერ ველებს, განსაკუთრებით დაბლობ რაიონებში. მთები არ არის მაღალი, იშვიათად აღწევს 1800—2000 მეტრს ზღვის დონიდან. ალპებისაგან განსხვავებით მთებს აქ უფრო „მშვიდი“ ხასიათი აქვთ და დიდ გავლენას ახდენენ ქვეყნის კლიმატზე. ზომიერი სუბტროპიკული კლიმატი დამახასიათებელია მხოლოდ ზღვისპირა დაბლობებისათვის, ხოლო მთებში მკაცრი ზამთარი იცის. მოდის უხვი თოვლი, რომელიც ადრეულ ზაფხულამდე არ იწყებს დნობას. დასავლეთი ნაწილი გამოირჩევა უფრო ტენიანი და რბილი ჰავით ვიდრე აღმოსავლეთი. მთებში ნალექების რაოდენობა 1200 მმ-მდეა, გვხვდება რაიონები, სადაც ნალექები 350—500 მმ არ აღემატება. ასეთი რეგიონები განიცდიან წყლის რესურსების დეფიციტს. იანვრის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილოეთით +4°, ხოლო ეგეოსის ზღვის სანაპიროზე —+11 +13°. მთებსა და მთის წინა კალთებზე იცის ყინვებიც. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა ვეგეტაცია ზამთარშიც კი არ წყდება. მარადმწვანე მცენარეები (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ მწვანე სამოსელს. იან-

ვარ-თებერვალში კი ზღვისპირა ზოლში ჰყვავიან ყვავილები. ივლისიდან იწყება ზაფხულის ცხელი პერიოდი და მცენარეული საფარი საგრძნობლად ფერმკრთალდება, ლანდშაფტი იღებს რუხ-ყვითელ ფერს, საშუალო ტემპერატურა 26+28° უდრის. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც იგი +40 +42°-მდე აღწევს. ამ პერიოდში დამყოფეობას ასწარეს ისეთი კულტურები, როგორიცაა ლეღვი, ბროწეული და სხვ.

საბერძნეთი ტყეებით მდიდარი არ არის, (10—11%). ტყეები მეჩხერია და უმთავრესად ბუჩქოვნებითაა წარმოდგენილი. ნიადაგები ძრავალფეროვანია, ვხვდებით როგორც ყვითელმიწა, რუხ, ისე რუხ-ყავისფერ ნიადაგებს. მთიან ზონაში ნიადაგები თხელი ფენითაა წარმოდგენილი, რაც სუსტი მცენარეული საფარის მიზეზია. ნიადაგები ეანიცდიან ხშირ ჩამორეცხვას, რაც იწვევს მათ დაკნინებას. ზღვისპირა ზოლი მარადმწვანეა. აქ დაბლობში ნიადაგები მდიდარია ჰუმუსით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ქვიანია და აძნელებს მათ დამუშავებას.

თანამედროვე საბერძნეთი ეკონომიკური განვითარების დონით საგრძნობლად ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს, რაც გამოიწვია უპირველეს ყოვლისა ოსმანთა იმპერიის ხანგრძლივმა ბატონობამ და ბუნებრივი რესურსების სიღარიბემ. 1960 წლიდან ქვეყანაში დაიწყო სამრეწველო განვითარება, რასაც ხელი შეუწყო უცხოური კაპიტალის დაბანდებამ. 1985 წლის მონაცემებით ნაციონალური შემოსავლის 35% მოდის მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 13,2%-ია, ხოლო დანარჩენი მოდის მომსახურების სფეროზე.

ევროპის სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ნაციონალურ შემოსავალში ჯერ კიდევ მაღალია. საერთო ბაზარში შესვლამ მნიშვნელოვნად დაასუსტა სოფლის მეურნეობა, ვინაიდან ქვეყნის ძირითადმა საექსპორტო პროდუქციამ—ხილი, ბოსტნეული, ღვინო, ერთიანი საბაზრო სპეციალიზაციის პირობებში ვერ გაუძლეს სხვა ქვეყნების კონკურენციას, მაგალითად, 1985 წელს მათ გაანადგურეს 52 ათასი ტონა ატამი და 32 ათასი ტონა ბოსტნეული, რომლებსაც „საერთო ბაზრის" პირობებში არ აღმოუჩნდათ მყიდველი. საბერძნეთი მცირემიწიანი ქვეყანაა, სახნავი ერთ სულზე გაანგარიშებით 0,16 ჰექტარს არ აღემატება.

ქვეყანაში სჭარბობს წვრილი გლეხური მეურნეობები, რომელთა საშუალო ფართობი 2 ჰექტარს არ აღემატება. მიწას საკუთარი ძალებით ამუშავებენ, უმთავრესად პრიმიტიული იარაღებით. ზოგ შემთხვევაში ისინი ერთიანდებიან მარტივ კოოპერატივებად, უმეტესად,

გასაღების ორგანიზაციისათვის. გლეხებს აქვთ მიწის დამუშავების დიდი კულტურა, ეწევიან რაციონალურ მიწათმოქმედებას. აქ სადაც ძიწები უფრო ნაყოფიერია (მაკედონია, პელიპონესი) გვხვდება მსხვილი მემამულური მეურნეობებიც, რომლებიც მოწყობილია თანამედროვე დონეზე, აქ იყენებენ უცხოური წარმოების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას (საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ჭვეყანას არ გააჩნია), ქიმიზაციას, მოწინავე აგროტექნიკას. ქსხვილ მეურნეობებში (5 ჰა და მეტი) უფრო მეტად იყენებენ დაქირავებულ შრომას. თუმცა, არის მიწის ხანგრძლივი იჯარით გაცემის შემთხვევებიც. მსხვილ მეურნეობას აქვს ხილის, ყურძნის, ციტრუსების გადასამუშავებელი პატარა-პატარა საწარმოებიც. 1980 წლებში გატარებულმა აგრარულმა რეფორმამ არ გაამართლა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება მაინც ჩამორჩენილ დარგად დარჩა.

საბერძნეთში ტერიტორიის მხოლოდ 1/4-ზე არის შესაძლებელი მიწათმოქმედება, რაც აბსოლუტურ მაჩვენებელში 3,5 მლნ. ჰექტარს შეადგენს და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან ნაყოფიერებით. სახნავის 60% მეტი საჭიროებს ხელოვნურ მორწყვას, ირწყვება მხოლოდ 20%, რომელზეც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 56%.

საბერძნეთი ოდითგანვე აწარმოებდა ისე შრომატევად პროდუქტებს, როგორიცაა: თამბაქო, ზეთისხილი, ყურძენი, ციტრუსები, ბამბა. ეს კულტურები დღესაც დომინირებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და მათზე მოდის სწორედ ექსპორტის დიდი ნაწილიც.

შედარებით ნაყოფიერ მიწებზე (მაკედონია, ფრაკია, ფესალია) მოჰყავთ მარცვლეული კულტურები, ძირითადად ხორბალი, რომლის ნათესებს სახნავის 60% უჭირავს. გარდა ამისა, ითესება ქერი და ნაწილობრივ სიმინდიც. უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეული კულტურები სარწყავ მიწებზე კარგ მოსავალს იძლევა (39—40 ცენტნერი ჰექტარზე).

ქვეყნის ჩრდილოეთით, შედარებით დაჭაობებულ ფაოთობზე, მდინარეების ვარვარასა და სტრიმე ნას ხეობებში თესავენ ბრინჯს, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს ქვეყნის ექსპორტში. ბრინჯის მოსავალი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. ამავე ზონაში თესავენ ჭვავსა და სიმინდს, აგრეთვე ბაღჩოვან კულტურებს.

კარგ მოსავალს იძლევა ბოსტნეული კულტურებიც. დიდი რაოდენობით მოჰყავთ პომიდორი (1,8 მლნ ტონა წელიწადში), რომელიც იგზავნება ევროპის ქვეყნებში ნატურალური სახით, ხოლო ნაწილს აგზავნიან გადამუშავებაზე. პომიდვრის შეზავებული წვენი დიდი

მოთხოვნილებით სარგებლობს ევროპაში. ბოსტნეულიდან მოჰყავთ, წიწაკა, ბადრიჯანი, სალათი, სტაფილო, ავრეთვე ბალახეული ბოსტნეულიც (ქინძი, ოხრახუში, წიწმატი და ა. შ.).

მსოფლიოს ბაზარზე განსაკუთრებით ფასობს ბერძნული თამბაქო, რომელსაც ამუშავებენ როგორც ადგილზე, ისე ნედლეულის სახით აგზავნიან საზღვარგარეთ (ძირითადად იტალიაში), თუმცა, თვითონ იღებენ თურქეთისაგან თამბაქოს ნედლეულს გადასამუშავებლად.

ქვეყნის სანაპირო ზოლში (ეგეოსის ზღვის გამოკლებით), წარმოდგენილია ციტრუსოვანთა პლანტაციები. არის ფორთოხლის, მანდარინის, ლიმონის ნარგავები, რომლებიც კარგ მოსავალს იძლევიან და გამოირჩევიან მაღალი ხარისხით. 1985 წლისათვის ქვეყანამ აწარმოა 1,8 მლნ. ტონა ციტრუსი. სუბტროპიკულ ხილს საექსპორტოდ აგზავნიან ევროპულ ქვეყნებში, როგორც ნატურალური, ისე გადამუშავებული (წვენები, ჯემი) სახით. ციტრუსოვანთა ბაღები წარმოდგენილია, როგორც დიდი პლანტაციების, ისე პატარა-პატარა ნაკვეთების სახით. დიდი პლანტაციების დამუშავებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. ამავე ზონაშია წარმოდგენილი ვაშლის, მსხლის, ატმის, გარგარის, ლეღვის ბაღებიც. პროდუქციის ხარისხი ამ შემთხვევაშიც საკმაოდ მაღალია და ციტრუსოვნების მსგავსად ეს ხილიც მოიხმარება როგორც ნატურალური ისე გადამუშავებული სახით.

საბერძნეთში ოდითგანვე მოჰყავდათ ყურძენი, ქვეყანაში არსებობს ვაზის უნიკალური აბორიგენული ჯიშები, დღესაც გრძელდება ეს ტრადიცია. ამზადებენ საუკეთესო ხარისხის საქიშმიშე ყურძენს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოჰყავთ საუკეთესო ყურძენი სამარკო ღვინოებისათვის. ამზადებენ მაგარ სასმელებს. მევენახეობა-მეღვინეობით განთქმულია კუნძული სამორა. ამ დარგს სამრეწველო ხასიათი აქვს. ყურძნის გადამუშავება ხდება მცირე მოცულობის ღვინის ქარხნებში, რომლებიც აწარმოებენ ნედლეულის პირველად გადამუშავებას. ეკონომიკური თვალსაზრისით ნედლეულის წარმოება და მისი გადამუშავება ხშირ შემთხვევაში ერთ საწარმოო ციკლში არის მოქცეული. ქვეყანაში ამზადებენ დაახლოებით1,1—1.2 მლნ. ტონა ყურძენს.

უძველესი კულტურაა ზეთისხილიც. ზეითუნის ზეთის წარმოებით საბერძნეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში—ესპანეთისა და იტალიის შემდეგ. ამ კულტურას უჭირავს 0,5 მლნ. ჰექტარი და ძირითადად განვითარებულია ცენტრალურ და სამხრეთ პროვინციებში, აგ-

რეთვე კუნძულებზე. ზეითუნის ზეთის 70% ქვეყანას გააქვს საექსპორტოდ.

საბერძნეთი ბამბის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ბამბა მოჰყავთ მდინარეების ხეობებში, აგრეთვე კუნძულ ლემნოსზე. ბამბის საშუალო წლიური წარმოების მოცულობაა 450—460 ათასი ტონა. ბამბას ამუშავებენ საბერძნეთის საფეიქრო საწარმოებში და მზა პროდუქციის სახით ვადის ევროპაში.

მიუდევენ აგრეთვე მეყვავილეობას, რომელიც უმთავრესად წარმოდგენილია სანაპირო და საკურორტო ცენტრების საგარეუბნო ზონაში. ყვავილები ნატურალური სახით გააქვთ საზღვარგარეთ.

საბერძნეთში მეცხოველობა სუსტადაა განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკაში იგი უმნიშვნელო როლს თამაშობს, რაც უმთავრესად მცირემიწიანობით და ღარიბი საკვები ბაზით აიხსნება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1 მლნ. სულს არ აღემატება. პროდუქტიულობა დაბალია (2800 ლიტრი), პირუტყვი ძირითადად ძოვებაზეა, მხოლოდ ზამთრის თვეების განმავლობაში ჰყავთ ბაგურ კვებაზე და ისიც მთიან ზონაში. მეცხოველეობა წარმოდგენილია აგრეთვე მეცხვარეობით (8 მლნ. სული) და მეთხეობით (4,5 მლნ. სული), აქ პოპულარულია ცხვრისა და თხის ხორცი.

ამზადებენ ცხვრის მატყლს, რომელსაც ამუშავებენ, როგორც სამრეწველო ისე კუსტარული წესით. დიდი პოპულარობით სარგებლობს ცხვრის ყველიც, წველადობა ერთ სულ ცხვარზე 6—7 ლიტრია წელიწადში, რაც საშუალო მაჩვენებლად ჩაითვლება. თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი მეღორეობა და მეფრინველეობა, მთიან ზონაში ჰყავთ ფუტკარი, ამზადებენ მაღალი ხარისხის თაფლს და ცვილს.

მოსახლეობის საკვებ ბალანსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეთევზეობას (20—22%), სანაპირო წყლები მდიდარია თევზით. თევზის ჭერას აქვს როგორც ინდივიდუალური, ისე სამრეწველო ხასიათი. არსებობს თევზის გადამუშავების საწარმოები, პროდუქცია (გამხმარი თევზი) იგზავნება საექსპორტოდ.

ქვეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა. აქ ბევრია პატარ-პატარა ღვინის, ხილის წვენების. საკონსერვო საწარმოები, უკანასკნელ წლებში შეიქმნა რამდენიმე მსხვილი საწარმო, რომელიც საექსპორტო პროდუქციას უშვებს.

მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია (13%), იგი მაინც ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების პროდუქტებით. შემოაქვთ მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები, რაც შეეხება იმპორტ-ექსპორტის საერთო ბალანს, იგი საბერძნეთის სასარგებლოდაა, ვინაიდან უფრო მეტი ღირებულების პროდუქცია ეაქვთ (ღვინო, ციტრუსები, თამბაქო, ხილის წვენები, ბოსტნეული, ზეითუნის ზეთი და სხვ.), ვიდრე შემოაქვთ. ქვეყნის მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი ამზადებს სასოფლო-სამეურნეო კადრებს, არსებობს რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი, რომლებიც ამუშავებენ მეცნიერულ ეობასა და მევენახეობაში არსებულ აქტუალურ პრობლემებს.

VI თავი

აზია

აზია ოფლიოს ყველაზე დიდი რეგიონია, რომელსაც უკავია ხმელეთის 1/3. მისი ფართობი (ყოფილი სსრკ-ს გამოკლებით) 27,6 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—2,4 მილიარდი. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი სიდიდე განაპირობებს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებას. იგი ხუთ გეოგრაფიულ სარტყელში მდებარეობს. ზომიერში, სუბტროპიკულში, ტროპიკულში, სუბეკვატორულსა და ეკვატორულში. აზიაშია მსოფლიოს უდიდესი მთიანი სისტემები და ავრეთვე ყველაზე მაღალი წერტილი—ჯომოლუნგმა (8848 მეტრი). მის ტერიტორიაზე განლაგებულია მსოფლიოს 46 ქვეყანა, მათ შორის ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყანა, როგორიც იაპონიაა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსოფლიო წარმოებაში აზიის წილად მოდის ჯუთის მსოფლიო წარმოების 97%, ნატურალური კაუჩუკის—91%, ბრინჯის—84%, ჩაის—76% და ა. შ. აზია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მის წილად მოდის ნავთის მსოფლიო მოპოვების 45%.

აზია ხასიათდება დიდი ტემპერატურული სხვადასხვაობით, ვხვდებით რეგიონებს, სადაც იანვრის თვის ტემპერატურა—20° აღწევს, სამხრეთით კუნძულ იავაზე ამავე თვის ტემპერატურა +35°-ია. აზია მდიდარია წყლის რესურსებით, თუმცა ვხვდებით საკმაოდ დიდ რეგიონებს, სადაც მდინარე საერთოდ არ არის, ხოლო ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 50 მმ არ აღემატება.

აზიაში ვხვდებით ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელია, თუმცა არსებობს უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ტიპის უზარმაზარი, სრულიად უსიცოცხლო რეგიონებიც. მრავალფეროვანია მცენარეული საფარიც. აზიაში წარმოდგენილია მსოფლიოს ყველა ზონისათვის დამახასიათებელი მცენარეები, ბევრია ენდემური ჯიშებიც, რომლებიც მხოლოდ ლოკალურადაა გავრცელებული.

სამხრეთ-დასავლეთი აზია

(ავღანეთი, ირანი, თურქეთი, სირია, ლიბანი, იორდანია, ერაყი, საუდის არაბეთი, იემენის არაბული რესპუბლიკა, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ომანი, არაბთა გაერთიანებული ემირატი, ბახრეინი, კატარი, კუვეიტი, ისრაელი, კიპროსი)

სამხრეთ—დასავლეთი აზია მოიცავს ახლო და შუა აღმოსავლეთს: მცირე აზიის ნახევარკუნძულს, სომხეთისა და ირანის მთიანეთს, მესოპოტომიას, არაბეთის ნახევარკუნძულს, სპარსეთის ყურისა და წითელი ზღვის კუნძულებს. საერთო ფართობი 6 მლნ. კვ. კმ-ია (აზიის კონტინენტის 15%), რეგიონში ცხოვრობს 145 მილიონი კაცი (აზიის მოსახლეობის 6%).

რეგიონის ლანდშაფტი ერთგვაროვანია, ჭარბობს უდაბნოები, ნახევრად უდაბნოები, მთიანი ველები. მათ ფონზე გამოირჩევა თოვლიანი მწვერვალები, მწვანეში ჩაფლული მდინარეების ხეობები, ეფრუნტის წყლების ირგვლივ ოაზისები. განვითარებულია სარწყავი მიწათმოქმედება, მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეცხოველეობა.

სამხრეთ-დასავლეთი აზია უძველესი ცივილიზაციის აკვანია — პალესტინაში ჯერ კიდევ IX—VIII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეწეოდნენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას; მესოპოტომიაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე 4 ათასი წლის წინათ ჰქონდათ სარწყავი მიწათმოქმედება; მცირე აზიაში აღმოჩენილია უძველესი მეტალურგიის კერები; IV—I საუკუნეში ჩვენს ერამდე. რეგიონის ქვეყნებში შეიქმნა პირველი მიწათმფლობელური სახელმწიფოები; პალესტინასა და მესოპოტამიაში ჩამოყალიბდა უძველესი რელიგიური მოძღვრებანი: ქრისტიანული, იუდაიზმი და ისლამი. მომდევნო პერიოდებში შეიქმნა უდიდესი არაბული იმპერიები. რეგიონის ქვეყნების განვითარება შეფერხდა ჩვენი წელთაღრიცხვის შუა საუკუნეებში, რასაც ხელი შეუწყო მომთაბარე ტომების შემოჭრამ, ხოლო მოგვიანებით—ევროპული ქვეყნების ექსპანსიამ. აზიის ქვეყნების ძირითა-

დი რელიგია ისლამია, მხოლოდ კვიპროსზე—მოსახლეობის 80% და ლიბანში—40% არის ქრისტიანობის მიმდევარი.

რეგიონის ტერიტორიაზე ჭარბობს ირიგაციული მიწათმოქმედება, ირიგაციის ფართო ქსელით და მოძთაბარე ცხოველეობით. მიწათმოქმედების ძირითადი იარაღებია: ხის კავი, თოხი და სხვა. ადგილობრივად იყენებენ თიხის ღაბალ სახლებს — ბანიანი სახურავითა და მიწის იატაკით. დაბალია მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა, დიდია ბავშვთა სიკვდილიანობის დონე, მოსახლეობის უმრავლესობა გაუწავლელია.

ყოველივე ზემონათქვამი არ ეხება ნავთობითა და სხვა წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებს, რომელთა მოსახლეობის ცხოვრების დონე არა მარტო მიუახლოვდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ზოგ შემთხვევაში გადააჭარბა კიდეც (ისრაელი, კვიპროსი და ნაწილობრივ თურქეთიც).

არათანაბარია ურბანიზაციის პროცესიც, ზოგ ქვეყანაში იგი ძალზედ მაღალია. მაგალითად, ისრაელში ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 80%, კუვეიტში, კატარში, ბახრეინში—70%, ხოლო ავღანეთში, საუდის არაბეთსა და იემენის არაბთა რესპუბლიკაში მოსახლეობის მხოლოდ 10%. მთლიანად, რეგიონში სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 60% მეტი, რეგიონის მოსახლეობის 10% მომთაბარეობს.

სოფლის მოსახლეობა უმთავრესად ჯერ კიდევ ნახევრად ფეოდალურ პირობებში ცხოვრობს. გლეხების უმრავლესობა ან უმიწაწყლოა, ან მოჯამაგირე, რომელთაც მეპატრონისაგან მიწა მიცემული აქვთ იმ პირობით, რომ მის საფასურად ემსახუროს მიწის მფლობელს. ურთიერთობის ეს ფორმა ძალზედ გავრცელებულია ავღანეთში, საუდის არაბეთში, ირანში და სხვა ქვეყნებში.

რეგიონის ქალაქის მოსახლეობა ძირითადად შედგება ხელოსნებისგან. წვრილი ვაჭრებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან, (2/3 ხელით შრომაზეა). ბევრია ნავთობით მდიდარი ქვეყნები. გამოკვლეული ნავთის მარაგი 50 მილიარდი ტონაა, რაც კაპიტალისტური მსოფლიოს ნავთის მარაგის 70%-ია. 1985 წელს რეგიონში ამოღებული იქნა 1,2 მილიარდი ტონა ნავთი. ამავე რეგიონში ბუნებრივი გაზის უდიდესი მარაგია (10 ტრილიონი კუბმეტრი), რაც კაპიტალისტური მსოფლიოს მარაგის 33% შეადგენს. არის სხვა ბუნებრივი სიმდიდრეებიც: რკინა, სპილენძი, მანგანუმი, ტყვია თუთია, მოლიბდენი, ბოქსიტები, ფოსფორიტები და სხვ.

რეგიონის ქვეყნებში მოპყავთ ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო ნედლეული, რომლითაც პროდუქციის ზოგიერთი სახეობის მიხედვით

წამყვანი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში, მაგალითად, თურქეთი მოხერის ტიპის ძაფის ყველაზე დიდი ექსპორტიორია, ავღანეთს მსოფლიო ბაზარზე გააჩნია ყველაზე საუკეთესო კარაკული, მსოფლიოში ყველაზე კარგი ხარისხის ყავა მოდის იემენში, ფინეთის მსოფლიო ფოსფორების 80% მოდის ერაყზე, ირანს მსოფლიო ბაზარზე ყველაზე დიდი რაოდენობის ნავთობპროდუქტები გააჩნია და ა. შ.

საყოველთაოდაა ცნობილი აღნიშნული ქვეყნების კუსტარული ნაკეთობანი და სხვა. რეგიონის ქვეყნებს აქვთ ყველა პირობა იმისათვის, რათა ეცხოვნათ ბალანსირებული ნაციონალური შრეწველობა, ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს დაუგროვდათ უზარმაზარი რაოდენობით თავისუფალი კაპიტალი, რომელთა დაბანდებაც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში უდიდეს მოგებას იძლევა.

ავღანეთი

ავღანეთი მდებარეობს აზიის სიღრმეში, რომლის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ქვაღორღიანი უდაბნოები და მშრალი სტეპებია. ჰინდიქუშის მთიანეთში ერის მარადთოვლიანი მწვერვალები, სამხრეთით კი სუბტროპიკული ზონაა. ავღანეთს გასასვლელი ზღვაზე არა აქვს. მისი ტერიტორია 655 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—20 მლნ-ზდე. 1973 წლამდე ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქია იყო, ღღეისათვის ეი რესპუბლიკაა, დედაქალაქია—ქაბული.

ავღანეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინათ არსებობდა სახელმწიფოებრიობა. სოფლის მოსახლეობა ბოლო დრომდე წისდევდა ნახევრად მომთაბარე მეჯოგეობას. იგი ხშირად ყოფილა ომებისა და სამხედრო შეტაკებების ობიექტი.

ავღანეთი მთიანი ქვეყანაა. მთებს უჭირავს ტერიტორიის 3/4, მთიანი სისტემა წარმოდგენილია მაღალი მწვერვალებითა და ქედებით, რაც ბნიშვნელოვნად აფერხებს სატრანსპორტო მიმოსვლას ქვეყანაში. ყველაზე მაღალი მწვერვალია მთა ნაუშაკი (7455 მ), აღმოსავლეთით გადებარეობს მთათა სისტემა ჰინდიქუში (მწვერვალი თირიჩმირი—6729 მ). ავღანეთის მთიანეთის სამხრეთით მდებარეობს ე. წ. ბრტყელი ზეკანი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით დაბლდება და ეაღადის ნახევრად უდაბნოში.

ქვეყნის კლიმატი ძირითადად კონტინენტურია, თუმცა, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით ადგილი აქვს მკვეთრ ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთი მდებარეობს იმ განედზე, რომელზეც ტუნისი, მაროკო და ალჟირი (მსგავსება ამ ქვეყნებთან იმაშია, რომ აქაც იცის მცხუნვარე ზაფხული და ნალექები აქაც მცირე რაო-

დენობით მოდის); მათგან, განსხვავებით აქ მკაცრი ზამთარი იცის—ტემპერატურა—20—25°-მდე ეცემა.

ავღანეთის ნიადაგები დაბალი ნაყოფიერებით ხასიათდება, მთებისა და ფერდობების უდიდესი ნაწილი საერთოდ არ არის დაფარული ნიადაგით. ჭარბობს რუხი ნიადაგები. სახნავი უმთავრესად მდებარეობს ბდინარეთა ხეობებში, ოაზისებში ვხვდებით სარწყავ მიწებსაც, გავრცელებულია მლაშე და ქვიშიანი ნიადაგები.

მცენარეული საფარი ღარიბია, მაგრამ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. მათ უმრავლესობას ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანთვისება გააჩნიათ—გვალვაგამძლეობა. ქვეყანაში ნაკლებად შეხვდებით ნოყიერ საძოვრებს, ტყეებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 5% და ძირითადად მიუვალ მთებში მდებარეობს.

ქვეყნის მოსახლეობა მრავალფეროვანია. ავღანეთში მოსახლეობის აღწერა არ წარმოებს. ვარაუდობენ, რომ ძირითადი მასა ავღანელებია (55%), 19—20%-მდე—ტაჯიკი, 9%—უზბეკი, 8%—ხაზარელები და ა. შ. შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 52%-ს შეადგენს. მოსახლეობის ძირითადი მასა თავმოყრილია დაბლობებსა და ოაზისებში, ქალაქად ცხოვრობს 15%, დანარჩენი სოფლის მცხოვრებია. ქვეყანაში დაახლოებით 25 ათასამდე სოფლის ტიპის დასახლებაა.

ავღანეთი აგრარული ქვეყანაა, სოფლის მეურნეობა იძლევა ერთობლიკი ნაციონალური პროდუქტის 60%. ამ დარგში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 70%. ოფიციალური მონაცემებით დამუშავებული მიწების რაოდენობა 4,5 მლნ. ჰექტარია. რაც ქვეყნის ტერიტორიის 17%-ია. სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უჭირავთ 1,9 მლნ. ჰა სარწყავი და 1,2 მლნ. ჰა ურწყავი მიწები ამრიგად, ქვეყანაში ყოველწლიურად დამუშავებაშია სახნავი მიწების 2/3, ხოლო სახნავის დარჩენილი ნაწილი გადადის ნასვენში.

ქვეყანაში არსებობს მემამულური მეურნეობები, რომელთა ხელშია სასოფლო-სამეურნეო მიწების საუკეთესო ნაწილი. მაგალითად, 40 ათასი მემამული ფლობს დამუშავებული მიწების 66%, ხოლო 1,2 მლნ. გლეხი—34%. გარდა ამისა, ქვეყანაში 700 ათასამდე გლეხური კომლი უმიწაწყლოა. მემამულეები ფართოდ იყენებენ დაქირაველებულ შრომას, ქვეყანაში არ არის გავრცელებული ოჯარა და სახელშეკრულებო ურთიერთობების სხვა ფორმები, ანაზღაურებას ძირითადად ნატურალური ხასიათი აქვს. მემამულური მეურნეობები დიდი არ არის, ვინაიდან მათი დანაწილება ხდება ოჯახის გაყოფასთან ერთად. შრომის იარაღები პრიმიტიულია, იშვიათად იყენებენ

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, სასუქებს და უახლეს აგროტექნიკას. ხიდაგეს ამუშავებენ ხელ კავით, ენერგეტიკის ძირითადი წყაროა ცოცხალი გამწევი ძალა.

აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობის საფუძველია სარწყავი მიწათმოქმედება, ატმოსფერული ნალექების სიმცირე და მისი არათანაბარი განაწილება იწვევს მორწყვის აუცილებლობას, არა მარტო დაბლობში, არამედ ზეგიან რაიონებშიც. სადაც მიწყობილი აქვთ ტერასები. სარწყავი მიწათმოქმედება ქვეყანაში კარგა ხნის დამკვიდრებულია, ხოლო სარწყავი სისტემა საკმაოდ ნოველებული და პრიმიტიულია. შემცენარეობის პროდუქციის 3/4 მიიღება სარწყავ მიწებზე, ამიტომ მოსავლიანობა შედარებით სტაბილურია. მაგალითად, ურწყავ მიწებზე ხორბლის მოსავლიანობა 5—10 ცენტნერია, სარწყავზე კი—12—25 ცენტნერი. დაბალი მოსავლიანობის მიზეზია ის, რომ ჯერ ერთი ნაკლებად იყენებენ სასუქებს, მეორეც—ჰუმუსის ფენა ძალზედ თხელია, რაც ნიადაგის კვებითი შესაძლებლობების სწრაფ დაქვეითებას იწვევს.

სარწყავი მიწათმოქმედების ძირითადი რაიონებია—ქვეყნის სამხრეთით მდ. ვილმენდის, სოლო ჩრდილოეთით—მდ. გესირუდის ხეობები. გავრცელებულია მორწყვის უძველესი მეთოდი—წყალი გრუნტიდან ზედაპირზე ამოაქვთ მექანიკურად (ცოცხალი გამწევი ძალის მეშვეობით), საიდანაც წყალი გადადის სარწყავ ქსელში. ასეთი წესით ირწყვება სარწყავი მიწების 20%.

ურწყავი მიწები მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთით. რომელზეც ნალექების პირობებში შედარებით მაღალ მოსავალს იღებენ, ხოლო გვალვიან წლებში თესლის რაოდენობასაც ძლივს აგროვებენ. როგორც წესი, ასეთ მიწებს ამუშავებენ უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები, რომელზედაც მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ბალჩიული კულტურები, ძირითადად, ნესვი. 3—4 წლის ექსპლოატაციის შემდეგ ასეთ ფართობებს ტოვებენ და ითვისებენ ახალ მიწებს.

ბრაზილეს შემთხვევაში წელიწადში ერთ მოსავალს იღებენ. მხოლოდ სამხრეთის ზოგიერთ პროვინციაში. სადაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის შედარებით კარგი პირობები არსებობს, იღებენ ორ მოსავალს. მთავარი კულტურები, რომელიც გაზაფხულზე ითესება, არის ხორბალი, რომლის საერთო წარმოება 3 მლნ. ტონას აღწევს, ქერი — 400 ათას ტონას და პარკოსნების ზოგიერთი სახეობა (განსაკუთრებით ლობიო, რომელიც სოფლის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია). შემოდგომის კულტურებიდან მოჰყავთ ბრინჯი—450 ათასი ტონა, სიმინდი—800 ათასი ტონა. ყველა სახის მარცვლეულის წარმოე-

ბა დაახლოებით 5 მლნ. ტონას აღწევს, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 200 კგ. შეადგენს.

აღმოსავლეთის სოფლის მეურნეობის საფუძველია მარცვლეულის წარმოება, რომელზეც მოდის მემცენარეობის პროდუქციის ღირებულების ნახევარი. იგი წარმოდგენილია ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში, რაც ცუდი საგზაო კომუნიკაციების შედეგია (ყველა რაიონი და პროვინცია ცდილობს თავად უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილება მარცვლეულზე). როგორც წესი, მარცვლეულს საფურაჟედ თითქმის არ ხმარობს, ამ მიზნით იყენებენ მხოლოდ მარცვლეულის ნარჩენებს. მარცვლეულით ქვეყანა უზრუნველყოფილია და მცირე ოდენობით გაქვთ კიდეც საზღვარგარეთ (ბრინჯი—100 ათას ტონამდე, ხორბალი—250—300 ათას ტონამდე).

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა (150 ათასი ტონა), რომელიც ადგილზე მოიხმარება, სოფლის მოსახლეობა კუსტარული წესით ამზადებს ნართს და ქსოვილს. სამხრეთ პროვინციებში არის რამდენიმე თანამედროვე ტიპის საფეიქრო საწარმოებიც. მოჰყავთ შაქრის ჭარხალი (110 ათასი ტონა), შაქრის ლერწამი (60—65 ათასი ტონა), რომელთა გადამუშავებაც ხდება როგორც სამრეწველო, ისე კუსტარული წესით. შაქრის ფხვნილი მთლიანად ქვეყანაში მოიხმარება. ტექნიკური კულტურების ფართობის სიდიდე დამოკიდებულია მარცვლეულის მოსავალზე, როდესაც იგი მაღალია, ტექნიკური კულტურების ფართობი იზრდება და პირიქით.

აღმოსავლეთში წარმოდგენილია მეხილეობა და მევენახეობა, რომელთა პროდუქციაც მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტების დანაძატია. ხილის ნარგავები ძირითადად ოაზისებშია, იშვიათად ვხვდებით დიდ სამრეწველო დანიშნულების ბაღებს. როგორც წესი, მათი გაფრცელების არეალი გლეხური მეურნეობებია. ხილიდან მოჰყავთ ვაშლი, მსხალი, გარგარი, ატამი, ბროწეული, მათი ნაწილი გაქვთ ექსპორტზე, აქაური ხილი საუკეთესო არომატითა და გემოვნებითი თვისებებით ხასიათდება. სამხრეთ პროვინციებში მოჰყავთ ყურძენი (ძირითადად საქიშმიშე), რომლის მოსავალიც დაახლოებით 400—450 ათასი ტონაა, ყურძენი ნატურალური და ქიშმიშის სახით გაქვთ საექსპორტოდ. კარგადაა წარმოდგენილი ბაღჩეული კულტურები, ძირითადად საზამთრო და ნესვი, რომელიც სარწყავ მიწებზე მოჰყავთ. ხშირია შერეული ნათესებიც (სიმინდთან, ხეხილთან, ვენახთან). სულ ხილის, ვენახისა და ბაღჩეულის პროდუქცია 900—950 ათას ტონამდეა. აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, თითქმის ყველა პროვინცი-

აში მოჰყავთ ბოსტნეული კულტურები, რომლისგანაც აშზადებენ ხმელ სუსელს.

ავღანეთი მეცხოველეობის ტრადიციული ქვეყანაა. აქ არ არის წარმოდგენილი ჯიშიანი აირუტყვი. მათი მოვლის წესები პრიმიტიულია. დღესაც იძავე წესით უვლიას, როგორც 6—7 საუკუნის წინათ. ჩამოყალიბდა ადგილობრივი ბუნებრივ პირობებთან შეგუებული ჯიშები და შეირჩა მათი მოვლის ოპტიმალური წესებიც. მომთაბარე მეცხოველეობის საფუძველი საძოვრებია, რომლის ძებნაში ისინი გადაადგილდებიან 0,5—1,5 ათასი კილომეტრით, კერძოდ, სამხრეთის ზამთრის საძოვრებიდან, ზაფხულის ალპურ საძოვრებამდე, ზოგ შემთხვევაში მომთაბარენი ზამთრობენ პაკისტანშიც კი ჩასდიან, მდინარე ინდის სათავეებთან. მომთაბარენი ერთდროულად ეწევიან ავრეთვე ტვირთის გადატანას ერთი ადგილიდან მეორეზე, რაც მათ დამატებით წელოსავალს აძლევს.

პირუტყვის სულადობის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან მათი რაოდენობა იცვლება სეზონის მიხედვით და დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე. ვარაუდობენ, რომ ჰყავთ 3,5—4,5 მლნ. სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. პირუტყვი დაბალპროდუქტიულია, ხორცს ხმარობენ ნატურალური სახით, ხოლო რძის გადამუშავება ხდება ადგილობრივ, აბზაღებენ ყველს, კარაქს და ტყავს, რომლის საკმაოდ დიდი ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ.

კარგადაა განვითარებული მეცხვარეობა, რომელსაც მომთაბარე ხასიათი აქვს. ცხვარი დიდი ფარების სახითაა წარმოდგენილი, ცხვრის სავარაუდო სულადობა 8—10 მილიონია. ამზადებენ დიდი რაოდენობით ცხვრის ყველს, მატყლს და კარაკულს, რომელიც მსოფლიოში საუკეთესოდ არის მიჩნეული. მატყლისა და კარაკულის ტყავი გააქვთ საზღვარგარეთ. ცხვრის ფარა იყენებს იმ საძოვრებსაც, რომელიც გამოუსადეგარია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის, კერძოდ, ნახევრად უდაბნოებს. ჰყავთ საკარაკულე და სახორცე—სამატყლე მიმართულების ცხვრის ფარები, წლის განმავლობაში ამზადებენ 2—2,5 მლნ. ცალ საკარაკულე ტყავს. საკარაკულე მეცხვარეობა მოითხოვს სპეციფიკურ პირობებს, რომელიც არსებობს სამხრეთის შედარებით რბილ და ტენიან პროვინციებში. უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოს ტიპის პროვინციებში წარმოდგენილია სამატყლე მეცხვარეობა.

ქვეყანაში მისდევენ მეცხენეობას, რაც უპირველესად გამოწვეულია იმით, რომ ცხენი მათთვის ძირითად სატრანსპორტო საშუალებას წარმოადგენს. ყველა გლეხურ მეურნეობას, როგორც წესი, ჰყავს ცხენი, ხოლო ვინც მომთაბარე მეჯოგეობას ეწევა, მათთვის მეცხენეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მსოფლიოს საცხენოსნო

სპორტში კარგადაა ცნობილი აქაური წმინდასისხლის ცხენები, რომლებიც საკმაოდ მაღალ ფასებში იყიდება.

აყავთ აქლემებიც, რომელიც გამოიყენება როგორც საბრუნველო, ისე სატრანსპორტო მნიშვნელობით, აძლევენ აქლემის ხორცს, ბეწვს და ტყავს.

ქვეყანაში ნაკლებად ხმარობენ ფრინველის ხორცს, მეფრინველეობა წარმოდგენილია ქალაქების საგარეუბნო ზოლში და ძირითადად ქალაქის მოსახლეობისათვის აწარმოებენ პროდუქციას (ხორცს, კვერცხს). მეფრინველეობა წვრილგლეხურ მეურნეობებშიცაა განვითარებული.

ქვეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი კუსტარული საწარმოები. ბოლო პერიოდში ქაბულსა და სხვა დიდ ქალაქებში აშენდა თანამედროვე ტიპის საშუალო სიმძლავრის ხორცკომბინატები, წისქვილკომბინატები, საფეიქრო ფაბრიკები, ჩაეყარა საფუძველი ტყავის წარმოებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას არა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მას საკვები პროდუქტები სხვა ქვეყნებიდან არ შემოაქვს, პირიქით მცირე მოცულობით (მარცვლეულისა და ხილის სახით) გააქვს კიდეც იგი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აქვს ექსტენსიური ხასიათი და იგი მოითხოვს ძალზედ დიდ შრომას. ამჟამად ქვეყანაში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა, რომელიც გამოწვეულია იმ ომის შედეგად, რომელიც გაჩაღა ყოფილმა საბჭოთა კავშირმა. ცხადია, ამ მდგომარეობამ მნიშვნელოვნად დაზარალა ქვეყნის ეკონომიკა და მათ შორის სოფლის მეურნეობაც.

ირანი

ირანი სამხრეთ-დასავლეთ აზიის ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 1648 ათასი კვ. კმ-ია. იგი აღემატება ევროპის ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიცაა: ესპანეთი, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და შვეიცარია—ერთად აღებული. ქვეყნის მოსახლეობა 45 მილიონია, რომელთაგან 50%—სპარსელები, 20%—აზერბაიჯანელები, 9%—ქურთები. ირანის დედაქალაქია თეირანი (4.5 მლნ.). ირანი საქართველოს მეზობელი ქვეყანაა, რომელთანაც ისტორიულად მჭიდროდ ვიყავით დაკავშირებული. საქართველოს ისტორიას სპარსელთა მრავალი შემოსევა ახსოვს.

ირანს მეტად მდიდარი და წინაალმდეგობებით აღსავსე ისტორია აქვს. იგი ხშირად გვევლინებოდა ავრესორის როლში, ბევრი სისხლიანი ფურცელი ჩაწერა მან მეზობელი ქვეყნების და მათ შორის სა-

ქართველოს ისტორიაშიც. თავის მხრივ ირანიც ხშირად იყო სხვა ქვეყნების შემოსევის ობიექტი, მას ახსოვს არაბების, სელჯუკების, ბოლოლების შემოსევები, რომლებმაც მიწასთან გაასწორეს ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. XVII საუკუნიდან ირანის ძლიერების ბზე ჩაესვენა და XX საუკუნეს იგი შეხვდა როგორც ერთ-ერთი ჩამორჩენილი, ინგლისის გავლენის ქვეშ მოქცეული ქვეყანა. მხოლოდ 20-იანი წლებიდან, ნავთობის აღმოჩენის შემდეგ დაიწყო ირანის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური აღმასვლა.

1979 წლამდე ირანი მონარქია იყო, ქვეყანას მართავდა შაჰი, რომელიც ჩამოაგდეს სახალხო—რელიგიური რევოლუციის შედეგად, დაიწყო ქვეყნის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება.

თანამედროვე ირანი ავრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. ერთ დროს ეკონომიკურად და სოციალურად ძალზედ ჩამორჩენილი, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან დაადგა განვითარების თანამედროვე გზას, რომელსაც საფუძვლად დაედო ნავთობით მდიდარი საბადოების აღმოჩენა. დღევანდელი ირანი ნავთობის წარმოებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. 1980 წელს ნავთობიდან მოგებულმა წლიურმა შემოსავალმა 25 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. უდიდესმა ფინანსურმა შესაძლებლობებმა ქვეყანას საშუალება მისცა 1972 წელს წარმატებით ვანეხორციელებია აგრარული რეფორმა, რომლის მეშვეობითაც დაახლოებით 15 მილიონმა გლეხმა 12 წლიანი კრედიტით მიიღო მემამულეთა მიწების ნაწილი (მემამულეებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს მიწების გამოსასყიდი, რომელიც მათ დააბანდეს მრეწველობასა და ნავთობმოპოვებაში). ირანის სავალუტო შემოსავალი იმდენად დიდია, რომ ქვეყანა მსოფლიო კრედიტორის როლშიც მოგვევლინა, მარტო 1975 წელს ირანმა კრედიტის სახით სხვა სახელმწიფოებს მისცა 10 მილიარდ დოლარზე მეტი, მათ შორის ისეთ სახელმწიფოს, როგორიც ინგლისია (1,2 მილიარდი დოლარი). საკმაოდ ბევრი კაპიტალი დაბანდა უცხოურ ფირმებში, აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების სახით.

1979 წლის რევოლუციამ დროებით შეაჩერა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, შემცირდა ნავთობის წარმოება, რასაც დაერთო ირან-ერაყის თითქმის ათწლიანი ომი, რომელმაც შეიწირა ქვეყნის ფინანსური და ეკონომიკური რესურსების უდიდესი ნაწილი. დღეისათვის ქვეყანას წესრიგში მოჰყავს ეკონომიკა, ცდილობს მისცეს მას თანამედროვე სახე, ირანი ისევ გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე, როგორც უდიდესი ნავთობმომპოვებელი ქვეყანა.

ირანის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია. იგი მთაგორიანი ქვეყანაა, რომლის ცენტრალური ნაწილი უჭირავს მთებსა და ზეგნებს (საშუალო სიმაღლე 1000—2000 მეტრია). ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ქვა-ღორღიან უდაბნოს უჭირავს, ცენტრალური ნაწილი ძირითადად მთიანია, რომლის ცალკეული მწვერვალები 3000—4000 ათას მეტრ სიმაღლესაც აღწევს. ყველაზე მაღალი მთის ელბრუნის სიმაღლე 5604 მეტრია (კასპის ზღვის რაიონში).

ირანის ყველაზე დიდი დაბლობები მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით—ხუზისტანში და მესოპოტამიაში. ირანის ტერიტორიის დიდ ნაწილზე სუბტროპიკული კლიმატია, რომელიც სამხრეთით გადადის კონტინენტურში, ხოლო სპარსეთისა და ომანის ყურეში—ტროპიკულში. ქვეყანაში ბატონობს ჩრდილო-დასავლეთის ქარები, ზამთარი ცივლებადია, რაც ტემპერატურულ ცვლილებებს იწვევს. დღის განმავლობაში იგი შეიძლება 0°-დან +15° შეიცვალოს, ზოგიერთ რაიონში ტემპერატურა —25°-მდე ეცემა. ზაფხული ცენტრალურ რაიონებში ცხელია, ტემპერატურა +30 +32°-ია, ტროპიკულ ზონაში კი +40°-მდეა.

ირანი ნალექებით ღარიბია. ცენტრალურ ირანში მისი მაჩვენებელი 100—200 მმ, უდაბნოს ზონაში კი 50 მმ-მდე ეცემა. არის შემთხვევები, როდესაც რამდენიმე წლის განმავლობაში ერთი წვეთი წვიმაც არ ჩამოვარდება, ქვეყნის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის სანაპიროზე ნალექები უხვადაა 1000—2000 მმ წელიწადში. ყველაზე მკაცრი კლიმატური პირობებია სამხრეთ-დასავლეთით, სადაც ზაფხულში ტემპერატურა +50°-მდეა.

ირანი ღარიბია მდინარეებით, შედარებით წყალუხვია კასპიის ზღვის აუზის მდინარეები. ტბები თითქმის არ არის, რაც არის ისინიც დამლაშებული და მცირე სიღრმისაა. მდინარეები ღარიბია ჰიდროენერგორესურსებით, ფართოდ იყენებენ გრუნტის წყლებს. ბევრია არტეზიული ჭა და ჭაბურღილი. წყლის მოპოვება საუკუნეების განმავლობაში და დღესაც გაძნელებულია.

ირანის ნიადაგები მწირი და ქვიანია, მხოლოდ კასპიისპირა სანაპირო წარმოადგენს შედარებით ნოყიერს და ჰუმუსით მდიდარს. ღარიბია მცენარეული საფარიც, იგი უდაბნოს ტიპისაა, წარმოდგენილია ბუჩქნარის სახით. ტყეებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1% ნაკლები და უმთავრესად ელბრუსის მთის მიდამოებში და კასპიისპირეთშია გავრცელებული.

ირანი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. გარდა ნავთობისა, რომლის მარაგი 8—9 მილიარდი ტონაა, დიდი რაოდენობითაა ბუნებ-

რივი გაზი (მსოფლიოს მარაგის 15%). საკმაოდ მაღალი ხარისხისაა ქვანახშირი, რომლის მარაგიც 5,5 მილიარდ ტონას აღემატება. ირანს აქვს ოქროს საბადოები, რომელთა მარაგი 5,2 მილიარდი ტონაა, ქვეყანაში არის აგრეთვე სპილენძი, ბანგანუმი, ნიკელი, კობალტი, ვოლფრამი, მოლიბდენი, ტყვია, ვერცხლი, ოქრო, პლატინა და სხვ.

ირანის მოსახლეობა მრავალეროვანია. სხვა მრავალ ნაციათა შორის ქვეყანაში ცხოვრობს ქართველებიც, რომელთა რაოდენობა დაახლოებით 300 ათასია (ფერეიდანში), მათ შეინარჩუნეს ქართული საალაპარაკო ენა და ნაწილობრივ კულტურაც. მაღალია მოსახლეობის მატების ტემპიც (3,8%), ირანის ლიდერები ვარაუდობენ, რომ მომდევნო საუკუნის 30-იან წლებში ქვეყნის მოსახლეობა 100 მილიონს გადააჭარბებს. ქალაქის მოსახლეობა 42%, ვარაუდობენ, რომ 30 წლის შემდეგ ეს მაჩვენებელი 75% მიაღწევს. დასახლება არათანაბარია, საშუალო სიმჭიდროვე 18 კაცია 1 კვ. კმ-ზე.

ირანის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ მან შესძლო ძალიან მოკლე დროში თავი დაეღწია ნახევრად ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებისათვის და დაჩქარებული ტემპით გადასულიყო ურთიერთობების კაპიტალისტურ წესზე, რამაც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა აგრარულ-ინდუსტრიული გახადა. 70-იანი წლების პირველ ნახევარში ქვეყნის ეკონომიკა ინტენსიურად ვითარდებოდა. საერთო ნაციონალური პროდუქციის მატების წლიური ტემპი 10% შეადგენდა, რაც 1960 წლის მაჩვენებელს 5-ჯერ აჭარბებდა. მნიშვნელოვნად შეიცვალა ეკონომიკის სტრუქტურაც, მაგალითად, 1941 წელს ნაციონალურ შემოსავალში სოფლის მეურნობის ხვედრითი წილი 71% იყო, ხოლო მრეწველობისა—25%, 1962 წელს შესაბამისად—28 და 33%, 1975 წელს კი სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა 14%-ით, ხოლო მრეწველობისა გაიზარდა 45%-ით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თუ სოფლის მოსახლეობა შეადგენდა 78% და აწარმოებდა ნაციონალური შემოსავლის 3/4. დღეისათვის სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 50% და ისინი აწარმოებენ ნაციონალური შემოსავლის 1/5-ზე ნაკლებს.

ირანის ეკონომიკური განვითარების საფუძველია ნავთობპროდუქტებიდან მიღებული უზარმაზარი შემოსავალი. ქვეყნის წლიური ბიუჯეტი ირანის რევოლუციის წინა პერიოდის 15 წლის განმავლობაში გაიზარდა 20-ჯერ და 1977 წელს შეადგენდა 50 მილიარდ დოლარს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქვეყანაში ჩატარდა აგრარული რეფორმა, რომელმაც დადებითი გავლენა მოახდინა სასოფლო-სამე-

ურნეო წარმოების ინტენსიეობაზე. რეფორმის გატარებამდე მოსახლეობის 1%-ის ხელში იყო დასამუშავებლად ვარგისი მიწების 80%, წვრილ მიწათმფლობელებზე კი მოდიოდა 12—15%. გლეხების 70% არ ჰქონდათ მიწა და ისინი იძარით იღებდნენ მას მემამულეებისაგან. აგრარულ რეფორმას არ მოუყოლია მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია, ამით მხოლოდ შეიზღუდა ასათი მფლობელობა მიწაზე. დღეისათვის, გლეხობამ მთლიანად დაუბრუნა ვალი სახელმწიფოს და გახდნენ მიწის სრულუფლებიანი მფლობელები. რეფორმის შედეგად ფეოდალური და ნახევრად ფეოდალური მიწათმოქმედება ლიკვიდირებული იქნა, რამაც დადებითი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში. რეფორმის მიხედვით მემამულეებს შეუნარჩუნდათ 20-დან 150 ჰექტარამდე მიწა (გათვალისწინებული იყო ბუნებრივ-კლიმატური პირობები). იგი არ შეხებია იმ მემამულურ მეურნეობებს, რომლებსაც წარმოება მოწყობილი ჰქონდათ ჰაღალ ინდუსტრიულ დონეზე, იყენებდნენ თანამედროვე ტექნიკას, სასუქებს და საერთოდ, ეწეოდნენ რაციონალურ მიწათმოქმედებას (არ შეხებია აგრეთვე მრავალწლიან ნარგავებს), რეფორმა ძირითადად შეეხო მემამულეთა თავისუფალ მიწებს. მიწის რეფორმის შემდეგ 3 მილიონმა გლეხმა მიიღო მიწა, საშუალოდ 2,4 ჰექტარის ოდენობით.

აგრარულმა რეფორმამ ირანის სოფელში შეცვალა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები. მემამულე უკვე აღარ იყო ცენტრალური ფიგურა, გაიზარდა სახელმწიფო კრედიტის როლი, რითაც საფუძველი გამოეცალა მევახშეობას. გაიზარდა აგრეთვე სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. ადრე თუ ერთი ტრაქტორი მოდიოდა 9—10 სოფელზე, რეფორმის შემდეგ უკვე ერთი ტრაქტორი მოდიოდა 2 სოფელზე. ენერგეტიკული რესურსების ზრდას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ქვეყანაში განვითარდა სასოფლო-სამეურნეო ნანქანათმშენებლობა. აშენდა ორი სატრაქტორო ქარხანა, 4-ჯერ და მეტად გაიზარდა მინერალური სასუქების გამოყენება, ქვეყანაში აშენდა ქიმიური ქარხნები, რომლებიც უშვებენ არა მარტო სასუქებს, არამედ შხამქიმიკატებსაც.

გატარებულმა რეფორმებმა კარგი შედეგები გამოიღეს. თუ ადრე ირანი ხორბლის იმპორტიორი ქვეყანა იყო, რეფორმის შემდეგ ივი ამ პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნების რიგში ჩადგა. მართალია ექსპორტის მოცულობა დიდი არ არის, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ ქვეყანა უკვე აწარმოებს ჭარბ მარცვლეულს. მაგალითად, ხორბლისა და ქერის წარმოება 2,6 მილიონი ტონიდან გაიზარდა 6,5 მილიონ ტონამდე, ბრინჯისა—0,5 მილიონიდან 1,5 მლნ. ტონამდე. 2-ჯერ გა-

აზარდა ხილისა და ბოსტნეულის წარმოება. აღმასვლის პროცესს ხელი შეუწყო იმანაც, რომ გაფართოვდა სარწყავი მიწათმოქმედების არეალი, გაიზარდა სახნავის ხვედრითი წილი. თუ 1960 წელს სახნავი შეადგენდა 6,4 მლნ. ჰა-ს, 1975 წელს უკვე—8,2 მლნ. ჰა იყო, ხოლო 1980 წლისთვის—12 მლნ. ჰექტარი შეადგინა. ამ პერიოდში აშენდა 12 ახალი კაშხალი, რომელმაც გაზარდა სარწყავი მიწების რაოდენობა.

მიუხედავად ამისა ირანის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობა ჯერ კიდევ დაბალია. მაგალითად, მარცვლეულის მოსავლიანობა არ აღემატება 7—10 ცენტნერს, ჯერ კიდევ არ არის მთლიანად ათვისებული დამუშავებისათვის ვარგისი მიწები. ასათვისებელი 52 მლნ. ჰექტარიდან ჯერჯერობით მხოლოდ 15%-ია გამოყენებული, ირწყვება სახნავის 45%, ხოლო ურწყავია 55%, რომლის პროდუქტიულობა დაბალია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის 3/4-ს იძლევა მეცხვენარეობა, ხოლო 1/4 მეცხოველეობა. ირანის სოფლის მეურნეობის შესაძლებლობა დიდია, მოჰყავთ როგორც ბრინჯი და ჩაი (კასპიისპირეთის მაღალტენიან სუბტროპიკებში), ისე ფინიკის პალმა—სამხრეთის გვალვიან რაიონებში. ირანი აწარმოებს აგრეთვე ტროპიკულ ხილს (ბანანი, ბანგო), მთავარი კულტურაა ხორბალი, რომელსაც მარცვლეულის ნათესების 70% უჭირავს, გარდა ამისა მოჰყავთ ქერი და ბრინჯი. ხორბალი და ქერი მოჰყავთ თითქმის ყველგან. მარცვლეულიდან მესამე ადგილზეა ბრინჯი, რომლის პროდუქციის ღირებულება 3-ჯერ უფრო მეტია ქერის ღირებულებაზე. ირანში ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ ჩაი, ბამბა, შაქრის ჭარხალი, თამბაქო და სხვ. აღსანიშნავია, რომ ტექნიკური კულტურების პროდუქცია აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას, ხოლო ჩაი მცირე რაოდენობით გააქვთ კიდევაც საექსპორტოდ.

ირანის სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგი ოდითგანვე იყო მეცხოველეობა, რომელსაც აქვს გამოკვეთილად ექსტენსიური ხასიათი. მთელი წლის განმავლობაში პირუტყვი ძოვებაზეა, ზამთრობით იგი ხეობებში და კასპიისპირეთის სტეპებში ჰყავთ, ხოლო ზაფხულობით—მთის კალთებზე.

მეცხოველეობა წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახით. რომელთა რაოდენობაც 6 მლნ-ს აღემატება. ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის დაბალპროდუქტიული პირუტყვი. ევროპეული და მეხორცული ჯიში გაერთიანებულია. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქციის გადამუშავებას არა აქვს ინდუსტრიული ხასიათი, მაგა-

ლითად, ერბოს, კარაქს, ყველს ჯერ კიდევ შუასაუკუნეების მეთოდებით აწარმოებენ—პრიმიტიული ხელსაწყოების გამოყენებით. დიდია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაცემის პროცენტი, რაც განპირობებულია დაბალი ვეტერინარული მომსახურებით.

განვითარებულია მეცხვარეობა, რომლის სულადობა 27—28 მილიონია, ჰყავთ აგრეთვე 14—15 მილიონი სული თხა. უმთავრესად, ცხვრისა და თხის ფარები შერეულია, თუმცა, ვხვდებით ცალ-ცალკე ფარებსაც. ამზადებენ დიდი რაოდენობით მატყლს, რომელიც გადასამუშავებლად მიაქვთ ქალაქებში. დიდ მოწონებაშია ცხვრისა და თხის ყველი. სოფლის მეურნეობის ეს პროდუქტები კვების რაციონის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. ამზადებენ საკარაკულე ტყავს, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ (მათ შორის შემოჰქონდათ ყოფილ სსრკ-შიც).

დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მეფრინველეობა, რომელიც სამრეწველო საფუძველზე აქვთ მოწყობილი. ფრინველი ჰყავთ აგრეთვე გლეხურ მეურნეობებშიც, თუმცა, სოფლის მოსახლეობაში ფრინველის ხორცზე დიდი მოთხოვნილება არ არის.

ბოლო წლებში შეიქმნა კაპიტალისტური ტიპის მსხვილი აგროფირმები, რომლებიც უპირველეს ყოვლისა აგრო-სამრეწველო-სავაჭრო ფუნქციებს ასრულებენ. არსებობს მარტივი კოოპერაციების ჩახასახებიც (ძირითადად, პროდუქციის გასაღების თვალსაზრისით).

ქვეყანაში ვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობაც, რომელსაც აკრძალულ რეფორმამდე პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა. დღეს ირანში არსებობს მსხვილი ხორცკომბინატები. საკონსერვო ქარხნები, კვების მეწველობის სხვა საწარმოები. მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი მაღალია და მსოფლიო სტანდარტებს უახლოვდება.

60-იანი წლებიდან დაიწყო უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება, ქვეყნის უნივერსიტეტებთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, გაიხსნა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ირანის სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზეა. ქვეყანა არა მარტო იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს, არამედ პროდუქციის ნაწილი გააქვს კიდევაც საზღვარგარეთ. თუმცა. ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემაა, რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს საკმაოდ დიდ ფულად—მატერიალურ სახსრებს და პირველ რიგში ესაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წყლით უზრუნველყოფის საკითხი

თურქეთი ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს ევროფლიოს ორ კონტინენტზე, მისი ტერიტორიის 97% აზიაშია, სოლო 3% ევროპაში. ქვეყნის ფართობი 780 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—50 მილიონამდე, დედაქალაქი—ანკარა. თურქეთის გაადგილების გეოგრაფიული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მდებარეობს ევროპისა და აზიის შესაყარზე და ერთმანეთთან აკავშირებს შავი ზღვის აუზისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს. თურქეთზე გადის რკინიგზისა და საავტომობილო გზები, რომლითაც აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები დაკავშირებულია ევროპასთან. კონსტიტუციური წყობით თურქეთი ბურჟუაზიულ-პარლამენტური რესპუბლიკაა.

საქართველოსათვის თურქეთს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა იგი არის ჩვენი უშუალო მეზობელი სამხრეთით, რომელთანაც გვაკავშირებს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო საზღვარი, ამ ქვეყანასთანაა დაკავშირებული საქართველოს ბევრი ისტორიული მოვლენა, ამასთანავე, თურქეთში ცხოვრობს ქართველების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

მცირე აზიის ნახევარკუნძული, რომელზედაც მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ძირითადი ნაწილი, განეკუთვნება კაცობრიობის ცივილიზაციის უძველეს კერას. დღევანდელი თურქეთის ტერიტორია თავის დროზე განეკუთვნებოდა ხეთების სახელმწიფოს, იგი შედიოდა ასემინიდური ირანის შემადგენლობაშიც, დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმაც. შედიოდა რომის იმპერიაშიც. XI საუკუნიდან ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ თურქთა მომთაბარე ტომები, რომლებიც დაეპატრონენ ბიზანტიის ტერიტორიის ნაწილს და შექმნეს სელჯუკების უძლიერესი სახელმწიფო. სელჯუკების გადაადგილება დასავლეთით მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებოდა, განსაკუთრებით მონღოლთა შემოსევების შემდეგ. როდესაც XIII საუკუნეში სელჯუკთა სახელმწიფო დაიშალა ცალკეულ სამთავროებად, მათ შორის XIII—XIV საუკუნეში ყველაზე მეტად მომძლავრდა ოსმანთა სამთავრო, რომელმაც XIV—XVI საუკუნეებში განახორციელა დაპყრობითი ომები და შექმნა უზარმაზარი ოსმალეთის იმპერია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა მცირე აზია, ბალკანეთის ნახევარკუნძული, სამხრეთ-დასავლეთი აზიის არაბული ქვეყნები, ჩრდილოეთ აფრიკა და ზოგჯერ სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ნაწილიც. 1473 წელს თურქებმა დაამხეს ბიზანტიის იმპერია, ხელთ იგდეს დედაქალაქი

კონსტანტინეპოლი, რომელსაც დაარქვეს სტამბული და გამოაცხადეს ოსმანთა იმპერიის დედაქალაქად. ოსმანთა იმპერიამ თითქმის ოთხი საუკუნე იარსება, დაიშალა მხოლოდ XIX საუკუნეში, მათ შეინარჩუნეს ანატოლიის ნახევარკუნძული და ევროპაში აღმოსავლეთ ფრაკიის ნაწილი. 1923 წლიდან თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად.

თურქეთი მთაგორიანი ქვეყანაა, საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1000 მეტრია, თითქმის მთელი ტერიტორია უჭირავს მცირე აზიის მთიან მასივს, ყველაზე მაღალი წერტილი 5165 მეტრია, ტერიტორიის 1/5 მდებარეობს ზღვის დონიდან 3000 მეტრსა და მეტ სიმაღლეზე. მთებს უჭირავს თურქეთის ტერიტორიის 9/10.

ქვეყნის ტერიტორია სუბტროპიკულ ზონაში მდებარეობს, მაგრამ მთების სხვადასხვა სიბრტყეში განლაგებამ, რომელიც ჰაერის მასების რთულ ცირკულაციას იწვევს, განაპირობა კლიმატური პირობების მკვეთრი განსხვავება. თურქეთის შავიზღვისპირეთი გამოირჩევა ზომიერი, თბილი კლიმატით და მაღალი ტენიანობით, წლის განმავლობაში ნალექების შედარებით თანაბარი განაწილებით, აქ იცის ცხელი ზაფხული და ცივი ზამთარი. იანვრის საშუალო ტემპერატურა +5° +7°-ია, ივლისისა კი —+22° +24°. თურქეთის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნალექების რაოდენობა 2000 მმ-მდეა, დასავლეთით კი —700—800 მმ. ეგეოსის ზღვის სანაპირო და ხმელთაშუა ზღვის ნაწილი გამოირჩევა ტიპური ხმელთაშუა ზღვის კლიმატით, აქაც ცხელი, მშრალი ზაფხულია და თბილი, წვიმიანი ზამთარი. ივლისის საშუალო ტემპერატურა +28°, ხოლო იანვრისა +10°, ნალექების რაოდენობა მერყეობს 800—1500 მმ-მდე. დასავლეთ ანატოლიის ჩრდილოეთი ნაწილი განიცდის მარმარილოს ზღვის გავლენას. აქ განსაკუთრებით კარგი პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ანატოლიის ცენტრალურ ნაწილში კლიმატი მშრალი, კონტინენტურია, ზამთარი საკმაოდ მკაცრია (—20°), ზაფხული კი ცხელი +39°. ეიდია განსხვავება დღისა და ღამის ტემპერატურებს შორის, ზაფხულში ჩრდილში ღლისით შეიძლება ტემპერატურა —+35° იყოს, ხოლო ღამით +5°. ნალექების რაოდენობაც მცირეა (450 მმ). განსაკუთრებით მკაცრი კლიმატური პირობებია აღმოსავლეთ ანატოლიაში, ზამთრობით ხშირია —30° ტემპერატურა, მოდის უხვი თოვლი, ზაფხული მოკლე და ცხელია (+30°).

თურქეთის ტერიტორია (ანატოლიის ზეგანის გამოკლებით), კარგადაა უზრუნველყოფილი მდინარეთა ქსელით. მაგრამ ყველა მდინარე სწრაფი და წყალუხვია. არც ერთი მათგანი არ არის სანაოსნო. მდინარეები ჰიდროენერგიის საკმაოდ დიდ რესურსებს შეიცავენ, მისი ნაწილი გამოიყენება სარწყავად.

ქვეყანაში სჭარბობს მთის ნიადაგები (80%), რომელთა ნაყოფიერება დაბალია. აქ ზონაში სასნავი მცირეა, ძირითადად წარმოდგენილია საძოვრები. მცენარეული საფარი მრავალფეროვანია. ნაკლებად მდიდარ რაიონებში წარმოდგენილია სუბტროპიკული ტყე-მცენარეები, ბაბრალ და გვალვიან ზონაში—ტყე-ბუჩქნარები, ვხვდებით ავრეთვე ულაბნოს ტიპის მცენარეულ საფარსაც. ტყეებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 17%-მდე. ვხვდებით ბევრფასი ჯიშის ხეებს (კაკალი, წაბლი, მუხა და სხვა), დღევანდელ თურქეთში ტყეებს სამრეწველო მნიშვნელობით აღარ იყენებენ.

თურქეთის მოსახლეობის 87% თურქია, ნაციონალურ უმცირესობაზე ოფიციალური სტატისტიკა არ ქვეყნდება, ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში ცხობრობს 4 მილიონი ქურთი, 0,7 მლნ. არაბი: 100 ათასამდე თურქმენი, 100 ათასამდე ჩერქეზი, 100 ათასამდე ლაზი, 0,5 მლნ-მდე ქართველი, 100 ათასამდე აფხაზი და სხვ. პირველ მსოფლიო ომამდე თურქეთში ცხოვრობდა 2 მილიონამდე სომეხი, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში სომეხი მოსახლეობის გენოციდის შედეგად მათი რაოდენობა 60 ათასამდე შემცირდა. თურქეთში მამაკაცები გაცილებით სჭარბობენ ქალებს, ყოველ 1000 ქალზე მოდის 1168 მამაკაცი. მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე განაწილებულია არათანაბრად, მაღალი სიმჭიდროვით ხასიათდება ზღვისპირა პროვინციები, საშუალო სიმჭიდროვე კი 52 კაცია 1 კვ. კმ-ზე. ქვეყნის მოსახლეობის 50% შრომისუნარიანია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 50%, მრეწველობაში—20%, დანარჩენი—ვაჭრობაში, მომსახურებაში და ა. შ.

დღევანდელი თურქეთი აგრარულ-სამრეწველო ხასიათის კაპიტალისტური ქვეყანაა, საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონით. შრომის საერთაშორისო დანაწილების კაპიტალისტურ სისტემაში მას განეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მწარმოებლის როლი. თურქეთმა კაპიტალისტური განვითარების რთული გზა გაიარა, ტერიტორიულად ახლოს იყო რა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან, იგი მაინც ჩამორჩენილ, აზიურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, 1923 წლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანა დაადგა განვითარების კაპიტალისტურ გზას და ევროპულ წარმატებებსაც მიაღწია. შეიქმნა წარმოების ინფრასტრუქტურა, რომელიც მორგებული იყო ქვეყნის ინტერესებს, განვითარდა საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები. ქვეყანამ გადაჭრა რიგი სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები.

თურქეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა, თუმცა ჯერ კიდევ ათი წლის წინათ იგი ვერ იკმაყოფილებდა საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე. მიუხედავად იმისა, რომ აქტიური მოსახლეობის 2/3 ჩაბმული იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ქვეყანას დასავლეთის ქვეყნებიდან ყოველწლიურად შემოჰქონდა 500—600 ათასი ტონა ხორბალი, აგრეთვე საფურაჟე მარცვლეული და ზეთი. 15 მლნ. აქტიური მოსახლეობიდან 3 მლნ. არ ქქონდა მუდმივი სამუშაო, ხოლო ერთ მილიონამდე ემიგრანტი ევროპის ქვეყნებში (ძირითადად დასავლეთ გერმანიაში) ეძებდა სამუშაოს.

სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი იყო ქვეყანაში არსებული მიწათმოქმედების ძველი სისტემა, როცა მიწას ამუშავებდნენ პრიმიტიული საშუალებებით, საკმაოდ ძლიერი იყო მსხვილ მიწათმფლობელთა კლასი, მაგრამ მათ ვერ შეძლეს წარმოების თანამედროვე დონეზე მოწყობა, მიწის გამოყენების კოეფიციენტი დაბალი იყო, კერძო საკუთრება კი ზღუდავდა უმიწაწყალო გლეხების შესაძლებლობებს. მემამულეთა ხელში იყო დამუშავებული მიწების 1/3. წვრილი მეურნეობები (5 ჰა-მდე) შეადგენდა მეურნეობათა 58%, მათ წილად მოდიოდა დამუშავებული მიწების 1/4. ვლეხობის 25%-ს საერთოდ არ გააჩნდა მფლობელობაში მიწა და მუშაობდნენ მსხვილ მიწათმფლობელებთან იჯარით ან მოჯამაგირეებად. მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხების რაოდენობა შეადგენდა თურქეთის სოფლის მცხოვრებთა 3/4.

1970-იანი წლებიდან თურქეთის სოფლის მეურნეობაში გატარდა რეფორმები, რომელთა შედეგად მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მიწის რეფორმამ გადაწყვიტა უმიწაწყლო გლეხების მიწით უზრუნველყოფის საკითხი. ამ მიზნით გამოიყო სახელმწიფო მიწები (3,5 მლნ. ჰა.), რასაც დაემატა მემამულეთა ჩამონაჭერი მიწები (1,2 მლნ. ჰა.), უსასყიდლოდ გაცემულ მიწებზე სახელმწიფომ დააწესა შეღარებით დაბალი გადასახადი 15 წლის ვადით, ვლეხებს მიეცათ სახელმწიფო კრედიტი შეღავათიან პირობებში. აშენდა ტრაქტორმშენებელი ქარხანა, საზღვარგარეთიდან შემოიტანეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. თუ 1960 წელს თურქეთის სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა დაახლოებით 100 ათასამდე ტრაქტორი, 1980 წელს ეს მაჩვენებელი 3-ჯერ გაიზარდა. დღეისათვის ვარაუდობენ, რომ თურქეთის სოფლის მეურნეობის ენერგოშეიარაღება 27 ცხენის ძალაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ენერგეტიკული საშუალებების სტრუქტურაში საკმაოდ მაღალია (18—20%) ცოცხალი გამწევი ძა-

ლის ხვედრითი წილი. მნიშვნელოვნად გაიზარდა მინერალური სასუ-ქების გამოყენება, უხარიანად იყენებენ მსამქიმიკატებს და სხვა ნივ-თიერებებს.

დამკვიდრდა კოოპერაციული გაერთიანებების პროგრესული ფორმები. გლეხური მეურნეობები გაერთიანდნენ მიწის დამუშავების, წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო კოოპერატივებში, რამაც ისინი ეფექტურად შეამცირა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანა-კარგები. ტექნიკის გამოყენებამ შექმნა კარგი წინა პირობები მსხვი-ლი სპეციალიზებული მეურნეობების ჩამოყალიბებისათვის. შეიქმნა ბაბის, თამბაქოს, ხილის წარმოების მსხვილი მეურნეობები, რომლე-ბსაც აღნიშნული პროდუქცია გააქვთ მსოფლიო. ბაზარზე.

თურქეთის სოფლის მეურნეობის საფუძველია მემცენარეობა, რომელიც იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 2/3. დღეისათ-ვის დამუშავებაშია ქვეყნის ტერიტორიის 1/3, სახნავი შეადგენს 27 მლნ. ჰა-ს, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,54 ჰექტარია. თურ-ქეთი ძირითადად ურწყავი მიწათმოქმედების ქვეყანაა, ირწყვება მხოლოდ სახნავის 10%, რომლებიც იძლევიან მემცენარეობის პრო-დუქციის 20%. 1975 წელს შეიქმნა ევფრატ-ტიგროსის მელიორაციის სახელმწიფო-ებრივი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს დაახლოებით 5 მილიონამდე ჰექტარი ფართობის წყლით უზრუნველყოფას.

მემცენარეობაში წამყვანია მარცვლეული კულტურები, რომელ-თაგან პირველი ადგილი უჭირავს ხორბალსა და ქერს. მოჰყავთ აგრე-თვე სიმინდი, ჭვავი, შვრია, ბრინჯი. მარცვლეულის განვითარების ძი-რითადი რაიონებია დასავლეთი და შიდა ანატოლიის ჩრდილოეთი ნაწილი, ეს რეგიონები აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციის ნახე-ვარზე მეტს. 1985 წელს ქვეყანაში აწარმოეს 20 მლნ ტონა მარცვ-ლეული, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 400 კგ-ია, 1985 წელს სა-ზღვარგარეთ გაიტანეს 1,6 მლნ. ტონა მარცვლეული, ძირითადად ყო-ფილ სსრკ-ში.

დიდ როლს თამაშობს გადამამუშავებელი მრეწველობისათვის ტექნიკური კულტურები, რომლებიც იძლევიან მრეწველობისათვის ნედლეულს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბამბას, რომლის ნა-თესებიც ქვეყნის სამხრეთითაა. ბამბის ძირითადი ნაწილი მუშავდება სამრეწველო წესით, ხოლო 5—7% კუსტარული წესით, ბამბის ნართი იგზავნება ექსპორტზე, ძირითადად გერმანიაში. 1980 წელს აწარმო-ეს 0,5 მლნ. ტონა ბამბის ნედლეული.

მოჰყავთ შაქრის ჭარხალიც, რომელიც შაქრის მრეწველობას ამარაგებს მაღალხარისხოვანი ნედლეულით. აღნიშნული კულტურ.

გაადგილებულია ქვეყნის ცენტრალურ პროვინციებში. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობა მაღალი არ არის, თუმცა, საერთო მოსავალი საკმარისია იმისათვის, რომ ქვეყანა უზრუნველყოფილი იქნეს შაქრის ფხვნილით. 1985 წელს აწარმოეს 7,5 მლნ ტონა შაქრის ჭარხალი. ტექნიკური კულტურებიდან კარგადაა წარმოდგენილი ჩაი, რომლის გავრცელების რაიონია შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული ზონა. იგი ვიწრო ზოლად გასდევს ზღვის სანაპიროს. თურქული ჩაი ხასიათდება კარგი გემოვნებითი თვისებებით. 1985 წელს ქვეყანაში აწარმოეს 110 ათასი ტონა ხმელი ჩაი, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 500 გრ. წელიწადში, თურქეთს ჩაი შემოაქვს საზღვარგარეთიდან 15—20 ათასი ტონის ოდენობით. ამჟამად შემუშავებულია ჩაის განვითარების სახელმწიფოებრივი გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას დააკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილება ამ ძვირფას პროდუქტზე. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია აგრეთვე თამბაქო, რომელიც საუკეთესო ხარისხისაა და ძვირად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. თამბაქო გაადგილებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში და ქვეყნის დასავლეთ პროვინციებში, იგი ნედლეულის სახით გააქვთ ევროპის ქვეყნებში. 1985 წელს თამბაქოს წარმოებამ 200 ათას ტონას მიაღწია.

კარგი პერსპექტივები აქვს მეხილეობას, რომელიც წარმოდგენილია როგორც სუბტროპიკული, ისე კონტინენტური მეხილეობით, აწარმობენ ფორთოხალს, ლიმონს, მანდარინს, ლეღის, ბროწეულს, ვაშლს, მსხალს, ატამს და სხვა კურკოვან ხილს. სუბტროპიკული კულტურების პლანტაციები წარმოდგენილია შავი ზღვისპირა ზოლში, ხოლო კონტინენტური მეხილეობა — ქვეყნის ცენტრალურ პროვინციებში. საკმაო რაოდენობით აწარმოებენ საქიშმიშე ყურძენს, კერძოდ, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ქიშმიში ქვეყანას ეაქვს საექსპორტოდ.

დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მებოსტნეობა და მებაღეობა. ბოსტნეული კულტურები მოჰყავთ როგორც ღია, ისე დახურულ გრუნტში. ამზადებენ ხმელ სუნელსაც, რომელიც გააქვთ ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში, ბაღჩეულიდან წარმოდგენილია საზამთრო და ნესვი.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში მეცხოველეობა თურქეთისათვის ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი ძირითადად ადგილობრივი ჯიშისაა და ნაკლებპროდუქტიული, მათი სულადობა დაახლოებით იმდენივეა, რაც დასავლეთ გერმანიაში (15 მლნ. სული). მაგრამ რძეს აწარმოებენ 5-ჯერ ნაკლებს, ვიდრე გერმანიაში. ამის მიზეზია ის, რომ პირუტყვი არ არის ჯიშიანი და ძალ-

ხედ ღარიბია საკვები ბაზაც. მაგალითად, ზამთრის თვეებში შიგა რაიონებში პირუტყვი ფაქტიურად მძიმე რაციონზე ჰყავთ. აღსანიშნავია იაც, რომ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდება, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წარმოდგენილია როგორც დიდი ფერმების სახით, სადაც გამოკვეთილია საწარმოო მიმართულება (ძეხორცული და მერძეული), ისე შერეული სახითაც. პირუტყვის ნახევარზე მეტი წვრილგლეხურ მეურნეობებშია მოქცეული. ხსხვილფეხა რქოსან პირუტყვს იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. ამზადებენ კარაქს, ყველს, ერბოს, რძის ფხვნილს და სხვა პროდუქციას. ბსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქციით ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

კარგადაა წარმოდგენილი მეცხვარეობა, ქვეყანაში დაახლოებით 35 მლნ. სული ცხვარი და 15 მლნ. თხა ჰყავთ, რომლებიც ძირითადად გაფანტულებულია ქვეყნის მშრალ, გვალვიან პროვინციებში. დიდი მოწოლებით სარგებლობს ცხვრის ხორცი და ყველი, რომელსაც დიდი რაოდენობით ამზადებენ. მატყლი დიდი რაოდენობით გააქვთ საექსპორტოდ ევროპაში. ქვეყანაში არსებობს ცხვრის დიდი ფარები, რომლებიც მსხვილი ფერმერული მეურნეობების სახითაა წარმოდგენილი, გარდა ამისა, იშვიათია ოჯახი, რომელსაც რამდენიმე სული ცხვარი და თხა არ ჰყავდეს. დიდი მოწონებით სარგებლობს თხის ხორცი და რძე. პირუტყვი ძირითადად მაღალმთიან ზონაშია წარმოდგენილი და მას ნასაზრდოდ გარეული სასაძოვრები აქვს. თურქეთი დიდი რაოდენობით ამზადებს საკარაკულე ტყავს, რომელიც გააქვს საფრანგეთსა და გერმანიაში.

დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში, აგრეთვე ზღვისპირეთის საკურორტო ზოლში წარმოდგენილია მეფრინველეობა, რომელიც შედარებით ახალი დარგია და მას საბრძოლო ხასიათი აქვს. ფრინველის ხორცით და კვერცხით ქვეყანა უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს.

თურქეთში კარგადაა განვითარებული მეაბრეშუმეობა, პარკის დამზადებაზე ზუსტი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იგი ყველაზე მეტი რაოდენობით აწარმოებს აბრეშუმის პარკს. ქვეყნის მაღალმთიან ზონაში განვითარებულია მეფუტკრეობაც.

ამრიგად, ერთ დროს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტიორი ქვეყანა, უკანასკნელ წლებში გადაიქცა ექსპორტიორ ქვეყნად და ნტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს სასოფლო-სამეურნეო ბაზარზე.

თურქეთის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, რომლის ჭერასაც ჯერ კიდევ არა აქვს სამრეწველო ხასიათი, თუმცა ზღვისპირა მოსახლეობის კვების რაციონში თევზის პროდუქტს საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა აქვს.

განვითარებულია გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა, უნივერსიტეტებში ფუნქციონირებენ სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, გაიხსნა დარგობრივი სამეცნიერო ცენტრები, რომლებმაც საკმაოდ მაღალ აღიარებას მიაღწიეს. სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზე ღგას, რაც იმის საწინდარია, რომ საუკუნის ბოლოს თურქეთი გახდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ერთ-ერთი უმსხვილესი ცენტრი რეგიონში.

სირია

სირიის რესპუბლიკის ტერიტორია 185,2 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—8 მილიონი, დედაქალაქი დამასკო. სირია საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, რომელიც ადგას განვითარების კაპიტალისტურ გზას.

სირია უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათეული საუკუნის წინათ აქ ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, მისდევდნენ ხეჯოგეობას, ამზადებენ საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთებს. სირიაში სახელმწიფოებრიობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩამოყალიბდა. ძვ. წ. აღ. VIII საუკუნიდან სირია ხდება სხვა ქვეყნების დაპყრობის სავანი. ქვეყანა დალაშქრა ალექსანდრე მაკედონელმაც, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში მას რომაელები დაეპატრონენ, შემდეგ იგი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ბატონობდნენ აქ არაბებიც, ერაყელი სელიფებიც და ა. შ. XI—XIII საუკუნეებში სირიას თავს დაესხნენ ევროპელი ჯვაროსნები, რომლებმაც აქ 160 წლის განმავლობაში იბატონეს. მომდევნო სანი საუკუნის განმავლობაში სირიაში ეგვიპტელი მამლუქები ბატონობდნენ, ხოლო 1516 წლიდან პირველ მსოფლიო ომამდე, სირია ოსმანთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი იყო. 1920—1943 წლებში იგი საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, 1943 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

სირიის ტერიტორია ძირითადად ვაკეა. აღმოსავლეთით მდებარეობს 500—800 მეტრი სიმაღლის ზეგანი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გრძელდება ვიწრო (10—15 კმ.) სიგანის დაბლობი. სირია სუბტროპიკულ სარტყელში მდებარეობს. ქვეყნის აღმოსავლეთით კონტინენტური ჰავაა: იცის რბილი ზამთარი, იანვრის საშუალო ტემპერატურა +12°-ია. ზაფხული ცხელია, ივლისის საშუალო ტემპერა-

ტურა +26°. ზღვისპირა ზოლში ნალექების რაოდენობა 900 მმ-ია. სჭარბობს მარადმწვანე სუბტროპიკული ხე-მცენარეულობა. ქვეყნია ეს რეგიონი ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული და ათვისებული. ზამთრობით მთებში იცის თოვლი, ნალექების რაოდენობა ცვალებადია—250-დან 1500 მმ-ადე.

ქვეყანაში ტყე თითქმის არ არის, ერთ დროს აქ ტყის დიდი მარაგები არსებობდა, რომელიც ადამიანის მიერ ათეული საუკუნის განმავლობაში გაიჩეხა. ერთადერთი ტყის მასივები დარჩენილია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ხაწილში, ქალაქებს—ლატაკიასა და ალეპოს შორის. სირიაში ძირითადად მშრალი კლიმატია, ტერიტორიის 9/10 განიცდის წყლის მწვავე დეფიციტს, არსებობს უდაბნოებიც, რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონიდან 500—800 მეტრის სიმაღლეზე, მათი კლიმატი დღეღამის განმავლობაში ცვალებადია, ზამთარში ღამის ტემპერატურა —10°-ია, ხოლო დღისით +20°. რაც შეეხება ზაფხულს, ტემპერატურა +40 —+50°-ადე აღწევს. უდაბნოში მოდის ნალექების ძალზედ მცირე რაოდენობა (50—100 მმ).

ქვეყნის მცენარეული საფარი ღარიბია, მიწები დაბალნაყოფიერია, მაგრამ, ზოგიერთ რაიონში ვხვდებით ჰუმუსით მდიდარ ნიადაგებსაც. ქვეყანა წყლის რესურსებით ღარიბია, თუმცა აქ მოედინება ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე—ევფრატი, რომელსაც ბევრი შლამი ჩამოაქვს სანაპიროზე, ამის შედეგია ის, რომ მდ. ევფრატის ხეობაში წარმოდგენილია ყველაზე ნაყოფიერი მიწები.

სირიის ძირითადი მოსახლეობა არაბებია, ცხოვრობენ აგრეთვე ქურთები, სომხები, ასირიელები და სხვ. მოსახლეობის სიმჭიდროვე 150 კაცია ერთ კვ. კმ-ზე. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს 250 ათასი სირიელი, ძირითადად, სამხრეთ ამერიკაში (70%). აქაც, სხვა მუსულმანური სახელმწიფოების მსგავსად, მამაკაცების რიცხვი სჭარბობს ქალებისას. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 52%. სოფლები განაშენიანებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, გვხვდება მჭიდრო და გაფანტული დასახლების სოფლები.

სირიის ეკონომიკა ვითარდება კაპიტალისტური გზით, ქვეყანაში გატარდა რეფორმები უცხოური კომპანიების საკუთრებაში მყოფი საწარმოების ნაციონალიზაციისათვის. სირიის ტერიტორიაზე გადის გაზსადენები და ნავთსადენები, რომლებიც ერაყის ნავთს სირიის ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებით აწვდიან ევროპის ქვეყნებს. 50—იან წლებში ქვეყანამ მოახდინა არა მარტო აღნიშნული ობიექტების, არამედ რკინიგზებისა და სხვა მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაცია. შემუშავებულია ეკონომიკის ეანვითარების ეიგმა, რომელიც გულ-

ისხმობს მრეწველობის 80%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობის წარ-ოების—50%-ით ზრდას.

სირიის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა. აქ დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 2/3, მის წილად მოდის ნაციონალური შემოსავლის 35% და ქვეყნის ექსპორტის—75%.

სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგია მემცენარეობა, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, მდ. ელ-ახის აუზში და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რაიონებში. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც არის დასამუშავებლად ვარგისი მიწის დიდი ფართობები, მაგრამ დღეისათვის ისინი ნაკლებად გამოიყენებიან. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე (სამხრეთი და ცენტრალური ნაწილი) ძირითადად წარმოდგენილია მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეცხოველეობა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების ფართობი 8,7 მლნ. ჰექტარია, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 45%. დღეისათვის ექსპლოატაციაშია მხოლოდ 6,2 მლნ. ჰექტარი. სასნავით უზრუნველყოფის მაჩვენებელი ერთ სულზე გაანგარიშებით 0,77 ჰექტარია. სარწყავია 600 ათასი ჰა, რომელიც იძლევა მემცენარეობის პროდუქციის 30%, ურწყავი—5,5 მლნ. ჰექტარი—70%. სარწყავი მიწების გამოყენების კოეფიციენტი 4-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ურწყავისა. სირიელები ცდილობენ სარწყავი მიწების ფართობის გაორმაგებას, გათვალისწინებულია 2000 ათასი წლისთვის მათი რაოდენობა 1,2 მლნ ჰექტარამდე გაიზარდოს. სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას დიდად შეუწყობს ხელს მდ. ევფრატზე დიდი ჰიდროელექტროსადგურის აშენება, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას 0,6 მლნ. ჰა მიწის ფართობი ჩააყენოს ქვეყნის სამსახურში.

სირიაში ჩამოყალიბებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების რამდენიმე ტიპი. 1960 წლამდე გაბატონებული მიგომარეობა ეკავა მემამულურ მიწათმოქმედებას, რომელიც წარმოების ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ მეთოდებს ეყრდნობოდა. ამავე დროს ქვეყანაში ბევრი იყო უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხი, რომელიც იძულებული იყო ეხუშავა მემამულესთან კაბალურ პირობებში. ცხადია, ასეთი ურთიერთობები ხელს არ უწყობდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას. 1958 წლიდან დაიწყო აგრარული რეფორმების გატარება, რომლის მიხედვითაც მსხვილ მემამულეებს ჩამოერთვათ დაახლოებით 1,6 მილიონი ჰექტარი მიწა, რომელიც გადანაწილდა უმიწაწყლო გლეხებზე. შეიქმნა მიწის დამმუშავებელი კოოპე-

რატივები, რომელთა ძირითადი ფუნქცია არის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივი გამოყენება, სასუქებით, შხამქიმიკატებით ნოყიერებაგება, ძიღებული პროდუქციის რეალიზაცია და სხვ. 1980 წლისათვის ქვეყანაში 3,4 ათასი ასეთი სახის კოოპერატივი არსებობდა რომელიც ამუშავებს სახნავის 1/3.

1976 წლისათვის სახელმწიფოს კუთვნილებაში იყო სასოფლო-სამეურნეო მიწების 4%, რომელზეც შეიქმნა 20 სახელმწიფო მეურნეობა (ყოფილი საბჭოთა მეურნეობების ანალოგი), მიუხედავად სახელმწიფო დოტაციებისა, ეს-ეს მეურნეობებმა ვერ იარსებეს. ისინი უნდა გამხდარიყვნენ წარმოების ორგანიზაციისა და ეფექტიანობის ბაგალითი სხვა მწარმოებლებისათვის, მათ ეს მისია ვერ შეასრულეს ქვეყანაში არსებობს კანონი მიწების გაყიდვის აკრძალვის შესახებ სპეციალისტების აზრით ამ კანონმა შელახა მიწათმფლობელთა ეკონომიური ინტერესები, რასაც თან მოჰყვა მიწის რესურსების გაჩანაგება (მეპატრონე აღარ იყო დაინტერესებული მიწის ნაყოფიერების ამაღლებით და ა. შ.).

მემცენარეობაში წამყვანია მარცვლეული, განსაკუთრებით, ხორბალი და ქერი. მარცვლეულს უჭირავს სახნავის 70%. 1980 წლისათვის აწარმოეს 1,8 მილიონი ტონა ხორბალი, 0,9 მილიონი ტონა ქერი და სიმინდი, 150 ათასი ტონა ბრინჯი, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას დაეკმაყოფილებია საკუთარი მოთხოვნილება მარცვლეულზე. უნდა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ მარცვლეულის მოსავლიანობა წლების განმავლობაში განიცდის დიდ ცვლილებებს, გვხვდება მოუსავლიანი პერიოდებიც, მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყანას ბოლო 10 წელიწადია მარცვალი არ შემოუტანია საზღვარგარეთიდან. მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია ავრეთვე პარკოსნები, კერძოდ ლობიო, რომელიც მოჰყავთ სხვა კულტურებთან შერეულად. იშვიათად გვხვდება სუფთა ნათესები. სოფლის მოსახლეობა დიდი რაოდენობით ხმარობს სიმინდს, რომელიც უნთავრესად მოჰყავთ წვრილ გლეხურ მეურნეობებში. ბრინჯის ნათესები ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებშია განლაგებული, მდინარე ჯაგის სარწყავ ზონაში, ბრინჯის ხარისხი მაღალია.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა, ძირითადად დასავლეთის პროვინციებში. 1985 წელს აწარმოეს 450 ათასი ტონა ნედლეული, რომელსაც ადგილზევე ამუშავებენ. ბამბის ნაწარმი გაიქვეს საზღვარგარეთ. კარგადაა განვითარებული მეაბრეშუმეობა. სირია აბრეშუმის წარმოების უძველესი ქვეყანაა, მისი გავრცელების რეგიონია ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილ- ძირითადად, ჩრდილთა

შუა ზღვის პროვინციები. არსებობს აბრეშუმის ძაფსახვევი კუსტარული საწარმოები, აბრეშუმის წარმოება ბერყეობს 25—30 ათას ტონამდე. სირიული აბრეშუმის ნართი იგზავნება ევროპის ქვეყნებში, სადაც მასზე დიდი მოთხოვნილებაა. ტექნიკური კულტურებიდან მცირე რაოდენობით აწარმოებენ აგრეთვე შაქრის ლერწამს.

განვითარებულია მეხილეობაც, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე არსებობს ვაშლის, მსხლის, ატმის ბაღები. აქვთ ციტრუსებიც, ძირითადად ფორთოხალი და ლიმონი, ბევრია თხილიც. მეხილეობის პროდუქცია სატრანსპორტო სახით გააქვთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, საუდის არაბეთში, იორდანიაში და სხვ.

განვითარებულია მევენახეობაც, რომლის გავრცელების არეალი ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთით—ლიბანის საზღვრისპირა ზოლი, ამზადებენ საქიშმიშე ყურძენს, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ. საკმაო რაოდენობით ამზადებენ ზეითუნის ზეთსაც.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 35%-მდე იქმნება მეცხოველეობაში. მიუხედავად გარკვეული ტრადიციებისა, მეცხოველეობა ატარებს ექსტენსიურ ხასიათს. ქვეყანაში საკმაოდაა მომთაბარე ბედუინები, რომელთა ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობაა. ამ მიზნისათვის ისინი იყენებენ შედარებით უნაყოფო მიწებს, რომლებიც ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ესაა ნახევრად უდაბნოს ტიპის მიწები.

ჰყავთ დაბალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი—დაახლოებით 600 ათასი სული, ამზადებენ ყველს, ერბოს, რომელიც საშინაო მოხმარებისათვის არის გათვალისწინებული. პირუტყვი ძოვებაზეა, ზაფხულობით ამ მიზნით იყენებენ ქვეყნის ცენტრალურ ზეგანს, ხოლო ზამთრობით—მდინარე ევფრატის სანაპირო ზოლს.

ყველაზე მეტი რაოდენობით ჰყავთ ცხვარი და თხა. მათი საერთო სულადობა 6,7 მლნ-ია, ცხვრის ძოვების მარშრუტი ემთხვევა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ძოვების მარშრუტს. ქვეყანაში მოწონებად სარგებლობს თხის ყველი, რომელსაც საკმაო რაოდენობით ამზადებენ, გარდა ამისა, სირიელების კვების ძირითადი პროდუქტია ცხვრის ხორცი. ამზადებენ ავრეთვე საკარაკულე ტყავს, რომელიც ძირითადად გააქვთ ევროპაში. ქვეყანაში ჰყავთ დაახლოებით 230 ათასი სახედარი (ვირი), რომელსაც იყენებენ აგრეთვე მიწის დამუშავებისას, როგორც ცოცხალ გამწევ ძალას, გარდა ამისა ჰყავთ ცხენები და აქლემები.

ბოლო ათი წელია განვითარდა მეფრინველეობაც, რომელიც წარმოდგენილია როგორც დიდი მეფრინველეობის ფაბრიკების სახით. ისი წვრილფლეხარ მეურნეობებშიც.

მიუხედავად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, სირია იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ზოგიერთი პროდუქტი გააქვთ კიდეც საზღვარგარეთ. ქვეყანაში შემოაქვთ ხორცის ნაწარმი, შესქელებული რძე და კარაქი. ექსპორტ-იმპორტი თითქმის აბალანსებს ერთმანეთს. ქვეყანას აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების გარკვეული შესაძლებლობები, რომელიც უპირველესად დაკავშირებულია სარწყავი სისტემის მშენებლობასთან.

ლიბანი

ლიბანი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელიც მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აუზში. მისი ტერიტორია 10,4 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—3 მილიონი, დედაქალაქია—ბეირუთი, რომელიც ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია. ლიბანი ლამაზი ქვეყანაა, ამიტომ მას ხშირად ახლო აღმოსავლეთის „შვეიცარიასაც" უწოდებენ. გრილი მთის მდელოები, შესანიშნავი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები, ყოველთვის იზიდავდნენ ტურისტებს ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ქვეყანა დასახლებული იყო ფინიკიელებით, რომლებმაც შექმნეს რამდენიმე ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო. ფინიკიელები შესანიშნავი მეზღვაურები და ვაჭრები იყვნენ, ისინი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე გადიოდნენ ატლანტის ოკეანეში, გაჰქონდათ რა სხვა ქვეყნებში აღმოსავლური ხილი, ტკბილეული, შავი ხის ნაწარმი, აბრეშუმი, სპილოს ძვლის ნაწარმი და სხვ. XIII—VI საუკუნეებში ჩვ. წელთაღრიცხვამდე ფინიკიელები დაიპყრეს ასირიელებმა, შემდეგ ბაბილონმა და ირანმა. ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო რა ფინიკია, დაწვა მისი ფლოტი და გააგრძელა გზა ინდოეთისაკენ. მომდევნო პერიოდში ქვეყანა შევიდა რომის იმპერიის შემადგენლობაში, რომელთა მიერ აშენებული მონუმენტური ნაგებობები დღესაც ანცვიფრებს მნახველებს. VII—VIII საუკუნეში ლიბანი შედის ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, შემდეგ ქვეყანა დაიპყრეს არაბებმა, XI საუკუნეში მოვიდნენ ჯვაროსნები, XIII—XVI საუკუნეში იგი ეგვიპტის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო 1516 წელს სირიასთან ერთად ლიბანი ოსმალეთის იმპერიაში შევიდა, რომელშიც იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე იმყოფებოდა, შემდეგ ლიბანი საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყანა იყო, ხოლო 1943 წლიდან ლიბანმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ქვეყანას ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გასდევს ლამაზი ქედი,

რომლის დასავლეთი კალთები ზღვისაკენ ეშვება, სანაპირო ზოლი ვიწროა, ზეთის ხილისა და ციტრუსოვანი ბაღებით მოფენილი. მთები ზოგან 3000 მ სიმაღლისაა, ძირი ნაწილი დაფარულია იშვიათი ხე-მცენარეებით, განსაკუთრებით ფასობს ლიბანური კედარი, იგი ზოგჯერ 40 მეტრამდე სიმაღლის იზრდება. სირიის საზღვართან მდებარეობს მთიანი მასივი, ამ ორ მთიან მასივს შორის მდებარეობს ბეკაას დაბლობი, რომლის სიგანე 8—14 კმ-ია, ეს დაბლობი ითვლება ქვეყნის ბეღლად, აქაა უმთავრესად წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, თუმცა, ბისი ჩრდილოეთი ნაწილი უნაყოფო ქვა-ღორღიანი პლატოა. ზღვისპირა ზოლში არსებობს სუბტროპიკული კლიმატი, ზაფხული ხანგრძლივია, ცხელი და ნალექების გარეშე (აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +27°), ზამთარი—შედარებით რბილი (იანვრის ტემპერატურა +13°), ამ დროს ხშირია თქეში წვიმები. მთებში 6—7 თვის განმავლობაში დევს თოვლი, ბეკაას დაბლობშიც კი, სადაც დღისით +35° ტემპერატურაა, საღამოს +5° +7°-მდე ეცემა.

ლიბანი ეთნიკურად არ არის ერთგვაროვანი, მოსახლეობის 90% არაბებია, ცხოვრობენ აგრეთვე 100 ათასამდე სომეხი, 15 ათასამდე ქურთი, არიან ბერძნები, თურქები, ჩერქეზები. რელიგიური თვალსაზრისით მოსახლეობის ნახევარზე მეტი მაჰმადიანია, დანარჩენი—ქრისტიანი. ლიბანის ტერიტორიაზე ცხოვრობს 300 ათასზე მეტი პალესტინელი, რომლებიც ისრაელის ომის შედეგად გადმოსახლდნენ ლიბანში. ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის სტაბილური პოლიტიკური ვითარება. იგი ორ ნაწილადაა გახლეჩილი.. ქვეყნის მოსახლეობის 4/5 ცხოვრობს ზღვისპირად, აგრეთვე მთავარი ქედის ზღვისპირა მხარეს. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, მათ შორის დედაქალაქში—1,3 მილიონი კაცი.

ლიბანის ეკონომიკა ძირითადად ემყარება ვაჭრობას, რაც განაპირობა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკავებულია ბიზნესით ან მომსახურების სფეროთი. 1970-იანი წლებისათვის ნაციონალური შემოსავლის 60% მეტი იქმნებოდა ვაჭრობაში, საბანკო ოპერაციებით, ტურიზმით და მომსახურების სფეროში, სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი 10%-მდე იყო. დაახლოებით ამდენივე იყო მრეწველობის ხვედრითი წილიც. ლიბანი ვაჭრობდა მსოფლიოს 100 ქვეყანასთან, ხოლო მის ტერიტორიაზე 1975 წლამდე მდებარეობდა 70 მსხვილი ბანკი, რომელთა ნახევარი უცხოური იყო. ბანკები ასრულებდნენ შუამავლის როლს ვაჭრობაში ევროპის ქვეყნებსა და არაბულ სამყაროს შორის. საფინანსო ურთი-

ერთობებმა ჩამოაყალიბა ლიბანელი რანტიე კომერსანტების ფენა, რომლებიც ფულადი სახსრების კრედიტორებად გვეელინებიან.

ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია სოფლის მეურნეობა, სადაც დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 30%, აქ იქმნება ნაციონალური შემოსავლის 30%. ლიბანის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ აქ შერწყმულია მსხვილი მიწათმფლობელობა წვრილგლეხურ მეურნეობასთან. გლეხობის 3/4 არ ფლობს მიწას და მას იჯარით იღებს მსხვილი მიწათმფლობელებისაგან. იჯარის პირობები ერთნაირი არ არის, ვხვდებით ერთწლიან, მრავალწლიან, ოჯახურ, კოლექტიურ და ა. შ. იჯარას. ლიბანში სახნავის ნახევარზე მეტი 300 მსხვილი მიწათმფლობელის ხელშია, მიწების 15% ფლობს წვრილი მემამულეები და ე. წ. მდიდარი გლეხები. ბევრია სამონასტრო მიწები. წვრილი მიწათმფლობელები იყენებენ კოოპერაციის სხვადასხვა ფორმებს, რომლებსაც აქვთ როგორც ერთდროული (გასაღების ან მომარაგების), ისე ხანგრძლივი ხასიათი (რამდენიმე წლით). მსხვილი მეურნეობები წარმოდგენილია უმთავრესად მრავალწლიანი ნარგავებით, ისინი თანამედროვე ტიპის კაპიტალისტური საწარმოები არიან, მექანიზაციის და ქიმიზაციის მაღალი დონით.

ლიბანში 3000 ათასი ჰექტარი სახნავია, რომელთაგან 110 ათასი ჰექტარი უჭირავს მრავალწლიან ნარგავებს, უპირველეს ყოვლისა ესაა სუბტროპიკული ხილი და ზეითუნის პლანტაციები. მარცვლეულს უჭირავს 65 ათასი ჰა; დანარჩენი ფართობი მოდის ტექნიკურ კულტურებზე კერძოდ, ბამბაზე, შაქრის ჭარხალზე, ნაწილი ბოსტნეულ-ბაღჩეულზე, რომლებიც საჭიროა საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიისთვის.

ლიბანი ყოველწლიურად ამზადებს დაახლოებით 300 ათას ტონა ციტრუსს, ძირითადად ფორთოხალსა და ლიმონს, რომელიც ბაზარზე მიდის როგორც გადამუშავებული ისე წვენების სახით. ციტრუსების ნაწილი გადის საექსპორტოდ. ევროპის ქვეყნებში. ამზადებენ და გააქვთ საზღვარგარეთ 180—200 ათასი ტონა ხილი, ძირითადად, ვაშლი, მსხალი, ატამი, გარგარი, რომელიც საკმაოდ მოწონებით სარგებლობს საზღვარგარეთ. მარცვლეულის წარმოება 60—70 ათას ტონას შეადგენს, რაც 30%-აც ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას, ამიტომ იგი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან, ძირითადად თურქეთიდან, სირიიდან (ხორბალი და მცირე რაოდენობით ქერი). შაქრის ჭარხლის წარმოება 150 ათას ტონამდე აღწევს, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას შაქარზე. ზეითუნის ნედლეულის დამზადება 45—50 ათასი ტონის ფარგლებშია,

საბოლოო პროდუქტი (ზეთის სახით) ლიბანს გააქვს საზღვარგარეთ. ქვეყანაში მოპყავთ აგრეთვე თამბაქო, ბანანი, ყურძენი, კარტოფილი. ... ხელსაყრელი პირობებისა, როგორც ვხედავთ, ქვეყანა თავის ძოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მთლიანად ვერ იკმაყოფილებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხილის ტრანსპორტირებას, იმ ვარაუდით, რომ იგი ახლად მოკრეფილი მოხვდეს მომხმარებლის სუფრაზე. ამ მიზნით ეფექტიანად იყენებენ სატრანსპორტო ავიაციას, რომლითაც ხილი ძირითადად ვადააქვთ არაბულ ქვეყნებში. დიდი ყურადღება ექცევა საექსპორტო პროდუქციის ხარისხს, რაც ლიბანის პროდუქციის საერთაშორისო პრესტიჟულობას უწყობს ხელს. ქვეყანაში ბევრია შესაფუთი ქარხნები, რომელიც მოკრეფილ ხილს სასაქონლო სახეს აძლევს. ხილს აქ რეცხავენ, აფასოებენ, ფარავენ პარაფინის თხელი ფენით და აგზავნიან არა მარტო საერთაშორისო, არამედ შიდა ბაზარზეც, სწორედ ამიტომ აქვს აქაურ ხილს მაღალი ფასი.

თვით ლიბანში ხილი და ბოსტნეული მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ. განსაკუთრებით ფასობს აქაური ვაშლი, რომელიც გამოირჩევა არა მარტო სიდიდით, არამედ არომატითა და გემოვნებით. ლიბანელებს კარგად აქვთ დამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის შენახვის ტექნოლოგია, ქვეყანაში არსებობს შესაბამისი სათავსები, რომლებიც თანამედროვე ტექნიკის დონეზეა მოწყობილი.

მარცვლეული კულტურები გაადგილებულია ბეკაას დაბლობში, სადაც მემამულეურ მეურნეობებში ფართოდ იყენებენ დაქირავებულ შრომას, თუმცა, მექანიზაციის დონე აქ საკმაოდ მაღალია. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბანს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ტრაქტორები შემოაქვს საზღვარგარეთიდან. განსაკუთრებით ჭირდებათ სამთო მიწათმოქმედების ტექნიკა, ვინაიდან ხილისა და ციტრუსების ბაღები ძირითადად ფერდობებზეა გაშენებული და მათ ტერასული წყობა აქვთ.

ლიბანში მისდევენ მეაბრეშუმეობასაც. არსებობს სპეციალიზებული მეურნეობები, თუთის პლანტაციებით. ქვეყანაში ამზადებენ 18—20 ათას ტონა ნედლეულს, არსებობს რამდენიმე ძაფსახვევი ფაბრიკაც. აბრეშუმის ძაფის ნაწილი გაქვთ ევროპაში.

მეცხოველეობა წარმოდგენილია სუსტად. მცირე რაოდენობით ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (50 ათასამდე), რომლებიც წარმოდგენილია მსხვილი ფერმების სახით, პირუტყვი ჯიშიანია და ძირითადად ბაგურ კვებაზე ჰყავთ, პროდუქტიულობა 2800—3000 ლიტ-

რია ერთ მეწველ ფურზე გაანგარიშებით. ჰყავთ ცხვარი და თხა (ერთად 100 ათას სულამდე), ამზადებენ მატყლს, საკარაკულე ტყავს. შედარებით უკეთია განვითარებული მეფრინველეობა, რომელსაც სამეწველო საციათი აქვს. მსხვილი ქალაქებისა და ტურისტული ცენტრების სიახლოეს აშენებულია რამდენიმე მძლავრი მეფრინველეობის კომბინატი. ქვეყანას მეცხოველეობის პროდუქტები შემოაქვს: ხორცის, ძესვეულის, კარაქის, რძის ფხვნილის სახით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ექსპორტ-იმპორტი ერთმანეთს აბალანსებს, აღსანიშნავია, რომ ორივე მიმართულებას აქვს ბყარი საფუძველი, ლიბანს არ სჭირდება პარტნიორების ძებნა მსოფლიო ბაზარზე არც ექსპორტისთვის და არც იმპორტისთვის.

ლიბანელები თვლიან, რომ მათი შესაძლებლობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით ამოწურულია და არ ცდილობენ მის გაფართოებას. მათი საზრუნავია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაცია და აღწევენ კიდეც ამას. ბეირუთის უნივერსიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს. მსხვილი სამეცნიერო ცენტრები არ არსებობენ. ქვეყანაში წარმოდგენილია რამდენიმე საცდელი სადგური, რომლებიც წარმოადგენენ სხვა ქვეყნებში არსებული სამეცნიერო ცენტრების ფილიალებს.

იორდანია

იორდანიის სამეფო მდებარეობს ახლო აღმოსავლეთში; იგი ერთადერთი არაბული ქვეყანაა, რომელსაც გასასვლელი არა აქვს ზღვაზე. თუ არ მივიღებთ მხედველობაში აკაბის ყურეში რამდენიმე კილომეტრს, სადაც მდებარეობს ქვეყნის ერთადერთი პორტი—აკაბა. იორდანიის ტერიტორია 98 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—3 მლნ. დედაქალაქი—ამანი.

იორდანიაც, ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მსგავსად, უძველესი ცივილიზაციის კერაა. იგი ხშირად ყოფილა დავისა და ბრძოლის საგანი სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ჩვენს წელთაღრიცხვამდე შედიოდა ისრაელის სახელმწიფოს შემადგენლობაში, მომდევნო საუკუნეებში აქ ბატონობდნენ არაბები, რომაელები, ჯვაროსნები, XVI საუკუნეში კი ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყანა გადავიდა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ, 1946 წელს იორდანია გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოდ—პარლამენტური მონარქიის მმართველობით.

იორდანია უდაბნოებისა და ნახევრად უდაბნოების ქვეყანაა, სადაც

კვეხდება მცირე მოცულობის ოაზისები. რელიეფის მიხედვით იგი მდებარეობს ზეგანზე, რომლის სიმაღლე 500—1500 მეტრია. ზეგანზე მდებარე ხეობებში მოედინება მდინარე იორდანი და მდებარეობს მკვდარი ზღვა, რომელიც ყველაზე დაბალი წერტილია მსოფლიოში (ზღვის ფსკერი მდებარეობს 793 მეტრზე ოკეანის დონიდან).

კლიმატი ძნელია, თუმცა ქვეყანა მდებარეობს სუბტროპიკულ სარტყელში. წვიმები იცის ოქტომბრიდან—მაისამდე, შემდეგ მოდის უნალექო ცხელი ზაფხული, რომლის განმავლობაშიც უბერავს დასავლეთის ქარები. ქვეყნის დასავლეთით იანვრის ტემპერატურა 9°-ია, ნდ. იორდანის ხეობაში —+14°, ხოლო ივლისისა —+24°, იორდანის ხეობაში +30°. ზამთარში ზოგჯერ მოდის თოვლიც. ნალექების რაოდენობა ჩრდილო-დასავლეთით 600—650 მმ-ია, ხოლო აღმოსავლეთით და სამხრეთით—100 მმ.

იორდანიის ლანდშაფტი ერთფეროვანი და ძალზედ ღარიბია, უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში ბალახის საფარი ჩნდება მხოლოდ წვიმების დროს. მდინარეებს არა აქვთ მუდმივი ხასიათი, ისინი წარმოიქმნებიან წვიმების დროს, ხოლო შემდეგ შრებიან, მხოლოდ ერთადერთი მდინარე იორდანი არ შრება. მდინარე იორდანის წყალშია მონათლული იესო ქრისტე. მკვდარ ზღვაში გარდა ბაქტერიებისა არ არის არცერთი ცოცხალი ორგანიზმი. აქ მარილის კონცენტრაცია 7,5-ჯერ მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივ ზღვის წყალში. მისი სანაპირო ზოლი უსიცოცხლოა, ქვიანი და ძლიერ დამლაშებული.

იორდანიაში ცხოვრობენ არაბები, 3 მილიონი მოსახლეობიდან ერთ მილიონზე მეტი პალესტინელია, რომლებიც ისრაელის ომის შემდეგ დასახლდნენ იორდანიაში. ქვეყანაში ცხოვრობს 80 ათასამდე ჩერქეზი. 15 ათასამდე ჩეჩენი. მოსახლეობა არ არის განაწილებული თანაბრად. ისინი ძირითადად ცხოვრობენ ქვეყნის დასავლეთით ქალაქ ამანის სიახლოეს. მამაკაცები სჭარბობენ ქალებს. იორდანიაში ბევრი უმუშევარია. რაც გამოწვეულია იმით, რომ არ არის დასაქმების ობიექტები, მუშაობს აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 1/4. ქალები თითქმის არ მუშაობენ, შრომისუნარიანი მამაკაცების 40% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში, 35%—მომსახურების სფეროში. ხოლო 10%-ზდე—ვაჭრობასა და მრეწველობაში.

იორდანია — აგრარული ქვეყანაა, რომელსაც მიწათმოქმედ-მეცხოველეთა ქვეყანას უწოდებენ, ჯერ კიდევ შემორჩენილია ფეოდალური ურთიერთობები. გლეხების უმრავლესობას ან არა აქვთ მიწა, ან ძალზედ მცირე ოდენობით, რომელსაც ამუშავებენ პრიმიტიუ-

ლი იარაღებით, არ იყენებენ სასუქებს, არა აქვთ საკმარისად წყალი, ამიტომ გლეხებს საკუთარი თავის გამოკვებაც კი ეძნელებათ. გლეხების უმრავლესობა იჯარით იღებს მიწას მემამულისაგან, ანაზღაურება ნატურალურია, მიწის მეპატრონეს მოწეული მოსავლიდან რჩება 1/4-დან 1/2-ამდე. დანარჩენი მოიჯარეების კუთვნილებაა. მოიჯარეები ცდილობენ ხელშეკრულება დადონ ერთი ან ორი წლით, რაც დამღუპველად მოქმედებს ნიადაგის ნაყოფიერებაზე, რადგან ისინი არ არიან დაინტერესებული მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესებით და მაქსიმალურ ექსპლოატაციას უწევენ მას, რაც იწვევს სავარგულების გამოფიტვას, რის შედეგადაც ისინი მწყობრიდან გამოდიან.

სოფლად ბევრი მევახშეა. ისინი გაცემული ფულის საზღაურად ღებულობენ მოწეულ მოსავალს, რაც კიდევ უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს ღარიბი გლეხის ოჯახს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, იორდანიის სოფლის მეურნეობაში დაიწყო კაპიტალისტური სისტემების დამკვიდრება, რასაც სტიმული მისცა იმან, რომ გაიზარდა ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. ქალაქის ბურჟუაზიამ დაიწყო კაპიტალის დაბანდება სოფლის მეურნეობაში, ამ მიზნით შეიძინეს მამულები და იქ თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები შექმნეს. დღევანდელ იორდანიაში არსებობენ მეურნეობები, რომლებიც აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციის საკმაოდ დიდ რაოდენობას, იყენებენ შრომის თანამედროვე იარაღებს, აგროტექნიკას, სასუქებს, თუმცა, ყოველივე ამას არ მოჰყოლია უმიწაწყლო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება, პირიქით, ტექნიკის დანერგვას თან მოჰყვა ცოცხალი შრომის გამოთავისუფლება, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა მოსახლეობის დასაქმების პრობლემა.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მემცენარეობა. მიწათმოქმედების ძირითადი რაიონია მდ. იორდანის ხეობა, სადაც მოჰყავთ მარცვლეული, პარკოსნები, ბოსტნეული, ხილი და ზოგიერთი ტექნიკური კულტურა. იორდანიის მიწის ფონდების სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა: დასამუშავებლად ვარგისი მიწების რაოდენობა 1,3 მილიონი ჰექტარია, აქედან 270 ათასი ჰექტარი ნასვენია, რომელიც არ მუშავდება უწყლობის გამო. 400 ათასი ჰექტარი დატოვებულია ანუულად, ამრიგად, მუშავდება 600—650 ათასი ჰექტარი, ამ მიწების უმრავლესობა ურწყავია, მხოლოდ 8% ირწყვება ანუ 80 ათასი ჰექტარი. ეს არის მიზეზი მარცვლეული კულტურების საერთო მოსავლიანობის ცვალებადობისა, მაგალითად, გვალვიან წლებში ქვეყანაში აწარმოებენ 50 ათას ტონა ხორბალს, ხოლო წვიმიან სეზონზე

—150 ათას ტონამდე. ხორბლის გარდა მარცვლეულიდან მოჰყავთ სიმინდი, ქერი, ვვავი, მცირე ოდენობით ბრინჯი. ქვეყანას მარცვლეულის შემოაქვს საზღვარგარეთიდან, ყოველწლიურად 100—120 ათასი ტონის ოდენობით.

სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მებაღეობა და მებოსტნეობა. ბოსტნეულიდან მოჰყავთ: პომიდორი, ბადრიჯანი, კომბოსტო, კიტრი, ბალნეულიდან—სახაძთრო, ნესვი, რომელიც საკმაოდ ადადი ხარისხისაა და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს ევროპის ბაზარზე (განსაკუთრებით ნესვი). მეხილეობა სუბტროპიკული მიმართულებისაა, აქვთ ციტრუსოვანთა (ფორთოხალი, ლიმონი) და ზეითუნის პლანტაციები. მეხილეობისა და მებოსტნეობის პროდუქციას სტაბილური ხასიათი აქვს, ვინაიდან ისინი სარწყავი ნიადაგმოქმედების ზონაშია გადაადგილებული. ხილი და ბოსტნეულ-ბაღჩეული საკმაო რაოდენობით გააქვთ ევროპასა და არაბულ ქვეყნებში. პროდუქციის ტრანსპორტირება წარმოებს თვითმფრინავებით. ქვეყანაში აქვთ ხილი შესაფუთი ქარხნები, აგრეთვე წვენების გადამამუშავებელი საწარმოები.

სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე მეცხოველეობა, რომელსაც ნახევრად მომთაბარე ან მომთაბარე ხასიათი აქვს. ძირითადად ჰყავთ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი, მთელი წლის განმავლობაში პირუტყვი ძოვებაზეა, საკვებს არ ამზადებენ. ჰყავთ 800 ათასი სული ცხვარი, 500 ათასამდე—თხა, ცხვარი არ არის ჯიშიანი, ამზადებენ უხეშ მატყლს, ცხვრის ყველს, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისათვის არის განკუთვნილი. კვების ძირითადი პროდუქტია თხის რძე, რომელსაც ხმარობს სოფლის მოსახლეობა. ჰყავთ მსხვილფეხა 50 ათასი სული რქოსანი პირუტყვიც და 80 ათასი — ბუბალი, ბოლო პერიოდში განავითარეს საბრძოლველო მეფრინველეობა. ქვეყანას მეცხოველეობის პროდუქტები შემოაქვს, განსაკუთრებით. ხორცის ნაწარმი და რძის ფხვნილი. არსებობს სოფლის მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი გეგმები, რომლის მთავარი მიზანია საკუთარი მოთხოვნილებების უზრუნველყოფა. ვარაუდობენ სარწყავი სისტემის გაფართოებას, რითაც მთლიანად გადაჭრიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკმარისი რაოდენობით წარმოების საკითხს, აგრეთვე მიწისქვეშა წყლების ფართოდ გამოყენებას. ქვეყანაში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო განათლების ცენტრები (აბანის უნივერსიტეტში სპეციალური ფაკულტეტი უნდა ჩამოყალიბდეს). დღეისათვის. დარგის სპეციალისტების მომზადება წარმოებს საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ერაყი მდებარეობს ძველი მესოპოტამიის ტერიტორიაზე, ორი მდინარის—ტიგროსისა და ევფრატის აუზში. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მას აკრავს მთიანეთი. ქვეყნის ფართობი 435 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—20 მილიონი, დედაქალაქია—ბაღდადი. ქვეყანა ორჯერ მეტია დიდ ბრიტანეთზე, მისი სიგრძე 1000 კმ-ია, ხოლო სიგანე — 700 კმ.

ერაყი, იმ ადგილებიდან, სადაც ადამიანის ადგილსამყოფელი, ძველი ცივილიზაციის ქვეყანაა, ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ შუმერები, რომლებმაც შექმნეს უძველესი კულტურა. აქ მდებარეობდა უძლიერესი სახელმწიფო ასირია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა მთელი ახლო აღმოსავლეთი. ჩვ. წლ. აღ. VII საუკუნეში ბაბილონმა დაიპყრო ასირიელების სახელმწიფო. VI საუკუნეში ქვეყანა დაიპყრო ირანმა, შემდეგ იგი ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის შემადგენლობაშიც იყო. აქ ბატონობდნენ რომაელებიც და ბიზანტიელებიც. V საუკუნეში კი არაბები. XVI საუკუნეში ერაყი ოსმანებმა დაიპყრეს და დაუქვემდებარეს თავიანთ იმპერიას, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ერაყი ინგლისის პროტექტორატი იყო, 1932 წელს კი მან გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

ერაყის ტერიტორია ძირითადად დაბლობია. მთებს უჭირავს ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი. ცენტრში მესოპოტამიის დაბლობია. ერაყის ბუნებრივი პირობები გაცილებით ხელსაყრელია სამეურნეო თვალსაზრისით, ვიდრე მეზობელი არაბული სახელმწიფოებისა. მესოპოტამიის დაბლობი გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. ალუვიური ნიადაგები, სითბო და სინათლე. მტკნარი წყლის სიაჭლოე, რომელიც ბორწყვის ფართო შესაძლებლობებს იძლევა, იმის პირობაა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ეფექტიანი ხასიათი ჰქონდეს. ჯერ კიდევ ძველად, მესოპოტამიას „სიუხვის დაბლობს“ უწოდებდნენ და ახლო აღმოსავლეთის უზარმაზარი რაიონის ბაღად ითვლებოდა.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ერაყში გამოყოფენ: ქვემო მესოპოტამიას, ზემო მესოპოტამიას, ჩრდილოეთ ერაყს (ქურთისტანი). სამხრეთით ელ-ბადიის პლატოს—ყველაზე მეჩიდროდ დასახლებულ პროვინციას, იგი ერაყის ისტორიული ცენტრია და სარწყავი მიწათმოქმედების სამშობლო. რომელსაც ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან ეყრდნობოდა ბაბილონის სახელმწიფო.

ერაყი კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, აქ მოედინება რეგიონის ორი უდიდესი მდინარე—ტიგროსი და ევფრატი.

რომლებიც ქვეყანას უზრუნველყოფენ ყველა სახის წყლით. ამავე დროს წარმოადგენენ მსოფლიოს სატრანსპორტო არტერიებს.

ხელოვნურ მორწყვას მოითხოვს სასნავის 67%, იცის ხანგრძლივი შრალი ზაფხული, რომელიც 7 თვემდე გრძელდება, ჰაერის ტემპერატურა +39°-მდეა, ზოგჯერ კი +50°-ს აღწევს. ზამთრობით ტემპერატურა +7°-მდე ეცემა.

მცენარეული საფარი ტროპიკულია (ქვეყნის ჩრდილოეთით სუბტროპიკული), ტყეები მხოლოდ მთიან ზონაშია, მესოპოტამიის დაბლობზე კულტურული მცენარეული საფარია, დასავლეთი მხარე მთლიანად უდაბნო და ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეებს უჭირავს.

ერაყში ჰიდროენერგორესურსების დიდი მარაგია, წიალი მდიდარია საბადოებით, რომელთა შორის წამყვანი მდგომარეობა უჭირავს ნავთობს. მისი გამოკვლეული მარაგი 5 მილიარდი ტონაა. არის ავრეთვე ბუნებრივი გაზის უდიდესი საბადოები (800 მილიარდი კუბ. მეტრი).

მოსახლეობის 80% არაბებია, 18%—ქურთები, ცხოვრობენ აგრეთვე ირანელები, თურქები, ასირიელები, სომხები, თურქმენები და სხვ. ბევრია მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები. მოსახლეობის 90% მუსულმანია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 8 მილიონამდეა, რომელთა ნახევარი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (მათ შორის 10% ეწევა მომთაბარე ცხოვრებას), მრეწველობაში დასაქმებულია 7%, მშენებლობაზე—8%, ლანარჩენი—მომსახურებისა და ვაჭრობის სფეროში. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 26 კაცია, ქალაქად ცხოვრობს 80%, მათ შორის ქ. ბაღდადში—4 მილიონი. ერაყში მამაკაცები სჭარბობენ ქალებს, შეფარდებით 1000 ქალზე 1127 მამაკაცი მოდის.

ერაყის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, მისი ყველაზე მთავარი და მომგებიანი დარგია ნავთობის მრეწველობა, რომელმაც დასაბამი მისცა სხვა დარგების განვითარებასაც. ნავთობმომპარაგებელი ცენტრები ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს (ქ. კირკუკის რაიონში). გარდა ამისა, ნავთობის საბადოებია ცენტრალურ და სამხრეთ ერაყში. ისინი მილებით უერთდებიან სირიისა და ლიბიის საზღვაო პორტებს, საიდანაც გააქვთ ევროპაში. ქვეყანაში 6 მძლავრი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოა, დაიწყო ბუნებრივი გაზის დამუშავება, შენდება თხევადი გაზის საწარმოები. გარდა ამისა, ერაყში არის ფოსფატების, კვარცის, მარმარილოს მდიდარი საბადოები.

სოფლის მეურნეობის განვითარებას ბიძგი მისცა აგრარულმა რეფორმებმა, რომელიც ორჯერ ჩაატარეს საკმაოდ მოფიქრებულად და ეფექტიანად. პირველი რეფორმის დროს (1938 წელს) მიწები ჩამოერთვათ მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც მას არ იყენებდნენ რაციონალურად. რეფორმის შემდეგ მსხვილ მიწათმფლობელებს საკუთრებაში დაუტოვეს 500 ჰექტარი მიწა ურწყავ ზონაში და 250 ჰექტარი—სარწყავ ზონაში. ჩამონაჭერი და ყოფილი სამეფო ოჯახის მიწები დაერიგდათ უმიწაწყალო და მცირემიწიან გლეხებს, 20 წლის განმავლობაში ვადით. მიწების სიდიდე ურწყავში 15—20, ხოლო სარწყავში 7,5—15 ჰექტარი იყო, რაც გლეხური ოჯახისათვის ოპტიმალურ ზომად ითვლებოდა. 1970 წელს ჩატარდა მეორე აგრარული რეფორმა, რომელმაც კიდევ უფრო შეამცირა მსხვილ მიწათმფლობელთა ქონებები. ურწყავში მათ დაუტოვეს 259, ხოლო სარწყავში—100—150 ჰექტარი მიწის ფართობი, ამასთანავე მათ აღარ ეისცენ ჩამორთმეული მიწებისათვის კომპენსაცია. ამავე დროს დამუშავდა კოოპერირების რეკომენდაციები. ლენინური მეურნეობებისათვის, რომლებიც გულისხმობენ მიწების მექანიზებული წესით დამუშავებას, მომარაგებასა და პროდუქციის გასაღებას. ორივე რეფორმის დროს მემამულეებს ერთობლივად 2,5 მილიონი ჰექტარი მიწა, რომელთაგან გლეხებს დაურიგდათ 1.6 მილიონი ჰექტარი, დანარჩენი კი სახელმწიფო რეზერვში ჩაიტოვეს.

ერაყში დასამუშავებლად ვარგისი მიწების რაოდენობა 7,5 მილიონი ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 17,3%. აღნიშნული ფართობიდან დღეისათვის დამუშავებაშია 1/3 ანუ 2,6 მილიონი ჰექტარი. მიწათმოქმედება განვითარებულია მესოპოტამიის დაბლობის ქვემო ნაწილში, ჩრდილოეთ ერაყის მთისწინა ფერდობებზე. სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში მიწათმოქმედება მთლიანად სარწყავია, მხოლოდ ნალექებით შედარებით კარგად უზრუნველყოფილ ქვეყნის ჩრდილოეთითაა იგი ურწყავი. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა აქ არ არის მაღალი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ჯერ კიდევ დაბალია წარმოების კულტურა, სჭარბობს ხელით შრომა, ნაკლებად იყენებენ მინერალურ სასუქებს და სხვ.

მემცენარეობაში წამყვანია მარცვლეული კულტურები, რომლებსაც უჭირავთ ნათესი ფართობის 90%, ყველაზე დიდია ხორბლის ნათესები, რომლის საერთო მოსავალი 1985 წელს 2 მილიონ ტონას შეადგენდა, ქერისა—0,8 მილიონ ტონას. მოჰყავთ სიმინდი, რომლის

საერთო მოსავალმა 0,3 მლნ. ტონა შეადგინა, წარმოდგენილია აგრეთვე ბრინჯიც. ბელ სასაქონლო მარცელეული 2,1 მილიონ ტონას ეკრის. ენდა ვივარაუდოთ, რომ 1 მილიონ ტონამდე აღურიცხავი პროდუქცია რჩება ეკონომიკას. ამრიგად, მარცელეულის წარმოება დაახლოებით 4 მილიონი ტონის ტოლია, ეს კი ერთ სულზე გადაანგარიშებით დაახლოებით 200 კგ-ია, რაც ფიზიოლოგიურ ნორმაზე გაცილებით მაღალია.

დარჩენილი ფართობი (10%) გამოიყენება ტექნიკური კულტურებისათვის. მოჰყავთ ბამბა, რომლის გადამამუშავებელ ადგილზე წარმოებს, თამბაქო—რომელსაც ამუშავებენ უცხოური ლიცენზიების მიხედვით. ეიდი რაოდენობით აქვთ ფინიკის პლანტაციები, რომლის წარმოებითა და ექსპორტით ერაყი პირველ ადგილზეა მსოფლიოში (ერაყზე ნოდის ფინიკის მსოფლიო ექსპორტის 80%).

ერაყს საკუთრი სასოფლო-სამეურნეო მანქანათაშენებლობა არ გააჩნია, ტექნიკა შემოაქვთ ევროპის ქვეყნებიდან. მიუხედავად კოლოსალური ფინანსური შესაძლებლობებისა ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი 18—20 ცხენის ძალაა, რომლის სტრუქტურაშიც საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ცოცხალი გამწევი ძალა. ბოლო წლებში ინტენსიურად დაიწყეს მინერალური სასუქების გამოყენება, რასაც ხელი შეუწყო ქიმიური ქარხნის აშენებამ ქ. ბაღდადის გარეუბანში. კოოპერაციის გავრცელებული ფორმაა—მატერიალური ინტერესაგება, რომელიც თანდათანობით იღებს დახვეწილ ხასიათს.

მემცენარეობიდან წარმოდგენილია აგრეთვე მეხილეობა-მებაღჩეობა. ხეხილის ბაღები მესოპოტამიის დაბლობის ცენტრალურ ნაწილშია გავრცელებული. აქვთ როგორც სუბტროპიკული, ისე კონტინენტური ხილის ბაღები. მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის ვაშლი, ჭლიავი, გარგარი, მსხალი, ავრეთვე ფორთოხალი, ბროწეული. ხილი ნატურალური სახით მოიხმარება შიგა ბაზარზე, საზღვარგარეთ გააქვთ უმთავრესად წვენები. კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა. განსაკუთრებით მოჰყავთ პომიდორი, კომბოსტო, წიწაკა, სალათი, რომელიც მოკრეფისთანავე ხვდება მომხმარებელთან. ბაღჩეულიდან მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის საზამთრო და ნესვი. ბოსტნეულ-ბაღჩეული პროდუქციის ნაწილი გააქვთ ევროპის ქვეყნებში.

მეცხოველეობა ერაყის სოფლის მეურნეობის მეორე მთავარი დარგია, რომელსაც ჯერ კიდევ ექსტენსიური ხასიათი აქვს. პირუტყვი

მთელი წლის განმავლობაში ძოვებაზეა, საკვებს თითქმის არ ამზადებენ. მეცხოველეობის გავრცელების არეალია, როგორც საძოვრებით მდიდარი ჩრდილოეთი პროვინციები, ისე ნახევრად უდაბნოები, მეცხოველეობას ბოლთაბარე ხასიათი აქვს. ქვეყნის ჩრდილეთით—მთიან ზონაში, სადაც ნოყიერი საძოვრებია, ყავთ 2,5 მილიონი სული ცხვილფეხა რეოსანი პირუტყვი (ყავთ აგრეთვე ადგილობრივი ჯიშის დასალაოდუქტიული პირუტყვიც, რომელთა ჯოგები შერეულია — ერთად არის სახორცე და სარძეო პირუტყვი). წველადობა 2500 ლიტრამდეა წელიწადში. რაც ცხიმიანია, ამზადებენ ერბოს, ყველს. აღნიშნული პროდუქტებით ქვეყანა მხოლოდ 40%-ით არის უზრუნველყოფილი, დანარჩენი შემოაქვთ ევროპიდან, ძირითადად რძის ფხვნილის სახით, რომელსაც ადგილზე ამუშავებენ. შემოაქვთ აგრეთვე ხორცის ნაწარმი—ძეხვეულისა და კონსერვების სახით.

ქვეყანაში ყავთ 16 მილიონი სული ცხვარი, რომელიც დაბალნაყოფიერ საძოვრებზეა გაადგილებული და წარმოდგენილია როგორც დიდი ფარების სახით (3 ათასი სული და მეტი), ისე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში (5—10 სული). ცხვრის ხორცი ერაყელების კვების ძირითადი პროდუქტია. ამზადებენ მატყლს, რომლის 40% ვაქვთ ევროპის ქვეყნებში, საკარაკულე ტყავს, რომელიც ასევე საექსპორტოა, ცხვრის ყველს—შიდა ბაზრისათვის, აგრეთვე ხორცს, რომელიც ადგილზე მოიხმარება. მეცხვარეობას მომთაბარული ხასიათი აქვს. ზაფხულის პერიოდში, როდესაც მესოპოტამიის დაბლობში ბალახი ხმება, ცხვარი აჰყავთ მთებში—ირან-თურქეთის საზღვართან, ჰყავთ 2,3 მილიონი სული თხა, რომელიც უმთავრესად ცხვრის ფარებშია შერეული, თუმცა ჩრდილოეთით (განსაკუთრებით ქურთისტანში) თხები გვხვდება ცალკე ფერმების სახითაც. ერაყელ ქურთებში დიდი მოწონებით სარგებლობს თხის რძე და ხორცი.

ბოლო დროს განვითარდა მეფრინველეობა, რომელიც მსხვილი ქალაქების, აგრეთვე ნავთსარეწების მახლობლადაა წარმოდგენილი, მეფრინველეობას საბჭოელერო მიმართულება აქვს და იგი სამრეწველო საფუძველზეა მოწყობილი. ერაყელები ვარაუდობენ, რომ მეფრინველეობის მეშვეობით გადაჭრიან ხორცის წარმოების საკითხს, ასევე როგორც ეს გააკეთეს ევროპის ქვეყნებმა.

განვითარებულია აბრეშუმის პარკის წარმოებაც, რომლის შესახებ სრული ცნობები არ ქვეყნდება. აქაური აბრეშუმის პარკი კარგი ხარისხისაა და იგი ძვირად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. ქვეყნის ჩრდილოეთით მისდევენ მეფუტკრეობასაც.

ბოლო წლებში მოხდა ჯადამამუშავებელი და კვების მრეწველო-

ბის ობიექტების მოდერნიზაცია. შეიქმნა თანამედროვე ტიპის საწარმოები, რომლებიც მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

ერაყს გააჩნია კოლოსალური ფინანსური შესაძლებლობები, მაგრამ ულანასკნელ ორ ათწლეულში ქვეყანა დაადგა მილიტარიზაციის გზას. ჰყავს კოლოსალური არმია, რომელიც შეიარაღებულია თანამედროვე ტიპის ტექნიკით. ქვეყნის პოლიტიკის სამხედრო მიმართულებამ შთანთქა ფინანსური რესურსების უდიდესი ნაწილი.

კარგი პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ბუნებრივი შესაძლებლობები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის გამოყენებული. ერაყი კვების პროდუქტებზე ძირითადად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს. ექსპორტი ფარავს შემოტანილი პროდუქციის ხარჯებს. ვარაუდობენ რომ თუ იგი მაქსიმალურად გამოიყენებს ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, შეიძლება გასდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი იმპორტიორიც.

საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის სამეფოს უჭირავს არაბეთის ნახევარკუნძულის 2/3 და მიმდებარე კუნძულები. საზღვრებით მას ზუსტად ჩამოყალიბებული საზღვრები არ გააჩნია, ამიტომ ვარაუდობენ, რომ მისი ტერიტორია 1,6—2,3 მილიონი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—10—11 მილიონი, დედაქალაქი—ერ-რიადი.

საუდის არაბეთი კონტრასტების ქვეყანაა, სადაც ეხვდებით ბედუინთა პატრიარქალურ მომთაბარე ცხოვრებას უდაბნოში, მიწათმოქმედებას—ოაზისებში და სამრეწველო საწარმოებსა და შესანიშნავ ავტო-მაგისტრალებს—თანამედროვე ტიპის ქალაქებში.

საუდის არაბეთის ტერიტორია—არაბთა ისტორიული სამშობლოა, აქედან მოხდა მათი განსახლება სხვა არაბულ ქვეყნებში. არაბეთს სახელმწიფოებრიობა ჰქონდა ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინათ. ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში არაბებმა გააჩაღეს დაპყრობითი ომები. მათ შემოიერთეს სირია, ერაყი, ეგვიპტე. ხალიფატის დედაქალაქი ჯერ დამასკოში, შემდეგ ბაღდადში გადაიტანეს. არაბები საქართველოშიც ბატონობდნენ (VI—VIII საუკუნეებში). XVI საუკუნეში არაბული ქვეყნები შეერიენ ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში, საუდის არაბეთი თურქეთის იმპერიაში დარჩა პირველ მსოფლიო ომამდე. 1932 წელს გაცოცხადდა საუდის არაბეთის დამოუკიდებელი სამეფო.

საუდის არაბეთში დაირწა ისლამური რელიგიის აკვანი. მუსულმანური სამყაროს წმინდა ადგილად ითვლება ქალაქ მექაში მდებარე

ისლამური მეჩეთი. სწორედ ამ ადგილიდან დაიწყო თავისი ქადაგება ისლამური რელიგიის ფუძემდებელმა მოჰამედმა.

საუდის აარაბეთი მდებარეობს უზარმაზარ ზეგანზე, რომლის სიმაღლე ზერუეოს 400—1000 მეტრის ფარგლებში. სამხრეთ აღმოსავლეთით აკრავს მთები, რომლებიც ნახევარკუნძულს მთელ სიგრძეზე გასდევს. ცენტრალური ადგილი უჭირავს დიდი ნეფუდის უდაბნოს, რომელიც 670 ათას კვ. კმ-ზეა გადაჭიმული, სამხრეთით მდებარეობს უდიდესი უდაბნო, რომლის სიგრძე 1200, ხოლო სიგანე—650 კმ-ია, სამხრეთ-დასავლეთით კი კლდოვანი მასივია, რომელიც პლატოზე მდებარეობს.

საუდის არაბეთი მდებარეობს უდაბნოს ცხელი კლიმატის სარტყელში. წითელი ზღვის სანაპიროზე ტემპერატურა არ ეცემა +5°-ზე ქვევით, ხოლო ივლის-აგვისტოში ხშირად +45°, ამ დროს ზღვის წყალიც +29°-მდე ცხელდება. აქ იმდენად მაღალია ჰაერის ტენიანობა (90%), რომ სარეცხიც კი არ შრება, თუმცა, ტემპერატურა +45°-ია, ამის მიზეზია წითელი ზღვის ზედაპირიდან წყლის აორთქლების მაღალი პროცენტი, რომელიც აჯერებს ჰაერს. შიგა რაიონების კლიმატი მშრალი და კონტინენტურია, ხშირია ქარები, ამიტომ სიცხე აქ მწვავედ არ იგრძნობა, ივლისის საშუალო ტემპერატურა +50°, ხოლო იანვრისა —+10°, ჰაერის ტენიანობა დაბალია. ნალექები მოდის მხოლოდ ზამთარში და იგი 250 მმ არ აღემატება. მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან დღე-ღამური უდაბნოს ტემპერატურა, ღამის სიცივე ცუდად მოქმედებს როგორც ადამიანებზე, ისე ცხოველებზეც.

ქვეყანაში არ არის მტკნარი ტბები და მუდმივი მდინარეები, ამიტომ წყიმას აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ნალექები მოდის მხოლოდ ზამთარში და არათანაბრად, ხშირია უნალექო წლებიც. ზოგჯერ იცის კოკისპირული წვიმები, რომლითაც სწრაფად ივსება ხელოვნური ავზები. ბევრია აგრეთვე ოაზისი, რომლებიც წყალქვეშა მდინარეების ზედაპირზე ამოსვლის შედეგად იქმნება. საკმაო რაოდენობითაა გრუნტის წყლებიც, რომლებიც ჭაბურღილების მეშვეობით ამოჰყავთ ზედაპირზე, ისინი აწვდიან მტკნარ წყალს დიდ ქალაქებს, მათ შორის დედაქალაქსაც.

მცენარეული საფარი უდაბნოს ტიპისაა, ბევრია ეკლიანი ბუჩქნარი, კაქტუსები. ზამთრის წვიმების დროს მიწა იფარება მწვანე ბალახეულით, რომლებიც აქლემებისათვის კარგ საძოვრებს წარმოადგენენ. მაგრამ სიმწვანე დიდხანს არ გასტანს, ზაფხულის სიცხე ბოლოს უღებს მას.

საუდის არაბეთის მოსახლეობის ნახევარი მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. ქალაქად ცხოვრობს მხოლოდ 29%. ეკონომიურად აქტიურია მოსახლეობის 30%, ანუ 3 მილიონი კაცი, რომლებიც დასაქმებული არიან სოფლის მეურნეობაში. საშუალო სიმჭიდროვე 4 კაცია კვ. კმ-ზე. ქვეყანაში 90% არაბია, ცხოვრობენ აგრეთვე ხანგები, ირანელები, პაკისტანელები, თურქები.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში საუდის არაბეთი უდაბნოში მიტოვებული ევეყანა იყო, განვითარება ძალზედ დაბალი დონით, ფეოდალური ურთიერთობებით და ტომობრივ-პატრიარქალური წყობით. ქვეყანაში არ არსებობდა სკოლები, მოსახლეობის 95% წერა-კითხვის უცოდინარი იყო, არ იყო გზები და სხვა კომუნიკაციები.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას საფუძველი შეუქმნა ნავთობის აღმოჩენამ, რომელიც იძლევა დღევანდელი საუდის არაბეთის საფინანსო შემოსავლების 85%. ნავთობპროდუქტებზე მოდის ქვეყნის ექსპორტის 98%. ნავთობის ექსპორტიდან ყოველწლიური შემოსავალი 28—30 მილიარდ დოლარს შეადგენს. დღევანდელ საუდის არაბეთში განვითაოებულია ქიმიური მრეწველობა, ნავთობის გადამუშავება, ცემენტის წარმოება, არსებობს ტყავის გადამამუშავებელი ქარხნები, კვების მრეწველობის ობიექტები, აშენდა პირველხარისხოვანი საავტომობილო მაგისტრალები, ქალაქებს მიეცათ თანამედროვე სახე, აშენდა სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები. ერ-რიადის უნივერსიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი. მაგრამ, მიუხედავად ამ პროგრესისა საუდის არაბეთი ეკონომიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ სუსტად განვითარებულ ქვეყნად ითვლება, სადაც დომინანტობს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, რომელიც ამავე დროს თავისი ტექნიკური დონით ჩამორჩენილია. სოფლის მეურნეობაში შემორჩენილია წარმოების პრიმიტიული ფორმები, რომელიც დამახასიათებელი იყო ფეოდალური წყობისათვის. სოფლის მეურნეობაში იქმნება ნაციონალური შემოსავლის 6%, თუმცა ამ დარგში დასაქმებულია მოსახლეობის 3/4.

სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ 50%, დანარჩენი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან. დამუშავებული მიწების რაოდენობა 460 ათას ჰექტარს შეადგენს, ანუ ქვეყნის ფართობის მხოლოდ 0,2%, ამავე დროს ვარაუდობენ, რომ ინტენსიური რწყვის შედეგად შეიძლება ათვისებული იქნას ქვეყნის ტერიტორიის 15%, რაც 32 მილიონ ჰექტარს შეადგენს. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რაიონებია ასირიის ზეგანი და ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი. ამ რაიონებში წვიმიანი სეზონის დროს ნალექების რაო-

დენობა 1000 მმ-მდეა, აქვეა თავმოყრილი სახნავის 60%. ასირიის ზეგანი ერთადერთია, სადაც ნალექების რაოდენობა საკმარისია მიწათმოქმედებისათვის. დანარჩენ რაიონებში წარმოება შეუძლებელია ირრიგაციის გარეშე. საირიგაციო ქსელის მშენებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის, როგორიცაა: მექა, ეტ-ტაიფის, მედინას და სხვა ოაზისები.

ქვეყანაში მიწათმფლობელობის საში სახე არსებობს: 1. კერძო საკუთრების მიწები: 2. მოჯამაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომების მიწები, 3. მიწები, რომლებიც სანეფო სახლის, საძღვდელოების და ტომის ბელადების საკუთრებაა. ბევრია მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც უმთავრესად ქალაქად ცხოვრობს, ხოლო მიწას იჯარით აძლევს უმიწაწყლო ან მცირემიწიან გლეხებს. მათ გვერდით მოქმედებს წვრილი გლეხური მეურნეობები. მსხვილი მეურნეობები იძლევიან სასაქონლო პროდუქციას, ხოლო წვრილგლეხური მეურნეობები უმრავლეს შემთხვევაში წამგებიანია და საკუთარი ოჯახის გამოკვებაც კი უჭირთ. არსებობს სახელმწიფო (სამეფო) მეურნეობები, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნიკას, სასუქებს და დაქირავებულ შრომას. მათი რაოდენობა ჯერ კიდევ მცირეა. წყლის მუდმივი დეფიციტი, ხშირად იწვევს მოსავლის დაღუპვას და წვრილგლეხური მეურნეობის გაჩანაგებას. ამ დროს გლეხები მიდიან ქალაქად ან ნავთობმოპოვების სამუშაოებზე.

სოფლის მეურნეობას დიდ საფრთხეს უქმნის უდაბნოს ქვიშის შემოტევები. აგებენ დიდ ქვიშაშემკავებელ კაშხალებს. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი კაშხალის სიგრძე 350, ხოლო სიმაღლე 33 მეტრია. კაშხალი არა მარტო აკავებს ქვიშას, არამედ წარმოადგენს წყლის დიდ რეზერვუარსაც, მაგალითად, კაშხალი ახბა რწყავს 8 ათას ჰექტარ მიწას.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: მარცვლეულიდან—ხორბალი, ქერი, სიმინდი, სორგო. გარდა ამისა დიდი რაოდენობით მოჰყავთ ფინიკი, რომლის ყოველწლიური წარმოება 250 ათას ტონას უდრის. ხორბლისა და სიმინდის საერთო მოსავალი შეადგენს 259 ათას ტონას, ქერის—30 ათას ტონას, სორგოს—160 ათას ტონას. სულ, მარცვლეულის წარმოება 450 ათას ტონას უდრის. რაც ქვეყნის მოთხოვნილებას 35%-ითაც კი ვერ უზრუნველყოფს. მარცვლეულის ფართობებს ამუშავებენ პრიმიტიული იარაღებით, მოსავლიანობა დაბალია, დიდია დანაკარგები.

ოაზისებში განვითარებულია მეხილეობა, ძირითადად—სუბტროპიკული. მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, ატამი, ვაშლი, მსხალი, ბროწე-

ბლ, ლეღვი, ბანანი, ყურძენი. 1985 წელს ხილის საერთო დამზადება 130 ათას ტონას უღრიდა, რაც მოთხოვნილების მინიმუმსაც კი ვერ აკმაყოფილებდა.

ოაზისების კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა წელიწადში მიიღონ ბოსტნეულის სამჯერადი მოსავალი, მაკრამ ამისათვის საჭიროა სარწყავი წყლის დიდი რაოდენობა. მოჰყავთ კომბოსტო, პოდიდორი, წიწაკა, სალათი. მებოსტნეობას ძირითადად ქალაქ ერ-რიადის ეარეულებნებში მდებარე მეურნეობები მისდევენ. რაც შეეხება ბალეზურ მეურნეობებს, ისინი სასაქონლო ბოსტნეულს არ ამზადებენ. ყარგ მოსავალს იძლევა ბაღჩეული კულტურები, აქაური საზამთრო და ალვი საუკეთესო ვემოვნებითი თვისებებით გამოირჩევიან. 1985 წელს დაამზადეს 550 ათასი ტონა ბაღჩეული, მოჰყავთ ბადრიჯანი, ნიორი, ხაბვი, ლობიო და სხვა კულტურები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დიდ როლს თამაშობს მომთაბარული მეცხოველეობა. ბოლო პერიოდამდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ აქლემების მოშენებას, რომელსაც დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა—უპირველეს ყოვლისა, როგორც სატრანსპორტო საშუალება. საკვებად იყენებდნენ აქლემის რძესა და ხორცს, მისი ბეწვისაგან ამზადებდნენ ხალიჩებს, ტყავი კი ძვირად ფასობდა საზღვარგარეთ. დღეისათვის, აქლემების რაოდენობა შემცირდა 300 ათას სულამდე. ყოველწლიურად ქვეყანას ექსპორტზე გაჰყავს (ძირითადად ზოოპარკებისათვის) 10—15 ათასი აქლემი. იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში მრავლადაა ავტომობილები, აქლემი თანდათანობით კარგავს სატრანსპორტო ფუნქციას. ჰყავთ აგრეთვე 6 მილიონამდე თხა და ცხვარი, რომლებიც მომთაბარულ მდგომარეობაშია, ცხვრის ფარები ძოვებით ზოგჯერ ათასობით კილომეტრამდე ფარავენ. როგორც წესი ზამთრობით ცხვრები ჰყავთ ნახევრად უდაბნოებში, სადაც წვიმების დროს საკმაოდ ნოყიერი ბალახი მოდის. ამზადებენ ცხვრის ყველს, მატყლს. მატყლი საექპორტოდ გააქვთ ევროპაში.

აღმოსავლეთ მოსახლეობაში დიდად ფასობს ცხვრის ხორცი. ცხვარი ჰყავთ როგორც დიდი ფარების სახით, ისე წვრილგლეხურ მეურნეობებშიც (3—5 სული). მთიან ზონაში თხები ჰყავთ ცხვრებთან შერეული და ცალკე ფარებად, ძალიან მოწონთ თხის რძე და ხორცი. მიწათმოქმედების რაიონებში ჰყავთ სახედრებიც. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა მცირეა (30—40 ათასი სული), და ძირითადად ქვეყნის ჩრდილოეთით—ჰარბტენიან პროვინციებშია წარმოდგენილი. მეცხოველეობის პროდუქცია ქვეყანას შემოაქვს რძის ღვნილისა და ძეხვეულის სახით.

საუდის არაბეთში განვითარებულია მეცხენეობაც. აქაური წმინდასისხლიანი ჯიშის ცხენები საუკეთესოდ ითვლებიან მსოფლიოში. ცხენი ძირითადად საჯირითოდ ჰყავთ, მათ გარკვეული რაოდენობა (30—35 ათასი) ყოველწლიურად გაჰყავთ საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ.

ბოლო წლებში განვითარდა მეფრინველეობაც, მაგრამ მისი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში ჯერ კიდევ ბცირეა. ძირითადად, ჰყავთ საბროლეირო ფრინველი. მეფრინველეობა თანამედროვე ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკების სახითაა წარმოდგენილი.

ზღვისპირას მცხოვრები მოსახლეობის კვების რაციონში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი თევზის პროდუქტი. ქვეყნის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, თუმცა, მის რეწვას ჯერ კიდევ არა აქვს საკრეწველო ხასიათი.

საუდის არაბეთი სოფლის მეურნეობის განვითარებას არ აქცევს დიდ ყურადღებას, რაც გამოწვეულია იმით, რომ იგი ძვირადღირებული დარგია და მოითხოვს მძიმე ბრძოლას, რაც ქვეყნის კლიმატურ პირობებში გაძნელებულია, საჭირო პროდუქტების შემოტანა ქვეყანას გაცილებით იაფი უჯდება, ვიდრე მისი ადგილზე წარმოება, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მათ გააჩნიათ კოლოსალური სავალუტო შესაძლებლობები.

ომანი

ომანი ფეოდალური სამეფოა, რომელსაც მართავს სულთანი. იგი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მისი ტერიტორია 212,0 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—ერთ მილიონამდე, დედაქალაქი—მასკატი.

ომანის გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა ის, რომ იგი ცნობილი იყო ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როგორც სავაჭრო და საზღვაო პუნქტი. VII საუკუნეში ქვეყანა არაბეთის ხალიფატის შემადგენლობაში შევიდა. XI საუკუნეში ომანი დამოუკიდებელი სამეფოა. XVI საუკუნეში პორტუგალიამ დაიკავა ომანის ქალაქები, შემდეგ კი გაძლიერდა ჰოლანდიელებისა და ფრანგების გავლენა. ომანი რამდენჯერმე დაიშალა ცალკეულ სახელმწიფოებად. XVIII საუკუნის ბოლოს ქვეყანაში გაძლიერდა ინგლისელთა გავლენა. 1920 წელს გაუქმდა ინგლისის პროტექტორატი და იგი გამოცხადდა დამოუკიდებლად.

ომანის ტერიტორიის ზედაპირი ერთფეროვანია: მხოლოდ ჩრდილოაღმოსავლეთით ზღვის სანაპირო ზოლშია დაბლობი, რომელიც ყველაზე

ჰიდროდაა დასახლებული. ქვეყნის ჩრდილოეთი და სამხრეთი მთავრობა-ანია, ბოლების სიმაღლე 3000 მეტრია (ყველაზე მაღალი წერტილი 3353 მეტრია). ოვანის კლიმატი ტროპიკულია, ქალაქი მასკატი ცნობილია ყველაზე ცხელ ქალაქად მსოფლიოში, სადაც ივნისის საშუალო ტემ-პერატურა +32°, ხოლო იანვრის —+20°, ნალექების რაოდენობა— 300 მმ. თუმცა, გვხვდება რაიონები, სადაც ეს მაჩვენებელი 60—130 მმ-ია. მუდმივი მდინარეები ქვეყანაში არ არის, ყველა მათგანს პე-ტიოდული ხასიათი აქვს და მხოლოდ ზამთრობით მოედინებიან. ამი-ტომ დიდი მნიშვნელობა აქვს გრუნტის წყლებს, რომელიც ომანში სა-კმაოდ ბევრია. აქვთ ჭებისა და გრუნტის წყლების ამოსაღები პრიმი-ტიული მექანიზმები. ქვეყანაში ძირითადად სარწყავი მიწათმოქმედებაა ორგანიზებული. მთებში, სადაც ნალექების რაოდენობა შედარებით მაღალია, გვხვდება ტროპიკული ტყეებიც, მაგრამ მათი ფართობი არ არის დიდი.

ქვეყნის მოსახლეობიდან 90%—არაბია. მათი ნაწილი მომთაბა-რეა. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის მცირე ნაწილი, თითქმის ყვე-ლა ქალაქი ზღვის სანაპირო ზოლშია.

ქვეყნის ეკონომიკა ძალზედ ჩამორჩენილია, მასში ძირითადად შემორჩენილია ფეოდალური საწარმოო ურთიერთობები. მოსახლეო-ბის 80% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და მეთევზეობაში. ჯერ კიდევ ახლო წარსულში, ამ ორ დარგზე მოდიოდა ნაციონალური შე-მოსავლის 60%-მდე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანაში აღმოჩენილი იქნა ნავთობი, მდგომარეობა შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ აბსო-ლუტურ მაჩვენებელში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა გაზრდა, მისი ხვედრითი წილი ნაციონალურ შემოსავალში 12%-მდე შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა-თვის ვარგისი მიწების რაოდენობა შეზღუდულია. დასამუშავებელი მი-წების ფართობი 45—50 ათას ჰექტარს არ აღემატება. აქედან, ირწყ�eba (გრუნტის წყლებით) 40 ათასი ჰექტარი. სოფლის მეურნეობაში დო-მინანტი კულტურაა ფინიკი, რომლითაც დაკავებულია 14 ათასი ჰექტარი. 1985 წელს დაამზადეს 55 ათასი ტონა ფინიკის ნაყოფი, რომლის ნაწილიც გაიტანეს ექსპორტზე. ომანში მოდის მაღალი ხა-რისხის ხილი, რომლის მოსავალიც საკმაოდ დიდია. სუბტროპიკული ხილიდან მოჰყავთ: ლიმონი, ფორთოხალი, მანგო, ბროწეული, კონტი-ნენტურიდან—ვაშლი, ატამი, გარგარი, მსხალი, ალბუთვე ყურძენი, რომლისგანაც ამზადებენ კარგი ხარისხის ქიშმიშს. მსოფლიო ბაზარ-ზე გააქვთ ლიმონი (მოსავლის 3/4, ძირითადად, საუდის არაბეთში) და მანგო (წვენების სახით).

მარცვლეულის ნათესები ხილის ფართობთან შედარებით მცირეა. მარცვლეულიდან გავრცელებული კულტურაა პროსო, რომელსაც თესავენ ურწყავ მიწებზე, წვიმების დროს. ხორბალი და ქერი მოჰყავთ სარწყავ მიწებზე. ხორბლის ნათესებს უკავია 1,5 ათასი ჰექტარი. საიდანაც იღებენ 2,5 ათას ტონა მოსავალს წელიწადში, დაახლოებით ასეთივე რაოდენობით იღებენ ქერსაც, მცირე რაოდენობით მოჰყავთ სიმინდიც. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ თამბაქო, რომელიც ადგილზევე მუშავდება და შიდა ბაზრისათვისაა გათვალისწინებული. და შაქრის ლერწამი, რომელიც მუშავდება კულტურული წესით.

ქალაქების საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მებოსტნეობა და მებაღჩეობა, გავრცელებული კულტურებია ხახვი, ნიორი, წიწაკა, კომბოსტო. ამზადებენ ხმელ სუნელს, იღებენ ბოსტნეულის სამჯერაღ მოსავალს. ბაღჩეულიდან, როგორც სხვა არაბულ ქვეყნებში, მოჰყავთ ძალზედ მაღალი ხარისხის საზამთრო და ნესვი..

მეცხენეობის პროდუქცია ქვეყნის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს, ამიტომ დაახლოებით 100—120 ათასი ტონა მარცვლეული შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან.

ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობას, რომელსაც ექსტენსიური ხასიათი აქვს. სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად მეცხოველეობაში დომინანტობს ცხვარი და თხა, რომელთა სულადობა 1,8 მილიონია. მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია ცხვრის ყველი, თხის რძე, აგრეთვე ცხვრისა და თხის ხორცი. მეცხვარეობა და მეთხეობა ქვეყნის მთიან ზონაშია გავრცელებული და როგორც წესი, წარმოდგენილია ყველა გლეხურ მეურნეობაში. მცირე რაოდენობით ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რომელსაც ძირითადად იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. პირუტყვი ლაბალპროდუქტიულია. წარმოდგენილია მეფრინველეობაც, რომელსაც აღვილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს, მთებში მისდევენ მეფუტკრეობას. ომანი ითვლება აქლემის სამშობლოდ. ჰყავთ ბევრი აქლემი, ძირითადად. მთებსა და უდაბნოებში, მათი რაოდენობა აღრიცხული არ არის. ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში 25—30 ათასი სული აქლემია. ჰყავთ აგრეთვე ცხენები და სახედრები.

თითქმის 15 ათასი ომანელი მისდევს მეთევზეობას. თევზჭერა გრძელდება მთელი წლის განმავლობაში. დაჭერილი თევზის დიდ ნაწილს აბარილებენ და გააქვთ ქვეყნის შიდა რაიონებში, აგრეთვე საუდის არაბეთში. ქვეყნის მოსახლეობის კვების რაციონის 18% შეადგენს თევზის პროდუქტები.

ომანში არიან მსხვილი მიწათმფლობელებიც და მცირემიწიანი და უმიწაწყალო გლეხებიც. მიწას ამუშავებენ საიჯარო პრინციპით, რომელსაც სატურალური ხასიათი აქვს. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის სამუშაოები უმთავრესად სრულდება ხელით. ცოცხალი გამწევი ძალა წარმოადგენს ძირითად ენერგეტიკულ საშუალებას. დიდი ბანია მხადდება აგრარული რეფორმა, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელია, ვინაიდან იგი უპირველესად შელახავს მსხვილ მიწათმფლობელთა ინტერესებს, ქვეყნის ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელი კი სულთანია.

ომანს, როგორც აღვნიშნეთ, შემოაქვს მარცვლეული და რძის ფხვნილი. ბოლო პერიოდში დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემოზიდვაც, მაგრამ მცირე რაოდენობით.

ქვეყანაში არსებობს თანამედროვე ტიპის რამდენიმე თევზის გადამამუშავებელი საწარმო და სამაცივრო მეურნეობები. სხვა სახის გადამამუშავებელ საწარმოებს კუსტარული ხასიათი აქვთ. არსებობს რამდენიმე მცირე სიმძლავრის ტყავის პირველადი დამამუშავებელი ქარხანაც.

ქვეყანაში აღმოჩენილი ნავთის მარაგი 800 მილიონ ტონამდეა (�doben, რომ ნავთით მდიდარი სხვა საბადოებიც უნდა იყოს).

იემენის არაბთა რესპუბლიკა

ქვეყანას უჭირავს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, მისი ტერიტორია 195 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა —7,3 მილიონი, დედაქალაქია—სანა. ქვეყანა მთიანეთიანია.

იემენის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე არსებობდა სახელმწიფო, მისდევდნენ მიწათმოქმედებასა და ვაჭრობას, იცოდნენ ხელოსნობაც, ჩვ. წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში ააგეს სარწყავი სისტემა. იმ პერიოდისათვის იემენი წარმოადგენდა მნიშვნელოვან საქარავანო გზაჯვარედინს, სადაც თავს იყრიდნენ ინდოეთიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან ბიზანტიასა და რომში მიმავალი ვაჭრები. ბევრი ომები ახსოვს იემენის მიწას. იგი ხშირად ყოფილა დაპყრობისა და ანექსიის საგანი. VII საუკუნეში იემენი გახდა არაბული ხალიფატის ნაწილი და მონაწილეობას იღებდა არაბების მიერ წარმოებულ დაპყრობით ომებში. XVI საუკუნეში, სხვა არაბული სახელმწიფოების მსგავსად, იემენიც დაიპყრეს თურქებმა. XVII საუკუნეში იემენმა მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ სუეცის არხის გახსნის შემდეგ თურქებმა კვლავ დაიპყრეს იგი და 1918 წლამდე ბატონობდნენ ამ ქვეყანაში. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანაში

იმამის (მეფის) მმართველობა დამყარდა. 1962 წელს მოხდა რევოლუცია, რომელმაც მოსახლეობა რესპუბლიკით შეცვალა და ქვეყანა ღაღვა ცივილიზებული განვითარების გზას.

იემენის ბუნება არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა ქვეყნებისაგან მკვეთრად განსხვავდება. მის ფარგლებშია მოქცეული არაბეთის ნახევარკუნძულის ყველაზე მაღალი მთები, რომლებსაც უჭირავთ ქვეყნის ტერიტორიის 2/3. 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ზღვანი. რომელიც ყველაზე მჭიდროდაა დასახლებული და ათვისებული. აღმოსავლეთით იგი თანდათანობით გადადის დაბლობში, რომელიც შემდეგ არაბეთის დიდ უდაბნოს უერთდება.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილში საკმაო რაოდენობით მოდის ნალექი (500—700 მმ). იცის ტროპიკული წვიმებიც. იემენში მშრალი სეზონი გრძელდება ოქტომბრიდან—თებერვამდე, რომელიც ხასიათდება საკმაოდ მაღალი ტემპერატურით.

იემენში ბევრია დროებითი მდინარეები, რომელიც იწყება მთებში და ჩაედინება წითელ ზღვაში. მათი კალაპოტი წყლით იმსებება მხოლოდ ზაფხულის წვიმების დროს, მაგრამ შემდეგ სწრაფად შრება, თუმცა ახლომდებარე ტერიტორია დიდხანს ინარჩუნებს წყალს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის.

იემენის ფლორა უფრო მდიდარია, ვიდრე ნახევარკუნძულის სხვა ქვეყნებისა. მთის კალთები დაფარულია სხვადასხვა ტროპიკული თუ სუბტროპიკული მცენარეებით, ვხვდებით უდაბნოს ტიპის მცენარეულ საფარსაც (კაქტუსებს), ბევრია ბუჩქოვანი ხე-მცენარეებიც, შედარებით მაღალ ადგილებში გავრცელებულია აკაცია, თამარიკი, წიფელი და სხვ.

ეთნიკური თვალსაზრისით იემენი ერთგვაროვანია. თითქმის ყველა მცხოვრები არაბია, მცირე რაოდენობით არიან აფრიკიდან ჩამოყვანილი მონების შთამომავლებიც. ქვეყნის მოსახლეობის 75% ცხოვრობს ცენტრალურ პლატოზე. აქედან 70%-ზე მეტი ცხოვრობს სოფლად. სხვა არაბული ქვეყნების მსგავსად აქ ქალების რაოდენობა მცირეა. ურბანიზაციის პროცესი ხორციელდება ნელა, მოსახლეობა არ ისწრაფვის ქალაქებისა და ქალაქური ტიპის დასახლებებისაკენ.

იემენის რესპუბლიკა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად ითვლება. ნაკლებ ბუნებრივი სიმდიდრეები გეოლოგიური თვალსაზრისით არ არის შესწავლილი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით იემენი შედის ყველაზე ჩამორჩენილი 25 ქვეყნის რიცხვში.

იემენის მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც იძლევა ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის

80%. სოფლის მეურნეობისათვის გამოსაყენებელი მიწების რაოდენობა 6,5 მლნ. ჰექტარია, მაგრამ მათგან მუშავდება ნახევარზე ნაკლები. მიწა ეკუთვნით მსხვილ მიწათმფლობელებს, ძირითადად სხვადასხვა ტომების ბელადებს, რომლებიც კაბალური პირობებით აძლევენ მიწას უმიწაწყალო გლეხებს იჯარით. დედაქალაქისა და ზოგიერთი სხვა ქალაქების ირგვლივ არსებობს კაპიტალისტური ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოებიც, რომლებიც ეკუთვნით მდიდარ გლეხებსა და ვაჭრებს. ისინი სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ.

სოფლის მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა, რომელიც მრავალდარგოვანია, მოჰყავთ როგორც მარცვლეული, ისე ხილი, ყურძენი, ტექნიკური კულტურები და ა. შ. მარცვლეულის წარმოების ძირითადი რაიონია ცენტრალური პლატო, სადაც მთის წითელი მიწებია, ნალექების რაოდენობა საკმარისია (700 მმ). ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები საშუალებას აძლევს სოფლის მცხოვრებლებს ჩამორჩენილი აგროტექნიკის პირობებშიც კი მიიღონ მარცვლეულის კარგი მოსავალი. მარცვლეულიდან გავრცელებულია: ხორბალი, ქერი, სიმინდი. 1985 წელს მარცვლეულ კულტურებს ეკავა 1,5 მილიონი ჰექტარი ფართობი, რომლის საერთო მოსავალმა 2.2 მილიონი ტონა შეადგინა, მათ შორის ერთ მილიონ ტონამდე ხორბალი იყო. მარცვლეულით ქვეყანა არა მარტო უზრუნველყოფს თავის მოთხოვნილებებს, არამედ გააქვს კიდეც ავი საზღვარგარეთ. ძირითადად, საუდის არაბეთში (1985 წელს მარცვლეულის ექსპორტმა შეადგინა 330 ათასი ტონა). მარცვლეული წარმოდგენილია დიდი ნათესების სახით. იშვიათად, მაგრამ მაინც იყენებენ ტექნიკას, განსაკუთრებით ნიადაგის დამუშავებისათვის, ენერგეტიკული საშუალებების სტრუქტურაში წამყვანია ცოცხალი გამწევი ძალა, ჭარბობს ხელით შრომა, რომლის ანაზღაურება ნატურალურია.

კარგადაა წარმოდგენილი მებოსტნეობა და მებაღეობა, ამ კულტურებს უჭირავს 200 ათასი ჰექტარი მიწა. მოჰყავთ დიდი რაოდენობით პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, წიწაკა, ბაღრიჯანი, ხახვი, ნიორი. ამზადებენ ხმელ სუნელს, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ. ბაღჩეულიდან მოჰყავთ საზამთრო და ნესვი, რომლებიც წარმოდგენილია როგორც სუფთა, ისე შერეული ნათესების (ხეხილის ბაღებში) სახით. ბაღჩეული გააქვთ საზღვარგარეთ, ძირითადი პარტნიორია საუდის არაბეთი.

მეხილეობა დაახლოებით 600 ათას ჰექტარზეა წარმოდგენილი, უმთავრესად მთის კალთებზე, ტერასების სახით. ნიადაგის დამუშავება და მოვლა-მოყვანის აგროტექნიკა პრიმიტიულია. გავრცელებულია

როგორც კონტინენტური, ისე სუბტროპიკული ხილი, კერძოდ, ვაშლი, ატამი, გარგაოი, ბანანი, ლეღვი, ციტრუსები. ხილი უმთავ-ოესად მოიხმარება ნატურალური სახით. წვენების გადამუშავება მცირე რაოდენობით ხდება და მას აქვს ნახევრად კულტურული ხასიათი. ხილი ნატურალური სახით გააქვთ საუდის არაბეთში.

განვითარებულია მევენახეობა, ქვეყანაში გაადგილებულია საქიშმიშე ყურძნის 40 სახეობა. აქაური ქიშმიში კარგი ხარისხისაა, ამზადებენ ავრეთვე ნატურალურ ყურძნის წვენს. ვენახს უკავია 45 ათასი ჰექტარი, რომლის ნაწილიც წარმოდგენილია ტერასებზე. ვენახს ამუშავებენ ხელით.

საქვეყნოდაა ცნობილი იემენის ყავა, რომელსაც უჭირავს 6,5 ათასი ჰექტარი, ამ ფართობზე დაახლოებით 300 ათასი ყავის ხეა, რომლებიც ყოველწლიურად იძლევიან 5,3 ათას ტონამდე ნედლეულს (მარცვალს). ყავა გააქვთ ევროპაში.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ კარტოფილი, ბამბა, თამბაქო, რომლებიც გათვალისწინებულია შიდა ბაზრისათვის.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხელოვნურ რწყვას, ამ მიზნით აშენებენ წყლის შემკრებ კაშხალებს და იყენებენ გრუნტის წყლებს. დაიწყეს მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების გამოყენება, მაგრამ ყოველივე ამას ჯერჯერობით ეპიზოდური ხასიათი აქვს.

ქვეყანაში დაგეგმილია აგრარული რეფორმის გატარება, რომელიც გულისხმობს ნსვილი მიწათმფლობელებისათვის მიწების ჩამოჭრას, მაგრამ ჯერ-ჯერობით სახელმწიფო დიდ წინააღმდეგობებს აწყდება. ბევრია უმიწაწყალო გლეხი, რომელთა ცხოვრების დონე ძალზედ დაბალია.

სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია მეცხოველეობა. ძირითადად მოშენებული ჰყავთ ცხვარი და თხა, ისინი ძოვებაზეა, რისთვისაც იყენებენ ნოყიერ მთის საძოვრებს. ამზადებენ ცხვრის სასაქონლო ყველს, ტყავს, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ, მატყლს, რომლისგანაც ამზადებენ ხალიჩებს კუსტარული წესით. ცხვრები ჰყავთ დიდი ფარების სახით, ხშირად შერეული თხებთან ერთად. როგორც უმრავლეს არაბულ ქვეყნებში, მცირეოდენობით ცხვარი და თხა ჰყავთ ისეთ მეურნეობებშიც, რომლებიც მისდევენ მემცენარეობას. ცხვრისა და თხის რაოდენობა 10 მილიონამდეა.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ადგილობრივი ჯიშისაა და ხასიათდება დაბალპროდუქტიულობით, წველადობა 500—600 ლიტრს არ აღემატება, თუმცა, ცხიმიანობა 6—7%-მდეა. მსხვილფეხა რქოსან

ძირუტყვს (მათ შორის ძროხასაც), იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევს ძალას და ამიტომ იკი ჰყავთ ყველა მეურნეობაში, რომლებიც მიმდევენ ნემცენარეობას. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ბსხვილი ფერმების სახით თითქმის არ გვხვდება, მათი რაოდენობა ეროვნ მილიონია.

განვითარებულია მეფრინველეობაც, რომელსაც არა აქვს სამრეწველო ხასიათი და წარმოდგენილია ინდივიდუალურ კერძურ მეურნეობებში. აწარმოებენ აბრეშუმის პარკს, რომელიც კარგი ხარისხისაა და ძირითადად გადის საზღვარგარეთ.

წითელი ზღვა მდიდარია, თევზით, იემენელები ოდითგანვე მისდევდნენ მეთევზეობას, თავიანთი პატარა ნავებით ისინი აბობოქრებულ ზღვაშიაც კი ვადიან. ზღვისპირა რაიონები ღიდი რაოდენობით მოიხმარს ახალ თევზს, ხოლო ქვეყნის შიდა რაიონებში გააქვთ მზეზე გამხმარი და დამარილებული თევზი. წელიწადში საშუალოდ იჭერენ 6 ათას ტონა თევზს. მეთევზეობითაა დაკავებული დაახლოებით 10 ათასი კაცი. თევზსაჭერი ფლოტი ქვეყანას არა ჰყავს, ამიტომ რეწვა წარმოებს ნავებისა და კატერების მეშვეობით. სანავსადგურო ქალაქებში ააშენეს რამდენიმე სამაცივრო მეურნეობა.

მიუხედავად ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და ღარიბი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, იემენის სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე, ხოლო ნაწილი გააქვს კიდეეაც საზღვარგარეთ.

გადამამუშავებელი მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ტყავის, რძისა და ხორცის დამუშავებას პრიმიტიული ხასიათი აქვს. კარტოფილის მომზადება წარმოებს სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. ბოლო პერიოდში ქვეყანაში გახსნეს რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო დაწყებითი კოლეჯი.

არაბთა გაერთიანებული ემირატი (აგე), კაბარი, კუვეიტი

არაბთა გაერთიანებული ემირატი ფედერაციული სახელმწიფოა, რომელიც აერთიანებს 7 სამთავროს. ფედერაციის ტერიტორია 86 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—0,75 მილიონი, დედაქალაქია—აბუ-დაბი.

აგე განვითარებადი ქვეყანაა, მასში შემავალი სამთავროები წარმოადგენენ აბსოლუტურ მონარქიულ სახელმწიფოებს, რომლებშიც სულთანის ხელისუფლება თითქმის შეუზღუდავია. ფედერაციის შემოსავლის 80% მოდის აბუ-დაბისა და დუბაის სამთავროებზე. აგე-ს ის-

ტორია განუყოფელია მეზობელი ომანის ისტორიისაგან. ნავთობის აღმოჩენამდე ეს იყო ყველაზეგან მივიწყებული და მიტოვებული ნაწილი, რომელიც ცხოვრების დონით ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო მსოფლიოში. პირველად ნავთი აღმოჩენილი იქნა აბუ-დაბში 1958 წელს, სწორედ აქედან იწყება რეგიონის განვითარება არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური თვალსაზრისითაც. ქვეყანაში, სადაც წერა-კითხვის მცოდნე მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო, დღეს არსებობს თანამედროვე ტიპის ეროვნული უნივერსიტეტი და კოლეჯები.

ფედერაციის ტერიტორია თითქმის მთლიანად უდაბნოა, რომელიც აღმოსავლეთით ქვიან მასივში გადადის. დასახლებული იყო მხოლოდ რამდენიმე ოაზისი, სადაც არსებობდა გრუნტის წყლები. ა გ ე-ს კლიმატი ტროპიკულია, მაის-ივნისის ტემპერატურა +°, +50°, იანვრისა —+20° +22°, ნალექების რაოდენობა 100 მმ-მდეა, ტენიანობა 90—100%. მუდმივი მდინარეები არაა, თუმცა, აღმოჩენილია გრუნტის წყლების საკმაოდ დიდი მარაგი. ბუნებრივი მცენარეული საფარი თითქმის არ არის. წარმოდგენილია მხოლოდ უდაბნოს ბუჩქები და კაქტუსები. მხოლოდ ქალაქებშია ხელოვნურად შექმნილი საკმაოდ ეფექტური მწვანე ზონები, რომლებიც ადამიანების საკმაოდ დიდი შრომის შედეგია.

ა გ ე-ს მოსახლეობის 33% ცხოვრობს დუბაის სამთავროში. 27%—აბუ-დაბში, 17%—შარჯანში და ა. შ. მოსახლეობის 90% არაბია, რომელთა შორის ბევრია მეზობელი ქვეყნებიდან სამუშაოდ ჩამოსულები. მოსახლეობის 2/3 ეწევა მუდმივ ცხოვრებას. შიდა პროვინციებში ვხვდებით ძოვობაბარე ტომებსაც.

ფედერაცია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიმართულებისაა, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უხსოვარი დროიდან მისდევდა სოფლის მეურნეობას და მეთევზეობას. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოიყენება ფედერაციის ტერიტორიის 5—7%, ანუ 1850 ჰექტარი ფართობი. აღნიშნული ტერიტორია ძირითადად ელ-ფუჯაირასა და რას-ელ-ხაიმას სამთავროების ტერიტორიებზეა, რომლებიც მდებარეობენ მთის ძირას და შედარებით უკეთ არიან უზრუნველყოფილი წყლით. მიწათმოქმედება სარწყავია, რომლისთვისაც იყენებენ გრუნტის წყლებს. ბოლო პერიოდში საირიგაციო ტექნიკა სულ უფრო სრულყოფილი ხდება, შეიქმნა. თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. შედარებით კარგი მიწები ფეოდალებისა და სულთნების ხელშია. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი უმიწაწყალო გლეხებია. მარცვლეულიდან მოჰყავთ ფეტვი და ხორბალი, განვითარებულია მეხილეობა (ლიმონი, ფორთოხალი, ბრო-

წეული), მებოსტნეობა და მებაღეობა (ნიორი, ხახვი, წიწაკა, საზამთრო, ნესვი), ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ თამბაქო.

მეცხოველეობას მომთაბარე ხასიათი აქვს. ძირითადად ჰყავთ ცხვარი და თხა, რომლისთვისაც იყენებენ ადგილობრივ საძოვრებს; ცოტა ოდენობით ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, მწვანე საკვები შემოაქვთ აფრიკის ქვეყნებიდან. აბუ-დაბისა და სხვა დიდი ქალაქების ირგვლივ განვითარებულია მეფრინველეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს და ქვეყნის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. მეფრინველეობისათვის საკვები შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან.

ფედერაციის სოფლის მეურნეობა მხოლოდ 30—35% აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. აგეს დიდი რაოდენობით შემოაქვს მარცვლეული (ძირითადად, ხორბალი), მეცხოველეობის პროდუქტები—ახალი ხორცი, რძის ფხვნილი, ხილი—წვენებისა და ნატურალური სახით. არსებობს ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც უახლოეს წლებში უნდა აწარმოონ პროდუქცია იმ რაოდენობით, რაც დააკმაყოფილებს ფედერაციის მოთხოვნილებას.

განვითარებულია მეთევზეობა, რომელიც მოსახლეობის კვების ოაციონის 25% შეადგენს. მოიხმარება როგორც ახალი თევზი, ასევე გადამუშავებული სახითაც. თევზჭერას აწარმოებს საკმაოდ კარგად აღჭურვილი გემები, რომლებიც რეწვისათვის ინდოეთის ოკეანეშიც გადიან.

ფედერაციის ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებს ნავთობი, რომლის მარაგი 2 მილიარდ ტონას აღემატება, ესაა უზარმაზარის სიმდიდრე, რომელმაც მთლიანად შეცვალა ერთ დროს ყველასაგან მიტოვებული არაბული სამყარო.

კატარი

კატარი საუდის არაბეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს, განლაგებულია ამავე სახელწოდების პატარა ნახევარკუნძულზე, მისი ტერიტორია 22 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—240 ათასი, დედაქალაქი—დოჰა. კატარი დამოუკიდებელი ფედერალური სამთავროა, რომელსაც მართავს ემირი.

კატარსაც საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. პირველი მოსახლეობა ჩვ. წ. აღ. III ათასწლეულს გამოჩნდა. თავის დროზე იგი შედიოდა ძველი არაბული სახელმწიფოების შემადგენლობაში, XVIII საუკუნეში კატარი გამოცხადდა სამთავროდ. მომდევნო პერიოდში იგი ევროპული სახელმწიფოების დავის საგანი გახდა. ბოლო დროს ინ-

ბლისის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა, 1971 წელს კატარმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

კატარის ბუნება ძვირფასი დიუმებითაა წარმოდგენილი, რომელიც გადადის ევა-ღოლიაა ზეგხებში. ბუნებრივი მცენარეული საფარი თითქმის არ აისებობს. კლიმატი კოსტინენტურია, ოთხკლიც ზოგჯერ გადადის ტროპიკულში. ივლის-აგვისტოს საშუალო ტემპერატურა +42, ზოგჯერ +50-ამაც აღწევს, იანვრისა —+20. ტენიანობა—30%-ია, ნალექების საშუალო რაოდენობა —55—125 მმ-ია. ქვეყანაში არ არის მდინარე, მოსახლეობა სმაობს გრუნტის წყლებს, წყალი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდანაც. 1977 წელს აღმოაჩინეს ნავთობის საკმაოდ დიდი ნარაგი (820 მილიონი ტონა), არსებობს აგრეთვე ბუნებრივი გაზის მდიდარი საბადოებიც. ნავთობმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ დაწყებით სტადიაშია.

ეკონომიკური თვალსაზრისით კატარი ჩამორჩენილი ქვეყანაა, მის საფუძველს უახლოეს წარსულში (ნავთობის აღმოჩენამდე) წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა, რომელშიც გამეფებული იყო ფეოდალური ურთიერთობები. ბიწათმოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეულ ოაზისებში, სადაც ნიადაგობრივი პირობები შედარებით ხელსაყრელია. გაშენებულია ფინიკისა და ქოქოსის პლანტაციები, თესავენ სიმინდს, სორგოს, ქერს, საკმაოდ დიდი რაოდენობით ბოსტნეულს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისია კატარის ტერიტორიის 10% და ეს მიწები ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობენ. 70-იან წლებში აშენებული იქნა სარწყავი სისტემა (გრუნტის წყლებზე). რომლებმაც საშუალება მისცა ქვეყანას მოერწყა სახნავის მნიშვნელოვანი ნაწილი. ქვეყანაში კარგი პირობებია მებოსტნეობა-მებაღეობისათვის, სარწყავ მიწებზე იღებენ სამჯერად მოსავალს, ამიტომ 80-იანი წლებიდან შეიქმნა სპეციალური ფერმები, სადაც მუშაობენ პალესტინელები. ექსპორტზე გაიქვთ ფინიკი, ქოქოსი, ხმელი ხილი. ძირითადად საუდის არაბეთში და ა.გ.ე-ში.

წარმოდგენილია მეცხოველეობაც, რომელსაც მომთაბრე ხასიათი აქვს. ჰყავთ ცხვრებისა და თხის საკმაოდ დიდი რაოდენობა (540 ათასი სული), მცირე რაოდენობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აქლემი (15 ათასი სული), სახედარი და ცხენი. ენერგეტიკული საშუალებები თითქმის არ გააჩნიათ. მიწების დასამუშავებლად იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას. მეცხოველეობის პროდუქტებით ქვეყანა ძირითადად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს.

მიმდებარე წყლებში დიდი რაოდენობითაა თევზი, რომლის ჭერამ 1980 წელს 16 ათას ტონას მიაღწია, ადგილობრივი მოსახლეო-

ბინ კვების ბალანსში თევზს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, გარდა ამისა თევზის ფქვილს იყენებენ პირუტყვის საკვებად.

ნავთობმა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეცვალა ეკონომიკური ცხოვრების დონე, რომლის ექსპორტის შედეგად მიღებული ყოველწლიური შემოსავალი 2 მილიარდ დოლარს აჭარბებს, რაც საკმაოდ დიდი თანხაა ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც კატარია. ნავთობის შემოსავალმა საშუალება მისცა ქვეყანას განევითარებინა სხვა დარგებიც, შეექმნა საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრები.

კუვეიტი

კუვეიტი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იგი პატარა არაბული ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 20,2 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—1,3 მილიონი. დედაქალაქია—ელ-კუვეიტი. კუვეიტის მოსახლეობის ნახევარი უცხოელია, რომლებიც ქვეყანაში სამუშაოდ ჩამოვიდნენ. ჯერ კიდევ 30 წლის წინათ კუვეიტელები ცხოვრობდნენ მომთაბარე მეცხოველეობით, იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო. თანამედროვე კუვეიტი ძირითადად ნავთობის ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოში ნავთობის მოპოვებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა; ქვეყანაში აღმოჩენილია ნავთის კოლოსალური მარაგი (9,2 მილიარდი ტონა), რაც კუვეიტს საშუალებას აძლევს ჩადგეს მსოფლიოში ყველაზე უზრუნველყოფილი ქვეყნების რიცხვში. კუვეიტში კონსტიტუციური მონარქია, რომელსაც განაგებს ემირი.

ვარაუდობენ, რომ კუვეიტში პირველი მოსახლეობა 3 ათასი წლის წინათ გაჩნდა ჩვ. წ. აღ. მომდევნო პერიოდში იგი არაბული სახელმწიფოების შემადგენლობაში შედიოდა, XVI საუკუნიდან კი—ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისის სამანდატო ქვეყანა გახდა, ხოლო 1961 წელს გამოცხადდა როგორც დამოუკიდებელი. სუვერენული სახელმწიფო.

ქვეყანა მდებარეობს მცირე სიმაღლის უდაბნოს ტიპის ზეგანზე, ქვეყნის ჩრდილოეთით ქვიანი უდაბნოა. თითქმის მთელი წელი საკმაოდ მაღალი ტემპერატურაა. ივლისის საშუალო ტემპერატურა +35°, +37°-ია, ზამთრობით თერმომეტრის სვეტი არასდროს +12° ქვევით არ ჩამოდის, მაგრამ ღამეები გაცილებით გრილია. ატმოსფერული ნალექები მოდის იშვიათად და შეადგენს 100—200 მმ წელიწადში. ჰაერის ტენიანობა მაღალია და აღწევს 90%. იცის ძლიერი ქვიშიანი ქარები, ამ დროს სუნთქვაც კი ჭირს. კუვეიტში შედარებით

ხელსაყრელი კლიმატური პერიოდი ზამთარია. ქვეყანაში არ არის მდიდარი და ტბა, ყველაზე ძნელი პრობლემა — წყლის დეფიციტია. ჯერ კიდევ ახლო წარსულში მტკნარი წყალი შემოჰქონდათ ერაყიდან. XX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა საგანგებო დარვი ზღვის წყლის გამტკნარებისათვის, ამ მიზნით აიგო უზარმაზარი საწარმოები და დღეს კუვეიტი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე უზრუნველყოფილია წყლის რესურსებით, ამ მიზნით სახელმწიფო ხარჯავს კოლოსალურ სახსრებს. მაგალითად, ერთი მოქალაქის წყლით უზრუნველყოფა წელიწადში 140 დოლარი, ხოლო დედაქალაქის ქუჩებსა და სკვერებში გაშენებული თითოეული ხის მორწყვა 250 დოლარი ჯდება.

ბუნებრივი მცენარეული საფარი კუვეიტში ძალზედ ღარიბია და წარმოდგენილია მხოლოდ ეკლიანი ბუჩქნარებით, გამონაკლისია ხელოვნურად გაშენებული ტყე-ნარგავები, რომლებიც ამშვენებს კუვეიტის დედაქალაქს.

კუვეიტის მოსახლეობის 90% არაბია, რომელთა ნახევარი ემიგრანტია, აქ ცხოვრობენ იორდანიიდან, ერაყიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან, ლიბანიდან, პალესტინიდან, იემენიდან და სხვა არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული არაბები. გარდა ამისა შეხვდებით ინდოელებს, პაკისტანელებს, ფილიპინელებს, ევროპელებს, რომლებიც აქ სამუშაოდ არიან ჩამოსული. კუვეიტის პასპორტი მიეცემა მხოლოდ ადგილობრივ აბორიგენულ მოსახლეობას და ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობენ. მაგალითად, ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 25% თანაბრად ნაწილდება კუვეიტელებს შორის, სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ემიგრანტს შეუძლია საქმე წამოიწყოს, თუ შეიამხანაგებს კუვეიტელს და ამისათვის მას გადაუხდის გარკვეულ თანხას და ა. შ. კუვეიტის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს ქალაქ ელ-კუვეიტში. ერთ დროს ჩამორჩენილი არაბული ქვეყანა რომლის ცხოვრების დონე ყველაზე დაბალი იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, დღეს ნაციონალური შემოსავლით ერთ სულზე გაანგარიშებით პირველ ადგილზე გამოვიდა. 40-იოდე წლის წინათ ქვეყანაში მხოლოდ ორი საშუალო სასწავლებელი არსებობდა, დღეს კი არსებობს მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული ნაციონალური უნივერსიტეტი და რამდენიმე ათეული კოლეჯი. კუვეიტის ახალგაზრდობა განათლებას იღებს ევროპისა და ამერიკის ყველაზე ცნობილ უმაღლეს სასწავლებლებში და ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა იმ ბუნებრივი სიმდიდრის წყალობით, რომელიც ქვეყანას ნავთობის სახით აქვს. ქვეყნის სავალუტო შემოსავლების 94% იფარება ნავთობპროდუქტებით, ყოველწლიური შემოსავალი აჭარბებს 11,8 მილი-

ერდ დოლარს. კუვეიტი გახდა მსოფლიო კრედიტორი, მისი ფულადი სახსრები დაბანდებულია ევროპისა და ამერიკის პრესტიჟულ ბანკებში. კუვეიტი ფლობს ევროპული მონოპოლიების აქციების საკმაოდ დიდ პაკეტს.

კუვეიტის სოფლის მეურნეობა სუსტადაა განვითარებული. ამის მიზეზია უპირველეს ყოვლისა წყლის დეფიციტი და ისიც, რომ კუვეიტელები თავს არიდებენ რთულ სასოფლო-სამეურნეო შრომას, ბაზათვის უფრო ხელსაყრელია პროდუქციის იმპორტი სხვა ქვეყნებიდან. მაგრამ მიუხედავად ამისა ქვეყანაში მაინც გრძელდება ტრადიციული მიწათმოქმედება, რომელიც უმთავრესად ნომთაბარე—მეცხოველეობის ხასიათს ატარებდა.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის ვარგისი მიწების რაოდენობა 120 ათასი ჰექტარია, მტკნარი წყლებით ირწყვება 8,4 ათასი ჰექტარი, ძირითადად მოჰყავთ ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურები: პომიდორი, კიტრი, სალათი, კომბოსტო, წიწაკა, საზამთრო, ნესვი. წარმოდგენილია მეხილეობაც, რომელსაც ძირითადად სუბტროპიკული მიმართულება აქვს. მოჰყავთ ლიმონი, ფორთოხალი, ატამი, ბროწეული. ფართობების გარკვეული ნაწილი უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, რომლებიც ირწყვება გრუნტის წყლებით, მოჰყავთ ხორბალი და სიმინდი. დედაქალაქის ირგვლივ განვითარებულია ჰიდროპონიკა, სადაც წელიწადში იღებენ 2 ათას ტონამდე პომიდორს, 1,5 ათას ტონა კიტრს და ა. შ.

მეცხოველეობა წარმოდგენილია წვრილფეხა რქოსანი პირუტყვით (ცხვარი და თხა), რომელთა რაოდენობა ერთ მილიონამდეა, დედაქალაქის გარეუბნებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რამდენიმე დიდი ფერმაა, სადაც პირუტყვი ბავურ კვებაზეა. ფერმისთვის ყველა სახის საკვები შემოაქვთ საზღვარგარეთიდან. აღნიშნული ფერმები დედაქალაქს ამარაგებენ ახალი რძითა და რძის პროდუქტებით. ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში ჰყავთ აქლემებისა და ცხენების საკმაოდ დიდი რაოდენობა. კუვეიტის სოფლის მეურნეობა ინდუსტრიულ საფუძველზეა მოწყობილი, ფართოდ იყენებენ თანამედროვე აგროტექნიკურ საშუალებებს, რის შედეგადაც წარმოება საკმაოდ ნაყოფიერია. აღსანიშნავია, ის, რომ კუვეიტი საკუთარ მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე იკმაყოფილებს მხოლოდ 40%-ით, დანარჩენი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან (ძირითადად—ერაყიდან). დიდი რაოდენობით შემოაქვთ მარცვლეული (მათ შორის საფურაჟეც), ხორცი და ხორცის პროდუქტები, კარაქი, რძე და რძის პროდუქტები. ქვეყანაში არსებობს სოფლის მეურნეობის შემდგო-

ში განვითარების ნაციონალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მოთხოვნილების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას. პროგრამას საფუძვლად უდევს წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ამ მიზნით სახელმწიფომ უკვე გამოჰყო 1,3 მილიარდი დოლარი.

მოსახლეობის კვების რაციონის ძირითადი ელემენტია თევზი, რომელიც დიდი რაოდენობითაა სანაპირო წყლებში. კუვეიტი ყოველწლიურად იჭერს 15 ათას ტონაზე მეტ თევზს, ჰყავთ თანამედროვე ტიპის თევზსაჭერი ფლოტი და თევზის რეწვას სამრეწველო ხასიათი აქვს.

ისრაელი

ისრაელის თანამედროვე სახელმწიფო შეიქმნა 1948 წელს და მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. მისი ტერიტორია 14,1 ათასი კვადრატული კმ-ია, მოსახლეობა—5,2 მილ., დედაქალაქი — თელ-ავივი, რომელშიც ერთ მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს.

ისრაელის დღევანდელი ტერიტორია დასახლებული იყო ჯერ კიდევ ქვის ხანის დროს. მომდევნო პერიოდში აქ ჩამოსახლდნენ სხვადასხვა ტომები, მათ შორის ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში—ებრაელები. ტერიტორიის სახელწოდება—პალესტინა ბერძნულისაგან წარმოსდგება. ებრაელებსა და სხვა ტომებს შორის დაიწყო ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ებრაელთა გამარჯვებით დამთავრდა და ჩვ. წელთაღრიცხვამდე XI—X საუკუნეებში მათ შექმნეს ებრაელთა სახელმწიფო—ისრაელი, რომელმაც იარსება 9 საუკუნის მანძილზე. ჩვ. წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ქვეყანა რომაელებმა დაიპყრეს, ამ პერიოდში დაიწყო ებრაელთა მიგრაცია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის საქართველოშიც. განსაკუთრებით გაძლიერდა ეს პროცესი ჩვ. წელთაღრიცხვის I და II საუკუნეში, როდესაც რომაელებმა დაამარცხეს ებრაელთა აჯანყება. VII საუკუნეში პალესტინა არაბებმა დაიპყრეს, ხოლო XI საუკუნეში ჯვაროსნებმა, XII საუკუნეში აქ მოვიდნენ ეგვიპტელი მამელუქები, ხოლო XVI საუკუნეში პალესტინა ოსმალეთმა დაიპყრო და იგი მისი იმპერიის ნაწილი გახდა. ოსმალეთის ბატონობა აქ გაგრძელდა პირველ მსოფლიო ომამდე, რომლის დამთავრების შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე იგი ინგლისის პროტექტორატი იყო. თანამედროვე ისრაელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკაა.

ისრაელი პატარა ქვეყანაა, მიუხედავად ამისა, აქ წარმოდგენილია ზღვაც, უდაბნოც და მთებიც. დასავლეთი ნაწილი ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში მდებარეობს, ჩრდილოეთით გრძელდება ლიბანის

ბთები, აღმოსავლეთით მდებარე ზეგანი კი გადადის უდაბნოში. ისრაელი ბუნებრივი საბადოებით არ არის მდიდარი. მოიპოვება მცირე ოდენობით რკინა, ქრომი, სპილენძი, მაგანუმი, ნავთი, ბუნებრივი გაზი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული, ინდუსტრიული სახელმწიფოა.

სამეურნეო საქმიანობისათვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია სანაპირო ზოლი. სწორედ აქ მდებარეობს ისრაელის მსხვილი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, აქაა თავმოყრილი ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილიც. სამხრეთი მთლიანად უჭირავს ნეგევის უდაბნოს, სადაც ცხოვრებისათვის ძალზედ მკაცრი პირობებია. ამჟამად, მიმდინარეობს ამ ზონის დასახლება და ათვისება.

ქვეყნის კლიმატი მშრალია—ცხელი ზაფხულითა და წვიმიანი ზამთრიერი ზამთრით. ხშირია ქარები, რომელიც ზაფხულობით სინას უდაბნოდან უბერავს, ხოლო ზამთრობით ხმელთაშუა ზღვიდან. მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა, ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში იგრძნობა ტემპერატურის სხვაობა. აგვისტოში სანაპიროზე იგი +27°, ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში +23°, ხოლო აღმოსავლეთით +30°, იანვრის ტემპერატურაც შესაბამისად —+12°, +7° და +12°, ნალექების განაწილება არათანაბარია, ზოგ რაიონში იგი 1000 მმ-ია, ტელ-ავივის მიდამოებში—500—550 მმ. იერუსალიმის პლატოზე—500 მმ, ნეგევის უდაბნოს ჩრდილოეთით—200 მმ, ხოლო სამხრეთით—25—30 მმ. მკვეთრადაა გამოსახული წლის ორი პერიოდი: გვალვიანი და წვიმიანი ნალექების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის დეკემბერ-თებერვალში, იშვიათია თოვლი.

წყლის რესურსები უკიდურესად შეზღუდულია, მუდმივი მდინარეები ცოტაა და მათშიც წყლის მარაგი მცირეა. ერთადერთი მუდმივი მდინარეა იორდანი, რომელიც ისრაელის ტერიტორიაზეც ჩაედინება და თავის სვლას ამთავრებს მკვდარ ზღვაში. იყენებენ მიწისქვეშა წყლებს, რომელსაც სჭირდება შემდგომი დამუშავება, ვინაიდან ბევრ მინარევებს შეიცავს.

ისრაელის ფლორა საკმაოდ მრავალფეროვანია, წარმოდგენილია მცენარეთა 200 სახეობა, რომელთა შორის 115 ენდემურია, შეხვდებით მარადმწვანე მუხას, ცაცხვს, იერუსალიმის ნაძვს, კედარს და სხვა ხე-მცენარეებს. სამხრეთით ვხვდებით ლიანებს, უდაბნოს ტიპის ბუჩქოვან მცენარეებს.

ისრაელის მიწები გამოირჩევა მაღალნაყოფიერებით, ხელსაყრელი კლიმატი კარგ პირობებს ქმნის სასოფლო-სამეურნეო საქმიანო-

ბისათვის, თუმცა, ვხედებით რაიონებს, რომლებიც გამოუსადეგარია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ისრაელის მოსახლეობა ძირითადად ებრაელებისა და არაბებისაგან შედგება. ებრაელები ძალიან ქვეყნის მოსახლეობის 87%, რომელთა მორისაც არსებობს აია მარტო ენობრივი, არამედ რელიგიური განსხვავება. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 156 კაცი 1 კვ. კმ-ზე, 85% ცხოვრობს ქალაქად.

ისრაელია ეკოხომიკა კაპიტალისტურია. იგი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. აქ დიდ როლს ასრულებს უცხოური კაპიტალი, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის საქმეში. ბევრია უცხოეთთან ერთობლივი საწარმოები, რომლებიც ურთიერთხელსაყრელ პირობებს ითვალისწინებს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, შეიქმნა ახალი თანამედროვე ტიპის დარგები (ელექტრონიკა, ჩარხმშენებლობა და სხვა).

ისრაელის სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად სასაქონლოა (არაბი მოსახლეობის პროდუქციის ნაწილი სასაქონლოა, ნაწილი კი ააკუთარ მოხთოვნილებებს ხმარდება). სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ერთობლივ ნაციონალურ პროდუქციაში 8%-ია. მიუხედავად ამისა, ისრაელი არა მარტო აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და გადასამუშავებელ მრეწველობას—ნედლეულზე, არამედ დიდი რაოდენობით გააქვს კიდევაც იგი საზღვარგარეთ.

ისრაელის სოფლის მეურნეობას ინტენსიური ხასიათი აქვს და მთლიანად მექანიზებულია, ხელით შრომის ხვედრითი წილი მინიმუმამდეა შემცირებული და იგი 7—10% არ აღემატება. ინდუსტრიალიზაციის მაღალმა ტემპმა საშუალება მისცა ქვეყანას შეექმნა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ისრაელის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყიდება.

სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია როგორც მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების ისე ინდივიდუალური გლეხური მეურნეობების სახით. მიწის ფონდების 90% სახელმწიფოს ეკუთვნის, აგ არსებობენ მსხვილი მიწათმფლობელები, მიწას სახელმწიფოსაგან იჯარით იღებენ და ამუშავებენ თავიანთი შეხედულებისამებრ. ხშირია შემთხვევები, როდესაც მსხვილ სამრეწველო საწარმოებს აქვთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, დამხმარე მეურნეობების სახით. აუცილებელია ხელოვნური რწყვა, რაც დიდძალ კაპიტალურ დაბანდებასთანაა დაკავშირებული, ეს კი სახელმწიფო ან მსხვილი კაპიტალისტური ტიპის საწარმოს დახმარების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების რაოდენობა 580 ათასი ჰექტარია, მუშავდება მისი 70%, ანუ 400 ათას ჰექტარამდე. დამუშავებული მიწებიდან 65% ანუ 240 ათასი ჰექტარი უჭირავს მინდვრის კულტურებს, ხოლო 20% ანუ 82 ათასი ჰექტარი—ცოცხალ ნარგავებს, ხეხილის ბაღებს, ვენახს. დანარჩენი ფართობი გამოყოფილი აქვს მებოსტნეობასა და მებაღეობას.

მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ ხორბალი, ქერი, სიმინდი, რომელთა მოსავლიანობა ძალზედ მაღალია, (45—50 ცენტნერი), ეს კი თანამედროვე აგროტექნიკის, მინერალური სასუქებისა და ეფექტიანი მელიორაციული ღონისძიების შედეგია. 1985 წელს აწარმოეს 4,3 მილიონი ტონა მარცვლეული, რომლის ნახევარზე მეტი გაიტანეს საზღვარგარეთ. მარცვლეული მეურნეობის ენერგოშეიარაღება 75 ცხენის ძალას უდრის, მინიმუმამდეა შემცირებული მარცვლეულის დანაკარგი (იგი 3—4% არ აღემატება), აქვთ თანამედროვე ტიპის მარცვლეულის შენახვა-გადამამუშავებელი საწარმოები.

კარგად არის განვითარებული მებაღეობა, განსაკუთრებით მეციტრუსეობა, რომელსაც ინდუსტრიული ხასიათი აქვს, ყოველწლიურად ამზადებენ 1,6 მილიონ ტონა ფორთოხალს, აქედან საზღვარგარეთ ვააქვთ 1,3 მლნ. ტონა, როგორც ნატურალური, ისე წვენების სახით. ფორთოხლის მოსავლიანობა 40—45 ტონას აღწევს ჰა-ზე. ქვეყანაში ბევრია შემფუთავი და წვენების დამამზადებელი ქარხნები, რომლებიც მთლიანად ავტომატიზებულია. ამზადებენ საუკეთესო ხარისხის ყურძენს, რომლის ნაწილიც მიდის ღვინის წარმოებაზე, ხოლო ნაწილი—საქიშმიშეა. აქვთ საუკეთესო ჯიშის სუფრის ყურძენიც, რომელიც გააქვთ ევროპის ქვეყნებში. კარგადაა წარმოდგენილი კონტინენტური მეხილეობაც.

დიდი ქალაქების ირგვლივ განვითარებულია როგორც დახურული, ისე ღია გრუნტის მებოსტნეობა, აწარმოებენ პომიდორს, კიტრს, ხახვს, ნიორს, წიწაკას და სხვა სახის ბოსტნეულს. დახურული გრუნტის ბოსტნეულის წარმოება (გარდა მოსავლის აღებისა) მთლიანად ავტომატიზებულია. ახალი ბოსტნეული საკმაოდ დიდი რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია, რომ მალფუჭადი პროდუქციის ტრანსპორტირება წარმოებს ავიაციის მეშვეობით, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ეს პროდუქტები ნატურალური სახით მოხვდეს მომხმარებლის სუფრაზე.

მისდევენ მეყვავილეობას, რომელსაც ინდუსტრიული ხასიათი აქვს და დიდი რაოდენობით იგზავნება საზღვარგარეთ.

მეცხოველეობაც სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. იგი წარმოდგენილია მსხვილი, მექანიზებული ფერმების სახით. პიპირუტყვი მთლიანად ბაგურ კვებაზეა. მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით (2,9 მილიონი სული), როგორც მერძეული, ისე მეხორცული მიმართულების. დიდ ყურადღებას აქცევენ პირუტყვის ჯიშიანობას, ჰყავთ ჰოლანდიური, მაღალპროდუქტიული პირუტყვი. საშუალო წველადობა წელიწადში ვრთ საფურაჟე ძროხაზე 4800 ლიტრია. ამზადებენ მაღალხარისხოვან კარაქს, რძის სხვა სახის პროდუქციას, რომლის 70% ხმარდება შიდა ბაზარს, ხოლო 30% მიდის ექსპორტზე. მეხორცული პირუტყვის ფერმები აქვთ როგორც სპეციალიზებული, ისე მეწველ პირუტყვთან შერეული, ძირითადად ხმარობენ ხბოს ახალ ხორცს, ხოლო მოზრდილი პირუტყვის ხორცი მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ მაღალი ხარისხის ძეხვეულს და ხორცის კონსერვებს. დამუშავებული ხორცის ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ.

კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა, იგი მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკების სახითაა წარმოდგენილი, ცალ-ცალკე ჰყავთ საბროილერო და კვერცხმდები ფრინველი. დიდ ყურადღებას აქცევენ ფრინველის საკვები რაციონის დამზადებას. ქვეყანა მთლიანადაა უზრუნველყოფილი კვერცხითა და ფრინველის ხორცით, ხოლო ნაწილი (დაკლულის სახით) გააქვს საექსპორტოდ.

წარმოდგენილია მეფუტკრეობაც, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. უდაბნოში და მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე ჰყავთ ცხვრები და თხები, მაგრამ მათი რაოდენობა არ არის დიდი და თან მომთაბარე ხასიათი აქვს.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ეწევიან თევზის რეწვას. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი საზღვაო ქვეყანაა, მათ თევზის ნაწარმი შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან. გარდა ამისა შემოაქვს აგრეთვე მცენარეული ზეთი და ზოგიერთი სახის ტროპიკული ხილი (ბანანი, ანანასი). ექსპორტ-იმპორტის სალდო ქვეყნის სასარგებლოდაა (10:1 შეფარდებით).

ქვეყანაში განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობაც, რომელიც თანამედროვე ტიპის საწარმოების სახითაა წარმოდგენილი, როგორც წესი ისინი მდებარეობენ დიდ სამრეწველო ცენტრებში.

ქვეყნის ყველა უნივერსიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, გარდა ამისა ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარებას, დიდ წარმატებას მიაღწიეს მცენარეთა სელექციასა და გენეტიკაში.

კვიპროსი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. იგი კუნძულოვანი სახელმწიფოა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მისი ტერიტორია 9,2 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—800 ათასი, რომელთაგან 77% ბერძენია, 20%—თურქი, დედაქალაქი—ნიკოზია. კვიპროსი მდებარეობს ახლო აღმოსავლეთის დიდი გზების გზაჯვარედინზე, რამაც განსაზღვრა მისი სტრატეგიული მნიშვნელობა.

კვიპროსი უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. აქ აღმოჩენილია გამოქვაბულის წარწერები, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის მე-3 ათასწლეულს განეკუთვნება. თავისი სტრატეგიული მდებარეობით იგი ხშირად გამხდარა საომარი მოქმედების ასპარეზი, კუნძულს ფლობდნენ ასირიელები, ხეთები, ეგვიპტელები, რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ჯვაროსნები. XV საუკუნეში მას ვენეცია დაეუფლა, ხოლო 1571 წელს თურქეთმა დაიპყრო და 300 წელი ოსმანთა იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. 1878 წელს კვიპროსი ინგლისის პროტექტორატი გახდა, ხოლო 1960 წელს იგი გამოცხადდა როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

კვიპროსი ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთი ულამაზესი კუნძულია. წელიწადში 340 დღე უღრუბლოა. ქვეყანა მთაგორიანია, რომლის ფერდობებიც დასერილია ბაღ-ვენახებით. ზაფხული გრძელდება მაისიდან ოქტომბრამდე, ამ პერიოდში ნალექები თითქმის არ მოდის, სიცხე 40° აღწევს, მდინარეები და ნაკადულები შრებიან. წვიმები იწყება ოქტომბრის ბოლოს, ყველაზე მეტი ნალექი მოდის მთებში—1000—1300 მმ. წვიმის წყალი კუნძულის მტკნარი წყლის ძირითადი წყაროა, ზამთარი რბილია, თებერვლის საშუალო ტემპერატურა +18°. ამ პერიოდში მთის საძოვრები იფარება ნოყიერი ბალახით. მტკნარი წყლის დეფიციტი უპირველეს ყოვლისა გამოწვეულია ტყის მარაგების მტაცებლური ექსპლოატაციით, ერთ დროს მთელი კვიპროსი ტყით იყო დაფარული, დღეს კი მას ტერიტორიის მხოლოდ 8% უჭირავს.

კვიპროსზე, გარდა ბერძნებისა და თურქებისა ცხოვრობენ სომხები და არაბები. თურქები კუნძულზე XVI საუკუნეში გამოჩნდნენ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მოხდა ბერძნებისა და თურქების შეტაკება, მათ კუნძული ორ ნაწილად ვაჰყვეს, შეიქმნა მმართველობის ორი ფორმა: ბერძნული და თურქული.

ჯერ კიდევ ძველი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი აღნიშნავდა, რომ კვიპროსი მშვენიერი და მდიდარი კუნძულია, სადაც საუკეთესო ღვინო და ზეითუნის ზეთია, მოჰყავთ ხორბალი, არის სპილენძის საბადოები და სხვა. ყოველივე ეს დღესაც სინამდვილეს შეეფერება.

კუნძულზე არსებობს ხელსაყრელი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

თანამედროვე კვიპროსი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა, რასაც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა (საწვავის გარდა), კარგადაა განვითარებული წარმოების ინფრასტრუქტურა, აგრეთვე ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. კვიპროსს დამყარებული აქვს საგაჭრო კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მიღწეულია უპირველეს ყოვლისა შიგა რესურსების რაციონალური გამოყენებით, თუმცა უცხოელმა კაპიტალმაც დადებითი როლი შეასრულა. ქვეყნის მმართველობა ხელს უწყობდა ერთობლივი საწარმოების შექმნას, უცხოელთა ინიციატივას სანაპირო ზოლის ათვისების საქმეში და სხვ.

კვიპროსის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელშიც დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 40%. სოფლის მეურნეობაში იქმნება ერთობლივი ნაციონალური შემოსავლის 23%, იგი არა მარტო კვებავს ქვეყნის მოსახლეობას და ამარაგებს გადამამუშავებელ მრეწველობას ნედლეულით, არამედ პროდუქციის ნაწილი ეაქვს კიდეც საექსპორტოდ. სამოქალაქო ომმა, რომელიც დაიწყო 1974 წელს, დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას. განადგურდა ნათესები, დაზიანდა საირიგაციო ნაგებობანი, შემცირდა ექსპორტი (მაგალითად, ციტრუსების— 4-ჯერ). თურქეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომლებიც იძლეოდნენ მარცვლეულისა და ციტრუსების 80%, ზეითუნის ზეთის—45%, თამბაქოს— 100%. ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა გარკვეული ხარჯების ფასად სამხრეთ პროვინციებში წესიერი პირობები შეექმნა სასოფლოსამეურნეო წარმოებისათვის.

თანამედროვე კვიპროსის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია, სადაც მსხვილი მიწათმფლობელობა შეთანაწყობილია წვრილგლეხურ მეურნეობასთან. კვიპროსი მცირემიწიანია, სახნავი ერთ სულზე 0,17 ჰექტარი მოდის, ამასთან ერთად, სავარგულები წარმოდგენილია მრავალ ნაკვეთად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ახასიათებს ვერტიკალური ზონალობაც, ამას ემატება წყლის დეფიციტიც: მრავალნაკვეთიანობა ხელს უშლის მექანიზაციის დანერგვას, სარწყავი სისტემების შექმნას, ნაციონალურ მიწათმოქმედებას. წვრილი გლეხური მეურნეობები წარმოების ტრადიციულ საშუალებებს იყენებენ: თოხს, მამაპაპისეულ სახნისს და სხვა პრიმიტიულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მათ იგივე კულტურები მოჰყავთ, რაც მათ წინაპრებს.

ბოლო ათწლეულში კვიპროსზე გამოჩნდა კაპიტალისტური ტიპის სასოფლო-სამეურნეო ფერმები, მექანიზაციის ძაღლი დონით. ისინი იყენებენ ბიზნესალურ საუკეთესო, სხვა ქიმიურ საბუალებებს, იძენენ ჯიშიან აირუტყვს და ა. შ. მაგრამ მათი გავლენა ჯერ კიდევ შესაძლებელი ამ არის. თუმცა, ისინი თანდათანობით იკრებენ ძალას. სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს წვრილ-გლეხურ მეურნეობებს, აგრეთვე სარჯებს გაიღებს საირიგაციო მშენებლობისათვის, არეგულირებს ფასებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, პრაქტიკაში ნერგავს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო ცენტრების რეკომენდაციებს. შედეგიანია აგრეთვე პროდუქციის შემსყიდველი, საკრედიტო და სამომარაგებლო კოოპერატივების საქმიანობა. ქვეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ, მათი მეშვეობით გლეხები იღებენ ხელსაყრელ კრედიტებს, იძენენ სასუქებს, თესლს, რეალიზაციას უკეთებენ წარმოებულ პროდუქციას არა მარტო შიდა, არამედ საზღვარგარეთის ბაზრებზე, აშასთან ერთად, თითოეული გლეხური მეურნეობა რჩება როგორც კოოპერატივის ინდივიდუალური წევრი, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ დროს გაწყვიტოს კავშირი მასთან.

მემცენარეობის პროდუქციის გამოყენება ორი მიმართულებით ხდება: პირველს განეკუთვნება ის პროდუქცია, რომელიც იწარმოება შიდა ბაზრისათვის (ხორბალი, პარკოსნები, ზეითუნი, ბოსტნეული), მეორეს ის პროდუქცია, რომლის დიდი ნაწილი მიდის ექსპორტზე (ციტრუსები, ყურძენი, კარტოფილი, სტაფილო). კვიპროსის საზღვარგარეთელი პარტნიორებია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და ევროპა.

ქვეყნისათვის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა მარცვლეული: ხორბლის ნათესებს უკავია 80 ათასი ჰექტარი, ქერს —72 ათასი ჰექტარი, ჭვავს — 55 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. მარცვლეულის საერთო მოსავალი 550 ათასი ტონაა, რაც ქვეყნის მოთხოვნილებას ძირითადად აკმაყოფილებს, მხოლოდ საფურაჟე მარცვლეული შემოაქვთ საზღვარგარეთიდან.

საკურორტო ზონაში და ქალაქების საგარეუბნო ზოლში განვითარებულია მებოსტნეობა, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას მებოსტნეობის პროდუქციაზე.

გავრცელებულია აგრეთვე ტექნიკური კულტურები, სახელდობრ: თამბაქო, ბამბა, ზეითუნი, ეს უკანასკნელი ზეთის სახით გააქვთ კიდეც საზღვარგარეთ (1985 წელს საერთო მოსავალი 24 ათას ტონას შეადგენდა). ერთ-ერთი შედარებით ახალი დარგია მეციტრუსეობა. მოყავთ გრეიფრუტი, ლიმონი, ფორთოხალი. მათი საშუალო წლიური

მოსავალი 300 ათას ტონამდეა. ციტრუსების ნაწილი მიდის გადამუშავებაზე, ნაწილი მოიხმარება ნატურალური სახით. წარმოებული პროდუქციის ნახევარზე მეტი გაიქცევა ექსპორტზე—ძირითადად საუდის არაბეთში.

ქვეყანაში საუკეთესო ხარისხის ყურძენი მოჰყავთ. ვენახს აქ დიდი ხნის ისტორია აქვს. არსებობს ყურძნის ენდემური ჯიშები. მოჰყავთ როგორც საღვინე, ისე სუფრის ყურძენი. ვენახს უჭირავს 40 ათასი ჰექტარი ფართობი, საერთო მოსავალი 230 ათასი ტონაა, კვიპროსის ღვინო მაღალი ხარისხისაა, ამიტომ იგი მსოფლიო ბაზარზე კარგი რეპუტაციით სარგებლობს.

თითქმის ყველგანაა განვითარებული მეხილეობა, რომელიც კარგ მოსავალს იძლევა. წარმოდგენილია: ალუბალი, ვაშლი, მსხალი, გარეგარი, ატამი, ხილი დიდი რაოდენობით გაიქცევა საზღვარგარეთ.

ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობაც, რომელიც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახითაა წარმოდგენილი. პირუტყვი შერეულ კვებაზე ჰყავთ. თუ საძოვრებზე ყუათიანი ბალახია, პირუტყვი ძოვებაზეა, ხოლო გვალვიან პერიოდში—ბაგურ კვებაზე. პირუტყვი პროდუქტიულია, საშუალო წველადობა ერთ პირობით ფურზე 3800 ლიტრია. სახორცე და სარძეო პირუტყვი შერეულია, თუმცა. მათი კვების რაციონი ერთმანეთისაგან განსხვავდება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 0,8 მილიონია.

საკმაო რაოდენობით ჰყავთ აგრეთვე ცხვარი და თხა (2,3 მილიონი სული), ეს დარგი გარკვეულ სიძნელეებს განიცდის საკვებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, უჭირთ ზაფხულის გვალვიან თვეებში. ცხვრისა და თხის ფარები დიდ მანძილზე გადაადგილდებიან საკვების ძებნაში, ძირითადად ისინი მთებშია.

განვითარებულია მეფრინველეობაც, რომელიც სამრეწველო საფუძველზეა, ეს დარგი მსხვილი ფაბრიკების სახითაა წარმოდგენილი, განსაკუთრებით, საკურორტო ზონაში. მეფრინველეობა მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას ფრინველის ხორცზე და კვერცხზე.

ქვეყანაში ოდითგანვე განვითარებული იყო მეაბრეშუმეობა. ეს დარგი დღესაცაა განვითარებული, აბრეშუმის პარკის საერთო დამზადება 23 ათას ტონას შეადგენს (1985 წლის მონაცემებით), საზღვარგარეთ გაიქცევა უმთავრესად აბრეშუმის ძაფი და ქსოვილი. მეაბრეშუმეობა ერთ-ერთ შემოსავლიან დარგს წარმოადგენს. განვითარებულია აგრეთვე მეფუტკრეობაც, წარმოებული თაფლი ძირითადად აღგილობრივ ბაზარს ამარაგებს.

კვიპროსელთა კვების ბალანსში გარკვეული ადგილი უჭირავს თევზის პროდუქტს. ჰყავთ თევზსაჭერი ფლოტი, რომელიც რეწვას აწარმოებს სანაპირო წყლებში და ხმელთაშუა ზღვაში. თევზის პროდუქციაც გათვალისწინებულია შიდა ბაზრისათვის.

ამრიგად, კვიპროსის სოფლის მეურნეობა ძირითადად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და მისი საკმაოდ დიდი ნაწილი გააქვთ კიდევაც საზღვარგარეთ, შეშოაქვთ ნაოლოდ საფურაეე მარცვლეული. ექსპორტ-იმპორტის სალდო კვიპროსის სასარგებლოდაა.

ქვეყანაში კარგადაა წარმოდგენილი გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა. ისინი აღჭურვილნი არიან თანამედროვე ავტომატიზებული ხაზებით, ამიტომ გამოშვებული პროდუქცია მაღალი ხარისხისაა.

VII თ ა ვ ი

სამხრეთ აზია

(ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, ნეპალი, ბუტანი, შრი-ლანკა, მალდივიის რესპუბლიკა)

სამხრეთ აზია—აზიის კონტინენტის უმსხვილესი ეკოგრაფიული რეგიონია, რომლის ბუნებრივი საზღვრები მკვეთრად არის გამოსახული ჩრდილოეთით—ჰიმალაიის და ყარაყუმის მსოფლიოში უმაღლესი მთიანი სისტემით, აღმოსავლეთით—ბირმის მთიანი მასივით, დასავლეთით—ჰინდიკუშის და ირანის მთიანეთით, სამხრეთით კი—ინდოეთის ოკეანის ზღვებით.

სამხრეთ აზიის ფართობი 4,4 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—ერთ მილიარდამდე. აქ მდებარეობს შვიდი სახელმწიფო, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, როგორც ფართობით, ისე მოსახლეობის რაოდენობით. მაგალითად, ინდოეთზე მოდის რეგიონის ფართობის 3/4, მოსახლეობის—70%, ხოლო მალდივიის რესპუბლიკა სულ 300 კვ. კმ-ია და მოსახლეობა—150 ათასი.

თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, რეგიონის ქვეყნები წარმოადგენდნენ დიდი ბრიტანეთის კოლონიას. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მათი გათავისუფლება. 1947 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა ინდოეთმა და პაკისტანმა, 1948 წელს—შრი-ლანკამ, 1965 წ—მალდივიის კუნძულებმა, 1971 წელს პაკისტანს გა-

მოეყო ბანგლადეში. კოლონიურმა ბატონობამ რეგიონის სოფლის სეუოხეობის სპეციალიზაცია დაუქვემდებარა მეტროპოლიის ინტერესებს. დღესაც ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონე ძალზედ დაბალია, ნაციოხალური შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით მერყეობს 80—(ნეპალი, ბუტანი, ბანგლადეში)—200 (ინდოეთი, შრი-ლანკა) დოლარამდე.

სამხრეთ აზიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ინდუსტანის ნახევარკუნძული, ინდო-განგის დაბლობი, კუნძული შრი-ლანკა, მალდივიისა და სხვა მცირე კუნძულები. ამ რეგიონში მოქცეულია მსოფლიოს უმაღლესი მთები, ტროპიკული უდაბნოები, ჭარბტენიანი მდინარეების ხეობები, სახნავი მიწების უზარმაზარი მასივები, ტერასებით დასერილი ფერდობები. მთელი რეგიონისათვის დამახასიათებელია სუბეკვატორული კლიმატი, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს ჩრდილოეთით მდებარე უზარმაზარი მთის მასივები, მათ შორის 33 მწვერვალს 7000 მეტრი და მეტი სიმაღლე აქვს, ისინი ჩრდილოეთიდან დამცველ რკალად აკრავს რეგიონის ქვეყნებს და იცავს მათ ჩრდილოეთის ცივი ჰაერის დინებისაგან. ზაფხულობით სამხრეთ აზიაში ტენიანი ჰაერი ბატონობს. ზამთარში კი მშრალი კონტინენტური კლიმატია. ტემპერატურული პირობები თითქმის მთელი წლის განმავლობაში ყველგან ხელს უწყობს მცენარეთა ვეგეტაციას, თუმცა, ნალექების რაოდენობით რეგიონის ცალკეული რაიონები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. მაგალითად, ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩერაპუნჯი არის მსოფლიოში ყველაზე ტენიანი ადგილი. სადაც წლიური ნალექების რაოდენობა 12000 მმ-ია, ხოლო მისგან დასავლეთით იმავე განედზე მდებარე სინდში—თითქმის სულ არ მოდის წვიმა. რეგიონის ცალკეულ რაიონებში ხშირია თქეში წვიმები. ტემპერატურა ცალკეული რაიონების მიხედვით მერყეობს 0-დან +40°-მდე.

სამხრეთ აზიაში მრავალი მდინარე მიედინება, მათ შორის ყველაზე წყალუხვია განგი, ინდი და ბრახმაპუტრა. წვიმების დროს მდინარეთა კალაპოტი რამდენიმე მეტრით იმატებს და ფარავს დიდ ტერიტორიებს. რაც იწვევს ხშირ წყალდიდობებს. რეგიონი მდიდარია აგრეთვე მიწისქვეშა წყლებითაც.

მრავალფეროვანია მისი ლანდშაფტი, ვხვდებით როგორც მაღალმთიან შიშველ ქარაფებს, ისე გაუვალ ტროპიკულ ტყეებს, ძვირფასი ჯიშის ხეებით. ადამიანის სამეურნეო საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის ლანდშაფტი, თითქმის ყველგან ვხვდებით ბუნებრივ-კლიმატური პირობებისათვის დამახასიათებელ კულტურულ მცენარეებს.

სამხრეთ აზია განეკუთვნება მსოფლიოში მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს. მისი ტერიტორია შეადგენს ხმელეთის 3,3%, რომელზეც ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის 20%. რეგიონის დასახლება მოხდა უხსოვარი დროიდან. მოსახლეობა განსხვავდება როგორც რასობრივად ასევე საქმიანობით, ტრადიციებით, რელიგიით.

რეგიონის ყველა ქვეყანა განვითარებადი სახელმწიფოების რიცხვს განეკუთვნება, თუმცა, ეკონომიკური განვითარებით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

ინდოეთი

ინდოეთი — მსოფლიოს უდიდესი ქვეყანაა,, რომელსაც ხშირად სუბკონტინენტურსაც კი უწოდებენ. იგი ფედერაციული სახელმწიფოა და შედგება 22 შტატისა და 9 მოკავშირე ტერიტორიისაგან. მისი ტერიტორია 3,28 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—700 მილიონი, დედაქალაქია დელი.

ინდოეთის ტერიტორია ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში იყო დასახლებული. ჩვ. წელთაღრიცხვამდე VII—VI საუკუნეებში ინდოეთში გაჩნდნენ პირველი სახელმწიფოები. I საუკუნეში შეიქმნა კუშანთა ძლიერი იმპერია. III საუკუნეში ირანთან ბრძოლაში კუშანთა იმპერია დაიშალა რამდენიმე სახელმწიფოდ, რომელთა შორის გაუთავებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. XI საუკუნიდან მეზობელი მუსულმანური სახელმწიფოების თავდასხმებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა. XV საუკუნეში შეიქმნა ინდოეთის ვიდჟიანაგარის იმპერია, რომელიც მონღოლებმა დაამხეს, მათი ბატონობა XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. შემდეგ ინდოეთი ირანის შაჰმა (ნადირმა) დაიპყრო, ხოლო 1757 წლიდან კი ინგლისმა.

ბუნებრივი პირობების მიხედვით ინდოეთი სამ რეგიონად იყოფა: ჰიმალაი, ინდო-განგის დაბლობი და დეკანი. ჰიმალაის მთის მასივი ჩრდილოეთით 2500 კმ. სიგრძეზე და 300 კმ. სიგანეზეა გადაჭიმული, იგი თავისი მდებარეობით სამ საფეხურად იყოფა, პირველი—ქვედა საფეხური ანუ მთისწინა ზონა (900—1200 მ), მეორე—მცირე ჰიმალაი (3000—4000 მ), ამ ზონაში მდებარეობს რამდენიმე 6000 მეტრიანი მწვერვალი, მესამე—დიდი ჰიმალაი, რომელიც 6 კმ. ზევით მდებარეობს.

მკვეთრად განსხვავდება მთიანი ზონისაგან ინდო-განგის დაბლობი, რომელიც ნახევარმთვარისებრადაა გადაჭიმული არაბეთის ზღვიდან ბენგალიის ყურემდე. მისი სიმაღლე 130—150 მეტრია. აქ წარმოდგენილია როგორც ნაყოფიერი ველები, ისე ნახევრად უდაბნოები და ჭაობიანი დიდი მასივები.

ინდოსტანის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი უჭირავს დეკანის ზეგანს, რომლის დასავლეთი ნაწილი ბენგალიის ყურემდე გადის, სოლო აღმოსავლეთი ნაწილი მთიანია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ამ ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ათვისებას.

ინდოეთის მთელი ტერიტორია მდებარეობს ტროპიკულ და სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყელში—ტიპური მუსონური კლიმატით. წლის განმავლობაში გამოიყოფა სამი სეზონი: მშრალი გრილი (ნოემბერი—თებერვალი), მშრალი ცხელი (მარტი—მაისი), ტენიანი ცხელი (ივნისი—ოქტომბერი). ზამთრის გრილი სეზონი წლის ყველაზე სასიამოვნო პერიოდია, ჩრდილოეთით ტემპერატურა +12° (ზოგჯერ ღამით —4°), ინდ-განგის დაბლობისა და დეკანის (—18° +20°) სამხრეთით ცხელა. ინდოეთის უმრავლეს პროვინციებში ზამთარი პრაქტიკულად მშრალია, იცის ციკლონები, ზამთრის კულტურებია ხორბალი და ქერი. მარტიდან ტემპერატურა იმატებს და ყველაზე ცხელ თვეში—მაისში აღწევს მაქსიმუმს +35° +40°. ტერიტორიის უმეტეს საწილზე ტენიანობა საკმაოდ მაღალია, ზოგ რაიონში იგი 96%-ია.

კლიმატი ძალზედ ჭირვეულია, ნალექების რაოდენობა არავითარ კანონზომიერებას არ ექვემდებარება. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია, ტენიანობის არასტაბილურობა იწვევს მორწყვის აუცილებლობას, ამიტომ აქ ოდითვანვე აშენებდნენ საირიგაციო ნაგებობებს.

ინდოეთი კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მდინარეთა წყლის დონე მერყეობს სეზონის მიხედვით, მდინარე განგი მკვეთრად იცვლის წყლის დონეს, რაც იწვევს წყალდიდობებს. ტბები ქვეყანაში ცოტაა და თითქმის ყველა ვულკანური წარმოშობისაა.

ინდოეთის მცენარეული საფარი მდიდარია და იგი 21 ათას სახეობას ითვლის. მის ტერიტორიაზე მდებარეობს ტენიანი ტროპიკული მარად მწვანე ტყეები, სავანები, ტყე-ბუჩქნარი და მდელოები, ნახევრად უდაბნოები, მაღალ მთებში კი მუდმივი თოვლია. ტერიტორიის 27% უჭირავს ტყეებს და ტყისმაგვარ ბუჩქნარებს. ნიადაგები მრავალგვაროვანია, როგორც სახეობის, ისე ნაყოფიერების მიხედვით—წითელმუერა, ალუვიური, ყვითელმიწა, ყავისფერი, ეწერი და ა. შ.

ინდოეთში ცხოვრობენ მრავალი რასისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ლაპარაკობენ 68 ენაზე და დიალექტზე, განსხვავდებიან რელიგიური მრწამსით, ტრადიციებით. შტატებიც ძირითადად შექმნილია ნაციონალური პრინციპების მიხედვით. ინდოეთში მამაკაცების რაოდენობა სჭარბობს (ყოველ 1000 კაცზე

მოდის 927 ქალი), რაც გამოწვეულია ქალების სიკვდილიანობის მაღალი პროცენტით—უნთავრესად აღრეული ქორწინების ნიადაგზე. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1/3-ია, რომელთაგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 10%, მრეწველობაში—14%, ვაჭრობაში და მომსახურების სფეროში—17%. ქალაქი ცხოვრობს 168 მილიონი კაცი ანუ მოსახლეობის 24%. ინდოეთის მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი დაბალია, ქვეყანაში ბევრია უმუშევარი.

ინდოეთის ეკონომიკა კონტრასტულია. საბრეწველო პროდუქციის ნარმოების საერთო მოცულობის მიხედვით ქვეყანა მეათე ადგილზეა მსოფლიოში (ანუ შედის მსოფლიოს დიდი ქვეყნების რიცხვში), სოლო ნაციონალური პროდუქტის წარმოებით ერთ სულზე—102 ადგილზე. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე საბრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება თითქმის 2-ჯერ გაიზარდა, მისი მოცულობა ერთ სულზე ვაანგარიშებით თითქმის არ შეცვლილა, რასაც ეკონომისტები მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპით ხსნიან.

ინდოეთის სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. ქვეყნის ბუნებრივი რესურსები წარმოებისათვის შეტად ხელსაყრელია. ორლიეფის მიხედვით ქვეყნის ტერიტორიის 63%-ზე შესაძლებელია მიწათმოქმედება. ქვეყანა მდიდარია თბორესურსებით (4000°—8000°), რაც წელიწადში 2—3 მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა. მაგრამ ქვეყნის ტერიტორიის უმრავლეს რეგიონებში მიწათმოქმედება მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნური რწყვის პირობებში. გაანგარიშებით დადგენილია, რომ თუ ქვეყანა გამოიყენებს სანაგად ვარგის ყველა ფართობს და შექმნის სარწყავ სისტემას, მაშინ მარტო მარცვლეულის წარმოება შეიძლება გაიზარდოს 3-ჯერ და ამ მაჩვენებლით იგი მსოფლიოში პირველ ადგილზე გამოვიდეს.

გარდა მორწყვისა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების დიდ შესაძლებლობებს იძლევა მიწების მელიორაცია. ქვეყანაში 2,65 მლნ. ჰექტარი ფართობი დაჭაობებულია, 8,1 მლნ. ჰექტარი—დამლაშებული, ყოველწლიურად იტბორება 6,5 მლნ. ჰექტარი, ეროზიისაგან ზიანდება საკარგულთა 60%. ყველა ამ მიწების აღდგენა ენიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწების მარაგს.

მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასეობის პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით, ინდოეთს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მაგალითად, მას პირველი ადგილი უკავია ჩაის პროდუქტების წარმოებაში — ამზადებენ ჩაის მსოფლიო წარმოების 1/3,

შაქრის ლერწმის—1/5, მეორე ადგილი უჭირავს ბრინჯის, ბანანის, ჯუთის წარმოებაში, მეოთხე—ბამბის, ხორბლის და ა. შ.

თანამედროვე ინდოეთი აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. 1951 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო მოსახლეობის 72%. სჭარბობდა წვრილი, პრიმიტიული სოფლის მეურნეობა, თუმცა, პროდუქციის წარმოების მოცულობითა და სავარგულთა რაოდენობით წამყვანი ადგილი მსხვილ მიწათმფლობელებს ეჭირათ, რომელთა რაოდენობა დასაქმებულთა 2%-ს შეადგენდა. მათ ხელში თავმოყრილი იყო სავარგულთა 70%. მიწა გლეხებზე გაცემოდა იჯარით, რომელსაც მემამულეები კაბალურ პირობებში იძლეოდნენ.

თანამედროვე პირობებში ინდოეთის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა უზარმაზარ როლს ასრულებს. დამოუკიდებლობის პერიოდში სოფლად მცხოვრებთა ხვედრითი წილი არ შემცირებულა, იგი დღესაც 72% შეადგენს, მაგრამ აბსოლუტურ მაჩვენებელში იგი 1,5-ჯერ გაიზარდა. დამატებითი მოსახლეობის გამოკვება მოითხოვს ახალი ფართობების ათვისებას, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდას, რაც სახელმწიფოს დახმარების გარეშე თითქმის შეუძლებელია. ეკონომისტების გაანგარიშებით, უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დანახარჯები ერთ ჰექტარ სახნავზე 430-დან 990 რუპიამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სოფლის მოსახლეობის 40% ჯერ კიდევ უკიდურესად გაჭირვებულად ცხოვრობს, ისინი საკუთარ მოთხოვნილებასაც ძლივს იკმაყოფილებენ.

ინდოეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის წარმოებას, რომელსაც ქვეყნის საუკეთესო მიწები უჭირავს. მოსავლიანობის ზრდის მიუხედავად მისი წარმოება ჯერ კიდევ დიდად არის დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. 1975 წელს სასურსათო მარცვლეულის წარმოებამ შეადგინა 121, 1980 წელს—131, 1985 წელს—150 მილიონი ტონა. აგროტექნიკის დონე და მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია (მაგალითად, ხორბლის მოსავლიანობამ 1985 წელს შეადგინა 18 ცენტ. ჰა). სასუქების გამოყენების დონე ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით 10-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე აშშ-ში. 50-ჯერ ნაკლები ვიდრე—იაპონიაში და ა. შ. ბრინჯის მოსავლიანობა 3-ჯერ ჩამორჩება იაპონიის მაჩვენებელს, ხორბლის—ორჯერ აშშ-ს და ა. შ.

ინდოეთის სოფლის მეურნეობა მოითხოვს რადიკალური ღონისძიებების გატარებას, მაგრამ დღემდე ჩატარებულმა აგრარულმა რეფორმებმა (რომელიც ორჯერ გატარდა და არ იყო სრულყოფილი), სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. მოხდა მიწების გადანაწილება, რომელმაც შეამცირა მსხვილი მემამულური მეურნეობები, მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რათა სოფლის ყველა ოჯახს მიეღო

მიწის ნაკვეთი. დღეისათვის, სოფლის მცხოვრებთა 22% არ ფლობს მიწას, ხოლო გლეხების 17% მცირემიწიანია.

ინდოეთის სოფლის მეურნეობას მემცენარეობის მიმართულება აქვს. თუმცა ქვეყანაში, მსოფლიოში ყველაზე მეტი მსხვილფეხა ცხოველია—230 მილიონი სული, ხოლო ცხვარი და თხა 120 მილიონი. აქ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ითვლება საღვთო პირუტყვად და მას ბირითადად როგორც გამწევ ძალას ისე იყენებენ.

ინდოეთის მიწის ფონდი გამოირჩევა სახნავის მაღალი ხვედრითი წილით. მსოფლიოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ 12%, ინდოეთში კი—50%, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან საძოვრების ხვედრითი წილი მხოლოდ 4%-ია, როგორც უკვე იყო აღნიშნული, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არა აქვს სეზონური ხასიათი (ფართობზე რამდენიმე მოსავალს იღებენ). სახნავის მხოლოდ 20% გამოიყენება ერთჯერადად. დიდ ყურადღებას აქცევენ სარწყავი მიწათმოქმედების განვითარებას. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში სარწყავი ფართობი 19 მილიონიდან 50 მილიონ ჰექტარამდე გაიზარდა. დღეისათვის, ირწყვება ნათესების 1/4. ინდოეთს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში სარწყავი მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით. მიწები ირწყვება არა მარტო მდინარის, არამედ მიწისქვეშა წყლებითაც.

165 მილიონი ჰექტარი სათესი ფართობიდან (რომელთაგან 25 მლნ. ჰექტარი ითესება ერთჯერადად) 85% სასურსათო კულტურებს უჭირავს, ხოლო ზღვისპირა დაბლობები, მდინარეების განგისა და ბრახმაპუტრას აუზები მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბრინჯის მოსავლიანობით. თესვისას უნარიანად იყენებენ ბრინჯის სხვადასხვა სასეობებს, რომლებსაც ვეგეტაციის სხვადასხვა ვადები აქვთ. ზოგიერთ პროვინციაში ასწრებენ სამჯერადი მოსავლის მიღებასაც კი.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი ძირითადად ხორბლის ზონაა, რომელიც მოჰყავთ ზამთრის სეზონზე, უფრო მეტად ურწყავ მიწებზე. ხორბლის ნათესები წარმოდგენილია დიდი მასივების სახით, სადაც ფართოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მოსავლიანობა მაღალი არ არის(15 ცენტნერამდე — ურწყავზე და 19 ცენტნერი სარწყავზე). დღეისათვის ხორბლის საერთო წარმოება 42 მილიონი ტონაა, ბრინჯისა სამჯერ მეტი—130 მილიონი, გარდა ხორბლისა თესავენ ქერს, რომლის წარმოება 18 მილიონი ტონაა, მოჰყავთ აგრეთვე სიმინდი, დაახლოებით 21—22 მილიონი ტონა. შედარებით გვალვიან რაიონებში თესავენ სორგოს. ჯოყარის და სხვა სახის მარცვლეულს.

გავრცელებულია პარკოსანი კულტურები, განსაკუთრებით ლობიო, რომლის რამდენიმე სახეობაა. მოჰყავთ აგრეთვე წიწიბურა. სოია

და სხვა. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ქვეყანას ჯერ კიდევ შემოაქვს მარცვლეული (ძირითადად ავსტრალიიდან).

ინდოეთში ყველგან მოჰყავთ ზეთოვანი კულტურები, მათი საერთო წარმოება 14 მლნ. ტონაა, აქედან 8 მლნ. მოდის არახისზე, რომელიც ძირითადად სამხრეთ შტატებშია გავრცელებული. არახისის წარმოებით ინდოეთი პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მიუხედავად ზეთოვანი კულტურების დიდი რაოდენობით წარმოებისა, ინდოეთს მცენარეული ზეთი სხვა ქვეყნებიდანაც შემოაქვს. გარდა ამისა, მოჰყავთ ჩვენთვის უცნობი ისეთი კულტურები, როგორიცაა კუნჯუტი, კლეშევისა, ავრეთვე მდოგვი, კანაფი, დიდი რაოდენობით ქოქოსის პალმა, რომელიც მრავალი სახის პროდუქტს იძლევა (ზეთს, კანაფს, წვენს და სხვ.).

ინდოეთი მსოფლიოში პირველ ადგილზეა შაქრის ლერწმის წარმოების მიხედვით. რომელიც გაადგილებულია მდინარე განგის აუზში. ქვეყანა დიდი რაოდენობით ამზადებს შაქრის ფხვნილს, თუმცა მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებით იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება მოწინავე ქვეყნებს.

ინდოეთი ბამბის წარმოების მხრივაც ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში. ეს კულტურა გაადგილებულია შავმიწანიადაგიან ადგილში. ჩვენ ვიცით მიწებზე ძირითადად მოჰყავთ დაბალხარისხოვანი ბამბა, საშუალო მიწებზე კი—მაღალხარისხოვანი. საკმაო რაოდენობით მოჰყავთ ჯუთი, რომლიდანაც ამზადებენ კანაფს, ჭილოფს და სხვ. ჯუთის ნედლეულის წარმოება ერთ მილიონ ტონას უდრის.

ინდოეთში საკმაო რაოდენობით მოჰყავთ ავრეთვე თამბაქო, რომლის წლიური წარმოება 400 ათას ტონას უდრის. უმაღლესი ხარისხის თამბაქოს ნაწილი ნედლეულის სახით გაიქვთ ინგლისში. არსებობს ძალზედ ნაკლებ თანამედროვე ტიპის თამბაქოს ფაბრიკა, რომლებიც საექსპორტო პროდუქციასაც ამზადებენ.

ინდოეთი ჩაის პროდუქციის ყველაზე დიდი მწარმოებელია მსოფლიოში. მის წილად მოდის მსოფლიო წარმოების 1/3. დღეისათვის ქვეყანა ამზადებს დაახლოებით 500 ათას ტონა ხმელ ჩაის, რომლის 3/4 ვაქვეთ საექსპორტოდ. ძირითადი ჩაის მწარმოებელი რეგიონები მდებარეობენ მდინარეების ბრახმაპუტრისა და ასამის ზედა აუზში. სულ ეთესო ხარისხის ჩაის ფოთოლი მოდის ჰიმალაიის სამხრეთ ფერდა კალთებზე. იმისათვის, რომ დაიცვან ჩაის ბუჩქები მცხუნვარე მზის სხივებისაგან, მას აშენებენ ხეხილის ბაღების რიგთაშორისებში, ჩაის პლანტაციები იმ სახით, როგორც ეს წარმოდგენილია საქართველოში, ინდოეთში არ არსებობს. იქ პლანტაციებს ბაღებს უწოდებენ.

ტრადიციული კულტურაა წიწაკაც, ე. წ. „შავი წიწაკა“ ფხვნილის სახით დიდი რაოდენობით გაიქვთ არაბულ ქვეყნებში და ევროპაში. ხშირად წიწაკის ნათესები შერეულია ყავის პლანტაციებში (რიგანაშორისებში).

ინდოეთში დიდი რაოდენობით მოჰყავთ ბანანი, სუბტროპიკული და კონტინენტური ხილი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და საუკეთესო გეოვნებითი თვისებებით. ხილი, წვენებისა და ჩირის სახით დიდი რაოდენობით გაიქვთ საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია, რომ ინდოეთის სოფლის მეურნეობა წარმოების ჯერ კიდევ პრიმიტიულ სტადიაშია, ენერგოშეიარაღება უმთავრესად ცოცხალი გამწეები ძალით არის წარმოდგენილი. ძნელია გაიანგარიშო ენერგოშეიარაღების მაჩვენებლები, ვინაიდან ენერგეტიკული საშუალებების აღრიცხვა თითქმის არ წარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინდოეთის სოფლის მეურნეობას გამოკვეთილად აქვს მემცენარეობის მიმართულება, მეტნაკლებად განვითარებულია მეცხოველეობაც. ქვეყანაში დაახლოებით 230 მილიონ სულამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, მათ შორის ნახევარი კამეჩი, 120 მლნ. ცხვარი და თხა. მსხვილფეხა პირუტყვს ძირითადად იყენებენ როგორც ცოცხალ გამწეე ძალას.

რძის ქვეყანაში ნაკლებად ხმარობენ. სურნელოვან ჩაისთან ერთად ეი უმთავრესად გამოიყენება ტურისტებისათვის. მეხორცული მეცხოველეობა თითქმის არ ვეხვდება (ინდოელები უმთავრესად ვეგეტარიანელები არიან). მცირე რაოდენობით ხმარობენ ცხვრის, ოსის და ქათმის ხორცს. მეცხოველეობის პროდუქტების მოხმარება ერთ სულზე გადაანგარიშებით დაბალია. წელიწადში იგი შეადგენს: რძე—42 ლიტრი, ხორცი—1,5 კგ. კვერცხი—3 ცალი, ინდოეთს მსოფლიო ბაზარზე გააქვს ტყავი, ბეწვი, ძვლები. მეცხოველეობის დაბალი პროდუქტიულობა გამოწვეულია, საკვები ბაზის შეზღუდულობით. მაგალითად, ერთ ჰექტარ საძოვარზე მოდის 17 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 8 ცხვარი და თხა. ამასთან, უნდა აღინიშნოს საძოვრების დაბალპროდუქტიულობაც.

ინდოეთის ტროპიკულ წყლებში ბევრი თევზია, რომლის წლიური წარმოება 2,8 მლნ. ტონას უდრის. თევზის პროდუქტები უმთავრესად მოიხმარება ქვეყნის შიდა ბაზარზე.

განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობაც, არსებობს თანამიღროვე ტიპის კვებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი და აგრეთვე წვრილი პრიმიტიული საწარმოები: ქვეყანაში რამდენიმე კარგად აღჭურვილი მსხვილი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია—მარცვლეულის (ძირითადად ბრინჯის) სელექ-

ციაში. უმაღლესი სასწავლებლები ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო პროფილის სპეციალისტებს. ინდოეთისათვის მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებენ აგრეთვე მსოფლიოს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საქართველოშიც.

პაკისტანი

პაკისტანი მდებარეობს სამხრეთ აზიის ჩრდილო—დასავლეთით. მისი ტერიტორია 806,5 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—90 მილიონი, დედაქალაქი—ისლამაბადი. პაკისტანი ფედერაციული რესპუბლიკაა, იგი ოთხი პროვინციისაგან შედგება. მისი ტერიტორია წარმოდგენილია მრავალფეროვანი ლანდშაფტით: უნაყოფო უდაბნოდან დაწყებული, მარადმწვანე ხეობებითა და მაღალი მთებით დამთავრებული.

პაკისტანის ტერიტორია უხსოვარი დროიდან იყო დასახლებული, ამიტომ მიწათმოქმედებას ამ ქვეყანაში უძველესი ისტორია აქვს, VI საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე პაკისტანი ირანის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. იგი დაიპყრო ალექსანდრე მაკედონელმაც. VII საუკუნეში პაკისტანი დაიპყრეს არაბებმა, შემდეგში ავღანელებმა და მონღოლებმა, XVIII საუკუნიდან ქვეყანაში დაიწყო ინგლისელთა ბატონობის ხანა, რომელიც მეორე მსოფლიოს ომამდე გაგრძელდა. 1947 წელს ინდოსტანის სუბკონტინენტზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინდოეთი და პაკისტანი.

ქვეყნისათვის დამახასიათებელია გვალვიანობა. სწორედ ამიტომ მცენარეული საფარი გვალვაგამძლე სახეობებითა და სახეობებით არის წარმოდგენილი. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უჭირავს ტროპიკულ მეჩხერ ტყეებსა და ბუჩქნარებს.

ქვეყნის კლიმატი კონტინენტური — მშრალია, მდინარე ინდის დაბლობში—ტროპიკული. ზამთრის ცივ პერიოდშიც კი ტემპერატურა + 11°-მდეა. ყველაზე დაბალი ტემპერატურა —21°C დაფიქსირებულია 2180 მეტრის სიმაღლეზე. ზამთრობით მთებში იცის თოვლი, რომლის მუდმივი ზოლი 2 ათასი მეტრის ზევით მდებარეობს ზამთარი ყველაზე კარგი პერიოდია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის. გაზაფხული და ზაფხული იწყება სწრაფად, სავეგეტაციო პერიოდი მოკლეა, აპრილიდან იწყება სიცხეები, რომელიც თან ემთხვევა ციკლონების პერიოდს. ივნისში, ტენიანი მუსონების დაწყებამდე, სიცხე მაქსიმუმს აღწევს, საშუალო ტემპერატურა +32°C-ია. ყველაზე ცხელი პროვინციები ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს, სადაც რეგისტრირებულია +52°C ტემპერატურა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთ მაქსიმალურ ტემპერატურად ითვლება. მოსახლეობა იძულებულია ხელოვნურად დაიცვას თავი სიცხისაგან.

ყველაზე მეტი ნალექი მოდის მთებში—1500 მმ წელიწადში (პაკისტანი ჰიმალაის სამხრეთ კალთებზე მდებარეობს), ყველაზე ცოტა—(55 მმ) ქვეყნის დასავლეთ პროვინციებში. მდინარეთა ქსელი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ხშირია, მიწათმოქმედებისათვის არ არის საკმარისი. მუსონების პერიოდში მდინარეებში წყალი საჭიროზე მეტია, მაშინ როდესაც ნაყოფის მომწიფების დროს ძლვავედ იგრძნობა წყლის დეფიციტი.

ნიადაგი მრავალფეროვანია. მდ. ინდის აუზის ალუვიური ნიადაგები ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს, იგი მდიდარია კალციუმით, საკმაო რაოდენობით შეიცავს ფოსფორს. მაგრამ ღარიბია ორგანული ნივთიერებებით, საჭიროებს აზოტს. ჰიმალაის სამხრეთი კალთები ტყითაა დაფარული, რომელიც უმეტესად მეჩხერია.

პაკისტანის მოსახლეობა მრავალეროვანია (ლაპარაკობენ 12 ენაზე), ხასიათდება სწრაფი გამრავლებით, მატების წლიური ტემპი 3%. მამაკაცების რაოდენობა სჭარბობს ქალებისას (1000 ქალზე მოდის 1110 მამაკაცი). მოსახლეობის სიმჭიდროვე—100 კაცია ერთ კვ. კმ-ზე. მოსახლეობის ნახევარი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ქალაქად ცხოვრობს 30%, ურბანიზაციის პროცესი მაღალი ტემპით მიმდინარეობს.

დამოუკიდებლობამდე პაკისტანი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო. მრეწველობა თითქმის არ არსებობდა, ხოლო სოფლის მეურნეობას პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა. დღესაც ეკონომიკაში წამყვანია სოფლის მეურნეობა, რომელმაც გარკვეული აღმავლობა განიცადა, თუმცა ჯერ კიდევ შორსაა მოწინავე ქვეყნების დონისაგან. დამუშავებული მიწების რაოდენობა 20 მლნ. ჰექტარია. რაც ქვეყნის ტერიტორიის 25%-ს უდრის. სახნავი ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,22 ჰექტარია. ყოველწლიურად ითესება 15—16 მლნ. ჰექტარი, დანარჩენი გადადის ნასვენში ან წყლის დეფიციტის გამო არ ითესება. საძოვრებს უჭირავს 16 მლნ. ჰექტარი და ძირითადად ჰიმალაის მთის კალთებზეა წარმოდგენილი. „შობს წყალი და არა მიწა", ეს გამოთქმა, რომელიც გავრცელებულია პაკისტანში, ზუსტად გამოხატავს ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულებას წყალზე. უმრავლეს პროვინციებში მიწათმოქმედება შეუძლებელია მორწყვის გარეშე. ირწყვება სათესის დაახლოებით 70%. ადრე გავრცელებული იყო მორწყვის პრიმიტიული მეთოდები, არ არსებობდა კაშხალები, გაყვანილი იყო დროებითი არხები, რომლითაც ირწყვებოდა მცირე ფართობი. მორწყვისათვის ფართოდ იყენებდნენ გრუნტის წყლებს, რომელსაც იღებდნენ მექანიკურად მბრუნავი ბორბლით.

მსხვილი საირიგაციო მშენებლობები დაიწყეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, შეიქმნა [illegible] ირიგაციის ეროვნული სისტემა, ეროვნულად მიიღო თანამედროვე, ტექნიკურული ხასიათი. საირიგაციო სამუშაოებს ფართო ხასიათი მიეცა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. გაიბურღა 100 ათასზე მეტი არტეზიული ჭა ნიადაგის მოსარწყავად დაიწყო ირიგაციული სამუშაოები. დამუშავებული მიწების 22% დაჭაობებულია ან ცუდად არის დრენაჟირებული, 9% დამლაშებულია, 21%-ს მიდრეკილება აქვს დამლაშებისაკენ, რის შედეგადაც ყოველწლიურად 50 ათასი ჰექტარი ფართობი უვარგისი ხდება დამუშავებისათვის.

პაკისტანის სოფლის მეურნეობაში მთავარი ადგილი უჭირავს ბემეცნარეობას. სახნავი მიწები ტრადიციულად გამოიყენება სასურსათო კულტურებისათვის. რომლის პროდუქცია ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის არის გათვალისწინებული. ნათესების 70% უჭირავს მარცვლეულს, 10%—პარკოსნებს, 20%—ტექნიკურ კულტურებს. პაკისტანში წლის განმავლობაში ორ მოსავალს იღებენ. შედარებით ტენიან რაიონებში მოჰყავთ ბამბა, ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, სიმინდი. მშრალ სეზონზე თესავენ ხორბალს, ქერს, ზეთოვან კულტურებს, ხორბალს უჭირავს ნათესი ფართობის 35%, მისი საერთო მოსავალი 12 მლნ. ტონაა, იგი მოჰყავთ სარწყავ მიწებზე. სასაქონლო ხორბლის ძირითად ნასს იძლევა მსხვილი მეურნეობები, რომელიც თითქმის მთლიანად მოიხმარება შიდა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხორბალი მოჰყავთ აგრეთვე ურწყავ მიწებზეც, სადაც მოსავალი იმდენად დაბალია, რომ ეს ოლქები საკუთარ მოთხოვნილებასაც ვერ იკმაყოფილებენ.

საკმაო რაოდენობით მოჰყავთ ბრინჯი. 1985 წელს მისი წარმოება 3 მლნ. ტონას აღემატებოდა, იგი მოჰყავთ მდინარე ინდის აუზში, სარწყავ მიწებზე. წარმოებული ბრინჯის ხარისხი საკმაოდ მაღალია და დიდად ფასობს საზღვარგარეთ. 1985 წელს ქვეყნის ფარგლებიდან 700 ათას ტონაზე მეტი ბრინჯი. მოჰყავთ სიმინდიც, უმთავრესად ჩრდილოეთის პროვინციებში, მას ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს და არ წარმოადგენს სასაქონლოს. სიმინდის წარმოება 1,5—1,7 მლნ. ტონას შეადგენს. შედარებით გვალვიან—ურწყავ მიწებზე მოჰყავთ ჯოყარას მცენარე, რომელიც წყლის ნაკლებად მომთხოვნია, მისი წარმოება 0,7 მლნ. ტონას შეადგენს. მარცვლეულიდან გავრცელებულია აგრეთვე ქერი, რომლის ნათესები საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ისინი თანდათანობით შეავიწროვა ხორბალმა. დღეისათვის ქერი მოჰყავთ შედარებით დაბალნაყოფიერ მიწებზე, საერთო მოსავალი 1,7—2,0 მლნ. ტონამდეა.

თითქმის ყველგანაა გავრცელებული პარკოსნები. ცხოველურ ცილის დეფიციტის პირობებში მათ წარმოებას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. გლეხები უმთავრესად ამ კულტურებს საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ, ხშირად თესავენ ხორბალთან და ქერთან ერთად.

60-იანი წლებიდან პაკისტანის სოფლის მეურნეობა ორიენტირებულია მარცვლეულის წარმოებაზე. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ძირითადი კულტურების მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია: ხორბლის — შეადგენს 18 ცენტნერს, ქერის—17, სიმინდის—16 და ა. შ. 80-იანი წლებიდან დაიწყო ახალი, მაღალმოსავლიანი ხორბლის თესვა, რომლის ნათესებიც ჯერ უმნიშვნელოა, მაგრამ პაკისტანელები თვლიან, რომ ეს ჯიში მათთვის ძალზედ პერსპექტიული იქნება. საშუალო მოსავლიანობა 30 ცენტნერია.

დაბალია მარცვლეული მეურნეობის აგროტექნიკური მომსახურების დონე, სასუქები შეაქვთ უმნიშვნელო რაოდენობით და ცხადია შედეგიც არასასურველია. ენერგეტიკაში სჭარბობს ცოცხალი ვამწევი ძალა, ენერგოშეიარაღება თუმცა იზრდება, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ჩამორჩება სასურველ დონეს. 1985 წელს ეს მაჩვენებელი 17 ცხ. ძალას აღწევდა. მარცვლეულის მეურნეობაშიც კი არ არის ჩამოყალიბებული მანქანათა სისტემები და უმთავრესი სამუშაოები (მ. შ. მოსავლის აღებაც) ხელით ხდება.

შეიძლება ითქვას, რომ მარცვლეულის წარმოებით ქვეყანა თითქმის იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს. ექსპორტმა 1985 წელს შეადგინა მხოლოდ ერთი მილიონი ტონა. ქვეყანას მცირე რაოდენობით ვააქვს ბრინჯი.

ტექნიკური კულტურებიდან დიდი რაოდენობით მოჰყავთ ბამბა, რომელსაც ჯერ კიდევ უძსოვარი დროიდან აწარმოებენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს სასაქონლო ბამბის წარმოება. გავრცელებულია ნაღალი ხარისხის ამერიკული ჯიში. ბამბის წარმოების რამდენიმე მსხვილი რეგიონი მდებარეობს ქვეყნის ჩრდილოეთით. ბამბის ნათესებს უჭირავს სახნავის 13%, მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია, ნედლეულის ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ, ხოლო დიდი ნაწილი მოიხმარება ქვეყნის შიგნით. საკმაოდ განვითარდა საფეიქრო მრეწველობა, რომლის ნაწარმითაც პაკისტანი უკვე გავიდა მსოფლიო ბაზარზე.

დიდი რაოდენობით მოჰყავთ ნაქრის ლერწამიც, ნათესები გაბნეულია პატარ-პატარა ნაკვეთებად, რაც აძნელებს სამრეწველო დამუშავებას, პროდუქციის უდიდეს ნაწილს ამუშავებენ პრიმიტიული

მეთოდებით. მიღებული შაქარი მოიხმარება ადგილზე, მისი ხარისხი დაბალია. 1985 წელს შაქრის ლერწმის წარმოებამ შეადგინა 30 მლნ. ტონაზე მეტი, ხოლო შაქრის ფხვნილის წარმოებამ—700 ათასი ტონა, როგორც ვხედავთ ნედლეულის დანაკარგი საკმაოდ მაღალია.

ზეთოვანი კულტურების წარმოებას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს და სოფლის მოსახლეობა მას უმთავრესად საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს. თუმცა, პროდუქციის ნაწილი სასაქონლოა და მოიხმარება შიდა ბაზარზე. როგორც წესი, ამ კულტურებს თესავენ ხორბალთან და ქერთან ერთად, მსხვილ მეურნეებში აქვთ სუფთა ნათესებიც.

მემცენარეობიდან კარგადაა წარმოდგენილი მებაღეობა, ზოგ რაიონებში მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ბევრგან ამზადებენ სასაქონლო პროდუქციასაც. დიდი რაოდენობით მზადდება სმელი ხილი, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ. ძირითადად წარმოდგენილია კონტინენტური მეხილეობა, ქვეყნის დასავლეთ რაიონებში. ტროპიკული (მანგო, ბანანი და სხვა) და სუბტროპიკული ხილიცაა გავრცელებული. საექსპორტოდ ამზადებენ წვენებს, რომლებსაც მცირე სიმძლავრეების საწარმოებში ამუშავებენ.

დიდი ქალაქების გარეუბნებში წარმოდგენილ მებოსტნეობას ძირითადად სასაქონლო ხასიათი აქვს. წლის განმავლობაში მოჰყავთ რამდენიმე მოსავალი. ამზადებენ ხმელ სუნელსაც. ბოსტნეული კულტურები გავრცელებულია ყველა გლეხურ მეურნეობაში და მათი პროდუქცია ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

მეცხოველეობა შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელსაც იყენებენ, როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. მეცხოველეობის სპეციალიზებული მეურნეობები თითქმის არ არსებობს. კვების ისეთი აუცილებელი პროდუქტები, როგორიცაა: რძე, რძის ნაწარმი და ხორცი, ქვეყანაში არ არის საკმარისი რაოდენობით, თუმცა ბეწვსა და ტყავს საზღვარგარეთ ყიდიან.

პაკისტანის მეცხოველეობა დაბალპროდუქტიულია. არ ყოფნით საკვები, ამიტომ დაცემის (სიკვდილიანობის) პროცენტი მაღალია (25—30%). გლეხობის უმრავლესობას არა აქვს საკმარისი მიწა, რათა ნაწილი გამოყოს საფურაჟე კულტურებისათვის. საძოვრები განლაგებულია ბეთის ფერდობებზე და მდინარეთა სანაპირო ზოლში, რაც საკმარისი არ არის. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც გამოიყენება უმთავრესად როგორც ცოცხალი გამწევი ძალა. თავმოყრილია

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების რეგიონებში. მათი რაოდენობა დაახლოებით 10 მილიონია. ყველა გლეხს არა აქვს საშუალება შეიძინოს ინვენტარი, რაც გამოიწვევს ძვირია. მნიშვნელოვანია რომ ინვენტარი გამოიყენება ერთდროულად ორგანული სასუქის დამკროველი და გადაყრილების საშუალება.

მეორეული ჯოგი ძირითადად კამეჩების სახითაა წარმოდგენილი, რომლებიც უფრო სიცხის ადაპტირებული ინვენტარი არიან და პროდუქტიულობითაც სჭარბობენ ფურებს, ამავე დროს ეს ცხოველები იკვებებიან შედარებით უხეში საკვებით და ამდენად შესანახად და მოსავლელად აღვილია.

ჰყავთ ცხვარი (21 მილიონი სული) და თხა (5 მილიონი სული), რომელთაც ძირითადად მეცხვარეობა აქვს (მეცხვარეობას და მეთხეობას მისდევენ მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები, რომლებიც ბინადრობენ უდაბნოში). ცხვრის მატყლი ეხმარება და მას ხალიჩებისა და ფარდაგების კუსტარულ წარმოებაში იყენებენ.

მეცხოველეობიდან წარმოდგენილია ერთკუზიანი აქლემებიც, რომელთა რაოდენობა 0,7—1,0 მილიონამდეა. აქლემი ჰყავთ უდაბნოში მაცხოვრებელ მომთაბარე ტომებს. მათი კვების ძირითადი პროდუქტი აქლემის რძეა. გარდა ამისა, აქლემს იყენებენ გადაადგილებისათვის და გამწევ ძალად.

ზღვის სანაპირო ზოლში განვითარებულია თევზჭერაც, რომელსაც სამრეწველო ხასიათი არა აქვს. ივი განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარებისათვის.

ქვეყანაში თანდათანობით ფეხს იკიდებს თანამედროვე ტიპის გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა. დღეისათვის რამდენიმე ათეული ასეთი საწარმო არსებობს, თუმცა, ჯერ კიდევ სჭარბობს კუსტარული ტიპის პატარ-პატარა გადამამუშავებელი საწარმოები. სასოფლო-სამეურნეო განათლება უმაღლესად წარმოდგენილია ქვეყნის უნივერსიტეტებში (ინსტიტუტების სახით). ბევრი პაკისტანელი ვანათლებას იღებს საზღვარგარეთ. სამეცნიერო ცენტრები არსებობს ქვეყნის მსხვილ ქალაქებში, ისინი ეწევიან მრავალმხრივ კვლევას, განსაკუთრებით მარცვლეული კულტურების სელექციაგენეტიკაში.

ბანგლადეში

ბანგლადეში სახალხო რესპუბლიკაა, რომელიც რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ივი შეიქმნა აღმოსავლეთი—ბენგალიის პროვინციების ბაზაზე. დამოუკიდებლად ქვეყანა არსებობს 1971 წლიდან, ივი რეგიონის ორი უდიდესი მდინარის—განგისა

და ბრახმაპუტრას დელტაში მდებარეობს. ტერიტორია 143 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—90 მილიონზე მეტი. ბანგლადეში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, სადაც ერთ კვ. კმ-ზე ცხოვრობს 620 კაცი, დედაქალაქია—დაკა.

პირველი სახელმწიფოებრივი ფორმირება აქ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1000 წლის წინათ არსებობდა. ქვეყანას ახსოვს ომები და შემოსევები, იგი ყოველთვის დავის საგანს წარმოადგენდა დიდ სახელმწიფოებს შორის. მე-16 საუკუნიდან, ინგლისელების მოსვლამდე, ქვეყანა ინდოეთთან ერთად მონღოლთა დიდ იმპერიაში შედიოდა, 1757 წლიდან კი ბენგალია ინგლისის კოლონიაა, რომელიც ვაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. 1947 წლიდან ბენგალია—პაკისტანის აღმოსავლეთ პროვინციად იწოდებოდა, ხოლო 1971 წლიდან დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ბანგლადეშის ბუნება ერთფეროვანია, სადაც მთელი წლის განმავლობაში მწვანედ ბიბინებს ბრინჯის ყანები. ქვეყანა დასერილია მრავალი მდინარითა და არხებით, ხშირია მუსონური წვიმები, რომლებიც იწვევენ წყალდიდობებს, არის შემთხვევები, როდესაც მთელი ქვეყანაა დატბორილი. ბანგლადეშელებისათვის ნავი ყველაზე საჭირო სატრანსპორტო საშუალებაა.

ქვეყნის ტერიტორიის 9/10 მდებარეობს მდინარეთა დელტაზე, მხოლოდ ჩრდილოეთითაა წარმოდგენილი მცირე სიმაღლის მთიანი მასივი. სანაპირო ზოლი ზღვის დონიდან 1—3 მეტრის სიმაღლეზეა, უფრო ჩრდილოეთით კი მისი სიმაღლე 40 მეტრამდე აღწევს (მთისწინა მინდვრები). მდინარეები ხშირად იცვლიან კალაპოტს, რაც წყალდიდობას იწვევს. სანაპირო ზოლი, რომელიც წარმოდგენილია 550 კმ-ზე, ძალზედ შეჭრილ-შემოჭრილია, ბევრია პატარა-პატარა კუნძულები და ნახევარკუნძულები.

ბანგლადეშის კლიმატი ცხელი და ტენიანია, რომელიც აღმოსავლეთით უფრო გრილი და რბილი ხდება. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 21°—27° ტემპერატურამდე. ყველაზე ცხელია აპრილი (+34°C), ხოლო ყველაზე გრილი იანვარი (+12°C). წლის განმავლობაში 85 დღე წვიმიანია. ნალექების რაოდენობა 2000 მმ-მდეა. ნალექების დიდი რაოდენობა მოდის ივლისიდან—ოქტომბრამდე. მასზე დიდადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობა და აქედან გამომდინარე, ქვეყნის ბედიც.

ქვეყანაში ზამთარი არ იცის, საცხოვრებელი შენობები შენდება იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყოს რაც შეიძლება მეტი ჩრდილი. ბანგლადეშში მდინარეთა ხშირი ქსელია, წყალს უჭირავს 24 ათასი კვ. კმ.

ანუ ქვეყნის ტერიტორიის 16%. წყალუხვობის პერიოდში მდინარის წყლით რწყავენ ბრინჯისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესებს. დიდია მათი როლი აგრეთვე როგორც სატრანსპორტო არტერიისა, მდინარეებზე მოდის ქვეყნის ტვირთბრუნვის 70%.

ბანგლადეშის ნიადაგები განეკუთვნება ალუვიური ტიპს, რომელშიც ნაკლებია ჰუმუსის რაოდენობა. სჭარბობს მჟავე ნიადაგები, ბევრია დაჭაობებული და დამლაშებულიც. მძლავრობს წყლისმიერი ეროზია, მასთან ბრძოლა მოუარბებული ტენის გამო გაძნელებულია.

ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ბენგალიელებია, მათ წილად მოდის მოსახლეობის 98%. ბევრი ბენგალიელი ცხოვრობს ინდოეთში (დაახლოებით 40 მლნ.). ქვეყანაში, მცირე რაოდენობით არიან ბირმელებიც. მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი (2,8—3% აღწევს). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი 35%-ია, ბევრია უმუშევარი (დაახლოებით 30%). მოსახლეობის 85% ცხოვრობს სოფლად. ურბანიზაციის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სოფლის მეურნეობა, სადაც იქმნება ნაციონალური შემოსავლის 58—60%. დაახლოებით 10% მოდის მრეწველობაზე, 11—14%—ვაჭრობაზე, 4—5%—ტრანსპორტზე, 3—4% მშენებლობაზე. ქვეყნის წლიური ნაციონალური შემოსავალი 8,4 მილიარდ დოლარს არ აღემატება, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 96—100 დოლარია.

ქვეყნის ყველაზე დიდი ბუნებრივი სიმდიდრეა მიწა, რომლის ექსპლუატაციაც მთელი წლის განმავლობაში წარმოებს. უმრავლეს ნაკვეთებზე იღებენ სამჯერად მოსავალს. სოფლის მეურნეობაში მთავარი დარგია მემცენარეობა, რომელიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი კულტურებით. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ დარგს, იგი ტექნიკური თვალსაზრისით ჩამორჩენილია, შეიძლება ითქვას პრიმიტიულიც. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ქვეყანა მცირემიწიანია, ერთ სულზე გაანგარიშებით მოდის 0,1 ჰექტარი სახნავი, ბევრია თავისუფალი შრომითი რესურსები, ხშირია სტიქიური უბედურებანი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება მოსახლეობის ზრდის ტემპს, რაც იწვევს სურსათის მწვავე დეფიციტს.

მდგომარეობის გამოსასწორებლად რამდენჯერმე ჩატარდა აგრარული რეფორმა, რომელმაც შედეგი არ გამოიღო. სჭარბობს მცირემიწიანი გლეხური მეურნეობები, დიდია უმიწაწყლო გლეხების რიცხვი, ინტენსიურად მიმდინარეობს გლეხური მეურნეობების და-

ძეცმაცების პროცესი, რაც გამოწვეულია მეურნეობების დაყოფა—დანაწილებით—ოჯახის წევრებს შორის. წვრილი მეურნეობები (1 ჰა) შეადგენს მიწათმფლობელთა 55,7%. მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 5 ჰექტარზე მეტ ფართობს, შეადგენს 3%, მათი რაოდენობა თანდათანობით მცირდება. 1980 წლისათვის ქვეყანაში ითვლებოდა 11,8 მლნ. გლეხური მეურნეობა, რომელთაგან 11% საერთოდ არ ფლობდა მიწას. მცირემიწიანი გლეხების რაოდენობა (რომლებიც ფლობენ 0,8 ჰექტარამდე ფართობს) გაიზარდა 64%-მდე. მათ წილად მოდის დასამუშავებელი ფართობის მხოლოდ 23,7%, შედარებით მდიდარი გლეხების რაოდენობა (რომლებიც ფლობენ 5 ჰექტარამდე) შემცირდა 3%-ით. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დასამუშავებელი მიწის ფართობი მრავალნაკვეთადაა წარმოდგენილი. მეურნეობათა მხოლოდ 10%-ია ისეთი, რომლებიც შედგება ერთი მთლიანი ნაკვეთისაგან, მეურნეობათა 20% შედგება 2—3 ნაკვეთისაგან, ნახევარზე მეტი კი 6—7 ნაკვეთისაგან. მთლიანად ქვეყნის მიწის ფონდი წარმოდგენილია 75 მლნ. ნაკვეთად. ცხადია, ასეთი მდგომარეობა ართულებს მათ დამუშავებას. მაღალია იჯარის ანაზღაურების სიდიდე, როგორც წესი, მიწათმფლობელი იღებს მოწეული მოსავლის ნახევარს.

ბანგლადეშის მიწის ფონდის რეზერვები თითქმის ამოწურულია, დასამუშავებლად ვარგისი მიწები უკვე ათვისებულია. 70-იან წლებში სახნავის რაოდენობა 8,4 მლნ. ჰექტარი იყო, დღეისათვის ეს მაჩვენებელი 9,2 მლნ ჰექტარია. საერთო ნათესები (რამდენჯერმე მოსავლის მიღების თვალსაზრისით) 12—14 მლნ. ჰექტარს შეადგენს.

ქვეყანაში მოჰყავთ თითქმის ასი დასახელების სასოფლო-სამეურნეო კულტურა, მათ შორის წამყვანია მარცვლოვნები, პარკოსნები, ზეთოვანი და ბოჭკოვანი კულტურები, მოჰყავთ ჩაი, თამბაქო, ბოსტნეულის 25 სახეობა, ხილის 15 სახეობა და ა. შ. შემთხვევით არ არის ბანგლადეშის სახელმწიფო გერბზე ბრინჯისა და ჯუთის ღეროები. ეს ორი კულტურა ძირითადი საკვებისა და ტექნიკური პროდუქციის მომცემია.

ბრინჯს ნათესი ფართობის 4/5 უჭირავს და იძლევა მარცვლეულის 96%-ს, რაც ქმნის ქვეყნის ნაციონალური პროდუქტის 30%. მიუხედავად დიდი ხვედრითი წონისა, ეს დარგი მაინც ჩამორჩენილია მეურნეობათა მხოლოდ 20% იძლევა სასაქონლო პროდუქციას, და ნარჩენი ძლივს იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას. მარცვლეულის ქრონიკული დეფიციტი იფარება იმპორტით, რომელმაც 1985 წელს 10 მლნ ტონა შეადგინა. ქვეყანაში მოჰყავთ ბრინჯის სამჯერადი მოსავალი: ზამთრის ბრინჯი—ამონი, საშემოდგომო—აუსი და

ზაფხულის—ბორო. ქვეყნის ბუნებრივი პირობები ყველაზე ხელსაყრელია ბამთის ბრინჯის მოყვანისათვის, რომლის წილად მოდის საერთო მოსავლის 60%. ამისთვის გამოყენებული ფართობი ძირითადად იზრდება საძველდროინდელ ბრინჯის ნაოჯეს, რომელიც დაბალმოსავლიანია. ბრინჯი—ბორო მოჰყავთ მშრალ სეზონში, საარწყავ მიწებზე, მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. ბრინჯის საერთო მოსავალი 13—14 მლნ. ტონაა წელიწადში.

ბოლო პერიოდში თესავენ ხორბალს, რომლის ნათესი ფართობები იზრდება. საარწყავ მიწებზე მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია (28—30 ცენტნერი). სოფლის მოსახლეობა პურს ნაკლებად ხმარობს. ძირითადად ეს პროდუქტი განკუთვნილია ქალაქის მაცხოვრებლებისათვის.

სოფლის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია ლობიო და წიწიბურა, რომლებიც თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში მოჰყავთ. ბოლო ათი წელია ინტენსიურად დაიწყეს კარტოფილის მოყვანა, რომლის საერთო მოსავალმა ერთ მილიონ ტონას გადააჭარბა. ამ კულტურისათვის განკუთვნილი ფართობი 100 ათას ჰექტარს აღემატება. მოჰყავთ კარტოფილის რამდენიმე მოსავალი, ხშირ შემთხვევაში ეს კულტურა შეთანაწყობილია სხვა კულტურებთან.

კარგადაა წარმოდგენილი ნართის კულტურა (ჯუთი), რომელიც ჯერ კიდევ ინგლისელების ბატონობის დროს გაჰქონდათ საექსპორტოდ, ამ კულტურაზე მოდის ბანგლადეშის ექსპორტის 3/4, (იგი გადგილებულია იმ ნიადაგებზე, რომლებიც ხელსაყრელია ბრინჯისათვის, ამიტომ როდესაც მწვავდება ქვეყანაში სასურსათო პრობლემა, ამ კულტურის ნათესები მცირდება და იგი ადგილს უთმობს ბრინჯს).

ბანგლადეშში არის ხეხილის ბაღები, გავრცელებულია ტროპიკული სილი (ბანანი, ანანასი), ფორთოხლის პლანტაციები. ხილის წარმოებას არა აქვს საექსპორტო ხასიათი და ძირითადად შიდა ბაზარზე მოიხმარება. მეხილეობა წარმოდგენილია პატარა ნაკვეთების ან ცალკეული ხეების სახით. წარმოებული პროდუქციის რაოდენობა აღრიცხული არ არის.

განვითარებულია მებოსტნეობა-მებაღჩეობა, ამზადებენ აღმოსაელურ ხმელ სუნელს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა ქვეყანაში, მებაღჩეობა წარმოდგენილია გლეხურ მეურნეობებში, უმთავრესად, მრავალწლიანებთან შეთესვით.

სუსტადაა წარმოდგენილი მეცხოველეობა, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც დაბალპროდუქტიულია და ძირითადად გამოიყენება, როგორც ცოცხალი გამწევი ძალა. სპარბობს კამეჩი, რომლის რძესაც სოფლის მოსახლეობა ხმარობს, როგორც ძირითად საკვებს. ცხოველურ ცხიმს თითქმის არ ამზადებენ, იგი მცი-

რე რაოდენობით შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან. ყველა გლეხურ მეურნეობებში ჰყავთ ცხვარი და თხა, რომელიც ხორცის ძირითად პროდუქციას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მოსახლეობა მინიმალური რაოდენობით ხმარობს ხორცს, როგორც საკვებს, ძირითადად მცენარეული სახეობის პროდუქტებით იკვებებიან. გლეხურ მეურნეობებში ჰყავთ ფრინველი, ძირითადად იხვი და ბატი, ხმარობენ მათ კვერცხს, შედარებით იშვიათად—ხორცს.

სანაირო და შიდა წყლებში დიდი რაოდენობითაა თევზი, რომლის რეწვას ბოლო პერიოდში სამრეწველო ხასიათი მიეცა. თევზის პროდუქცია მოსახლეობის კვების ბალანსში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი.

ბანგლადეში საკუთარ ძოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე ვერ იკმაყოფილებს და იგი შემოაქვს საზღვარგარეთიდან, უმთავრესად, მარცვლეულის სახით. მიუხედავად ამისა, მოსახლეობის კვების პროდუქტებით მომარაგება მაინც ჭირს, ხშირია შიმშილობა, ეპიდემიებიც.

გადამამუშავებელი მრეწველობა კუსტარულ ხასიათს ატარებს, ეს დარგი წვრილი საწარმოების სახითაა წარმოდგენილი, სადაც პრიმიტიული ტექნოლოგიაა გაბატონებული. შედარებით უკეთაა განვითარებული საექსპორტო პროდუქციის დამუშავება, არსებობს თანამედროვე ტიპის ნართისა და მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე საწარმო. დაკას უნივერსიტეტში 1975 წელს გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, თუმცა, ჯერ კიდევ სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადებაში დიდ როლს თამაშობს ევროპისა და აზიის მაღალგანვითარებული ქვეყნები.

ნეპალი

ნეპალი ჰიმალაის მთებში „ჩაკარგული“ სახელმწიფოა, მისი ტერიტორია 140 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—14 მლნ. დედაქალაქია—კატმანდუ.

მიუხედავად იმისა, რომ ნეპალი ძნელად მისადგომი ქვეყანაა, ადამიანები აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში ხდებოდა მოსახლეობის მიგრაცია, როგორც სამხრეთ აზიის სუბკონტინენტიდან, ისე შუა აზიის რეგიონებიდან. V საუკუნეში ნეპალში უკვე შეიქმნა ადრეფეოდალური სახელმწიფო, რომელიც შემდგომში კიდევ უფრო გაძლიერდა. მდებარეობდა რა ინდოეთიდან ტიბეტისაკენ მიმავალ გზაზე, ქვეყანამ გააჩაღა ვაჭრობა, რითაც საკმაოდ განიმტკიცა ეკონომიკა. მომდევნო საუკუნეებში ნეპალი რამდენიმე სამთავროდ დაიშალა, რომელთა შორის განუწყვე-

ტელი ომები მიმდინარეობდა. 1769 წელს მოხდა სამთავროების გაერთიანება და ჩამოყალიბდა ნეპალის სახელმწიფო. მომდევნო პერიოდში ქვეყანა მოექცა ინგლისის გავლენის ქვეშ, თუმცა იგი არ ყოფილა მისი კოლონია. ეს მდგომარეობა გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. დღევანდელი ნეპალი კონსტიტუციურ-მონარქიული ქვეყანაა. მეფეს მინიჭებული აქვს დიდი უფლებები.

ნეპალი მსოფლიოს ყველაზე მაღალმთიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის 6/7 უკავია ჰიმალაის მთებსა და ქედებს. ჰიმალაის ქედის სამხრეთით მთის ძირში მდებარეობს 20—40 კმ. სიგანის დაბლობი, რომელიც ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ზონაა. ნეპალში მდებარეობს 8 უმაღლესი მწვერვალი (სულ მსოფლიოში 14-ია), რომელთა სიმაღლე 8 კმ-ს აღემატება. მათ შორისაა მსოფლიოს ყველაზე მაღალი მწვერვალი ჯომოლუნგმა (8848 მეტრი).

მიუხედავად იმისა, რომ ნეპალი ეკვადორის მერიდიანზე მდებარეობს, მის კლიმატს განაპირობებს ჰიმალაის მთების სიახლოე, აქ შეხვდებით როგორც ტროპიკულ მცენარეულ საფარს, კერძოდ, დიდი ხეპალის დაბლობში, ისე სხვა ზონისათვის დამახასიათებელ მცენარეულობას. მაგალითად, დიდი ნეპალის დაბლობად წოდებულ პროვინციებში ხარობს ბანანი, მანდარინი, რომელთა პლანტაციები მთის კალთებზე 1500 მეტრ სიმაღლემდეც კი არის წარმოდგენილი. ხეხდებით დაჭაობებულ ტყეებს, ალპურ საძოვრებს, მუდმივთოვლიან მწვერვალებს და ქედებს. ნეპალის დიდი ნაწილი მდებარეობს ტროპიკული მუსონური კლიმატის სარტყელში. რაიონებში, რომლებიც მდებარეობენ ზღვის დონიდან 100 მეტრზე დაბლა, ზაფხული ცხელია (+30°C-მდე), ზამთარი—თბილი (+20°C-მდე). ნალექი, მოდის ზაფხულობით, რომლის რაოდენობა მერყეობს 900-დან 1800 მმ-მდე. მაღალმთიან ზონაში (4000 მეტრი და მეტი) კლიმატი ძალზედ მკაცრია, იგი უახლოვდება არქტიკის კლიმატს, ამ ზონაში მოსახლეობა არ არის.

ქვეყნის კლიმატის მკვეთრი განსხვავება განაპირობებს მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას. ადრე თუ მთელი ნეპალი დაფარული იყო ტროპიკული ტყეებით, დროთა განმავლობაში ადამიანის ჩარევის შედეგად (ტყეების გაჩეხვის შემდეგ) ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გარკვეული ტიპი, რომელსაც მხოლოდ ამ ქვეყანაში ვხვდებით.

დღევანდელ ნეპალში ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის მოსახლეობა. ვარაუდობენ, რომ მათი ნახევარი ტიბეტური, ნაწილი კი ინდური წარმოშობისაა. მოსახლეობის სიმჭიდროვე არათანაბარია, კადმანდუს დაბლობში სიმჭიდროვე 1000 კაცია, მაღალმთიან ზონაში კი 16 კაცი, მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა—100 კაცი. ქალა-

ქად ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 4%. ბევრი ნეპალელი მიდის საუკეთოდ მეზობელ ინდოეთში. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 4,5 მილიონია, ოთხლია ეკონომიკური ნაწილი ცხოვრობს და მუშაობს სოფლად (01%), მოსახლეობის 16% მოჯამაგირეა.

ნეპალი აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის 94% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ოთხელიც იძლევა ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 50%. ეკონომიკაში სუფრობს სასენერადფეოდალურ ურთიერთობებზე დამყარებული წარმოება. მოსახლეობის ნახევრის ცხოვრების დონე აუცილებელ მინიმუმზე დაბალია.

დამუშავებული მიწების 70% ბოლო პერიოდამდე ეკუთვნოდა მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც მიწას იჯარით აძლევდნენ მცირემიწიან ან უმიწაწყლო გლეხებს. იჯარის პირობები კაბალური იყო, ნეძამული ღალის სახით იღებდა მოწეული მოსავლის 80%-მდე. 60-იან წლებში ქვეყანაში გატარდა მიწის რეფორმა, რომლის მიზანი იყო მოიჯარე გლეხების უფლებების გაფართოება იმ მიწაზე, რომელსაც იგი ამუშავებდა. დაადგინეს მიწის რენტის მაქსიმალური ზღვარი, რომელიც მიღებული მოსავლის 50%-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. დაადგინეს აგრეთვე მიწის მფლობელობის მაქსიმალური ზღვარიც, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში განსხვავებულია. ჩამოჭრილი მიწები გამოისყიდა სახელმწიფომ და კრედიტით გადასცა გლეხებს, ამან სტიმული მისცა ფერმერული ტიპის მეურნეობებისა და კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. მიწის რეფორმას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მსხვილმა მიწათმფლობელებმა, სწორედ ამიტომ იყო, რომ სახელმწიფომ განსაზღვრული 90 ათასი ჰექტარის ნაცვლად, ჩამონაჭრების სახით მიიღო 35 ათასი ჰექტარი, რომელიც გადაუნაწილეს 15 ათას გლეხურ ოჯახს, ანუ მსურველთა მხოლოდ 8%.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოსაყენებელია დაახლოებით 4,7 მლნ. ჰექტარი მიწის ფართობი, რომელთაგან დღეისათვის მუშავდება 2 მლნ. ჰექტარი. ნათესის 70% მოდის კატმანდუს დაბლობზე, 27%—საშუალომთიან ზონაზე და 3%—მაღალმთიანზე. მაღალნაყოფიერი მიწები უმთავრესად ძლინარეთა ხეობებშია, მაგრამ მათი რაოდენობა არ არის დიდი. იმისათვის, რომ გაზარდოს სახნავის ფართობი, ნეპალელი გლეხი საუკუნეების განმავლობაში პრიმიტიული იარაღების საშუალებით აკეთებდა ტერასებს მთის კალთებზე, რომლის დაქანებაც ზოგჯერ 40°-მდეა, ტერასებზე მიწა ამოჰქონდათ მდინარეთა ხეობებიდან. დღეს ასეთი ტერასები მრავლადაა ქვეყანაში, მათზე თესავენ ძირითადად ბრინჯს და სხვა ერთწლიან კულტურებს.

ნეპალის სოფლის მეურნეობაში ძირითადია მემცენარეობა; ხოლო მეცხოველეობაში მთავარი კულტურაა ბრინჯი, ოთელზეც მოდის ნათესი ფართობის 60% (1,3 ძლ. ჰექტარი). ბრინჯი მოჰყავთ თითქმის ყველგან, სადაც კი არსებობს მოწათოქმედება. ბრინჯის გავრცელების ზედა ვერტიკალური ზღვარი 2000 მეტრამდე ვრცელდება, ამგვარად ამ კულტურის 40% ითესება კატმანდუს ხეობაში, მასზე მოდის ნახევარი 60%, როძელიც იღებენ საერთო მოსავლის 84%. ყოველწლიურად ქვეყანაში მოჰყავთ 2,5—2,8 მილიონი ტონა ბრინჯი, მას თესავენ დიდი წვიმების დროს (ივნის-ივლისში), ხოლო მოსავალს იღებენ ოქტომბერში და ნოემბერში. ამ პროვინციებისათვის ბრინჯი ნაოოადგენს ძონოკულტურას, ტერასებზე მოყვანილი ბრინჯის მოსავლიანობა დაბალია, ამიტომ ამ რაიონებში მისი დეფიციტი 200—250 ათას ტონას აღწევს. ბრინჯის ნათესების 80% ხელოვნურად ირწყვება.

მარცვლეულიდან მეორე ადგილზე დგას სიმინდი, რომელიც ბრინჯის მსგავსად ძირითადი სასურსათო კულტურაა ამ ქვეყანაში. იგი მოჰყავთ 2600 მეტრის სიმაღლემდე. სიმინდს თესავენ გაზაფხულზე, ხოლო მოსავალს იღებენ ზაფხულის ბოლოს. სიმინდის ნათესები არ ირწყვება, საერთო მოსავალი 0,7 მლნ. ტონამდეა.

მესამე კულტურაა ხორბალი, რომელიც ქვეყნის სამხრეთ პროვინციებშია წარმოდგენილი, მას თესავენ ოქტომბერ-ნოემბერში, ხოლო მოსავალს იღებენ ზაფხულში. ხორბლის გავრცელების ვერტიკალური ზღვარი ვრცელდება 2500 მეტრამდე, თესავენ აგრეთვე ჭვავს, რომელიც 3700 მეტრის სიმაღლეზე მოჰყავთ. ხორბლისა და ჭვავის საერთო მოსავალი არ არის დიდი (200—220 ათასი ტონა). შედარებით ზედა ზონაში მოჰყავთ კარტოფილი (3500—4000 მეტრამდე), არც მისი მოსავალია დიდი. მარცვლეულის საერთო წარმოება 3—3,2 მლნ. ტონაა, რაც ქვეყნის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ბრინჯის გარკვეული რაოდენობა (ერთ მილიონ ტონამდე) გააქვთ ინდოეთში.

საექსპორტო კულტურაა ჯუთი, რომელიც მოჰყავთ ქვეყნის აღმოსავლეთით. ჯუთს თესავენ გაზაფხულზე, ხოლო იღებენ შემოდგომით, მუსონური წვიმების დამთავრების შემდეგ. წლიური წარმოება 60—65 ათასი ტონაა, რომელიც მთლიანად გააქვთ საექსპორტოდ. მნიშვნელობით მეორე ტექნიკური კულტურაა შაქრის ლერწამი, რომელიც ადგილობრივი მოხმარებისაა. შაქარს აწარმოებენ პრიმიტიული წესით, ამიტომ მისი ხარისხი დაბალია. ბოლო დროს გავრცელდა ბამბის კულტურაც, რომელიც ჯუთის მსგავსად საექსპორტოა, მოჰყავთ ჩაი და სამკურნალო მცენარეები, რომელსაც მთის კალთებზე ამრავლებენ

დაბლობ ზონაში განვითარებულია მეხილეობა, ნეპალში მოჰყავთ როგორც ტროპიკული ხილი (ბანანი, მანდარინი, ლიმონი), ისე კონტინენტურიც. კარგადაა წარმოდგენილი ვაშლის, მსხლის, ატმის, ქლიავის კულტურები. მეხილეობის ნაწილი გადამუშავებული სახით (ძირითადად წვეხები) გადის ექსპორტზე. თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში მისდევენ მებოსტნეობასა და მებაღჩეობას. ამ კულტურებს აღგილობრივი მნიშვნელობა აქვთ.

კატმანდუს დაბლობში იღებენ სამჯერად მოსავალს, კარგად აქვთ ათვისებული კულტურათა მორიგეობა. სოფლის მეურნეობის ტექნიკური წეიარაღება დაბალია, მექანიკური საშუალებები თითქმის არ არის, ძირითადია ცოცხალი გამწევი ძალა, ხელით შრომის ხვედრითი წილი 80%-მდეა, რაც ერთ-ერთი მაღალია რეგიონში. მხოლოდ ბოლო პერიოდში გამოჩნდა ტრაქტორები და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზედ უმნიშვნელოა.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგია, რომელსაც ძირითადად მისდევენ მაღალმთიან ზონაში, ქვეყნის ჩრდილოეთით. თუმცა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი დაბლობ ზონაშიც ჰყავთ, როგორც ცოცხალი გამწევი ძალა. მთიან ზონაში ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის მსხვილფეხა საქონელი, რომელიც გამოირჩევა მცირე სიდიდით და დაბალი პროდუქტიულობით, მათი სულადობა საკმაოდ დიდია. მრავალრიცხოვანია წვრილფეხა რქოსანი პირუტყვიც— ცხვრისა და თხის სახით. ნეპალელების კვების რაციონში ხორცი მცირე ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი, უმთავრესად იყენებენ ცხვრისა და თხის ხორცს, ამზადებენ აგრეთვე ცხვრის ყველს. პირუტყვი ძოვებაზეა, ზაფხულობით იყენებენ მთის საძოვრებს, ხოლო ზამთრობით ჩამოჰყავთ ბარად. ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 9 მილიონამდეა, ხოლო ცხვრისა და თხის—4,5 და 5 მილიონი.

ნეპალელებს პირუტყვის ტყავი დიდი რაოდენობით გააქვთ საექსპორტოდ. მაღალი ხარისხისაა აქაური საკარაკულე ტყავი. მატყლი ძირითადად ხმარდება ადგილობრივ წარმოებას. მისგან ამზადებენ ქსოვილებს, რომელიც შიდა ბაზრისათვის არის გათვალისწინებული.

ქვეყანაში ჰყავთ ფრინველიც, რომელიც გლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი. მეფრინველეობას არა აქვს სამრეწველო ხასიათი, ვარაუდობენ, რომ მის განვითარებას გარკვეული პერსპექტივები აქვს.

სუსტადაა განვითარებული გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა. ამ დარგს უმთავრესად კუსტარული ხასიათი აქვს, ამ ათიოდე წლის წინათ კატმანდუში ააშენეს თანამედროვე ტიპის ხორცის გადამამუშავებელი კომბინატი. ვარაუდობენ, რომ ნეპალს შეუძლია აწარმოოს მეცხოველეობის საექსპორტო პროდუქციაც.

ნეპალის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია კარჩა-კეტილობა, ვინაიდან არ არის განვითარებული სატრანსპორტო კომუნიკაციები, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადანაწილება ქვეყნის სხვადასხვა პროვინციებში გართულებულია, რაც აიძულებს ნეპალელებს ადგილობრივ აწარმოონ ცხოვრებისათვის აუცილებელი პროდუქტები.

სასოფლო-სამეურნეო განათლება ჩანასახის პროცესშია, კატმანდუს უნივერსიტეტში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი. კადრებს ჯერ კიდევ საზღვარგარეთის უმაღლეს სკოლებში ამზადებენ.

შრი-ლანკა

შრი-ლანკა დემოკრატიული სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში ამავე სახელწოდების კუნძულზე. მისი ტერიტორია 66 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—18 მილიონი, დედაქალაქი—კოლომბო.

შრი-ლანკას კუნძულზე ადამიანები უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა, ჩვ. წელთ. აღრიცხვამდე 1000 წლით ადრე აქ უკვე არსებობდა მიწათმფლობელური სახელმწიფო. ზღვაოსნობის განვითარებამ გამოკვეთა ქვეყნის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებაში. ქვეყანა მრავალჯერ ყოფილა საომარი მოქმედების ასპარეზი. პირველად ევროპელები აქ 1517 წელს გამოჩნდნენ, როდესაც პორტუგალიელებმა დაიპყრეს ქალაქი კოლომბო, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კუნძულზე, ჰოლანდიელები მოვიდნენ, რომელთა ბატონობა გაგრძელდა 1796 წლამდე—ინგლისელების მოსვლამდე, რომლებმაც 1815 წელს მთლიანად დაიმორჩილეს ქვეყანა და გადააქციეს იგი ბრიტანეთის სახელმწიფოს კოლონიად. ინგლისელების ბატონობამ გასტანა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, 1948 წელს ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ქვეყნის ბუნება მრავალფეროვანი და მდიდარია, ფერთა სიუხვე, ყვითელქვიშიანი სანაპიროები, ლურჯი ცა და მთები შრი-ლანკას მსოფლიოს ულამაზესი ქვეყნების რიგში აყენებს. კუნძულის უდიდესი ნაწილი დაბლობია, მხოლოდ სამხრეთით მდებარეობს მთიანი მასივი, რომლის სიმაღლე 2500 მეტრამდეა. მთებში გაყვანილია გზები, ფერდობები დატერასებულია.

შრი-ლანკა მდებარეობს ეკვადორის უშუალო სიახლოეს, ტერიტორიის 2/3 სუბეკვატორულ სარტყელშია. ქვეყანაში მუდმივი ზაფხულია, დაბლობში საშუალო წლიური ტემპერატურა 27°C-ია, ხოლო ზოგიერთ რაიონებში 15°C-მდე ეცემა. ნალექების რაოდენობა დიდია. ტერიტორიის 1/3-ზე ეს მაჩვენებელი 2500—5000 მმ-ია, დანარჩენზე

კი—1300—2000 მმ. მდინარეთა ქსელი საკმაოდ ხშირია, მდინარეები ორკლე, ზაგრამ წყალუხვია და წვიმების დროს ხშირად იყვეტეს წყალდიდობებს. მდინარეის წყალს უთავოდ ირსაოწყავად იყენებენ.

ნოვალფეოვანია მისი სიადაგოსოიანი და ფცეთაოეული საფარი. სუბტროპიკულ-ოუები სიადაგები, ტეხიან ოაიონებები კი—სიწითალ-ყავისფერი. ბრი-ლანკის სიადაგები არ არია მდიდარი ჰუმუსით, უფრო ალეტად ევიანია, ამგრამ ბიხეოალური სასუქების გამოყენებით კარგ მოსავალს იძლევიან.

ბრი-ლანკის ტეიიტორიის 70% უჭირავს ბუჩქნარებსა და ტყეებს, ტერიტორიის 1/4 დამუშავებულია. ტეხიან ოაიონებში გვხვდება ანალოგიური ტროპიკული ტყეები, სადაც იზრდება ბაღალი ხეები (50—80 ძ), ევრია ძვირფასი ჯიში, რომელსაც საძრეწველო მნიშვნელობა აქვს, გვხვდება ისეთი ხე-მცენარეები, რომელიც ძსოფლიოს სხვა რეგიონებში არ არის გავრცელებული (წვიმის ხე და სხვა).

ბრი-ლანკის მოსახლეობა ეთნიკურად მრავალფეროვანია, რაც იწვევს ეთნოკოსფლიქტებს, მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად, თუმცა ურბანიზაციის ტემპები ბოლო 20 წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალია.

ბრი-ლანკა აგრარული ქვეყანაა, აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი დაკავებულია სოფლის მეურნეობაში, თევზჭერასა და ტყის რეწვაში. ყოველი 10 კაციდან 8 მუშაობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანაზე, გადამუშავებასა და რეალიზაციაზე. სოფლის მეურნეობაში იქმნება ერთობლივი ნაციონალური პროდუქციის 1/3, ხოლო მრეწველობაში—1/5.

სოფლის მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა, რომელიც უმთავრესად პლანტატორული მეურნეობით არის წარმოდგენილი, ბრი-ლანკაში დომინანტობს სამი ძირითადი კულტურა: ჩაი, კაუჩუკის ხე და ქოქოსის პალმა. ამ კულტურებს უკავია ერთ მილიონზე მეტი ჰექტარი ფართობი. ქვეყანაში მოჰყავთ 240 ათას ტონამდე ჩაი. მისი ხარისხი საკმაოდ მაღალია და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს საერთაშორისო ბაზარზე. მსოფლიო ჩაის ექსპორტის 1/3 მოდის ბრი-ლანკაზე. 1985 წელს მსოფლიო ბაზარზე გატანილი იქნა 220 ათასი ტონა ჩაის პროდუქცია. ბრი-ლანკის ძირითადი სავაჭრო პარტნიორია ინგლისი, რომელიც იძენს ჩაის საექსპორტო პროდუქციის 90%. ჩაის პროდუქციის ექსპორტით ქვეყანა მეორე ადგილზეა მსოფლიოში, ინდოეთის შემდეგ.

ჩაის კულტურა წარმოდგენილია როგორც პატარ-პატარა, ისე დიდი პლანტაციების სახით. არსებობს მსხვილი ჩაის მეურნეობები, თავისი გადამამუშავებელი საწარმოებით, აგრეთვე მეჩაიეობის აგრო-

სამრეწველო კომპლექსებიც, რომლებიც ეწევიან როგორც ნედლეულის წარმოებას (ბუნებრივ ჩაი), ისე მის პირველად გადამუშავებასა და დაფასოებას. საექსპორტო ჩაის უდიდესი ნაწილის დაფასოება წარმოებს იმპორტიორ ქვეყნებშიც (მაგალითად, ინგლისში).

ჩაის კულტურის გავრცელების არეალია 600—1800 მეტრი ზღვის დონიდან. იგი შრომატევადი კულტურაა, ყველა სახის აგროტექნიკური სამუშაოები სრულდება ხელით. განსაკუთრებით შრომატევადია ფოთლის კრეფა. ვეგეტაცია გრძელდება მთელი წლის განმავლობაში. პლანტაციების მოსავლიანობა 5—6 ტონას არ აღემატება ჰა-ზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხიანი ჩაის ფოთლის მოკრეფას. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მიღებული ფოთლის რაც შეიძლება სწრაფ გადამუშავებას, ამ მიზნით ჩაის გავრცელების რაიონებში ბევრია პირველადი გადამუშავების ჩაის მიკროფაბრიკები. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების 2/3 მოდის ჩაის პროდუქციაზე. 1985 წელს ჩაის პროდუქციის რეალიზაციით ქვეყანაში ერთ მილიარდ დოლარზე მეტი იქნა შემოტანილი.

შრი-ლანკა ნატურალური კაუჩუკის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია მსოფლიოში. ამ პროდუქციას იძლევა ჰევეას ხე-მცენარე, რომლის პლანტაციებიც წარმოდგენილია ქვეყნის სამხრეთით, მისი გავრცელების ვერტიკალური ზღვარი ვრცელდება 800 მეტრამდე. ნატურალური კაუჩუკის რაოდენობა (გადამუშავებული სახით) დაახლოებით 150 ათასი ტონაა. აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე მსოფლიოში ნატურალურ კაუჩუკზე დიდი მოთხოვნილებაა. შრი-ლანკას ძირითადი სავაჭრო პარტნიორია იაპონია. კაუჩუკისაგან მიღებული შემოსავალი 0,5—0,6 მილიარდ დოლარს აღწევს.

საექსპორტო კულტურა არის აგრეთვე ქოქოსის პალმაც, რომლის პლანტაციები წარმოდგენილია თითქმის მთელ ქვეყანაში. ქოქოსის პალმისაგან იღებენ მრავალი სახის პროდუქციას. ძირითადია კაკალი, რომლისგანაც ამზადებენ ზეთს, გლიცერინს, საპონს და სხვა სახის პროდუქტებს. ნარჩენებს იყენებენ პირუტყვის საკვებად. ფოთლებისაგან ამზადებენ ალკოჰოლურ სასმელებს, კანისაგან—თოკებს, ხოლო მცენარის გულისაგან—ბოთლების საცობს. შრი-ლანკას ქოქოსის კაკლის წარმოებაში პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში წარმოებული პროდუქციის 3/4 მიდის საექსპორტოდ, როგორც ევროპის ქვეყნებში, ისე იაპონიაში.

ქვეყნის მთლიანი ექსპორტის ღირებულების 9/10 მოდის ჩაიზე, კაუჩუკზე და ქოქოსის პალმაზე. სოფლის მეურნეობის საექსპორტო მიმართულებამ მნიშვნელოვნად ჩამოარჩინა ქვეყანა სასურსათო პრო-

დუქციის წარმოებაში, რომლის დეფიციტი ამ ბოლო დროს მწვავედ იგრძნობოდა.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ ქვეყნის წინაშე დადგა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის საკითხი. მსხვილ მეურნეობებში დაიწყეს აგროტექნიკური მოდერნიზაცია, შეიცვალა დარგობრივი სტრუქტურები, გაიზარდა პლანტაციების პროდუქტიულობაც.

ქვეყანაში დაახლოებით 400 მსხვილი ჩაის, კაუჩუკისა და ქოქოსის პალმის პლანტაციაა, რომელთა საერთო ფართობი 165 ათასი ჰექტარია. პლანტაციების უდიდესი ნაწილი სახელმწიფოს ხელშია, თუმცა ჩაის პლანტაციები წვრილგლეხურ მეურნეობებსაც აქვთ.

შრი-ლანკის მთავარი სასურსათო პროდუქტია ბრინჯი, რომლის საერთო ფართობი 850 ათასი ჰექტარია. ქვეყანაში მოჰყავთ ბრინჯის 100 სახეობა, თვითეულ მათგანს ჭირდება განსხვავებული ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები. იღებენ ბრინჯის ორ მოსავალს. ეს კულტურა ყველგანაა გავრცელებული (განსაკუთრებით მაღალი მოსავალია მდინარისპირა ჭალებსა და სანაპირო ზოლში). ბრინჯის საშუალო წლიური წარმოება 1,8—2,0 მილიონი ტონაა. მოსახლეობისათვის ივი მთავარი სასურსათო პროდუქტია.

მარცვლეულიდან ბრინჯის გარდა მოჰყავთ: ფეტვი, სიმინდი და მცირე რაოდენობით ხორბალი. ეს კულტურები ადგილობრივი მოხმარებისაა და მათ სასაქონლო მნიშვნელობა არა აქვთ. მაგალითად, სიმინდი გავრცელებულია ქვეყნის ჩრდილოეთით, სადაც ცხოვრობენ ტამელები. იგი მათი კვების ძირითადი პროდუქტია. დასახელებული კულტურების საშუალო წლიური წარმოება 0,5 მლნ. ტონას არ აღემატება (მოჰყავთ აგრეთვე ლობიო, სოია და სხვ. ქვეყნის სამხრეთით მთიან ზონაში აქვთ კარტოფილის ნათესებიც).

ტექნიკური კულტურებიდან ქვეყნის დასავლეთ რაიონებში გავრცელებულია ბამბა. მისი წარმოება ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ივივე ითქმის შაქრის ლერწამზეც, რომელიც სამხრეთ რაიონებშია წარმოდგენილი. მოჰყავთ თამბაქოც. ნედლეულს მთლიანად ადგილზე ამუშავებენ სიგარეტების სახით. მზა პროდუქციის ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ.

კარგადაა წარმოდგენილი ტროპიკული მეხილეობა. აქვთ ბანანის, ანანასის პლანტაციები, რომელთა პროდუქციაც ნატურალური სახით ვააქვთ იაპონიაში. გარდა ამისა, წარმოდგენილია სხვა ტროპიკული ხილიც. კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა. ქვეყნის მოსახლეობა დიდი რაოდენობით ხმარობს ბოსტნეულს. დიდი ქალაქების ირ-

გვლივ მებოსტნეობას სამრეწველო ხასიათი აქვს, ხოლო სოფლად მას ადგილობრივი მოხმარებისათვის მისდევენ.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და შემოაქვს იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ბრინჯი და მარცვლეული. ამის მიზეზია ის, რომ ქვეყნის ტერიტორია ჯერ კიდევ არ არის ათვისებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. დამუშავებაშია 2,3 მლნ. ჰექტარი მიწის ფართობი, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,15 ჰექტარია. არ მუშავდება 700 ათასი ჰექტარი ფართობი, რომელიც ვარგისია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. დამუშავებული მიწების 4/5 მდებარეობს კუნძულის სამხრეთ-დასავლეთით, ტენიან ზონაში, სადაც უმთავრესად წარმოდგენილია საექსპორტო კულტურები. ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს ქვეყნის ცენტრალური ნაწილის ე. წ. „მშრალი ზონის" ათვისება, ამ მიზნით გაჰყავთ სარწყავი სისტემები.

სასურსათო ბალანსში საკმაო ხვედრითი წილი უჭირავს თევზის პროდუქციას, რომლითაც მდიდარია სანაპირო წყლები. თევზჭერას აქვს როგორც სამრეწველო, ისე ინდივიდუალური ხასიათი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თევზის რეწვა 6-ჯერ გაიზარდა, აშენდა სამაცივრო მეურნეობები.

სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა. სამხრეთის მთიან ზონაში ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძირითადად, კამეჩი), რომელსაც იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. საკვებად ნაკლებად იყენებენ ხორცს და რძის ნაწარმს, ამ პროდუქციას ხმარობს ძირითადად ქალაქის მოსახლეობა. ჰყავთ თხა და ცხვარიც, ყველა ბლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი მეფრინველეობა, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა წარმოდგენილია საექსპორტო პროდუქციით (ჩაი, კაუჩუკი), მათი ტექნიკური აღჭურვილობაც თანამედროვეა. რაც შეეხება სხვა დარგებს, მათ უმთავრესად კუსტარული ხასიათი აქვთ და წარმოდგენილია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონებში.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ქვეყანას კვების პროდუქტები შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან. კერძოდ, ბრინჯი, ხორბალი, ფქვილი, შაქარი, ხორცის, რძის, თევზის პროდუქტები. იმპორტ-ექსპორტის მიხედვით ქვეყანას უფრო მეტი ღირებულების პროდუქცია გააქვს, ვიდრე შემოაქვს. რაც იმაზე მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას გარკვეული პერსპექტივები გააჩნია.

სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადებას ემსახურება რამდენიმე კოლეჯი, თუმცა ბევრი ახალგაზრდა სწავლობს სხვა ქვეყნებშიც. არსებობს ჩაისა და კაუჩუკის კვლევის საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრები.

ბუტანი, მალდივიის რესპუბლიკა

ბუტანის სამეფო აღმოსავლეთ ჰიმალაის სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს. მისი ტერიტორია 47 ათას კვ. კმ-ია, მოსახლეობა—1,3 მლნ. დედაქალაქი—ტხიმპხუ. ბუტანი ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა მსოფლიოში. მხოლოდ 60-იანი წლებიდან გამოჩნდა აქ თანამედროვე ტრანსპორტი, გაიხსნა სკოლები, გამოიცა გაზეთები.

ბუტანი ევროპისათვის ცნობილი გახდა XVI საუკუნეში. XX საუკუნის დასაწყისში ბუტანი ინგლისის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, დღეს ქვეყანა ინდოეთის მფარველობის ქვეშაა.

ბუტანი მაღალმთიანი ქვეყანაა. იგი ჰიმალაის მთის მასივის შემადგენელი ნაწილია. აქ მდებარეობს ორი შვიდიათასმეტრიანი მწვერვალი. ქვეყნის კლიმატი რბილია, ზომიერიდან—სუბტროპიკულამდე. აქამდე ვერ აღწევს ცივი ქარები, ნალექების რაოდენობა 1000—1500 მმ-ია, ქვეყნის ცენტრალური ნაწილი უჭირავს ტყეებს, სამხრეთი ცხელი და ტენიანია, ნალექების რაოდენობა აქ უფრო მაღალია, ზოგიერთ რაიონში—5000 მმ აღწევს.

საინტერესოა მცენარეული საფარი. შეხვდებით პალმას, ბანანს, გიგანტურ ბამბუკებს ჯადვარისებრნს ბუნებას აქ ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს პირვანდელი სახე და სილამაზე.

ბუტანის მოსახლეობის 2/3 მონღოლოიდური წარმოშობისაა, შეხვდებით ინდოელებს, ნეპალელებს, მოსახლეობის 9/10 ცხოვრობს სოფლად და მისდევენ ნატურალურ მეურნეობას.

ბუტანი აგრარული ქვეყანაა. ცენტრალური და ქვეყნის სამხრეთი დათმობილი აქვს კულტურულ მიწათმოქმედებას, ჩრდილოეთის მთიან მხარეში განვითარებულია მეცხოველეობა. დასამუშავებლად ვარგისი მიწების რაოდენობა მცირეა (უმეტესად ჯუნგლებისაგან განთავისუფლებული მიწები, რომელსაც თაობიდან თაობამდე ითვისებდა ადამიანი). მიწათმოქმედების ვერტიკალური ზღვარი 4000 მეტრამდე ვრცელდება. ტემპერატურული რეჟიმი იძლევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების საშუალებას მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ამ მდგომარეობას ნაკლებად იყენებენ, ვინაიდან არ ყოფნით წყალი, რომელიც ტერასებზე მიაქვთ პრიმიტიული წესით, ეს კი საკმარისი არაა მორწყვისათვის.

ბუტანის მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი, რომელიც მოჰყავთ ხღვის დონიდან 2400 მეტრამდე სიმაღლეზე, მისი მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია—20—30 ცენტნერი. მოსავლის ნაწილი (100 ათას ტონაზე მეტი) გააქვთ ინდოეთში. მოჰყავთ აგრეთვე ხორბალი (2700 მეტრის სიმაღლემდე), წიწიბურა, ქერი, სიმინდი, რომელთა გავრცელების არეალი 4200—4500 მეტრამდეა. მათი საერთო წარმოება 100 ათას ტონას უდრის.

ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში მოჰყავთ ბოსტნეულ-ბაღჩეული და სუბტროპიკული ხილი—მანდარინი, მანგო, ბანანი, ფორთოხალი, ლიმონი, აგრეთვე ვაშლი, მსხალი, ატამი, მათი ნაწილი მოიხმარება ქვეყნის შიგნით, ხოლო ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ, ნატურალური სახით. ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია ინდოეთი და ჩინეთი.

განვითარებულია მეცხოველობაც. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ლამა, თხა, ცხვარი, აგრეთვე ცხენიც, რომელიც დღესაც მიმოსვლის ერთ-ერთი საშუალებაა. აქაური პირუტყვი წარმოადგენს ადგილობრივი ჯიშის ძროხისა და გარეული ბუღა მწარმოებლის ნაჯვარს. იგი შედარებით მაღალპროდუქტიულია (2800—3000 ლიტრი).

ბუტანში სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია როგორც მსხვილი მემამულური მეურნეობების, ისე წვრილგლეხური მეურნეობების სახით. ყველაზე დიდი მემამულე მეფეა, რომლის საკუთრებაშია ქვეყნის სახნავი ფართობის 1/3. გლეხების ნაწილი მიწას იჯარით იღებს,

ბუტანის სოფლის მეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას, ხოლო ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, გააქვთ საზღვარგარეთ. მეცხოველეობის პროდუქცია ძირითადად შიდა ბაზარზე მოიხმარება. საექსპორტოდ კი უმთავრესად გააქვთ ტყავი და ბეწვი.

მრეწველობა სუსტადაა წარმოდგენილი და მას პრიმიტიული ხასიათი აქვს.

მალდივიის რესპუბლიკა

მალდივიის რესპუბლიკა მდებარეობს კუნძულ შრი-ლანკიდან სამხრეთ-დასავლეთით 700 კმ-ზე, ქვეყანა განლაგებულია მალდივიის კუნძულების არქიპელაგზე, რომელშიც შედის დაახლოებით ორიათასამდე პატარა კუნძული (დასახლებულია მხოლოდ 200-მდე). ქვეყნის ტერიტორია 300 კვ. კმ-ია, მოსახლეობა—150 ათასი, დედაქალაქია—მალე.

კუნძულებზე მოსახლეობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდა, ისინი უმთავრესად შრი-ლანკიდან იყვნენ გადმოსულები. 1558 წელს კუნძულების ნაწილი პორტუგალიამ დაიპყრო, 1887 წელს კი

ინგლისელებმა. 1965 წელს მალდივიელებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ქვეყნის კლიმატი ძირითადად ეკვატორულია, ხოლო ჩრდილოეთი ნაწილია სუბეკვატორულ სარტყელში. მთელი წლის განმავლობაში ცხელა, ტემპერატურა მერყეობს 24—32° ფარგლებში. ნალექების რაოდენობა 2000 მმ-ია, მიუხედავად ამისა მტკნარი წყლის დეფიციტი მწვავედ იგრძნობა. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ქოქოსის პალმებითა და ბანანებით.

მოსახლეობა ძირითადად სამხრეთ აზიის ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნება. ძირითადად მისდევენ მეთევზეობას და სოფლის მეურნეობას, ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის ნსოლოდ 20%. ცხოვრებისა და განათლების დონე დაბალია, მოუგვარებელია სოციალური საკითხებიც.

ბვეყნის ეკონომიკა ეყრდნობა მეთევზეობას. წლიური რეწვა დაახლოებით 30 ათასი ტონაა, რომლის 2/3 გააქვთ საექსპორტოდ შრილანკაში. მეთევზეობას შემოაქვს ვალუტის 95%.

სოფლის მეურნეობა სუსტადაა განვითარებული. მოჰყავთ მცირე რაოდენობის სორგო, ქოქოსის კაკალი (რომლის საერთო მოსავალი 10 მილიონი ცალია წელიწადში), ბანანი, პურის ხე. ქოქოსი გააქვთ საექსპორტოდ.

სოფლის მეურნეობას ნატურალური ხასიათი აქვს. მსხვილი მეურნეობები არ არის, მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, რომელიც გლეხებს გადაცემული აქვთ მუდმივ, უვადო სარგებლობაში. ძირითადად ხელით შრომაა გავრცელებული, ტექნიკურ საშუალებებს იშვიათად იყენებენ.

VIII თ ა ვ ი

აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია

(მონღოლეთი, ჩინეთი, კორეა, კორეის სდრ, იაპონია და სხვ.)

აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია მსოფლიოს უდიდესი გეოგრაფიული რეგიონია, რომლის ტერიტორია 12 მლნ. კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—1,25 მილიარდი კაცი, ანუ ნსოფლიოს მოსახლეობის 1/4. რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს მონღოლეთის, ჩინეთის, კორეის ჩინეთთან მიმდებარე ტერიტორიები (ჰონკონგი, მაკაო), იაპონია.

რეგიონის ბუნების მრავალფეროვნებას განაპირობებს ტერიტორიის აღდიდე. იგი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულია 6 ათას კმ-ზე, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 4 ათას კმ-ზე. ბუნებრივი პირობები კოსტრასტულია. რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს მსოფლიოს უდიდესი მთიანი მასივი—ჰიმალაი, თავისი უმაღლესი მწვერვალებით, ამავე რეგიონშია უდიდესი დაბლობები ერთგვაროვანი აეროვანებით, ვხვდებით უდაბნოებსა და ტროპიკულ ტყეებს, დიდი მდინარეებს და მშრალ ტბებს. აღმოსავლეთ ნაწილში, როდესაც წყნარ ოკეანეს ესაზღვრება, იძლავრობს მშრალი, კონტინენტური კლიმატი, დიდია მუსონების გავლენა. ზაფხულის მუსონებს მოაყენებს ნალექი, რომელთა რაოდენობა 1000—2000 მმ-მდეა, აღმოსავლეთ პროვინციებში ნალექების რაოდენობა მცირდება 300—400 მმ-მდე. რეგიონის კუნძულოვანი ტერიტორიები უფრო ტენიანია. მაგალითად, იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოზე ნალექების რაოდენობა 3000 მმ. აღწევს.

ნალექებზეა დამოკიდებული რეგიონის მდინარეთა ქსელის სიხშირე და წყალუხვობაც. აღმოსავლეთ პროვინციებში და კუნძულებზე მდინარეთა ქსელი შედარებით ხშირი და წყალუხვია, ვიდრე რეგიონის დასავლეთით, სადაც მდინარეთა ქსელი მეჩხერია, ხოლო უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოებში იგი საერთოდ არაა. მდინარეთა წყალუხვობა დამოკიდებულია ნალექების რაოდენობაზე. უდიდესი მდინარეებიც კი, რომლებიც იწყებიან ჰიმალაის მთის ყინულოვან მასივებში, თავიანთი წყლის დებეტით ძირითადად დამოკიდებულია ნალექების რაოდენობაზე.

თავისებური კლიმატური პირობებით ხასიათდება რეგიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი (ტიბეტი, მონღოლეთი), სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა უარყოფითია (0° ქვევით), ნალექები თითქმის არ არის, ზამთარი უთოვლოა, იცის დიდი ყინვები, ზაფხულობით კი პირიქით, სიცხეა, ტემპერატურა 40°C ზევით ადის.

მცენარეული საფარიც მრავალფეროვანია, ვხვდებით მარადმწვანე ტყის მასივებს, უდაბნოს ტიპის ბუჩქოვან მცენარეებს, აღმოსავლეთ ნაწილში წარმოდგენილია სამი ბუნებრივი სარტყლის—ზომიერის. სუბტროპიკულისა და ტროპიკულის მცენარეულობა.

რეგიონში მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია. ყველაზე მრავალრიცხოვანი და უძველესი წარმოშობის ხალხებია ჩინელები, რომლებიც აქ დასახლებულან ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში. რეგიონში ცხოვრობენ მონღოლები, ტიბეტელები, კორეელები, იაპონელები, რომლებიც ითვლებიან აბორიგენულ მოსახლეობად. გარდა ამისა ცხოვრობენ ინდოელები, ფილი-

პინელები, ინდონეზიელები, ნეპალელები და სხვები. რეგიონში დაახლოებით 60-მდე ეთნიკური ჯგუფია წარმოდგენილი, რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ. დიდია მოსახლეობის მატების ტემპი, ყოველწლიურად რეგიონის მოსახლეობა 50 მილიონით იზრდება, ზოგიერთ პროვინციაში ძალზედ დიდია სიმჭიდროვე, მაგალითად, კუნძ. ტაივანზე ეს მაჩვენებელი 500 კაცს აღემატება ერთ კვ. კმ-ზე, თუმცა არის პროვინციები და ქვეყნები, სადაც ეს მაჩვენებელი დაბალია (ტიბეტი, მონღოლეთი). მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად, თუმცა სახელმწიფოების მიხედვით ეს მაჩვენებელი მკვეთრად განსხვავდება, მაგალითად, იაპონიაში სჭარბობს ქალაქის მოსახლეობა, მაშინ როდესაც ჩინეთში ქალაქად მხოლოდ მოსახლეობის 1/5 ცხოვრობს.

რეგიონის ბუნებრივი რესურსები ხელსაყრელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, აქ წარმოდგენილია ბუნებრივი სიმდიდრეებიც, აღმოჩენილია ნავთი, რკინა, ოქრო, ფოსფორი, ნიკელი, სპილენძი, ქვანახშირი და სხვა, რომლებიც აუცილებელია მრეწველობის განვითარებისათვის. თუმცა ბუნებრივი სიმდიდრეები სხვადასხვანაირადაა განაწილებული, მაგალითად, ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყანა, როგორიც იაპონიაა, ძალზედ ღარიბია ბუნებრივი რესურსებით.

რეგიონის ქვეყნებში განვითარებულია სოფლის მეურნეობაც, რომლის როლი და მნიშვნელობა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, მონღოლეთსა და ჩინეთში სოფლის მეურნეობა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს, იაპონიაში კი იგი ძალზე მცირე ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი.

მონღოლეთი

მონღოლეთი მდებარეობს ცენტრალური აზიის ჩრდილოეთით, კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში. ათასობით კილომეტრი აშორებს მას ზღვებსა და ოკეანეებს. მისი ტერიტორია 1,56 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 2 მილიონამდე, დედაქალაქია — ულანბატორი. უკანასკნელ პერიოდამდე მონღოლეთი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს განეკუთვნებოდა, დღეისათვის იგი დაადგა დემოკრატიული განვითარების გზას, მოიშორა რა კომუნისტური დიქტატურის უღელი.

ვარაუდობენ, რომ ადამიანი ამ ქვეყნის ტერიტორიაზე 100 ათასი წლის წინათაც ცხოვრობდა. მომდევნო პერიოდში ჩამოყალიბდა მონღოლთა სახელმწიფო, რომელმაც მრავალჯერ განიცადა სახეცვლილება. XII საუკუნეში შეიქმნა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო

ჩინგიზ-ხანის მეთაურობით, რომელიც შიშის ზარს სცემდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ სამყაროს. ცნობილია ჩინგიზ-ხანის ლაშქრობები რუსეთსა და ევროპაში, ჩინეთსა და ინდოეთში. მისი ლაშქარი რამდენჯერმე შემოესია საქართველოსაც. XIII საუკუნის დასაწყისში მონღოლებმა შექმნეს უზარმაზარი იმპერია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ შუა აზია, ჩრდილოეთი და სამხრეთი ჩინეთი, კავკასია, ავღანეთი, ირანი, რუსეთის დიდი ნაწილი, კორეა. ისინი შეესიენ უნგრეთს, პოლონეთს, ჩეხეთს. 1271 წელს ჩინგიზ-ხანის შვილიშვილმა დაამთავრა რა ჩინეთის დაპყრობა, დედაქალაქი გადაიტანა ჩინეთში—ახლანდელ ქ. პეკინში თავი ჩინეთის იმპერატორად გამოაცხადა. 1368 წელს ჩინელებმა განდევნეს მონღოლები, შეიჭრნენ საკუთრივ მონღოლეთში და გადაწვეს მისი ძველი დედაქალაქი, ამიხ შემდეგ დაიწყო მონღოლთა იმპერიის დაშლა, საქართველომაც განდევნა დამპყრობლები თავისი ტერიტორიიდან. მალე დაიწყო საკუთრივ მონღოლეთის დაშლა პატარ-პატარა სახელმწიფოებად, ერთ-ერთ მათგანს ქვეყნის ჩრდილოეთით შერჩა კიდევაც სახელწოდება—მონღოლეთი და სწორედ ამ ტერიტორიაზე მდებარეობს დღევანდელი მონღოლეთის სახელმწიფო.

მონღოლეთი მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ხასიათდება. მას მთებისა და დაბლობების ქვეყანას უწოდებენ. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 1600 მეტრია. მთებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/3, ყველაზე მაღალი მწვერვალის სიმაღლეა 3905 მეტრი. დაბლობები წარმოდგენილია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ესაა 500—600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე პლატო, რომელიც ალაგ-ალაგ იკვეთება მცირე ზომის მთებით.

მონღოლეთის კლიმატი მკვეთრად კონტინენტურია, რაც განპირობებულია ოკეანეებიდან დიდი მანძილით დაშორებით. ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ აქ ზამთარი მკაცრი და ხანგრძლივია, დღე-ღამის ტემპერატურა დიდად განსხვავდება ერთმანეთისავან, ატმოსფერული ნალექები მცირეა და მოდის მხოლოდ ზაფხულობით. ზამთარი უთოვლო ან მცირეთოვლიანია, ამის შედეგად ქვეყნის ჩრდილოეთით ვხვდებით მუდმივ მყინვარებს. საშუალო ტემპერატურა იანვარში—15—30° შორის მერყეობს, მთიან მასივში ზოგჯერ—50° აღწევს. ზაფხული თბილია, საშუალო ტემპერატურა 15°—25°-ია. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 350—400 მმ, რომელიც არათანაბრადაა განაწილებული ქვეყნის ცალკეულ რეგიონებს შორის.

ქვეყანაში ცოტაა მდინარეები და იგი ძირითადად წარმოდგენილია მთიან ზონაში. მდინარეები გაედინებიან რა დაბლობზე, უმე-

ტესად იკარგებიან, რაც იწვევს ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე წყლის დიდ დეფიციტს, მათი უდიდესი ნაწილი წარმოადგენენ ციმბირის მდინარეების შენაკადებს და მიედინებიან მატერიკის ჩრდილოეთით, დასავლეთის მდინარეები ჩაედინებიან ტბებში. მხოლოდ ერთი მდინარეა (მდ. სელენგა) ისეთი, სადაც შეიძლება მცირეტონაჟიანი გემების მიმოსვლა. ეს მდინარე ჩაედინება ბაიკალის ტბაში. ქვეყანაში არსებობს 1000-მდე დიდი და პატარა ტბა, რომლებიც უმთავრესად ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. ამრიგად, მონღოლეთის თითქმის ნაწილი მეტნაკლებად უზრუნველყოფილია წყლის რესურსებით, დაბლობები და ზეგნები კი მთლიანად უწყლო ზონაა, სადაც სასმელად გრუნტის წყლებს იყენებენ, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში დაძლაშებულია.

ქვეყნის კლიმატი მკაცრია. მიუხედავად ამისა მისი ფლორა არ არის ღარიბი; ვხვდებით უნიკალურ მცენარეულ საფარს, რომელიც გამოირჩევა დიდი ორიგინალობით. მონღოლეთში სჭარბობს წაბლისფერი ნიადაგები, ალაგ-ალაგ გვხვდება შავმიწანიადაგიანი ზოლები და ტყის რუხი ნიადაგები. ნიადაგები საშუალო ნაყოფიერებით ხასიათდებიან. გვხვდება ჰუმუსით მდიდარი ზონებიც.

ქვეყნის მოსახლეობა თითქმის ერთგვაროვანია, 90% მეტს შეადგენენ მონღოლები, გარდა ამისა ცხოვრობენ ბურიატები, ყაზახები, ჩინელები, მონღოლეთში ცხოვრობს 20 ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. მოსახლეობის სიმჭიდროვე ყველაზე დაბალია მსოფლიოში, დახლოებით 1 კაცი კვადრატულ კილომეტრზე. სჭარბობს სოფლის მოსახლეობა, სადაც ცხოვრობს 60%, თუმცა სოფლისა და ქალაქის თანამედროვე ცნება აქ განსხვავებულია, მაგალითად, სოფლის მაცხოვრებლად ითვლებიან მომთაბარეები, ხოლო მუდმივ დასახლებას უწოდებენ ქალაქებს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ბოლო პერიოდამდე მონღოლეთი განვითარების სოციალისტურ გზას ადგა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სოფლის მეურნეობის სტრუქტურაშიც. მონღოლეთი იყო და დღესაც რჩება ავრარულ ქვეყნად, რომელშიც წამყვან როლს ასრულებს მეცხოველეობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლეთი მდიდარია წიაღისეულით, რაც პერსპექტივაში მრავალმხრივი ეკონომიკის განვითარების საწინდარია.

მონღოლეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია ისტორიულად ჩამოყალიბდა, რასაც ხელი შეუწყო უპირველესად დიდმა სივრცეებმა, საძოვრების სიუხვემ. ქვეყანაში განვითარებული იყო საძოვრული მეცხოველეობა, რომელიც მოითხოვდა მომთაბარულ

ცხოველებს. მონღოლები, როგორც წესი, არ მისდევდნენ მიწათმოქმედებას, არც ხელოსნობას იცხოვრებენ, საუკუნეების განმავლობაში მინაური ცხოველი რჩებოდა მათი არსებობის ერთადერთ წყაროდ.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში მონღოლეთში 10—12 მილიონი სული პირუტყვი ითვლებოდა, დღეისათვის კი მათი რიცხვი 25 მილიონამდე აღწევს. მეცხოველეობა ითვლება მონღოლეთის ეკონომიკის საფუძვლად, მასზე მოდის ქვეყნის ექსპორტისა და სავალუტო შემოსავლების უდიდესი ნაწილი.

მეცხოველეობაში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის ნახევარი. ჰყავთ ცხვარი, თხა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი, აქლემი. ძალზედ გავრცელებულია შერეული ჯოგები, რომლებშიც, როგორც წესი, სჯობობს ცხვრები. ჰყავთ მაღალპროდუქტიული ცხვრის ჯიში, რომელიც გამოირჩევა ნაზი ბეწვით და შედარებით მაღალი წველადობით. მეცხვარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკაში, მატყლის საკმაოდ დიდი რაოდენობა გაქვთ სასღვარგარეთ. 1985 წლამდე ძირითადი პარტნიორი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი.

პირუტყვის რაოდენობის 1/5 მოდის თხაზე, რომელიც დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება, მაგრამ ნაკლებმომთხოვნია საკვების მიმართ. თხები იყენებენ იმ მცენარეულ საფარს, რომლითაც სხვა ცხოველები არ იკვებებიან, ამიტომ ისეთ ადგილებში, სადაც ღარიბია მცენარეული საფარი (გობის უდაბნო), მეცხოველეობის ჯოგში თხას უპირველესი ადგილი უჭირავს. ქვეყნის მოსახლეობა საკვებად იყენებს თხის ხორცს, რომელიც მათთვის კვების ძირითადი პროდუქტია.

ჰყავთ მსხვილფეხა პირუტყვი, რომელთა რაოდენობა 2 მილიონს აღემატება. ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, რომელიც ნაკლებმომთხოვნია საკვების მიმართ, მათი პროდუქტიულობა დაბალია (წველადობა 1000 ლიტრამდე), მაგრამ პროდუქციის წარმოება იაფი ჯდება და ამდენად ხელსაყრელია მწარმოებლებისათვის. მსხვილფეხა პირუტყვი გავრცელებულია ქვეყნის მთიან ზონაში და სტეპებში. ამზადებენ კარაქს, შესქელებულ რძეს, ხორცს. პირუტყვი ძოვებაზეა და ჯოგის გადაადგილება ხდება დიდ მანძილზე.

ჩიიყანაში დაახლოებით 1,5 მილიონი სული ცხენია, ადგილობრივი ჯიშის ცხენი მონღოლი მეურნე-მოგზაურის აუცილებელი თანამგზავრია. გარდა იმისა, რომ ივი გადაადგილებისა და ტვირთზიდვის საშუალებაა, იძლევა პროდუქციას რძის სახით, რისგანაც ამზადებენ კუმისს. მეცხენეობა არ მოითხოვს დიდ მატერიალურ დანახარჯებს, ამიტომ მათი არსებობა გამართლებულია.

გავრცელებულია ორკუზიანი აქლემები, მათი გავრცელების არეალია ხანეკოად უდაბნოები. აქლემი იძლევა ბეწვს, ხორცს, რძეს, იყენებენ აგრეთვე როგორც სატრანსპორტო და ტვირთზიდვის საშუალებას. ვარაუდობენ, რომ აქლემების რაოდენობა დაახლოებით 0,5 მილიონია.

დღემდე არსებობდა 250 სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციული გაერთიანებები, რომლებიც ძალზედ წააგავდნენ ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ კოლმეურნეობებს, და 100-მდე სახელმწიფო მეურნეობა. გაერთიანებებში ძირითადად დასაქმებული იყვნენ მეცხოველეობით, ხოლო სახელმწიფო მეურნეობები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, კოოპერაციული გაერთიანებების ხელში თავმოყრილი იყო ქვეყანაში არსებული პირუტყვის 3/4, პირად საკუთრებაშია პირუტყვის 9/10. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ძირითადად წარმოდგენილია საძოვრების სახით, რომელთა ექსპლოატაცია სეზონურია. როგორც წესი, კოოპერაციულ გაერთიანებებში პირუტყვის რაოდენობა 70 — 100 ათასი სულია, პირუტყვი დაყოფილია ფარებად, ცალკეა გამოყოფილი მოზარდი, სუქებაზე დაყენებული და პროდუქტიული პირუტყვი.

გაძნელებულია პირუტყვის სავეტერინარო მომსახურება, რაც იწვევს დიდი რაოდენობით დაცემას, ფარეხები განცალკევებულია, რაც წარმოადგენს ამავე დროს ავადმყოფობის შეკავების ფაქტორს.

მართალია, მიწათმოქმედებას აქ დიდი ხნიდან იცნობდნენ, მაგრამ ბოლო პერიოდამდე მას დამხმარე ხასიათი ჰქონდა. დღეისათვის, ამ დარგის განვითარებას გარკვეულ ყურადღებას აქცევენ. როგორც წესი, ქვეყანაში გავრცელებულია ურწყავი მიწათმოქმედება, რომელსაც მარცვლეული მიმართულება აქვს და უკავია ერთ მილიონამდე ჰექტარი. მარცვლეულის მოსავლიანობა დაბალია, ძირითადად გავრცელებულია ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი. სახელმწიფო მეურნეობებში მექანიზაციის დონე საშუალოა, ძირითადად იყენებენ ე. წ. „საბჭოთა ტექნიკას“.

ბოლო პერიოდში ყურადღება მიექცა მეხილეობისა და მებაღჩეობის განვითარებას, გაჩნდა ხეხილის ბაღები (ვაშლი, მსხალი), რომელთა მოსავლიანობა მაღალი არ არის, ხოლო გემოვნებითი თვისებები საშუალოზე დაბალია. ხეხილის ბაღებს დღეისათვის უჭირავს რამდენიმე ასეული ჰექტარი, მებაღჩეობა წარმოდგენილია ნესვისა და საზამთროს სახით, ძირითადად ქ. ულან-ბატორის საგარეუბნო ზონაში. აქვე ვითარდება მებოსტნეობაც, რომელსაც უმთავრესად დახურული გრუნტის ხასიათი აქვს. საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მეფრინველეობაც.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობას პრიმიტიული ხასიათი აქვს, დღევანდელი მონღოლეთი თავის მოთხოვნილებებს ძირითადად იკმაყოფილებს კვების პროდუქტებზე. ერთ სულზე აწარმოებენ დაახლოებით 220 კგ მარცვლეულს, 160 კგ—ხორცს, 18 კგ — მატყლს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაწილი გააქვთ ექსპორტზე, ძირითადად, ხორცის, შესქელებული რძის, ტყავის, ბეწვისა და მატყლის სახით. ჯერ კიდევ შემოაქვთ ხილი (ხმელი სახით), ჩაი—ძირითადად ყოფილი საბჭოთა კავშირიდან და ჩინეთიდან (დაახლოებით 35 ათას ტონამდე), ზოგიერთი სხვა სახის პროდუქცია.

ვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა. შენდება თანამედროვე ტიპის ხორცკომბინატები, საფეიქრო საწარმოები. ბოლო წლებში მათ ხელშეკრულება დადეს იაპონიასთან, რომლებიც ახდენენ მონღოლეთის ეკონომიკის მოდერნიზაციას. ულან-ბატორში არსებობს სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც უშვებს ვეტექიმებს, ზოოტექნიკოსებს, მექანიზატორებს და მემცენარეებს. შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სამეცნიერო ცენტრები.

ჩინეთი

ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში. მისი ტერიტორია 9.6 მლნ. კვ. კმ-ია, ანუ მსოფლიო ხმელეთის 1/14, მოსახლეობა—ერთ მილიარდამდე, დედაქალაქი—პეკინი. აღმოსავლეთით იგი ესაზღვრება წყნარ ოკეანეს.

როგორც ვარაუდობენ, ჩინეთის ტერიტორია დასახლებული იყო ჯერ კიდევ პალეოლითის პერიოდიდან, მის ტერიტორიაზე შეიქმნა ერთ-ერთი პირველი მონათმფლობელური სახელმწიფო, მსოფლიო ცივილიზაციის აკვანიც პირველად აქ დაირწა. თანამედროვე ჩინეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული ფეოდალური სახელმწიფო არსებობდა, რომლებსაც გამუდმებული ომები ჰქონდათ ერთმანეთთან. ხშირი იყო ჩინეთზე მეზობელი სახელმწიფოების თავდასხმებიც. რამდენჯერმე მოხდა ძველი ჩინეთის ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანება, მაგრამ შინაური თუ გარეული აშლილობის გამო ისინი მალე იშლებოდნენ ცალკეულ სამთავროებად. XIII საუკუნეში ჩინეთმა იწვნია მონღოლთა შემოსევების სიმწარე, რომლებმაც სატახტო ქალაქიც კი ვადმოიტანეს ჩინეთში. გახდა რა მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის ნაწილი, ჩინეთში თავი მოიყარა სხვადასხვა ხალხების კულტურამ. მონღოლთა ბატონობამ ჩინეთს მოუტანა ნგრევა და დიდი ხნით შეაჩერა მისი ეკონომიკური და კულტურული განვითარება.

ქვეყანაში ბონღოლთა განვითარება შესაძლო მხოლოდ XIV საუკუნის ბოლოს. ევროპელებმა ჩინეთში მხოლოდ XIV ს. შეაღწიეს, XVIII საუკუნეში ინგლისი შეეცადა ჩინეთი გადაექცია თავისი პროდუქციის გასაღების ბაზად. მალე სხვა ევროპული ქვეყნებიც დაინტერესდნენ ასით (საფრანგეთი, პოლანდია, პორტუგალია). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1949 წელს პეკინში გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. ჩინეთში დამყარდა კომუნისტური რეჟიმი, რომელიც დღემდეა შენარჩუნებული.

ჩინეთის ტერიტორიის სიდიდე განაპირობებს მის ბუნებრივ მრავალფეროვნებას, ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ჩინეთის ტერიტორია სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. სამხრეთ დასავლეთით—ტიბეტის მთიანეთი; 2. ჩრდილოეთით—პრიხინგანის მთიანი სარტყელი და ზეგნები; 3. ზღვის სახაპირო ზოლი დაბლობებითა და ზეგნებით. ტიბეტის მთიანეთი აღებარეობს 4 ათასი მეტრის სიმაღლეზე, ზოგიერთი მწვერვალისა და ქედის სიმაღლე 7—8 ათასი მეტრია. ტიბეტი ყველაზე ნაკლებადაა დასახლებული და ათვისებული.

ჩინეთის კლიმატი მრავალფეროვანია. აქ წარმოდგენილია ზონალური სუბტროპიკული და ტროპიკული სარტყელი. არის პროვინციები, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა—24°-ია, ხოლო სამხრეთით ამ დროს სითბო შეიძლება +18°C აღემატებოდეს. იგივე ითქმის ნალექების რაოდენობასა და განაწილებაზეც. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი მუსონების გავლენის ქვეშაა, ნალექების რაოდენობა 700—2000 მმ-ია, რომელთა აბსოლუტური ნაწილი მოდის გაზაფხულზე. ქვეყნის დასავლეთი პროვინციების კლიმატი გაცილებით მკაცრია, იცის ცხელი ზაფხული და მკაცრი, ყინვიანი ზამთარი, ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი—50°C-ია, ნალექების რაოდენობაც მინიმალურია და იგი 250 მმ არ აღემატება.

ჩინეთის ტერიტორია არათანაბრადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, აღმოსავლეთ ნაწილში მდინარეთა ქსელი საკმაოდ ხშირია. აქ მიედინებიან რეგიონის უდიდესი მდინარეები—(ხუანხე) იანგზი, სიკიანი. ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი კი განიცდის წყლის დეფიციტს, ეს მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას.

ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნება განსაზღვრავს ნიადაგობრივ სტრუქტურასაც. ქვეყანაში გვხვდება ნიადაგის თითქმის ყველა ტიპი. წარმოდგენილია როგორც მაღალპროდუქტიული, ისე უნაყოფო ხირხატიანი ნიადაგები. მრავალფეროვანია მცენარეული საფარიც. წარმოდგენილია კონტინენტური ტიპის სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეები. ტყეებს უჭირავს ქვეყნის

ტერიტორიის ბიოლოგ 7%, რაც ძალზედ მცირეა ისეთი დიდი ქვეყ-ნისათვის, როგორიც ჩინეთია. გამოაკუთრებით მრავალფეროვანია სამ-ხრეთ ჩინეთის ფლორა, სადაც წარმოდგენილია ტროპიკული ტყეებიც.

ცნობილია აგრეთვე მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობაც, მართალია ქვეყანაში უმრავლესობა ჩინელებია, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 94% შეადგენენ, მაგრამ აქვე ცხოვრობენ 80 მილიო-ამდე სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებიც (დაახლოებით 30 მილიონამდე ჩინელი ცხოვრობს საზღვარგარეთ). მოსახლეობა სიმ-ჭიდროვის მიხედვით არათანაბრადაა განაწილებული—აღმოსავ-ლეთ და სამხრეთ პროვინციებში ცხოვრობს მოსახლეობის 4/5, ზო-გიერთ პროვინციაში სიმჭიდროვე 1000 კაცს აღემატება, მაშინ რო-დესაც ტიბეტში ეს მაჩვენებელი 1,2 კაცს უდრის. მოსახლეობის მატე-ბის საშუალო წლიური ტემპი 2%-მდეა, უკანასკნელი 50 წლის მან-ძილზე ჩინეთის მოსახლეობა თითქმის გაორმაგდა. ჩინეთი ხასიათდება ურბანიზაციის დაბალი დონით, მოსახლეობის აბსოლუტური რაოდე-ობა ცხოვრობს სოფლად, ქალაქის მაცხოვრებელთა ხვედრითი წილი 19%-ია. თუმცა ჩინეთში არსებობენ უდიდესი ქალაქები: შანხაი, გუან-ჯო, პეკინი და სხვ.

ჩინეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. აქ მოიპოვება ნავთი, ქვანახშირი, ოქრო, ვერცხლი, ნიკელი, სპილენძი, ქრომი, ფოს-ფორი, რკინა და სხვ. თუმცა მათი მოპოვება ჯერ კიდევ არ მიმდინა-რეობს საკმარისი ტემპებით.

სოფლის მეურნეობა ჩინეთის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარ-გია, რომელშიც დაკავებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 72%, სოფლის მეურნეობაში იქმნება საექსპორტო რესურსების უდიდესი ნაწილი; ამ დარგზეა დამოკიდებული ქვეყნის საერთო ეკონომიკური მდგომარეობა.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას აქვს მემცენარე-ობის ბიმართულება, რომელშიც წამყვანია მარცვლეულის მეურნეო-ბა. მეცხოველეობას დამხმარე ხასიათი აქვს. რაც შეეხება მეთევზე-ობას და ტყის მეურნეობას, მათი როლი უმნიშვნელოა. დარგების ასე-თი შეთანაწყობა არ არის ასახული მიწის ფონდების სტრუქტურაში, მაგალითად, სახნავს უჭირავს სავარგულების 1/10, სატყეო მეურნე-ობას—1/8, ხოლო საძოვრებს—1/3.

ქვეყნის ტერიტორიის არათანაბრად ათვისება ისტორიულად ჩამოყალიბდა. ჩინელი გლეხი საუკუნეების განმავლობაში ითვისებდა ჭალინარეთა დაბლობებს, აგრეთვე იმ პროვინციებს, სადაც იყო თბი-ლი და ტენიანი კლიმატი, ნაყოფიერი მიწები. მთიანი სტეპები, ნახევ-რად უდაბნოები არ გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო წარმოები-

სათვის, აქ მომთაბარე მეცხოველეობას ეწეოდნენ. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სპეციალიზაციის ორი ზონა. აღმოსავლეთის პროვინციებში, რომლებსაც უჭირავს ტერიტორიის ნახევარზე ნაკლები და სადაც თავმოყრილია მოსახლეობის 4/5, კონცენტრირებულია სახნავის 9/10, ხოლო დასავლეთით კი—1/10. აღმოსავლეთ პროვინციები იძლევიან მემცენარეობის პროდუქციის 80%-ზე მეტს, ხოლო დასავლეთი—მეცხოველეობის პროდუქციის 75%-ზე მეტს. ინტენსიური მიწათმოქმედების პროვინციებში სახნავი გადანაწილებულია არათანაბრად, რაც გამოწვეულია როგორც ბუნებრივი, ისე მიწათმოქმედების ისტორიულად ჩამოყალიბების პირობებით. ყველაზე მეტად ათვისებულია ჩინეთის დიდი დაბლობი, სადაც სახნავს უკავია რეგიონის ფართობის 60%, იხვნება აგრეთვე მდინარე იანძის დელტის უდიდესი ნაწილი. ამავე დროს ჩინეთის დიდი დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ათვისებულია სუსტად, მცირეა სახნავის ხვედრითი წილი აღმოსავლეთ ჩინეთის მთიან ნაწილშიც.

სახნავად ვარგისი ყამირის საერთო ფართობი დაახლოებით 35 მლნ. ჰექტარია, რაც წარმოადგენს ჩინეთის მიწის ფონდების რეზერვს. დღეისათვის ქვეყნის სახნავი ფართობის საერთო რაოდენობა 110 მლნ. ჰექტარია, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 0,1 ჰექტარს შეადგენს. მიწით დაბალი უზრუნველყოფა ქვეყანას უბიძგებს ინტენსიური სოფლის მეურნეობისაკენ. გარდა ყამირი მიწებისა, სახნავის გაზრდის რეზერვს წარმოადგენს აგრეთვე სამხრეთის დამლაშებული და გაკორდებული ნიადაგები, აგრეთვე დაჭაობებული მასივები, რომელთა რაოდენობა 30 მლნ. ჰექტარს შეადგენს. სათანადო სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ქვეყნის დასავლეთ რეგიონებში სახნავად შეიძლება ათვისებული იქნეს 12 მლნ. ჰექტარამდე მიწის ფართობი.

ნახევრად უდაბნო—სტეპის მუავე ნიადაგებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 12%, უკანასკნელ 20 წელიწადში მათგან ათვისებულია 800 ათას ჰექტარამდე, გაუმჯობესდა 2 მლნ ჰექტარი. 7 მლნ ჰექტარზე გაშენდა ტყეები. ასეთ მიწებზე კარგ მოსავალს იძლევა ბრინჯის კულტურა (3,5 მლნ. ტონა), აგრეთვე ბამბა (2,1 მლნ. ტონა) და სხვა კულტურები.

ჩინეთის მიწების უდიდესი ნაწილი ეროზირებულია, რომლის შედეგად აქტიური ბრუნვიდან ყოველწლიურად ამოვარდება 0,8—1,0 მლნ. ჰექტარი. მიუხედავად იმისა, რომ ყოველწლიურად იზრდება ახლად ათვისებული მიწების რაოდენობა, სახნავის საერთო ფართობი უმნიშვნელოდ იზრდება.

ინტენსიფიკაციის ერთ-ერთი ფაქტორია მელიორაცია. კერძოდ, სელოვნური ძორწყვა, ოაც აუცილებელი პირობაა ბრინჯის წარმოებისათვის. როგორც წესი, ძოსავლიანობა სარწყავ მიწებზე 2—2,5-ჯერ იზრდება. ჩინეთი ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან მისდევდა სარწყავ ძიწათძოქმედებას. დღეისათვის ირწყვება სახნავი მიწების ნახევარზე მეტი, რომელთა უდიდესი ნაწილი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ პროვინციებში. სოფლის მეურნეობა წყლის რესურსების უდიდესი ძომხმარებელია. ყოველწლიურად იგი მოიხმარს ქვეყნის წყლის რესურსების 27%. მიწების ინტენსიური გამოყენება მოითხოვს მათი ნაყოფიერების აღდგენას. უკანასკნელ წლებში გარკვეული ყურადღება ეთმობა ქიმიზაციას, მინერალური სასუქების ეფექტიანად გამოყენებას. თუმცა, სასუქების წარმოება-გამოყენების თვალსაზრისით, იგი ძნიშვნელოვნად ჩამორჩება ძოწინავე მიწათმოქმედების ქვეყნებს, 1985 წლისათვის მინერალური სასუქებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 30—40%-ს არ აღემატებოდა.

დაბალია ჩინეთის სოფლის მეურნეობის ენერგოშეიარაღება. ენერგოუზრუნველყოფა 12 ცხენის ძალას არ აღემატება, ენერგეტიკული საშუალებების სტრუქტურაში ცოცხალი გამწევი ძალის ხვედრითი წილი 40%-მდე აღწევს. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უმრავლესობა სრულდება ხელით. ისეთ დარგებშიც კი, როგორიცაა მარცვლეულის მეურნეობა, მექანიზაციის უზრუნველყოფის მაჩვენებელი 0,6 უდრის. არაეფექტიანია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაც, რომლის დატვირთვის კოეფიციენტი 0,5-ს არ აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექნიკის დეფიციტის პირობებშიც კი არსებული ტექნიკა გამოიყენება 50%-ით. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, აშენებულია რამდენიმე მძლავრი სატრაქტორო ქარხანა. უშვებენ სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც. ტექნიკური საშუალებები შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდანაც, მიუხედავად ამისა, ტექნიკური შეიარაღებით ჩინეთის სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოს დიდ ქვეყნებს შორის. 1985 წლისათვის ქვეყნის სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა ორ მილიონამდე ტრაქტორი (ფიზიკურ ერთეულებში), რომლებიც მომსახურებას უწევდნენ სახნავის 2,5. გამოანგარიშებით ირკვევა, რომ ნორმალური ფუნქციონირებისათვის ჩინეთს დამატებით ჭირდება 1—1,2 მლნ. ცალი ტრაქტორი.

ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჩინეთის სოფლის მეურნეობა ძალზედ წააგავს ყოფილ საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას. აქაც შექმნილია კოოპერაციები, რომლებშიც გაერთიანებული არიან

წვრილგლეხური მეურნეობები, ისინი კოლექტიურ შრომას ეწევიან რიგებლთა ეფექტიანობა დაბალია. გლეხებს აქვთ აგრეთვე პირადი დამხმარე მეურნეობები, რომელთა მოცულობა მცირეა. გარდა გლეხური კოოპერაციებისა არსებობს სახელმწიფო მეურნეობები (საბჭოთა მეურნეობების მსგავსად, რომლებშიც წარმოების საშუალებებსა და იარაღებზე არსებობს სახელმწიფო საკუთრება. ძალზედ შევიწროებული იყვნენ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები, რომლებიც ჯერ კიდევ შენორჩენენ ქვეყნის შედარებით ნაკლებათვისებულ რეგიონებში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ე. წ. სოციალისტურმა ნეგმა სასურველი შედეგები ვერ გამოიღო, ამიტომ ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური რეფორმები, რომელთა დამთავრებაც ნავარაუდევია 1995 წლისათვის.

ჩინეთის სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულებაა მარცვლეულის წარმოება, რომელსაც უჭირავს ქვეყნის სახნავი ფართობის 3/4. მარცვლეულზე მოდის ჩინეთის მოსახლეობის კვების რაციონის 4/5. მიუხედავად იმისა, რომ მარცვლეულის წარმოებას უდიდესი კოლოსალური ყურადღება ექცევა, უკუგება დაბალია. მარცვლეულის წარმოების მოცულობა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე გაანგარიშებით, ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მარცვლეულის მწარმოებელი მოწინავე ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს, ასევე მოსავლიანობაც დაბალია (20 ცენტ. ჰექტარზე).

ჩინეთის მთავარი მარცვლეული კულტურაა ბრინჯი, რომელსაც უჭირავს ნათესი ფართობის 1/5, ხოლო მის წილად მოდის მარცვლეულის წარმოების ნახევარზე მეტი. ბრინჯის ძირითადი ნათესები განლაგებულია სამხრეთით, მდინარე ხუანხეს ქვემო წელზე, სადაც ნათესების 2/3-ია მოთავსებული. ბრინჯი გავრცელებულია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა პროვინციებშიც. კერძოდ, მდინარე ამურის შესართავთან, კორეის საზღვართან. ჩინეთში ბრინჯის წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქვეყანაში გამოყვანილია ბრინჯის ახალი მაღალმოსავლიანი ჯიშები. მარცვლეულის სხვა კულტურებთან შედარებით, სარწყავ მიწებზე ბრინჯი იძლევა 2,5—3-ჯერ მეტ მოსავალს, სწორედ ამიტომ დომინანტობს იგი მარცვლეულის სხვა კულტურებთან შედარებით. სამხრეთ რაიონებში წლის განმავლობაში მოჰყავთ ბრინჯის ორი, ხოლო ზოგ რაიონში სამი მოსავალი.

ბალღანეთ ეროვნულ გავრცელებულია წყლის ბრინჯის ჯიშები, რომლებიც მოითმენენ მინდვრების დატბორვას, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სარწყავ პირობებში. თუმცა, ჩინელი გლეხები ბრინჯის მოყვანას ტერასებზეც კი ახერხებენ. ნაკლებად გვხვდება ურწყავი ჯიშის ბრინჯი, მათი ნათესები 2%-ს არ აღემატება. ბრინჯი ძირითადად

ცოცხავთ ერთსა და იმავე ფართობზე, ზოგჯერ შეუნაცვლებენ მას სოიოს.

ჩინელი გლეხი არა მარტო ბრინჯის მარცვალს იყენებს, არამედ ნაბუდაც, რომლითაც ხურავენ საცხოვრებელ სახლებს და სხვა სათავსებს, ბათგან ქსოვენ ჭილოფებს, აბზადებენ ფარფლიან ქუდებს, სახდლებს, ეოლგებს, ქაღალდს და სხვ., ბრინჯის მარცვლისაგან აძზადებენ აგრეთვე საუკეთესო სასმელს.

ინიშვნელობით მეორე კულტურაა ხორბალი, რომელიც გავრცელდა ჩინეთში VI—VII საუკუნიდან. დღეისათვის ამ კულტურას უჭირავს ნათესების 1/6, ხორბალი იძლევა მარცვლეულის მოსავლის 1/5. მისი ნათესები ძირითადად გაადგილებულია ჩინეთის დიდ დაბლობზე, სადაც ფოთავენებულია ნათესების 20%. თესავენ როგორც საშემოდგომო, ისე საგაზაფხულო ხორბალს. ნათესების ნახევარი სარწყავია, ხოლო ჩრდილოეთ და დასავლეთ პროვინციებში ძირითადად ურწყავი მიწებია. საგაზაფხულო ჯიში უფრო მეტადაა გავრცელებული და იგი შედარებით უკეთესავლიანია. ხორბლის წარმოების 9/10 მოდის სწორედ ამ ჯიშზე. ხორბლის მწარმოებელი სახელმწიფო მეურნეობები ძირითადად მექანიზებულია, უმრავლეს შემთხვევაში აქ კომპლექსური მექანიზაცია არის დანერგილი.

ნათესი ფართობების 1/3 უჭირავს სხვა მარცვლოვან კულტურებს, კერძოდ, სიმინდს, წიწიბურას, ქერს, ჭვავს. სიმინდი აქ პირველად გამოჩნდა XVI საუკუნეში. იგი გავრცელებულია უმთავრესად ჩრდილოეთ მეურნეობებში, ძირითადად, ქვეყნის დასავლეთ რაიონებში, მთის ფერდობებზე. თესავენ ადრემწიფად ჯიშებს, რომლებიც გავრცელებულია შეზღუდული ვეგეტაციის რაიონებში. მარცვლეულის ზოგიერთი ადგილობრივი ჯიში მოჰყავთ მთებშიც, კერძოდ, ტიბეტში, სადაც ნათესები 4000 მეტრ სიმაღლეზეც კი გვხვდება. ქვეყანაში აწზადებენ დიდი რაოდენობით ბატატს, რომლის ნათესებიც თითქმის ყველგან გვხვდება. საწუხაროდ, მარცვლეული კულტურების მოსავლიანობისა და წარმოების მაჩვენებლები ჩინეთში არ ქვეყნდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათი საერთო მოსავალი 350—400 მლნ. ტონაა წელიწადში. აქედან ბრინჯი—270 მლნ. ტონა.

ჩინეთი ტექნიკური კულტურების მწარმოებელი ქვეყანა არის. მოჰყავთ ბამბა, არაბისი, თამბაქო. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბამბის წარმოებას, რომელიც საფეიქრო მრეწველობისათვის ნედლეულის ბაზას წარმოადგენს. მებამბეობის ძირითადი რაიონებია მდინარეების სუანხესა და იანძის აუზები, უმთავრესად იგი მოჰყავთ ურწყავ მიწებზე, რაც ნალექების დეფიციტის შემთხვევაში დაბალ მო-

სავალს იძლევა. ამჟამად ხორციელდება სახელმწიფოებრივი პროგრამა ნებამბეობის განვითარების მიზნით, რომელიც გულისხმობს ბამბის პლანტაციების მორწყვასაც. ბამბის წარმოებამ 1985 წელს შეადგინა 3,2 მლნ. ტონა, ვარაუდობენ წარმოების მოცულობა აიყვანონ 5—5,5 მლნ. ტონამდე.

ჩინეთში გავრცელებულია ზეთოვანი კულტურები, რომელთა შორის პირველ ადგილზეა არახისი, რაფსი, სოია. არახისი მოჰყავთ შედარებით ნაკლებად ნაყოფიერ მიწებზე, რომლებზეც სხვა კულტურები არ მოდის, იგი ძირითადად განკუთვნილია ადგილობრივი მოხმარებისათვის. ზეთოვანი კულტურების საერთო მოსავალმა 1985 წელს 10 მლნ. ტონას გადააჭარბა.

მოჰყავთ კარგი ხარისხის თამბაქო, რომლის წარმოებაც ძირითადად კონცენტრირებულია სამხრეთის რაიონებში, აქვე ხდება მათი სამრეწველო დამუშავება. თამბაქოს ნაწარმი ძირითადად შიდა მოხმარებისათვის არის გათვალისწინებული. ამავე ზონაშია გავრცელებული შაქრის ლერწამიც, რომელიც კარგი ხარისხის არის და მაღალი გამოსავლიანობა აქვს. გარდა ამისა მოჰყავთ შაქრის ჭარხალიც—დაჭატებით ათვისებულ ფართობებზე. აღსანიშნავია, რომ შაქრის წარმოება ბოლო ათ წელიწადში 1,5-ჯერ გაიზარდა. როგორც სტატისტიკური ინფორმაციები ამტკიცებენ, ჩინეთი ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას შაქარზე, იგი შემოაქვთ ავსტრალიიდან და ბრაზილიიდან. 1985 წელს შაქრის ლერწმისა და ჭარხლის საერთო წარმოებამ 35 მლნ. ტონას მიაღწია.

ჩინეთი ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს განეკუთვნება. აქაური ჩაის პროდუქცია მაღალი ხარისხისაა და კარგად ფასობს მსოფლიო ბაზარზე. პირველად ეს კულტურა ჩინეთში შემოტანილი იქნა IV საუკუნეში, VI საუკუნიდან ჩაი ჩინელების ყოველდღიური სასმელი პროდუქტი გახდა. ჩინური ჩაის ბუჩქი მარადმწვანე მცენარეა, იგი გაადგილებულია შედარებით მწირ ნიადაგებზე, უძლებს ყინვასაც (—14°-მდე), პლანტაციები გაშენებულია ჭადრაკული წესით, ფერდობებზე, თუმცა გვხვდება მეჩაიეობის დიდი სახელმწიფო მეურნეობებიც. ჩაის პლანტაციების ნოვლა-მოყვანის სამუშაოები ძირითადად ხელით სრულდება. მეჩაიეობის რეგიონებში გაადგილებულია პირველადი გადამუშავების ჩაის ფაბრიკები, ძირითადად უშვებენ მწვანე და შავი ბაიხაოს ჩაის. ეს უკანასკნელი მიდის ექსპორტზე. 1985 წელს ჩინეთში დაამზადეს 380 ათასი ტონა ხმელი ჩაი, აქედან 120 ათასი გატანილი იქნა ექსპორტზე.

ჩინეთში წარმოდგენილია სხვა კულტურებიც, რომლებიც მხოლოდ ქვეყნის სამხრეთი ზონისათვის არის დამახასიათებელი, კერძოდ,

გავრცელებულია სუბტროპიკული და ტროპიკული კულტურები, ლიმონი, ფორთოხალი, ბანანი და სხვ. კარგადაა წარმოდგენილი მებაღეობაც, მოჰყავთ კარგი ხარისხის ხილი. ცენტრალურ და სამხრეთ ჩინეთში განვითარებულია მევენახეობა. დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონაში მოჰყავთ ღია გრუნტის ბოსტნეული და ბაღჩეული.

ბოლო პერიოდამდე ჩინეთს გარკვეული რაოდენობით შემოჰქონდა კვების პროდუქტები, ძირითადად მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი, რძის ფხვნილი. დღეისათვის, როგორც სტატისტიკური მონაცემები ამტკიცებენ, ჩინეთმა გადაჭრა მარცვლეულის წარმოების პრობლემა, შემოაქვთ მხოლოდ მცენარეული ზეთი და შაქარი. საექსპორტო პროდუქტების მოცულობა არ არის დიდი. ჩინეთს მსოფლიო ბაზარზე გააქვს ჩაი, ხილი—ხმელი და წვენების სახით.

მეცხოველეობას დამხმარე ხასიათი აქვს. ქვეყანაში ისტორიულად ჩამოყალიბდა მეცხოველეობის ორი ტიპი—პირველი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან და აქვს დამხმარე ხასიათი, ამ რაიონებში გავრცელებულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძირითადად კამეჩი). მეღორეობას და მეფრინველეობას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. იმის გამო, რომ მიწათმოქმედების ზონაში ნაკლებია საძოვარსათიბები, პირუტყვი ძირითადად ბაგურ კვებაზე ჰყავთ.

ქვეყნის დასავლეთ ტაიონებში, სადაც უმთავრესად ცხოვრობენ მონღოლები, ტიბეტელები და ყაზახები, დამახასიათებელია წარმოების მათთვის ხელსაყრელი ფორმა, კერძოდ, ექსტენსიური მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე მეცხოველეობა, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აგრეთვე ცხვარი და ცხენი.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი სამი მიმართულებისაა: მეხორცული, მერძეული და ცოცხალი გამწევი ძალა. მერძეულ-მეხორცული მეცხოველეობა უმრავლეს შემთხვევაში შერეულია, ჰყავთ ადგილობრივი ტიპის პირუტყვი, რომელიც ღაბალპროდუქტიულია, მაგრამ გამძლეა და კარგადაა შეგუებული ადგილობრივ მკაცრ პირობებს. არასრული მონაცემებით, პროდუქტიული პირუტყვის რაოდენობა 28—30 მლნ. სულია, რძე მაღალცხიმიანია, ამზადებენ კარაქს, ყველს, შესქელებულ რძეს. მეცხოველეობის პროდუქტები გათვალისწინებულია შიდა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მერძეული მეცხოველეობის სეედრითი წილი დაბალია, იგი 10%-ს არ აღემატება.

ხორცის წარმოების პრობლემის გადაწყვეტას ჩინელები ცდილობენ ბეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებით. 1985 წლის

მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში დაახლოებით 320 მლნ. სული ღორი იყო. მეღორეობა განვითარებულია როგორც მიწათმოქმედების ზონაში, ისე ქვეყნის დასავლეთით, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებში არსებობს დიდი სპეციალიზებული მეღორეობის მეურნეობები. მეფრინველეობაც ქვეყნის ყველა ზონაშია წარმოდგენილი, ელეხურ მეურნეობებში და კოოპერატიულ გაერთიანებებში მას ინდივიდუალური ხასიათი აქვს, ხოლო დიდი ქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო მეურნეობებში—სამრეწველო ხასიათი, სადაც არსებობს თანამედროვე ტიპის მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკები.

ჩინეთში წარმოდგენილია მეცხვარეობაც, რომელიც ქვეყნის დასავლეთ პროვინციებშია გაადგილებული, მათი რაოდენობა არ არის აღრიცხული, ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში 60—70 მლნ. სული ცხვარია. მთიანი ზონის მცხოვრებთათვის ცხვრის რძე და ყველი კვების ძირითადი პროდუქტია, მატყლი კი წარმოადგენს საფეიქრო საწარმოებისათვის ძირითად ნედლეულს.

ქვეყანაში უხსოვარი დროიდან მისდევდნენ მეაბრეშუმეობას. ჩინეთი წარმოადგენს აბრეშუმის მწარმოებელ პირველ ქვეყანას. დღესაც ამ პროდუქციის მიხედვით ჩინეთს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამზადებენ უმაღლესი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილს, რომელიც გააქვთ ექსპორტზე, ძირითადად ევროპის ქვეყნებში.

ჩინეთში განვითარებულია მეფუტკრეობაც, იგი წარმოდგენილია საბჭრეთ-დასავლეთის ზონაში. თაფლი, ფუტკრის ცვილი და შხამი გააქვთ ექსპორტზე.

მეცხოველეობის უძველესი დარგია მეცხენეობა, რომელსაც მასღევენ ქვეყნის ყველა ბუნებრივ-ეკონომიკურ ზონაში. მიწათმოქმედების რაიონებში ცხენს იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას, ხოლო მთიან ზონაში, კერძოდ ტიბეტში—მას სამრეწველო ხასიათიც აქვს, მის ხორცსა და რძეს იყენებენ კვების პროდუქტებად.

მოსახლეობის კვების ბალანსში გარკვეული ადგილი უჭირავს თევზსა და ზღვის სხვა პროდუქტებს. ზღვის ტერიტორიული და შიდა წყლები მდიდარია თევზით, რომლის ჭერას როგორც სამრეწველო, ისე ინდივიდუალური ხასიათი აქვს. შექმნილია თევზჭერის ფლოტილიები, რომლებიც თევზის რეწვას ეწევიან როგორც მიმდებარე, ისე მსოფლიო ოკეანეებში. თევზჭერით ჩინეთს მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. დამუშავებული თევზის ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ.

ჩინეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოება მოითხოვს გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის განვითარებას. არსებობს როგორც სამრეწველო, ისე კუსტარული ტიპის გადამამუშავებელი საწარმოე-

ბი. კარგადაა წარმოდგენილი საექსპორტო პროდუქციის სამრეწველო გადამუშავება, მაგალითად, ქვეყანაში ჩეკრია ჩაის ფოთლის პირველადი და მეორადი გადამუშავების თანამედროვე ტიპის საწარმოები. აგებულია ხორცკომბინატები და სამაცივრო სათავსები, განვითარებულია მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობა, დღეისათვის ჩინური მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, რომელსაც მიაღწია ჩინეთის სოფლის მეურნეობამ უკანასკნელ ათწლეულში, იგი ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგია და თავისი ბუნებრივი შესაძლებლობების მხოლოდ 60—65% იყენებს. ამის მიზეზია წარმოების გაუმართლებელი წესი, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოებრივ ან კოლექტიურ საკუთრებას. სოციალისტურმა ექსპერიმენტმა, რომელიც ძალდატანებით გატარდა ქვეყანაში, არ გამოიღო სასურველი შედეგი და ჩინეთი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მსგავსად, ძნიშნელოვნად ჩამოარჩინა, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს.

ჩინეთში არსებობს სპეციალური ტიპის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, რომლებიც ამზადებენ მაღალკვალიფიციურ კადრებს, როგორც სოფლის მეურნეობისათვის, ასევე გადამამუშავებელი მრეწველობისათვის. არის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, მრავალრიცხოვანი სამეცნიერო დაწესებულებებით, რომლებსაც საკმაოდ მაღალი შედეგები აქვთ. საკმაოდ ნაყოფიერ კვლევას ატარებენ მეაბრეშუმეობისა და მეჩაიეობის სამეცნიერო ცენტრები, რომელთა მიღწევებიც კარგადაა ცნობილი ქართველი მეცნიერებისათვის.

კორეა

კორეა მდებარეობს აზიის აღმოსავლეთით და უჭირავს ამავე სახელწოდების ნახევარკუნძული. მას ეკუთვნის აგრეთვე 3 ათასამდე მიმდებარე კუნძული. ქვეყანა ამჟამად ორ ნაწილადაა გაყოფილი, ჩრდილოეთ კორეა დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას. ქვეყნის საერთო ტერიტორია 221 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—60 მილიონამდე. ჩრდილოეთ კორეის ტერიტორია 121 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—20 მილიონამდე, დედაქალაქია—ფხენიანი, სამხრეთ კორეის ფართობი—98,5 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—40 მილიონი, დედაქალაქია—სეული. ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო 1949 წელს.

როგორც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, ნახევარკუნძული დასახლებული იყო ჯერ კიდევ პალეოლითის პერიოდში.

კორეელი ხალხის ფორმირებაზე გავლენა იქონია ჩინელებმა და რეგიონის სხვა ხალხებმა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე კორეაში არსებობდა მოსათმფლობელური სახელმწიფოები, მომდევნო პერიოდში იგი ხშირად ხდებოდა სხვა სახელმწიფოების აგრესიის მსხვერპლი. მის ტერიტორიაზე ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოც არსებობდა. X საუკუნეში სახელმწიფოებრივი ერთიანობა აღდგა. 1232 წელს კორეაში შეიჭრნენ მონღოლები, რომელთა ბატონობა ორ საუკუნემდე გაგრძელდა. XVI საუკუნეში კორეა გახდა იაპონელების აგრესიის მსხვერპლი, შემდეგ პერიოდში იგი მანჯურიელებმა დაიპყრეს, ეს მდგომარეობა მცირეოდენი შესვენებებით გრძელდებოდა მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე. 1948 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩარევით ჩრდილოეთ კორეაში დამყარდა კომუნისტური დიქტატურა, რომელიც ყველაზე საზიზღარი ფორმით დღემდე გრძელდება. ხოლო სამხრეთ კორეა დაადგა თავისუფალი განვითარების გზას და დღესათვის ერთ-ერთი მოწინავე, მაღალვანვითარებული ქვეყანაა მსოფლიოში.

კორეა მთიანი ქვეყანაა, მთებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 80%, ზღვის დონიდან საშუალო სიმაღლე 480 მეტრია. მთები მდებარეობენ ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით. მათი საშუალო სიმაღლე 1500 მეტრამდეა, თუმცა ცალკეული მწვერვალები 2300—2400 მეტრსაც აღწევს. ქვეყანა შედარებით ღარიბია დაბლობებით. მათი საერთო რაოდენობა ქვეყნის ტერიტორიის 1/4 არ აღემატება. დაბლობი ძირითადად წარმოდგენილია სანაპირო ზოლით და მდინარეთა ხეობებით.

მიუხედავად იმისა, რომ კორეა მდებარეობს სამხრეთ განედზე და სამივე მხრიდან აკრავს ზღვა, მისი კლიმატი, ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე, ზომიერი და შედარებით მკაცრია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ზამთრობით მშრალი, ცივი ჰაერი შემოდის კონტინენტის სიღრმიდან, ხოლო ზაფხულობით ბატონობს ოკეანის საჰაერო ნაკადები, რომლებსაც თან მოაქვთ უხვი ატმოსფერული ნალექები. კორეაში სეზონური განსხვავებები გამოიხატება მკვეთრად. ზამთრის მუსონი გამოკვეთილად ჩანს. ნოემბრიდან მარტამდე — დგას ნათელი, მშრალი, ცივი ამინდი, მარტიდან იწყება დათბობა, იზრდება ჰაერის ტენიანობა, ივლისში კორეის ტერიტორიაზე უკვე ბატონობს ზაფხულის მუსონი, წვიმიანი ამინდებით.

კორეა ტემპერატურული კონტრასტების ქვეყანაა, სიცივესა და სითბოს შორის სხვაობა 40°-მდე აღწევს. მაისიდან ოქტომბრამდე საშუალო ტემპერატურაა +16°C. ატმოსფერული ნალექები მერყეობს 600—1500 მმ-მდე, ყველაზე დიდი რაოდენობით ნალექი მოდის სამ-

ოლეთ პროვინციებში. კორეა მდიდარია წყლის რესურსებით, კარგადაა გაბვითარებული მდინარეთა ქსელი, თითქმის ყველა მდინარე იწყება მთებში, მათი დინება სწრაფია და ხოსნობისათვის გამოიყენება მხოლოდ ქვემო წელში. ქვეყანაში ბევრია კამბალი და წყალსაცავი, რომელიც საჭიროა არა ძარტო ჰიდროენერგიისათვის, არამედ სორწყვისათვისაც.

კორეა გამოირჩევა მდიდარი და მრავალფეროვანი ნიადაგობრივი და მცენარეული საფარით. ქვეყნის ჩრდილოეთით გავრცელებულია მთის რუხი ალუვიური ნიადაგები, რომლებიც გარკვეულ სიმაღლეზე გადადის მთის ნიადაგებში, სამხრეთით სუბარქტიკულ—რუხი და მთის რუსი ნიადაგები. ქვეყნის უკიდურესი სამხრეთი წარმოადგენს სუბტროპიკულ ზონას, აქ წარმოდგენილია ყვითელმიწები.

კორეის ფლორა 3 ათასამდე სახეობას შეიცავს. წარმოდგენილია ნაძვის 8, მუხის 22, ცაცხვის 32 სახეობა და ა. შ. ნახევარკუნძულზე ბევრია ტყიანი ბაიები, ვხვდებით როგორც ფოთლოვან, ისე წიწვოვან ტყეებს, ტყე-ბუჩქნარებზე ბოდის ქვეყნის ტერიტორიის 60%-მდე.

კორეელები მსოფლიოს უძველეს ხალხებს ეკუთვნიან, ნაციონალური შემადგენლობით ისინი ერთგვაროვანი არიან, ძხოლოდ მცირე რაოდენობით ვხვდებით სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს. მაგალითად, ჩრდილოეთით სახლობენ ჩინელები, სამხრეთით იაპონელები და ფილიპინელები. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 255 კაცია. ჩრდილოეთ კორეაში ჯერ კიდევ სჭარბობს სოფლის მოსახლეობა, ხოლო სამხრეთ კორეაში შეფარდება სანახევროა. მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 2/3, რაც საკმაოდ მაღალი პროცენტია.

50-იანი წლებიდან კორეის ეკონომიკის ფორმირება წარმოებდა განსხვავებულ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებში. ჩრდილოეთით ეს პროცესი იძულებითი ხასიათის იყო და წინააღმდეგობებით მიმდინარეობდა, სამხრეთში კი ეკონომიკის განვითარებას საფუძვლად ედო კერძო საკუთრება და იგი ბურჟუაზიული გზით ვითარდებოდა. განსხვავებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლებიც.

ჩრდილოეთ კორეა

ჩრდილოეთ კორეა (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო ინდივიდუალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, 1949 წელს შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები, ხოლო ინდივიდუალური მიწათმოქმედები გაერთიანდნენ კოოპერატივებში, პროცესს ჰქონდა ძალდატანებითი ხასიათი და დამთავრდა 1958 წელს. დღეისათვის მი-

წის მესაკუთრედ გვევლინებიან სახელმწიფო და კოოპერატივები. ყოფილი საბჭოთა კავშირის მსგავსად კოოპერატივებში გაერთიანებულ გლეხებს აქვთ მცირე ოდენობით საკარმიდამო ნაკვეთები. როგორც ჩრდილოეთ კორეის სტატისტიკური მონაცემები გვაუწყებენ, ქვეყნის სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მოსახლეობას კვების პროდუქტებით, გადამამუშავებელ მრეწველობას—ნედლეულით და ნაწილი გააქვთ კიდეც ექსპორტზე.

ჩრდილოეთ კორეა მთაგორიანი ქვეყანაა, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა შეზღუდულია, მუშავდება ტერიტორიის 1/6, მიწათმოქმედებისათვის ვარგისია 2 მლნ. ჰექტარი, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,1 ჰექტარს შეადგენს. მცირემიწიანობა აიძულებს კორეელ გლეხს რაციონალურ მიწათმოქმედებას. ვინაიდან ქვეყანაში ნალექების რაოდენობა არათანაბარია, ხოლო ჩრდილოეთ კორეაში გვხვდება მშრალი პროვინციებიც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სარწყავი მიწათმოქმედება. ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან გაჰყავდათ სარწყავი სისტემები, ამ სამუშაოებმა ბოლო პერიოდში საყოველთაო ხასიათი მიიღო. დღეისათვის, ქვეყანაში 1500 მეტი წყალსაცავია, აქედან 120—დიდი. აშენებულია 17 ათასი წყლის აძქაჩავი სადგური, სარწყავი სისტემების სიგრძე 40 ათას კმ-ს აღემატება. სარწყავი ფართობის რაოდენობა 1,1 მლნ. ჰექტარია, ძირითადად რწყავენ შედარებით ნაყოფიერ მიწებს, რომლებიც მაღალ მოსავალს იძლევიან.

ჩრდილოეთ კორეის მთავარი მარცვლეული კულტურაა ბრინჯი, რომელიც მოჰყავთ სარწყავ მიწებზე. გაზაფხულზე სპეციალურ სანერგეებში გამოჰყავთ ბრინჯის ჩითილები, რომელსაც შემდეგ რგავენ მინდვრებში. ბრინჯი მოჰყავთ დატბორილ ფართობებზე, რისთვისაც ნაკვეთები შემორაგვულია მიწაყრილებით. ბრინჯის მთავარი ნათესები მდებარეობს ქ. ფხენიანიდან სამხრეთ-დასავლეთით. სამწუხაროდ, ქვეყანაში არ ქვეყნდება სტატისტიკური მონაცემები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მოჰყავთ დაახლოებით 2,8—3,0 მლნ. ტონა ბრინჯი.

მარცვლეულიდან მნიშვნელოვანია სიმინდი, რომელიც კორეელი გლეხისათვის კვების ძირითადი პროდუქტია. სიმინდი მოჰყავთ ყველგან, განსაკუთრებით საკარმიდამო ნაკვეთებზე და კოოპერატივებში, სიმინდს უკავია დაახლოებით 90—100 ათასი ჰექტარი, საერთო წარმოება—800 ათას ტონამდე.

ჩრდილოეთ კორეა პარკოსანი კულტურების მსხვილი მწარმოე-

ბელია, მაგალითად, სოიას კულტურა წარმოდგენილია თითქმის ყველა პროვინციაში, ამ პროდუქტს ხმაროობენ ყოველდღიურად. სოია უშუალოდ წარმოადგენს მოსახლეობისათვის კვების ძირითად პროდუქტს. მისგან ამზადებენ მცენარეულ ზეთსაც. პარკოსნების ნათესები უმთავრესად ურწყავ მიწებზე მოჰყავთ, სოიას საშუალო წლიური წარმოება 350—400 ტონაა. გარდა ამისა მოჰყავთ ლობიო, რომელიც ძირითადად სიმინდის ნათესებშია შეთესილი.

საკმაო რაოდენობით მოჰყავთ თამბაქო, რომელიც ურწყავ მიწებზეა გაადგილებული. თამბაქოს ნედლეული გააქვთ იაპონიასა და ჰონკონგში, ქვეყანაში არსებობს რამდენიმე თამბაქოს ფაბრიკა, რომლებიც მაღალი ხარისხის სიგარეტების წარმოებით არის ცნობილი. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ შაერის ჭარხალი, რომელიც აღგილზე მუშავდება, თუმცა, ქვეყანას საკუთარი წარმოების შაქარი არ ჰყოფნის და შემოაქვს იგი სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან. მოჰყავთ ორიგინალური, ტექნიკური კულტურა ჟენშენი, რომელიც ფარმაკოლოგიური მრეწველობისათვის ბვირფას ნედლეულს წარმოადგენს. კორეული ჟენშენი დიდი რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ და დიდი მოთხოვნილებითაც სარგებლობს.

თითქმის ყველა პროვინციაში მისდევენ მებოსტნეობას, ვანსაკუთრებით კარგადაა განვითარებული იგი დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში. მოჰყავთ ღია და დახურული გრუნტის ბოსტნეული, ამზადებენ ხმელ სუნელებსაც. მემცენარეობის ეს მიმართულება სამრეწველო საფუძველზეა, რისთვისაც უნარიანად იყენებენ თერმულ წყლებს.

განვითარებულია მებაღეობა, რომელიც ძირითადად მთის ფერდობებზეა გაშენებული, ბაღებს უჭირავს 300 ათას ჰექტარამდე მიწის ფართობი. ყველაზე უფრო გავრცელებულია ალუბალი, ვაშლი, მსხალი, ატამი. მებაღეობას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, არსებობს სპეციალიზებული მეურნეობებიც. კარგადაა წარმოდგენილი მევენახეობა, მოჰყავთ სუფრისა და საღვინე ყურძენი, ღვინოს აყენებენ აღმოსავლური წესით. დიდი ყურადღება ექცევა არომატს, ღვინის ნაწარმი მცირე რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ.

კორეა მეაბრეშუმეობის უძველესი ქვეყანაა. აქაური აბრეშუმი უმაღლესი ხარისხისაა, იგი წარმოდგენილია უმთავრესად ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში, თუმცა არსებობს თუთის სპეციალური პლანტაციებიც, რომლებიც სახელმწიფოს ხელშია.

მეცხოველეობაზე მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 1/3. ძირითადად მისდევენ მეღორეობას, რომელთა სულადობა 2,5 მილიონია, ამზადებენ ღორის ძეხვეულს, ბეკონს. არსებობს მეღორეობის

სპეციალიზებული მეურნეობებიც, მაგრამ ძირითადად მეღორეობა გლეხურ მეურნეობებშია წარმოდგენილი. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც ადგილობრივი ჯიშისაა და წარმოდგენილია შერეული ჯოგებით, პროდუქტიულობა 2800—3000 ლიტრია. ზაფხულში უნარიანად იყენებენ მთის საძოვრებს, ხოლო ზამთარში პირუტყვი ბაგურ კვებაზე ჰყავთ. მერძეული ჯოგი შედარებით უკეთეს კვების რაციონზეა, ვიდრე სხვა კატეგორიის პირუტყვი. როგორც წესი, ყველა სახელმწიფო საწარმოებში და კოოპერატივებში წარმოდგენილია მეცხოველეობის ფერმები, თუმცა, არსებობს სპეციალიზებული საწარმოებიც. მთებში ჰყავთ ცხვარი, ვარაუდობენ, რომ მათი სულადობა 3,5—4 მილიონია. მეცხვარეობას მომთაბარე ხასიათი აქვს, ზამთრობით ცხვრის ფარა ჩამოჰყავთ ზღვისპირა მინდვრებში, ხოლო ზამთრობით იყენებენ მთის ნოყიერ საძოვრებს. დამზადებულ მატყლს ძირითადად იყენებენ კუსტარული ნაწარმის დასამზადებლად. ბოლო პერიოდში გარკვეული განვითარება ჰპოვა მეფრინველეობამ, რომელიც არსებობს როგორც სპეციალიზებული მეურნეობების სახით, ისე გლეხურ მეურნეობებში.

ჩრდილოეთ კორეა, როგორც მათი სტატისტიკური ცნობარები ამტკიცებენ, საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე იკმაყოფილებს, თუმცა ვთვლით, რომ სურსათის პრობლემა ქვეყანაში ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

სამხრეთ კორეა

სამხრეთ კორეა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის განვითარებას ბიძგი მისცა ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, უცხოური კაპიტალის მოზიდვამ, ერთობლივი საწარმოებისა და ფირმების შექმნამ. დღევანდელი სამხრეთ კორეა კონკურენციას უწევს მსოფლიო ეკონომიკის ისეთ გიგანტებს, როგორიცაა აშშ, იაპონია, ევროპის განვითარებული ქვეყნები.

1949 წელს სამხრეთ კორეაში ჩატარდა მიწის რეფორმა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა მემამულური მეურნეობების მიწის ფართობების სიდიდე, ხოლო ჩამონაჭერი მიწები გლეხებს მიეყიდათ. დღეისათვის არსებობს მსხვილი მეურნეობები, რომლებიც უმეტესად სპეციალიზებული ხასიათისაა, და წვრილგლეხური მეურნეობები, რომლებიც გაერთიანებული არიან მარტივი კოოპერაციის პრინციპის მიხედვით.

სამხრეთ კორეაც მცირემიწიანი ქვეყანაა. სახნავის რაოდენობა 2,3 მლნ. ჰექტარს არ აღემატება რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,05 ჰა უდრის. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოიყენება

ქვეყნის ტერიტორიის 1/4. სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი რაოდენობა განლაგებულია ქვეყნის დასავლეთ და სამხრეთ პროვინციებში.

მცირემიწიანობა რაციონალური მიწათმოქმედების აუცილებლობას იწვევს. ტექნოლოგიური პროცესები მექანიზებულია, ფართოდ იყენებენ ინტენსიფიკაციის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ქიმიზაცია და მელიორაცია. ენერგოშეიარაღების მაჩვენებლით სამხრეთ კორეა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აზიის ქვეყნებს შორის (92 ცხენის ძალა). ქვეყანაში არსებობს საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. ამზადებენ სამთო ტიპის ტექნიკას, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ. მინიტრაქტორები ყველა გლეხურ მეურნეობაშია გამოყენებული. სასუქებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია, სახნავის 68% ირწყვება, მარცვლეულის მოსავლიანობით ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას რეგიონში. დიდ ყურადღებას აქცევენ მეცნიერული მიღწევების წარმოებაში დანერგვას, განსაკუთრებით, სელექციურ მუშაობას. სახნავის უმეტეს ფართობზე იღებენ ორ მოსავალს, შემუშავებული აქვთ კულტურათა მორიგეობის რაციონალური სქემები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვედრითი წილი ქვეყნის ეროვნულ შემოსავალში 14,8% უდრის (1950 წელს ეს მაჩვენებელი 61% შეადგენდა).

სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთავარი დარგია მემცენარეობა, რომლის წილადაც მოდის წარმოებული პროდუქციის 58%. მთავარი კულტურაა ბრინჯი, რომელსაც უკავია 1,2 მლნ. ჰექტარი. ბრინჯის საერთო წარმოება 6,8 მლნ. ტონას შეადგენს. გავრცელებულია წყლის ბრინჯი, რომელიც დატბორილ ნაკვეთზე მოჰყავთ. მარცვლეულიდან წარმოდგენილია აგრეთვე სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, რომელთა საერთო წარმოება 4,3 მლნ. ტონაა.

განვითარებულია მეხილეობა. სამხრეთში მოჰყავთ სუბტროპიკული კულტურები, მათ შორის საკმაოდ დიდი რაოდენობით—ლიმონი და გრეიფრუტი. ქვეყნის ჩრდილოეთით მოჰყავთ ყურძენიც, რომელიც ძირითადად გადამუშავებაზე მიდის. წარმოდგენილია ტექნიკური კულტურებიც, კერძოდ თამბაქო, შაქრის ჭარხალი და სხვ. დიდი რაოდენობით მოჰყავთ სოია, რომლიდანაც ამზადებენ მცენარეულ ზეთს.

განვითარებულია მეცხოველეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მათი სულადობა 5 მლნ-მდეა. არსებობს მეცხოველეობის სპეციალიზებული მეურნეობები, პირუტყვი პროდუქტიულია. საშუალო წველადობა 4200

ლიტრია. მეწველი პირუტყვი ძირითადად ბავურ კვებაზეა, ხოლო სუქებაზე დაყენებული პირუტყვი—ნერეულ კვებაზე. ამზადებენ ყველს, კარაქს, ძეხვეულს. უნდა, აღინიშნოს, რომ რძის ფხვნილი ქვეყანას ჯერ კიდევ შემოაქვს ავსტრალიიდან.

კარგადაა წარმოდგენილი მეღორეობა. სულადობა 4,2 მილიონს უდრის. ღორი ჰყავთ ყველა გლეხურ მეურნეობაში, არსებობს სპეციალიზებული საწარმოებიც. ცხვრის სულადობა 6 მილიონამდეა, ძირითადად მთიან ზონაში. ამზადებენ მაღალი ხარისხის მატყლს, რომელიც სამრეწველო გადამუშავებაზე მიდის. კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა. სამხრეთ კორეა უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს როგორც ფრინველის ხორცზე, ისე კვერცხზე.

მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეფექტიანია, სახელმწიფო მაინც აძლევს სოფლის მეურნეობის მუშაკებს დოტაციას, გრძელვადიან კრედიტებს, უქმნის ხელსაყრელ საბაზრო პირობებს, ამის შედეგია ის, რომ ქვეყანას თითქმის არ ჭირდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოტანა, იგი საკუთარ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს.

კორეელთა რაციონში გარკვეული ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი თევზის პროდუქცია, რომელსაც ნახევარკუნძულის ორივე სახელმწიფოში სამრეწველო ხასიათი აქვს, თევზის ნაწარმი გააქვთ ავრეთვე ექსპორტზე.

კორეაში (ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც) არსებობს სასოფლო-სამეურნეო განათლების მძლავრი ცენტრები, ჩრდილოეთში ისინი წარმოდგენილია დამოუკიდებელი ინსტიტუტების სახით, ხოლო სამხრეთით—უნივერსიტეტში, ფაკულტეტების სახით. ორივე ქვეყანაში მიმდინარეობს ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა.

იაპონია

იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მაღალინდუსტრიული ქვეყანაა. იგი განლაგებულია კუნძულებზე და მდებარეობს აზიის უკიდურეს აღმოსავლეთში. იაპონიის ტერიტორია 372 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—120 მილიონი (მეექვსე ადგილი მსოფლიოში), დედაქალაქი—ტოკიო. ქვეყანაში კონსტიტუციურ-მონარქიული მმართველობაა. მთავარი კუნძულებია: ხონსიუ, კიუსიუ, სიკოკუ და ჰოკაიდო. გარდა ამისა მასვე ეკუთვნის მიმდებარე კუნძულები, რომელთა რაოდენობაც 4 ათასამდეა.

იაპონია უძველესი დროიდან იყო დასახლებული. ჩვენი წ. აღრიცხვის დასაწყისისათვის ქვეყანაში რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა, რომლებსაც ერთმანეთთან ქიშპობა და ომი

ჰქონდათ. VII საუკუნეში ცენტრალურ იაპონიაში შეიქმნა ძლიერი სახელმწიფო, 1274—1281 წლებში მონღოლებმა დაიპყრეს რა ჩინეთი, შეეცადნენ იაპონიის კუნძულებზე შეღწევას, მაგრამ ყველა მათი ცდა ჩაფუშა ქარიშხლებმა, რომლებმაც გაანადგურა მონღოლთა ფლოტი შეარქვეს „კამიკაძე“ — რაც ნიშნავს „ღვთიურ ქარს“. ევროპელები აქ პირველად გამოჩნდნენ 1540 წელს. მათ შემოიტანეს ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც მალე იქნა ათვისებული იაპონელების მიერ. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე იაპონელთა საზღვრები დახურული იყო ევროპელთათვის. მხოლოდ 1854 წელს გამოვიდა იგი იზოლაციიდან. ამ პერიოდიდან იწყება მისი ფართო პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში იაპონიამ განახორციელა რამდენიმე მსხვილი სამხედრო აქცია აზიაში, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს დაიპყრო ჩინეთი, კორეა და სამხრეთ აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნები. 1945 წელს იაპონიის ორი ქალაქის ატომური დაბომბვის შემდეგ ქვეყანამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას.

იაპონია რესურსმატარებელი ყოფილა არ იყო, არც კაპიტალი გააჩნდა, მაგრამ მის ხალხს აღმოაჩნდა გასაოცარი შრომისმოყვარეობის უნარი, მათ შექმნეს უახლესი ტექნოლოგიები, განავითარეს ელექტრონიკა და დღეს ეროვნული შემოსავლით მეორე ადგილზეა მსოფლიოში, აშშ-ის შემდეგ.

ქვეყნის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია. იგი გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 3500 კმ-ზე. ყველაზე ჩრდილოეთით მდებარეობს კუნძული ჰოკაიდო ვლადივოსტოკის განედზე, ხოლო ქვეყნის სამხრეთი ნაწილი — მექსიკის ყურის განედზე, ტროპიკულ სარტყელში.

იაპონიის კუნძულები მატერიკული წარმოშობისაა. იგი სეისმურ ზონაში მდებარეობს. წლის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორიაზე 1500 მიწისძვრა აღირიცხება, გარდა ამისა ხშირია ე. წ. „ზღვის ძვრებიც“, რომლებიც უზარმაზარი ტალღების სახით (ცუნამი) თავს ატყდება ქვეყანას.

ქვეყნის კუნძულოვანი მდებარეობა განსაზღვრავს ბუნების სპეციფიკურობას, კლიმატის თავისებურებას, ფაუნისა და ფლორის ენდემურობას, რაც იმას ნიშნავს, რომ იაპონიაში მრავლადაა მცენარეები და ცხოველები, რომლებიც მსოფლიოში სხვაგან არ გვხვდებიან. იაპონიისათვის ტიპურია ლამაზი სანაპირო ყურეები და პატარა კუნძულები, მწვანე, ხშირი მცენარეული საფარით. მართალია იგი საზღვაო ქვეყანაა, მაგრამ მაინც მთიან სახელმწიფოს განეკუთვნება. მთებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 3/4. იაპონიის პეიზაჟში სჭარ-

ბობს საშუალო სიმაღლის მთები და ზეგნები. შედარებით მაღალი იაპონური ალპები, რომელიც კუნძულ ხონსიუზე მდებარეობს. მთები ქმნიან ულამაზეს ლანდშაფტს, რომლითაც იაპონია გამოირჩევა მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან.

დაბლობებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 15%, მათზე ცხოვრობს მოსახლეობის 80%, ისინი უმთავრესად განლაგებულია სანაპირო ზოლში, რომელთა სიგანე მერყეობს რამდენიმე კილომეტრიდან 150—160 კილომეტრამდე.

როგორც აღვნიშნეთ, იაპონია ღარიბია წიაღისეულით, მცირე რაოდენობით მოიპოვება ტყვია, თუთია, დოლომიტი, დარიშხანი, ბორიდი, ნახშირი. ქვეყანას შემოაქვს სპილენძის ნედლეულის—3/4, რკინის—9/10, ქვანახშირის—8/10, 1/2 ტყვიის, თუთიის, ნავთობის—80%.

იაპონიის მდებარეობა განაპირობებს მისი კლიმატის ხასიათს, იგი მუსონურია და ჰარბტენიანი, წარმოდგენილია კლიმატის რამდენიმე სარტყელი. ჩრდილოეთის—შედარებით მკაცრი კლიმატიდან, სამხრეთის—ტროპიკულამდე. კლიმატზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს კუროსიოს თბილი დინება, რომლის ერთი შტო იაპონიის ზღვაშიც შემოდის. ნალექების რაოდენობა 2—3-ჯერ მეტია, ვიდრე მატერიკულ აზიაში, იგი მერყეობს 1000—3000 მმ-მდე. ზამთარი ჩრდილოეთით საკმაოდ მკაცრია, იანვრის ტემპერატურა კუძულ ჰოკაიდზე—10°, ხშირია თოვლიანი ქარბუქი, სამხრეთში ამ დროს +17° სითბოა, ზაფხული ცხელი, წვიმიანი და ნისლიანია. ივლის-აგვისტოში იაპონიის ტერიტორიაზე ხშირია ტაიფუნები, რომელთა რაოდენობა წლის განმავლობაში 10—15-ია. ქვეყანაში გამოკვეთილია ოთხი კლიმატური ზონა: ზომიერი—ცივი (კ. ჰოკაიდო), ზომიერი—თბილი (კ. ჰონსიუ), სუბტროპიკული (კ. კიუსიუ), ტროპიკული (არქიპელაგი სიუკიუს სამხრეთი). იაპონიის აგროკლიმატური რესურსები მრავალფეროვანია. კუნძულ ჰოკაიდოზე სავეგეტაციო დღეების რაოდენობა 120-ია, რაც იძლევა სწრაფმწიფადი მარცვლოვანი კულტურების მოყვანის საშუალებას. კუნძულ ხონსიუზე და კიუსიუზე ორი წლის განმავლობაში სამი მოსავლის მოწევა შეიძლება. ქვეყნის სამხრეთი იძლევა საშუალებას წლის განმავლობაში ბრინჯის ორი და მეტი მოსავლის მოწევისა. აგრეთვე მთელი წლის განმავლობაშია ციტრუსების, ბატუტის, ჩაის მოსავალი.

იაპონია კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მდინარეები მრავალრიცხოვანია, მაგრამ მოკლე. ისინი სწრაფი დინებისაა, იყენებენ ხე-ტყის დასაცურებლად, ხოლო ქვემოწელში—მორწყვისათვის. ქვეყანაში არსებობს მრავალი მცირე მოცულობის ტბა. მიუხედავად წყლის საკმაო რესურსებისა, იაპონია მაინც განიცდის წყლის

დეფიციტს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა წყლის მოხმარება, მაგალითად, თუ საფრანგეთში წლის განმავლობაში ერთ სულზე დახარჯული წყლის რაოდენობას მივიღებთ ერთ ერთეულად (1). იაპონიაში ეს მაჩვენებელი 1,6 იქნება. ამიტომ ფართოდ იყენებენ გრუნტის წყლებსაც.

ქვეყნის ტერიტორიის 2/3 (კ. ჰოკაიდოზე 3/4). დაფარულია ტყით, რომელიც მრავალფეროვანი შემადგენლობისაა. მიუხედავად ტყის საკმაოდ დიდი მარაგებისა, იაპონია მცირე ოდენობით ეწევა მის სამრეწველო ექსპლოატაციას. ტყე მოსახლეობის მუდმივი ზრუნვის საგანია. იაპონიაში გვხვდება მსოფლიოში გავრცელებული ხე-მცენარეების ჯიშობრივი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მრავალფეროვანია ქვეყნის ნიადაგობრივი საფარიც, ვხვდებით ყველა ტიპის ნიადაგებს (ვარდა უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოს), რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით. ნიადაგების სტრუქტურა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებას იძლევა.

ქვეყნის მოსახლეობის 99% იაპონელებია, სხვა ეთნოწარმომადგენლებიდან არიან მხოლოდ კორეელები (600 ათასამდე), მაღალია მოსახლეობის სიმჭიდროვე (310 კაცი ერთ კვ. კმ-ზე). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 60 მილიონია, რომელთაგან სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ დარგებში დასაქმებულია 1/5; მრეწველობაში—1/3, მომსახურების სფეროში—2/5. მაღალია ურბანიზაციის დონე, დღეისათვის მოსახლეობის 80%-ზე მეტი ცხოვრობს ქალაქად. ქვეყანაში 12 მილიონიანი ქალაქია, დედაქალაქში ცხოვრობს 10 მილონამდე კაცი.

იაპონია მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობით იგი მეორე ადგილზეა მსოფლიოში (აშშ-ის შემდეგ), ხოლო მთელ რიგ დარგებში პირველი ადგილი უჭირავს (გამოთვლითი ტექნიკა, ელექტრონიკა, სამედიცინო მიწყობილობა და ა. შ.).

მაღალგანვითარებულია სოფლის მეურნეობაც, თუმცა. იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მრეწველობას. იაპონიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მცირემიწიანობა, ერთ სულზე გაანგარიშებით 0,13 ჰექტარი მოდის, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგული—0,22 ჰა. სასოფლო-სამეურნეო წარმოება ინდუსტრიულია, ენერგოშეიარაღება 105 ცხენის ძალაა, ძირითადად იყენებენ მიკრო და სამთო ტექნიკას, მაღალია ელექტროენერგიის გამოყენების დონეც.

სოფლის მეურნეობა მრავალდარგოვანია. ამის საშუალებას იძ-

ლევა ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები. მიწათმოქმედება და მეცხოველეობა მაღალპროდუქტიულია. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ისწავლეს იაპონელებმა რაციონალური მიწათმოქმედება, ქვეყანაში არ არსებობს გამოუყენებელი მიწები, ყველა ტიპის ნიადაგს მისადაგებული აქვს შესაფერისი კულტურა, რომელიც ყველაზე მეტ საწარმოო ეფექტს იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეების მანძილზე შეუსვენებლად ეწევიან სავარგულების ექსპლუატაციას, მათი ნაყოფიერება არ მცირდება, რაც იაპონელი გლეხის არა მარტო შრომისმოყვარეობისა და მიწის სიყვარულის შედეგია, არამედ მის პროფესიონალიზმზეც მეტყველებს. სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის შექმნილია სამამულო აგროტექნიკა, რომელიც განსაცვიფრებელია თავისი რაციონალურობით.

იაპონიის სოფლის მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა, რომელიც მრავალდარგოვანია. მასში გამოკვეთილია სამი ძირითადი მიმართულება: მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და ჩაის წარმოება. გარკვეულ როლს ასრულებს მებაღეობა, მებოსტნეობა და მეაბრეშუმეობა. ამ უკანასკნელს ათი საუკუნის ისტორია აქვს. მნიშვნელობით მეორე დარგია მეცხოველეობა. სოფლის მეურნეობას განეკუთვნება აგრეთვე ტყის რეწვა და მეთევზეობა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონიის სოფლის მეურნეობა წარმოდგენილი იყო 4,5 მლნ. გლეხური მეურნეობით, ძირითადად ისინი შცირემიწიანი გლეხები იყვნენ, რომლებიც ფლობდნენ 1 ჰა და უფრო ნაკლებ მიწას. მემამულეთა ძირითადი რაოდენობა (მათი რიცხვი კი 600 ათასამდე იყო) ფლობდა 5—10 ჰექტარ მიწის ფართობს, როგორც წესი, ისინი მიწას იჯარით აძლევდნენ უმიწაწყლო ან მცირემიწიან გლეხებს.

1946 წელს გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის მიხედვითაც მიწა გამოსყიდვას ექვემდებარება. მიწის ფართობის სიდიდე (ათვალისწინებული იყო 3 ჰექტარამდე (ს. ჰოკაიდოზე—5 ჰექტარამდე). რეფორმა ეხებოდა მხოლოდ სახნავ მიწებს. ტყის ნაკვეთები და სარწყავი სისტემა დარჩა წინანდელი მფლობელის ხელში. ნატურალური საიჯარო გადასახადი შეიცვალა ფულადით. სახელმწიფოს აგრარული რეფორმის ფონდში გამოსასყიდად დაგროვდა ერთ მილიონ ჰექტარამდე მიწის ფართობი, რომლის შეძენა შეიძლებოდა მხოლოდ ფულით. მცირემიწიანმა გლეხებმა შესძლეს შეეძინათ საშუალოდ 0,2 ჰექტარი, ხოლო ღარიბმა გლეხებმა საერთოდ ვერ შესძლეს მიწის შესყიდვა. მიუხედავად ამისა, რეფორმამ შეასრულა თავისი პოზიტიური როლი, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანაში აღარ დარჩა

დაუმუშავებელი მიწები, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რეფორმამდე.

50-იან წლებში წამოიწყეს მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომლის არსიც მდგომარეობდა იმაში, რომ ლიკვიდაცია უყვეს არასასაქონლო მეურნეობებს. ქვეყანა დაადგა ფერმერული განვითარების გზას, რომლითაც შეიქმნა სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ამას მოჰყვა კანონი მიწათმფლობელობის უფლების გადიდების შესახებ, შესაძლოდ იქნა მიჩნეული 5—8 ჰექტარიანი ფერმების არსებობა, რაც განხორციელდა წვრილგლეხური მეურნეობების გაერთიანებინ (სათანადო საზღაურით) საფუძველზე. დაიწყო სოფლის მეურნეობის საყოველთაო ინტენსიფიკაციის პროცესი, ფერმერები ევროპელთა მსგავსად გაერთიანდნენ კოოპერატივებში. სწრაფად განვითარდა საგარეუბნო მეურნეობებიც, შეიქმნა მებოსტნეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის მეურნეობები, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მაღალი დონით.

დამუშავებული მიწების რაოდენობა 6,2 მლნ. ჰექტარია, სათესი ფართობი სჭარბობს აღნიშნულ მაჩვენებელს, ვინაიდან ქვეყნის სამხრეთით, ფართობის ერთეულზე მოჰყავთ 2 და მეტი მოსავალი. მარცვლეულს უჭირავს სათესი ფართობის ნახევარი, ბოსტნეულ კულტურებს—1/4, დანარჩენი უკავია საკვებ ბალახებს, ტექნიკურ კულტურებს, თუთას და სხვ.

მიწათმოქმედებაში მთავარი კულტურაა ბრინჯი. რომლის საშუალო წლიური მოსავალი 18 მლნ. ტონაა. მოსავლიანობა მაღალია, სარწყავ მიწებზე—45 ცენტნერი, ზოგიერთი ჯიში 55 ცენტნერსაც იძლევა. ბრინჯის მაღალი მოსავლიანობა განპირობებულია იმით, რომ უნარიანად იყენებენ სასუქებს, შხამქიმიკატებს, მორწყვის რაციონალურ მეთოდებს (მორწყვის სისტემებში გამოყენებულია ელექტრომოტორები და ავტომატიკა), აწარმოებენ სელექციურ მუშაობას, რომლის ეფექტიანობას წინასწარ საზღვრავენ გამოთვლითი ტექნიკით. იაპონიაში შესძლეს მიეღოთ ბრინჯის ისეთი სახეობა, რომელიც იძლევა მაღალ საწარმოო შედეგებს ურწყავ მიწებზეც, გამძლეა სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენებისადმი და რაც მთავარია ძალზედ ყუათიანია. ბრინჯი წარმოადგენს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის კულტურას. მაღალია მისი მოყვანის მექანიზაცია, ხელით შრომა მინიმუმამდეა დაყვანილი.

მარცვლეულიდან მოჰყავთ აგრეთვე ხორბალი, სიმინდი. მათი ნათესები თანდათანობით მცირდება. ისინი დღეისათვის ურწყავ მიწებზეა დათესილი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ესა თუ ის ნაკვეთი სარწყავი გახდება. იქ უკვე თესავენ ბრინჯს. რომელიც მაღალი და მყარი მოსავლიანობით ხასიათდება. ზემოდასახელებული მარცვლეული კუ-

ლტურების საერთო მოსავალი 4,5—5 მლნ. ტონაა. ურწყავ გლეხურ მეურნეობებში პოპულარულია სიმინდი, რომელიც სოფლის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია.

სწრაფად ვითარდება მებოსტნეობა, რომელიც უკანასკნელ პერიოდში მაღალშემოსავლიანი დარგი გახდა, განსაკუთრებით საგარეუბნო ზონაში. ბოსტნეული მოჰყავთ მთელი წლის განმავლობაში, კარგად დაცულ და დამუშავებულ გრუნტში. ამ მიზნით გამოყენებულია ეთილენის გადახურვები. ბოსტნეულიდან მოჰყავთ პომიდორი, კიტრი, სალათი, წიწაკა, სტაფილო, სხვა სახის ბოსტნეული. განვითარებულია ბოსტნეულის გადამამუშავებელი წარმოებაც, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში ინდივიდუალური ხასიათი აქვს, ამზადებენ ბოსტნეულის წვენებს, ხმელ სუნელს და სხვ.

განვითარებულია მეხილეობა, რომელიც წარმოდგენილია კარგად მოვლილი ხილის ბაღებით. ქვეყანაში მოჰყავთ როგორც კონტინენტური (ვაშლი, მსხალი, ალუბალი), ისე სუბტროპიკული ხილი (ფორთოხალი, გრეიფრუტი, ლიმონი, მანდარინი, ფეიხოა). ხილის საერთო წარმოება შეადგენს 9 მლნ. ტონას, აქედან 4 მლნ.— სუბტროპიკულია.

განვითარებულია მებაღეობაც, რომელიც საგარეუბნო ზონაშია წარმოდგენილი, უმთავრესად მებოსტნეობასთან შერეული. დიდი რაოდენობით მოჰყავთ საზამთრო და ნესვი.

ტექნიკური კულტურებიდან განვითარებულია მეჩაიეობა, რომელსაც აქ საუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩაის კულტურა წარმოდგენილია პატარა-პატარა პლანტაციების სახით და ამ მიზნით უმთავრესად მთის ფერდობებს იყენებენ. გაშენება ძირითადად ჭადრაკულია, თუმცა გვხვდება შპალერული პლანტაციებიც (განსაკუთრებით ახალი გაშენებული). იაპონური ჩაი მაღალი ხარისხისაა, ჩაის ფოთლის მოვლა-მოყვანაში უნარიანად იყენებენ ტექნიკას, განსაკუთრებით გავრცელებულია ხელით საკრეფი აპარატები. აღსანიშნავია ის, რომ მინიმუმამდეა შემცირებული ნედლეულის დანაკარგები. ჩაის ფოთლის დამუშავების მაქსიმალური დროა—მოკრეფიდან ნახევარი საათი, ამ მიზნით იყენებენ მოძრავ გადამამუშავებელ დანადგარებს, რომელიც პლანტაციასთან არის დადგმული და საჭიროების მიხედვით გადაადგილდება. იაპონია ამზადებს დახლოებით 120 ათას ტონა მზა ჩაის, რაც საკმარისია ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (ერთ სულზე გადაანგარიშებით მოდის 500 გრამი), მართალია ეს 3-ჯერ ნაკლებია ფიზიოლოგიურ ნორმაზე, მაგრამ იაპონელები დიდი რაოდენობით ხმარობენ ყავას, კაკაოს, რომელიც შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან.

ტექნიკური კულტურებიდან ქვეყნის ჩრდილოეთით გავრცელებულია შაქრის ჭარხალი, სოლო სამხრეთით—შაქრის ლერწამი. ამ კულტურების წარმოებაც ინდუსტრიულ საფუძველზეა. მოსავლიანობა მაღალია, მაგრამ ნათესების რაოდენობა მცირემიწიანობის გამო ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობას. დღეისათვის იაპონიას შემოაქვს შაქრის საჭირო რაოდენობის 2/3. თავად აწარმოებს მხოლოდ 30%. მოჰყავთ პარკოსნები, განსაკუთრებით სოია, რომელიც ყვების ძირითადი პროდუქტია ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის.

საჭიროა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ კარგადაა განვითარებული მეყვავილეობა, რომელიც სამრეწველო საფუძველზეა. იაპონელებს უყვართ ყვავილები და იციან კიდეც მისი მოვლა-მოყვანა. მაღალ დონეზეა განვითარებული მეყვავილეობის სელექციაც. იაპონიას ყვავილის ნერგები გააქვს ექსპორტზე.

ქვეყანაში ერთ-ერთი უძველესი დარგია მეაბრეშუმეობა, რომელიც წარმოდგენილია გლეხურ-ფერმერულ მეურნეობებში, თუთის ნარგავები საკმაოდაა გაადგილებული ქვეყნის სამხრეთით. აქაური აბრეშუმის პარკი მაღალი ხარისხისაა, მას დიდი რაოდენობით ამზადებენ. იაპონია იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას ნატურალურ აბრეშუმზე.

მიუხედავად ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა, მემცენარეობა ქვეყნის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს მხოლოდ 70%-ით, დანარჩენი ნაწილი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან.

იაპონიაში წარმოდგენილია მეცხოველეობაც, რომელიც მეორე სსოფლიო ომამდე სუსტად იყო განვითარებული. 1946 წლიდან დაიწყო მეცხოველეობის ინტენსიური განვითარება, რაც გამოწვეულია უპირველესად მეცხოველეობის პროდუქტებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდით. დღეისათვის, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 6 მილიონამდეა, მათ შორის ნახევარი მერძეული მიმართულებისაა, რომელთა პროდუქტიულობა საკმაოდ მაღალია (4200 ლიტრი. ათეულობით პირუტყვზე). ამზადებენ ყველს, კარაქს, რძის ფხვნილს. ქვეყნის სამხრეთ რაიონებში განვითარებულია მეღორეობა (დაახლოებით 12 მილიონი სული), ამზადებენ ქონს, ბეკონს, ძეხვეულს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და მეღორეობა უმთავრესად წარმოდგენილია სპეციალიზებული ფერმების სახით, რომელთა სულადობაა 25—30-მდე (მესაქონლეობა) და 50-მდე (მეღორეობაში). მსხვილფეხა პირუტყვისათვის უნარიანად იყენებენ საძოვრებს და ბაგირ ყვებას, ხოლო მეღორეობა მთლიანად ფერმებშია წარმოდგენილი.

საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მეფრინველეობა, რომე-

ლიც ავტომატიზებული მეფრინველეობის ფაბრიკების სახითაა წარმოდგენილი. თავის დროზე ქვეყანამ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მსგავსად, ხორცის პრობლემა გადაწყვიტა მეფრინველეობის განვითარებით. დღესაც იაპონია სრულად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს ფრინველის ხორცზე და კვერცხზე, თუმცა ფრინველის საკვების ნაწილი შემოაქვს სამხრეთ აზიის ქვეყნებიდან. უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში ხორცის წარმოება გაიზარდა 5-ჯერ. დღეისათვის ამზადებენ 4,5 მლნ. ტონა ხორცს. რძის წარმოება აღწევს 6 მლნ. ტონამდე, კვერცხის წარმოება გაიზარდა 6-ჯერ და ა. შ. იაპონიას ჯერ კიდევ შემოაქვს ხორცი (ძეხვეულის სახით), რძე და რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი და სხვა. იაპონიის მეცხოველეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ძირითადად შემოტანილ საკვებზეა. საკუთარი საკვები ფარავს მოთხოვნილების მხოლოდ 1/3.

იაპონელთა კვების ბალანსში გარკვეული ადგილი უჭირავს მეთევზეობას. ქვეყანა ოდითგანვე იკვებებოდა თევზით, დღეისათვის იაპონელთა კვების რაციონში 30% უჭირავს თევზსა და ზღვის პროდუქტებს, რომლითაც მდიდარია მიმდებარე წყლები. თევზჭერას სამრეწველო ხასიათი აქვს. თუმცა არსებობს ინდივიდუალური თევზჭერის გაერთიანებებიც, იაპონიაში თევზჭერის წლიური მოცულობა 10,5 მილიონი ტონას აღემატება. ამის 1/3 მოდის კუნძულ ჰოკაიდოს მიმდებარე წყლებზე.

კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა, სადაც ტექნოლოგიური პროცესები ავტომატიზებულია, ნედლეულის დანაკარგი მხოლოდ 2%-ია, რაც კარგი მაჩვენებელია. ზღვისპირა ქალაქებში განვითარებულია სამაცივრო მეურნეობები, სადაც წარმოებს თევზის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.

ამჟამად, ქვეყანაში მუშავდება სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომელიც უპირველესად გულისხმობს სათესი ფართობების გადიდებას, უმთავრესად ნაჯაოებებული და დამლაშებული მიწების ხარჯზე. მიმდინარეობს მუშაობა სარწყავი სისტემების ქსელის გასაფართოებლად, რაც სარწყავი მიწების რაოდენობას 20%-ით გაზრდის. პროგრამაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მეცნიერული მიღწევების დანერგვას წარმოებაში, როგორც პროგრესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

ქვეყნის უნივერსიტეტებში, ამზადებენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტს. კარგადაა განვითარებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ქვეყანაში არსებობს მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო ცენტრები.

IX თავი

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია

(ვიეტნამი, ლაოსი, კამპუჩია, ტაილანდი, ბირმა, მალაიზია, სინგაპური; ბრუნეი, ინდონეზია, ფილიპინები).

აღნიშნული რეგიონი მდებარეობს ევროაზიის მატერიკის უკიდურეს სამხრეთით, მიმდებარე კუნძულების ჩათვლით მისი საერთო ფართობია 4,5 მლნ. კვ. კმ, მოსახლეობა—300 მილიონი. რეგიონის ტერიტორიის ნახევარი მოდის ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც სიდიდით მესამეა მსოფლიოში. აქვეა უზარმაზარი კუნძულოვანი მასივები, რომლებსაც უწოდებენ მალაიზიის არქიპელაგებს. კუნძულების საერთო რაოდენობა 1500-მდეა, მათ შორის 5 ისეთია, რომელთა ფართობი აღემატება 100 ათას კვ. კმ. ესენია: კალიმანტანი (750 ათასი კვ. კმ.), სუმატრა, სულავერი, იავა და ლუსონი: რეგიონი ორი ოკეანის — ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების შესაყარზეა.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია წარმოადგენს ბუნებრივ ხიდს ევროაზიასა და ავსტრალიას შორის. აქ გადის მნიშვნელოვანი საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციები. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და აგრეთვე ბუნებრივი სიმდიდრეები ინთავითვე იპყრობდნენ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ყურადღებას. პირველად ევროპელები აქ გამოჩნდნენ XVI საუკუნეში (პორტუგალია, ესპანეთი, ჰოლანდია), მომდევნო პერიოდში მათ შეუერთდნენ სხვა ევროპული ქვეყნებიც (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ), ცოტა მოგვიანებით კი — იაპონია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეგიონის პოლიტიკური რუკა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ბევრი ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი, განსხვავებულად წარიმართა მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაც. სახელმწიფოების ნაწილი დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას (ჩრდ. ვიეტნამი, ლაოსი, კამბოჯა), მათ ეს რეჟიმები ომებს მოახვია ყოფილმა საბჭოთა კავშირმა.

სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია, რასაც განსაზღვრავს როგორც მისი მთიანი რელიეფი, ისე ოკეანეებისა და ზღვების სიახლოე. თუმცა, მცენარეული საფარითა და ცხოველთა სამყაროს მიხედვით, მათ საერთო ბევრი აქვთ, რამაც განაპირობა აღნიშნული რეგიონის ცალკე ერთეულად ჩამოყალიბება. ბევრი საერთო აქვთ რეგიონის მატერიკისა და კუნძულოვან ნაწილებს,

მათთვის დამახასიათებელია რელიეფური დანაწევრება, მსგავსი ნიადაგები, მთიანი მასივების ერთნაირი სტრუქტურები და სხვ.

რეგიონი მდებარეობს ორ კლიმატურ სარტყელში: ეკვატორულში და სუბეკვატორულში. საშუალო წლიური ტემპერატურა მაღალია (+26°), ნაკლებად შეიმჩნევა სეზონური რყევადობა (2—3°), თუმცა გვხვდება შედარებით მკაცრი კლიმატიც, მაგალითად, ჩრდილოეთ ვიეტნამში ზამთრის ტემპერატურა +1°-ია. რეგიონში ყველაზე ცხელი თვე აპრილია (+30°). ძალზედ დიდია მუსონების გავლენა. დასავლეთი ნაწილი უფრო ტენიანია, ვიდრე აღმოსავლეთი. მოდის თოვლიც, ინდოჩინეთის დასავლეთ ნაწილში ნალექების რაოდენობა 3000 მმ-ს აღწევს, ხოლო აღმოსავლეთით კი—1500—2000 მმ. შედარებით სიმშრალეა ბირმის შიდა რაიონებში (1000 მმ-მდე). რეგიონის კუნძულოვან ნაწილში ნალექების რაოდენობა თანაბარია, ვიდრე მის მატერიკულ ნაწილში, ხშირია ტაიფუნები, განსაკუთრებით, ფილიპინებზე.

დიდი მდინარეები მხოლოდ მატერიკზეა, რომელთა სათავე ჰიმალაის მთებშია, მათ შორის ყველაზე დიდი (4500 კმ.) და წყალუხვია მეკონგი, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს მსხვილ სატრანსპორტო არტერიასაც. რაც შეეხება კუნძულოვან ნაწილს, აქ არ გვხვდება დიდი და წყალუხვი მდინარეები, თუმცა მდინარეთა ქსელი აქაც კარგადაა განვითარებული, რეგიონში ტბები ცოტაა და პატარა სიდიდის. მაგრამ საკმაოდ მდიდარია თევზით.

რეგიონის ნიადაგებისათვის საერთოა ის, რომ მათი წარმოქმნა მოხდა მაქსიმალური ტენიანობისა და ტემპერატურის პირობებში. ჭარბობს ვულკანური წარმოშობის ნიადაგები, რომლებიც მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია მდიდარია მცენარეული საფარით. აქ არის ენდემური მცენარეები, უზარმაზარი ტროპიკული ტყის მასივები და გაუვალი ჯუნგლები. ზოგიერთი ხე-მცენარის სიმაღლე 30—35 მეტრია, ტყეებს უჭირავს რეგიონის 1/2. იგი ჟანგბადის წარმოქმნის მსოფლიო მნიშვნელობის რეგიონია. გვხვდება ცალკეული რაიონები, სადაც ტყის წილად მოდის ტერიტორიის 9/10.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის მოსახლეობა დიდი ეთნიკური სიჭრელით ხასიათდება, გვხვდება როგორც ადგილობრივი, ისე სხვა რეგიონებიდან შემოსული ეთნიკური ჯგუფები, რეგიონში ყველაზე მეტი ვიეტნამელია.

სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია ეკონომიკურად ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული, მისი ძირითადი მიმართულება აგრარულ-სანედლეულოა. მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ხელსაყრელი

ბუნებრივი პირობების მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიერ ათვისებული მიწების რაოდენობა დიდი არ არის.

ვიეტნამი

ვიეტნამი უკანასკნელ პერიოდამდე ორად გაყოფილ ქვეყანას წარმოადგენდა, განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური წყობით. თანამედროვე ვიეტნამის ტერიტორია 330 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—60 მილიონი, დედაქალაქია — ხანოი.

ვიეტნამი მრავალეროვანი სახელმწიფოა. წარმოების საშუალებები და მიწა სახელმწიფო საკუთრებაა. განვითარების დონით სამხრეთ ვიეტნამი გაცილებით წინაა ჩრდილოეთ ვიეტნამზე. რაც თავისუფალი მეწარმეობის შედეგია.

ვიეტნამის ტერიტორია ძველთაგანვე იყო დასახლებული. ჩვ. წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში მათ უკვე ჰქონდათ სახელმწიფო, მომდევნო პერიოდში ვიეტნამი ჩინელებმა დაიპყრეს და ათასი წელი ბატონობდნენ მასზე. X საუკუნეში ქვეყანამ განდევნა ჩინელები და ჩამოაყალიბა ფეოდალური სახელმწიფო. XVI საუკუნიდან მთელი 300 წლის განმავლობაში ვიეტნამი დანაწილდა რა ცალკე სამთავროებად, გახდა ურთიერთ ქიშპობისა და ბრძოლის ასპარეზი. XVIII საუკუნიდან ვიეტნამი მოექცა საფრანგეთის ვავლენის სფეროში, რომელიც გაგრძელდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე, მომდევნო პერიოდში დაიწყო საბრძოლო ოპერაციები ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის, რომელიც დასრულდა 1954 წელს ჟენევის შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც ქვეყანა გაიყო ორ ნაწილად. მალე ისევ დაიწყო ბრძოლა ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამს შორის, რომელიც დამთავრდა 1976 წელს ქვეყნის გაერთიანებით. ვიეტნამი ყოფილი საბჭოთა კავშირის გავლენით დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას.

ვიეტნამი ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაჭიმულია 1750 კმ-ზე, სიგანე 50-დან 600 კმ-მდეა, იგი მთიანი ქვეყანაა, აქ ბევრია ზეგანი. ქვეყნის ტერიტორიის 3/4 მთებს უჭირავს, ხოლო დაბლობზე მოდის ტერიტორიის მეოთხედი, რომელზეც თავმოყრილია მთავარი ქალაქები. განვითარებულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა.

ქვეყნის მთავარ ბეღელს წარმოადგენს დიდი მდინარეების—მეკონგისა და ნამბის ნოყიერი დელტები და მათი ქვემო წელი, დაბლობები ზღვის დონიდან 1—3 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მთები გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, მათი საშუალო სიმაღლე 800—1000 მეტრია (უმაღლესი წერტილი — 3143 მეტრია).

ვიეტნამი ტროპიკული ქვეყანაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მკვეთრად გამოხატული მშრალი და ტენიანი სეზონები. ზაფხ-

ულობით ბატონობს სამხრეთის ტენიანი მუსონები, ხოლო ზამთრობით — ჩრდილოეთის მშრალი ქარები. ტემპერატურა გაცილებით დაბალია, ვიდრე მის განედზე მდებარე სხვა ქვეყნებში, რაც იმით აისსნება, რომ ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთიანია. სადაც კლიმატი უფრო ცივია, ვიდრე დაბლობში. გარდა ამისა, მთები ისეა განლაგებული, რომ ისინი ვერ უქმნიან წინაღობას ციმბირიდან შემოჭრილ ჰაერის ცივ მასებს. ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყოფენ სამ კლიმატურ სარტყელს: ჩრდილოეთის, სადაც კლიმატი ყველაზე ცივია და წლის განმავლობაში ხასიათდება მაქსიმალური ტემპერატურული ცვლილებებით, სამხრეთს—თბილი, ტროპიკული კლიმატით და შუა ვიეტნამს—გარდამავალი კლიმატით. ქ. ჰანოიში ზაფხულის საშუალო ტემპერატურა+29° (ზოგჯერ +43°), ზამთრის — +17° (მინიმალური +5°). ქ. ხოშიმინში კი საშუალო წლიური ტემპერატურა +28°, ზაფხულის საშუალო ტემპერატურა + 30°, ხოლო ზამთრის — +20°, მთებში იცის სეტყვა, ზოგჯერ ყინვებიც.

ვიეტნამი ტენიანი ქვეყანაა, ნალექი მოდის თქეში წვიმების სახით და ძირითადად—ზაფხულში. საშუალოდ, წლის განმავლობაში ნალექების რაოდენობა 2000—2500 მმ-ია.

ვიეტნამში ბევრი მდინარეა, რომელთა უმრავლესობა დატბტვილია, (გარდა ამისა, ბევრია ხელოვნურად გაჭრილი არხებიც), საკმაო რაოდენობითაა ტბებიც. ქვეყნის ყველაზე დიდი მდინარეა მეკონგი, რომლის სიგრძე 4400 კმ-ია, ამ მდინარის ქვემო წელი ძალზედ დატბტვილია.

ვიეტნამი საზღვაო ქვეყანაა, მისი სანაპირო ზოლი 3300 კმ-ია. ზღვა უდიდეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში. ნიადაგობრივი და მცენარეული საფარი მრავალფეროვანია. შეხვდებით, როგორც ტყის რუხ ნიადაგებს, ისე ჭაობისათვის დამახასიათებელ თიხნარებს. მცენარეული საფარი წარმოდგენილია ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეებით, ბევრია გაუვალი ჯუნგლები.

ქვეყნის მოსახლეობა მრავალეროვანია, აქ ცხოვრობს 60-მდე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია ვეტები—80%, მოსახლეობის სიმჭიდროვეა—150 კაცი კვ. კმ-ზე (სამხრეთით ეს მაჩვენებელი 700 კაცამდეა). მოსახლეობის 68% ცხოვრობს სოფლად, თუმცა ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ურბანიზაციის შედარებით მაღალი ტემპი.

ქვეყანაში შეიმჩნეოდა განვითარების როგორც სოციალისტური (ჩრდილოეთში) ისე კაპიტალისტური (სამხრეთით) ტენდეციები. ქვეყნის სოფლის მეურნეობა ბრავალდარგოვანია, მემცენარეობიდან წარმოდგენილია. მარცვლეული (ბრინჯი), ბამბა, შაქრის ლერწამი, ქოქო-

სის. პალმა, ჩაი. ჰყავთ მცხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენები. ლორი, განვითარებულია მეაბრეშუმეობა.

სოფლის მეურნეობა ვიეტნამის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, მოსახლეობის სწრაფი მატება მოითხოვს დამატებით საკვებ პროდუქტებს, ეს კი სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე შეუძლებელია. გარდა ამისა გადამამუშავებელი მრეწველობის მოცულობის ზრდაც მოითხოვს ნედლეულს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საექსპორტო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს იძლევა სოფლის მეურნეობა.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია ორი მიმართულებისაა. ჩრდილოეთ ვიეტნამში, სადაც მიწაზე და წარმოების საშუალებებზე არსებობს სახელმწიფო საკუთრება, ძირითადად წარმოდგენილია სახელმწიფო მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციები, რომლებიც კოლმეურნეობების ანალოგიურია. სამხრეთ ვიეტნამში კი მიწაზე და წარმოების საშუალებებზე ჯერ კიდევ შემორჩენილია კერძო საკუთრება და იგი გლეხური მეურნეობების სახითაა წარმოდგენილი.

ჩრდილოეთ ვიეტნამში ე. წ. სოციალისტური აგრარული რეფორმები დაიწყო 50-იანი წლებიდან. თითოეულ ჩამოყალიბებულ კოოპერატივს გადაეცა 300—500 ჰექტარი მიწა, ე. წ. კოოპერატივები მრავალდარგოვანია, მათში წარმოდგენილია მემცენარეობაც და მეცხოველეობაც. მსხვილი მეურნეობების ბაზაზე (ყოფილი პლანტატორული მეურნეობები) შექმნილია სახელმწიფო მეურნეობები, რომლებიც იძლევიან ყავის, კაკაოს, ჩაის, ქოქოსის პალმის, ბამბის საექსპორტო პროდუქციის უდიდეს ნაწილს.

ვიეტნამი იაფი მუშახელის ქვეყანაა, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების უდიდესი ნაწილი ხელით სრულდება. მექანიზაციისა და ქიმიზაციის დონე დაბალია, ენერგოშეიარაღება 10—12 ცხენის ძალას უდრის და ძირითადად ცოცხალი გამწევი ძალითაა წარმოდგენილი. რაც შეეხება მდინარეთა დელტაში არსებულ მიწებს, აქ ხშირი დატბორვის შედეგად ბევრი შლამი რჩება, რაც ჰუმუსის დაგროვების კარგი საშუალებაა. ჩრდილოეთ ვიეტნამში (ყოფილი სსრკ-ის დახმარებით) შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოები. მექანიკური და ენერგეტიკული საშუალებები ქვეყანას შემოაქვს საზღვარგარეთიდან.

წლების განმავლობაში ვიეტნამი მონოკულტურის ქვეყანა წარმოადგენდა. ბრინჯი აქ იყო ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის წილადაც მოდიოდა ნათესების 3/4. ბოლო ათწლეულში ბრინჯის სელექციური ჯიშების დანერგვის შედეგად, გაიზარდა ფოსავლიანობა, რითაც შესაძლებელი გახდა ბრინჯისაგან თავისუფალ ფა-

რობზე განვითარებინათ მებოსტნეობა, მეხილეობა, ტექნიკური კულტურები და სხვ.

დღეისათვის, ქვეყნის სოფლის მეურნეობაში წამყვანი კულტურა მაინც ბრინჯია. სარწყავი ბრინჯის წარმოება ვიეტნამში ჯერ კიდევ 2 ათასი წლის წინათ იყო განვითარებული. ბრინჯის მოვლა-მოყვანისათვის არსებობს ბუნებრივი ხელსაყრელი პირობები — ტროპიკების ცხელი, ტენიანი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგები. ვიეტნამური ბრინჯისათვის დამახასიათებელია დიდი შენახვისუნარიანობა. მისი მარცვალი სპეციალური სათავსების გარეშე ჩვეულებრივ პირობებში 2—3 წლის განმავლობაში ინახება.

ბრინჯი ძალზედ შრომატევადი კულტურაა (ამიტომაცაა იგი განვითარებული ჰარბმოსახლეობიან რეგიონებში). მისი მოვლა-მოყვანის ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესი ნაკლებად ექვემდებარება მექანიზაციას. გამოთანგარიშებით ერთი ჰექტარი ბრინჯის ნათესი წლის განმავლობაში მოითხოვს (შრომითი დანახარჯების სახით) 500—600 კაც/დღეს.

ვიეტნამში მოჰყავთ ბრინჯის ასამდე სახეობა. გავრცელებულია როგორც თეთრი ისე ყვითელი ბრინჯი. ნათესებს 6 მლნ. ჰექტარი ფართობი უჭირავს, რომელზედაც იღებენ 13 მლნ. ტონა პროდუქციას. ერთ სულზე ბრინჯის წარმოება შეადგენს დაახლოებით 250 კგ. მოსახლეობა საკვებად მოიხმარს გაცილებით ნაკლებს (დაახლოებით 120 — —130 კგ-მდე), დანარჩენი მიდის საექსპორტოდ, პირუტყვის საკვებად, სამრეწველო გადამუშავებისათვის და სხვ. ბრინჯის საშუალო მოსავლიანობა დაახლოებით 20—22 ცენტნერია (ჰა).

გარდა ბრინჯისა ვიეტნამში მოჰყავთ სიმინდი, ბატატი, მანიოკი; რომლებიც მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტებს განეკუთვნებიან (ბატატსა და მანიოკს ხმარობენ აგრეთვე მეცხოველეობაში — პირუტყვის საკვებად).

კარგ მოსავალს იძლევა ტექნიკური კულტურებიც, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბამბა. ბამბის წლიური წარმოება დაახლოებით 2,8—3,0 მლნ. ტონაა. ქვეყანაში განვითარებულია საფეიქრო მრეწველობაც, რომელიც თითქმის მთლიანად ამუშავებს წარმოებული ბამბის ნედლეულს. ვიეტნამს მსოფლიო ბაზარზე გააქვს ბამბის ქსოვილების მზა პროდუქცია.

ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია შაქრის ჭარხალიც, რომელიც განვითარებულია როგორც ჩრდილოეთით ისე სამხრეთით. ამზადებენ შაქრის ფხვნილს, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. შაქრის ჭარხლის გადამამუშავებელი საწარმოები ჯერ კიდევ კუსტარული ხასიათისაა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საექსპორტო კულტურაა ყავა, რომლის წარმოება ძირითადად სახელმწიფო მეურნეობებშია თავმოყრილი. ნათესი ფართობი ყოველწლიურად იზრდება. განსაკუთრებული ყურადღება მის განვითარებას მიექცა ბოლო 10 წლის მანძილზე. მისი წარმოების საერთო მოცულობა 1985 წლისათვის ერთ მლნ. ტონას შეადგენდა, რომლის 3/4 საექსპორტო იყო. მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩაის კულტურაც, რომლის პლანტაციები გაშენებულია სამხრეთ ვიეტნამში, უმთავრესად მთის ფერდობებზე. ჩაის პლანტაციები წარმოდგენილია ვიეტნამური ჯიშის მცენარეებით, რომელიც ხასიათდება მაღალი დუყითა და შედარებით ფართო ფოთლით. ჩაის ვეგეტაცია მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში, წარმოების საერთო წლიური მოცულობა (ხმელ ჩაიზე გადაანგარიშებით) დაახლოებით 100 ათასი ტონაა, რომლის 1/4 გადის საექსპორტოდ, დანარჩენი გათვალისწინებულია შიგა მოხმარებისათვის.

ქვეყანაში განვითარებულია მებაღეობა. ძირითადად გავრცელებულია სუბტროპიკული და ტროპიკული ხილი, საკმაო რაოდენობით მოდის გრეიფრუტი, ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, მანგო, ანანასი, პაპპა და სხვ. დიდი ყურადღება ექცევა მებოსტნეობის განვითარებას, განსაკუთრებით ქალაქების საგარეუბნო ზოლში. მებოსტნეობა და მებაღეობა წარმოდგენილია (მეტ-ნაკლები მოცულობით) თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში (მათ შორის სამხრეთის ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებშიც).

მეცხოველეობის როლი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წარმოდგენილია კამეჩისა და ფურის სახით: მათი საერთო რაოდენობა 4,5 მლნ. სულია (აქედან, 1.5 მლნ. ფურია). გავრცელებულია აღმოსავლეთის ჯიშის პირუტყვი, რომელიც ძოვებაზე ჰყავთ, ამ მიზნით იყენებენ მთების საძოვრებს. პროდუქტიულობა არ არის მაღალი (ერთ საფურაჟე ძროხაზე 2000 ლიტრი). აღსანიშნავია ისიც, რომ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს იყენებენ გამწევ ძალადაც.

განვითარებულია მეღორეობაც, რომელთა საერთო სულადობა 1! მლნ. უდრის. იგი გავრცელებულია ყველა ზონაში. ღორის ხორცისგან ამზადებენ შაშხს, ძეხვეულს, რომელიც ძირითადად შიდა ბაზრისათვის არის გათვალისწინებული.

ქვეყანაში ჰყავთ 120 მლნ-მდე ფრთა ფრინველი, სამრეწველო ხასიათის მეფრინველეობა წარმოდგენილია დიდი ქალაქების — ხოშიმინისა (ყოფილი საიგანი) და ჰანოის საგარეუბნო ზონაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეაბრეშუმეობას. აქაური აბრეშუმის პარკი კარგი ხარისხისაა და საკმაოდ დიდი მოთხოვნილე-

ბითაც საერგებლობს სასლვარკარეთ. მეაბრეშუმეობა წარმოდგენილია ყველგან. პარკის წარმოებას ოჯახური ხასიათი აქვს, ჯერჯერობით თუთის პლანტაციების ნაკლებობა ხელს უშლის აღნიშნული დარგის გაფართოებას, რომელსაც კარგი პერსპექტივები გააჩნია.

ვიეტნამელთა ტრადიციული დარგია მეთევზეობა. შექმნილია მეთევზეობის კოოპერატივები, თევზჭერის საერთო მოცულობა ერთ მლნ. ტონას აღემატება, ტერიტორიული წყლები საკმაოდ მდიდარია თევზით.

ვიეტნამში არსებობს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, რომლებიც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს ამზადებენ. ბევრი სპეციალისტი მომზადდა ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში, მათ შორის საქართველოშიც. არსებობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, ეწევიან ინტენსიურ სამეცნიერო კვლევასაც.

ლაოსი

ლაოსი მდებარეობს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში, მისი ტერიტორია 237 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—3.8 მლნ. დედაქალაქია — ვენტიანი. იგი სახალხო დემოკრატიული ქვეყანაა, რომელშიც სახელმწიფო წყობილება წაგავს სოციალისტურს.

ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ლაოსის ტერიტორიაზე არსებობდა რამდენიმე ფეოდალური სამთავრო, რომლებიც მომდევნო პერიოდში გაერთიანდნენ და შეიქმნა ძლიერი ცივილიზებული სახელმწიფო. XVIII საუკუნეში ქვეყნის ერთიანობა ისევ დაიშალა და იგი ხან ტაილანდს, ხან ვიეტნამის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 1893 წელს ლაოსი საფრანგეთის პროტექტორატი გახდა და ეს მდგომარეობა 1945 წლამდე გაგრძელდა. 1945 წელს ლაოსი დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა.

ლაოსი მთიანი ქვეყანაა, მთების საშუალო სიმაღლე 2000 მეტრია, ბევრია კლდოვანი მწვერვალი და ქარაფები. ქვეყანაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ვაკე ზეგანს, რომელიც მდებარეობს 400 მეტრზე ზღვის დონიდან. სამხრეთი, საწარმოო თვალსაზრისით, უფრო ათვისებულია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ბევრი ნაყოფიერი მიწებია, ძირითადად ჭარბობს რუხი ტყის ნიადაგები. ლაოსის მცენარეული საფარი მდიდარია, უმთავრესად წარმოდგენილია ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეულობა.

კლიმატი ტროპიკულია, ნოემბრიდან აპრილამდე ბატონობს ჩრდილოეთის ცივი ქარები, ტემპერატურა იანვარში +15°, ზამთარი მშრალია. მაისიდან ოქტომბრამდე უბერავს ინდოეთის ოკეანიდან შემოსე-

რილი თბილი, ტენიანი ჰაერის მასები. ივლისის ტემპერატურა +28°, ტემპერატურა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მატულობს. ლაოსი ჰარბტენიან ქვეყნებს განეკუთვნება. მთებში ნალექების რაოდენობა —3500 მმ, სამხრეთით—2000 მმ-მდე.

ლაოსში ცხოვრობს 60 ეროვნების წარმომადგენელი, რომელთაგან ლაოსელები (რომლებიც იყოფიან რამდენიმე — სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ნაციად) 65%-მდეა, გარდა ამისა ცხოვრობენ ჩინელები, ვიეტნამელები, ტაილანდელები, ინდოელები და სხვები. ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი 1,5 მილიონია, რომელთაგან 4/5 დაკავებულია სოფლის მეურნეობაში, 5% — მრეწველობაში. მოსახლეობის სიმჭიდროვე 115 კაცია ერთ კვ. კმ-ზე. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 18%, უკანასკნელ ათ წელიწადში საკმაოდ იმატა ურბანიზაციის ტემპებმა.

იუნესკოს მონაცემებით ბოლო პერიოდამდე ლაოსი შედიოდა მსოფლიოს 25 ყველაზე ღარიბი ქვეყნების რიცხვში. წარმოებას ნატურალური ხასიათი ჰქონდა, მოშლილი იყო სასაქონლო ფულადი ურთიერთობები, 70-იან წლებში 10 ლაოსელიდან 6 არც არაფერს ჰყიდდა და არც ყიდულობდა. ე. ი. ამოვარდნილი იყო სასაქონლო ფულადი ურთიერთობების სფეროდან, ეს მდგომარეობა დღესაც გრძელდება. სამოქალაქო ომის პერიოდში, რომელიც გრძელდებოდა თითქმის 30 წლის განმავლობაში, ქვეყანა დატოვა 700 ათასამდე ლაოსელმა.

ეკონომიკის მთავარი დარგია სოფლის მეურნეობა, საღაც იქმნება ნაციონალური შემოსავლის 2/3. ლაოსელი გლეხის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედებაა. წვრილგლეხური მეურნეობების (რომლებიც თითქმის არ აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციას) მიწის ფართობი არ აღემატება 1—1,5 ჰექტარს, მსხვილი მეურნეობების ფართობის სიდიდე 10 ჰა-მდეა.

ქვეყნისათვის მთავარი კულტურაა ბრინჯი, რომელიც წარმოდგენილია თითქმის ყველა პროვინციაში 40-იანი წლებიდან მოსახლეობის რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო ბრინჯის წარმოება, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია—2-ჯერ. ასეთი უარყოფითი პროპორცია გამოიწვია იმან, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში გაიზარდა მიტოვებული და დაუმუშავებელი მიწების რაოდენობა. ბრინჯის წარმოების ძირითადი რაიონები მდინარე მეკონგის სანაპირო ზოლშია, თითქმის ყველა ნათესი სარწყავია, მიუხედავად ამისა მოსავლიანობა არ არის მაღალი — 14 ცენტნერი ჰექტარზე. ბრინჯის საერთო წარმოება 700 ათას ტონამდეა, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 200 კგ-ს შეადგენს. ყველა სახის სამუშაო ცოცხალი გამწევი ძალით და ხელით სრულდება.

ლაოსში გავრცელებულია სიმინდის კულტურაც, ძირითადად, ჩრდილოეთის რაიონებში, მისი საერთო მოსავლიანობა 50 ათას ტონას

შეადგენს. სიმინდი ლაოსელებისათვის კვების ძირითადი პროდუქტია. თესავენ ქერსაც და ჭვავსაც.

თითქმის ყველგან მოჰყავთ კარტოფილი, პარკოსანი კულტურები, სოია და ლობიო. მოჰყავთ აგრეთვე ბოსტნეული კულტურებიც—კომბოსტო, სტაფილო, პამიდორი, კიტრი. წარმოდგენილია ტროპიკული და სუბტროპიკული მეხილეობა, ფორთოხალი, ბანანი, ანანასი და ლიმონი, რომელიც გააქვთ საექსპორტოდ.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა და თამბაქო, რომელთაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვთ. ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურაა ყავა, რომელიც უმთავრესად საექსპორტოა. გარდა ამისა, ამზადებენ სამედიცინო ოპიუმს (50 ტონა წელიწადში).

მეცხოველეობას დამოუკიდებელი ხასიათი არა აქვს. შინაური საქონელი ჰყავთ ყველა გლეხურ მეურნეობაში. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალადაც. ჰყავთ აგრეთვე ცხენებიც. ყველა გლეხური მეურნეობა მისდევს მეღორეობას, რომელთა საკარაუდო სულადობა 800—900 ათასი სულია. ჰყავთ ცხვარი, თხები. ყველა გლეხურ მეურნეობაში წარმოდგენილია ფრინველი, სამეწველო მეფრინველეობა ჩანასახ სტადიაშია. მისდევენ მეთევზეობას, რომლის პროდუქციაც მნიშვნელოვნად ავსებს მოსახლეობის კვების ბალანსს. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ქვეყანა განიცდის კვების პროდუქტების დეფიციტს.

კამპუჩია

კამპუჩია ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს, მისი ტერიტორია 181 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—9 მილიონამდე, დედაქალაქი—პნომპენია. კამპუჩია სახალხო რესპუბლიკაა, რომელშიც პროკომუნისტური რეჟიმი იყო გამეფებული.

ამ ქვეყანაში სამეურნეო საქმიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მაგალითად, ბრინჯის მოვლა-მოყვანის სარწყავი სისტემა პირველად აქ იქნა გამოყენებული. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში კამპუჩიის ტერიტორიაზე ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო არსებობდა, სადაც შეიქმნა ცივილიზაციის უნიკალური ძეგლები. კამპუჩია საფრანგეთის პროტექტორატი გახდა და ეს პერიოდი მეორე მსოფლიო ომამდე გაგრძელდა (თუმცა, ხუთი წლით ქვეყანა 1941—1945 წწ. ოკუპირებული იყო იაპონელების მიერ), 1953 წელს კამპუჩიამ დამოუკიდებლობას მიაღწია.

რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, კამპუჩიის რელიეფი დაბლობია, ქვეყანა მდებარეობს მდ. მეკონგის აუზში და შემოფარგ-

ლულია მთებით, შუაგული ვაკეა, რომელსაც უჭირავს ტერიტორიის 1/3, დანარჩენი მცირე სიმაღლის (600—700 მეტი) ზეგნებია.

კამპუჩიის კლიმატი ტენიანი და ცხელია, იგი მდებრეობს ტროპიკულ სარტყელში. დედაქალაქში საშუალო წლიური ტემპერატურა +27°, ხოლო ყველაზე „ცივი" თვის დეკემბრის საშუალო ტემპერატურა +20°. გამოკვეთილია ორი სეზონი: ცხელი, ტენიანი ზაფხული და შედარებით მშრალი — ზამთარი. დაბლობებზე ტენიანობა არა თანაბარია, ეს მაჩვენებელი 800—1500 მმ-ია, ხოლო განაპირა მთიან ზოლში 3000 მმ-ს აღწევს, მშრალი პერიოდი გრძელდება 6 თვის განმავლობაში, მდინარეთა ქსელი კარგადაა წარმოდგენილი. ქვეყნის მთავარ მდინარეს (მეკონგს) მრავლად აქვს შენაკადები.

ქვეყნის ტერიტორიის 1/2 უჭირავს ტყეებს, რომელიც თავისი შემადგენლობით მრავალფეროვანია. კამპუჩიაში გავრცელებულია პალანარეთა 1000 სახეობა; წარმოდგენილია ძვირფასი ჯიშის ხე-მცენარეები, ნიადაგობრივი საფარიც მრავალფეროვანია. სჭარბობს ჰუმუსით მდიდარი ნიადაგები.

კამპუჩიის მოსახლეობა ძირითადად ერთგვაროვანია, რომლის შემადგენლობაშიც 85% ხმერია, ამათ გარდა ცხოვრობენ ვიეტნამელები, ჩინელები, ტაილანდელები და სხვები. მოსახლეობის 70% ცხოვრობს სოფლად.

კამპუჩია აგრარული ქვეყანაა, რომელიც ჯერ კიდევ წარმოების კოლონიურ ჩარჩოებშია მოქცეული. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც გააჩაღეს სხვადასხვა პროკომუნისტურმა პოლიტიკურმა პარტიებმა. ერთ პერიოდში ქვეყანაში მოსახლეობის გენოციდიც კი დაიწყო. ყოველივე ამან თავისი დაღი დაასვა ქვეყნის ეკონომიკას და მათ შორის სოფლის მეურნეობის განვითარებასაც.

ქვეყნის ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა, რომელშიც დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 4/5. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია სარწყავი მიწათმოქმედება. სახნავის რაოდენობა 3 მლნ. ჰექტარს აღწევს, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით — 0,32 ჰექტარია. მიწა კერძო საკუთრებაშია, სჭარბობს წვრილი და საშუალო მიწათმფლობელობა, თუმცა გვხვდება მსხვილი (500 ჰექტარამდე) მიწათმფლობელებიც.

მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი, რომელსაც უჭირავს დაახლოებით 2,4 მლნ. ჰექტარი, ბრინჯის ყანები ძირითადად წარმოდგენილია მდინარე მეკონგის აუზში. ბრინჯის საერთო წარმოება წელიწადში 3 მლნ. ტონას აჭარბებს, რომლის ნაწილი ექსპორტზე მიდის. ქვეყანაში არსებობს ბრინჯის წარმოების რამდენიმე მსხვილი

მეურნეობა. სასაქონლო ბრინჯს ძირითადად საშუალო და მსხვილი მეურნეობები აწარმოებენ. წვრილგლეხური მეურნეობები ბუნაობენ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გარდა ბრინჯისა, მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავთ ქერი, ძირითადად წვრილგლეხურ მეურნეობებში, ურწყავ მიწებზე. გარდა ამისა მოჰყავთ მანიოკი, ბატატი, პარკოსნებიდან—სოია და ლობიო. გავრცელებულია შაქრის პალმა, რომელიც წარმოადგენს ნაციონალურ სასოფლო-სამეურნეო კულტურას, მისი ხის წვენისაგან ამზადებენ შაქარს. ერთი ხის პროდუქტიულობა დაახლოებით 400 ლიტრია წელიწადში, რაც 60—70 კგ ფხვნილი შაქრის ექვივალენტურია.

ქვეყნის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია ტექნიკური კულტურებისათვის, კერძოდ, აწარმოებენ კაუჩუკს, ბამბას, თამბაქოს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ნატურალური კაუჩუკის წარმოებას, რომელიც თითქმის მთლიანად გაქვთ საექსპორტოდ. კაუჩუკის ნარგავები წარმოდგენილია ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, დიდი პლანტაციების სახით, რომლებიც ადრე ფრანგებს და ადგილობრივ მემამულეებს ეკუთვნოდათ.

კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მებაღეობა. თელი წლის განმავლობაში მოჰყავთ პამიდორი, კიტრი, წიწაკა, კომბოსტო, სალათა, ნესვი, საზამთრო. ამზადებენ ხმელ სუნელს, რომლის ნაწილიც გაქვთ საზღვარგარეთ.

განვითარებულია ტროპიკული და სუბტროპიკული მეხილეობა, ძირითადად მოჰყავთ ბანანი, ანანასი, ფორთოხალი, ლიმონი. ამზადებენ სუბტროპიკული ხილის წვენებს, რომლის ნაწილიც გაქვთ საექსპორტოდ. ქვეყნის განაპირა პროვინციების მთიან ზონაში აქვთ ჩაის კულტურაც, რომლის ნაწილიც მზა პროდუქციის სახით გაქვთ საექსპორტოდ. მოჰყავთ ბამბაც, რომელსაც ადგილზე ამუშავებენ. იგი ერთ-ერთ შემოსავლიან კულტურად ითვლება, განვითარებულია თამბაქოს წარმოება, რომელიც ნედლეულის სახით გაქვთ საზღვარგარეთ.

კამბუნია რეგიონის იმ ქვეყნების რიცხვშია, რომელთაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები გააჩნიათ მეცხოველეობის განვითარებისათვის. აქ საკმაოდ ბევრია მაღალპროდუქტიული საძოვრები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მონაცვლეობით იძლევიან პირუტყვის ძოვების საშუალებას. მიუხედავად ამისა, მერძეული და მეხორცული მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წარმოდგენილია მიწათმოქმედების რაიონებში, სადაც მათ იყენებენ, როგორც ცოცხალ, გამწევ ძალას. ბოლო პერიოდში შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული მეცხოველეობის მეურნეობა, რომელ-

შიც. წარმოებამ მიმართულებითი ხასიათი მიიღო. ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, ძირითადად, კამეჩი.

. განვითარებულია მეღორეობაც, რომელიც ხორცის წარმოების ძირითადი დარგია. ღორების რაოდენობა 3,8 მლნ. სულია და წარმოდგენილია თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში. მეღორეობას სასაქონლო მნიშვნელობა აქვს.

. მთიან ზონაში ჰყავთ ცხვარი და თხა, მისდევენ მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ამ უკანასკნელს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მის განვითარებას დიდი პერსპექტივები გააჩნია, რომელსაც აფერხებს სუსტი საკვები ბაზა.

. მოსახლეობის კვების ბალანსში დიდი ადგილი უჭირავს თევზის პროდუქციას, რომლის ჭერა წარმოებს როგორც ტერიტორიული ზღვის წყლებში, ისე შ-და წყლებშიც. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა. კამჩატკა მინიმალურად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე.

ლაოსსა და კამბუჩიაში სპეციალური სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები არ არის. 1972 წელს პნომპენში გაიხსნა საშუალო ტიპის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯი. უმაღლესი განათლების კადრების მომზადება ხდება საზღვარგარეთ, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირშიც. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას ემსახურება რამდენიმე კვლევითი ცენტრი, რომლებიც სხვა ქვეყნებში არსებული სამეცნიერო ცენტრების ფილიალებია.

ტაილანდი

ტაილანდი სამეფოა, რომელიც მდებარეობს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ცენტრში. მისი ტერიტორია 514 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—47 მილიონი. დედაქალაქია—ბანკოკი. ქვეყნის სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით 1550 კმ ღრმის, ხოლო სიგანე — 170 კმ.

ტაილანდი მრავალეროვანი ქვეყანაა. იგი დასახლებულია ძველთაგან დროიდან. აქ ჩაეყარა საფუძველი პირველ სახელმწიფოს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც მდინარე მეკონგის ღელტაში წარმოიშვა. XIX საუკუნეში დაიწყო ინდოჩინეთის კოლონიზაცია, ტაილანდი ხდება საფრანგეთის ნახევარკოლონიური სახელმწიფო, შიდამმართველობის სტატუსით. 1932 წლამდე ქვეყანა იყო ფეოდალურ-მონარქიული, მეფე სარგებლობდა განუსაზღვრელი ძალაუფლებით. 1932 წელს მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და ამ პერიოდიდან ტაილანდში კონსტიტუციური მონარქია. მეორე მსოფლიო ომში ტაილანდი იაპონიის მხარეს იბრძოდა, ომის შემდეგ მან უარი თქვა ყველა დაპყრობილ ტერიტორიაზე. 1950-იანი წლებიდან ტაილანდში დაიწყო პროგრესული პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნები.

ქვეყნის ტერიტორია ვაკეა. მისი დაბლობი და ზეგანი ვარგისია სოფლის მეურნეობისათვის. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით აღმართულია მცირე სიმაღლის მთები. ყველაზე მაღალი მწვერვალი 2576 მ. სიმაღლეზეა. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში უდიდესი დაბლობია, რომელიც მთის ძირიდან ეშვება ზღვისაკენ, ბანკოკთან დაბლობის სიმაღლე 1—3 მეტრია.

ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, აქ მოიპოვება რკინა, მანგანუმი, ვოლფრამი, ტყვია, თუთია, მოლიბდენი, სპილენძი. გარდა ამისა ქვეყანაში წარმოდგენილია სხვა სახის წიაღისეულიც.

ტაილანდი ტროპიკული მუსონების სარტყელში მდებარეობს, მკვეთრადაა გამოსახული მშრალი და წვიმიანი სეზონი, ეს უკანასკნელი მაისიდან ოქტომბრამდე გრძელდება. მშრალი სეზონი იწყება ნოემბრიდან. წვიმიანი სეზონი გრძელდება დაახლოებით 200 დღის განმავლობაში. ნალექების საშუალო რაოდენობა 1600 მმ, სამხრეთით კი ეს მაჩვენებელი 4000 მმ-ს აღწევს.

წლის განმავლობაში ტემპერატურა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უმნიშვნელოდ იცვლება. საშუალო წლიური ტემპერატურა +24°-ია. (ზამთრობით +29°). ტემპერატურა ყველაზე მაღალია (+40°) აპრილსა და მაისში.

ტაილანდში ბევრი მდინარეა, რომლებიც უდიდეს როლს ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში. ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას და გამოიყენება აგრეთვე სარწყავადაც. მდინარეები იკვებებიან წვიმის წყლებით, ამიტომ ხშირად იცვლება მათი წყლის დონე. ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვარზე გადის აზიის უდიდესი მდინარე მეკონგი, რომელიც ხასიათდება მრავალკუნძულიანობით, მდინარე გამოიყენება მცირეტონაჟიანი გემებისათვის.

ტაილანდის ნიადაგები სამ ძირითადად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ალუვიური, ლატერიტები და წითელმიწები. პირველი გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით და ძირითადად ქვეყნის ცენტრალურ ნაწილშია მოქცეული. მასზე მოჰყავთ ბრინჯი, რომელიც რეგულარული რწყვის პირობებში მაღალ მოსავალს იძლევა. ზეგანზე წარმოდგენილია ლატერიტები, რომლებიც ყველაზე დაბალნაყოფიერია, მაგრამ ყველაზე მეტადაა გავრცელებული ქვეყანაში, სამხრეთით—წითელმიწებია, რომლებიც ასევე ხასიათდებიან დაბალი ნაყოფიერებით.

ქვეყნის ფლორა ტროპიკულია, მხოლოდ მთებში გვხვდება ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელი მცენარეულობა. ტაილანდში 10 ათასამდე სახეობის მცენარეა. ქვეყნის ერთ-ერთ სიმდიდრეს ითვლება მისი ტყეები, რომელსაც უჭირავს ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (70%), მთაში ბევრია ძვირფასი ხე-მცენარეები, რომლებზეც დიდი

ძოთხოვნილებაა საზღვარგარეთ, ტაილანდის ტყეები სამრეწველო ხასიათისაა.

ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ტაილანდელები. ცხოვრობენ აგრეთვე მალაელები, ჩინელები და სხვები. თვითონ ტაილანდელებშიც არის ეთნიკური დაყოფა, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენითა და ზოგი რელიგიითაც კი. დღეისათვის, ქვეყნის მოსახლეობის 4/5 დაკავებულია სოფლის მეურნეობით. ბოლო პერიოდში მაღალია ურბანიზაციის პროცესი, რომელიც გამოწვეულია ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული განვითარებით.

მართალია ტაილანდი არ ყოფილა კოლონია, მაგრამ მისი ეკონომიკა მაინც მუშაობდა ევროპული ქვეყნების ინტერესებისათვის, ქვეყნისათვის დამახასიათებელია მონოკულტურები, რომლებიც იძლევიან სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის 60%. მეორე მსოფლიო ომამდე სუსტად იყო განვითარებული არა მარტო მრეწველობა, არამედ წიაღმომპოვებელი დარგებიც. ომის შემდეგ, განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან, იცვლება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურა, მაგრამ დღესაც, მთავარ როლს მაინც სოფლის მეურნეობა ასრულებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი ჯერ-ჯერობით ვალუტის მოლების ძირითადი წყაროა. მიუხედავად ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობისა, სოფლის მეურნეობა ერთ-ერთ ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს, ჯერ კიდევ ვერ გატარდა ეფექტიანი აგრარული რეფორმები.

ტაილანდში სჭარბობს წვრილი და საშუალო სიდიდის გლეხური მეურნეობები. ტაილანდელი გლეხები შედარებით უკეთ არიან უზრუნველყოფილი მიწით, ვიდრე რეგიონის სხვა ქვეყნის გლეხები. დღესაცაა ქვეყანაში დასამუშავებლად ვარგისი თავისუფალი მიწები, რომელიც ურწყავ ზონაშია მოქცეული. მცირე გამოსასყიდით შეიძლება მათი შეძენა, მაგრამ უმიწაწყალო გლეხები ამჯობინებენ სამრეწველო ცენტრებში და დიდ ქალაქებში დასაქმებას, სადაც საკმაოდ დიდია შრომითი რესურსების დეფიციტი.

ქვეყანაში სჭარბობს საშუალო მიწათმფლობელები (15—30 ჰექტარი), რომლებიც იძლევიან სასაქონლო პროდუქციის ძირითად მასას. წვრილგლეხური მეურნეობები ორიენტირებული არიან საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რაც შეეხება მსხვილ მეურნეობებს, რომლებიც შემორჩენილია ფეოდალური მეურნეობების ბაზაზე, ისინი გადავიდნენ საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე (ყავა, ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი). გავრცელებულია მევახშეობა და საიჯარო ურთიერთობები, საკმაოდ დიდია გადასახადი (50% და მეტი), რაც მძიმე პირობებში აყენებს წვრილგლეხურ მეურნეობებს.

სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებაა მიწათმოქმედება. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და თავისუფალი მიწების არსებობა, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მიწათმოქმედების განვითარებას. უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შედეგად დამუშავებული მიწების ფართობი გაიზარდა 2-ჯერ. დღეისათვის, სახნავის რაოდენობა 15,8 მლნ. ჰექტარამდეა, ახალი მიწების ათვისება გრძელდება.

ქვეყნის მთავარი სამარცვლე კულტურაა ბრინჯი, რომელსაც ტაილანდელებისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ევროპელებისათვის პურს. გარდა ამისა ბრინჯი წარმოადგენს უმთავრეს საექსპორტო კულტურას. სავალუტო შემოსავლების 25%-ზე მეტი ამ პროდუქტზე მოდის, ყოველწლიურად ექსპორტზე მიდის 1,5—1,8 მლნ. ტონა ბრინჯი. ბრინჯის ნათესებს უკავია 9 მლნ. ჰექტარამდე სარწყავი მიწა. საერთო წარმოება შეადგენს 13—15 მლნ. ტონას. მოყვანის ძირითადი რაიონებია ქვეყნის ცენტრალური პროვინციები. ტაილანდური ბრინჯი უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომ მასზე დიდია მოთხოვნილება, პერსპექტივაში გათვალისწინებულია ბრინჯის ნათესების გაზრდა დამატებით ერთი მილიონი ჰექტარით, ხოლო საექსპორტო პროდუქციის მოცულობის გაზრდა 3 მილიონ ტონამდე.

სხვა მარცვლოვანი კულტურებიდან მნიშვნელოვანია სიმინდი, რომლის მასიური თესვა დაიწყო 50-იანი წლებიდან, სიმინდი იძლევა მაღალ და სტაბილურ მოსავალს, 1985 წელს მისი მოსავალი შეადგენდა 5 მლნ. ტონას, რომელთაგან 80% მიდიოდა ექსპორტზე, ძირითადად, იაპონიაში. სიმინდი მოჰყავთ ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში.

გარდა ბრინჯისა და სიმინდისა, ტაილანდში მოჰყავთ ქერი, ლობიო და სხვა პარკოსნები. მარცვლეულის წარმოებით ქვეყანა ჯერ-ჯერობით უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს. თუმცა, მოსახლეობის ზრდის ტემპი სჭარბობს პროდუქციის მატების ტემპს.

საექსპორტო კულტურაა აგრეთვე კაუჩუკი, რომლის პირველი პლანტაციები ქვეყანაში გამოჩნდა 1908 წელს (შემოიტანეს ფრანგებმა). დღეისათვის, ამ კულტურას უჭირავს ერთ მლნ. ჰექტარზე მეტ ფართობი, მისი გავრცელების არეალია სამხრეთი პროვინციები. პლანტაციები პატარა სიდიდისაა. კაუჩუკის ხარისხი არ არის მაღალი, მიღებული ნედლეულის მხოლოდ 5—10%-ია მაღალხარისხოვანი, ამის მიზეზია, ის რომ კაუჩუკის წვენის მიღება-გადამუშავება უმრავლეს შემთხვევაში კუსტარული წესით წარმოებს, 1985 წელს ქვეყანაში დაამზადეს 0,5 მლნ. ტონა კაუჩუკი, რომელიც მთლიანად ექსპორტზე

გაიტანეს აღსანიშნავია ის, რომ ნატურალურ კაუჩუკზე მოთხოვნილება მსოფლიოს ბაზარზე იზრდება, ამიტომ ქვეყანაში ცდილობენ გაიზარდოს კაუჩუკის ფერთოებები და მიეცეს მას სამრეწველო მნიშვნელობა.

ბამბაც გაადგილებულია ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში. იგი შედარებით ახალი კულტურაა, მისი გავრცელება დაიწყო 20-იანი წლებიდან. ბამბის ნაწილი (70%-მდე) მოიხმარება ქვეყნის შიგნით, ხოლო დანარჩენი ნედლეულის სახით გადის ექსპორტზე. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ თამბაქო, რომელიც ძირითადად შიდა ბაზრისათვის არის გათვალისწინებული. განსაკუთრებით გაიზარდა შაქრის ლერწმის წარმოება. ქვეყანა არა მარტო უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს შაქრის ფხვნილზე, არამედ გააქვს კიდევაც იგი საექსპორტოდ, თუმცა შაქრის ლერწმის გადამუშავების უმეტესად პრიმიტიული ხასიათი აქვს, ბოლო პერიოდში შეიქმნა ლერწმის სპეციალიზებული აგროსამრეწველო საწარმოები. დიდი რაოდენობით აწარმოებენ კანაფს, მონიოს, ჯუთს და სხვა ტექნიკურ კულტურებს, რომლებიც უმთავრესად გლეხურ მეურნეობებშია წარმოდგენილი.

კარგადაა განვითარებული მეხილეობა, დიდი რაოდენობით მოჰყავთ ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი, რომელიც ნატურალური და გადამუშავებული სახით (წვენები) გაიქვთ საექსპორტოდ. 60-იანი წლებიდან დაიწყეს ყავის პლანტაციების გაშენება, რომელსაც კარგი პერსპექტივა აქვს.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვნად განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იქმნება სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობაც. ენერგოშეიარაღებამ 15 ცხენის ძალას მიაღწია (1950 წ. ეს 8 ცხენის ძალას უდრიდა), ენერგეტიკული საშუალებების სტრუქტურაში მექანიკური საშუალებების ხვედრითი წილი 65%-მდე გაიზარდა. დაიწყეს მინერალური სასუქების გამოყენებაც, რამაც 1,7-ჯერ გაზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაფართოვდა სამელიორაციო ქსელი და სხვ. თუმცა, ჯერ კიდევ დაბალია ტექნიკური შეიარაღების დონე, მაგალითად, ერთ ტრაქტორზე (ფიზიკურ ერთეულებში) მოდის 370 ჰექტარი სახნავი, ხოლო სასუქების საშუალო მაჩვენებელი ერთ ჰექტარზე 15 კგ-ს არ აღემატება.

მეცხოველეობას დამხმარე ხასიათი აქვს და ძირითადად ეამოიყენება, როგორც ცოცხალი გამწევი ძალა. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (კამეჩები), ვარაუდობენ, რომ მათი რაოდენობა 6 მილიონს აღემატება, პროდუქტიულობა არ არის აღრიცხული. მეცხოველეობის ფერმები წარმოდგენილია მხოლოდ დიდი ქალაქების საკარე-

ებნო ზონაში, პირუტყვი ძოვებაზეა, რისთვისაც იყენებენ თავისუფალ მიწებს. ძირითადად გლეხურ მეურნეობებში კარგადაა წარმოდგენილი მეღორეობა, თუმცა არსებობს სპეციალიზებული მეღორეობის ფერმებიც. მეფრინველეობას აქვს როგორც სამრეწველო, ისე ინდივიდუალური ხასიათი, არსებობს რამდენიმე მძლავრი მეფრინველეობის ფაბრიკა, რომლებიც საკმაო რაოდენობით აწარმოებენ ხორცსა და კვერცხს. განვითარებულია მეაბრეშუმეობა და მეფუტკრეობა.

მიმდებარე სანაპირო წყლები მდიდარია სხვადასხვა სახის თევზით, ბოლო წლებში შეიქმნა თევზჭერის მსხვილი საწარმოები, თუმცა თევზის წარმოებაში წამყვანი ადგილი ჯერ კიდევ ინდივიდუალურ მეთევზეობას უჭირავს. წლის განმავლობაში იჭერენ 2 მილიონამდე ტონა თევზს, რომელიც უზრუნველყოფს შიდა ბაზრის მოთხოვნილებას.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის განვითარებას, იქმნება თანამედროვე ტიპის საწარმოები, თუმცა, ჯერ კიდევ დომინანტობს კუსტარული, პრიმიტიული წარმოებები, რომლებიც ძირითადად წვრილგლეხურ მეურნეობებს ემსახურება.

ტაილანდში კარგი ბუნებრივი და კლიმატური პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. ქვეყანა ძირითადად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და საკმაო რაოდენობითაც ვაყენებს იგი საზღვარგარეთ.

კვალიფიციური კადრების მომზადება დაწყეს 70-იანი წლებიდან, როდესაც ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, სპეციალისტების უმრავლესობა მომზადდა საზღვარგარეთის სასწავლო ცენტრებში, დღესაც ბევრი ტაილანდელი სწავლობს საზღვარგარეთ. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება ჩანასახის სტადიაშია, გაიხსნა რამდენიმე სამეცნიერო ცენტრი, მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის საკითხების კომპლექსური კვლევა.

ბირმა

ბირმა მდებარეობს ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით. მისი ტერიტორია 678 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—34 მილიონი, დედაქალაქია — რანგუნი. ბირმა ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომელიც ერთ დროს იწოდებოდა სოციალისტურად.

რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, აქაც ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა. ნაპოვნია ისტორიამდელი პერიოდის ადამიანთა საქმიანობის საგნები. ბირმელებს სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. VI—VIII საუკუნეებში. მათ შექმნეს ძლი-

ერი ცენტრალიზებული სახელმწიფო, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა რეგიონის ისტორიაში. მომდევნო პერიოდში ბირმა ხშირად ყოფილა ომების ასპარეზი. XIII საუკუნეში ქვეყანა მონღოლებმა დაიპყრეს, მალე იგი სამთავროებად დაიყო, დაიწყო მათ შორის გაუთავებელი ომები, რომელიც XVIII საუკუნემდე გაგრძელდა. 1752 წელს დაიწყო ბირმის გაერთიანების პროცესი, რომელიც 10 წელს გაგრძელდა. XIX საუკუნეში დაიწყო ინგლისელთა გავლენა ბირმაზე. 1885 წელს ბირმა შეუერთდა ინდოეთს, როგორც მისი ერთ-ერთი პროვინცია. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1947 წელს შეიქმნა ბირმის კავშირი და გამოცხადდა მისი დამოუკიდებლობა.

ბირმა მთლიანი ქვეყანაა, მუსონური კლიმატით, სუბტროპიკული და ტროპიკული ლანდშაფტით. ესაა ქვეყანა, სადაც რამდენიმე კილომეტრის რადიუსში იცვლება არა მარტო ლანდშაფტი, არამედ კლიმატიც. ქვეყნისათვის დამახასიათებელია მცირე სიმაღლის ზეგნები, რომლებიც მდინარეთა ხეობებში დაბლობებში გადადის, სწორედ ისინი წარმოადგენენ ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონებს. მთების სიმაღლე მერყეობს 1500—3000 მეტრამდე.

ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის ზაფხულის მუსონი. ზაფხულობით ხშირია მტვრის ქარიშხალი, რომლის სიმაღლე ზოგჯერ 3 კმ-მდე აღწევს და ჰაერში „ჩამიწოლილია“ რამდენიმე კვირის განმავლობაში. ძლიერი ქარიშხლები დამანგრეველი ძალით აწყდება არა მარტო სანაპიროებს, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებსაც.

წლის ყველაზე ცივი თვე იანვარია, რომლის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილოეთით (მთებში) 0°-მდეა, 2—3 კვირის განმავლობაში დევს თოვლიც. ოქტომბრის საშუალო ტემპერატურა +26°C-ია. მაღალია ნალექების რაოდენობა, ზოგიერთ რაიონში ეს მაჩვენებელი 4000 მმ აღწევს.

ბირმა უზრუნველყოფილია წყლის რესურსებით. არსებობს საკმაოდ წყალუხვი მდინარეები, რომლებიც იკვებებიან როგორც მყინვარებით, ისე ნალექებით, მდინარეთა კვების 80% მოდის ნალექებზე, მუსონური წვიმების დროს ხშირია წყალდიდობა, რომელიც ტბორავს საკმაოდ დიდ სივრცეებს, მდინარეების ქვემო წელი სანაოსნოა და საკმაოდ დიდი მოცულობის ტვირთბრუნვისათვის გამოიყენება. ტბები ქვეყანაში ცოტაა.

მეტად მდიდარია ბირმის ფლორა, რაზედაც მეტყველებს ის, რომ მსოფლიოში არსებული 1000 დენდროსახეობიდან, 700 ბირმაში არსებობს. ქვეყანაში ორქიდეის 700, კამელიის—80, პალმის—70 და ა. შ.

სახეობაა. ბირმაში — ტყეებს, უჭირავს ტერიტორიის 60%, (ცენ-ტრალურ ნაწილში ტყეები თითქმის არაა), სამხრეთში ბევრია ძვირ-ფასი ხის ჯიშები, რომელთა უმრავლესობა შეტანილია წითელ წიგნში. ტყეებს უჭირავს 280 ათასი კვ. კმ, აქედან 1/4 დაცულია, და ამ ტერ-ტორიაზე ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა აკრძალულია.

მრავალფეროვანია ნიადაგობრივი საფარი. მაღალნაყოფიერი მი-წები საუკეთესო ფონს ქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. თითქმის არ ტარდება ნიადაგდაცვითი ღონისძიებები, რაც იწვევს სე-რიოზულ ეროზიულ მოვლენებს.

ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა რთულია, მოსახლეობის 90% ლაპარაკობს ტიბეტურ-ბირმულ ენაზე. ბირმელები შეადგენენ მოსახ-ლეობის 3/4, ქვეყანაში ცხოვრობენ აგრეთვე ინდოელები, ჩინელები, ტაილანდელები, ვიეტნამელები და სხვ. მოსახლეობის სიმჭიდროვე არათანაბარია, საშუალოდ ერთ კვ. კმ-ზე ცხოვრობს 36 კაცი, ზოგიერთ პროვინციებში ეს მაჩვენებელი 2 კაცს უდრის და ზოგან 600-ის ტო-ლია. მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად, აქტიური მო-სახლეობის 70% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში, ქალაქის მოსახ-ლეობის ხვედრითი წილი 20% არ აღემატება, თუმცა ბოლო ათი წლის განმავლობაში ურბანიზაციის ტემპი საკმაოდ ამაღლდა.

ბირმა აგრარული ქვეყანაა. მრეწველობა, მიუხედავად ზრდის მაღალი ტემპებისა, ჯერ კიდევ დამხმარე დარგს წარმოადგენს. ინგ-ლისელებმა კოლონიზაციის პერიოდში შეცვალეს ბირმის სოფლის მეურნეობის ტრადიციული სპეციალიზაცია და იგი თავიანთ ინტერეს-სებს დაუმორჩილეს. მრავალი ათეული წლის განმავლობაში ბირმა გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო მონოკულტურის ქვეყნად, რომელიც ბრინჯს აწარმოებდა ინგლისისათვის. ამ მიზნით ათვისებული იქნა დამატებითი ფართობები. კოლონიზაციის პერიოდში ბრინჯს ეკავა სა-თესი ფართობის 2/3. ამავე დროს დასაბამი მიეცა სხვა მნიშვნელოვა-ნი კულტურების განვითარებას. გააშენეს კაუჩუკის, ქოქოსის პალმის, ჩაის და სხვა პლანტაციები.

1947 წლიდან განხორციელდა აგრარული რეფორმები, რომელსაც ეტაპობრივი ხასიათი ჰქონდა. მოხდა კოლონიზატორთა პლანტაციების ნაციონალიზაცია, გატარდა ნაწილობრივი მიწის რეფორმა, მკირენ-წიანმა და უმიწაწყალო გლეხებმა ქვეყნის ახლად ათვისებულ პრო-ვინციებში მიიღეს მიწის ნაკვეთები, 1950-იანი წლებიდან ბირმა შეე-ცადა დადგომოდა განვითარების სოციალისტურ გზას, განსაკუთრებით ცუდი შედეგები მოჰყვა ამ ღონისძიებას სოფლის მეურნეობაში, ჩამო-ყალიბებულ კოოპერატივებში შემცირდა შრომის ნაყოფიერება, დაე-

ცა მოსავლიანობა. ქვეყანამ დროულად აიღო ხელი განვითარების სოციალისტურ გზაზე და დაადგა თავისუფალი მეწარმეობის გზას, რომელიც ეფუძნება მიწაზე და წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას. თუმცა, ეკონომიკური აღორძინების პროცესი მაინც ძნელად მიმდინარეობს.

ტექნიკური თვალსაზრისით, ბირმის სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია, ჭარბობს ხელით შრომა, ენერგოშეიარაღება 8 ცხენის ძალის არ აღემატება და იგი ძირითადად ცოცხალი გამწევი ძალითაა წარმოდგენილი. მუშა-იარაღები პრიმიტიულია, დაბალია მინერალური სასუქების გამოყენების დონე, ბოლო დროს ქვეყანაში შეიქმნა თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მაგრამ ძალი რიცხვი ჯერ ძალზედ უმნიშვნელოა.

სასოფლო-სამეურნეო მიწების საკმაოდ დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ მემამულეების ხელშია. რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, გავრცელებულია მევახშეობა, საკმაოდ ბევრია უმიწაწყალო გლეხები, რაც იწვევს უმუშევრობას, ხოლო რესურსების ჭარბი რაოდენობა იწვევს შრომის გაუფასურებას, ამიტომ ანაზღაურებაც დაბალია. დამოუკიდებლობის პერიოდში დაეცა საექსპორტო კულტურების წარმოება. მაგალითად, ბრინჯის წარმოებამ 1970 წელს ომამდელი დონის 90% შეადგინა, ხოლო კაუჩუკის—70%. 1970 წლიდან იწყება სერიოზული ძვრები ბირმის სოფლის მეურნეობაში. გამოიკვეთა სასაქონლო და საექსპორტო პროდუქციის ძირითადი სახეები.

დღეისათვის, ბრინჯის წარმოება რჩება სოფლის მეურნეობის მთავარ მიმართულებად, თუმცა მისი განვითარების დონე დაბალია. ქვეყანაში დაახლოებით 7 მილიონამდე გლეხური კომლია, რომელთაგან 2 მილიონამდე უმიწაწყალოა. ბრინჯის წარმოებითაა დაკავებული 4 მილიონამდე გლეხი. ახალი მიწების ასათვისებლად საჭიროა გარკვეული კაპიტალური დაბანდება. მთავრობა რეგულარულად ეხმარება გლეხებს — ბანკის ვალების ჩამოწერით, ახალი სესხებით, მაგრამ მდგომარეობა მაინც კრიზისულია. როგორც წესი წვრილი გლეხური მეურნეობები არარენტაბელურია, ისინი ადგილობრივ მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებენ, ბევრი მათგანი წყვეტს არსებობას ან უერთდება სხვა მეურნეობას.

ბოლო წლებში ფართო გაქანება ჰპოვა მარტივმა კოოპერაციებმა, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამქირავებელი კოოპერატივები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ. ქვეყნის ძირითადი სასურსათო პროდუქტია — ბრინჯი, ნათესებისათვის სარწყავი მიწებია გამოყენებული. განსაკუთ-

რებით ბევრია ბრინჯის ნათესები ქვეყნის სამხრეთით, მდინარეების ირავადისა და სალუინის ქვემო წელზე. ამ კულტურას უკავია სახნავის 60%, მოსავლიანობა არ არის მაღალი — 16—18 ცენტნერი ჰექტარზე, საერთო მოსავალი 8—9 მილიონი ტონაა, დაახლოებით ერთ მილიონ ტონამდე მიდის საექსპორტოდ. პროგნოზით გათვალისწინებულია ბრინჯის წარმოების გაზრდა 12—13 მილიონ ტონამდე. ვარაუდობენ გაზარდონ ბრინჯის ექსპორტი 3 მლნ. ტონამდე.

მარცვლეულიდან მოჰყავთ სიმინდი, რომელიც შედარებით ახალი კულტურაა. ზოგიერთ რაიონებში, ეს კულტურა მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. სიმინდი ძირითადად წვრილგლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი, მას ხმარობენ არა მარტო სურსათად, არამედ პირუტყვის საკვებადაც. ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში მცირე ოდენობით თესავენ ქერსა და ჭვავს.

სათესი ფართობის 15% უჭირავს ზეთოვან კულტურებს, ამზადებენ ზეითუნის ზეთს, მოჰყავთ არახისი, ზეთი გააქვთ ექსპორტზე. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია ბამბა, რომლის ნათესები ქვეყნის ცენტრალურ პროვინციებშია. ბამბის გადამუშავება წარმოებს ადგილზე და ძირითადად გათვალისწინებულია შიგა ბაზრისათვის. თამბაქო მოჰყავთ უმთავრესად გლეხურ მეურნეობებში თუმცა, არსებობს რამდენიმე სპეციალური მეურნეობა, რომლებიც შემორჩენილია ჯერ კიდევ ინგლისელების ბატონობის პერიოდიდან, თამბაქოს გადამუშავებაც ადგილზე წარმოებს და ძირითადად შიდა ბაზრისთვისაა გათვალისწინებული.

ბირმაში კაუჩუკის კულტურა, შედარებით ახალია და მისი პროდუქცია ძირითადად საექსპორტოა, იგი წარმოდგენილია სამხრეთის პროვინციებში. კაუჩუკის წვენის გადამუშავება ადგილზე წარმოებს და ამ სახით გადის იგი მსოფლიო ბაზარზე. ქვეყანაში გავრცელებულია შაქრის ლერწამიც, ძირითადად ჩრდილოეთ რაიონებში. შაქრის ლერწმის გადამუშავება წარმოებს როგორც სამრეწველო, ისე კუსტარული წესით. ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს შაქრის პროდუქციაზე იკმაყოფილებს, ვარაუდობენ ახალი მიწების ათვისებას და შაქრის ლერწმის სპეციალიზებული მეურნეობების ჩამოყალიბებას. ეს კულტურა კარგად ექვემდებარება მექანიზაციას.

მემცენარეობიდან წარმოდგენილია ტროპიკული და სუბტროპიკული მეხილეობა, ამზადებენ საკმაოდ მაღალი ხარისხის საექსპორტო ხილის წვენებს. ჩაის კულტურა წარმოდგენილია ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, ძირითადად, მთის ფერდობებზე. გავრცელებულია იაპონური ჯიშის მცენარე, რომელიც ხასიათდება მაღალი და სტაბილური

მოსავლიანობით. მზა ჩაის მცირე ნაწილი (15—20%-მდე) გაიქვეთ საექსპორტოდ, დანარჩენი მოიხმარება ქვეყნის შიგნით.

მეცხოველეობა სუსტადაა წარმოდგენილი და რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, მას დამხმარე ხასიათი აქვს. მაგალითად, რქოსანი პირუტყვი ასრულებს აგრეთვე მუშა პირუტყვის როლს. ბლეხურ მეურნეობებში მისდევენ მეღორეობას და მეფრინველეობას. ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ პროვინციებში ჰყავთ ცხვარიც, რომელთა სულადობა არ არის აღრიცხული. ამავე პროვინციებში მისდევენ მეფუტკრეობას, თაფლი და ცვილი ბირმას გაიქვს საზღვარგარეთ.

კვების რაციონში დიდ როლს ასრულებს თევზის პროდუქტები, რომელსაც იჭერენ სანაპირო და შიდა წყლებში. უკვე ჩამოყალიბდა თევზჭერის ფლოტილია. ყოველწლიურად იჭერენ ერთ მილიონ ტონამდე თევზს.

გადამამუშავებელ და კვების მრეწველობას ჯერ კიდევ კუსტარული ხასიათი აქვს. გავრცელებულია წვრილი პრიმიტიული საწარმოები, რომელთა საშუალო წლიური სიმძლავრე 50 ტონას არ აღემატება. ბოლო დროს ქვეყანაში იქმნება თანამედროვე ტიპის გადამამუშავებელი მრეწველობა.

ბირმელები სასოფლო-სამეურნეო განათლებას უმთავრესად საზღვარგარეთ იღებენ, თუმცა 1977 წლიდან ქვეყანაში ფუნქციონირებს რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებელი. სამეცნიერო კვლევით მუშაობას არა აქვს ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი, მეცნიერების ეს დარგი ჩამოყალიბების პროცესშია.

მალაიზია

მალაიზია შედარებით პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 333 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—13,5 მილიონი, დედაქალაქი — კუალა-ლუმპურა. ქვეყანა სამხრეთ ჩინეთის ზღვით გაყოფილია დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდი მანძილითაა დაცილებული. დასავლეთი მალაიზია მდებარეობს მალაკის ნახევარკუნძულის სამხრეთით, აღმოსავლეთ მალაიზია კი კუნძულ კალიმანტანის ჩრდილოეთ ნაწილშია. მალაიზიაში არჩევითი კონსტიტუციური მონარქია, მეფეს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

მალაიზიელები რეგიონის სხვა ქვეყნებიდანაა მოსული და დამკვიდრებული, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. აქ არსებობდა მძლავრი მონათმფლობელური სახელმწიფო. XV საუკუნეში ნახევარკუნძულზე მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო შეიქმნა, რომელიც დაპყრობით ომებსაც კი აწარმოებდა. 1511 წელს ნახევარკუნძულზე პორტუგალიელები მოვიდნენ და დაიპყრეს იგი. 1641 წელს მალაიზიას

ჰოლანდიელები დაეუფლნენ, ხოლო შემდეგ ინგლისელები. 1834 წელს ჰოლანდიელებმა და ინგლისელებმა დადეს ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის გავლენის სფეროებად დაყოფის შესახებ. მალაიზია ინგლისელების სფეროში შევიდა, 1948 წელს მალაიზიას მიეკუთვნა დამოუკიდებლობა, მხოლოდ უკიდურეს სამხრეთით მდებარე პატარა ტერიტორიას — სინგაპურს დარჩა კოლონიის სტატუსი, რომელიც შემდეგ შეიცვალა და სინგაპურიც დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა.

მალაიზიის ბუნებას განსაზღვრავს მისი ეკვატორული მდებარეობა და ის, რომ იგი სამივე მხრივ ზღვითაა გარშემორტყმული. ნათებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი. ნახევარკუნძულის ყველაზე მაღალი წერტილი 2190 მეტრია. აღმოსავლეთ მალაიზია ბრიანი ქვეყანაა, ყველაზე მაღალი მთის სიმაღლე 4175 მეტრია, რომლის მწვერვალი მუდამ თოვლიანია. მთის ფერდობები დაფარულია ბარადმწვანე ტროპიკული ტყეებით.

მალაიზიის კლიმატი ეკვატორულია. მთელი წლის განმავლობაში ცხელი ამინდია. წლის საშუალო ტემპერატურა 25°—28°C-ია, დაბლობში — 30°—36°C. მთებში კლიმატი შედარებით ზომიერია, ხოლო სიმაღლის მატებასთან ერთად — გრილიც კი. ნალექების განაწილება თანაბარია, თუმცა გამოკვეთილია შედარებით წვიმიანი და შედარებით მშრალი სეზონები. სანაპირო ზოლში ნალექების რაოდენობა 1500—2000 მმ, კუნძულოვან ნაწილში ეს მაჩვენებელი 2500 მმ-ია, შიდა რაიონებში—5000 მმ აღწევს.

ნიადაგები მრავალფეროვანია, დამახასიათებელი ტროპიკული სარტყლისათვის, ხოლო ნაყოფიერება დაბალია.

ქვეყანაში ბევრი წყალუხვი მდინარეა, ტროპიკული წვიმები დიდ გავლენას ახდენს მდინარეთა წყლის რეჟიმზე. იმატებს მათი დონე. ხშირია დაბლობების დატბორვა, რომლებიც იწვევენ წყლისმიერ ეროზიულ მოვლენებს.

ტერიტორიის 3/4 გაუვალ ტყეებს უჭირავს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის ტყეების გაგრძელებაა. მთებში ბევრია მუდმივად მწვანე მუხა და სხვა ძვირფასი ჯიშის ხეები. ტყეებში ბევრია კულტურული მცენარე—ბანანი, პამპა, პურის ხე, ქოქოსის პალმა და სხვ.

მალაიზია მრავალეროვანი ქვეყანაა, რომელთა შორის 53%-ს შეადგენს მალაიზიელები, გარდა ამისა ქვეყანაში ცხოვრობენ ინდონეზიელები, ჩინელები. ინდოელები, მცირე რაოდენობით—ევროპელებიც. მაღალია ურბანიზაციის დონე. მოსახლეობის 45% ცხოვრობს ქალა-

ქად, რასაც ხელი შეუწყო მრეწველობის დაჩქარებულმა განვითარებამ. დიდია მოსახლეობის მატება.

მალაიზიის მეურნეობა ჯერ კიდევ განიცდის კოლონიური წარსულის გავლენას. იგი დღესაც რჩება აგრარულ-ნედლეულის მწარმოებლად. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის ნახევარი, ჯერ კიდევ დიდია მონოკულტურის გავლენა. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ჰევეა, რომელსაც უკავია დამუშავებული მიწების 60%. იგი მაღალხარისხოვანი კაუჩუკისათვის მეტად ძვირფასი ნედლეულია. ჰევეა ნაწილობრივ წარმოდგენილია დიდი პლანტაციების სახით, რომლებიც შემორჩა ჯერ კიდევ ინგლისელების ბატონობის პერიოდიდან. მსხვილი პლანტაციების უდიდესი ნაწილი ჩინელების ხელშია, ჰევეას პლანტაციების ნახევარი წვრილგლეხურ მეურნეობაშია, რომლებიც იძლევიან ნედლეულის 1/2, ბოლო ათწლეულში ჩამოყალიბდა კაუჩუკის ნედლეულის მწარმოებელი აგროფირმები, რომლებიც წვენის პირველად გადამუშავებას აწარმოებენ . კაუჩუკის პლანტაციები მოითხოვენ დიდ შრომით დანახარჯებს. მცენარე წვენს გამოყოფს 30 წლამდე. შემდეგ საჭიროა მისი ამოძირკვა და განახლება. განსაკუთრებით პროდუქტიულია 11—15 წლის ასაკოვანი მცენარე. თვით წვენის მოპოვების პროცესი ძნელია და მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, მისი დამუშავების ტექნოლოგია საკმაოდ რთულია. მსხვილ აგროფირმებში შექმნილია ავტომატიზებული პირველადი გადამუშავების ფაბრიკები. გლეხურ მეურნეობაში კაუჩუკის მიღება იწარმოება პრიმიტიული ხერხით, რაც ნედლეულის დიდ დანაკარგს იწვევს. ბოლო პერიოდში გადამამუშავებელ მრეწველობასა და აგროფირმებთან, გავრცელდა გლეხური მეურნეობების სხვადასხვა კოოპერაციული ფორმები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა წარმოებული კაუჩუკის ხარისხი. მალაიზია კაუჩუკის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი ქვეყანაა მსოფლიოში. კაუჩუკზე მოდის ერთობლივი პროდუქციის 1/6, მის წარმოებაშია დასაქმებული აქტიური მოსახლეობის 1/3. კაუჩუკის წარმოების შემდგომ განვითარებას ემსახურება მსოფლიოში ერთადერთი კაუჩუკის სამეცნიერო ცენტრი, რომელიც სელექციურ კვლევას აწარმოებს. აღნიშნული ინსტიტუტი მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქში, რომელსაც ფილიალები კაუჩუკის მწარმოებელ სხვა ქვეყნებშიც აქვს.

მალაიზია აწარმოებს კაუჩუკის მსოფლიო წარმოების 45—48%. 1985 წელს კაუჩუკის წარმოებამ 1,45 მლნ. ტონა შეადგინა. წარმოებული კაუჩუკის 95% მიდის ექსპორტზე, ქვეყანაში შემუშავებულია კაუჩუკის შემდგომი განვითარების გეგმა, ვარაუდობენ მისი წარმოება გაზარდონ 1,7—1,8 მლნ. ტონამდე.

მნიშვნელობით მეორე კულტურაა ზეთოვანი პალმა, რომელიც მოჰყავთ როგორც სპეციალურ, ისე წვრილგლეხურ მეურნეობებში. მისი წარმოება სამრეწველო საფუძველზეა. ამზადებენ ტექნიკურ ზეთს, პროდუქციის 60% გააქვთ ექსპორტზე, დანარჩენი მოიხმარება შიდა ბაზარზე. კარგი პერსპექტივები აქვს ყავისა და ჩაის წარმოებას, ეს კულტურებიც საექსპორტო ხასიათისაა და ძირითადად წარმოდგენილია მხხვილ მეურნეობებში. ყავის წლიური წარმოება 40—45 ათასი ტონაა, რომლის 1/ მიდის ექსპორტზე. მალაზიაში მოჰყავთ კარგი ხარისხის ჩაი, რომლის ვეგეტაცია მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. ჩაის პროდუქციის წლიური რაოდენობა 65—70 ათასი ტონაა. ნაწილი გადის ექსპორტზე. მალაიზიის ძირითადი საექსპორტო პარტნიორია ინგლისი, რომელზეც მოდის ქვეყნის საგარეო ვაჭრობის 80%-მდე.

საექსპორტო ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა სასურსათო პროდუქციის წარმოებაც. ძირითადი სასურსათო პროდუქტია ბრინჯი, რომელიც მოდის სარწყავ მიწებზე. მართალია, წელიწადში ბრინჯის რამდენიმე მოსავალს იღებენ და იგი საკმაოდ მაღალი მოსავლიანობითაც ხასიათდება, მაგრამ ქვეყანა საკუთარი წარმოებით ჯერ კიდევ ვერ იკმაყოფილებს მასზე მოთხოვნილებას და მარცვლეული სხვა ქვეყნებიდანაც შემოაქვს, (დღეისათვის, ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს ბრინჯზე მხოლოდ 70%-ით იკმაყოფილებს). შედარებით კარგი პერსპექტივებია ბრინჯის წარმოებისათვის ქვეყნის კუნძულოვან ნაწილზე. გარდა ბრინჯისა წვრილგლეხურ მეურნეობაში მოჰყავთ სიმინდი, რომელსაც მოსახლეობა კვების პროდუქტად იყენებს. კუნძულებზე მცირე რაოდენობით მოჰყავთ ხორბალი. სოფლის მოსახლეობა საკვებად იყენებს პარკოსან კულტურებს, განსაკუთრებით, ლობიოსა და სოიას, რომელიც შეთესილია სიმინდის კულტურასთან ან მრავალწლიანი ნარგავების რიგთაშორისებში. მთიან ზონაში მისდევენ კარტოფილის მოყვანას, რომელიც ქვეყნისათვის შედარებით ახალი კულტურაა.

გავრცელებულია ტროპიკული და სუბტროპიკული მეხილეობა. არსებობს ბანანის, ანანასის, ფორთოხლის დიდი პლანტაციები. ამზადებენ ციტრუსების წვენს, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ. კარგადაა წარმოდგენილი მებოსტნეობა, რომელიც უმთავრესად განვითარებულია საგარეუბნო ზონაში. საქვეყნოდაა ცნობილი მალაიზიური წითელი წიწაკა, რომლიდანაც ამზადებენ ხმელ სუნელს, მებოსტნეობა მრავალფეროვანია და კარგადაა განვითარებული. საგარეუბნო ზონაში ვითარდება მებაღეობაც.

მალაიზიის სოფლის მეურნეობა ვითარდება მიწასა და წარმოების

საშუალებებზე კერძო საკუთრების პირობებში. ქვეყანაში შენარჩუნებულია ფეოდალური ურთიერთობებიც. არსებობენ მსხვილი მიწათმფლობელები ადგილობრივი მემამულეების სახით, მათ გვერდითაა პლანტატორები, რომლებიც ძირითადად უცხოელები (ჩინელები) არიან, განვითარებულია წვრილგლეხური მეურნეობები. მსხვილი მიწათმფლობელები და პლანტატორები იყენებენ დაქირავებულ შრომას, რომელიც ძირითადად საიჯარო ურთიერთობებზეა დამყარებული. ბოლო პერიოდამდე სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის დონე დაბალი იყო. იყენებდნენ ძირითადად ცოცხალ გამწევ ძალას. დღეისათვის მდგომარეობა შეიცვალა, მსხვილი მეურნეობები უმთავრესად მექანიზებულია. ტექნიკა კარგადაა წარმოდგენილი სამთო მიწათმოქმედებაში. ქვეყანაში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ცენტრი. თუმცა, ტრაქტორები და სხვა მანქანები ჯერ კიდევ შემოაქვთ საზღვარგარეთიდან. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 75% იქმნება მემცენარეობაში.

სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა. იგი უმთავრესად წარმოდგენილია მემცენარეობის ზონაში და იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. საგარეუბნო ზონაში შეიქმნა რამდენიმე სპეციალიზებული მეურნეობაც. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი წარმოდგენილია კამეჩების სახით. მათი პროდუქტიულობა დაბალია. ყველა გლეხურ მეურნეობაში საკმაო რაოდენობით ჰყავთ ღორი, (განსაკუთრებით ჩინურ დასახლებაში). მთიან ზონაში ჰყავთ ცხვრები და თხები, ხოლო საგარეუბნო ზონაში განვითარებულია სამრეწველო მეფრინველეობა. მეცხოველეობის განვითარებას ხელს უშლის ის, რომ ქვეყანაში თითქმის არ არსებობს საძოვრები, მთებში გაუვალი ჯუნგლებია, ხოლო დაბლობი დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში საძოვრების ხვედრითი წილი 12—15%, რაც ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია მსოფლიოში.

ქვეყანას გარდა მარცვლეულისა შემოაქვს ხორცი—ნატურალური და გადამუშავებული სახით, რძის ფხვნილი, კარაქი, მცენარეული ზეთი. იმპორტ-ექსპორტის სალდო მალაიზიის სასარგებლოდაა. ივი საკვები პროდუქტების შემოტანაზე ხარჯავს სასოფლო-სამეურნეო ექსპორტიდან მიღებული ვალუტის მხოლოდ 1/3.

მოსახლეობის კვების რაციონში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი თევზის პროდუქცია. მიმდებარე ტერიტორიული და შიდა წყლები მდიდარია თევზით, რომლის ჭერასაც ჯერ კიდევ ინდივიდუალური ხასიათი აქვს, თუმცა, ქვეყანაში უკვე იქმნება თევზჭერის სპეციალური ფლოტილია.

განვითარებულია კვებისა და გადამამუშავებული მრეწველობა. დიდ ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში ამენებულია თანამედროვე ტიპის გადამამუშავებული საწარმოები, ბევრია მცირე სიმძლავრის საწარმო. გლეხურ მეურნეობებში კი პროდუქციის გადამუშავებას ჯერ კიდევ პრიმიტიული ხასიათი აქვს.

კვალიფიციური კადრების მომზადება უმთავრესად საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში ხდება. მხოლოდ 1980 წელს გაიხსნა ქვეყნის დედაქალაქში სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი. მაღალ დონეზეა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, როგორც უკვე იყო აღნიშნული მალაიზიაში ფუნქციონირებს მსოფლიოში ყველაზე მძლავრი კვლევითი ცენტრი კაუჩუკის წარმოების სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად.

სინგაპური და ბრუნეი

სინგაპური სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ყველაზე პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორიაც 0,6 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—3 მლნ. სინგაპური მდებარეობს ამავე სახელწოდების პატარა კუნძულზე. იგი წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის საზღვაო ნავსადგურს, რომელიც აკავშირებს ევროპას შორეულ აღმოსავლეთთან, კერძოდ, ჩინეთთან, იაპონიასთან, ინდონეზიასთან, ავსტრალიასთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან. სინგაპურის პორტი ტვირთბრუნვით ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მოცულობითა და ტექნიკური აღჭურვილობით იგი მეოთხე ადგილზეა (როტერდამის, ნიუ-იორკის, იოკოჰამას შემდეგ).

სინგაპური ქალაქ-ქვეყანას წარმოადგენს. მოსახლეობის 90% ცხოვრობს ქალაქ სინგაპურსა და მის შემოგარენში.

სინგაპური ჩინელების აღმოჩენილია და სწორედ ამიტომ ქვეყნის ძირითად მოსახლეობას ჩინელები შეადგენენ. ზღვაოსნობის განვითარებამ განაპირობა მისი არა მარტო სტრატეგიული არამედ სამხედრო მნიშვნელობაც. სინგაპური წარმოადგენდა ე. წ. „ჭიშკარს“ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დანარჩენი ქვეყნებისათვის, ამიტომ იგი ხშირად ყოფილა კონფლიქტებისა და ომების საბაბი. 1819 წელს იგი ინგლისელების ხელში გადავიდა, რომელიც მალე გადაიქცა ინგლისის მთავარ სამხედრო ბაზად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს კუნძულს იაპონელები დაეპატრონენ, ხოლო 1945 წელს სინგაპური ისევ დაუბრუნდა ინგლისს. 1965 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

სინგაპურის კუნძული ვაკე ზეგანს წარმოადგენს. კლიმატი ცხელი და ტენიანია. იანვრის საშუალო ტემპერატურა 26°C-ია, ხოლო

ივლისისა +27°C, მაქსიმალური ტემპერატურა +36°, ღამე შედარებით გრილია, 20-°ის ფარგლებში. წვიმები მთელი წლის განმავლობაში მოდის, ნალექების რაოდენობა 2500 მმ-ია, ქვეყანაში ერთი მდინარეა: რომლის სიგრძე 15 კმ-ია, იგი ძირითადად იკვებება გრუნტისა და წვიმის წყლებით. სასმელი წყალი ქვეყანას არ აქვს და იგი სპეციალური მილებით შემოაქვთ მეზობელი მალაიზიიდან. კუნძული ტროპიკული ამინის იმ ნაწილში მდებარეობს, რომელიც მდიდარია ეგზოტიკური მცენარეული საფარით. ქვეყანაში დაახლოებით 2 ათასამდე ჯიშის გარეული და კულტურული მცენარეა წარმოდგენილი.

სინგაპურის მოსახლეობის სწრაფი ზრდა დაიწყო ბოლო საუკუნეში. თუ 1850 წელს კუნძულზე ცხოვრობდა 50 ათასი კაცი, 1900 წელს უკვე —300 ათასი, მეორე მსოფლიო ომის წინ—1 მილიონამდე, ბოლო დღეს—3 მილიონია.. ჩინელების გარდა (70%) აქ ცხოვრობენ მალაიზიელები, ინდონეზიელები, ინდოელები და სხვები.

თანამედროვე სინგაპური მაღალგანვითარებული, ინდუსტრიული ქვეყანაა, ხოლო ქალაქი ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესია მსოფლიოში. ეკონომიკური ზრდის ტემპით ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა. ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპიც მაღალია (14—15%), ერთ სულზე გაანგარიშებით სინგაპური პირველ ადგილზეა მსოფლიოში. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 10-ჯერ. თანამედროვე სინგაპურში განვითარებულია მეტალურგია, ელექტრონიკა, მანქანათმშენებლობა, საფეიქრო და ბუსუბუქი მრეწველობა და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის ნავთობის გადამუშავება, რომლის ნედლეულსაც იგი იღებს ინდონეზიიდან, ბრუნეიდან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ყოველწლიურად მუშავდება 60 მლნ. ტონა ნავთობი. ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე ძირითადად მიღწეულია უცხო კაპიტალის მოზიდვით და თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიების დანერგვით. აღსანიშნავია ის, რომ ქვეყანაში მსხვილი სამრეწველო საწარმო არ არსებობს. საშუალო სიდიდის საწარმოებში მუშახელის რაოდენობა 100—150 კაცია, 500 კაციანი საწარმო უკვე მსხვილ საწარმოდ ითვლება. სინგაპურში არსებული საწარმოების 30%-მდე ეკუთვნით უცხოელებს.

სინგაპურის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას მოკრძალებული ადგილი უჭირავს. სამრეწველო განვითარების დაწყებამდე არსებობდა კაუჩუკის (ჰევეას) პლანტაციები. წარმოდგენილი იყო აგრეთვე ბანანისა და ქოქოსის პალმების პლანტაციები, მაგრამ ქალაქის ზრდამ შეავიწროვა სასოფლო-სამეურნეო წარმოება ოა დღეს იგი ეროვნულ

შემოსავალში 0,8%-ითაა წარმოდგენილი. სინგაპურის სოფლის მეურნეობა საგარეუბნო ხასიათისაა, მოჰყავთ ბოსტნეული, განვითარებულია „ვერტიკალური“ წარმოება — მიწა მოთავსებულია მილებში და გვერდებზე დატოვებულ ნასვრეტებში მცენარეებია ჩათესილი. წარმოებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს, ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის სამეშაოები ავტომატიზებულია. საგარეუბნო ზონაში წარმოდგენილია მეფრინველეობაც, რომელიც შემოტანილ საკვებზეა. მას სასაქონლო სახე აქვს. ჩინურ სოფლებში მისდევენ აგრეთვე მეღორეობას. აღსანიშნავია ის, რომ სინგაპურში გამოკვეთილი სოფლები არ არის. დედაქალაქის გარეუბნები, რომლებიც ქალაქური ტიპისაა, ითვლება სოფლად.

მოსახლეობის კვების ბალანსში დიდ როლს ასრულებს თევზის პროდუქცია. სინგაპურს კარგად აღჭურვილი თევზჭერის ფლოტი ჰყავს, რომელიც არა მარტო უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას, არამედ გააქვს კიდეც თევზის პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე.

თანამედროვე სინგაპურს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები თითქმის მთლიანად შემოაქვს (გარდა ბოსტნეულისა, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილების 50%-ს და ფრინველის ხორცისა და კვერცხისა — მოთხოვნილების 30%-ს) ინდონეზიიდან (მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები) და მალაიზიიდან (ხილი).

ბრუნეი

ბრუნეი — ჯერ კიდევ ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მყოფი ქვეყანაა. იგი მდებარეობს კუნძულ კალიმანტანის ჩრდილოეთით. მისი ტერიტორია 5,8 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—200 ათასამდე. ბრუნეი მონარქიაა, რომელსაც განაგებს სულთანი. თანამედროვე ბრუნეი ნაშთია იმ დიდი ფეოდალური სახელმწიფოსი, რომელიც ერთ დროს ფლობდა მთელ კუნძულს. 1888 წელს ინგლისელებმა დაიპყრეს ბრუნეი, 1906 წელს ქვეყანაში აღმოჩენილი იქნა ნავთობი, რომელმაც კიდევ უფრო გააქტიურა ინგლისის გავლენა. 1959 წელს ბრუნეის მიეცა კონსტიტუცია, გაფართოვდა სულთანის უფლებები, ბრუნეის სულთანი ყველაზე მდიდარი კაცია მსოფლიოში.

ბრუნეის ჰავა ეკვატორულია. ბევრია მდინარეები. ტყეები შემორჩა ჩხლოდ სამხრეთ რაიონებში, ჭაობებსა და ბუჩქნარებს უჭირავს ტერიტორიის 20%. მოსახლეობის 1/3 ცხოვრობს დედაქალაქში. ნავთობის აღმოჩენასთან დაკავშირებით ქვეყანაში ბევრი იმიგრანტი ჩამოვიდა. ცხოვრობენ მალაიზიელები, ჩინელები. ინდონეზიელები. ევროპელები.

სოფლის მეურნეობა სუსტადაა განვითარებული. დამუშავებული

მიწების 1/2 უჭირავს კაუჩუკის პლანტაციებს. არის ბრინჯის ნათესებიც (2,5—3 ათასი ჰექტარი), საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მებაღეობა. მოჰყავთ მანგო, ბანანი, ანანასი და სხვა ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი. წარმოდგენილია მეფოსტნეობაც. სამრეწველო საფუძველზე არსებობს მეფრინველეობის ფაბრიკები, ჰყავთ ლორი (ჩინელებს) და ფრინველები. ქვეყანას სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დიდი რაოდენობით შემოაქვს (ბრინჯი—60%, მეცხოველეობის პროდუქცია—70%, ხილი—25%) სხვა ქვეყნებიდან. ნავთობიდან მიღებული შემოსავლის მხოლოდ 5% იხარჯება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტზე. ქვეყანაში თითქმის არ არის უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტი.

ინდონეზია

ინდონეზია სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის უდიდესი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს მალაის არქიპელაგზე. მისი ტერიტორია 1904 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—150 მილიონი; დედაქალაქი—ჯაკარტა. მოსახლეობის რაოდენობით იგი მეხუთე ადგილზეა მსოფლიოში. ინდონეზია კუნძულოვანი ქვეყანაა, რომელიც წარმოდგენილია 13 ათას ოდესა და პატარა კუნძულზე, მათ შორის უდიდესია კალიმანტანი, ეარდა ამისა დიდი კუნძულებია სუმატრა, იავა, ცელებესი (სულაველი).

ინდონეზია ერთ-ერთი ქვეყანაა მსოფლიოში. სადაც უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ თანამედროვე ადამიანების წინაპრები, კუნძულ იავაზე აღმოჩენილია პითეკანტროპების ცხოვრების მრავალი დამადასტურებელი ნივთიერი საბუთი, რომლებიც აქ ბინადრობდნენ 500 ათასი წლის წინათ. ამ ტერიტორიაზე ჩვენ წ. ალ. დასაწყისში შეიქმნა პირველი მიწათმფლობელური სახელმწიფოები, ამ პერიოდში უკვე განვითარებული იყო მიწათმოქმედება, რომელსაც მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდა, ფართოდ იყენებდნენ სარწყავ სისტემებს, მოჰყვებენ მეცხოველეობას. მომდევნო პერიოდებში ინდონეზიაში რამდენიმე სახელმწიფო შეიქმნა, რაც უპირველეს ყოვლისა განაპირობა მისმა კუნძულოვანმა მდებარეობამ. XIII საუკუნეში კუნძულ იავაზე შეიქმნა ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა კუნძულებს შორის ეკონომიკური კავშირების დამყარებაში. ამ პერიოდიდან იწყება ქვეყნის კულტურული განვითარება, რომელმაც მაღალ დონეს მიაღწია XV საუკუნეში. მალე ინდონეზია გადაიქცა ჰოლანდიის კოლონიად და ამ მდგომარეობაში იგი დარჩა 350 წლის განმავლობაში. სხვადასხვა დროს ინდონეზიას ერთმანეთს ეცილებოდნენ ჰოლანდია, პორტუგალია, ინგლისი, საფრანგეთი. მომ-

დევნო პერიოდში მათ არქიპელაგის ტერიტორია დაინაწევრეს, მაგრამ მის უდიდეს ნაწილზე ბატონობა შეინარჩუნა ჰოლანდიამ. 1942—1945 წლებში ინდონეზია ოკუპირებული იყო იაპონიის მიერ. 1945 წელს ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ინდონეზია გახდა რესპუბლიკა.

ინდონეზიის ბუნება მრავალფეროვანი და მდიდარია, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, უპირველესად იმით, რომ იგი საზღვაო ქვეყანაა. მდებარეობს ტროპიკულ სარტყელში, წარმოადგენს შემაერთებელ ხიდს ავსტრალიასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ინდონეზია მთაგორიანი ქვეყანაა, რომელთა საშუალო სიმაღლე 3000 მეტრია. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი მდებარეობს ზღვის დონეზე დაბლა, ყველაზე მაღალი წერტილი 5040 მეტრზე მდებარეობს. დაბლობები და მთის კალთები დაფარულია ტროპიკული ტყეებით, კუნძულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო საწარმოო ათვისების დონის მიხედვით, არამედ ფაუნითა და ფლორით. მთაგრეხილები ართულებენ სამეურნეო საქმიანობას, ძნელდება საგზაო კომუნიკაციების გაყვანაც. მაგრამ ამასთან ერთად, მთები ხელს უწყობს არა მარტო ნიადაგობრივი პირობების მრავალფეროვნებას, არამედ მიკროკლიმატის შექმნასაც. ინდონეზიაში არ არის გამოკვეთილი წლის პერიოდები. თითქმის არ იცვლება დღეთა ხანგრძლივობაც, განსხვავება ყველაზე გრძელ და მოკლე დღეს შორის მხოლოდ 48 წუთია. ქვეყანაში მუდმივად მაღალი ტემპერატურაა. საშუალო წლიური ტემპერატურა 24°C-ია, მხოლოდ მთებში 3000 მეტრზე ზევით აღინიშნება 0°C. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 2000 მმ. არის რაიონები სადაც ეს მაჩვენებელი 600—700 მმ აღწევს, ყველაზე ტენიანი რაიონები კუნძულ სუმატრაზეა, სადაც ნალექების რაოდენობის წლიური ჯამი 6000 მმ-ია.

ინდონეზიაში ბევრი მდინარეა, მათი სიგრძე შეზღუდულია მთების და კუნძულების ტერიტორიული ფართობით. ყველაზე გრძელი მდინარე კუნძულ კალიმანტანაზეა და მისი სიგრძე 1143 კმ-ს შეადგენს. მდინარეები წყალუხვია, ისინი შეიცავენ ჰიდროენერგიის დიდ მარაგს. გამოიყენებიან სარწყავად. ბევრია ტბებიც. დაჭაობებული დაბლობები აძნელებენ სამეურნეო საქმიანობას.

მრავალფეროვანია მცენარეული საფარი. ტროპიკულ ტყეებში სხვადასხვა ჯიშის 2000-მდე ხე-მცენარე და 24 ათასამდე ყვავილის ნაირსახეობაა. ტყეებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი. მცენარეულ საფარში ჩანს ვერტიკალური ზონალობა, გვხვდება გიგანტური ხე-მცენარეები. ბევრ მცენარეს სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ტყის მარაგი უზარმაზარია. იგი 4-ჯერ სჭარბობს შვეიცარიის და 6-ჯერ ფინეთის ტყის მარაგს, თუმცა მათი გამოყენების კოეფიციენტი დაბალია, ტყის ბუნებრივი მატების ექსპლუატაცია; მხოლოდ 10%-ით ხერხდება, დანარჩენი იკარგება.

ქვეყანაში ძირითადად ლატერიტული ნიადაგებია, წარმოდგენილია წითელი, რუხი, ყავისფერი და შავი ნიადაგები. უმთავლეს შემთხვევაში ნიადაგები მაღალნაყოფიერია, თუმცა გვხვდება ღარიბი, ხირხატი მიწებიც.

ინდონეზიის თანამედროვე მოსახლეობა უმთავრესად ერთგვაროვანია და განეკუთვნებიან ინდონეზიურ ჯგუფს, თუმცა გვხვდებიან პაპუასები, ჩინელები და სხვ. ინდონეზიის მოსახლეობას ზრდის მაღალი ტემპი ახასიათებს. უკანასკნელი 40 წლის მანძილზე მოსახლეობა გაორკეცდა. ქვეყანაში გვხვდება მჭიდროდ (კუნძული იავა) და მეჩხერად დასახლებული რეგიონები (კუნძული კალიმანტანა). ინდონეზიაში 50 მილიონზე მეტი ეკონომიურად აქტიური ადამიანია, რომელთა 2/3 დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არათანაბარია, რაც გამოწვეულია იმ წარსულით, რომლითაც ხასიათდებოდა კოლონიური პერიოდი. დღევანდელი ინდონეზია, მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და სასარგებლო წიაღისეულისა, განეკუთვნება ჩამორჩენილი ქვეყნების რიცხვს. აქ ჯერ კიდევ გაბატონებულია უცხოური კაპიტალი. მაგალითად, 1971 წელს ჰოლანდიელებს ეკუთვნოდათ უცხოური კაპიტალური დაბანდების 75%, ინგლისელებს—15%, იაპონელებს—10%. ინდონეზია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა იყო, შეიქმნა მსხვილი პლანტაციური მეურნეობები.

დღესაც, ინდონეზიის ეკონომიკის მთავარი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც იძლევა ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 50%-მდე. მიწის ფონდები ათვისებულია არათანაბრად, მაგალითად, კუნძულებზე—იავასა და მადურაზე დაუმუშავებელი მიწები თითქმის არ არის, ამ კუნძულების ტერიტორიის 70% ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ, ხოლო ქვეყნის დანარჩენ პროვინციებში კი—მხოლოდ—9%.

ინდონეზიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მსხვილი მეურნეობების შეხამება წვრილგლეხურ მეურნეობებთან, მათ შორის მკვეთრი განსხვავება სპეციალიზაციის თვალსაზრისით თითქმის არაა. მაგალითად, ისეთი საექსპორტო კულტურები, როგორიცაა

კაუჩუკი, ყავა, ჩაი, შაქრის ლერწამი—მოჰყავთ როგორც მსხვილ სპეციალიზებულ, ისე გლეხურ მეურნეობებში.

გლეხური მეურნეობების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია—60%-მდე. ისინი იყოფიან სამ ჯგუფად: სარწყავი, ურწყავი და საკარმიდამო მეურნეობები. სარწყავ მიწებზე მოჰყავთ წყლის ბრინჯი, ურწყავზე — ურწყავი ბრინჯი, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთები გათვალისწინებულია უმთავრესად ხეხილის ბაღებისა და მებოსტნეობისათვის. შეიძლება ერთი გლეხური მეურნეობა ფლობდეს სამივე ტიპის საკარგულს, რაც ძალზედ ხშირია.

ქვეყანაში დაახლოებით 38 მილიონი ჰექტარი სახნავია, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 0,3 ჰექტარს შეადგენს. სახნავის ნაყოფიერება არათანაბარია. კუნძულ იავაზე და მადურერაზე მოდის ქვეყნის სახნავის 60%-მდე, სადაც ძირითადად სარწყავი მიწებია, რისთვისაც იყენებენ როგორც მდინარის, ასევე გრუნტის წყლებს.

ბრინჯი ქვეყნის ძირითადი სასურსათო პროდუქტია, რომელიც უმთავრესად წარმოდგენილია გლეხურ მეურნეობებში. ყველაზე მეტ მოსავალს იძლევა სარწყავი ბრინჯი, ინდონეზიელები რწყავენ უძველესი დროიდან იყენებდნენ, ამიტომ ყველა სოფელში შეგვნილია ორიგინალური სარწყავი სისტემები, ირწყვება მთის ფერდობებიც კი, რომლებიც დატერასებულია, უნარიანად იყენებენ წვიმის წყალს, რომელსაც აკავებენ სპეციალური მიწაყრილებით. ურწყავი ბრინჯის ყანების ხვედრითი წილი 25%-ს არ აღემატება, ბრინჯის საშუალო წლიური წარმოება 12—14 მლნ. ტონაა.

მარცვლეულიდან წარმოდგენილია აგრეთვე სიმინდი, რომელიც ძირითადად კუნძულ იავაზეა გავრცელებული, არასრული მონაცემებით სიმინდის წლიური წარმოება 3,5 მლნ. ტონას არ აღემატება, მცირე ოდენობით მოჰყავთ ქერი და ჭვავი. მარცვლეულით ქვეყანა ძირითადად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს და გააქვს კიდეც საზღვარგარეთ (ბრინჯის ექსპორტი 2—2,5 მლნ. ტონაა); დაახლოებით 1 მლნ. ტონა შემოაქვთ ხორბალი.

მნიშვნელობით მეორე კულტურაა მანიოკი, რომელიც მოჰყავთ გლეხურ მეურნეობებში. იგი გაადგილებულია ურწყავ, დაბალნაყოფიერ მიწებზე, ძირითადად კუნძულ სუმატრაზე და მის მიმდებარე კუნძულებზე.

საექსპორტო მნიშვნელობისაა კაუჩუკი, რომელიც გაადგილებულია სპეციალურ მეურნეობებში. კაუჩუკის წარმოებით ინდონეზია მეორე ადგილზეა მსოფლიოში (მალაიზიის შემდეგ). მისი ყოველწლიური

წარმოება 1 მლნ. ტონას შეადგენს, რომლის 80% მიდის ექსპორტზე. ბოლო პერიოდში კაუჩუკის წარმოებას ხელი მიჰყო წვრილგლეხურმა მეურნეობებმა, მათი ხვედრითი წილი სულ უფრო იზრდება, 1985 წლისათვის მათ აწარმოეს კაუჩუკის საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. ქვეყანაში კარგი პირობებია კაუჩუკის წარმოებისათვის, შემუშავებულია სამთავრობო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წარმოების ორჯერ გაზრდას. კაუჩუკის წვენის პირველადი გადამუშავება ადგილზე წარმოებს და ნახევარფაბრიკატის სახით იგზავნება ექსპორტზე, არსებობს მსხვილი გადამამუშავებელი საწარმოები, თუმცა წვენის გადამუშავება კუსტარული წესითაც წარმოებს.

ქვეყანაში წარმოდგენილია ზეთოვანი პალმა, რომლიდანაც მზადდება ტექნიკური ზეთი. ეს კულტურაც პლანტატორულ მეურნეობებშია, ყველაზე დიდი პლანტაციები კუნძულ სუმატრის ჩრდილოეთითაა, სადაც არსებობს კარგი პირობები მისი განვითარებისათვის. ზეთის გამოხდა წარმოებს ადგილზე, ძირითადად—კუსტარული წესით. პროდუქციის ნახევარზე მეტი გადის ექსპორტზე.

ყველაზე უძველეს საპლანტაციო კულტურას წარმოადგენს შაქრის ჭარხალი, რომელიც გავრცელებულია კუნძულ იავაზე და სუმატრაზე. ნედლეულის გადამუშავება წარმოებს ადგილობრივ, ჯერ კიდევ ინგლისელების მიერ აშენებულ საწარმოებში. შაქრის ფხვნილით ინდონეზია საკუთარ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ თამბაქო, რომელიც საექსპორტო მნიშვნელობისაა, საზღვარგარეთ გაქვთ ნედლეული, ძირითადად ავსტრალიასა და ინგლისში. მოჰყავთ ჩაი, რომელიც წარმოდგენილია როგორც დიდი პლანტაციების სახით, ისე გლეხურ მეურნეობებში, არსებობს ჩაის პირველადი გადამუშავების თანამედროვე ტიპის ფაბრიკები. ჩაის წარმოება 80—90 ათასი ტონაა წელიწადში, რაც ქვეყნის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ინდონეზიას აღნიშნული პროდუქცია შემოაქვს ინდოეთიდან. კარგი პერსპექტივები აქვს ყავისა და კაკაოს წარმოებას, რომლებიც კუნძულ იავასა და მიმდებარე კუნძულებზეა გაადგილებული. ორთავე კულტურას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ინდონეზიის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი პროდუქციაა ბაკობის ხე (კოპრი), რომელიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს მსოფლიო ბაზარზე. კოპრის წარმოების ძირითადი რეგიონია კუნძული სულავეზი. წარმოებული პროდუქციის 70% გადის მსოფლიო ბაზარზე. ქვეყანაში ბევრია ქოქოსის კაკალი, რომელიც კულტივირებუ-

ლია ძირითადად გლეხურ მეურნეობებში და მას, გამოყენების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს.

საექსპორტო მნიშვნელობისაა აგრეთვე შაი წიწაკა, ხინის ხის პროდუქცია და სხვ. ინდონეზიაში წლის განმავლობაში 2—3 მოსავალი მიიღება. კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა, განსაკუთრებით საგარეუბნო ზონაში, წარმოდგენილია ტროპიკული და სუბტროპიკული მეხილეობა, რომლის პროდუქცია წვენების სახით გააქვთ საექსპორტოდ.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, ინდონეზია საკუთარ მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ვერ იკმაყოფილებს. გარედან ჯერ კიდევ შემოაქვთ ბრინჯი და ხორბალი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აუთვისებელია. გარდა ამისა გლეხების უმრავლესობა მცირემიწიანია, მაგალითად, გლეხების 3/4 ფლობს მიწას, რომლის სიდიდე ერთ ჰექტარს არ აღემატება, მნიშვნელოვან ნაწილს კი საერთოდ არა აქვს იგი, წვრილი მიწათმფლობელები ვერ ქმნიან სასაქონლო პროდუქციას, ისინი თავის ოჯახის გამოკვებასაც ძლივს ახერხებენ: დაბალია ენერგოშეიარაღება, უმეტესად გამოიყენება ხელით შრომა. ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი 4—5 ცხენის ძალაა და ისიც წარმოდგენილია ცოცხალი გამწევი ძალით.

მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ძირითადად კამეჩი) გამოიყენება უმთავრესად როგორც ცოცხალი გამწევი ძალა. შემოაქვთ რძის ფხვნილი, კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. გლეხურ მეურნეობაში წარმოდგენილია მეფრინველეობა, რომელსაც სასაქონლო მნიშვნელობა არა აქვს, ბოლო პერიოდში დიდი ქალაქების ირგვლივ შეიქმნა თანამედროვე ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკები, რომელიც ქალაქის მოსახლეობას ამარაგებს კვერცხითა და ფრინველის ხორცით. ჩინელ მოსახლეობას და ქრისტიან ინდონეზიელებს ჰყავთ ღორიც, რომელსაც ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს. ზოგიერთ კუნძულზე, რომლებიც მდიდარია საძოვრებით, ჰყავთ ცხვარი და თხა. ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში ცხვრის სულადობა 10—15 მილიონია. ცხვრის ხორცი ინდონეზიელთა კვების რაციონის აუცილებელი ელემენტია, რომლის საკმაოდ დიდი რაოდენობა შემოაქვთ ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეთევზეობას. ინდონეზიის წყლები მდიდარია თევზით (რომლის მარაგით ქვეყანა პირველ ადგილზეა

მსოფლიოში). ბოლო პერიოდამდე თევზჭერას პრიმიტიული ხასიათი ჰქონდა, მხოლოდ ახლახან შეიქმნა თევზჭერის ფლოტი. თევზის წლიური რეწვა 2—2,5 მლნ. ტონაა.

ქვეყანაში სუსტადაა წარმოდგენილი გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა, მხოლოდ იმ ნედლეულის დამუშავებაა შედარებით მაღალ დონეზე, რომელიც გადის ექსპორტზე (კაუჩუკი, კოპრი, ყავა, კაკაო, ხილის წვენები, ტექნიკური ზეთი); დანარჩენი პროდუქციის გადამუშავებას პრიმიტიული ხასიათი აქვს.

მართალია ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და შემოაქვს იგი სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ თუ განვიხილავთ ექსპორტისა და იმპორტის ღირებულებას, ისინი თითქმის აბალანსებენ ერთმანეთს.

ინდონეზიაში 1960 წელს გაიხსნა უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები. მათი რაოდენობა იზრდება. ბევრი ახალგაზრდა სწავლობს საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ვითარდება სასოფლო-სამეურნეო მეცნიერება, გაიხსნა კვლევითი ცენტრებიც.

ფილიპინები

ფილიპინები (რესპუბლიკა) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რომელიც განლაგებულია 7 ათას კუნძულზე. არქიპელაგის სიგრძე 1800, ხოლო სიგანე 1100 კმ-ია. ფილიპინებს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს. იგი წარმოადგენს შემაერთებელ ხიდს აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიას შორის. ფილიპინებზე გადის საზღვაო გზები იაპონიიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან, ინდონეზიიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებიდან ევროპისაკენ. ფილიპინების ტერიტორია 300 ათას კვ. კმ-ია, მოსახლეობა—50 მლნ. დედაქალაქი — მანილია.

როდესაც ვარაუდობენ არქიპელაგზე ადამიანები ცხოვრობენ უძველესი დროიდან, აბორიგენები აითქვიფნენ სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ხალხებში. ევროპელები კუნძულზე პირველად გამოჩნდნენ 1521 წელს, როდესაც მაგელანის ექსპედიციის წევრები გადასხდნენ კუნძულზე. თავად მაგელანი დაიღუპა ფილიპინების ერთ-ერთ კუნძულზე შეტაკების დროს. დაიწყო ესპანელების კოლონიზაციის პერიოდი, რომელიც მეთოდურად კუნძულების თანამიმდევრული დაპყრობით აღწევდა თავის მიზნებს, ამ პერიოდისათვის ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა პირველყოფილ თემურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ესპანელებს ფილიპინების მოსახლეობა სრულ იზოლაციაში ჰყავდათ. მხოლოდ XVIII საუკუნის მიწურულს შემოვიდა აქ სხვა ქვეყნების საკავშირო კაპიტალი. ჩამოყალიბდა კაპიტალისტური წარმოები-

სათვის დამახასიათებელი ურთიერთობები. გასული საუკუნის მიწურულს—1898 წელს გამოცხადდა ფილიპინების დამოუკიდებლობა, 1901 წელს ქვეყნის ანექსია მოახდინა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, 1935 წელს მას მიეცა ავტონომია, ხოლო 1972 წელს იგი დამოუკიდებელ ქვეყნად გამოცხადდა.

ფილიპინები მთიანი ქვეყანაა, მთებზე მოდის ნისი ტერიტორიის 3/4. მთები და ზეგნები დამახასიათებელია თითქმის ყველა კუნძულისათვის. დაბლობი წარმოდგენილია მდინარეთა ხეობების სახით და ზღვისპირა ზოლში. დასამუშავებლად გამოიყენება ტერიტორიის 1/3, რომლის 80%-უკვე ათვისებულია, ჯარგი პირობებია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მდინარეთა ხეობებში და ზეგნებზე, რომლებიც ძირითადად ვულკანური წარმოშობისაა და გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით.

ფილიპინები მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მაგალითად, ოქროს მოპოვებით იგი მეათე ადგილზეა მსოფლიოში.

ქვეყნის კლიმატი ტროპიკულია, რაც განპირობებულია ნისი მდებარეობით. ხშირია მუსონური ტიპის ქარები, ივლის-აგვისტოში იწყება წვიმების პერიოდი, წელიწადში დაახლოებით 146 დღე წვიმიანია. საშუალო ტენიანობა 2500 მმ-ია, ცალკეულ რაიონებში კი — 4500 მმ. აღწევს. ყველაზე ცხელი პერიოდი ემთხვევა ზაფხულის მუსონებს, მაისის ტემპერატურა 29°-ია, ივლისისა—27°: დიდად არ განსხვავდება ზამთრის ტემპერატურაც. მაგალითად, დეკემბერში იგი 25°C-ია. ტაიფუნებს დიდი მატერიალური ზარალი მოაქვს.

ფილიპინებზე ბევრი მდინარეა, ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარის სიგრძე 550 კმ-ია. ბევრია მიწისქვეშა წყლები, ტბები კი ნაკლებადაა.

ქვეყნის ნიადაგობრივი საფარი ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, უმთავრესად წარმოდგენილია წითელმიწები და ყვითელმიწები, მთიან ზონაში კი სჭარბობს მოწითალო-რუხი მიწები.

ფილიპინების მცენარეული საფარი მდიდარია, გავრცელებულია მცენარის 10 ათასზე მეტი სახე და სახეობა, რომელთაგან ნახევარი ენდემურია. ქვეყანა მდიდარია ტყეებით, რომლებსაც უჭირავთ ტერიტორიის 42%, აქედან 2/3 სამრეწველო ხასიათისაა. ბევრია ხის ძვირფასი ჯიში, რომლებიც დიდი რაოდენობით გააქვთ ექსპორტზე. ტყეების სტრუქტურა იცვლება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით.

ფილიპინები მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ ცხოვრობს 100-ზე მეტი ეთნოსის წარმომადგენელი. მოსახლეობა დაახლოებით 100 ენაზე

ლაპარაკობს. აქ ცხოვრობენ ჩინელები, მალაელები, ინდონეზიელები, ცოტა ოდენობით — ევროპელები. მოსახლეობის მატების ტემპი ერთ-ერთი მაღალია მსოფლიოში, აქტიური მოსახლეობის 3/4 ცხოვრობს სოფლად.

მიუხედავად ბოლოდროინდელი სამრეწველო ბუმისა, ფილიპინები რჩება აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად. ეკონომიკის სტრუქტურა ჯერ კიდევ კოლონიურია, ნაციონალური შემოსავლის 1/3 იქმნება სოფლის მეურნეობაში, 1/4—მრეწველობაში. თუ მრეწველობაში უკვე დაიწყო მნიშვნელოვანი გარდაქმნები და იგი თანამედროვე ინტერესების დონეზე დადგა, სოფლის მეურნეობაში გარდაქმნები ნელი ტემპით მიმდინარეობს და ნაციონალურ შემოსავალში მიუხედავად მისი მაღალი ხვედრითი წილისა, დარგი მაინც ჩამორჩენილია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1972 წლის რეფორმა, რომელმაც მოსპო მეკობშური დამოკიდებულება მიწათმფლობელებსა და უმიწაწყალო გლეხებს შორის.

ფილიპინებზე ჯერ კიდევ არიან მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც პლანტატორულ მეურნეობას ეწევიან. მათ შაქრის ბარონებს უწოდებენ, რომელთა ხელშია შაქრის ლერწმის წარმოების უდიდესი ნაწილი. ქვეყანაში ბევრი უმიწაწყალო გლეხია, რომლებიც მსხვილ მიწათმფლობელთან მუშაობენ საიჯარო პრინციპით. გლეხური მეურნეობების ნახევარი ფლობს 2 ჰექტარამდე ფართობს. ფილიპინელ მეცნიერთა გამოანგარიშებით მხოლოდ 3 ჰექტრიან სარწყავ და 5 ჰექტრიან ურწყავ მეურნეობას შეუძლია გამოკვებოს ფილიპინელი გლეხის ოჯახი, რომლის საშუალო სულადობა 5-7 კაცია. 1972 წლის რეფორმის შედეგად მემამულური მეურნეობების ფართობი შემცირდა 7 ჰექტარამდე, ჩამონაჭერ ფართობში მემამულეებმა აიღეს კომპენსაცია, ხოლო მიწა გლეხებს გადაეცათ კრედიტით—15 წლის ვადით.

ბუნებამ ფილიპინები დააჯილდოვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებით — ცხელი, ტენიანი კლიმატით, ნაყოფიერი მიწებით და წლის განმავლობაში მოსავლის რამდენჯერმე მიღების შესაძლებლობით. ქვეყანაში მიწათმოქმედებისათვის ვარგისია დაახლოებით 10 მლნ. ჰექტარი ფართობი: აქედან, მეშალდება 8 მლნ. რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 0,16 ჰექტარს შეადგენს. ამ მაჩვენებლით ფილიპინები მცირემიწიან ქვეყნებს განეკუთვნება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ აქაური ნიადაგს შეუძლია მოგვცეს 2 და მეტი მოსავალი, მაშინ უნდა ჩათვალოთ, რომ ქვეყანა, საბნავის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საშუალო დონეზეა.

სოფლის მეურნეობაში წამყვანია მიწათმოქმედება, არსებული

2,3 მილიონი მეურნეობიდან, მხოლოდ 1%-ია მეცხოველეობის (მეფრინველეობის ჩათვლით) მიმართულების. მემცენარეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბრინჯს, სიმინდს, ქოქოსის პალმას, შაქრის ლერწამს, თამბაქოს. მათ წილად მოდის ქვეყნის სათესი ფართობის 4/5. ბრინჯი და სიმინდი მოიხმარება ქვეყნის შიგნით, დანარჩენი, შესაბამისი პირველადი დამუშავების შემდეგ გააქვთ საექსპორტოდ.

ბრინჯის მოყვანა და გადამუშავება ქვეყნის მოსახლეობის 2/5-სათვის საარსებო წყაროა. მის ნათესებს უჭირავს სახნავის 1/3 ანუ 2,7 მლნ. ჰექტარი, რომელთაგან მხოლოდ 700 ათასი ჰექტარი ირწყვება სახელმწიფო ირიგაციული ქსელით. ეს ფართობები იძლევიან ბრინჯის მაღალ მოსავალს. რაც შეეხება 2 მლნ. ჰექტარს, აქ გამოიყენება ბუნებრივი საგუბრების წყალი, რომლებიც წვიმების შემდეგ ივსება. ამრიგად, ბრინჯის მოსავლის ბედი დიდადაა დამოკიდებული ნალექების ინტენსივობასა და სეზონურობაზე. ბრინჯის საშუალო წლიური წარმოება შეადგენს 4,5 მლნ. ტონას, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 81 კგ-ია. ეს რაოდენობა (სიმინდთან ერთად) არ არის საკმარისი მოსახლეობის გამოსაკვებად. ბრინჯის ყანებს დიდ ზიანს აყენებს მღრღნელები (თაგვები სპობენ მოსავლის —- 1/2-ს).

მეორე მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტია სიმინდი, რომელიც ქვეყანაში მე-19 საუკუნის მიწურულს შემოიტანეს. სიმინდის ნათესები ძირითადად ურწყავ მიწებზეა, ან ახალგაზრდა ქოქოსის პალმის რიგთაშორისებშია შეთესილი. სიმინდის სუფთა ნათესებში კი ხშირად შეთესილია ლობიო, რომელიც სოფლის მოსახლეობის კვების მნიშვნელოვანი პროდუქტია. სიმინდს უკავია 0.9—1,0 მლნ. ჰექტარი ფართობი. იგი გავრცელებულია წვრილგლეხურ მეურნეობებში, რისთვისაც იყენებენ მთის ფერდობებს. სიმინდის საერთო მოსავალი 1,5 მლნ. ტონაა.

სხვა სასურსათო პროდუქტებიდან მნიშვნელოვანია პარკოსნები— სოია, ბატატი, რომელთა ცალკე ნათესები თითქმის არ არსებობს და შეთესილია სხვა კულტურებთან, ან მოჰყავთ მრავალწლიანი ნარგავების რიგთაშორისებში. კარგადაა წარმოდგენილი მეხილეობა, რომელიც უმთავრესად სპეციალიზებული ბაღების სახითაა გავრცელებული. მოჰყავთ ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით — ანანასი. ამზადებენ ფორთოხლისა და ლიმონის წვენებს, რაც ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებას ხმარდება. რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში, კარგადაა განვითარებული სამრეწველო მებოსტნეობა, რომელსაც მთლიანად სასაქონლო სახე აქვს. მოჰყავთ ყველა სახის ბოსტ-

ნეული (სოფლის მეურნეობას ლოკალური ხასიათი აქვს და მხოლოდ ოჯახის საჭიროებას აკმაყოფილებს).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ძალზედ ხელსაყრელი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, საზღვარგარეთიდან (ავსტრალია, ახალი ზელანდია) ჯერ კიდევ შემოაქვთ მარცვლეული — ხორბლის სახით და რძე და რძის პროდუქტები.

ფილიპინებში ამზადებენ საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, რომელთა შორის პირველ ადგილზეა ქოქოსის კაკალი, მისი წარმოება 800 ათას ტონამდე აღწევს. პირველი კულტურა, რომელიც ევროპელებმა გაავრცელეს ფილიპინებზე — შაქრის ლერწამი იყო, დღესაც იგი წარმოდგენილია მსხვილი პლანტაციების სახით. ამზადებენ დიდი რაოდენობით შაქარს, რომელიც გააქვთ საექსპორტოდ, უმთავრესად, ავსტრალიაში. შაქრის რეალიზაციით ქვეყანა იღებს საექსპორტო ამონაგების 1/4. დიდი რაოდენობით გააქვთ კოპრი (საცობი). ფილიპინებშია თავმოყრილი კოპრის მსოფლიო წარმოების 1/4 და მისი რეალიზაციის 1/2. ამ სახის პროდუქციას დიდი რაოდენობის ვალუტა შემოაქვს ქვეყანაში.

როდესაც ვლაპარაკობთ ფილიპინების სოფლის მეურნეობაზე, აღსანიშნავია ისიც, რომ მისი ტექნიკური აღჭურვილობის დონე დაბალია. ენერგოშეიარაღება 8-10 ცხენის ძალაა, ერთ ტრაქტორზე მოდის 1500 ჰექტარი მიწის ფართობი. სახნავის მხოლოდ 1/5-ზე იყენებენ მინერალურ სასუქებს, ამის შედეგია ის, რომ მოსავლიანობა დაბალია და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ძირითადად ექსტენსიური ხასიათი აქვს.

ფილიპინები წარმოადგენს — აბაკის მონოპოლიურ მიმწოდებელს მსოფლიოში. აქაა თავმოყრილი ამ კულტურის მსოფლიო წარმოებისა და ექსპორტის 9/10. იგი ძირითადად გამოიყენება თოკების წარმოებისათვის, თავისი მდგრადობითა და ელასტიურობით მას წარმატებით იყენებენ გემებისათვის, თუმცა ბოლო პერიოდში მისი ფასი 2-ჯერ დაეცა მსოფლიო ბაზარზე, რაც გამოწვეულია ხელოვნური ბოჭკოს წარმოების გადიდებით. მსოფლიო ბაზარზე კარგი მოთხოვნილებით სარგებლობს ფილიპინური თამბაქო, რომელიც ექსპორტზე გადის, როგორც ნედლეულის, ისე მზა პროდუქციის (სიგარეტების) სახით.

სუსტადაა წარმოდგენილი მეცხოველეობა. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ადგილობრივი ჯიშის კამეჩი), რომელსაც ცოცხალ ვამწევ ძალად იყენებენ. მათი სულადობა 3,5—4 მილიონია. მთებში ჰყავთ ცხვრები, მისდევენ მელორეობას (5 მილიონამდე სული). ზედა-

რებით კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა, განსაკუთრებით, საგარეუბნო ზონაში, რომელიც სამრეწველო საფუძველზეა.

მოსახლეობის კვების ბალანსში მნიშვნელოვან როლს ასრულებს თევზის პროდუქცია, რომლის უდიდესი მარაგია სანაპირო (განსაკუთრებით, შიგა) ზღვებში. თევზჭერას აქვს ინდივიდუალური ხასიათი, ჩამოყალიბების პროცესშია ფლოტილიის შექმნა. მიუხედავად თევზის დიდი მარაგისა, ქვეყანას ჯერ კიდევ შემოაქვს თევზის პროდუქტები სხვა ქვეყნებიდან.

როგორც ვხედავთ, ქვეყანა ეწევა სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის, როგორც ექსპორტს, ისე იმპორტს, რომლებიც თითქმის აბალანსებენ ერთმანეთს.

კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა. შეიქმნა თანამედროვე ტიპის მსხვილი საწარმოები, თუმცა სოფლად ჯერ კიდევ შემორჩენილია პრიმიტიული ტიპის საწარმოებიც.

სასოფლო-სამეურნეო კადრებს ამზადებს ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები. თუმცა, ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი ევროპის უმაღლეს სასწავლებლებშიც იღებს განათლებას. ვითარდება სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. მანილაში გახსნილია სოფლის მეურნეობის პროფილის რამდენიმე ცენტრი, რომელიც ძირითადად კვლევას აწარმოებს ახალი ტექნოლოგიების შესაქმნელად.

X თავი

ავსტრალია და ოკეანია

აღნიშნული რეგიონი მოიცავს უზარმაზარ სივრცეს, რომელშიც შედის საკუთრივ ავსტრალიის კონტინენტი—კუნძულ ტასმანიით, ახალი გვინეის კუნძულის ნახევარი, ავსტრალიის აღმოსავლეთით მდებარე კუნძულები, რომლებიც მიმოფანტულია წყნარ ოკეანეში უზარმაზარ სივრცეზე და ახალი ზელანდია, ამავე რეგიონს განეკუთვნება ადრეთვე ანტარქტიდა.

ავსტრალია

ავსტრალია რეგიონში ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელსაც მთელი კონტინენტი უჭირავს. მართალია იგი დედამიწის ხმელეთის ყველაზე პატარა ნაწილია მსოფლიოს ხუთ კონტინენტს შორის, მაგრამ მისი სიდიდე ერთი სახელმწიფოს პირობაზე მეტად შთამბეჭდავია (ავსტრალიელებს აქვთ ასეთი გამონათქვამი, რომ —

„ამ ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთი 33-ჯერ დაეტეოდაო“). ავსტრალიის კავშირი გარდა კონტინენტისა მოიცავს კუნძულ ტასმანიას და მიმდებარე პატარა კუნძულებს. ქვეყნის ტერიტორია 7,7 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—16 მილიონი, დედაქალაქია — კანბერა.

ავსტრალია მთლიანად სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარეობს, მისი სახელწოდების თარგმანიც ასეთია „სამხრეთის ამოუცნობი მიწა“. ბოლო პერიოდამდე თვლიდნენ, რომ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კონტინენტის 1/3 უნაყოფო და უპერსპექტიო იყო, მაგრამ ბოლო პერიოდში ამ ადგილებში აღმოაჩინეს რკინის, ბოქსიტების, ქვანახშირის, ურანის და სხვა წიაღისეულის უდიდესი მარაგი, რამაც ავსტრალია მსოფლიოს უდიდესი რესურსმატარებელი ქვეყნების რიგში ჩააყენა.

ვარაუდობენ, რომ პირველად ადამიანი ავსტრალიის ტერიტორიაზე გამოჩნდა 40 ათასი წლის წინათ. რაზედაც მიუთითებს ნიუთიერი მტკიცებები, რომლებიც აღმოჩენილია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ევროპელები ავსტრალიაში პირველად XVII საუკუნეში მოვიდნენ. 1770 წელს ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯ. კუკმა აღმოაჩინა ავსტრალიის აღმოსავლეთ სანაპირო, რომელიც მან ინგლისის სამფლობელოდ გამოცხადა, ამ პერიოდისათვის ინგლისმა უკვე დაკარგა თავისი კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში. თავდაპირველად კონტინენტს იყენებდნენ გადასახლების მიზნით. გადასახლებულთა პირველი პარტია 1787 წელს ჩამოიყვანეს, მათი რაოდენობა 850 კაცს შეადგენდა. ისინი დასახლდნენ დღევანდელი სიდნეის ტერიტორიაზე, 1793 წელს ქვეყანაში ჩამოვიდა თავისუფალ ინგლისელთა პირველი ჯგუფები. 1800 წელს ავსტრალიის მოსახლეობა უკვე 5 ათას აღწევდა, ხოლო 1810 წელს — 12 ათასს. მალე ინგლისმა მთელი ავსტრალია თავის კოლონიად გამოაცხადა; XX საუკუნის მიწურულს დაიწყო ავსტრალიის ინტენსიური ათვისება, 1851—1861 წლებში ავსტრალიის მოსახლეობა 405 ათასიდან 1,2 მილიონამდე გაიზარდა. ქვეყნის ათვისებას თავდაპირველად სასოფლო-სამეურნეო ხასიათი ჰქონდა. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ავსტრალიამ ინგლისის დომინიონის სტატუსი მიიღო, ხოლო 1931 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ავსტრალიის ბუნება მრავალი თავისებურებებით ხასიათდება, რომლითაც იგი განსხვავდება პლანეტის სხვა რეგიონებისაგან. ავსტრალიაში ნალექების რაოდენობა 5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე აფრიკაში და 8-ჯერ ნაკლებია — ვიდრე სამხრეთ ამერიკაში. ბევრია უდაბნო და უდაბნოს ტიპის ადგილები. აღმოსავლეთით არის მთები, რომელსაც ავსტრალიის ალპებს უწოდებენ, მათი საშუალო სიმაღლე 900-დან

1000 მეტრამდეა, ყველაზე მაღალი მწვერვალი 2230 მ-ია. ავსტრალიის ალპების გაგრძელებაა კუნძულ ტასმანიის მთები.

ავსტრალიის მთებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის სამეურნეო ათვისების თვალსაზრისით. თავდაპირველი დასახლებები წარმოიქმნა ზღვისპირა მთის კალთებზე, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ რეგიონის ათვისება. სწორედ ამიტომ დღევანდელ ავსტრალიაში ყველაზე დასახლებული და ეკონომიკურად განვითარებული რაიონები ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებშია. კონტინენტის სანაპირო არ არის დანერილი, ამიტომ ცოტაა ნავსადგურებისათვის ვარგისი ყურეები. ოკეანეს და მიმდებარე ზღვებს დიდი მნიშვნელობა აქვს ავსტრალიის ეკონომიკისათვის. იგი არის ქვეყნის დამაკავშირებელი დანარჩენ სამყაროსთან.

ავსტრალია მდებარეობს სამ თბილ კლიმატურ სარტყელში. ჩრდილოეთით — სუბეკვატორული, ცენტრალურ ოლქებში — ტროპიკული და სამხრეთით — სუბტროპიკული, მხოლოდ კუნძული ტასმანიის დიდი ნაწილი მდებარეობს ზომიერ სარტყელში. სუბეკვატორული კლიმატი ხასიათდება გათანაბრებული ტემპერატურით, რომელიც მერყეობს 23—28° შორის, აქ ნალექების რაოდენობა შედარებით მაღალია — 1000-1500 მმ, ხოლო ზოგიერთ რაიონში 2000 მმ-ს აღწევს. ტროპიკულ სარტყელში ვხვდებით ტროპიკულ-ტენიან და ტროპიკულ-მშრალ ზონებს, პირველში საკმაოდ უხვად მოდის ნალექები (1000—1500 მმ.) კლიმატი შედარებით რბილია და თბილი, ტემპერატურა 22—25°C (ყველაზე ცივი თვის ტემპერატურა +11+13°-ია). ეს რაიონი ყველაზე ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. აქ ვოჰყავთ მარცვლეული, ხილი, განვითარებულია მეცხოველეობაც. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში თანდათანობით მცირდება ნალექების რაოდენობა და იგი 200—300 მმ შეადგენს. ეს ნაწილი ძალზედ ცხელია.

ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში ეფინება ტროპიკული კლიმატია, ზაფხულში (დეკემბერი-თებერვალი) საშუალო ტემპერატურა 30°-ია, ზამთარში (ივლის-აგვისტო) +10—15° სითბო, ზოგიერთ რეგიონში საშუალო ტემპერატურა +35°-მდეა. ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე ნალექების რაოდენობა 250—300 მმ არ აღემატება.

სუბტროპიკულ სარტყელში გამოირჩევა ზღვის სუბტროპიკული, კონტინენტური სუბტროპიკული და ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი. პირველ ორში ნალექების რაოდენობა 600—1000 მმ-ია, ხოლო მესამეში — 2000—2500 მმ-ს აღწევს. ეს ზონაც ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ავსტრალიაში მდინარეთა ქსელი დიდი არ არის: ქვეყნის ტერიტორიის 60%-ზე არ არის არცერთი დიდი მდინარე (ზოგან მიწისქვეშა წყლები ამოდის ზედაპირზე და მიედინება რამდენიმე კილომეტრის მანძილზე). მდინარეთა ქსელი შედარებით კარგადაა წარმოდგენილი კუნძულ ტასმანიაზე და ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. ზოგიერთი მდინარე სანაოსნოდაც კი გამოიყენება. ავსტრალია ღარიბია ტბებით, მხოლოდ აქა-იქ არის მცირე სიდიდის ტბები, რომლებიც წვიმის წყლებით იკვებებიან. კონტინენტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მდიდარია მიწისქვეშა (გრუნტის) წყლებით, რომელსაც ფართოდ იყენებენ სამეურნეო დანიშნულებისათვის.

მცენარეული საფარი თავისებურია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა იზოლაციაში. ავსტრალიაში აღრიცხული 12 ათასი მცენარეთა სახეობიდან, 9 ათასი ენდემურია, მათ შორის ბევრია უნიკალური. ნიადაგ-ბრივი საფარიც მრავალფეროვანია. წარმოდგენილია თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი, რომელთა ნაწილი მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება.

ავსტრალიის მოსახლეობა ძირითადად იმიგრაციის შედეგადაა ჩამოყალიბებული. ისინი ინგლისელებისა და ირლანდიელების შთამომავლები არიან, მათი რაოდენობა ქვეყნის მოსახლეობის 80% აღემატება. მათ გარდა ცხოვრობენ ევროპის სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულებიც. ავსტრალიაში არიან აბორიგენებიც, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობის 1% შეადგენენ. დღეისათვის მათი რაოდენობა 150—160 ათას არ აღემატება. ისინი აქ ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების დროიდან ცხოვრობენ. ავსტრალია ხასიათდება ურბანიზაციის მაღალი პროცენტით. მარტო ქვეყნის ორ ქალაქში — მელბურნსა და სიდნეიში ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი.

ავსტრალიამ საკმაოდ მოკლე დროში (70—80 წელი) გაიარა ეკონომიკური განვითარების რთული გზა, იგი აგრარული ნედლეულის მწარმოებელი ქვეყნიდან გადაიქცა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად, რასაც ხელი შეუწყო იმან, რომ ქვეყანას არ დასჭირვებია გაეცალა ევროპისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური განვითარების ეტაპები (ხელოსნური, მანუფაქტურული და ა. შ.). დღევანდელი ავსტრალია მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ 10 ქვეყანაში შედის.

ავსტრალიის სოფლის მეურნეობა კაპიტალისტური ტიპისაა და ეფუძნება მექანიზაციის მაღალ დონეს. ქვეყანაში თავიდანვე ჩამოყალიბდა მსხვილმაშტაბიანი მიწათმფლობელობა, რომელიც დასაწყისს ჯერ კიდევ კოლონიზაციის პირველი პერიოდიდან იღებს. მიწის დიდი

ნაკვეთები პირველად მიიღეს დაცვის ოფიცრებმა შემდეგ კი დანარჩენებმა. ავსტრალიაში სოფელი არ არსებობს, აქ ფერმერული მეურნეობებია. რომლისთვისაც დამახასიათებელია მსხვილმასშტაბიანი სასაქონლო წარმოება.

70-იან წლებში 4 ათას ჰექტარიანი მეურნეობების რაოდენობა შეადგენდა ფერმერთა საერთო რაოდენობის 3,6%-ს, მათ ხელში იყო მიწის ფონდების 82,3%. მათ შორის ყველაზე მსხვილი მეურნეობების წილად (40 ათასი ჰექტარი და მეტი), რომელთა ხვედრითი წილი 0.6% იყო, მოდიოდა მიწების 62,7%. ფერმები რომელთა სიდიდე 0,4-დან 200 ჰექტრამდე იყო, შეადგენდა ფერმერთა საერთო რაოდენობის 60%, ხოლო მათ წილად მოდიოდა მიწების 1,8%.

ფერმები, რომლებიც მიწების დიდ მარაგებს ფლობენ, უმთავრესად გვალვიან რაიონებში მდებარეობს, სადაც წარმოებას ექსტენსიური ხასიათი აქვს, ხოლო ფერმები რომელთაც წარმოების ინტენსიური მეთოდები გააჩნიათ, მდებარეობენ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო ზოლში. ასეთი ფერმები აწარმოებენ ბოსტნეულს, ხილს, ჰყავთ სუქებაზე დაყენებული პირუტყვი და სხვ. საგარეუბნო ტიპის ფერმები მსხვილი ქალაქებისა და საბრეწველო ცენტრების მახლობლად არსებობენ. მათი საწარმოო სპეციალიზაცია განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ქალაქების მოთხოვნილებისდა მიხედვით.

რასაკვირველია ფერმების დაყოფა ფართობების მიხედვით პირობითია. ხშირად. პატარა ფერმა, რომელიც ეწევა ინტენსიურ წარმოებას და მდებარეობს ხელსაყრელ ადგილას უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე დიდი მოცულობის ფერმები. ავსტრალიელი მეცხოველეების მონაცემებით ერთ ჰექტარ კულტურულ სარწყავ საძოვარს შეუძლია გამოკვებოს 25 ცხვარი, მაშინ როდესაც ერთი ცხვრისათვის 30 ჰექტარამდე ნახევრად მშრალი ტიპის საძოვარია საჭირო.

ავსტრალია, შედარებით გვიან დაადგა ტექნიკური რევოლუციის გზას. სოფლის მეურნეობაში ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. დაიწყო მინერალური სასუქების წარმოება და სხვ. ინტენსიფიკაციის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს, უმთავრესად იგი მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიცაა: მერქნული და მეხორცული მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა, მევენახეობა, ბამბისა და ბრინჯის წარმოება და სხვა სასურსათო და ტექნიკური კულტურების მოყვანა. რაც შეეხება მარცვლეულის მეურნეობასა და მეცხოველეობას, რომელიც საძოვრებს ემყარება, ეს დარგები ჯერ კიდევ განვითარების ექსტენსიურ სტადიაშია.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ავსტრალია წარმოადგენს ყველაზე ნაკლებტენიან კონტინენტს, რაც იწვევს ხელოვნური რწყვის აუცილებლობას, არა მარტო გვალვიან რეგიონებში, არამედ საშუალო აღმოსავლეთის ჰარბტენიან ზონაშიც (ძვალითად, ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ურწყავ მიწებზე 11—15 ცენტნერია, ხოლო სარწყავზე — 50—60 ცენტნერი).

წყლის რესურსების წყაროა, როგორც მიწისზედა წყლები (მდინარეების სახით), ისე მიწისქვეშა ნაკადები და მიწისქვეშა წყლები. წყლის რაციონალური ხარჯვა ავსტრალიელთა უმნიშვნელეს ამოცანას წარმოადგენს. ქვეყანაში შექმნილია უნიკალური ირიგაციული ნაგებობები, რომლებიც გამორიცხავენ წყლის უყაირათო ხარჯვას. უკვე დადგენილია წყლის ხარჯვის კონტროლის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც კიბერნეტიკის გამოყენებით ხორციელდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია ღიღაც წარმოადგენს ავსტრალიის ექსპორტის საფუძველს, ძირითადი ყურადღება უთმობს მ-ს განვითარებას. ქვეყანაში შექმნილია სოფლის მეურნეობის მომსახურების სამეცნიერო და ექსპერიმენტული ცენტრები, ყველა უნივერსიტეტში არსებობს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები, ფერმერებს ეძლევათ კრედიტი, დოტაციები, სახელმწიფო არეგულირებს სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის საქმეს და სხვ.

ავსტრალიის სოფლის მეურნეობაში ძირითადი დარგი მეცხოველეობაა, პირველ რიგში, მრავალბარე (ძოვებაზე მყოფი) მეცხოველეობა. მასზე მოდის ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 68%-მდე, ხოლო მიწათმოქმედებაზე მხოლოდ — 32%. მეცხოველეობაში წამყვანია მეცხვარეობა.

ავსტრალია მსოფლიოში პირველ ადგილზეა ცხვრის სელექციებით და მატყლის წარმოებით. ქვეყანაში 170—190 მილიონამდე ცხვარია, რომლის რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდება. ცხვრის ფარაში დომინირებს მერინოსისჯიშის ცხვრები (70%-მდე), რომლებიც იძლევიან მაღალი ხარისხის მატყლს, ხორცს და საკარაულე ტყავს. ეს ჯიში ცუდად იტანს ტენიან კლიმატს, ამიტომ მას ძირითადად წარმოდგენილია ძშრად, ცენტრალურ ოლქებში. ცხვრის ფარებრძოებისას ხშირად დიდ სივრცეებზე გადაადგილდებიან ერთი ადგილიდან მეორეზე. მაგრამ ამას არა აქვს ისეთი ხასიათი, როგორც აზიისა და აფრიკის მომთაბარე მეცხვარეობაში. გადაადგილებას მარშრუტები წინასწარაა შედგენილი და მუდმივ ძოვების მანძილზე ცხვრის ფარასაც

და ფერმერსაც ყველა პირობა აქვს შექმნილი დასვენებისა და კულტურული მომსახურებისათვის. ცხვრის ფარის ოპტიმალურ რაოდენობად ითვლება 5—6 ათასი სული. ძოვების სიერცე დაყოფილია ნაკვეთებად, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია მავთულის ღობეებით, რაც ცხვრის რაციონალური კვების საშუალებას იძლევა. გარდა ამისა, ცხვარი დაყოფილია სქესისა და ასაკის მიხედვით, რაც სხვადასხვა ხარისხის მატყლის წარმოებისათვის არის ხელსაყრელი. თითოეულ ფარას გამოყოფილი აქვს 500—1000 ჰექტარი მიწა, თითო ნაკვეთზე ძოვების მონაცვლეობა წელიწადში 4-5 ჯერადია. აღნიშნული მეთოდი საძოვრების აღდგენის საშუალებასაც იძლევა. თითოეული ნაკვეთი აღჭურვილია წყლის რეზერვუარებითა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობებით, გარდა ამისა, ყველა ნაკვეთს აქვს თივის სარეზერვო მარაგი, რომელიც გამოიყენება გვალვისა და სხვა ექსტრემალური სიტუაციების დროს. თივის დამზადება და შენახვა წარმოებს მექანიკური წესით. ნაკვეთებს ჰყავს მუდმივად მომსახურე პერსონალი, რომელთაც ცხვრის ძოვების შემდეგ წესრიგში მოჰყავს საძოვარი მომდევნო ექსპლუატაციისათვის. ცხვრის გაკრეჭისათვის იყენებენ დამატებით პროფესიონალ მუშახელს თითოეული დღეში საშუალოდ 100—120 ცხვარს ემსახურება.

შედარებით ტენიან რაიონებში (ნალექების რაოდენობა 350—500 მმ) ხშირია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვთან შერეული ცხვრის ფარები, ამავე ფერმებში მოჰყავთ აგრეთვე მარცვლეულიც. ასეთი კომპლექსური წარმოება მიწების მაქსიმალური გამოყენების საშუალებას იძლევა.

სანაპირო ზოლში, სადაც ნალექების რაოდენობა 500 მმ აღემატება, გავრცელებულია სექვბაზე დაყენებული პირუტყვის ფერმები, რომლებშიც ცხვრებსა და ბატკნებს 2—3 თვის მანძილზე ინახავენ, ხოლო შემდეგ კლავენ სახორცედ. ასეთ მეურნეობებში მეცხვარეობა ხშირად შეთანაწყობილია მერძეულ მეცხოველეობასთან. ცხვრის ხორცის წარმოებით ავსტრალია პირველ, ხოლო მისი ექსპორტით მეორე (ახალი ზელანდიის შემდეგ) ადგილზეა მსოფლიოში.

მეცხოველეობაში წარმოდგენილია მეხორცული და მერძეული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. შექმნილია სპეციალური კომპანიები, რომელთა ხელშია არა მარტო პროდუქციის წარმოება, არამედ მისი რეალიზაცია, ტრანსპორტირება, დამუშავება და სხვ. მათ ეკუთვნით საძოვრები, სასაკლაოები, ხორცკომბინატები, სატრანსპორტო საშუალებები და ა. შ. მეხორცული მეცხოველეობა განვითარებულია ძირითადად ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში. პირუტყვს აძოვებენ

ბუნებრივ საძოვრებზე. ეხედებით კულტურულ, სარწყავ საძოვრებსაც. იყენებენ კომბინირებულ საკვებსაც. ასეთ ფერმებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ერთი წლის ასაკში უკვე აღწევს სტანდარტულ წონას და აგზავნიან ხორცკომბინატებში. ძროხისა და ხბოს ხორცის წარმოებითა და ექსპორტით ავსტრალიას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

კარგადაა განვითარებული მერძეული მეცხოველეობა, რომელიც ხასიათდება ინტენსიფიკაციის მაღალი დონით. თბილი კლიმატი საშუალებას იძლევა მერძეული პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში ყაყადეთ ძოვებაზე. სპეციალიზებული მერძეული ფერმები არ არის დიდი. საშუალოდ მათ 130—140 ჰექტარი ფართობი უჭირავთ, რომელიც გამოიყენება ინტენსიურად. ასეთ მეურნეობებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საძოვრების მოვლას, რომელსაც ამუშავებენ აგროტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ფართოდ იყენებენ კომბინირებულ— კონცენტრირებულ საკვებს. ჰყავთ მაღალპროდუქტიული პირუტყვი, რომელთა წველადობა 5000 ლიტრს აღემატება. მაღალია მექანიზაციის დონე, პირუტყვის წველისა და მისი მოვლის სხვა პროცესები ხორციელდება ავტომატიზებულად. მერძეული მიმართულების მეცხოველეობა განვითარებულია მაღალტენიან სანაპირო ზოლში.

სპეციალიზაციის მიხედვით მერძეული ფერმები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: პირველი, ემსახურება რძის წარმოებას, უშუალოდ მოხმარებისათვის, ხოლო მეორე — ყველ-კარაქის წარმოებას. საკარეტბო ზონის ფერმები გაერთიანებული არიან კოოპერატივებში, რომლებიც უმთავრესად პროდუქციის რეალიზაციას ემსახურებიან.

მერძეულ მეცხოველეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეღორეობა, რომელიც იყენებს რძის ნარჩენებს. მისგან ამზადებენ ბეკონს და საკმაოდ დიდი რაოდენობით ვაქვეყნებთ.

ვარაუდობენ რომ ქვეყანაში 25 მილიონამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 60 მილიონამდე ღორია. ამ მაჩვენებლებით ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ავსტრალიაში კარგადაა განვითარებული მეფრინველეობაც. ძირითადად ჰყავთ ქათმები და ინდაურები, მცირე ოდენობით — ბატები. მეფრინველეობის ფერმები მცირე მოცულობისაა და ვიწრო სპეციალიზაციით ხასიათდება. ერთში ზრდიან ქათმებს, მეორეში — აგებენ საბოლოო წიწილებს, მესამეში — აგროვებენ კვერცხს და ა. შ. მეფრინველეობის პროდუქციის დიდი ნაწილი მიდის ექსპორტზე.

მეცხოველეობის სხვა დარგებიდან წარმოდგენილია მეცხენეობა, ასევე აქლემები, მინდვრის მეფუტკრეობა, რომლის ბრიგადებიც ერთ-ერთ რაოდენობით გაიქცეთ საზღვარგარეთ.

ავსტრალიაში საფარეულების 65% მეცხოველეობის ფერმებზე მოდის, რომელთაგან უდიდესი ნაწილი (91%-ზე) უპირავს ბენებრივ საძოვრებს. ათასი ფერმობის რაოდენობა 3%-ს არ აღემატება, აქედან 55% უპირავს ხორბალს, 6% — კულტურულ საძოვრებს (დათესილია საკვები ბალახები).

საფეხურიანი ხორბლის კულტივირება ქვეყანაში დაიწყო XIX საუკუნის ბოლოს, მანამდე მას ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ხორბალი მოჰყავთ ფერწყვ მიწებზე. ამ კულტურის გავრცელების ადგილებში ნალექების რაოდენობა 250—500 მმ არ აღემატება. ხორბალი ძირითადად წარმოდგენილია სუბტროპიკებში, თანამედროვე ინდუსტრიული ბალახებით, ხორბლის წარმოებას ფერმერებს ექსპლუატაციის ნებართვა აქვს. ავსტრალიაში დიდ სელექციურ მუშაობას აწარმოებენ, მინდებელია ადგილობრივ ხორბლის ჯიში, რომელიც მყარ მოსავალს იძლევა. ხორბლის წარმოების დონე საშუალოზე მაღალია. რაოდენობით მეოთხეა ნორვეგია ექსპორტზე. 1985 წელს ავსტრალიამ აწარმოა 30 მლნ. ტონა მარცვლეული, აქედან ნახევარზე მეტი გაიტანეს ექსპორტზე.

გარდა ხორბლისა, მოდებული მიმართულებით ოფლიანობა ფერადფიბას აქცევენ საკვები კულტურების წარმოებას. მოჰყავთ ქერი, შვრია, სიმინდი და სხვა მარცვლეული კულტურები.

მემცენარეობის მნიშვნელოვანი დარგია მებაღეობა და ბოსტნეულეობა. მოჰყავთ ციტრუსული და სუბტროპიკული ხილი. ეს ძირითადად წარმოდგენილია კუნძულ ტასმანიაზე და მატერიკის სამხრეთ შტატებში. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ანანასი, ბანანი, მანგო, ავოკადო, ატამი, ქლიავი, ალუბალი, ავრეთვე ციტრუსები და სხვ. ამავე ზონაში წარმოდგენილია სამრეწველო და სუფრის ყურძენის წარმოება. ხილი ნატურალური და გადამუშავებული წვენების სახით ძირითადად მოიხმარება შიდა ბაზარზე. ნაწილი გაიქცეთ, ასევე ექსპორტზე.

დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საკარგანო ბაღში წარმოდგენილია მებოსტნეობა, რომელიც გამოირჩევა საკმაოდ ფრაგმენტალური ასორტიმენტით, მებოსტნეობის მეურნეობები ოჯახურად ავტომატიზებულია, რაც მინიმუმამდე ამცირებს ცოცხალი შრომის გამოყენებას.

ტექნიკური კულტურებიდან მოპყავთ შაქრის ლერწამი, [illegible] ნიოლეების ყავა, [illegible] ლიმონი [illegible] [illegible]ში. შაქრის წარმოების მიხედვით ავსტრალიას უჭირავს მეხუთე, ხოლო ექსპორტის მიხედვით — პირველი ადგილი [illegible] [illegible] და აღნიშნულია, მოპყავთ თამბაქო, ბამბა და სხვა ტექნიკური კულტურები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაიქცევ საზღვარგარეთ.

ავსტრალიაში არ არსებობს ფერმა და სასოფლო-სამეურნეო წარმო, რომელიც პროდუქციის 80% მაინც — არ იყოს სასაქონლო. სოფლისმეურნეო პროდუქციის უდიდესი ნაწილი გაიქცევ ევროპისა [illegible] აღმოსავლეთის ქვეყნებში, ავრეთვე [illegible]ში, ფილიპინებში, [illegible] ინდოეთში და სხვა რეგიონებში. ავსტრალია [illegible] ფლა-სამეურნეო წარმოების შესანიშნავი ნიმუშია.

ახალი ზელანდია

[illegible] ახალი ზელანდიაც მდებარეობს ავსტრალიის უკიდურეს სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში. იგი ევროპიდან [illegible] [illegible] [illegible]

ივიწყეს ივი, რითაც ისარგებლეს ინგლისელებმა და 1769 წელს ჯეიმს კუკმა დაიპყრო ქვეყანა. ევროპელების პირველი დასახლება აქ XVIII საუკუნეში გაჩნდა, ადგილობრივი მოსახლეობა ამ დროისათვის პირველყოფილ თემურ წყობილებაში იმყოფებოდა. მათი საერთო რაოდენობა 200 ათასს აღწევდა. XIX საუკუნეში აქ შეიქმნა ევროპელთა პირველი ახალშენები, რომლებმაც თანდათანობით შეავიწროვეს ადგილობრივი მოსახლეობა. 1840 წელს ინგლისმა დაიპყრო მთელი ახალი ზელანდია და იქედან განდევნა ჰოლანდიელები. 1854 წელს ქვეყანამ მიიღო შიდა ავტონომია. 1863 წელს კი აშენდა პირველი რკინიგზა. სწრაფი ტემპით დაიწყეს ცხვრის მოშენება, რომელთა რაოდენობამ 1872 წელს 10 მილიონი შეადგინა. ევროპელებისაგან შეიქმნა მწათმფლობელთა ოლიგარქია. 1931 წელს ინგლისმა ახალ ზელანდიას მისცა სრული დამოუკიდებლობა, თუმცა შეინარჩუნა თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები. ომის შემდეგ ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას.

ახალი ზელანდია მთაგორიანი ქვეყანა, ტერიტორიის 2/3 ზღვის დონიდან 200—1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, 1/8—1000 მეტრზე ზევით, მხოლოდ 1/4 უჭირავს დაბლობს. მთები ვულკანური წარმოშობისაა, ბევრია გეიზერი. ყველაზე მაღალი წვერტილი 3764 მეტრზე მდებარეობს, მთებში ბევრია მყინვარები. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ზომიერ კლიმატურ სარტყელშია მოთავსებული, მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილი ვადადის სუბტროპიკულში. ზღვა აქ კლიმატს შედარებით გრილს ხდის, ვიდრე აღნიშნული სარტყლის სხვა ქვეყნებში. ტემპერატურის ცვალებადობა უმნიშვნელოა, ზამთრის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთით +12°C, ხოლო სამხრეთით +5°, ზაფხულისა კი ჩრდილოეთით +19°, ხოლო სამხრეთით +14°C. ნალექების რაოდენობა არათანაბარია. ჩრდილოეთის ზოგიერთ რაიონში 5000 მმ-ს აღწევს, ვეზედება რეგიონები, სადაც ეს მაჩვენებელი 500—800 მმ-ია.

კუნძულებზე ცარვადაა წარმოდგენილი მდინარეთა ქსელი, რომელიც საკმაო წყალუხვობით ხასიათდება. ჩრდილოეთით მდინარეები იკვებება წვიმის წყლებით, ხოლო სამხრეთით—წვიმის წყლებითა და მყინვარებით. ხშირია მდინარეთა კატასტროფულად ადიდების შემთხვევები, იტბორება დაბლობები, რაც საგრძნობლად აზიანებს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს. მდინარეები მცირე სიგრძისაა და ხანაოსნოდ თითქმის არ გამოიყენება. ქვეყანაში ბევრია ვულკანური წარმოშობის ტბა.

აღმოჩენისას ახალი ზელანდიის 90% დაფარული იყო ტყეებით, მომდევნო პერიოდში იგი გაიჩეხა. დღეისათვის კი ტყის რაოდენობა

16% შეადგენს. მდიდარია ქვეყნის მცენარეული საფარი, რომლის 3/4 ენდემურია და თითქმის არსად არ ეგზიდება სხვაგან. მრავალფეროვანია ნიადაგებიც. ძირითადად გავრცელებულია ტყის რუხი და წითელი მიწები, ნიადაგების ნაწილი მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება.

ქვეყნის ნოსახლეობის 90% ევროპული წარმოშობისაა, 9% პოლინეზიური ჯგუფისაა, მცირე ოდენობით ცხოვრობენ აგრეთვე ჩინელებიც. ნოსახლეობის მატების დონე დიდი არ არის. საშუალოდ იგი 2,1%-ია. ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი 40%-ია. დასაქმების მიხედვით შრომითი რესურსები ყველაზე მეტია გადამამუშავებელ მრეწველობაში, შემდეგ — მომსახურების სფეროში, ვაჭრობაში და ყველაზე მცირე — სოფლის მეურნეობაში. მოსახლეობის 3/4 ცხოვრობს ეკონომიკური თვალსაზრისით უკეთ განვითარებულ ჩრდილოეთ კუნძულზე.

ახალი ზელანდიის ეკონომიკის განვითარება დღესაც განიცდის ყოფილი მეტროპოლიის — ინგლისის გავლენას. წლების განმავლობაში იგი ბრიტანეთის „ზღვისგადმა ფერმას“ წარმოადგენდა და დღესაც ძირითადად ასეთად დარჩა. მაგალითად, ბრიტანეთის კუნძულებზე გაყიდული ყველის 25% ახალ ზელანდიურია. ჩვენი საუკუნის 60-ან წლებამდე, სოფლის მეურნეობას ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა ეკავა, დღეს ეს შეფარდება შეიცვალა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი ზელანდიის ექსპორტის 3/4 სოფლის მეურნეობაზე მოდის.

ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობებია: რბილი, თბილი კლიმატი, ზომიერი ტემპერატურა, არ იცის გვალვები, არც ჭარბტენიანობა, მთელი წლის განმავლობაში გრძელდება ბალახის ვეგეტაცია — ყოველივე ეს ქმნის უნიკალურ პირობებს მეცხოველეობისათვის. ცხოველები წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშაა, მხოლოდ სამხრეთით, იშვიათი ქარიშხლებისა და თოვლის დროს, შეჰყავთ გადახურულ სათავსებში. მეცხოველეობის განვითარება ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მიწათმოქმედება, თუმცა არც მიწათმოქმედებისათვისაა ცუდი პირობები და შესაფერისი აგროტექნიკური ფონის შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კულტურები მაღალ მოსავალს იძლევიან.

მეცხოველეობის უპირველესად განვითარებას ხელს უწყობს მთავრობაც, რომელიც აღნიშნული დარგისათვის ქმნის ხელსაყრელ უსაფრთხოებას, იძლევა კრედიტებს, ხშირ შემთხვევაში დოტაციებ-

საც. ფასების სისტემის მეშვეობით ფერმერს ეძლევა გარანტია იმისა, რომ არანაირსაჯარიელ წელსაც კი წარმოება ეფექტიანი. [illegible] და ამასა, სახელმწიფოფინანსებს სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო [illegible] ბს, შექმნილია მეცხოველეობის დამდგენი ძლიერი [illegible] ალ-პროდუქტიულ მეშობას ეწევიან.

ახალ ზელანდიაში ძირითადად წარმოდგენილია მსხვილი [illegible] ველეობის ფერმები, რომლებიც ფლობენ მიწის ფართებისა და პირუტყვის [illegible] 90%-მდე, ისინ [illegible] ბაქ-პორტი პროდუქციის 92%-ზე მეტ[illegible]

ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ინტენსიფიკაციის მაღალი დონე, მსოფლიოს [illegible] ქვეყანაში სოფლის მეურნეობაში ისე ფართოდ არ იყენებენ ელექტროენერგია, როგორც ახალ ზელანდიაში.

საკარგულთა სტრუქტურაში საძოვრებს 80%-ზე მეტი უჭირავს ხოლო დამუშავებული მიწის ფართობის 90% უჭირავს საკვებ კულტურებს. პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში ძოვებაზეა. საძოვრები მეტად უფასოა და პროდუქტიულია.

საძოვრები დაყოფილია ნაკვეთებად, რომლებიც გაწყვეტილია მხოლოდ პირუტყვის განსაზღვრული რაოდენობისათვის და თითოეულ ნაკვეთზე ძოვება წლის განმავლობაში 4—5 ჯერადია. [illegible] პირუტყვის სასმელი წყლის საგუბარი, გადახურული ფარები. კულტურული სადგომი ფერმის მუშებისათვის და სხვა. როგორც წესი, პირუტყვი ნაკვეთზე 3—6 დღის განმავლობაში ძოვს და შემდეგ [illegible] დაჰყავთ. ბერადი შდებარე ნაკვეთზე, 2—3 კვირის შემდეგ [illegible] უბრუნდებიან პირველ ნაკვეთს და ა. შ. ასეთი მორაცელობა საკვები საძოვრების პროდუქტიულობის აღდგენისათვის და [illegible] აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებლად. ამრიგად, საძოვრები არ განიცდიან დიდ ექსპლოატაციას, ხოლო პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია ახალი, ნოყიერი საკვებით. ავსტრალიის მსგავსად ახალ ზელანდიაშიც პირუტყვის მეთვალყურეობისათვის იყენებენ სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს, ერთი ძაღლი ცვლის 2—3 მწყემსს. ძაღლებს წვრთნიან სპეციალურ ცენტრებში.

სოფლის მეურნეობაში ეფექტიანად იყენებენ ავიაციას. თვითმფრინავებით (ვერტმფრენებით) არა მარტო თესავენ ბალახს, არამედ შეაქვთ სასუქები, ოპერატიულად აწვდიან საჭირო პროდუქტებსა და

ძასალებს ფერმებს დაა. შ. ავიაციის გამოყენება. მხრივ ახალ ზელანდიის ძირითადი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

მეცხოველეობაში წამყვანი მეცხვარეობა, ახალ ზელანდიაში 70 მლნ-ზე მეტი ცხვარია, ამ მაჩვენებლით იგი მეოთხე ადგილზეა ავსტრალიაში, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე ცხვრის რაოდენობით (20 ცხვარი) კი—პირველ ადგილზე. ქვეყანა არ არის მჭიდროდ დასახლებული, შეიძლება საათობით ტროლეიბუსი შეხვდეს ადამიანს, მაგრამ ცხვარი ყველგან არიან — გზის გასწვრივაც, მთებშიც და ა. შ.

ახალ ზელანდიაში ბუნებრივ ნახმატყლიანი საბრუნავი მიმართულების ცხვარი, რომელიც კარგად იტანს ქვეყნის ... პირობებს, სწრაფად იზრდება, იძლევა დიდი რაოდენობით ნატყლს, აქვს გრძელბეწვიანი მატყლი და სხვ. მეცხვარეობაში შეიმჩნევა სპეციალიზაციის ოთხი მიმართულება: 1. ბატკნის (4—5 თვემდე) ... ზრდა, მათი შემდგომი რეალიზაციისათვის—საბრუნავად, ასეთი ტიპის ფერმები, როგორც წესი, მდებარეობს ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ ზონებში. 2. ნახმატყლიანი მირინოსის ჯიშის ცხვრის ... ფერმები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია მთიან ზონაში. 3. საკვერცხე მეცხვარეობა—ასეთი ფერმების რაოდენობა არ არის ბევრი, ისინი ამარაგებენ ფერმებს ჯიშიანი ცხვრით და საკმაოდ შემოსავლიან ... ითვლება. 4. შერეული ფერმები, სადაც ერთადაა წარმოდგენილი მეცხოველეობის სპეციალიზაციის თითქმის ყველა მიმართულება.

ცხვრის კვებას აქვს ზონის საანალიზო და იგი ქვეყნის მოსახლეობის ... ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება. შექმნილია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც მომსახურებენ ... ფერმებს, მათი ხელოვნება იმდენად მაღალია, რომ დღის განმავლობაში საშუალოდ კრეჭენ 150—180 ცხვარს, ზოგიერთი მათგანი—300—400 ცხვარსაც.

მატყლის წარმოებით ქვეყანას მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო მიი ექსპორტით მეორე (ავსტრალიის შემდეგ). გაქვთ მატყლის 90%, ასეთივე მასშტაბებით გაქვთ ბატკნის ხორცი და შეკრეკილი ტყავი. ცხვრის ხორცი მოიხმარება ადგილობრივ ბაზარზე, ისე საექსპორტოდ (45%-ამდე). დიდი რაოდენობით გაქვთ ტალოს და საქონლის ხორცი. ახალ ზელანდიას ხორცის საერთო რაოდენობის ექსპორტით მესამე ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ქვეყანაში განვითარებულია მერძეული და მეხორცული მეცხოველეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები. ... ტიპისა. რაც შეეხება მეხორცულ მიმართულებას, იგი ნაკლებადაა წარმოდგენილი, თუმცა არსებობს სპეციალიზებული ფე-

რმებიც, რომლებიც ეწევიან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სუქებას (ძირითადად, ხბოების) და ორიენტირებული არიან ექსპორტზე. პირუტყვი მთელი წლის განმავლობაში ძოვებაზეა, რაც ხელს უწყობს სტაბილური წონამატის მიღებას. მერძეული ჯოგი სარგებლობს კულტურული საძოვრებით, სადაც ხელოვნურად თესავენ ისეთ ბალახებს, რომლებიც ლაქტაციის დროს ხელს უწყობს მერძეული ჯოგის პროდუქტიულობას. მერძეული ჯოგის პროდუქცია ორიენტირებულია გადასამუშავებლად. მაგალითად, მიღებული რძის 70% მიდის კარაქის წარმოებაზე, 14% — ყველზე, პროდუქციის დანარჩენი ნაწილი უშუალოდ ხმარდება მოსახლეობის რძითა და რძის პროდუქტებით მომარაგებას (არაყანი, ხაჭო, და სხვ.). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკარაუდო სულადობა 7 მილიონამდეა, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 2 სულს შეადგენს.

იქ სადაც განვითარებულია მერძეული მეცხოველეობა, წარმოდგენილია აგრეთვე მეღორეობაც, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს. ამზადებენ ბეკონის პროდუქციას, რომლის 80% მიდის ექსპორტზე.

კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა, რომელსაც უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. დარგი ინდუსტრიულ საფუძველზეა. დიდი რაოდენობით ამზადებენ ფრინველის ხორცს, კვერცხს, რომელთა ნაწილი (10—15%-მდე) გააქვთ კიდეევაც საექსპორტოდ.

მემცენარეობას დამხმარე ხასიათი აქვს. თუმცა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, მისი განვითარებისათვის ქვეყანაში კარგი პირობებია. მიწათმოქმედებაში წამყვანია მარცვლეული. მოჰყავთ სასურსათო ხორბალი და სიმინდი, თესავენ აგრეთვე ქერსა და ჭვავს, რომელსაც ძირითადად ისევ მეცხოველეობაში იყენებენ. აღსანიშნავია ის, რომ ახალი ზელანდია მხოლოდ 45%-ით იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს სასურსათო მარცვლეულზე, დანარჩენი შემოაქვს ავსტრალიიდან, რისთვისაც იხარჯება მეცხოველეობის პროდუქციის ექსპორტის შედეგად მიღებული ვალუტის მხოლოდ 3%.

განვითარებულია მებაღეობა და მებოსტნეობა, რომლებსაც უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, ქვეყანა ვაშლის ტრადიციულ ექსპორტიორად ითვლებოდა და დღესაც დიდი რაოდენობით გააქვს იგი. ბოლო პერიოდში ინტენსიურად ვითარდება მეევნახეობაც.

ახალ ზელანდიაში მისდევენ მეთევზეობასაც, რომლის საკმაო დიდი მარაგია მიმდებარე ზღვის წყლებში. შექმნილია თევზჭერის

ფლიტილია. თევზის პროდუქციის ნაწილი გადამუშავებული სახით გაიქვთ საზღვარგარეთ.

კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც ხორცკომბინატების სახითაა წარმოდგენილი. იყენებენ უახლეს ტექნოლოგიას, რომელიც ძირითადად ავტომატიზებულია. შეიმჩნევა მცირე სიმძლავრის (მეცხოველეობის დანიშნულების) მანქანათაშენებლობაც, რაც შეეხება მძლავრ მანქანებს, ისინი შემოაქვთ საზღვარგარეთიდან.

ახალი ზელანდია ადამიანთა მიზანდასახული შრომის, სწორი სპეციალიზაციის, გონივრული საგარეო პოლიტიკის კლასიკური მაგალითია.

ოკეანია

ოკეანია წარმოადგენს კუნძულებისა და არქიპელაგების უზარმაზარ რეგიონს, რომელიც მდებარეობს წყნარი ოკეანის ცენტრალურ და სამხრეთ დასავლეთ ნაწილში. ოკეანია შედგება 7 ათასი კუნძულისაგან, რომელთა შორის ორი: ახალი გვინეა (829 ათას კვ. კმ) და ახალი ზელანდია (რომელიც აგრეთვე შედის ოკეანიის გეოგრაფიულ ცნებაში) წარმოადგენენ შედარებით დიდ კუნძულებს. ოკეანიის საერთო ფართობი 1,3 მილიონი კვ. კმ-ია, აქ მდებარეობს პატარ-პატარა სახელმწიფოები, რომელთა უმრავლესობამ დამოუკიდებლობა ბოლო ათწლეულში მიიღო, დანარჩენები ჯერ კიდევ სხვა სახელმწიფოთა მფლობელობაში ითვლებიან, ზოგიერთი იმდენად პატარაა, რომ გეოგრაფიულ რუკაზეც კი ჭირს მათი აღნიშვნა. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რაოდენობა 14-მდეა. მათ შორის შედარებით დიდი სახელმწიფოების ჯგუფს განეკუთვნება: პაპუა, ახალი გვინეა (ფართობი 462 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—3 მილიონი), სოლომონის კუნძულები (ფართობი—28 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—250 ათასი), ვანუატუ (ფართობი—15 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—104 ათასი), ახალი კალედონია (ფართობი—19 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—150 ათასი), ფიჯი (ფართობი—18 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—600 ათასი), მიკრონეზია (ფართობი—1,8 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—130 ათასი) და სხვ.

ჩვენ არ შევუდგებით თითოეული მათგანის დახასიათებას, მათ განვიხილავთ ერთობლივად, გეოგრაფიული სივრცის მიხედვით. ოკეანეთს ყოფენ სამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქად: მელონეზია — ახალი გვინეით, მიკრონეზია და პოლინეზია — ახალი ზელანდიით.

მ ე ლ ო ნ ე ზ ი ა მდებარეობს ოკეანიის დასავლეთ ნაწილში, რომლის საერთო ფართობია 969 ათასი კვ. კმ. აქედან 6/7 მოდის ახალ გვინეაზე. **პოლინეზია გადაჭიმულია უკიდურეს სამხრეთ დასავლეთი-**

დანალმოსავლეთ საზღვრებამდე ახალი ზელანდიის [illegible] სი ფართობია 26 ათასი კვ. კმ, აქედან 17 ათასი კვ. კმ. [illegible] კუნძულებზე. მიკრონეზიაში ეკვატორის [illegible] მხარე; საერთო ფართობი 2,6 ათასი კვ. კმ-ია, [illegible] გაფანტულია უზარმაზარი წყლის სივრცეზე. [illegible] 11 მლნ. კვ. კმ-ია [illegible] ოკეანიის მოსახლეობის საერთო [illegible] 10 მილიონ[illegible] აქედან მელანეზიაში ცხოვრობს 5 მილიონი, პოლინეზიაში — 4,5 მილიონი და მიკრონეზიაში — 0,5 მილიონი. [illegible] ოკეანეთა [illegible] ფერმოდგენს [illegible] ოკეანეში, [illegible] ოკეანეში მდგომარეობს, რომ ათასი წლების განმავლობაში ოკეანეში [illegible] სივრცეზე მიმოფანტული კუნძულები იზოლირებულად ვითარდებოდ[illegible] ნენ. ევროპელებმა ოკეანეა აღმოაჩინეს XVI საუკუნეში. ამ დროს ბევრ კუნძულზე უკვე მცხოვრებნენ მეზობლობა, ხშირად 100 [illegible] ვადაადგილებდნენ ოკეანეში, რაც გარეგან გამოწვეულობენ [illegible] ნობის ცოდნასაც მოითხოვდა. ოკეანიის მოსახლეობა ევროპელების ჩამოსვლამდე არ იცნობდნენ მეტალს, [illegible] XVIII საუკუნ[illegible] ბოლოამდე, თუმცა დღესაც ხდება ზოგიერთი ტომის [illegible] ლებიც ჯერ კიდევ პირველყოფილ თემური წყობილებ[illegible] ცხოვრობენ. მომდევნო პერიოდებში ოკეანიის კუნძულებს თანმიმ[illegible] დევრულად ეპატრონებოდნენ ევროპის ქვეყნები: ინგლისელები, [illegible] ჰოლანდია, პორტუგალია, მაგრამ მმართველობის [illegible] ლას არ ცდილობდნენ. მაშინდელ პირობებში უზარმაზარ [illegible] გაფანტული კუნძულები საინტერესო იყო მათთვის.

ოკეანეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობები [illegible] საერთოს წარმოადგენს ის, რომ ისინი შედიან ტროპიკულ [illegible] ტროპიკულ სარტყელში. ბუნებრივი პირობებით ოკეანია [illegible] დგენს ერთიან რეგიონს, კუნძულების ნაწილი მდებარეობს [illegible] ზე. სადაც მუდმივი სიცხეა, ნოლო ნაწილი მდებარეობს [illegible] ულ ზონაში, სადაც მხოლოდ ცხელი საფხეულია. [illegible] ზეც მდებარეობს კუნძულები მოიცავს 60 მილიონ კვ. კმ, [illegible] მეტია ვიდრე ევრაზია ერთად აღებული. ამასთან, ოკეანეთის [illegible] ფართობი 6-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ყველაზე პატარა [illegible] სტრალიის ფართობი. კუნძულების მცირე მიწიანობა [illegible] ანძილებით ერთმანეთისაგან, საშორეიგზლენას [illegible] პირობებზეცოდვინულ კუნძული წარმოადგენს [illegible]

[illegible] ტროპიკულ კლიმატს, ხშირად განვითარებულია [illegible] სარეკრეაციო-ბუნებრივი ეკოლოგიური სისტემები [illegible] ბალნეოლოგიური [illegible] ბუნებრივ [illegible] ტენიანობა [illegible] ბალნეოლოგიური [illegible] ბალნეოლოგიური [illegible] ბალნეოლოგიური

მიწათმოქმედება შეადგენს, მოჰყავთ ბოსტნეული, ხილი, მესვეენ მეცხოველეობას. უმთავრესად ვითარდებოდა ის მცენარეულობა, რომლითაც დაინტერესებული იყვნენ მეტროპოლიები. ესაა ქოქოსის პალმა, კოლრი, ტროპიკული ხილი და სხვ. უმრავლეს ქვეყნებში წარმოებას ნატურალური ხასიათი აქვს. პროდუქცია ძირითადად მოჰყავთ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მცირე რაოდენობით ჰყიდიან. ბევრ ქვეყანაში არსებობს მსხვილი მეურნეობები, რომლებიც შექმნილი იყო ჯერ კიდევ კოლონიური ბატონობის პერიოდში. დღეისათვის ამ მეურნეობებში მოჰყავთ სასაქონლო ხასიათის ყავა, კაკაო, ქოქოსის პალმა, ბანანი და სხვ. ბევრია გლეხური მეურნეობები, რომლებიც წარმოდგენილია მრავალდარგოვანი პროდუქციით. უმრავლეს შემთხვევაში წვრილგლეხური მეურნეობები არ მონაწილეობენ საექსპორტო პროდუქციის შექმნაში.

დღეისათვის, ოკეანიის სოფლის მეურნეობა იძლევა იმ სასაქონლო პროდუქციას, რომელზედაც ჯერ კიდევ დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიო ბაზარზე. სწორედ ასეთი პროდუქტების გაყიდვა იძლევა იმ ვალუტის 90%, რომელიც შემოდის რეგიონის ქვეყნებში. ამიტომ რეგიონის თითქმის ყველა სახელმწიფო ცდილობს განავითაროს საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

ოკეანიის ზოგიერთ ქვეყანაში მოხდა მიწების ნაციონალიზაცია. ადგილობრივ პლანტატორებს ჩამოერთვათ პლანტაციები, სათანადო კომპენსაციით. მათ ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო მეურნეობები ან იჯარით დაურიგდათ ადგილობრივ მოსახლეობას. ზოგ ქვეყანაში მოხდა მიწების კრედიტით შესყიდვა. მოჰყავთ ორჯერადი (ზოგჯერ მეტი) მოსავალი.

რეგიონში მემცენარეობიდან მთავარი კულტურაა ბრინჯი, რომელიც მოჰყავთ ეკვატორულ ზონაში. კუნძულებზე მდინარეები ოითქმის არ არის (ძირითადად, წყაროები და მიწისქვეშა წყლებია), მაგრამ ბრინჯის ყანები მაინც ირწყვება, რისთვისაც იყენებენ გრუნტის წყლებს. გავრცელებულია სიმინდიც, რომელიც მოსახლეობის უმეტესობისათვის კვების ძირითადი პროდუქტია, მოჰყავთ პარკოსანი კულტურები, უმთავრესად ლობიო და სოია.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, თამბაქო, რომლის დიდი ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ, შაქრის ლერწამი, რომლის გადამუშავებაც პრიმიტიული ხერხით წარმოებს და პროდუქციას იყენებენ შიდა მოხმარებისათვის.

როგორც აღნიშნული იყო, რეგიონის უმეტესი ქვეყნებისათვის

მთავარი საექსპორტო კულტურებია ყავა და კაკაო. აღსანიშნავია, რომ ამ კულტურების პროდუქცია საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და მასზე დიდი მოთხოვნილებაა ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში, სადაც ძირითადად გააქვთ ეს პროდუქცია.

გარდა ამისა, ამზადებენ სუბტროპიკული და ტროპიკული ხილის წვენებს, რომლის ნაწილიც მიდის ექსპორტზე.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ოკეანიის მთელ რიგ ქვეყნებს შემოაქვს კვების პროდუქტები, კერძოდ, — მარცვლეული (ბრინჯი და ხორბალი).

რეგიონის ქვეყნებში წარმოდგენილია აგრეთვე მეცხოველეობაც. ჰყავთ მცირე ოდენობით მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელსაც უმთავრესად იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას, მათი პროდუქტიულობა დაბალია. შედარებით კარგადაა განვითარებული მეცხვარეობა, მთელ რიგ კუნძულებზე ხელსაყრელი პირობები არსებობს აღნიშნული დარგის განვითარებისათვის. ცხვრები შემოყვანილია ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან. მატყლის გადამუშავება წარმოებს ადგილზე და გამოიყენება კუსტარული წარმოებისათვის. ოკეანიის ზოგიერთ ქვეყანაში განვითარებულია მეღორეობა, რომელიც წარმოდგენილია თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში. პოპულარობით სარგებლობს გოქის ხორცი, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია აღნიშნული რეგიონების მოსახლეობისათვის. მეფრინველეობას არა აქვს სამრეწველო ხასიათი, იგი წარმოდგენილია მხოლოდ ინდივიდუალურ სექტორში და გამოიყენება საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ ოკეანიის კუნძულებზე კარგი ბუნებრივი საძოვრებია, უმრავლეს ქვეყნებს მეცხოველეობის პროდუქტები შემოაქვს. უმთავრესად ავსტრალიიდან და ახალი ზელანდიიდან, განსაკუთრებით კი რძის ფხვნილი, ხორცის კონსერვები და ძეხვეული.

თევზის პროდუქტებზე მოდის ოკეანიის მოსახლეობის კვების რაციონის 50%-მდე. მიმდებარე ზღვის წყლები შეიცავენ თევზის კოლოსალურ მარაგს. წყნარი ოკეანის აღნიშნულ რეგიონებში თევზის რეწვას ეწევიან ევროპისა და აზიის განვითარებული ქვეყნების ფლოტილიები, რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, ისინი თევზჭერას შამანაპური მეთოდებით მისდევენ, რაც ნაკლებეფექტიანია. თუმცა ამ მეთოდებითაც საკმაო რაოდენობის თევზს იჭერენ, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებებს სრულიად აკმაყოფილებს.

ოკეანიის ქვეყნებში თითქმის არ ჰყავთ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი, მხოლოდ მსხვილ პლანტატორულ მეურნეობებში მუშაობენ ნაკლებად განსწავლული სპეციალისტები.

ამერიკა

ამერიკის კონტინენტი ევროპელებმა გაიცნეს ევროპის, აზიის და აფრიკის შემდეგ. იგი გიგანტური ნახევარკუნძულივადაა გადაჭიმული ატლანტისა და წყნარ ოკეანეებს შორის. მისი სიგრძე 14 ათასი კმ-ია (კუნძულების ჩათვლით 15,5 ათასი კმ); რაც მერიდიანის სიგრძის 3/5-ია. კონტინენტის სიგანე სიგრძეზე გაცილებით ნაკლებია, იგი ათასი-თანაბარია. მაგალითად, კანადაში ეს მაჩვენებელი 6 ათას კმ-ს აღემატება, ხოლო შუაწელში (პანამასთან) 100 კმ-მდე წვრილდება. სწორედ აქ გაჭრა პანამის არხი, რომლის სიგრძე 80 კმ-ია. ეს არის უდიდესი მნიშვნელობის ხაზღვარი გზა, რომელიც ატლანტისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ამერიკის ტერიტორია დაახლოებით 42,5 მლნ. კვ. კმ-ია, ხოლო ევრაზიანდიის ჩათვლით 44,5 ათასი კვ. კმ-ია. იგი სიდიდით მსოფლიოს მხოლოდ ყველაზე დიდ კონტინენტს — აზიას ჩამორჩება და ბევრად აღემატება აფრიკას, ევროპასა და ავსტრალიას. ამერიკა ორი ნაწილისაგან შედგება, ჩრდილოეთ ამერიკა უჭირავს 24,8 მლნ. კვ. კმ-ს (ევრაზიანდიის გარეშე), ხოლო სამხრეთ ამერიკას — 18 მლნ. კვ. კმ-ს (ეს ორივეფიული ცნებაა აგრეთვე ცენტრალური ამერიკა, რომელსაც ლათინურ ამერიკასაც უწოდებენ).

ევროპელებისათვის ამერიკა ცნობილი გახდა ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენის შემდეგ — 1492 წლის 12 ოქტომბერს, რომელსაც მან მიაღწია მატერიკ კუნძულს, რომელსაც შემდეგ სალვადორი დაარქვა, მატერიკული ამერიკა აღმოჩენილი იქნა 1498 წელს (ახლანდელი ვენესუელის შიდა ოლქები). XV საუკუნის დასაწყისში დაიწყო ამერიკის ათვისება ევროპელების მიერ. 1535 წელს დაიპყრეს ინკების სახელმწიფო, რომელიც დღევანდელ პერუს, ბოლივიასა და ეკვადორის ტერიტორიაზე მდებარეობდა. დამპყრობლებს ხელთ ჩაუვარდათ აურაცხელი სიმდიდრე. დაიწყო აქაური კოლონიზაციის პროცესი, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისელები, (ჩრდილოეთ ამერიკაში), პორტუგალიელები და ესპანელები (ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში). XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ამერიკული კოლონიებ-ის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. 1776 წელს გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობა.

თანამედროვე ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის ფორმირებაში უდიდესი როლი შეასრულეს ევროპიდან გადმოსახლებულმა ხალხმა

და აგრეთვე აფრიკის კონტინენტიდან ჩამოყვანილმა მონებმა. მცირეოდენობით არიან ადგილობრივი მოსახლენიკ. მათი ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 0,5%-ია. დღევანდელი ამერიკის მოსახლეობა ეთნიკურად არაერთგვაროვანია, ბევრია აზიიდან (განსაკუთრებით ჩინეთიდან) გადმოსახლებულებიც.

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ჩრდილოეთ ამერიკა (აშშ, კანადა), ბევრად უსწრებს წინ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ეკონომიკის სტრუქტურაში, ეთ სულზე ნაციონალური პროდუქციის წარმოებაში, პრიორიტეტული დარგების განვითარებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მოცულობაში და ა. შ.

ამერიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 600 მლნ. აღწევს, აქედან ჩრდილოეთ ამერიკაში ცხოვრობს 250 მილიონი, ხოლო სამხრეთ ამერიკაში — 350. ჩრდილოეთ ამერიკაში მაღალია ურბანიზაციის პროცესი.

ბუნებრივ-კლიმატური პირობებით ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რეგიონებია, რაც ეფექტურად გამოიხატება იმაში, რომ ჩრდილოეთ ამერიკის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ზომიერ ბუნებრივ სარტყელში, ხოლო სამხრეთ ამერიკა — ტროპიკულ სარტყელში. ეს გარემოება თავის ასახვას პოულობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურასა და ხასიათში, წარმოების ინტენსივობაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციაში და ა. შ.

ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების (განსაკუთრებით აშშ) განვითარება დაიწყო გასული საუკუნის ბოლო ათწლეულიდან. ეკონომიკის განვითარების ტემპმა განსაკუთრებით იმატა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ხოლო ლათინური ანუ სამხრეთ ამერიკა მეორე მსოფლიო ომამდე ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონს წარმოადგენდა. მისი განვითარება დაიწყო ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ინტენსიურად დაიწყო აღნიშნული რეგიონის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება. მოხდა კაპიტალის კონცენტრაცია სტრატეგიული მნიშვნელობის დარგების განსავითარებლად, გზა გაეხსნა უცხოურ კაპიტალს. ლათინური ამერიკის ქვეყნებმა ფეხი მოიკიდეს მსოფლიო ბაზარზე. სოფლის მეურნეობა დაადგა ინდუსტრიული განვითარების გზას, მთელ რიგ ქვეყნებში ჩამოყალიბდა ოპტიმალური სპეციალიზაციის საფუძვლები, რამაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებას რაციონალური ხასიათი მისცა.

ვანიხილოთ ცალ-ცალკე ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა —

ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რეგიონები, როგორც წარმოების ხასიათით, ისე საწარმოო ძალების განვითარების საერთო დონით.

ჩრდილოეთ ამერიკა

(ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, გრენლანდია)

ჩრდილოეთ ამერიკაში მდებარეობს ორი სახელმწიფო: ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა. ამავე რეგიონში შედის ბერმუდს, სენპიერისა და მიქელონის კუნძულები. გეოგრაფიულად მასში შედის აგრეთვე მსოფლიოში ყველაზე დიდი კუნძული გრენლანდია, რომლის ფართობი 2 მლნ. კვ. კმ-ს აღემატება. ჩრდილოეთ ამერიკა ინდუსტრიულ-ურენოვანი რეგიონია. მისი ფართობი 19,4 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა —250 მილიონი. დღემდე ტერიტორიის მხოლოდ ნახევარია ათვისებული, ესაა აშშ და კანადის სამხრეთი ნაწილი. რეგიონის დანარჩენ ნაწილში მოსახლეობა ნაკლებადაა დასახლებული, ხოლო სამრეწველო ათვისებას ჯერ კიდევ ლოკალური ხასიათი აქვს. ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ბევრია მაღალნაყოფიერი მიწები—შესანიშნავი ბუნებრივი პირობებით, მრავალფეროვანი სასარგებლო წიაღისეულით, ხე-ტყისა და ჰიდროენერგეტიკის დიდი მარაგით და ა. შ. ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაცია წარმოებს რაციონალურად, მომჭირნეობით.

ჩრდილოეთ ამერიკის ბუნება მრავალფეროვანია. აქ წარმოდგენილია როგორც სუბტროპიკული ზონა, ისე ტუნდრის მეტად მკაცრი და სუსხიანი კლიმატი, სამხრეთში—მექსიკის ყურის ტროპიკული წყლები და ჩრდილოეთში—არქტიკის ყინულები. კლიმატის შეცვლა მკვეთრია. მაგალითად, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ტუნდრიდან დიდი ტბების მიდამოებამდე ბუნება მკვეთრად იცვლება ფოთლოვანი და წიწვოვანი ზონით, უფრო სამხრეთით მდ. მისისიპის ქვედა წელში — სუბტროპიკული ზონით და ა. შ: ჩრდილოეთ ამერიკის ბუნება რამდენადმე წააგავს რუსეთის ევროპული ნაწილის ჩრდილოეთის ბუნებას, დიდი ტბების ლანდშაფტი—ბალტიისპირეთის ქვეყნების ლანდშაფტს, კანადის მშრალი სტეპები — ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებს (ცელინოგრადის ოლქი), ხოლო ამერიკის უდაბნოები და ნახევრად უდაბნოები — სამხრეთ ყაზახეთისა და თურქმენეთის უდაბნოებს.

ჩრდილოეთ ამერიკის რელიეფი მრავალფეროვანია. ევრაზიასთან შედარებით რეგიონი ნაკლებად ცნობილია. მთებისა და დაბლობების

შეფარდება ასეთია: 1:2. მთიანი მასივები ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთით მდებარეობს, (სანაპირო ზოლში): მატერიკის ცენტრალური ნაწილი ზღვის დონიდან 200—500 მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული, რაც სამეურნეო საქმიანობისათვის ოპტიმალურია. მთავარი მთიანი სისტემა — კორდილიერები, წარმოდგენილია დასავლეთით, იები გადაჭიმულია ალასკიდან სამხრეთით. მისი ყველაზე მაღალი წერტილია მაკ-კინლი.

კლიმატური თავისებურებებით ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორია ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაგალითად, კანადაში ძირითადად ზომიერი და სუბარქტიკული კლიმატია, ხოლო აშშ-ში — სუბტროპიკული და ზომიერი. კანადაში, ზაფხულის ყველაზე ცხელ ვერიოდშიც კი ტემპერატურა 20°C-ზეკით არ ადის, მაშინ როდესაც აშშ თითქმის მთელ ტერიტორიაზე 20°C საშუალო ტემპერატურად ითვლება (ფლორიდაში იები 27°—28°-მდეა). კონტინენტის ჩრდილოეთით არაბელსაყრელი დღეების რაოდენობა 300-მდეა, ხოლო სამხრეთ კანადის — სასაზღვრო რაიონში ეს მაჩვენებელი 180-მდე მცირდება: აშშ სამხრეთში კი არაბელსაყრელი დღეები თითქმის არ არსებობს.

აღნიშნული მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განაპირობებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათს. მაგალითად, კანადაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის კარგი პირობებია ზომიერ სარტყელში, სადაც მოჰყავთ ხორბალი, კარტოფილი, ქერი, ხოლო აშშ-ში გარდა აღნიშნული კულტურებისა მოჰყავთ სიმინდი, სოია, ბამბა, ბრინჯი და სუბტროპიკული კულტურები.

წელიწადის სხვადასხვა დროს კლიმატის თავისებურებანი სხვადასხვანაირად ვლინდება, ზამთრის ამინდი არ არის მყარი, იები ან თბილი ან მეტად მკაცრია (იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ქარები ვანატონდება). ზაფხული, ზონების მიხედვით შეიძლება იყოს აშშ-ში ცივ და ცხელი.

ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები უზრუნველყოფილია წყლის რესურსებით. რეგიონზე მოდის მსოფლიო ჩამონადენი წყლის 18%. მიუხედავად ამისა, ორივე ქვეყანა განიცდის მტკნარი, სასმელი წყლის დეფიციტს, რაც გამოწვეულია არა იმით, რომ წყლის რესურსები ნაკლებია, არამედ იმით, რომ ხარჯი ძალიან იები. ჩრდილოეთ ამერიკაში ბევრია დიდი, წყალუხვი მდინარეები, ტბები. საკმაოდ დიდია გრუნტის წყლის მარაგიც.

ჩრდილო ამერიკის ბუნება ადამიანის ზემოქმედების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა. მრავალფეროვანია მისი მცენარეული სა-

ფარი, დაწყებული ტუნდრის ბალახეული და ბუჩქოვანი მცენარეულობიდან, დამთავრებული — სამხრეთის სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეულობით. გვხვდება უდაბნოს ტიპის მცენარეული საფარიც, ტყეებს ადრე რეგიონის ტერიტორიის 1/3 ეჭირა, მაგრამ კოლონიზაციისა და დეკოლონიზაციის პერიოდში მომხდარმა ძვრებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს მათი ფართობი. დღეისათვის, ტყეს უჭირავს საერთო ფართობის მხოლოდ 1/4 ანუ 25%. კანადის ჩრდილოეთით გავრცელებულია ტაიგის ტიპის ტყეები. კონტინენტზე წარმოდგენილია თითქმის ყველა ტიპის ტყე-მცენარეულობა. ბევრია ნაციონალური პარკი, რომელთაც ტერიტორიის დაახლოებით 1% უჭირავთ.

ამერიკის შეერთებული შტატები — (აშშ)

(ფართობი, მოსახლეობა, ბუნებრივ-კლიმატური პირობები)

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყანაა, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ნაციონალური შემოსავალით იგი ბევრად სჭარბობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ერთად აღებულს. აშშ ფართობი 9,4 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—228 მილიონი. იგი მაღალგანვითარებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოა, რომელიც შედგება 50 ფედერალური შტატისაგან, დედაქალაქია — ვაშინგტონი. აშშ-ის შემადგენლობაში შედის აგრეთვე ალასკა, როგორც დამოუკიდებელი შტატი. იგი ჩრდილო ამერიკის კონტინენტის უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარეობს. ალასკას ტერიტორია 1,5 მლნ. კვ, კმ-ია, მოსახლეობა—350 ათასი, ცალკე შტატია აგრეთვე ჰავაის კუნძულებიც, რომლის ტერიტორია 16,7 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა — 900 ათასი:

პირველი კოლონიზატორები ამ ტერიტორიაზე მოვიდნენ (ინგლისელები) 1607 წელს. ამ პერიოდიდან დაწყებული ახალი ქვეყნის ათვისებას ინტენსიური ხასიათი მიეცა. კოლონისტებმა დაიწყეს მიწების კულტურული დამუშავება, რისთვისაც აფრიკიდან შემოიყვანეს მონები. 1774 წლიდან დაიწყო დამოუკიდებლობისათვის ომი, რომელიც წარმოადგენდა პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციას კონტინენტზე. 1876 წლის 4 ივლისს ამერიკის მეორე კონტინენტალურ კონგრესზე ფილადელფიაში მიიღეს ტ. ჯეფერსონის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებელი ქვეყნის—„ამერიკის შეერთებული შტატების“ შექმნა. მის პირველ პრეზიდენტად არჩეული იქნა ჯორჯ ვაშინგტონი. 1863 წელს პრეზიდენტმა აბრამ

ლინკოლმა გააუქმა მიწათმფლობელობა, რითაც დასაბამი მიეცა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

XX საუკუნის დასაწყისისათვის აშშ მოსახლეობა 92 მილიონს აღწევდა, რომელთაგან 10 მილიონი შავკანიანი, აფრიკიდან ჩამოყვანილი მონების შთამომავლები იყვნენ. თანამედროვე ამერიკელი ერი შედეგია იმ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შერწყმისა, რომელიც მთელი ორი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა სხვადასხვა ეთნიკური და ნაციონალური ჯგუფებისაგან. აშშ-ში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 23 კაცია ერთ კვ. კმ-ზე, ხოლო ალასკის გამოკლებით ეს მაჩვენებელი 30 აღწევს, რაც 10-ჯერ ნაკლებია დასავლეთ ევროპასთან შედარებით. ქვეყანა ხასიათდება ურბანიზაციის მაღალი დონით, ქალაქებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 6%, რომელშიც ცხოვრობს მოსახლეობის 2/3, ხოლო ქვეყნის ტერიტორიის 80%-ზე ცხოვრობს მოსახლეობის 20%. ადამიანების უდიდესი ნაწილი ცხოვრობს დიდ ქალაქებში (500 ათასი და მეტი მაცხოვრებელი). ბევრია მილიონიანი ქალაქი, ხოლო ნიუ-იორკში, აშშ-ის ყველაზე დიდ ქალაქში, მოსახლეობა 13 მილიონამდე აღწევს.

ქვეყნის კლიმატური პირობები მრავალფეროვანია. იგი იწყება ზომიერი ზონით და მთავრდება — სუბტროპიკულით, ხოლო ფლორიდის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი ტროპიკულია. რელიეფისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ლანდშაფტი. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შეხვდებით ზომიერი სარტყლისათვის დამახასიათებელ ტყეებსა და ბუჩქნარებს (კანადის საზღვართან), ცენტრალურ ნაწილში გვხვდება უდაბნოს ტიპის ლანდშაფტი — ხირხატიანი, ქვა-ღორღის შემცველობის ნიადაგები, სამხრეთით—ტროპიკული ტყეები და მცენარეულობა. მთიანი ნაწილი წარმოდგენილია ძირითადად ქვეყნის დასავლეთით, წყნარი ოკეანის სანაპიროზე, კორდილიერების მთიანი მასივის სახით. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს შემაღლებულ პლატოს, რომელიც 200—350 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. მისთვის დამახასიათებელია უამრავი ხევები და ხრამები, თუმცა ეს არ უშლის ხელს მათ სატრანსპორტო ათვისებას. ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს მექსიკის ყურის დაბლობი, რომელსაც ამფითეატრის მოხაზულობა აქვს, აქ კარგადაა განვითარებული მდინარეთა ქსელი, რომლებიც კორდილიერებისა და აპალაჩის მთებიდან მიედინებიან, მათ თან მოაქვთ უამრავი ორგანული ნივთიერება, რომელიც ფონს ქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. აპალაჩის მთიანი მასივი მდებარეობს ქ. ნიუ-იორკის ჩრდილოეთით, მისი სიმაღლე 2100

მეტრამდეა. აპალაჩისათვის დამახასიათებელია, სასოფლო-სამეურ-ნეო წარმოებისათვის გამოსაყენებელი ფერდობები.

აშშ-ის ტერიტორიის დიდი ნაწილი ზომიერი ჰავის სარტყელშია ძოთავსებული, რაც მრავალპროფილიანი სასოფლო-სამეურნეო წარ-მოების საშუალებას იძლევა. ქვეყნის ტერიტორიის 2/3-ის საშუალო წლიური ტემპერატურა +20°-ია, ხოლო სამხრეთის შტატებში +27°. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის უარყოფითი დღეების რაოდე-ნობა ქვეყანაში 0—5 არ აღემატება. აქაურ კლიმატს მკვეთრი ცვლი-ლებებიც ახასიათებს, მაგალითად კალიფორნიაში, რომლის სამხრეთი საზღვარი მექსიკასთან გადის, ივლისის საშუალო ტემპერატურა+11°, ხოლო იანვრისა —+7°. კალიფორნიის ცივი დინების გავლენით სჭარბობს ულრუბლო ამინდები. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში წვიმები იშვიათია, გვალვა იცის არა მარტო კორდილიერების აღმოსავლეთ ნაწილში, არამედ ოკეანის სანაპირო ზოლშიც, კერძოდ, კალიფორნია-ში. მაგალითად, სან-ფრანცისკოში ივნისისა და ივლისის თვეში ნალე-ქების რაოდენობა ნულის ტოლია. საპირისპირო მდგომარეობაა ქვეყ-ნის აღმოსავლეთით, მექსიკის ყურიდან მოსაბერი ცხელი ჰაერის მა-სების გავლენით აქ ნალექები დიდი რაოდენობით მოდის, მაგალითად, აიოვას შტატში ივნისის თვეში ნალექების რაოდენობა 120 მმ. ტოლია, რაც თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე უდაბნოში, რომელიც იმავე მერ-იდიანზე მდებარეობს. ამასთან, წვიმებს სისტემატური ხასიათი აქვს, რაც ესოდენ სასარგებლოა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

აშშ-ში ჰიდროენერგორესურსების საკმაოდ მყარი მარაგია. წყლის ნაკ-ადის საშუალო წლიური სიჩქარე 27 მ3-ია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენ-ებელია. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მტკნარი წყლის დეფიციტია, რასაც ავსებენ გრუნტის წყლებით. ქვეყანაში მდინარეების საკმაოდ ხშირი ქსელია, მათი უმრავლესობა ჩაედინება ატლანტის ოკეანეში, ქვეყნის ყველაზე მდინარე მისისიპი, თავისი მთავარი შენაკადი მის-ურით, გიგანტური განშტოების ბასეინს ქმნის და ქვეყნის მჭიდროდ დასახლებულ შტატებზე გაედინება. წყნარ ოკეანეში ჩაედინება მდინარე კოლუმბია რომელსაც ჰიდროენერგორესურსების ყველაზე მარაგი გააჩნია (დაახლოებით 40 მლნ. კილოვატსაათს უდრის). რაც აშშ-ის ჰიდროენერგორესურსების 26%-ია. მდინარის წყლები სარწ-ყავადაც გამოიყენება.

ქვეყანაში (განსაკუთრებით, ჩრდილო-აღმოსავლეთში) მდებ-არეობს ე. წ. „ღიდი ტბები", რომლებიც კანადის მოსაზღვრე რაიონებს მოიცავს. მათი საერთო ფართობი 246 კვ. კმ-ია, სიღრმე — 400—450 მეტრი. ტბებიდან სათავეს იღებენ მდინარეები. მაგალითად, ტბა ერი-

დან გამოედინება მდინარე ნიაგარა, რომელიც ქმნის მსოფლიოში ცნობილ ნიაგარის ჩანჩქერს.

ტყეები ძირითადად წარმოდგენილია ტერიტორიის მთიან ნაწილში. ტყის ძირითადი მასა მდებარეობს ალასკაზე, რომელიც ტაიგის ტიპისაა. აქ წარმოდგენილია ნაძვი და ფიჭვი, თვით აშშ-ის ტერიტორიაზე გვხვდება როგორც ფოთლოვანი (უმთავრესად), ისე წიწვოვანი ტყეები. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ტყებუჩქნარები, ხოლო დასავლეთით ვხვდებით უდაბნოს ტიპის მცენარეებს. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორია მდიდარია ფლორითა და ფაუნით. ქვეყანაში წარმოდგენილია მსოფლიოში გავრცელებული თითქმის ყველა სახეობის მცენარე.

ნიადაგობრივი საფარი მრავალფეროვანია, ტყის ზონაში — კორდიან-ეწერი და ტყის ყომრალი ნიადაგებია; ნოტიო სუბტროპიკებში — წითელმიწა და ყვითელმიწა; მშრალ სტეპებში — წაბლა; ალასკაში ჭარბობს მთა-ტუნდრიანი და ტუნდრის ნიადაგები და ა. შ. რეგიონში მსოფლიოს თითქმის ყველა ტიპის ნიადაგია წარმოდგენილი. ნიადაგის უდიდესი ნაწილი ადამიანის ჩარევის შედეგად ხელოვნურადაა გაკულტურებული და საკმაოდაა გაზრდილი მათი ნაყოფიერება.

აშშ-ში მაღალ დონეზეა ბუნების დაცვის პრობლემების შესწავლის საკითხი. შექმნილია ნაციონალური ნაკრძალები, მცენარეული და ცხოველური საფარის უდიდესი ნაწილი შეტანილია წითელ წიგნში, წარმოების პირობები, როგორც წესი ხელს ჰუკუნობენ ბუნების დაცვის ინტერესებს, მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ნაწილი საფარის აღდგენა-განვითარებისათვის.

მ ე ურ ნ ე ო ბ ა (ზოგადი მიმოხილვა). ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ერთ-ერთი ძლიერი ქვეყანაა. იგი ბევრად სჭარბობს სხვა ქვეყნებს ნაციონალური პროდუქციის სიდიდით, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობით, საგარეო ვაჭრობის ბრუნვით, კაპიტალის გატანით, შრომის ნაყოფიერებით. 1985 წლისათვის საერთო ნაციონალური პროდუქციის მოცულობამ 3000 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა, რაც 3-ჯერ სჭარბობდა იაპონიის, 4-ჯერ დასავლეთ გერმანიის, 8-ჯერ ლიდი ბრიტანეთის ანალოგიურ მაჩვენებლებს. დღეისათვის, ქვეყნის ხელმრთელი წილი კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციაში 41.4%-ია. აშშ ამზადებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსოფლიო წარმოების 28%. 1980 წელს ქვეყანამ აწარმოა იმდენივე მოცულობის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაც დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყა-

ნამ და იაპონიამ ერთად, თუმცა აშშ მოსახლეობა 2-ჯერ ნაკლებია ამ რეგიონების ქვეყნების მოსახლეობაზე. ყოველივე ეს მიუთითებს შრომის ნაყოფიერების უაღრესად მაღალ დონეზე ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში. თუმცა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობითა და პირუტყვის პროდუქტიულობით აშშ ჩამორჩება ევროპის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: დანია, შვეცია, ნიდერლანდები, ბელგია.

აშშ ეკონომიკისათვის დამახასიათებელია კაპიტალის მაღალი კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. ამასთან ერთად, მსხვილი საწარმოო კომპლექსების გვერდით ვითარდება შედარებით წვრილი საწარმოები და ფერმები, თუმცა მათი ხვედრითი წილი ეკონომიკაში ერთობ მოკრძალებულია. მაღალია კაპიტალის კონცენტრაცია მრეწველობის წამყვან დარგებში. მაგალითად, ქვეყნის ოთხი უდიდესი კონცერნი უშვებს ავტომობილების 93%, თვითმფრინავების—67%, ძრავების—77%, გემების—47%; რაკეტებისა და კოსმოსური ხომალდების—62%, ფოლადის—45%, სიგარების—84%, საპნის—70% და ა. შ:

ანალოგიური მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაშიც, სადაც მსხვილი კაპიტალისტური ფერმები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 ათასი და მეტი დოლარია და რომელთა ხვედრითი წილი ფერმერთა საერთო რაოდენობის 1% უდრის, აწარმოებენ სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის 1/3, ხოლო 2,9 მლნ. ფერმერული მეურნეობა (წლიური შემოსავალი 10 ათას დოლარამდე) აწარმოებს სასაქონლო პროდუქციის მხოლოდ 10%.

ინტენსიურად მიმდინარეობს კაპიტალის ქვეყნის გარეთ გატანის პროცესი. დღეისათვის, საზღვარგარეთის ქვეყნებში დაბანდებულია აშშ-ის 250 მილიარდ დოლარზე მეტი, ძირითადად, მსხვილ საწარმოებისა და კონცერნების საზღვარგარეთული ფილიალების სახით.

დღეისათვის, აშშ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 100 მილიონს აღემატება. აქედან, მატერიალური დოვლათის შექმნაში მონაწილეობას იღებს 93 მილიონი. მათ შორის სოფლის მეურნეობაში (სატყეო მეურნეობისა და მეთევზეობის ჩათვლით) დასაქმებულია 3,8 მილიონი, ანუ აქტიური მოსახლეობის 4%-მდე. ერთობლივ ნაციონალურ პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მხოლოდ 3%-მდეა.

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა — ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობა წარმოების მოცულობითა და მაჩვენებლებით ბევრად სჭარბობს დანარჩენი კაპიტალისტური ქვეყნებისას. მის წილად მოდის კაპიტალისტური სამყაროს სასოფლო-სამეურნეო წარმო-

ების 1/4. სოფლის მეურნეობა არა მარტო უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, არამედ დიდი რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთაც. აშშ-ის წილად მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსოფლიო ექსპორტის 1/6, განსაკუთრებით დიდია მისი როლი ისეთი აუცილებელი პროდუქციის ექსპორტში, როგორიცაა: ხორბალი, სიმინდი, სოია, ხილი.

აშშ სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია წარმოების განვითარების მეტად მაღალი დონე, მკვეთრად გამოხატული სასაქონლო მიმართულება, შრომის გაზრდილი ნაყოფიერება, სპეციალიზაცია და ა. შ. ტერიტორიის სიდიდით აშშ მნიშვნელოვნად სჭარბობს დასავლეთ ევროპას, როგორც უკვე იყო აღნიშნული ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი ძირითადად დაბლობია, დასავლეთში ბევრია ვაკე და კულტურული მიწათმოქმედებისათვის გამოსაყენებელი ფერდობები, კლიმატური პირობებიც წარმოებისათვის მეტად ხელსაყრელია. ყოველივე ამას ემატება წარმოების ინდუსტრიული ხასიათი. სითბოსა და ნალექების შეფარდება იძლევა იმის საშუალებას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას მრავალმხრივი ხასიათი ჰქონდეს. მოჰყავთ თითქმის ყველა სახის კულტურული მცენარე — ხორბლიდან და სიმინდიდან დაწყებული, დამთავრებული ბამბითა და შაქრის ლერწმით. აღსანიშნავია ისიც, რომ თითოეული კულტურისათვის შერჩეულია ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური ზონები.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათი უპირველეს ყოვლისა ჩამოყალიბებულია ქვეყნის ისტორიული პირობებიდან გამომდინარე, აშშ, როგორც უკვე იყო აღნიშნული, „ჩამოსულთა" ქვეყანაა. აქ არ იყო მოსახლეობის ევროპული ტიპის დასახლებები (ქალაქები და სოფლები), არ იყო ევროპაში დამკვიდრებული ფეოდალური ურთიერთობები. მიწის შეძენა სახელმწიფოსაგან წესაბლებელი იყო ძალზედ დაბალ ფასებში და ნებისმიერი რაოდენობით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ნებართვის გარეშეც ამეშავებდა მიწას, რომელიც შემდეგ მისი საკუთრება ხდებოდა. სახელმწიფო ხელს უწყობდა ყველა მსურველს არა მარტო მიწის შეძენაში, არამედ მის დამუშავებაშიც, ამერიკაში სოფელი ჩვენი გაგებით არ არსებობდა და არც არსებობს, იქ თავიდანვე ჩამოყალიბდა ფერმერული მეურნეობები, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკუთარი ფერმის ტერიტორიაზე ცხოვრება. ხშირ შემთხვევაში ფერმები ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი მანძილით არიან დაშორებულნი. XIX საუკუნის დასაწყისში მეურნეობის ძირითად ფორმებს წარმოადგენდა საშუალო და წვრილი ფერმები, რომლებიც სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს აწარმოებდნენ და

უმთავრესად გაჰქონდათ დასავლეთ ევროპაში. რკინიგზების მშენებლობამ ხელი შეუწყო სასაქონლო ურთიერთობების სწრაფ განვითარებას, შრომის გეოგრაფიული დარაიონების გაფართოებამ კი დააჩქარა სპეციალიზაციის პროცესი. თავდაპირველად სოფლის მეურნეობის განვითარებას ექსტენსიური ხასიათი ჰქონდა, ფერმერს საშუალება ჰქონდა დაემუშავებია საკმაოდ დიდი მიწის ფართობი.

შედარებით მტკივნეული ხასიათი ჰქონდა კაპიტალისტური ტიპის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დამკვიდრებას ქვეყნის სამხრეთით, სადაც განვითარებული იყო მონურ შრომაზე დამყარებული მეურნეობები. მართალია 1865 წელს მონობა გაუქმდა, მაგრამ მიწა და პლანტაცია დარჩა პლანტატორის კერძო საკუთრებად, რის შედეგადაც ყოფილი მონები დამოკიდებული დარჩნენ მიწის მფლობელებზე.

კაპიტალიზმის დამკვიდრება სოფლის მეურნეობაში ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა ტემპით მიმდინარეობდა, ამიტომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ინტენსივობით გაჯერებული ტიპის მეურნეობები, ტექნიკისა და შრომითი რესურსების გამოყენების სხვადასხვა დონით. ისინი განსხვავდებოდნენ სასაქონლო პროდუქციის წარმოების მოცულობითაც და ა. შ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება ჩქარი ტემპით დაიწყო, რასაც ბიძგი მისცა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა: საშუალო და წვრილი ფერმების ლიკვიდაციის შედეგად, გზა გაეხსნა მსხვილ, მექანიზებულ მეურნეობებს. შეიქმნა მსხვილი კომერციული ფერმები, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციას (აგრეთვე გვხვდება პატარა ფერმებიც), ურბანიზაციის გაძლიერებული პროცესის შედეგად საშუალო და წვრილ ფერმერთა გარკვეული რაოდენობა თავს ანებებს სოფლის მეურნეობას და გადადის ქალაქში საცხოვრებლად.

დღევანდელი ამერიკის სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მსხვილ კაპიტალისტურ ფერმებს, რომელთა რაოდენობა 1% უდრის, სოლო იძლევიან სასაქონლო პროდუქციის 40%. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობა მიიყვანა აგრარულამრეწველო კომპლექსებამდე, რომელიც ქვეყანაში აგრობიზნესის სახელწოდებითაა ცნობილი. აგრობიზნესი სრულ მომსახურებას უწევს მთელ საწარმოო ციკლს. მის კომპლექსში დაკავებულია დაახლოებით 16 მლნ. კაცი, უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ემსახურება 5 მლნ. კაცი, რომელიც აწარმოებს ქვეყნის ერთიანი ნაციონალუ-

რი პროდუქტის 1/6. მსხვილ, მაღალმექანიზებულ ხორბლის მწარმოებელ ფერმებს კარგა ხანია ეძახიან „მარცვლეულის ფაბრიკებს“, ასევე უწოდებენ მებამბეობის, მესაქონლეობის, მეფრინველეობის მსხვილ საწარმოებსაც.

აშშ სოფლის მეურნეობის მაღალორგანიზებულობის მაგალითად გამოდგება საბროილერე წიწილების წარმოება: მას სათავეში, როგორც წესი, უდგანან მსხვილი ფირმები, რომლებიც აწარმოებენ საკვებს, მათ ეკუთვნით აგრეთვე მსხვილი ინკუბატორები და ფრინველის სასაკლაოები. ეს ფირმები დებენ ხელშეკრულებას ფერმებთან, რომლებიც ამ აწვდიან კომბინირებული საკვებისათვის საჭირო ნედლეულს, სიმინდს, სოიას და სხვა სახის პროდუქციას. ფირმები ნედლეულის მწარმოებლებს აძლევენ კრედიტებს, აწვდიან საჭირო ტექნიკას, მომსახურებას უწევენ ტრანსპორტით და ა. შ: რითაც ისინი თავიანთ წარმოებასთან ჰყავთ „მიჯაჭვული“: სხვა ფერმები, აღნიშნულ ფირმებს აწვდიან ინკუბატორებისათვის კვერცხს, თავისთავად ინკუბატორებიდან გამოჩეკილი წიწილები გამოსაზრდელად გადაეცემა ფერმერთა მესამე ჯგუფს. ამასთან ერთად, ორგანიზატორი ფერმები, რომლებსაც მთელ ამ სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავთ, გამომკვებავ ფერმებს უზრუნველყოფენ ვეტერინალური მომსახურებით, საჭირო მოწყობილობით საკვებით და სხვ.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაზე, ამაღლდა სპეციალიზაციის დონე, შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ცენტრები, განვითარდა გადამამუშავებელი მრეწველობა, შეიქმნა უნარჩენი ტექნოლოგია, შრომის სწორმა ორგანიზაციამ გაზარდა შრომის ნაყოფიერება. საბოლოო ანგარიშით — სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეკონომიკურად ხელსაყრელი გახდა, რამაც ბიძგი მისცა მის შემდგომ განვითარებას. ფაქტიურად ომის შემდგომ პერიოდში მოხდა აშშ სოფლის მეურნეობის ხელახალი შევსება მანქანა-იარაღებით. სატრაქტორო პარკი გაიზარდა 4-ჯერ, დღეისათვის სოფლის მეურნეობას ემსახურება 6,4 მლნ. ცალი ტრაქტორი (ფიზიკურ ერთეულებში). ერთ ფერმაზე საშუალოდ 2,5 ცალი ტრაქტორი მოდის. ენერგოშეიარაღების მაჩვენებელია 105 ცხენის ძალა. მექანიზაციის განვითარებამ საბოლოოდ გამოდევნა სოფლის მეურნეობიდან ცოცხალი გამწევი ძალა.

ქვეყანაში ყველა პირობა შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაციისათვის. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ეშვებს მრავალი სახის მუშა

მანქანებს, რომლებიც ურთულესი სამუშაო პროცესების მექანიზაციის საშუალებას იძლევიან. დღეისათვის მთლიანად მექანიზებულია: მარცვლეულის, კარტოფილის, ბამბის მზესუმზირის, შაქრის ჭარხლის, საკვები კულტურების წარმოება, მეცხოველეობა-მეფრინველეობის ფერმები, 85—90% უზრუნველყოფილია ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და მევენახეობა-მეხილეობის სამუშაოთა მექანიზაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც წესი, ყველა ფერმერი სრულყოფილად ფლობს ტექნიკას. ამისათვის ისინი ამთავრებენ სპეციალურ ფერმერთა სკოლებს. ჩამოყალიბებულია ორგანიზებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი, მისი შეძენა-გაყიდვის ორგანიზაცია, საწვავ-საცხები მასალების დროულად მიწოდება და ა. შ.

დღეისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი სოფლის მეურნეობაში გაცილებით მაღალია, ვიდრე მრეწველობაში. თუ ომამდე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ერთი შრომისუნარიანი წევრი ქმნიდა 16 კაცისათვის საჭირო პროდუქტს, 1975 წლისათვის მას უკვე შეეძლო 60 კაცის. ხოლო 1985 წლისათვის 95 კაცის გამოკვება.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად გაზარდა სოფლის მეურნეობაში საწარმოო ძალების შესაძლებლობები. როგორც წესი, შეიქმნა ყველა პირობა მსხვილმასშტაბური მეურნეობების შესაქმნელად, რომელსაც არ მოპყოლია წვრილი ფერმერული მეურნეობების გაჩანაგება. პირიქით, მოხდა მათი შერწყმა მსხვილ საწარმოებთან, რითაც გამოთავისუფლდა დამატებითი შრომითი რესურსები, რომელიც ეფექტიანად იქნა გამოყენებული მეურნეობის სხვა დარგებში. სოფლის მეურნეობის სრულყოფილმა მექანიზაციამ თითქმის ნთლიანად გამორიცხა დაქირავებული შრომის გამოყენების აუცილებლობა. როგორც წესი, ფერმერი თავისი ოჯახით ართმევს თავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ანდა რამდენიმე ფერმერი ქმნის გაერთიანებას, რომელიც გულისხმობს საწარმოო სასიათის კოოპერირებას. არსებობს ურთიერთობების ბევრი ვარიანტი და თითოეული იყენებს მისთვის მაქსიმალურად მომგებიან ვარიანტს. მართალია, სოფლის მეურნეობა მომგებიანი დარგი გახდა, მაგრამ ფერმერთა შემოსავალი ჯერ კიდევ ჩამორჩება ქალაქის მცხოვრებთა შემოსავალს, თუმცა ეს განსხვავება ყოველწლიურად მცირდება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკული სოფლის მეურნეობის წარმოების პროდუქტებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება. აღსანიშნავია, რომ ამ სტრატეგიულ ინიციატივას აშშ დღემდე ინარ-

ნუნებს. თუმცა, ომის შემდგომ პერიოდში ადგილი ჰქონდა ჭარბწარმოებასაც, მაგრამ ეფექტიანი ფასების პოლიტიკის გატარებით მდგომარეობა მალე გამოსწორდა. იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნას სტაბილურობა მსოფლიოს ბაზარზე, აშშ მთავრობა ატარებს ნათესების შემცირების პოლიტიკას, აძლევს ფერმერებს კომპენსირებას წარმოების შეკვეცასთან დაკავშირებით, სტიმულს აძლევს საწარმოო ბრუნვიდან მიწის ფართობის ამოღების ორგანიზაციას და მათ გადაყვანას ნასვენი მიწების კატეგორიაში. გატარებული ღონისძიებების შედეგად ნათესი კულტურების ფართობი 136 მლნ. ჰექტარიდან შემცირდა (1950 წელს), 120 მლნ. ჰექტარამდე (1980 წელს). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მთავრობის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა ცვალებადია და იგი დიდადაა დამოკიდებული საბაზრო ფასების სიდიდეზე. ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის გაზრდის მიზნით, ხშირად მიმდინარეობს ნათესი ფართობების შემცირების ფონზე. მაგალითად, 1978 წელს მთავრობამ ნათესი ფართობი შეამცირა 10%-ით, მაგრამ ამას არ მოჰყოლია წარმოების მოცულობის შემცირება, პირიქით იგი გაიზარდა 3—5%-ით და ეს ლოგიკური პროცესია, ვინაიდან მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებები გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე ფართობის შემცირება. ნასვენი მიწების პოლიტიკა გამართლებულია, რადგან ამ შემთხვევაში ნიადაგში ხდება თავისი ნაყოფიერების ბუნებრივად აღდგენა, რაც აუცილებელი პირობაა ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ომის შემდეგ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობაში შეიმჩნევა გამოთანაბრების პოლიტიკა, მოსახლეობა განსხვავება ქვეყნის სამხრეთ და ჩრდილოეთ გეოგრაფიულ სივრცეს შორის, მექანიზაციის ფართოდ დანერგვამ აშშ სოფლის მეურნეობა მთლიანად მომგებიანი გახადა, ქვეყანაში არ არსებობს წამგებიანი ფერმები, ისინი უბრალოდ ვერ იარსებებენ, არსებობს მხოლოდ შედარებით მაღალრენტაბელური და ნაკლებრენტაბელური საწარმოები.

აშშ მიწის ფონდი (ალასკის გამოკლებით) 770—780 მლნ. ჰექტარია, აქედან, სახნავის ხვედრითი წილია 1/5, ანუ 150 მლნ. ჰექტარი, სათიბ-საძოვრებზე მოდის 1/2, ანუ 380—385 მლნ. ჰექტარი, მეცხოველეობისათვის ჯერ კიდევ გამოუყენებელია ტყეა მასივებში არსებული საძოვრები, რომელთა რაოდენობაა 1/6 ჰა. ფერმერთა მიწების რაოდენობა 455 მლნ. ჰექტარს შეადგენს. ეს მაჩვენებელი ომის შემდეგ პერიოდთან შედარებით 5%-ით შემცირდა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილის მიწის ფონდებში, რომელიც თავისი ბუნებრივ-კლიმატური

პირობებით ხელსაყრელია კულტურული მიწათმოქმედებისათვის, სპარბოს დამუშავებული მიწები, ხოლო ევალვიანი დასავლეთი ძირითადად წარმოდგენილია საძოვრებით. ამ რეგიონში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში, ბევრია გამოუყენებელი სავარგულებიც. ფერმერულ მეურნეობებში სახნავის ხვედრითი წილი ქვეყნის სხვადასხვა ზონებში არ არის ერთნაირი. მაგალითად, ცენტრალურ ნაწილში, რომელიც ხელსაყრელია მარცვლეული კულტურების წარმოებისათვის (აიოვას შტატი), სახნავის ხვედრითი წილი 90% აღწევს: დასავლეთში, დამუშავებული მიწები ძირითადად სარწყავი მიწათმოქმედების სასოფლო წარმოდგენილი. ომის შემდეგ ქვეყანაში სარწყავი მიწების ფართობი 2-ჯერ გაიზარდა და დღეისათვის იგი 17 მლნ. ჰექტარს შეადგენს, მათი 3/4 მოდის დასავლეთის რეგიონებზე. სარწყავი მიწათმოქმედება ეფექტიანია, მათი ხვედრითი წილი ქვეყნის მიწის ფონდში წლიდან-წლამდე იზრდება. კულტურული მიწათმოქმედებისათვის გამოყენებული მიწის ფართობები გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით, გონივრული ექსპლუატაციის შედეგად მათი ნაყოფიერება არ მცირდება, მიწის გამოყენებას, მის ექსპლუატაციას დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო. მიუხედავად ისა, რომ მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლები ერთ სულზე გაანგარიშებით მცირდება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებლები იზრდება, რაც ინტენსიური წარმოების შედეგია. ერთ სულზე გაანგარიშებით 1980 წელს 2,07 ჰექტარი სასოფლო მოდიოდა, ხოლო სახნავი — 0,73 ჰექტარი, რაც ე. წ. ყოფილ სსრკ-ში არსებულ შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია.

აშშ სოფლის მეურნეობაში მ ე მ ც ე ნ ა რ ე ო ბ ი ს წილად მოდის საერთო პროდუქციის 45%-მდე. ქვეყანაში მემცენარეობისათვის დაკავებული ფართობის 2/3 მოდის მარცვლეულ და მარცვლოვან-პარკოსან კულტურებზე. მარცვლეულის საერთო მოსავალი თუ 1978 წელს 250 მლნ. ტონას შეადგენდა, 1985 წელს ეს მაჩვენებელი 280 მლნ. ტონამდე გაიზარდა, რაც მარცვლეულის მსოფლიო კაპიტალისტური წარმოების 1/3-ია. მარცვლეულიდან უპირატესობას ანიჭებენ სიმინდს, მარცვლეულს, რომელიც რაოდენობით 4-ჯერ სჭარბობს ხორბალს. ძირითადი საფურაჟე კულტურა—სიმინდია, რომელსაც უჭირავს 30 მლნ. ჰექტარი ფართობი. საერთო წლიურმა მოსავალმა 180 მლნ. ტონა შეადგინა, რაც მსოფლიო წარმოების 3/5-ია. სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 55 ცენტნერია, ხოლო ხორბლის — 24 ცენტ. ჰექტარზე; ამ მაჩვენებლით აშშ საგრძნობლად ჩამორჩება ისეთ ევროპულ ქვეყნებს, როგორიცაა: ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია, დანია;

საფრანგეთი. სპეციალიზაციის მაღალ დონეზე მეტყველებს ისიც, რომ სიმინდის წარმოების 3/4 იძლევა სამი შტატი (აიოვა, ილინოისი და ინდიანა). ამ რეგიონებში მიწები გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით, ხოლო კლიმატი თბილი და ტენიანია, რაც ხელსაყრელია მესიმინდეობისათვის (ამ რაიონებში კარგი პირობებია აგრეთვე ხორბლის წარმოებისათვისაც). სიმინდის თესავენ სოიასთან, ქერთან და იონჯასთან თესლბრუნვებში. სიმინდის უდიდესი ნაწილი გამოიყენება ადგილზე, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ღორების გამოსაკვებად, ხოლო ნაწილი მიდის კომბინირებულ საკვებზე, რომელიც შემდეგ იგზავნება მეფრინველეობის ფაბრიკებში. საფურაჟე მარცვლეულზე ქვეყნის მოთხოვნილება დაახლოებით 160 მლნ. ტონაა, მათ შორის სიმინდზე — 125 მლ. ტონა, 50—60 მლ. ტონა ყოველწლიურად გააქვთ ექსპორტის სახით, ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

აშშ სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხორბალი. იგი მოჰყავთ ქვეყნის ბევრ რაიონში, განსაკუთრებით მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება დასავლეთის ე. წ. დიდი დაბლობის ზონა. ამ რეგიონის ჩრდილოეთით თესავენ საგაზაფხულო, ხოლო სამხრეთით—საშემოდგომო ხორბალს, ბევრია სიმინდისა და ხორბლის შერეული ზონები. მკვეთრი ზღვარი მათ გაადგილებაში არ არსებობს. ყველაფერს განსაზღვრავს მოთხოვნილება და ფასები, რომელიც სიტუაციის მიხედვით მერყეობა. ხორბლის წარმოებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. ყველა პროცესი სრულდება მანქანური წესით. კარგ შედეგებს აღწევენ მსხვილი ფერმერები ე. წ. „ხორბლის ფაბრიკები", რომლებიც ხშირ შემთხვევაში რამდენიმე ათას ჰექტარ ფართობს ფლობენ. მძლავრი ტრაქტორები და კომბაინები მოდგების ვანს ვრცელ კომბაინები მსოფლიო მსხვილმასშტაბიან საწარმოებში გვაძლევენ სასურველ საწარმოო ეფექტს. მსხვილი ფერმერები ფართობებს ფლობენ, როგორც საშემოდგომო ისე საგაზაფხულო ხორბლის ზონებში, სადაც აგროტექნიკური სამუშაოები ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს კი შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლევა. მარცვლეულის მწარმოებელი ფერმერები როგორც წესი ცხოვრობენ ქალაქებსა ან ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებში. ვინაიდან, მარცვლეულის მოვლა-მოყვანის სამუშაოები, ძირითადად, თესვა და მოსავლის აღება, სეზონური ხასიათისაა და წელიწადში მოითხოვს თესვა — 10—12 დღეს, ხოლო მოსავლის აღება — 8—10 დღეს. ხორბლის ნათესების ფართობი 30—32 მლნ. ჰექტარს შეადგენს, საერთო მოსავალი კი — 60 მლნ. ტონას, რომლის ნახევარი ექსპორტზე მიდის.

ხორბალსა და სიმინდს კონკურენციას უწევს სოიას ნათესები, ქვეყანაში ამ კულტურას 25 მლნ. ჰექტარი ფართობი უჭირავს, საერთო მოსავალი კი შეადგენს 50—55 მლნ. ტონას, რომლის ნახევარი მიდის ექსპორტზე. აშშ ამზადებს სოიას მსოფლიო წარმოების 3/5-ს. სოიაზე მოდის ქვეყნის მცენარეული ზეთის 2/3. იგი არის ავრეთვე მეცხოველეობისათვის ერთ-ერთი ძირითადი საკვები კულტურა. სოიას გავრცელების რაიონები ემთხვევა სიმინდისა და ხორბლის გავრცელების რაიონებს, ეს სამი კულტურა კარგად ავსებს ერთმანეთს.

ქვეყნის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურას წარმოადგენს ბამბა, რომლის ფართობი 5 მლნ. ჰექტარზე. ბეტია, ხოლო საერთო მოსავალი —2,8 მლნ. ტონა. 6 მლნ. ტონამდე ამზადებენ ბამბის თესლს, რომელიც საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს ზეთის წარმოებისათვის. გასულ საუკუნეში ბამბა მთავარ საექსპორტო კულტურას წარმოადგენდა. მისი გავრცელების არეალი ქვეყნის სამხრეთი რაიონებია, სადაც ადრე გაბატონებული იყო მონათმფლობელური შრომა. დღისათვის, ბამბის წარმოება რამდენადმე შემცირდა და ამის მიზეზია ქიმიის სწრაფი განვითარება. ხელოვნურმა ქსოვილმა, რომლის წარმოებაც გაცილებით იაფი ჯდება, ხმარებიდან გამოდევნა ნატურალური ქსოვილი, თუმცა აშშ დღესაც რჩება ბამბის წარმოების ერთ-ერთ ძირითად ქვეყნად მსოფლიოში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით გაშენებულია მებამბეობის დიდი მექანიზებული ფერმები, რომლებიც აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციის უდიდეს ნაწილს. აქვეა განლაგებული ბამბის გადამამუშავებელი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოები.

აშშ-ს პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში თამბაქოს წარმოებაში, რომელიც გაადვილებულია ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტატებში. იგი უმთავრესად მოჰყავთ ფერმებში, ვინაიდან თამბაქო მოითხოვს მძიმე ხელით შრომას და ნაკლებად ექვემდებარება მექანიზებულ დამუშავებას. ფერმერები მიღებულ ნედლეულს აბარებენ თამბაქოს ფაბრიკებს. მისი წარმოება მომგებიანია. იგი შემოსავლიანი დარგია.

ქვეყანა დიდი რაოდენობით ამზადებს შაქარს, რომლის ნედლეულია შაქრის ჭარხალი და შაქრის ლერწამი. შაქრის ჭარხალი ძირითადად მოჰყავთ სარწყავ მიწებზე—დასავლეთის შტატებში, ლერწამი კი—სამხრეთით, მექსიკის ყურეს მიმდებარე შტატებში. ამავე შტატებშია განლაგებული შაქრის მწარმოებელი ქარხნებიც. ნედლეულის წარმოება მთლიანად მექანიზებულია. შაქრის ჭარხალი ხასიათდება

მალალი მოსავლიანობით. იგი ძირითადად დიდი ფართობებითაა წარმოდგენილი. მიუხედავად შაქრის წარმოების დიდი მასშტაბებისა, აშშ-ში იგი შემოაქვთ ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: პუერტორიკო, ფილიპინები და სხვ.

აშშ-ში დიდი რაოდენობით აწარმოებენ ხილსა და ბოსტნეულს. უმეტესად მათი წარმოება არ არის გაადგილებული დიდი ქალაქების ირგვლივ ე. წ. საგარეუბნო ზონაში, როგორც ამას ადგილი აქვს ევროპის ქვეყნებში, არამედ გადაადგილებულია ამ კულტურების წარმოების ყველაზე ხელსაყრელ რაიონებში, უპირველესად ესაა კალიფორნიისა და ფლორიდის შტატები, რომლებიც ამზადებენ ხილის საერთო წარმოების 2/3 და სუბტროპიკულ ხილს (ლიმონი, ფორთოხალი) — მთლიანად. ამავე შტატებში მოჰყავთ აგრეთვე ადრეული ბოსტნეული, რომლის მოვლა-მოყვანაც ინდუსტრიული ხასიათისაა. მათი საკმაოდ დიდი რაოდენობა სასაქონლოა და მოიხმარება როგორც ნატურალური, ასევე გადამუშავებული სახით.

დიდი რაოდენობით აწარმოებენ კარტოფილსაც, რომლის ფართობი 0,6 მლნ. ჰექტარია. ეს კულტურა გაადგილებულია სამ ერთმანეთის გვერდით მდებარე შტატში, კერძოდ, მენიოს, ახალი ინგლისის და აიდახოს შტატებში. 1985 წ. კარტოფილის სასაქონლო პროდუქცია 16,5 მლნ. ტონას შეადგენდა. აქედან, მომხმარებლამდე მიიტანეს 16.1 მლნ. ტონა (თითქმის უდანაკარგოდ). კარტოფილის მოვლა-მოყვანა მთლიანად მექანიზებულია, როგორც წესი იგი წარმოდგენილია დიდ ფართობებზე. არსებობს სპეციალიზებული ფერმებიც, რომლებსაც გადამამუშავებელი საწარმოებიც გააჩნიათ.

ქვეყანაში წარმოდგენილია მევენახეობა. განსაკუთრებით, ქვეყნის ჩრდილოეთით — დიდი ტბების მიდამოებში; გაშენებულია სუფრისა და სამრეწველო ჯიშები. არსებობს მსხვილი სპეციალიზებული მეღვინეობებიც. აშშ ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს ღვინოზე, კონიაკზე და სხვა მაგარ სასმელებზე. იგი შემოაქვთ ევროპის ქვეყნებიდან.

დიდ ყურადღებას აქცევენ მეყვავილეობას. ეს დარგი თითქმის ყველა საგარეუბნო ზონაშია წარმოდგენილი, ზოგან მას სამრეწველო ხასიათიც აქვს.

მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია, მის წილად მოდის საერთო პროდუქციის ღირებულების 55%. იგი ძირითადად მეხორცული მიმართულებისაა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 130 მილიონ სულამდეა. ჰყავთ 55—60 მლნ. ღორი, 14 მლნ. ცხვარი, ფრინველი და სხვ. მეცხოველეობა არა მარტო მა-

ღალრენტაბელური, არამედ მაღალმექანიზებული დარგიცაა, სადაც თითქმის მთლიანად გამორიცხულია ხელით შრომა. მაღალია შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლები, მსხვილ მეცხოველეობის საწარმოებში ერთ შრომისუნარიან წევრზე 1000—1200 სული მსხვილფეხა საქონელი მოდის. მეცხოველეობის ფერმები უმთავრესად მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების სახითაა წარმოდგენილი, საშუალო სიდიდის ფერმაში 2—3 ათასი სული პირუტყვია, მსხვილ ფერმებში 10—12 ათასი, თუმცა გვხვდება წვრილი 100—150 სულიანი ფერმებიც. ფერმებში მაღალია შრომის ორგანიზაცია, ავტომატიზებული სისტემები განსაზღვრავენ საკვების რაციონს, შენობის ტემპერატურულ რეჟიმს, დასუფთავება-განავების სამუშაოებს და ა. შ. არც თუ იშვიათად მეცხოველეობის ფერმებში ოჟენებენ დაქირავებულ შრომასაც. მერძეული ჯოგის რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება, მაგრამ იზრდება მათი პროდუქტიულობა, რის გამოც რძისა და მისი პროდუქტების წარმოების მოცულობა დინამიკაში იზრდება. მეცხოველეობის განვითარების ძირითადი რაიონებია ქვეყნის დასავლეთი შტატები, თუმცა, მერძეული მიმართულების მეცხოველეობა წარმოდგენილია ჩრდილო-აღმოსავლეთის შტატებშიც. მერძეული ჯოგის პროდუქციის უდიდესი ნაწილი გადამუშავებაზე მიდის. ამზადებენ უმაღლესი ხარისხის კარაქსა და ყველს. მაღალია მეწველი ჯოგის პროდუქტიულობა: თუ 1950 წელს წველადობა საშუალოდ 2500 ლიტრს უდრიდა, 1985 წელს ეს მაჩვენებელი 4800 ლიტ-მდე გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა მერძეული ჯოგი, რძის წარმოების მაჩვენებელი, როგორც უკვე იყო აღნიშნული, დინამიკაში იზრდება. მაგალითად, თუ 1950 წელს მოწველილი იქნა 53 მლნ. ტონა რძე, 1985 წლისათვის ეს მაჩვენებელი 61 მლნ. ტონას უდრიდა, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში მერძეული ჯოგის რაოდენობა 2,5 მლნ. სულით შემცირდა.

მეხორცული ჯიშის რაოდენობას განსაზღვრავს საკვები ბაზის მდგომარეობა. უკანასკნელ წლებში ამ უკანასკნელს სტაბილური ხასიათი აქვს. ამიტომ ხორბლის წარმოებასაც სტაბილური ხასიათი მიეცა. აშშ-ში დიდი რაოდენობით მოიხმარება ხბოს ხორცი, რომლის წარმოებას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. მოზარდი პირუტყვი ძირითადად ძოვებაზე ჰყავთ. რაც დადებითად მოქმედებს წარმოებული ხორცის ხარისხსა და გემოვნებით თვისებებზე. მოზარდეულიდან სარემონტო პირუტყვი გადაჰყავთ სპეციალურ ფერმებში, სადაც კომბინირებული საკვების მიღებით ჩამოყალიბდება მისი საწარმოო მიმართულება. (განსაკუთრებით, მეწველი ჯოგის შესავსებად). მეხორცული მეცხოველეობა ერთ-ერთი მაღალინდუსტრიული დარგი გახდა.

შეიქმნა ე. წ. „ხორცის ფაბრიკები". რომელთა მასშტაბმა გიგანტური ხასიათი მიიღო. ამზადებენ ხორცის მრავალფეროვან პროდუქციას, რომლის 80%-მდე მოიხმარება საკუთრივ ქვეყანაში, დანარჩენი კი გადის საექსპორტოდ.

ევროპისაგან განსხვავებით, სადაც ღორის ხორცის მოხმარების ხვედრითი წილი საერთოდ ხორცის მოხმარების ბალანსში ძალზედ მაღალია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითადად ხმარობენ საქონლის ხორცს. თუმცა, მეღორეობაც კარგადაა განვითარებული. ამზადებენ ღორის ქონს, ბეკონის კონსერვებს, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოში. მეღორეობას ინდუსტრიული ხასიათი აქვს. თითქმის ყველა საწარმოო პროცესი ავტომატიზებულია. მეღორეობა ძირითად განვითარებულია საკვებით მდიდარ რაიონებში, კერძოდ. მეჭარხლეობისა და მარცვლეულის ზონაში, იგი ოპტიმალურადაა შეთანაწყობილი მემცენარეობის ძირითად დარგებთან.

კარგადაა განვითარებული მეფრინველეობა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდი ბიძგი მიეცა საბროილერო მეფრინველეობის განვითარებას. მეფრინველეობის ტრადიციულ რაიონებად ითვლება სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატები. კერძოდ, ჯორჯიის, ალაბამის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინის. წარმოების ასეთი მაღალი კონცენტრაცია შედეგია აღნიშნული შტატების რბილი კლიმატის, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს საწარმოო ხარჯებს. მეფრინველეობა ამერიკის სოფლის მეურნეობის ყველაზე ინდუსტრიული დარგია, რომელზეც ძალზედ მაღალია წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია. 1980 წ. ქვეყანაში წარმოებული 3 მილიარდზე მეტი ბროილერიდან 3/4 გათვალისწინებული იყო შიდა ბაზრისათვის, ხოლო 1/4 გატანილი იქნა სხვა ქვეყნებში (უმთავრესად აზიისა და აფრიკის განვითარებად სახელმწიფოებში).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აშშ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი ჰუმანიტარული დახმარების სახით ეკონომიკურად სუსტად განვითარებულ ქვეყნებში გააქვთ.

აშშ სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნები. ამიტომ ზოგიერთი დარგის განვითარებას იმ მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც კონკრეტულ პირობებში არსებობს ამა თუ იმ პროდუქციაზე, ციკლური ხასიათი აქვს. წარმოება მაღალკონცენტრირებულია, პროდუქციის 9/10 იძლევიან სპეციალიზებული ფერმები, რომელთა შემოსავლის 70—80%-ის ფორმირება ხდება ერთი სახის პროდუქციის რეალიზაციით. სპეციალიზაციის პროცესი დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს, რასაც

ხელს უწყობს მთავრობაც. უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ქვეყნის ადმინისტრაცია ძალზედ ეფექტიანად ეხმარება ფერმერებს წარმოების მოწყობაში, მომარაგება-გასაღების საკითხების გადაწყვეტაში, ხანგრძლივი პერიოდით აძლევს მათ კრედიტებს, თავად არეგულირებს ჭარბი პროდუქციის ექსპორტის საკითხებს და ა. შ.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობაში დიდ როლს ასრულებს გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის საწარმოები. რომლებიც ნედლეულის წარმოების რაიონებში ძალზედ ოპტიმალურადაა განლაგებული. კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი ერთობლივ ნაციონალურ პროდუქტში 10—12%-ია. დარგში წამყვანია ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოები, მაგარი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, საკონსერვო და წისქვილის კომბინატები. ვითარდება სამაცივრო მეურნეობები, რომლებიც საშუალებას იძლევიან მალფუჭად პროდუქტებს შეუნარჩუნდეს ნატურალური სახე. როგორც წესი, მსხვილი ხორცკომბინატები განლაგებულია დიდი ქალაქების სიახლოეს. გადამამუშავებელ და კვების მრეწველობის საწარმოებში ყველა პროცესი მექანიზებულია. ქვეყანაში არსებობს გადამამუშავებელი მრეწველობის საქვეყნოდ ცნობილი ფირმები, რომლებიც ამუშავებენ არა მარტო საკუთარ არამედ შემოტანილ ნედლეულსაც.

ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის წარმოება უპირველესად განპირობებულია საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-მშენებლობით, რომლებიც მთლიანად უზრუნველყოფენ ქვეყნის მოთხოვნილებებს მაღალმწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და ენერგეტიკული საშუალებებით. ამზადებენ უნიკალური ტიპის ტექნიკას, რომელზეც დიდი მოთხოვნილება საზღვარგარეთ.

უნივერსიტეტების სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტები (ინსტიტუტები), ამზადებენ კვალიფიციურ სპეციალისტებს, მაღალ დონეზე დგას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, არსებობს მსხვილი სამეცნიერო ცენტრები, რომელთა მიღწევებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყენებენ. აშშ-ში მეცნიერებისათვის გამოყოფილი ყოველი 5 დოლარიდან 1 დოლარი ხმარდება უშუალოდ კვლევას, ხოლო 4 მის წარმოებაში დანერგვას. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაცია სამეცნიერო პოტენციალის რაციონალური გამოყენების ნიმუშია.

კანადა

კანადას უჭირავს მატერიკული ამერიკის ჩრდილოეთი ნაწილი და მრავალრიცხოვანი კუნძულები, მათ შორის ჩრდილოეთით — კანა-

დის არქტიკული არქიპელაგი, ალმოსავლეთით—ნიუფაუნდლენდი, ხოლო დასავლეთით—ვანკუვერი. ალმოსავლეთით ქვეყანა ესაზღვრება ატლანტის ოკეანეს, დასავლეთით—წყნარ, ხოლო ჩრდილოეთით—ყინულოვან ოკეანეს. კანადა მდებარეობს იმ განედებზე, რომელზეც ყოფილი საბჭოთა კავშირი (მაგალითად, მისი სამხრეთი საზღვარი გადის საქართველოს განედზე). კანადის ტერიტორია 9,97 მლნ. კვ. კმ-ია, რომლის 755 ათასი კვ. კმ ანუ ტერიტორიის 8% მოდის შიდა წყლებზე. ტერიტორიით კანადა ჩამორჩება მხოლოდ ყოფილ სსრკ-ს. კანადის მოსახლეობა 25,6 მილიონია, დედაქალაქია — ოტავა. კანადა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყანაა. იგი შედის მსოფლიოს შვიდ ყველაზე განვითარებულ ქვეყნების რიგში. კანადის წილად მოდის მსოფლიოს კაპიტალისტური ქვეყნების სამრეწველო წარმოების 3,3% და კაპიტალისტური სამყაროს საგარეო ვაჭრობის—5,4%. ერთ სულზე ნაციონალური წარმოებით კანადამ გაასწრო აშშ-ს. დიდია კანადის როლი სასარგებლო წიაღისეულის მარაგსა და მოპოვებაში. ძირითადი საბადოები ქვეყნის ჩრდილოეთითაა. კანადის წილად მოდის კაპიტალისტური ქვეყნების თუთიისა და ნიკელის მარაგის 2/3, ტყვიისა და ურანის მარაგის—40%, რკინის მარაგის—33% და ა. შ. დღეს კანადას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ნიკელის, აზბესტის, თუთიის, ვერცხლის, მოპოვებაში, მეორე ადგილი—ურანის, მოლიბდენისა და სპილენძის მოპოვებაში. იგი ერთ-ერთ პირველ ადგილზეა აგრეთვე ხე-ტყის რეწვითა და ექსპორტით. ტყეებს უჭირავს 447 მლნ. ჰექტარი ფართობი.

ადმინისტრაციულად კანადა დაყოფილია 10 პროვინციად. იგი დემოკრატიული ქვეყანაა, რომლის მეთაურად (ნომინალურად) ითვლება ინგლისის დედოფალი (მეფე). მის ფუნქციებს ქვეყანაში ასრულებს გენერალური გუბერნატორი. ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი მასა ევროპიდან ჩამოსახლებულთა შთამომავლები არიან, უმთავრესად, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, უკრაინიდან, ჰოლანდიიდან და ა. შ. აბორიგენებს წარმოადგენენ ქვეყნის სამხრეთით მცხოვრები ინდიელები, ხოლო ჩრდილოეთით—ესკიმოსები.

კანადაში კაპიტალიზმის განვითარება შედარებით გვიან დაიწყო თავდაპირველად მძლავრობდა ინგლისური მონოპოლისტური კაპიტალი, რომელიც შემდეგ სულ უფრო შეავიწროვა ამერიკის შეერთებულმა შტატების კაპიტალმა, ბოლოს გამოდევნა კიდეც. დღეს, კანადის ეკონომიკა ყველაზე მეტად ინტეგრირებულია ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკასთან და ეს კავშირი ორმხრივად ხელსაყრელია.

ევროპელები კანადის სანაპიროებთან პირველად XV საუკუნეში გამოჩნდნენ. 1534 წელს ფრანგი მეზღვაურები პირველად შევიდნენ ქვეყნის სიღრმეში მდ. წმინდა ლავრენტის სრუტით. 1583 წელს ნიუ-ფაუნდლენდი გამოცხადდა ბრიტანეთის საკუთრებად. 1654 წელს ფრანგებმა თავიანთი კოლონია დაარსეს დღევანდელი კვებეკის პროვინციაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კანადამ მიიღო დომინიონის სტატუსი, ხოლო 1947 წელს მოქალაქეობის სტატუსის შემოღებით, ფაქტიურად მიაღწია დამოუკიდებლობას, თუმცა, ფორმალურად იგი ერთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნად ითვლება, რომელშიც გაერთიანდნენ ადრე ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები (დომინიონები და კოლონიები).

კანადის მოსახლეობა ჭრელია. დასახლებული არიან კომპაქტურად, უმთავრესად, ქვეყნის სამხრეთით. ტერიტორიის 2%-ზე ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 60%. დასახლებისა და დასაქმების მიხედვით მოსახლეობა სამ ჯგუფად იყოფა: ქალაქის, სოფლის ფერმერული და არაფერმერული. ამჟამად, ინტენსიურად მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესი. იქმნება ქალაქური ტიპის დასახლებები (კანადაში ქალაქად ითვლება დასახლებული პუნქტი სადაც 1000 კაცზე მეტი ცხოვრობს). აშშ-ის მსგავსად, კანადაში სოფლის მოსახლეობა არ არსებობდა. დღეისათვის, ფერმერული მეურნეობების მაცხოვრებლები ან მათი დამხმარენი სოფლის მოსახლეობად იწოდებიან. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1,5—2 ადამიანია ერთ კვ. კმ-ზე.

კანადა მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელსაც უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია. ნაციონალური პროდუქტის მოცულობით იგი მნიშვნელოვნად უსწრებს ბევრ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ქვეყნის მრეწველობა გამოირჩევა ტექნიკური აღჭურვილობის მაღალი დონით. განვითარების თვალსაზრისით კანადის ეკონომიკის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების 1/4 მოდის ნედლეულის მომპოვებელ მრეწველობაზე, ექსპორტის 2/3 კი კვების პროდუქტებზე, ნედლეულსა და ნახევარფაბრიკატებზე. დიდია კანადის ეკონომიკაში აშშ-ს გავლენა, რომლის ინვესტიციამ ქვეყნის ეკონომიკაში 65 მილიარდი დოლარი შეადგინა. აშშ-ს მონოპოლიებს ეკუთვნით წიაღისეულისა და დამამუშავებელი მრეწველობის 49% და გადამამუშავებელი მრეწველობის 41%, მაგრამ ეს ხელს არ უშლის კანადის მოსახლეობას ცხოვრების დონით იყოს ერთ-ერთი პირველ ადგილზე მსოფლიოში. კანადის აქტიური მოსახლეობიდან გადამამუშავე-

ბელ მრეწველობაში დასაქმებულია—21%, მშენებლობაში—6,5%. ტრანსპორტზე, კავშირგაბმულობასა და ენერგომომარაგებაზე—8,7%; სოფლის მეურნეობაში—5,1%, ტყის მრეწველობაში—2,4%; ვაჭრობაში — 17,5% და ა. შ. დღეისათვის, საწარმოო დარგში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 43,7%.

კანადის ბუნებრივ-კლიმატური პირობები მრავალფეროვანია, რაც განაპირობებს წარმოების მრავალპროფილიანობას. ქვეყანაში ზომიერი და სუბარქტიკული კლიმატია. ზაფხულში საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა 20°-ია. ქვეყნის ჩრდილოეთით უარყოფითი ტემპერატურის დღეთა რაოდენობა 300-მდეა, სამხრეთით—180-მდე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პროვინციები ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს, სადაც მარცვლოვანი კულტურების დიდი მოსავალი მიიღება. დაბლობები კარგადაა უზრუნველყოფილი სითბოთი და ნალექებით, აგრეთვე წყლის რესურსებით. მდინარეები ხასიათდებიან წყალუხვობით, ბევრია ტბები, გრუნტის წყლები, რომლებიც კარგ ფონს ქმნიან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

ქვეყნის ჩრდილოეთი უჭირავს ტუნდრასა და არქტიკულ უდაბნოს. აქ მცენარეული საფარი ღარიბია. ტუნდრიდან სამხრეთით იწყება ტაიგის ტიპის ტყის მასივები, რომლებიც ხე-ტყის რესურსების დიდ მარაგს შეიცავენ. ტყეებს უჭირავთ კანადის ტერიტორიის 1/3. ეხვდებით ტყის რუხ ნიადაგებს. დაჭაობებულ მასივებს ტერიტორიის 1/4 უჭირავს.

სოფლის მეურნეობა კანადის ეკონომიკის მაღალგანვითარებული დარგია, თუმცა მისი ხვედრითი წილი როგორც მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, ისე ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის სტრუქტურაში — დინამიკაში მცირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დარგის აბსოლუტური მაჩვენებელიც მცირდება. პირიქით, იგი იზრდება და საკმაოდ მაღალი ტემპითაც. კანადის სოფლის მეურნეობისთვის დამახასიათებელია საქონლიანობის მაღალი დონე, რომელიც განპირობებულია სპეციალიზაციის, ქიმიზაციისა და მექანიზაციის დონით. სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ორმხრივი მიმართულება ახასიათებს, ერთია ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, მეორე — ფასები ფერმერების მიერ შეძენილ საბრეწველო პროდუქციაზე. უკანასკნელ წლებში წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებაში ჭარბობს საბრეწველო პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოების სტრუქტურა სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან წილად არის დამოკიდებული

სამრეწველო პროდუქციის ფასებზე. ასეთ ვითარებაში წვრილი ფერმერული მეურნეობა ვერ უძლებს კონკურენციას. იგი ერთიანდება მსხვილ ფერმერულ მეურნეობებთან ან თავად ქმნიან კოოპერაციულ გაერთიანებებს. გავრცელებულია კოოპერირების რამდენიმე ფორმა, ერთ-ერთი მათგანი საწარმოო ხასიათისაა, რომლის დროსაც რამდენიმე წვრილი და საშუალო ფერმა ერთიანდება მიწის ერთობლივი დამუშავების ამხანაგობის სახით, იძენენ შესაბამის ტექნიკას, რომელიც მუშაობს ფერმერთა განსაზოგადოებელ მიწაზე. ცხადია, შედეგების (შემოსავლების) განაწილებაც ხდება ამხანაგობაში შეტანილი ქონებისა და დახარჯული შრომის შესაბამისად. 1950—1980 წლებში ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა 622 ათასიდან შემცირდა 2,5 ათასამდე. მოხდა მათი გაერთიანება, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა საშუალო ფერმერთა კაპიტალისტური ტიპის მეურნეობები, რომელთა მიწის ფონდების სიდიდე 50 და მეტი ჰექტარია. მათ ხელშია კანადის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდების 4/5. სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და სახნავის უზრუნველყოფით კანადა პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ერთ სულზე გაანგარიშებით თითოეულზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 2,9 ჰექტარი, ხოლო სახნავის — 1,08 ჰექტარი. მაღალია ენერგოშეიარაღებისა და ენერგოუზრუნველყოფის მაჩვენებლები. პირველი — 114 ცხენის ძალას, ხოლო მეორე—268 ცხენის ძალას (100 ჰა-ზე გაანგარიშებით) შეადგენს, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია მსოფლიოში. 1980 წლისათვის კანადის სოფლის მეურნეობას ემსახურებოდა 700 ათასზე მეტი ტრაქტორი (ფიზიკურ ერთეულებში), 180 ათასი კომბაინი, 470 ათასი სატვირთო ავტომობილი. ფერმათა 90% ელექტროფიცირებულია. მაღალია მანქანათა გამოყენების კოეფიციენტი, იგი 0,90-ს უდრის, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ეფექტიანობის რეზერვი მექანიზაციაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნიკას ემსახურება მაღალკვალიფიციური კადრები, არსებობს გარანტირებული სარემონტო ბაზა, ტექნიკური მომარაგება შეუფერხებლად მიმდინარეობს. ქვეყანაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოების პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, არა მარტო ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში, არამედ, მეზობელ შეერთებულ შტატებშიც. ამზადებენ მაღალი მწარმოებლურობის მქონე მსხვილგაბარიტიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა საერთო ფართობი 72 მლნ. ჰექტარს შეადგენს., ანუ ქვეყნის ტერიტორიის 7,6%-ს,

საძოვრებს უჭირავს 43 მლნ. ჰექტარი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი რაიონები მოთავსებულია ქვეყნის სამხრეთით, აშშ საზღვართან, სადაც შესანიშნავი ნიადაგობრივ-კლიმატური პირობებია მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარება ორი ძირითადი მიმართულებით წარმოებს. ესაა მემცენარეობა, რომელიც ძირითადად სამარცვლე მეურნეობებითაა წარმოდგენილი და მეცხოველეობა, (კერძოდ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი — ძერძეულ-მეხორცული მიმართულების, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეცხვარეობა). სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის სტრუქტურაში მეცხოველეობა დომინანტობს, რომლის წილად მოდის წარმოებული პროდუქციის 60%-მდე (ფერმერული პროდუქციის 3/5 მოდის მეცხოველეობაზე, 2/5 — მემცენარეობაზე). კანადაში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 10,7 მლნ. სულს შეადგენს, აქედან მეწველია—3,4 მლნ. ქვეყანაში ამზადებენ 16 მლნ. ტონაზე მეტ რძეს. თითოეულის საშუალო წველადობა 4800 ლიტრია. საკვების რეგულირებით წარმოებს ცხიმიანობის რეგულირებაც. გადასამუშავებელ რძეში იგი 3,8% უდრის. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ფერმები უმთავრესად საშუალო სიდიდისაა (150—200 სული), თუმცა, ეხვდებით გიგანტურ ფერმებსაც (5—7 ათასი სული პირუტყვით). ასეთ ფერმებს, როგორც წესი, აქვთ საკუთარი ხორცისა და რძის კომბინატები, საფირმო მაღაზიები და ზოგჯერ საკუთარი სამეცნიერო ცენტრებიც. სასაქონლო პროდუქციის ძირითადი მასა მზადდება საშუალო სიდიდის ფერმებში, რომლებიც გაერთიანებული არიან პროდუქციის გასაღების კოოპერატივებში. გაერთიანების აღნიშნული ფორმა ყველაზე მეტად არის გავრცელებული.

კანადაში მეღორეობის განვითარებას საფუძველად დაედო საკუთარი მოსახლეობის მიერ ღორის ხორცის დიდი რაოდენობით მოხმარება. ქვეყანაში 8—9 მლნ სული ღორია. მისგან ამზადებენ ბეკონს და ძეხვეულს, რომელიც გააქვთ საექსპორტოდ, მეღორეობას მისდევს ყველა ფერმერი (როგორც წესი, 3—4 სული ღორი ყველა ფერმაშია). არსებობს სპეციალიზებული მეღორეობის ფერმებიც, რომელთა სულადობა რამდენიმე ასეულია, ფერმა — გიგანტის სულადობა კი რამდენიმე ათასი სული. მათ განკარგულებაშია სახნავის დიდი ფართობები (კომბინირებული საკვებისათვის), გადამამუშავებელი საწარმოები, მაღაზიები. ასეთი ტიპის ფერმები მოწყობილია ამერიკული აგრობიზნესის მსგავსად და ეკონომიკური თვალსაზრისით ხელსაყრელია.

მეფრინველეობა მაღალ დონეზეა განვითარებული. კანადას ქვეყნის გარეთ გააქვს ფრინველის ხორცი, კვერცხის ფხვნილი. მეფრინველეობა ერთმანეთთან კოოპერირებული საწარმოებისაგან შედგება, სადაც ყველა რგოლი თავის ფუნქციას ასრულებს.

უნდა ითქვას, რომ მეცხოველეობაში ყველა პროცესი ავტომატიზებულია, მინიმუმდეა შემცირებული ხელით შრომა, ფერმებში იდეალური სისუფთავე და წესრიგია, სათანადო სამსახურები ავტომატიზებული საშუალებებით თვალყურს ადევნებენ ცხოველების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად თითქმის მთლიანადაა გამორიცხული დაავადების შემთხვევები.

კანადის სოფლის მეურნეობა არა მარტო უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქციაზე, არამედ დიდი რაოდენობით გააქვს იგი ექსპორტზე. საექსპორტო ბრუნვის 15%-ზე მეტი მოდის სოფლის მეურნეობაზე. 1985 წელს ერთ სულზე გაანგარიშებით ქვეყანაში დამზადდა 2 ტონაზე მეტი მარცვლეული (სასურსათო და საფურაჟე), რაც აბსოლუტურ ჰაჩვენებელში 54 მლნ. ტონაა, აქედან, საექსპორტოდ გაიტანეს 38 მლნ. ტონაზე მეტი. დიდი რაოდენობით გააქვთ მეცხოველეობის პროდუქტებიც, განსაკუთრებით, ძეხვეული, კონსერვები, რძის ფხვნილი. კარაქი. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გადის ღორის ხორცი.

მემცენარეობიდან აღსანიშნავია მარცვლეულის წარმოება, რომელთა შორის დომინირებს ხორბალი. მისი წარმოების ძირითადი რეგიონებია: ალბერტის, სასკაჩევანისა და მანიტობის პროვინციების სამხრეთი რაიონები, აქვე მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი: კვებეკისა და ონტარიოს პროვინციებში განვითარებულია მეხილეობა, ძირითადად მოჰყავთ კურკოვანი და თესლოვანი ხილი, რომელთა ნაწილი მოიხმარება ნატურალური სახით, ხოლო ნაწილი მიდის გადასამუშავებლად. საგარეუბნო ზონაში კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა, რომელიც წარმოდგენილია როგორც ღია ისე დახურული გრუნტის სახით. მოჰყავთ ბადრიჯანი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო, კომბოსტო. ქვეყნის სამხრეთით (დიდი ტბების რაიონში) წარმოდგენილია მევენახეობაც, მაგრამ მას უმთავრესად აღგილობრივი ხასიათი აქვს. ძირითადად ამზადებენ შემაგრებულ ღვინოებს, რომელიც შიდა ბაზარსაც ვერ უზრუნველყოფს, ტექნიკური კულტურებიდან მცირე ოდენობით მოჰყავთ თამბაქო.

მემცენარეობაში, თითქმის ყველა კულტურის მოვლა-მოყვანის სამუშაოები მექანიზებულია. ძალზე უნარიანად იყენებენ მინერალურ

სასუქებს, რომელთა ეფექტიანობა ძალიან მაღალია. ერთ ჰექტარ სახნავზე გადაანგარიშებით შეაქვთ 350—400 კგ. მინერალური სასუქი. კანადაში კარგადაა განვითარებული ქიმიური მრეწველობა, მათ შორის მინერალური სასუქების წარმოებაც, რომელიც დიდი რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ. მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენების კონტროლს ანხორციელებს სახელმწიფო. რომლის შედეგადაც საკვებ პროდუქტებში ტოქსიკური ნივთიერებები თითქმის არ არსებობს.

ხოფლის მეურნეობის შემდეგ მეორე ადგილზე დგას მეთევზეობა, რომლის დიდი მარაგია ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში, ოკეანისპირა არსებულ სარეწებში. თევზის ჭერით (1,3 მლნ. ტონა), კანადა მერვე ადგილზეა მსოფლიოში. კარგადაა განვითარებული თევზის გადამამუშავებელი მრეწველობაც. თევზის ფქვილს ეფექტიანად იყენებენ მეფრინველეობასა და მეღორეობაში. თევზის პროდუქციის 1/3 გააქვთ საექსპორტოდ.

ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში მისდევენ მეირმეობას, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს. განვითარებულია სამონადირეო მეურნეობა, რომელიც ბეწვეულის რეწვაზეა დასპეციალებული. ჩრდილოეთით გვხვდება მემხეცეობის ფერმებიც.

კარგადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა. ისინი ოპტიმალურადაა განლაგებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სპეციალიზაციის ზონების მიხედვით. გვხვდება როგორც გიგანტური, ისე მცირე მოცულობის საწარმოები. აღსანიშნავია ის, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მაღალი დონისაა, სადაც საწარმოო პროცესები ავტომატიზებულია.

კარგადაა მოგვარებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა. შექმნილია თანამედროვე ტიპის საცავები, რომელთა ტევადობა საკმაოდ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს. დამუშავებულია მალფუჭადი პროდუქციის შენახვის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელსაც იყენებენ სხვა ქვეყნებშიც.

მიუხედავად იმისა, რომ კანადის სოფლის მეურნეობა მაღალკანვითარებული დარგია, რომლის პროდუქციის საკმაოდ დიდი ნაწილი გააქვთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მას დიდი რაოდენობით შემოაქვს ზოგიერთი სახის პროდუქცია სხვა ქვეყნებიდან, კერძოდ, ყავა, კაკაო, ჩაი, სუბტროპიკული ხილი, ღვინო და მისი ნაწარმი და სხვ. მაგრამ ექსპორტთან შედარებით იმპორტი 12—15% შეადგენს.

კანადის სოფლის მეურნეობის საკადრო მომსახურებას უზრუნველყოფს ქვეყნის უნივერსიტეტებთან შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, კოლეჯები და ა. შ. ხოლო სამეცნიერო კვლევას ემსახურება როგორც მსხვილი, ისე ლოკალური ხასიათის სამეცნიერო ცენტრები, მათი საქმიანობა საკმაოდ ეფექტიანია.

გრენლანდია

გრენლანდია ყველაზე დიდი კუნძულია მსოფლიოში. მისი ტერიტორია 2,2 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა 59—60 ათასი კაცი. 1979 წ-მდე იგი დანიის სამეფოს კუთვნილება იყო, დღეისათვის კი დანიის შემადგენლობაში მყოფი თვითმართვადი ქვეყანაა. გრენლანდია პარლამენტური ქვეყანაა. ადმინისტრაციული ცენტრია — გოტჰობი.

მეცნიერთა ვარაუდით პირველად ადამიანები გრენლანდიაზე გამოჩნდნენ 5 ათასი წლის წინათ. დანიელები აქ მოვიდნენ 1721 წელს. დაიწყო ქვეყნის კოლონიზაცია. მოსახლეობის ძირითადი მასა ადგილობრივი ესკიმოსებია. დღეისათვის გრენლანდიაში ცხოვრობს 10-11 ათასი ევროპელი, დანარჩენი ადგილობრივი მოსახლეობაა.

გრენლანდიის თითქმის მთელი ტერიტორია დაფარულია ყინულით, რომლის სისქე კუნძულის ცენტრალურ ნაწილში 3,5 კმ-ია. კლიმატი უკიდურესად მკაცრია, თებერვლის ტემპერატურა — 38°C, ხოლო სამხრეთით —5°—8°C. ზაფხულის ტემპერატურა სამხრეთით +9°-ია, ხოლო ჩრდილოეთით—+3°. კლიმატზე დიდ გავლენას ახდენს ოკეანის სიახლოე. მართალია კუნძულამდე ვერ აღწევს თბილი დინებები, მაგრამ მათი გავლენა იგრძნობა, რის შედეგადაც სამხრეთში წყალი მთელი წლის განმავლობაში არ იყინება. მიუხედავად მკაცრი კლიმატისა, გრენლანდიაში 4 ათასი დასახელების მცენარეულობა გვხვდება. ძირითადი მცენარეული საფარი ტყე-ტუნდრაა, ხეთა სიმაღლე 3—5 მეტრს არ აღემატება. ღარიბია ცხოველური სამყარო, გვხვდება დაახლოებით 30 დასახელების ცხოველი, რომელთაგან 20 დასახელება ზღვისმიერი წარმოშობისაა. გრენლანდიის წყლებში გვხვდება რამდენიმე სახის ვეშაპი, მათ შორის გიგანტური—გრენლანდიური ცისფერი ვეშაპი.

გრენლანდიის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა ნადირობა და მეთევზეობა. ბოლო დროს განვითარდა თევზის გადამამუშავებელი მრეწველობა. დღემდე მისდევენ ზღვის დიდი ცხოველების რეწვას, მათ შორის ვეშაპებზე ნადირობას. კუნძულის მცხოვრებთა შემოსავლების ძირითადი წყაროა მეთევზეობა (90%), რომელთანაც დაკავშირებულია. აქ მაცხოვრებელთა ყოველდღიური საქმიანობა.

კუნძულზე მიწათმოქმედება არ არის განვითარებული, კინაიდან კულტურული მცენარეული საფარი არ არსებობს. მისდევენ მეცხვარეობას, რომელთა რაოდენობა 80 ათასს აღწევს, ცხვარი მთელი წლის განმავლობაში ძოვებაზე ჰყავთ. ამ მიზნით იყენებენ კუნძულის სამხრეთით მდებარე ზღვისპირა მდელოებს, რომლებიც ნოყიერი ბალახით ხასიათდება. ცხვრის ხორცს ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება კვების სხვა პროდუქტებს (მარცვალი, ხორცი, ხილი ღვინო და ა. შ.) შემოაქვთ დანიიდან. გრენლანდიიდან საზღვარგარეთ დიდი რაოდენობით გააქვთ თევზის პროდუქტები, ხოლ შეავადარებთ ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტს, იგი პირველის სასარგებლოდაა, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ ეროვნული შემოსავალი, კუნძულის ერთ მაცხოვრებელზე გადაანგარიშებით, საკმაოდ მაღალია.

XII თავი

სამხრეთ ამერიკა

(ვენესუელა, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ, ბოლივია, ჩილე, არგენტინა, პარაგვაი, ურუგვაი, ბრაზილია, გაიანა, სურინამი, გვიანა)

სამხრეთ ამერიკა ლათინური ამერიკის ნაწილია, რომელიც პანამის სამხრეთით მდებარეობს. მას უჭირავს ამერიკის კონტინენტის სამხრეთი ნახევარსფერო, მიმდებარე კუნძულებით. ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება კარიბის ზღვას, აღმოსავლეთით—ატლანტის ოკეანეს, სამხრეთით — მაგელანის სრუტეს, დასავლეთით — წყნარ ოკეანეს. მატერიკის ტერიტორია 17,65 მლნ. კვ. კმ-ია. (მიმდებარე კუნძულების საერთო ფართობი 0,57 მლნ. კვ. კმ-ია): მოსახლეობა — 241 მილიონი. სამხრეთ ამერიკის ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობით, ბუნებრივი რესურსებით, ეკონომიკური პოტენციალით.

ევროპელების გამოჩენამდე სამხრეთ ამერიკაში სახლობდნენ მრავალრიცხოვანი ინდიელი ტომები. 1542 წელს ესპანელებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი პერუს სახელმწიფო, მომდევნო პერიოდში კიდევ ორი სახელმწიფო ჩამოყალიბდა დღევანდელი კოლუმბიისა და ვენესუელის ტერიტორიებზე. ფაქტიურად, ზემოთ დასახელებული და შემდგომში შექმნილი სახელმწიფოები წარმოადგენენ ესპანეთისა და პორტუგალიის ყოფილ კოლონიებს. 1810—1826 წწ. დაიწყო სამხრეთ

ამერიკელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რომლის შედეგად ყველა კოლონიურმა სახელმწიფომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

სამხრეთ ამერიკის ბუნება მრავალფეროვანია, აქ ვხვდებით მსოფლიოში ყველაზე გრძელი მთების სისტემას — ანდების სახით, აქ მდებარეობს ყველაზე მაღლივი ტბა — ტიტიკაკა, ყველაზე მაღალი ჩანჩქერი — ანხელი, ყველაზე დიდი ამაზონის დაბლობი, ყველაზე წყალუხვი მდინარე — ამაზონი და ა. შ. თვით კონტინენტის მოყვანილობა წააგავს ვაზის მტევანს, რომელიც თითქოს ყუნწითაა ბანამის ყელზე ჩამოკიდებული. ანდების მთიანი მასივი მდებარეობს კონტინენტის დასავლეთით. აღმოსავლეთი ხმარე მთლიანად უჭირავს დაბლობს. მაგალითად. ამაზონის დაბლობის ფართობი 5 მლნ. კვ. კმ-ია. ტემპერატურა მატერიკის მასშტაბით ცვალებადია, შედარებით ზომიერია იგი სამხრეთით, საშუალო თვიური ტემპერატურა +28°C, ხოლო ზოგან 46°C აღწევს. სამხრეთით ზამთრის ტემპერატურა +11°-ია, თუმცა, ზოგან — 30°-მდეც ეცემა.

სამხრეთ ამერიკა უხვტენიანობით ხასიათდება. მდებარეობს რა ეკვატორულ სარტყელში, აქ ხშირია გამუდმებული ტროპიკული წვიმები. დასავლეთის სუბტროპიკული ზონა ანტიციკლონების გავლენის ქვეშაა მოქცეული, ზაფხული მშრალია, ხოლო ზამთარი წვიმიანი. აღმოსავლეთით ნალექების რაოდენობა იზრდება, მთელი წლის განმავლობაში წვიმს. ყველაზე მეტი ნალექია კოლუმბიაში —10 ათასი მმ, ჩილეს სამხრეთით — 7 ათასი მმ, დასავლეთ ამაზონზე — 4 ათასი მმ. გვხვდება გვალვიანი რაიონებიც, სადაც ნალექების რაოდენობა 300 მმ არ აღემატება. მთლიანად მატერიკზე ნალექების რაოდენობა ყველაზე მაღალია მსოფლიოში, მარტო ამაზონის აუზის წილად მოდის ჩამდინარე წყლების მსოფლიო მარაგის 8%.

რეგიონის ნიადაგობრივ-მცენარეული საფარიც დაკავშირებულია ჰარბტენიანობასთან, ხშირია გაუვალი მარადმწვანე ტყეები (ამაზონის აუზში). ნიადაგობრივი საფარი წარმოდგენილია მოწითალო-ყვითელი მიწებით. სამხრეთით მცენარეული საფარი თხელდება, ნიადაგი ფურალინტურდება. უკიდურეს სამხრეთით გავრცელებულია ბალახოვანი სავანები, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი პალმის ტყეებით. მატერიკის ტროპიკული ნაწილის ნიადაგები ქვიშნარია—ბუჩქოვანი, ეკლიანი მცენარეებით. კონტინენტის აღმოსავლეთით სუბტროპიკული ზონაა, რომელიც წარმოდგენილია ბალახოვანი მცენარეულობით. ანდების მთისძირში მრავალფეროვანი კაქტუსების უზარმაზარი მასივებია. ანდების ნიადაგობრივ-მცენარეული საფარი იცვლება ვერტი-

კალური ზონალობის მიხედვით. მრავალფეროვან ცხოველურ სამყაროში გვხვდება ენდემური ჯიშებიც.

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის ფორმირება ხდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთა ხარჯზე. ემიგრაციის განსაკუთრებით ძლიერი ტალღა მატერიკს მოაწყდა მეცხრამეტე საუკუნეში, როდესაც იტალიიდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან ჩამოსახლებულთა რაოდენობამ საშიში ხასიათი მიიღო. მომდევნო პერიოდში მოსახლეობის ზრდა ბუნებრივი მატების ხარჯზე მიმდინარეობდა.

სამხრეთ ამერიკის რეგიონის ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო კარგ პირობებს ქმნის დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარებისათვის. არსებობს უდიდესი შესაძლებლობა მსოფლიოში ცნობილ კულტურულ მცენარეთა უმრავლესობის მოყვანა-წარმოებისათვის, რომელიც გავრცელებულია ზომიერ სუბტროპიკულ და ტროპიკულ სარტყელში. უმრავლეს ქვეყანაში წლის განმავლობაში შესაძლებელია 2—3 მოსავლის აღებაც კი. მარტო ბრაზილიას თავისი ბუნებრივი შესაძლებლობებით შეუძლია გამოკვებოს 1,5 მილიარდი ადამიანი; ტყე-მცენარეული საფარი, თავისი სიდიდითა და სიმდიდრით, ერთ-ერთი უმდიდრესია მსოფლიოში და იგი ჟანგბადის კეთილწარმოების უდიდესი წყაროა პლანეტაზე. რეგიონი მდიდარია წიაღისეული ნედლეულით, რომელთა ნაწილი ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული. ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების განვითარების დღევანდელი დონე სრულიად არ შეეფერება აქ არსებულ პოტენციალურ შესაძლებლობებს. თვით ქვეყნებიც განვითარებისა და ცხოვრების დონით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები (არგენტინის გარდა) მნიშვნელოვან საჭირეს ხარჯავენ სხვადასხვა სახის სურსათის იმპორტისათვის, თუმცა მათ მსოფლიო ბაზარზე გააქვთ ტრადიციული პროდუქცია—კაკაო, ყავა, სუბტროპიკული ხილი და სხვ.

ვენესუელა

ვენესუელა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკაა. იგი მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთით. ტერიტორია 912 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—17 მილიონი, დედაქალაქი—კარაკასი, სახელმწიფო ენა — ესპანური. ვენესუელა ტერიტორიის სიდიდით აღემატება ერთად აღებულ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ბელგია, შვეიცია, ლუქსემბურგი.

ევროპელები პირველად დღევანდელი ვენესუელის ტერიტორიაზე მოვიდნენ 1499 წელს. ნახეს რა ხიმინჯებზე შეყენებული ქოხები იგი ვენეციას მიამსგავსეს (ესპანურად ვენესუელა); სწორედ აქედან წარმოდგა ქვეყნის სახელწოდებაც. ესპანელების მოსვლამდე აქ სახლობდნენ ნახევრად ველური ინდიელი ტომები, რომლებიც ცხოვრობდნენ ნადირობით, თევზჭერით, შემგროვებლობით. მათი საქმიანობა ეყრდნობოდა პრიმიტიულ შრომის იარაღებს. ესპანელების მოსვლის თავდაპირველი მიზეზი იყო ოქროს ძიება. ისინი თანდათანობით მიიწევდნენ ქვეყნის შუაგულისაკენ. ზოგიერთმა ხელი მიჰყო მიწათმოქმედებას, შეიქმნა დიდი ლატიფუნდიები. მალე წარმოიშვა ადგილობრივი მნიშვნელობის არისტოკრატია. მომდევნო პერიოდში აფრიკიდან შემოიყვანეს მონები, სამი საუკუნის განმავლობაში ვენესუელა ესპანეთის კოლონია იყო. 1821 წელს, მრავალწლიანი ბრძოლის შემდეგ, ვენესუელამ, კოლუმბიასთან ერთად, მოიპოვა თავისუფლება, რომლის პირველი პრეზიდენტი გახდა სამხრეთ ამერიკის ნაციონალური გმირი სიმონ ბოლივარი. მისი გარდაცვალების შემდეგ კოლუმბია და ვენესუელა ცალ-ცალკე სახელმწიფოებად დაიშალა.

ვენესუელას განვითარებაში დიდი როლი შეასრულა XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ნავთობის დიდი საბადოების აღმოჩენამ. ნავთობპროდუქტების ექსპორტმა პირველი ადგილი დაიკავა ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში, თუმცა, ნავთობმოპოვების აქციების უმრავლესობა უცხოური კაპიტალის ხელში იყო.

ვენესუელას ბუნებრივ-კლიმატური პირობები ყალიბდებოდა კონტინენტისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენების ფონზე. ქვეყანაში წარმოდგენილია მთებიც, დაბლობებიც, ტყეებიც. ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი უჭირავს ანდების მთის მასივს. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს უზარმაზარ ვაკეს, რომელიც სივრძით 900 კმ-ზე, ხოლო სიგანით 300 კმ-ზეა გადაჭიმული. ვენესუელას ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს 500—800 მეტრი სიმაღლის პლატოს, რომელიც მაღლდება ანდების მიმართულებით. ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომელთა დამუშავებაც ინტენსიურად არ მიმდინარეობს (გარდა ნავთობდამუშავებისა).

მდებარეობს რა ეკვადორის სიახლოეს, ვენესუელაში არის სუბეკვატორული ცხელი კლიმატი. განსხვავება ყველაზე ცხელ და ყველაზე ცივ თვეებს შორის არ აღემატება 5°C. ვენესუელაში ნალექები არათანაბრად მოდის, მაგალითად, მშრალი პერიოდი გრძელდება რქტომბრიდან-მარტამდე, ხოლო წვიმიანი—აპრილიდან—სექტემბრამდე. ქვეყანა მდიდარია წყლის რესურსებით. დაახლოებით ათასამდე მდი-

ნარეა, რომლებიც სათავეს ანდებიდან იღებენ. ყველაზე დიდი მდინარეა ორინოკო, რომლის აბასეინი ერთ მილიონ კვ. კმ-ს შეადგენს. იგი ამავე დროს ძნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერიაცაა, რომელიც დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ტბებიც. მათ შორის უდიდესია მარაკაბო, რომლის ფართობი 15 ათასი კვ. კმ-ია. ვენესუელის ტერიტორიის მესამედი უჭირავს საცანებს. წვიმიანი სეზონის დროს, როდესაც ადიდებული მდინარეები გარშემო საკმაოდ დიდ ფართობებს ტბორავენ, იზრდება 2 მეტრი სიმაღლის ბალახეული მცენარეულობა, მშრალი სეზონის დროს კი თითქმის ყველაფერი ხმება და აქა-იქ რჩება მხოლოდ ჭაობები, თავისი მცენარეული საფარით.

ვენესუელის კლიმატი და ნიადაგები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ძირითადი სამიწათმოქმედო ზონა მდებარეობს 300-დან 1800 მეტრის სიმაღლეზე. ცხელ სარტყელში მდებარეობს კაკაოს, შაქრის ლერწმის, კაუჩუკის, ბანანის, ციტრუსების პლანტაციები. შედარებით ზომიერ სარტყელში მოჰყავთ ყავა, კაკაო, ძირითადი საკვები კულტურები: სიმინდი, ლობიო, ბატატი. ზომიერ სარტყელშია გავრცელებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ისეთი კულტურები, როგორიცაა: თამბაქო, ქერი, ჭვავი, კარტოფილი, სავადასხვა სახის ბოსტნეული, ბალებში ბანანის, პამპისა და პალმების გვერდით ხარობს ატამი, კომში, ცლიავი. აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ მსოფლიოში ცნობილი ე. წ. „ანდის კარტოფილი" მოჰყავთ 3000 მეტრის სიმაღლეზე.

ჯერ კიდევ მაღალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წილი (აქტიური მოსახლეობის 18%), გლეხობა სოციალური და ეროვნებრივი მდგომარეობით არაერთგვაროვანია. გვხვდება გლეხები, რომლებსაც საკმაო რაოდენობით გააჩნიათ მიწის ნაკვეთი, არიან ისეთებიც, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფლად. და მფლობელობაში მიწა არ გააჩნიათ. ისინი წარმოადგენენ დაქირავებულ გლეხებს და საკმაოდ ბევრია ისეთებიც, რომლებსაც მცირე სიდიდის ნაკვეთი აქვთ, მაგრამ პარალელურად მუშაობენ მსხვილ მიწათმფლობელებთან (რომელთა რაოდენობა ქვეყანაში 3,5 ათასია). მათ ხელშია თავმოყრილი დამუშავებული მიწების ნახევარზე მეტი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის—56%, აქვთ აგრეთვე გადამამუშავებელი საწარმოები, პროდუქციის სარეალიზაციო ფართო ქსელი, ისინი ეწევიან მცირეწ�გლეხების მატერიალურ მომარაგებას. როგორც წესი, მსხვილი მიწათმფლობელები ცხოვრობენ ქალაქად, ხოლო მიწებს ამუშავებენ დაქირავებული პირები. მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ლატიფუნდი-

ების ნაწილში წარმოება მოწყობილია თანამედროვე დონეზე. ვენესუელაში სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის 1/5, მათი უმრავლესობა მეტისები და ინდიელები არიან, რომელთა პროფესიონალიზმი დაბალია. ამიტომ სოფლად უმეტესად ხელით შრომა ჭარბობს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არა აქვს გამოკვეთილი ორგანიზაციული ფორმები. გვხვდება როგორც ინდივიდუალური გლეხური წარმოებები, ისე ოჯახური იჯარაც, საიჯარო ურთიერთობები და ა. შ. ბოლო წლებში ვხვდებით მარტივი ტიპის კოოპერატიულ გაერთიანებებსაც, რომლებსაც დროებითი ხასიათი აქვთ. სახელმწიფო ნაკლებად ერევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ვერ შეხვდებით ევროპული ტიპის ურთიერთობებს, სადაც სახელმწიფო საკმარისი რაოდენობის დოტაციას აძლევს სოფლის მეურნეობას, თვით საიჯარო ურთიერთობებიც ინდივიდუალური ხასიათისაა. ქვეყნის მთელ რიგ პროვინციებში (განსაკუთრებით მთიან ზონაში) ჯერ კიდევ ვხვდებით პრიმიტიული დონის მიწათმოქმედებას, ჭარბობს წარმოების ექსტენსიური წესი, რის საშუალებასაც იძლევა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ენერგოშეიარაღების დონე დაბალია (12—16 ცხენის ძალა), თუმცა არის დიდი ლატიფუნდიები სადაც ეს მაჩვენებელი 60—65 ცხენის ძალას უდრის. ქვეყანაში არის საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა. შემოტანილი ტექნიკის 80% ამერიკული წარმოებისაა. ადგილზე ამზადებენ მხოლოდ პრიმიტიული ხასიათის მუშა-მანქანებს, რომლებიც უმთავრესად სამთო ხასიათისაა. სუსტადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტიც, რის შედეგადაც მემცენარეობის დანაკარგი 8—10%-ს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ერთობლივ ნაციონალურ პროდუქციაში მცირდება. თუ მეორე მსოფლიო ომამდე ეს მაჩვენებელი 1/3-ს შეადგენდა, დღეისათვის იგი 1/12-ია. თუმცა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობა ამ პერიოდში 28%-ით გაიზარდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხვედრითი წილის შემცირება გამოწვეულია უპირველეს ყოვლისა მრეწველობისა და განსაკუთრებით ნავთობის წარმოების ზრდით. ქვეყანაში საკმაოდ ბევრია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყრელი მიწები. დღეისათვის დამუშავებულია მათი მხოლოდ 10%-მდე. მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (სულზე) საკმაოდ მაღალია (1,27 ჰა. სახნავი, 2,3 ჰა საკარგული). სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ოპტიმალური გამოთანაბრების პროცესი, რომელიც სტიქიურად

მიმდინარეობს. 1950-იანი წლებისათვის მიწათმფლობელთა 2%-ის ხელში თავმოყრილი იყო დამუშავებული მიწების 4/5, ხოლო წვრილ-გლეხურ მეურნეობებზე, რომელთა რაოდენობაც 50%-ს აღემატებო-და—აღრიცხული მიწების მხოლოდ 2,8% იყო. ყოველივე ამის მიზეზი გახლდათ მიწების გამოყენების დაბალი დონე, მათი ნაკლებპროდუქ-ტიულობა. მსხვილი მიწათმფლობელები ეწეოდნენ ექსტენსიურ წარ-მოებას, ამიტომ მოსავლიანობის მაჩვენებელი დაბალი იყო. აქედან გამომდინარე, დაბალი იყო შრომის ნაყოფიერებაც. თუმცა უნდა აღი-ნიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდამდე შრომითი დანახარჯების აღრი-ცხვა თითქმის არ წარმოებდა. ყოველივე ამის შედეგად სოფლის მეუ-რნეობა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგი იყო, იგი ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის მოთხოვნილებას სასო-ფლო-სამეურნეო პროდუქციაზე. მაგალითად, 1950 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი ფარავდა ქვეყნის მოთხოვნილების 50%, 1960 წ. —1/3, დღეისათვის ქვეყანას დიდი რაოდენობით შემო-აქვს მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები. იმპორტის ხარ-ჯი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე 1 მილიარდ დოლარს აღემა-ტება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მდგომარეობა შეიცვალა 70-ია-ნი წლებიდან, როდესაც ქვეყანაში განხორციელდა აგრარული რეფორ-მა. სახელმწიფომ დაიწყო მსხვილი მიწათმფლობელებისაგან გამო-უყენებელი მიწების გამოსყიდვა, გარდა ამისა, მიწების სახელმწიფო მარაგიდან გამოიყო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების დიდი რაოდენობა, რომელიც დაურიგეს უმიწაწყალო გლე-ხებს. ამ ღონისძიების შედეგად მიწები მიიღო გლეხობის 60%, რომ-ლებსაც მისცეს აგრეთვე გრძელვადიანი სახელმწიფო კრედიტიც, (თუმცა, რეფორმის შემდეგაც კიდევ საკმაო რაოდენობით დარჩნენ უმიწაწყლო გლეხები). მსხვილი გლეხური მეურნეობებიც სარგებ-ლობენ სახელმწიფოს დახმარებით. ისინი იღებენ კრედიტებს და იყენ-ებენ უმიწაწყლო გლეხების დაქირავებულ შრომას. მიუხედავად ზოგიერთი უარყოფითი მოვლენისა აგრარულმა რეფორმამ მნიშვნელ-ოვანი როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალ-იზაციის საქმეში. გაიზარდა მიწის გამოყენების კოეფიციენტი, მსხ-ვილ მეურნეობებში წარმოებამ მიიღო ინდუსტრიული ხასიათი, გაი-ზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და საექს-პორტო კულტურების წარმოება.

დღეისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების 45% მოდის მემცენარეობაზე. ძირითადი სამიწათმოქმედო რაიონებია ქვე-

ყნის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი პროვინციები, სადაც მდებარეობს სახნავი მიწების 2/3. რეგიონისათვის დამახასიათებელია გვალვა, მაგრამ შემუშავებულია ირიგაციის სახელმწიფოებრივი პროგრამა, რომლის განხორციელებაც 60—იანი წლებიდან დაიწყო. დღეისათვის ირწყვება აღნიშნული რეგიონის სახნავის 2 მლნ-ზე მეტი ჰექტარი, რომელზეც იწარმოება მიწათმოქმედების საერთო პროდუქციის 40%-მდე.

დამუშავებული მიწების 1/5 უჭირავს საექსპორტო კულტურებს — კაკაოსა და ყავას. ყველაზე კარგი ხარისხის ყავა მზადდება ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, ხოლო მაღალხარისხოვანი კაკაო — კარიბის ზღვის სანაპირო ზოლში. ამავე ზონაში მოჰყავთ აგრეთვე ბამბა და თამბაქო, რომლებიც აგრეთვე საექსპორტო ხასიათის კულტურებია. მოსახლეობისათვის ძირითად მარცვლეულ კულტურას წარმოადგენს სიმინდი. რომელზეც მოდის სათესი ფართობის 1/3. ქვეყანაში სიმინდის საშუალო მოსავლიანობა 60 ცენტნერია ჰექტარზე. ამავე ზონაში მოჰყავთ აგრეთვე ბრინჯი, კარტოფილი, ლობიო, შაქრის ლერწამი. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ბოსტნეული და ხილი, რომელთაც ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვთ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში წამყვანია მეცხოველეობა, რომლის წილად მოდის საერთო პროდუქციის 55%. ძირითადად, მისდევენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას — სულადობა—5,8 მილიონია, მიმართულება — მერძეული-სახორცე. არსებობს მსხვილი, თანამედროვე ტიპის მეცხოველეობის ფერმები, სადაც პროდუქტიულობა მაღალია (თუმცა, ქვეყნის მასშტაბით საშუალო წველადობა 3,1 ათას ლიტრს არ აღემატება). მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავს თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობას, ძირითადად, თავის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. პირუტყვი წელიწადის ყველა დროს ძოვებაზეა. ბაგურ კვებას, როგორც წარმოების მეთოდს, თითქმის არ იყენებენ. მსხვილ ფერმებში მოწყობილი აქვთ კულტურული საძოვრებიც.

დიდი რაოდენობით ჰყავთ ცხენი (350—400 ათასი), რომელსაც იყენებენ როგორც მიმოსვლის საშუალებას (ზოგ შემთხვევაში მას მეხორცული მიმართულებაც აქვს). გარდა ამისა, ცხენს იყენებენ წარმოებაშიც. როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. მისდევენ მეცხვარეობასაც, ქვეყანაში 8 მილიონამდე ცხვარია, რომელიც ძირითადად ქვეყნის მთიან ზონაშია წარმოდგენილი. ჰყავთ თხები (დაახლოებით 1 მილიონამდე), განვითარებულია მეფრინველეობა. საგარეუბნო ზონა-

ში შეიქმნა თანამედროვე ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკები. მეფრინველეობა წარმოდგენილია თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში. მარცვლეულის ზონაში ჰყავთ ღორებიც. ბოლო წლებში მეცხოველეობის განვითარებას უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს, ვიდრე მიწათმოქმედებას, რაც იმით აიხსნება, რომ ქვეყანაში გაიზარდა მოთხოვნილება მცენარეულ პროდუქტებზე.

ვენესუელის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, რომლის რეწვას სამრეწველო ხასიათი აქვს. დღეისათვის, მოსახლეობის კვების ბალანსში 12% მოდის თევზეულზე, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია სამხრეთ ამერიკაში. მეთევზეობა განვითარებულია შიგა წყლებზეც, რომლებიც ასევე მდიდარია თევზის მარაგით.

ვითარდება გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც დღეისათვის უმთავრესად მცირე სიმძლავრეებითაა წარმოდგენილი. ბევრია მეცხოველეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები. ამზადებენ არა მარტო ძეხვეულს, არამედ ხორცის კონსერვებს, რძის პროდუქტებს (განსაკუთრებით, მშრალი რძის სახით), მაღალხარისხოვან ყველსა და კარაქს. ბოლო წლებში აშენდა თანამედროვე ტიპის ხორცკომბინატებიც. აქვთ მცირე მოცულობის ყავა-კაკაოს გადამამუშავებული საწარმოები, ეხვდებით კოოპერაციულ ფორმებსაც—როდესაც რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო საწარმო ქმნის თავის გადამამუშავებელ მრეწველობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყანას შემოაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, უმთავრესად აშშ-დან. ამავე ქვეყანაში გააქვთ თავისი პროდუქციის ნაწილი—ყავის, კაკაოსა და სუბტროპიკული ხილის სახით. პროდუქციის შემოტან-გატანის ბალანსში სჭარბობს შემოტანილი პროდუქციის მოცულობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს სასურსათო პრობლემა, რომელიც დაუყონებლივ გადაჭრას მოითხოვს.

კოლუმბია

კოლუმბია — რესპუბლიკაა. იგი მდებარეობს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთით. მისი ტერიტორია 1,13 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—28 მილიონი, დედაქალაქი — ბოგოტა. ქვეყანა მთიანი მასივებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. კოლუმბია ევროპელებმა პირველად 1499 წელს აღმოაჩინეს და მას „ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა“ უწოდეს. მართლაც ესპანელებმა კოლუმბიიდან აურაცხელი სიმდიდრე გაიტანეს. დღესაც ქვეყანას „პრინცებისა და მათხოვრების“ ქვეყანას ეძახიან, რაც აშკარად გამოხატულ კლასობრივ დიფერენციაციაზე მიუთითებს.

ვენესუელის მსგავსად ევროპელებმა კოლუმბიის ათვისებაც თანდათანობით დაიწყეს. შექმნეს უზარმაზარი ლატიფუნდიები. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1810—1819 წლებში, რის შედეგადაც ქვეყანამ სუვერენიტეტი მოიპოვა. 1899 წ. დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელსაც შეეწირა 100 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე. კოლუმბიის მოსახლეობის ჩამოყალიბება მიმდინარეობდა 3 საუკუნის განმავლობაში, ძირითადი ეთნოსი ადგილობრივი და ევროპელი მოსახლეობის შთამომავლები არიან. დღეისათვის ქვეყანაში ჭარბობს მეტისები, არიან აფრიკის კონტინენტიდან მონებად ჩამოყვანილი ზანგების შთამომავლებიც.

ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური პირობები მრავალფეროვანია. ტერიტორიის 1/3 უჭირავს ანდებს, 2/3 დაბლობებს — ჩრდილოეთით მდებარეობს კარიბის ზღვისპირა დაბლობი — მკაცრი მშრალი კლიმატით. სამხრეთით წარმოდგენილია ე. წ. კოლუმბიის ამაზონის ზონა, რომელიც მოიცავს ამაზონის აუზის საწყის დაბლობებს და თითქმის მთლიანად დაფარულია ტროპიკული ტყეებით. მთიანი სისტემა, რომელიც კორდილიერების სახითაა წარმოდგენილი, ხასიათდება მაღალი მწვერვალებით და წარმოადგენს წყალგამყოფ ბარიერს, წყნარი და ატლანტის აუზის მდინარეებისათვის. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით. ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარეა მაგდალენა, რომლის სიგრძე 1550 კმ-ია, იგი ამავე დროს წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიასაც. მდინარე მრავალრიცხოვანი შენაკადებით ხასიათდება, მისი აუზი მოიცავს დაჭაობებულ ადგილებს, რომელიც გაუვალი ჯუნგლების მუდმივი თანამგზავრია. ბევრია ტბები.

მდებარეობს რა ეკვატორზე, განედებზე ქვეყანაში ვხვდებით კლიმატური სარტყლის მრავალსახეობას. კერძოდ, ვერტიკალური ზონალობის მიხედვით წარმოდგენილია ცხელი ეკვატორი, საშუალო, ზომიერი და მუდმივი თოვლით დაფარული ზონები. წყნარი ოკეანიდან მონაბერი მუდმივ ქარებს თან მოჰყვება დიდი რაოდენობით ტენი. მაგალითად, წლის განმავლობაში 9000 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის თუმცა ვხვდებით რაიონებს, სადაც ეს მაჩვენებელი 250—300 მმ-ს არ აღემატება, კერძოდ, კოლუმბიის ჩრდილოეთით. ძალზედ მრავალფეროვანია ნიადაგობრივ-მცენარეული საფარიც. ქვეყანაში გვხვდება თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი, ტროპიკული და სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი ხე-მცენარეებითა და ბალახეულობით.

კოლუმბია მდიდარია წიაღისეულით, არსებობს უნიკალური ჯი-

შის ხე-ტყის საკმაოდ დიდი მარაგი და წყლის ენერგიის მდიდარი შესაძლებლობები. ქვეყანაში ბევრია ოქრო — მისი მოპოვებით იგი მერვე ადგილზეა მსოფლიოში, მოიპოვება აგრეთვე საქვეყნოდ ცნობილი ძვირფასი თვლები (ზურმუხტი). ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები სუსტადაა ათვისებული (მაგალითად, ჰიდროენერგო პოტენციალი მხოლოდ 2%-ითაა გამოყენებული). ტყეს უჭირავს 70 მლნ ჰექტარი (ბრაზილიისა და პერუს შემდეგ მესამე ადგილზეა სამხრეთ ამერიკაში), მისი ათვისება ნელი ტემპით მიმდინარეობს და ძირითადად ადგილზე გამოიყენება საწვავად.

მოსახლეობის 60% ცხოვრობს ქალაქად. ქალაქები — ბოგოტა, მედელინი და კალი სამ მილიონიანია. ქვეყანაში დასახლება არათანაბარია. მაგალითად, ტერიტორიის 2/5-ზე ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 2%, საშუალო სიმჭიდროვე 11 კაცია, თუმცა გვხვდება რაიონები სადაც ეს მაჩვენებელი 550—600 კაცს აღწევს.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება მძიმე პირობებში მიმდინარეობდა. რომელსაც უმთავრესად ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა და წარმოდგენილი იყო ნედლეულის მოპოვებით და სოფლის მეურნეობით. 1906 წელს აღმოაჩინეს ნავთობის მდიდარი მარაგი. მისი დამუშავებით ქვეყანა დაადგა განვითარების ინდუსტრიულ გზას.

კოლუმბიის სოფლის მეურნეობა ნელი ტემპით ვითარდება. ქვეყანაში გვხვდება, როგორც მსხვილი ლატიფუნდიები, ისე მცირე მოცულობის გლეხური მეურნეობები. სოფლად მცხოვრებთა 17% არ ფლობს მიწას და იძულებულია იმუშაოს ქირით. ტექნიკური თვალსაზრისით სოფლის მეურნეობა ჩამორჩენილია, ჭარბობს ხელით შრომა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას არაორგანიზებული ხასიათი აქვს. ბევრია მიტოვებული მიწები, წარმოება ექსტენსიურია. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. 70-იანი წლებიდან სოფლის მეურნეობას შედარებით ორგანიზებული ხასიათი მიეცა, შეიქმნა თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, მაგრამ მათი რაოდენობა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მხოლოდ 3%-ია. დღეისათვის, ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი (არასრული მონაცემებით) 21 ცხენის ძალას უდრის, მისი გამოყენების კოეფიციენტიც ძალზე დაბალია. სასუქების მოხმარება 80—100 კგ. ჰექტარზე. სოფლის მეურნეობაში იქმნება ქვეყნის ეროვნული შემოსავლის 22%. დამუშავებაშია ტერიტორიის 3,3%, აქტიური სასოფლო-სამეურნეო მიწების რაოდენობა 3,7 მლნ. ჰექტარია. სოფლად ცხოვრობს 11 მილიონამდე კაცი, რომე-

ლთა უმრავლესობაც დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოება ორი მიმართულებისაა — საექსპორტო და ადგილობრივი დანიშნულების. საექსპორტო წარმოების ორგანიზაცია, აგროტექნიკა და მექანიზაცია უმეტესად თანამედროვე მოთხოვნების დონეზეა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ყავა, რომელიც იძლევა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 1/3. მისი 95% მიდის ექსპორტზე, ყავის ფართობები 1,1 მლნ. ჰექტარს აღემატება. მსოფლიო ბაზარზე კოლუმბიის ყავა დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს, ვინაიდან იგი უმაღლესი ხარისხისაა. ყავა მოჰყავთ ქვეყნის ყველა რაიონში, მაგრამ მისი პლანტაციების 75% და საერთო მოსავლის 85% მოდის ანტიოკიისკის მთის წინა დეპარტამენტებში. საერთო მოსავალი 0,55 მლნ. ტონაა. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ კოლუმბიის ყავის მაღალი ხარისხი დაკავშირებულია განსაკუთრებულ ნიადაგობრივ-კლიმატურ პირობებთან. იგი ძირითადად მოჰყავთ წვრილგლეხურ მეურნეობებში, რომელთა ფართობი 6 ჰექტარამდეა ან ლატიფუნდისტებისაგან იჯარით აღებულ მიწებზე.

კოლუმბიაში გავრცელებულია აგრეთვე ბამბის კულტურა, რომელსაც უკავია 200 ათას ჰექტარამდე მიწის ფართობი. მოსავლიანობა მაღალია, მოვლა-მოყვანის სამუშაოები თითქმის მთლიანად ხელით წარმოებს. კოლუმბიური ბამბა გამოირჩევა მაღალი ხარისხით და კონკურენტუნარიანობით. მებამბეობა მოითხოვს დიდ ფართობებს, ამიტომ ეს კულტურა ძირითადად მსხვილ მემამულურ მეურნეობებშია განვითარებული.

შაქრის ლერწმის პლანტაციები წარმოდგენილია დიდი აგროსამრეწველო კომპლექსების სახით. მისი წარმოება ინდუსტრიულ საფუძველზეა. ფართოდ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ნედლეულის გადამუშავება წარმოებს შაქრის ქარხნებში, რომლებიც წარმოდგენილია როგორც პირველადი გადამუშავების (ძირითადად მცირე წარმადობის), ისე დიდი, თანამედროვე ტიპის ქარხნების სახით. კოლუმბიური შაქარი ხასიათდება მაღალი ხარისხით და კონკურენტუნარიანობით.

საშუალო და წვრილგლეხურ მეურნეობებში მოჰყავთ კაკაო. მის მოვლა-მოყვანას ჯერ კიდევ პრიმიტიული ხასიათი აქვს. კაკაოც საექსპორტო პროდუქტად ითვლება, თუმცა მის წარმოებას ხელს უშლის, უფრო მომგებიანი კულტურის — ყავის ინტენსიური განვითარება.

წვრილგლეხურ მეურნეობებში მოჰყავთ აგრეთვე უმაღლესი ხარისხის თამბაქოც, რომლის ნათესები ძირითადად მთისწინა კალთებ-

ზეა წარმოდგენილი. იგი გაადგილებულია პატარ-პატარა ნაკვეთებზე, სხვა კულტურებთან შეთანაწყობით, თუმცა გვხვდება სპეციალიზებული თამბაქოს მეურნეობებიც, რომელთაც საკუთარი გადამამუშავებელი მრეწველობაც კი აქვთ. თამბაქოს ნედლეულის დიდი ნაწილი მუშავდება ადგილობრივ, ხოლო ნაწილი (30%-მდე) გააქვთ მექსიკაში.

მსოფლიო ბაზარზე კოლუმბია წარმოდგენილია აგრეთვე ბანანით, რომლის პირველი კომერციული პლანტაცია გაშენდა ჯერ კიდევ 1844 წელს. ქვეყანაში ბანანის თვალუწვდენელი პლანტაციებია. საერთო მოსავლის 80% საექსპორტოა. ძირითადად გააქვთ ევროპის ქვეყნებში, ბანანის ძირითადი რაიონებია კარიბის ზღვის სანაპირო ზოლი. კოლუმბიაში მოჰყავთ აგრეთვე კივი და პამპა, რომელთა პროდუქციაზეც დიდი მოთხოვნილებაა ევროპაში.

კოლუმბიაში წარმოდგენილია საკვები კულტურებიც, კერძოდ, მარცვლეული, ძირითადად, სიმინდი (1 მლნ. ჰა. სახნავი). აგრეთვე კარტოფილი და პარკოსნები. აღნიშნული კულტურების წარმოებას ნახევრად ნატურალური ხასიათი აქვს და გათვალისწინებულია ადგილობრივი მოხმარებისათვის. მარცვლეული მოჰყავთ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სარწყავ მიწებზე: მოსავლიანობა მაღალია, მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა საკუთარი წარმოების მარცვლეულით ქვეყანა მხოლოდ 60%-ით არის უზრუნველყოფილი. დანარჩენი- შემოაქვთ ძირითადად აშშ-დან. მოჰყავთ ბერი, ჭვავი და მცირე ოდენობით ხორბალი. კარტოფილის წარმოებას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. ეს კულტურაც გაადგილებულია წვრილგლეხურ მეურნეობებში და მოჰყავთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. კოლუმბია თითქმის მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებას კარტოფილზე.

საგარეუბნო ზონაში მთელი წლის განმავლობაში მოჰყავთ ღია გრუნტის ბოსტნეულ-ბაღჩეული. ამზადებენ პომიდვრისა და სხვა პროდუქტების ვიტამინიზებულ წვენებს. ამავე ზონაშია გავრცელებული მეხილეობაც, რომელიც მოიხმარება როგორც ნატურალური, ისე გადამუშავებული (წვენები, კომპოტები) სახით. მცირეოდენობით გაშენებულია ვენახიც, რომელიც წარმოდგენილია როგორც სუფრის, ისე სამრეწველო ჯიშებით. ამზადებენ ღვინოს და მაგარ სასმელებს:

ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობა, რომელიც ატარებს ექსტენსიურ ხასიათს და მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია კონცენტრირებული. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი — 3,6 მლნ. სული, მათ შორის 800 ათასზე მეტი მეწველი ფური. მიუხედავად იმისა, რომ საკვებად იყენებენ ნოყიერ ბუნებრივ საძოვრებს, პირუ-

ტყვის პროდუქტიულობა დაბალია (2800—3000 ლიტრი ფურზე). ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის პირუტყვიც, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ძოვებაზეა. მსხვილი მეურნეობები ფლობენ გადამამუშავებელ საწარმოებს, ამზადებენ ყველს, კარაქს, რძის ფხვნილს, შესქელებულ რძეს, ძეხვეულსა და სხვა პროდუქტებს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის პროდუქცია გამოიყენება შიდა ბაზრისათვის.

ქვეყანაში წარმოდგენილია აგრეთვე მეცხვარეობაც (5,6 მლნ. სული). არსებობს როგორც მსხვილი სპეციალიზებული, ისე წვრილგლეხური მეურნეობებიც (როგორც წესი, 2—3 სული ცხვარი ყველა გლეხურ მეურნეობაშია). კოლუმბიური ცხვარი ხასიათდება ნაზმატყლიანობით. მისგან ამზადებენ საქვეყნოდ ცნობილ შალს. მეღორეობას ადგილობრივი ხასიათი აქვს და ისიც ცხვრის მსგავსად ყველა გლეხურ მეურნეობაშია გაადგილებული, თუმცა მოსახლეობაში ღორის ხორცი დიდი მოთხოვნილებით არ სარგებლობს.

1970 წლიდან დიდი ტემპით დაიწყო მეფრინველეობის განვითარება, რამაც სამრეწველო ხასიათი მიიღო. შეიქმნა დიდი და მცირე მოცულობის მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც ევროპული ქვეყნების მსგავსად კოოპერაციულ საწყისებზე მუშაობენ. მეფრინველეობას აქვს როგორც საბროილერო, ისე საკვერცხე მიმართულება და მარცვლეულის ძირითადი წარმოების ზონებშია განლაგებული. მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, მეფრინველეობა მაინც ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოებით. წარმოდგენილია მეფუტკრეობაც, რომელსაც უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

შედარებით კარგადაა წარმოდგენილი კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობა. მათი უდიდესი ნაწილი გაადგილებულია ნედლეულის წარმოების ძირითად რეგიონებში, ბოლო პერიოდში შეიქმნა თანამედროვე ტიპის ავტომატიზებული სამრეწველო საწარმოები.

ამრიგად, მიუხედავად ფალრესად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და კოლოსალური შესაძლებლობებისა, კოლუმბიის სოფლის მეურნეობა მხოლოდ 75%-ით უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს. დანარჩენი შემოაქვთ აშშ-დან. ძირითადად შემოაქვთ მარცვლეული და მეცხოველეობის მზა პროდუქცია (ძირითადად რძის ფხვნილი სახით). ქვეყნის ექსპორტის ძირითადი სახეობაა: ყავა, კაკაო, სუბტროპიკული ხილი, რომლებზეც საკმაოდ დიდი მოთხოვნილებაა, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში.

სასოფლო-სამეურნეო კადრებს ამზადებენ ქვეყნის უნივერსიტეტებში. ბოლო პერიოდში შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიც.

ეკვადორი

ეკვადორი მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით. მას ესაზღვრება წყნარი ოკეანე, კოლუმბია და პერუ. ქვეყნის ტერიტორია 284 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 8,7 მილიონი, დედაქალაქია — კიტო. ეკვადორი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყანაა, რომელსაც სათავეში უდგას პრეზიდენტი.

ეკვადორზე ადრეული პერიოდიდან ცხოვრობდნენ ინდიელთა სხვადასხვა ტომები. მის ჯუნგლებში დღესაც გვხვდება პირველყოფილ ადამიანთა ჯგუფები. ისინი თავს ირჩენენ მეთევზეობით, მონადირეობით და პრიმიტიული მიწათმოქმედებით. ევროპელები ქვეყანაში პირველად XVI საუკუნეში გამოჩნდნენ, ეძებდნენ რა ოქროს საბადოებს. ისინი თანდათანობით ახდენდნენ ქვეყნის კოლონიზაციას, აშენებდნენ პლანტაციებს, სადაც იყენებდნენ ინდიელთა შრომას. 1822 წელს ეკვადორმა ქვეყნიდან განდევნა ესპანელები და შევიდა დიდი კოლუმბიის შემადგენლობაში, 1830 წელს კი ქვეყანამ სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ეკვადორის ბუნებრივ-კლიმატური პირობები ტენიან-ტროპიკულია, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური თვისებები. ქვეყანა ანდების მთიანი მასივისაგან ორ ნაწილადაა გაყოფილი. ყველაზე მაღალი მწვერვალი 6262 მ-ზე მდებარეობს ზღვის დონიდან. ანდები ასრულებს წყლის გამყოფის როლს ქვეყნის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. დედაქალაქი კიტო მდებარეობს ზღვის დონიდან 2862 მ. სიმაღლეზე, სადაც ყველაზე თბილი თვის საშუალო ტემპერატურა +13°C, ხოლო ცივის — 1°. როგორც ვხედავთ, ქალაქი რომელიც მაღალ ვერტიკალურ სარტყელში მდებარეობს, არ განიცდის ტროპიკული კლიმატის გავლენას.

ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000 მმ. წვიმიანი და მშრალი სეზონი შედარებით სუსტადაა გამოკვეთილი. ყველაზე ნაკლებად წვიმა ივლის-სექტემბრის თვეებში მოდის, მთებში იცის ძლიერი თოვლიც. თოვლის ინტენსიური დნობა იწვევს ნიაღვრებს, რომელიც სპობს ნათესებს და დიდ ზიანს აყენებს სოფლის მეურნეობას.

ქვეყნის ნიადაგობრივი საფარი მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება. მათი წარმოშობა ვულკანური ხასიათისაა: მდიდარია მცენარეული საფარიც, ვხვდებით ფოთლოვან. წიწვოვან, ბუჩქნარსა და უდაბნოს ტიპის ხე-მცენარეებს. მთებში მაღალნოყიერი ბუნებრივი საძოვრებია წარმოდგენილი.

ქვეყნის ტერიტორიის ნახევარი დაბლობებს უჭირავს, რომელიც ხელსაყრელია მიწათმოქმედებისათვის. თუმცა, ამ მიმართულებით იგი

ჯერ-ჯერობით ნაკლებადაა ათვისებული. ამჟამად მიმდინარეობს ამ რეგიონის სამრეწველო ათვისება. ქვეყანაში წყლის რესურსები მოჭარბებულია. მდინარეებში წყლის მარაგი წლის განმავლობაში იცვლება, დაბლობები ხშირად დაჭაობებულია, რაც აძნელებს მათ სამრეწველო ათვისებას. გვხვდება გაუვალი ჯუნგლებიც, სადაც მცენარეული საფარი მრავალფეროვანია.

ეკვადორის მოსახლეობა არაერთგვაროვანია. აქ ცხოვრობენ მულატები, მეტისები, ინდიელები, ევროპიდან გადმოსულთა შთამომავლები და სხვ. მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალია, მაგრამ მიუხედავად ამისა შრომითი რესურსების დეფიციტი იგრძნობა. დასახლება არათანაბარია. მაგალითად, ქვეყნის ტერიტორიის 40%-ზე ცხოვრობს მოსახლეობის 1,5%. მაღალია ურბანიზაციის პროცესი. თუ 50-იან წლებში ქალაქად ცხოვრობდა 20%, დღეს ეს მაჩვენებელი 50%-ს აღემატება. აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 2,1 მილიონი კაცია, რომელთა ნახევარი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. მრეწველობაში აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 1/4-ია დასაქმებული, ერთი ამდენი კი ხელოსნობითა და მომსახურებით ირჩენს თავს.

ეკვადორი ეკონომიკურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, სადაც გვხვდება როგორც კაპიტალისტური ტიპის საწარმოები, ისე დიდი რაოდენობის წვრილი ფერმები. მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილია ნავთობის საკმაოდ დიდი მარაგი და მისი ექსპლოატაცია ინტენსიურად მიმდინარეობს, ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ ჩადგა განვითარებული ქვეყნების რიგში.

კოლონიური პერიოდიდან ეკვადორის სოფლის მეურნეობა ორიენტირებული იყო საექსპორტო პროდუქტების წარმოებაზე, რამაც ეამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვიწრო სპეციალიზაცია და ეს დღემდეა შემორჩენილი. ქვეყანა აწარმოებს ყავას, კაკაოს, ბანანს, რომელიც დიდი რაოდენობით გაქვთ ევროპის ქვეყნებში. სამაგიეროდ, შემოაქვთ მარცვლეული (განსაკუთრებით ხორბალი) ხორცისა და რძის პროდუქტები.

ვხვდებით დიდ მემამულურ მეურნეობებს, რომელთა უდიდესი ნაწილი ექსტენსიურ წარმოებაზეა და ამავე დროს ბევრია უმიწაწყლო ან მცირემიწიანი გლეხები. მიწაზე საკუთრებამ ჩამოაყალიბა იჯარის თავისებური ფორმები, კერძოდ: როგორც ფულადი, ისე ნატურალური ანაღლებრება.

1973 წელს ქვეყანაში გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის მიზანი იყო გლეხობისათვის მიწების დარიგება და დიდი ლატიფუნ-

დიური მეურნეობების ლიკვიდაცია. რეფორმა შეეხო გლეხების გარკვეულ ნაწილს, უმრავლესობა კი ისევ უმიწაწყალოდ ან მცირემიწიანი დარჩა. ამჟამად, ინტენსიურად მიმდინარეობს აუთვისებელ რეგიონებში გლეხების სახელმწიფო მიწებზე გადასახლების პროცესი. ამ შემთხვევაში მათ მიწები ურიგდებათ უფასოდ ან კრედიტით. ეკვადორის სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ნახევრად პრიმიტიულ მდგომარეობაშია. მცირეა ენერგეტიკული რესურსები, (ენერგოშეიარაღება 20 ცხ. ძალას უდრის). სჭარბობს ხელით შრომა, ტექნიკა ძირითადად შემოაქვთ აშშ-დან. სასოფლო-სამეურნეო საკარგულებს უჭირავს 6 მილიონი ჰექტარი, რომელთაგან 2,8 მილიონი სახნავია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთო ოდენობაში სჭარბობს მემცენარეობის პროდუქცია, რომლის ხვედრითი წილი 58%-ია. მართალია ნიადაგები მაღალნაყოფიერებით ხასიათდება, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა მაინც დაბალია. ამის მიზეზია ის, რომ ნაკლებად იყენებენ მინერალურ სასუქებს და კულტურების მოვლა-მოყვანაც მოძველებული წესით წარმოებს.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ბანანი, კაკაო და ყავა, რომელთა წილად მოდის ეკვადორის საერთო ექსპორტის 1/3. ქვეყანაში არსებობს ამ კულტურების სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც სასაქონლო პროდუქციის ნახევარზე მეტს ამზადებენ. დანარჩენი წვრილგლეხურ მეურნეობებში იქმნება. მაღალ ღონეზეა საექსპორტო პროდუქციის შენახვა-გადამუშავება, არსებობს სპეციალური საშრობი საწარმოები, რომლებიც აღნიშნული პროდუქციის წარმოების რეგიონებშია გაადგილებული. საკმაოდ ვრცელი ფართობი უჭირავს სუბტროპიკულ კულტურებს. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი, რომელიც გააქვთ როგორც ჩრდილოეთ ამერიკის (განსაკუთრებით კანადაში), ისე ევროპის ქვეყნებში. შაქრის ლერწმის გადამუშავებას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. ბამბა, რომლის ნათესებიც ტროპიკულ და მშრალ სუბტროპიკულ სარტყელში მდებარეობს, გააქვთ ქვეყნის გარეთ. თითქმის ყველგან მოჰყავთ კარტოფილი, რომელიც მოსახლეობის (განსაკუთრებით, სოფლის მოსახლეობის) კვების ძირითადი პროდუქტია. საგარეუბნო ზონაში ღია გრუნტის სახით ვითარდება მებოსტნეობა, სუბტროპიკულ ზონაში კარგი პერსპექტივები აქვს მეხილეობისა და მევენახეობის განვითარებას, თუმცა, ჯერ-ჯერობით აღნიშნული კულტურების გავრცელებას სტაბილური ხასიათი არა აქვს.

ქვეყანას მარცვლეული არ ჰყოფნის, იგი დიდი რაოდენობით

შემოაქვთ აშშ-დან. მოჰყავთ სიმინდი, ქერი, ბრინჯი, რომელთა საშუალო მოსავლიანობა დაბალია. მარცვლეულს უკავია ცალკეული ნაკვეთები, რომლებიც არ იძლევიან მექანიზაციის გამოყენების ფართო საშუალებას. მაგალითად, სიმინდის კულტურის კულტივაცია, ძირითადად ხელით წარმოებს. აგრარული რეფორმის განხორციელებამ გარკვეული სტიმული მისცა მარცვლეული კულტურების განვითარებას, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით მათი წარმოება არ აღმოჩნდა ხელსაყრელი. სწორედ ამიტომ მიეცა ფართო ხასიათი ტრადიციული საექსპორტო კულტურების წარმოებას, რომლებიც მაღალი შემოსავლებით ხასიათდებიან.

წარმოდგენილია მეცხოველეობაც. კერძოდ, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში 2,3 მილიონიდან 4,7 მილიონამდე გაიზარდა. ჰყავთ ცხვარი და ღორიც. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ძირითადად წარმოდგენილია დიდი მეურნეობების სახით (2000 სული და მეტი). იყენებენ როგორც ბაგურ კვებას, ისე ძოვებას. საძოვრები უმეტესად ნოყიერია. მერძეული ჯოგის პროდუქტიულობა დაბალია (ერთ მეწველ ფურზე 700 ლიტრამდე). რძე ძირითადად გადამუშავებაზე მიდის, თუმცა ნატურალური სახითაც ხმარობენ.

შედარებით კარგადაა წარმოდგენილი მეცხვარეობა, რომელსაც მომთაბარე ხასიათი აქვს. ამ მიზნით კარგად იყენებენ მთის იალაღებს. ცხვრის სულადობა 9 მილიონს აღემატება, ამზადებენ მაღალი ხარისხის მატყლს, რომლის ნაწილი მიდის კუსტარულ წარმოებაზე, ხოლო ნაწილი (დაახლოებით 30—35%) გაიქვთ საზღვარგარეთ. არსებობს მეცხვარეობის სპეციალიზებული ფერმები. თუმცა ცხვარი ადგილობრივი მოხმარებისათვის (ისე, როგორც ღორი) ჰყავთ ყველა გლეხურ მეურნეობაში. არსებობს მეღორეობის პატარ-პატარა ფერმები (50—100 სული). ღორის საკვებად იყენებენ, როგორც კომბინირებულ საკვებს, ისე ხილს. საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავთ თხები, ლამები, ცხენები, სახედრები, რომლებიც გამოიყენება აგრეთვე როგორც ცოცხალი გამწევი ძალა.

საგარეუბნო ზონაში ვითარდება მეფრინველეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს. თუ მეცხოველეობის პროდუქტები (ძირითადად, ძეხვეული და რძის ფხვნილი), ქვეყანას დიდი რაოდენობით შემოაქვს სხვა ქვეყნებიდან, მეფრინველეობის პროდუქცია (ხორცი, კვერცხი), ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს.

ქვეყანაში ნათლადაა გამოკვეთილი სამი ძირითადი სასოფლო-

სამეურნეო ზონა: პირველი — საექსპორტო პროდუქციის (ყავა, კაკაო, ბანანი, სუბტროპიკული ხილი) წარმოების, მეორე — სადაც ძირითადად პროდუქცია მოჰყავთ შიგა მოხმარებისათვის, მესამე — მთის მეცხოველეობის ზონა, რომელიც ანდების მთის კალთებს მოიცავს (არსებობს მეოთხე ზონაც რომელიც ჯერ კიდევ ათვისების პროცესშია).

ეკვადორის ტერიტორიული წყლები მდიდარია თევზით, ამიტომ ზღვისპირა ზოლში განვითარებულია მეთევზეობა, რომელსაც ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს.

ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო განათლება.

პერუ

პერუ ლათინური ამერიკის ერთ-ერთი დიდი ქვეყანაა: მისი ფართობი 1285 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა — 18,5 მილიონი, დედაქალაქია — ლიმა. დასავლეთით ივი ესაზღვრება წყნარ ოკეანეს (სანაპირო ზოლის სიგრძე 1600 კმ-ია), აღმოსავლეთით — ჩილეს, ბოლივიას. ბრაზილიას, ჩრდილოეთით კი—კოლუმბიას. სანაპირო ზოლს ახლოს ქვეყანას გასდევს ანდების მთიანი მასივი. პერუს ანდებში სათავეს იღებს მსოფლიოში ყველაზე წყალუხვი მდინარე ამაზონი. ტერიტორიის 3/5 მოდის დაბლობზე, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს და ნაკლებადაა დასახლებული.

თანამედროვე პერუ — რესპუბლიკაა, სახელმწიფო ენა ესპანურია, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, რომელთა ათვისებაც საწყის მდგომარეობაშია (მათი დასახელება 80-მდეა). განსაკუთრებით მაღალი ხარისხისაა სპილენძი, რომელიც გააქვთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მდიდარი და მრავალფეროვანია ტყის მასივები. რომელიც ფარავს ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს (87 მლნ. ჰექტარი).

ევროპელებმა პერუ აღმოაჩინეს 1532 წელს. ამ პერიოდიდან იწყება მისი ათვისებაც: 1821 წელს ქვეყანამ მიიღო სუვერენიტეტი და დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. პერუში ბევრია ინდიელთა კულტურის ძეგლები, რომლებიც მიუთითებენ მათი ცივილიზაციის მაღალ დონეს. მაგალითად, დღემდე შენარჩენილია ორიგინალური სარწყავი სისტემა, რომელიც თავისი კონსტრუქციული სრულყოფით დღესაც ანცვიფრებს მნახველს.

მრავალფეროვანია პერუს ბუნება, რომელსაც ღრმა კონტრასტულობა ახასიათებს. მაგალითად, კორტას პროვინცია ოკეანის სანა-

პირო ზოლს მისდევს 80—180 კილომეტრის სიგანით, რომელიც დაფარულია ანდებიდან ჩამომდინარე სწრაფი მდინარეებით. ამ პროვინციის კლიმატი ცხელია და მშრალი (საშუალო წლიური ტემპერატურა 20°-ია), აღნიშნული ზონა ზამთრობით განიცდის ციკლონების ზემოქმედებას, სანაპირო ზოლის სამხრეთი ნაპირი კი განიცდის ოკეანის ცივი დინების ზეგავლენას, რის შედეგადაც ამ ზონაში საშუალო წლიური ტემპერატურა +6°C-ია. პერუში ვხვდებით ჯუნგლებს და უდაბნოებს, მაღალმთიან ადგილებს, წიწვოვან მცენარეებს და კაქტუსებს. ნიადაგობრივი საფარიც მრავალფეროვანია. ვხვდებით ნაყოფიერ და ხირხატ, დაჭაობებულ და ქვიშნარ ნიადაგებს. ყველას თავისებური მცენარეული საფარი ახასიათებს. პერუს ანდებში დაახლოებით 38 მწვერვალია, რომელთა სიმაღლე 6 ათას მეტრს აღემატება, მათ შორის უმაღლესი 6468 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

პერუ კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთის ნაკლებად ათვისებული რაიონები და დასავლეთის ზღვისპირა ზოლი. თუმცა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, გვხვდება მშრალი და უდაბნოს ტიპის ადგილებიც.

კლიმატითა და მცენარეული საფარით პერუს ანდები თავის მხრივ განსაკუთრებულ სამყაროს წარმოადგენს, მაღალი ქედები ბუნებრივ, გადაულახავ ბარიერს ქმნიან ატლანტიდან მონაბერი ჰაერის ტენიანი მასებისათვის, ამიტომ ანდების აღმოსავლეთ ნაწილში მრავალფეროვანი მცენარეული საფარია, ხოლო დასავლეთით — მშრალი კლიმატისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარი. პერუს ტერიტორიის 3/5 უჭირავს ტყეებს.

პერუს მოსახლეობა შედგება ინდიელების, მეტისებისა და ევროპელების შთამომავლებისაგან. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის ზრდის ტემპი დაბალი იყო. ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან კი დაიწყო მოსახლეობის მატება, რის შედეგადაც დღეს პერუს მოსახლეობა ერთ-ერთი ახალგაზრდაა მსოფლიოში (მაგალითად, 14 წლამდე ასაკისაა საერთო რაოდენობის 2/5). დღევანდელ პერუში მოსახლეობის 3/5 ცხოვრობს ქალაქად, ხოლო დანარჩენი ნაწილის მოსახლეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას კოლოსალური ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნია, მისი მოსახლეობის 1/5 უმუშევარი ან ნახევრად უმუშევარია.

თანამედროვე პერუ აგრარული ქვეყანაა, განვითარებულია აგრეთვე სამთო მრეწველობა და მეთევზეობა: ქვეყანაში აგრარული ნედლეულის მწარმოებლის სპეციალიზაცია ყალიბდებოდა ისტორიუ-

ლად, ბოლო წლებში განხორციელდა რიგი რეფორმებიც, რომლებმაც დადებითი გავლენა მოახდინეს ქვეყნის ეკონომიკაზე.

მიუხედავად მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელი პირობებისა, პერუს სოფლის მეურნეობა წლების განმავლობაში კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მიზეზი ის იყო, რომ ქვეყანაში არსებობდა მსხვილი ლატიფუნდიები, რომელთა მფლობელებიც არ იყვნენ დაინტერესებული ინტენსიური წარმოებით. 1970 წლამდე ქვეყნის სოფლის მეურნეობა წარმოების ექსტენსიურ ჩარჩოებში იმყოფებოდა. მიწათმფლობელთა 0,1%-ის ხელში თავმოყრილი იყო სავარგულთა 69%. ლატიფუნდისტები იჯარით აძლევდნენ მიწებს უმიწაწყალო გლეხებს, ეს უკანასკნელი კი დაინტერესებულნი იყვნენ მიწის მაქსიმალური ექსპლოატაციით, რაც საბოლოო ანგარიშით ფიტავდა მიწას და შემდეგ გადადიოდა მოტიტვლებული მიწების კატეგორიაში.

1968 წელს განხორციელდა აგრარული რეფორმა, რომელმაც დადებითი როლი შეასრულა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. დღეისათვის, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის ნახევარი. რეფორმის შედეგად მემამულეთა მიწებიდან ექსპროპირებული იყო 11 მლნ. ჰექტარზე მეტი, რომელიც გადაეცა უმიწაწყალო გლეხებს. 20 წლის გამოსასყიდი ვადით, ამავე დროს მიეცათ კრედიტებიც. რეფორმის გატარებისას შეღავათებით სარგებლობდნენ ინდიელები და ის გლეხები, რომლებიც ერთიანდებოდნენ კოოპერატივებში. 1980 წლისათვის ქვეყანაში ითვლებოდა 2,5 ათასი ინდიელთა თემი, რომელზეც მოდიოდა დამუშავებული მიწების 2/5 და საძოვრების — 4/5. როგორც ვხედავთ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დომინანტობს ინდიელთა ტომები, რომლებიც ქვეყნის ძირძველი მოსახლეობაა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ჩამოყალიბდა აგროსამრეწველო კომპლექსები, რომლებიც მუშაობენ უნარჩენო ტექნოლოგიის პრინციპით. წარმოების ორგანიზაციის ასეთი ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მეტად მისაღები აღმოჩნდა პერუსათვის. მაგალითად, ერთ-ერთი ძირითადი კულტურის — შაქრის ლერწმის წარმოებისათვის შეიქმნა კოოპერატივები, რომლებიც გადაიქცნენ მსხვილ მასშტაბურ საწარმოებად, სადაც ნედლეულის წარმოებასთან ერთად ხდება მისი გადამუშავებაც, მის ბაზაზე არსებობს, ლიქიორი-არყის, ცელულოზის, ქიმიური საწარმოები, ნარჩენებზე კი — მელორეობის ფერმები და ა. შ. ქვეყანაში რამდენიმე მსხვილი ასეთი საწარმოა, რომელთა წილად მოდის ფხვნილი შაქრის წარმოების 52%, ლიქიორისა და არყის—38% და ა. შ. (მაგალითად „კორა გრანდეს“

კომპლექსი ფლობს 129 ათას ჰექტარ მიწას. აქედან დამუშავებულია 28 ათასი ჰა, აქვს 7 შაქრის, 5 ლიქიორ-არყის, 2 ცელულოზა-ქაღალდისა და 1 ქიმიური ქარხანა. ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ აქვს აგრეთვე ფართო საავჭრო ქსელი, მთლიანად კომპლექსში დასაქმებულია 35 ათას კაცზე მეტი).

სოფლის მეურნეობაში ძირითადია მემცენარეობა, რომლის წილად მოდის წარმოებული პროდუქციის 58%. მემცენარეობის პროდუქცია ორ ნაწილად იყოფა, პირველი — საექსპორტო პროდუქცია, (შაქრის ლერწამი, ყავა, ბამბა); მეორე — შიგა მოხმარების პროდუქცია (მარცვლეული, ბოსტნეული, ხილი და სხვ.).

შაქრის ლერწამი ერთ-ერთი ძირითადი კულტურაა, რომელიც ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით (140—150 ტონა ჰექტარზე), იგი მოჰყავთ მსხვილ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სადაც პროდუქციის გადამუშავება ხდება ადგილზევე.

დიდი შესაძლებლობებია ბამბის წარმოებაშიც. ეს კულტურა გაადგილებულია მსხვილ მეურნეობებში, სადაც არსებობს მათი მექანიზებული დამუშავების შესაძლებლობები. აქაური ბამბა მაღალი ხარისხისაა და მსოფლიო ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს, ბამბის ექსპორტით პერუს მესამე ადგილი უჭირავს (ეგვიპტისა და სუდანის შემდეგ) მსოფლიოში. შაქრის ლერწმისა და ბამბის პლანტაციები გაშენებულია ქვეყნის სანაპირო ზოლში.

მესამე ძირითადი კულტურაა ყავა, რომელიც ანდების აღმოსავლეთ კალთებზეა გაადგილებული, იგი წარმოდგენილია როგორც წვრილგლეხურ, ისე საშუალო და მსხვილ მეურნეობებში, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და ხარისხით. დღეისათვის, ამ კულტურას უკავია 340 ათას ჰექტარამდე (ბოლო 25 წლის განმავლობაში ფართობი გაიზარდა 20-ჯერ, ამჟამადაც მიმდინარეობს ახალი პლანტაციების გაშენება). მიღებული მოსავლის 70% იგზავნება აშშ-ში, 10—12% — ევროპაში, ხოლო დანარჩენი მოიხმარება ადგილობრივად.

მემცენარეობიდან აღსანიშნავია აგრეთვე მეციტრუსეობა, ჩაი, თამბაქო, კაკაო, რომლებიც უმთავრესად წარმოდგენილია საშუალო სიდიდის მეურნეობებში (10 ჰა-მდე ფართობით) და ხასიათდებიან კარგი მოსავლით. ეს კულტურები გაადგილებულია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ანდების მთისწინა ფერდობებზე, მათი პროდუქციის უმნიშვნელო რაოდენობა საექსპორტოა.

დამუშავებული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ისეთ კულტურებს, რომლის პროდუქცია შიგა მოხმარებისაა. ასეთებია: სი-

მინდი, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია, კარტოფილი, ბრინჯი, ქვეყანაში გავრცელებულია აგრეთვე მანიოკის კულტურა, რომელიც პურის მაგივრობას ასრულებს. პერუში უმეტესად ხმარობენ მცენარეულ ზეთს. ამ მიზნით იყენებენ ბამბისა და ზეითუნის ზეთს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული, ძირითადად ხორბალი, ბრინჯი და მცირე ოდენობით კარტოფილიც.

აგრარული რეფორმის შემდეგ დაიწყო სარწყავი სისტემების მშენებლობა, რომელმაც განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ბოლო ათწლეულში. პროექტი ითვალისწინებს ანდების აღმოსავლეთი მხარის მდინარეების გადასროლას დასავლეთით, რაც ხორციელდება კიდეც. ამ მიზნით აგებენ დიდი ტევადობის გვირაბებს. უკვე ირწყვება ქვეყნის დასავლეთი ნაწილის ნაყოფიერი მიწები. ახლად ათვისებულ მიწებზე მოჰყავთ ბამბა, ხილი, ბოსტნეული, საფურაჟე კულტურები. პერუელი. ვარაუდობენ, რომ ირიგაციის პროექტის განხორციელება. მათ საშუალებას მისცემს უზრუნველყონ ქვეყნის მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე და გადამამუშავებელი მრეწველობისა — ნედლეულზე.

ქვეყანაში წარმოდგენილია მეცხოველეობაც, რომლის განვითარებაც ფეხდაფეხ მისდევს მემცენარეობის განვითარებას და პირველ რიგში, საკვები კულტურების წარმოებას. არსებობს სპეციალიზებული მეცხოველეობის ფერმები, სადაც პირუტყვი ძირითადად ძოვებაზე ჰყავთ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 6.8 მილიონია, აქედან 1,7 მილიონი მეწველია, პირუტყვის პროდუქტიულობა არ არის მაღალი. საშუალო წველადობა ერთ ფურზე 3100 ლიტრია, რძე ხასიათდება მაღალი ცხიმიანობით. მისი უდიდესი ნაწილი მიდის გადამუშავებაზე. ამზადებენ მრავალი სახის ყველს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტია, კარაქს, შესქელებულ რძეს.

განვითარებულია მეცხვარეობაც, რომელიც ქვეყნის მთიან ზონაშია წარმოდგენილი, ამ მიზნით კარგადაა გამოყენებული ბუნებრივი საძოვრები. ბალახს თითქმის არ თიბავენ, მას ხმარობენ ნატურალური სახით. ცხვრის რაოდენობა 1985 წლისათვის 10 მლნ. სულს აღწევდა. აქაურ ცხვარს აქვს გრძელი, ნაზი მატყლი, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა აშშ და კანადაში. ამზადებენ ცხვრის ყველს, კარაკულის ტყავს, გარდა ამისა მეცხვარეობა ხორცის წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვია, მაღალ მთებში ჰყავთ თხები და ლამები, მათი რაოდენობა აღრიცხული არ არის.

გლეხურ მეურნეობებში ჰყავთ ღორი, რომელიც ადგილობრივი მოხმარებისათვის არის გათვალისწინებული. დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაში ვითარდება მეფრინველეობა, აღსანიშნავია, რომ კვერცხითა და ფრინველის ხორცით ქვეყანა უზრუნველყოფს მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებას. ტრადიციული დარგია აგრეთვე მეფუტკრეობაც, რომლის პროდუქციის აღრიცხვა არ წარმოებს.

პერუს სოფლის მეურნეობა, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის მიხედვით, დადებითი ბალანსით ხასიათდება. თუმცა, როგორც აღნიშნული იყო ქვეყანას შემოაქვს ძირითადი პროდუქციის საკმაოდ დიდი რაოდენობა.

სასურსათო ბალანსში მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი მეთევზეობაც, თუ 1950-იან წლებში მისი ხვედრითი წილი 2% იყო, დღეისათვის იგი 9%-მდე გაიზარდა. პერუს აქვს თევზის საკმაოდ დიდი მარაგი. ამჟამად დაკომპლექტების ფაზაშია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თევზსაჭერი ფლოტიც, რომელიც რეწვას აწარმოებს არა მარტო სანაპირო წყლებში, არამედ მსოფლიო ოკეანეის სხვადასხვა რეგიონში.

მიმდინარეობს პერუს სოფლის მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღება. ჩამორჩენილი, პრიმიტიული საწარმოები თანდათანობით გადადის ინდუსტრიულ რელსებზე, თუმცა ენერგოშეიარაღების მაჩვენებლები ჯერ კიდევ დაბალია და წვრილგლეხურ მეურნეობებში სჭარბობს ხელით შრომა.

ბოლივია

ბოლივია მდებარეობს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის შუაგულში, მისი ტერიტორია 1,098 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა— 6,3 მილიონი, დედაქალაქია — ლა-პასი. ბოლივია ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, მისი სახელწოდება დაკავშირებულია ლათინური ამერიკის ეროვნული გმირის ბოლივირის სახელთან. ქვეყანა მდებარეობს ანდების მწვერვალზე, ამიტომ მას ხშირად ახალი სამყაროს სახურავს ეძახიან. ბოლივია მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. მასზედ ხატოვნად ამბობენ, რომ ეს არის „ოქროს ტახტზე მჯდომი მათხოვარი". სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანა ძალზედ ჩამორჩენილია. ერთ სულზე ნაციონალური შემოსავლის ოდენობით, ბოლივიას ერთ-ერთი ბოლო ადგილი უჭირავს ლათინურ ამერიკაში.

პირველად ადამიანები ბოლივიის ტერიტორიაზე 30 ათასი წლის წინათ გამოჩნდნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1200 წელს ტბა ტიტიკაკას ნაპირებზე წარმოიშვა პირველი დასახლებანი, შემდგომ კი—ინდიელთა ძლიერი სახელმწიფო, რომელიც ინკების სახელწოდებითაა

ცნობილი. XV საუკუნეში ესპანელების მოსვლის შემდეგ სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. მომდევნო წლებში ბოლივია შედიოდა ხან კოლუმბიის, ხან პერუს შემადგენლობაში. 1895 წელს ქვეყანა დამოუკიდებელი გახდა.

ბოლივიის ბუნების თავისებურებებს განაპირობებს ის,რომ იგი მდებარეობს ანდების ცენტრში, ამ მთიანი მასივის ყველაზე მაღალ მწვერვალებზე, სადაც შეეხვდებით როგორც მკაცრ მყინვარებს, ასევე ტენიან სუბტროპიკებს და სავანებს. ამ ქვეყანაში ძლიერ გამოკვეთილია ვერტიკალური ზონალობა, ყველაზე მაღალი მწვერვალი მდებარეობს — 6780 მეტრის სიმაღლეზე.

ბოლივიის კლიმატი მკვეთრად განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა წყნარ ოკეანეს დაცილებულია მხოლოდ 150—200 კმ-ით, მაღალმთიან ზონაში არის კონტინენტური კლიმატი, იცის ხანგრძლივი გვალვა, დაბალი ტემპერატურა, ძლიერი ქარები, დღეღამური ტემპერატურული სხვაობა 30°-მდეა. ნალექების უდიდესი ნაწილი მოდის ზაფხულში, რომელიც თებერვლამდე გრძელდება. მისი განაწილება არათანაბარია. მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში იგი 100 მმ-ს არ აღემატება, ხოლო აღმოსავლეთ პროვინციებში 2000 მმ-ს აღწევს. ბუნების საოცრებაა ტბა ტიტიკავა, რომლის ნახევარიც ბოლივიის ტერიტორიაზეა (ნახევარი პერუს სახელმწიფოში). იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 3812 მეტრის სიმაღლეზე, ჩამქრალი ვულკანის კრატერში. მასში ჩაედინება 45, ხოლო გამოედინება ერთი მდინარე. ტბაში ჩამდინარე წყლის 9/10 ორთქლდება, მხოლოდ 1/10 გაედინება მისგან მდინარის სახით. წყლის მუდმივი ტემპერატურა +24°. ტბის სანაპიროზე აღმოჩენილია ზღვის ცხოველების ჩონჩხი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ უხსოვარ დროში იგი ოკეანის ნაწილი იყო. საერთოდ, ქვეყანაში ბევრია ტბა, ხოლო მისი აღმოსავლეთ და დაბლობი ნაწილის 1/3—ჭაობი ან ნახევრად ჭაობია, იგი დაფარულია ჯუნგლებით. ამიტომ ქვეყნის ეს ნაწილი თითქმის აუთვისებელია: ბოლივია მდიდარია ტყეებით, რომელთა სამრეწველო დამუშავება მხოლოდ ახლა იწყება, მის აღმოსავლეთ ნაწილში ტენიანი ეკვატორული ტყეებია, ამაზონის აუზის ტიპის სავანებით.

მიუხედავად აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრისა, ბოლივია ეკონომიკური თვალსაზრისით რჩება ერთ-ერთ ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნად, ეკონომიკის ცალმხრივი სპეციალიზაციით, ვიწრო შიდა ბაზრით, გაბატონებული ნატურალური მეურნეობით. მინიმალური ოდენობის ექსპორტი მას დამოკიდებულს ხდის მსოფლიო ბაზარზე. ეკო-

ნომიკური განვითარების ყველაზე დიდ მუხრუჭად რჩება ენერგეტიკის დაბალი დონე, სუსტადაა განვითარებული ტრანსპორტი, ქვეყნის ტერიტორიის 3/4 ყველაზე დაბალი კატეგორიის საავტომობილო გზებითაც კი არ არის უზრუნველყოფილი, რაც არ იძლევა ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალური ათვისების საშუალებას.

ბოლივიის მოსახლეობის 66% დაკავებულია სოფლის მეურნეობაში. ქვეყნისათვის დამახასიათებელია ის, რომ სოფლად მცხოვრებთა 70% მცირემიწიანი ან უმიწაწყალო გლეხებია, 30% ფლობს 7—10 ჰექტარ სავარგულს. არის მსხვილი მემამულური მეურნეობებიც, რომლებიც ფლობენ სახნავის უდიდეს ნაწილს. მათი ხვედრითი წილი ნაციონალურ შემოსავალში 1,8%, ხოლო ფლობენ სახნავის 67%. აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები იყოფა რამდენიმე კატეგორიად: პ ლ ა ნ ტ ა ტ ო რ უ ლ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ამაზონის აუზის შენაკადებთან მდებარეობს (ბრაზილიის დასავლეთით), აქ მოჰყავთ ბანანი, შაქრის ლერწამი, ყავა, კაკაო, სუბტროპიკული ხილი. ს ა რ წ ყ ა ვ ი მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთის შუაგულში მდებარეობს. აქ წარმოდგენილია ბამბისა და ბრინჯის პლანტაციები, მთიანი ნაწილი დათმობილი აქვს მომთაბარე მეცხოველეობას, ქვეყნის სამხრეთით მდებარეობს მიწათმოქმედების ნაკლებსასაქონლო რაიონები, სადაც მოჰყავთ სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, ქერი, ხოლო მეცხოველეობიდან განვითარებულია მეცხვარეობა, მცირე რაოდენობითაა თხები. ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა ნაკლებად ათვისებული რაიონები, როგორც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, ისე სამხრეთ-აღმოსავლეთით.

სოფლის მეურნეობის ენერგოშეიარაღება ძალზედ დაბალია. საშუალო მაჩვენებელი 3—5 ცხენის ძალას უდრის. ძირითადად იყენებენ ხელით შრომას. შრომის იარაღები მარტივია, აგროტექნიკა მოძველებული, სასუქების გამოყენება თითქმის არ ხდება, წარმოებას გამოკვეთილად ექსტენსიური ხასიათი აქვს. თუმცა, არის მსხვილი მემამულური მეურნეობები, რომლებშიც წარმოება თანამედროვე ტექნიკის დონეზეა. ისინი, ძირითადად დედაქალაქ ლა-პასის საგარეუბნო ზონაში მდებარეობს. არის მსხვილი მეურნეობებიც, რომლებიც ფლობენ 2000—2500 ჰექტარ სახნავს და იყენებენ იაფასიან ხელით შრომას. გავრცელებულია შრომის საიჯარო ფორმა, რომელსაც ბოლივიაში კაბალური ხასიათი აქვს და ძირითადად ნატურალურ ანაზღაურებაზეა. დიდი ხანია მზადდება აგრარული რეფორმა, მაგრამ

სუსტი ფინანსური და მატერიალური ბაზის გამო, მისი განხორციელება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.

ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა: ყავა, კაკაო, ბანანი და მცირე რაოდენობით—ბამბის პირველადი გადამუშავების პროდუქცია. ეს კულტურები წარმოდგენილია მსხვილ მეურნეობებში და საექსპორტოდაა განკუთვნილი. პლანტაციების გარკვეული ნაწილი ეკუთვნის უცხოელებს.

გვალვიან პროვინციებში გაყვანილია სარწყავი სისტემები, რის შედეგადაც ბამბისა და ბრინჯის, მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია. ამ კულტურებს მოვლა-მოყვანის სამუშაოებში ძირითადად იყენებენ ხელით შრომას. საგარეუბნო ზონაში არსებობს ღრმა ფრუნტის შებოსტნეობა და მებაღეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში საკმაოდ დიდი ფართობები აქვს დათმობილი მარცვლეულ კულტურებს (ძირითადად სიმინდი, ჭვავი), მათი მოსავლიანობა იმდენად დაბალია, რომ ადგილობრივად ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას (მაგალითად. სიმინდის მოსავლიანობა 20—22 ცენტნერს არ აღემატება, რაც დაბალი შაჩვენებელია). ამ ზონაში ბევრია დროებით მიტოვებული და ნასვენი მიწები, რომელთა ხელოვნური აღდგენა რამდენიმე წლის შემდეგ ხდება. ამ ბოლო დროს მოჰყავთ სოიას კულტურა, რომელიც მოიხმარება, როგორც მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტი.

მეცხოველეობაში, ძირითადია მეცხვარეობა, არასრული მონაცემებით ბოლივიაში 10—13 მილიონი სული ცხვარია, რომელიც ძოვებაზე ჰყავთ ანდების მთის აღმოსავლეთ კალთების საძოვრებზე. ამზადებენ საექსპორტო მატყლს, ხოლო ტყავის ყველსა და ხორცს საკუთარი მოთხოვნილებისათვის იყენებენ. ცხვარი ჰყავთ თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში, უმეტესად ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციებში. ძოვებაზე ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიც, რომელთა სულადობა 1,8—2 მილიონია. ხოლო მაღალმთიან ზონაში, სადაც მკაცრი ზამთარი იცის, იმ შემთხვევაში თუ პირუტყვი ვერ ჩამორეკეს ზომიერ სარტყელში, რამდენიმე კვირით იყენებენ ბაგურ კვებას. როგორც წესი, პირუტყვისათვის საზამთრო საკვებს (თივას, სილოსს, კომბინირებულ საკვებს) არ ამზადებენ. ძირითადად ჰყავთ აღგილობრივი ჯიშის, საჭონელი, რომელიც დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება (წველადობა 2000—2100 ლიტრია). მთებში ჰყავთ აგრეთვე თხებიც.

საგარეუბნო ზონაში 80-იანი წლებიდან დაიწყეს თანამედროვე

ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა, უმრავლეს შემთხ-ვევაში მათ თანამედროვე სახე აქვთ, სადაც ცალ-კალკეა საინკუბა-ტორო, საბროილერო, სახორცე და ა. შ. ფერმები.

მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელსაყ-რელი პირობებისა, ბოლივიას დიდი რაოდენობით შემოაქვს კვების პროდუქტები, ძირითადად აშშ-დან, იმპორტი ფარავს ქვეყნის მოთ-ხოვნილების 2/5, რაც მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას:

ქვეყნის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს კოოპერატიული გაერთიანებები. ყველა სახის სა-მუშაოს (მომარაგება-რეალიზაციის ჩათვლით) ასრულებს გლეხი. ამის მიზეზია უპირველეს ყოვლისა ის, რომ სოფლის მეურნეობის წარ-მოება წარმოდგენილია დიდ სივრცეზე, მათ შორის დამაკავშირებელი კომუნიკაციები ან არ არსებობს ან სუსტადაა განვითარებული, მწვა-ვედ იგრძნობა სატრანსპორტო საშუალებების დეფიციტი, ნიადაგე-ბის ხელოვნური განაყოფიერება თითქმის არ ხდება. გარდა ამისა, დაბალ დონეზეა გლეხების პროფესიული მომზადება. ქვეყანაში თი-თქმის არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და კვლევის ცენტრები, ყოველივე ამის შედეგად სასოფლო-სამეურნეო წარმოე-ბას აქვს ნატურალური ხასიათი, რაც ცხადია ხაკლებეფექტიანია და ხშირ შემთხვევაში წამგებიანიც.

დღეისათვის, უცხოური კაპიტალი ინტენსიურად იწყებს ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ათვისებას, რომელშიც მონაწილეობს უცხო-ური ფირმები. ამ საერთო ფონზე თანდათანობით იკვეთება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის კონტურებიც.

ჩილე

ეს ქვეყანა ვიწრო ზოლივით გასდევს სამხრეთ ამერიკას წყნარი ოკეანის თითქმის მთელ სანაპიროზე. ქვეყნის სიგრძე ჩრდი-ლოეთიდან სამხრეთისაკენ 4270 კმ-ია, მაქსიმალური სიგანე კი მხო-ლოდ 435 კმ. ქვეყანა ბურჟუაზიული რესპუბლიკაა, რომლის დედა-ქალაქია — სანტიაგო. ქვეყნის ფართობია 757 ათასი კვ. კმ. მოსახ-ლეობა — 12 მილიონი. ჩილე განეკუთვნება შედარებით განვითარე-ბული ქვეყნების რიცხვს, იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამხ-რეთ ამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში. ქვეყანაში განვითარებულია სამთო-მომპოვებელი მრეწველობა, ფერადი მეტალურგია (რომელ-საც საექსპორტო ხასიათი აქვს): სხვა დარგები და მათ შორის სოფ-ლის მეურნეობაც შიდა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდე-ბა.

ისევე როგორც სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებში, ჩილეშიც ეს-

პანელების გავლენა სამ საუკუნეზე მეტ ხანს შემორჩა. პირველი მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე 100—150 ათასი წლის წინათ გამოჩნდა — ინდიელების სახით. ქვეყნის ათვისება დაიწყო ჩრდილოეთიდან და იგი თანდათანობით გრძელდებოდა სამხრეთით. ესპანელებმა იგი ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს მიამსგავსეს და დაიწყეს ანალოგიური კულტურების მოშენება (ხორბალი, ვაზი და ა. შ.):

1817 წელს ჩილემ ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად თავი დააღწია ესპანეთის ბატონობას და დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას. იმძლავრა უცხოურმა (ძირითადად ინგლისის) კაპიტალმა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარება არათანაბრად წარიმართა, თუმცა თავიდანვე გამოიკვეთა კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობები, რომლებმაც შემდგომში დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ჩილე პირველ მსოფლიო ომამდე აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში დაიწყო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ინტენსიური ათვისება, რამაც ბიძგი მისცა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციას სამთომოპოვებით მრეწველობაში. ამ უკანასკნელს კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ჩილე ხასიათდება რთული რელიეფით, რაც განსაზღვრავს მისი ბუნებრივი პირობების თავისებურებას. ქვეყანას მთელ სიგრძეზე გასდევს ორი პარალელური მთიანი სისტემა, აღმოსავლეთით — ანდები, მაღალი, თოვლიანი მწვერვალებით, დასავლეთით — კორდილიერები, ზღვის სანაპიროს სიახლოეს. ეს ორი სისტემა ერთმანეთისაგან დაშორებულია დაბლობებით, რომლებიც ხშირად მთის მასივებში იკარგებიან. ქვეყანა სეისმურ ზონაში მდებარეობს, მწვერვალები ვულკანური წარმოშობისაა, მათ შორის უმაღლესი 6723 მეტრია, დასავლეთ კორდილიერებშიც ვხვდებით მწვერვალებს, რომელთა სიმაღლე 6000 მეტრს აღემატება.

ჩილეს ნიადაგები მრავალფეროვნებით ხასიათდება. იგხვდება როგორც ჰუმუსით მდიდარი, ნაყოფიერი, ისე ზირბატი და ქვიშნარი ნიადაგები. ძირითადად წარმოდგენილია ტყის ყავისფერი და რუხი, შედარებით სამხრეთით კი — ვულკანური, ლავისმიერი წარმოშობის ნიადაგები. მცენარეული საფარიც მრავალფეროვანია, გვხვდება როგორც ალპური, ისე უდაბნოსათვის დამახასიათებელი მცენარეები. ტყის საფარი საკმაოდ ჭრელია, წიწვოვნებს ქვეყნის სამხრეთით და ვერტიკალური ზონალობის ქვედა სარტყელში ცვლის ფოთლოვანი ტყეები: წარმოდგენილია როგორც ტროპიკული, ისე სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლის მცენარეული საფარი:

ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, მდინარეები მოკლე, ჩქარი და წყალუხვია, სამხრეთით ბევრია ტბა. ქვეყნის შუაგულში კარგადაა განვითარებული საირიგაციო ქსელი, რომელიც რწყავს შედარებით ნოყიერ ცენტრალურ ნაწილს. ტემპერატურული რეჟიმი რბილია, ქვეყნის შუაგულში ყველაზე თბილი თვის იანვრის საშუალო ტემპერატურა +17°-ია, ხოლო ყველაზე ცივის — ივლისის +11°. ცხადია, ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი უფრო თბილი და მშრალია, ხოლო სამხრეთი შედარებით გრილი. ტემპერატურული რეჟიმი ხელსაყრელია სასოფლო-სამურნეო წარმოებისათვის. არათანაბრადაა წარმოდგენილი ნალექები. მაგალითად, სამხრეთით იგი უხვია — 3000—5000 მმ. წელიწადში, ჩრდილოეთის ზოგიერთ რაიონში კი 400 მმ-მდე ეცემა.

ქვეყნის მოსახლეობა, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავსად, შერეულია. გვხვდება როგორც ევროპელების, ისე ინდიელების შთამომავლები. ბევრია მეტისები და აფრიკიდან შემოყვანილ მონათა შთამომავლები. მიუხედავად ასეთი სიჭრელისა ჩილეს მოსახლეობა წარმოადგენს ერთობლივ ეთნოგრაფიულ მასას, უკვე ჩამოყალიბებული ხასიათებითა და ჩვევებით.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა სამთომომპოვებელმა მრეწველობამ, განსაკუთრებით სპილენძის წარმოებამ, რომლის მარაგით ჩილე პირველ ადგილზეა მსოფლიოში. განსაკუთრებული ბიძგი სპილენძის დამუშავებას მიეცა ელექტროენერგიის წყაროების აღმოჩენის შემდეგ. ქვეყანაში გაჩნდა ფერადი მეტალურგიის საწარმოები, რომლებიც დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, ჩილეს სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოებით. დიდი რაოდენობით შემოაქვთ მარცვლეული, შაქარი, ხორცის პროდუქტები, ზეთი და სხვ. ქვეყანაში არსებობს წვრილგლეხური მეურნეობები და მსხვილი, თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ვხვდებით სპეციალიზებულ მეურნეობებსაც, რომლებიც უმთავრესად მეცხოველეობის ხასიათისაა. მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყეს კოოპერატიზების ჩამოყალიბება ინტერესების მიხედვით. რაც უმთავრესად პროდუქციის გასაღების ხასიათს ატარებს. სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 20%, აქედან სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულია 13—15%, ბევრია უმიწაწყალო გლეხი. მათი რაოდენობა 1980 წლისათვის სოფლად მაცხოვრებელთა 1/4 იყო. ისინი ან იჯარ-

ით ილებენ მიწას მსხვილი მიწათმფლობელებისაგან, ან ხდებიან უმრავლეს შემთხვევაში სეზონური ხასიათის დაქირავებული მუშები. მეურნეობის საშუალო სიდიდე 8—10 ჰექტარია, როგორც წესი, ქვეყნის შუაგულში გლეხები ფლობენ მხოლოდ სახნავ ფართობს, რაც შეეხება მთიან ზონას, საავარგულების სტრუქტურა შედარებით ჭრელია. საკუთრებაში აქვთ სახნავი, საძოვრები და ზოგ შემთხვევაში ტყეც. სახნავის საერთო რაოდენობა 3,7 მლნ. ჰექტარია, რაც ერთ სულზე გაანგარიშებით 0,34 ჰექტარს შეადგენს.

მიუხედავად ეკონომიკური განვითარების მაღალი დონისა, სოფლის მეურნეობაში ჯერ კიდევ დომინირებს ხელით შრომა. ენერგოშეარაღება არასრული მონაცემებით 22 ცხენის ძალას უდრის, სასუქებით უზრუნველყოფა — 50—60% (მიუხედავად ფოსფორის უდიდესი საბადოებისა), ნიადაგების წყლით უზრუნველყოფაც დაბალია. ქვეყანას არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ძირითადად სჭირდებათ სამთო მიწათმოქმედების ხასიათის ტექნიკა, რომელიც არგენტინიდან შემოაქვთ. დაბალია გლეხობის აგროტექნიკური მომზადების დონე, მხოლოდ 10 წელია, რაც დაიწყეს უმაღლესი განათლების სასოფლო-სამეურნეო სპეციალისტების მომზადება. გაჩნდა მცირე სიდიდის სამეცნიერო ცენტრებიც (საცდელი სადგურებისა და ლაბორატორიების სახით), სიახლედ უნდა ჩაითვალოს სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის ინტეგრაცია, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა საბოლოო პროდუქციის ხარისხი.

ქვეყანაში წარმოდგენილია, როგორც მემცენარეობა, ისე მეცხოველეობა. მათი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში თითქმის თანაბარია. გვხვდება როგორც სპეციალიზებული, ისე შერეული ტიპის საწარმოები.

მემცენარეობის პროდუქცია იწარმოება ორი მიზნით: პირველი გათვალისწინებულია შიდა მოთხოვნილებისათვის, ხოლო ისეთი პროდუქცია, როგორიცაა სუბტროპიკული ხილი (ნატურალური და გადამუშავებული სახით) — ყურძენი, ღვინო, გამიზნულია საექსპორტოდ, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მემცენარეობის პროდუქციის წარმოება ქვეყნის ზონების მიხედვითაა სპეციალიზებული. მაგალითად, ძირითადი მარცვლეული კულტურაა ხორბალი, რომელიც გაადგილებულია ცენტრალურ ნაწილში. მის წილად მოდის ამ კულტურის ნათესების ნახევარზე მეტი. ხორბლის გარდა მოჰყავთ ქერი და სიმინდი, ამ უკანასკნელს ძირითადად იყენებენ ფრინველის საკვებად. ხორბლის მოსავლიანობა არ არის მაღალი, იგი 15—17 ცენტნერს შეადგენს, ხოლო სიმინდისა — 25—27 ცენტ. გარდა ცენტრალ-

ური ზონისა მარცვლეული მოჰყავთ სამხრეთის პროვინციებში, სადაც გვხვდება შედარებით მსხვილი მეურნეობები — მექანიზაციის გარკვეული დონით. სამხრეთ რაიონებში გაადგილებულია მარცვლეულის ნათესების 35%-მდე, მათი ნაწილი, ისევე როგორც ცენტრალურ პროვინციებში, ირწყვება. მარცვლეულიდან მოჰყავთ აგრეთვე ბრინჯი, რომელიც ვაადგილებულია ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. აქ მზიანი დღეების რაოდენობა საკმაოდ მაღალია და ამავე დროს კარგადაა განვითარებული სარწყავი ქსელიც. ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილს, რომელიც კვების ძირითად პროდუქტად ითვლება. ამ კულტურას უჭირავს სამხრეთის პროვინციების სახნავის 1/3 და ცენტრალური ჩილეს სახნავის 1/5 ნაწილი. მოსავლიანობა 300 ცენტნერამდეა: კარტოფილი ძირითადად მოჰყავთ წვრილგლეხურ მეურნეობებში. ქვეყნისათვის პერსპექტიულ კულტურად ითვლება შაქრის ჭარხალი, რომლის ნათესების ფართობი იზრდება, ამან კი ქვეყანას საშუალება მისცა შეემცირებინა შაქრის ლერწმის იმპორტი. საგარეუბნო ზონაში, კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ძირითადად განვითარებულია დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონაში, გასაღების ბაზრების სიახლოეს.

მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მერძეული მიმართულების მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვით, რომელიც ძოვებაზეა, პროდუქტიულობა არ არის მაღალი — 1900—3000 ლიტრი მეწველ ფურზე. ქალაქ სანტიაგოს მიდამოებში ვხვდებით სპეციალიზებულ მეურნეობებსაც. ქვეყანაში ხელსაყრელი პირობები არსებობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მეურნეობების განვითარებისათვის. ღღეისათვის მათი რაოდენობა 3 მილიონამდეა. გარდა ამისა, განვითარებულია მეცხვარეობა, რომელიც მთიან ზონაშია წარმოდგენილი: ცხვარი თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაშია, ალპურ ზონაში კი მათი ფარები საკმაოდ მრავალრიცხოვანია. ამავე ზონაში ჰყავთ თხებიც. თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში ჰყავთ ღორი. საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მეფრინველეობა, ქვეყანა თავის მოთხოვნილებებს ფრინველის ხორცსა და კვერცხზე იკმაყოფილებს. მეფრინველეობას სამრეწველო ხასიათი აქვს და იგი კარგად ავსებს ქვეყანაში ხორცის ბალანს.

აშკარად, ქვეყანაში მიმდინარეობს გარკვეული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდების გადიდებისათვის, მზადდება აგრარული რეფორმა, რომელიც ითვალისწინებს მიწების უსასყიდლოდ გადაცემას უმიწაწყალო გლეხებისათვის.

არგენტინა ლათინური ამერიკის ერთ-ერთი დიდი და ეკონომიკურად ყველაზე მეტად განვითარებული ქვეყანაა. ტერიტორიის მიხედვით (2,8 მლნ. კვ კმ) იგი მეორე ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში, მოსახლეობა—30 მილიონია, დედაქალაქი—ბუენოს-აირესი (5 მლნ.), რომელიც მსოფლიოს ულამაზესი ქალაქების რიცხვს ეკუთვნის. პოლიტიკური წყობილებით არგენტინა ბურჟუაზიულ-ფედერაციული რესპუბლიკაა.

არგენტინას უჭირავს სამხრეთ ამერიკის მატერიკის აღმოსავლეთი ნაწილი, ჩრდილოეთიდან სამხრეთით მისი სიგრძე 3700 კმ-ია, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთით—1400 კმ. აღმოსავლეთით ქვეყანა ესაზღვრება ატლანტის ოკეანეს. სანაპირო ზოლის სიგრძე 2500 კმ-ია. დასავლეთით ქვეყნის საზღვარი გასდევს ანდებს, რომელიც წარმოდგენილია მაღალი მწვერვალებით, მათ შორის უმაღლესია აკონკაგუა — 6960 მეტრი.

არგენტინის ტერიტორიის ფორმირება მის დღევანდელ საზღვრებში მოხდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. ევროპელების მოსვლამდე ქვეყანაში ინდიელი ტომები სახლობდნენ. XV საუკუნის დასაწყისში ქვეყნის სანაპიროზე გამოჩნდნენ ესპანელი კონკისტადორები, ისინი ეძებდნენ ძვირფას მეტალებს—ვერცხლს (აქედან წარმოდგა ქვეყნის სახელწოდებაც „არგენტუმ“ — ლათინურად ვერცხლს ნიშნავს). მათ ძვირფასი მეტალები ვერ იპოვეს და ,,მიაშურეს კონტინენტის სხვა რეგიონებს, არგენტინა კი რჩებოდა ნაკლებად ათვისებულ და ჩამორჩენილ რეგიონად. მცირერიცხოვანი მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა იყო, რის საშუალებასაც იძლეოდა ქვეყნის ბუნებრივი პირობები 1776 წელს შეიქმნა ვიცე-სამეფო რიო-დე-ლა-პლატა. მე-XIX საუკუნის დასაწყისში სამეფო დაიშალა სამ სახელმწიფოდ: პარაგვაი, ურუგვაია და საკუთრივ არგენტინა, რომლის შემადგენლობაში 1811 წ-მდე რჩებოდა ბოლივიაც.

1816 წელს ქვეყანა დაადგა დამოუკიდებლობის გზას. ხოლო 1826 წ. არგენტინა ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან, როდესაც ევროპაში სამრეწველო განვითარებას მასიური ხასიათი მიეცა. ამ პერიოდში ევროპას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნილებები ყვების პროდუქტებზე. მისი ყურადღება სამხრეთ ამერიკის ქვეყნებმა მიიპყრეს, რომელთა შორის ყველაზე კარგი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ჰქონდა არგენტინას. იგი მალე გახდა ევროპელების მიერ-

ციისა და უცხოური კაპიტალის მოზღვავების ცენტრი. აქ განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა მარცვლეულის წარმოებამ. დღეს არგენტინა მსოფლიოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელია.

არგენტინის ბუნება მრავალფეროვანია. რელიეფის მიხედვით იგი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: ჩრდილო-აღმოსავლეთით — ვაკე და სამხრეთ-დასავლეთით — მაღლობი. ქვეყანა სამ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს: ტროპიკულში, სუბტროპიკულსა და ზომიერში. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს ჩრდილოეთით +24°C-დან — სამხრეთით 3—4°-მდე. თბილი (ყინვის გარეშე) დღეების რაოდენობა ჩრდილოეთით 260, ხოლო სამხრეთით—60-მდეა. ყველაზე თბილი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურა ჩრდილოეთით +29°, ხოლო სამხრეთით +14°, ყველაზე ცივი თვის — ივლისის ტემპერატურა კი ჩრდილოეთით +17°, ხოლო სამხრეთით +2°. ქვეყნის კლიმატის ფორმირება ხდება ატლანტიდან მონაბერი ზღვის ჰაერის მასების გავლენით. შიუხედავად ამისა, ტერიტორიის ნახევარი განიცდის წყლის დეფიციტს, რაც გამოწვეულია მდებარეობით, კერძოდ შიდა მთიანი სისტემა არ ატარებს ტენიანი ჰაერის მასებს. მაგალითად, ანდების მთის კალთებზე (სამხრეთის განედი 39°) ნალექების რაოდენობა — 4470 მმ, პამპეში — 1000 მმ, შიგა რაიონებში 250—500 მმ, ხოლო პატაგონიაში — 150—250 მმ, იმის გამო, რომ კონტინენტი სამხრეთიდან დაუცველია არქტიკული ცივი ჰაერის მასებისაგან, ხშირად ხდება ტემპერატურის მკვეთრი დაცემა და აცივება, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე.

არგენტინის მდინარეების დიდი ნაწილი ჩაედინება ატლანტის ოკეანეში. მდინარეთა ქსელი ყველაზე უკეთ წარმოდგენილია ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ორი წყალუხვი მდინარე — პარანა და ურუგვაი ერთდებიან—ლა-პლატას შესართავთან. პარანა სამხრეთ ამერიკის სიდიდით მეორე (4250 კმ) მდინარეა, რომლის საშუალო სიღრმე 12 მეტრია, ხოლო მაქსიმალური — 40 მ. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც სატრანსპორტო არტერია და წყლით მომარაგების წყარო. მდინარეს ამავე დროს დიდი ენერგორესურსები გააჩნია. ამჟამად მუშავდება პარანას აუზის სამრეწველოდ ათვისების რაციონალური გეგმა, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ რეგიონის წყლის რესურსებს. რაც შეეხება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს,იგი ღარიბია წყლის რესურსებით და ამ მიზნით გრუნტის წყლებს იყენებენ.

ნიადაგობრივი საფარი მრავალფეროვანია. ჩრდილოეთ-ტროპიკულ სარტყელში — წითელმიწები, შედარებით ტენიან აღმოსავლეთით — ჭაობები, დასავლეთის მშრალ ზონაში — რუხი წითელი მიწები. ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში — დაჭაობებული, თიხნარი ნიადაგები, ხოლო სამხრეთით — სუბტროპიკული ზონისათვის დამახასიათებელი მიწებია; ნაყოფიერების თვალსაზრისით გამოირჩევიან მდ. პარანას აუზის შავმიწები, სამხრეთით სჭარბობს რუხი — ალუვიური, ხოლო უკიდურეს სამხრეთით—ნაკლებნაყოფიერი რუხი. უდაბნოს ტიპის ნიადაგები.

არგენტინის მცენარეული საფარისათვის დამახასიათებელია ჩრდილოეთის ტროპიკული ტყეები და სამხრეთის ნახევრად უდაბნოს ტიპის მცენარეები. ტყეებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 12% და მას სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ქვეყნის ფაუნა შედარებით ღარიბია, მაგრამ აქაც ვხვდებით ენდემურ ჯიშებს.

ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში, არგენტინის მოსახლეობის ფორმირებასაც სამი ძირითადი წყარო გააჩნდა, უპირველესად ესაა ევროპიდან მიგრირებული (ძირითადად, ესპანეთიდან და იტალიიდან) მოსახლეობა, ადგილობრივი ინდიელები და მცირე რაოდენობით—აფრიკიდან ჩამოყვანილი ზანგური ტომები. ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალია. თუ 1869 წელს ქვეყანაში ცხოვრობდა 1,7 მლნ. კაცი, დღეს ეს მაჩვენებელი — 30 მლნ.-ს აღემატება. ქვეყნის ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 10 მილიონს შეადგენს, სიმჭიდროვე—10 კაცი კვ. კმ-ზე, ძლიერია ურბანიზაციის პროცესი, მოსახლეობის 80% ცხოვრობს ქალაქად, 20% სოფლად.

თანამედროვე არგენტინა ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეგი ტიპური კაპიტალისტური სახელმწიფოა: რომლის ეკონომიკის ფორმირებაში გამოკვეთილი როლი შეასრულა საერთაშორისო ბაზარმა. ქვეყნის განვითარება დაკავშირებულია ევროპულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე მოთხოვნილების გაზრდასთან, რომელმაც ბიძგი მისცა გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებასაც. არგენტინის ეკონომიკამ მიიღო მკვეთრად გამოკვეთილი საექსპორტო ხასიათი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე არგენტინას პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში ხორცის (ძირითადად, საქონლის), მეორე — ხორბლის, ქერის და მატყლის ექსპორტით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო სხვა დარგების დაჩქარებული განვითარებაც, რასაც ხელი შეუწყო ბუნებრივი სიმდიდრეების ინტენსიურად ათვისებამ, ქვეყანაში მოზღვავდა უცხოური კაპი-

ტალი, რამაც გამოიწვია მძიმე მრეწველობის, ენერგეტიკის (ნავთი, გაზი), ელექტრომრეწველობის და სხვა დარგების დაჩქარებული განვითარება.

მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი დარგია სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ტრაქტორებს, მანქანადანადგარებს, იგი ძირითადად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე და პროდუქციის ნაწილი გააქვს ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში არგენტინა განიერჩევა სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალი დონით, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს კაპიტალისტური წარმოების უპირატესობა. სოფლის მეურნეობაში იქმნება ქვეყნის ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის 12%. ქვეყანა მთლიანად უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და ამავე დროს წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ ექსპორტიორს მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა მსოფლიო ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო ექსპორტით იგი ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: აშშ, კანადა, ავსტრალია და ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, რაც გამოწვეულია შრომის ნაყოფიერების დაბალი დონით.

ჯერ კიდევ ესპანელების ბატონობის პერიოდიდან ჩამოყალიბდა მსხვილ-მემამულური მეურნეობები. დღესაც მიწის ფონდების 3/4 მათ განეკუთვნებათ (1000 და მეტი ჰექტარის მქონე მეურნეობები). რომლებიც მეურნეობათა საერთო რაოდენობის 6%-ს შეადგენს, ხოლო გლეხური მეურნეობების ხელში (რომელთა რაოდენობა 94%) თავმოყრილია მიწის ფონდების მხოლოდ 25%. ქვეყანაში ეუბდებით ეგანტური ზომის ლატიფუნდიებსაც, რომელთა საკუთრებაში 13—15 ათასი ჰექტარი ფართობია. ასეთი მეურნეობებისათვის დამახასიათებელია წარმოების ექსტენსიური ფორმა, რომელსაც თან ახლავს მიწების ათვისების დაბალი ტემპი: დიდია მცირემიწიანი და უმიწაწყლო გლეხების რაოდენობაც, რომლებიც იჯარით ცხოვრობენ. იჯარა, როგორც წესი, მოკლევადიანია, საკმაოდ დაბალი დონის, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავლიანობაში და პირუტყვის დაბალ პროდუქტიულობაში. მაგალითად, მეცხოველეობა ემყარება ბუნებრივი სათიბების ექსპლოატაციას, რომელიც მალე იფიტება, ეს კი აქვეითებს პირუტყვის პროდუქტიულობას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გან-

ჯითარების დაბალი ტემპი შიგა ბაზარზე მოთხოვნილების დაქვეითებითაც არის გამოწვეული.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ არგენტინის სოფლის მეურნეობაში ფართოდ იყენებენ დაქირავებულ შრომას (სოფლად დასაქმებულთა 2/3), მაღალი ტემპებით იზრდება მექანიზაცია, წარმოებას გამოკვეთილად სასაქონლო სახე აქვს და რაც მთავარია, ქვეყნის ბუნებრივი შესაძლებლობები და მოსახლეობის სიმცირე იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანამ ჭარბად აწარმოოს საექსპორტო პროდუქცია.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობა 140 მლნ. ჰექტარს აღწევს, დამუშავებაშია მხოლოდ 28 მლნ. ჰექტარი ანუ საერთო რაოდენობის 1/5. დანარჩენი წარმოადგენს სათიბ-საძოვრებს. დიდი ხნის მონოპოლიზაციამ გამოიწვია ნიადაგების პროდუქტიულობის დაქვეითება, ეროზიული მოვლენების დაჩქარება.

სოფლის მეურნეობაში წამყვან როლს ასრულებს სახორცე მიმართულების მეცხოველეობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 60 მილიონზე მეტია. ამ მაჩვენებლით ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ძირითადად, ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, რომელიც მიღებულია ხანგრძლივი სელექციური მუშაობის შედეგად. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაადგილების ძირითადი რაიონია პამპას პროვინცია. სადაც თავმოყრილია პირუტყვის რაოდენობის 2/3 (კარგი საკვები ბაზაა, ნოყიერი ბუნებრივი საძოვრებით. დიდი რაოდენობით მოჰყავთ იონჯა), ფერმების უმრავლესობა მექანიზებულია. პამპა ძირითადად არგენტინის დეფაქალაქის საგარეუბნო ზონას წარმოადგენს, სადაც მრავალი ხორცის კომბინატია, ხოლო ატლანტის ოკეანის სიახლოე მთელ მსოფლიოში პროდუქციის სწრაფი ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. საექსპორტოდ ძირითადად გააქვთ ხბოს ხორცი, როგორც გადამუშავებული, ისე ნატურალური სახით.

მერძეული მესაქონლეობა განვითარებულია ადგილობრივი მოხმარების მიზნით. თუმცა, შესქელებული რძე და რძის ფხვნილი საკმაო რაოდენობით გააქვთ მსოფლიო ბაზარზე. მერძეული ჯოგი შედარებით დაბალი პროდუქტიულობით ხასიათდება (3200—3400 ლიტრი); რაც, გამომდინარე არგენტინის ბუნებრივი პირობებიდან, დაბალ მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

მეცხოველეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგია მეცხვარეობა. 1980 წლისათვის მათი რაოდენობა 38 მილიონ სულს აღემატებოდა, მეცხვარეობის ძირითადი პროდუქციიდან მხოლოდ მატყლია საექს-

პორტო, (200 ათას ტონას აღემატება). მეცხვარეობა განვითარებულია თითქმის ყველა პროვინციაში, მაგრამ სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები მდებარეობს პამპისა და არაგონის პროვინციებში. პამპაში მეცხვარეობას მეხორცული მიმართულება აქვს, რაც გამოწვეულია მსხვილი სამრეწველო ცენტრების სიახლოვით. პატაგონიაში კი ამ დარგს გამოკვეთილად მატყლის წარმოების მიმართულება აქვს, ამზადებენ უმაღლესი ხარისხის მატყლს, რომელზეც მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა. მეცხვარეობის ერთ-ერთი პოპულარული პროდუქციაა ყველი, რომელიც როგორც დელიკატესი გაიტანეს ევროპის ქვეყნებში.

განვითარებულია მეფრინველეობაც, მისი პროდუქცია ძირითადად ორიენტირებულია შიგა ბაზრის მოთხოვნილებებზე, თუმცა, ლაკლული ფრინველი და კვერცხის ფხვნილი გარკვეული რაოდენობით გაიტანეს საზღვარგარეთ. გარდა მეფრინველეობის დიდი საწარმოებისა, რომლებიც გაადგილებულია მსხვილი სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონაში და ტექნიკურად თანამედროვე დონის საწარმოებია, იგი წარმოდგენილია ყველა გლეხურ და ფერმერულ მეურნეობებშიც.

ანდებისა და კორდილიერების მაღალმთიან ზონაში განვითარებულია მეთხეობაც, რომელთა რაოდენობა, არასრული მონაცემებით, 3—5 მილიონს აღწევს. თხის ხორცი ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტია.

მცირეოდენობით (ადგილობრივი მოხმარების თვალსაზრისით), წარმოდგენილია მეღორეობა და მეღეღეობაც. ზოგან მისდევენ მეცხენეობასაც, რომელიც საკმაოდ მომგებიანი დარგია.

მემცენარეობაში დიდი ადგილი უჭირავს ძველ, ტრადიციულ კულტურებს, უპირველესად ესენია მარცვლოვანი და ზეთოვანი კულტურები. მარცვლოვნებიდან ძირითადია ხორბალი, რომლის საერთო მოსავალი 8—9 მილიონი ტონაა, ხოლო საექსპორტო — 3—3,5 მლნ. ტონა, ამ მაჩვენებლით იგი ერთ-ერთ წამყვან ქვეყანას წარმოადგენს, თუმცა, მნიშვნელოვნად ჩამორჩება აშშ-ს, კანადას, ავსტრალიას და საფრანგეთს. ხორბალი მოჰყავთ პამპას პროვინციებშიც.

ქვეყნისათვის თავისი მნიშვნელობით მეორე კულტურაა — სიმინდი, რომლის საერთო მოსავალი 6—6,5 მილიონი ტონაა. ხორბლისაგან განსხვავებით, რომელიც ევროპელების მიერაა შემოტანილი, სიმინდი ადგილობრივი კულტურაა. იგი მოჰყავთ თითქმის ყველგან, ვინაიდან სოფლის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია. სი-

მინდს იყენებენ აგრეთვე საფურაჟედ მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში. საერთო მოსავლის 25% (1,5 მილიონი ტონა) ქვეყანას გააჩნია საზღვარგარეთ—ძირითადად, როგორც საფურაჟე მარცვლეული.

საფურაჟედ გამოიყენება აგრეთვე ქერი და ჭვავი რომელთა მოსავლიანობა 80-იან წლებში 3/5—4 მილიონ ტონას შეადგენდა. პროდუქციის ძირითადი ნაწილი გადის საექსპორტოდ, ხოლო ნაწილს იყენებენ ლუდის წარმოებაში.

მემცენარეობიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მებაღეობას და მევენახეობას. მებაღეობა წარმოდგენილია თითქმის ყველგან. მას აქვს როგორც კონტინენტური ისე სუბტროპიკული მიმართულება. საუკეთესო ხარისხისაა არგენტინული ვაშლი, მსხალი, ატამი, გარგარი, ქლიავი, აგრეთვე ფორთოხალი, მანდარინი, გრეიფრუტი, მანგო; ლიმონი. მეხილეობის პროდუქციის ნაწილი ნატურალური და გადამუშავებელი სახით ქვეყანას გააჩნია საექსპორტოდ (ევროპის ქვეყანებში განსაკუთრებული მოთხოვნილებაა ნატურალური ხილის წვენებზე).

ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ დარგს წარმოადგენს მევენახეობა. იგი ძირითადად წარმოდგენილია მშრალ სუბტროპიკულ მთისწინა რაიონებში, პატარ-პატარა ნაკვეთებად, რომელთა საერთო ფართობი ერთ მილიონ ჰექტარს აღემატება, ხოლო მოსავალი — 7—8 მლნ. ტონას. ყურძენი ძირითადად მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ საუკეთესო ხარისხის სუფრის ღვინოებს, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა ევროპაში. ღვინოს დიდი რაოდენობით ხმარობს აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობაც.

საგარეუბნო ზონაში განვითარებულია მებოსტნეობაც, რომელიც, უმთავრესად სპეციალიზებული საწარმოების სახითაა. მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის პომიდორი, რომლის 70% მიდის გადამუშავებაზე, კიტრი, სალათი, კომბოსტო და სხვა კულტურები. წარმოდგენილია მებაღჩეობაც, მებოსტნეობა ძირითადად ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება, თუმცა, გადამუშავებული სახით (მცირე ოდენობით) იგი გააქვთ საზღვარგარეთაც.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, ტექნიკით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ჯერ კიდევ დაბალია, ენერგოშეიარაღება 28—30 ცხენის ძალას უდრის. ჯერ კიდევ იყენებენ ხელით შრომას (რომელიც გაცილებით იაფია, ვიდრე ინდუსტრიული), რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო შრომის დაბალნაყოფიერებას. სოფლად ჯერ კიდევ შეიმჩნევა შრო-

მითი რესურსების სიჭარბე, აქ მაცხოვრებელთა 5—7% არ არის მუდმივად დასაქმებული სოფლის მეურნეობაში. დაბალია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტიც (0,65). არგენტინის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ იგი ძირითადად კონცენტრირებულია ქვეყნის ცენტრალურ პროვინციებში, დანარჩენი უდიდესი ფართობი ჯერ კიდევ აუთვისებელია. 1985 წელს ქვეყანაში დამუშავდა აგრარული რეფორმის ძირითადი პრინციპები, რომელიც ითვალისწინებს როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის პროვინციების სამრეწველო ათვისებას.

არგენტინაში კარგადაა განვითარებული კვების მრეწველობა. ქვეყანაში არსებული ხორცკომბინატების სიმძლავრეები საშუალებას იძლევიან წლის განმავლობაში გადამუშავდეს 3 მილიონ ტონაზე მეტი ხორცი, აქედან 600—700 ათასი ტონა საექსპორტოა. გარდა აღნიშნულისა წარმოდგენილია ღვინისა და საკონსერვო ქარხნები, ჩაის ფაბრიკები, ტყავის დასამუშავებელი საწარმოები და ა. შ.

არგენტინაში არსებობს უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო საწავლებლები, როგორც უნივერსიტეტების, ისე ინსტიტუტების სახით. მაღალ დონეზე დგას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და კარგი წარმატებები აქვთ მეცხოველეობის სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

პარაგვაი

პარაგვაი მდებარეობს სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში, ოკეანის ნაპირებიდან დიდი დაშორებით. მისი ტერიტორია 240 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 3 მლნ-მდე, დედაქალაქია — ასუნსიონი. პოლიტიკური წყობით პარაგვაი რესპუბლიკაა, თუმცა უკანასკნელ დრომდე აქ მძვინვარებდა დიქტატურა.

ესპანელები პირველად პარაგვაიში 1516 წელს მივიდნენ, მანამდე მდინარე პარაგვაის ნაპირებზე ინდიელი ტომები ცხოვრობდნენ, რომლებიც განვითარების დონით მაღლა იდგნენ რეგიონის სხვა ინდიელებთან შედარებით. 1617 წელს ესპანელებმა დაარსეს პარაგვაის პროვინცია, ამ პერიოდიდან იწყება ქვეყნის „დიდი იზოლაცია". ქვეყანაში არ აღმოჩნდა ძვირფასი ლითონები, არც სხვა წიაღისეული, ამიტომ იგი ევროპელებისათვის ნაკლებსაინტერესო იყო. ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლამ მოიცვა მთელი პარაგვაი, რომელმაც 1811 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დაიწყო ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც მალე შეწყდა არგენტინა-ბრაზილიის აგრესიის შედეგად. 7 წლიანი ომის დროს გაწყდა ქვეყნის მოსახლეობის 4/5, ხოლო ქვე-

ყნის განვითარება თითქმის შეწყდა, მომდევნო პერიოდში პარაგვაი მოიცვა პოლიტიკურმა კრიზისებმა, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი ეკონომიკურ განვითარების.

პარაგვაი მდებარეობს ამავე სახელწოდების მდინარის ორივე ნაპირზე, რომელიც ქვეყანას შუაზე ჰყოფს. რელიეფი ვაკეა, (სიმაღლე 300—400 მეტრს აღწევს). ქვეყნის კლიმატი — ტროპიკულია და ზოგ პროვინციებში ზომიერ კონტინენტურში გადადის. ზამთარში ივლისის საშუალო ტემპერატურა 16—19°-ია, ზაფხულში იანვრის — 29°C-მდე, თუმცა მაქსიმალური ტემპერატურა ზოგჯერ 45°-მდე აღწევს. მაის-სექტემბერში იცის ხანმოკლე აცივება. ნალექები უმთავრესად მოდის ზაფხულში 1600 მმ-ის რაოდენობით (ჩრდილოეთით) და 700 მმ (სამხრეთით). ქვეყანა უზრუნველყოფილია წყლის რესურსებით. ძირითადი მდინარეებია პარნა, რომლის შენაკადია პარაგვაი. ორივე მდინარე წარმოადგენს ქვეყნის ძირითად სატრანსპორტო არტერიას.

ქვეყნის მინერალური რესურსები სუსტადაა შესწავლილი. სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება თითქმის არ ხდება, არსებობს რკინის, მარგანუმის, სპილენძის საბადოები. ჩაკოს პროვინციაში აღმოჩენილია ნავთობიც.

ქვეყნის მცენარეული საფარი ძირითადად ტყეებითაა წარმოდგენილი, რომელიც განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა პარანის პლატოზე. ქვეყანაში ჭაობებს უჭირავს ტერიტორიის 35%-მდე, ძირითადად მდინარისპირა აუზებში, მცენარეული საფარი ჯუნგლების ტიპისაა, ხშირი და გაუვალი. ტყეებს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ბევრია უნიკალური ხის ჯიში (წითელი ხე და სხვა), რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა მსოფლიოში, გავრცელებულია პალმის ტყეები, რომლებსაც საწარმოო მნიშვნელობა აქვთ.

კონტინენტის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, პარაგვაის მოსახლეობა ერთგვაროვანია დღეისათვის, პარაგვაელების 90% მეტისებია, რომლებიც ესპანელებისა და ინდიელების შერეული ქორწინების შედეგად წარმოიშვა. მოსახლეობის სიმჭიდროვე დაბალია (6 კაცი ერთ კვ. კმ-ზე), 95% კონცენტრირებულია ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში. 1954 წელს დამყარებული დიქტატორული რეჟიმის შედეგად ქვეყნიდან წავიდა 1 მილიონზე მეტი ადამიანი, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

მოსახლეობის ნახევარზე მეტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და ნაწილობრივ სატყეო მეურნეობაში. აქტიური მოსახლეობის 1/7 დაკავებულია გადამამუშავებელ მრეწველობაში, რომელიც

ქვეყანაში თანდათანობით იკიდებს ფეხს. სოფლად ცხოვრობს მი-
სახლეობის 2/3. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ფორ-
მაა მსხვილი ლატიფუნდიები, ნახევრად ნატურალური წარმოებით.
2,5 ათასი ლატიფუნდისტი ფლობს ქვეყნის მიწის ფართობის 3/4.
დასავლეთის პროვინციებისათვის დამახასიათებელია მეცხოველეო-
ბის მიმართულების ლატიფუნდისტური მეურნეობები. აღმოსავლეთ
ნაწილში მსხვილ მეურნეობებთან ერთად გვხვდება წვრილგლეხური
მეურნეობებიც (1—5 ჰექტარი ფართობით). ბევრია უმიწაწყალო
გლეხებიც, რომლებიც იჯარით იღებენ მიწას მემამულისაგან, ან თავს
სეზონური სამუშაოებით ირჩენენ. პარაგვაის სოფლის მეურნეობის
საფუძველს დაქირავებული შრომა წარმოადგენს. შრომის ძირითადი
იარაღებია ბარი და თოხი. ქვეყანაში თითქმის არ არსებობს მექანი-
ზებული მეურნეობები, ვინაიდან ხელით შრომა გაცილებით იაფია.
აღმოსავლეთ პროვინციებში ვხვდებით ე. წ. „მიწების უკანონო"
მფლობელებს, რომლებმაც თვითნებურად დაიკავეს გარკვეული ფა-
რთობი და ამუშავებენ მას. სოფლად იგრძნობა უმუშევრობა. გლე-
ხების 50% ან არა აქვთ სამუშაო, ან მისი ხასიათი სეზონურია.

სოფლის მეურნეობის ენერგოშეიარაღება 2,5—3 ცხენის ძალას
უდრის და ძირითადად ცოცხალი გამწევი ძალაა ვამოყენებული.
სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღრიცხვა თითქმის არ წარმო-
ებს. ვარაუდობენ, რომ სავარგულთა რაოდენობა 2,3 მლნ. ჰექტარამ-
დეა. აქედან სახნავი 600—700 ჰექტარია ნიადაგის დამუშავებას პრი-
მიტიული ხასიათი აქვს, თუმცა მისი ბუნებრივი ნაყოფიერება საკმაოდ
მაღალია. გარემო პირობები ორი მოსავლის მიღების საშუალებას იძ-
ლევა.

პარაგვაი კონტინენტის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა. მრეწ-
ველობა თითქმის არ არის განვითარებული და ძირითადად წარმოდგე-
ნილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარ-
გებით. მიუხედავად აგრარული მიმართულებისა, ქვეყანა განიცდის
საკვები პროდუქტების მწვავე დეფიციტს. მოსახლეობის 70% შიმში-
ლობს, საკვები პროდუქტების იმპორტი თითქმის არ წარმოიგზავნ.
ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი საფუძველია მეცხოველეობა, ნაწი-
ლობრივ — სატყეო მეურნეობა. ორივე ეს დარგი უცხოელ კაპიტალზეა
დამოკიდებული. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი
ერთობლივ ნაციონალურ შემოსავალში 1/3 უდრის და თითქმის ორ-
ჯერ სჭარბობს მრეწველობისას.

მეცხოველეობა მეხორცული მიმართულებისაა. მსხვილფეხა
რქოსანი პირუტყვის სულადობა 2,8—3 მილიონია. ყოველწლიურად

იკვლება 600—700 ათასამდე სული პირუტყვი, რომლის 1/3 გადამუშავებული (ძეხვეული, კონსერვი) საბით საექსპორტოა. მეცხოველეობა წარმოდგენილია მსხვილი მემამულური მეურნეობების საბით, პირუტყვი ძოვებაზეა, რისთვისაც იყენებენ ბუნებრივ საძოვრებს, თივას იშვიათად ამზადებენ, არ იყენებენ კომბინირებულ საკვებსაც. მერძეულ მეცხოველეობას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ამ ადებენ კარაქსა და ყველს (ეს უკანასკნელი მცირე ოდენობით გაიცვლ ქვეყნის გარეთაც).

მეცხოველეობიდან განვითარებულია აგრეთვე მეცხვარეობა (1,3—1,5 მლნ. სული), რომელიც ძირითადად მეხორცული მიმართულებისაა, ვინაიდან აქაური ცხვრის მატყლი სამრეწველო გადამუშავებისათვის თითქმის არ ვარგა. გლეხურ მეურნეობებში ჰყავთ ღორიც.

ბოლო პერიოდში განვითარდა მეფრინველეობაც. აშენდა რამდენიმე მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც ძირითადად მეკვერცხული მიმართულებისაა. ფრინველიც ინდივიდუალურ მეურნეობებშია წარმოდგენილი და მას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ესტადაა წარმოდგენილი მემეღვნარეობა, რომლის ბრუტო წილი სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში 18—20% არ აღემატება. მარცვლეულიდან მოჰყავთ სიმინდი, რომელიც დაბალი მოსავლიანობით ხასიათდება. იგი წარმოადგენს კვების ძირითად პროდუქტს, მდინარის შუაწელში (იქ სადაც ტროპიკული კლიმატია), მცირე რაოდენობით არის ბრინჯის ნათესებიც. ხოლო ქვემო წელზე ტროპიკული ხასიათის ხილის ბაღებია (ფორთოხალი, ლიმონი, ბანანი, არახისი) გაშენებული. მიუხედავად იმისა, რომ სუბტროპიკული ხილი ჭარბადაა, მათი გატანა ქვეყნის გარეთ თითქმის არ ხდება, ვინაიდან პარაგვაი საკმაოდ დიდი მანძილითაა დაცილებული აღნიშნული ხილის მოხმარების რეგიონებს (ევროპულ ქვეყნებს). მცირეოდენობით აქვთ აგრეთვე ვენახი. ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ კარტოფილი, რომელიც სიმინდთან ერთად კვების ძირითადი პროდუქტია, და შაქრის ლერწამი. რომლის დამუშავებაც ადგილობრივ წარმოებს.

ქალაქ ასუნსიონის საგარეუბნო ზონაში განვითარებულია ღია გრუნტის შენოსტნეობა, რომელიც ძირითადად წვრილი ინდივიდუალური მეურნეობების ბაზაზეა და პრიმიტიული ხასიათი აქვს.

ქვეყანას მარცვლეული (ძირითადად სიმინდი) და ზეთი მცირეოდენობით შემოაქვს ბრაზილიიდან. გააქვთ ხორცი (დაკლული და გადამუშავებული სახით). იმპორტ-ექსპორტის სალდო ქვეყნისათვის უარყოფითია. ბოლო პერიოდში დაიწყეს თამბაქოს ექსპორტიც, რომელიც გააქვთ ურუგვაისა და ბრაზილიაში.

პარაგვაიში სუსტადაა განვითარებული გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა; არსებობს რამდენიმე მსხვილი ხორცის კომბინატი, რომელთა საერთო წარმადობა 200 ათასი ტონაა წელიწადში, აგრეთვე პრიმიტიული ხასიათის საკონსერვო ქარხნები ხილისა და პომიდორის გადამუშავებისათვის. აღნიშნულ პროდუქციას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

სპეციალისტების ვარაუდით, პარაგვაის სოფლის მეურნეობას გარკვეული პერსპექტივები გააჩნია, ამისათვის საჭიროა რადიკალური აგრარული რეფორმების გატარება.

ურუგვაი

ურუგვაი სიდიდით ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში, მისი ტერიტორია 187 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 3 მილიონამდე, დედაქალაქი — მონტევიდეო. იგი განეკუთვნება შედარებით განვითარებული ქვეყნების რიცხვს. ქვეყანა მდებარეობს მატერიკის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ურუგვაის აღმოსავლეთ სანაპიროზე. კონსტიტუციურად ურუგვაი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა.

ესპანელების კოლონიზაციამდე ურუგვაის ტერიტორიაზე სახლობდნენ ინდიელი ტომები, XVI საუკუნეში ქვეყანა მოექცა ესპანეთის კოლონიურ იმპერიაში. მე-18 საუკუნემდე მიმდინარეობდა ბრძოლა ესპანეთსა და პორტუგალიას შორის ურუგვაისათვის. 1811 წელს სამხრეთ ამერიკაში ნაციონალური მოძრაობების გამარჯვების შემდეგ, ურუგვაიმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა, თუმცა 1830 წლამდე იგი ხან ბრაზილიის, ხან არგენტინის შემადგენლობაში იყო. ამ წელს ურუგვაიმ მიიღო ახალი კონსტიტუცია და საბოლოოდ დაიმკვიდრა დამოუკიდებლობა. XX საუკუნის დასაწყისში ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის ღამყარების შემდეგ დაიწყო მისი ეკონომიკური განვითარება. იგი იყო სამხრეთ ამერიკაში პირველი სახელმწიფო, რომელიც დაადგა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების გზას. ხშირად ურუგვაის სამხრეთ ამერიკის „შვეიცარიას" უწოდებენ.

ურუგვაის ბუნება ერთგვაროვანია, რელიეფი ვაკეა. ქვეყანა სუბტროპიკული ზონის სარტყელში მდებარეობს. ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა +10°-ია, ყველაზე თბილია +23°, საშუალო წლიური ტემპერატურა +16°-ია. ყინვები იშვიათია და უკავშირდება არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრას სამხრეთიდან. ნალექები თანაბრად ნაწილდება. მაგალითად, მონტევიდეოს რაიონში იგი 1000 მმ-ია. რბილი, ზომიერად ტენიანი კლიმატი მეტად ხელსაყრელია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ქვეყანაში მდინარეთა ხშირი ქსელია, მთელი ტერიტორია მდინარე ურუგვაის აუზს განეკუთვნება. ნიადაგობრივ-მცენარეული საფარი ერთგვაროვანია. ტყის მასივები ნაკლებადაა, ძირითადად გვხვდება მდინარისპირა კოროძების სახით, მცენარეული საფარი ბალახოვანია, რომელიც კარგი ყუათიანობით ხასიათდება.

ურუგვაი ჩამოსახლებულთა ქვეყანაა. მოსახლეობის ფორმირებაში დიდი როლი შეასრულეს ევროპელებმა, რომლებმაც ადგილობრივ ინდიელებთან ქორწინებით ჩამოაყალიბეს ახალი რასა — კრეოლები. ქვეყნის მოსახლეობის 90% — ურუგვაელებია, მხოლოდ ჩრდილოეთში ცხოვრობენ მცირე ოდენობის (5%-მდე) მეტისები. ქვეყნის მოსახლეობის ბუნებრივი მატება ერთ-ერთი ყველაზე დაბალია სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის. შრომისუნარიანთა ხვედრითი წილი 55%-ია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 1,5— მილიონია, რომელთაგან 3/4 დაქირავებულ შრომას ეწევა. ქვეყანაში საკმაოდ მაღალია უმუშევრობა და მოსახლეობის ურბანიზაციის დონე, ქალაქად მაცხოვრებელთა რიცხვი 80%-ს აღწევს, მოსახლეობის სიმჭიდროვე 16 კაცია 1 კვ. კმ-ზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ფორმაა მსხვილი რანჩო. სოფლისათვის დამახასიათებელი ტიპია მწყემსი—უგუაჩო, რომელიც ქვეყნის სიმბოლოდაც აღიქმება.

ქვეყნის ეკონომიკის საფუძველს სოფლის მეურნეობა წარმოადგენს, რომლის წილადაც მოდის ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის 40%. მეცხოველეობის ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციაში 65%-ია და იგი უმთავრესად ორიენტირებულია ექსპორტზე. ურუგვაიში XVII საუკუნეში შემოიყვანეს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ხელსაყრელმა ბუნებრივმა პირობებმა, საძოვრების სიუხვემ და ყუათიანობამ ხელი შეუწყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგის სწრაფ გამრავლებას. მეცხოველეობა გაჰხდა არა მარტო წამყვანი დარგი, არამედ საფუძვლად დაედო ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინფრასტრუქტურასაც. თავდაპირველად, მის პროდუქციას ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ როდესაც ევროპაში სამრეწველო ბუმი დაიწყო, რის შედეგადაც მკვეთრად გაიზარდა სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა, ურუგვაიმაც არგენტინის მსგავსად, ორიენტაცია აიღო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (ევროპაში) ექსპორტზე, თავდაპირველად გაჰქონდათ ტყავი, ქონი, მატყლი, უფრო გვიან კი დაიწყეს ხორცის პროდუქტების გატანაც. ამას ხელი შეუწყო სამაცივრო მეურნეობებისა და ორთქლის გემების შექმნამ. სამაცივრო ხორცკომბინატები გახ-

დნენ ქვეყანაში პირველი სამრეწველო საწარმოები. დღეს მათი ქსელი საკმაოდ დიდია. ეიბალდან ადგილობრივი დაბალი ჯიშის პირუტყვზე ევროპულ ბაზარზე არ იყო მოთხოვნილება (ხორცის დაბალი ხარისხისა და ეემოვნების ვამო), ქვეყანამ XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო ინგლისიდან ჯიშიანი პირუტყვის შეპოყვანა, რასაც შედეეად მოპყვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი სტრუქტურის გაუმჯობესება, ხოლო წარმოება თვისობრივად კიდევ უფრო ქაღალ საფეხურზე ავიდა.

მიმდინარე საუკუნის 70-იანი წლებიდან საკალდებულო გახდა საკუთრებაში მყოფი მიწების შემოღობვა. ამ ღონისძიებამ შეამცირა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, განთავისუფლდა შრომითი რესურსები და დასაბამი მიეცა მეცხოველეობაში ინტენსიფიკაციის პროცესს. დაიწყო მეცხოველეობის პროდუქციის ფართოდ გატანა ქვეყნის გარეთ, რამაც გამოიწვია შიგა გზების, მათ შორის რკინიგზის ინტენსიური მშენებლობა. ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და XX საუკუნის დასაწყისში, გამოიკვეთა ურუგვაის ადგილი და როლი სასოფლო-სამეურნეო შრომის მსოფლიო დანაწილებაში და იგი გახდა ხორცის, ტყავის, მატყლის ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი. ქვეყანაში მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია (1000 ჰექტარი და მეტი) მიწის ფონდების 60%, ისინი ძირითადად ექსტენსიურ მიწათმოქმედებას ეწევიან, აგროტექნიკის დაბალი დონით. გავრცელებულია საიჯარო ფორმა, რომელსაც უმიწაწყალო ელეხები მიმართავენ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება დაბალია, ვინაიდან ხელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორები გამორიცხავენ დამატებით დანახარჯებს. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში თითქმის არ იყენებენ სასუქებს, არ რწყავენ, დაბალია ტექნიკის (განსაკუთრებით, მეცხოველეობაში) ვამოყენების დონე, და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო შრომა, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მაღალი ანაზღაურებით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს ნიადაგების ბუნებრივი ნაყოფიერება და წარმოებული პროდუქციის დაბალი თვითღირებულება.

ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 10 მილიონამდეა, აქედან, 1,6 მეწველია, პირუტყვი ძოვებაზეა, რაც გამორიცხავს კომბინირებული საკვების დამზადების აუცილებლობას. როგორც აღნიშნული იყო, მეცხოველეობაში ძირითადია მეხორცული მიმართულება. ევროპაში საექსპორტოდ განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იგზავნება ხბოს ხორცი, ძეხვეულის ასორტიმენტი,

ხორცის კონსერვები. მერძეული ნიმართულების ჯოგი მაღალპროდუქტიულია (საშუალო წველადობა 4000 ლიტრამდეა), მას ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, აქაური ყველი, რძის ფხვნილი და შესქელებული რძე დიდი მოწონებით სარგებლობს ევროპაში. გვხვდება ფერმები, რომლებშიც პირუტყვის რაოდენობა 5—7 ათასს სულს აღემატება და როგორც წესი მათ აქვთ გადამამუშავებელი საწარმოები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები, სამაცივრო მეურნეობები, და ა. შ. 1985 წ. ქვეყანაში დამზადდა 300 ათას ტონამდე საქონლის ხორცი. აქედან საექსპორტოდ გაიგზავნა 140 ათასი ტონა.

კარგადაა განვითარებული მეცხვარეობაც. XIX საუკუნეში ევროპიდან შემოიყვანეს მაღალპროდუქტიული ცხვრის ჯიში. აქაური მატყლი კარგი ხარისხისაა და მისი 85% საექსპორტოდ გადის. ღიად ფასობს აგრეთვე ცხვრის საკარაკული ტყავი. ამ პროდუქციით ურუგვაი ამარაგებს ევროპის ქვეყნების ქურქის მწარმოებელ ცნობილ ცენტრებს. გააქვთ აგრეთვე 70—80 ათას ტონამდე ცხვრის ხორციც, (უმთავრესად, ბატკნის). მცირე ოდენობით ჰყავთ თხა, ღორი და ფუტკარი, მათი პროდუქცია ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

კულტურული მიწათმოქმედება ქვეყანაში პირველად ევროპელებმა შემოიტანეს. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, კანაფი, ბოსტნეული. მოგვიანებით კი საკვები კულტურები—ძირითადად, იონჯა, მეცხოველეობისაგან განსხვავებით, მემცენარეობა ვითარდებოდა წვრილ ფერმერულ მეურნეობებში. დღეისათვის, მარცვლეული ძირითადად წარმოდგენილია ხორბლის, ქერის, სიმინდის, ჭვავის სახით. მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია (38—40 ცენტნერი), ნიადაგის დამუშავებისას იყენებენ მცირე სიმძლავრის ტრაქტორებს. ქვეყანა მარცვლეულზე ძირითადად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს. 1985 წელს დაამზადეს 900 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული, რომლის 40% სიმინდი იყო.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, თამბაქო. პირველი ორი — ადგილობრივი მნიშვნელობისაა, ხოლო თამბაქო ნედლეულის სახით გააქვთ ბრაზილიასა და არგენტინაში.

საგარეუბნო ზონაში განვითარებულია ღია გრუნტის მებოსტნეობა (აღსანიშნავია, რომ ურუგვაელები ბევრ ბოსტნეულს ხმარობენ). ძირითადად მოჰყავთ პომიდორი, სალათი, კიტრი, კომბოსტო, სტაფილო. ამზადებენ პომიდვრის შესქელებულ წვენს, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს ადგილობრივ მოსახლეობაში.

განვითარებულია მეხილეობა, რომელსაც სუბტროპიკული მიმართულება აქვს. მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, ბროწეული, ლეღვი, მცირე რაოდენობით მანდარინი. აღნიშნული პროდუქცია მოიხმარება როგორც ნატურალური, ისე გადამუშავებული (წვენების) სახით. ბოლო დროს გარკვეულ ყურადღებას უთმობენ მეჩაიეობის განვითარებას, რომელიც წარმოდგენილია პატარ-პატარა პლანტაციების სახით. არასრული მონაცემებით მათი საერთო ფართობი 1985 წელს 37 ათას ჰექტარს აღწევდა. ქვეყნის სამხრეთით აქვთ ვენახიც. ყურძნისგან ძირითადად ამზადებენ ღვინოს და მაგარ სასმელებს. აქაური ყურძენი მაღალშაქრიანობით ხასიათდება. საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ქვეყანას არ გააჩნია. მათთვის შესაბამის ტექნიკას შეკვეთით ამზადებს არგენტინა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქვეყანაში კარგადაა განვითარებული კვებისა და გადამამუშავებელი (ძირითადად ტყავის) მრეწველობა, მსხვილი საწარმოები აღჭურვილნი არიან უახლესი ტექნიკით.

ურუგვაიში არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროფილის სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლები. ფერმერთა სკოლები და მონტევიდეოს უნივერსიტეტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი ძირითადად მეცხოველეობის სპეციალისტებს უშვებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ურუგვაი ქვეყნის მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე იკმაყოფილებს და ნაწილობრივ გააქვს საექსპორტოდ (როგორც უკვე იყო აღნიშნული, გააქვთ მრავალი სახის პროდუქცია).

ბრაზილია

ბრაზილია მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, როგორც ტერიტორიის სიდიდით (8,5 მლნ. კვ. კმ), ისე მოსახლეობის რაოდენობით (128 მილიონი), ტერიტორიით იგი მსოფლიოში მეხუთე, ხოლო მოსახლეობით — მეექვსე ადგილზეა. ბრაზილიას უჭირავს სამხრეთ ამერიკის კონტინენტის თითქმის ნახევარი და მდებარეობს მის აღმოსავლეთით. იგი ეკუთვნება ატლანტის ოკეანის აუზის ქვეყნებს, რომელსაც ოკეანეშიც აქვს კუნძულები. ქვეყნის დედაქალაქია — ბრაზილია. ბრაზილია რესპუბლიკაა, რომელიც შედგება 22 შტატის, 4 ტერიტორიის და ერთი ფედერალური (დედაქალაქის) ოლქისაგან.

ლათინური და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ბრაზილია პორტუგალიის კოლონია იყო. ადრე ამ ტერიტორი-

ასე სახლობდნენ მრავალრიცხოვანი ინდიელი ტომები. მათი ძირითადი საქმიანობა იყო მონადირეობა, პეტევზეობა, ზოგიერთ ტომს უხსოვარი დროიდან მოჰყავდა კარტოფილი, გოგრა, ლობიო და ა. შ.

ევროპელებმა ბრაზილია აღმოაჩინეს 1500 წელს, რომლის კოლონიზაცია დაიწყო 1530 წლიდან, როდესაც სანაპიროზე მუდმივ საცხოვრებლად გადმოვიდნენ 400—კოლონიზატორი (თან ჩამოიყვანეს პირუტყვი, ჩამოიტანეს კულტურულ მცენარეთა თესლი). კოლონიზაციის პერიოდში ჩამოყალიბდა მიწათმფლობელობა. კოლონიზატორები პორტუგალიის მეფისაგან უსასყიდლოდ იღებდნენ უზარმაზარი მიწის ფართობებს, რომლებსაც შემდგომში კაპიტონიები უწოდეს. ისინი თავიანთ ტერიტორიაზე თავად ანხორციელებდნენ მმართველობას. ქმნიდნენ იურიდიულ კანონებს და ა. შ. შემდგომში ჩამოყალიბდა მსხვილ მიწათმფლობელ პლანტატორთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელთა სამფლობელოებს ფაზენდა ეწოდებოდა. პირველად შაქრის ლერწმის პლანტაციები გაშენდა ფაზენდებში. გარდა ამისა, მოჰყავდათ ბრინჯი, ლობიო, კარტოფილი.

მიწის დასამუშავებლად პორტუგალიელებმა დაიწყეს ჯერ ინდიელი ტომების, ხოლო შემდეგ აფრიკიდან შემოყვანილი მონების გამოყენება. XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისისათვის ბრაზილიის მოსახლეობა 3—3,5 მილიონს შეადგენდა, რომელთაგან 1/3 ზანგები იყვნენ.

1808 წელს პორტუგალიის სამეფო ოჯახი, შეშინებული ნაპოლეონ ბონაპარტის არმიის მოქმედებით, დროებით ბრაზილიაში ჩადასახლდა და დაიწყო რეფორმების გატარება, რომლებმაც გარკვეული სტიმული მისცეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაწყებას. 1817 წელს დაიწყო ბრძოლა ბრაზილიის დამოუკიდებლობისათვის, რომელიც 1822 წელს დამთავრდა დამოუკიდებლობის გამოცხადებით. 1888 წელს ბრაზილიაში გაუქმდა მონობა. 1889 წ. ბრაზილია გამოცხადდა ფედერაციულ რესპუბლიკად. 1881 წელს მიღებული კონსტიტუცია დღესაც მოქმედებაშია.

ბრაზილიის ჩრდილოეთით მდებარეობს ამაზონის ეკვატორული ტყიანი დაბლობები, ხოლო სამხრეთით—ბრაზილიის ზეგანი (ტროპიკული ლანდშაფტით), რომელსაც უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 2/3.

ამაზონის აუზს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, არა მარტო ბრაზილიისათვის, არამედ მსოფლიოსათვის. აქ არის გიგანტური ტყის მასივები, რომელიც მთლიანობაში შეიძლება აღქმული იქნეს მხოლოდ კოსმოსიდან. ვარაუდობენ, რომ მსოფლიოს ჟანგბადის რეზერვაციის 25—30% მოდის სწორედ ამაზონის აუზზე.

ამაზონის რეგიონი უდიდესია თავისი ფართობით (95%), სადაც ცხოვრობს მოსახლეობის მხოლოდ 8%, ესაა ჯერ კიდევ შეუსწავლელი, მაგრამ დიდი პერსპექტივების მქონე რეგიონი, რომელზეც მოდის ბრაზილიის სასარგებლო წიაღისეულის მარაგის უდიდესი ნაწილი.

ქვეყნის კლიმატი ცხელია. მაგალითად, საშუალო თვიური ტემპერატურა +24 +28°-ია, დასავლეთ ნაწილში, მუდმივად ტენიანია (3000—3500 მმ). აღმოსავლეთით, იცის მშრალი პერიოდები (ალგისტო-სექტემბერი), რომლის დროსაც ნალექების რაოდენობა 40 მმ-ამდე მცირდება, მაშინ როდესაც აპრილში მოდის 10-ჯერ მეტი რაოდენობისა, ხოლო საშუალო წლიური 2000 მმ-ს შეადგენს (ამაზონის სათავეებთან კი 3000 მმ):

ამაზონი წყალუხვი მდინარეა, რომლის სიგანე ზოგან 200 კმ-ს აღწევს, მას აქვს აგრეთვე უამრავი წყალუხვი შენაკადები, რომლებიც ერთმანეთში იხლართებიან და ქმნიან გაუვალ მდინარეთა ქსელს: წყალდიდობის დროს უზარმაზარი ფართობები იტბორება. ბევრია ჭაობი და ნახევარჭაობი: ამაზონი მთლიანად გაუვალ ჯუნგლებს წარმოადგენს, თითქმის არ არსებობს საკომუნიკაციო საშუალებები. რეგიონი მდიდარია უნიკალური ხის ჯიშებით, რომელთა სამრეწველო დამუშავება თითქმის არ წარმოებს.

ამაზონის აუზის სამხრეთით იწყება ბრაზილიის ზეგნები, რომელთა სიმაღლე ზოგჯერ 300—400 მეტრია. აქ წარმოდგენილია სუბეკვატორული ლანდშაფტი — მეჩხერი ტყის მასივებითა და სავანებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ისევ იწყება ტყე. ბრაზილიის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. უხვადაა რკინის, აგატის, კვარცის მარაგი. ნალექების რაოდენობა 150—180 მმ-ს არ აღემატება:

ბრაზილიაში თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი არსებობს. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რეგიონები ქვეყნის სამხრეთითაა, სადაც ნიადაგები მდიდარია ჰუმუსით და იძლევა მრავალდარგოვანი მეურნეობის განვითარების საშუალებას. მიწათმოქმედების თვალსაზრისით ქვეყნის ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილი ნაკლებადაა ათვისებული. თუმცა, ჯერ კიდევ შეუსწავლელია ნიადაგობრივი და მცენარეული საფარი.

თანამედროვე ბრაზილიის რასობრივი სტრუქტურა ჭრელია: ცხოვრობენ ინდიელები, თეთრკანიანები, ზანგები და ყველაზე მეტი რაოდენობით — მეტისები. ქვეყნის მოსახლეობის 90% პორტუგალიურ ენაზე ლაპარაკობს. მაღალია მოსახლეობის მატების

ტემპი (30%-მეტი), რაც იმის გარანტიაა, რომ 2000 ათასი წლისათვის იგი 200 მილიონს ვადააჭარბებს. სოფლად ცხოვრობს მოსახლეობის ნახევარი. ინტენსიურია სოფლის მოსახლეობის მიგრაციის პროცესი. მოსახლეობის საქმიანობა ქვეყნის რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. სამრეწველო რაიონებში აქტიური მოსახლეობის 90%-მდე დასაქმებულია მრეწველობაში, საკურორტო ზონაში სჭარბობს მომსახურების სფერო, სასოფლო-სამეურნეო ზონის მოსახლეობის 70% დასაქმებულია აგროსამრეწველო კომპლექსში და ა. ა. ფასდება მოსახლეობის განათლების ფონე და აქედან გამომდინარე, მათი პროფესიონალიზმი.

ბრაზილიის ეკონომიკური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობდა. ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან იგი დაბალი ტემპით ვითარდებოდა, მომდევნო პერიოდში დაიწყო ეკონომიკური ბუმი, რასაც ხელი შეუწყო როგორც უცხოური კაპიტალის მოზღვავებამ, ისე გონივრულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელსაც მეცნიერებმა „რაციონალური ეკონომიკა" უწოდეს. მას საფუძვლად ედო საყოველთაო მოხმარების რეჟიმი. განვითარება დაიწყო ეკონომიკის პრიორიტეტულმა დარგებმა — მანქანათმშენებლობამ, ელექტრომრეწველობამ, სამთომოპარაგებელმა მრეწველობამ. ქვეყანაში გაჩნდა თანამედროვე ტიპის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის საწარმოები, რომლებიც ამზადებენ ტექნიკას. თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრაზილია (არგენტინასთან ერთად) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპორტის ქვეყანას, სამხრეთ ამერიკისა და ზოგიერთი აფრიკული ქვეყნებისათვის. ქვეყანა ამზადებს როგორც დიდსიმძლავრიან, ისე მცირესიმძლავრიან სამთო ტიპის ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელშიც დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 40%-მდე. სოფლის მეურნეობაში იქმნება ნაციონალური შემოსავლის 12%. ბრაზილიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო შრომის დანაწილებაში იგი წარმოდგენილია საექსპორტო პროდუქტებით, რომლის ხვედრითი წილი საერთო ამონაგების 65% შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტით ბრაზილია მეორე ადგილზეა მსოფლიოში აშშ-ის შემდეგ. მიუხედავად ამისა არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოება მაღალ დონეზეა, უფრო მეტიც, ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე ქვეყანა საკუთარ მოთხოვ-

ნილებებსაც კი ვერ იკმაყოფილებს და შემოაქვს იგი არგენტინიდან, განსაკუთრებით მარცვალი. ამის მიზეზია, ის, რომ მიწათმოქმედების სისტემა, რომელსაც ქვეყანაში იყენებენ, ჩამორჩენილია და ზოგჯერ პრიმიტიულიც კი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ფორმაა მსხვილი ლატიფუნდიები, რომლებსაც უზარმაზარი ფართობები უჭირავთ. მათი ფართობი რამდენიმე ათეულ ათას ჰექტარს უდრის. თუმცა, დამუშავებაშია სავარგულთა ნაწილი. მსხვილ მეურნეობებზე, რომლებიც ფლობენ 10 ათას ჰექტარსა და მეტ მიწის ნაკვეთს, მოდის საერთო ფართობის 70%. წვრილგლეხურ მეურნეობებზე, რომელშიც შრომობს სოფლის მოსახლეობის 90%, მოდის მხოლოდ სავარგულთა 20%. მიწის დანარჩენი ფართობი გაბნეულია ეკონომიკის სხვა სფეროებში. გლეხობაში გამოირჩევა სამი ფენა: უმიწაწყალო გლეხები, რომლებიც იძულებულნი არიან იმუშაონ მსხვილ მემამულეებთან, მცირემიწიანი გლეხები, რომლებიც საკუთარ მოთხოვნილებებს ძლივს იკმაყოფილებენ და საშუალო მიწათმფლობელნი (20—30 ჰექტარი), სწორედ ისინი, მსხვილ მიწათმფლობელებთან ერთად, ქმნიან სასაქონლო პროდუქციას.

მსხვილი მიწათმფლობელები ფართოდ იყენებენ დაქირავებულ შრომას, რომლის ანაზღაურებას ზოგ შემთხვევაში ნატურალური ხასიათი აქვს. ლატიფუნდისტები, იყენებენ თავიანთ მფლობელობაში მყოფი მიწების მხოლოდ ნაწილს, რადგან შეინარჩუნონ ფასები საექსპორტო პროდუქციაზე და დაბალი ანაზღაურების საფასურად დაიქირაონ მუშახელი. მთავრობის მიერ გატარებულ რეფორმებს, რომლის შედეგად მსხვილი მიწათმფლობელებისაგან გამოსყიდული მიწები გადაეცათ უმიწაწყალო გლეხებს, სასურველი შედეგი არ მოჰყვა.

ბოლო ათწლეულში ქვეყანაში საგრძნობლად მოიკიდა ფეხი მექანიზაციამ. ქვეყნის სამხრეთით, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, შეიქმნა მაღალმექანიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. მსხვილი მიწათმფლობელები გადავიდნენ კომპლექსურ წარმოებაზე, იქმნება აგროსამრეწველო კომპლექსები. მსხვილი სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონებში (სან-პაულო, რიო-დე-ჟანეირო), იქნება უფრო სრულყოფილი საწარმოო კომპლექსები, რომლებსაც არა მარტო გადამამუშავებელი საწარმოები, არამედ თავიანთი სავაჭრო ქსელები და მომსახურე სამეცნიერო ცენტრებიც კი აქვთ.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოების პროფესიულ მომსახურე-

ას ანხორციელებს საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში მოქცეული სასოფლო-სამეურნეო კოლეჯები, რომლებიც კადრებს უმზადებენ აგრეთვე სამეცნიერო ცენტრებსაც.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, ბრაზილიის სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ განვითარების ექსტენსიურ ჩარჩოებშია მოქცეული. მაგალითად, დამუშავებაშია აღრიცხული მიწების მხოლოდ 12%, რაც ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 4% შეადგენს. აღნიშნული ფონდის ნახევარი მოდის იპეთ მეურნეობებზე, რომლებიც 1000 და მეტ ჰექტარ ფართობს ფლობენ. აგროტექნიკური ფონი დაბალია, მეურნეობის 3/4 იყენებს ხელით შრომას, მხოლოდ მეურნეობის 10%-ია მექანიზებული, ამასთან, ქვეყნის სხვადასხვა ზონები ამ მაჩვენებლებით ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში 12 ჰექტარზე მოდის ერთი ტრაქტორი, ჩრდილოეთ რაიონებში ეს მაჩვენებელი 366 ჰექტარს შეადგენს. სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში იქმნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 70%-ზე მეტ, მაშინ როდესაც ამავე ოლქებში ცხოვრობს სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობის 35%-მდე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში 1980 წელს ჩატარდა მიწის ფონდების აღრიცხვა, ეს ჯერ კიდევ არ იძლევა სრულ სურათს, ვარაუდობენ რომ სახნავის რაოდენობა 70—80 მლნ. ჰექტარის ფარგლებში მერყეობს, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,7 ჰექტარია. ენერგოშეიარაღება (არსებული მონაცემებით) 12—14 ცხენის ძალაა. ენერგეტიკაში დომინირებს ცოცხალი გამწევი ძალა.

სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგია მემცენარეობა, რომელზეც მოდის წარმოებული პროდუქციის 3/5. მას გამოკვეთილი საექსპორტო ხასიათი აქვს. მაგალითად, ხუთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო კულტურაზე (ყავა, კაკაო, ბამბა, შაქრის ლერწამი და სოია) მოდის ქვეყნის ნათესი ფართობის 32% და მემცენარეობის პროდუქციის ღირებულების 37%. ყავის წარმოებით ბრაზილია პირველ ადგილზეა მსოფლიოში. თუმცა, მისი ხვედრითი წონა მსოფლიო წარმოებაში 60%-დან შემცირდა 35%-მდე. 1980 წელს ქვეყანაში დაინერგა 38 მილიონი ტომარა ყავა (ერთი ტომრის წონა 50 კგ-ია). ყავის გავრცელების ძირითადი რაიონებია სან-პაულასა და რიო-დე-ჟანეიროს მიმდებარე ტერიტორიები.

კაკაოს წარმოებით ბრაზილიას მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მისი პლანტაციები წარმოდგენილია ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, კერძოდ ბაიასა და ქალაქ ილეუსის მიდამოებში. კაკაოს წლიური წარმოება 15—18 მილიონი ტომარაა.

ბამბა და შაქრის ლერწამი ქვეყნის უძველესი საპლანტაციო კულტურებია, რომელიც გაადგილებულია ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში. ეს რეგიონები იძლევიან ქვეყანაში წარმოებული ბამბის 1/3 და შაქრის ლერწმის 3/5. საჭიროა აღინიშნოს, რომ შაქრის ლერწმის საერთო მოსავლით ბრაზილია პირველ ადგილზეა მსოფლიოში. შაქრის წარმოება ქვეყანაში კარგადაა განვითარებული, შექმნილია აგროსამრეწველო კომპლექსები, რომელშიც შედის შაქრის ლერწმის მსხვილი პლანტაციები და გადამამუშავებელი მრეწველობა. მაგალითად, 1985 წელს ქვეყანაში აწარმოეს 8,5 მილიონი ტონა შაქარი, აქედან 3 მლ. ტონა გატანილი იქნა ექსპორტზე: შაქრის ლერწამზეა დამოკიდებული ეთილენის სპირტის წარმოებაც, რომლის მიხედვით ქვეყანა პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

მნიშვნელოვანი საექსპორტო კულტურაა აგრეთვე ბრინჯი, რომელიც მოჰყავთ სამხრეთის ჭარბტენიან პროვინციებში, ბრინჯის წარმოება 10—12 მილიონ ტონას შეადგენს წელიწადში. აქედან, 70% გადის ექსპორტზე. მსოფლიოში, ბრაზილიური ბრინჯი თავისი ყუათიანობითა და გემოვნებითი თვისებებით საუკეთესოა.

ქვეყნის ძირითადი სასურსათო კულტურაა სიმინდი, რომლის წილად მოდის ნათესების ნახევარი. მოსავლიანობა 35—40 ცენტნერია, ხოლო საერთო წარმოება 30 მილიონ ტონას შეადგენს. სიმინდი მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია (რომელსაც მოიხმარენ მწადად და ღომად). ძირითადი პროდუქტია აგრეთვე ლობიოც, რომელიც სიმინდის ნათესებშია შერეული. მარცვლეულიდან მოჰყავთ ხორბალი (12—15 მლნ. ტონა), ქერი და ჭვავი. მიუხედავად მარცვლეულის საკმაოდ დიდი მოცულობით წარმოებისა, ქვეყანას იგი არ ჰყოფნის. შემოაქვთ ხორბალი (მოხმარების 60%), აგრეთვე ჭვავი და ქერიც.

მოჰყავთ სუბტროპიკული ხილი, კერძოდ, ფორთოხალი, ლიმონი, ბანანი, გრეიფრუტი. მათ მოყვანას სამრეწველო ხასიათი აქვს. გარკვეული ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ (ევროპაში). კარგი რეპუტაციით სარგებლობს სუბტროპიკული ხილის წვენი, რომელსაც ამზადებენ დიდი რაოდენობით. 1985 წელს ქვეყანაში დაამზადეს 4 მილიონ ტონაზე მეტი ციტრუსი.

კარგი შედეგები აქვს მევენახეობასაც. ქვეყნის სამხრეთით არსებობს მევენახეობის სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებსაც გადამამუშავებელი საწარმოებიც კი გააჩნიათ. იწარმოება როგორც სუფ-

რის ისე გადასამუშავებელი ყურძენი. ამზადებენ ყურძნის ნატურალურ წვენს, გარკვეული რაოდენობით ღვინოს და სხვა მაგარ სასმელებს.

საგარეუბნო ზონაში და მსხვილი სამრეწველო ცენტრების ირგვლივ განვითარებულია ღია გრუნტის მებოსტნეობა, მოჰყავთ კიტრი, სალათა, დიდი რაოდენობით პომიდორი და სხვა სახის ბოსტნეული. მებოსტნეობა განვითარებულია აგრეთვე ყველა გლეხურ მეურნეობაში.

გაშენებულია კაუჩუკის დიდი პლანტაციები, რომლის წარმოებითაც ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანია. მოჰყავთ საუკეთესო ხარისხის თამბაქო, რომელიც ნედლეულის სახით გაქვთ ევროპაში, თუმცა, ნედლეულის უდიდესი ნაწილის გადამუშავება ადგილზე წარმოებს. მსოფლიოში კარგადაა ცნობილი ბრაზილიური სიგარეტები.

წარმოდგენილია მეცხოველეობაც, რომლის წილადაც მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო ღირებულების 2/5. მეცხოველეობას მეხორცული მიმართულება აქვს. იგი ძირითადად ეთარდება ბუნებრივი საძოვრების ხარჯზე. პირუტყვი არც ბაგურ კვებასა და არც ძვირადღირებულ მექანიზებულ სადგომებში, ანიტომ წარმოებული პროდუქციის ღირებულება არ არის მაღალი. მეცხოველეობა წარმოდგენილია თითქმის ყველა პროვინციაში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 30 მილიონს უდრის, (ზუსტი მონაცემები არ არსებობს), მათ შორის 8 მილიონი მეწველია. ამზადებენ საქონლის ხორცს, რძესა და რძის პროდუქტებს: მეცხოველეობას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს: ექსპორტზე გადის მხოლოდ ტყავი და ნაწილობრივ მატყლი.

საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰყავთ ცხვარი, მეცხვარეობა განვითარებულია თითქმის ყველგან, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთ ნაწილში. აწარმოებენ ცხვრის ხორცს (ძირითადად ბატკნის), მატყლს, ხველს: წარმოდგენილია აგრეთვე თხაც, რომელიც ჰყავთ როგორც ცალკე ჯოგების სახით, ისე ცხვართან შერეული.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ცხვარი ძირითადად წარმოდგენილია სპეციალიზებულ მეურნეობებში, მსხვილ საწარმოებში. პირუტყვის რაოდენობა ზოგჯერ 1000 სულს აღემატება, მაგრამ უფრო მეტად გავრცელებულია 30—50 სულიანი ჯოგები, რომელთა მოვლა და თვალყურის დევნება ძოვებისას უფრო იოლია.

მეცხოველეობის მსხვილ მეურნეობებთან არსებობს ხორცისა და რძის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ან საერთო

წარმოების სტრუქტურებშია მოქცეული ან კოოპერირებულია მათთან.

მსხვილი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ირგვლივ განვითარებულია მეფრინველეობაც, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს, გარდა ამისა, მეფრინველეობა ყველა გლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პირუტყვის სულადობა საკმაოდ დიდია და მეცხოველეობის განვითარებისათვისაც კარგი ბუნებრივი პირობებია, პირუტყვის პროდუქტიულობა მაინც დაბალია (2600 ლიტრი), რაც იმის მიზეზია, რომ სუსტია პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა, გარდა ამისა, არ იყენებენ კვების რაციონალურ სქემებს (კომბინირებული საკვები თითქმის არ გამოიყენება), პირუტყვი ძირითადად მწვანე საკვებზეა.

მემცენარეობის პროდუქციის გარდა, ბრაზილიას არგენტინიდან შემოაქვს მეცხოველეობის ზოგიერთი სახის პროდუქცია, სახელდობრ: კარაქი, კვერცხი, ხორცის ნაწარმი (ძეხვეული) და სხვ.

მოსახლეობის კვების ბალანსში წარმოდგენილია აგრეთვე თევზის პროდუქცია. აქ მეთევზეობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ბრაზილიის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, რომლის მოპოვებას როგორც სამრეწველო, ისე ინდივიდუალური ხასიათი აქვს: უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა თევზის პროდუქციის ხვედრითი წილი მოსახლეობის კვების ბალანსში.

განვითარებულია გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგების შემცირების მიზნით. ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო რაიონებში რაციონალურადაა გაადგილებული გადამამუშავებელი ქარხნები, საწარმოები. ბევრია მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი წარმოებებიც.

ბრაზილიას უზარმაზარი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ დონეზე განვითარებისათვის. დამუშავებულია რამდენიმე პროექტი, რომლებიც ითვალისწინებენ უმოკლეს დროში სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაორმაგებას. გათვალისწინებულია არა მარტო ახალი მიწების ათვისება, არამედ პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდაც.

გაიანა

გაიანა სამხრეთ ამერიკის პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 215 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—900 ათასამდე, დედაქალაქია —

ორჯთაუნი, ოფიციალური ენა ინგლისურია. გაიანას რესპუბლიკა განეკუთვნება ატლანტის ოკეანის აუზის ქვეყნებს.

ქვეყნის მოსახლეობა თავისი შემადგენლობით ჭრელია. აქ შეიძლება შეხვდეთ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულებს, ცხოვრობენ ინდიელებიც, რომლებიც ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობად ითვლებიან. გაიანა — ინგლისის ყოფილი კოლონიაა, რომელმაც დამოუკიდებლობა 1966 წელს მოიპოვა. დღეს ქვეყანა ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია.

პირველი კოლონიზატორები ევროპელები (ესპანელები და პორტუგალიელები) იყვნენ, მათ თავდაპირველად აქ ვერ მოიკიდეს ფეხი, ვინაიდან ქვეყანა გაუვალ ჯუნგლებს, ჭაობებსა და არაჯანსაღ კლიმატურ ზონას წარმოადგენდა. მომდევნო პერიოდში გაიანას დაპატრონება მოინდომეს ინგლისელებმა, ფრანგებმა და ჰოლანდიელებმა. ეს ბრძოლა თითქმის 80 წელს გაგრძელდა და ბოლოს დამთავრდა ინგლისელების გამარჯვებით. დაიწყო ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ათვისება, შეიქმნა პლანტატორული მეურნეობები, მომდევნო პერიოდში აღმოჩენილი იქნა წიაღისეული: ოქრო, ბოქსიტები, ალმასი, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა ქვეყნის სამეურნეო ათვისება.

გაიანას კლიმატი სუბეკვატორულია — ტენიანი და ცხელი. ქვეყანა ძირითადად მდებარეობს მაღლობზე, რომლის სიმაღლე 300—500 მეტრს არ აღემატება, მხოლოდ დასავლეთითაა 2000 მეტრი სიმაღლის ქედები, ქვეყნის მოსახლეობა უმთავრესად თავმოყრილია სანაპირო ზოლში. ბევრია მდინარეები, ტბები, ჩანჩქერები, ქვეყნის ტერიტორიის 90% უჭირავს ტროპიკულ ტყეებს, რომელთა შორის ბევრია ძვირფასი ჯიშის ხეები.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას დიდი ბუნებრივი პოტენციალი გააჩნია, იგი განეკუთვნება ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა შაქრის ლერწამი, რომელიც გაადგილებულია მსხვილ მეურნეობებში. ქვეყანაში 19 შაქრის ლერწმის უდიდესი პლანტაცია და 16 შაქრის ქარხანაა: მათი უმრავლესობა უცხოური კაპიტალის (ძირითადად, ინგლისის) ხელშია. გაიანა ამზადებს დიდი რაოდენობით შაქარს, რომელიც ინგლისურ კომპანიებს თავისივე ტრანსპორტით (საოკეანო გემებით) გაატანენ საზღვარგარეთ. შაქრის წარმოების აგროსამრეწველო კომპლექსში დაკავებულია 45 ათასზე მეტი კაცი — ძირითადად, დაქირავებული მუშები. მემცენარეობიდან წარმოდგენილია აგრეთვე ბრინჯი, რომლის წარმოება, შაქრის ლერწმისაგან განსხვავებით, ძირითადად თავმოყრილია წვრილ ფერმერულ მეურნეობებში (0,2 ჰა-მდე),

თუმცა, გვხვდება რამდენიმე მსხვილი ფერმაც (400 ჰა), რომლებიც სპეციალიზებულნი არიან ბრინჯის წარმოებაზე. პროდუქციის მხოლოდ 15—20% მოიხმარება ადგილზე, დანარჩენი მიდის სახლვარგარეთ. სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი პროდუქციაა ქოქოსის ნაყოფი, რომლის დიდი ნაწილი მოჰყავთ წვრილ ფერმერულ მეურნეობებში, მიღებული მოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი მიდის გადამუშავებაზე, ამზადებენ ზეთს, მარგარინს, საპონს და ა. შ. გარდა ამისა დიდი რაოდენობით მოჰყავთ ციტრუსები, კერძოდ, ფორთოხალი და ლიმონი, ბევრია ბანანი, ანანასი და სხვა სუბტროპიკული ხილი. ამზადებენ ნატურალური ხილის წვენებს, რომელიც ძირითადად შიგა მოხმარებისათვისაა განკუთვნილი. ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვა წარმოებს კოოპერატივების მეშვეობით, რომელთა ორგანიზაცია მაღალ დონეზეა. ბრინჯის გარდა მარცვლეულიდან მოჰყავთ სიმინდი და ქერი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქვეყანა მარცვლეულით (გარდა ბრინჯისა) ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს და შემოაქვს იგი ინგლისიდან.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაში წარმოდგენილია მეცხოველეობის პროდუქტები, რომლის წილად მოდის წარმოებული პროდუქციის 1/4. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი (300 ათასი), რომელიც მერძეული მიმართულებისაა, მისდევენ მეცხვარეობას, რომელსაც მეხორცული მიმართულება აქვს, განვითარებულია მეფრინველეობაც. მეცხოველეობის პროდუქტები (რძის ფხვნილი, ხორცის კონსერვები) შემოაქვთ ინგლისიდან.

მოსახლეობის საკვებ ბალანსში 15—20%-ით წარმოდგენილია თევზის პროდუქტები, რომლითაც მდიდარია სანაპირო წყლები. მეთევზეობას ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

სურინამი

სურინამი სამხრეთ ამერიკის ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს, მისი ტერიტორია 163,3 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა —360 ათასამდე. ქვეყნის კლიმატი სუბეკვატორულია, ცხელი და მუდმივად ტენიანი. საშუალო ტემპერატურა +28°-ია. წლის განმავლობაში 200 დღე წვიმიანია, ნალექების რაოდენობა 2000—2500 მმ-ია. ქვეყანაში ბევრია მდინარე და ტბა. ტერიტორიის დიდი ნაწილი დაპაობებულია. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 90%, ჯერ-ჯერობით მათი სამრეწველო ათვისება ნაკლებად ხდება. სურინამი პირველად 1499 წელს იქნა აღმოჩენილი. იგი ინგლისის კოლონია გახდა, რომელმაც 1975 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა.

ქვეყნის ეკონომიკა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიმართუ-

ლებისაა, სასარგებლო წიაღისეული ნაკლებადაა შესწავლილი. მრეწველობა წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი დარგებით. 1922 წელს ქვეყანაში აღმოჩენილი იქნა ბოქსიტები, რომლის საკმაოდ დიდმა მარაგმა მიიქცია უცხოეთის კაპიტალისტების ყურადღება. დღეისათვის ბოქსიტების მოპოვებით ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში:

სოფლის მეურნეობა სუსტადაა განვითარებული და ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას. იგი უმთავრესად წარმოდგენილია სანაპირო ზოლში. დამუშავებული მიწების 70% ეკუთვნის საშუალო და მსხვილ მიწათმფლობელებს, რომლებიც პლანტატორულ მეურნეობას ეწევიან. მიწის დარჩენილი ფართობი დაყოფილია წვრილ ნაკვეთებად. რომელსაც იჯარით ამუშავებენ უმიწაწყალო გლეხები. დამუშავებული მიწების ნახევარზე მეტი ირწყვება და შეადგენს ქვეყნის საერთო ფართობის 0,4%. სარწყავ მიწებზე წელიწადში რამდენიმე მოსავალს იღებენ: ენერგოშეარაღება ცოცხალია. უმთავრესად იყენებენ ხელით შრომას, რომელიც აქ იაფია. მხოლოდ მსხვილი პლანტაციის მფლობელები იყენებენ ტექნიკას (უმთავრესად სატრანსპორტო საშუალებებს).

მემცენარეობიდან დომინანტობს ბრინჯი, რომელსაც უჭირავს ნათესების 3/4 ანუ 50 ათასი ჰექტარი, შეიქმნა ბრინჯის წარმოების დიდი მეურნეობები. ზოგიერთი მათგანი 10 ათას ჰექტარ სახნავ ფართობს ფლობს, ბრინჯის საერთო მოსავლიანობამ ქვეყნის მასშტაბით 170 ათასი ტონა შეადგინა. აქედან. 50—60 ათასი ტონა ცვალეს ქვეყნის გარეთ (ძირითადად აშშ-ში).

მეორე საექსპორტო კულტურაა ბანანი, რომლის წარმოება ძირითადად წვრილფერმერულ მეურნეობებშია. ბანანი მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია. გარდა ამისა მოჰყავთ შაქრის ლერწამი ყავა, კაკაო, ფორთოხალი, ქოქოსის კაკალი და სხვ.

ქვეყანაში მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული, ძირითადად ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც პატარ-პატარა ფერმების სახით არის წარმოდგენილი, პირუტყვი მთელი წლის განძილზე ძოვებაზე ჰყავთ, არ იყენებენ კომბინირებულ საკვებს, ამიტომ მათი პროდუქტიულობა დაბალია. მეცხოველეობას აქვს როგორც სასოფლო, ისე მეურეული მიმართულება. ჰყავთ ადგილობრივ თხებიც რომლებიც თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაშია წარმოდგენილი. მეფრინველეობას საშრეწველო ხასიათი არა აქვს. იგი ინდივიდუალურ მეურნეობებშია წარმოდგენილი.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, სურინამი

ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და შემოაქვს იგი სხვა ქვეყნებიდან (მარცვლეული, ხორცი, ხილი და სხვ.).

XIII თავი

ლათინური (ცენტრალური) ამერიკა

(მექსიკა, გვატემალა, გონდურასი, კუბა, ნიკარაგუა, პანამა, კოსტა-რიკა, სალვადორი, იამაიკა და სხვ.)

ლათინურ ამერიკას უწოდებენ ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც განლაგებულნი არიან აშშ-ის სამხრეთით. მასში შედიან სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ქვეყნები და ოკეანეში მდებარე კუნძულები, თვით ანტარქტიდამდე. აღნიშნულ რეგიონს ხშირად ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებსაც უწოდებენ. ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა ჩვენს მიერ უკვე განხილულია.

ლათინური ამერიკა მსოფლიოს ერთ-ერთი მსხვილი რეგიონია, მასში მოქცეულია 30-მდე ქვეყანა. ფართობი 20,1 მლნ. კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა—360 მილიონი, რაც მსოფლიო მოსახლეობის 9%-ს შეადგენს. ლათინური ამერიკის ტერიტორია მერიდიანის მიმართულებით გადაჭიმულია 8ერავალ ათეულ ათას კილომეტრზე, გადის რა ატლანტიკა და წყნარი ოკეანის სივრცეებზე

ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის 63% ლაპარაკობს ესპანურად, ხოლო დანარჩენი პორტუგალიურად. მოსახლეობის 3% ცხოვრობს პატარ-პატარა ქვეყნებში, რომლებშიც ოფიციალური ენა ფრანგული, ინგლისური ან ჰოლანდიურია, იმის და მიხედვით თუ ვის მფლობელობაში იყო დამოუკიდებლობამდე ეს თუ ის ქვეყანა.

მსოფლიოს სხვა რეგიონებისაგან ლათინური ამერიკა განსხვავდება ეთნოკულტურით, ბუნებრივი, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული თავისებურებებით. რეგიონის სახელწოდება წარმოსდგება მისი კოლონიზაციის ხასიათისაგან, ჩრდილოეთ ამერიკისაგან განსხვავებით რომლის კოლონიზაცია ანგლოსაქსური ჯგუფის ქვეყნებმა მოახდინეს, ლათინური ამერიკის ქვეყნები დაპყრობს ლათინური წარმოშობის (პორტუგალია, ესპანეთი, იტალია) ქვეყნებმა.

ლათინური ამერიკის ქვეყნები განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს ეკუთვნიან, მაგრამ ამავე ჯგუფის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავ-

ებით, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწიეს დამოუკიდებლობას, მათ გაიარეს დამოუკიდებლობის საკმაოდ დიდი გზა. სწორედ ამიტომ აღნიშნული რეგიონის ქვეყნების უმრავლესობაში ეამოკვეთილია განვითარების კაპიტალისტური გზა, მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნებით: მრეწველობის განვითარებით, ქალაქის მოსახლეობის რაოდენობით, ჩამოყალიბებული საგარეო ეკონომიკური ურთიერთობებით და ა. შ.

ფართობითა და მოსახლეობის რაოდენობით რეგიონის ქვეყნები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, ბრაზილია, რომელსაც უჭირავს რეგიონის ფართობის 2/5, 400-ჯერ მეტია სალვადორზე, ხოლო 150-ჯერ მეტი მეზობელ გაიანის მოსახლეობაზე. გაიტში, რომლის განვითარების დონე ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ყველაზე დაბალია, მოსახლეობის შემოსავალი 10-ჯერ და ზოგჯერ 100-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში (არგენტინა, ჩილე, მექსიკა და ა. შ.).

აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე გავლენა მოახდინა იმანაც, რომ ისინი სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით უფრო ადრე ჩაერთნენ მსოფლიო საერთაშორისო ვაჭრობაში. მაგალითად, კოლონიური პერიოდიდან ისინი ევროპისათვის წარმოადგენდნენ ძვირფასი მეტალების მიწოდების ძირითადი რეგიონებს. დღესაც, ლათინური ამერიკის ქვეყნების ექსპორტის 4/5 მოდის სამთო-მომპოვებელ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე, სწორედ ამიტომ ლათინური ამერიკის ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონე დიდადაა დამოკიდებული მსოფლიო საბაზრო ფასების კონიუქტურაზე.

მრავალფეროვანია ლათინური ამერიკის ლანდშაფტი, აქ ვხვდებით უმაღლეს მთაგრეხილებს მთიანი სისტემებით და გიგანტურ მდინარეთა ბასეინებს გაუვალი ტროპიკული ტყეებით. ვხვდებით უდაბნოებს, ქვა-ღორღიან უნაყოფო მასივებს და მიწათმოქმედებისათვის ხელსაყრელ ჰუმუსით მდიდარ ნიადაგს, რომელიც მოსავლის რამდენჯერმე მიღების საშუალებას იძლევა.

დღევანდელი ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა, წარსულში კოლონიური სახელმწიფო იყო, რომლებმაც დამოუკიდებლობას გასული საუკუნის დასაწყისში თავგანწირული ბრძოლების შემდეგ მიაღწიეს. აღსანიშნავია ის, რომ დამოუკიდებლობის შემდეგაც ისინი ჩართული დარჩნენ ყოფილი მეტროპოლიების ეკონომიკაში და დღესაც ეს კავშირები საკმაოდ ძლიერია. მჭიდროდ არიან დაკავშირებ-

ული ჩრდილოეთ ამერიკასთან და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომლის წილადაც მოდის ამ ქვეყნების ექსპორტის 55—60%.

ვერც ლათინური ამერიკის ქვეყნები გადაურჩა ე. წ. სოციალისტური განვითარების გზას. სოციალიზმის ექსპორტის პოლიტიკამ აქაც გარკვეულ პოზიციებს მიაღწია, აქტიურად ჩაერევნენ რა კუბაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლას გულისხმობდა, აღმოსავლეთ ევროპის მაშინდელმა სოციალისტურმა ქვეყნებმა და პირველ რიგში ყოფილმა საბჭოთა კავშირმა, დაამყარეს კუბაში კომუნისტური დიქტატურა, რომელმაც რამდენიმე ათეული წლით შეაჩერა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესი. იგივე მოხდა ნიკარაგუაში, რომელმაც უკვე თავი დააღწია კომუნისტურ დიქტატურას.

ამერიკის კონტინენტის ათვისებისას თავდაპირველ პუნქტს ევროპელებისათვის სწორედ ცენტრალური ამერიკის ქვეყნები წარმოადგენდნენ. აქ ნეიმნეს მათ ბაზები მატერიკის სიღრმეში შესაღწევად და მისი კოლონიზაციისათვის. ეს ქვეყნები გახდნენ მთელი სიმდიდრის ევროპაში გატანის ძირითადი პუნქტები. მდებარეობენ რა ორი ოკეანის აუზში, აღნიშნული ქვეყნები გახდნენ წყნარი და ატლანტის ოკეანის ქვეყნების დამაკავშირებელნი. მიმოსვლის ინტენსივობამ აუცილებელი გახადა პანამის სანაოსნო არხის გაჭრა, რითაც მსოფლიოს ორი უდიდესი ოკეანე დაუკავშირდა ერთმანეთს. ამ ფაქტმა აღნიშნული ქვეყნების სატრანზიტო მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.

ცენტრალურ ამერიკის ქვეყნებს სპეციფიკური ნიშნები ახასიათებთ, რაც გამოიხატება არა მარტო ლანდშაფტისა და ბუნებრივი პირობების განსხვავებით, არამედ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებითაც. უპირველეს ყოვლისა, ესაა ამერიკის ყველაზე მეტად დანაწევრებული რეგიონი, რომლის ბუნება და ფლორა კონტრასტულია. აქ ვხვდებით მუდმივად მწვანე ტროპიკულ ტყეებსა და დაშალობებულ დაბლობებს, ქარისმიერი ეროზიისაგან გამოფიტულ სირსატიან ნიადაგებს და ნაყოფიერ სავანებსა და ველებს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კი — ძლიერს ან უკიდურესად ჩამორჩენილ სახელმწიფოებს.

ცენტრალური ამერიკის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ტროპიკული კლიმატის სარტყელში, რომელიც ხასიათდება მაღალი ტემპერატურით, მზის გაზრდილი აქტიურობით, მშრალი კლიმატით, რომელსაც მოსდევს გვალვები, ღარიბი მდინარეული ქსელით და ა. შ.

აქ ვხვდებით ადამიანის არსებობისათვის გამოუსადეგარ უზარმაზარ სივრცეებს და ცხოველებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის ოპტიმალურ პირობებსაც.

ეკონომიკური თვალსაზრისით ცენტრალური ამერიკის ქვეყნები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. თუ მექსიკაში წარმოების კაპიტალისტური წესისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნთვისებაა წარმოდგენილი, სხვა ქვეყნებში ჯერ კიდევ ვხვდებით განვითარების ფეოდალური პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობაში. ძირეულად განსხვავდება ერთმანეთისაგან აღნიშნული ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დონეც, რაც ზოგან არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციის მიზეზი ხდება.

მექსიკა

მექსიკა ლათინურ ამერიკაში სიდიდით მესამე ქვეყანაა, ბრაზილიისა და არგენტინის შემდეგ. მისი ტერიტორია 2 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—75 მილიონი, დედაქალაქია — მეხიკო, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია მსოფლიოში, თავის 15 მილიონიანი მოსახლეობით. მექსიკა მაღალგანვითარებული ფედერაციული რესპუბლიკაა, რომელიც აერთიანებს 31 შტატს.

ქვეყნის ბუნება მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია, იმით, რომ იგი გადაჭიმულია დიდ მანძილზე — ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სჭარბობს მთიანი რელიეფი, ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე, განიცდის ორი ოკეანის დიდ გავლენას და იმყოფება სუბტროპიკული და ტროპიკული სარტყლის ზონაში.

ქვეყნის ტერიტორიის 2/3 უჭირავს მთებს, რომლებიც ქვეყანას ყოფენ ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილად. ისინი ეულკანური წარმოშობისაა. მთების სიმაღლე ზოგან 4000 მეტრამდე აღწევს. ყველაზე მაღალი წერტილია ვეკონი ტაკანა (4117 მეტრი). მრავალფეროვანია ქვეყნის კლიმატიც, რომელიც გამომდინარეობს რელიეფის მრავალფეროვნებისაგან. მექსიკის ჩრდილოეთ ნაწილში სუბტროპიკულ-კონტინენტური კლიმატია, სადაც მოდის ნალექების მცირე რაოდენობა, ხოლო ტემპერატურა ცვალებადია, მაგალითად, ყინვები ზოგჯერ —10° აღწევს, ხოლო სიცხე +40°. ტერიტორიის დანარჩენი ნაწილი მდებარეობს ტროპიკულ სარტყელში, სადაც დაბლობსა და მთისწინა კალთებზე ტემპერატურა მაღალია. მაგალითად, იანვარში იგი 21—25°-ია, ხოლო ივლისში—28°.

კლიმატის მრავალფეროვნება განაპირობებს ნალექების არათანაბარ განაწილებას. მათი რაოდენობა მატულობს ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ზოგიერთ პროვინციაში იგი 150—200 მმ-ს არ აღემატება, ხოლო სამხრეთით (ბიუერნეობის ზონაში) 1500—2500 მმ-ს აღწევს, ამას შედეგია ის, რომ ქვეყანაში ვხვდებით უდაბნოებსა და ნაოვრად უდაბნოებს, თავიანთი მცენარეული საფარით და ტენიანი მარადმწვანე სუბტროპიკებით. განსხვავებულია კლიმატი და ნალექების რაოდენობა ვერტიკალური ზონალობის მიხედვითაც.

ქვეყნის კლიმატური პირობები და ნალექების განაწილების არათანაბრობა განაპირობებს იმას, რომ მდინარეების ფორმირება ძნელად ხდება, რის შედეგადაც ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში იგი თითქმის არ არის. ქვეყნის ყველაზე დიდი მდინარეა რიო-ბრავო-დელ-ნორტე, რომელიც ჩრდილოეთის ცენტრალურ პროვინციებზე გაედინება და ფართოდ გამოიყენება მორწყვისათვის. საერთოდ კი ქვეყანაში წყლის დეფიციტია, რომლის შესავსებად ფართოდ იყენებენ ძვირადღირებულ გრუნტის წყლებს.

მექსიკაში მრავალფეროვანი ნიადაგობრივ-მცენარეული საფარია. უმთავრესად წარმოდგენილია (ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით) ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს ტიპის ნაცრისფერი ნიადაგები, რომლებიც სამხრეთით ყავისფერ ნიადაგებში გადადის. ეს ნიადაგები მორწყვის შემთხვევაში ვარგისია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ამის შესაბამისია აღნიშნული რეგიონის მცენარეულობაც. იგი უმთავრესად წარმოდგენილია კაქტუსებითა და ბუჩქნარებით.

ქვეყნის მთიანი ნაწილი ტყიანია, რომელსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვს ბევრია ნაძვი და ფიჭვი, შედარებით ქვედა სარტყელში წარმოდგენილია ფოთლოვანი ტყე, მთის ფერდობებზე ბევრი საძოვრებია, რომელიც საკმაოდ მაღალი ყუათიანობით ხასიათდება.

ვარაუდობენ რომ ადამიანი დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე გაჩნდა 15—12 ათასი წლის წინათ ჩვ. წ.-აღ. მე-4 ათასწლეულში, აქ განვითარებული იყო მიწათმოქმედება, მოჰყავდათ სიმინდი, ლობიო, გოგრა, როგორც ვარაუდობენ მექსიკელმა ინდიელებმა დაიწყეს პირველად სიმინდის კულტივირება და მსოფლიოს შეუნარჩუნეს ეს შესანიშნავი მცენარე. უკვე ჩვენს ერამდე პირველ ათასწლეულში ქვეყანაში ჩამოყალიბდა მაღალი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფო, რომელიც მაიას ტომის სახელწოდებითაა ცნობილი. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო მექსიკის დაპყრობა ესპანელების

ვიერ, რის შედეგადაც ძირფესვიანად შეიცვალა ქვეყნის ეთნიკური სტრუქტურა, ჩამოყალიბდა ადგილობრივების ახალი ეთნიკური ჯგუფი მეტისეების სახით. ესპანელებმა დააკვიდრეს ევროპული ტიპის ფეოდალური ურთიერთობანი. 1810 წ. დაიწყო მექსიკელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, რომელიც 1821 წელს გამარჯვებით დაგვირგვინდა. დღევანდელი მექსიკა მაღალგანვითარებული დემოკრატიული ტიპის სახელმწიფოა.

მექსიკის ეკონომიკის განვითარება ეყრდნობა საკუთარი ნედლეულის ბაზას. ქვეყანა მდიდარია ბრავალნაირი ნედლეულით, ნავთობით, გაზით, ბოქსიტებით, ძიძარრესურსებით. სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით მექსიკა — ბრაზილიასა და არგენტინასთან ერთად, შედის ლათინური ამერიკის ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების რიცხვში. მიუხედავად ამისა, ცხოვრების დონით დიდად ჩამორჩება მეზობელ ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგალითად, მრეწველობაში დასაქმებული მუშის შემოსავალი 6-ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობაში 15-ჯერ, დაბალია ვიდრე აშშ-ში.

მექსიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 2/3. ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ყველგან არ არის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ამიტომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა უდიდესი უმრავლესობა ეწევა საკუთარ მოხმარებლურ მიწათმოქმედებას, რასაც ხშირად იძულებითი ხასიათი აქვს. ამის შედეგია ის, რომ მექსიკის სოფლის მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე. ქვეყანაში განვითარებულია ნარცელეულის წარმოება, მაგრამ არა იმ დონით, რომელიც საჭიროა საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თავიდანვე, სოფლის მეურნეობის განვითარებას ცალმხრივი, საექსპორტო ხასიათი მიეცა, რომელიც ძირითადად ყავის, კაკაოსა და ხილის წარმოებაში გამოიხატებოდა.

მექსიკის სოფლის მეურნეობის სასაქონლო დარგებში დამკვიდრდა წარმოების კაპიტალისტური წესი, რომლის საფუძველს წარმოადგენს მსხვილი მეურნეობები, მექანიზაციის მაღალი დონით და დაჩქარებული ზრდით. სასაქონლო მიწათმოქმედება ძირითადად წარმოდგენილია ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში, სარწყავი მიწათმოქმედების ზონაში.

დღეისათვის, მექსიკაში მსხვილ მიწათმფლობელებთან ერთად წარმოდგენილია წვრილგლეხური მეურნეობებიც, რომლებიც ძირი-

თადად სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ნაკლებნაყოფიერ მიწებზეა გაადგილებული. მათ მიერ მიღებული პროდუქციის 60%-ზე მეტი საკუთარი ოჯახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება, ნაწილი კი მცირე ოდენობით გააქვთ შიდა ბაზარზე. წვრილგლეხურ მეურნეობაში ძირითადად იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას და პრიმიტიულ ხელით შრომას. ასეთი მეურნეობების პროდუქტიულობა დაბალია. თითქმის არ ტარდება ნიადაგის განოყიერების სამუშაოები, ამიტომ მიწების დამუშავებაში დიდ მონაცვლეობას აქვს ადგილი.

წვრილგლეხური მეურნეობებისაგან განსხვავებით, საშუალო ფერმერული მეურნეობები აწარმოებენ სასაქონლო პროდუქციას და ბევრი მათგანი მარტივ კოპერაციულ გაერთიანებაში შედის. იყენებენ დაბალი სიმძლავრის ტექნიკასაც. საშუალო სიმძლავრის ფერმები უმრავლეს შემთხვევაში მეცხოველეობის მიმართულებისაა.

ქვეყანაში ბევრია უმიწაწყალო გლეხი, რომელიც იჯარით იღებს მიწას ნაკვეთს ან ქირით მუშაობს მსხვილ მიწათმფლობელთან ან პლანტაციორთან. ბევრი მათგანი სეზონური მუშაა. ნაწილობრივ დაქირავებულ შრომას იყენებს აგრეთვე წვრილი მეურნეობების ის ნაწილი, რომლებიც მსხვილი მეურნეობების გვერდით მდებარეობენ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოშეიარაღების დონე დაბალია, საშუალოდ იგი 18—20 ცხენის ძალას არ აღემატება. ტექნიკა ძირითადად მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია, ხოგან ეს მაჩვენებელი 60—65 ცხენის ძალას აღწევს, წვრილგლეხურ მეურნეობებში კი მერყეობს 1,5—2,5 ცხენის ძალამდე.

არათანაბარია ქიმიური საშუალებების გამოყენების მაჩვენებლებიც, მაგალითად, სარწყავ მიწებზე სასუქების გამოყენება გაცილებით ეფექტიანია და მას უნარიანად იყენებენ მსხვილი მიწათმფლობელები, ხოლო წვრილგლეხურ მეურნეობებში სასუქების გამოყენება თითქმის არ ხდება, თუმცა ქვეყანაში არსებობს ქიმიური ქარხნები, რომელთა პროდუქციაც საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და ექსპორტზეც კი იგზავნება.

არაეფექტიანია მეცნიერების როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში, თუმცა, არსებობს სასოფლო-სამეურნეო კვლევის საკმაოდ ცნობილი ცენტრები. მათი კვლევის შედეგების გამოყენებას გარკვეული ეფექტი მოაქვს ძირითადად მსხვილი მიწათმფლობელებისათვის. დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლების დონეც, ამის შედეგია ის, რომ შრომის ნაყოფიერების

თვალსაზრისით, მექსიკა 17-ჯერ ჩამორჩება აშშ-ის ანალოგიურ მაჩვენებელს.

მექსიკის ტერიტორია ბუნებრივ-კლიმატური პირობების თვალსაზრისით ნაკლებ გამოსაყენებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ქვეყნის ტერიტორიის 40% მოდის უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებზე, 40%—მთებსა და ტყეებზე, მხოლოდ 15% შეიძლება იქნეს გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის და ისიც მხოლოდ მორწყვის პირობებში. დამუშავებული მიწების საერთო ფართობი 16 მილიონი ჰექტარია, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,21 ჰექტარს შეადგენს, ეს მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ სახნავის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მექსიკა ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში. სარწყავი მიწების რაოდენობა კი 4,8 მილიონი ჰექტარია და ამ მაჩვენებლით მექსიკას ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამ მიწებზე იქმნება ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 75—80%. სარწყავი მიწათმოქმედება საშუალებას იძლევა წელიწადში მიღებული იქნეს ორი მოსავალი მაინც. მელიორირებული მიწები მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში. ისინი იძლევიან ხორბლის საერთო მოსავლის 70% და ბამბის — 95%.

აღნიშნულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო. მიწათმოქმედებს ეძლევათ შეღავათიანი კრედიტები, მათი წარმოება ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტისათვის. აქვეა წარმოდგენილი გადამამუშავებელი მრეწველობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა მომსახურე დარგები. 1970 წელს განხორციელდა აგრარული რეფორმა, რომელმაც კარგი წინამძღვრები შექმნა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. რეფორმის მიზანი უპირველესად ქვეყნის საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იყო, უმიწაწყალო და მცირემიწიან გლეხებს დაურიგდათ მიწა, მიეცათ ერთდროული ფულადი დახმარება, მსხვილ ლატიფუნდისტებს ჩამოართვეს დამუშავებული მიწები, რისთვისაც მათ სახელმწიფომ გადაუხადა სათანადო საზღაური. მაგრამ მიუხედავად ამისა ღონისძიებებისა, რეფორმამ მაინც ვერ გამოიღო ის შედეგები, რომელსაც ელოდნენ, რადგან წარმოებისათვის არახელსაყრელ რეგიონებში გლეხობამ არ მოისურვა მიწების ათვისება. ამჟამად, ხორციელდება ქვეყნის მელიორაციის მეორე რიგის პროგრამა, რომელიც სარწყავი მიწების რაოდენობას 8—9 ასეულ ჰექტარამდე გაზრდის. ვარაუდობენ, რომ ამ პროგრამის განხორციელების შემდეგ ქვეყანა

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტიორი გახდება.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მემცენარეობა, რომლის წილადაც მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 50%-ზე მეტი. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: სიმ-ინდი, რომელიც იძლევა მარცვლეულის 65% და წარმოადგენს მექ-სიკელების კვების ძირითად პროდუქტს, ხორბალი, ბრინჯი და ლო-ბიო. ლობიოც სოფლის მცხოვრებთა კვების ძირითადი პროდუქტია, იგი მოჰყავთ ყველა მეურნეობაში. ხორბალი და ბრინჯი კი უმეტე-სად სარწყავ ზონაშია წარმოდგენილი და მაღალი მოსავლიანობითაც ხასიათდება. აღსანიშნავია, რომ მექსიკელმა მეცნიერებმა მიიღეს ხორბლის გვალვაგამძლე ჯიში, რომლის დარაიონებაც ხდება არა მარტო მექსიკაში, არამედ საზღვარგარეთაც.

ტექნიკური კულტურებიდან მოჰყავთ ბამბა, რომელიც მაღალი ხარისხისაა და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობს მსოფლიოს ბა-ზარზე. ბამბის წარმოებამ 1985 წელს შეადგინა 1,4 მლნ. ტონა, რომლის 40% ნედლეულის სახით ექსპორტზე გაიტანეს. ამავე ზონა-ში წარმოდგენილია შაქრის ლერწამიც, რომელიც ძირითადად ად-გილობრივ მოთხოვნებს ხმარდება. განვითარებულია მეთამბაქეობა, რომლის პროდუქციითაც მექსიკა ცნობილია მსოფლიოში. არსებობს სიგარეტის დამამზადებელი ფაბრიკების საკმაოდ ხშირი ქსელი. აღსანიშნავია, რომ მექსიკას თამბაქო სხვა ქვეყნებში გააქვს მზო-ლოდ გადამუშავებული (სიგარეტების სახით. საექსპორტო კულტუ-რებია აგრეთვე ყავა და კაკაო. მათი წარმოება მსხვილ პლანტაციურ-ულ მეურნეობებში წარმოებს. მექსიკაში ძალზე დიდი რაოდენობით მოიხმარება ყავა და კაკაო. 1985 წლის მონაცემებით ქვეყანაში დაამზადეს 1,8 მილიონი ტომარა ყავა, რომლის 40% გატანილი იქნა ექსპორტზე.

მემცენარეობიდან კარგადაა წარმოდგენილი აგრეთვე სუბტრო-პიკული ხილი: ფორთოხალი, ბანანი, ლიმონი. მათი გაადგილების ძირითადი რეგიონია ქვეყნის სამხრეთი პროვინციები, სადაც იგი ძირი-თადად მოჰყავთ გლეხურ მეურნეობებში. სუბტროპიკული ხილიც ადგილობრივ გააქვთ საექსპორტოდ. საკმაო რაოდენობით მოჰყავ-თ აგრეთვე ბროწეული, ლეღვი, არაბისი და სხვ.

განვითარებულია ღია გრუნტის მებოსტნეობა. დიდი რაოდენო-ბით მოჰყავთ წიწაკა, პომიდორი, კომბოსტო, სალათი. მექსიკელები დიდი რაოდენობით ხმარობენ ხმელ სუნელს, უყვართ ცხარე საჭმე-ლები.

მეცხოველეობაზე მოდის სასოფლო-სამეურნეო წარმოების

35%-მდე. მიუხედავად შედარებით ხელსაყრელი პირობებისა (ბუნებრივი საძოვრების რაოდენობა და ხარისხი), მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. ამის მიზეზია ის, რომ იქ სადაც შეიძლება განვითარდეს მეცხოველეობა, ნაკლებადაა განვითარებული ტრანსპორტი, რაც ცხადია აფერხებს აღნიშნული დარგის განვითარებას. მეცხოველეობიდან ძირითადია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა რაოდენობა 11,7 მილიონია და იგი მეხორცული მიმართულებისაა. აშშ-ის ბოსაზღვრე ზონაში განვითარებულია მსხვილმასშტაბური მეცხოველეობა, არის მეურნეობები, რომლებშიც 1000 და მეტი სული პირუტყვია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას აკლია მეცხოველეობის პროდუქტები და იგი მზა პროდუქციის სახით შემოაქვს აშშ-დან, დაკლული ხორცი და ხშირად ცოცხალი პირუტყვიც კი ფერმერებს გააქვთ აშშ-ში, რადგან ცენტნერი ხორცის ღირებულება იქ 2-ჯერ მეტია, ვიდრე საკუთრივ მექსიკაში. ყოველივე ეს საბაზრო ეკონომიკის ნათელი მაგალითია. ქვეყანაში ჰყავთ მერძეული პირუტყვიც, თუმცა მათი წველადობის მაჩვენებელი დაბალია (საშუალოდ 2800 ლიტრი მეწველ ფურზე). ამზადებენ ყველს, შესქელებულ რძეს, რძის ფხვნილსა და კარაქს. რძის პროდუქტებით ქვეყანა 35%-ით იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს. იგი დიდი რაოდენობით შემოაქვთ აშშ-დან. განსაკუთრებით, კარაქი და შესქელებული რძე.

მეცხოველეობიდან წარმოდგენილია აგრეთვე ცხვარი, რომელიც უმეტესად მთიან ზონაში ჰყავთ. მეცხვარეობა წარმოდგენილია წვრილი ფერმების სახით, ამზადებენ მატყლსა და საკარაკულე ტყავს, რომელიც გაქვთ აშშ-ში. ქვეყანაში დიდად ფასობს ბატკნის ხორცი, რომელსაც დიდი რაოდენობით ამზადებენ. მეცხვარეობის ზონაში ჰყავთ აგრეთვე თხის ჯოგებიც, რომლის რძეც ადგილობრივი მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია.

ბოლო წლებში განვითარდა მეფრინველეობაც. შეიქმნა სპეციალიზებული მეფრინველეობის მსხვილი კომბინატები. ეს დარგი განსაკუთრებით განვითარდა დედაქალაქ მეხიკოს საგარეუბნო ზონაში და მსხვილი ქალაქების ირგვლივ. მეფრინველეობას აქვს როგორც მეხორცული, ისე კვერცხის წარმოების მიმართულება.

ქვეყანაში სუსტადაა განვითარებული მეღორეობა, რომელიც უმთავრესად წვრილგლეხურ მეურნეობებშია წარმოდგენილი და ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, მექსიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული ქვეყანაა, რომელსაც გარკვ-

ეული პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია. დიდი რაოდენობით შემოაქვთ კვების პროდუქტები, განსაკუთრებით მარცვლეულისა და ძეცხოველეობის პროდუქციის სახით. გააქვთ სუბტროპიკული ხილი, ზოგიერთი ტექნიკური კულტურის ნაწარმი, ტყავეული და ა. შ. იმპორტ-ექსპორტის სალდო ქვეყნისათვის ჯერ-ჯერობით უარყოფითია.

გვატემალა

გვატემალა ლათინური ამერიკის პატარა სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 109 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—7,5 მილიონი, დედაქალაქია—გვატემალა. ქვეყანა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფოა, რომელსაც მართავს პრეზიდენტი.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე დიდი ხნით ადრე, თანამედროვე გვატემალას ტერიტორიაზე უკვე სახლობდნენ ინდიელები, რომლებმაც მაღალ ცივილიზაციას მიაღწიეს. გვატემალაში პირველად ესპანელები 1523 წელს გამოჩნდნენ და სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. ბრძოლა გვატემალის დასამორჩილებლად დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ესპანელებმა შექმნეს კოლონიური სახელმწიფო, რომელმაც 1821 წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

გვატემალის ტერიტორია კომპაქტურია. ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარეობს დიდი პლატო, რომელსაც უჭირავს ტერიტორიის 1/3, ხოლო ტერიტორიის ნახევარი უჭირავს მთებს, რომელთა სიმაღლე 1000—3000 მეტრია. მთიან მასივში ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 9/10. მთები ვულკანური წარმოშობისაა, გვატემალა მაღალ სეისმურ ზონაში მდებარეობს.

ქვეყნის კლიმატი ტროპიკულია, დაბლობში საშუალო თვიური ტემპერატურა 23—27°-ია, ხოლო მთებში — 15—20°. ცხელი, ტროპიკული კლიმატი დამახასიათებელია ქვეყნის დაბლობისათვის, სადაც ბევრი ჭაობია. მცენარეული საფარი გამოხატულია ჯუნგლებითა და მარადმწვანე მცენარეებით. მთები ტყიანია, 2000 მეტრის სიმაღლეზე ჭარბობს წიწვოვანი მცენარეები. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი წყლის რესურსებით, არსებობს შიგა ტბებიც. მდინარეების დიდი ნაწილი სატრანსპორტოა. ნიადაგები ნოყიერია და ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

გვატემალა ინდიელთა და მეტისთა ქვეყანაა, რომლებიც ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ. ძალზედ მაღალია მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი (3,1%), საშუალოდ სიმჭიდროვე 50 კაცია.

განვითარების დონით გვატემალა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, რომელიც დიდადაა დამოკიდებული უცხოური და პირველ რიგში, აშშ-ის კაპიტალზე. სოფლის მეურნეობის წილად მოდის ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის 1/3. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა დაახლოებით 2 მილიონამდეა. რომლის 2/3 დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწილი იგზავნება ექსპორტზე. სოფლის მეურნეობაში ჭარბობს მსხვილი პლანტატორული მეურნეობები, რომლებიც ძირითადად ორიენტირებული არიან საექსპორტო პროდუქციის წარმოებაზე, ამასთან ერთად, არსებობს ინდიელთა წვრილი, ნახევრად ნატურალური მეურნეობებიც, რომლებიც პროდუქტს ძირითადად აწარმოებენ საკუთარი მოხმარებისათვის. მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია დამუშავებული მიწების 3/5.

გლეხების უმრავლესობა, რომელთაც არა აქვთ მიწა საკუთრებაში, მემამულეებისაგან იჯარით იღებენ მიწის ნაკვეთს, ხოლო ნაწილი დაქირავებულია სეზონურ სამუშაოზე. წარმოებას ექსტენსიური ხასიათი აქვს. ნაკლებად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. დიდ ყურადღებას აქცევენ საექსპორტო პროდუქციის (ყავა, კაკაო, ბანანი, ბამბა) წარმოებას. ასეთ კულტურებს უჭირავთ სახნავის 1/3 და იძლევიან საერთო პროდუქციის ნახევარს, მათ წილად მოდის ქვეყნის ექსპორტის 10%. საექსპორტო პროდუქციაში პირველი ადგილი უჭირავს ყავას. ქვეყანაში მოიხმარება მოწეული პროდუქციის მხოლოდ 20%, დანარჩენი მოდის ექსპორტზე, ძირითადად, აშშ-ში. გვატემალას ყავა უმაღლესი ხარისხისაა და დიდად ფასობს მსოფლიოს ბაზარზე. როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანაში საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებია ყავის წარმოებისათვის, რომლის წარმოებითა და ექსპორტით გვატემალა შედის ყავის მწარმოებელი ქვეყნების ხუთეულში (ბრაზილია, კოლუმბია, მექსიკა, სალვადორი, გვატემალა).

მეორე მნიშვნელოვანი კულტურაა ბამბა, რომლის პლანტაციებში სპეციალური სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გამოიყენება. ბამბა, მსხვილი მეურნეობების სახით წარმოდგენილია წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლში, მაღალი მოსავლის მისაღებად ფართოდ იყენებენ მინერალურ სასუქებს. ქვეყანას ბამბა დიდი რაოდენობით გააქვს ექსპორტზე. ადრე ამ რეგიონში განვითარებული იყო მეცხოველეობა, რომელიც დღესაც შემორჩენილია მსხვილი მეცხოველეობის მეურნეობების სახით.

დიდ მოსავალს იძლევა ბანანი, რომელიც გაადგილებულია კარიბის დაბლობის ნოყიერ ნიადაგზე. 1985 წელს ქვეყანაში დაამზადეს 800 ათასი ტონა ბანანი, რომლის ნახევარი გატანილი იქნა აშშ-სა და ევროპაში. ბანანის პლანტაციები მსხვილი მეურნეობების სახითაა წარმოდგენილი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ კულტურამ წყნარი ოკეანის სანაპიროებისაკენ გადაინაცვლა, რადგან კარიბის დაბლობზე ბანანის პლანტაციებს გაუჩნდა დაავადება, რომლის პროფილაქტიკა ჯერ-ჯერობით არ არსებობს, გარდა მექანიკური მოსპობისა. პლანტაციების 2/3 ეკუთვნის კერძო კომპანიებს, რომლებშიც სჭარბობს უცხოური კაპიტალი. ბანანი წარმოდგენილია წვრილგლეხურ მეურნეობებშიც, რომელთა პროდუქციას შეისყიდიან მსხვილი მწარმოებლები.

წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლში მოჰყავთ აგრეთვე შაქრის ლერწამი. ამ კულტურას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, იგი ძირითადად გლეხურ მეურნეობებშია გაადგილებული. ნედლეულს კუსტარული წესით ამუშავებენ, მიიღება ყვითელი ფერის შაქრის ფხვნილი, რომელიც „პანელის“ სახელწოდებითაა ცნობილი, კვების ეს პროდუქტი გამოიყენება ინდიელებში.

საექსპორტო მნიშვნელობა აქვს: თამბაქოს, კანაფს, ციტრუსებს, ეთერზეთებს. ეს კულტურები წარმოდგენილია წვრილგლეხურ მეურნეობებში. მათგან მნიშვნელოვანია თამბაქო, რომელიც უმაღლესი ხარისხისაა და დიდ მოწონებას იმსახურებს მსოფლიო ბაზარზე. იგი ძირითადად ნედლეულის სახით გააქვთ აშშ-სა და ნაწილობრივ ევროპაშიც.

ქვეყნისათვის ძირითადი სასურსათო კულტურებია: სიმინდი, ლობიო, ბრინჯი და ხორბალი, რომელიც ყველა გლეხურ მეურნეობებშია წარმოდგენილი და ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით და კარგი ხარისხით. სასუქებისა და თანამედროვე აგროტექნიკის გამოყენებით მოსავლიანობა მაღალია. მაგალითად, სიმინდი ჰექტარზე იძლევა 100—120 ცენტნერ მოსავალს, ხორბალი — 40—45 ცენტნერს და ა. შ. გვატემალას ხორბალი გააქვს ექსპორტზე, უმთავრესად სათესლედ. ქვეყნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კარტოფილის წარმოებას. 1985 წელს აწარმოეს 850 ათასი ტონა კარტოფილი. განვითარებულია აგრეთვე მებოსტნეობაც, რომელსაც ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

მეცხოველეობის ხვედრითი წილი დიდი არ არის. მემცენარეობაზე მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80%, ხოლო მეც-

ხოველეობაზე მხოლოდ 20%. ქვეყანაში არის მსხვილი მეცხოველეობის ფერმები. ძირითადად ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც მეხორცული მიმართულებისაა. მერძეული ჯოგი დაბალი-პროდუქტიულობით ხასიათდება, პირუტყვი ძოვებაზეა, რომელსაც ხშირად თავისებური ხასიათი აქვს — პირუტყვი არ იმწყემსება და იგი გაშვებული ჰყავთ თავისუფლად. ქვეყნის მთიან ნაწილში, ჰყავთ ცხვარი და თხა. ვითარდება მეფრინველეობაც, კარგადაა განვითარებული მეფუტკრეობა. აქაური თაფლი მაღალი ხარისხისაა, პროდუქციის საერთო მოცულობა 100 ტონას აღემატება, რომლის ნახევარზე მეტი გააქვთ საზღვარგარეთ.

ქვეყანაში გვხვდება მსხვილი მექანიზებული და წვრილი გლეხური მეურნეობები, სადაც ძირითადად იყენებენ ხელით შრომას. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შემოაქვთ აშშ-დან. ენერგოშეიარაღება დაბალია. მიუხედავად ამისა, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების მაჩვენებლებით ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ლათინურ ამერიკაში, რაც უპირველეს ყოვლისა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობების შედეგია.

გვატემალა მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომელიც ძირითადად საკუთარ მოთხოვნილებებს საკუთარი წარმოებით იკმაყოფილებს, თუმცა მეცხოველეობის პროდუქტები (ძეხვეული, რძის ფხვნილი, კვერცხის ფხვნილი) ქვეყანას შემოაქვს აშშ-დან. იმპორტ-ექსპორტის სალდო ქვეყნისათვის დადებითია.

ჰონდურასი

ჰონდურასი ცენტრალური ამერიკის პატარა სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 112 ათას კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა — 3,2 მლნ. დედაქალაქია — ტეგუსიგალპა. მოსახლეობის 90% ინდიელ-ესპანური წარმოშობის მეტისია. კონსტიტუციით ჰონდურასი რეს-პუბლიკაა. რომელსაც მართავს პრეზიდენტი.

ჰონდურასი აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა 1502 წელს. გარკვეული პერიოდის მანძილზე დღევანდელი ჰონდურასი და მის ასლო მდებარე კუნძულები მეკობრეების თავშესაფარს წარმოადგენდა, რომელთა ნაწილიც შემდგომში დასახლდა ამ ქვეყანაში და ხელი მიჰყო პლანტატორულ მიწათმოქმედებას. 1821 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მალე დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც 30 წელს გაგრძელდა.

ქვეყნის ბუნებრივი პირობები მრავალფეროვანია. მისი ტერიტორიის 2/3 უჭირავს მთებს, რომლებიც დაფარულია ტყეებით და-

მუშავებაშია ტერიტორიის 1/5. კლიმატი ტროპიკულია, ტემპერატურის სეზონური ცვლილებები უმნიშვნელოა. დასავლეთ დაბლობში ივლისის ტემპერატურა 24°—28°-ია, აღმოსავლეთით —30°-მდე, ხოლო იანვრის ტემპერატურა — 3°—4°-ზე დაბალია. ქვეყნის ჩრდილოეთი უხვნალექიანია — 1500—2000 მმ, შიდა და სამხრეთი ნაწილი კი უფრო მშრალი (500—600 მმ), იცის გრიგალის მსგავსი ქარები, რომელიც დიდ მატერიალურ ზარალს იწვევს.

რელიეფისა და კლიმატის შესაბამისია ნიადაგობრივ-მცენარეული საფარიც. ჩრდილოეთ დაბლობი და მთის წინა კალთები მარადმწვანე ტროპიკულ ტყეებს უჭირავს; ნიადაგები ძირითადად მოწითალო-ყვითელია, ბევრია პალმის, კაუჩუკისა და წითელი ხის ტყეები, მთები ფოთლოვანი ტყითაა დაფარული, რომლებშიც სჭარბობს მუხა და რცხილა, ხოლო მაღალმთიან ზონაში წიწვოვანი მცენარეებიცაა წარმოდგენილი.

ქვეყანა წყლით კარგადაა უზრუნველყოფილი. მდინარეთა ქსელი ხშირი და წყალუხვია, მათი უმრავლესობა სანაოსნოა, არის სასარგებლო წიაღისეულიც, ინტენსიურად მიმდინარეობს ოქროს, ვერცხლის, რკინის, სპილენძის, მოპოვება.

ქვეყნის მოსახლეობა არათანაბრადაა დასახლებული. ძირითადი მასა ცხოვრობს ქვეყნის დასავლეთით — ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, ნაწილი—ცენტრალურ მთიან ზონაში, დიდაქალაქის რაგვლივ.

ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 35%. აქედან 3/4 დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, მცირე ნაწილი კი სამთო-მომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაში. ქვეყნის მოსახლეობის 2/3 სოფლად მაცხოვრებელია.

ჰონდურასი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანა. ეროვნული შემოსავლის ნახევარზე მეტი იქმნება სოფლის მეურნეობაში, რომლის საფუძველს წარმოადგენს პლანტატორული მეურნეობა და მეცხოველეობა. სასაქონლო პროდუქცია, რომელიც ექსპორტზე მიდის, თითქმის მთლიანად იქმნება სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის ძირითადი კულტურაა ბანანი, რომლის წარმოებაც მსხვილ მიწათმფლობელთა ხელშია. სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია წარმოებისა და მიწათსაკუთრების მაღალი კონცენტრაცია: 700 მემამულეს, რომლებიც მიწათმფლობელთა 0,4%-ს შეადგენს, საკუთრებაში აქვთ დამუშავებული ფართობის 1/3, მაშინ როდესაც 120 ათას გლეხურ ოჯახს საერთოდ არა აქვს მიწა, ხოლო 100 ათასი ოჯახი ფლობს სახნავის მხოლოდ 8%.

ქვეყანაში ჩამოყალიბდა წარმოების სამი ძირითადი ტიპი: 1. მსხვილი მემამულური მეურნეობები, რომლებიც იყენებენ ტექნიკურ სამუალებებს, სასუქებს და უახლეს აგროტექნიკას, წარმოებას აქვს მონოკულტურის სახე და იგი პლანტატორული ტიპისაა, როგორც წესი ასეთი მეურნეობები საექსპორტო პროდუქციას ამზადებენ. 2. წვრილი გლეხური ინდივიდუალური მეურნეობები, რომლებიც ფლობენ 1—5 ჰექტარამდე მიწის ფართობს. მათი უმრავლესობა პროდუქტს საკუთარი მოთხოვნილებისათვის ამზადებს, ბოლო მცირე ნაწილი ქმნის აგრეთვე სასქონლო პროდუქციასაც. 3. მოიჯარეები, რომლებიც დაუმუშავებელ მიწას იღებენ იჯარით მემამულისაგან. არსებობს იჯარის რამდენიმე ფორმა (მუდმივი, დროებითი, შერეული).

მსხვილ მემამულურ მეურნეობებში წარმოდგენილია: ბანანის, ბამბის, თამბაქოსა და ციტრუსების წარმოება. ისინი ფართოდ იყენებენ იაფფასიან ხელით შრომასაც, მსხვილი ლატიფუნდისტებს აქვთ აგრეთვე შემფუთავი და სხვა სახის სამრეწველო საწარმოებიც.

წვრილგლეხური მეურნეობები, რომლებიც სასაქონლო პროდუქციას აწარმოებენ, ზოგჯერ ერთიანდებიან მარტივ კოოპერაციებში. ამ გაერთიანებას დროებითი ხასიათი აქვს, ისინი იძლევიან პროდუქციის ძირითად მასას ქვეყნის შიდა მოხმარებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში წამყვანია მემცენარეობა, რომლის წილადაც მოდის წარმოებული პროდუქციის ღირებულების 75%. მარცვლეულიდან ძირითადად მოჰყავთ სიმინდი, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია. გარდა ამისა, მოჰყავთ აგრეთვე ბრინჯი და ლობიო. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია კარტოფილი, ეთერზეთები, თუმცა ქვეყანას მარცვლეული შემოაქვს საზღვარგარეთიდანაც, განსაკუთრებით ხორბალი. საგარეუბნო ზონა დათმობილი აქვს სუბტროპიკულ მეხილეობას (ფორთოხალი, ლეღვი, ლიმონი) და მებოსტნეობას, რომლის რამდენიმე მოსავალს იღებენ.

მსხვილი მემამულური მეურნეობების გარდა ხელით შრომა გამოყენებულია წვრილგლეხურ მეურნეობებშიც. სადაც სუსტია აგროტექნიკური ფონი, დაბალია შრომის ნაყოფიერება. გავრცელებულია შრომის ანაზღაურების ნატურალური ფორმა, რომელიც ძირითადად უმიწაწყლო გლეხებისათვის დროებითი სამუშაოების ანაზღაურების ფორმაა.

ჰონდურასის სოფლის მეურნეობაში დამხმარე როლს ასრულებს მეცხოველეობა, რომლის პროდუქციის წარმოებას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. იგი მეხორცული მიმართულებისაა.

ჯოგი ბუნებრივ ძოვებაზეა, რისთვისაც იყენებენ საძოვრებს, რომლებიც მაღალი ყუათიანობით გამოირჩევიან. ჰყავთ მეწველი პირუტყვი, რომლის პროდუქტიულობაც დაბალია. რძეს ძირითადად იყენებენ ნატურალური სახით, მთიან ზონაში ჰყავთ თხის ჯოგებიც. თხის რძეს დიდი გასავალი აქვს. მცირეოდენობით ჰყავთ ცხვარიც, მატყლი გამოყენებულია წვრილგლეხური ხელოსნური წარმოებისათვის. ყველა გლეხურ მეურნეობაში ჰყავთ ფრინველი. შეიქმნა აგრეთვე სამრეწველო ხასიათის მეფრინველეობის ფაბრიკებიც.

მიუხედავად ხელსაყრელი საწარმოო პირობებისა, ჰონდურასის სოფლის მეურნეობა დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოებით და სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ მარცვლეული, მეცხოველეობის პროდუქტები, მსგავი სასმელები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სასუქები.

ბელიზი და სალვადორი

ბელიზის ტერიტორია 23 ათასი კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა—15 ათასამდე. 1975 წლამდე იგი ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა. ქვეყნის კლიმატი ტროპიკულია, ნალექების რაოდენობა 1300—3500 მმ-მდეა, ხშირია ძლიერი ქარები, ქვეყნის ნახევარზე მეტი უჭირავს ტროპიკულ ტყეებს.

ეკონომიკური თვალსაზრისით იგი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის 70% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო 20% — სატყეო მეურნეობაში, ამ ორ დარგში იქმნება ნაციონალური შემოსავლის 40%. ქვეყნის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია საექსპორტოა, მოჰყავთ: შაქრის ლერწამი, ციტრუსები (ძირითადად ფორთოხალი, გრეიფრუტი, მანდარინი), ქოქოსის პალმა, ანანასი, ბანანი, კაკაო. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ზღვისპირა ზოლშია განლაგებული, ქვეყნის შიგა რაიონები პრაქტიკულად ათვისებულია.

ძირითადი კულტურა სოფლის მეურნეობაში შაქრის ლერწამია, რომელსაც უჭირავს ნათესების 1/3. ნედლეულის დამუშავება ადგილზე წარმოებს. მიღებული პროდუქციის 60% საექსპორტოა. ადგილობრივი მოხმარებისათვის თესავენ სიმინდს (კვების ძირითადი პროდუქტი), ლობიოს, კარტოფილს, ბრინჯს, რომლის მოსავალიც საკმაოდ მაღალია.

მისდევენ მეცხოველეობას, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (ნახევრად ველურ მდგომარეობაში). ჯოგი ძირითადად მეხორცული მიმართულებისაა. ჰყავთ თხა, ცხვარი, აგრეთვე ფრინველი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ჯერ კიდევ კოლონიური ხასიათი აქვს. ქვეყანაში არსებობს მსხვილი ლატიფუნდიები, რომელთა ვეერდით წარმოდგენილია წვრილგლეხური მეურნეობებიც, საკმაოდ ბევრია უმიწაწყლო გლეხები. ისინი იჯარით ან ქირით მუშაობენ მემამულეებთან. შრომის ორგანიზაცია და შრომის იარაღები პრიმიტიულია. (ძირითადად, თოხი და ბარი), ანაზღაურებაც დაბალია.

მიუხედავად ჩამორჩენილი წარმოებისა, ბელიზის სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით და როგორც აღნიშნული იყო, მათი საკმაოდ დიდი ნაწილი გააქვთ საზღვარგარეთ.

მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული წყაროა სატყეო მეურნეობა, ამზადებენ იშვიათი ჯიშის ხის მასალას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა საზღვარგარეთ (ძირითადად, წითელი ხე, მუხა და სხვ.).

სალვადორი

სალვადორი ცენტრალური ამერიკის პატარა ქვეყანაა, რომლის ფართობი 21,4 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—5 მილიონამდე. 1962 წლის კონსტიტუციით სალვადორი ბურჟუაზიული რესპუბლიკაა. ქვეყანა 1524 წელს აღმოაჩინეს ესპანელებმა და დაიწყეს მისი სამეურნეო ათვისება. ეკონომიკის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც ორიენტირებულია საექსპორტო ყავის წარმოებაზე. 1841 წელს ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

სალვადორი მთიანეთიანი ქვეყანაა. ბევრია ვულკანური წარმოშობის ტბები. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 45%, რომელშიც ბევრია ძვირფასი ხის ჯიშები. გვხვდება მშრალი სავანეებიც. სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება: რკინა, სპილენძი, თუთია, ვერცხლი, ოქრო, პლატინა, ბოქსიტები, კვარცი, აზბესტი და სხვ. მათ დამუშავებას აწარმოებს ადგილობრივი და უცხოური კომპანიები.

სალვადორი ლათინური ამერიკის ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის სიმჭიდროვე 190 კაცს უდრის. აქედან ნახევარზე მეტი ცხოვრობს სოფლად. ქვეყანაში 1,1 მილიონი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობაა, რომლის ნახევარზე მეტი დაქირავებული მუშებია, მათ შორის 300 ათასი სასოფლო-სამეურნეო მუშაა.

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის წამყვანი დარგია. არსებობს 2 ათასამდე მსხვილი მიწათმფლობელი, რომელთა მფლობელობაშია 100 და მეტი ჰექტარი სახნავი, მათ ეკუთვნით დამუშავებული მიწე-

ბის ნახევარი. მსხვილ მიწათმფლობელთა შორის 14-ია ძირითადი, თვითეულის განკარგულებაშია 5000 ჰექტარზე მეტი სახნავი, გადამამუშავებელი საწარმოები, სავაჭრო ქსელი, ტრანსპორტი, ფინანსები და ა. შ. ისინი მილიონერები არიან და განაგებენ ქვეყნის არა მარტო ეკონომიკას, არამედ პოლიტიკასაც.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სალვადორის ეკონომიკა აღმავლობის გზით ვითარდებოდა. 3-ჯერ გაიზარდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა, შემცირდა სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილიც (თუმცა პროდუქციის წარმოების მოცულობა გაიზარდა). ორჯერ გაიზარდა გადამამუშავებელი მრეწველობის ხვედრითი წილი. მიუხედავად ამისა ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ დომინანტობს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ორი ძირითადი ტიპია გამოკვეთილი—კაპიტალისტური, რომელიც ამზადებს სასაქონლო პროდუქციას და წვრილგლეხური ნატურალური მეურნეობები, რომლებიც ძირითადად საკუთარი ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე მუშაობენ. მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობები სპეციალიზებულია. შეხვდებით ბამბის, ყავის, შაქრის ლერწმის უზარმაზარ პლანტაციებს და მსხვილმასშტაბურ მეცხოველეობის ფერმებს. აღნიშნულ მეურნეობებში თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას იყენებენ. სახნავის უდიდესი ნაწილი სარწყავია. იყენებენ კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე აგროტექნიკას. პირუტყვის მოვლის საშუშაოებს მეცნიერული საფუძველი აქვს და ა. შ.

ძირითადი საექსპორტო კულტურებია: ყავა, ბამბა, შაქრის ლერწამი (ნედლეულის სახით), თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა აღნიშნული კულტურების მოსავლიანობა. სასურსათო კულტურებია: სიმინდი, ბრინჯი, ლობიო, სხვა პარკოსნები, რომლებიც ძირითადად ხმარდება შიგა საბაზრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სასურსათო პროდუქცია მზადდება წვრილგლეხურ მეურნეობებში, რომლებიც იყენებენ ხელით ბრომას და ღამუშავების პრიმიტიულ ტექნოლოგიას, თითქმის არ არსებობს მექანიზებული საშუალებები. ენერგეტიკა, წარმოდგენილია ცოცხალი გამწეები ძალით. მიუხედავად ამისა, კარგი ბუნებრივი პირობების წყალობით, აღნიშნული კულტურების მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია.

დღისათვის, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოყენებულია ქვეყნის ტერიტორიის 3/4, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების 90% უდრის.

წარმოდგენილია მეცხოველეობაც, რომელიც ექსტენსიური ხასიათისაა, მეცხოველეობის ძირითადი რაიონებია ქვეყნის ჩრდილოეთით, სადაც ბევრია ბუნებრივი საძოვრები, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა პროდუქტიულობაც დაბალია. მსხვილ სპეციალიზებულ ფერმებში ჰყავთ ჯიშიანი პირუტყვი, რომელიც ბაგურ კვებაზეა, იყენებენ პირუტყვის კვების რაციონალურ მეთოდებს. ასეთ ფერმებში წველადობა 3000 ლიტრს აღემატება, ხოლო სუქებაზე დაყენებული პირუტყვის მატება მსოფლიოს სტანდარტების დონეზეა.

მეცხოველეობიდან ჰყავთ აგრეთვე თხა და მცირე რაოდენობით ცხვარი, ძირითადად წვრილგლეხურ მეურნეობებში. სალვადორელთათვის თხის რძე კვების ძირითადი პროდუქტია. ჰყავთ აგრეთვე ფრინველი, რომლის ხორცი და კვერცხი აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს.

სალვადორი ეწევა პროდუქციის იმპორტსაც. შემოაქვთ მარცვლეული, ხორცის პროდუქტები, მზა შაქარი, მცენარეული ზეთი და სხვ.

ნიკარაგუა

ნიკარაგუა ცენტრალური ამერიკის ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 148 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—2,5 მილიონი, დიდაქალაქია—მანაგუა. ქვეყანა ორი ოკეანის — ატლანტისა და წყნარი ოკეანის აუზებს ეკუთვნის.

ნიკარაგუა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა, იგი 1502 წ. აღმოაჩინა ქ. კოლუმბმა. 1522 წელს დაიწყო ესპანელების შემოჭრა, რომლებმაც სასტიკ ბრძოლებში სძლიეს ადგილობრივ ინდიელებს. დაიწყო კოლონიზაციის ხანგრძლივი პროცესი. 1821 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ნიკარაგუას ბუნება მრავალფეროვანია. შეხვდებით ვულკანებს, მთიან მასივებს, ჭაობებს, ტბებს, მდინარეებს, ტყიან მასივებს და სხვა. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი ბუნებრივი რესურსებით, გააჩნია მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ფართობების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

ქვეყნის რელიეფი რთულია. მისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს მთებს, ოკეანისპირა დაბლობები ქვიშიანია, ბევრია ჭაობი, მიუხედავად ამისა ნიკარაგუას ტერიტორია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მოხერხებულია. საკმაოდაა მცენარეთა ვეგეტაციისათვის საჭირო აქტიური დღეების რაოდენობა. ნიადაგები გამოირჩევიან ბუნებრივი ნაყოფიერებით, მდინარეთა ქსელი საკმაოდ ჩშირია. კლიმატი ტროპიკულია, სამხრეთ დასავლეთით კი—სუბეკვატორული. საშუალო თვიური ტემპერატურა 25—28°. ნალექების რაოდენობა მალა-

ლია, ზოგ რეგიონში იგი 6500 მმ-ს აღწევს. ქვეყნის დედაქალაქში ნალექების წლიური რაოდენობა 1000 მმ-ია, სახაპიროზე (იგულისხმება ორივე ოკეანე) 2500 მმ და ა. შ.

მოსახლეობის 80% ცხოვრობს ქვეყნის დასავლეთ რაიონებში, საშუალო . სიმჭიდროვე—ერთ კვ. კმ-ზე 16 კაცია, მოსახლეობის მატების ტემპი მაღალია — 3% წელიწადში. მოსახლეობის 50% ცხოვრობს ქალაქად, რაც ურბანიზაციის საკმაოდ მაღალი დონეა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებისათვის.

ნიკარაგუა აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 50%, რომლის ხვედრითი წილი ქვეყნის ნაციონალურ პროდუქტში 30%-ზე მეტია. სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია საექსპორტო მიმართულებისაა. მიუხედავად ბუნებრივი პირობებისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწების მხოლოდ 1/3 ათვისებული. სოფლის მეურნეობაში წამყვანია მემცენარეობა, რომლის წილადაც მოდის სასოფლო-სამეურნეო პრონდუქციის ღირებულების 3/4, ხოლო 1/4 — მეცხოველეობაზე.

ნიკარაგუას სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია როგორც მსხვილმასშტაბური მემამულური, ისე წვრილგლეხური მეურნეობები. ბევრია უმიწაწყლო გლეხების რიცხვიც. წარმოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ფეოდალური ფორმები, რაც უპირველეს ყოვლისა ნატურალური ანაზღაურების ხასიათს გულისხმობს. 1979 წელს ქვეყანაში მოხდა ე. წ. სანდინისტური რევოლუცია, რომლის შემდეგაც ქვეყნის სათავეში მოვიდნენ მარქსისტები (თითქმის მთელი 10 წლის მანძილზე). მათ მიერ განხორციელებულ რეფორმებს სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. იგივე ითქმის სოფლის მეურნეობაზეც. აგრარული რეფორმის პირობების მიხედვით ქვეყნის დაუსახლებელ რაიონებში მიწა მიეცათ უმიწაწყალო გლეხებს. ცხადია ასეთ ღონისძიებას არ შეიძლება მოჰყოლოდა სასურველი შედეგი.

მიწათმოქმედებას აქ ძველი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ კოლონიზაციამდე ინდიელები მისდევდნენ სიმინდისა და სხვა კულტურული მცენარეების მოყვანას, ესპანელებიც უნარიანად იყენებდნენ ქვეყნის ბუნებრივ პირობებს. მათ შემოიტანეს კოლონიური კულტურები — ბამბა, ყავა და სხვა.

დღესაც ქვეყნის ძირითადი საექსპორტო კულტურაა ბამბა, რომლის წარმოებითაც ნიკარაგუას პირველი ადგილი უჭირავს ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით განვითარდა ეს დარგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე

ვაიზარდა მოთხოვნილება ბუნებრივ ბოჭკოზე. ბამბის ძირითადი ნათესები ქვეყნის დასავლეთითაა. მისი დიდი ნაწილი მოჰყავთ ირწყავ მიწებზე, მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში ტექნიკური საშუალებების ფართო გამოყენებით. აგროკლიმატური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ მიიღონ მაღალხარისხოვანი პროდუქცია, თუმცა ირწყავ მიწებზე მათი მოსავლიანობა შედარებით დაბალია.

მეორე საექსპორტო კულტურაა ყავა, რომელიც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ანალოგიური კულტურების მსგავსად „ჩრდილის" მოყვარულია არომატული ყავა, რომელიც ნიკარაგუაშია გავცელებული, ხასიათდება მაღალი ხარისხით და მას იყენებენ უფრო დაბალი ხარისხის ყავის გასაუმჯობესებლად. ყავის გავრცელების არეალის ვერტიკალური სარტყელი 500-დან 1000 მეტრამდე, მისი ძირითადი პლანტაციები გავრცელებულია ეუკლანური წარმოშობის ნიადაგებზე. ყავის პროდუქციის ძირითად მასას იძლევიან წვრილი გლეხური მეურნეობები. მოსავლის აღება შრომატევადია და მოითხოვს დამატებით შრომით რესურსებს, რომელიც ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა.

მემცენარეობიდან სასაქონლო პროდუქციას იძლევიან აგრეთვე შაქრის ლერწამი, ბანანი, კაკაო და თამბაქო. მათი უმრავლესობა გათვალისწინებულია შიდა ბაზრისათვის, თუმცა გარკვეული რაოდენობით გააქვთ ექსპორტზე. მაგალითად, თამბაქო რომელიც გავრცელებულია ინდივიდუალურ წვრილგლეხურ მეურნეობებში, იძლევა საექსპორტო პროდუქციის 45% (როდესაც აშშ ემბარგო დაადო კუბის შაქარს, შაქრის ლერწმის ნათესები გაიზარდა და აღნიშნული კულტურაც საექსპორტო გახდა, ძირითადად გაჰქონდათ შაქრის ფხვნილი, რისთვისაც ნიკარაგუაში აშენდა შაქრის ლერწმის გადამამუშავებელი საწარმოები).

ბანანი 1930 წ-მდე ნიკარაგუის საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენდა. მომდევნო წლებში გატანილი პროდუქციის რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა. დღეისათვის მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა გააქვთ აშშ და ისიც ამერიკელ მიწათმფლობელებს, რომლებსაც ნიკარაგუაში აქვთ ბანანის პლანტაციები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კულტურა სასაქონლოა და როგორც ვნახეთ მეტნაკლები მოცულობით საექსპორტო. ქვეყანაში სასურსათო კულტურებია უპირველეს ყოვლისა სიმინდი, რომლის წლიდან მოდის მარცვლეულის 80%, გარდა სიმინდისა მოჰყავთ ბრინჯი, მცირე რაოდენობით ხორბალი. სიმინდი ძირითადად წვრილგლეხურ მეურნეობებში მოჰყავთ, მის წარმოებას სტიქიური ხასიათი აქვს, შრომის

საშუალებები პრიმიტიულია, სიმინდის მწარმოებლები გაერთიანებული არიან მარტივ კოოპერაციებში, რომლებიც ერთობლივად აწარმოებენ ახლომდებარე ფართობების დამუშავებას, ზოგჯერ მსხვილი ბემამულური მეურნეობებისაგან ქირაობენ შესაბამის ტექნიკას, რაც შეეხება ბრინჯს, ძირითადად იგი მსხვილ მემამულურ მეურნეობებში მოჰყავთ. წარმოებული პროდუქციის მცირე ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ. აქაური ბრინჯი მაღალი ხარისხისაა. მარცვლეულიდან ქვეყანას მცირე რაოდენობით ხორბალი შემოაქვს აშშ-დან. დიდი რაოდენობით მოჰყავთ ლობიო, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისათვის. მემცენარეობიდან წარმოდგენილია აგრეთვე მებოსტნეობა და ბუბალჩეობა.

მეცხოველეობა მთისწინა კალთებზეა წარმოდგენილი. ნიკარაგუაში ბევრია პროდუქტიული საძოვრები, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც შერეული ტიპისაა, ერთსა და იმავე ჯოგში წარმოდგენილია როგორც სახორცე, ისე სარძეო მიმართულების პირუტყვი, პროდუქტიულობა დაბალია, თუმცა რძე მაღალი ცხიმიანობით ხასიათდება, ქვეყანაში არსებობს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მექანიზებული დიდი ფერმები, რომლებიც იძლევიან სასაქონლო პროდუქციას. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 3 მილიონია, რაც მიუხედავად დაბალი პროდუქტიულობისა, მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საქონლის ხორცსა და რძის პროდუქტებზე, ხოლო ნაწილი გააქვთ კიდევაც ექსპორტზე. ქვეყნის ბუნებრივი პირობები იმის საშუალებას იძლევა, რომ მეცხოველეობა იყოს მომგებიანი, ფაქტიურად პირუტყვი მთლიანად ბუნებრივ პირობებში ჰყავთ ძოვებაზე და არ ჭირდებათ ძვირადღირებული ფერმები, კომბინირებული საკვები და ა. შ.

მეცხოველეობიდან წარმოდგენილია აგრეთვე მეცხვარეობა, ჰყავთ თხები, მცირე რაოდენობით ღორიც. განვითარებულია მეფრინველეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს (მსხვილი მეფრინველეობის ფაბრიკები), საკმაო რაოდენობის ფრინველი ჰყავთ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებშიც.

მოსახლეობის კვების ბალანსში საკმაო ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი თევზის პროდუქტი. მიმდებარე ოკეანეები და შიგა წყლები თევზის დიდ მარაგს შეიცავენ.

ნიკარაგუაში ფართოდაა წარმოდგენილი გადამამუშავებელი მრეწველობა, თუმცა მისი ტექნიკური აღჭურვილობა მოძველებულია.

ამრიგად, ნიკარაგუა აგრარული ქვეყანაა, რომელიც საკვებ პრო-

დუქტებზე მოთხოვნილებას საკუთარი წარმოებით იკმაყოფილებს და დიდი რაოდენობით ამზადებს საექსპორტო პროდუქციასაც. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას აქვს შემდგომი განვითარების კარგი პერსპექტივები, თუმცა დღეისათვის ის ნაკლებადაა გამოყენებული.

პანამა

პანამა მსოფლიოში ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანაა, რომელსაც ამერიკის კონტინენტზე ცენტრალური ადგილი უჭირავს. აქ ერთმანეთს უერთდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა (გეოგრაფიულად). პანამა წარმოადგენს ყველაზე ვიწრო ხმელეთის ყელს ორ უზარმაზარ ოკეანეს — ატლანტისა და წყნარ ოკეანეს შორის. ამრიგად, ქვეყანას ორი ხმელეთისა და ორი საზღვაო საზღვარი აქვს. მისი ტერიტორია 77 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 2 მილიონამდე, უმრავლესობა მეტისებია, ისინი ესპანელებისა და ინდიელების შერეული ქორწინების შედეგია. ქვეყნის დედაქალაქია — პანამა, პოლიტიკური უყობილებით — ბურჟუაზიული რესპუბლიკაა.

პანამა ინდურად ნიშნავს „პეპლების სიუხვეს". ესპანელებისათვის ქვეყანა ცნობილი ეახდა XVI საუკუნეში. გაირკვა, რომ პანამის ყელზე გადის ყველაზე მოკლე გზა ატლანტისა და წყნარ ოკეანეს შორის. 1914 წელს გაიჭრა კიდევაც პანამის არხი, რომელიც შეაერთა ეს ორი უდიდესი ოკეანე.

ესპანელებმა მოახდინეს პანამის კოლონიზაცია, რომლებმაც აქ შექმნეს რამდენიმე გამაგრებული პუნქტი. 1821 წელს პანამამ ისარგებლა რა საერთო სიტუაციით, გამოაცხადა დამოუკიდებლობა, თუმცა მომდევნო პერიოდში იგი შედიოდა დიდი კოლუმბიის შემადგენლობაში, 1903 წელს ქვეყანამ საბოლოოდ მოიპოვა დამოუკიდებლობა.

პანამა ტროპიკული ქვეყანაა, სადაც არის ტენიანი, ცხელი კლიმატი და მუდმივად მწვანე მცენარეული საფარი. სანაპირო ზოლი წყნარი ოკეანის მხრიდან დასერილია, ბევრია მოხერხებული ყურე, რაც შეეხება კარიბის ზღვის სანაპიროს, აქ შედარებით სწორხაზოვანი ნაპირია, სადაც ნაკლებადაა ყურეები და ხმელეთში შეჭრილი ადგილები. პანამას ეკუთვნის უამრავი პატარა კუნძული, რომელიც უხვადაა განლაგებული ქვეყნის ორივე სანაპირო ზოლში. პანამა ძირითადად ვაკე ქვეყანაა, რომელსაც ტერიტორიის 87% უჭირავს, მთებზე მოდის ტერიტორიის 13%, ყველაზე მაღალი წერტილი ზღვის დონიდან 3475 მეტრ სიმაღლეზეა. კლიმატი ცხელია, რასაც განაპირობებს მისი სიახლოე ეკვატორთან. მაქსიმალური ტემპერატურაა 33°, ხოლო მინიმალური—21°. ქვეყანაში ორი კლიმატური სეზონია —

მშრალი, რომელიც გრძელდება იანვრიდან—აპრილამდე და წვიმიანი, რომელიც მთელი დანარჩენი დრო გრძელდება (აპრილიდან — იანვარამდე). ტენიანობა 3300 მმ-ია, თუმცა არის ადგილები, სადაც იგი 1000 მმ-მდეა.

პანამას მდიდარი მდინარეული ქსელი გააჩნია. მის ტერიტორიაზე მიედინება 500-მდე მდინარე, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს პანამის ეკონომიკაში, როგორც ადრეულ პერიოდში, ისე არხის გაჭრის შემდეგაც.

არხის გაჭრა დაიწყო 1904 წ. და დამთავრდა 1914 წ. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში მონაწილეობას იღებდნენ ძირითადად აშშ-ს კომპანიები. არხის გაჭრას თან ახლდა ტექნიკური სირთულეები, რომელიც გამოწვეული იყო სიმაღლეთა შორის სხვაობით (26 მეტრი). ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილი, აგრეთვე კარიბის ზღვის სანაპირო ზოლი უჭირავს გაუვალ ტროპიკულ ტყეებს, სადაც ბევრია აგრეთვე ჭაობი. პანამის ტყის მარაგი საკმაოდ დიდია, ბევრია ძვირფასი ჯიშები, რომელთა მერქანიც დიდად ფასობს. ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, არის ოქრო, ვერცხლი, მოლიბდენი, ბაუქსიტი, ქვანახშირი, ნიკელი, ბოქსიტები და ა. შ.

პანამის მოსახლეობის ძირითადი მასა მეტისებია (75%), გარდა ამისა შემორჩენენ ინდიელები (7%), ზანგები და სხვ. აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 0,5 მილიონია, რომელთა შორის ბევრია უმუშევარი. მოსახლეობის 40% ცხოვრობს სოფლად, ბოლო დროს მაღალი ტემპებით წარმოებს მოსახლეობის მიგრაცია ქალაქად. მაგალითად, ქვეყნის დედაქალაქში ცხოვრობს 700 ათასი კაცი.

ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს უცხოურ კაპიტალს, მაგალითად, აშშ კონტროლს უწევს ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 30%. დიდ როლს ასრულებს ეკონომიკაში პანამის არხი, რომლის გამტარუნარიანობა 15 ათასი გემია წელიწადში, 1985 წელს პანამელებმა მოახდინეს არხის ნაციონალიზაცია და იგი ქვეყნის საკუთრება გახდა.

ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობა, რომელიც წარმოდგენილია როგორც საექსპორტო, ისე ადგილობრივი მოხმარების პროდუქციით. პანამის სოფლის მეურნეობა ორიენტირებული იყო (და დღესაც არის) აშშ-ზე. ქვეყნის ბუნებრივი პირობები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ხოლო მეზობლად გასაღების ისეთი ბაზრის არსებობა, როგორც ამერიკაა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის საწარმოო სპეციალიზაციას.

მემცენარეობიდან მთავარი საექსპორტო კულტურაა ბანანი, ხში-

რად ქვეყანას „ბანანის სახელმწიფოსაც“ კი უწოდებენ, ბანანის ექსპორტით პანამას მეოთხე ადგილი უჭირავს მსოფლიოში (ეკვადორის, ჰონდურასისა და კოსტა-რიკას შემდეგ). მემცენარეობის ამ დარგს კონტროლს უწევს ამერიკული კაპიტალი, რომელიც ფლობს პლანტაციათა უდიდეს ნაწილს. ბანანის წარმოებას სამრეწველო ხასიათი აქვს, ეს კულტურა დიდი პლანტაციების სახითაა წარმოდგენილი. არსებობს გიგანტური მეურნეობები, რომლებიც აწარმოებენ 10—15 ათას ტონა ბანანს, ასეთი მეურნეობები ხასიათდებიან მექანიზაციისა და აგროტექნიკის მაღალი დონით. გარდა ბანანისა ქვეყანას საზღვარგარეთ გააქვს ციტრუსები, ძირითადად ნატურალური წვენების სახით, პანამაში აწარმოებენ შაქრის ლერწამს, რომლის პროდუქციის ნაწილიც საექსპორტოა.

მარცვლოვანი კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი, ბრინჯი, ნაწილობრივ ქერი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობისათვის არის გათვალისწინებული. ეს კულტურები (ბრინჯის გარდა) წვრილგლეხურ მეურნეობებშია განვითარებული: მოსავლიანობა არ არის მაღალი, ვინაიდან ისინი გაადგილებულია ურწყავ მიწებზე. კარგი მოსავალი ახასიათებს ბრინჯს, რომელიც სარწყავ ზონაშია. ამ კულტურის მოვლა-მოყვანისათვის იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. თესავენ აგრეთვე კარტოფილს, რომელიც ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას.

მემცენარეობიდან კარგადაა განვითარებული ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები, რომლებიც უმთავრესად საგარეუბნო ზონაშია წარმოდგენილი. ბოსტნეული ნატურალური სახით გააქვთ აშშ-ში (სალათი, კიტრი, პომიდორი).

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების დონე არ არის მაღალი. ძირითადად იყენებენ აშშ დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს, ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო ენერგეტიკაში მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი ცოცხალი გამწევი ძალაც.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადია მეცხოველეობა, რომლის წილად მოდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების 60%. მესაქონლეობა სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგია. ქვეყანაში 1,5 მილიონი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, რომელთაგან 0,6 მილიონი ფურია. ჰყავთ შერეული ჯიშის ჯოგი. მერძეული მიმართულების მეურნეობებს კარგი საკვები ბაზა აქვთ — მარადმწვანე ყუათიანი საძოვრების სახით. თითოეულის წველადობა 3 ათას ლიტრს აღწევს რძე ძირითადად გადამუშავებაზე მიდის,

დამზადებული კარაქი, ყველი და შესქელებული რძე საექსპორტოდ მიდის აშშ-ის სამხრეთ რაიონებში. იქვე იგზავნება დაკლული პირუტყვის (განსაკუთრებით ხბოსა და დეკეულის) ხორცი. უნდა ითქვას, რომ მეცხოველეობის, პროდუქციის ნახევარზე მეტი გადის საექსპორტოდ.

მთიან ზონაში ჰყავთ ცხვარი (დაახლოებით 1 მილიონი სული), თხა (400 ათასი სული). მეცხვარეობა ძირითადად მეხორცულია, ბატკნის ხორცი და კარაკულის ტყავი დიდი რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ; საკუთრივ ქვეყანაში დიდად ფასობს თხის რძე და ხორცი.

განვითარებულია მეფრინველეობა, კერძოდ საბროილერო ქათმის ხორცის წარმოება. ჰყავთ აგრეთვე იხვიც, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია. ქათმის ხორცი და კვერცხი გააქვთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

შედარებით კარგადაა განვითარებული მეფუტკრეობა, რომელიც მაღალმთიან ზონაშია წარმოდგენილი. არსებობს რამდენიმე სპეციალიზებული მეფუტკრეობის მეურნეობა, რომლებიც გარდა თაფლისა ამზადებენ საექსპორტო ფუტკრის შხამსა და ცვილს.

1970-იან წლებში ქვეყანაში გატარდა აგრარული რეფორმა, რომლის შედეგად უმიწაწყალო გლეხებს გადაეცათ ლატიფუნდისტებისაგან გამოსყიდული 330 ათასი ჰექტარი მიწა, რამაც შეადგინა დამუშავებული მიწების 1/6, (სახნავი სულ 2 მილიონ ჰექტარამდეა, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 1 ჰექტარს შეადგენს). ახალ მიწებზე შეიქმნა გლეხთა ფერმერული კოოპერატივები.

ქვეყანაში განვითარებულია მეთევზეობაც, რომლის პროდუქციას მოსახლეობის კვების ბალანსში 12—15% უჭირავს. პანამას გააჩნია თევზსაჭერი ფლოტი. თევზის რეწვას ორგანიზებული ხასიათი აქვს და პროდუქციის 50% გააქვთ საექსპორტოდ, ძირითადად აშშ-ში.

ქვეყანაში წარმოდგენილია გადამამუშავებელი მრეწველობაც. დედაქალაქში განვითარებულია სამაცივრო მეურნეობები და ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები. მემცენარეობის პროდუქციის გადამუშავება (ხილის წვენების დამზადება, საკონსერვო წარმოება) წვრილი საწარმოების სახითაა წარმოდგენილი.

პანამის სოფლის მეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოების პროდუქციაზე და მისი უდიდესი ნაწილი გააქვს საექსპორტოდ, რაც ქვეყანას სავალუტო შემოსავლის საკმაოდ დიდ ნაწილს აძლევს.

კოსტა-რიკა ცენტრალური ამერიკის პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 50,9 ათასი კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა—2 მილიონამდე. დედაქალაქია — სან-ხოზე. კოსტა-რიკა ცენტრალური ამერიკის ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც სპარბობს ესპანეთიდან ჩამოსული ემიგრანტების შთამომავლები. რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, კოსტა-რიკაში ეკონომიკური განვითარების დონე შედარებით მაღალია, იგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქვეყანაა. (

კოსტა-რიკა ქრ. კოლუმბმა აღმოაჩინა 1502 წელს, ევროპელებმა შეამჩნიეს, რომ ადგილობრივი ინდიელი მოსახლეობა ხმარობდა ოქროსაგან დამზადებულ სამკაულებს. ამან მათ გაუღვიძათ ინტერესი აღნიშნული ქვეყნისადმი და სახელწოდებაც კოსტა-რიკა („მდიდარი ნაპირი") ესპანელების შერქმეულია. მალე დაიწყო ქვეყნის კოლონიზაცია. განვითარდა პლანტატორული მეურნეობა, მაგრამ მე-16 საუკუნეში ქვეყანა გახდა ზღვის მეკობრეების სათარეშოდ, რამაც სრულ გაჩანაგებამდე მიიყვანა არა მარტო კულტურული მიწათმოქმედება, არამედ ცივილიზაციის დაწყებული პროცესიც. 1821 წელს კოსტა-რიკამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა.

კოსტა-რიკა ლამაზი, მთაგორიანი ქვეყანაა, ჯანსაღი კლიმატითა და მდიდარი მცენარეული საფარით. მთები ვულკანური წარმოშობისაა, რომლის ყველაზე მაღალი წერტილი 3837 მეტრია. წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლი მკვეთრადაა დასერილი, სადაც ბევრი მოხერხებული ყურეა. ქვეყანას გააჩნია სასარგებლო წიაღისეული, რომელიც ნაკლებადაა შესწავლილი. ქვეყნის კლიმატი სუბეკვატორულია, ნალექების რაოდენობა ზოგ ადგილას 3000 მმ-ია, საშუალო წლიური ტემპერატურა 23—25°-ია. ქვეყნის ცენტრალური ნაწილი წარმოადგენს პლატოს, რომელზეც მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა უდიდესი ნაწილი. ქვეყანა კარგადაა უზრუნველყოფილი მდინარეთა ქსელით, რომლებიც გამოირჩევიან წყალუხვობით და შეიცავენ ჰიდროენერგორესურსების დიდ მარაგს. ტყეებს უჭირავთ ქვეყნის ტერიტორიის 2/3, რომელშიც ბევრია უნიკალური ხის ჯიშები.

მოსახლეობის 80% ესპანელი ემიგრანტების შთამომავალია. 10%/-მდე — მეტისები, 7%-მდე მულატები და ზანგებია, მხოლოდ 1%-მდეა ინდიელები. ქვეყანაში შედარებით მაღალია ბუნებრივი მატების ტემპი (3,2%). ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 600 ათასამდეა, რომლის 45% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. მოსახლეობის სიმჭიდროვე 39 კაცია ერთ კვ. კმ-ზე. ძირითადი მასა ცხოვრობს ცენტრალურ პლატოზე (3/4), რომელსაც ტერი-

ტორიის 1/10 უჭირავს, ქვეყნის მოსახლეობის 1/3 კი ცხოვრობს ქალაქად, დანარჩენი სოფლად ან სასოფლო-სამეურნეო ტიპის დასახლებაში.

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კოსტა-რიკა აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია, რომელიც საკუთარი წარმოებით არა მარტო უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნებს, არამედ იძლევა საგალუტო შემოსავლების 70%: ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავსად, სოფლის მეურნეობა ორი მიმართულებით ვითარდება: 1. საექსპორტო, 2. შიგა მოხმარებისათვის. საექსპორტო კულტურებია: ყავა, კაკაო, ბანანი, რომელთა წარმოებისა და ექსპორტის მოცულობით ქვეყანა შედის აღნიშნული პროდუქციის მწარმოებელი ქვეყნების ათეულში.

ყავა წარმოადგენს მთავარ საექსპორტო კულტურას, ქვეყანა აწარმოებს 70 ათას ტონაზე მეტ პროდუქციას, რომლის მხოლოდ 10% მოიხმარება ქვეყნის შიგნით, დანარჩენი გადის საზღვარგარეთ, ძირითადად გერმანიაში: კოსტა-რიკის ყავა ხასიათდება მაღალი ხარისხითა და არომატით, ამიტომ მასზე ფასიც საკმაოდ მაღალია. ყავა მოჰყავთ პლანტატორულ მეურნეობებში, ზოგიერთი მათგანის სიდიდე 1000 და მეტი ჰექტარია. წარმოებაში იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ენერგოშეიარაღების მაჩვენებლით ქვეყანა ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს შორის (36 ცხ. ძალა). ტექნიკა შემოაქვთ აშშ-დან. კოსტა-რიკაში არიან მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც ძირითადად საექსპორტო კულტურების წარმოებას ეწევიან. ისინი ფართოდ იყენებენ საიჯარო სისტემას. სასოფლო-სამეურნეო მუშის ანაზღაურება აქ საკმაოდ მაღალია, მოწესრიგებულია სხვა სოციალური საკითხებიც. ქვეყანაში ბევრია უმიწაწყალო გლეხები. მათი რაოდენობა 36 ათას გლეხურ ოჯახს შეადგენს, მაგრამ ისინი მუშაობენ მსხვილ მიწათმფლობელებთან საიჯარო ხელშეკრულების სახით.

მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება კაკაოს პლანტაციები, რომელიც წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლშია წარმოდგენილი, მისი ექსპორტი წარმოებს ძირითადად გერმანიაში და ცენტრალური ევროპის სხვა ქვეყნებში. სამრეწველო დონეზეა ბანანის წარმოებაც, რომლის პროდუქციაც ძირითადად ამერიკასა და კანადაში იგზავნება, ამერიკულ კომპანიას, რომელსაც ამ ქვეყანაში ეკუთვნის ბანანის უდიდესი პლანტაციები (500 ათას ჰა), მონოპოლია აქვს აღნიშნული პროდუქციის წარმოებაზე.

ქვეყანაში კარგადაა განვითარებული მეციტრუსეობა, რომელიც

წარმოდგენილია როგორც მსხვილი მეურნეობების სახით, ისე წვრილგლეხურ მეურნეობებშიც. ამზადებენ ციტრუსოვანი ხილის ნატურალურ წვენს, რომელსაც აკეთებენ ევროპის ქვეყნებში, აღსანიშნავია, რომ ციტრუსებისათვის იყენებენ შედარებით მწირ მიწებს.

ქვეყნის შიგა მოხმარებისათვის იყენებენ სასუსლოთო კულტურებს, რომელთა შორის დომინანტობს სიმინდი, როგორც წესი იგი ლობიოსთან ერთად წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის (განსაკუთრებით სოფლის) კვების ძირითად პროდუქტს. სიმინდი იძლევა საკმაოდ მაღალ მოსავალს, მისი წარმოება ძირითადად წვრილგლეხურ მეურნეობებშია წარმოდგენილი, სადაც ნაკლებად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას. ბოლო ათწლეულში სიმინდის მწარმოებლებმა შექმნეს მარტივი კოოპერატივებიც, რომელიც გულისხმობს მიწების ერთობლივ (მექანიზებულ) დამუშავებასაც. მარცვლეულიდან მეორე ადგილზეა ბრინჯის კულტურა, რომელიც ძირითადად მოჰყავთ სარწყავ მიწებზე, ბრინჯის წარმოებით ქვეყანა იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს, ნაწილი (10%-მდე) გაიქცა საზღვარგარეთ. კოსტა-რიკაში არ აწარმოებენ ხორბალს, ამიტომ ეს პროდუქტი შემოაქვთ აშშ-დან და კანადიდან. შემოაქვთ აგრეთვე შაქრის ფხვნილი და მცირე ოდენობით ზეითუნის ზეთი.

მემცენარეობიდან აწარმოებენ ბოსტნეულ კულტურებს, განსაკუთრებით ფასობს პომიდორი და წიწაკა, ამ უკანასკნელისაგან ამზადებენ დიდი რაოდენობით ხმელ სუნელს. წლის განმავლობაში ბოსტნეულის რამდენიმე მოსავალს იღებენ.

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის დამხმარე დარგად ითვლება, იგი მთლიანად ორიენტირებულია საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც დაბალპროდუქტიულია. ქალაქების ახლოს არსებობს რამდენიმე სპეციალიზებული მეცხოველეობის მეურნეობა, ძირითადად მერძეული მიმართულების. ამზადებენ კარაქს, ყველს, რძის სხვა პროდუქტებს. პირუტყვი მთლიანად ძოვებაზეა, რისთვისაც იყენებენ ძალზედ ნოყიერ ბუნებრივ საძოვრებს. თითქმის არ იყენებენ კომბინირებულ და ხმელ საკვებს.

მეცხოველეობიდან ჰყავთ აგრეთვე ცხვარი (ძირითადად ადგილობრივი ჯიში) და მთიან ზონაში — თხა. ადგილზე წარმოებს მატყლის პირველადი გადამუშავება (ნართის სახით), რომელიც შემდეგ იგზავნება აშშ-სა და ევროპაში. წარმოდგენილია აგრეთვე მეფრინველეობა, რომელიც ძირითადად წვრილფერმერულ მეურნეობებშია გაადგილებული.

ტერიტორიალური წყლები შეიცავენ თევზის დიდ მარაგს, ბოლო წლებში მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვან ადგილს იჭერს თევზის პროდუქტები, რომლის ჭერას ჯერ კიდევ არა აქვს სამრეწველო საფუძველი და წარმოდგენილია ინდივიდუალური მეწარმეობის სახით.

ქვეყანაში არსებობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები, რომელთა შორის არის თანამედროვე ტიპის მსხვილი საწარმოებიც.

მიუხედავად იმისა, რომ კოსტა-რიკის ტერიტორია მცირეა, მას კარგი პერსპექტივები გააჩნია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ქვეყანაში შემუშავებულია სასურსათო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების მნიშვნელოვან ზრდას, გათვალისწინებულია სოფლად მცხოვრები უმიწაწყალო გლეხების მიწით უზრუნველყოფა და სხვა ღონისძიებები.

კუბა

კუბა მდებარეობს დასავლეთ ნახევარსფეროს ცენტრალურ ნაწილში, იქ სადაც ჩრდილოეთ, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის შესაყარია. კუბა კუნძულოვანი სახელმწიფოა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 1250 კმ. გადაჭიმული. მისი ტერიტორია 11 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—10,5 მილიონი, დედაქალაქია — ჰავანა (2 მილიონი მოსახლეობა). კუბას ეკუთვნის 1600-მდე დასახელების კუნძული, რომელთა ნაწილი დაუსახლებელია.

კუბა აშშ-ს უშუალო სიახლოეს მდებარეობს, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ჯერ კიდევ XVI საუკუნის დასაწყისში კუბა გახდა ევროპელთათვის პირველი კოლონია ამერიკის ქვეყნებს შორის. იგი აღმოაჩინა ქრ. კოლუმბმა თავისი პირველი ექსპედიციის დროს—1492 წელს. ქვეყნის კოლონიზაცია დაიწყო 1514 წლიდან, როდესაც ესპანელებმა აღმოაჩინეს ოქროს საბადოები. კოლონიზატორებმა კუბაზე დაამკვიდრეს ფეოდალური წესები. მიწები გამოაცხადეს ესპანეთის საკუთრებად, შექმნეს პლანტატორული და მეცხოველეობის დიდი მეურნეობები, შემოიყვანეს მონები აფრიკიდან, მაგალითად, 1774 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობის 26% ზანგები იყვნენ, 1827 წელს მათი რიცხვი უკვე 41% აღემატებოდა, ხოლო 1861 წელს კი მოსახლეობის 2/3-ს აფრიკელი ზანგები შეადგენენ. 1809—1810 წლებში დაიწყო გამოსვლები ესპანელების წინააღმდეგ. მალე ესპანელების ბატონობა ამერიკელებმა შესცვალეს, მხოლოდ 1869 წელს შესძლო კუბამ დამოუ-

კიდებლობის გამოცხადება, თუმცა იგი კვლავ რჩებოდა ამერიკის პოლიტიკური გავლენის ქვეშ. 1902 წელს გამოაცხადეს კუბის რესპუბლიკა, მაგრამ მისი ეკონომიკა კვლავ უცხოეთის კაპიტალის კონტროლის ქვეშ რჩებოდა. მომდევნო. პერიოდები სავსეა სამხედრო თუ სახელმწიფო გადატრიალებებით, ბოლო გადატრიალება, რომელსაც კომუნისტური ხასიათი ჰქონდა მოხდა 1959 წელს, დამყარდა ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ე. წ. სოციალისტური დიქტატურა, რომელიც ფაქტიურად ერთმმართველობას ნიშნავდა. დაიწყო ძველი, ბურჟუაზიული სისტემების მსხვრევა და ხალხისთვის უცნობი, ახალი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისტემების დამკვიდრება. ჩატარდა მოუფიქრებელი ეკონომიკური ხასიათის რეფორმები, რომელთა ძირითადი არსი კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და წარმოების საშუალებების ნაციონალიზაცია იყო, ეს პროცესები მტკივნეულად მიმდინარეობდა და დღესაც არ არის დამთავრებული.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში კუბის ეკონომიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად დაქვეითდა, ქვეყანა ჩავარდა ვალებში, შემცირდა შრომის ნაყოფიერება, ეკონომიკის განვითარებამ ცალმხრივი ხასიათი მიიღო, კუბა გახდა ე. წ. სოციალისტური ქვეყნების სამხედრო დოქტრინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და ფორპოსტი ამერიკის კონტინენტზე.

კუბას ამსგავსებენ დიდ ხელიკს, რომელიც გადაჭიმულია 1250 კგ სიგრძეზე და 31-დან 191 კმ. სიგანეზე. მიუხედავად შედარებით მცირე ტერიტორიისა, კუბის ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, სწორედ ამიტომ კუბას იუმორით „ძახიან „კონტინენტს მინიატურაში“. ყოველივე ეს განაპირობა ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. იგი ორი ოკეანის შესაყარზე—ტროპიკებისა და სუბტროპიკების საზღვარზე მდებარეობს. ქვეყნის ტერიტორიის 2/3 დაბლობია. სამეურნეო საქმიანობისათვის (პლანტაციების გასაშენებლად) ყველაზე ხელსაყრელია ტერიტორია, რომლის სიმაღლე 100 და მეტი მეტრია ზღვის დონიდან. სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სიერა-მაესტრას მთიანი სისტემა, რომელიც 250 კმ-ზეა წარმოდგენილი, ქვეყნის ყველაზე მაღალი წერტილი 1974 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

ქვეყნის კლიმატური პირობები უპირველესად განაპირობა ატლანტის ოკეანის უშუალო სიახლოვე — გოლფსტრიმის თბილმა დინებამ, რომელიც თითქმის რაღაცა ფილის კუბას წლიური ტემპერატურული ჯამი 9500°-ია, (დედამიწაზე მაქსიმალური მაჩვენებელი 10000°-ია). იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა 22°-ია, აგვისტოსი —27—28°. საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა დაბ-

ლობში — 30°, ხოლო ზოგიერთ რაიონში—34°. ხშირია ჩრდილოეთიდან შემოჭრა ცივი ჰაერის მასებისა. რომლებიც იწვევენ ტემპერატურის მკვეთრ დაცემას. საშუალო კლიმატური მაჩვენებლები ტიპურია ტროპიკული სარტყლისათვის შედარებით მაღალია ნალექების რაოდენობა 1380 მმ, თუმცა არის რაიონები, სადაც იგი 750 მმ-ია, სიერა-მურტარის რაიონებში ნალექების წლიური ჯამი 2200 მმ-ს აღწევს.

კუბის მთელი ტერიტორია ტროპიკული ციკლონების ზონაშია, ზოგჯერ ორი-სამი დღის განმავლობაში მოდის წლიური ნალექების 1/3 და მეტი. ხშირად ციკლონებს თან მოჰყვება ქარიშხლები, რომლის სიჩქარე 350 კმ. სთ., რაც იწვევს ზღვის ნაპირზე გადმოსვლას და წყალდიდობას. მაგალითად, უზარმაზარმა ზღვის ტალღებმა, რომელიც გამოიწვიეს ქარიშხლებმა 1932 წელს, რამდენიმე წუთში მთლიანად გაანადგურეს ერთ-ერთი პორტი (1500 კაცი დაიღუპა).

კუბა ღარიბია წყლის რესურსებით, ხშირია გვალვები და ასევე ხშირია წყალდიდობებიც, რაც იწვევს წყლის რესურსების მართვის აუცილებლობას, რაც ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. მდინარეთა წყლის დებეტის 4/5 მოდის წვიმიან პერიოდზე.

საინტერესოა ქვეყნის მცენარეული საფარი. ბევრია ენდემური ჯიშები. მცენარეულ საფარზე გავლენა მოახდინა ადამიანმა. მაგალითად, საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ადამიანმა გაჩეხა 4,5 მლნ. ჰა. ტყე და ფართობი აითვისა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ესპანელების კოლონიზაციის პერიოდში ტყეებს ეჭირა კუნძულის 9/10, დღეს მათი რაოდენობა 1,5 მლნ. ჰექტარია. დაახლოებით 500 ათასი ჰექტარი უჭირავს ჭაობებს. ნიადაგები ტიპური ტროპიკული და სუბტროპიკული ხასიათისაა, ჭარბობს რუხი ტყისმიერი, რომელიც მდიდარია ჰუმუსით.

ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვანია. შეხვდებით აფრიკიდან ჩამოყვანილი ზანგი მონების შთამომავლებს, მეტისებს, ევროპელებს და სხვა. კუბას ხშირად ანთროპოლოგიურ მუზეუმსაც უწოდებენ. ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 31% დაკავებულია მრეწველობაში, 26% — სოფლის მეურნეობაში, 28%—მომსახურების სფეროში:

კუბის ეკონომიკა, მისი სტრუქტურა, ნაციონალური შემოსავლები და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები, ტიპურია იმისა რაც შეიძლება მოჰყვეს წარმოების სოციალისტურ სისტემას. ერთ დროს ეკონომიკურად სტაბილური ქვეყანა, რომელსაც განვითარების კარ-

გი პერსპექტივები ჰქონდა, გადაიქცა ჩამორჩენილ უპერსპექტივო ქვეყნად.

კუბის სოფლის მეურნეობის მაგალითიდან ჩანს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საკუთრების ფორმების დაუფიქრებლად შეცვლას. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, ნაყოფიერი მიწები, გამოკვეთილი სპეციალიზაცია ქმნის იმის პირობებს, რომ ქვეყანამ არა მარტო უზრუნველყოს საკუთარი მოთხოვნილებები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, არამედ გაიტანოს იგი საზღვარგარეთაც. დღევანდელი კუბა კი საკუთარ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს, მას დიდი რაოდენობით შემოაქვს ხორბალი, კარტოფილი, რძის ფხვნილი და სხვა. თუმცა აწარმოებს საექსპორტო პროდუქციასაც — შაქრისა და თამბაქოს სახით.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურაში წარმოდგენილია მემცენარეობა, რომლის პროდუქციის დიდი ნაწილი უშუალოდ მიდის ექსპორტზე, ნაწილი კი ადგილობრივ მოიხმარება. ჯერ კიდევ ესპანელმა კოლონიზატორებმა შეამჩნიეს, რომ კუბაში არსებობს ხელსაყრელი პირობები შაქრის ლერწმის წარმოებისათვის. მათ გააშენეს დიდი პლანტაციები, სადაც იყენებდნენ იაფფასიან მონურ შრომას. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში კუბა შაქრის წარმოებაში წამყვანი ქვეყანა გახდა: 1970 წელს ექსპორტზე გატანილი იქნა 700 ათას ტონაზე მეტი შაქარი. ამ პერიოდისათვის უკვე არსებობდა 1365 შაქრის გადამამუშავებელი საწარმო. დღეისათვის კუბა აწარმოებს ორ მილიონ ტონაზე მეტ შაქარს, რომლის 50% ჯერ კიდევ ახლო წარსულში გაჰქონდათ ე. წ. „სოციალისტური სისტემის ქვეყნებში“.

რევოლუციამდელ კუბაში სასოფლო-სამეურნეო წარმოება წარმოდგენილი იყო მსხვილი პლანტატორული მეურნეობებისა და წვრილგლეხური მეურნეობების სახით. პირველი აწარმოებდა საექსპორტო პროდუქციას, იყენებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, დაქირავებულ შრომას, ხოლო წვრილი გლეხური მეურნეობები ძირითადად იმ პროდუქტს აწარმოებდა, რომელიც განკუთვნილი იყო შიდა ბაზრისათვის. ნაყოფიერი მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი ეკუთვნოდა უცხოელ მონოპოლისტებს (ძირითადად აშშ-ს), ისინი ფლობდნენ შაქრის პლანტაციების ნახევარზე მეტს: რევოლუციამდელ კუბაში 114 მსხვილი მემამულე ფლობდა მიწების 1/4.

დღეისათვის სახნავის რაოდენობა 5,2 მილიონი ჰექტარია, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 0,5 ჰექტარს უდრის, ენერგოშეიარაღება—21,3 ცხენის ძალას (დაახლოებით ამდენივე იყო ეს მაჩვენებელი 1960 წელსაც).

რევოლუციის შემდეგ მოხდა მიწების ნაციონალიზაცია, მსხვილი მემამულური მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომელიც დაქირავებულ შრომას იყენებდა. იმის გამო, რომ შემოიღეს ანაზღაურების ე. წ. სოციალისტური ტარიფები, მნიშვნელოვნად დაეცა შრომის ნაყოფიერება, მატერიალური დაინტერესების პრინციპი უზრუნველყოფილი არ იყო, რაშაც სოფლის მოსახლეობა გაღატაკების პირამდე მიიყვანა. სახელმწიფო საწარმოებთან ერთად დარჩა წვრილგლეხური მეურნეობებიც, მაგრამ მათ უკვე აღარ შეეძლოთ სასაქონლო პროდუქციის წარმოება, ისინი ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდნენ. მათ ხელში იყო მიწების 30%.

ფილიპინელი კუბა, გარდა შაქრისა, დიდი რაოდენობით აწარმოებს თამბაქოს, ამ კულტურას უჭირავს 75 ათასი ჰექტარი, გაადგილების ზონაა ქვეყნის დასავლეთი ნაწილი. თამბაქოს 4/5 აწარმოებენ წვრილგლეხურ მეურნეობებში, სადაც გამოყენებულია დაქირავებული მუშა-ხელი. კუბას თამბაქო (ნედლეული და სიგარეტები) გაქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სადაც ამ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილებაა, ვინაიდან თამბაქოს ხარისხითა და არომატით კუბას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში.

ქვეყანა დიდი რაოდენობით აწარმოებს ციტრუსებს (ფორთოხალი, ლიმონი). 1985 წელს მათ აწარმოეს 270 ათასი ტონა ციტრუსი, რომლის 70% ექსპორტზე გაიტანეს, ძირითადად სოციალისტურ ქვეყნებში. ციტრუსებისაგან ამზადებენ აგრეთვე ნატურალურ წვენს. ციტრუსების დიდი პლანტაციებია კუნძულ ხევენტუდზე.

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთით მოჰყავთ ანანასი და ბანანი. მათი გარკვეული რაოდენობა გაქვთ ექსპორტზე. 1985 წლის მონაცემებით აწარმოეს 680 ათასი ტონა ხილი (ძირითადად სუბტროპიკული). შექმნილია წვენების გადამამუშავებელი საწარმოები, ქვეყანაში მოჰყავთ ბოსტნეული, განსაკუთრებით ქ. ჰავანის საგარეუბნო ზონაში, დიდი რაოდენობით ამზადებენ პომიდვრის წვენს.

კუბელების მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი, (რომელიც შეტანილია ესპანელების მიერ). მისი ფართობი 220 ათასი ჰექტარია, ძირითადად გადგილებულია ცენტრალურ ოლქებსა და ზღვისპირეთში. ქვეყანას საკუთარი ბრინჯი არ ჰყოფნის და შემოაქვს იგი ჩინეთიდან (ცვლის შაქარზეც), ბრინჯის საერთო მოსავლიანობა 400 ათასი ტონაა. მარცვლეულიდან მცირე რაოდენობით მოჰყავთ სიმინდი, პარკოსნებიდან — ლობიო.

კუბა ტრადიციულად მეცხოველეობის ქვეყნად ითვლებოდა. დღესაც ქვეყანაში 3,5 მილიონი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ. პირუტყვის წველადობა დაბალია. შექმნილია მეცხოველეობის დიდი სახელმწიფო მეურნეობები (ყოფილი მემამულური მეურნეობების ნაციონალიზაციის შედეგად), სადაც პირუტყვი ძირითადად ძოვებაზე ჰყავთ, მერძეული და მეხორცული სპეციალიზებული ფერმები არა აქვთ, უპირატესობას შერეულ მეცხოველეობას ანიჭებენ. ამზადებენ კარაქს. ყველს,, არაჟანს. მეცხოველეობის პროდუქტებს ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ წვრილგლეხურ მეურნეობებშიც (დაახლოებით 1 მლნ. სული), მათი პროდუქციის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია სასაქონლო.

მეცხოველეობიდან მთიან ზონაში წარმოდგენილია აგრეთვე ცხვარი და თხა. ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავსად დიდ პატივს სცემენ თხის რძეს.

განვითარებულია მეფრინველეობაც, განსაკუთრებით საგარეუბნო ზონაში, მაგალითად, ქ. ჰავანას ემსახურება 5 მძლავრი მეფრინველეობის ფაბრიკა, ბევრი ჰყავთ ფრინველი ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებშიც:

მემცენარეობის პროდუქციის ნაგავსად, ქვეყანა მეცხოველეობის პროდუქტების დეფიციტსაც განიცდის და შემოაქვს იგი ევროპის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით ძეხვეული და შესქელებული რძე.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობას კუსტარული ხასიათი აქვს. ძირითადად ამზადებენ პრიმიტიულ მანქანა-იარაღებს. რთული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა შეჰქონდათ ყოფილ სსრ კავშირიდან და გდრ-დან. მინერალურ სასუქებს თვითონ აწარმოებენ. 1985 წელს სასუქების წარმოებამ 1,5 მლნ. ტონას გადააჭარბა.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო ქვეყანაში წარმოდგენილი გადამამუშავებელი მრეწველობა, დღევანდელ კუბაში ეს დარგი შედარებით კარგ მდგომარეობაში შემორჩა, თუმცა მოწყობილობანი ძველებულია.

ქვეყნის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით. რომლის რეწვას გარკვეული ტრადიციებიც ჰქონდა. შექმნილია თევზჭერის ფლოტი. თევზის პროდუქციის ხვედრითი წილი მოსახლეობის კვების ბალანსში საკმაოდ მაღალია (20%-მდე), განვითარებულია თევზის გადამამუშავებელი მრეწველობაც.

კუბის ეკონომიკას „სადესერტო ეკონომიკას" უწოდებენ. ასე იყო 1960 წლამდე, როდესაც კუბის სოფლის მეურნეობის სპეციალი-

ზაცია ორიენტირებული იყო აშშ-სათვის იმვიათი წვენების, ხილისა და სხვადასხვა დელიკატესების წარმოებაზე. ბოლო დროს ქვეყნის ეს პოზიციაც დაკარგული იყო და ორიენტაცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე ჰქონდათ აღებული, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა პროდუქციის ფასს (გადაზიდვების დიდი ღირებულების გამო): დღეისათვის, ქვეყანამ ეს ბაზარიც დაკარგა, რამაც კრიზისულ მდგომარეობაში ჩააყენა კუბის ეკონომიკა.

კუბის უმაღლეს სასწავლებლებში ამზადებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, აქვთ მსხვილი სამეცნიერო ცენტრებიც (კუბაში მუშაობდნენ ქართველი სპეციალისტებიც, რომლებიც ეხმარებოდნენ მათ სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემის ჩამოყალიბებაში, ამზადებდნენ კვალიფიციურ სამეცნიერო კადრებს).

იამაიკა, ბაბამის კუნძულები, ჰაიტი, დომინიკანის რესპუბლიკა

იამაიკა კუნძულოვანი სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს კარიბის ზღვაში, კუბიდან 140 კმ-ზე ქვეყნის ფართობი 11,4 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—2,3 მილიონი. იგი ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა ამერიკაში, რომელიც 1962 წლამდე ინგლისის კოლონია იყო, ამჟამად შედის ერთა თანამეგობრობის კავშირში, დედაქალაქია—კინგსტონი. იამაიკა ბურჟუაზიული ქვეყანაა.

იამაიკა აღმოაჩინა ქრ. კოლუმბმა, თავისი მეორე ექსპედიციის დროს. ამ დროს ქვეყანაში 60 ათასამდე კაცი ცხოვრობდა, რომლებიც თითქმის მთლიანად ამოწყვიტეს კოლონიზაციის პერიოდში. საჭირო მუშა ძალა შემოყვანილი იქნა აფრიკის ქვეყნებიდან, მონების სახით.

იამაიკა მთაგორიანი ქვეყანაა, მთებს ტერიტორიის 2/3 უჭირავს, ისინი არ გამოირჩევიან დიდი სიმაღლით, ყველაზე მაღალი წერტილი 2256 მეტრია. მთები დაფარულია მარადმწვანე ტყეებით, რომელთა შორის ბევრია ძვირფასი და უნიკალური ჯიშის ხე. ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 1/5.

იამაიკა — ტროპიკული კუნძულია, მუდმივი ზაფხულით, იანვრის საშუალო ტემპერატურა 24°, ხოლო ივლისისა — 27°. ქვეყანაში დიდია ნალექების რაოდენობა (ზოგ რაიონში იგი 5000 მმ-ია), საშუალოდ კუნძულზე ეს მაჩვენებელი 2000 მმ-ია. ბევრია წყალუხვი მდინარე და ნაკადული, რაც კარგ ფონს ქმნის მიწათმოქმედებისათვის.

ქვეყნის მოსახლეობის 77%—ზანგია. 18%—მულატი, 4%—ინდიე-

ლი, ევროპელები 1%-ია. კუნძულზე ცხოვრობენ აგრეთვე ჩინელები, ინდოელები, სირიელები.

იამაიკა ერთ-ერთი შედარებით განვითარებული ქვეყანაა ცენტრალურ ამერიკაში, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ინგლისს, რომლის კოლონია იგი 1962 წლამდე იყო. აქ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყეს ბოქსიტების მდიდარი საბადოების ექსპლუატაცია. დღეისათვის ამ ნედლეულის მასივებით იამაიკა მესამე ადგილზეა მსოფლიოში.

ქვეყანა ინდუსტრიულ-აგრარულია. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის წილად მოდის ნაციონალური შემოსავლის 10%. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გატარდა აგრარული რეფორმა, რომელმაც მსხვილი მემამულეების მიწების გამოუყენებელი ნაწილი უსასყიდლოდ გადასცა უმიწაწყალო გლეხებს, ამით დამუშავებული მიწის ფონდი 1 მილიონამდე გაიზარდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას ხელს უწყობს აგროსამრეწველო კომპლექსები, რომლებიც შექმნილია დასავლეთის მსხვილი კაპიტალის დახმარებით. სოფლის მეურნეობაში შეიმჩნევა ორი მიმართულება: საექსპორტო და ადგილობრივი. საექსპორტო პროდუქცია ტროპიკული და სუბტროპიკული კულტურების სახითაა წარმოდგენილი, ამზადებენ ნატურალური ხილის წვენებს, დიდი რაოდენობით მოჰყავთ ბანანი და ანანასი. დამუშავებული მიწების 12% უჭირავს შაქრის ლერწამს, რომელიც წარმოდგენილია მსხვილი აგროსამრეწველო კომპლექსების სახით.

საექსპორტო კულტურაა აგრეთვე ყავა და კაკაო, რომელთა მოყვანისათვის კუნძულზე ხელსაყრელი პირობებია. აღნიშნული პროდუქცია ძირითადად მოჰყავთ წვრილგლეხურ მეურნეობებში. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია აგრეთვე თამბაქო. სანაპირო ზოლში ბევრია ქოქოსის პალმა, კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მებაღჩეობა. საქვეყნოდაა ცნობილი იამაიკური წითელი წიწაკა, რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობით გაიქვთ ქვეყნის გარეთ.

ადგილობრივი მოხმარების პროდუქტებიდან აღსანიშნავია ბრინჯი და სიმინდი. პირველი მათგანი მოჰყავთ სპეციალიზებულ სარწყავ მიწებზე. ბრინჯის საერთო მოსავალი 120 ათასი ტონაა. სიმინდი მოჰყავთ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში. იგი სოფლის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია. პარკოსნებიდან მოჰყავთ აგრეთვე ლობიო, ბატატი, და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მარცვლეულის ნაწილი ქვეყანას შემოაქვს აშშ-დან (ძირითადად ხორბალი).

ქვეყანაში შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი მეცხოველეობა (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთლიანი ღირებულების 25%-მდე). ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (700 ათას სულამდე), ეწევიან შერეული ტიპის მეცხოველეობას, პროდუქტიულობა დაბალია, პირუტყვი ძოვებაზეა, საძოვრები ნოყიერი და ყუათიანია. ჰყავთ აგრეთვე ცხვარი და თხა, განვითარებულია მეფრინველეობა, ამ უკანასკნელს სამრეწველო ხასიათი აქვს. კარგადაა წარმოდგენილი მეფუტკრეობაც.

იამაიკის სანაპირო წყლები მდიდარია თევზით, ქვეყანაში შექმნილია თევზჭერის ფლოტი, რომლებიც რეწვას ეწევიან არა მარტო კარიბის ზღვის აუზში, არამედ ატლანტიკის ოკეანეშიც. თევზი მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია და მის წილად მოდის საკვების ბალანსის 20—22%.

იამაიკაში წარმოდგენილია ვადამამუშავებელი მრეწველობაც, რომელიც ჯერ კიდევ ინგლისელების დროიდან შემორჩა ქვეყანას, მათი ტექნიკური აღჭურვილობა თანამედროვეა.

იამაკის სოფლის მეურნეობაში შეიმჩნევა წვრილგლეხური მეურნეობათა კოოპერაციაში გაერთიანების ტენდენცია, განსაკუთრებით საექსპორტო პროდუქციის წარმოებისას, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის სიმცირე და წარმოებასთან სანავსადგურო პორტების სიახლოე. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, იამაიკა ვერ უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს საკვებზე. გარდა მარცვლეულისა ქვეყანას შემოაქვს მეცხოველეობის პროდუქტებიც.

ბაჰამის კუნძულები

ბაჰამის კუნძულები ატლანტიკის ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, იგი საკმაოდ დიდი არქიპელაგია, რომელიც 700 კუნძულს აერთიანებს. რომელთაგან მხოლოდ 30 დასახლებული. ქვეყნის ტერიტორია 13,9 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—220 ათასი. არქიპელაგის პირველი კუნძული აღმოჩენილი იქნა 1492 წელს და აქედან მიეცა დასაბამი ახალი სამყაროს აღმოჩენას. თავდაპირველად მისი კოლონიზაცია ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მომდევნო პერიოდში არქიპელაგი სხვადასხვა ევროპული ქვეყნების განმგებლობაში იყო. 1783 წელს ივი საბოლოოდ იგდო ხელთ ინგლისელებმა. კუნძულზე გამოჩნდნენ ინგლისელი პლანტატორები. XIX საუკუნეში ბაგამის არქიპელაგზე დაიწყო ამერიკის კაპიტალის შეჭრა, რასაც

მოჰყვა მისი ბუნებრივი სიმდიდრეების ექსპლოატაცია სწრაფი ტემპებით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კუნძულებზე დაიწყო „ტურისტული ბუმი", შეიქმნა მძლავრი საკურორტო და ტურისტული ინდუსტრიები, აშენდა სასტუმროები, დასასვენებელი და გართობის ცენტრები. 1973 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ბაგამის არქიპელაგის კლიმატი ტროპიკულია, წვიმების ხანგრძლივი პერიოდით (მაისიდან — ოქტომბრამდე), ტემპერატურა მთელი წლის განმავლობაში 22°—28°-ის ფარგლებში მერყეობს, ხშირია ქარიშხლიანი პერიოდებიც. ნალექები 1100—1700 მმ-ია.

საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარებამ სტიმული მისცა სოფლის მეურნეობის დაჩქარებული ტემპებით განვითარებას, თუმცა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 2%. საკუთარი წარმოებით ქვეყანა მოთხოვნილების მხოლოდ 30% იკმაყოფილებს. სოფლის მეურნეობას აქვს საექსპორტო მნიშვნელობაც. მემცენარეობიდან მოჰყავთ ტროპიკული და სუბტროპიკული ხილი: ფორთოხალი, მანდარინი, ბანანი, ანანასი, რომლებიც იძლევიან ქვეყნის ექსპორტის 10%. აქვთ შაქრის ლერწმის პლანტაციებიც. საკურორტო ზონაში წარმოდგენილია მებოსტნეობაც, ძირითადად ადრეული პამიდორი, კიტრი, სალათი. მარცვლეულიდან მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი და ბრინჯი. მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა ქვეყანას მარცვლეულის 60% შემოაქვს აშშ-დან და კანადიდან.

მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მეფრინველეობით, არსებობს რამდენიმე მძლავრი მეფრინველეობის კომბლექსი, რომლებსაც საბოლოოდ მიმართულება აქვთ და ძირითადად განლაგებულია საკურორტო ზონაში. ჰყავთ აგრეთვე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მცირე რაოდენობით ცხვარი და თხაც. მეცხოველეობის პროდუქტები შემოაქვთ, ძირითადად მზა ნაწარმის სახით.

სოფლის მეურნეობაში წარმოდგენილია როგორც ბუხვილი პლანტატორული საწარმოები, ისე წვრილი გლეხური მეურნეობებიც.

სასურსათო ბალანსში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს მეთევზეობაც, რაც უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათისაა.

ჰაიტი

ჰაიტი აშაენ სანელწოდების კუნძულის დასავლეთით მდებარეობს, მისი ტერიტორია 27,8 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—5,2 მილიონი, დედაქალაქი — პორტ-ო-პრენსი. ჰაიტი საფრანგეთის ყოფილი კოლონიაა, რომელმაც ლითინური ამერიკის ქვეყნებს შორის

პირველმა მოიპოვა დამოუკიდებლობა (1804 წელს), ეს არის აგრეთვე მსოფლიოში პირველი დამოუკიდებელი ზანგური სახელმწიფო.

ჰაიტი მთაგორიანი ქვეყანაა, ტერიტორიის 3/4 მთებს უჭირავს, რომლის უმაღლესი წერტილი 2680 მეტრია. დაბლობებს უჭირავს ტერიტორის 1/5. ქვეყნის კლიმატი ტროპიკულია, საშუალო წლიური ტემპერატურა 26°-ია. მთებში ზამთრობით ყოველთვის მოდის თოვლი. იცის სეზონური წვიმები, ნალექების რაოდენობა 1250—2500 მმ-მდეა. მდინარეთა ქსელი სუსტადაა წარმოდგენილი, ბევრი მათგანი გვალვიანობის დროს შრება. დაბლობი ხასიათდება ნოყიერი ალუვიური ნიადაგებით. მცენარეული საფარი მდიდარია. წარმოდგენილია თითქმის ყველა ტროპიკული მცენარე, ხოლო მთის კალთებზე შეიძლება ზომიერი კლიმატის ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა.

ქვეყნის მოსახლეობის 99% ჰაიტელებია, რომლებიც აფრიკიდან ჩამოყვანილი ზანგი მონების შთამომავლები არიან. რასობრივი შემადგენლობით მოსახლეობის 90% ზანგია, ხოლო 10% მულატი. ქვეყნის მოსახლეობის 85% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ცხოვრების დონე დაბალია. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 170 კაცია კვ კმ-ზე.

ჰაიტი სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა, რომლის ეკონომიკის ძირითად დარგებს უცხოური კაპიტალი აკონტროლებს (ძირითადად აშშ). ერთობლივი ნაციონალური პროდუქტის ნახევარი იქმნება სოფლის მეურნეობაში. მრეწველობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 5% და ისიც ძირითადად გადამამუშავებელ და კვების მრეწველობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დომინანტობს საექსპორტო კულტურები, რომელთა შორის ძირითადია ყავა, შაქრის ლერწამი, ტროპიკული ხილი. შიგა მოხმარებისათვის მოჰყავთ სიმინდი, ბანანი, ლობიო, მანიოკი. აღნიშნულ კულტურებს უჭირავთ წედარებით ნაკლებად ნოყიერი ნიადაგები და მათი მოსავლიანობა დაბალია.

ქვეყანაში არიან მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებიც იყენებენ თანამედროვე ტექნიკას. ისინი ძირითადად საექსპორტო პროდუქციას აწარმოებენ, ფართოდ იყენებენ რა დაქირავებულ შრომას, რომლის ანაზღაურებაც დაბალია. 1% ლატიფუნდისტების ხელში თავმოყრილია დამუშავებული მიწების 2/3, ხოლო 70% გლეხური მეურნეობები ფლობენ 2 ჰექტარამდე მიწის ფართობს, არიან გლეხები, რომლებსაც საკუთრებაში აქვთ 0,1—0,25 ჰექტარი მიწის ფართობი. მსხვილი მეურნეობების ნაწილი ეკუთვნის უცხოელებს, რომლებიც მათ მართავენ ადგილობრივი მოურავების მეშვეობით. ჯერ კი-

დევ შემორჩენილია ფეოდალური წესები, დაქირავებული შრომის ანაზღაურება უმეტესად ნატურალური ხასიათისაა, არ არსებობს ხელშეკრულების თანამედროვე ფორმები. ყველა პირობას განსაზღვრავს მიწის მფლობელი.

წვრილი გლეხური მეურნეობა საექსპორტო პროდუქციიდან აწარმოებს ყავას და თამბაქოს, ხოლო შიგა მოხმარებისათვის — ყველა სახის პროდუქტს. მათი შრომის შეიარაღება პრიმიტიულია, წარმოება ძირითადად ხელით შრომას ემყარება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ძირითადია მემცენარეობა, რომლის წილად მოდის წარმოებული პროდუქციის 2/3. ქვეყანა აწარმოებს დიდი რაოდენობით ყავას, რომელიც ნატურალური სახით (35%-მდე) გააქვთ საექსპორტოდ. შაქრის ლერწმის ნათესები წარმოდგენილია 130 ათას ჰა-ზე, საზღვარგარეთ გაიქვთ წარმოებული შაქრის 50%. კარგადაა განვითარებული მეხილეობა, სუბტროპიკული კულტურებიდან წარმოდგენილია ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი, რომლებიც საექსპორტოდ იგზავნება ძირითადად წვენების სახით. ტექნიკური კულტურებიდან აქვთ ბამბა, რომელიც უმთავრესად შიგა მოხმარებისათვის არის საჭირო. განვითარებულია მებოსტნეობაც, ადრეული ბოსტნეული გაიქვთ აშშ-ში, მარცვლეულიდან ძირითადია სიმინდი, ბრინჯი. ეს უკანასკნელი ძირითადად სარწყავ მიწებზე მოჰყავთ.

მეცხოველეობა სუსტადაა წარმოდგენილი. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (900 ათას სულამდე), ეწევიან შერეულ მეცხოველეობას, ერთადაა მეხორცული და მეწველი ჯიში. პირუტყვი ადგილობრივი ჯიშისაა და ძირითადად ძოვებაზეა, პროდუქტიულობა დაბალია, მაღალია დაცემის პროცენტი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ძირითადად წვრილ-გლეხურ მეურნეობაში ჰყავთ, თუმცა დედაქალაქის შემოგარენში არსებობს რამდენიმე მსხვილი სპეციალიზებული ფერმაც. მცირე ოდენობით ჰყავთ ცხვარი და თხა (მთებში), აწესებენ მატყლს, რომელსაც საოჯახო მეურნეობისათვის იყენებენ. შედარებით უკეთაა წარმოდგენილი მეფრინველეობა, რომელსაც ბოლო დროს სამრეწველო ხასიათი აქვს.

სასურსათო ბალანსში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონა აქვს თევზის პროდუქტს, რომლის ჭერას ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა, ქვეყანას დიდი რაოდენობით შემოაქვს მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი), მეცხოველეობის და რძის პროდუქტები.

დომინიკანის რესპუბლიკა

დომინიკანის რესპუბლიკა კუნძულ ჰაიტის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ტერიტორია 48,4 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—5 მილიონი, დედაქალაქია — სანტა-დომინგო. ქვეყანა პარლამენტური რესპუბლიკაა.

კუნძული ჰაიტი ქ. კოლუმბის მიერ როგორც უკვე იყო აღნიშნული, აღმოჩენილია 1492 წელს. კუნძულის სილამაზემ ათქმევინა ესა სიტყვები „ქვეყანა ისეთი კარგია, რომ სიტყვები არ მყოფნის მის აღსაწერადო". კუნძულს კოლუმბმა ესპანიოლა უწოდა. დღევანდელი სახელწოდება—ჰაიტი აქ მოსახლე ინდიელების მიერაა შერქმეული. კუნძული ხან ესპანელების, ხან კი ფრანგების ხელში იყო. 1821 წელს დომინიკანელებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს — კოლუმბიის პროტექტორატით. ისევე როგორც ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში, აქაც ხშირია სახელმწიფო გადატრიალებები, დიქტატორული რეჟიმები და სხვ.

ქვეყნის სანაპირო ზოლი ძალზედ შეჭრილი-შემოჭრილია, ბევრია ყურე და სანაპირო ვაგონი ნაპირი. დომინიკანის რესპუბლიკა მთაგორიანია. ყველაზე მაღალი წერტილი 3176 მეტრის სიმაღლეზეა. მთიანი სისტემები პარალელურია, მათ შორის ნაყოფიერი ველებია. ქვეყნის კლიმატი ტროპიკულია, მთაგორიანობა ხელს უწყობს კლიმატის მრავალფეროვნებას. ხშირია პასატები, რომელიც კლიმატს უფრო ხელსაყრელს ქმნის, ვიდრე ეს ამ ზონისთვის არის დამახასიათებელი. მთები ტერიტორიას კარგად იცავენ ქარიშხლებისაგან. საშუალო თვიური ტემპერატურა 25—27°, ზამთრობით მთებში ტემპერატურა ეცვლება 0°-მდე. მოდის უხვი ნალექი (2000 მმ.), თუმცა შიგა რაიონებში იგი 700 მმ-ს არ აღემატება. კარგადაა განვითარებული მდინარეული ქსელი. ბევრია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი ნიადაგები, განსაკუთრებით მთებს შორის მოქცეული დაბლობების სახით. ქვეყანა მდიდარია ტყით, ბევრია ძვირფასი ჯიშის ხეები.

მოსახლეობის 70% მულატებია, 15% — ზანგები და 25% — ევროპელები. მოსახლეობის სიმჭიდროვე 102 კაცია კვ. კმ-ზე. ქვეყნის მოსახლეობის 40% ცხოვრობს ქალაქად, ეკონომიურად აქტიური მოსახლეობის ნახევარი დაკავებულია სოფლის მეურნეობით. ბევრია უმუშევარიც.

დომინიკანის რესპუბლიკა სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა იძლევა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 40% და ექსპორტის 90%. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ტერიტორიის 35%, რომელთაგან 23% სახნავია,

ხოლო 12%—საძოვარი. სასოფლო-სამეურნეო მიწებით უზრუნველყოფა მაჩვენებელი აქ ყველაზე მაღალია ლათინური ამერიკის ქვეყანებს შორის. მიწის რესურსები თანაბრად არ არის გადანაწილებული. მოსახლეობის ძირითადი მასა ან არ ფლობს მიწას, ან მცირე რაოდენობით. მიწათმოქმედთა ნახევარი ფლობს ერთ ჰექტარამდე მიწას. ერთიანად ისინი ფლობენ სახნავის მხოლოდ 2%, მაშინ როდესაც 220 მსხვილი მიწათმფლობელი, რომელიც მიწათმფლობელთა საერთო რაოდენობის 0,1%, ფლობს სახნავის 30%. ერთი ასეთი მეურნეობის განკარგულებაშია 500 და მეტი ჰექტარი სახნავი.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის დამახასიათებელია დიდი პლანტაციებისა და მეცხოველეობის ფერმების არსებობა, — ნახევრად ნატურალურ წვრილგლეხურ მეურნეობებთან, მოიჯარეებთან, სეზონურ მუშებთან და ა. შ. ერთად. დაბალია სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება, ენერგოშეიარაღების მაჩვენებელი 8—10 ცხენის ძალას არ აღემატება, ხოლო მის სტრუქტურაში სჭარბობს ცოცხალი გამწევი ძალა.

მემცენარეობაში მთავარია შაქრის ლერწამი, რომელიც იძლევა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის ნახევარს და საექსპორტო პროდუქციის 40%. არსებობს შაქრის ლერწმის უზარმაზარი პლანტაციები, გადამამუშავებელი მრეწველობით, რომლებიც იძლევიან საბოლოო სახის პროდუქციას. ასეთ აგროსამრეწველო კომპლექსში არც თუ იშვიათად ვხვდებით მეცხოველეობის ფერმებსაც. მნიშვნელოვანი საექსპორტო კულტურაა ბანანი, რომლის პლანტაციები ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და დიდი მეურნეობების სახითაა წარმოდგენილი. მათი პროდუქციის უდიდესი ნაწილი მიდის საექსპორტოდ. საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრეთვე ყავა, რომელიც მოჰყავთ არა მარტო მსხვილ მეურნეობებში, არამედ წვრილგლეხურ მეურნეობებშიც. ქვეყნის ჩრდილოეთით მისდევენ კაკაოს წარმოებას, რომლის ნათესები სულ უფრო იზრდება. საკმაო რაოდენობით აქვთ თამბაქოს პლანტაციებიც, რომლებსაც უჭირავთ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთის მთისწინა კალთები. ეს კულტურაც საექსპორტოა. საზღვარგარეთ გააქვთ ძირითადად ნედლეულის სახით. შიგა მოხმარებისათვის მოჰყავთ ბრინჯი, (რომელიც კვების ძირითადი პროდუქტია), აგრეთვე პარკოსნები (ლობიო), კარტოფილი, მანგო და სხვადასხვა სახის ბოსტნეული.

განვითარებულია სასაძოვრე მეცხოველეობა, ჰყავთ შერეული ტიპის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯოგი (ერთ მილიონამდე),

საქონლის ხორცი, საკმაო რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ. რძე და რძის პროდუქტები ძირითადად ადგილობრივი მოხმარებისაა. ჰყავთ ცხვრის ფარები (მთებში), ამზადებენ საკმაო რაოდენობის კარაკულს, რომელიც გააქვთ ექსპორტზე. განვითარებულია მეფრინველეობა, **მეფუტკრეობა.**

ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით აქ უკეთაა წარმოდგენილი გადამამუშავებელი მრეწველობა, ქვეყანაში არსებობს 16 შაქრის ქარხანა, 2 თამბაქოს, რამდენიმე ყველ-კარაქისა და ა. შ. საწარმოები.

სანაპირო წყლებში მიმდინარეობს თევზის რეწვა, რომელთა პროდუქციის ხვედრითი წილი მოსახლეობის კვების ბალანსში იზრდება.

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა რესპუბლიკაში წარმოდგენილია შედარებით უკეთ, ვიდრე ცენტრალური ამერიკის სხვა ქვეყნებში, საზღვარგარეთიდან მაინც შემოაქვთ მარცვლეული, კერძოდ, ხორბალი, სიმინდი და ნაწილობრივ ბრინჯიც. თუმცა, ექსპორტ-იმპორტის სალდო დომინიკანელების სასარგებლოდაა.

პუერტო-რიკო, ვირჯინიის კუნძულები, გვადელუპა, მარტინიკა.

ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეყანა განეკუთვნება ლათინური ამერიკის მცირე ქვეყნების რიცხვს, ჩამორჩენილი ეკონომიკითა და სოციალურ-კულტურული დონით. მათ შორის შედარებით გამოირჩევა კუნძულოვანი სახელმწიფო პ უ ე რ ტ ო—რ ი კ ო. რომელიც კარიბიის ზღვის აუზში მდებარეობს.

კუნძული ძირითადად ვაკეა, (ტერიტორიის 2/3), კლიმატი ტროპიკულია, ნალექების რაოდენობა—საკმაოდ უხვი. მისი ტერიტორია 9 ათასამდე კვ. კმ-ია, მოსახლეობა—3,5 მილიონი, დედაქალაქი — სან-ხუანი. კუნძული 1493 წ: იქნა აღმოჩენილი, მთელი ორი საუკუნის განმავლობაში იგი ძირითადად მეკობრეების თავშესაფარს წარმოადგენდა. XIX საუკუნის მიწურულს ქვეყანაში ესპანელები ამერიკელებმა შესცვალეს 1952 წ. პუერტო-რიკო გამოცხადდა როგორც აშშ „თავისუფლად მიერთებული“ ქვეყანა, ავტონომიის დიდი უფლებებით.

მოსახლეობის 60% ცხოვრობს ქალაქად, აქტიური მოსახლეობის 20% დასაქმებულია მრეწველობაში, 7% — სოფლის მეურნეობაში, 73% — მომსახურების სფეროში. ბევრი პუერტო-რიკელი (დაახლოებით 3 მილიონამდე) ცხოვრობს აშშ-ში.

ქვეყნის ეკონომიკა დიდადაა დამოკიდებული ააშ-ზე და ფაქტიურად მისთვის მუშაობს. XIX საუკუნის დასასრულს ქვეყნის ეკონომიკაში დომინანტობდა სოფლის მეურნეობა, რომელსაც კოლონიური სპეციალიზაცია ჰქონდა. ძირითადად მოჰყავდათ საექსპორტო პროდუქცია, რომელიც იგზავნებოდა ევროპის ქვეყნებში, კერძოდ ყავა, კაკაო, თამბაქო, ხილი. XX საუკუნისათვის ქვეყანაში დამკვიდრდა შაქრის ლერწმის მონოკულტურა, რომელმაც შეავიწროვა ყავისა და კაკაოს პლანტაციები. დღეისათვის ქვეყანა შაქრის ერთ-ერთი მთავარი ექსპორტიორია, რომლის პროდუქციაც ძირითადად აშშ-ში იგზავნება. როდესაც შაქრის წარმოების მსოფლიო კრიზისი დაიწყო (შემცირდა მოთხოვნილება შაქარზე), ამან ქვეყნის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, რამაც აიძულა მთავრობა ეფიქრა სხვა დარგების განვითარებაზეც. ჩამოყალიბდა მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები და დღეისათვის ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 70% მეცხოველეობის წინსვლას ხმარდება.

ჰყავთ 800 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა ნაწილი ჯიშიანია და ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით. ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, როგორც წესი, ძოვებაზე ჰყავთ, რომელიც შერეული მიმართულებისაა, ხოლო ჯიშიანი პირუტყვი ძირითადად ბაგურ კვებაზეა და წარმოდგენილია მსხვილი კაპიტალისტური ფერმების სახით. განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა, რომელიც ასევე სამრეწველო საფუძველზეა.

დღეისათვის ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული (ბრინჯი და ხორბალი), გააქვს შაქრის ფხვნილი, სუბტროპიკული ხილი და ხორცი.

ვირჯინია

ვირჯინიის კუნძულები წარმოადგენს მცირე სიდიდის არქიპელაგს, რომელშიც წარმოდგენილია 100 დიდი და პატარა კუნძული. მათი დიდი ნაწილი ეკუთვნის აშშ-ს, ხოლო მცირე ნაწილი —დიდ ბრიტანეთს.

არქიპელაგის ამერიკული ნაწილის ფართობი 344 კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 100 ათასი, კლიმატი ტროპიკულია, იცის სეზონური წვიმები, ძირითადად წარმოდგენილია ტროპიკული მცენარეული საფარი, საკმაო რაოდენობით შემორჩა ტყე. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ზანგებია (80%). ეკონომიკის ძირითადი წყარო — ტურიზმია. სოფლის მეურნეობა სუსტადაა განვითარებული, საკვების ძირითადი ნაწილი შემოაქვთ აშშ-დან. ძირითადი კულტურებია: შაქ-

რის ლერწამი, ყავა, ციტრუსები, ბოსტნეული, რომელთა ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. მცირეოდენობით ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც მერძეული მიმართულებისაა, მეცხოველეობაში დომინანტობს ცხვარი და თხა. ტურისტული ცენტრების ირგვლივ განვითარებულია მეფრინველეობა. საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოებით ქვეყანა თავის მოთხოვნილებებს მხოლოდ 35—40%-ით იკმაყოფილებს.

არქიპელაგის ინგლისური ნაწილი 36 კუნძულისაგან შედგება, რომელთაგან ათვისებულია მხოლოდ 13. ფართობი 153 კვ. კმ-ია, მოსახლეობა—14 ათასი. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა ტურისტების მომსახურებაა. სოფლის მეურნეობა ძირითადად წარმოდგენილია მემცენარეობით, მოჰყავთ შაქრის ლერწამი, ხილი, ბოსტნეული, თხილი, მარცვლეული სუსტადაა წარმოდგენილი და ძირითადად სიმინდის ნათესებით, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კვების უმთავრესი პროდუქტია. ქვეყანა წლის განმავლობაში მომსახურებას უწევს 150 ათას ტურისტს, ამიტომ მას დიდი რაოდენობით შემოაქვს სურსათი საზღვარგარეთიდან, პირველ რიგში აშშ-დან.

გვადელუპა

გვადელუპა საფრანგეთის ზღვისიქითა ტერიტორიაა, რომლის საერთო ფართობი 1780 კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა — 350 ათასი. კლიმატი ტროპიკულია, საშუალო წლიური ტემპერატურა 24—27°, ნალექების რაოდენობა — 1500—2000 მმ. ხშირია წვიმიანი პერიოდები.

ქვეყანაში კარგი კლიმატური პირობებია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ ვინაიდან კუნძულები ძირითადად მთიანია, მოსახლეობის სიმჭიდროვე კი საკმაოდ მაღალი, თითქმის არ რჩება სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის გამოსაყენებელი ფართობები. გვადელუპას მიწის ფონდში საკმაოდ მაღალია ტყისა და დამუშავებული მიწების ხვედრითი წილი, შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი საძოვრები.

ქვეყნის ძირითადი კულტურაა შაქრის ლერწამი, რომელიც ისტორიულად ტრადიციული კულტურა იყო. ბოლო პერიოდში ექსპორტში პირველ ადგილზეა ბანანი, თუმცა შაქრის ლერწამს კვლავინდებურად უჭირავს სახნავის ნახევარი, კუნძულზე მოჰყავთ აგრეთვე ბოსტნეული, ხილი, ყავა, რომელთა პროდუქციის დიდი ნაწილი საექსპორტოა და გააქვთ საფრანგეთში.

მარცვლეულიდან მოჰყავთ სიმინდი, მცირე რაოდენობით ბრინ-

ჯი, გავრცელებულია პარკოსნები, ძირითადად ლობიო, არსებობს როგორც შედარებით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (150 ჰა. სახნავი და მეტი), ისე წვრილი გლეხური მეურნეობები. მიწათმოქმედების ტექნიკური აღჭურვილობა სუსტია, სჭარბობს ხელით შრომა, წარმოებაში იყენებენ დაქირავებულ შრომას, რომელიც საკმაოდ იაფია.

მეცხოველეობა ძირითადად წარმოდგენილია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სახით, ჰყავთ აგრეთვე ცხვარი და ფრინველი. მეცხოველეობაში დიდ საწარმოდ ითვლება ისეთი ფერმები, რომლებსაც ჰყავთ 100 და მეტი სული პირუტყვი, რომლებიც ძოვებაზეა.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ქვეყანას საკმაო რაოდენობით შემოაქვს მარცვლეული საფრანგეთიდან, თუმცა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის სალდო დადებითია.

მარტინიკა

მარტინიკაც საფრანგეთის ზღვისიქითა დეპარტამენტია. რომლის ტერიტორია 1,1 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—400 ათასამდე. კუნძული მთიანია, ვულკანური წარმოშობის, სანაპირო ზოლი შეჭრილ-შემოჭრილია. შუა საუკუნეებში იგი მეკობრეების საფლობელოს წარმოადგენდა. კუნძულის კლიმატი ტროპიკულია, ნალექების რაოდენობა 1500—2000 მმ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქარიშხლებს, (რომლებიც ხშირია), კლიმატური პირობები ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის. ქვეყნის მოსახლეობა ზანგები და მულატებია. ქალაქად ცხოვრობს მოსახლეობის 70%.

ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, რომელსაც საექსპორტო მიმართულება აქვს. აქტიური მოსახლეობის 55% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის ძირითადი საექსპორტო კულტურებია შაქრის ლერწამი, ბანანი და ანანასი, მათი წარმოების 60%, მარტინიკის 10 მსხვილი მიწათმფლობელის ხელშია. ქვეყანაში ბევრია უმიწაწყალო გლეხები, რომლებიც მუშაობენ მსხვილ მიწათმფლობელებთან. ბოლო პერიოდში ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა საკუთარ ბაზარზე შაქრის მოთხოვნილების შემცირებამ. რაც გამოიწვია შაქრის ჭარბწარმოებამ. დაგროვდა ბევრი რაოდენობით გაუსაღებელი პროდუქცია, რამაც კაპიტალის ბრუნვადობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ქვეყნის სოფლის მეურნეობის ახალი სპეციალიზაციის დასადგენად. მარცვლეულიდან ძირითადია სიმინდი, რომელიც აგვალობრივი მნიშვნელობისაა, მოჰყავთ აგრეთვე პარკოსნები.

მეცხოველეობას აქვს როგორც მსხვილმასშტაბური, ისე ინდივიდუალური მიმართულება. არსებობს მსხვილი რქოსანი პირუტყვის სპეციალიზებული ფერმები, სადაც თავმოყრილია პირუტყვის 60%-ზე მეტი. ჰყავთ აგრეთვე ცხვარი და საკმაო რაოდენობით ფრინველი. მოსახლეობის კვების ბალანსში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თევზის პროდუქტს, რომლის ნაწილი ეადგმუნავებული სახით (კონსერვები) გაიქვთ საფრანგეთში.

ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული, რძის ფხვნილი, მისი ძირითადი საკაპრო პარტნიორი საფრანგეთია, იმპორტ-ექსპორტის სალდო ქვეყნის სასარგებლოდაა.

გარდა ჩვენს მიერ განხილული ქვეყნებისა, ლათინურ ამერიკაში შედის დომინიკა (790 კვ. კმ. მოსახლეობა—80 ათასი), ანტიგუა (447 კვ. კმ. მოსახლეობა—75 ათასი, სენტ-კრისტოფერი (400 კვ. კმ., მოსახლეობა—70 ათასი) მონტ-სერატი (101 კვ. კმ., მოსახლეობა—13 ათასი), სენტ-ლუსია (616 კვ. კმ. მოსახლეობა—120 ათასი), გრენადა (389 კვ. კმ., მოსახლეობა—106 ათასი), ბარბადოსი (431 კვ. კმ. მოსახლეობა—260 ათას), ტრინიდატი და ტობაგო (5,1 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—1,2 მილიონი), ანტილიის კუნძულები (1000 კვ. კმ. მოსახლეობა—250 ათასი).

ყველა ზემოჩამოთვლილი ქვეყნები ჯერ კიდევ კოლონიებია, რომლებიც შედიან აშშ-ის ან ევროპული ქვეყნების შემადგენლობაში. მათი კლიმატი ტროპიკულია, ეკონომიკა—აგრარული, ძირითადი კულტურებია: შაქრის ლერწამი, ყავა, სუბტროპიკული ხილი. მეცხოველეობა სუსტადაა წარმოდგენილი. თითქმის ყველა მათგანს (ტრანიდატორისა და ტობაგოს გარდა) შემოაქვს მარცვლეული, მოსახლეობის საქმიანობის ძირითადი სფეროა ტურიზმი.

XIV თავი

ა ფ რ ი კ ა

აფრიკას განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა უჭირავს. ეკვატორი მას შუაზე ჰყოფს, კონტინენტი, მთელი წლის განმავლობაში იღებს მზის სითბოს ძალიან დიდ რაოდენობას, ზაფხული უმრავლეს რეგიონებში წვიმიანია, ზამთარი—მშრალი და თითქმის უნალექო. აფრიკის ტერიტორია 29,2 მლნ. კვ. კმ-ია, მას უჭირავს მსოფლიო ხმელეთის 1/5, აფრიკაზე გადის მსოფლიო მნიშვნელო-

ბის კომუნიკაციები, ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვას. ევროპისაგან კონტინენტი გამოყოფილია გიბრალტარის ვიწრო სრუტით (14 კმ), მის ტერიტორიაზე გადის სუეცის არხი.

მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის კერა აფრიკაში აღმოცენდა VII—III ათასწლეულში ჩვენს ერამდე. მისი აკვანი დაირწა ძველ ეგვიპტეში. ჩვენი საუკუნის დასაწყისში კლასობრივი სახელმწიფოები უკვე არსებობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში. მსოფლიოში არ მოიძებნება კონტინენტი, რომელიც ისე დაზარალებულიყოს კოლონიზაციისაგან, როგორც აფრიკა. XVII—XVIII საუკუნეებში მონებით ვაჭრობამ დააცარიელა აფრიკის მთელი რიგი რეგიონები, კონტინენტის კოლონიური დაყოფა დამთავრდა XX საუკუნეში, ამ პერიოდისათვის თითქმის მთელი აფრიკა კოლონიური უღლის ქვეშ აღმოჩნდა. მხოლოდ ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო აფრიკის დეკოლონიზაციის პროცესი, რომელიც გაგრძელდა 25 წლის განმავლობაში. 80-იანი წლებისათვის მსოფლიოს რუკაზე გაჩნდა აფრიკის 50 დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებსაც ეჭირათ ტერიტორიის 86%. დაიწყო სოციალური გარდაქმნები, რომელიც მეტნაკლები წარმატებებით მიმდინარეობდა ყველა ქვეყანაში. აღსანიშნავია ისიც, რომ აფრიკის სახელმწიფოების ნაწილი (10 ქვეყანა) სოციალისტური ორიენტაციის გზას დაადგა, სადაც გამეფებული იყო დიქტატორული რეჟიმები, მხოლოდ მსოფლიოს სოციალისტური სისტემის დანგრევის შემდეგ დაადგნენ ისინი დამოუკიდებელი, თავისუფალი განვითარების გზას.

აფრიკა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მრავალფეროვანია მისი ფაუნა და ფლორა, კონტინენტზე ბევრია ნაყოფიერი ნიადაგები, აქ სახლობს მსოფლიოს მოსახლეობის 10%, მიუხედავად ამისა, იგი ჯერ კიდევ ყველაზე ჩამორჩენილ კონტინენტად ითვლება და აქ მდებარე სახელმწიფოების უმრავლესობა განეკუთვნება მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილ სახელმწიფოების რიცხვს. მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში აფრიკის ხვედრითი წილი 1% არ აღემატება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში—12% (მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის ქვეყნების უმრავლესობა აგრარულია), მსოფლიო ვაჭრობაში—4%. 1980 წელს კონტინენტის ნაციონალური პროდუქტის სიდიდე 260 მილიარდი დოლარი იყო, აქედან 115 მილიარდი მოდიოდა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე, ეს დაახლოებით იმდენია, რამდენსაც შეადგენს ინგლისის ნაციონალური შემოსავალი, მაშინ როდესაც აფრიკა იძლევა მსოფლიო ალმასების მოპოვების 95%. პლატინის—89%, ოქროს—75%, მარგანუმის—58%, ურანის—35%, ფოსფორიტების—30%, ბოქსიტების—17% და ა. შ.

თანამედროვე აფრიკის მოსახლეობის 67% ცხოვრობს და საქმიანობს სოფლად, რომლის პროდუქციის ხვედრითი წილი ერთობლივ ნაციონალურ პროდუქტში 50%-ია. აფრიკის წილად მოდის მსოფლიოში დამუშავებული მიწების 14%, საძოვრების—26%, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის—13%, ცხვრისა და თხის სულადობის—18%, თუმცა ძირითადი პროდუქტების წარმოების მიხედვით (მარცვლეული, ხორცი, რძე, კარაქი, თევზი), მისი ხვედრითი წონა არ აღემატება 3—5%, მხოლოდ ტროპიკული მიწათმოქმედების ზოგიერთი პროდუქციის წარმოებაში უჭირავს მას მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი (ყავა—10%, კაკაო—66%), სოფლის მეურნეობა — ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილია.

აფრიკის კონტინენტზე მხოლოდ ერთადერთი ინდუსტრიული ქვეყანაა. ესაა სამხრეთ აფრიკის კავშირი, რომლის წილად მოდის კონტინენტის ნაციონალური შემოსავლის 21%, სასარგებლო წიაღისეულის — 50%, რკინიგზის ტვირთბრუნვის — 60%, ავტომობილების პარკის—43% და სხვ. დღევანდელი აფრიკა ძირითადად ნედლეულის მწარმოებელ რეგიონს წარმოადგენს, რომელიც მას გააქვს ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. აფრიკის უმრავლეს რეგიონებში მწვავედ დგას სურსათის საკითხი, მისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ცხოვრობს აბსოლუტური საცხოვრებელი მინიმუმის ზღვარს ქვეშ, დაბალია განათლებისა და კულტურის დონე.

აფრიკაში ბევრია ისეთი ქვეყანა, რომელსაც არა აქვს გასასვლელი ზღვაზე, მათ წილად მოდის ტერიტორიის 25 და მოსახლეობის 14 პროცენტი. აფრიკის ტერიტორიის ნახევარი მოდის უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებზე (14 მლნ. კვ. კმ.). აქედან მარტო საჰარის უდაბნოზე მოდის 8 მილიონი კვ. კმ. ამავე დროს აქვე ეხლდებით ტროპიკული ტყის უზარმაზარ მასივებს, რომელიც სიდიდით მხოლოდ ამაზონის ტყეს ჩამოუვარდება და მდებარეობს მდინარე კონგოს აუზში, არის თოვლიანი მწვერვალებიც, რომელთა შორის უმაღლესი—კილიმანჯაროს მთა 5895 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აფრიკის კონტინენტზე მიედინება მსოფლიოში ყველაზე გრძელი მდინარე ნილოსი და აღმოსავლეთ ნახევარსფეროში ყველაზე წყალუხვი — კონგო. აფრიკის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 750 მეტრია, აქ ბევრია მთაგრეხილი და ნაყოფიერი დაბლობებიც, არათანაბარია ნალექების განაწილება, ზოგიერთ რეგიონში იგი 50—100 მმ (საჰარაში 10—20 მმ), ხოლო სამხრეთის ტროპიკულ ზონაში—3500—

—4000 მმ აღწევს (გვხვდება რაიონები, სადაც 450 მმ ნალექი მოდის).

ჩვენ არ შევუდგებით აფრიკის ყველა ქვეყნის დახასიათებას, შეეხებით მხოლოდ ზოგიერთ ნათგანს (ეგვიპტეს, ალჟირს, მაროკოს, ნიგერიას, სამხრეთ აფრიკის კავშირს. დანარჩენ ქვეყნებს განვიხილავთ რეგიონების მიხედვით: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამხრეთი, ცენტრალური და ჩრდილოეთი აფრიკა).

აფრიკის ქვეყნების სოფლის მეურნეობა

აფრიკის ნიადაგობრივ საფარს, რომელზეც განვითარებულია მცენარეულობა, უჭირავს კონტინენტის 2/3, დანარჩენი ,მოდის უდაბნოებსა და ნახევრად უდაბნოებზე. ნიადაგები ქვა-ღორღიანია, უმთავრესად წარმოდგენილია წითელი, ყვითელმიწა-წითელი, რუხი-წითელი მიწები. ძირითადად აფრიკის ნიადაგები არ არის ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ვინაიდან ღარიბია ჰუმუსით. სახნავად ვარგისია აფრიკის ტერიტორიის 1/3, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი მდებარეობს გვალვიან, მშრალ რეგიონებში, რაც დღვისათვის შეუძლებელს ხდის მათ სრულ სამეურნეო ათვისებას.

აფრიკა მდინარეთა ქსელით და წყალუხვობით ჩამორჩება მხოლოდ აზიასა და სამხრეთ ამერიკას, მაგრამ აქ იგი არათანაბრადაა ეანაწილება. გვხვდება ჭარბტენიანი რეგიონები, თუმცა გვხვდება ისეთებიც, სადაც 1000 კმ. რადიუსშიც კი არ არის მდინარე. ყველა აფრიკული მდინარე იკვებება წვიმის წყლებით.

მრავალფეროვანია აფრიკის მოსახლეობა. ერთსა და იმავე ქვეყანაშიც კი, ხშირად წარმოდგენილია რამდენიმე ათეული ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთისაგან ეანსხვავდებიან არა მარტო კულტურით, არამედ ენითაც. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის მოსახლეობა არ არის მრავალრიცხოვანი, აქ მაინც ჭარბადაა თავისუფალი შრომითი რესურსები, რომლებიც მიემგზავრებიან განვითარებულ ქვეყნებში სამუშაოდ.

ს ო ფ ლ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ა აფრიკა უმრავლეს ქვეყანაში ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს, სასოფლო-სამეურნეო წარმოება გამოირჩევა არა მარტო სიჭრელით, არამედ საწარმოო სპეციალიზაციითაც, ძალზედ რთული და მრავალფეროვანია აგრარული ურთიერთობები, დასამუშავებლად ვარგისი მიწების საკმარისად დიდი რაოდენობა ჯერ კიდევ დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალის ხელშია. თუმცა დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმრავლესობამ გაატარა რეფორმები, რომლის მეშვეობითაც

საკარგულთა უდიდესი ნაწილი გადავიდა ადგილობრივი მოსახლეობის ხელში. ესაა მიწები, რომელიც ფეოდალების, რელიგიური ორგანიზაციებისა და გლეხების ხელშია, აგრეთვე სახელმწიფო მიწები, რომელთა რაოდენობაც საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ ქვეყნებში ჯერ კიდევ არსებობს ტომებისა და თემების მიწები, რომელთა განკარგულებლები არიან მოცემული ტომის წევრები ან მათი ბელადები. სასაკონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ მნიშვნელოვნად შეარყია მიწების ტომობრივი კუთვნილება, დაიშალა იგი წვრილ მეურნეობებად, მაგრამ ტომების გავლენა ამა თუ იმ რეგიონში ჯერ კიდევ დიდია.

იმ ქვეყნებში, სადაც მიწის მესაკუთრეა სახელმწიფო ან კერძო პირი, ფართოდ გამოიყენება საიჯარო ურთიერთობები. ამავე დროს გავრცელებულია ნატურალური იჯარა, იყენებენ სხვა ფორმებსაც. სულ უფრო იზრდება საიჯარო ურთიერთობებში ფულადი ფორმების როლი. გავრცელებულია მოკლევადიანი იჯარა, რაც არ იწვევს მოიჯარის დაინტერესებას, რათა შეინარჩუნოს ნიადაგის ნაყოფიერება და იზრუნოს მასზე. ასეთ პირობებში თითქმის არ იყენებენ რაციონალურ თესლბრუნვას და სხვა პროგრესულ აგროტექნიკას.

ზოგიერთ რეგიონებში არსებობს მსხვილი პლანტატორული მეურნეობები, რომლებიც ჯერ კიდევ წარმოადგენენ საზღვარგარეთელი კომპანიების საკუთრებას. ისინი უმთავრესად საექსპორტო პროდუქციას ამზადებენ და როგორც წესი, ხასიათდებიან მონოკულტურით. პლანტატორული მეურნეობებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მათში დასაქმებული მუშები, საკარმიდამო ნაკვეთების სახით ფლობენ მიწების მცირე რაოდენობას, რომელიც ხელს უწყობს მათი სასურსათო პრობლემების გადაწყვეტას.

მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს კარგად ორგანიზებული ფერმერული მეურნეობები, რომლებიც იმყოფებიან, როგორც ყოფილი კოლონისტების, ისე ადგილობრივი მსხვილი მიწათმფლობელების საკუთრებაში.

თავისებური სოციალური ურთიერთობებით ხასიათდებიან მეცხოველეობის რაიონები, რომელიც ემყარება პირუტყვზე ამა თუ იმ ტომის კოლექტიურ საკუთრებას, მაგრამ ეს ურთიერთობები დღეისათვის თანდათანობით ირღვევა. გამოიკვეთა მესაკუთრეების ზედაფენა, რომელიც ფლობს საძოვრებისა და პირუტყვის გაცილებით დიდ რაოდენობას, ვიდრე ჩვეულებრივი წევრები.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, აფრიკის მთელ რიგ რეგიონებში

ნალექები თითქმის არ მოდის, ამიტომ მიწათმოქმედება ასეთ მიწებზე შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნური მორწყვის პირობებში, ამიტომ ვინც კონტროლს უწევს წყლის რესურსებს, ის აკონტროლებს მიწასაც. დღეისათვის რეგიონის მშრალ ქვეყნებში წყალი სახელმწიფო საკუთრებად არის გამოცხადებული.

აფრიკული ქვეყნების სოციალური ჩამორჩენილობა, თავის გამოხატულებას პოულობს უპირატესად სოფლის მეურნეობაში, რომლის ტექნიკური შეიარაღება უმრავლეს ქვეყნებში პირველყოფილ მდგომარეობაშია, მიწის დამუშავება წარმოებს თოხისა და ზოგჯერ წამახვილებული ჯოხის მეშვეობით. შედარებით უკეთესი ტექნიკური ბაზა აქვთ ყოფილ პლანტატორულ მეურნეობებს, რომლებიც წარმოების კაპიტალისტურ მეთოდებს იყენებენ.

მინიმალურია სასუქების გამოყენების დონეც. აფრიკა, რომელიც იძლევა ბუნებრივი ფოსფორის მსოფლიო წარმოების 1/3, თავად მინერალური სასუქის სახით მოიხმარს მხოლოდ 3%, ასეთ დონეზეა აზოტის გამოყენებაც.

ტროპიკულ აფრიკაში ჯერ კიდევ ბატონობს ე. წ. „საახოე" მიწათმოქმედება, რომლის დროსაც დასამუშავებლად ამორჩეულ ნაკვეთზე ტარდება წინასწარი სამუშაოები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ ნაკვეთს ბალახებისა და ტყე-ბუჩქნარისაგან გასაწმენდად ჯერ გადაიწვავენ და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოებს განთავისუფლებული ნაკვეთის დამუშავება. ასეთ ნაკვეთებზე მოსავლიანობა ცხადია დაბალია. ტროპიკული აფრიკის სახელმწიფოები ყველაზე მწვავედ განიცდიან სურსათის დეფიციტს. ამის მიზეზია ის, რომ ეს ქვეყნები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იყენებენ მიწათმოქმედების ყველაზე ჩამორჩენილ მეთოდებს.

აფრიკის მიწათმოქმედება ისტორიულად ორი მიმართულებით ვითარდებოდა. ეს მიმართულებები განსაკუთრებით გამოიკვეთა გასული საუკუნის შუა პერიოდიდან. წარმოების ნაწილს აქვს ადგილობრივი მოხმარების ხასიათი, რომელიც ხმარდება შიდა ბაზრის ნოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ხოლო ნაწილი საექსპორტოა, რაც ძირითადად პლანტატორულ მეურნეობებშია გაადგილებული (ტექნიკური კულტურები). აფრიკაში ბევრი ისეთი კულტურაა, რომელიც სხვა რეგიონებში არ გვხვდება. ერთ-ერთი შთაგანია მანიოკი, რომელიც კრანმალის დასამზადებლად გამოიყენება. ამ კულტურას უჭირავს 7 მილიონ ჰექტარამდე ნაკლებპროდუქტიული მიწები. საერთო წარმოება 44 მლნ. ტონაა, რომელიც ძირითადად გადის საექსპორტოდ. მანიოკის წარმოებით აფრიკას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. გავრცელე-

ბულია ავრეთვე: ბატატი, რომელიც ხასიათდება მოკლე სავეგეტაციო პერიოდით, ამ კულტურას უჭირავს 3 ნილიონ ჰექტარზე მეტი ფართობი. საერთო მოსავალი დაახლოებით 25 მლნ. ტონამდეა. ბანანოკი და ბატატი უმთავრესად მოჰყავთ ცენტრალურ აფრიკაში.

სავანის ზონაში, სადაც იცის ტროპიკული წვიმები და არის მშრალი პერიოდებიც, გავრცელებულია ფეტვი და სორგო, გარდა ამ რეგიონებისა ეს კულტურები, მოჰყავთ აფრიკის თითქმის ყველა ქვეყანაში. აფრიკაზე მოდის ამ კულტურების მსოფლიო წარმოების 1/4 და უჭირავს 30 მილ-მდე ჰექტარი ფართობი. მათი საერთო მოსავალი 22—23 მილიონი ტონაა. მთავარი მწარმოებლებია ნიგერია და ეთიოპია.

ადგილობრივი მოხმარების კულტურებს წარმოადგენს: ხორბალი, ქერი, ჭვავი, სიმინდი, ბრინჯი. ხორბალი ძირითადად მოჰყავთ ეგვიპტეში, ალჟირში, მაროკოში, ტუნისში, სამხრეთ აფრიკის კავშირში, სიმინდი—ეთიოპიაში, ეგვიპტეში, სამხრეთ აფრიკის კავშირში: ბრინჯი — ეგვიპტეში და კუნძულ მადაგასკარზე. ქერი — მაროკოსა, ალჟირსა და ეთიოპიაში. მარცვლეულიდან წამყვანია ხორბალი, რომლის საერთო წარმოება 18—19 მლნ. ტონაა, მომდევნო ადგილზეა სიმინდი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია. ბოლო პერიოდში გაიზარდა ბრინჯის ნათესები. სამხრეთ-დასავლეთ და ეკვატორული აფრიკის იმ ქვეყნებში, რომლებმაც დაიწყეს სარწყავი მიწების ათვისება, უმთავრესად განავითარეს ბრინჯის წარმოება. მიუხედავად იმისა, რომ ამა თუ იმ სახით აფრიკის თითქმის ყველა ქვეყნებშია კულტივირებული მარცვლეული კულტურები, მათი პროდუქცია მხოლოდ სანახევროდ თუ აკმაყოფილებს კონტინენტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების რაოდენობა, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას იძლევიან, საკმაოდ ბევრია. მთელ რიგ ქვეყნებში მოჰყავთ ზეთოვანი კულტურები. განსაკუთრებით არახისი, მიწის თხილი, ზეითუნის ხე და სხვა. არახისის სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. ივი ევროპაში შემოიტანეს პორტუგალიელებმა და გაავრცელეს. განსაკუთრებით დიდია მისი პლანტაციები დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში. არახისი მნიშვნელოვანი საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო კულტურაა, რომელსაც უკავია დაახლოებით 6,5 მლნ. ჰექტარი ფართობი. საერთო მოსავალი 5 მილიონ ტონამდეა, რაც მსოფლიო წარმოების 1/3-ია. არახისის წარმოების ნახევარი მოდის სენეგალსა და ნიგერიაზე.

საკმაოდ დიდია ზეითუნის ხის პლანტაციები, განსაკუთრებით

ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში. ზეითუნის ზეთის წარმოების 50% იძლევა ტუნისი, საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს (ბურუნდი, კენია, ტანზანია, რუანდა) ყავა და კაკაო (ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის ქვეყნები), განსაკუთრებით გავრცელებულია კაკაო. აფრიკის ქვეყნებზე მოდის ამ პროდუქციის მსოფლიო წარმოების 2/3 (რომლის ნახევარი მოდის განაზე), ბოლო წლებში კაკაომ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ნიგერიასა და სპილოს ძვლის ნაპირზე.

ყავა წარმოშობით აფრიკული კულტურაა, ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლოა ეთიოპიის პროვინცია კეფე. აფრიკა იძლევა ყავის მსოფლიო წარმოების 30%, იგი ძირითადად გავრცელებულია ანგოლაში, უგანდაში, ზაირში, ეთიოპიაში. განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ეს კულტურა ეთიოპიის ეკონომიკაში, ამ ქვეყანაში ყავა არა მარტო პლანტაციების სახითაა, არამედ ველურ მდგომარეობაშიც იზრდება.

ტექნიკური კულტურებიდან კარგადაა წარმოდგენილი თამბაქო და ბამბა. თამბაქო რეგიონში შემოტანილი იქნა XVI საუკუნეში პორტუგალიელების მიერ. დღეისათვის იგი მოჰყავთ ტროპიკული აფრიკის უმრავლეს ქვეყნებში, უმთავრესად საკუთარი მოთხოვნილებებისათვის — გლეხურ მეურნეობებში, ზიმბავეში კი მას საექსპორტო ხასიათი აქვს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბამბის კულტურას, რომელსაც უჭირავს 5 მილიონამდე ჰექტარი ფართობი. აფრიკა აწარმოებს ბამბის მსოფლიო წარმოების 1/7, აქედან ნახევარს—ეგვიპტე, შემდეგ მოდის სუდანი, სადაც მოჰყავთ უმაღლესი ხარისხის ბამბა. ბოჭკოვანი კულტურებიდან მნიშვნელოვანია აგავა. იგი იძლევა მნიშვნელოვანი სახის პროდუქციას, რომელსაც იყენებენ ზღვაოსნობაში თოკებისა და სხვა საჭიროებისათვის, აღნიშნული პროდუქციის მსოფლიო წარმოების 2/3 მოდის აფრიკის ქვეყნებზე, ძირითადად — ტანზანიაზე.

მართალია ჰევეას კულტურის სამშობლო ამერიკაა, მაგრამ იგი კარგად შეეგუა აფრიკის პირობებს, რომლის პლანტაციები განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი ლიბერიასა და ნიგერიაში. აფრიკა აწარმოებს კაუჩუკის მსოფლიო წარმოების 7%, რომლის ექსპორტს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რეგიონისათვის.

ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში და ავრეთვე სამხრეთ აფრიკის ყავშირში განვითარებულია მევენახეობა, ღვინის წარმოებაში კონტინენტზე პირველ ადგილზეა ალჟირი, რომელიც ეწევა აღნიშნული პროდუქციის ექსპორტს, თუმცა ბოლო პერიოდში დაიწყეს ვაზის კულტურის გაჩეხვა. მიზეზი ისაა, რომ მუსულმანური რწმენით (რომელ-

საც მისდევს აფრიკის მოსახლეობის უმრავლესობა) ღვინის სმა აკრძალულია, ხოლო მსოფლიო ბაზარზე აღნიშნული პროდუქციის გატანა დიდი კონკურენციის გამო გაძნელდა.

აფრიკის სუბტროპიკებში დიდი რაოდენობით მოჰყავთ ფორთოხალი, მანდარინი, ლიმონი, გრეიფრუტი, რომელიც ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში (ეგვიპტე, ლიბია, ალჟირი, მაროკო, ტუნისი) არის წარმოდგენილი და ევროპის ბაზარზე გააქვთ წვენების სახით. აფრიკა იძლევა აგრეთვე ფინიკის მსოფლიო წარმოების 2/5, მისი გავრცელების ყველაზე დიდი რეგიონია — ეგვიპტე, გარდა ამისა ის მოჰყავთ ჩადში, სუდანში, მალში, მაროკოში და სხვაგან.

კონტინენტის აღმოსავლეთ ქვეყნებში მოჰყავთ ქოქოსის პალმა. ყერძოდ ზიმბაბვეში, მადაგასკარზე და სხვაგან, ამავე რეგიონებშია გავრცელებული კოპრი, ვანილი და სხვა კულტურები.

დიდ როლს ასრულებს რეგიონის ქვეყნების ეკონომიკაში შაქრის ლერწამი, რომელიც მოჰყავთ ეგვიპტეში, ნიგერიაში, განაში, ტოგოში, ტანზანიაში და სხვაგან. თუმცა ზოგიერთი ეს ქვეყანა შაქრის ფხვნილის იმპორტსაც ეწევა, გამონაკლისია სამხრეთ აფრიკის კავშირი, რომელიც აწარმოებს წარმოებული შაქრის ფხვნილის 1/3.

მიწათმოქმედების მსგავსად აქ მრავალი საუკუნის ისტორია აქვს მეცხოველეობასაც. შინაური ცხოველების მოშენებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფრიკის მოსახლეობისათვის. აფრიკის ყველა ქვეყანაში მეცხოველეობას ექსტენსიური ხასიათი აქვს და ჯოგი მთელი წლის განმავლობაში ძოვებაზე ჰყავთ. ზოგ შემთხვევაში მას მომთაბარე, ხოლო ზოგჯერ ნახევრად მომთაბარე ხასიათი აქვს (არის შემთხვევები, როდესაც ჯოგის გადაადგილება ათასი და მეტი კილომეტრითაც კი ხდება). სუდანაში განვითარებულია მეცხვარეობა და მეთხეობა, მაროკოსა და ალჟირში—მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და ა. შ. ზოგ ქვეყანაში მეცხოველეობას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ზოგში კი იგი სასაქონლო პროდუქციასაც იძლევა. სამხრეთ აფრიკის კავშირსა და კენიაში გავრცელებულია ევროპული ტიპის ფერმები. რომლებიც უმთავრესად ევროპიდან ჩამოსულ მოსახლეობას ეკუთვნის.

ტროპიკული აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ინდოეთის მსგავსად) პირუტყვს რელიგიური მნიშვნელობა უფრო აქვს, კიდრე საწარმოო. აფრიკის ქვეყნებში არ მისდევენ მეღორეობას (იგი წარმოდგენილია სამხრეთ აფრიკის კავშირის თეთრკანიან მოსახლეობაში). დაბალია ვეტერინალური მომსახურების დონე, რაც იწვევს ეპიდემიებს, რომლის ჯროს პირუტყვის დაცემა საკმაოდ დიდია.

ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ზრდამ შესაბამისი ბიძგი მისცა სასაქონლო მეცხოველეობის განვითარებას. შეიქმნა საგარეუბნო ზონა, გამოიკვეთა მათი საწარმოო მიმართულება, პრიორიტეტული გახდა მეფრინველეობისა და მერძეული მეცხოველეობის განვითარება. მთელი რიგი ქვეყნებისათვის მეცხოველეობა გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკაში. ასეთი ქვეყნებია: ეთიოპია, მავრიტანია, სომალი, სუდანი, სამხრეთ აფრიკის კავშირი. რაც შეეხება მეცხოველეობის პროდუქტების ექსპორტს, იგი წარმოდგენილია მხოლოდ ბატყლითა და ტყავით.

აფრიკის უმრავლეს ქვეყნებში ცუდად დგას პირუტყვის სულადობის აღრიცხვის საკითხი. არსებობს მხოლოდ მიახლოებითი სტატისტიკა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა ამ ქვეყნებში 162 მილიონს უდრის, ცხვრის——— 165, თხის—132, ღორის—7, ცხენის—4,5, ვირის—11, კამეჩის——1,5, აქლემის—10,5 მილიონ სულს. პირუტყვის სულადობა ყველაზე მეტია სამხრეთ აფრიკის კავშირში, ნიგერიაში, მაროკოში, მალიში. მეცხოველეობა ხასიათდება დაბალი პროდუქტიულობით, რაც აუცილებელს ხდის ხორცისა და ხორცის პროდუქტების, აგრეთვე რძის ფხვნილისა და შესქელებული რძის შემოტანას ევროპის ქვეყნებიდან და ავსტრალიიდან.

აფრიკის ქვეყნების უმრავლესობისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოება შეუძლებელია მორწყის გარეშე, რაც იწვევს ახალი სარწყავი სისტემების შექმნის აუცილებლობას. დღეისათვის ეგვიპტეში, სომალში, სუდანში, მადაგასკარში თითქმის ყველა სახნავი ნაკვეთი სარწყავია. აფრიკის მასშტაბით კი სარწყავი მიწების ხვედრითი წილი 10% არ აღემატება, ეს მიწები გვაძლევენ მემცენარეობის პროდუქციის 1/4. კონტინენტის დასავლეთში არის ქვეყნები, რომლებიც არ საჭიროებენ რწყვას, ისინი ჭარბტენიან ზონებს განეკუთვნებიან.

რაციონალური მიწათმოქმედების შემთხვევაში მარტო ტროპიკული აფრიკის ტყიანი მასივის ზონას შეუძლია გამოკვებოს 1,5 მილიარდი ადამიანი, ხოლო სარწყავი მიწათმოქმედების გაორმაგების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს 2,5-ჯერ. მეცნიერების გამოანგარიშებით აფრიკის სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის საჭიროა დაახლოებით ერთ ტრილიონ დოლარამდე კაპიტალური დაბანდება, რომელიც დღეისათვის კონტინენტის ქვეყნებს არ გააჩნიათ. საჭიროა განვითარებული ქვეყნების აქტიური დახმარება.

აფრიკის მოსახლეობის კვების ბალანსის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა მეთევზეობა, რომლის დიდი მარაგი არსებობს კონტინენტის სანაპირო წყლებში. მთელ რიგ ქვეყნებში თევზჭერას დიდი ტრადიციები აქვს, დღესაც ზღვისპირა ქვეყნების მოსახლეობისათვის იგი ძირითად და წამყვან დარგს წარმოადგენს. თევზის პროდუქციას ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს, ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობის კვების ბალანსში მის წილად მოდის 30—40%. მხოლოდ სამხრეთ აფრიკის კავშირს, ლიბერიას, მაროკოს ჰყავს თევზსაჭერი ფლოტილიები. დანარჩენ ზღვისპირა ქვეყნებში ამ დარგს ჯერ კიდევ, პრიმიტიული ხასიათი აქვს.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის თანამედროვე ტიპის საწარმოები არის აფრიკის მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში. ძირითადად პროდუქციის გადამუშავება წარმოებს მცირე სიმძლავრის, უმთავრესად კუსტარულ საწარმოებში, ამიტომ დამზადებული პროდუქციის ხარისხიც დაბალია და ის მსოფლიო ბაზარზე ვერ უწევს კონკურენციას განვითარებული ქვეყნების ანალოგიური ხასიათის პროდუქციას.

ამრიგად, აფრიკის კონტინენტი სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაზრისით წარმოადგენს ჯერ კიდევ აუთვისებელ რეგიონს, რომლის შესაძლებლობები გამოყენებულია მხოლოდ 35—40%-ით. სათანადო კაპიტალური დაბანდებისა და რაციონალური მეწარმეობის შემთხვევაში, აფრიკას შეუძლია მნიშვნელოვნად შეავსოს მსოფლიო ბაზარი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

ჩრდილოეთი აფრიკა

ჩრდილოეთ აფრიკა — კონტინენტის მსხვილი რეგიონია. მის შემადგენლობაში შედის საჰარის უდიდესი ნაწილი, ატლასის მთიანი სისტემა, აფრიკის უდიდესი მდინარის ნილოსის დელტა. რეგიონი სამი მხრიდან გარშემორტყმულია წყლით: ჩრდილოეთით ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით—წითელი ზღვა, ხოლო, დასავლეთით—ატლანტის ოკეანე. რეგიონის საერთო ფართობია 10 მილიონი კვ. კმ: რაც აფრიკის კონტინენტის 1/3 შეადგენს, მოსახლეობა—115 მილიონი. ჩრდილოეთ აფრიკაში შედის რეგიონის უდიდესი სახელმწიფოები: ეგვიპტე, სუდანი, ლიბია, ტუნისი, ალჟირი. მაროკო, დასავლეთი საჰარა, მავრიტანია. ქვემოთ განვიხილავთ ზოგიერთ მათგანს:

ეგვიპტე — რომლის სრული სახელწოდებაა ეგვიპტის არაბული რესპუბლიკა, მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით. მისი ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში (სინას ნახევარკუნძული). ეგვიპტის ტერიტორიაზე გადის სუეცის არხი, რომელიც მსოფლიო საკეანო გზების მნიშვნელოვანი კომუნიკაციაა. ქვეყნის უდიდესი ნაწილი უჭირავს უსიცოცხლო უდაბნოებს, ძირითადი დასახლება მდინარე ნილოსის სანაპიროებზეა. ტერიტორია ერთ მილიონ კვ. კმ. აღემატება, მოსახლეობა—45 მილიონია, დედაქალაქი—ქაირო.

ეგვიპტე უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც სახელმწიფოებრიობა 40 საუკუნის წინათ არსებობდა. მსოფლიოს დღესაც აოცებს ეგვიპტის უძველესი კულტურის ძეგლები, მსოფლიოს საოცრებებს განეკუთვნება ხეოფსის პირამიდა და სფინქსი. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში აქ მისდევდნენ კულტურულ მიწათმოქმედებას, იყენებდნენ რა ამისათვის ხელოვნურ რწყვას. ფეოდალური ურთიერთობების საწყისი დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობასთან, როდესაც მისმა არმიებმა დაიპყრეს ქვეყანა. ეგვიპტე აღმოჩნდა ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური და კულტურული ზეგავლენის ქვეშ. ბერძნებისა და რომაელების გავლენამ ხელი შეუწყო ხელოსნობის განვითარებას. IV საუკუნეში ეგვიპტეში გავრცელდა ქრისტიანობა, VII საუკუნეში იგი დაიპყრეს არაბებმა, რომლებმაც გაავრცელეს ისლამი. არაბთა ბატონობა (მცირეოდენი შესვენებებით) გაგრძელდა XVI საუკუნემდე, როდისაც ეგვიპტე გახდა ოსმანთა იმპერიის ნაწილი. 1798 წელს ქვეყანაში შეიჭრნენ ფრანგები, რომლებმაც მოახდინეს მისი ოკუპაცია. 1801 წელს ოსმალეთმა აღადგინა თავისი ბატონობა 1805 წელს ოკუპაციური ჯარის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა (მუჰამედ ალიმ) გამოაცხადა ეგვიპტის ცალკე სახელმწიფოს შექმნა. მომდევნო პერიოდში ქვეყანა ინგლისის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, რომელმაც 1922 წელს სცნო ეგვიპტის ფორმალური დამოუკიდებლობა. 1952 წელს ეგვიპტეში მოხდა რევოლუცია, რომელმაც დაამხო მონარქია და ქვეყანა რესპუბლიკად გამოაცხადა.

ეგვიპტის ტერიტორია მდებარეობს საჰარა-არაბეთის პლატოზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან მერყეობს 300 — 1000 მეტრის ფარგლებში. ტერიტორიის 70% უჭირავს უდაბნოებს. ყველაზე მაღალი წერტილი მდებარეობს 2637 მეტრზე.

მდინარე ნილოსის დელტა, რომელიც ეგვიპტის ტერიტორიაზე 1500 კმ. სიგრძისაა, წარმოადგენს განსაკუთრებულ ოაზისს, რომელიც გარშემორტყმულია უდაბნოებით, მისი სიგანე 10—12 კმ-ია, ადგილ-ადგილ ეს მაჩვენებელი იცვლება, აქ ცხოვრობს მოსახლეობის 98%.

ქვეყნის კლიმატი კონტინენტური და ტროპიკულია (გამონაკლისს შეადგენს ხმელთაშუა ზღვის ვიწრო ზოლი, სადაც კლიმატი სუბტროპიკულია). ჰაერი მშრალი და ცხელია, მთელი წლის განმავლობაში ქრის უდაბნოს ცხელი ქარი, ნალექები მინიმალურია, გამონაკლისს შეადგენს ხმელთაშუა ზღვის ზოლი (30—40 სმ სიგანის), სადაც ზომიერი სუბტროპიკული ჰავაა, ცხელი ზაფხულითა და რბილი წვიმიანი ზამთრით. საშუალო წლიური ტემპერატურა 20°, თუმცა სამხრეთით, ეს მაჩვენებელი 26° აღწევს. დიდია ტემპერატურის დღე-ღამური ამპლიტუდა, მაგალითად, ზამთარში (იანვარ-თებერვალში) ქაიროში შუადღისას შეიძლება იყოს 26—30°სიცხე, ხოლო შუაღამისას ტემპერატურა 0°-მდე დაეცეს. ასუანში (სამხრეთ ეგვიპტე) შუადღის ტემპერატურა +40° შეიძლება იყოს, ხოლო შუაღამისას +3°. ზაფხულში დღე-ღამის ტემპერატურას შორის შეიძლება სხვაობამ 30° შეადგინოს. უფრო მკვეთრია დღე-ღამური სხვაობა უდაბნოში, სადაც დღისით შეიძლება 50° სიცხე იყოს,ხოლო შუაღამეს—0°. აქ ყველაზე ცხელი პერიოდია ივლისი-სექტემბერი, როდესაც საშუალო ტემპერატურა ალექსანდრიასა და ქაიროში 28°, ხოლო ასუანში—34°. ნალექები ამ დროს თითქმის არ არის. ოქტომბერ-ნოემბერში ტემპერატურა შედარებით ნაკლებია—ქაიროში +21°, ასუანში +28°. ხშირია უდაბნოს ტიპის ქარები, რომელიც ზოგჯერ ქვიშიან ქარიშხლებს იწვევს. ყველაზე გრილი სეზონია დეკემბერ — მარტი, ხოლო ცივი თვეა იანვარი, თუმცა ამ თვეში ტემპერატურა +12°. ნალექების რაოდენობა მცირეა, საშუალო მაჩვენებელი 180 მმ, ყველაზე „ტენიან" რაიონებში დაფიქსირებულია 387 მმ. ხოლო ყველაზე მშრალ რაიონებში—3 მმ. ჰაერის შეფარდებითი ტემპერატურაც არათანაბარია, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე იგი 71%, ასუანში კი — 34%.

ეგვიპტეში მხოლოდ ერთი მდინარეა — ნილოსი, რომელიც წარმოადგენს ამავე დროს წყალმომარაგების ერთადერთ წყაროს, იგი წყალუხვია და გამოყენებულია ქვეყნის მთავარ სატრანსპორტო მაგისტრალად. გარდა ამისა ოაზისებში სასმელად იყენებენ გრუნტის წყლებს, რომლის მარაგი ჯერ კიდევ ზუსტად არ არის დადგენილი.

ქვეყნის ნიადაგობრივი საფარი შესწავლილი არ არის. ჭარბობს უდაბნოს ტიპის ყვითელი-რუხი ნიადაგები, წარმოდგენილია აგრეთ-

ვე ნაცრისფერი ნიადაგებიც. მდინარე ნილოსის დელტის ნიადაგები მდიდარია ჰუმუსით და მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩევიან, ისინი კარგ მოსავალს იძლევიან უმნიშვნელო აგროტექნიკური დამუშავების დროსაც კი. მცენარეული საფარი ღარიბია, რომელიც წარმოდგენილია ზღვისპირა ვიწრო ზოლით და ნილოსის დელტით. ტყეები ქვეყანაში არ არის.

ეგვიპტის მოსახლეობა ერთგვაროვანია. 98% შეადგენენ არაბები. მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალია და იგი 2,3% შეადგენს. აქტიური მოსახლეობის 1/2 დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, 1/3 — ვაჭრობაში, ხოლო 14% — მრეწველობაში. მოსახლეობის 98% ცხოვრობს ქვეყნის ტერიტორიის 4%-ზე — მდინარე ნილოსის დელტაში, სადაც სიმჭიდროვე მაღალია (მაგალითად, ქაიროში) ეს მაჩვენებელი 20 ათასი კაცია ერთ კვ. კმ-ზე. მაღალია ურბანიზაციის პროცენტი, მოსახლეობის 50% ცხოვრობს ქალაქებში.

დღევანდელი ეგვიპტის ეკონომიკა ვითარდება კაპიტალისტური გზით. იგი ცდილობს გამოვიდეს კოლონიური მემკვიდრეობიდან და ამას ახერხებს კიდეც. 1952 წლიდან მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები სოფლის მეურნეობაშიც. გატარდა აგრარული რეფორმები, რითაც მნიშვნელოვნად შეიკვეცა მემამულეების უფლებები, ერთ მიწათმფლობელზე სახნავის მაქსიმალური ოდენობა 21 ჰექტარამდე შემცირდა, ჩამონაჭერი მიწები გადაეცათ უმიწაწყალო გლეხებს. რეფორმის შედეგად მიწა მიიღო 330 ათასმა გლეხურმა მეურნეობამ, თუმცა მემამულეების ხელში დარჩა სახნავი მიწების 1/3. მართალია რეფორმამ დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ მან მაინც ვერ გადაჭრა ის პრობლემები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში დაგროვდა ეგვიპტის სოფლის მეურნეობაში. ამ დროისათვის უმიწაწყალო გლეხების რაოდენობა 2 მილიონს აღწევდა, რომლებიც იჯარით იღებდნენ დასამუშავებელ მიწის ნაკვეთს. გავრცელებული იყო საიჯარო გადასახადის ნატურალური ფორმა, რომლის სიდიდე ზოგჯერ მოწეული მოსავლის 2/3-ს შეადგენდა. 70-იანი წლებიდან შეიქმნა გლეხური მეურნეობების კოოპერატივები, რომლებიც უმთავრესად მომარაგება-გასაღების ხასიათისაა.

მიუხედავად უზარმაზარი ტერიტორიისა, ეგვიპტე მცირემიწიანი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. მისი სათესი ფართობი არ აღემატება 2,8—3,0 მილიონ ჰექტარს და წარმოდგენილია მდინარე ნილოსის ვიწრო სანაპირო ზოლით. სათესი ფართობი ყველა სარწყავია. რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ მივიღოთ მაღალი მოსავალი

წლის განმავლობაში 2—3-ჯერ. 70-იანი წლებიდან დაიწყო უდაბნოს მიწების სახნავად ათვისება, ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ათვისებულია 380 ათას ჰექტარამდე ბაღალნაყოფიერი მიწები.

1974 წლიდან ყოფილმა მემამულეებმა სახელმწიფოსაგან ჩამონაჭერ მიწებში მიიღეს გამოსასყიდი, რომელთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო. დაუშვეს მიწების თავისუფალი ყიდვა-გაყიდვა, რის შედეგადაც ისევ ჩამოყალიბდა მსხვილი მიწათმფლობელური მეურნეობები, რომლებიც იყენებენ დაქირავებულ შრომას, შეიქმნა სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც ძირითადად აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციას, გაიზარდა მიწების საიჯარო ღირებულება, რასაც ხელი შეუწყო იაფმა შრომითმა რესურსებმა.

ეგვიპტეში ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იყენებდნენ სარწყავ სისტემებს. დღეისათვის მდინარე ნილოსის სანაპიროები დასერილია უამრავი სარწყავი სისტემით, რომელთა სიგრძე 38 ათას კმ-ს აღემატება, ერთ კვადრატულ კილომეტრ ათვისებულ ფართობზე მოდის ერთი კმ, სიგრძის არხი. ქვეყნის სამხრეთით აშენებულმა ასუანის კაშხალმა ქვეყანას საშუალება მისცა სრულყოფილად აეთვისებია მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწები. წლის განმავლობაში კაშხალში გროვდება 5,7 მილიარდი კუბ. მეტრი წყლის მასა, რომელიც გამოიყენება წლის გვალვიან პერიოდებში. 1980 წელს ასუანის ქვედაწელში აშენდა ახალი კაშხალი, რომელიც საშუალებას იძლევა დააგროვოს 130 მილიარდი კუბ. მეტრი წყალი. რაც თითქმის 20-ჯერ სჭარბობს ძველი კაშხალის ტევადობას. ამან საშუალება მისცა ქვეყანას სათესი ფართობი გაეზარდა 30%-ით, რამაც ძირითადად გადაწყვიტა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემა.

დამუშავებული მიწების უდიდესი ნაწილი გამოიყენება მინდვრის კულტურებისათვის. ძირითადად მოჰყავთ ბამბა, მარცვლეული (ბრინჯი, სიმინდი). მარცვლეულს უჭირავს მთელი სათესი ფართობის 40%. სხვა კულტურებიდან წარმოდგენილია შაქრის ლერწამი, პარკოსნები, ბოსტნეული (ხახვი, პომიდორი, კომბოსტო), ხეხილოვანი კულტურები, ფინიკი, ციტრუსები, ვაშლი, ყურძენი. ხილი მოჰყავთ აგრეთვე ოაზისებში, რომლებიც გაბნეულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

მიწათმოქმედების მთავარი კულტურაა ბამბა, რომლის წარმოებით ეგვიპტეს მსოფლიოში მეოთხე ადგილი უჭირავს — აშშ-ის, ინდოეთისა და ბრაზილიის შემდეგ. ყოველწლიურად მზადდება 500 ათასი ტონაზე მეტი ბამბის ბოჭკო. აღსანიშნავია, რომ ბამბის ხარი-

სხით ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში, გრძელბოჭკოვანი ბამბის ხვედრითი წილი 60-%-ს შეადგენს. აქაური ბამბის ბოჭკოს საშუალო სიგრძე 35,5 მმ, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი ამერიკული წარმოების ბამბაში—27, ხოლო ინდურში—21 მილიმეტრია.

ბამბის მოსავალი მაღალია და იგი მსოფლიო ბაზარზე მაღალ ფასში იყიდება. ამ კულტურისაგან მიღებული სავალუტო შემოსავალი ფარავს იმპორტის საკმაოდ დიდ ნაწილს. ბამბის პროდუქციას ეგვიპტის იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ბამბის შემდეგ მეორე ადგილზეა მარცვლეულის წარმოება — ყველაზე გავრცელებული კულტურაა სიმინდი, რომელიც წარმოადგენს მოსახლეობის კვების ძირითად პროდუქტს, მის წილად მოდის მოსახლეობის კვების რაციონის 80%. სიმინდის მწვანე მასას იყენებენ პირუტყვის საკვებად. კარგადაა წარმოდგენილი ხორბალიც, რომელიც ქვეყანაში კულტივირებულია უხსოვარი დროიდან. ხორბალს იყენებენ როგორც კვების პროდუქტს და საფურაჟედ, ხოლო ნალისაგან ამზადებენ საშენ ფილებს, რომელსაც გლეხები იყენებენ ბინათმშენებლობისათვის. ეგვიპტეს ყოველწლიურად სჭირდება 11 მილიონი ტონა სასურსათო მარცვლეული, რომლის 70% მოჰყავთ ქვეყნის შიგნით, ხოლო დანარჩენი შემოაქვთ საზღვარგარეთიდან.

ქვეყანაში შედარებით ახალი კულტურაა ბრინჯი. მისი წარმოება-განვითარება ძირითადად იწყება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამას ხელი შეუწყო ჯერ ერთი ბამბის ნათესების შემცირებამ (მისგან გამონთავისუფლებულ ფართობზე დაიწყეს ბრინჯის თესვა), მეორე ფაქტორი გახლდათ ის, რომ იგი ითესებოდა დამლაშებულ მიწებზე, რომლებიც საჭიროებდნენ მუდმივ რწყვას, რათა გამქრალიყო მარილები. ასეთი მიწები რამდენიმე წლის შემდეგ უკვე გამოიყენებოდა სხვა კულტურებისათვის. ბრინჯის ყოველწლიური წარმოება ქვეყანაში 3 მლნ. ტ-მდე გაიზარდა, რომლის უდიდესი ნაწილი (1,8 მლნ. ტონა) გადის ექსპორტზე.

გავრცელებული კულტურაა შაქრის ლერწამიც, რომელსაც იყენებენ არა მარტო შაქრის ფხვნილის საწარმოებლად, არამედ სხვადასხვა სახის სასმელების დასაშზადებლად, ლერწმის ღეროები გამოიყენება სათბობად და სახლის სახურავებისათვის. შაქრის პროდუქციით ქვეყანა იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს.

ფართოდ იყენებენ საფურაჟე კულტურებს, რომელსაც თესავენ ოქტომბერში და თებერვლამდე რამდენიმე მოსავალს იღებენ (თიბავენ მწვანე მასას). მოსავლიანობა საკმაოდ მაღალია (750 ცენ-

ტნერი), რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ პირუტყვი უზრუნველყონ ყუათიანი საკვებით.

ქვეყანაში მებოსტნეობა და მებაღეობა არ არის კარგად განვითარებული, ამის მიზეზი ის არის, რომ ეს დარგები მოითხოვენ მნიშვნელოვან კაპიტალურ დაბანდებას და გარდა ამისა, ხილის სრულ მსხმოიარობამდე გადის გარკვეული დრო, რაც ეგვიპტელების აზრით, იწვევს მიწის მოცდენას. სუბტროპიკული ხილიდან მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, (აგრეთვე ფინიკი, ბანანი, მიწის თხილი). წარმოდგენილია აგრეთვე მევენახეობაც. მიღებული, მოსავლის უდიდესი ნაწილი მიიწოდება ქალაქებს ნატურალური სახით, მცირეოდენობით წვენების სახით გაიქვთ ექსპორტზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის ფინიკს, რომელსაც იყენებენ არა მარტო საკვებად, არამედ სხვა დანიშნულებითაც (ფოთლებისაგან ამზადებენ კალათებს, თოკებს და სხვა საჭირო ნივთებს).

მეცხოველეობა ქვეყანაში სუსტადაა წარმოდგენილი, ამის მიზეზია ის, რომ აქ თითქმის არ არსებობს ბუნებრივი საძოვრები. ჰყავთ დაბალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც ბაგურ კვებაზეა. არაა გამოკვეთილი მერძეული და მეხორცული მეცხოველეობა, უმთავრესად გავრცელებულია შერეული ფერმები. მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს იყენებენ როგორც ცოცხალ გამწევ ძალას. აქვე საჭიროა აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობის ენერგოშეიარაღების დონე დაბალია (8—10 ცხენის ძალა) და უმთავრესად წარმოდგენილია ცოცხალი გამწევი ძალით.

ქვეყანაში არიან მომთაბარე ბედუინები, რომლებსაც ჰყავთ ცხვრისა და თხის ჯოგები. სწორედ ესენი წარმოადგენენ რძის წარმოების ძირითად წყაროს. ამზადებენ ცხვრის და თხის ყველს, რომელსაც ყიდიან ქალაქებში. ბედუინებს ჰყავთ აგრეთვე აქლემები, რომლებსაც სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ—ამზადებენ ბეწვს, ხორცს და აქლემის რძეს.

70-იანი წლებიდან დიდი ქალაქების საგარეუბნო მეურნეობებში განვითარდა მეფრინველეობა, რომელსაც სამრეწველო ხასიათი აქვს. (ცალ-ცალკეა ბროილერებისა და კვერცხის წარმოება). მეფრინველეობა წარმოდგენილია გლეხურ მეურნეობებშიც.

ქვეყნის მოსახლეობის კვების რაციონში წარმოდგენილია თევზის პროდუქცია, რომლის რეწვას ინდივიდუალური ხასიათი აქვს, ხმელთაშუა ზღვისა და განსაკუთრებით წითელი ზღვის აუზი მდიდარია თევზის რესურსებით.

ამრიგად, ქვეყანას გარდა მარცვლეულისა დიდი რაოდენობით შემოაქვს ხორცი და ხორცის პროდუქტები, მშრალი და შესქელებული რძე, იმპორტის ხარჯები იფარება ბამბისა და ბრინჯის ექსპორტით. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით და პროდუქციით ვაჭრობაში ქვეყანას დადებითი სალდო აქვს.

ეგვიპტეში წარმოდგენილია როგორც თანამედროვე, ისე კუსტარული ტიპის გადამამუშავებელი და კვების საწარმოები.. კარგადაა განვითარებული ბამბის ბოკოს გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც აღჭურვილი არიან თანამედროვე ტექნიკით.

ბოლო 20 წელია ქვეყანაში დაიწყეს კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება. ამ მიზნით უნივერსიტეტებთან გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები. განვითარდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებაც, შეიქმნა მძლავრი კვლევითი ცენტრები, ჩამოყალიბებულია სოფლის მეურნეობის მეცნიერთა კორპორაცია, რომელიც აკადემიის ფუნქციებს ასრულებს.

სუდანი

სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკა აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, მას უჭირავს ჩრდილოეთ აფრიკის სარტყელის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ქვეყნის ტერიტორია შეადგენს 2,5 მლნ. კვ. კმ., მოსახლეობა—20 მლნ.-ს აღემატება, დედაქალაქია — ხართუმი.

ჩრდილოეთ სუდანის ადრეული ისტორია დაკავშირებულია ეგვიპტესთან. ჩვ. წელთაღრიცხვამდე VIII საუკუნეში ჩრდილოეთ სუდანში შეიქმნა ძლიერი მონათმფლობელური სახელმწიფო, არაბების მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ეგვიპტელების დიდი ნაწილი გადასახლდა სუდანში, რომლებმაც თან შემოიტანეს ფეოდალური სტრუქტურები. XVI საუკუნეში დღევანდელი სუდანის ტერიტორიაზე შეიქმნა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოები, რომელთა შორის დაიწყო ომები. ოსმალეთის მიერ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ სუდანის ნაწილიც შევიდა თურქეთის იმპერიაში. 1820 წელს ეგვიპტემ დაიწყო სუდანის დაპყრობა, მათ ხელში აღმოჩნდა ჩრდილოეთ სუდანის უმდიდრესი პროვინციები. XIX საუკუნის ბოლოს ინგლისი დაეუფლა რა მდინარე ნილოსის აუზს, დაიპყრო სუდანიც, სადაც დაამყარა თავისი პროტექტორატი. 1956 წელს სუდანმა მოიპოვა ოამოუკიდებლობა.

სუდანს უწოდებენ სავანებისა და უდაბნოების ქვეყანას. იგი მდებარეობს შემაღლებულ პლატოზე, სადაც წარმოდგენილია როგორც

კლასიკური უდაბნო, ისე ქვეყნის სამხრეთით — ტროპიკული ტყეები. სუდანის ზედაპირი თითქმის ვაკეა. რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთით 500-დან 1000 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობს. ქვეყნის უმაღლესი წერტილის სიმაღლე 3187 მეტრია.

კლიმატი მთელი წლის განმავლობაში გამოირჩევა მაღალი ტემპერატურით, რაც იმის შედეგია, რომ ქვეყანა მდებარეობს ეკვატორულ სარტყელში. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 30—30° ნორის, მხოლოდ ჩრდილოეთით ზამთრის პირობებში ტემპერატურა 15—20° ეცემა. მაღალია ტემპერატურის წლიური ჯამი, იგი 8000——10000° აღწევს, რაც იძლევა სითბოსმოყვარული კულტურების მთელი წლის განმავლობაში მოყვანის საშუალებას. თუმცა წლის მნიშვნელოვან პერიოდებში სასოფლო-სამეურნეო კულტურები განიცდიან წყლის დიდ დეფიციტს.

ქვეყანა იყოფა რამდენიმე კლიმატურ სარტყლად, რომელიც შეესატყვისება შესაბამის ნიადაგობრივ-მცენარეულ საფარს. სამხრეთ სუდანში წლის უმეტესი დრო ნალექიანია, მხოლოდ 2—4 თვე ითვლება მშრალ სეზონად. ნალექების წლიური რაოდენობა 700 მმ-ს აღემატება, ზოგ რაიონში კი 140 მმ-ს აღწევს. წვიმების დიდი ნაწილი მოდის მაისსოქტომბერში. ქვეყნის მცენარეული საფარის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია სამხრეთ პროვინციებში, წვიმების დროს ბალახის სიმაღლე 2.5—3 მეტრს აღწევს. მდინარეთა ხეობები დაფარულია ტყეებით, რომლებშიც ბევრია ძვირფასი ჯიშის ხე (წითელი ხე, კაუჩუკის ხე და სხვა). სამხრეთ სუდანაში სჭარბობს წითელმიწა ნიადაგები.

სხვაგვარი კლიმატია ცენტრალურ სუდანში, სადაც გამოკვეთილია ხანგრძლივი მშრალი პერიოდები, ნალექების ხანგრძლივობა მცირდება 700-დან 100 მმ-მდე, რომლის წლიური რაოდენობის 90%, მოდის 2—4 თვეზე. ხშირია ძლიერი ქვიშანარევი ქარები, რომლის დროსაც ნორმალური სამეურნეო საქმიანობა თითქმის შეუძლებელია.

ჩრდილოეთ სუდანის კლიმატი დიდი სიმშრალით გამოირჩევა, ნალექები პრაქტიკულად არ მოდის, ლანდშაფტი წარმოდგენილია ეკლიანი ბუჩქნარებით. ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს ლიბიის უდაბნო, რომელიც ბარხანების სახითაა წარმოდგენილი, ღამე ცივია —ყინვიანი, დღე — ძალზედ ცხელი. განსაკუთრებული კლიმატით გამოირჩევა წითელი ზღვის სანაპირო, სადაც ისევე ცხელა როგორც ქვეყნის დანარჩენ რაიონებში, მაგრამ მაღალი შეფარდებითი ტენიანობის გამო, ტემპერატურის დღე-ღამური ამპლიტუდა დიდი არ არის.

მშრალი კლიმატის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შიდა წყლებს. სუდანი სამი ნილოსის — ცისფერი, თეთრი და მთავარი ნილოსის ქვეყანაა. ეს უკანასკნელი ორი ნილოსის შეერთების შედეგად წარმოიქმნება. თეთრი ნილოსი რწყავს სამხრეთ სუდანს, ცისფერი — აღმოსავლეთს, ხოლო მთავარი ნილოსი — ჩრდილოეთ პროვინციებს. მთავარ მდინარეს ქვეყნის სამხრეთით აქვს შენაკადები, რომლებიც საკმაოდ დიდ წყლის აუზს ქმნიან.

სუდანის მოსახლეობა მრავალფეროვანია და ეთნიკური თვალსაზრისით რთული. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (85%) დასაქმებულია და ცხოვრობს სოფლად, ისინი მისდევენ როგორც მუდმივ მიწათმოქმედებას, ისე მომთაბარე მეცხოველეობას. მოსახლეობა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულია არათანაბრად. ძირითადი მასა თავმოყრილია მდინარეთა ხეობებში. ქალაქებიც ძირითადად წარმოდგენილია მდინარე ნილოსის სანაპიროზე. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ მისდევს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესს.

ქვეყანა მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, რომლის მოპოვებას ჯერ კიდევ არა აქვს ინდუსტრიული ხასიათი, საკმაო რაოდენობითაა რკინის, ბოქსიტების, ქრომის, ტყვიის მარაგი.

ქვეყნის მეურნეობა ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში, დღესაც იგი წარმოდგენილია კუსტარული მრეწველობის წარმოებითა და პრიმიტიული სოფლის მეურნეობით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გადამწყვეტს ქვეყნის ეკონომიკაში. აგრარული ურთიერთობები წარმოდგენილია, უპირველეს ყოვლისა, მიწის ფლორის გამოყენების სხვადასხვა ფორმებით. სჭარბობს წვრილი ნატურალური მეურნეობები, რომელთა გვერდით არსებობს მსხვილი სასაქონლო მეურნეობებიც, ეს უკანასკნელი წარმოდგენილია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის სახით. მიწის დამუშავების ძალზედ გავრცელებული ფორმაა იჯარა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა სახით—ჭარბობს ნატურალური საიჯარო გადასახადის ფორმა.

1956 წლიდან ქვეყანაში ჩატარდა აგრარული რეფორმა, რომელსაც არ ჰქონდა დასრულებული ხასიათი. რაც იმის მიზეზი გახდა, რომ ქვეყნის სოფლის მეურნეობა დღეისათვის, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, ერთ-ერთი ჩამორჩენილია მსოფლიოში. სუდანი შედის მსოფლიოს 25 ყველაზე ღარიბი ქვეყნების რიცხვში. ბევრია უმიწაწყალო გლეხები, რომლებიც იძულებული არიან ,,ბატონ-ყმურ" პირობებში იმუშაონ მიწათმფლობელებთან. სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ ნატურალური ხასიათი აქვს. თითქმის

არ იყენებენ მექანიზაციას, შრომის იარაღები პრიმიტიულია, რომელიც უმთავრესად თოხისა და წამახვილებული ხის ჯოხებით არის წარმოდგენილი. მხოლოდ მსხვილ მეურნეობებში აქვთ მეტ-ნაკლებად ტექნიკა, რომელიც გამოყენებულია საექსპორტო კულტურების დამუშავებისათვის. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების 80—85% სრულდება ხელით.

სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება, რომლის საფუძველს ქვეყნის ჩრდილოეთით წარმოადგენს სარწყავი მიწათმოქმედება. ნათესები ირწყვება მდინარე ნილოსისა და მისი შენაკადების წყლით. ქვეყანაში შექმნილ სარწყავ სისტემას დიდი ხნის ისტორია აქვს, სწორედ ამიტომ ვხვდებით როგორც ძველი სისტემის არხებს, ისე თანამედროვე ტიპის ირიგაციულ ნაგებობებს, რომლებიც იყენებენ ტუმბოებს და სხვა თანამედროვე ტექნიკას. სუდანის მიწათმოქმედებისათვის დამახასიათებელია ის, რომ დასაშუშავებელი ფართობების უდიდესი ნაწილი მდებარეობს მდინარის კალაპოტის მაღლა, რაც იწვევს წყლის დონის ხელოვნურად აწევის აუცილებლობას. იყენებენ აგრეთვე აუზის ტიპის, თვითრწყვას, გვხვდება რწყვის ისეთი ფორმებიც, რომლებიც დაკავშირებულია მდინარეთა ადიდებასთან. მოსავლიანობის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია, წელიწადში იღებენ 2—3 მოსავალს.

დღეისათვის აღრიცხული მიწებიდან სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 80 მილიონი ჰექტარი, აქედან, გამოყენებული 8 მილიონი, მათ შორის 950 ათასი—სარწყავია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი ქვეყნის ტერიტორიის 3% არ აღემატება. დამუშავებული მიწების 38% ეკუთვნის სახელმწიფოს, რომლის 90% სარწყავია. სახელმწიფო მიწების 50% იჯარით გაიცემა. აღსანიშნავია ის, რომ სახელმწიფო მიწებზე წარმოებულ პროდუქციას სასაქონლო ხასიათი აქვს და უმთავრესად იგზავნება ექსპორტზე. მიწების აღრიცხვა, რომლებიც მოიხმარება ადგილობრივი მნიშვნელობის პროდუქციის წარმოებისათვის, თითქმის არ ხდება.

მთავარი სასაქონლო კულტურაა ბამბა, რომელსაც უკავია 500 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი. სუდანში კარგი ხარისხის ბამბა მოჰყავთ, რომელიც საკმაოდ მაღალ ფასებში იყიდება. 1985 წელს ქვეყანაში აწარმოეს 600 ათასი ტონა ბამბა, რომელიც თითქმის მთლიანად გაიყიდა საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ ბამბის საერთო წარმოება დიდი ცვალებადობით ხასიათდება და მას არა აქვს სტაბილური ხასიათი (ორი სამი წლის შუალედში მისი მოსავლიანობა შეი-

ძლება 2-ჯერ შემცირდეს). ბამბას სუდანელებისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თესლისაგან ხდიან ზეთს, ხოლო ღეროს იყენებენ საწვავად. ბამბის წარმოებით სუდანს აფრიკაში მეორე ადგილი უჭირავს. ამჟამად, მიმდინარეობს ამ კულტურისათვის ახალი სარწყავი ფართობების ათვისება. ქვეყნის სავალუტო შემოსავლების 60% მოდის ბამბაზე.

ზეთოვანი კულტურებიდან ძირითადად წარმოდგენილია არახისი. მისი წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. არახისის ზეთი გააქვთ საექსპორტოდ და იყენებენ შიდა საჭიროებისათვისაც.

მნიშვნელოვანი სასურსათო კულტურაა სორგო და ფეტვი, რომელიც მოჰყავთ ყველა სასოფლო-სამეურნეო რეგიონში, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში მათი ფართობები მცირდება, რაც კიდევ უფრო ამწვავებს ისედაც რთულ სასურსათო პრობლემებს. ჩრდილოეთ პროვინციებში მოჰყავთ ფინიკი, რომელიც საექსპორტოდაც გააქვთ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ქვეყანაში მოჰყავთ მარცვლეული (ძირითადად, ხორბალი და ქერი), ბრინჯი, კარგ მოსავალს იძლევა სიმინდის კულტურაც, რომელიც კვების ძირითად პროდუქტს წარმოადგენს, განსაკუთრებით სოფლის მოსახლეობისათვის. მარცვლეულის საერთო მოსავალი 3.5 მლნ. ტონას არ აღემატება, რაც აიძულებს ქვეყანას ყოველწლიურად დამატებით შემოიტანოს 3 მლნ-მდე ხორბალი და ბრინჯი. წვრილ მეურნეობებში მოჰყავთ პარკოსნებიც, ძირითადად ლობიო და სოია.

სამხრეთით წარმოდგენილია სუბტროპიკული მეხილეობა. მოჰყავთ ფორთოხალი, გრეიფრუტი, ლიმონი, ბანანი, აგრეთვე მსხალი. ყველა გლეხურ მეურნეობაში მისდევენ მებოსტნეობას და მებაღჩეობას.

მეცხოველეობას ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ რაიონებში მომთაბარე ხასიათი აქვს, სამხრეთით კი იგი დამაგრებულია ერთსა და იმავე რეგიონში. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ძირითადად გამოყენებულია სამუშაო ძალად. რაოდენობა 10 მილიონ სულს აღემატება, მათი პროდუქტიულობა დაბალია, პირუტყვი ჰყავთ აგრეთვე ყველა გლეხურ მეურნეობაში. განსაკუთრებით მისდევენ მეცხვარეობას და თხის მოშენებას, ვარაუდობენ, რომ მათი რაოდენობა 24—26 მილიონი სულია. ამზადებენ მატყლს, ტყავს (მ. შ. საკარაკულეს), ცხვრისა და თხის რძისაგან — ყველს, რომელსაც სასაქონლო სახე აქვს. მატყლი და ტყავი გააქვთ ექსპორტზე. სხვა აფრიკული ქვეყნების მსგავსად ჰყავთ აქლემებიც (3—3,5 მლნ. სული), რომე-

ლიც უმთავრესად წარმოდგენილია უდაბნოებსა და ოაზისებში. სუდანი ეწევა ცოცხალი აქლემების ექსპორტსაც. ყველა გლეხურ მეურნეობაში და აგრეთვე დედაქალაქ ხართუმის გარეუბანში, განვითარებულია მეფრინველეობა. მეთევზეობას დამხმარე ხასიათი აქვს. იგი განვითარებულია მხოლოდ შიდა წყლებში.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, სუდანი ეწევა სურსათის იმპორტს. გარდა მარცვლეულისა მცირე ოდენობით შემოაქვთ რძის პროდუქტები. ქვეყანა განიცდის სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ნაკლებობას, ხართუმის უნივერსიტეტში გახსნილია სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს, უმთავრესად ტექნიკური კულტურებისათვის.

ლიბია

ლიბია მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკის ცენტრალურ ნაწილში, ტერიტორია 1,7 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—4 მილიონამდე. დედაქალაქია — ტრიპოლი. ქვეყანას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, როგორც ვარაუდობენ აქ სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე. ახალი ერას დასაწყისში ლიბიის სანაპიროები რომაელებმა დაიპყრეს, მომდევნო პერიოდში ბატონობდნენ ვანდალები, ბიზანტიელები, არაბები. XVI საუკუნეში ქვეყანა ოსმანთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა, მე-19 საუკუნეში იტალიელები დამკვიდრდნენ, მხოლოდ 1952 წელს გამოცხადა დამოუკიდებლობა.

ლიბია უდაბნოების ქვეყანაა. მისი ტერიტორის 95% უჭირავს ქვიშიან და ქვიან უდაბნოებს, მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილშია სუბტროპიკები, რომლებიც უმთავრესად მშრალი სუბტროპიკების სახითაა წარმოდგენილი. ლიბიის სანაპირო ზოლი სუსტადაა დანაწევრებული. ქვეყნის უდიდესი ნაწილი წარმოადგენს 200—600 მეტრი სიმაღლის შემაღლებულ ზეგანს. მთელი აღმოსავლეთი უჭირავს საჰარის უდაბნოს, რომლის დაბლობში არის ოაზისები, აქ გრუნტის წყლები ახლოა ზედაპირთან, რაც შესაძლებელს ხდის მათ გამოყენებას.

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მშრალ სუბტროპიკულ კლიმატს მხოლოდ ზამთრობით ახასიათებს შედარებითი ტენიანობა, რომლის დროსაც მოსული ნალექების რაოდენობა 250—300 მმ-ზდეა. იანვრის ტემპერატურა 11—12°-ია, ხოლო ივლისისა — 26—29°. ქვეყნის ტერიტორიაზე ტროპიკული უდაბნოს კლიმატია, რომელიც განსაკუთრებული სიმშრალით გამოირჩევა. უდაბნოში იანვრის საშუალო ტემ-

პერატურა 15—18°, ივლისის—32—36°, ზაფხულში შუადღის ტემ-
პერატურა თითქმის ყველგან 40—42°-ია, თუმცა არის ადგილები,
სადაც ეს მაჩვენებელი 50° აღწევს. მკვეთრია ტემპერატურის დღე-
ღამური ამპლიტუდა. მაგალითად, უდაბნოში იანვრის შუადღის ტემ-
პერატურა 25—30° შეიძლება იყოს, ხოლო შუაღამის—0° (რეგისტ-
რირებულია ღამის ტემპერატურა—15°-იც). უდაბნოში ნალექების
რაოდენობა 50—100 მმ-ს არ აღემატება, ხოლო ზოგ რაიონებში
წვიმები რამდენიმე წლის განმავლობაშიც არ მოდის. ლიბიის უდაბნო
ითვლება, კლიმატის მიხედვით, ერთ-ერთ მკაცრ უდაბნოდ.

ლიბიაში მდინარეები არ არის, მხოლოდ წვიმების დროს შეიძ-
ლება შეივსოს ზოგიერთი ხეობა წყლით. უდაბნოში ბევრია მიწისქვეშა
წყლები. იქ სადაც წყალი ახლოა ზედაპირთან არსებობს ოაზისები და
მისდევენ სარწყავ მიწათმოქმედებას.

მცენარეული საფარი ღარიბია და წარმოდგენილია უდაბნოს ტი-
პის ეკლიანი ბუჩქნარებით. ქვეყნის ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე
საერთოდ არ არსებობს არავითარი მცენარეულობა. მხოლოდ ხმელ-
თაშუა ზღვის სანაპირო ზოლშია წარმოდგენილი შედარებით მრავალ-
ფეროვანი მცენარეული საფარი, სადაც ვხვდებით აგრეთვე მაღალ-
ტანიან ხე-მცენარეებსაც.

ლიბია — არაბული ქვეყანაა, ეთნიკურად მისი მოსახლეობა
ერთგვაროვანია, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ლიბია
აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებდასახლებული ქვე-
ყანაა. საშუალო სიმჭიდროვე 2 კაცია ერთ კვ. კმ-ზე. თუმცა უკანას-
კნელ წლებში შეიმჩნევა მოსახლეობის მატების საკმაოდ მაღალი ტე-
მპი (4%), რაც, როგორც ბუნებრივი მატების, ისე იმიგრაციის შედე-
გია. ნავთობის საბადოების დამუშავებამ გამოიწვია დამატებითი
შრომითი რესურსების მოზიდვა შეზობელი არაბული ქვეყნებიდან.
აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის
ხვედრითი წილი დინამიკაში მცირდება, მაგალითად, თუ 1954 წელს
ეს მაჩვენებელი 34% უდრიდა, დღეისათვის იგი 23%-ს შეადგენს.
მამაკაცების რაოდენობა სჭარბობს ქალებისას, ყოველ 1000 მამაკაც-
ზე მოდის 880 ქალი (ქვეყანაში ღღესაც შენარჩუნებულია მრავალ-
ცოლიანობა). უკანასკნელ წლებში შეიცვალა მოსახლეობის დასაქ-
მების სტრუქტურაც. შემცირდა სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ-
თა ხვედრითი წილი, დღეისათვის იგი 30% შეადგენს. ლიბიის
მოსახლობის 90% ცხოვრობს ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში.
მაღალია ურბანიზაციის დონე. მოსახლეობის 60% ცხოვრობს ქალა-
ქებსა და მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. დამოუკიდებლობის გა-

მოცხადების დროს ქვეყანაში მხოლოდ 16 კაცი იყო უმაღლესი განათლებით. დღეისათვის, გახსნილია რამდენიმე ნაციონალური უნივერსიტეტი, რომლებიც ამზადებენ სხვადასხვა დარგის, მათ შორის სოფლის მეურნეობის, სპეციალისტებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში ლიბია ეკონომიკურად ძალზედ ჩამორჩენილი ქვეყანა იყო, რომლის შემოსავლების 80% სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა. მდგომარეობა შეიცვალა. ნავთობის აღმოჩენის შემდეგ. 1961 წელს პირველად ამოიღეს 700 ათასი ტონა ნავთობი. დღეისათვის ნავთობის მოპოვება 150 მლნ. ტონას შეადგენს წელიწადში. ამან საშუალება მისცა ქვეყანას 1966 წელს უარი ეთქვა უცხოურ ფინანსურ დახმარებაზე. დღეისათვის ლიბიას კაპიტალი გააქვს ქვეყნის გარეთ და აბანდებს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში.

სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის ტრადიციული დარგია. აფრიკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სოფლად იკრძნობა შრომითი რესურსების დეფიციტი, რაც სოფლის მოსახლეობის ქალაქად მასიური მიგრაციის შედეგია. ამიტომ კვების პროდუქტები ქვეყანაში საზღვარგარეთიდან შემოაქვთ. ნავთობიდან მიღებული შემოსავალი ამის საშუალებას იძლევა. მაგრამ ლიბიელები თვლიან, რომ პროდუქციის იმპორტი დროებითი მოვლენაა და ენერგიულად მუშაობენ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა გაორმაგდა.

ლიბია მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი მიმართულებაა მარცვლეულის წარმოება, რომელიც შერწყმულია მეცხოველეობასთან. ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხვედრითი წილი შეადგენს ტერიტორიის 5,5%, აქედან მხოლოდ 1,4% სახნავი, რომელიც თითქმის მთლიანად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, 4% მოდის საძოვარზე. დაახლოებით 0,3% უჭირავს ტყეებს.

მიწათმოქმედება ხასიათდება დაბალი. არასტაბილური მოსავლიანობით, საერთო მოსავალი დიდადაა დამოკიდებული ბუნებრივ ფაქტორებზე. წამყვანი მდგომარეობა უჭირავს ურწყავ მიწათმოქმედებას, ირწყვება მხოლოდ 150 ათასი ჰექტარი ფართობი. მემცენარეობის საფუძველს შეადგენს ხორბლისა და ქერის წარმოება. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მარცვლეულს, მოსახლეობის კვების რაციონში 60% უჭირავს, მაშინ ცხადი, გახდება ამ ღარების

დიდი მნიშვნელობა. ბოლო წლებში მარცვლეულის ფართობები იზრდება. დღეისათვის ხორბალს უჭირავს 300 ათასი ჰექტარი ფართობი, ხოლო ქერს — 350 ათასი. უკანასკნელ წლებში მარცვლეულის მოსავლიანობა 50%-ით გაიზარდა.

კვების პროდუქტებიდან მოჰყავთ კარტოფილი, რომელიც ცალკე სათესების სახითაა წარმოდგენილი. საერთო მოსავალმა 1988 წელს 150 ათასი ტონა შეადგინა. კარგადაა განვითარებული მებოსტნეობა და მებაღჩეობა. ბოსტნეული კულტურებიდან ძირითადია ათინჯანი, კიტრი, კომბოსტო. წარმოდგენილია სუბტროპიკული მეხილეობაც, მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი. ამზადებენ ხილია წვენებსაც. რომელიც მცირე რაოდენობით გააქვთ კიდეეაც საზღვარგარეთ. ჩრდილო-დასავლეთის რაიონებში აქვთ ვენახის პლანტაციები, აწარმოებენ სუფრისა და საქაშმიშე პროდუქციას. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია თამბაქო, ზეითუნის ხე, მათი პროდუქციის გადამუშავება ადგილზე წარმოებს.

ლიბიის სოფლის მეურნეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასუქების გამოყენებას. აეაური ნიადაგები საჭიროებენ ხელოვნურ წვეთებას. სასუქები შემოაქვთ საზღვარგარეთიდან. ადრე ლიბიის სოფლის მეურნეობაში ჭარბობდა ხელით შრომა. შრომის იარაღები ძირითადად თოხითა და წამახვილებული საგნებით იყო წარმოდგენილი, გამოყენებული იყო ცოცხალი გამწევი ძალა. დღეისათვის ქვეყანაში შექმნილია სატრაქტორო პარკი, ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ტექნიკის შეძენა საზღვარგარეთ (ქვეყანას საკუთარი სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა არ გააჩნია).

ლიბიის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მიწათმოქმედება მჭიდროდაა გადაბლართული მეცხოველეობასთან. ეკონომიკური მნიშვნელობით მეცხოველეობა არ ჩამორჩება მემცენარეობას. ხოლო უდაბნოში მას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს. მიწათმოქმედების რაიონებში ყველაზე მეტად გავრცელებული მუშა პირუტყვია აქლემი და ვირი. დღეისათვის ქვეყანაში დაახლოებით 80 ათასი სული აქლემი და 75 ათასი სული ვირია.

გაიზარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, (105 ათასიდან 220 ათასამდე). ბუნებრივი საძოვრების სიმცირე აფერხებს მის შემდგომ განვითარებას. პირუტყვი ჰყავთ ძოვებაზეც და ბაგურ კვებაზეც. ადგილობრივი ჯიშის პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია, ბოლო პერიოდში ევროპიდან შემოჰყავთ მაღალპროდუქტიული პირუტყვი. ტრადიციულია მეცხვარეობა და თხის ნოშვნება. დღეისათვის ცხვრის სულადობა 5 მილიონამდეა. ხოლო თხის—2.2

მილიონამდე. ამზადებენ მატყლს, რომელიც ადგილზე მოიხმარება, ძირითადად ხალიჩების წარმოებაში, ყველს — რომელიც ლიბიელთა (განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებთა) კვების ძირითადი პროდუქტია. უკანასკნელ ათწლეულში კარგი ტემპით ვითარდება მეფრინველეობა, რომელიც ქალაქებისა და ნავთობმოპოვების ცენტრების საგარეუბნო ზონებშია განვითარებული. მეფრინველეობას სამრეწველო ხასიათი აქვს და წარმოდგენილია თანამედროვე ტიპის ფაბრიკების სახით.

ორგანიზაციული თვალსაზრისით ქვეყანაში ჭარბობს მსხვილი სახელმწიფო მეურნეობები, რომლებიც ადრე არსებული იტალიური პლანტატორული მეურნეობების ბაზაზე შეიქმნა. გარდა ამისა წარმოდგენილია წვრილფლეხური მეურნეობებიც, რომელთა ნაწილი გაერთიანებულია მარტივ კოოპერაციებში.

შემუშავებულია ქვეყნის აგრარული განვითარების სახელმწიფოებრივი გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის მთლიანად უზრუნველყოფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით (პერსპექტივაში ზრდის გათვალისწინებით), ამ მიზნით გამოყოფილია საკმაო რაოდენობის სახელმწიფო ასიგნებანი.

დღეისათვის ლიბიას შემოაქვს კვების ძირითადი პროდუქტები (გარდა ხილისა), კერძოდ, ხორბალი, ბრინჯი, ხორცის მზა პროდუქცია, კარაქი, შესქელებული რძე და რძის ფხვნილი, მთლიანად შაქარი, მცენარეული ზეთი და სხვა.

გარკვეული პერსპექტივები აქვს მეთევზეობას, რომელსაც დღეისათვის ინდივიდუალური ხასიათი აქვს (ნავარაუდევია თევზჭერის ფლოტილიის შექმნა). ქვეყანაში არსებობს თანამედროვე ტიპის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები, თუმცა მათ გვერდით კუსტარული წარმოებებიც არის განვითარებული, რომელთა პროდუქცია ძირითადად შიდა ბაზრის მოთხოვნებს ხმარდება.

ტუნისი

ტუნისი ჩრდილოეთ აფრიკის ერთ-ერთი პატარა ქვეყანაა, მისი ტერიტორია 164 ათას კვ. კმ-ია, მოსახლეობა—6,5 მლნ. დედაქალაქია — ტუნისი. როგორც ვარაუდობენ ტუნისი წარმოადგენდა ნეოლითური კულტურის ერთ-ერთ უძველეს კერას. ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში აქ მისდევდნენ კულტურულ მიწათმოქმედებას. ხუთი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის ტერიტორია წარმოადგენდა უძლიერეს მონათმფლობელურ სახელმწიფოს—

კართაგენის ცენტრს რომლის მფლობელობაშიც შედიოდა აფრიკის ხმელთაშუა ზღვის ტერიტორია და სამხრეთ ესპანეთი. კართაგენის დამხობის შემდეგ (ჩვ. წელთაღრიცხვამდე II საუკუნე) ტუნისის ტერიტორია გადაიქცა რომის ერთ-ერთ პროვინციად, შეიქმნა რომიდან ჩამოსახლებულთა კოლონიები. ევროპელები აირივნენ ადგილობრივ მოსახლეობაში. ძველი რომისათვის ტუნისი გახდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი ქვეყანა. რომის ბატონობის დროს მოსახლეობა 2,5 მლნ-ს შეადგენდა, რაც იმ პერიოდისათვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. V საუკუნეში რომის ბატონობა ბიზანტიით შეიცვალა, ხოლო VII საუკუნეში ქვეყანა არაბებმა დაიპყრეს. 1574 წელს ქვეყანა დაიპყრო ოსმალებმა და მის შემადგენლობაში შედიოდა XIX საუკუნემდე. შემდეგ ტუნისში ფრანგები შევიდნენ, ხოლო 1956 წელს ტუნისი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა.

ქვეყნის რელიეფი ძირითადად ვაკეა. მთიანი მასივი მხოლოდ ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს და უჭირავს ტერიტორიის 1/3. მთები არ არის მაღალი, უმაღლესი მწვერვალი 1544 მეტრი სიმაღლისაა.

ტუნისის კლიმატი თბილია, ზაფხულის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 22-დან 32°-მდე, ზამთრის — 5-დან 12°-მდე. ჩრდილო პროვინციებში ჭარბობს მშრალი სუბტროპიკული კლიმატი, ხოლო სამხრეთით—ცხელი ტროპიკული ნახევრად უდაბნოსა და უდაბნოს ტიპის კლიმატია. ჩრდილოეთ კლიმატზე გავლენას ახდენს ზღვა. ზაფხულობით ხშირია სამხრეთის ცხელი ქარები, ამ დროს ზოგიერთ პროვინციაში სიცხე 53—55°. ცხელი ქარების დროს ხშირად იღუპება ნათესები, ხმება ვენახისა და ხეხილის ბაღები.

ატმოსფერული ნალექების რაოდენობა მერყეობს 600—1000 მმ-მდე. გვხვდება რაიონები, სადაც ეს მაჩვენებლები 200 მმ, ზოგ ადგილას კი 100 მმ-ს არ აღემატება. ნალექების რაოდენობა წლების მიხედვით ცვალებადია. მაგალითად, ერთ წელიწადში შეიძლება მოვიდეს 900 მმ ნალექი. ხოლო მეორე წელიწადს იმავე რეგიონში მხოლოდ—300 მმ. ქვეყანაში მხოლოდ ერთი მუდმივი მდინარე მიედინება, დანარჩენ მდინარეებს სეზონური ხასიათი აქვს. დიდი მნიშვნელობა აქვს არტეზიულ ჭებს, განსაკუთრებით, მშრალი რაიონებისათვის, არსებობს მიწისქვეშა წყლების საკმაოდ დიდი მარაგი.

ქვეყნის ბუნებრივი მცენარეული საფარი საუკუნეების განმავლობაში განიცდიდა ადამიანების ზემოქმედებას და ამიტომ ძლიერ შვნელობა აქვს არტეზიულ ჭებს, განსაკუთრებით, მშრალი რაიონებ-ბუნებრივი მცენარეული საფარი. მთებში ეხვდებით როგორც წიწ-

ეოვან, ისე ფოთლოვან ხე-მცენარეებს, დაბლობ რეგიონებში ჭარ-ბობს ბალახეული მცენარეები. ძალზედ ღარიბი მცენარეულობით გამოირჩევა უდაბნოები და ნახევრად უდაბნოები. აქ მხოლოდ ეკ-ლოვანი ბუჩქეებია წარმოდგენილი. ქვეყნის სამხრეთით წყლის დიდ წყაროებთან არსებობს მრავალრიცხოვანი ოაზისები, სადაც შეიძ-ლება შეხვდეთ ფინიკის პალმებს, ხილის ბაღებს, წარმოდგენილია ზეითუნის ხეები, განვითარებულია მებოსტნეობა.

ბოსახლეობა ერთგვაროვანია. რომელთა უმრავლესობას არაბი — ბერბერები შეადგენენ. მათ გარდა ცხოვრობენ ევროპელებიც. მოსახლეობის მატების ტემპი 2.6%, ვარაუდობენ რომ 2000 წლისა-თვის ქვეყნის მოსახლეობა 10 მილიონს გადააჭარბებს. დღეისათვის 200 ათასამდე ტუნისელი ცხოვრობს ევროპაში (ძირითადად საფრან-გეთში). სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია აქტიური მოსახლეო-ბის 30%. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 32 კაცია, თუმცა გვხვდება სრულიად დაუსახლებელი რაიონებიც. მოსახლეობის ძი-რითადი მასა ცხოვრობს ქვეყნის ჩრდილოეთით და ზღვისპირა ზოლ-ში. აფრიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით მაღალია ურბანიზაციის პროცენტი, 50%-ზე მეტი ცხოვრობს ქალაქად. შედარებით მაღალია განათლების დონეც. რომელზეც იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის 1/3, ქვეყანაში 30 ათასამდე სტუდენტია, ყოველწლიურად 8—10 ათასი სტუდენტი იგზავნება საზღვარგარეთ, არსებობს ნაციონალუ-რი უნივერსიტეტები, სადაც ამზადებენ სოფლის მეურნეობის სპე-ციალისტებსაც.

ტუნისის ეკონომიკა. უპირველეს ყოვლისა, ვითარდება საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მსოფლიო ბაზარზე იგი ცნობილია, როგორც ფოსფატებისა და ზეითუნის ზეთის მსხვილი ექსპორტიორი. ამ მაჩვენებლით მას მსოფლიოში მეორე-მესამე ად-გილი უჭირავს. მაღალია ნაციონალური პროდუქტის ზრდის ტემპე-ბი. იგი საშუალოდ 9%-ს უდრის.

ქვეყნის სოფლის მეურნეობა, განვითარების თვალსაზრისით, კაპიტალისტურია, თუმცა შეიმჩნევა დიდი რეგიონალური განსხვა-ვებანი. დღეისათვის მსხვილი მარცვლეულის მწარმოებელი კაპიტა-ლისტური ტიპის მეურნეობები უმთავრესად ჩრდილოეთითაა გან-ლაგებული. დამოუკიდებლობამდე ეს პროვინციები წარმოადგენდნენ ევროპის კოლონიზაციის ძირითად რეგიონებს.

დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ წლებში ჩატარდა ავერული რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა მიწათმოქმედე-ბის ტრადიციული სისტემების შეცვლას, თანამედროვე ტიპის, უფ-

რო ეფექტური სისტემებით. მოწესრიგდა მიწათსარგებლობის ფორმები. თემების საერთო კუთვნილი მიწები სურვილისამებრ განაწილდა მის წევრებს შორის, მოხდა მიწის რესურსების აღრიცხვა და კლასიფიკაცია.

ტუნისის სასოფლო-სამეურნეო მიწების ოდენობა 9 მილიონი ჰექტარია, აქედან 3,5—3,8 მილიონი სათესია, დაახლოებით 1 მილიონი უჭირავს ზეითუნის ხის პალნტაციებს, ბაღებსა და ვენახებს დანარჩენი მოდის საძოვრებზე. არსებობს სახელმწიფო რეზერვის მიწები. სახნავი მიწებიდანაც 1 მილიონი ჰექტარი სახელმწიფოს ხელშია. რომლებიც გამოიყენება სახელმწიფო ნეურნეობებისათვის. როგორც წესი მათი უმრავლესობა მარცვლეულის მიმართულებისაა.

მეცხენარეობაში მთავარია მარცვლეული კულტურები, მოჰყავთ ხორბალი და ქერი. მარცვლეულის საერთო წარმოება ერთ მილიონ ტონას აღემატება, რაც ერთ სულზე გადაანგარიშებით 160 კგ-ს შეადგენს. მოსავლიანობა დაბალია. იგი 10 ცენტნერს არ აღემატება. ქვეყანას საკუთარი მარცვლეული არ ჰყოფნის. ამიტომ იგი ყოველწლიურად შემოაქვს 300—350 ათასი ტონის ოდენობით, ძირითადად საფრანგეთიდან.

მოჰყავთ კარტოფილი, რომელსაც აწარმოებენ ჩრდილოეთ პროვინციებში. ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებულია შაქრის ლერწამი, რომლის გადამუშავება წარმოებს ადგილზე, თამბაქო ბოლო დროს გავრცელდა მზესუმზირაც.

ჩრდილოეთით გავრცელებულია სასაქონლო მებოსტნეობა. დიდი რაოდენობით ამზადებენ წითელ წიწაკას, რომელიც გააქვთ ევროპაში, განვითარებულია პომიდვრის წარმოება, რომელიც გადამუშავებული სახით ეგზავნება ევროპის საკონსერვო ქარხნებს. მებოსტნეობა წარმოდგენილია ქვეყნის ყველა ზონაში. ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთით მას სამრეწველო ხასიათი აქვს.

ქვეყანა მსოფლიოში ცნობილია ზეითუნის ხეებით, რომლის რაოდენობა 50 მილიონს აღემატება. ტუნისი ამზადებს ზეითუნის ზეთის მსოფლიო წარმოების 10%. აღნიშნული პროდუქცია დიდი რაოდენობით გააქვთ ექსპორტზე. კარგადაა განვითარებული მეხილეობა. რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთითაა წარმოდგენილი, ამზადებენ ხილის წვენებს. რომელთა ნაწილი გაქვთ ექსპორტზე. განვითარებულია საქიშმიშე და სუფრის ყურძნის წარმოებაც. ამ პროდუქციას ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა აქვს.

დღეისათვის, ტუნისში არსებობს 320 ათასი მიწათმფლობელი, რომელთა 96%-ს გააჩნია 50 და მეტი ჰექტარი მიწა, დანარჩენებ-

ის ხელშია დამუშავებული მიწების 40%. მიწათმოქმედება უმთავრესად ურწყავია, მხოლოდ მცირე ფართობების მორწყვაა შესაძლებელი. ირწყვება აგრეთვე ოაზისებში არსებული ბაღები და სათესი ფართობების ნაწილი, ამჟამად მიმდინარეობს სამთავრობო პროგრამის რეალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს გრუნტის წყლების გამოყენებას სარწყავად.

ქვეყანაში მეცხოველეობას გარკვეული ტრადიციები აქვს. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. დაახლოებით 1 მილიონი სული, რომელიც ძოვებაზეა, თუმცა ხმარობენ კომბინირებულ საკვებსაც, აგრეთვე 5 მილიონზე მეტი ცხვარი და 1,2 მილიონი თხა, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით მთიან ზონაშია წარმოდგენილი. ჩრდილოეთ აფრიკის სხვა ქვეყნების მოსახლეობის მსგავსად, ტუნისში სოფლის მოსახლეობის კვების ძირითადი პროდუქტია ცხვრისა და თხის ყველი. დამზადებულ მატყლს იყენებენ ადგილობრივი მრეწველობისათვის, ხოლო ტყავს აგზავნიან ექსპორტზე, განვითარებულია მეფრინველეობაც. რომელიც დედაქალაქის საგარეუბნო ზონაში სამრეწველო ხასიათს ატარებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არსებობს შედარებით კარგი ბუნებრივი პირობები მეცხოველეობის განვითარებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტები ჯერ კიდევ შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან. განსაკუთრებით ხორცისა და ყველკარაქის სახით.

კარგი პერსპექტივები აქვს თევზის ჭერას, რომლითაც საკმაოდ მდიდარია მიმდებარე ზღვის წყლები. ჰყავთ თევზჭერის ფლოტილია, რომლის სიმძლავრე არ არის დიდი. ვარაუდობენ, რომ 1995 წლისათვის მოსახლეობის კვების ბალანსში თევზეულის ხვედრითი წონა 20—22% იქნება.

ალჟირი

ალჟირი აფრიკის ერთ-ერთი დიდი და შედარებით განვითარებული ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 2,38 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—20 მილიონზე მეტი, დედაქალაქია — ალჟირი. ქვეყანა მდებარეობს მაღრიბის მაღლობის ცენტრალურ ნაწილში და მასზე მოდის საჰარის უდაბნოს ტერიტორიის 1/4. როგორც ვარაუდობენ ალჟირი დასახლებული იყო ჯერ კიდევ 2 მილიონი წლის წინათ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში აქ უკვე შეიქმნა ფინიკიელთა პირველი კოლონიები, რომლებიც დღევანდელი ბერბერების წინაპრები იყვნენ. V საუკუნეში ალჟირი ვანდალებმა დაიპყრეს, ხოლო VII ს-ში არაბებმა. VIII—IX საუკუნეებში ქვეყანა დანაწილდა

ცალკეულ სამთავროებად, XII საუკუნეში ჩამოყალიბდა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო, რომელმაც თვითონ დაიწყო დაპყრობითი ომები. XV საუკუნეში ჩრდილოეთ ალჟირში მოვიდნენ ესპანელები, ხოლო XVI საუკუნეში ქვეყანა ოსმალთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი გახდა. 1830 წელს ფრანგები შევიდნენ ქვეყანაში და დაიპყრეს მისი დედაქალაქი. 1956 წელს ალჟირი დამოუკიდებელი გახდა.

ალჟირის ბუნება მრავალფეროვანია, რაც იმის შედეგია, რომ თავისი სიდიდის გამო იგი რამდენიმე ბუნებრივ-გეოგრაფიულ ზონას მოიცავს. ჩრდილოეთი ალჟირი მოქცეულია სუბტროპიკულ ზონაში, ქვეყანა ძირითადი ნაწილი განეკუთვნება ტროპიკულ სარტყელს. ჩრდილოეთ ალჟირს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 1/6, მაგრამ აქ თავმოყრილია მოსახლეობის 90% და მთლიანად სამეურნეო დარგებიც. დიდია საჰარის გავლენა ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის კლიმატზე.

ჩრდილოეთ ალჟირის ტერიტორიის ნაწილი მდებარეობს ატლასის მთაგორიან სისტემაზე, რომელიც ვულკანური წარმოშობისაა. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან 400—1200 მეტრის სიმაღლეზე, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო საქმიანობისათვის. ატლასის მთების საშუალო სიმაღლე 2000 მეტრამდეა, ყველაზე მაღალი წერტილი 2321 მეტრზე მდებარეობს.

ალჟირის კლიმატი თბილია, ყველაზე ცივი თვის — იანვრის საშუალო ტემპერატურაც კი 0°-ზევითაა. აბსოლუტურად მაქსიმალური ტემპერატურა ყველგან მაღალია, ჩრდილოეთით იგი 40° აღწევს, ხოლო საჰარაში —50°-მდე ადის. ალჟირის რელიეფი რთულია (განსაკუთრებით ჩრდილოეთით), რაც იწვევს კლიმატის მრავალფეროვნებას. განსაკუთრებულ გავლენას მასზე ახდენს მაროკოს მთიანი მასივი, რომელიც გაცილებით მაღალია და აკავებს ატლანტის ოკეანის თბილი ქარების შემოჭრას.

ალჟირის საჰარა განეკუთვნება ტროპიკული სარტყლის კონტინენტურ ნაწილს, სადაც ყველაზე მეტად ცხელდება ჰაერი და გავლენას ახდენს მთელი უდაბნოს კლიმატზე. ხმელთაშუა ზღვის გავლენა ვრცელდება მხოლოდ ზღვისპირა მცირე ზოლზე. სამხრეთით ხშირია ე. წ. „მწარალი ქარები", რაც აძნელებს სუნთქვას, ამ დროს მაღალია პირუტყვის სიკვდილიანობაც.

ატმოსფერული ნალექები წვიმების სახით მოდის. მთებში იცის თოვლი, რომელიც მალე დნება, სეტყვა აზიანებს ნათესებს და მრავალწლიან ნარგავებს.

[illegible] წყლებს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ქვეყანაში მხოლოდ ერთი მუდმივი მდინარეა, დანარჩენები მშრალ სეზონში შრეებიან. წყალდიდობის დროს მდინარეები დიდი სიჩქარით ხასიათდებიან, რაც იწვევს სანაპირო ზოლის ნგრევას. ქვეყანა მდიდარია მიწისქვეშა წყლებით, ბევრია სამკურნალო, ბალნეოლოგიური წყალიც. ძიუბედავად ზედაპირული წყლის დეფიციტისა, ალჟირელები ფართოდ იყენებენ ვრუნტის წყლებს. მოსარწყავად ნალექების რაოდენობა ქვეყანაში ეი არის [illegible], ჩრდილოეთით იგი შეადგენს 60—1000 მმ-ის ფარგლებში, სამხრეთით—საჰარაში კი წლების განმავლობაშიც არ მოდის ნალექი. არის წლები, როცა ეს მაჩვენებელი 20—30 მმ-ს შეადგენს.

ნიადაგმცოდნეობა საფარი მრავალფეროვანია, ჩრდილოეთით გავრცელებულია ყავისფერი კარბონატული ნიადაგები, რომლებზეც წარმოდგენილია ტყის მასივები (მათი ფართობი 100 ათას ჰექტარამდე შემცირდა). ხელთაშუა ზღვისპირა სუბტროპიკულ ზონაში გვხვდება ინტენსიური მცენარეული საფარი, მათ შორის მარადმწვანე ხე-მცენარეები. სამხრეთით მცენარეული საფარი თითქმის არ არის.

ალჟირის ძირითადი მოსახლეობა ალჟირელებია, რომლებიც შედგებიან არაბებისა და ბერბერებისაგან. მოსახლეობის 4/5 მეტყველებს არაბულ, ხოლო 1/5 ბერბერულ ენაზე. მოსახლეობის ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალია—3,4%, რამაც შეამცირა აქტიური მოსახლეობის ხვედრითი წილი. დღეისათვის ეს მაჩვენებელი 22%-ს შეადგენს. სხვა არაბული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ქალების რაოდენობა სჭარბობს მამაკაცებისას. რაც აიხსნება მამაკაცების განმანთავისუფლებელ ომში მონაწილეობით. მაღალია ურბანიზაციის პროცესიც. ამჟამად ქალაქებში ცხოვრობს მოსახლეობის 65%. დღეისათვის საზღვარგარეთ ცხოვრობს 1 მილიონამდე ალჟირელი (ძირითადად საფრანგეთში).

კოლონიური სისტემის პირობებში ქვეყნის სოფლის მეურნეობა იმთავითვე ორიენტირებული იყო სასაქონლო წარმოებაზე, რომელიც ძირითადად ექსპორტზე მიდიოდა. სოფლის მეურნეობა გახდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეს როლი დღესაც შენარჩუნებული აქვს. თუმცა ქვეყნის სავრეწველო განვითარებამ მისი ხვედრითი წილი 7%-ით შეამცირა. იმ მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 35%. საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ქვეყანა მხოლოდ 70%-ით იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს. დიდი რაოდენობით შემოაქვს მარცვლეული, რძე, მცენარეული და ცხოველური ცხიმი, შაქარი.

ქვეყანაში მიწის რესურსები შეზღუდულია. სასოფლო-სამეურ-ნეო წარმოებისათვის გამოსაყენებელია ქვეყნის ტერიტორის მხო-ლოდ 17%, რაც 40 მლნ. ჰექტარს შეადგენს. აქედან 80% ანუ 32 მი-ლიონი ჰექტარი საძოვრებია, მიწათმოქმედებას (ნათესის, მრავალ-წლიანი ნარგავების სახით) უჭირავს 8 მლნ. ჰექტარამდე. სახნავის რაოდენობა 4 მილიონი ჰექტარია, რაც ერთ სულზე გადაანგარიშე-ბით 0,2 ჰექტარს შეადგენს.

ქვეყნის ბუნებრივი პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოები-სათვის შედარებით ხელსაყრელია ჩრდილოეთის ზღვისპირა ზოლში. დამუშავებული ნიწების 1/3 წლის განმავლობაში ნალექების სახით იღებს 600 მმ წყალს, დანარჩენი ნაწილი კი უფრო ნაკლებს. ნაკვე-თების უდიდესი ნაწილი მდებარეობს მთის კალთებზე და განიცდიან ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის გავლენას.

დღეს არსებული სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია შემორ-ჩენილია ჯერ კიდევ ევროპელებისაგან. კოლონიზაციამდე ქვეყნის სოფლის მეურნეობა ორიენტირებული იყო საკუთარი მოთხოვნი-ლებების დასაკმაყოფილებლად. მოჰყავდათ ხორბალი, ქერი, ხელ-ოვრეპელებმა დაამკვიდრეს საექსპორტო კულტურები, სამრეწველო მევენახეობა, ციტრუსები, ადრეული ბოსტნეული, ტექნიკური კულ-ტურები, რომელთა წარმოებაც მეტროპოლიას ალჟირში გაკილებით იაფი უჯდებოდა. მაგალითად, დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს მევენახეობა, მეხილეობა და მებოსტნეობა იძლეოდა მთე-ლი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 50%. დამოუკიდებლობის პერიოდში საოსი ფართობების რაოდენობა თითქმის არ შეცვლილა, მოხდა მხოლოდ ფართობების გადანაწილება იმ ანგარიშით, რომ სა-სოფლო-სამეურნეო წარმოება მოერგოს ქვეყნის შიდა ბაზრის ინტე-რესებს. მაგალითად, 40%-ით შემცირდა სამრეწველო მევენახეობის ფართობები, გამონთავისუფლებული ფართობები დაეთმო სამარცვ-ლე კულტურებს და მებოსტნეობას. ათვისებული იქნა ახალი ნაკვე-თები საკვები ბალახეულისათვის, ხოლო 160 ათას ჰექტარზე გაშენ-და ხეხილის ბაღები.

ალჟირის სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მემცვ-ნარეობისა და მეცხოველეობის სუსტი კავშირი. ქვეყანაში ორგანი-ზებულად არსებობს წვრილგლეხური მეურნეობები და მსხვილი კაპიტალისტური ტიპის საწარმოები. წარმოების მოდერნიზაცია უპი-რველესად დაიწყო მსხვილ მეურნეობებში, რომლებიც ჯერ კიდევ ფრანგების პერიოდიდან არსებობდა. მათ ხელში იყო დასამუშავებე-ლი ფართობის (ძირითადი სახნავის) 2 მლნ. ჰექტარამდე. 1972 წელს

განსორციელდა აგრარული რეფორმა, რომლის დროსაც მსხვილ მემამულეებს ჩამოეჭრათ აუთვისებელი (ან სუსტად ათვისებული) ფართობები და გადაეცათ უმიწაწყალო გლეხებს. რეფორმა განხორციელდა ეტაპობრივად, იგი 1981 წელს დამთავრდა. 100,4 ათასმა გლეხმა მიიღო 1,4 მლნ. ჰექტარი ფართობი, აგრეთვე 1.1 მლნ. ჰექტარი ფინიკის პალმის პლანტაციები. მათ შექმნეს 6 ათასამდე კოოპერატივი, რომლებიც წარმოადგენენ მიწის დამუშავების მარტივ გაერთიანებებს. გლეხებს მიწები დაურიგდათ კრედიტით, რომლის გადახდის ვადა დიფერენცირებული იყო მიწების ხარისხის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ გატარებული რეფორმა პროგრესული ხასიათის იყო, მან ვერ გადაწყვიტა სასურსაათო პრობლემები. ამის მიზეზი იყო ის, რომ ბევრი გლეხური მეურნეობა დასაწყისშივე გაჩანაგდა.

მემცენარეობიდან წამყვანია მარცვლეულის (ძირითადად ხორბალი და ქერი) წარმოება, რომლის რაოდენობა 4,5—5 მლნ. ტონამდეა. მოსავლიანობა დაბალია, ურწყვაზე იგი 8—9 ცენტნერს, ხოლო სარწყავზე 28—30 ცენ. არ აღემატება.

ყარაბაღია წარმოდგენილი სუბტროპიკული მეხილეობა, მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, გრეიფრუტი, მცირე რაოდენობით მანდარინი. ციტრუსები ნატურალური და წვენების სახით გააქვთ ევროპაში. საექსპორტო ხასიათი აქვს მებოსტნეობას, ევროპაში გააქვთ ადრეული ბოსტნეული, ნატურალური სახით. ძირითადად პომიდორი კიტრი, კომბოსტო.

მეცხოველეობა ალეირელთა ტრადიციული დარგია, მაგრამ მისი ხვედრითი წილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში უმნიშვნელოა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 1,8 მილიონამდე აღწევს. უმთავრესად ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, დედაქალაქის საგარეუბნო ზონაში არსებობს თანამედროვე ტიპის სპეციალიზებული მეცხოველეობის ფერმები, რომლებიც მერძეული მიმართულებისაა. პირუტყვი შერეულ კვებაზეა, უმთავრესად—ძოვებაზე. ჰყავთ აგრეთვე 14 მილიონზე მეტი ცხვარი და 3 მილიონამდე თხა. დიდი პოპულარობით სარგებლობს ცხვრის ყველი. ბოლო დროს განვითარდა სამრეწველო მეფრინველეობა, რომელიც დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონაშია წარმოდგენილი. თუ 20 წლის წინათ მოსახლეობის კვების ბალანსში მხოლოდ 8% მოდიოდა მეფრინველეობაზე. დღეს ეს მაჩვენებელი 20%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ კომბინირებული საკვები მეფრინველეობისათვის ჯერ კიდევ შემოაქვთ საფრანგეთიდან. უდაბნოს ზონაში ჰყავთ აქლემი (დაახლოებით 250—300 ათასი სული), ცხენი და ვირი. ვითარ-

ადება მეთევზეობაც, რომელსაც უძთავრესად ინდივიდუალური ხასიათი აქვს.

დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობას. ენერგოშეიარაღება 12 ცხ. ძალას უდრის, რაც სხვა არაბული ქვეყნების მაჩვენებლებს სჭარბობს, მაგრამ არ არის საკმარისი. ენერგეტიკული საშუალებების სტრუქტურაში ნახევარი მოდის ცოცხალ გამწევ ძალაზე. ტრაქტორები და სხვა საჭირო ტექნიკა შეძოაქვთ საფრანგეთიდან და გერმანიიდან. მიმდინარეობს დიდი სამეშაოები იმისათვის, რათა გაიზარდოს სარწყავი მიწების რაოდენობა.

ვითარდება გადამამუშავებელი და კვების მრეწველობა, არსებობს როგორც თანამედროვე ტიპის, ისე მცირე სიმძლავრის კუსტარული საწარმოები.

სასოფლო-სამეურნეო განათლება მოქცეულია საუნივერსიტეტო ცენტრებში, თუმცა არსებობს სპეციალური სასწავლებლებიც. ბევრი ახალგაზრდა სასწავლებლად იგზავნება საზღვარგარეთ, (მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირშიც). ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო პრობლემების შესწავლის კოოპერაცია, რომელშიც გაერთიანდნენ სამეცნიერო ცენტრები. მეცნიერულ კვლევაში დიდ ყურადღებას უთმობენ უდაბნოს გამოყენების საკითხებს.

მაროკო

მაროკო მდებარეობს ატლანტის, ხმელთაშუა ზღვის და საჰარის შესაყარზე, მისი ტერიტორია 445 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა 22 მლნ. დედაქალაქია — რაბათი. მაროკო კონსტიტუციური მონარქია. იგი აფრიკის ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა, რომლის ფესვები მიდის ძალიან ღრმად და დაკავშირებულია მაღრიბის ძლიერი სახელმწიფოს არსებობასთან. ევროპისაგან მაროკოს ჰყოფს გიბრალტარის ვიწრო სრუტე (14 კმ). იგი ბევრჯერ გამხდარა კონფლიქტებისა და ომების საბაბი, მაგრამ სხვა არაბული ქვეყნებისაგან განსხვავებით, მეტ-ნაკლებად შეარჩინა თავის სრული ან ნაწილობრივ დამოუკიდებლობას. თუმცა თავის დროზე შედიოდა რომის, არაბეთის, ბიზანტიის, პორტუგალიის იმპერიების შემადგენლობაში. 1912—1956 წწ. საფრანგეთისა და ესპანეთის პროტექტორატს წარმოადგენდა, მისი ტერიტორია დაყოფილი იყო რამდენიმე ზონად. 1956 წელს საფრანგეთმა და ესპანეთმა აღიარეს ქვეყნის დამოუკიდებლობა.

მაროკო მდებარეობს აფრიკის ჩრდილოეთის უკიდურეს დასა-

ვლეთ ნაწილში, იგი სხვადასხვა კლიმატური ზონების ზღვარზეა. ქვეყანა მთაგორიანია, რაც ხელს უწყობს მიკროკლიმატების წარმოქმნას ქვეყნის სხვადასხვა ზონებში. ქვეყანას ორი საზღვაო ფასადი აქვს—ატლანტის ოკეანისა და ხმელთაშუა ზღვის სახით, რაც განსხვავებს მის ბუნებასა და კლიმატს ხმელთაშუა ზღვის სხვა ქვეყნებისაგან. კლიმატის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს ატლასის მთიანი სისტემა, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით 800 კმ-ზეა გაჭიმული. მთები აჩერებენ ატლანტის ოკეანიდან მონაბერ ტენიან ჰაერს. ეს ფაქტორიც გავლენას ახდენს მის კლიმატზე, კერძოდ, ტემპერატურულ რეჟიმზე, ტენიანობაზე, მდინარეთა წყალუხვობაზე და სხვ.

ხმელთაშუა ზღვის სანაპირო მთიანია. ბევრია მოხერხებული ყურე. მთის ძირებს გაჰყვება დაბლობის ვიწრო ზოლი. ატლანტის სანაპირო კი წარმოდგენილია ვაკე რელიეფით, საიდაც მრავალრიცხოვან მდინარეებს ჩამოაქვთ ბევრი შლამი. ოკეანის მოქცევის დროს დიდი ტალღები ღრმად შედიან მდინარეთა შესართავებში და ქმნიან ნაოსნობისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ტერიტორიის 1/3 უჭირავს მთებს, რომელთა შორის ბევრის სიმაღლე 2500—3000 მეტრია, ხოლო მწვერვალების სიმაღლე აღემატება 4000 მეტრს. ყველაზე მაღალი წერტილი 4165 მეტრზე მდებარეობს. მთები დიდ გავლენას ახდენენ არა მარტო ქვეყნის კლიმატზე, არამედ მის სამეურნეო საქმიანობაზეც.

კლიმატური პირობებით მაროკო სუბტროპიკული სარტყლის ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება. ატლანტის ოკეანის მხრიდან მაროკოს ნაპირებთან ჩაედინება კანარის ცივი დინება, რომელიც ხელს უწყობს ზაფხულის ცხელი დღეების ტემპერატურული რეჟიმის რეგულირებას. სწორედ ამიტომ ზაფხული მთელს ტერიტორიაზე შედარებით მშრალია, ზამთრობით ხშირია ატლანტის ოკეანიდან ცხელი ჰაერის შემოსვლა, რომლის დროსაც მკვეთრად იზრდება ტემპერატურა. მაგალითად, იანვარში კასაბლანკაში ტემპერატურა შეიძლება იყოს +36° და რამდენიმე დღეში დავიდეს —3°-მდე. მაროკოს კლიმატის არამდგრადი ხასიათი გავლენას ახდენს მის სამეურნეო საქმიანობაზე. ტერიტორიის ოლიანეს ნაწილზე ნალექების რაოდენობა 300 მმ არ აღემატება, მხოლოდ 2,5%-ზეა ეს მაჩვენებელი 800 მმ-მდე, რაც შედარებით კარგ პირობებს ქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის.

საშუალო თვიური მაქსიმალური ტემპერატურა 45°, აბსოლუტური მაქსიმუმი—51°. ძალზედ დიდია ტემპერატურის დღე-ღამური,

აგრეთვე ზამთრისა და ზაფხულის თვების რყევის ამპლიტუდა. ნალექების არათანაბრობა იწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შეფერხებას. წვიმის გარდა ნალექები მოდის თოვლისა და სეტყვის სახითაც. დიდია აორთქლების პროცენტიც, მოსული ნალექების 65—90% ნაწილ უბრუნდება ატმოსფეროს.

მართალია მაროკოში ბევრი მდინარეა, მაგრამ მხოლოდ ორი ინარჩუნებს წლის განმავლობაში წყალს, დანარჩენი ზაფხულის ცხელი სეზონის დროს შრება. არსებობს ტბებიც, მაგრამ მათ არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობა, არის დაჭაობებული ადგილებიც.

გავრცელებულია ყავისფერი ნიადაგები. ქვეყნის ფლორა 4 ათასამდე ჯიშის მცენარეს შეიცავს, მთებში ბევრი ენდემური ჯიშია. ადამიანის ბრძოლასაუკუნოვანმა საქმიანობამ მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის ფლორა.

მოსახლეობა შედგება არაბებისა და ბერბერებისაგან. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვ. წილი 26%-ია. მოსახლეობის მატების ყოველწლიური რაოდენობა 0,5 მილიონს აღწევს, რაც აიძულებს მაროკოელებს სამუშაოდ წავიდნენ ევროპის ქვეყნებში. დღეისათვის 450 ათასზე მეტი მაროკოელი ცხოვრობს და მუშაობს ევროპაში. აქტიური მოსახლეობის 50%-მდე დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში.

მაროკო აგრარული ქვეყანაა, იგი მონაწილეობას იღებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტში, გააქვს რა მსოფლიო ბაზარზე ციტრუსები, ღვინო, ტომატი და სხვა. სოფლის მეურნეობის წილად მოდის ნაციონალური პროდუქციის 1/5 და ქვეყნის ექსპორტის —1/3.

სასოფლო-სამეურნეო მიწებს უჭირავს 24 მლნ. ჰექტარი, ანუ მთლიანი მიწის ფონდების 58%, აქედან დამუშავებაშია დაახლოებით 8 მილიონი. დასავლეთ და ჩრდილოეთ მაროკოში უმთავრესად წარმოდგენილია სახნავი მიწები.

აგრარული ურთიერთობები მრავალფეროვანია, რომელიც გამომლინარეობს მიწაზე საკუთრების სხვადასხვა ფორმიდან (ყველაზე მსხვილი მიწათმფლობელია მაროკოს მეფე). ქვეყანაში არსებობს მსხვილი მეურნეობები, რომლებიც ფლობენ რამდენიმე ათას ჰექტარ მიწის ფართობს, აგრეთვე მემამულური მეურნეობებიც (100—150 ჰექტარის ოდენობით). ასეთი მეურნეობების ხვედრითი წილი 10%. ერთ მილიონამდე გლეხური მეურნეობა ფლობს არა უმეტეს 5 ჰექტრისა, ბევრია უმიწაწყალო გლეხი, რომლებიც მოჯამაგირეებად მუშაობენ მსხვილ მიწათმფლობელებთან ან იჯარით აქვთ აღებული

მიწის ნაკვეთი. მათი რაოდენობა გლეხობის 1/3-ია. იჯარის პირობები მკაცრია, ხშირად მოსავლის 4/5-ის ტოლია. გავრცელებულია იჯარის ნატურალური ფორმა. უმიწაწყალო გლეხების ნაწილი იძულებულია წავიდეს სამუშაოდ ქალაქად. 1965 წელს მთავრობამ დაიწყო აგრარული რეფორმების გატარება. საჭირო მიწის ფონდების მარაგის შექმნისათვის შეისყიდა უცხოელ მიწათმფლობელთა მამულები და ასეთ მიწებზე ქმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. ამ პერიოდში დაახლოებით 400 ათასი ჰექტარი მიწა განაწილდა უმიწაწყალო გლეხებს შორის, 10 წლის გამოსასყიდი ვადით. ახალი რეფორმა, მსხვილ მემამულურ (ფეოდალურ) მიწებსაც შეეხო.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ძირითადია მარცვლეული კულტურები, რომელსაც უკავია სათესი მიწების 4/5. მასზე მოდის მემცენარეობის პროდუქციის ღირებულების 2/3. მოჰყავთ სასურსათო და პარკოსანი კულტურები (ლობიო, სოია), რომელიც მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტია.

ბოლო 20 წელია მაროკოში დაიწყო სამრეწველო მეურნეობისა და მებაღეობის განვითარება. აქაური ბოსტნეულ-ბაღჩეული დიდი მოთხოვნით სარგებლობს ევროპის ბაზრებზე. გაიზარდა ტექნიკური კულტურების წარმოებაც. კერძოდ შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, ბამბის. მათი უმრავლესობა. მოიხმარება შიდა ბაზარზე. თუმცა მზესუმზირის ზეთი გააქვთ კიდეც ექსპორტზე. დღეისათვის ამ კულტურას უჭირავს 300 ჰექტარამდე მიწის ფართობი.

მიუხედავად ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობებისა, მარცვლეულის მოსავლიანობა დაბალია (7—8 ცენტნერი). ამის მიზეზი დაბალი აგროტექნიკაა. ქვეყანაში თითქმის არ ხმარობენ სასუქებს, მხოლოდ მსხვილ მეურნეობებში იყენებენ მექანიზაციას.

სასაქონლო პროდუქციის წარმოებაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი სუბტროპიკული მეხილეობა, აქაური ფორთოხალი და ლიმონი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გააქვთ გასასყიდად. ამზადებენ ხილის წვენებსაც. მართალია ციტრუსებს უკავია დამუშავებული მიწების მხოლოდ 1,2%, მაგრამ მოსავლიანობის მაჩვენებლით იგი პირველ ადგილზეა აფრიკაში. ქვეყანაში ამზადებენ 2 მლნ. ტონამდე ციტრუსის ნაყოფს, რომლის 2/3 გადის საექსპორტოდ.

მაროკოსათვის მეცხოველეობას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, იგი აქ არსებობდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ქვეყანაში 15 მილიონზე მეტი ცხვარია, 6 მილიონამდე—თხა, 4 მილიონამდე —

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, გარდა ამისა არის 200 ათასზე მეტი აქლემი და 400 ათასზე მეტი ცხენი, ჯორი და ვირი. მეცხოველეობა ძირითადად ძოვებაზეა. არსებობს მერძეული მიმართულების მექანიზებული მსხვილი ფერმებიც. მეფრინველეობა წარმოდგენილია თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობაში, ეხვდებით მეფრინველეობის მსხვილ ფაბრიკებსაც. მეცხოველეობა მჭიდროდაა დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან. თითქმის ყველა მეცხოველე ამავე დროს მიწათმოქმედიცაა და პირიქით.

კარგადაა განვითარებული თევზჭერა, მიმდებარე წყლები მდიდარია თევზის რესურსებით. ქვეყანაში შეიქმნა თევზჭერის ფლოტი.

აღსანიშნავია, რომ მაროკო თავის მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე მთლიანად იკმაყოფილებს და პროდუქციის ნაწილი გააქვს ექსპორტზე. (ამჟამად მუშავდება ქვეყნის მელიორაციის სახელმწიფოებრივი გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს ქვეყანას 2,5-ჯერ გაზარდოს სარწყავი მიწების რაოდენობა, რაც პროდუქციის წარმოების მოცულობას 2-ჯერ და მეტად გაზრდის).

ქვეყნის ორ უნივერსიტეტში ამზადებენ კვალიფიციურ სასოფლო-სამეურნეო კადრებს. ბევრი ახალგაზრდა სწავლობს საზღვარგარეთ. საუნივერსიტეტო ცენტრებში წარმოებს მეცნიერული კვლევები.

დასავლეთი აფრიკა

ქვეყნებს, რომლებიც შედიან დასავლეთ აფრიკის ეკონომიკურ რეგიონში, უჭირავთ საკმაოდ დიდი ტერიტორია. დასავლეთით იგი ესაზღვრება ატლანტის ოკეანეს, ჩრდილოეთით—საჰარის უდაბნოს, აღმოსავლეთით—ჩადის ტბასა და აქ მდებარე მთიან მასივებს. დასავლეთ აფრიკაში შედიან შემდეგი ქვეყნები: სენეგალი, მალი, გამბია, ბურკინა ფასოს კონცხის კუნძულები, გვინეა-ბისაუ, გვინეა, სიერა-ლეონე, ლიბერია, სპილოს ძვლის ნაპირი, ვოლტა, განა, ტოგო, ბენინი, ნიგერი, ნიგერია. წარმოდგენილი სახელმწიფოები მოსახლეობითა და ტერიტორიით განეკუთვნებიან პატარა სახელმწიფოების რიცხვს. მაგალითად, ბენინის ფართობი 112 ათასი კვ. კმ-ია, განასი—238 ათასი, ლიბერიის —111 ათასი, სიერა-ლეონეს—72 ათასი კვ. კმ და ა. შ. თუმცა რეგიონში საკმაოდ დიდი ტერიტორიის მქონე სახელმწიფოებიც არსებობენ. მაგალითად, ნიგერის ტერიტორია 1,2 მლნ. კვ. კმ-ია, ნიგერიის—924 ათასი კვ. კმ, ხოლო მოსახლეობა 70 მილიონი. ეს უკანასკნელი ეკონომიკურად ყველაზე უკეთ არის განვითარებული და

მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში.

ძალისა და ნიგერის სახელმწიფოების უდიდესი ნაწილი მდებარეობს მსოფლიოს უდიდესი უდაბნოს საჰარის ტერიტორიაზე. რეგიონში განოკვეთილია რამდენიმე ბუნებრივი ზონა, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთით ცვლიან ერთმანეთს, კერძოდ უდაბნოს ზონა გადადის ნახევრად უდაბნოში, კიდევ უფრო სამხრეთით—ტროპიკულ სავანებში. ხშირად უდაბნოსა და სავანებს ჰყოფს კიდევ ერთი ზოლი (გამყოფი ზონა), სადაც ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 100—200 მმ-ია წელიწადში. უდაბნო უდიდეს გავლენას ახდენს რეგიონის კლიმატურ ზონებზე, მიმდებარე რაიონებში ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაში არ მოდის ნალექები, რასაც მოსდევს პირუტყვის ნასიური დაღუპვა. ჩვენს საუკუნეში ორჯერ იყო ასეთი მკაცრი გვალვები, რომელიც ნინშენელოვანი ზარალი მიაყენა რეგიონის ცხოველებს, რასაც მოჰყვა აგრეთვე მრავალი ადამიანის მსხვერპლიც.

გამყოფი ზონის სამხრეთით გადის სავანებისა და ტყის სავანური ზოლი. კიდევ უფრო სამხრეთით ვიპოვნით მცირენაყოფიანი და ეთოთლოვანებ მცენარეულ საფარსაც. ამ პროვინციების ლანდშაფტი ძნიშვნელოვნად შეიცვალა ადამიანის მრავალსაუკუნოვანი საქმიანობის შედეგად, აღნიშნული ზონა წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან რეგიონს.

დასავლეთ აფრიკა შედარებით ვაკე რელიეფზეა წარმოდგენილი—ბალანსირებულია ოროგენეზისა. ყველაზე მაღალი წერტილი 1752 მეტრს მდებარეობს. მთების განლაგება გავლენას ვერ ახდენს ზონის კლიმატზე, რომელიც ნიადაგობრივ-მცენარეული საფარის მსგავსად, მრავალფეროვანი. ტერიტორიის ჩრდილოეთი ნაწილი მდებარეობს სუბეკვატორულ, ხოლო სამხრეთი — ეკვატორულ კლიმატურ სარტყელში. ზაფხულობით, როდესაც საჰარის ჰაერი განსაკუთრებით ძლიერად ხურდება, ატლანტის ოკეანიდან შემოდის მუსონური ტენიანი ოკეანის ჰაერი, რომელიც კონტინენტის სიღრმისაკენ თანდათანობით შორდება ანა ვერ აღწევს საჰარამდე. სამაგიეროდ, სანაპირო ზოლში წვიმების ხანგრძლივობა 2—3 თვეს გრძელდება და აქვს მუსონური ხასიათი, შემდეგ იწყება მშრალი პერიოდები, რომელიც გრძელდება ზამთრამდე. ამ დროს საპირისპიროდ ხდება ჰაერის მასების გადაადგილება და შესაბამის რეგიონებში იწყება ძლიერი წვიმები. საშუალო წლიური ტემპერატურა რეგიონში 20—26°-ია, ტენიან ტროპიკებში — 28°-მდე. ტემპერატურის დღე-ღამური ცვლილება ღიდი არ არის და მერყეობს 10—15°-ის ფარგლებში. დასავ-

ლეთ აფრიკის უმრავლეს ქვეყნებში კლიმატი თავისი მაღალტემპერატურ-ბის გამო ადამიანისათვის ძნელად ასატანი ხდება, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში.

ნალექების რაოდენობა არათანაბარია. საჰარის მისადგომებთან იგი 200—250 მმ უდრის. საკუთრივ საჰარაში 15—20 მმ, სამხრეთით 500—1000 მმ-მდე იზრდება, ძირითადად. ზაფხულში კიდევ უფრო სამხრეთით. ეს მაჩვენებელი 1000—1500 მმ-ია, ხოლო გვინეის ყურეში — 2000—4000 მმ-ს აღწევს.

დასავლეთ აფრიკაში ბევრი მდინარეა, რომლებიც ხასიათდებიან წყალუხვობით. აგრეთვე ბევრი ჩანჩქერია, რომლებიც შეიცავენ ჰიდროენერგიის უდიდეს მარაგს. რეგიონის ყველაზე დიდი და წყალუხვი მდინარეა ნიგერი (სიგრძე 4200 კმ-ია და იგი ზღოლოდ ნილოსისა და კონგოს ჩამორჩება). მდინარე გაინეის დასავლეთ აფრიკის მრავალ ქვეყანას, თუმცა მისი შესაძლებლობები, განსაკუთრებით სარწყავად, ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. მდ. ნიგერის ბევრი წყალუხვი შენაკადი აქვს, რომლებიც ქმნიან მდინარეთა მეტად მდიდარ ქსელს.

რეგიონის ნიადაგობრივ-მცენარეული საფარი წარმოდგენილია როგორც უდაბნოს ტიპის, ისე ტროპიკული ნიადაგებით და მარადმწვანე მცენარეულობით. ნიადაგის ტიპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ადამიანების სამეურნეო საქმიანობასაც. მთელ რიგ რეგიონებში მიწათმოქმედება შეუძლებელია სარწყავი სისტემების შექმნის გარეშე. რეგიონში მიწათმოქმედების სამი ზონაა: პირველი მათგანი დაკავშირებულია საჰარის სამხრეთით მდებარე ე. წ. სალეზის ზონასთან, სადაც მიწათმოქმედება აუცილებლად მოითხოვს ხელოვნურ რწყვას, მეორე — წარმოდგენილია სამხრეთით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის შედარებით ზომიერი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, მესამე — წარმოადგენს ჰარბტენიან ზონას, სადაც წარმოდგენილია გაუვალი ტროპიკული მცენარეულობა. სწორედ აქ არის დასავლეთ აფრიკის გიგანტური ტყის მასივები, რომელიც გადადის მდინარე კონგოს აუზში. ამ ტყეებში ათასამდე ხის ჯიშია, მათ შორის გიგანტური ხეებიც, რომელთა სიმაღლე 50—60 მ აღწევს. დასავლეთ აფრიკის ტყის ზონა ხელსაყრელია კაკაოს, ყავის, ანანასის და სხვა კულტურული ხე-მცენარეების გავრცელებისათვის.

დასავლეთ აფრიკის ჩრდილეთ ნაწილში წარმოდგენილია მოწითალო-ყავისფერი ნიადაგები, ხშირად მას ლატერიტებს (აგურისფერს) უწოდებენ, ისინი ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ტროპიკული მცენარეების გავრცელებისათვის.

დასავლეთ აფრიკის ბუნებრივი პირობები და რესურსები ხელსაყრელია რეგიონში არსებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის, თუმცა ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონით შესწავლილი მათი სასარგებლო წიაღისეული და სხვა რესურსები.

დასავლეთ აფრიკა ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რეგიონის ტერიტორიაზე ცხოვრობს ევროპეიდებისა და ნეგროიდების წარმომადგენლები, რომელთა მრავალსაუკუნოვანმა მეზობლობამ გამოიწვია გარდამავალი ჯგუფების წარმოქმნა. მოსახლეობის ზრდის დინამიკა ტიპურია აფრიკის ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისა. მაღალია მშობიარობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, თუმცა მოსახლეობის ბუნებრივი მატება სჭარბობს კლებას. თითქმის ყველა ქვეყანაშია უმუშევრობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საკმაოდ დიდი მასაა სოფლად. რეგიონის ქვეყნების მოსახლეობის 80% დაკავებულია სოფლის მეურნეობით. სიმჭიდროვე არათანაბარია, საშუალოდ ერთ კვ. კმ-ზე ცხოვრობს 10 კაცი, შედარებით კომპაქტური დასახლებაა ოკეანის სანაპირო ზოლში, უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებში ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას. მაღალია ურბანიზაციის დონე, ქალაქად მაცხოვრებელთა ზრდის ტემპი 4,1% უდრის, თუმცა დღეისათვის ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი ზოგ ქვეყანაში ძალზედ დაბალია, მაგალითად, ნიგერიაში, მალიში, ლიბერიაში და ა. შ. იგი 10% არ აღემატება.

დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რაც განპირობებულია სამი ფაქტორის გავლენით: ბუნებრივით — რომელიც ხელსაყრელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, ეთნოკულტურით — რომელიც გულისხმობს მიწათმოქმედების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, გარეგანით — რაც რეგიონის განვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობაში გამოიხატება.

ტროპიკებისათვის დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურული ჯამი. სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც დიდად არის დამოკიდებული ნალექების რაოდენობაზე, უმეტესად განვითარებულია ტენიან რეგიონებში. დასავლეთ აფრიკის სოფლის მეურნეობა ორ ჯგუფად იყოფა: პირველი—უმთავრესად წარმოდგენილია მემცენარეობით და განვითარებულია ტენიან რაიონებში, მეორე — მშრალ, ნახევარუდაბნოს ზონაშია და წარმოდგენილია მომთაბარე მეცხოველეობის სახით. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ აფრიკაში მემცენარეობა და მეცხოველეობა კი არ ავსებენ ერთმანეთს, არამედ კონკურენტები არიან ერთმანეთის, რაც გამოწვეულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციებით, როდესაც მრავალნარეობდა ბრძოლა საარ-

ხებო ტერიტორიისათვის. დღეისათვის ეს წინააღმდეგობა აღარ ატარებს ბოლვავე ხასიათს, ხოლო რიგ ქვეყნებში გამოიძებნა ურთიერთობის ნორმალური ფორმები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მიწათმოქმედები სამეურნეო ციკლის დამთავრების შემდეგ თავიანთ საკარგულებში საძოვრად უშვებენ პირუტყვს.

მიწათმოქმედების ქვეყნებში გლეხებს პირუტყვი გამოყენებული ჰყავთ აგრეთვე, როგორც ცოცხალი გამწევი ძალა. ზოგიერთ ზონაში კი მეცხოველეობის გარდა მისდევენ მარცვლეულის წარმოებასაც, მოჰყავთ ფეტვი და სორგო, ხოლო დატბორილ მიწებზე მოჰყავთ ბრინჯი და სიმინდი, შედარებით სამხრეთით კი — ტყის საკანების რაიონებში — ძირითადად მოჰყავთ სიმინდი და ძირხვენები.

ტპორიკებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ბრინჯი, რომელიც მოჰყავთ მორწყვის გარეშე (ამის საშუალებას იძლევა ნიადაგის მაღალი ტენიანობა). ბრინჯი ითესება წვიმების პერიოდში, რაც დამახასიათებელია ეკვატორული აფრიკისათვის. ბრინჯის ყანები ღრმად იჭრებიან ეკვატორული აფრიკის ტროპიკული ტყეების სიღრმეში. დასავლეთ აფრიკაში ბრინჯის საერთო მოსავალი 430 ათას ტონას შეადგენს, რაც 30% უზრუნველყოფს რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებას, დანარჩენი შემოაქვთ ძირითადად ქალაქის მოსახლეობისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბრინჯი დასავლეთ აფრიკისათვის „ეთნიკური" კულტურაა, მისი ნათესების გაადგილება განისაზღვრება არა მარტო ბუნებრივი საზღვრებით, არამედ მოსახლეობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების დასახლებითაც. ბრინჯის წარმოება ტრადიციული საქმიანობაა გვინეა-ლიბერიის ზონაში მოსახლე ეთნიკური ჯგუფებისათვის. აფრიკული ბრინჯის წარმოების ცენტრად ითვლება მალის სახელმწიფო, სადაც ამ კულტურას ასამნახევარი ათასი წლის ისტორია აქვს, როგორც ვარაუდობენ, ბრინჯის კულტურა აქ შემოვიდა ინდოეთიდან, ხოლო შემდეგ გავრცელდა რეგიონის სხვა ქვეყნებში. აღსანიშნავია ის, რომ რეგიონის ზოგიერთ რაიონში ბრინჯის საკმაოდ მაღალ მოსავალს იღებენ, რაც ამ კულტურის პროდუქტიულობაზე მიუთითებს.

მაღალი ტენიანობის რაიონებში, გარდა ბრინჯისა, მისდევენ სხვა ტენისმოყვარული კულტურების მოყვანასაც, კერძოდ, მოჰყავთ ორ-ვალწლიანი ძირხვენა კულტურები: იამსი, მანიოკი და სხვა. გავრცელებულია აგრეთვე ხეხილოვანი კულტურებიც, მათ შორის პოპულარულია ფქვილის ბანანი — პლენტენი, რომელიც გამოიყენება ტრადიციული საკვების დასამზადებლად.

დასავლეთ აფრიკაში სასურსათო პროდუქტების წარმოება შეესაბამება რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ პრობლემაა აღებული მოსავლის შენახვა-დაბინავება.

დასავლეთ აფრიკის (და არა მარტო ამ რეგიონის) სოფლის მეურნეობა ორიენტირებულია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რაც აფერხებს პროდუქციის გაცვლას არა მარტო სასოფლო-სამეურნეო რეგიონებს შორის, არამედ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ზონებს შორისაც. ფერხდება ქალაქის მოსახლეობის სურსათით მომარაგებაც, რაც იწვევს მის იმპორტს სხვა ქვეყნებიდან, თუმცა უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ სანაპირო ზონის ქალაქებში ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელია პროდუქციის სხვა ქვეყნებიდან შემოტანა, ვიდრე მისი ტრანსპორტირება ქვეყნის ან რეგიონის სიღრმიდან.

სოფლის მეურნეობაში გაბატონებულია თემური მიწათსარგებლობა, რომლის დროსაც მიწების გარკვეული რაოდენობა წარმოადგენს თემის საერთო საკუთრებას. თემს ჰყავს თავისი ბელადი. მიწათმოქმედებაში იყენებენ ტრადიციულ-პრიმიტიულ აგროტექნიკას, რომელიც ემყარებოდა ახოების გაჩეხვას. მიწას ამუშავებენ თოხით, სასუქების გამოყენების გარეშე, ნაკვეთს სამი-ოთხი წლის ექსპლოატაციის შემდეგ ტოვებენ და გადადიან ახალ ადგილზე, რამდენიმე წლის შემდეგ (10—12 წელი) ისევ უბრუნდებიან მიტოვებულ ნაკვეთს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში აღწევს ბუნებრივი ნაყოფიერების აღდგენას. თუ ასეთ მიწებზე გაშენებულია მრავალწლიანი ნარგავები (ყავა, კაკაო და სხვა), მაშინ ასეთ ნაკვეთებს არ ტოვებენ და ეწევიან მის ექსპლუატაციას 15—20 წლის განმავლობაში.

წარმოების კაპიტალისტური წესი აფრიკის ამ ზონის ქვეყნებში ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა, ამიტომ ისეთი კულტურებიც კი, რომლებიც იძლევიან საექსპორტო პროდუქციას და რომლითაც დაინტერესებულია ყოფილი კოლონიური ქვეყნები, მოჰყავთ წვრილგლეხურ მეურნეობებში.

შედარებით შემოსავლიანი საექსპორტო კულტურები წარმოდგენილია იმ რაიონებში, სადაც მუდმივად ტენიანი კლიმატია, კერძოდ იმ ქვეყნებში, რომლებიც მდებარეობენ გვინეის ყურის სანაპირო ზოლში. აქ გავრცელებულია კაკაოს, ყავის, ჰევეას, ბანანის, ანანასის პლანტაციები.

დასავლეთ აფრიკის რეგიონის წილად მოდის კაკაოს მსოფლიოს წარმოების 2/3. ამ რეგიონში ამზადებენ დაახლოებით ერთ მილიონ

ტონა კაკაოს მარცვალს, მათ შორის ნახევარი მოჰყავთ განაში (მსოფლიო წარმოების 30%), დანარჩენი — ნიგერიასა და სპილოს ძვლის ნაპირზე. რეგიონი იძლევა აგრეთვე ნატურალური კაუჩუკის აფრიკული წარმოების 85%. კაუჩუკის ხის — ჰევეას კულტურა წარმოდგენილია ნიგერიაში, ლიბერიასა და სპილოს ძვლის ნაპირის ქვეყნებში. იგივე ქვეყნები წარმოადგენენ პალმის ზეთის მსოფლიო წარმოების უდიდეს რეგიონს, აქ ყოველწლიურად მზადდება დაახლოებით 600 ათასი ტონა ზეთი, რომლის წარმოების 4/5 მოდის ნიგერიაზე, ამ პროდუქციის წარმოებაში ბოლო პერიოდში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონითაა წარმოდგენილი აგრეთვე ბენინი. გვინეისა და ნიგერიის ზღვისპირა ზოლში დიდი რაოდენობით მოჰყავთ ბანანი და ანანასი, რომელიც გააქვთ ექსპორტზე, ძირითადად ევროპის ქვეყნებში.

ექსპორტო კულტურაა აგრეთვე არახისი, რომლის წლიური წარმოება 3 მლნ. ტონას აღემატება, აქედან 2 მლნ. ტონაზე მეტს ამზადებს სენეგალი და ჩრდილოეთ ნიგერია. აღნიშნული ზონის ზოგიერთი ქვეყნისათვის ანალოგიურ როლს თამაშობს აგრეთვე ბამბის კულტურაც.

რეგიონის ქვეყნებში მეცხოველეობის მომთაბარე ხასიათი აქვს, მათი ეფექტიანობა დამოკიდებულია საძოვრების პროდუქტიულობაზე. ჰყავთ ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, რომელიც გამოირჩევა ამტანუნარიანობითა და დაბალი პროდუქტიულობით. მეცხოველეობა უმთავრესად წარმოდგენილია რეგიონის ქვეყნების შიდა გვალვიან ზონებში, სახელდობრ, სალეხის სარტყლის ნახევრად უდაბნო ზონაში და მშრალ რეგიონებში. მესაქონლეობას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, მათი პირველადი პროდუქცია ადგილზე მოიხმარება, მხოლოდ ზოგიერთი სახის პროდუქტი გააქვთ შიდა ბაზარზე, ძირითადად ქალაქებში, ყველი, მატყლი, ტყავი, იშვიათად ხორცი. აღსანიშნავია, რომ ხორცი და ხორცის პროდუქტები. აგრეთვე რძის ფხვნილი, ზღვისპირა ქალაქებს შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან.

დასავლეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საერთო რაოდენობა 18—25 მილიონამდეა, ცხვრები— 70—80 მილიონი, თხა—10 მილიონი, აქლემი—1 მილიონზე მეტი, ჰყავთ აგრეთვე ამავე რაოდენობის ცხენი და ვირი.

მეფრინველეობა წარმოდგენილია წვრილგლეხურ მეურნეობებსა და მსხვილი ქალაქების საგარეუბნო ზონაში, სადაც ამ დარგს საერეწველო ხასიათი აქვს.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის ქვეყნებში ჯერ კიდევ ცუდად დგას სასოფლო-სამეურნეო წარმოების აგროტექნიკური და პირუტყვის ვეტერინარული მომსახურება, მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის უნივერსიტეტები უშვებენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებიც მხოლოდ 20—25% აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. გაიხსნა რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კვლევის სამეცნიერო ცენტრი, მაგრამ მათი კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის დონე ჯერ კიდევ დაბალია.

რეგიონის მოსახლეობის კვების ბალანსში გარკვეული ადგილი უჭირავს მეთევზეობას, რომელიც აქაური მოსახლეობის საქმიანობის ტრადიციულ დარგს წარმოადგენდა უხსოვარი დროიდან. თევზჭერას ეწევიან როგორც მიმდებარე ზღვის, ისე, შიდა წყლებში. ბოლო პერიოდში დაიწყეს სამრეწველო მეთევზეობა, შეიქმნა სპეციალური ფლოტილიები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ლიბერია, სპილოს ძვლის ნაპირი, ნიგერია და სხვ.

ნიგერია

ნიგერია არა მარტო რეგიონის, არამედ აფრიკის უდიდესი ქვეყანაა, ამიტომ მიზანშეწონილია მისი სოფლის მეურნეობის ზოგადი განხილვაც. ნიგერიის ტერიტორია 924 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—70 მლნ. დედაქალაქია—ლაგოსი. ნიგერიამ დამოუკიდებლობა 1960 წელს გამოაცხადა, მანამდე იგი ინგლისის კოლონიას წარმოადგენდა.

ნიგერია აგრარული ქვეყანაა, სადაც კარგადაა განვითარებული ნავთობმოპოვებაც. სოფლის მეურნეობა ნიგერიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის არსებობის წყაროს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 65%. ჭარბობს წვრილგლეხური მეურნეობები, გავრცელებულია აგრეთვე თემური წყობის მიწათმოქმედებაც, ჩრდილოეთ პროვინციებში არსებობს ფეოდალური მეურნეობებიც. იმ რაიონებში, სადაც მოჰყავთ საექსპორტო კულტურები, განვითარებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები. მაგალითად, იქ სადაც მოჰყავთ კაკაო, გლეხური მეურნეობები ფლობენ ერთ ჰექტარამდე ფართობს და კაკაოს წილად მოდის მთელი ფართობის 1/5.

ნიგერია ფლობს საკმაო რაოდენობის მიწის ფონდებს, მაგრამ მათი გამოყენება არასრულყოფილია. დამუშავებაშია საერთო მიწის ფონდების მხოლოდ 1/4, ამდენივე უჭირავს საძოვრებსაც. ყველაზე

ნაკლებად გამოყენებულია მიწები ჩრდილოეთ პროვინციებში, სადაც მიწათმოქმედება თითქმის შეუძლებელია ხელოვნური მორწყვის გარეშე, დღეისათვის სარწყავი მიწების ხვედრითი წილი უმნიშვნელოა.

ნიგერიის ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა აწარმოოს ყველა ის კულტურა, რომელიც გავრცელებულია რეგიონის ქვეყნებში. ნიგერიელი გლეხები, ისევე როგორც რეგიონში ყველგან, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს ასრულებენ მთელი წლის განმავლობაში. თითოეულ ზონაში არსებობს კულტურათა მოყიგეობის ტრადიციული სქემები, რომლებიც იმ რაიონებისათვის ყველაზე ხელსაყრელია.

ქვეყნის სათესი ფართობის უდიდესი ნაწილი უჭირავს სასურსათო კულტურებს: მანიოკს, ბატატს, იამსის, სორგოს, ფეტეს და სხვ. კარგ მოსავალს იძლევა მანიოკი, მაგრამ მოითხოვს დიდი რაოდენობით ტენს. ბატატი უმთავრესად მოდის მსუბუქ ქვიშნარ ნიადაგებზე, რომლებიც საკმაო რაოდენობით შეიცავენ ჰუმუსს. ნიგერიის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია ბრინჯის წარმოება, რომელიც განვითარებულია მდინარეთა ხეობებში. არსებობს მსხვილი მეურნეობებიც, რომლებიც წარმატებით იყენებენ თანამედროვე ტექნიკას. ამავე ზონაში მოჰყავთ აგრეთვე შაქრის ლერწამი, თამბაქო და სხვა კულტურები, ზოგიერთ ნაკვეთზე ბრინჯი მოჰყავთ მორწყვის გარეშეც. მაგალითად, ქვეყნის სამხრეთ რაიონებში იგი არ მოითხოვს მორწყვას. ბრინჯი ხშირად მოჰყავთ სიმინდის კულტურასთან ერთად შეთესილი, ამ რაიონებში ატმოსფერული ნალექები საკმაოდ დიდია და იგი 1200—1700 მმ-ს შეადგენს, რაც საკმარისია ბრინჯის კულტურისათვის. სოფლის მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს შაქრის ლერწამი, აგრეთვე მებოსტნეობა, ნესვილეობა და სხვ.

ნიგერის ძირითადი საექსპორტო კულტურებია: ზეთოვანი პალმა კაკაო, არახისი და კაუჩუკი. 60-იან წლებში პირველი სამი კულტურის წილად მოდიოდა ნიგერიის ექსპორტის 70%-ზე მეტი. მომდევნო წლებში მათი ხვედრითი წონა შემცირდა ნავთობის აღმოჩენასთან დაკავშირებით, თუმცა იმ პროდუქტების რაოდენობა, რომელიც ექსპორტზე გადის, ეანზრდება.

ნიგერიისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პალმის ზეთის მცენარეს, რომელიც მოსავალს იძლევა 5—6 წლის ასაკიდან. ქვეყანა ამზადებს დაახლოებით 600 ათას ტონა ზეთს, რომლის

დიდი ნაწილი გამოიყენება ქვეყნის შიგნით, ხოლო 1/3 გადის ექსპორტზე.

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გაშენდა აქ კაკაოს პირველი პლანტაციები. მომდევნო პერიოდში იგი მიატოვეს, რადგან თავდაპირველი პლანტაციები გაწყვეტილი იყო კაკაოსათვის უვარგის მიწებზე. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაშენდა ახალი პლანტაციები და კაკაო გახდა მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო. დღეისათვის ნიგერიას მსოფლიო ბაზარზე გააქვს 240 ათასი ტონა კაკაოს მარცვალი, რაც მსოფლიოს ექსპორტის 1/6 შეადგენს. კაკაო ძირითადად გააქვთ აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ნიდერლანდებში და გერმანიაში.

შემოსავლიანი კულტურაა არახისიც, XX საუკუნეში მსოფლიოში გაიზარდა მოთხოვნილება არახისის ზეთზე, რომელსაც ფართოდ იყენებენ მსუბუქ მრეწველობაში. არახისი ვახდა მნიშვნელოვანი საექსპორტო კულტურა, ამზადებენ დაახლოებით 750 ათას ტონა პროდუქციას, რაც მსოფლიოში მეექვსე მაჩვენებელია. მოსავლის 1/3 მოიხმარება ქვეყნის შიგნით, დანარჩენი გადის ექსპორტზე, უმთავრესად გადამუშავებული სახით.

ნიგერიაზე მოდის აფრიკაში წარმოებული კაუჩუკის 2/5, ამზადებენ დაახლოებით 100 ათას ტონამდე ნატურალურ კაუჩუკს, რომლის 2/3 მოიხმარება ქვეყანაში, ხოლო 1/3 გადის ექსპორტზე. კარგადაა წარმოდგენილი ბამბა, წარმოებული პროდუქციის უდიდესი ნაწილი მოიხმარება ქვეყნის შიგნით.

ისევე როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებში, ნიგერიაში მეცხოველეობა გამოყოფილია მიწათმოქმედებისაგან, სადაც თითქმის არ გამოიყენება ცოცხალი გამწევი ძალა. ხოლო მეცხოველეობის რაიონებში ძირითადად არ ამუშავებენ მიწას. ძირითადი ჯოგი ჰყავთ ე. წ. სუდანის სავანაში, სადაც არ არის ბუზი ცეცე. ქვეყანაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 12 მილიონია, ამ მაჩვენებლით იგი რეგიონის ყველა ქვეყანაზე წინ დგას. მეცხოველეობა მეხორცული მიმართულებისაა. მსხვილფეხა რქოსანი წარმოდგენილია ზებუს ჯიშის პირუტყვით. იგი მომთაბარული ხასიათისაა. მხოლოდ დედაქალაქ ლაგოსის გარეუბნებში არის რამდენიმე ტიპის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც მერძეული მიმართულებისაა. ხორცის ძირითადი მომხმარებელია დიდი ქალაქები.

ქვეყანაში თითქმის ყველგან ჰყავთ ცხვრისა და თხის ფერმები, რომელთა საერთო რაოდენობა 32 მილიონს აღემატება. განსაკუთრებით ფასობს ცხვრის (ძირითადად ბატკნის) ხორცი და ტყავი. ნი-

ნერიაში განსაკუთრებული ჯიშის ცხვარია, რომელსაც მოწითალო ტყავი აქვს. ქვეყანას საკმაო დიდი რაოდენობით გააქვს ტყავი მსოფლიო ბაზარზე. დიდი რაოდენობით ამზადებენ ცხვრის ყველს, რომელსაც სასაქონლო სახე აქვს.

ჩრდილოეთით ჰყავთ ნახევარ მილიონამდე აქლემი და ცხენი.

განვითარებულია მეთევზეობა, მათ შორის შიდა წყლებში, შეიქმნა სპეციალური ფლოტილიები, ბოლო 20 წლის განმავლობაში ზღვისპირა მოსახლეობის კვების ბალანსში გაიზარდა თევზის პროდუქციის ხვედრითი წილი.

აღმოსავლეთი აფრიკა

აღმოსავლეთი აფრიკა თავისი ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდება კონტინენტის სხვა რეგიონებისაგან, რაც იმითაა გამოწვეული, რომ იგი ზღვის დონიდან 1000 — 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ამიტომ ამ რეგიონს ხშირად უწოდებენ „მაღლივ აფრიკას". აქ მდებარეობს აფრიკის უმაღლესი მწვერვალები: კილიმანჯარო (5895 მ) და კენია (5194 მ). მთები ვულკანური წარმოშობისაა, ხშირია მიწისძვრები.

რეგიონის უდიდესი ნაწილი მდებარეობს ჩრდილოეთ და სამხრეთ სუბეკვატორულ კლიმატურ სარტყელში. ეკვატორული მთიანი მძლავრი წლის განმავლობაში იღებს 3000 მმ ნალექს, ხოლო შედარებით დაბლობი რაიონები — 1000 მმ-მდე. რეგიონის საზღვარი მატერიკზე ემთხვევა აფრიკის მთავარ წყალგამყოფ ქედებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ქვეყნების სამეურნეო საქმიანობისათვის. მდინარეთა ჰიდროენერგიის მარაგი დიდია, რეგიონში ბევრია ტბები, მათ შორის ტბა ვიქტორია. თითქმის ყველგან საშუალო წლიური ტემპერატურა +20°-ია, ხოლო მაღალმთიან ზონაში ეს მაჩვენებელი +14°-ია.

აღმოსავლეთ აფრიკაში გავრცელებულია ტყის ყავისფერი, რუხი-მოწითალო, ხოლო აღმოსავლეთით—ხირხატი ნიადაგები. მცენარეული საფარი მდიდარია. წარმოდგენილია როგორც წიწვოვანი, ისე ფოთლოვანი ხეები, სამხრეთით არის მარადმწვანე ჯუნგლები. აფრიკის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთ აფრიკის კლიმატი მეტად ხელსაყრელია ადამიანის ცხოვრებისათვის (შედარებით გრილი ჰავა, ზომიერი ზამთარი და ხელსაყრელი მცენარეული საფარი). რეგიონში ბევრია საქვეყნოდ ცნობილი ნაკრძალები,

რომლებშიც დაცულია აფრიკის ფლორისა და ფაუნის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლები.

მოსახლეობა ჭრელია. წარმოდგენილია რამდენიმე რასა, რომელთა შიგნით მრავალმხრივი ეთნიკური დაჯგუფებებია. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 21 კაცს უდრის. ძირითადია სოფლის მოსახლეობა (80%-ზე მეტი), თუმცა ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მაღალი ტემპით იზრდება ქალაქის მოსახლეობაც, რასაც ხელი შეუწყო მრეწველობის განვითარებამ. რეგიონში აღმოჩენილია სასარგებლო წიაღისეულის საკმაოდ დიდი მარაგი, აქ არსებობს ცნობილი „სპილენძის სარტყელი", რომელიც ზამბიის სახელმწიფოში მდებარეობს. ყოველწლიურად დაახლოებით 700 ათასი ტონა რაფინირებული სპილენძი მზადდება.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ რეგიონის ცალკეული სახელმწიფოების სოფლის მეურნეობას.

ეთიოპია

ეთიოპია აფრიკის უძველესი ქვეყანაა, მისი ტერიტორია 1,2 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—35 მილიონი. დედაქალაქია — ადის-აბება. 1974 წლის რევოლუციის შემდეგ ქვეყანა სოციალისტური გზით წავიდა, მაგრამ 1989 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ეთიოპია დაადგა თავისუფალი მეწარმეობის გზას:

ეთოპია აგრარული ქვეყანაა, სოფლის მეურნეობაზე მოდის ნაციონალური შემოსავლის 2/3. წარმოებას ჯერ კიდევ ნატურალური სახე აქვს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 80% მოიხმარება უშუალოდ მწარმოებლების მიერ და მხოლოდ 20% ხვდება ბაზარზე. 1974 წლამდე ქვეყანაში გავრცელებული იყო ფეოდალური მიწათმფლობელობა, რომელთა ბაზაზეც შემდეგ ჩამოყალიბდა სახელმწიფო მეურნეობები. ბევრია უმიწაწყლო და მცირემიწიანი გლეხები, გავრცელებულია საიჯარო ფორმა, რომელსაც ნატურალური ხასიათი აქვს. 1975 წელს გატარებულმა რეფორმამ ფეოდალური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია მოახდინა — დადგინდა მიწის ფლობის მაქსიმალური ოდენობა 10 ჰექტარის მოცულობით. შეიქმნა გლეხური კოოპერატივები და გაერთიანებები.

ძირითადი სასურსათო კულტურებია — მარცვლეულიდან: სორგო, სიმინდი, ხორბალი, ქერი, ჭვავი, ბრინჯი, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პარკოსნებს და ზეთოვან კულტურებსაც. სათესი ფართობის 80% უჭირავს მარცვლოვან კულტურებს, რომელთა მოსავალი

იმდენად დაბალია, რომ ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებსაც ვერ იკმაყოფილებს, დღემდე ეწევიან სურსათის შემოტანას, რომლის დეფიციტიც ხშირად იწვევს მასიურ შიმშილობას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ყავას, რომელიც ძირითადი საექსპორტო კულტურაა. ეთიოპია ითვლება ყავის სამშობლოდ. მისი ერთ-ერთი პროვინციაა კეფე. ყავის წარმოებას და რეალიზაციაში დასაქმებულია 5 მილიონზე მეტი კაცი. სელექციური მუშაობის შედეგად (რომელშიც მონაწილეობდნენ ფრანგი და იტალიელი მეცნიერებიც) მიღებულია ყავის ხე-მცენარე, რომელიც 30%-მდე ზრდის მოსავლიანობას და ამავე დროს არის დაავადებაგამძლეც. ყავის წარმოება 1 მლნ. ტონას აღწევს, რომლის 90% მიდის ექსპორტზე. მოყავთ აგრეთვე ბოსტნეული, კერძოდ პამიდორი, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, კიტრი, გოგრა; ბოსტნეული მოჰყავთ მთელი წლის განმავლობაში. განვითარებულია მეხილობაც მოჰყავთ ფორთოხალი, ლიმონი, მანდარინი, ბროწეული, ბანანი, მათი ნაწილი გააქვთ საექსპორტოდ.

თუ ვიმსჯელებთ მოსახლეობის სულადობის მიხედვით, ეთიოპიას ერთ სულზე პირუტყვის რაოდენობით პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში, მაგრამ პირუტყვის პროდუქტიულობით ერთ-ერთი ბოლო ადგილი. 1980 წლის მონაცემებით (რომლებიც დინამიკაში თითქმის არ იცვლება) ქვეყანაში ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი 27 მილიონი, ცხვარი და თხა — 40 მლნ. ღორი — 15 მლნ. ცხვარი ძირითადად მეხორცული მიმართულებისაა, მხოლოდ ჩრდილოეთ პროვინციებში ჰყავთ ნაზმატყლიანი პირუტყვი. მეცხოველეობის პროდუქტებიდან საექსპორტოდ გააქვთ: მატყლი, ტყავი, ძვალი. პროდუქტიულობა დაბალია, წლიური წველადობა ერთ ფურზე 700—800 ლიტრს არ აღემატება. ხშირია ხიკვდილიანობის შემთხვევები, რაც გამოწვეულია უნალექობით.

ბევრია მუშა პირუტყვიც, კერძოდ ცხენი და აქლემი, რომლებიც გამოიყენებიან აგრეთვე გადაადგილებისათვისაც. კარგადაა განვითარებული მეფუტკრეობა, თაფლი და სანთელი გააქვთ ექსპორტზე.

ეთიოპია, აფრიკის უმრავლესი ქვეყნების მსგავსად, სისტემატურად იღებს ჰუმანიტარულ დახმარებას —სურსათის სახით, მიუხედავად ამისა ცხოვრების დონით იგი ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა მსოფლიოში.

ჯიბუტი

ჯიბუტი რეგიონის ერთ-ერთი პატარა სახელმწიფოა, რომლის ტერიტორია 22 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—220 ათასი. დედაქალაქია — ჯიბუტი. ქვეყნის ბუნებრივი პირობები არ არის ხელსაყრელი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, არაუედ ადამიანის საყოფაცხოვრებო საქმიანობისათვისაც. მიწათმოქმედებისათვის ვარგისია მხოლოდ 7 ათასი ჰექტარი მიწა. ძირითადი დარგია მეცხოველეობა; ბევრი მეჯოგე იძულებულია გამოიყენოს მეზობელი ქვეყნის — ეთიოპიის საძოვრები. ერთადერთი პროდუქცია, რომელიც გააქვთ საზღვარგარეთ — ტყავია. ქვეყანა ეწევა თითქმის ყველა სახის სურსათის იმპორტს.

სომალი

სომალი მდებარეობს ინდოეთის ოკეანისა და ადენის ყურის შესაყარზე, მისი ტერიტორია 638 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—4 მლნ. დედაქალაქია — მოგადიშო. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისია ქვეყნის ტერიტორიის 60%. მიწათმოქმედებისათვის, მორწყვის გარეშე, ვარგისია 8 მილიონი ჰექტარი, რომლისგანაც მუშავდება 12%. სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი ქვეყნის ნაციონალურ პროდუქტში 80%-ს აღემატება. აქტიური მოსახლეობის 85% დასაქმებულია სოფლის მეურნეობასა და სატყეო წარმოებაში. განვითარებულია წვრილგლეხური მეურნეობები, რომელთა მფლობელობაშია 1 ჰექტარამდე სარწყავი და 3 ჰა-მდე ურწყავი მიწები; მოჰყავთ სორგო, სიმინდი, არაბისი, პარკოსნები. წარმოდგენილია საექსპორტო კულტურებიც, რომლებიც მსხვილ, ყოფილ პლანტატორულ მეურნეობებშია განვითარებული. ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა ბანანი, რომლის 110—120 ათასი ტონა საექსპორტოა, ურწყავი მიწების რაოდენობა 600 ათას ჰექტარამდეა. რომელზეც ძირითადად მოჰყავთ მარცვლეული. საერთო წარმოება 140 ათას ტონას არ აღემატება, რაც ქვეყნის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს: ყოველწლიურად შემოაქვთ 350—400 ათასი ტონა, ძირითადად, სასურსათო მარცვლეული. ქვეყანაში 3 მილიონზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, 2,2 მილიონი—ცხვარი, 5 მილიონამდე—თხა, 2 მლნ.-მდე — აქლემი. ცოცხალი პირუტყვი გაჰყავთ ექსპორტზე. სასურსათო პროდუქციის იმპორტი და სასოფლო-სანეურნეო პროდუქციის ექსპორტი თითქმის აბალანსებს ერთმანეთს.

კენია

კენია რეგიონის შედარებით განვითარებული ქვეყანაა, მისი ტერიტორია 582 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა —6 მლნ. დედაქალაქია —ნაირობი. ეკონომიკაში წამყვანია სოფლის მეურნეობა, სულ უფრო იზრდება მრეწველობის როლი და მნიშვნელობაც. სოფლის მეურნეობაში იქმნება ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის 38—40%. ქვეყანას უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში პირეტრუმის წარმოებით (15 ათასი ტონა) და მეხუთე — ჩაის წარმოებით (100 ათას ტონაზე მეტი ხმელი ჩაი). გარდა ამისა, აწარმოებენ ისეთ იშვიათ კულტურას, როგორიცაა სიზალი (35 ათასი ტონა), მოჰყავთ ხორბალი (200 ათასი), სიმინდი (1,8 მლნ. ტონა). მთავარი საექსპორტო კულტურაა ყავა (საშუალო წლიური წარმოება 80 ათას ტონამდეა). დიდი რაოდენობით გააქვთ ჩაი (წარმოებული პროდუქციის 80%) და ყავა (70%), მათ წილად მოდის სავალუტო შემოსავლის 60%. ყავის პლანტაციები წარმოდგენილია მსხვილი მეურნეობების სახით, ხოლო ჩაი გაშენებული აქვთ გლეხურ მეურნეობებშიც.

კენიის მეცხოველეობაზე მოდის სოფლის მეურნეობის შემოსავლების 1/3. ქვეყანაში 8 მლნ.-მდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია. ჰყავთ 8,5 მლნ. ცხვარი და თხა, 550 ათასამდე—აქლემი, აგრეთვე — ხენეშებიც. ქვეყნის ტერიტორიის 70% უვარგისია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, განიცდიან საძოვრების დეფიციტს, ამიტომ პირუტყვის ნაწილი ბაგურ კვებაზე ჰყავთ. ქვეყანა საკუთარი წარმოებით ძირითადად იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს.

უგანდა

უგანდას უწოდებენ აფრიკის მარგალიტს, ქვეყანა გ

ტურას უკავია 200 ათასი ჰექტარი ფართობი. საერთო მოსავალი 120 ათასი ტონაა, რომლის 85% გააქვთ ექსპორტზე. მეორე საექსპორტო კულტურაა — ბამბა, რომელიც გაშენებულია 550 ათას ჰექტარზე, წარმოებული პროდუქციის 80% გადის ექსპორტზე ნედლეულის სახით. ხელსაყრელი პირობებია მეჩაიეობის განვითარებისათვის, რომელიც მოჰყავთ მსხვილ მეურნეობებში, აწარმოებენ 20 ათასამდე ტონა ხმელ ჩაის, რომლის ნახევარიც გააქვთ ექსპორტზე. ქვეყნის კლიმატი ხელსაყრელია შაქრის ლერწმის წარმოებისათვის, რომელსაც უკავია 20 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. შაქრის პროდუქცია მოიხმარება შიდა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გარდა ამისა მოჰყავთ ბანანი, ციტრუსები, არაბისი. სასურსათო კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი, რომელიც წარმოდგენილია 500 ათას ჰექტარზე, ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს ჩვენთვის უცნობ კულტურას კიუგას (1,4 მლნ. ჰა), ფეტვს უჭირავს 600 ათასი ჰა, სორგო წარმოდგენილია 300 ათასი ჰა. და ა. შ. განვითარებულია პარკოსანი კულტურები. მემცენარეობის პროდუქტებით ქვეყანა იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს. მეცხოველეობას არა აქვს საგანგებო ხასიათი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 4 მლნ. სულია, ჰყავთ აგრეთვე 2 მლნ-მდე — თხა, 1,2 მლნ.-მდე — ცხვარი, აქლემი და სხვა. პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. მეცხოველეობის პროდუქტები შემოაქვთ, კერძოდ: ხორცი, კვერცხი, კარაქი, რძე და რძის პროდუქტები.

ტანზანია

ტანზანიის ტერიტორია 945 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—20 მლნ. დედაქალაქია დარეს-სალამი. ტანზანია განვითარებადი ქვეყანაა, სადაც ძლიერია უცხოური კაპიტალის გავლენა. ქვეყნის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სოფლის მეურნეობაში მთავარია მემცენარეობა, რომლის პროდუქციის ღირებულება რამდენჯერმე აღემატება მეცხოველეობის პროდუქციისას. ნათესებსა და მრავალწლიან ნარგავებს უჭირავთ ქვეყნის ტერიტორიის 10%, სათიბ-საძოვრების წილად მოდის 50%. ნათესების და ნარგავების ფართობი 6 მლნ. ჰა, მათ შორის მარცვლეულზე მოდის 2 მლნ. ჰა, ძირხვენა კულტურებზე — 1 მლნ. ჰა-მდე. ძირითადი საექსპორტო კულტურაა ყავა, ბამბა, აგავა, აკაჟუ, ჩაი, ქოქოსის პალმა, სასურსათო კულტურებია — სიმინდი, ფეტვი, სორგო, ბატატი, ბანანი, პარკოსანი და ზეთოვანი კულტურები, მარცვლეულის მოსავლ-

იანობა დაბალია, საერთო წარმოება არ აღემატება 2,6 მლნ. ტონას. მეცხოველეობაში წამყვანია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომლის სულადობა 15 მლნ. ჰყავთ 5 მლნ-მდე თხა, 3 მლნ-მდე ცხვარი, წარმოდგენილია მეფრინველობაც. მეცხოველეობას აქვს მომთაბარე ხასიათი. აწარმოებენ: 60 ათას ტონამდე ყავას, რომლის 90% გააქვთ ექსპორტზე, 150—180 ათას ტონამდე ბამბას, რომლის ნახევარი �ექსპორტია, დიდი რაოდენობით გააქვთ ხილი, ნატურალური და გადამუშავებული სახით. ქვეყანას შემოაქვს სასურსათო მარცვლეული, ძირითადად ხორბალი.

რუანდა

რუანდა პატარა აფრიკული ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 26,5 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—5 მლნ.-მდე, დედაქალაქია — კიგალი. ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 96% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. რუანდის ექსპორტის 60% მოდის ყავაზე, რომლის წარმოება 30 ათასი ტონაა. გარდა ამისა მოჰყავთ ბამბა, თამბაქო, ექსპორტზე გააქვთ ხილი. სასურსათო კულტურებია: ხორბალი, სორგო, რომელთა საერთო წარმოება 400—450 ათ.ტონაა წელიწადში. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული, ჰყავთ 800 ათასამდე სული ძროხა, 1,8 მლნ.—ცხვარი, 900 ათასამდე სული—თხა. ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი.

ბურუნდი

ბურუნდი აფრიკის პატარა ქვეყანაა, ტერიტორია 28 ათ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—4,5 მლნ. დედაქალაქია — ბუჟუმბურა. ბურუნდიც აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა იძლევა ნაციონალური შემოსავლის 2/3 და ექსპორტის —95%. მათ შორის ყავას შემოაქვს ვალუტის 80%. გლეხური მეურნეობების სიდიდე 0,2 ჰა-ს არ აღემატება. ყავის საშუალო წლიური წარმოება 24 ათასი ტონაა. ძირითადი სასურსათო პროდუქტია ბანანი, რომელსაც 0.7 მლნ. ტ-მდე აწარმოებენ წელიწადში. მოჰყავთ აგრეთვე სიმინდი სორგო, მანიოკი, ბატატი, ლობიო. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია თამბაქო და არახისი. მეცხოველეობა სუსტადაა წარმოდგენილი, ჰყავთ 500 ათასამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 300 ათასამდე—ცხვარი. ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული (ფქვილის სახით), რძე და რძის პროდუქტები.

ზამბია

ზამბიას უჭირავს 753 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—6 მლნ. დედაქალაქია ლუსაკა. ზამბია რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკურად შედარებით უკეთაა განვითარებული, რასაც ხელი შეუწყო ქვეყანაში სამთო მრეწველობის განვითარებამ. ზამბია აწარმოებს 700 ათას ტონამდე სპილენძს, რომელიც იძლევა ნაციონალური შემოსავლის ნახევარს, ხოლო ექსპორტის 90%. მოსახლეობის 2/3 დაკავებულია სოფლის მეურნეობით. მემცენარეობას უკავია დაახლოებით 5 მლნ. ჰა მიწის ფართობი. ქვეყნის ტერიტორიის 6,6%—30 მლნ. ჰა უჭირავს საძოვრებს, 37 მლნ. ჰა — ტყეებს. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: მაისი, საერთო მოსავალი—1 მლნ. ტ-მდე, მანიოკი — 170 ათ. ტონა, სორგო —46 ათასი ტონა, მიწის თხილი—30 ათ. ტონა, თამბაქო 7,.5 ათ. ტონა, შაქრის ლერწამი—950 ათ. ტონა. განვითარებულია მებოსტნეობა, მეცხოველეობა სუსტადაა წარმოდგენილი, ჰყავთ 1 მლნ. სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, თხა და ცხვარი—6 მლნ. სული. ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული და მცენარეული ზეთი.

მალვია

მალვიის ტერიტორია 12 ათასი კვ კმ-ია, მოსახლეობა — 6 მლნ. დედაქალაქია—ლილონგვე. ეკონომიკის ტრადიციული დარგია სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედებაზე მოდის ტერიტორიის 27%, სათიბ-საძოვრებზე — 20%. მიწათმოქმედებიდან წამყვანია ერთწლიანი კულტურები. მოჰყავთ სიმინდი, სორგო, წიწიბურა, პარკოსნები. ძირითადი სასაქონლო კულტურაა მაისი, რომელსაც ნათესების 40% უჭირავს. იგი ძირითადად მოიხმარება ქვეყნის შიგნით და ძირითადად უშუალოდ მწარმოებლის მიერ. გარდა ამისა აქვთ ბრინჯის ნათესებიც, მოჰყავთ ბატატიც. ტექნიკური კულტურებიდან წარმოდგენილია შაქრის ლერწამი, ჩაი, თამბაქო, ბამბა, არახისი. მზა ჩაი გააქვთ საზღვარგარეთ (საერთო წარმოების 80%), გარდა ამისა, ამზადებენ ტუნგოს ზეთს, რომელიც ავრეთვე გააქვთ ექსპორტზე. მეცხოველეობას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი —900 ათასი სული, ცხვარი და თხა—2,5 მილიონი სული, აქლემი—100 ათასი სული და სხვა. განვითარებულია მეფრინველეობა. ქვეყანას შემოაქვს საკმაოდ დიდი რაოდენობით მარცვლეული (ფქვილის სახით), მცირე ოდენობით მეცხოველეობის პროდუქტები.

ცენტრალური აფრიკა

ცენტრალური აფრიკის გეოგრაფიული რეგიონი ფოიცავს მატერიკის ტერიტორიის დიდ ნაწილს, ჩრდილოეთით ტროპიკებიდან, სამხრეთით—ანგოლის ნახევრად უდაბნოებამდე, რაც თითქმის ემთხვევა ეკვატორული აფრიკის სივრცეს. ცენტრალური აფრიკა მოიცავს შემდეგ სახელმწიფოებს: კამერუნი (ტერიტორია — 475 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—8 მლნ.), ჩადის რესპუბლიკა (ტერიტორია—1284 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—4 მლნ.), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ტერიტორია—623 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა — 3 მლნ.), ეკვატორული გვინეა (ტერიტორია—28 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—330 ათ.), სან-ტომე და პრინსიპი (ტერიტორია—964 კვ. კმ. მოსახლეობა—80 ათასი), გაბონი (ტერიტორია—268 ათასი კვ. კმ, მოსახლეობა—1 მლნ.), კონგო (ტერიტორია—342 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—1,5 მლნ.), ზაირი (ტერიტორია—2345 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—28 მლნ.) ანგოლა (ტერიტორია—1246 ათასი კვ. კმ. მოსახლეობა—6,5 მლნ.).

რეგიონის ტერიტორიაზე მდებარეობს მთები, წარმოდგენილია დაბლობებიც, ცვალებადია კლიმატი, ბუნებრივი კონტრასტები ამ უკანასკნელით ყველაზე მეტად არის გამოკვეთილი. ჩრდილოეთი ნაწილი უჭირავს უდაბნოებს, აქვე მდებარეობს უდაბნოსწინა ტროპიკული ზოლიც, ამ მაჩვენებლით ყველაზე მეტად გამოკვეთილია ცენტრალური ნაწილი, რომელიც ეკვატორის ორთავე მხარეს მდებარეობს, იგი ეკვატორული კლიმატის ზონაა, სადაც მთელი წლის განმავლობაში ცხელი და ტენიანი ჰაერია. ყველაზე ცხელი თვის—მარტის საშუალო ტემპერატურა 28°-ია, ხოლო ყველაზე „გრილი"—თვის—აგვისტოს—25°. წვიმები მთელი წლის განმავლობაში მოდის თანაბრად, ნალექების საშუალო წლიური მაჩვენებელი 2000 მმ-ია, აქ მდებარეობს რეგიონის ყველაზე ტენიანი რაიონი (კამერუნის სამხრეთით), სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 10000 მმ-ს აღწევს.

ეკვატორული ზონის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარეობს სუბეკვატორული კლიმატის ზონა, სადაც გამოკვეთილია ორი სეზონი—მშრალი და წვიმიანი, პირველი მაგალითი მოდის „ზამთარზე", ხოლო მეორე—„ზაფხულზე", ნალექების რაოდენობა მერყეობს 600-დან 1500 მმ-მდე. წლიური ტემპერატურული ცვლილებები მერყეობს 15°-დან 25°-მდე.

ატმოსფერული ნალექები ყველაზე უხვად მოდის ე. წ. „აფრიკის გულში", რომელიც მოიცავს მდინარე კონგოს აუზს. იგი აფრიკის

კონტინენტის ერთ-ერთი უდიდესი მდინარეა, მისი სიგრძე 4320 კმ-ია, ხოლო წყლის აუზი მოიცავს 3,7 მლნ. კვ. კმ. ამავე რეგიონში მდებარეობს ჰაობები, რომლებიც საკმაოდ დიდ სივრცეებს მოიცავენ.

კონტრასტულია კლიმატი, რეგიონის ჩრდილოეთით, სადაც მდინარეები თითქმის არ არის, ნალექების რაოდენობა 300—350 მმ-ს არ აღემატება, ტემპერატურა ცვალებადია, იგი ძლიერი დღე-ღამური აპლიტუდით ხასიათდება.

ნიადაგობრივი საფარი დამოკიდებულია ტენიანობაზე. ეკვატორული კლიმატის ზონაში, სადაც მარადმწვანე ტროპიკული ტყის დიდი მასივებია, გავრცელებულია რუხი ნიადაგები, ჩრდილოეთით უდაბნოს ტიპის ხირხატიანი ნიადაგებია, სამხრეთით ვხვდებით ყავისფერ და წითელმიწებს, ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია მლაშე მიწები.

რეგიონი დასახლებულია ნეგროიდული რასის ტიპური წარმომადგენლებით, გვხვდებიან ევროპელებიც. აფრიკული მოსახლეობა ბევრ ეთნოჯგუფს შეიცავს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ენითა და ზნე-ჩვეულებებით. რეგიონის მოსახლეობის 80% ცხოვრობს სოფლად და დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო შრომით. სიმჭიდროვე 10—12 კაცია, გვხვდება რეგიონები, სადაც ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. ურბანიზაციის დონე დაბალია (7—20%).

ცენტრალური აფრიკის ქვეყნები ეკონომიკური განვითარების დონით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან, თუმცა თითქმის ყველა მათგანში მიწათმოქმედება და მეცხოველეობა ჯერ კიდევ რჩება მოსახლეობის 80%-თვის არსებობის მთავარ წყაროდ. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ძირითადად ნატურალური ხასიათი აქვს, თითქმის არ ხდება წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, რასაც ხელს უწყობს საგზაო კომუნიკაციებიდან დიდი მანძილით დაშორება. წარმოებული პროდუქციის მომხმარებლები ისევ მწარმოებლები არიან. მხოლოდ მცირე ოდენობით ხდება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქციის ურთიერთგაცვლა.

მიწათმოქმედების საფუძველია საახოო სისტემა, რომელიც ეფუძნება მიწების ნაყოფიერების ბუნებრივ აღდგენას. დამუშავებული მიწის ნაკვეთს 2—3 წლის ექსპლოატაციის შემდეგ ტოვებენ და გადადიან სხვა ნაკვეთზე. ერთსა და იმავე თემს მონაცვლეობისათვის ჭირდება საკმაოდ დიდი ფართობი, რომლის რადიუსი ზოგჯერ 500 და მეტ კილომეტრს უდრის.

მიწათმოქმედება წარმოდგენილია გლეხური მეურნეობებით,

რომელთა სიდიდეც 3—5 ჰექტარს არ აღემატება, მათ შორის დასამუშავებლად ვარგისია მიწების მხოლოდ 50—60%. გავრცელებულია მიწათმფლობელობის კოლექტიური ფორმა, რომლის დროსაც ესა თუ ის თემი ფლობს მიწის გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც ამუშავებენ კოლექტიურად. ზოგიერთ თემში მის წევრებს შორის შრომა განაწილებულია შემდეგნაირად: მამაკაცები უმრავლეს შემთხვევაში მონადირეობენ, ქალები დაკავებულნი არიან სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებით და ტყის ნობათის შეგროვებით, ხოლო ნაწილი უვლიან ბავშვებს. წარმოების იარაღები პრიმიტიულია, გამეფებულია ხელით შრომა (იშვიათად იყენებენ ცოცხალ გამწევ ძალას), მოსავლიანობა დაბალია, სტიქიური მოვლენების გამო ხშირია მოსავლის დაღუპვის შემთხვევები. მხოლოდ დიდი ქალაქების სიახლოეს არსებობს მსხვილი, სპეციალიზებული მეურნეობები, რომლებიც საექსპორტო პროდუქციას აწარმოებენ (ყავა, კაკაო, ბანანი), გლეხურ მეურნეობებში მოჰყავთ ფეტვი, სორგო, მანიოკი, ფქვილის ბანანი, მიწის თხილი, პარკოსნები, დიდი რაოდენობით სიმინდი. წარმოებული პროდუქცია საკმარისია მხოლოდ სოფლის მოსახლეობისათვის და უმნიშვნელო რაოდენობით გააქვთ მიმდებარე ქალაქებში.

სასაქონლო წარმოებას, როგორც უკვე იყო აღნიშნული, ეწევიან მსხვილ მეურნეობებში, რომლებიც შეიქმნა ჯერ კიდევ კოლონიურ პერიოდში, თუმცა საექსპორტო პროდუქციას (ყავა, კაკაო) ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებშიც ამზადებენ. ზოგიერთ ქვეყანაში ჯერ კიდევ არიან ევროპელი მიწათმფლობელები, რომლებიც იყენებენ თანამედროვე აგროტექნიკას, მექანიზაციას.

რეგიონის ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის ნობათის შეგროვებას. საკმაო რაოდენობით ამზადებენ ტყის პალმის ზეთს, კაუჩუკს, შაქრის ლერწამს, კაკაოს და სხვა პროდუქციას. გარდა ამისა, ტყიან მასივებში ვხვდებით კულტურულ მიწათმოქმედებასაც, აქვე მოჰყავთ ბამბა, არახისი, ბანანი.

რეგიონის ქვეყნებში წარმოდგენილია მეცხოველეობაც, განსაკუთრებით ჩრდილოეთის პროვინციებში. მისდევენ მეურნეობის ტრადიციულ ფორმებს, კერძოდ მომთაბარე მეცხოველეობას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული აფრიკის ქვეყნებში. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც უმთავრესად ადგილობრივი ჯიშისაა, მხოლოდ დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონებში არის სპეციალიზებული მეცხოველეობის ფერმები, რომლებსაც ევროპიდან შემოყვანილი მაღალპროდუქტიული პირუტყვი ჰყავთ.

ნახევრად უდაბნოს ზონაში წარმოდგენილია მეცხვარეობა, ჰყავთ აგრეთვე თხის ჯოგებიც, ამზადებენ თხისა და ცხვრის ყველს, მატყლის ნაწილი მოიხმარება ადგილზე კუსტარული წარმოებისათვის, ხოლო ნაწილი გაიქვთ ქალაქებში სარეალიზაციოდ. ჰყავთ აქლემებისა და ცხენების ჯოგი, რომლებიც უმთავრესად უდაბნო და ნახევარუდაბნოს ზონებშია გაადგილებული. მეფრინველობა წარმოდგენილია თითქმის ყველა გლეხურ მეურნეობებში, ხოლო საგარეუბნო ზონაში მას სამრეწველო ხასიათი აქვს.

ქვემოთ შედარებით დაწვრილებით შევეხებით რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად მაჩვენებლებს.

კამერუნი

კამერუნის სოფლის მეურნეობაში წამყვანია მიწათმოქმედება, სასურსათო პროდუქციის წარმოებას დიდი ტრადიციები აქვს. მეურნეობა ნახევრად ნატურალურია. წარმოების ძირითადი ფორმაა გლეხური მეურნეობები, რომელთა სიდიდე 1—2,5 ჰექტარამდეა. ძირითადი სასურსათო კულტურებია ფეტვი, სორგო, სიმინდი, არახისი, შაქრის ლერწამი. ამზადებენ აგრეთვე საექსპორტო პროდუქციასაც, კერძოდ ბამბას, ყავას, კაკაოს. მოჰყავთ ბრინჯი, რომელიც ქვეყნისათვის შედარებით ახალი კულტურაა. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გარკვეულ როლს ასრულებს მეცხოველეობა; ჰყავთ 3 მილიონ სულზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 4 მილიონამდე—ცხვარი და თხა, 600—700 ათასი—ღორი, აგრეთვე აქლემები და ცხენები. ქვეყანა ვერ იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს სურსათზე, შემოაქვთ მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები.

ჩადის რესპუბლიკა

ჩადის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა ემსახურება როგორც შიდა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასევე აწარმოებენ საექსპორტო პროდუქციასაც. ძირითადი საექსპორტო კულტურაა ბამბა, მისი წარმოება 190 ათას ტონას უდრის წელიწადში და მთლიანად მიდის ექსპორტზე, უმთავრესად საფრანგეთში. სასურსათო კულტურებიდან მოჰყავთ არახისი, ფეტვი, სორგო, წარმოებას აქვს პრიმიტიული ხასიათი, იგი წვრილგლეხურია, მხოლოდ ბამბის პლანტაციებია წარმოდგენილი მსხვილი მეურნეობების სახით. კარგადაა განვითარებული მეცხოველეობა. ჰყავთ 38 მლნ-მდე მსხვილფეხა რქოსანი

პირუტყვი, 6 მლნ-მდე—ცხვარი და თხა. ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს საკუთარი წარმოებით იკმაყოფილებს.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომელიც წარმოების პრიმიტიული დონით ხასიათდება. ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, თუმცა წარმოების მოცულობის ზრდა თითქმის არ ხდება. სასურსათო კულტურებიდან წარმოდგენილია მანიოკი, სორგო, არახისი. მანიოკი მოჰყავთ ყველგან (800 ათასი ტონა). გავრცელებულია აგრეთვე სიმინდი (300 ათასი ტონა), ბოლო პერიოდში დაიწყეს ბრინჯის მოყვანა (100 ათასი ტონა). აქვთ ციტრუსების ბაღებიც (მანგო, პამპა, ფორთოხალი, ბანანი). მთავარი საექსპორტო კულტურაა ბამბა, რომლის წარმოებაც 60 ათას ტონას შეადგენს, გააქვთ აგრეთვე ყავა, რომელიც მოჰყავთ ევროპელების მიერ გაშენებულ პლანტატორულ მეურნეობებში. მეცხოველეობას დამხმარე ხასიათი აქვს. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი და თხა (მონაცემები პროდუქციის იმპორტის შესახებ არ არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ შემოაქვთ მარცვლეული).

ეკვატორული გვინეა

ეკვატორული გვინეა პატარა ქვეყანაა, რომლის ეკონომიკის ძირითადი დარგია სოფლის მეურნეობა, მოჰყავთ საექსპორტო პროდუქცია — კაკაო, ყავა. ამ კულტურებს უჭირავს 40 ათასი ჰა. აქაური პროდუქცია საუკეთესოდ ითვლება. ყავისა და კაკაოს საერთო წარმოება 30 ათას ტონამდეა. შიდა მოხმარებისათვის მოჰყავთ მანიოკი, არახისი, შაქრის ლერწამი. მეცხოველეობა არ არის განვითარებული, ჰყავთ 3 ათასამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 50 ათასამდე ცხვარი და თხა. ქვეყანას შემოაქვს მარცვლეული და ხორცის პროდუქტები.

სან-ტომე

სან-ტომე კუნძულოვანი პატარა ქვეყანაა, რომელშიც დღესაც შემორჩა მსხვილი კოლონიური მეურნეობები. მაგალითად, 20 მსხვილი მეშამულის ხელშია ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების 90%. წარმოებას აქვს საექსპორტო ხასიათი. აწარმოებენ ყავას, კაკაოს, ბანანს, მთავარი კულტურაა კაკაო, რომლის საერთო წარმოება 15

ათას ტონამდეა, რაც ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც სანტომეა, საკმაოდ დიდია. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული. წარმოდგენილია მეფრინველეობაც. ქვეყანას შემოაქვს კვების პროდუქტები. კერძოდ ბრინჯი, ფქვილი, მეცხოველეობის პროდუქტები.

გაბონი

გაბონის სოფლის მეურნეობა ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი დასაქმების სფეროა, თუმცა მისი ხვედრითი წილი ნაციონალურ შემოსავალში 3,5% არ აღემატება. გაბატონებულია წვრილი ნატურალური წარმოება. სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უკავია ქვეყნის ტერიტორიის 1%-მდე. შიდა ბაზარზე ხვდება წარმოებული პროდუქციის 40%, რაც დასაქონლიანების დაბალ დონეზე მეტყველებს. მოჰყავთ მანიოკი, ბანანი, ტარო, არახისი, სიმინდი, ბოსტნეული. საექსპორტო კულტურებია: ყავა, კაკაო, ზეთის პალმა. მეცხოველობა სუსტადაა განვითარებული. ჰყავთ 10 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 100 ათასამდე ცხვარი. ქვეყანას შემოაქვს როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის პროდუქტები (ფქვილი, ხორცი, რძის ფხვნილი და სხვ.).

კონგო

ქვეყანაში უმთავრესად წარმოდგენილია ტყის მეურნეობა, ამზადებენ ძვირფასი ჯიშის ხის მასალას, რომლის უდიდესი ნაწილი გაქვთ ექსპორტზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ვარგისი მიწები საკმაოდ ბევრია, მაგრამ ნაკლებადაა გამოყენებული. წარმოებას წვრილგლეხური ხასიათი აქვს, მეურნეობის საშუალო სიდიდეა 0,5 ჰა. თვლიან, რომ კონგოს შეუძლია 10-ჯერ მეტი მოსახლეობის გამოკვება (მოსახლეობის რაოდენობა 1,5 მლნ.), რაც მის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. მოჰყავთ მანიოკი, რომლის საერთო წარმოება 500 ათასი ტონაა, ბატატი—100 ათასი, სიმინდი — 8 ათასი, ბრინჯი—5 ათასი, არახისი—20 ათ. ტონა. მოჰყავთ აგრეთვე ყველა სახის ბოსტნეული და ხილი, ციტრუსები—პამპა, ანანასი, ბანანი, მცირე ოდენობით კაკაო (აგრეთვე თამბაქო). სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 55 ათასი სულია, ცხვარი—160 ათასი, ღორი—50 ათასი. ვითარდება მეფრინველეობაც. შემოაქვთ მარცვლეული და მეცხოველეობის პროდუქტები, ექსპორტი სჭარბობს იმპორტს.

ზაირი რეგიონის ყველაზე დიდი ქვეყანაა. იგი შედარებით უკეთაა განვითარებული, მას არა მარტო ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით ბუნებრივ-კლიმატური პირობებითაც გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილი დარგია. მისი ტექნიკური შეიარაღება პრიმიტიულია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ორი მიმართულება აქვს: სასურსათო — შიდა მოხმარებისათვის და საექსპორტო. დიდ ყურადღებას უთმობენ საექსპორტო პროდუქციის წარმოებას, რომელთა შორის მთავარია: ყავა, კაკაო, ჩაი, კაუჩუკი. ზეთოვანი პალმა. ყველაზე მთავარ კულტურად თვლიან პალმას—ყოველწლიურად ამზადებენ 260 ათას ტონა ზეთს, რომლის 2/3 გააქვთ ექსპორტზე. ქვეყანაში რამდენიმე სახის ყავა მოჰყავთ, რომლებიც საუკეთესო ხარისხით ხასიათდება. საერთო წარმოება 75 ათასი ტონაა. აქედან 50 ათასი ტონა გადის ექსპორტზე. მეტად მნიშვნელოვანია კაუჩუკის წარმოებაც, წარმოებული 40 ათასი ტონიდან 80% გააქვთ ევროპაში. კარგი პერსპექტივები აქვს მეჩაიეობას, დღეისათვის ამზადებენ 12—15 ათას ტონა ხმელ ჩაის, რომელიც უმთავრესად შიდა ბაზარზე მოიხმარება. ბოლო პერიოდში გააშენეს კაკაოს პლანტაციები, რომლებიც საკმაოდ მაღალ მოსავალს იძლევიან—ყოველწლიურად ამზადებენ 17—20 ათას ტონა პროდუქციას. აწარმოებენ ბამბას, წლიურად—20 ათას ტონას, რომელსაც ამცირებენ ადგილზე. სასურსათო კულტურებიდან ყველაზე უფრო გავრცელებულია მანიოკი, რომლის წარმოება 10 მლნ. ტონას აღწევს, სიმინდის — 400 ათას ტონას. მოჰყავთ ბრინჯი, რომელიც შედარებით ახალი კულტურაა, ყოველწლიური მისი წარმოება 180—200 ათასი ტონაა. გავრცელებულია ფეტვი და სორგო. მეცხოველეობას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, მცირე რაოდენობით ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და დაახლოებით 10 მილიონამდე სული ცხვარი. მსხვილი ქალაქების საგარეუბნო ზოლში განვითარებულია მეფრინველეობა. ზაირი ეწევა სასურსათო პროდუქტების იმპორტს, ფქვილის, ხორცის, კარაქის, რძის პროდუქტების სახით. ექსპორტის ღირებულება გაცილებით სჭარბობს იმპორტისას.

რეგიონის ყველა სანაპირო ქვეყანაში მეტ-ნაკლები მოცულობით გავრცელებულია მეთევზეობა, რომელსაც ზოგ ქვეყანაში (ზაირი, კონგო) სამრეწველო ხასიათი აქვს.

სამხრეთი აფრიკა

სამხრეთ აფრიკის რეგიონი კონტინენტის უკიდურესი სამხრეთით მდებარეობს. იგი აერთიანებს 12 ქვეყანას, გამოირჩევა მრავალფეროვანი რელიეფით. რეგიონის შუაგულში მდებარეობს ნახევრად უდაბნოს ტიპის უზარმაზარი პლატო. სამხრეთი აფრიკა, სამხრეთი ნახევარსფეროს ტროპიკულ და სუბტროპიკულ კლიმატურ სარტყელში ორი ოკეანის ინდოეთისა და ატლანტის შესაყარზეა. ნალექების რაოდენობა მერყეობს 1000—2000 მმ-ის ფარგლებში, წვიმების სეზონი სამხრეთ პროვინციებში 6 თვეს გრძელდება (ზოგან ნალექების რაოდენობა მცირდება და 250 მმ არ აღემატება). ნამდვილი უდაბნოა ნამიბიაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, რომლის სიგანეა 50—130, ხოლო სიგრძე 2000 კმ. აქ ზამთრის (ივლისის) საშუალო ტემპერატურა +12°, ხოლო ზაფხულის (იანვრის) +15°. ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებში ზაფხულის ტემპერატურა 30°, ხოლო ზამთრისა—20°. ყველაზე მაღალი ტემპერატურა შიდა ქვაბულშია სადაც ზაფხულის წვიმების დაწყებამდე სიცხე 40° აღწევს. სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო ზოლის კლიმატი ხმელთაშუა ზღვის კლიმატს ჰგავს, მშრალი ზაფხულითა და ტენიანი ზამთრით. ნალექების რაოდენობა 600—700 მმ-ია.

მდინარეთა უმრავლესობა მოედინება ინდოეთის ოკეანისაკენ, მათი წყალუხვობა ცვალებადია. არის შემთხვევები, როდესაც შრებიან კიდეც. ეზაზე ბევრია ჩანჩქერი, რაც ჰიდროენერგიის დიდ მარაგს შეიცავს. ატლანტის ოკეანეში ჩამდინარე მდინარეები მცირე წყლის დებეტით ხასიათდებიან, ბევრი მათგანი დიდი ხნის მანძილზე დამშრალია.

რეგიონის რთული რელიეფი განაპირობებს ნიადაგობრივი საფარის მრავალფეროვნებას, მშრალი რაიონებისათვის დამახასიათებელია მკრთალი რუხი და წითელი ნიადაგები. იქ, სადაც ნალექების რაოდენობა 500—700 მმ—სჭარბობს შავმიწები, მთებში კი გავრცელებულია მთის წაბლისფერი მიწები. ყველაზე ნაყოფიერია შავმიწა და ტორფიანი ნიადაგები. აფრიკის სამხრეთ კლასიკური სავანის ტიპური სახეა, სადაც სჭარბობს ბუჩქნარები.

ჭრელია რეგიონის მოსახლეობა, წარმოდგენილია როგორც აბორიგენი, ისე ევროპიდან ჩამოსული ყოფილი კოლონიზატორების შთამომავლები, მათი ხვედრითი წილი მეტისებთან ერთად 20%-მდეა. ვხვდებით აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულთა შთამომავლებსაც. მოსახ-

ლეობის მატების ტემპი 3%, საშუალო სიმჭიდროვე 15 კაცია 1 კვ. კმ. მოსახლეობის ურბანიზაციის პროცენტი მაღალია.

რეგიონის მოსახლეობის წილად მოდის აფრიკის მოსახლეობის 10%, ხოლო ფართობის 13%-ზე აწარმოებენ საერთო პროდუქციის 33%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონის ქვეყნების და პირველ რიგში, სამხრეთ აფრიკის კავშირის ეკონომიკური განვითარების დონე საკმაოდ აღემატება აფრიკის სხვა ქვეყნების დონეს. სამხრეთ აფრიკის რეგიონზე მოდის აფრიკაში წარმოებული ელექტროენერგიის 1/2, ფოლადის—2/3, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის —3/4 და სხვა. რეგიონის ქვეყნებში შედარებით უკეთაა განვითარებული სოფლის მეურნეობა. სამხრეთ აფრიკის კავშირი აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, აქვთ სამამულო სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, კარგადაა განვითარებული ქიმიური მრეწველობა, ამზადებენ მინერალურ სასუქებს, შხამქიმიკატებს, კარგადაა განვითარებული გადამამუშავებელი კვების მრეწველობა.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ რეგიონის ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების მაჩვენებლებს და პირველ რიგში, აფრიკის კონტინენტის ყველაზე განვითარებული ქვეყნების — სამხრეთ აფრიკის კავშირის მაჩვენებლებს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა არა მარტო რეგიონისა და კონტინენტის, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა. იგი მდებარეობს აფრიკის უკიდურეს სამხრეთით და წარმოადგენს ორი ოკეანის შესაყარს. ქვეყნის ტერიტორია 1,2 მლნ. კვ. კმ-ია, მოსახლეობა—32 მილიონი, დედაქალაქი—პრეტორია. 150 წლის განმავლობაში ქვეყანა ინგლისის დომინიონად ითვლებოდა, მხოლოდ 1961 წელს მან მიიღო სრული დამოუკიდებლობა. პირველად აქ ევროპელები 1488 წელს გამოჩნდნენ, როდესაც პორტუგალიელმა ზღვაოსნებმა ღუზა ჩაუშვეს ახლანდელ კეიპტაუნის ბუხტაში. კარგმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა, ბუნებრივმა სიმდიდრეებმა, მალე მიიზიდა ქვეყანაში ევროპელები. ინგლისელი კოლონიზატორები აქ გამოჩნდნენ XVIII საუკუნის დასაწყისში, დაიწყო ქვეყნის კოლონიზაცია. ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილების სტადიაში იმყოფებოდა. ევროპელებმა დაიწყეს ქვეყნის ათვისება. მალე მათ შექმნეს ეკონომიკური განვითარების წანამძღვრები, აშენდა სამრეწველო საწარმოები,

დაიწყო სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისება, შეიქმნა პლანტაციური მეურნეობები, განვითარდა სამთო-მომპოვებელი მრეწველობა.

ქვეყნის ბუნება მრავალფეროვანია, ტერიტორიის ნახევარზე მეტი 1000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მხოლოდ 1/4-ია 500 მეტრის სიმაღლეზე. ბევრია სხვადასხვა სიმაღლისა და ზომის ზეგანი. სანაპირო ზოლი აღმოსავლეთით და სამხრეთით ნაყოფიერი ტენიანი დაბლობითაა წარმოდგენილი, ხოლო დასავლეთით მშრალი, გვალვიანი მიწებია.

სამხრეთ აფრიკის კავშირს უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში ალმასის, ოქროს, პლატინის, ურანის, რკინის, მანგანუმის, ქრომისა და სხვა იშვიათი მეტალების არა მარტო მოპოვებით, არამედ მარაგითაც. ქვეყანა მდებარეობს სუბტროპიკულ სარტყელში, ტერიტორიის დიდ ნაწილზე კლიმატი ხელსაყრელია ცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობისათვის. საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს 12—23°-მდე. ნალექების რაოდენობა 1000—1200 მმ-ია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაიონებზე თანაბრადაა განაწილებული და მათი დიდი ნაწილი მოდის მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდზე.

ქვეყანა არათანაბრადაა უზრუნველყოფილი მდინარისა და გრუნტის წყლებით, მათი რესურსები ძირითადად აღმოსავლეთ ზონაში მეტია, დანარჩენი რაიონები განიცდიან წყლის დეფიციტს, მიმდინარეობს დიდი სამუშაოები გრუნტის წყლების გამოსაყენებლად. ფლორა 16 ათასამდე სახეობის მცენარეს ითვლის, ჭარბობს სავანის ზონის მცენარეები, ტყეებს უჭირავს ტერიტორიის 2%.

ძირითადი მოსახლეობა აფრიკელებია. ევროპელები მოსახლეობის 1/5-ს შეადგენენ, ანუ 6 მილიონზე მეტს. მათ ხელშია ქვეყნის ეკონომიკის 3/4. თეთრკანიანი მოსახლეობის 75% ცხოვრობს ქალაქებში და ქვეყნის სამხრეთ რაიონებში.

სამხრეთ აფრიკის კავშირი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, მის წილად მოდის აფრიკის კონტინენტის ტერიტორიის 5%, მოსახლეობის —7%, ხოლო სამრეწველო პროდუქციის წარმოების—40%. ქვეყანა ყოველწლიურად აწარმოებს 800 ტონა ოქროს, რაც კაპიტალისტური ქვეყნების ოქროს მოპოვების 3/4-ია.

სამხრეთ აფრიკის კავშირში სასოფლო-სამეურნეო წარმოება სამი ტიპისაა: მაღალგანვითარებული სასაქონლო ფერმერული მეურნეობა, ნაკლებად პროდუქტიული ნატურალური მეურნეობა, რომლე-

ბიც ძირითადად აფრიკელების მფლობელობაშია და არარეგულირებული მეურნეობები, რომლებიც უმთავრესად დაბალპროდუქტიულ ეროზირებულ მიწებზეა. განვითარებულ კაპიტალისტურ მეურნეობებში მაღალია ენერგომშეიარაღების დონე, თითქმის ყველა ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებულია.

ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწები დაბალნაყოფიერია; ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა დაბალია. ასე, მაგალითად, სიმინდის მოსავლიანობა 10—12 ცენტნერია, მარცვლეულისა—6—8 ცენტნერი. მოჰყავთ აგრეთვე პარკოსნები, კარტოფილი, არახისი, ბოსტნეული, თამბაქო. ქვეყნის ძირითადი სასურსათო კულტურებია: მარცვლეული, კერძოდ სიმინდი, რომლის საერთო წარმოება 4,5 მილიონი ტონაა და ხორბალი—საერთო წარმოება 3 მილიონ ტონაზე მეტი. სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონებში განვითარებულია მეხილეობა და მევენახეობა, რომელთა პროდუქციაც გააქვთ ექსპორტზე. მოჰყავთ სუბტროპიკული ხილი, ციტრუსები, ანანასი, ბანანი, აგრეთვე ვაშლი, მსხალი, ატამი და სხვა ხილი ნატურალური და წვენების სახით გააქვთ საზღვარგარეთ. მარცვლეულიდან მოჰყავთ აგრეთვე ქერი, ჭვავი, სორგო.

ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს მეცხოველეობა. ჰყავთ 12 მილიონამდე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 38—40 მილიონი—ცხვარი, 5—6 მილიონი—თხა. ცხვრის რაოდენობის 90% და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 60% თეთრკანიანი მოსახლეობის ხელშია, მეცხოველეობის ფერმების უმრავლესობა მექანიზებულია. ქვეყანას მეცხოველეობის პროდუქციის ნაწილი გააქვს საზღვარგარეთ. დღეისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება ტერიტორიის 14%, რომლის 75% მოდის საძოვრებზე და სათიბებზე.

სამხრეთ აფრიკის კავშირი ძირითადად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე (მცირე რაოდენობით შემოაქვთ ხორბალი), ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი გააქვთ კიდეეაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ. დღეისათვის სოფლის მეურნეობაში 150 ათასამდე ტრაქტორია, თეთრკანიანთა ფერმებში მაღალია ქიმიზაციისა და მელიორაციის დონეც.

მოზამბიკი

მოზამბიკის ტერიტორია 783 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 13 მილიონი. დედაქალაქია—მაპუტუ. ქვეყანა აგრარულია, სოფლის მეურნეობის წილად მოდის ნაციონალური შემოსავლის 60% მეტი და

ექსპორტის—80%. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ტერიტორიის 60%, აქედან 56% მოდის საძოვრებზე და სათიბებზე, ხოლო 4% სახნავია და უჭირავს ბაღებს. არსებობს მსხვილმასშტაბური მეურნეობებიც, თუმცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 85% იქმნება წვრილგლეხურ მეურნეობებში. სოფლის მეურნეობაში წარმოდგენილია სასურსათო და საექსპორტო კულტურები. მაგალითად, პირველი ადგილი ექსპორტში უჭირავს (დაახლოებით 30%) თხილს, რომლის წარმოებაც 220 ათას ტონას აღემატება. ბევრია ტყის თხილი. ტყის თხილზე დიდია მოთხოვნილება ევროპის ქვეყნებში. კარგი პერსპექტივები აქვს მეჩაიეობას, მზა ჩაის რაოდენობა 20 ათასი ტონაა წელიწადში, რომლის 3/4 გაიქცევა ექსპორტზე. კარგადაა წარმოდგენილი შაქრის ლერწამი, რომლის წლიური წარმოება 2,8 მილიონ ტონას შეადგენს, საექსპორტოა აგრეთვე კორპის (საცობის) ნაწარმი. 1985 წელს ქვეყანაში აწარმოეს 90 ათასი ტონა პროდუქცია, საექსპორტო კულტურაა ბამბაც, რომლის წარმოება 80 ათას ტონას აღწევს. სასურსათო კულტურებია: სიმინდი, მანიოკი, სორგო, არახისი, ბანანი და სხვა. მეცხოველეობა სუსტადაა განვითარებული; ჰყავთ 1,5 მლნ. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 450 ათასი სული თხა, 200 ათასამდე—ღორი. 100 ათასამდე—ცხვარი. ქვეყანას შემოაქვს მეცხოველეობის პროდუქტები, კერძოდ ხორცი, რძე და რძის პროდუქტები.

ზიმბაბვე

ზიმბაბვე (ყოფილი სამხრეთ როდეზია), მდებარეობს რეგიონის ცენტრში, ფართობი 390 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა—7,5 მილიონია, დედაქალაქია — სოლსბერი. ზიმბაბვე რეგიონის შედარებით მაღალგანვითარებული ქვეყანაა, განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია, მინერალური სასუქების წარმოება, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა. აქტიური მოსახლეობის 80% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, რომლის ევროპული სექტორი მაღალპროდუქტიულია, სწორედ ამ სექტორში მზადდება სასაქონლო და საექსპორტო პროდუქციის უდიდესი ნაწილი. საექსპორტო კულტურებიდან მოჰყავთ თამბაქო, ბამბა, ჩაი და სხვ. თამბაქოს წარმოება 100 ათას ტონამდეა, აქედან 70% გადის ექსპორტზე, ბამბის—60 ათას ტონამდე, მზა ჩაის — 18—20 ათას ტონამდე და ა. შ. სასურსათო კულტურებია: სიმინდი, ბრინჯი, ხორბალი. სუსტადაა განვითარებული მეცხოველეობა, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელთა

სულადობა 3,5 მილიონია, პირუტყვი მაღალპროდუქტიულია, უმთავრესად მერძეული მიმართულების. ქვეყანა საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე ძირითადად იკმაყოფილებს. შემოაქვთ ხორცის პროდუქცია, აგრეთვე რძის ფხვნილი და კარაქი.

ნამიბია

ნამიბია მდებარეობს ამავე სახელწოდების უდაბნოში, რომლის ტერიტორია 823 ათასი კვ. კმ-ია. მოსახლეობა—1 მილიონი, დედაქალაქია—ვინდხუკი. ქვეყნის კლიმატი ტროპიკულია, რაც განაპირობებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათს. სოფლის მეურნეობას ნატურალური ხასიათი აქვს. მის წილად მოდის ნაციონალური შემოსავლის 10%. ნამიბიის სოფლის მეურნეობაში წამყვანია მეცხვარეობა, ჰყავთ 6 მილიონამდე ცხვარი. ქვეყანაში ამზადებენ მსოფლიოში ცნობილ საკარაკულე ტყავს, რომელიც დიდი რაოდენობით გააქვთ ექსპორტზე. აქვეა გავრცელებული ანგორის უძვირფასესი თხის ჯიში, რომლის ბეწვეულზეც დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ქვეყნებში. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი —3 მილიონამდე. მეცხოველეობა მომთაბარე ხასიათისაა და დაბალი ნაყოფიერებით ხასიათდება. მიწათმოქმედება თითქმის ყველგან სარწყავია, ყველაზე მეტი ფართობი უჭირავს ძირხვენებს. სიმინდსა და ფეტვს. ქვეყანა უზრუნველყოფს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების ძირითად პროდუქტებზე, ხოლო მეცხოველეობის პროდუქციის ნაწილი გააქვთ კიდევაც ექსპორტზე. შემოაქვთ უმთავრესად ნატურალური ხილი და ხილის წვენები.

ბოტსვანა

ბოტსვანა რეგიონის ცენტრში მდებარეობს, რომლის ტერიტორია 750 ათასი კვ. კმ-ია ხოლო, მოსახლეობა—900 ათასამდე. დედაქალაქია—გაბორონე. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში არის ალმასის, ოქროს და სხვა ძვირფასი მეტალების საბადოები, მისი ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, კერძოდ, მეცხოველეობა. მიწათმოქმედება სარწყავია. ყველაზე ნაყოფიერი მიწები თეთრკანიანი მოსახლეობის ხელშია, მოჰყავთ თამბაქო. არახისი და სუბტროპიკული ხილი, რომლებიც გააქვთ ექსპორტზე. სასურსათო პროდუქცია წარმოდგენილია მარცვლეულის სახით. ქვეყანაში მომთაბარე მეცხოველეობაა, ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ავრეთვე ცხვარი და სხვა. მეცხოველეობის პროდუქტები (ტყავი,

საერნლის ხორცი) გაქვთ ექსპორტზე, ძირითადად, სამხრეთ აფრიკის კავშირში შემოაქვთ მარცვლეული, აგრეთვე ღვინო და ხილის წვენები.

სვაზილენდი

სვაზილენდი რეგიონის პატარა ქვეყანაა, რომლის ტერიტორია 17,4 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—600 ათასამდე. დედაქალაქია — მბაბანე. სვაზილენდი მონარქიულია. ქვეყანა სუსტადაა განვითარებული, სოფლის მეურნეობაში გამოკვეთილია ევროპული და აფრიკული ნაწილი. აფრიკელები ნახევრად ნატურალურ მეურნეობას ეწევიან, მოჰყავთ სიმინდი, სორგო, ხორბალი, პარკოსნები, ბოსტნეული. სასაქონლო პროდუქციას თეთრკანიანთა ფერმერებში აწარმოებენ. 1985 წელს აქ აწარმოეს დაახლოებით 2,2 მილიონი ტონა შაქრის ლერწამი, 300 ათასი ტონა ბამბა, აგრეთვე ბრინჯი, თამბაქო, ციტრუსოვანი, ხილი და სხვა. წარმოდგენილია მეცხოველეობაც, ჰყავთ 800 ათასამდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 300 ათასამდე — თხა, 50 ათასამდე—ცხვარი. ქვეყანა სრულად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და ნაწილი გაქვთ კიდევაც საზღვარგარეთ.

ლესოთო

ლესოტო პატარა ქვეყანაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ცენტრალურ ნაწილში, მისი ტერიტორია 30 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—1,5 მილიონი, დედაქალაქია — მასერა. მოსახლეობის 90% გლეხები. ქვეყნის ეკონომიკა სუსტადაა განვითარებული, მოსახლეობა დასაქმებულია მეცხოველეობასა და მიწათმოქმედებაში. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: სიმინდი, ხორბალი, ჭვავი, ქერი, სორგო. მეურნეობას ნატურალური ხასიათი აქვს. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უჭირავს ქვეყნის ტერიტორიის 13%, რომელთა უმრავლესობა სახნავია. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი —50 ათასი სული, ცხვარი — 180 ათასი და თხა—60 ათასი სული. ქვეყანა სრულად იკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით.

მადაგასკარი

მადაგასკარი კუნძულოვანი სახელმწიფოა, მისი ტერიტორია 596 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა —10 მილიონამდე, დედაქალაქია—

ანტანანარივა. ქვეყნის ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, რომელზეც მოდის ნაციონალური შემოსავლის 40% და ექსპორტის ღირებულების 80%, მასში დასაქმებულია აქტიური მოსახლეობის 80%. ჭარბობს წვრილგლეხური მეურნეობები, რომლებსაც ნაბევრად ნატურალური ხასიათი აქვს. 8,3 მილიონი ჰექტარიდან, რომელიც ვარგისია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, დღეისათვის გამოიყენება 5 მილიონ ჰექტარზე მეტი. მთავარი სასურსათო კულტურაა ბრინჯი, რომელსაც უჭირავს დამუშავებული მიწების 60% და სარწყავის—95%. ყოველწლიურად აწარმოებენ 2 მლნ. ტონაზე მეტ ბრინჯს, მორწყვისათვის იყენებენ მთის მდინარეებს და სპეციალურად მოწყობილ წვიმის წყლის საგუბრებს, 180 ათასი ჰექტარი მიწა ირწყვება წვიმის წყლებით. ქვეყანას არ ყოფნის სასურსათო ბრინჯი და ყოველწლიურად შემოაქვს იგი დიდი რაოდენობით. მარცვლეულიდან ნოჰყავთ აგრეთვე სიმინდი, მანიოკი, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთით — კარტოფილი, ლობიო, ბანანი, მისდევენ მეხილეობას და მებოსტნეობას. საექსპორტო კულტურებია: ყავა, პალბილი, შაქრის ლერწამი, ზეთოვანი კულტურები. მეცხოველეობა არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს, მასზე მოდის ნაციონალური პროდუქტის მხოლოდ 5%. ჰყავთ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც ითვლება სიმდიდრის მაჩვენებლად, ამიტომ სახორცედ მას იშვიათად იყენებენ. მთიანი ზონა წარმოდგენილია მეცხვარეობით, ჰყავთ ფუტკარიც. ქვეყანას გარდა ბრინჯისა შემოაქვს ხორცის პროდუქტები, გააქვს ყავა, ხილი — წვენებისა და ნატურალური სახით.

სამხრეთ აფრიკის რეგიონს განეკუთვნება აგრეთვე პატარა სახელმწიფოები: კ ო მ ო რ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი, რომლის ფართობის 2,2 ათასი კვ. კმ-ია, ხოლო მოსახლეობა—370 ათასი, რ ე ი ნ უ ი ო ნ ი (საფრანგეთის ტერიტორია) ფართობი 2,5 ათასი კვ. კმ-ია, მოსახლეობა — 500 ათასი, მ ა ვ რ ი კ ი ა, რომლის ტერიტორია 2,1 ათასი კვ .კმ, ხოლო მოსახლეობა — 1 მილიონამდე. ს ე ი შ ე ლ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ი — ტერიტორია 444 კვ. კმ., მოსახლეობა — 70 ათასი. ყველა კუნძულოვანი სახელმწიფოებია, სუსტად განვითარებული ეკონომიკით. მოსახლეობის საქმიანობის მთავარი მიმართულებებია მეთევზეობა და სოფლის მეურნეობა. აწარმოებენ მარცვლეულს და ხილს, რომლის ნაწილიც გააქვთ ექსპორტზე. მონაცემები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტზე არ არსებობს.

ლიტერატურა

1. Чалбаев Н. Н. — Интенсификация производства и рыночные отношения, 1988.
2. Чаплигин Ю. П. — Интенсификация производства и экономика: двенадцать бесед на актуальные темы. — Экономика, 1989.
3. Черников Д. А. — Прогнозирование темпов и пропорции экономического роста — «Знание», 1985.
4. Бенеш — Экономика, Венгрия, 1985.
5. Брандман С. Э. — Экономика внешней торговли, 198[illegible].
6. Паньков В. С — Западная Европа, 1989.
7. Шагов В. Ю. — Международный кредит, 1986
8. Левшин Ф. М. — Мировые рынки, 1987.
9. Гасанов Р. М. — Экономика капиталистических стран, 1989.
10. Бешь-Ганс — География мирового хозяйства, 1987.
11. Латинская Америка — Экономические проблемы региона 1989
12. Вольф М. В. и др. — География мирового сельского хозяйства, 1987.
13. Тацуно Ш. — Стратегия — технополиси (Англия), 1986.
14. Будущее мировой экономики — доклад Экспертов ООН. 19 8.
15. Грижас Р. И. — Мировая экономика, 1988
16. Пунин Е. и др. — Цены и экономика капитализма — (пер. с англ.). 1989
17. Экономическое положение капиталистических и развивающихся стран — Сборник, 1988.
18. Мировая экономика и международные отношения — (сборник АН СССР, 1986).
19. Баграмов Н. — Перспективы формирования общего рынка Северной Америки, 1986.
20. Рюлев О. — Хлеб для человечества — 1985.
21. Злобин И. — Мировая социал. рынок — 1983.
22. Экономика зарубежных стран (учебное пособие) 1990.
23. Иванов Т. — Мировые лесные ресурсы, 1986.
35. Яковлев Т. — Мозамбик, 1990.
26. Рощин В. — Экономика Монголии, 1988.
27. Фавинер И. — Америка и Европа в мировом хозяйстве, 1987.
28. Лемешев — Экономические проблемы природопользования (Африка), 1987.
29. Бендман Р. — «Территориально-производственные комплексы», 1989.
30. Омельянчук М. — «География населения», 1990.

31. Жекулин В. — «География и общество», 1989.
32. Методические вопросы экономической географии; под редакцией Алампиева.
33. География народного хозяйства; сборник, 1989.
34. Москвин Б. — «Географические аспекты развития сельского хозяйства» 1988.
35. Черновец А. — Всемирная история экономической мысли. в 6 томах 1987.
35. Мнацаканян Ю. — Экономика Африки, 1988.
37. Капица Д. — Развивающиеся страны, 1986.
38. Фудин А. — Экономика сельского хозяйства зарубежных стран. 1987.
39. Вещуков Л.—Мировое сельское хозяйство (цюрри и фанта) 1987.
40. Иванюк — Справочник экономических показателей зарубежных стран. 1989.
41. Сборник статей — страны мира, 1990.
42. Бентман М. — Сельское хозяйство Латинской Америки, 1987.
43. Страны мира в 17 томах — Европа, Азия, Африка, Америка, Австралия, и Океания, 1988.
44. Справочник — Мировое сельское хозяйство, 1988.
45. Внешняя торговля бывшего СССР — в 4 томах.

Использованы также журнальные и газетные статьи. статистические и другие справочники.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

„მსოფლიოს სოფლის მეურნეობის" საგანი, ამოცანები და მეთოდები 5

I თ ა ვ ი. მსოფლიოს სოფლის მეურნეობა 7

ა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ევოლუცია 7

ბ. მიწის ფონდები 10

გ. მიწის რესურსები და მიწათსარგებლობის თანამედროვე პრობლემები 15

დ. სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმართულებები მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში 18

ე. სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურა განსხვავებულ სოციალურ-ბუნებრივ პირობებში 23

ვ. მსოფლიოს სოფლის მეურნეობის საწარმოო ფონდები და გეოგრაფიული ზონები 25

ზ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსოფლიო წარმოება 32

თ. მსოფლიოს სოფლის მეურნეობის განვითარება 36

ი. სასურსათო პრობლემების გადაწყვეტის მაგალითები 41

II თ ა ვ ი. ევროპა 44

აღმოსავლეთი ევროპა 47

პოლონეთი 48

ჩეხოსლოვაკია 52

უნგრეთი 57

რუმინეთი 62

ბულგარეთი 66

იუგოსლავია 71

ალბანეთი 78

III თ ა ვ ი. დასავლეთი ევროპა 81

დიდი ბრიტანეთი (ინგლისი) 82

გერმანია 89

ირლანდია 98

საფრანგეთი 101

მონაკო 108

ნიდერლანდი 108

ბელგია 114

ლუქსემბურგი 119

შვეიცარია	121
ლიხტენშტეინი	125
ავსტრია	126
IV თ ა ვ ი. ჩრდილოეთი ევროპა	131
ფინეთი	132
შვეცია	138
ნორვეგია	144
დანია	150
ისლანდია	157
V თ ა ვ ი. სამხრეთი ევროპა	159
პორტუგალია	161
იტალია	167
სან-მარინო და ვატიკანი	176
მალტა	177
ესპანეთი	178
გიბრალტარი, ანდორა	185
საბერძნეთი	186
VI თ ა ვ ი. აზია	191
სამხრეთ-დასავლეთი აზია	192
ავღანეთი	194
ირანი	199
თურქეთი	206
სირია	213
ლიბანი	218
იორდანია	222
ერაყი	226
საუდის არაბეთი	231
ომანი	236
იემენის არაბთა რესპუბლიკა	239
არაბთა გაერთიანებული ემირატი (აგე) კატარი, კუვეიტი	243
კატარი	245
კუვეიტი	247
ისრაელი	250
კვიპროსი	255
VII თ ა ვ ი. სამხრეთი აზია	259
ინდოეთი	261
პაკისტანი	268
ბანგლადეში	273
ნეპალი	278
შრი ლანკა	283
ბუტანი, მალდივების რესპუბლიკა	288
მალდივების რესპუბლიკა	289

VIII თ ა ვ ი. აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია 290

მონღოლეთი 292
ჩინეთი 297
კორეა 307
სამხრეთ კორეა 312
იაპონია 314

IX თ ა ვ ი. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია 323

ვიეტნამი 325
ლაოსი, კამპუჩია 330
კამპუჩია 332
ტაილანდი 335
ბირმა 340
მალაიზია 345
სინგაპური და ბრუნეი 350
ინდონეზია 353
ფილიპინები 359

X თ ა ვ ი. ავსტრალია და ოკეანია 364

ავსტრალია 364
ახალი ზელანდია 373
ოკეანია 379

XI თ ა ვ ი. ამერიკა 384

ჩრდილოეთი ამერიკა 388

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) 388
კანადა 404

XII თ ა ვ ი. სამხრეთი ამერიკა 413

ვენესუელა 415
კოლუმბია 421
ეკვადორი 427
პერუ 431
ბოლივია 436
ჩილე 440
არგენტინა 445
პარაგვაი 452
ურუგვაი 456
ბრაზილია 466
გაიანა 468
სურინამი 470

XIII თ ა ვ ი. ლათინური (ცენტრალური) ამერიკა 472
მექსიკა 475
გვატემალა 482
ჰონდურასი 485
ბელიზი და სალვადორი 488
სალვადორი 488
ნიკარაგუა 491
პანამა 495
კოსტა-რიკა 499
კუბა 502
იამაიკა, ბაგამის კუნძულები, ჰაიტი, დომინიკანის რესპუბლიკა 508
ბაგამის კუნძულები 510
ჰაიტი 511
დომინიკანის რესპუბლია 514
პუერტო რიკო, ვირჯინიის კუმძულები, გვადელუპა, მარტინიკა 516
ვირჯინია 517
გვადელუპა 518
მარტინიკა 519

XIV თ ა ვ ი. აფრიკა 520

აფრიკის ქვეყნების სოფლის მეურნეობა 528
ჩრდილოეთი აფრიკა 530
ეგვიპტე 531
სუდანი 537
ლიბია 542
ტუნისი 546
ალჟირი 550
მაროკო 555
დასავლეთი აფრიკა 559
ნიგერია 566
აღმოსავლეთი აფრიკა 569
ეთიოპია 570
უგანდა 573
ტანზანია 574
რუანდა 575
ბურენდი 575
ზამბია 576
მალეია 576
ცენტრალური აფრიკა 577
კამერუნი 580
ჩადის რესპუბლიკა 580
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 581
ეკვატორული გვინეა 581
სან-ტომე 581
გაბონი 582
კონგო 582

ზაირი 583
სამხრეთი აფრიკა 584
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 585
მოზამბიკა 587
ზიმბაბვე 588
ნამიბია 589
სვაზილენდი 590
ლესოტო 590
მადაგასკარი 590

ლიტერატურა 592

რედაქციის გამგე ც. ანდღულაძე
რედაქტორი ლ. ნინიძე
სამხატვრო-რედაქტორი ო. მესხი
ტექნიკური რედაქტორი რ. გოგეშვილი
უფროსი კორექტორი ელ. ბაბალაშვილი
კორექტორი ი. დონაძე
გამომშვები ლ. გაბარაშვილი

№ 2125 Учебное издание

გადაეცა წარმოებას 4.08.92, ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.05.93. ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆, საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ვენა, ბეჭდვა მაღალი, საბეჭდი თაბახი 37,5, საღებავგატარება 37,75, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 34,9.

ტირაჟი 3000 შეკვეთა № 419

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50.
Издательство «Ганатлеба», г. Тбилиси, Г. Чубинашвили, 50,
1993

საუ თბილისი-31 დიღომი
Тип. Г.А.У. Тбилиси, Дигоми-31.

Наполеон Ираклиевич Каркашадзе

МИРОВОЕ СЕЛЬСКОЕ ХОЗЯЙСТВО

(На грузинском языке)